766 /3
1971 I

ქართული რავალთავი

I

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი
ИНСТИТУТ РУКОПИСЕЙ ИМ. К. С. КЕКЕЛИДЗЕ

ეძღვნება

პროფ. ილია აბულაძის

ხსოვნას

МРАВАЛТАВИ

Историко-филологические
разыскания

I

Издательство «МЕЦНИЕРЕБА»
ТБИЛИСИ · 1971

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქართველთა სრავალთავი

ფილოლოგიურ-ისტორიული
ძიებანი

I

11680

გამომცემლობა «მეცნიერება»
თბილისი · 1971



ეროვნული ბიბლიოთეკა

8ГІ
899.962.1.09
ხ 405

„მრავალთავი“ წარმოადგენს კრებულს, რომელიც გამოსაცემად მოამზადეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომლებმა. კრებული ეძღვნება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის პროფესორ ილია აბულაძის ხსოვნას. მასში იბეჭდება ილ. აბულაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი სტატია და მისი გამოქვეყნებული შრომების სია.

„მრავალთავის“ ამ ტომში ავრეთვე ქვეყნდება გამოკვლევები, რომლებიც ეხება ძველი ქართული წიგნთა ქველქართული რედაქციების ფილოლოგიური კვლევის შედეგებს, ქართულ-ბიზანტიურ და ქართულ-სომხურ ლიტერატურულ ურთიერთობებს ქართული „მრავალთავების“ მიხედვით. ჯეროვანი ყურადღება ეთმობა პოეტურ მემკვიდრეობასაც — იბეჭდება სტატია, რომელიც ეხება ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში დაცულ საიათნოვას ქართულ ლექსებს. დაინტერესებული მკითხველი კრებულში ნახავს ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწის გ. საძაგლიშვილის საარქივო ფონდის მიმოხილვას და სხვ.

„მრავალთავის“ წინამდებარე I ტომი წარმოადგენს გაგრძელებას ხელნაწერთა ინსტიტუტის მიერ ადრე გამოქვეყნებულ კრებულებისა — „ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე“ (ტტ. I—V, 1959—1963), „ფილოლოგიური ძიებანი“ (ტ. I, 1964) და „ფალეოგრაფიული ძიებანი“ (ტტ. I—II, 1965—1969).

სარედაქციო კოლეგია: ც. ამფოლაძე, ალ. გამყრელიძე, ც. კანაბრიშვილი (მდივანი), *ე. მეტრეველი* (მთავარი რედაქტორი), *ც. ქურციკიძე, მ. შანიძე, ნ. შოშიაშვილი*

ტომის რედაქტორი ალ. გამყრელიძე

7—2—2
114—115—68 ადგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა





ეროვნული ბიბლიოთეკა

პროფესორი ილია აბულაძე

ქართულმა მეცნიერებამ ჭეშმარიტად დიდი და ძნელად ასანაზღაურებელი დანაკლისი განიცადა — მოულოდნელად გარდაიცვალა გამოჩენილი მეცნიერი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორი, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფესორი ილია ვლადიმერის ძე აბულაძე.

იგი იყო ღირსეული წარმომადგენელი ქართველ საბჭოთა მეცნიერთა იმ პლეადისა, რომელიც წინ სწევს ეროვნულ სამეცნიერო აზროვნებას და დამსახურებულად უთქვამს მას სახელს არა მარტო საბჭოთა კავშირის, არამედ მსოფლიო სამეცნიერო წრეებშიაც.

ქართულ-სომხური ფილოლოგიის შესანიშნავი სპეციალისტი, ახალგაზრდობის გულისხმიერი აღმზრდელი, ჩვენი ეროვნული საუნჯის — უძველესი ქართული ხელნაწერების — უზომოდ თავდადებული მოამაგე და მოჭირნახულე, საერთოდ თავდავიწყებით შეყვარებული თავის საქმეზე — ასე იცნობდა მას ჩვენი საზოგადოებრიობა.

იგი დაიბადა 1901 წლის 24 ნოემბერს სოფ. ზედა საქარაში (ზესტაფონის რაიონი), მასწავლებლის ოჯახში. საშუალო განათლება მიიღო ქუთაისის I გიმნაზიაში. 1922 წელს შევიდა მაშინ ჯერ კიდევ ახლად ფეხადგმულ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და წარჩინებით დაამთავრა როგორც სიტყვიერების, ისე ენათმეცნიერების დარგები. უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე დატოვებულ იქნა ასპირანტად ძველქართულ-ძველსომხური ფილოლოგიის დარგში, რომელიც მართლაც რომ დიდის წარმატებით შეისწავლა და სამართლიანად მოიხვეჭა შემდგომ ამ სფეროში ჭეშმარიტად დიდი მკვლევრის სახელი.

სოფლის მასწავლებლის მრავალშვილიანი, ღარიბი ოჯახის პირმშოშვილობით თავდანვე საკმაოდ მძიმე ხვედრი არგუნა ბედმა განსვენებულს. ამიტომ იყო, რომ უნივერსიტეტის ორი დარგი მან ისე დაამთავრა, გარე მუშაობისათვის თავი არ გაუნებებია და მით უფრო განსაცვიფრებელია შედეგი მისი სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობისა.

აქ არ გამოვუდგებით მისი ნაშრომების წვრილად დახასიათებას. როგორც ძველები იტყოდნენ, საქმენი მისნი „დუმილით წამებენ და კმა-მაღლად ქადაგებენ ღუაწლთა და შრომათა“ მისთა. ალბათ უბრალო ჩამოთვლაც იკმარებს საქმის მცოდნეთათვის, რა დიდი შრომა გაუწევია განსვენებულს, მართლაც რა რუდუნებით უმუშავია, რა სიბეჯითე და მუყაითობა გამოუჩენია. მის კა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლამს ეკუთვნის ასზე მეტი ნაბეჭდი ნაშრომი, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ცალკე სქელტანიანი წიგნების სახითაა დასტამბული.

ძველი ქართული და ძველი სომხური ენების ბრწყინვალე ცოდნამ მას შეაძლებინა დიდის გულმოდგინებით შეესწავლა და სანიმუშოდ გამოეცა ორივე ენისა და ლიტერატურის უძველესი და უმნიშვნელოვანესი ძეგლები, რომელთაგან ერთი პირველთაგანია ქართული ლიტერატურის ისტორიისთვის უაღრესი მნიშვნელობის მქონე იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამება“ (1938). ეს თხზულება, როგორც ცნობილია, შემონახულია ორივე ენაზე და ერთნაწილ საცილობლად ითვლებოდა, რომელი იყო დედანი — ქართული თუ სომხური ტექსტი. ილია აბულაძემ როგორც ქართული, ისე სომხური ყველა ცნობილი ხელნაწერისა და სხვა მასალების გულდადებით შესწავლის საფუძველზე საბოლოოდ დაადგინა, რომ პირველი წყაროა, რასაკვირველია, ქართული ტექსტი და სომხური მხოლოდ მის თარგმანს წარმოადგენს. ამასთანავე დაამტკიცა, რომ თვით თხზულებაში ავტორად მოხსენიებული იაკობი, მოძღვარი შუშანიკისა, არის ცურტავის ის ეპისკოპოსი, რომელიც VI საუკუნის დასაწყისის ერთ-ერთ სომხურ წყაროში იხსენიება.

პროფ. ილ. აბულაძის სადოქტორო დისერტაცია — „ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX—X სს-ში“ (1945 წ.) — შესანიშნავ ნაშრომად ითვლება ამ ნაკლებად შესწავლილ-გამოკვლეულ სამეცნიერო სფეროში. მართალია, ქართულ-სომხური სალიტერატურო ურთიერთობის კერძო საკითხები წინათაც მუშავდებოდა სამეცნიერო ლიტერატურაში, მაგრამ ასეთი სისტემური შესწავლა მაინც ახალი საქმე იყო და მნიშვნელოვან შედეგებსაც მიაღწია ავტორმა. განსაკუთრებული გულისყურით დაამუშავა პროფ. ილ. აბულაძემ ძირითადად ისტორიული ჟანრის ის მოზრდილი ჯგუფი ძეგლებისა, რომელთაც მკვლევართა ერთი ნაწილი ადრინდელ, V—VIII საუკუნეების, პროდუქტად თვლიდა, მეორე ნაწილი კი — IX—X საუკუნეების შემდეგდროინდელად. მეცნიერმა თავისი დრო და ადგილი მიუჩინა ხსენებულ თხზულებებს და დაასაბუთა, რომ ისინი აღმოცენებულნი იყვნენ სწორედ IX—X საუკუნეებში ჯერ სარწმუნოებრივად, შემდგომ კი ეროვნულადაც გაქართველებულ სომხურ წრეებში. ამასთანავე დაადგინა, რომ ზოგი ქართული ისტორიული ძეგლი, რომელიც ვიღაც ვიღაც ვიღა

ენისა და ლიტერატურის ისტორიის შესწავლისათვის საჭირო, ჰეშმარიტად პირ-
ველხარისხოვანი მასალა.

პროფ. ილ. აბულაძის პალეოგრაფიული ალბომი „ქართული წერის ნიმუშები“ (1949). სამაგიდო წიგნი ძველი ქართული ენის შესწავლით დაინტერესებული ყოველი პირისათვის, ფაქტიურად არის საქართველოში და საქართველოს გარეთ არსებული ქართული სამწიგნობრო კერების დოკუმენტური ისტორია.

მისივე გამოცემულია იშვიათი გულმოდგინებით „ქართლის ცხოვრების“ უძველესი სომხური თარგმანი (1953), რომელიც ფრიად საყურადღებოა ქართული ტექსტის დადგენისთვისაც, რადგან ჩვენ გვიანდელი ხელნაწერებიღა მოგვეპოვება, სომხური თარგმანი კი გაცილებით ადრე შესრულებულია, რასაკვირველია. უფრო ადრინდელი ხელნაწერების მიხედვით.

ძველი ქართული მწერლობის საერთაშორისო პრესტიჟისათვის დიდად მნიშვნელოვანი შესანიშნავი ქართული ძეგლი „სიბრძნე ბალავარისა“, რომლის ბერძნულად თარგმნაც დიდებულ ქართველ მოღვაწეს ექვთიმე ათონელს მიეწერება. პროფ. ილია აბულაძემ გამოსცა ორგზის — მოკლე (1937) და ვრცელი (1957) რედაქციების სახით.

უკანასკნელმა გამოცემამ, რომლის განხორციელებაც შესაძლებელი გახდა 1956 წელს იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა კოლექციის მიკროფილმებში აღმოჩენილი მანამდე უცნობი ვრცელი ვერსიის საფუძველზე, კიდევ უფრო გააცხოველა ინტერესი ამ ძეგლის მიმართ როგორც ჩვენში, ისე უცხოეთშიაც. პროფ. ილ. აბულაძის დაკვირვებით, ადრე ცნობილი მოკლე რედაქცია ამ ვრცელი ვერსიის შემოკლებას უნდა წარმოადგენდეს. ვრცელი ქართული ტექსტი ენობრივი ნიშნების მიხედვით IX საუკუნის ძეგლი უნდა იყოს, ხოლო მასში შენიშნული არაბიზმები, განსაკუთრებით სინტაქსური ხასიათისა, არაბული ენიდან მის მომდინარეობას უნდა მოწმობდესო.

ამ ძეგლის კვლევის სფეროს შემდგომი გაფართოება-გაღრმავებისათვის დიდი მნიშვნელობისაა პროფ. ილ. აბულაძისავე კონსულტაციით და ვრცელი წინასიტყვაობებით გამოცემული რუსული (1962 წ.) და ინგლისური (1966 წ.) თარგმანები ამ ძეგლისა, რომელთაგან პირველი შეასრულა მისმავე ძმამ, ცნობილმა ლიტერატორმა ბ. აბულაძემ, ხოლო მეორე — გამოჩენილმა ქართველოლოგმა, ლონდონის უნივერსიტეტის პროფესორმა დევიდ ლანგმა.

განსვენებულმავე გამოსცა უძველესი რედაქციების მიხედვით „საქმე მოციქულთა“ (1950), „მამათა სწავლანი“ (1955), იოანე მოსხის „ლიმონარი“ (1960), ბასილი დიდის „ექუსთა დღეთაჲ“ და გრიგოლ ნოსელის „კაცისა აგებულებისათვის“ (1964) და სხვა მრავალი.

განსაკუთრებით აღსანიშნავია პროფ. ილ. აბულაძის მიერ ავტოგრაფულ ნუსხებზე დაყრდნობით გამზადებული კრიტიკული ტექსტი უკვდავი სულხან-საბა ორბელიანის ქართული ლექსიკონისა, რომელიც გამოქვეყნდა 1965—1966 წლებში საბას თხზულებათა აკადემიური გამოცემის IV ტომში ორ ნაკვეთად.

განსვენებული მეცნიერის სალექსიკოლოგიო მუშაობის გვირგვინს წარმოადგენს მისი ძველი ქართულის დოკუმენტირებული ლექსიკონი, რომლის მასალას იგი უდიდესი გულმოდგინებით აგროვებდა მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე. ამჟამად ამ ლექსიკონის 1500-ზე მეტი გვერდი, მისი ლამაზი, მკაფიო

ხელით გადაწერილი, უკვე ობეჭდება და უთუოდ დიდი შენაძენია ჩვენი მეცნიერებისათვის.

მას დარჩა აგრეთვე უდიდესი მნიშვნელობის მქონე სალექსიკონო მასალა ძველქართულ-ძველსომხური დოკუმენტირებული ლექსიკონისათვის, რომელიც ასევე დიდი განძია ქართველოლოგიისა და არმენოლოგიისათვის.

პროფ. ილია აბულაძემ დიდი ენერგია შეალია ქართულ ხელნაწერთა სრული მეცნიერული აღწერილობის შედგენისა და გამოქვეყნების საქმეს. ჯერ კიდევ 1939 წელს დიდი მამულიშვილის ივანე ჯავახიშვილის თაოსნობითა და მის მიერვე შედგენილი სახელმძღვანელო ინსტრუქციით შეუდგა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილება ამ საშურ საქმეს. პირველი ტომების მომზადების უშუალო ხელმძღვანელობისა და რედაქციის ტვირთი სწორედ პროფ. ილ. აბულაძეს ხვდა წილად, რომელმაც 1946 წელს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერთა (H ფონდი) აღწერილობის I ტომის გამოქვეყნებით სანიმუშო გულმოდგინებით განახორციელა ქართული ფილოლოგიისა და საქართველოს ისტორიულ-კულტურული საკითხების ჩაღრმავებული კვლევისათვის ეგოდენ დიდმნიშვნელოვანი საქმე და გზა გაუკაფა აღწერილობათა მონუმენტურ სამეცნიერო სერიას, რომელიც ახლა უკვე გამოცემულ 16 დიდტანიან ტომს ითვლის. ეს აღწერილობანი, თამამად უნდა ითქვას, თავისი სისრულითა და მეცნიერული გამართულობით სასიკეთოდ გამოირჩევა ბევრი სხვა ერის წერილობით ძეგლთა ანალოგიური აღწერილობისაგან და სხვებისთვის მისაბაძ ნიმუშს წარმოადგენს.

გარდა ქართულ ხელნაწერთა ასეთი დაწვრილებითი აღწერილობების გამოქვეყნებისა, განსვენებულის ინიციატივითვე მოხდა ისტორიული საბუთებისა და გამოჩენილ ქართველ მოღვაწეთა პირადი არქივების კატალოგიზაცია და საძიებლების შედგენა. აგრეთვე უცხო ენებზე არსებული ხელნაწერთა ფონდების აღწერა-დამუშავება. აქედან განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი უშუალო ხელმძღვანელობით სომხეთის ძველ ხელნაწერთა ინსტიტუტის „მატენადარანის“ თანამშრომლის მიერ მომზადებული ვრცელი აღწერილობა ჩვენი ინსტიტუტის საკმაოდ მდიდარი სომხური კოლექციისა და სხვ.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ყოფილ ხელნაწერთა განყოფილებისა და შემდგომში კი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის თითქმის მთელი ბეჭდვითი პროდუქცია, იყო იგი ოფიციალური რედაქტორი თუ არა, მაინც განსვენებული მეცნიერის ხელში გახლავთ გავლილი. მისი რედაქციითა და უშუალო თვალმიდევნებით გამოქვეყნდა ხელნაწერთა ინსტიტუტის „მოამბის“ ხუთი ტომი, „ძველი ქართული აგიოგრაფიული ძეგლების“ 3 ტომი და რამდენიმე ათეული წიგნი, ცალკე მონოგრაფიული ნაშრომებისა თუ ძველი ტექსტების კრიტიკული გამოცემების სახით. მისი ხელმძღვანელობით და გეგმით მუშაობდა ინსტიტუტის თანამშრომელთა დიდი კოლექტივი ძველი ალთქმის ქართული ვერსიის კრიტიკული გამოცემის შემზადებაზე და თითქმის ბოლომდეც მიიყვანა ეს საშვილიშვილო საქმე და სხვ.

პროფ. ილია აბულაძის დამსახურებაა აგრეთვე ძველ ალბანელთა ანბანის აღმოჩენა. თუმცა ამ ძველი კავკასიელი ერის დამწერლობის ნაშთებს დიდხანს ეძიებდნენ, ვერავინ მოახერხა ამ ფრიად მნიშვნელოვანი საკითხის შესახებ უტყუარი სამეცნიერო საბუთების მოპოვება და სწორედ პროფ. ილ. აბულაძეს გაუღიმა

ბედმა — 1937 წ. მან ეჩმიაძინის ერთ სომხურ XV ს. ხელნაწერში მიაკვლია ალბანურ ანბანს, რომელსაც შემდგომში მრავალი ნაშრომი მიეძღვნა და ცხოველი ინტერესი გამოიწვია ფართო სამეცნიერო წრეებში.

პროფ. ილ. აბულაძეს დიდი ამაგი მიუძღვის ახალგაზრდობის აღზრდაში — მისი მონაწილეობით შედგენილი სახელმძღვანელოების მიხედვით ადრევე იცნობა ნორჩი თაობა მის სახელს. ბევრზე ბევრი ეზიარა მისი შესანიშნავი ლექციების მადლს — იგი მრავალი წლის განმავლობაში კითხულობდა უნივერსიტეტში ძველი ქართულის, ძველი სომხურის და ქართული პალეოგრაფიის კურსებს. ბევრ ახალგაზრდა მკვლევარს მიუღია სამეცნიერო ნათლობა მისი ხელით.

იგი წლების მანძილზე სანიმუშო მუყაითობით უძღვებოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი ფაკულტეტის — ფილოლოგიის ფაკულტეტის — მუშაობას. იყო წევრი მრავალი სამეცნიერო საბჭოსი — უნივერსიტეტის დიდი საბჭოსი, ფილოლოგიის ფაკულტეტის, ენათმეცნიერების ინსტიტუტის, ხელოვნების ინსტიტუტის, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმისა და სხვა სამეცნიერო დაწესებულებების საბჭოებისა.

ფრიად დასაფასებელია პროფ. ილ. აბულაძის წვლილი უკვდავი რუსთაველის ტექსტის დადგენისა და ინტერპრეტაციის საქმეში. იგი აქტიური წევრი იყო „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიებისა და არაერთი წაკითხვა გაუსწორებია საიმედოდ.

პროფ. ილ. აბულაძე მუდმივი და დაუზარებელი კონსულტანტი და მრჩეველი იყო თითქმის ყველა უცხოელ ქართველოლოგისა და არმენისტისა, რომელთაგან გამოგზავნილი უამრავი წერილი აღსავსეა გულწრფელი მადლიერებისა და ღრმა პატივისცემის გრძნობით.

ჩვენს ძველ ხელნაწერ მემკვიდრეობას, რასაკვირველია, ბევრი თაკგამოდებული მზრუნველი და მოჭირნახულე ჰყავდა, სახელოვანიც და ზოგჯერ უსახელოც; დღემდე ალბათ მხოლოდ მეასედი ნაწილი თუა მოღწეული წინაპართა ძველი ნაშრომ-ნაღვაწისა ამ დარგში და ესეც არ გვექნებოდა, რომ თავის დროზე არ ეძიათ და შემოეკრიბათ იგი გამოჩენილ ქართველ მოღვაწეებს. მაგრამ პროფ. ილია აბულაძის ღვაწლი მათი მოვლა-პატრონობის, დაცვისა და შესწავლის დარგში მაინც ჭეშმარიტად გამოსარჩევი და სრულიად განსაკუთრებულია.

პროფ. ილ. აბულაძე, როგორც ხელნაწერთა ფონდების შესანიშნავი მცოდნე და სპეციალისტი პალეოგრაფი, წლების მანძილზე ადრიდანვე ძალიან მჭიდროდ იყო დაკავშირებული ჩვენი ხელნაწერი მემკვიდრეობის შესწავლასთან და მეცნიერ კონსულტანტად ითვლებოდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებისა, სადაც ადრიდანვე თავი მოიყარა ქართულ ხელნაწერთა უძვირფასესმა კოლექციებმა. იგი 1953 წელს უკვე ოფიციალურად იქნა მიწვეული ხსენებული განყოფილების ხელმძღვანელად და მას შემდეგ ხომ გაასკეცებული ენერგიით შეუდგა ჩვენი უდიდესი ეროვნული საუნჯის მოვლა-პატრონობას.

ამ ენერგიული მუშაობის უშუალო შედეგი გახლდათ მისი ინიციატივითა და თავგამოდებული ცდით 1958 წელს საქართველოს მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების ბაზაზე ძველ ხელნაწერთა ცალკე სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ჩამოყალიბება, ხოლო შემდგომში კი ამ ინსტიტუტისათვის სპეციალურად კეთილმოწყობილი შენობის აგება, რომლის დასრულებისა და ახალ საცავში

ხელნაწერების გადმოტანა-დაბრუნების შემდგომ, როცა განსვენებულმა ძმებმა გაშლილ-გახალვათებულ ჩვენს საგანძურს გადახედა, გულამოსკვნით წარმოქვა: ახლა კი შემიძლია ვთქვა, აწ განმისვენე უფალოო. და ეს არ გახლდათ მისთვის ლიტონი სიტყვა, რადგან ხელნაწერთა მოვლა-დაცვისა და შესწავლის საქმისათვის თავდადებული ჩრუნვა თავისი მეცნიერული, მამულიშვილური და, თუ შეიძლება ასე ითქვას, საერთოდ ფიზიკური არსებობის გამართლების თავდათავ მიზნად მიაჩნდა განსვენებულს.

ხელნაწერთა მოვლა-დაცვის გასაუმჯობესებლად პროფ. ილ. აბულაძის უშუალო ინიციატივითა და ზრუნვით შეიქმნა ინსტიტუტში ქიმიურ-სარესტავრაციო, მიკროლოგიური და ფოტო ლაბორატორიები, აგრეთვე სპეციალური საამკინძო სახელოსნო და ჯეროვან სიმაღლეზეც იქნა დაყენებული მათი მუშაობა. გადაიდგა ნაბიჯი უძვირფასესი პალიმფსესტური ხელნაწერების ახალი ფოტომეთოდებით ამოსაკითხავად, რაც უდიდეს კმაყოფილებას ანიჭებდა განსვენებულს და დიდი პერსპექტივის საქმეც არის.

განსვენებული მეცნიერი, ისევაც ფრიად დატვირთული სამეცნიერო და ადმინისტრაციული საქმეებით, ყოველთვის დიდი ხალისითა და პირდაპირ ჯაბუკური ენთუზიაზმით ხვდებოდა ხელნაწერთა დასათვალიერებლად მოსულ ყველა სტუმარს — უცხოს თუ შინაურს, მხცოვანსა თუ ახალგაზრდას. ყველას გატაცებით მოუთხრობდა ჩვენი ეროვნული საგანძურის უძვირფასესი და უნიკალური ძეგლების თავგადასავალს, რომელთა ყოველი ფურცლის, ყოველი მინიატურის, ყოველი სამკაულის ახლად და ახლად ნახვა მართლაც რომ გულწრფელ სიამოვნებასა და ნეტარებას ანიჭებდა და ცდილობდა ეს სიამოვნება სხვებისთვისაც ასევე განეცდევინებინა; სხვებისთვისაც ჩაენერგა მათი სიყვარული, მათდამი მოწიწება; ეგრძნობინებინა წინაპართა ამ დიდებული ნამუშაკების მადლი და მნიშვნელობა.

ყოველი ახალი ხელნაწერის შემომატება, თუნდაც გვიანდელი და შედარებით ნაკლებ მნიშვნელოვანისაც კი, უდიდესი დღესასწაული იყო განსვენებულისათვის. ოღონდ ყური მოეკრა, სადმე ხელნაწერი არისო. რომ არც დროს დაიშურებდა, არც ენერგიას და მანამ არ მოეშვებოდა ამ საქმეს, სანამ მას ხელმწიფო ხელნაწერთაცავში სამიდღიდ დაცულ-მოელილს არ დაიგულებდა. ამიტომ იყო, რომ ინსტიტუტის დაარსებისთანავე შემოიღო თანამშრომელთა სპეციალური ექსპედიციებისა და მიკლინებების მოწყობა რაიონებში ხელნაწერთა მოსაძიებლად, აგრეთვე სარაიონო მუზეუმებში დაცულ ხელნაწერთა და საისტორიო დოკუმენტების ასაწერად და მათი დაცულობის მდგომარეობის შესამოწმებლად. ამ გზით იქნა მოპოვებული მრავალი საინტერესო ხელნაწერი და ისტორიული საბუთი. მათ შორის „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთი უიშვიათესი და უძვირფასესი ეგზემპლარი, აგრეთვე „ვეფხისტყაოსნის“ უძველესი (XVI ს.) ფრაგმენტი, რომელსაც განსვენებულმა მეცნიერმა თვითონვე მიუძღვნა სათანადო გამოკვლევა, და სხვ.

ყოველი ღონისძიებით ცდილობდა ქამთა სიავის წყალობით ამჟამად უცხო ხელში მოხვედრილ იმ უძვირფასეს ქართულ ხელნაწერთა კოლექციების ფოტოპირებისა და მიკროფილმების მოპოვებას და მათ ჩაყენებას მშობლიური მეცნიერების სამსახურში, რომელნიც ოდესმე უძველეს საზღვარგარეთულ ქართულ სამწიგნობრო კერებში იყო დაცული და ამ მიმართულებითაც მნიშვნელოვან, თუმცა ჯერ კიდევ არასრულ, წარმატებას მიაღწია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელნაწერის თუნდაც ოდნავ უდიერად მოპყრობას არავის აპატიებდა — ა[illegible] მისთვის დიდი და პატარა, მაღალი და დაბალი რანგი არ არსებობდა. როგორც თვითონ ეპყრობოდა მათ უდიდესი სისათუთითა და პირდაპირ ღვთაებრივი მოწიწებით, ასევე მოითხოვდა სხვებისაგანაც. ზოგს უკვირდა და შეიძლება ახლაც უკვირს და სწყინს, ილია აბულაძე რომ წამდაუწუმ, პირველი შეხმაურებისთანავე არ გასცემდა სახმარად რომელიმე ძველ ხელნაწერს. ვიდრე კარგად არ დაიბეჯითებდა, რომ მართლაც აუცილებელი იყო საცავიდან მისი გამოტანა, მანამდე ხელს არ დააკარებინებდა ვინმეს. თან ყოველნაირად ცდილობდა, თუ ფოტოპირი ან მიკროფილმი არსებობდა, იმით დაეკმაყოფილებინა მომსვლელი, რათა, როგორც განსვენებულს ხშირად უყვარდა გამეორება — „ხელნაწერი არ შეეწუხებინა“. ხელნაწერის „არ შეწუხების“ წადილით გახლდათ გამოწვეული ის გარემოება, რომ თვით ხანში შესული, მხცოვანი მეცნიერი, რომელსაც მხედველობა უკვე ძველებურად აღარ უჭრიდა, გამადიდებელი შუშით ჩაჰკირკიტებდა რომელიმე ფოტოპირს და ხშირად მართლაც რომ ძნელად გასარჩევ როტოპირს — თეთრით შავზე გამოყვანილ ნაწერს, რომ თვით უძვირფასესი ხელნაწერი, კვლავ მისავე სიტყვით რომ ვთქვათ, „დაესვენებინა“.

თვითონ სხვებისთვის ბევრის მიმცემსა და ბევრის დამთმობს სხვისგან მცირე ყურადღებაც აკმაყოფილებდა, მაგრამ ამასთანავე ახლობლებისა და გაზრდილებისაგან ჩადენილ ასევე მცირე რამ შეცოდებასაც დიდის გულისტკივილით განიცდიდა. ოღონდ საკმარისი იყო თუნდაც რამდენიმე გულწრფელი სიტყვა გაემეტებინა „შემცოდეს“, რომ განსვენებული ძველებურ გულითადობას დაუბრუნებოდა.

თანაც ერთი შესანიშნავი თვისება ახასიათებდა განსვენებულს — თუნდაც უდიდესი გაცხარებისა და გაფიცხების ჟამს რომ ვინმეს მის საყვარელ ძველ ხელნაწერებზე და მათთან დაკავშირებულ საკითხებზე ჩამოეგდო როგორმე საუბარი, რაგინდ განრისხებულ-გაგულისებულიც არ უნდა ყოფილიყო მოსაუბრეზე, მყის გაებადრებოდა სახე, ეცვლებოდა გუნება და კვლავ მართლაც სანაქებო ტკბილმოუბარ ნესტორად იქცეოდა.

თვითონ საოცრად ბეჯითსა და მუყაითს, საქმეზე თავგადაკლულს, ვერამც და ვერამც ვერ წარმოედგინა, თუნდაც ოდნავი შეღავათი მიეცა თავისთვის და ასევე მოითხოვდა სხვებისაგანაც — კოლეგებისა და თანამშრომლებისაგან. მისთვის წარმოუდგენელი იყო დავალების თავის დროზე ვერ შესრულება და საქმის ღალატი — ყოველ საქმეს იგი თავისი გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობის უთუოდ მაქსიმუმს ახმარდა. პროფ. ილ. აბულაძეს უსაზღვროდ განარისხებდა და აგულისებდა ფუქსავატური მოპყრობა საქმისადმი, თუნდაც ოდნავ ხელის დაკლება ნაშრომ-ნაღვაწისათვის, ოდნავი დარღვევა მართლწესრიგისა. მისთვის გაუგებარი იყო სამსახურში თუნდაც რამდენიმე წუთის დაგვიანებით მისვლა, გაცდენაზე ხომ რაღა ითქმის. ამიტომ მისი ნაამაგარი ინსტიტუტის წარმატებაც თვალსაჩინოა — მართლაც რომ სრულიად ახალგაზრდულ სამეცნიერო კოლექტივში, რომელშიაც უმრავლესობა მისი მოწაფეა, რამდენიმე წელიწადში ოცდაათამდე მკვლევარმა დაიცვა სამეცნიერო ხარისხი და, სპეციალისტთა საერთო აღიარებით, დაიცვა ჭეშმარიტად ღირსეულად, მართლაც კეთილხარისხოვნად.

პროფ. ილია აბულაძეს ბევრი სანუკვარი გეგმა და ჩანაფიქრი დარჩა განუხორციელებელი — ხელნაწერთათვის კიდევ უფრო საიმედო და კეთილმოწყო-

ბილი საცავის აგება, რაც ინსტიტუტის მეორე რიგის მშენებლობის პროექტითაც გათვალისწინებული; მთელი ძველი ქართული ხელნაწერების მთლიანად შეგრო-კრება თუ არა, მათი ფოტოპირების ან მიკროფილმების მაინც მთლიანად გადაღება; ჩვენი უძველესი და უძვირფასესი სამწერლობო ძეგლების გამოქვეყნება კრიტიკული და ფოტოტიპიური გამოცემების სახით; ხელნაწერებში ჩართული უბრწყინვალესი და უშესანიშნავესი ქართული მინიატურების ჯეროვან პოლიგრაფიულ დონეზე გამომზეურება და სხვ. ყოველივე ამის შესრულება მისი მოწაფეებისა და მისგან დაფუძნებული სამეცნიერო კოლექტივის ვალია, რომელიც, უეჭველია, ძალ-ღონესა და ენერგიას არ დაიშურებს, რათა კეთილადვე გააგრძელოს განსვენებულის კეთილი საქმენი.

შესანიშნავი მამულიშვილის, უანგარო, თავდადებული საზოგადო მოღვაწის, დიდად ნაყოფიერი, ერუდირებული მეცნიერი მკვლევრის, ახალგაზრდობის გულისხმიერი აღმზრდელ-მასწავლებლის, ქართველი ერის უძვირფასესი საუნჯის — წერილობითი ძეგლების — დიდი მესაიდუმლისა და მოჭირნახულის სანაქებო ღვაწლი მარად მოსაგონარი იქნება ყველასათვის, ვისთვისაც ძვირფასია ჩვენი ერის სულიერი კულტურის მდიდარი ტრადიციები და მომავალი წინსვლის ინტერესები.

ალ. გამყრელიძე

პროფ. ილ. აბულაძის ნაბეჭდი სამეცნიერო შრომების სია

1. სულხან-საბა ორბელიანის სომხური წყაროები, თსუ შრომები, ტ. III, თბ., 1936, გვ. 253—270.
2. ქართულ-სომხური ფილოლოგიური შტუდიები: „მრავალთავის“ ზოგიერთი თავის წყარო, თსუ შრომები, ტ. VI, თბ., 1938, გვ. 329—347.
3. იოანე დრასხანაკერტელი [„სომეხ მწერალთა ცნობები საქართველოს შესახებ“], თარგმანი შენიშვნებითა და საძიებლებით ილია აბულაძისა, თსუ გამ-ბა, თბ., 1937, VIII, 94 გვ.
4. სიბრძნე ბალაჰვარისი, ძველი ქართული ტექსტი, ვარიანტები და ლექსიკონი, გამ-ბა „ფედერაცია“, თბ., 1937, XXIII, 138 გვ.
5. რუსთაველის ხანის ქართული ფილოსოფიური მწერლობის კიდევ ერთი ძეგლის თარგმანი ძველ სომხურზე, „ენიმკის მოამბე“, III, თბ., 1938, გვ. 111—122.
6. რუსთაველის ხანის ქართულიდან ნათარგმნი ძველი სომხური მწერლობის ძეგლები, „ენიმკის მოამბე“, III, თბ., 1938, გვ. 123—124.
7. ცნობა შოთა რუსთაველის ისტორიული თხზულების შესახებ, „ენიმკის მოამბე“, III, თბ., 1938, გვ. 201—207.
8. მხითარ გოშის ტრაქტატი „ქართველთათჳს“ და მისი ლიტერატურული წყაროები, თსუ შრომები, ტ. VII, თბ., 1938, გვ. 97—108.
9. Древнеармянский перевод еще одного памятника грузинской философской литературы эпохи Руставели, „Сборник Руставели“, Тб., 1938, გვ. 129—137.
10. К вопросу об историческом произведении Шоты Руставели, „Сборник Руставели“, Тб., 1938, გვ. 161—169.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

11. К открытию альфавита кавказских албанцев, „ენიმკის მოამბე“, IV, თბ., 1938, გვ. 69—71.

12. იაკობ ცურტაველი, „მარტვილობაჲ შუშანიკისი“. ქართული და სომხური ტექსტები; გამოკვლევით, ვარიანტებით, ლექსიკონითა და საძიებლებით, თსუ გამ-ბა. თბ., 1938, VII—VIII, 01—063, 1—120 გვ.

13. Новое сведение о существовании письменности у кавказских албанцев, სსრკ მეცნ. აკად. საქ. ფილ. მოამბე, ტ. I, № 4, თბ., 1940, გვ. 317—320.

14. Еще к вопросу об албанской письменности, სსრკ მეცნ. აკად. საქ. ფილიალის მოამბე, ტ. I, № 7, თბ., 1940, გვ. 565—566.

15. მათეოს განძასარელის ცნობა ქართველთა მეფის კონსტანტინეს შესახებ, „ენიმკის მოამბე“, ტ. V—VI, თბ., 1940, გვ. 47—55.

16. ქართული გრამატიკული ლიტერატურის ადრინდელი ძეგლები: 1. ზურაბ შანშოვანი, საქართ. მუზეუმის მოამბე, ტ. X, თბ., 1940, გვ. 141—159.

17. ქართულ-სომხური ფილოლოგიური შტუდიები: „მრავალთავის“ ზოგიერთი თავის წყარო: III. „მარტჳლობაჲ თეკლაჲსი“. „ენიმკის მოამბე“, ტ. VIII, თბ., 1940, გვ. 71—137.

18. ქართული ბიბლიის ძველი ხელნაწერის რამდენიმე ფურცელი, თსუ შრომები, ტ. XVIII, თბ., 1941, გვ. 149—159.

19. *Հայոց գրի ստեղծման մասին պատմող աղբյուրների շուրջ. պրոֆ-դոկտ. Մ. Աբեղյանի հոդվածի առթիվ. «Սովետական գրականություն», № 3, 1941,* გვ. 73—74.

20. „ელინთა ზღაპრობანი“, „ენიმკის მოამბე“, ტ. X, თბ., 1941, გვ. 1—54.

21. К вопросу об имени и родине Руставели (предварительное сообщение) საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. II, № 7, თბ., 1941, გვ. 681—688, თანაავტორი ქრ. შარაშიძე.

22. *Ամիրդովլաթի «օգուտ բժշկութեան» աղբյուրի հարցի շուրջ. «Սովետական գրականություն»* XII, *Երևան, 1941,* გვ. 101—102.

23. *Քարթլիս ցխովրեբայի կամ Վրաց պատմության հին հայերէն թարգմանությունը. «Մատենադարանի գիտ. նյութ. ժողովածու».* I, *Երևան, 1941,* გვ. 31—40.

24. *Ռուսթավելու դարաշրջանի վրաց գրականության արձագանքները հայ գրականության մեջ. «Տեղեկագիր ՍՍՌՄ Գ. Ա. Հայկ. ֆիլիալի, № 8 (22), Երևան, 1942,* გვ. 3—16.

25. ორი გეოგრაფიული სახელის მნიშვნელობისათვის („ლადონი“ და „პარეხნი“), საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. IV, № 9, თბ., 1943, გვ. 935—940.

26. ქართული წიგნები იოანე ოქროპირის ცხოვრებისა და მისი გამოძახილი ძველ ქართულ მწერლობაში, „ენიმკის მოამბე“, XIV, თბ., 1944, გვ. 57—72.

27. „მრავალთავი“, „ენიმკის მოამბე“, XIV, თბ., 1944, გვ. 241—316.

28. ქართულის კვალი ძველი სომხური მწერლობის ერთს ძეგლში. სომხური პატერიკის წყაროს საკითხისათვის. „ლიტერატურული ძიებანი“, II, თბ., 1944, გვ. 29—38.

29. *«Դղեակ» բառի ստուգաբանությունը. «Տեղեկագիր Հայկ. ՍՍՌ Գ. Ա.», № 1—2 Երևան, 1944,* გვ. 105—106.

30. *Ძველ ხელნაწერთან დაკავშირებული ერთი ნიშნის შესახებ.* „ვეფხის-ტყაოსნის“ ლექსიკონიდან. I. ცქაფი — ცქაფვა — მომცქაფავი. თსუ შრომები, ტ. XXVI, თბ., 1944, გვ. 225—229.
31. ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX—X სს.-ში. გამოკვლევა, ტექსტები, ლექსიკონი. საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა, თბ., 1944, X, 0208, 274 გვ.
32. *Хеларквили и вражеские разведчики.* «Литературная Грузия», № 8, 1946, გვ. 39—71.
33. „ვეფხის-ტყაოსნის“ ლექსიკონიდან: 2. განქიქება. თსუ შრომები, ტ. XXX, თბ., 1947, გვ. 295—301.
34. ახლად მოკვლეული ერთი ძველი ქართული პოემა: პეტრე ლარაძის „სახე-მგოსანი“: საქართ. მუზეუმის მოამბე, ტ. XVI, თბ., 1947, გვ. 251—264.
35. სტეფანოს ორბელიანის ისტორიის ერთი ცნობის განმარტების გარშემო. თსუ შრომები, ტ. XXXIII, თბ., 1947, გვ. 107—120.
36. *Хеларквили и вражеские разведчики.* «Литературная Грузия», III, 1948. გვ. 297—303.
37. ერთ-ერთი უცნობი წყარო იოანე საბანის ძის აბო ტფილელის მარტვილობისა. თსუ შრომები, ტ.XXXV, თბ., 1949, გვ. 221—232.
38. ქართული წერის ნიშნები, პალეოგრაფიული ალბომი, თსუ გამ-ბა, თბ., 1949, V—XV, 356 გვ.
39. საჭმე მოცეკულთა ძველი ხელნაწერების მიხედვით [„ძველი ქართ. ენის ძეგლები“, 7], საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა, თბ., 1950, 033, 222 გვ.
40. წერის ხელოვნებასთან დაკავშირებული რამდენიმე ძველი ქართული ტერმინი, თსუ შრომები, ტ. XXXIX, თბ., 1950, გვ. 77—84.
41. „ვეფხის-ტყაოსნის“ ლექსიკონიდან. 3. ლელი. თსუ შრომები, ტ. 43, თბ., 1951, გვ. 137—139.
42. ძველი ქართულის ლექსიკონიდან. 1. გოვარი — გვარი. „იბერ-კავკ. ენათმეცნიერება“, ტ. IV, თბ., 1952, გვ. 363—369.
43. რამდენიმე საერთო ხმარების სიტყვა ქართულსა და სომხურში. თსუ შრომები, ტ. 49, თბ., 1953, გვ. 151—157.
44. ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი. ქართულ-სომხური ტექსტები გამოკვლევითა და ლექსიკონით, თსუ გამ-ბა, თბ., 1953, VI—VIII, 032, 343 გვ.
45. ქართულისა და სომხურის საერთო სიტყვები. ენათმეცნ. ინსტიტ. შრომები, I, თბ., 1954, გვ. 1—10.
46. ქართული ზმნის ნაშვიათი ფორმები VIII—X სს.-ის ძეგლების მიხედვით, თსუ შრომები, ტ. 53, თბ., 1954, გვ. 131—147.
47. ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები. ტექსტები გამოკვლევითა და ლექსიკონით. თსუ გამ-ბა, თბ., 1955, XXXII, 222 გვ.
48. მამათა სწავლანი X—XI ს.-თა ხელნაწერების მიხედვით [„ძველი ქართ. ენის ძეგლები“, 8], საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა, თბ., 1955, XXII, 320 გვ.
49. *Новые находки в области древнегрузинской литературы (16—17 вв.).* «Вопросы литературоведения», № 3, 1956. გვ. 101—114.

51. ქართულისა და სომხურის საერთო სიტყვები. ენათმეცნ. ინსტ. შრომებ., II. თბ., 1957, გვ. 1—7.

52. ქართულიდან ესესხებული სომხური სიტყვები. 1. ძელოვანი — *ძნელი*. საქართ. მუზეუმის მოამბე, ტ. XIXA და XXI, თბ., 1957, გვ. 165—168.

53. ბალავარიანის ქართული რედაქციები, გამოკვლევითა და ლექსიკონით [„ძველი ქართ. ენის ძეგლები“, 10], საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა, თბ., 1957, 048, 216 გვ.

54. რუსუდანიანი, „საბჭოთა მწერალი“, თბ., 1957, XXXIV, 811 გვ. (გამოცემის თანაავტორი ივ. გიგინეიშვილი).

55. *10-ე-ჯ ყარ‹ ძ‹ჯაჯერն մի ձեռագրի հայերէն հիշատակարանների եւ նրանց նշանակութիւնը հայ բարբառագիտութեան համար* «*Բանբեր Մատենադարանի*», № IV, *Երեվան, 1958*, გვ. 35—42.

56. სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუის“ წიგნის რამდენიმე არაკის უცხო პარალელი. კრებული „ს.-ს. ორბელიანი“, თბ., 1959, გვ. 7—10.

57. ძველი ქართულისა და ძველი სომხური სამედიცინო მწერლობის ურთიერთობისათვის. „საბჭოთა მედიცინა“, № 4—5, თბ., 1959, გვ. 57—65.

58. „ვეფხის-ტყაოსნის“ ლექსიკიდან. 4. ნაჭარი. კრებული „კ. კეკელიძე“, თბ., 1959, გვ. 49—51.

59. ძველი ქართულის ლექსიკიდან. 2—3. საკუთარი, გლეხი. ხელნაწ. ინსტ. მოამბე, ტ. I, თბ., 1959, გვ. 157—175.

60. *Մուշեղեան-Աճառ Օրբելիանի* (შესავალი წერილი სომხური თარგმანისა: *Ս. Ս. Օրբելիանի, հնարանքի իմաստութիւն, Հայպետհրատ, Երեվան 1959*, გვ. 5—10.

61. იოანე მოსხი — ლიმონარი, ტექსტი, გამოკვლევა და ლექსიკონი, საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა, თბ., 1960, 169 გვ.

62. „ვეფხის-ტყაოსნის“ ლექსიკიდან. 5. მზმელი, 6. მახალი, 7. აბეზარ-აბეზრობა. საქ. სსრ მეცნ. აკად. საზოგ. მეცნ. განყ. მოამბე, № 1, თბ., 1960, გვ. 190—197.

63. „ვეფხის-ტყაოსნის“ ლექსიკიდან 8. სენი/სენა, 9. გამწარება. საქ. სსრ მეცნ. აკად. საზოგ. მეცნ. განყ. მოამბე, № 2, თბ., 1960, გვ. 234—237.

64. აგათანგელოსის „რიფსიმიანთა მარტვილობის“ ძველი ქართული თარგმანი (გამოკვლევა და ტექსტი), ხელნაწ. ინსტ. მოამბე, ტ. II, თბ., 1960, გვ. 145—180.

65. ძველი ქართულის ლექსიკიდან [4. ძალი — ძნობა, მძნობარი და *ხე//*ხი — ხიობა//ხიობა — მახიობელი//მსახიობელი, „იბერიულ-კავკ. ენათმეცნიერება“, ტ. XII, თბ., 1960, გვ. 211—220.

66. ძველ ხელნაწერთა დაცვა და ტექსტების პუბლიკაცია საბჭოთა საქართველოში. ხელნაწ. ინსტ. მოამბე, ტ. II, თბ., 1960, გვ. VII—XXIII.

67. „ვეფხის-ტყაოსნის“ ლექსიკიდან: 10. წუწობა — დაწუნება. საქ. სსრ მეცნ. აკად. საზოგ. მეცნ. განყ. მოამბე, № 1, თბ., 1961, გვ. 269—272.

68. იპოლიტე რომაელის ქრონიკონის ძველი ქართული ვერსია (გამოკვლევა, ტექსტი). ხელნაწ. ინსტ. მოამბე, ტ. III, თბ., 1961, გვ. 223—243.

69. ქართული „ბალავარიანის“ ერთი პერსონაჟის სახელის წარმომავლობისათვის. საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XXVIII, № 4, თბ., 1962, გვ. 511—513.

ეროვნული ბიბლიოთეკა

70. К происхождению имени одного персонажа грузинского „Балаварнани". Сообщения АН Груз. ССР, т. XXVIII, №4, Тб., 1962, გვ. 511—513.
71. ქართულ-სომხური ფილოლოგიური შტუდიები: „მრავალთავის" ზოგიერთი თავის წყარო. IV. მარტჯლობაჲ ორმეოცთაჲ. ხელნაწ. ინსტ. მოამბე, № IV, თბ., 1962, გვ. 111—144.
72. Предисловие к книге Балаварнани („Мудрость Балавара"), Издательство „Заря Востока", Тб., 1962, გვ. V—XXXI.
73. ქართულ-სომხური ფილოლოგიური შტუდიები: „მრავალთავის" ზოგიერთი თავის წყარო. V. სებერიანე გაბალოვნელი: მოციქულთა საჭისებელი. ხელნაწ. ინსტიტ. მოამბე, ტ. V, თბ., 1963, გვ. 85—102.
74. ძველი ქართულის ლექსიკიდან: 7. ვაჰმანი — ვაამანი. საქ. სსრ მეცნ. აკად. საზოგ. მეცნ. განყ-ბის მოამბე, ტ. 3, თბ., 1963, გვ. 196—197.
75. ძველი ქართულის ლექსიკიდან: 8. სინური მრავალთავის „არ'შებრ" და „მხერვალი". ფილოლოგ. ძიებანი, I, თბ., 1964, გვ. 61—66.
76. ძველი ქართულის ლექსიკიდან: 6. მოთაული, „იბერ-კავკ. ენათმეცნიერება", XIV, თბ., 1964, გვ. 135—141.
77. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I, (V—X სს.). საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა, თბ., 1964, 347 გვ. გამოცემის თანაავტორები ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომლები.
78. ვეფხისტყაოსნის ახლად მიკვლეული უძველესი (XVI ს.) ხელნაწერი ფრაგმენტი, „მაცნე", № 3, თბ., 1964, გვ. 142—150.
79. უძველესი რედაქციები ბასილი კესარიელის „ექუსთა დღეთაჲსა" და გრიგოლ ნოსელის „კაცისა აგებულებისათჳს" X—XIII სს-ის ხელნაწერთა მიხედვით. ტექსტი, გამოკვლევა და ლექსიკონი. საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა, თბ., 1964, 273 გვ.
80. ქართულ-სომხური ფილოლოგიური შტუდიები: „მრავალთავის" ზოგიერთი თავის წყარო. VI. მარტჯლობაჲ ანდრიანწსი და ანატოლწსი. ტექსტები, გამოკვლევა. კრებული — „ძველი ქართ. მწერლობის ოთხი ძეგლი", თბ., 1965, გვ. 171—236.
81. ვეფხის-ტყაოსნის ლექსიკიდან: 11. მჩმუნავი. საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XXXVIII, №3, თბ., 1965, გვ. 729—732.
82. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული; თხზულებათა IV ტომი, წიგნები 1, 2. ტექსტი შესავლითურთ. გამ-ბა „საბჭოთა საქართველო". თბ., 1965/66, 638; 656 გვ.
83. „ქართლის ცხოვრების" ძველი სომეხი მთარგმნელი და მისი მოღვაწეობის ხანა. „კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები", თბ., 1966, გვ. 223—233.
84. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტექსტი, I წიგნი. გამ-ბა „საბჭოთა საქართველო", თბ., 1966, 632 გვ.
85. შესავალი წერილი ბალავარიანის ინგლისური თარგმანისა: The Balavariani (Barlaam and Josaphat). A Tale from the Christian East. Translated from the Old Georgian by David Marshall Lang... London, 1966, გვ. 19—41.
86. „ვეფხის-ტყაოსნის" ლექსიკიდან: 11. შეპოვნება. კრებული „შოთა რუსთაველი". თბ., 1966, გვ. 78—81.

ეროვნული ბიბლიოთეკა

87. *Շոթա Ռուսթավելի. «Պատմա-Բանասիրական Հանդես». № 3 (34), Երևան, 1966*, გვ. 3—14.
88. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი II, (X—XV სს.). საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა, თბ., 1967, 263 გვ.
89. ძველი ქართულის ლექსიკიდან: 9. „ქორიკოზი“ და „ქორეპისკოპოსი“. კრებული — „ორიონი“, ეძღვნება აკად. ა. შანიძეს. თბ., 1967, გვ. 83—86.
90. Несколько общих слов в древнегрузинском и древнеармянском языках. *„Պատմա-բանասիրական Հանդես“*, № 2—3 (37—38), *Երևան*, 1967, გვ. 314—318.
91. შენიშვნები მზია ანდრონიკაშვილის ახალი შრომის შესახებ: „ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან“. I, „მაცნე“, № 3, თბ., 1968, გვ. 233—240.
92. Замечания по поводу статьи П. М. Мурадяна „Армянская надпись храма Джвари“. „მაცნე“, № 2, თბ., 1968, გვ. 171—189.

სახელმძღვანელოები:

93. ძველი სომხური ენა, ქრესტომათია წერის ნიმუშებითა და ლექსიკონით. თსუ გამ-ბა, თბ., 1935, VII, 183 გვ.
94. ძველი ქართული ენა და ლიტერატურა, ქრესტომათია წერის ნიმუშებითა და ლექსიკონით. „სახელგამი“, 1934, 1937, 1947, VI, 062, 305 გვ. თანაავტორები ა. შანიძე და ალ. ბარამიძე.
95. ქართული ენა სომხური სკოლებისათვის. წიგნი I, თბ., 1942, 1960, 1964, 1967, 1968, 88 გვ.

11680

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილია აბულაძე

ქართულ-სომხური ფილოლოგიური შტუდიები. „მრავალთავის“ ზოგიერთი თავის წყარო:

VII. იოანე ოქროპირის „მარხვისათჳს და იონაჲსთჳს“.*

ქართულ „მრავალთავებს“ ზოგჯერ ზოგიერთი უცხო ავტორის ესა თუ ის ნაწარმოები ორი თარგმანით აქვს დაცული. ამათგან აქამომდის ჩვენ ისეთ ნაწარმოებს ვიცნობდით, რომლის ორი ერთმანეთისაგან რედაქციულად განსხვავებული ტექსტი ერთი და იმავე დედნის ორგზის შესრულებული თარგმანი აღმოჩნდა. აღნიშნული თარგმანები ამჟამად უკვე გამოქვეყნებულია[1]. ესაა „მარტჳლობაჲ ორმეოცთაჲ“, დაცული პარხლურს, უდაბნოსა და ზოგიერთ სხვა „მრავალთავში“.

ორი თარგმანით მოღწეულ ძეგლთა შორის „მრავალთავებში“ ისეთებიც ჩნდება, რომლებიც წარმოადგენენ ერთი რომელიმე ნაწარმოების არა მარტო სხვადასხვა დროისა და, მაშასადამე, ერთმანეთისაგან რამდენადმე განსხვავებულ თარგმანებს, არამედ უცხო თხზულების თვით დედნის ორი რედაქციისა თუ ვარიანტის გადმოღებას. ამრიგად, ერთ შემთხვევაში „მრავალთავების“ უცხო ნაწარმოებთა ორი რედაქცია ქართულში ორი სხვადასხვა პირისა თუ ხანის თარგმანის საფუძველზე იქმნება, ხოლო მეორეში, ორი თარგმანი თუ რედაქცია შედეგი ჩანს დედნის ორნაირი რედაქციისა თუ ვარიანტის გადმოღებისა.

ერთ-ერთ უძველეს ქართულ მრავალთავს, ე. წ. სინასას, რომელიც 864 წელს არის გადაწერილი იერუსალიმს, შემონახული აქვს იოანე ოქროპირის ერთ-ერთი ნაწარმოების თარგმანი, რომლის ზედწერილი ასე იკითხება: „საკითხავნი წმიდათა მარხვათანი. თქუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა იოანე ოქროპირისაჲ: მარხვისათჳს და იონაჲსთჳს“. ძეგლი აქ სრულად არის დაცული და ამჟამად გამოქვეყნებულიცაა აკ. შანიძის რედაქციით[2].

---

*წინა ნაკვეთები იხ. ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, VI, გვ. 329—347; ენიმკ-ის მოამბე, VIII, გვ. 78—136; ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, IV, გვ. 111—144; ამავე ინსტიტუტის მოამბე, V, გვ. 85—102 და ძველი ქართული მწერლობის ოთხი ძეგლი, თბ., 1966, გვ. 171—236.

[1] ილია აბულაძე, ქართულ-სომხური ფილოლოგიური შტუდიები: «მრავალთავის» ზოგიერთი თავის წყარო: IV. მარტჳლობაჲ ორმეოცთაჲ. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, IV. თბ., 1962. გვ. 111—144.

[2] სინური მრავალთავი 864 წლისა, სასტამბოდ მოამზადეს კათედრის წევრებმა აკაკი შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობით და გამოკვლევით: «ძველი ქართული ენის კათედრის შრომები», V, თბ., 1959, გვ. 99—111.

თითქმის ასეთივე ზედწერილით შესულია ეს ნაწარმოები პარხლის მრავალთავშიც, რომელიც გაბრიელ პატარაის მიერ არის გადაწერილი პარხალს და ხელის მიხედვით X ს-ის ბოლოსა თუ XI ს-ის დამდეგისა უნდა იყოს: „საკითხავნი წმიდათა მარხვათანი. თქუმული მამისა ჩუენისა იოვანე ოქროპირისაჲ, მარხვისათჳს და იონაჲსთჳს“. უკანასკნელი, რვეულის დაკარგვის გამო, ნაკლულევანად არის მოღწეული. გადარჩენილია მხოლოდ ერთი მეშვიდედი ნაწილი. ტექსტი გამოქვეყნებული არაა.

ერთიცა და მეორეც, როგორც ერთმანეთისაგან განსხვავებული ტექსტი, ცნობილია აკად. კ. კეკელიძისათვის, რომელსაც ისინი აღუნუსხავს თავის შრომაში: „უცხო ავტორები ძველ ქართულ ლიტერატურაში“[3].

იოანე ოქროპირის ხსენებული ნაწარმოების დასახელებულ ტექსტთა წარმომავლობის შესახებ არც აკად. კ. კეკელიძეს, რომელსაც, როგორც აღვნიშნეთ, მოხსენებული აქვს ისინი თავის ზემორე აღნიშნულ ბიბლიოგრაფიულ ნაშრომში, და არც აკად. ა. შ ა ნ ი ძ ე ს, რომელსაც გამოცემული აქვს ის „სინურ მრავალთავში“, არაფერი მოეპოვებათ. მხოლოდ ჟ. გ ა რ ი თ ი ა, რომ სინური ხელნაწერების თავის აღწერილობაში ხსენებულ თხზულებასთან დაკავშირებით მიათითებს ბერძნულ დედანზე მინის პატროლოგიის მიხედვით (PG 49, col. 305—314)[4].

რა მიმართებაშია ქართული რედაქციები იოვანე ოქროპირის აღნიშნული ნაწარმოებისა მითითებულ ბერძნულ დედანთან ან სხვა რომელიმე ენაზე შემონახულ თარგმანებთან, ვიმეორებ, კვლევის საგნად დღემდის არავის გაუხდია. გამორკვევა კი დასმული საკითხისა ქართული ფილოლოგიის გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს, რადგან „ქართული მრავალთავები“, სადაც ეს თხზულება შედის, გამოსაცემად მზადდება.

იოანე ოქროპირის „მარხვისათჳს და იონაჲსთჳს“ ძველიდანვე არის წარმოდგენილი სომხურ მწერლობაში, ამ ნაწარმოების ქართული ვერსიის რაობისა და წარმომავლობის შესწავლას ჩვენ, პირველ რიგში, სომხურად დაცულ თარგმანთან თუ თარგმანებთან მიმართებით ვიწყებთ.

სომხურ ენაზე, მსგავსად ქართულისა, იოანე ოქროპირის ხსენებული თხზულების ორი რედაქციაა დაცული. ორივე გამოცემულია[5]. გამომცემელს ერთი მათგანი, რომელიც, როგორც ის გამოცემის დასაწყისშივე შენიშნავს, ბერძნულს უფრო ემხრობა, ძირითადად და ამავე დროს პირველ თარგმანად მიაჩნია, ხოლო მეორეს, რომელიც ასომთავრულადაც *(երկաթագիր)* კი ყოფილა მოღწეული, მის გადანაკეთებად წარმოიდგენს. აი მისი სიტყვები:

„ქვემოთ მოთავსებულს, მცრთებული იქნებოდა, მეორე თარგმანი წოდებოდა, მას რომ განუხრელად და ზედმიწევნით აზრთა წყობა დაეცვა ზემოთ (მოთავსებულისა), რომელიც ეთანხმება ბერძნულ ორიგინალს. მაგრამ ცხადად ჩანს, რომ ის მის ლიტონად ნათქვამს (თუ მარტივსიტყვა-

---

[3] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, უცხო ავტორები ძველ ქართულ ლიტერატურაში: «ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან», V, თბილისი, 1957, გვ. 3—114.

[4] G. G a r i t t e, Catalogue des manuscrits géorgiens litteraires du mont Sinai, Louvain, 1956, p. 79.

[5]. **Յովհաննու Ոսկեբերանի Կոստանդնուպօլսի եպիսկոպոսապետի ճառք. Վենետիկ, 1860 թ., էջ 26—45.**

ობას) წარმოადგენს აქა-იქ ჩამატებებით, თუმცა არც გვიანდელ ტანგუტულ თხზულს, რომლის ასომთავრულად ნაწერი ერთი და ნუსხურად ნაწერი სხვა ოთხი ნუსხა არსებობს".

[Юшгъи кьбъи гьрбгъи бкъгъбгъбнъбгъбнъ кьбъи, кьбъ бнъбгъбнъ и бъцъгъбг цъгъи гьбгъбгъбнъ щъкъг бнъи чъгъбнъи гьбгъбгъбнъ щъкъгъи бнъи гъбгъбгъбнъ, щъи гъщъгъбщъ кгъбъ щъ щъгъцъгъбгъбнъбгъ е бъгъи гъбгъбгъбнъ гъщъгъбгъ щъгъбгъ—цъгъбг, гьбгъщъг и нъ гъбгъ гъгъгъи гъгъгъбнъбгъ, гъгъгъ кщъ гьбгъбгъбнъ оцгъбгъ мъ, и щъи гъгъгъ гъгъгъгъгъгъ][6].

გასული საუკუნის 60-იანი წლების ასეთი შეხედულება, ეტყობა, შემდეგში ძალაში არ დარჩენილა. ნ. აკინიანს თავის ერთ-ერთ შრომაში („კლასიკური სომხური და ვენის მხითარიანთა სკოლა"), 1932 წ. გამოქვეყნებულში, იოანე ოქროპირის ხსენებული ნაწარმოების („მარხვისათჳს და იონაჲსთჳს") სომხური ვერსიის რედაქციებიდან, გამოცემის მიხედვით, თითქოს მეორედ მიუსაჩნევი თარგმანი („ქვემოთ მოთავსებული", ანუ სქოლიოში გატანილი) კლასიკური სომხური პერიოდის (407—405 წწ.) თარგმანად აქვს გამოცხადებული[7].

როგორც ვხედავთ, სომხურშიაც ორი რედაქციაა დაცული იოანე ოქროპირის ხსენებული ნაწარმოებისა. უძველესად დღეს ისაა მიჩნეული, რომელიც, როგორც გამომცემლის დაკვირვებიდან ჩანდა, მარტივად არის გამოთქმული. რა მიმართებაშია ამასთან მეორე, ამაზე დღეს სომხურ სამეცნიერო ლიტერატურაში საგანგებოდ არაფერია თქმული, მაგრამ, ჩანს, ძალაშია წინანდელი დაკვირვება გამომცემლისა, რომ ის ბერძნულიდან თარგმნილი და მისი ზედმიწევნითი მიმხრობი ყოფილა.

პირველი ზოგადი დასკვნა, რაც ქართულ-სომხური ტექსტების ერთმანეთთან შედარებიდან გამომდინარეობს, ისაა, რომ სინური მრავალთავის ტექსტი, რომელიც სრულად წარმოგვიდგენს იოანე ოქროპირის ჩვენთვის საგულისხმო ნაწარმოებს, თითქმის ზედმიწევნით უჭვრს მხარს სომხურის იმ ტექსტს, რომელიც გამომცემელს მარტივად გამოთქმულ და მეორე რედაქციისად მისაჩნევ თხზულებად წარმოედგინა, ხოლო ნ. აკინიანს კლასიკური სომხურის ხანის თარგმანად მიაჩნდა. რაც შეეხება პარხლურ მრავალთავში ნაწილობრივ გადარჩენილ ტექსტს, იგი შედარებით სომხურ იმ რედაქციას უფრო მისდევს, რომელიც, გამომცემლის თქმით, ბერძნულს ემხრობა ზედმიწევნით.

პირველი წყვილის ტექსტთა ერთმანეთთან შედარება გვიჩვენებს, რომ ქართული სომხურიდან უნდა მომდინარეობდეს, მის თარგმანს უნდა წარმოადგენდეს. პირველ რიგში, ეს ჩანს იმ nonsens-ებიდან, რომლებიც მთარგმნელს მოსდის დაუკვირვებლობის მიზეზით დაწერილობისა, სიტყვის ცუდად ამოკითხვისა და ფონემურად ჩამომგვან სიტყვასთან აღრევის გამო. ასეთებია:

1 „რამეთუ იგი (ნაყოფისაჲ და მთრყალობაჲ) არს, რომელმან შეგუკრნა ჩუენ საკრველთა ნაყოფნობისაჲთა და მიგუცნა ჩუენ ჭელთა ბუნებაჲსა სალმობიერსა, გუეუფლა და დაგჳმორჩილნა ჩუენ ვითარცა ტყუენი დამონებულნი" (100, 28—101, 2).

---

[6] იქვე. გვ. 26

[7] Ն. Ա. Կ ի ն ե ա ն. Գաւազան հայերէն և վիճեմական Մխիթարեան գրագրք. Վիեննա, 1932, էջ 39.

მოყვანილი ნაწყვეტის შესაბამისად სომხურში იკითხება:

«Զի նա է, որ կապեաց զմեզ ձեռակապօք և մատնեաց զմեզ ի ձեռս բ ռ ն ո ւ թ ե ա ն ախտից տրփեաց և հնազանդեցոյց որպէս և զգերեալ ծառայս» *(27, 15—17).*

ყველაფერი თითქმის ზედმიწევნით ემთხვევა ერთიმეორეს, გარდა ხაზგასმული სიტყვებისა. ქართულში უნდა გვქონოდა არა „ბუნებასა", არამედ „მძლავრობასა", როგორც ეს სომხურთან ერთად მეორე ქართულ (პარხლურ) რედაქციას მოეპოვება: „ქალთა უკუმართ შეგჳკრავს მძლავრობითა მით ვნებათაჲთა". შეცდომა მომდინარეობს სომხური სიტყვის *բռնութեան*-ის *բնութեան*-ად წაკითხვის გამო.

2. „გჳრგჳნოსან იქმნენ, ვითარცა-იგი მოსე და ელია, თავნი იგი და მ ო წ ა ფ ე ნ ი ძუელისა მის შჯულისაგანნი" (101, 20).

ამასაც თითქმის ზედმიწევნითი შესატყვისი მოეპოვება სომხურში: *պսակին, որպէս Մովսէս և Եղիա գլուխք ա շ տ ա ր ա կ ա ց ի հին կտակարանաց»* *(28, 14).*

აქ კი სომხური «*աշտարակաց*» („გოდოლ-თა") წაკითხულია *աշակերտաց*-ად („მოწაფე-თა") აგრეთვე დაუკვირვებლობის ნიადაგზე, როგორც ამას ქართული მეორე (პარხლური) რედაქციაც მოწმობს („რამეთუ მოსჱცა და ელიაცა გოდოლნი იგი ძუელნი წინაწარმეტყუელნი").

3. „პ ი რ ი ს-ს ა ც ე მ ე ლ ა დ ეშმაკთა დიდი საჭურველი და შეწევნაჲ არს მარხვაჲ" (101, 36).

სომხურით ამ წინადადებას შეეფარდება: «*ը ն դ դ է մ դիւաց մեծ հնարք օգնականութեան են պահք*» (*29, 10*).

ხაზგასმული სიტყვები აგრეთვე არ ფარავენ ერთმანეთს: „პირის-საცემელად" «*ընդդէմ*»--ის დამახინჯებული ამოკითხვის ნაყოფია. «*ընդդէմ*»--ში მართლაც «*դէմ*» „პირი"-ა, საიდან გაჩნდა „საცემელად", ნათელი არაა.

4. „არა თუ ს ი მ რ ა ვ ლ ჱ ჴორცთაჲ მათ რაჲმე მძიმე იყო, არამედ ცოდვაჲ შეცოდებათა მათ" (105, 7).

ამის სრული შესატყვისია სომხურში: «*Ոչ եթէ բ ն ո ւ թ ի ւ ն մարմնոյն էր ծանր, այլ յանցանք մեղաց*»..» *(35,2).*

ხაზგასმული სიტყვები კვლავ სცილდებიან ერთმანეთს. ქართულის „სიმრავლჱ" მაშინ იქნებოდა გამართლებული, თუ დედანში, ამ შემთხვევაში სომხურში, გვექნებოდა «*բազմութիւն*». როგორც ჩანს, ჯეროვნად ვერ ამოუკითხავს მთარგმნელს სომხ. «*բնութիւն*», რაც აქ უნდა ყოფილიყო.

5. „რომელნი მრავალსა ცოდვასა წარგრაგნილ ც ხ ო ნ დ ე ბ ი ა ნ" (105, 16).

ამის თითქმის ზედმიწევნითი შესატყვისია სომხურში:

«*Որք ընդ բազում մեղօք հնազանդեալ կային*» (35, 8). აქ მთარგმნელს «*կային*» („არიან, იყოფვიან") წაუკითხავს «*կեային*»-ად და ამიტომ მოუცია „ცხონდებიან".

6. „გულისხმა-ყო და მოეგონა ძ ა ლ ი შეცოდებისაჲ მის" (105, 23).

მისი ზედმიწევნითი ბადალია სომხურში:

«*գիտաց և ի միտ առ զ կ ա ր ի ս մեղաց*» *(35, 15).*

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქაც დაუყვირვებლობის მიზეზით «*ცქარცა*» („საკმარნი") ამოკითხულია „ძალ-ად", ე. ი. «*ცქარცა*»-ად.

7. „მსივანებად, ანუ ზარის-განკდანი ჯორცთანი, ანუ ბეერნი სიმრავლენი სალმობათანი — ნაყოფანებისაგან და ფუფუნებისაგან იტყვედ მკურნალნი" (109, 15).

ამ ნაწყვეტსაც ზედმიწევნითი შესატყვისი მოეპოვება სომხურში:

«*Զաւամունս և զախտս մարմնով և կամ բիւր ինչ ապականութիւնք և ի փափկութենէ գնեն*» (42, 13).

ხაზგასმული სიტყვები სცილდებიან ერთმანეთს. «*Զախտս մունս*». („განრისხებანი" თუ „გულის-წყებანი") ამოკითხულია «*զարհարմունս*»-ად („ზარის-განკდანი"), რაც შეუფერებელია კონტექსტისათვის.

8. „ხოლო სარგებელისაგან შორს იპოვნიან" (109, 31).

ამის საბადლოდ სომხურშია:

«*Այլ յօդնականութենէ անտի հնազանդք գտանին*» (43, 9): სცილდებიან ხაზგასმული სიტყვები იმის გამო, რომ «*յօգնականութենէ*»-ს („შეწევნისაგან") არის წაკითხული «*յոգուբենէ*-დ» („სარგებელისაგან").

აღნიშნული ვითარების გათვალისწინების შემდეგ გასაგებია, რომ ქართულ ტექსტში ქართულ-სომხური საერთო ხმარების სიტყვები თითქმის ყოველთვის საერთო ძირითა თუ ფუძით არიან წარმოდგენილი. ესენია:

1. ავაზაკ-ი *աւազակ* 104,31 — 34,10[8]
2. ამბოხის აღდგინება *ամբոխել* 104,37—34,15.
3. ამენ *ամէն* 111,7—45,15.
4. მასპინძელი *ասպնջական* 104,33—34,12.
5. ბეერული *բիւրաւոր* 106,35—38,5.
6. სიბილწე *պղծութիւն* 104,3—33,5.
7. ბუნება *բնութիւն* 107,28—39,19.
8. გეჰენია *գհեան* 102,30—30,19.
9. დევი *դև* 100,18—27,6
10. მოვნე *վանական* 101,11—28,6.
11. ზარი: ზარ-განკდა *զարհարեցուցանել* 102,31—30,20.
12. მანქანა *մեքենայ* 105,35—36,8.
13. მუპრაკი *մուրակ* 107,31—39,17.
14. ნავი *նաւ* 104,27—34,8.
ნავთ-სადგური *նաւահանգիստ* 101,14—28,9.
მენავე *նաւավար* 105,37—36,8.
15. პატივი *պատիւ* 103,34—32,19.
პატიოსანი *պատուական* 101,31—29,5.
16. პატიჟი *պատուհաս* 106, 22—36,18.
17. ჟამი *ժամանակ* 103,4—31,6.
18. სასტება (სასტოდა) *սաստէր* 105,2—34,15.
19. სტომაქი (სტომაქ-სალმობიერი) *ծանրաստամոք* 109,28—43,6.

---

[8] პირველი ციფრები ქართული ტექსტის გვერდებსა და სტრიქონებს აღნიშნავს, მეორე —სომხურისას.

20. ტალავარი *տաղաւար* 101,14 — 28,9.
21. უნასეული *վնաս* 104,18—33,20.
22. ქალაქი *քաղաք* 100,14—27,1.

აღნიშნული ქართულ-სომხური საერთო სიტყვებიდან ჩვენი ძეგლის ქართული ტექსტის გამომცემელს აკად. აკ. შანიძეს ცალკე აქვს განხილული „მუჰრაკი“, რომელიც სხვებთან ერთად, მისი თქმით, „ძალიან დამახასიათებელია ქართული სალიტერატურო ენის განვითარებისათვის ძველ პერიოდში“[9]. ამ სიტყვას საშუალო სპარსულიდან მომდინარედ მიიჩნევს აკად. აკ. შანიძე[10].

ამავე ენიდან არის შემოსული სხვებიც, როგორც მაგ.: ავაზაკი (1), ამბოხი (2), მასპინძელი (4), ბევრეული (5), ბუნება (7), დევი (9), მოვანე (10), ზარი (11), პატივი (15), ჟამი (17) და უნასეული (21).

დანარჩენი სიტყვები სესხებულია:
ან ბერძნულიდან — მანქანა (12) და სტომაქი (19),
ან ებრაულიდან — გეჰენია (8),
ანდა სომხურიდან — სიბილწე (6), პატიჟი (16), სასტება (18), და სხვ.

ჩამოთვლილთ გარდა, ქართულში გვხვდება ერთგან „მეშალილებაც“ (108, 17), რომელიც, როგორც ეს აღნიშნული აქვს აკად. აკ. შანიძეს, „შალილ-იდან“ (სომხ. «*շաղիղ*»-იდან) არის წარმომდგარი[11]. ამ სიტყვის ადგილს სომხურში ნახმარია «*գիշակեր*», ე. ი. „მძორთ თუ ხორცთ-მჭამელობა“, სწორედ ის გამარტება, რომელიც „მეშალილობას“ მისცა აკად. აკ. შანიძემ. ცოტა ქვემოთ ეს სიტყვაც გვხვდება სომხურ ტექსტში (იგი ქართულში „ჴორცით“ არის გადმოღებული):

«*Զի արեամբ և շաղղովն նորա լցցին և յագեսցին*» (41,6). შდრ. ქართ.: „რაჲთამცა ჭამეს და განძღეს ჴორცითა და სისხლითა მისითა“ (108, 17).

მსგავსად ქართულ-სომხური საერთო ხმარების სიტყვებისა, თანხვდენილია ხოლმე სომხურთან ქართულის თხზული სიტყვები და ზოგიერთი იშვიათი გამოთქმა. ესენია:

1. ბრუქცეულება *գլխագարութիւն* 104,16—33,17.
2. დგანან და ყოვნიან („მტკიცედ იმყოფებიან“) *կան և մնան* 103,36—32,21.
3. თანამოსაყდრე *աթոռակից* 111,3—45,11.
4. კაცთმოყუარება *մարդասիրութիւն* 102,36—31,3.
5. მენავეთ-მოძღუარი *նաւապետ* 105,30—36,3.
6. მჴეცის(ა)-სახე *գազանակերպ* 107,25—39,11.
7. მძიმედ-აღმომცემელი *ծանրաբուղխ* 109,17—42,14.
8. ნავთ-სადგური *նաւահանգիստ* 101,14—28,9.
9. სტომაქ-სალმობიერი *ծանրաստամոք* 109,28—43,6.

---

[9] აკაკი შანიძე, სინური მრავალთავი 864 წლისა და მისი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის: «ძველი ქართული ენის კათედრის შრომები», V, თბ., 1959, გვ. 320.
[10] იქვე, გვ. 327.
[11] იქვე, გვ. 332—3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. ტკრთ-მძიმე *ბანდარძანი* 105,17—35,10.
11. უფლის-მოყუარე *ოქროსტჳრ* 104,30—34,9.
12. ფრთემალე *ჱრდაჭჭ* 102,18—30,8.
13. წყლით-განსივება *ჯგიროსჭჩინ* 109,14—42,12.
14. ჴელმწიფება *ბანჯრაო ლჩნჩ* 106,35—38,6.
15. ჴელოვან-მოძღუარი *ნაოსთარაჭაჩ* 110,34—45,5.

ძეგლის ენაში მოიპოვება მეტად იშვიათად ხმარებული სიტყვები, რომელთა მნიშვნელობა მთლად ნათელი ვერ ხდება, რადგან არ ვიცით, მოიპოვებიან თუ არა ასეთები სხვაგან სადმე ქართულ წყაროში, რომლებთანაც შეიძლებოდეს მათი შეწყობა. აი ზოგიერთი მათგანი:

1. აღმურვილ-ი:

კონტექსტი, რომელშიც ეს სიტყვა გვხვდება, ქართულში ასეთია: „დიდი იგი სიმრავლჱ აღმურვილი დიდისა მის და საკჳრველისა ქალაქისა ნინეველთაჲსა“ (102, 15). ამის შესაბამისია სომხურში: *«Զբազմութիւնդ և զքաղաքդ մեծ զայն ի ճանապարհէ զնինէացւոց զգարմանալի և զմեծ քաղաքն»* (30,4). „აღმურვილს“ სომხურით *„խառնիճադանջ“*შეესატყვისება. ეს სიტყვა კი სომხურში „არეულ, უწესრიგო სიმრავლეს“, „ბრბო-ამბოხს“, „დაბალ ფენას“ ნიშნავს. აქედან „აღმურვილი“ თითქოს „არეულ-დარეულ (მასას)“ უნდა ნიშნავდეს.

2. ჴელს-ჴელ:

ამ სიტყვის შემცველი კონტექსტი ასეთია ქართულ ტექსტში: „რაჲთა ჴელს-ჴელ გუემნეს“ (102, 29). სომხურში კი ასე იკითხება შესატყვისი ადგილი: *«Զի մի յատաջագոյն արասցէ»* (30, 18). როგორც ვხედავთ „ჴელს-ჴელ“-ს *«յատաջագոյն»* — „წინაჲსწარ“ ეფარდება. არც აქ ვართ დარწმუნებულნი, რომ „ჴელს-ჴელ“-ს *«յատաջագոյն»*„ წინაჲსწარ“ უდრიდეს, რადგან ეს გამოთქმა სხვაგან არსად შეგვხვედრია. შედარებით გვიანდელი ხანის (XI ს-ის გასულიდან) ტექსტებში აქა-იქ „ჴელის-ჴელ“ გვაქვს. მაგრამ ის „მაშინვე“-ს, „მეყსეულად“-ს ან „მყის“-ს აღნიშნავს.

3. სასტოოდა:

ეს სიტყვა ამ ფორმით სომხურ ტექსტში *«սաստէր»*-ს ესწორება, რაც ნიშნავს „სტუქსავდა-ო“. კონტექსტს მართლაც ეგუება ეს შინაარსი: „არამედ თჳთ თავადი უთჳმიდა და სასტოოდა“ (105, 2), შდრ. სომხური: *Մլլ ինքնին սպասեալ նմա և սաստէր»* (34,17).

4. მოუთუალველი:

ეს სიტყვა სომხურში *«արհամարհ(ել)*[7]-ით არის წარმოდგენილი. „მოთუალ-ვ-ა“→„მო-უ-თუალ-ვ-ელ“ შედგენილობითაც კი უნდა ეფარდებოდეს სომხურს *արհամարհել*-ს; ყოველ შემთხვევაში, ასე ანალიზებდნენ მას Brosset და ნ. მარი თავის დროზე, რასაც სხვები სხვანაირადაც შლიან. კონტექსტი, სადაც ის იხმარება ქართულში, ასეთია: „რაჲთუ მაგათ ერთი ეგე სული არა უდებ-გუეს და არცა მოუთუალველ და შეურაცხ“, რაც სომხურში ასეა წარმოდგენილი: *«Զի գուբա,*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ააჴ ჲ ოჳ ქუაბ ამოე ოდაჲ ანტიქჳ ათანჱ ჲ ოჳ ქმი ამარტ არჴაჱ ჴჴაჲ ჲრჱნ ჲ ანგჱთანჱ»:

სხვათა შორის, გვერდით მდგომი სიტყვა „შეურაცხ“ აგრეთვე სინონიმია „მოუთუალველ“-ისა, ისე როგორც სომხურში უკანასკნელის გვერდით მდგომი «անգութ» არის «արհամարհել»-ისა.

ჩვენს ძეგლს ენის მხრით სხვაც, არანაკლებ საინტერესო, მომეტი ახასიათებს. მასში ერთგან აშკარა ხანმეტური ფორმა გვხვდება: „ტიროდა მწარედ, არა თუ უდაბად და ვითარ ხუნდა, არამედ დიდითა გულს-მოდგინებითა“. ერთგანაც კიდევ, ჩვენი აზრით, უნდა ყოფილიყო ასეთი ფორმა, მაგრამ „ხ“ პრეფიქსი „ხოლო-დ“ არის გახსნილი გადამწერთა მიერ და ამით ნამდვილი სახე მიჩქმალული აღმოჩნდა. აი ეს ადგილი: „რამეთუ სივლტოლაჲ მისი ვითარცა კაცისაჲ ხოლო იქმნებოდა, ხოლო აღსარებაჲ მისი ვითარცა წინაწარმეტყველისაჲ“. „ხოლო იქმნებოდა“-ს წინა სახე, რომ „ხიქმნებოდა“ უნდა ყოფილიყო, ეს ნათლად ჩანს კონტექსტის სომხური ზედმიწევნითი შესაბამისით: *Զի փախուստ նորա իբրև զմարդոյ լինէր, և խոստովանութիւնն որպէս զմարգարէի*». ყოველ მხრივ თანხვდენილ სომხურ შესატყვისს „ხოლო“-ს ბადალი არსად მოეპოვება.

ხანმეტი ფორმების გადმონაშთები, ბუნებრივია, ძეგლს ადრეული სალიტერატურო ქართულის საფეხურს მიაკუთვნებს; იგი V—VII სს-ის თარგმანად უნდა მივიჩნიოთ. ხანმეტური ფორმების გადაკარნის გამო ეს ძეგლი, როგორც მოსალოდნელი იყო, 864 წლის სინურ მრავალთავში შეცვლილი სახით უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი. ეს მართლაც ასეა ორიოდე შემთხვევის გარდა. ამასთან ერთად ასეთ ცვლილებას ისიც ემატება, რომ გადამწერთა დაუკვირვებლობით ქართული სიტყვები ზოგან ცუდად არის ამოკითხული და, მაშასადამე, სინურ ნუსხაშიც გადმოსული. ასე მაგ., ადრე წერებულა „სიმრთელე“, სინურ ნუსხაში კი შემოსულა „სიმართლე“; ყოფილა „ძავალთა“, გვაქვს კი „ძრავალთა“ და სხვ.

ასე წყდება წარმომავლობის საკითხი სინურ ძრავალთავში დაცული იოანე ოქროპირის ნაწარმოებისა „მარხვისათჳს და იონაჲსთჳს“. რა წარმოშობისაა ამ ნაწარმოების მეორე ქართული რედაქცია, რომელიც მცირე ფრაგმენტის სახით შემოუნახავს პარხლის მრავალთავს?

ჩვენი ძეგლის პარხლური რედაქცია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ერთგვარად მიჰყვება იმ სომხურ ტექსტს, რომელიც სომეხ გამომცემელს ბერძნულის ზედმიწევნით თარგმანად მიაჩნია. როცა იოანე ოქროპირის ნაწარმოების ქართულ-სომხურ ამ მეორე წყვილის ტექსტებს ერთმანეთს ვადარებთ, ისეთ თანხვედილობას, როგორიც პირველი წყვილის ტექსტებს შორის შეინიშნებოდა, აქ ვეღარ ვამჩნევთ. სხვანაირია სიტყვათა წყობა, შინაარსობრივი დაცილება სიტყვებისა საგრძნობია, ისე როგორც მეტ-ნაკლებობა სიტყვათა. ფრაზებისა თუ წინადადებებისა ერთმანეთთან მიმართებით. Nonsens-ი თუ სადმე შეინიშნება (ერთგან, მაგ., „მთავარია“ „მთივარის“ ნაცვლად), ეს შთარგმნელის შეცდომა კი არ არის, არამედ გადამწერისაა. ქართულ-სომხური საერთო ხმარების სიტყვები საერთო ძირისა თუ ფუძისაგან წარმოქმნილი სიტყვებით არ არიან წარმოდგენილი ქართულ-სომხურ ტექსტებში.

მეტად საგულისხმოა ამ მხრივ ერთი შემთხვევა, რომელიც იოანე ოქრო-

პირის ნაწარმოების („მარხვისათჳს და იონაჲსათჳს“) ამ წყვილს მოეპოვება სომხურ ტექსტში ერთგან, ვკითხულობთ: *«Զխաղաղական տագնապին ընդ-տագնապին հարկանելով»*. სომხურიდან მომდინარე ძველ რომელსამე თარგმანში ამ წინადადებაში დაცული ქართულ-სომხური საერთო სიტყვა *«տագնապ»* „ტალავარით“ არის ჩვეულებრივ გადმოცემული (ასეა, კერძოდ, ჩვენი ძეგლის პირველი წყვილის ტექსტებში, რომლებიც ზემოთ განვიხილეთ). ასეთი შეხვედრა აქ არა გვაქვს, რაც მოწმობს (სხვა მხარეებთან ერთად), რომ ის სომხურზე დამოკიდებული არაა. *«Տագնապ»* აქ გადმოცემულია არა „ტალავარით“, არამედ „შუაგ-ით“, რომლის შემცველი წინადადება ქართულში ასეა წარმოდგენილი: „და შუაგნი მათნი უდაბნოსა ზედა ყუდროდ... აღდგნეს“.

რა არის ეს „შუაგი“, რა წარმომავლობისაა ეს ძველი ქართულისათვის მეტად ღირსეული სიტყვა?

ამ სიტყვის ფონეტიკური მხარე, მის მნიშვნელობასთან ერთად, გულისყურს სომხურისაკენ მოგვაქცევინებს. სომხურს მოეპოვება *«շտաբ»* სიტყვა, რომელიც დიალექტურ ფორმად ითვლება. მის ლიტერატურულ სახედ ძველ სომხურში *«շտաբ»*-ს მიიჩნევენ. *«շտաբ»* სომხურში „ჩრდილს“, „საჩრდილობელს“, გადატანით „მფარველობას“ თუ „პროტექციას“ აღნიშნავს, ხოლო *«շտաբ»* ამათთან ერთად „პატივს“, „დიდებას“ და „ბრწყინვალებას“.

სულხან-საბა ორბელიანი იცნობს „შუაგი (შუაგ-ი)“ სიტყვას და განმარტავს, რომ ის არის „თავის საფარი საჩრდილოდ“ („თავისაფარი, შუაგ“ B). მანვე იცის „შუაგა“ სიტყვაც. რომელიც, მისი მართებული ახსნით, არის „შუაგავე“ („საჩრდილობელი“ B). იცის, რასაკვირველია, „შუქი“ სიტყვაც, რომელიც მისი განმარტებით არის „მზისა, გინა სანთლის სინათლე განფენილი“[12].

ქართულის „შუქი“ და „შუაგა“ აკად. ჰრ. აჭარიანს მიაჩნია სომხურიდან სესხებულად[13]. მასზე უწინარეს ამასვე აღნიშნავდნენ სხვებიც, მაგ.. დ. ჩუბინაშვილი[14], იუსტ. აბულაძე[15].

უდავოდ სწორია აკად. ჰრ. აჭარიანი, როცა ქართ. „შუქ“-თან ქართულივე „შუაგა“ აქვს დაკავშირებული. დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონით ხელმძღვანელობდა უპირატესად სომეხი დიდი ენათმეცნიერი, როგორც ის ამას აღიარებს ერთ-ერთ თავის წერილში, რომელიც მან უძღვნა სომხ. *«ազնակ»*-ისა და ქართ. „ღილეგის“ ფალაურიდან მომდინარეობის საკითხს[16], რაც პირველად ჩვენ აღვნიშნეთ სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის „მოამბის“ ფურცლებზე[17]. მისთვის რომ დ. ჩუბინაშვილის „ქართულ-რუსულ ლექსიკონს“ მიეწოდებინა „შუაგი“, რაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სულხან-საბას მოეპოვება თავის ლექსიკონში, რომლითაც დიდად დავალებულია ის, აკად. ჰრ. აჭარიანი

---

[12] სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტომი IV$_2$, ლექსიკონი ქართული, ანტოგრაფული ნუსხების მიხედვით გამოსაცემად მოამზადა ილია აბულაძემ, თბ., 1966, გვ. 307–309.

[13] Հր. Աճառեան, Հայերէն արմատական բառարան, Երևան, 1926—1932, IV, 439.

[14] დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, СПб., 1887.

[15] შარ-ნამეს ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები. ტექსტი გამოსცა და წინასიტყვაობა და ლექსიკონი დაურთო იუსტინე აბულაძემ, თბ., 1916, გვ. 841.

[16] Հ. Աճառեան, Armeniaca, იქვე, № 5, էջ 26.

[17] Ի. Աբուլադզե, «Իկան» բառի առուգաբանությունը. «Տեղեկագիր Հայկական ՍՍՌ ԳԱ, № 1, էջ 105—106.

უეჭველად მასაც დააკავშირებდა „შუქ“-თან. მაგრამ რატომღაც დ. ჩუბინაშვილს ეს სიტყვა ლექსიკონში არ მოუთავსებია (ალბათ იმიტომ, რომ ქართულ იმ წყაროებში, რომლებიც ლექსიკონისათვის მან დაამუშავა, ის ვერსად დაიდასტურა).

გვგონია, რომ ქართულ „შუვაგ“/„შუაგ“ — „შუგა-სთან“ ერთად „შუქიც“ გარკვეულ მიმართებაშია სომხურ «շուք»/«շուաք» -თან, სადაც აგრეთვე ქართულისებრ წინა პლანზე ჯერ «շուաք» ფორმა არის დაყენებული და მერმე «շուք». რა ვუყოთ, რომ დიალექტური ფორმაა დღეს. სიძველით ის შეიძლება ლიტერატურულ «շուք»-ზე ადრინდელიც იყოს.

ფორმითაც და მნიშვნელობითაც ერთმანეთის შესაბამისნი სომხ. «շուաք» და ქართ. „შუ/ვ/აგ-ი“ ყურადღებას მიგვაქცევინებს ფალაურ[18] — ახალ სპარსულ شکوه — „შუქუჰ“-ზე, რაც აღნიშნავს „პატივს“, „დიდებასა“ და „ბრწყინვალებას“[19].

ქართული „შუქ-ი“ ადრეული ხანის ქართულ ტექსტებში არ გვხვდება. ყველაზე უწინარეს ის ჯერჯერობით ლეონტი მროველთან შეინიშნება. იგი აქ „მზის სხივს“ აღნიშნავს. საერთოდ „შუქი“ ქართულში „სხივს“ ანდა „სინათლეს“ უფრო გამოხატავს, ვიდრე „საჩრდილობელს“, „პატივსა“ თუ „დიდება-ბრწყინვალებას“. „საჩრდილობელისათვის“ მას ადრე, როგორც ირკვევა, „შუვაგ/შუაგ-შუგა ჰქონია. „შუქი“ რომ „პატივსა“ და „დიდებას“ ან „სიდიადეს“ ასახავდეს ძველად, ადრეული ხანის ტექსტებში ვერსად მოიძებნა.

ამრიგად, „შუქ“ სიტყვა და მისი ადრეული სახეები „შუვაგ/შუაგ-შუგა“ სომხურ «շուաք»-«շուք»-თან ერთად ფალაურიდან მომდინარე უნდა იყვნენ.

როგორი წარმომავლობისაც არ უნდა გამოდგეს „შუვაგი“, ერთი ნათელია, რომ ის იოანე ოქროპირის ნაწარმოების ზემორე წარმოდგენილი ქართულ-სომხური ტექსტების მოწმობათა თანახმად აღნიშნავს „საჩრდილობელს“ ანუ „ტალავარს“; მისი ხმარება გარკვეულ ქართულ ტექსტში მოსალოდნელი „ტალავარის“ ნაცვლად, სხვა ნიშნებთან ერთად მოწმობს, რომ ეს ტექსტი სომხურიდან თარგმნილი ვერ იქნება. ის, ცხადია, სხვა რომელიმე ქრისტიანული მწერლობის მქონე ხალხთა ენიდან მომდინარეობს, საფიქრებელია, პირველ რიგში, იმ ენიდან, რომელზედაც ის პირველად შეიქმნა, ე. ი. ბერძნულიდან.

И. В. АБУЛАДЗЕ

ГРУЗИНСКО-АРМЯНСКИЕ ФИЛОЛОГИЧЕСКИЕ ШТУДИИ. ИСТОЧНИКИ НЕКОТОРЫХ ГЛАВ «МНОГОГЛАВА»:

VII. «О посте и Ионе» Иоанна Златоуста

(Резюме)

В ранних списках грузинского «Многоглава» (IX—X вв.) сохранились два перевода «Слова Иоанна Златоуста о Посте и Ионе». Один из них, дошедший до нас в рукописи 864 г. (в Синайском многоглаве), из-

[18] Պահլավերեն—պարսկերեն—հայերեն—ռուսերեն—անգլերեն բառարան, կազմեց.պրոֆ Ռ. Աբրահամյան. Երևան, 1965, էջ 239.

[19] ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტომი I. თბ., 1955, გვ. 21, 13.

дан, а другой фрагментарно сохранившийся в рукописи конца X века (в Пархальском многоглаве), печатается впервые в нашем сборнике (см. стр. 144). В двух переводах предлежит названный памятник и в армянской письменности. Оба они изданы. Сличение грузинских и армянских текстов выявило, что перевод текста, сохранившегося в Синайском многоглаве, сделан из армянской версии, принятой в армянской научной литературе как произведение классической эпохи. Грузинский перевод, по утверждению автора, должен быть отнесен к ранней эпохе грузинской письменности (V—VII вв.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაჟარ გიგინეიშვილი, ცოტნე კიკვიძე

შესაქმის, გამოსლვათა და ლევიტელთა წიგნების ქართული ვერსიები

ძველი აღთქმის წიგნთა გამოცემის ისტორიიდან. ქართული ბიბლიის სრული ტექსტის კრიტიკული გამოცემა ქართველ ფილოლოგთა სანუკვარ მიზანს შეადგენს. დღესდღეობით ბიბლიის წიგნების შესწავლის მხრივ იგრძნობა თვალში საცემი უთანაბრობა: მაშინ, როცა ახალი აღთქმის წიგნები ძირითადად დამუშავებული და გამოცემულია, ძველი აღთქმის წიგნთა გამოცემანი თითზეა ჩამოსათვლელი. ძველი აღთქმის წიგნთა ქართული ტექსტის შესწავლის მხრივ ჩვენს ფილოლოგიას მნიშვნელოვანი ხარვეზი მოეპოვება, ხოლო სანამ ეს ხარვეზი არ იქნება შევსებული, მანამდე ლაპარაკიც არ შეიძლება ძველი ქართული ენის ლექსიკონის შედგენაზე, რაც თავისთავად ძალზე აქტუალური პრობლემაა ენათმეცნიერთა, ლიტერატურისმცოდნეთა და ფილოლოგთათვის.

ბიბლიის ქართული ტექსტის მეცნიერულ შესწავლას მცირე ხნის ისტორია აქვს. 1886 წელს ა. ცაგარელმა გამოაქვეყნა „ქებაჲ ქებათაჲ“[1], ხოლო 1924 წელს იგივე ტექსტი ხელმორედ გამოსცა ა. შანიძემ.

1947-48 წლებში ა. შანიძემ გამოაქვეყნა „წიგნნი ძუელისა აღთქუმისანი“ (ორ ნაკვეთად) ოშკური ხელნაწერის მიხედვით. პირველი ნაკვეთი მოიცავს დაბადებისა და გამოსლვათა წიგნებს, მეორეში შესულია: ლევიტელთა, მსაჯულთა, რუთის, იობის და ესაიას წიგნები. როგორც წინასიტყვაობიდან ჩანს[2], ავტორი შეგნებულად არ მიმართავს სხვა ხელნაწერებთან ოშკური ტექსტის შედარებას და ამაზე დამყარებით დაკლებული ადგილების შევსებას, ან დამახინჯებათა შესწორებას.

1960 წელს გამოვიდა ფსალმუნის კრიტიკული ტექსტი, რომელიც გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო მ. შანიძემ[3]. გამოცემა ემყარება ცხრა ხელნაწერს, რომლებიც წარმოდგენილია სამი რედაქციის სახით. დღესდღეობით ესაა ძველი აღთქმის წიგნთა ერთადერთი კრიტიკული გამოცემა.

1961 წელს ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორის რ. ბლეიკისა და პარიზის კათოლიკური ინსტიტუტის პროფესორის მ. ბრიერის მიერ გამოქვეყ-

---

[1] А. Цагарели, Сведения о памятниках грузинской письменности, I, вып. I, СПб., 1886.

[2] ა. შანიძე, წიგნნი ძუელისა აღთქუმისანი, ტ. I, ნაკვ. 1, თბ., 1947, გვ. VII.

[3] მ. შანიძე, ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები, X—XIII საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით, I, ტექსტი, თბ., 1960.

ნებულ იქნა წინასწარმეტყველთა სრული ტექსტი იერუსალიმური და ოშკის ხელნაწერების მიხედვით[4].

ასეთია ზოგადად ძველი აღთქმის წიგნთა შესწავლა-პუბლიკაციის თანამედროვე მდგომარეობის ამსახველი სურათი.

ნუსხები. შესაქმის, გამოსლვათა და ლევიტელთა წიგნები ჩვენამდე მოღწეულია შემდეგი ხელნაწერებით: A(H — 1207), B (ბაქარის მიერ გამოცემული ბიბლია), K (ქუთ. 28), S (A—51) და O (ოშკური 978 წლის ხელნაწერი). ჩამოთვლილი ნუსხები სამივე წიგნის ტექსტებს შეიცავენ. ამას გარდა, გვაქვს ხელნაწერები, რომლებშიც მხოლოდ ერთ-ერთი ან ორი წიგნია. ასეთებია:

Sin. 34 (შესაქმე), ქუთ. 671 (შესაქმე), C(A—179) შესაქმე და გამოსლვათა. Q—208ა (გამოსვლათას ფრაგმენტი); G (A—1108) და g-ში (Q—1152) კი ამ წიგნთაგან მხოლოდ ლევიტელთა წიგნია.

A ნუსხა XVII საუკუნის 60—70-იანი წლებით თარიღდება[5]. ჭვირნიშანიც (გვირგვინი ვარსკვლავითა და ნახევარმთვარით) ამ თარიღს უჭერს მხარს[6]. ნაწერია ნუსხური ხელით. მელანი შავია. აქვს მინაწერები სინგურით, მრგლოვანი ხელით. ხელნაწერი შეიცავს მოსეს ხუთწიგნეულს. დამკვეთია ორბელ ყაფლანის ძე, გადამწერი — ნათანაელ ბედისმწერლიშვილი. ნუსხა თავდაპირველად არ ყოფილა თავებად დაყოფილი და დამუხლული. ეტყობა რედაქტორის ხელი, ნასწორებია (შესწორებული ადგილები ტექსტში ნაჩვენები გვაქვს A* ლიტერით). როგორც თავებად დაყოფა და დამუხლვა, ისე შესწორებები სულხან-საბა ორბელიანს უნდა ეკუთვნოდეს, როგორც ამას აღნიშნავენ სპეციალისტები[7]. ტექსტი ამ ნუსხაში რედაქციულად ერთგვაროვანი არ არის.

B ნუსხა ბაქარ ბატონიშვილის მიერ 1743 წელს მოსკოვში დაბეჭდილი ბიბლიაა. ცნობილია როგორც ბაქარის ბიბლიის, ისე მოსკოვური ბიბლიის სახელით. აქაც პირველი სამწიგნეულის ტექსტი არ არის ერთგვაროვანი რედაქციულად.

K ნუსხა 1681 წელსაა გადაწერილი. როგორც აღწერილობიდან ჩანს[8], ხელნაწერი უყდოა, ნაწერია ქაღალდზე ნუსხურად. აღმწერლები მიუთითებენ, რომ ხელნაწერი შემოსულია გელათიდანო[9], მაგრამ K-ს ერთ-ერთი მინაწერი გვამცნობს, რომ ის მცხეთის ტაძარს კუთვნებია. ნუსხა თითქმის სრულია (აკლია ის ადგილები, რაც A-ს და ზოგი სხვაც). ტექსტუალურად, ჩვეულებრივ, მიჰყვება A-ს. რედაქციულად ამ ნუსხის ტექსტიც არაა ერთგვაროვანი. ალაგ-ალაგ ტექსტი ნასწორები ჩანს (შესწორებულ ადგილებს K* ლიტერით აღვნიშნავთ). ტექსტი არ არის დაყოფილი თავებად და მუხლებად. ვსარგებლობთ ფოტოპირით.

---

[4] The Old Georgian version of the Prophets. Critical edition with a latin translation by Robert Blake and Canon Maurice Briere, «Patrologia orientalis», t. XXIX, f. 2, Paris, 1961.

[5] ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს სისტორიო და სათნოგრაფიო საზოგადოების ყოფ. მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია) კორნელი კეკელიძის რედაქციით, ტომი III, შედგენილია და დასაბეჭდად დამზადებული ქრისტინე შარაშიძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1948, გვ. 157 — 158.

[6] ა. პატარიძის ცნობით.

[7] ხელნაწერთა აღწერილობა, H კოლექცია. ტ. III, თბ., 1948, გვ. 157-158.

[8] ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. 1, თბ., 1953, გვ. 118—119.

[9] იქვე.

S ლიტერით ფარითად ცნობილი ხელნაწერი A—51 აღინიშნება. ზოგჯერ მას მცხეთურს ანდა საბასეულსაც უწოდებენ. აქ ტექსტი სრულია. დაყოფილია თავებად და მუხლებად. რედაქციულად ტექსტი არაა ერთგვაროვანი.

O ნუსხის ტექსტი გამოქვეყნებულია[10]. იგი უძველესია დღესდღეობით ცნობილ ბიბლიის ნუსხათაგან. გადაწერილია 978 წელს ოშკის მონასტერში (ტაო-კლარჯეთში). დაცულია ათონის მთაზე. ამიტომაც მას ხშირად ათონურ ბიბლიასაც უწოდებენ. ჩვენ ვსარგებლობთ ფოტოპირით. ხელნაწერი აღწერილი აქვს რ. ბლეიკს[11]. ტექსტი ალაგ-ალაგ ნაკლულია, რედაქციულად ერთგვაროვანი.

C ნუსხა, როგორც ანდერძი გვიჩვენებს, გადაწერილია ორბელის ბრძანებით იესე ბედისმწერლისშვილის მიერ 1669 წელს და შეიცავს, პირველ რიგში, ორ წიგნს (შესაქმე, გამოსლვათა)[12]. შესაძლოა A-ს გადაწერი ნათანელ ბედისმწერლისშვილი და იესე ნათესავები იყვნენ. საყურადღებოა ის გარემოება, რომ C-ს ტექსტი A-ს უმეტესად უპირისპირდება რედაქციულად. ტექსტი არ არის დაყოფილი თავებად და მუხლებად. აქ წარმოდგენილი ტექსტი რედაქციულად ერთია. ნუსხა მიიდარია ლექსიკოგრაფიული ხასიათის მინაწერებით, რომელიც ვახტანგ VI-ს უნდა ეკუთვნოდეს.

Sin. 34 წარმოადგენს ეტრატზე ნაწერ საგალობლების კრებულს. ყდის ზემო ნაწილზე დაკრულია ეტრატისავე ფურცელი, რომელიც შეიცავს ნაწყვეტს შესაქმის წიგნიდან, შესრულებულს X—XI საუკუნეების მთავრული ხელით. ხელნაწერი აღწერილი აქვს ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ს[13]. ჩვენ ვსარგებლობდით ფოტოპირით.

ქუთ. № 671 ერთი ფურცელია ეტრატისა, რომელზეც მოცემულია ფრაგმენტი შესაქმის წიგნიდან. დაახლოებით XI საუკუნისა უნდა იყოს.

Q—208-ს წარმოადგენს ეტრატის X საუკუნის ხელნაწერის ერთ ფურცელს, რომელიც გამოსლვათა წიგნის ფრაგმენტს შეიცავს. რედაქციულად ფრაგმენტის ტექსტი O-სთან დგას. მაგრამ ეს ფრაგმენტი იმითაა საყურადღებო, რომ გარდა იმისა, რომ ერთ-ერთი უძველესი ხელნაწერია ბიბლიისა, ეს არის ერთ-ერთი ნუსხა, რომლის ტექსტი მრგლოვანი ხელითაა ნაწერი.

G და g ლიტერებით ე. წ. გელათური კატენებიანი ბიბლიის ხელნაწერები გვაქვს აღნიშნული (A—1108 და Q—1152). ორივე მათგანი დაახლოებით ერთ პერიოდს განეკუთვნება და აღსუურვილია კომენტარებით. ჩვენთვის საინტერესო წიგნებიდან აქ მხოლოდ ლევიტელთა წიგნია. პირველი ორი წიგნი კი არც ერთში არაა, რაც შეიძლება იმაზე მეტყველებდეს, რომ ან ერთია მეორისათვის დედნად გამოყენებული, ან ორივეს საერთო დედანი აქვთ. ამას უდავოდ ხდის ის გარემოებაც, რომ რედაქციული თვალსაზრისით გელათური ხელნაწერები ერთნი არიან — გვიჩვენებენ ძალზე იშვიათ და სრულიად უმნიშვნელო ვარიანტულ სხვაობას. g(Q—1152) უფრო სრულია: იგი იწყება ლევიტელთა წიგნის I თავის მე-3 მუხლით, G-ს კი ამ წიგნის პირველი ექვსი თავი და მე-7-ის ნახევარი აკლია.

[10] წიგნნი ძველისა აღთქმისანი, 978 წლის ხელნაწერის მიხედვით, ტ. I, ნაკვეთი I, დაბადებისა, გამოსლვათა, გამოსცა აკაკი შ ა ნ ი ძ ე მ, «ძველი ქართული ენის ძეგლები», 4, თბ., 1947.

[11] The Athos Codex of the Georgian Old Testament, „Harvard Theological Review", XXII, 1929, გვ. 32—53.

[12] Ф. Д. Жордания. Описание рукописей Тбилисского церковного музея... кн. I, Тифлис, 1901, стр. 187—188.

[13] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, სინას მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბ., 1947, გვ. 54.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორივე გელათური ხელნაწერი ქაღალდისაა და ნუსხურად არის ნაწერი. S-ის ხელი უფრო გარკვეულია და ასოებიც მოზრდილია. ორივე ნუსხა თარიღდება XII—XIII საუკუნეებით[14]. g-ში ლევიტელთა წიგნი ორჯერ გვაქვს: თავსა და ბოლოში. ამ ხელნაწერში წარმოდგენილი ეს ორი ნუსხა თითქმის არ განსხვავდება ერთმანეთისაგან.

ბიბლიის ჩამოთვლილ ნუსხათაგან უმრავლესობა სულხან-საბა ორბელიანთან თუ მის ოჯახთანაა დაკავშირებული. ამ ნუსხათა შედარებითი შესწავლა ერთხელ კიდევ ადასტურებს ქრისტინე შარაშიძის მართებულ დასკვნას, რომ „ქართული ბიბლიის შეკრების, შესწავლის, აღდგენისა და გამოცემის ისტორია მე-17 ს. სამოციან-სამოცდაათიანი წლებიდან უნდა დავიწყოთ და არჩილი ყოფილა გამგრძელებელი და არა ინიციატორი ქართული ბიბლიის აღდგენა-შესწავლის საქმისა. ბიბლიის ტექსტებზე მუშაობის სათავეებს მივყავართ არჩილის ბიძის (დედის მხრით) და სულხან-საბა ორბელიანის მამის ორბელ ყაფლანის ძის სახლში. ამ უკანასკნელის ბრძანებით დაუწყიათ ქართული ბიბლიის შეკრება. ბიბლიის ტექსტებზე მომუშავე პირველი მეცნიერი კი ყოფილა ორბელ მდივანბეგის ძე სულხანი, შემდეგში ბერ-მონაზონი საბა“[15].

ტექსტის დადგენასთან დაკავშირებული საკითხები. ამა თუ იმ ხელნაწერის ტექსტი ბევრ შემთხვევაში ნაკლოვანია. ზოგჯერ მუხლთა თანმიმდევრობა არეულია, მათი შედგენილობა შეცვლილი, ხოლო ტექსტი—დამახინჯებული. ყველა აღნიშნული ხარვეზი შესაძლებლობის ფარგლებში შევისო და გასწორდა. ტექსტის დადგენისას ძირითადად ამოვდიოდით ქართული ნუსხების ჩვენებიდან. ვითვალისწინებდით ბერძნული, სომხური, რუსული და ნაწილობრივ ებრაული ბიბლიების სათანადო ადგილების ჩვენებასაც. არანაკლები მნიშვნელობა ენიჭებოდა გასწორებისას ამა თუ იმ მუხლის შინაარსს, მისი შინაგანი ლოგიკის გათვალისწინებას. მოვიყვანთ სათანადო მაგალითებს:

1. S ხელნაწერს აკლია შესაქმის I თავის მე-14, მე-15 და მე-16 მუხლები. ეგევე მუხლები A და C ხელნაწერებს ჩართული აქვთ ამავე თავის 26-ე მუხლის შუაში, რის გამოც ეს მუხლი გაზრდილია, ხოლო შინაარსი გაბუნდოვანებული. A და C ნუსხათა შესაქმის 1, 26 ასე იწყება: „და თქუა ღმერთმან: ვქმნეთ კაცი ხატებისაებრ ჩუენისა და მსგავსებისაებრ და მთავრობდეს თევზთა ზღჳსათა და მფრინველთა ცისათა და პირუტყუთა და მჴეცთა ყოვლისა ქუეყანისათა...“ ამას მოულოდნელად მოსდევს: „და თქუა ღმერთმან იქმენინ (!) მნათობნი სამყაროსა შინა ცისასა მნათობად ქუეყანისა, განსაყოფელად შორის დღისა და ღამისა და იყუნენ სასწაულებად და დღეებად და წელიწადებად. და იყუნედ განმანათლებელად სამყაროსა ცისასა, რაჲთა ჩნდენ ქუეყანასა ზედა. და იქმნა ეგრეთ. და შექმნნა ღმერთმან ორნი მნათობნი დიდნი: მნათობი დიდი მთავრობად დღისა და მნათობი უმრწემესი მთავრობად ღამისა და ვარსკულავნი“. შემდეგ კვლავ გრძელდება პირველი ნაწილი მუხლისა: „და ყოველთა ქუეწარმავალთა, მავალთა ქუეყანასა ზედა“. სრულიად აშკარაა, რომ შუაში მოთავსებული ნაწყვეტი მუხლის დასაწყისის გაგრძელებას არ წარმოადგენს: საუბარია ადამიანის შექმნაზე და უცებ ვუბრუნდებით მნათობების წარმოქმნას. ეს ჩანარ-

---

[14] იხ. ჩვენი: რუსთაველის ხანის ქართული ბიბლიის თარგმანი, «შოთა რუსთაველი, ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი“ თბ., 1966, გვ. 149-159. იქვეა მითითებული ლიტერატურაც.

[15] ხელნაწერთა აღწერილობა H კოლექციისა, ტ. III, გვ. VII; მ ი ს ი ვ ე, პირველი სტამბა საქართველოში.

თი წარმოადგენს პირველი თავის მე-14, მე-15 და მე-16 მუხლებს. ამას ადასტურებს შემდეგი:

1. ეს ფრაგმენტი არ მოიპოვება Sin. 34 ხელნაწერის 26-ე მუხლში; ეს ნაწილი არა აქვთ 26-ე მუხლში არც S და B ნუსხებს. პირველს იგი საერთოდ არ მოეპოვება, ხოლო B-ს (ბაჭარის ბიბლია) ეს მონაკვეთი მე-14, მე-15, მე-16 მუხლებად აქვს წარმოდგენილი, რაც თხრობას თანმიმდევრულს ხდის;

მე-14 — მე-16 მუხლებადაა მოცემული მითითებული ფრაგმენტი ბერძნულ და სომხურ ბიბლიაშიც.

2. A, C და S ნუსხებს შესაქმის მე-9 თავის 23-ე მუხლი ნაკლულად აქვთ წარმოდგენილი: „და მოიღეს სემ და იაფეთ სამოსელი და დაიდეს ორთავეე მკართა მათთა ზედა და ვიდოდეს ზურგუკუნქცევით და დაფარეს შიშლოება მამისა და შიშლოებაჲ მამისა მათისაჲ არა იხილეს“. როგორც B ხელნაწერიდან ჩანს, ფრაზას „დაფარეს შიშლოება მამისა“ უნდა მოსდევდეს: „პირი მათი უკუნქცევით სჭვრეტდა“. მაშინ მუხლის დასასრული უფრო ლოგიკური იქნება: „პირი მათი უკუნქცევით სჭვრეტდა და შიშლოებაჲ მამისა მათისაჲ არა იხილეს“.

3. შესაქმის მე-11 თავის მე-12 და მე-13 მუხლები A და S ნუსხებში შეცვლილია. არფაქსადსა და სალას შორის გამოტოვებულია მაკავშირებელი რგოლი — კაინანი. ამგვარი ვითარებაა სომხურშიც. ბერძნული ტექსტი სრულია, B და C ნუსხებიც მას მისდევენ ამ საკითხში.

4. B ხელნაწერი მოსალოდნელი მოაბელთა-ს მაგიერ მშობელთა-ს გვიჩვენებს:

ესე არს ჲამა მშობელთა ვიდრე აქამომდე. შესაქმ. 19, 37 B.

შდრ. C: ესე არს მამა მოაბელთა ვიდრე დღეინდელად დღემდე.

5. ოშკის ნუსხაში ვკითხულობთ: „განამრავლეთ საცხოვარი ფრიად და მიგცე, რაჲ-იგი მრქუათ მე“ (შესაქმ. 34, 12). სიტყვა საცხოვარი აქ ვაუგებრობას ქმნის: საუბარია სჯქმის მიერ თავისი ვაჟისათვის იაკობის ასულის თხოვნაზე. როგორც A, K და S ნუსხათა ჩვენებიდან ირკვევა, აქ უნდა გვქონდეს სათხოველი, რომელსაც უნდა ჰქონოდა მნიშვნელობა ქალის წამოყვანისთვის საჭირო საზღაურისა. დაახლოებით ამ მნიშვნელობითაა ნახმარი ბერძნულ ტექსტში ἡ φερνή („საკრძწერო საჩუქარი პატარძალს“, „მზითევი“) და სომხურში վարձանք („ანაზღაურება“, „ნაცვალი“, „საზღაური“, „სანაცვლო“). მაშინ ფრაზა გასაგები ხდება: „განამრავლეთ სათხოველი ფრიად და მიგცე, რაჲ-იგი მრქუათ მე“. სათხოველი დასტურდება Ծ რედაქციის ნუსხებშიც.

6. ოშკური ხელნაწერი შესაქმის 38-ე თავის 29-ე მუხლში გვაძლევს ასეთ წაკითხვას: „და ვითარ შეყო ჴელი მისი, მეყსეულად გამოვიდა ძმაჲ მისი და ამჭუმელმან მან თქუა: რაჲსა განელო შენთჳს ღონე?“ „ღონის განღება“ უცნაურად ჟღერს. აქ უნდა გვქონდეს არა ღონე, არამედ ღობე. ღობე დადასტურებულია ყველა დანარჩენ ნუსხაში. ღობე-ს სასარგებლოდ მეტყველებს ბერძნული წარმოდგენილი ὁ φραγμός („ზღუდე“, „ღობე“) და სომხური ցանկ („ღობე“, „წნული ღობე“). Ծ რედაქცია ეს ფრაზა სწორედ ასეა წარმოდგენილი: „რაჲსა განიკუეთა შენთჳს ღობე“. ა. შანიძეს ზემოხსენებული ღონე უცვლელად დაუტოვებია, თუმც გაკვირვება კი გამოუთქვამს, რაც მჟღავნდება შენიშვნაში: „ასეა“[16].

[16] ა. შანიძე, წიგნი ძველისა აღთქუმისანი, ტ. I, ნაკვ. 1, გვ. 44.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. შესაქმის 29-ე თავის მე-15 მუხლი ოშკის ხელნაწერში ასე იკითხება: „და ჰრქუა ლაბან იაკობს: რამეთუ ძმაჲ ჩემი ხარი შენ და არა მმონო მ ე ტ ა დ, მითხარ რაჲ არს სასყიდელი შენი“. მ ე ტ ა დ ამ კონტექსტში გაუგებარია. რას ნიშნავს „არა მმონო მეტად“, როცა იაკობს ჯერ არც კი დაუწყია ლაბანთან სამსახური?

B ნუსხაში მ ე ტ ა დ სიტყვის ნაცვლად მ ე დ ა ჲ დ დასტურდება. მ ე დ ა ჲ დ, როგორც ამაზე სავსებით სამართლიანად მიუთითებს ნ. მ ა რ ი, უნდა იყოს ჲ-მეტი ფორმა მ ე დ ა დ სიტყვისა, რომელიც გადამწერს ვერ გაუგია და ორად გაუყვია[17]. მ ე დ ა დ ნიშნავს „უფასოდ“. მ ე დ ა დ დასტურდება, B ნუსხის გარდა, A და S ხელნაწერებში, რაც კიდევ უფრო მეტ საბუთიანობას აძლევს ნ. მარის ვარაუდს. ამასვე უჭერს მხარს ბერძნულში მის შესატყვისად ὀωρεάν-ის გამოყენება („მუქთად“, „უფასოდ“). ხოლო სომხურში ձրի სიტყვისა („უფასოდ“). C ხელნაწერი მ ე დ ა დ ფორმის ადგილას ც უ დ ა დ-ს გვიჩვენებს, რომელიც ნიშნავს — „ამაოდ“, „ტყუილად“.

8. შესაქმის 35-ე თავის მე-16 მუხლის დასაწყისი Ⴌ რედაქციის ხელნაწერებს (ამ შემთხვევაში A-ს და S-ს) 21-ე მუხლად აქვთ წარმოდგენილი. ეს ნაწყვეტია: „და წარვიდა ისრაჱლ და დასცა კარავი თჳსი დამართებით გოდლისა მის გადერისასა“. ეს ფრაზა უნდა უძღოდეს წინ მე-16 მუხლის A და S ხელნაწერებში წარმოდგენილ ნაწილს. ამგვარი გასწორების საშუალებას გვაძლევს Ⴚ და Ⴙ რედაქციათა ჩვენება, რომლებიც მუხლის შედგენილობის მხრივ ბერძნულს მიჰყვებიან.

9. გამოსლვათა 1,13-დან ოშკურ ხელნაწერში მხოლოდ ერთი სიტყვაა დარჩენილი „ძლით“. ეს მუხლი აღდგენილი აქვს ABKS ხელნაწერების მიხედვით, რომლებიც ამ ნაწილში ოშკური რედაქციისაა.

10. გამოსლვათა 3, 16 — 4, 6 ოშკურ ხელნაწერს აკლია. ეს ადგილიც ABKS ხელნაწერების ჩვენებით შეივსო[18].

11. გამოსლვათა 12, 29 ოშკურ ხელნაწერში ასე იკითხება: „და იყო შუაღამეს ოდენ, და უფალმან მოწყჳდა ყოველი პირმშოჲ ქუეყანასა ეგჳპტისასა პირმშოჲთგან ფარაოჲსით ვიდრე პირმშოდმდე ტყჳსა“... ა. შანიძეს ეს ადგილი ასე გამართა: „და იყო შუაღამეს ოდენ, და უფალმან მოწყჳდა ყოველი პირმშოჲ ქუეყანასა ეგჳპტისასა პირმშოჲთგან ფარაოჲსით, რომელი ჯდა საყდართა ზედა, ვიდრე პირმშოდმდე ტყჳსა...“ მაგრამ ასეთ წაკითხვას არც ერთი ნუსხა არ იძლევა. ჩვენ ეს ადგილი B ხელნაწერის მიხედვით ასე შევავსეთ (B ოშკური რედაქციისაა ამ ადგილას): და იყო შუაღამეს ოდენ, და უფალმან მოწყჳდა ყოველი პირმშოჲ ქუეყანასა ეგჳპტისასა პირმშოჲთგან ფარაოჲსით მჯდომარე ვიდრე პირმშოდმდე ტყჳსა...“

12. გელათური რედაქცია ძირითადად G და g ნუსხებითაა წარმოდგენილი, მაგრამ ამ ნუსხებს მთლიანად აკლია მოსეს პირველი ორი წიგნი: შესაქმისა და გამოსლვათა. ამავე დროს მხოლოდ ამ ორი წიგნის შემცველია C ნუსხა. C ნუსხის შედარებითმა შესწავლამ ერთი მხრივ ოშკურ, ხოლო მეორე მხრივ გელა-

---

[17] Н. Я. Марр, Заметки... XB, II, СПб., 1913, стр. 271.

[18] ოშკურ რედაქციაში სხვა ადგილებიც არის აღდგენილი ამ რედაქციის სხვა ნუსხების ჩვენებათა გათვალისწინებით.

თურ რედაქციასთან დაგვარწმუნა, რომ ის გელათური რედაქციისაა[19].

13. ლევიტელთა Ⴙ რედაქციის მე-11 თავის მე-3 მუხლში ვკითხულობთ: „ყოველსა საცხოვარსა, რომლისაჲ განყოფილ იყოს ჭლაკი და ფრჩხილითა ფრჩხენდეს და აღმოიცხონდეს საცხონელსა, საცხოვართა შორის ესე ჰამეთ“. ამგვარსავე გაგებას იძლევა Ⴓ რედაქციაც. სხვაობა წარმოჩნდება მომდევნო მუხლში. Ⴙ რედაქციაში გვაქვს: „ხოლო მათგანი არა შჯამოთ, რომელნი აღმოიცხნიან და რომელთაჲ არა განყოფილ არს ჭლაკი და რომელნი ფრცხენენ ფრცხილითა: აქლემი, რამეთუ აღმოიცხნის და ჭლაკი მისი არა განპებულ არს, არაწმიდა არს ესე თქუენდა“.

Ⴓ რედაქცია: „გარნა ამათგანცა არა შჯამოთ, აღმომღებელთა ნაცოხლისათა და ორ-განყოფილთა ჭლაკითა და ფრცხენით მფრცხენალთა ორითავე ფრცხილითა: აქლემი, რამეთუ აღმოიღებს იგი ნაცოხალსა და ჭლიკი არა მრჩობლ-განპებულობს, არაწმიდა არს იგი თქუენდა“. ამგვარად, ორივე რედაქციაში მოცემული გაგებით, შეიძლება მხოლოდ იმ ცხოველის ჭამა, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ სამ მოთხოვნას:

1. ამოიცოხნის;
2. ჩლიქი ორად აქვს გაყოფილი;
3. ფრჩხილით ფრჩხენს.

აქედან გამომდინარე, არ იჭმება ის ცხოველი, რომელიც რომელიმე მოთხოვნათაგანს არ უპასუხებს. ამგვარი გაგებაა მოცემული Ⴙ რედაქციაში: თუ ცხოველი ამოიცოხნის, ფრჩხილითაც ფრჩხენს, მაგრამ ჩლიქი ორად გაყოფილი არა აქვს, იგი არაწმიდაა. საილუსტრაციოდ მოყვანილია აქლემი, კურდღელი და მაჩვი. Ⴓ რედაქცია კი გვეუბნება, თვით ამ სამივე მოთხოვნის დამაკმაყოფილებელ ცხოველთაგან არ იჭმებაო, როგორც გამონაკლისი, აქლემი და სხვა. მაგრამ თვით ამავე რედაქციის იმავე მუხლში შემდგომ მოცემული წაკითხვის საფუძველზე აქლემი არ იჭმება იმიტომ, რომ მისი ჩლიქი ორად გაპობილი არაა.

ასე რომ, აქლემის, კურდღლისა და მაჩვის ჭამა იკრძალება იმის გამო, რომ ისინი არღვევენ ერთ-ერთ მოთხოვნას. მუხლის დასაწყისში კი მათი ჭამა იკრძალება, როგორც გამონაკლისი ცხოველებისა იმათგან, რომლებიც ყველა მოთხოვნას უპასუხებენ. ამდენად, მე-4 მუხლის დასაწყისი ლოგიკურ წინააღმდეგობაში იმყოფება მის დასასრულთან, აგრეთვე Ⴙ რედაქციის ჩვენებასთან, რომელსაც მხარს უჭერს სომხური ბიბლიის სათანადო ადგილი. ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ Ⴓ რედაქციის მე-11 თავის მე-3 მუხლის დასაწყისში მოცემული ორგანყოფილთა უნდა გასწორდეს არგანყოფილთა-დ, რაც მოგვცემდა ასეთ წაკითხვას: „გარნა ამათგანცა არა შჯამოთ აღმომღებელთა ნაცოხლისათა და არ-განყოფილთა ჭლაკითა და ფრცხენით მფრცხენალთა ორითავე ფრცხილითა, აქლემი, რამეთუ აღმოიღებს იგი ნაცოხალსა და ჭლიკი არა მრჩობლ-განპებულობს“... მუხლი ამ სახით ლოგიკურად უფრო გამართული და თანამიმდევრული. მაგრამ ზემოაღნიშნულ გასწორებას ერთი დაბრკოლება ხვდება: ბერძნულ ბიბლიაში, რომლისგანაც უნდა იყოს თარგმნილი გელათური ვერსია, ვაწყდებით იმავე ლოგიკურ წინააღმდეგობას, რომელსაც

[19] იხ. პ. ინგოროყვა, ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა: „მნათობი“, 1939, № 4; შდრ. ჩვენი: რუსთაველის ხანის ქართული ბიბლიის თარგმანი: შოთა რუსთაველი. ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, თბილისი, 1966, გვ. 151.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Ნ რედაქციაში ჰქონდა ადგილი. ამიტომ ორ-განყოფილთა უცვლელად დავტოვეთ, როგორც ბერძნულ თარგმანში წარმოდგენილი ვითარების ამსახველი და ამდენად თუმც მცდარი, მაგრამ საინტერესო.

14. ა. შანიძისეულ გამოცემაში იკითხება: „ყოველივე ჭურჭერი, რომლითა იქმნების საქმჱ, წყლითა განირცხეს და არაწმიდა იყოს ვიდრე მწუხრადმდე, და წმიდა იყოს“ (ლევიტ. 11, 32). ოშკის ხელნაწერში დადასტურებული არაწმიდა იყო გამომცემელს შეუცვლია წმიდა იყოს სინტაგმით, რაც ნაწილობრივ სწორია, მაგრამ შინაარსობლივ ბუნდოვანებას მთლიანად მაინც ვერ გვაცილებს თავიდან და ამასთანავე არც ერთ ნუსხაში ამგვარი წაკითხვა არ დასტურდება. A, B და K ნუსხები სათანადო ადგილას გვიჩვენებენ კუალად წმიდა იყოს შესიტყვებას, რაც გასაგებს ხდის მუხლის შინაარსს და შესაძლებლობას გვაძლევს იგი ასეთი სახით წარმოვადგინოთ: „... ყოველივე ჭურჭერი, რომლითა იქმნების საქმჱ, წყლითა განირცხეს და არაწმიდა იყოს ვ῀ე მწუხრადმდე და კუალად წმიდა იყოს“. ამგვარ გასწორებას მხარს უჭერს Ნ რედაქციის წაკითხვა: „...არაწმიდა იყოს ვ῀ე მწუხრადმდე და განწმდეს“, რაც თავის მხრივ ბერძნულის ზუსტ თარგმანს წარმოადგენს.

15. ლევიტელთა მე-6 თავის 28-ე მუხლის დასასრული Ⴀ რედაქციის სხვადასხვა ნუსხაში სხვადასხვაგვარადაა წარმოდგენილი:

ოშკი: „...უკუეთუ ჭურჭრითა რვალისათა შეიგბას, მოხუეტენ იგი და დაიწუეს“.

A და K ნუსხები თითქმის იმეორებენ ოშკისეულ წაკითხვას. ერთადერთი განსხვავება ისაა, რომ დაიწუეს ფორმის მაგიერ დაწუინ გვაქვს. მაგრამ ეს შინაარსს არ ცვლის.

B (ბაქარის ბიბლია): „...უკეთუ ჭურჭლითა რვალისათა შეიგბოს, მოხვეწენ, მონახუეტი იგი გარეცხონ წყლითა“.

S (მცხ. ბიბლია): „...უკეთუ ჭურჭრითა რვალისათა შეიგბას, მოხუეტენ იგი და დაწონ და ჭურჭელი განირცხენ წყლითა“.

ოშკის მიხედვით, ჭურჭელი უნდა მოიფხიკოს და დაიწვას, მაგრამ ნათელი არაა, რა უნდა დაიწვას: ჭურჭელი თუ ის, რაც მოფხიკეს; ბაქარის ბიბლიის თანახმად მონახუეტი (ე. ი. მონაფხეკი) უნდა გაირეცხოს, რაც ნაკლებ საფიქრებელია. ეს უხერხულობა უგრძვნია გამომცემელს და ოშკის ბიბლიის დაიწუეს შეუცვლია გამოირცხენ წყლითა შესიტყვებით, რომელიც არც ერთ ნუსხაში არ გვხვდება და, ამას გარდა, მაინც ვერ აძლევს შინაარსს დასრულებულ სახეს.

საგულისხმოა საბასეული ბიბლიის წაკითხვა, საიდანაც ნათელი ხდება, რომ ჭურჭელი უნდა მოიფხიკოს და დაიწვას (კერძოდ რა, ეს არ ჩანს), ამის შემდეგ კი ჭურჭელი უნდა გაირეცხოს. მუხლის ბოლოს ჭურჭლის გარეცხვაზე ლაპარაკი იმის მაუწყებელია, რომ მოფხეკის შემდეგ დაუწვავთ არა ჭურჭელი, არამედ სხვა რაღაც; ის, რაც დაუწვავთ (მონახუეტი) დაცულია ბაქარისეულ გამოცემაში, ოღონდ თავის ადგილას არ ზის, ყველა მოცემული ნუსხის წაკითხვათა ურთიერთშევსების საშუალებით მუხლი გაიმართა ასე:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„...უკუეთუ ჭურჭრითა რვალისაჲთა შეიგბას, მოხუეტენ იგი, მო-
ნახუეტი იგი დაწუნ და ჭურჭელი განირცხენ წყლითა“.

16. ოშკის ხელნაწერში იკითხება: „ვითარცა იგი ცოდვისაჲ, ეგრეცა ბრალისაჲ, შჯული ერთისა მათგანისა მღდელისა, რომელმან ყოს ლხინებაჲ, მისა იყავნ იგი“ — ლევიტ. 6,37. საუბარია შესაწირავის ერთ ნაწილზე, რომელიც მღვდელს უნდა ერგოს. ა. შანიძეს გაუგებარი შჯული ერთისა მათგანისა შეუცვლია შესიტყვებით შჯული ერთი არს მათთვის. Ⴂ რედაქციის ხელნაწერები, განსაკუთრებით კი ბაქარის ბიბლიის ტექსტი, საშუალებას იძლევა ეს მუხლი შემდეგნაირად გასწორდეს: „ვითარცა იგი ცოდვისაჲ, ეგრეცა ბრალისაჲ არს შჯული ერთი: მათგანისა მღდელისა, რომელმან ყოს ლხინებაჲ, მისა იყავნ იგი“. ა. შანიძის გამოცემაში ამოგდებული მათგანისა, რომელიც გამომცემელს უაზროდ მიუჩნევია და ფორმით — მათთჳს — შეუცვლია, არ გამოიყურება აქ ზედმეტად: „არს შჯული ერთი“ ნიშნავს არის საერთო (ერთი) წესი, რასაც მოსდევს განმარტება: მათგანისა მღდელისა, რ~ნ ყოს ლხინებაჲ, ანუ იმ მღვდელთაგანისა, რომელმაც ლხინება ყოს, მისი იყოს გარკვეული ნაწილი შესაწირავისა.

17. ლევიტელთა Ⴂ რედაქციის 25-ე თავის 31-ე მუხლში ნუსხების მიხედვით სხვადასხვაობაა: A და K ხელნაწერებში გვაქვს: „...სახლნი... მსგავსად აგარაკისა მის ქუეყანისა შეირაცხენ და საჴსრჲ~მდის იყვნენ (იყვენინ — K)“; B ნუსხაში საჴსრჲ~მდის სიტყვის მაგიერ გვაქვს: საჴსარ მის, ხოლო S ნუსხაში — საჴსარ მას. Ⴃ რედაქციაში ვკითხულობთ: „...შეირაცხნენ და გამოსაჴსნელ იყვნენ მარადის იგინი“... Ⴃ რედაქციაში წარმოდგენილი მარადის, რომელიც გამოსაჴსნელ-ს უკავშირდება, იძლევა გასაღებს A და K ნუსხებში ფიქსირებული საჴსრჲ~მდის ფორმის გაგებისათვის. ცხადია, საჴსრჲ~მდის გადამწერის მიერ გაუგებრობის ნიადაგზე დაშვებული შეცდომაა. აქ გაერთიანებულია ორი სიტყვა საჴსარ და მარადის. ორივეს თავთავისი ქარაგმა უნდა ჰქონოდა. ამ სიტყვების შეერთების შემდეგ ორი ქარაგმის საჭიროება აღარ იყო და ამიტომ მარადის-ზე დასმულმა ქარაგმამ სიტყვის შუაში გადმოინაცვლა. უქარაგმო მდის გაგებულ იქნა თანდებულად და ამან გამოიწვია საჴსარ სიტყვასა და მდის-ს შორის ა-ს ნაცვალი ჲ-ს გაჩენა, რომელზეც დაისვა ქარაგმა. გასწორების შედეგად მიღებული წაკითხვა: „შეირაცხნენ და საჴსარ მარადის იყვნენ“ სავსებით ეგუება Ⴃ რედაქციის სათანადო წაკითხვას: „შეირაცხნენ და გამოსაჴსნელ იყვნენ მარადის იგინი“. ამასვე უჭერს მხარს ბერძნ. διά παντός „მარადის“ და სომხ. հանապազ „მარადის“. სხვა მცირე გასწორებები შეტანილ იქნა 26, 24 Ⴂ-ში (წელ გასწორდა წილ-ად); 25, 46 Ⴂ-ში და სხვაგან. როგორც ვნახეთ, სწორდებოდა ძირითადად Ⴂ რედაქცია. ეს აიხსნება, ერთის მხრივ, იმით, რომ იგი იძლეოდა ამის საშუალებას, რადგან რამდენიმე ნუსხით იყო წარმოდგენილი. მეორე მხრივ, Ⴂ რედაქციას, როგორც უფრო ძველს, მეტის ხელში გაუვლია, რამაც, ცხადია, კვალი დააჩნია ტექსტს. Ⴃ (გელათური) ვერსია, როგორც ჩანს, უფრო დაზღვეული იყო გადამწერთა ინიციატივისაგან, მისი ნუსხები თითქმის არ სხვაობენ ერთმანეთისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქციები. შესაქმის, გამოსლვათა და ლევიტელთა წიგნები ძირითადად ორი რედაქციისაა: ოშკური (Ⴍ) და გელათური (Ⴂ). ოშკური რედაქცია შედარებით სრულად წარმოდგენილია ოშკის ცნობილ ხელნაწერში, ხოლო გელათური — გელათურ ხელნაწერებსა და C-ში (A—179). ეს ორი რედაქცია სრულიად განსხვავებულია ერთმანეთისაგან, ეს არის ფაქტიურად ორი სხვადასხვა თარგმანი. შესაქმის, გამოსლვათა და ლევიტელთა წიგნების შემცველი სხვა ნუსხები რედაქციულად სხვადასხვაგვარი შედგენილობისაა. ამიტომაა, რომ ზოგჯერ ისინი ოშკურ რედაქციას მიჰყვებიან, ზოგჯერ — გელათურს და ზოგჯერ კი ცალკე, განსხვავებულ (Ⴋ) რედაქციას გვაძლევენ. ეს Ⴋ რედაქცია ჩვეულებრივ წარმოდგენილია AK ნუსხებით, ზოგჯერ S-ითაც. Ⴋ რედაქცია ზოგჯერ Ⴍ და Ⴂ რედაქციების კომპილაციას წარმოადგენს.

Ⴍ და Ⴂ რედაქციების შეპირისპირება შემდეგნაირ სურათს გვაძლევს:

Ⴍ	Ⴂ
და *დაემკჳდრა* აბრაჰამ ქუეყანასა მას ფილისტიმისასა დღეთა მრავალთა.	ხოლო *მსხემ იყო* აბრაამ ქუეყანასა ფილისტიმელთასა დღეთა მრავალთა.
	შესაქმ. 21, 34.
...*წარვედ* ქუეყანასა მაღალსა და შეწირე იგი მუნ მსხუერპლად...	...*წარსრულმან* ქუეყანად მაღლად შეწირე იგი ყოვლად დასაწუელად.
	შესაქმ. 22,2.
და *აღიხილნა* თუალნი აბრაჰამ.	და *აღმხილველმან*, აბრაამ თუალთა მისთამან...
	შესაქმ. 22, 4.
ესე სახელები არს ძეთა ისრაჱლისათაჲ რომელნი *შესრულ იყვნეს* ეგჳპტედ იაკობის თანა, მამისა მათისა, კაცად-კაცადი ყოვლითურთ სახლით მათით შევიდეს.	ესე სახელები ძეთა ისრაჱლისათა *შესრულთა* ეგჳპტეს იაკობის თანა, მამისა მათისა, თჳთეული ყოვლით სახლებით მათითურთ შევიდეს.
	გამოსლ. 1, 1.
...დასდვა სახელი მისი მოსე და *თქუა*...	...სახელ-სდვა სახელი მისი მოსე *მეტყუელმან*...
	გამოსლ. 2, 10
...იხილა კაცი ეგჳპტელი, *სცემდა რაჲ* კაცსა ვისმე ებრაელსა...	იხილა მეგჳპტელი ვინმე *მცემელად* კაცისა ებრაელისა.
	გამოსლ. 2, 11
და ეტყოდა ღმერთი მოსეს და აჰრონს და *ჰრქუა*.	და თქუა უფალმან მოსეს მიმართ *მეტყუელმან*.
	ლევიტ. 14, 33
და *მოიღოს* მღდელმან მან სისხლისა მისგან ცოდვისაჲსა... და სცხოს...	და *მომღებელმან* მღდელმან სისხლისაგან ცოდვისა... სცხოს...
	ლევიტ. 4, 34

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოლო მათგანი არა შჳამოთ, რომელნი აღმოიცხჳნიან და რომელთაჲ არა განყოფილ არს ჭლაკი დარომელნი ფრცხენენ ფრცხილითა...

გარნა ამათგანცა არა შჳამოთ აღმომღებელთა ნაცოხლისათჳს და არგანყოფილთა ჭლაკითა და ფრცხენით მფრცხენალთა ორითავე ფრცხილითა...

ლევიტ. 11,4

როგორც ადვილად შევნიშნავთ, Ⴙ რედაქციის ზმნური კონსტრუქციები Ⴚ-ში მიმღეობურით არის წარმოდგენილი. ხშირად Ⴙ და Ⴚ რედაქციები ერთმანეთს უპირისპირდებიან ავრეთვე სხვადასხვა სინონიმურ ერთეულთა გამოყენებით. ასე მაგალითად:

ხოლო ძენი ისრაჱლისანი აღორძნდეს და განმრავლდეს და ამრღუე იქმნნეს და განძლიერდებოდეს დიდად ფრიად.

ხოლო ძენი ისრაჱლისანი აღორძნდეს და განმრავლდეს და ვრცელ იქმნნეს და განძლიერდეს ფრიად. ფრიად.

გამოსლ. 1,7

...წარივლტოდა მოსე პირისაგან ფარაოჲსისა და მჳრობდა ქუეყანასა მადიამისასა.

განეშორა მოსე პირისაგან ფარაოჲსა და დაემკჳდრა ქუეყანასა მადიამისასა.

გამოსლ. 2, 15

მოუწოდა ფარაო ბრძენთა მათ ეგჱპტისათა და გრძნეულთა. და ყოველ გრძნეულთა მათ ეგჱპტისათა გრძნებითა მათითა ეგრეევე.

ხოლო მოუწოდა ფარაო სიბრძნის მზმნობელთა და მწამლველთა მათ ეგჱპტისათა და ქმნეს მისანთა მეგჱპტელთასა მწამლველობითა მათითა ეგრეთვე.

გამოსლ. 7,11

ზოგჯერ დაპირისპირება ორივე ნიშნითაა წარმოდგენილი: Ⴙ და Ⴚ ერთმანეთისაგან სხვაობენ როგორც ფარაზის აგებულებით, ასევე ლექსიკურადაც:

ხოლო მღდელსა მადიამისასა ესხნეს შჳდ ასულ და მწყსიდეს ცხოვართა მამისა თჳსისა იოთორისათა. და ვითარცა მოვიდეს ვსებად (აღმოავსებდეს ABKS) წყალსა, ვიდრემდე აღივსნეს წყლის სასუმელნი (ისარნები A*S) იგი, რაჲთა ასუან ცხოვართა მამისა თჳსისათა.

ხოლო მღდელისა მადიამისა იყვნეს ასულნი მწყსველნი ცხოვართაჲ მამისა მათისა იოთორისათაჲ. და მოსრულნი აღმოივსებდეს, ვიდრემდის აღავსნეს ავაზანნი სუმევად საცხოვართა მამისა მათისათა.

გამოსლ. 2, 16

და მიუდგა დედაკაცი იგი და შვა ძჱ და სახელი უწოდა მას მოსე გერსამ და თქუა: რამეთუ მჳრო ვარი მე ქუეყანასა უცხოსა.

და მუცლად მღებელმან დედაკაცმან შვა ძე და სახელი სწოდა მოსე სახელი მისი გერსამ მეტყუელმან: ვითარმედ მჳრი ვარო ქუეყანასა უცხოსა.

გამოსლ. 2, 22

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ვხედავთ, Ⴂ და Ⴍ რედაქციები სრულიად დამოუკიდებელნი არიან. ისინი ერთმანეთს უპირისპირდებიან თხრობის მანერითაც და ლექსიკურადაც. მოკლედ რომ ვთქვათ, ეს არის ორი სხვადასხვა მანერა თხრობისა, ეს არის ერთი ძეგლის ორი სხვადასხვა თარგმანი.

მესამე (Ⴈ) რედაქცია, როგორც აღვნიშნეთ, ძირითადად AK ნუსხებითაა წარმოდგენილი. ზოგჯერ მათ ეკედლება S-ც. Ⴈ რედაქცია, თუმცა ფრაგმენტული ხასიათისაა, სავსებით განსხვავებულ სახეს ატარებს. დასადასტურებლად მოვიყვანთ რამდენსამე ადგილს:

Ⴂ	Ⴈ	Ⴍ
... მოსცა ღმერთმან განჩინებაჲ ესე და თქუა.	დრო უყო ღმერთმან და თქუა.	მისცა უფალმან ღმერთმან საზღუარი მეტყუელმან.

გამოსლ. 9, 5

Ⴂ	Ⴈ	Ⴍ
და ეტყოდა უფალი მოსეს და აჰრონს ქუეყანასა ეგჳპტისასა და ჰრქუა მათ.	სიტყუად იწყო უფალმან მოსესა და აჰრონისა ქუეყანასა მას ეგჳპტელთასა და ჰრქუა.	და თქუა უფალმან მოსეს და აჰრონის მიმართ ქუეყანასა ეგჳპტისასა მეტყუელმან.

გამოსლ. 12, 1

Ⴂ	Ⴈ	Ⴍ
და ჰრქუა მოსე აჰრონს და ელიაზარს და ითამარს, ძეთა მათ ნეშტთა მისთა...	მერმე სიტყუად იწყო მოსე აჰრონისა, ელიაზარისა და ითამარისა, ძეთა მათ აჰრონისთა ნეშტთა...	და თქუა მოსე აარონის მიმართ და ელეაზარის მიმართ, ძეთა მისთა დაშთომილთა...

ლევიტ. 10, 12

Ⴂ	Ⴈ	Ⴍ
სიმართლეთა ჩემთა ჰყოფდით და ბრძანებათა ჩემთა იმარხევდით და ვიდოდეთ მათ შინა...	სამართალთა ჩემთა ჰყოფდით და მცნებათა ჩემთა იმარხევდით...	მშჯავრნი ჩემნი ყვენით და ბრძანებანი ჩემნი დაიმარხენით და ვიდოდეთ მათ შინა...

ლევიტ. 18,4

ვფიქრობთ, მოყვანილი მაგალითებიც ცხადყოფენ, რომ Ⴈ რედაქცია დამოუკიდებელი, ცალკე მდგომი რედაქციაა. ის საკმაოდ სხვაობს Ⴂ და Ⴍ რედაქციებისაგან.

ზემოთ აღნიშნული იყო, რომ Ⴈ რედაქცია ზოგჯერ Ⴂ და Ⴍ რედაქციის კომპილაციის შთაბეჭდილებას ტოვებს. მოვიყვანთ ამის დამადასტურებელ რამდენიმე ნიმუშს:

Ⴂ	Ⴍ	Ⴈ
და წარმოვიდა მიერ აბრაჰამ ქუეყანად ჩრდილო კერძო და დაეშენა შოვრის კადესა და შოვრის სურსა იყოფვოდა გერარს.	და აღიძრა მიერ აბრაამ ქუეყანად მიმართ სამხრად და დაივანა შორის კადისა და შორის სურისა და დაიმსხემა გერართა შორის.	და წარმოვიდა მიერ აბრაჰამ ქუეყანად სამხრად კერძო და დაეშენა შორის კადესა და შორის სურსა და იმსხემა გერარსა შოოის.

შესაქ. 21, 1

დასაწყისი Ⴄ რედაქციას Ⴂ-ისა აქვს, შუა ნაწილშიც ძირითადად მას მიჰყვება, დაბოლოებით კი Ⴍ რედაქციას უახლოვდება.

შესიტყვება სამხრად კერძო აგრეთვე Ⴂ და Ⴄ რედაქციებისგან ამოკრეფილი მონემების შეერთების შედეგადაა მიღებული: კერძო Ⴂ-ს ეკუთვნის, სამხრად — Ⴍ-ს.

Ⴂ	Ⴍ	Ⴄ
და იყო შემდგომად სიტყჳსა ამის ღმერთმან გამოცადა აბრაჰამი და ჰრქუა მას: აბრაჰამ! აბრაჰამ! ხოლო მან ჰრქუა მას: აქა ვარ უფალო!	და იყო შემდგომად სიტყუათა ამათ გამოცადა ღმერთმან აბრაამ და თქუა მისა მიმართ: აბრაამ! აბრაამ! ხოლო მან თქუა: აჰა მე.	და იყო შემდგომად სიტყჳსა ამის ღმერთმან გამოსცადა აბრაჰამ და ჰრქუა მას: აბრაჰამ! აბრაჰამ! ხოლო მან თქუა: აჰა მე.

შესაქ. 22,1

მუხლის დასაწყისი და მეტი ნაწილი, როგორც ვხედავთ, Ⴄ რედაქციას Ⴂ-ისა აქვს, დაბოლოება კი Ⴍ რედაქციისას თანხვდება.

განუკჳრდა ისაკს განკჳრვებითა დიდითა ფრიად და ჰრქუა: ვინ იყო იგი, რომელმან მინადირა მე ნადირი და შემომართუა...	და განცჳფრდა ისაკ განცჳფრებითა დიდითა ფრიად და თქუა: ვინ უკუე იყო მნადირებელი ჩემდა ნადირისა და შემომრთმეველი...	განცჳფრდა ისაკ განცჳფრებითა დიდითა ფრიად და თქუა: ვინ იყო, რომელმან მინადირა მე ნადირი, შემომართუა...

შესაქ. 27, 33

მუხლის დასაწყისში Ⴄ იმეორებს Ⴍ რედაქციას, ხოლო მეორე ნაწილში Ⴂ-ს უახლოვდება.

Ⴂ	Ⴍ	Ⴄ
... და გამოხუეწა იგი იაკობ, ნაქურცენი მისი ნედლი მოსძარცუა. და აჩნდა კუერთხთა მათ თეთრი იგი, რომელი გამოეხუეწა ჰრელი.	...და განქურთნა იგინი იაკობ ნაქურთენად თეთრად გარე-შემძრცუელმან სიმწუანისამან. ხოლო ჩანდა სითეთრესა მას ზედა კუერთხთასა, რომელ განქურთნა, სიჭრელე.	...გამოქურთნა იგი იაკობ ნაქრთუენად თეთრად გარე - შემძრცველმან სიმწუანის. ხოლო დააჩნდა კუერთხთა მათ თეთრი იგი, რომელ გამოქურთნა ჰრელად.

შესაქ. 30,37

პირველ ნაწილში Ⴄ რედაქცია თითქმის ემთხვევა Ⴍ რედაქციას, მომდევნო ფრაზით კი Ⴂ-ს უახლოვდება.

ზოგიერთი ნუსხის თავისებურების შესახებ. ზემოთ წარმოდგენილი იყო რედაქციათა დახასიათება. ამ დახასიათებიდან ცალკე უნდა აღინიშნოს ის თავისებურება, რასაც S ნუსხა გვიჩვენებს ტექსტის შედარებით მცირე მონაკვეთზე.

გამოსლვათა წიგნის 36-ე თავის მე-8 მუხლიდან S-ში თავების თანმიმდევრობა უკვე ისეა, როგორც ებრაულში და არა როგორც ბერძნულ სეპტუაგინტაში. ეს ადრე შენიშნულიც ჰქონდა აკაკი შანიძეს[20]. ტექსტუალურად კი იგი Ⴄ რედაქციისაა.

36, 17—36, 20 Ⴗ

17. და განუგდეს მას ანთრაკები იგი ქსოვით და მისგან გამოარჩიეს ოთხი ჯერი ანთრაკოვანი, თითო იგი ჯერი სამ-სამ ჯერითა ანთრაკთა მათგან თუალებისა მისგან პატიოსნისა. პირველი იგი ჯერი ზმარაკდინონი იგი, სარდიონი, ტპაზიონი.

იქვე, Ⴄ

17. და თანა შექსოვად მას ქსოვილი თითოეული ანთრაკი კარგად, კარგად, ოთხ სტიქონად, კარგი ერთი ქუაჲ სარდიონი და პაზიონი და სამარაგდონი, კარგი ერთი.

39, 10—39, 13, S

17. და თან შეაქსოვა მას ქსოვილი თითოეული ანთრაკი კარგად-კარგად, ოთხ სტიქონად. კარგი ერთი ქვაჲ სარდიონი და ტოპაზიონი და ზამარგდონი.

Ⴗ

18. მეორე იგი ჯერი კარქიდონი იგი და საფირონი და იასპინი.

19. და მესამე იგი ჯერი სპეტაკი იგი და ამეთჳსტონი და აქატი.

20. მეოთხე იგი ჯერი ბივრილი იგი გომილის ფერი და ზარდენი მობურვილი ოქროთა.

Ⴄ

18. და მეორე იგი კარგი ანთრაკი და საფირონი და იასპი.

19. და მესამე იგი კარგი ლურიონი და აქატი და მეათისტონი.

20. და მეოთხე იგი კარგი ოქრო ანთრაკი და ბირიონი და ფერცხალი, ანთრაკი გარემოდგმული ოქროსა და შემაგრებული ოქროსა შინა.

S

11. და მეორე იგი კარგი ანთრაკი და საფირონი და იასპი.

12. და მესამე იგი კარგი ლიგჳრი აქატი და ამეთჳსტონი.

13. და მეოთხე იგი კარგი ოქროქვა და ბივრილიონი და ფრცხილი და გარემოდგმული ოქროჲთა.

შედარებიდან ნათლად ჩანს, რომ S განსხვავდება Ⴗ და Ⴄ-დან.

S თითქოს ემთხვევა ტექსტუალურად Ⴄ -ს, მაგრამ ზუსტად მაინც არ მიჰყვება, S სხვაგვარადაა დალაგებული: ის, რაც სხვაგან 36-ე თავადაა, აქ 39-ე თავია.

აღსანიშნავია, რომ 36,8-მდე A თავებად დაყოფილი და დამუხლულია სინგურით. 36,8-დან კი შავი მელნითაა დამუხლული და თავების სათვალავი კი აღარ გვაქვს, არამედ აშიაზე აქვს მინაწერები, ვთქვათ, ასეთი: „თავისაგან ლთ“ ეს იმიტომ, რომ A-ს ტექსტი ებრაულის მიხედვითაა 36,8-დან დამუხლული, ხოლო თვითონ გადაწერილი ტექსტი კი ბერძნულის წყობისაა. ეს ოპერაციები A-ში საბას ხელითაა ნაკეთები. ამიტომ მოსალოდნელი იყო, რომ S ტექსტობრივ A-ს გაჰყვებოდა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. საბას ტექსტი არსებითად სხვაა, ვიდრე A.

რაც შეეხება ქართული ვერსიების წარმომავლობას, ამჟამად შეიძლება ითქვას შემდეგი: გელათური (Ⴂ) რედაქციის ბერძნულთან შედარებამ ცხადყო,

[20] წიგნნი ძუელისა აღთქუმისანი, ნაკვეთი 1, გვ. VII.

რომ ის ბერძნულიდან უნდა იყოს ნათარგმნი[21]. გარდა ზუსტი ტექსტობრივი დამთხვევებისა, გელათური ვერსია გამოირჩევა ბერძნიზმების სიუხვით; ბერძნიზმები დაჩნდება როგორც ლექსიკაში, ისე თარგმანის სტილში: ჩვეულებრივ, ქართულ თარგმანში წინადადებები ბერძნულ ყაიდაზეა აგებული, რაც გამოიხატება მიმღეობური და ინფინიტიური კონსტრუქციების ხშირ გამოყენებაში. საამისო მაგალითები ჩვენს დასახელებულ წერილში გვაქვს მოყვანილი (ლიტერატურის მითითებით) და აქ აღარ გავიმეორებთ.

Ϲ (ოშკური) და Ч რედაქციების წარმომავლობის შესახებ გარკვეულად რაიმეს თქმა ძნელია. არც ტექსტის წყობა, არც მისი ენა არ მიგვანიშნებს იმაზე, რომ ის თარგმნილია ბერძნულიდან, სომხურიდან ან სლავურიდან (სხვა უცხოენოვან თარგმანებთან შედარების საშუალება კი ჩვენ არ გვქონია).

ტექსტის ენისათვის დამახასიათებელი ზოგი არქაიზმისა თუ თავისებურების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ A, B, C, K და S ხელნაწერები შედარებით გვიანდელი ხანისაა, მათში თავს იჩენს ძველი ქართულის ადრეული პერიოდისათვის დამახასიათებელი ზოგი ნიშანი:

1. პირველ რიგში, ყურადღებას იქცევს ჰაემეტობა საბასეული ნუსხისა, რომელსაც ზოგჯერ A და K ნუსხებიც ეკედლება. ეს ჰაემეტობა, ჩვეულებრივ, თავს იჩენს შიშინა თანხმოვნებით დაწყებულ ფუძეებთან, რომლებთანაც სუბიექტური II პირისა და ობიექტური III პირის ნიშანი ჩვეულებრივ ჰ-აე ვარიანტითაა წარმოდგენილი. მაგალითები:

ჰშაბათობდეთ: მეცხრითგან თთჳსაჲთ მწუხრითგან ვიდრე მწუხრადმდე *ჰშაბათობდეთ* შაბათსა მას თქუენსა — ლევიტ. 23,32 (S).

შეჰჭირდეს: უკუეთუ პოვოს ჭელმან მის მწირისამან, რომელი მსხემობდეს შენ შორის და *შეჰჭირდეს* ძმასა შენსა... ერთმან ძმათაგანმან იჴსნეს იგი — ლევიტ. 25,47 (S).

ჭამა ზმნასთან შემთხვევათა აბსოლუტურ უმრავლესობაში S_2 და O_3 ჰ-აეთია წარმოდგენილი. აქ ორიოდე მაგალითს მოვიტანთ:

ჰჭამოთ: ...სისხლი ყოვლისა ჴორციელისაჲ არა *ჰჭამოთ*, რამეთუ სული ყოვლისა ჴორციელისაჲ არს სისხლი თჳსი... ლევიტ. 17, 14 (AKS).

აქ საბას ნუსხას უერთდება A და K ნუსხებიც. ერთ ადგილას ჰაე-იანი ფორმა მხოლოდ A ხელნაწერში დასტურდება:

და ესე არს მათგანი, რომელი არა *ჰჭამოთ* — ლევიტ. 11, 22 (A).

ჰჭამდეთ: ვიდრემდე მოჴდეს ნაყოფი მისი *ჰჭამდეთ* ძუელის ძუელსა — ლევიტ. 25,22 (A).

შეიძლება კიდევ ბევრი მაგალითის დასახელება, მაგრამ, ვფიქრობთ, ესეც საკმარისია.

---

[21] Р. П. Блейк, О древнегрузинских версиях Ветхого Завета: «Известия Кавказского Отделения Московского Археологического Общества», вып. VI, Тифлис, 1921; კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1960, გვ. 420; პ. ინგოროყვა, ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა, «მნათობი», 1939, № 4; ჩვენი: რუსთაველის ხანის ქართული ბიბლიის თარგმანი: «შოთა რუსთაველი, ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი», 1966, გვ. 149—159.

2. დ-ონის წარმოდგენა სუბიექტური მე-3 პირის აფიქსად მხოლოობით რიცხვში. ამ ფუნქციით დ-ონი დადასტურებული აქვთ ვ. თოფურიას[22] და ილ. აბულაძეს[23] სტატიკური ზმნების აწმყოში და თურმეობითი პირველის ნაკვთებში. დ. გეწაძის საკანდიდატო დისერტაციაში „გარდამავალი ზმნების დროკილოთა III ჯგუფის ფორმები ძველ ქართულში" აღნუსხულია ზემოაღნიშნული ფუნქციით დ-ონის ხმარების შემთხვევები სხვა ნაკვთებშიც. შესაქმეთა წიგნში დ S_3-ის ნიშნად დასტურდება მხოლოდ მე-3 პირის ბრძანებითის ფორმებში მხოლოობით რიცხვში.

ა) ...შ ე კ ე რ ბ ი-დ წყალი ქუეშე კერძო ცისა შესაკრებელსა ერთსა.

შესაქმ. 1, 9 C

B — შ ე კ რ ბ ი დ, A — შ ე კ ე რ ბ ე დ.

ბ) ...ქუეყანამან გ ა მ ო ი ღ ე-დ მწუანვილი თივისაჲ.

შესაქმ. 1. 10 AC

გ) ...გ ა მ ო ი ღ ე-დ ქუეყანამან სამშჳნვეელი ცხოველი.

შესაქმ. 1, 24 ABCS

დ) ...მ ო ი ღ ე-დ წყალი და დ ა ი ბ ა ნ ნ-ედ ფერჴნი...

შესაქმ. 18, 4 ABCS

ეს ფრაზა ასე უნდა გავიგოთ: „მოღებულ იქმნეს წყალი და დაბანილ იქმნენ ფერჴნი". ე. ი. მ ო ი ღ ე დ (ისევე როგორც დ ა ი ბ ა ნ ნ ე დ) ვნებითი გვარისაა. ამას მოწმობს ბერძნული და სომხური შესატყვისი ფორმები, რომლებიც აგრეთვე პასიურია: λημφθήτω (ბრძან. III პირისა, ვნ. გვარი, მხ. რ.) = „მოიღე-ნ". სომხ. *առցեն* (კავშირებითი II, მე-3 პირი, ვნ. გვარი, მხ. რიცხვი). მე-3 პირის ბრძანებითის ფორმათა უქონლობის გამო სომხური მათ კავშირებითით ცვლის.

ე) მ ე პ ო ე-დ მადლი წინაშე თქუენსა.

34, 11 BC

ვ) ...აღდეგინ მამა ჩემი და ჭ ა მ ე-დ ნადირისაგან ძისა თჳსისა.

27, 31 BC

ოშკის ხელნაწერი ჭ ა მ ე-დ ფორმის მაგიერ ჭ ა მ ე-ნ-ს გვაძლევს, რაც უდავოს ხდის ჭ ა მ ე-დ-ის მხ. რიცხვის მე-3 პირის ბრძანებითად გაგებას. ამასვე უჭერს მხარს იმავე წინადადებაში მე-3 პირის ბრძანებითის მეორე ფორმის (ა ღ დ ე გ ი ნ!) გამოვლენა.

ზ) მ ო ი ყ ვ ა ნ ე დ (მან იგი): ქურივი და განტევებული და მეძავი ვერ მოიყვანოს, არამედ ქალწული ნათესავისაგან თჳსისა მ ო ი ყ ვ ა ნ ე დ ცოლად".

ლევიტ. 21, 14 (S)

3. საინტერესო ფაქტია, კონსტრუქციათა მიმართების ისტორიის თვალსაზრისით, უ წ ო დ ა ზმნასთან ნომინატიური კონსტრუქციის დადასტურება რამდენსამე შემთხვევაში. საგულისხმოა, რომ ეს ფაქტი ნუსხათა დიდ უმრავლესობაში, და მათ შორის უძველეს მათგანშიც (ოშკის ბიბლია) იჩენს თავს[24].

---

[22] ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ენის განვითარების შინაგან კანონთა ერთი ნიმუში ქართულში: იბერ.-კავკ. ენათმეცნ., V, თბ., 1953, გვ. 522.

[23] ი ლ. ა ბ უ ლ ა ძ ე, ქართული ზმნის იშვიათი ფორმები VIII—X საუკუნის ძეგლების მიხედვით, «თსუ შრომები», ტ. 53, თბ., 1954, გვ. 139—142.

[24] ბ. გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი, ოდ ელემენტის შემცველი ერთი ზმნური ფუძის აგებულებისათვის: «საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე», XXXIV, 1, 1964, გვ. 213—220.

Б. К. ГИГИНЕЙШВИЛИ, Ц. В. КИКВИДЗЕ

ГРУЗИНСКИЕ ВЕРСИИ ВЕТХОЗАВЕТНЫХ КНИГ БЫТИЯ, ИСХОДА И ЛЕВИТА

(Резюме)

Грузинские версии первых 3-х книг Моисеева пятикнижия сохранили следующие рукописи: ошкская (978 г.), гелатская (XII — XIII вв.), H—1207 (XVII в.), кутаисская № 28 (1681 г.), A—179 (1669 г.), A—51 (XVIII в.), московское издание царевича Бакара (1743 г.), синайская № 34 (фрагмент), кутаисская № 671 (фрагмент) и Q—208a (фрагмент). На протяжении указанных 3-х книг перечисленные списки группируются в основном в виде 2-х версии: ошкской и гелатской. Первая представлена сравнительно полно ошкской рукописью, вторая же — гелатскими списками и рукописью A—179. Остальные списки неоднообразны с точки зрения их версионного состава: они примыкают то к ошкской версии, то — к гелатской, то выступают в виде самостоятельной редакции.

Язык гелатской редакции можно квалифицировать, как переходную ступень от древнегрузинского к языку эпохи возрождения. Некоторые языковые данные дают возможность сравнительно точно определить переднюю дату перевода: гелатская версия являет собой перевод, сделанный не ранее XII века. Сравнение ее с греческим текстом позволяет думать, что она переведена из греческого. Что касается ошкской версии, тут дело обстоит иначе. Чего-либо определенного об его источнике на данном этапе исследования сказать невозможно.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ.ა ცინდელიანი

მეფეთა პირველი ორი წიგნის ძართული რედაქციები

მეფეთა პირველი ორი წიგნის ტექსტი ქართულში A და B რედაქციულ ტიპს ქმნის. ამათგან B ტიპს, რომელიც ერთადერთი ბაქარის ნაბეჭდი ტექსტითაა წარმოდგენილი, ამჟამად არ შეეხებით.

A რედაქციულ ტიპში გაერთიანებულია ყველა დანარჩენი ნუსხა მეფეთა წიგნებისა, მართალია, ნუსხები რიცხვით ოთხია, მაგრამ თითოეული ამ ნუსხის თავისებურებათა გათვალისწინების შემდეგ აუცილებელი ხდება A რედაქციის დაშლა რამდენიმე ქვერედაქციად: ო მ კ უ რ, ი ე რ უ ს ა ლ ი მ უ რ და ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ს უ ლ რედაქციებად. დროდადრო ამ უკანასკნელს ცალკე, მეოთხე რედაქციის სახით გამოეყოფა ს ა ბ ა ს უ ლ ი ვერსია*.

აღნიშნულ რედაქციათა ურთიერთმიმართების, შედგენილობისა და ქრონოლოგიური თანმიმდევრობის საკითხები შეადგენს ამ შრომის საგანს. უნდა ითქვას, რომ ამ საკითხების გადაჭრა საკმაოდ რთულ პრობლემებთანაა დაკავშირებული: ჯერ ერთი, იერუსალიმურ ნუსხას დაუცავს მეფეთა წიგნების მოკლე რედაქცია და ამით იგი სხვა ნუსხებს არსებითად ემიჯნება. მაგრამ იქ, სადაც იერუსალიმური ვერსია შემოკლებული არაა, ზშირად საკმაო სიზუსტით მისდევს სხვა ნუსხათა ჩვენებას. მეორე, დანარჩენ სამ ნუსხაში მეფეთა წიგნების ვრცელი რედაქციაა წარმოდგენილი: ვრცელი ტექსტებიდან ყველაზე მეტ სიახლოვეს ერთმანეთთან მცხეთურ-ჯანაშვილისეული ნუსხები ავლენს**, მაგრამ არა იშვიათად მცხეთური ნუსხა იერუსალიმურს ემხრობა, ხოლო ჯანაშვილისეული — ათონურს. თვითონ ათონური ნუსხა კი ყველაზე სრულადაა მოღწეული და რჩება შთაბეჭდილება, თითქოს იგი საყრდენ ბაზას წარმოადგენდეს დანარჩენი ნუსხებისათვის უშუალოდ თუ შუალობითი გზით.

დასახელებულ საკითხთაგან ყურადღება, პირველ რიგში, მოკლე და ვრცელი რედაქციების ურთიერთმიმართების შესახებ უნდა გავამახვილოთ. ამით წინა პლანზე დგება ორი მეტად საჭირბოროტო საკითხი:

1) ბიბლიური ტექსტის მოკლე რედაქციის არსებობა ქართულში, თავის მხრივ, სვამს კითხვას: მოკლე ტექსტი საყურადღებო ქართული მოვლენაა, თუ მას უცხო ტექსტებშიც ეძებნება პარალელი.

2) რომელი უსწრებს ქრონოლოგიურად, მოკლე — ვრცელს, თუ პირიქით: ჯერ არსებობდა ვრცელი და შემოკლება შემდგომი ფაქტია.

---

* სპბასეული ნუსხა, A—51, საერთოდ, ყველაზე მერყეევი ხასიათისაა დასახელებულ ნუსხათა შორის. მის შესახებ იხ. ქვემოთ.

** ქ. ქ ე ქ ე ლ ი ძ ე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1960, გვ. 419..

* * *

როგორც უკვე ვთქვით, იერუსალიმური ნუსხა* მეფეთა წიგნების შემოკლებულ ტექსტს გვაწვდის. ტერმინი „შემოკლებული“ პირველად ნახმარია ამ ნუსხის ბლეიკისეულ აღწერილობაში: „ხელნაწერი შეიცავს I—IV მეფეთა წიგნების შემოკლებულ ტექსტს“**.

ეს ტერმინი ჩვენ მიერ პირობითად არის ნახმარი, რადგან ჯერჯერობით მაინც ჭირს გადაჭრით თქმა იმისა, მოკლე რედაქცია მართლაც რომელიმე ერცელი ტექსტის შემოკლებას წარმოადგენს, თუ იგი თავიდანვე ამ სახით არსებობდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, შემოკლებული ტექსტი არაა მხოლოდ ქართულისათვის დამახასიათებელი მოვლენა. იგი დადასტურებულია LXX ბევრ რედაქციაში და მას ტექსტის არქაულობის ერთ-ერთ ნიშნადაც ასახელებენ. თვით Codex Vaticanus-იც, რომელიც LXX ძირითად ტექსტადაა აღიარებული, LXX-ვე სხვა რედაქციებთან შედარებით საგრძნობლად შემოკლებულ ტექსტს გვაწვდის***. განსაკუთრებით აღსანიშნავია I მეფ. 17,12—32; 41—42; 17,55—18,6 მონაკვეთები, რომლებიც ვატიკანურ ნუსხას აკლია. მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით**** ამ მონაკვეთების ამოღება ტექსტიდან ჯერ კიდევ ადრეულ ხანაში, სეპტუანტის ხელნაწერების სხვადასხვა რედაქციულ ჯგუფებად დაყოფამდე უნდა მომხდარიყო. საერთოდ, ვატიკანურ ნუსხაში შემოკლების 240-მდე შემთხვევა შეინიშნება, რომელთა უმრავლესობაც აგრეთვე განიხილება როგორც ტექსტის ძველი ვითარების გამოხატულება*****.

სამწუხაროდ, იერუსალიმური რედაქცია არა იმ ტიპის შემოკლებულ ტექსტს გვთავაზობს, როგორიც ვატიკანურ ნუსხაშია დაცული. იერუსალიმური რედაქციის ჩვენება უფრო LXX სხვა ნუსხების სასარგებლოდ ლაპარაკობს, კერძოდ იმ ნუსხებისა, რომლებიც LXX კემბრიჯულ გამოცემაში cdx ლიტერებითაა აღნიშნული. დასახელებული გამოცემიდან აშკარად ჩანს, რომ cdx ლიტერების ქვეშ ნაგულისხმევი ტექსტები ერთმანეთისაგან სხვაობს: cx თითქმის ყოველთვის ერთნაირ სურათს აჩვენებს და ცალკე დგას, ხოლო d — ცალკე. ტიპიური მათ შორის ის არის, რომ როგორც ერთგან, ისე მეორეგანაც უხვადაა წარმოდგენილი შემოკლებული ადგილები, თუმცა შემხვედრი მომენტები მათ შორის ძალზე ცოტაა.

---

* ნუსხების აღსანიშნავად გამოყენებულია ლიტერები: O-ათონური ნუსხა, ოშკს გადაწერილი 978 წ., J-იერუსალიმური ნუსხა, J—113; F-ჯანაშვილისეული ნუსხა, A—646. S-სამასეული ნუსხა, A—51.

** Catalogue des Manuscrits Georgiens de la Bibliothèque patriarcale grecque a Ierusalem par R. P. Blake, Paris, 1924.

*** The Old Testament in Greek,... edited by Alan England Brooke, Norman McLean and Henry St. John Thackeray, Cambridge at the University Press, 1927.

**** Johnson, Die Hexaplarische Rezension des I Samuelbüches der Septuaginta, Lund, 1963. გვ. 118; საკითხის დასმისათვის იხილე. Beiträge zur Text- und Literarkritic sowie zur Erklärung der Bücher Samuel von Norbert Peters. Freiburg im Breisgau. 1899; Der Text Bücher Samuelis, untersucht von Julius Wellhausen, Göttingen, 1871. Die Bücher Samuel, erklärt von O. Thenius. Leipzig, 1898.

***** Johnson, დასახ. ნაშრომი, გვ. 55.

cdx ნუსხებს Johnson-ი შემდეგნაირად ახასიათებს: „d-ში მ[illegible] წაკითხვები დიდი რაოდენობითა გვაქვს წარმოდგენილი. ეს ხელნაწერი, განსაკუთრებით სამოელის I წიგნის ბოლოში, ტექსტის მუდმივი გამოტოვების მეშვეობით, განზრახ ცდილობს მის შემოკლებას. cx-იც აგრეთვე გამოტოვებული მონაკვეთების დიდ რაოდენობას უჩვენებს, რომელთა ერთი ნაწილი აქაც განზრახ ჩანს გაკეთებული, მაგრამ ხშირად ისინი წარმოშობილია გადაწერის პროცესში მსგავსი კიდურწერილობის საფუძველზე“*.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საყურადღებოა, რომ მსგავსი ფაქტები იერუსალიმურ რედაქციაშიც დასტურდება. ვნახოთ, რა სურათს გვაძლევს ამ მხრივ ფაქტობრივი მასალა; პირველ რიგში, დავიმოწმოთ ის ნიმუშები, რომელთა მიხედვითაც ბერძნულისა და ქართულის შემოკლებული ადგილები ერთმანეთის თანხვდენილია: I მეფ. 17, 42. cx აკლებს დავითის გარეგნულ დახასიათებას: καὶ αὐτὸς πυρράκης μετὰ κάλλους ὀφθαλμῶν. ეგევე მონაკვეთი გამოტოვებულია J ნუსხაშიც, მაგრამ ქართულის სხვა ნუსხებში იგი თავის ადგილასაა:

J	F
და ვითარცა იხილა დავით, შეურაცხ-ყო.	და ვითარცა იხილა უცხოთესლმან მან გოლიად[1] დავით[2] ჭაბუკი[3] შუენიერი, წითური[4] და გრემანი[5], შეურაცხ-ყო იგი.

I მეფ. 17, 50 cx-ი აკლებს: ἐν τῇ σφενδόνῃ καὶ ἐν τῷ λίθῳ καὶ ἐπάταξεν τὸν ἀλλόφυλον καὶ ἐθανάτωσεν αὐτόν:

J	FS
და განძლიერდა დავით და მახჳლი არა აქუნდა.	და განძლიერდა დავით უფროჲს უცხოთესლთა მათ ზედა მას დღესა შინა, რამეთუ შურდლითა და ქვითა მოკლა უცხოთესლი იგი და მახჳლი, საჭურველი და ჰოროლი არა აქუნდა მას.

I მეფ. 28, 3: ამ მუხლში სამოელის სიკვდილის ამბავს, მის დატირებასა და დამარხვას, რომელიც სხვაგან ვრცლადაა წარმოდგენილი, cx ასე გადმოსცემს: καὶ ἐγένετο ἐν τὸ ἀπεθανεῖν τόν Σαμουήλ.

J	FOS
ხოლო მოკუდა რაჲ სამოელ...	და მოკუდა სამოელ და დაიტყება ყოველმან ისრაჱლმან და დაჰფლეს იგი არმათემს ქალაქსავე თჳსსა...

II მეფ. 13,33 მუხლი მთლიანად აკლია როგორც cx-ს, ისე J ნუსხასაც, მაგრამ ყოველთვის ასე როდია; გვაქვს ისეთი შემთხვევებიც. როცა cx-ისა და J ნუსხის ჩვენება ერთმანეთს სცილდება: I მეფ. 17, 14cx-ს მთლიანად აკლია, J-ში კი მუხლის დასაწყისი მოცემულია: „და დავით უმრწემესი იყო J; შდრ. და დავით უმრწემესი მათსა და ესე სამნი მივიდეს საულისსა“ FOS. ასევე I მეფ. 17,55 —

* Johnson, დასახ. ნაშრომი, გვ. 70.

[1] გოლიად]—S. [2] დავით]+რამეთუ S. [3] ჭაბუკი]+იყო S. [4] შუენიერ, წითურ S. [5] და გრემანი]—S.

56 მუხლები cx-ში მთლიანად გამოტოვებულია; ამათგან 17, 55 იერუსალემურს აქვს, ხოლო 17, 56 მართალია, მასაც აკლია, მაგრამ იერუსალემური აქ მარტო აღარ არის, ეს მუხლი აკლია აგრეთვე ჯანაშვილისეულ რედაქციასაც.

როგორც ზემოთაც ვთქვით, J რედაქცია არა იშვიათად ბერძნულის d ნუსხის ჩვენებასაც ემხრობა. ასე მაგალითად: II მეფ. 16,6 მუხლიდან d აკლებს შემდეგ მონაკვეთს: καὶ πᾶς ὁ λαὸς καὶ πάντες οἱ δυνατοὶ ἐκ δεξιῶν αὐτοῦ καὶ ἐξ εὐωνύμων τοῦ βασιλέως:

J	FOS
და ქვითა ესროდა დავითს და მოწათა მისთა.	და ქვითა ესროდა დავითს და ყოველთა[1] მონათა მისთა, რომელ მის თანა იყუნეს და ყოველი იგი გუნდი მბრძოლთაჲ მათ კაცთაჲ მარჯულ და მარცხლ ვიდოდეს მეფისაჲ.

ანალოგიური სურათია შემდეგ მაგალითებშიაც:

I მეფ. 14, 6: τὸ αἷρον τὰ σκευή dJ-ის აკლა, მაგრამ: რომელსა აქუნდა საჭურველი მისი FOS.

II მეფ. 2, 2: Ἀχινάαμ ἡ Ἰσραηλίτις καὶ Ἀβιγαία ἡ γυνὴ Ναβαλ τοῦ καρμηλίτου dJ-ს აკლა, მაგრამ: „აქინამ ისრაიტელი და აბიგა» ცოლი ნაბალისი კარმელელისაჲ“ FOS და სხვ.

როგორც ვხედავთ, cdx ნუსხებთან შემხვედრი მომენტები J რედაქციაში არც თუ ისე უმნიშვნელოა. ამას უნდა დავუმატოთ cx ნუსხების ზოგიერთი თავისებურება, რომელსაც J რედაქციაც უნდა ეზიარებოდეს, კერძოდ:

ა) cx ცდილობს ძველი ტექსტის ენის გამარტივებას:

I მეფ. 1, 1: ἄνθρωπος] ἀνήρ cx
7, 1: ἀναγυσιν] αἱρουσιν cx
8, 4: παραγίνονται] ἔρχονται cx
11, 10: ἐνώπιον] ἐν ὀφθαλμῖς cx და სხვ. არაიშვიათად ანალოგიურ ფაქტებთან გვაქვს საქმე J რედაქციაშიც, სახელდობრ, ასეთებად მიგვაჩნია:

I მეფ. 15, 9: შეურაცხი FOS] უძლური J
15, 17: უმრწემესი FOS] უმცირესი J
17,5: სასწორი FOS] სიმძიმე J.
17,28: დაჰვედრენ FOS] დაგიტევებიან J
II მეფ. 2, 22: შევადგნე თუალნი FOS] შევხედნე J
13, 11: დაწანება O] დაწოლა J
18, 17: ღუერფი O: ღუელფი F: ღუერთი S] გორი J
20, 10: უბე OS] მუცელი J

და სხვა.

---

[1] ყოველთა]+მათ O. [2] რომელ—მეფისა] და ყოველი გუნდი მიეიდოდა მარჯულ (მარჯუნით S) და მარცხლ (მარცხენით S) მეფისა FS.

ბ) უძველესი ნუსხები, Codex Vaticanus-ი (IV ს.) და Cod. Sinaiticus-ი (V ს.), როგორც წესი. დაყოფილია სვეტებად, ხოლო cx, გვიანდელი ხელნაწერების ჩვეულებისამებრ, არაა სვეტებად დაყოფილი.

სვეტებად დაყოფა არა გვაქვს J ნუსხაშიც.

და ბოლოს, თარიღის საკითხი. cdx ქრონოლოგიურად ასე ლაგდება: x — მეთორმეტე საუკუნის ხელნაწერია, d — მეთოთხმეტესი, ხოლო c — მეხუთმეტესი. რაც შეეხება J ნუსხას, იგი ა. ცაგარელისა* და რ. ბლეიკის** აღწერილობების მიხედვით, XIII — XIV საუკუნეებით არის დათარიღებული.

ამრიგად, თითქოს საკმაო საფუძველი მოგვეპოვება იმისათვის, რომ ქართულში დადასტურებული მეფეთა წოგნების მოკლე რედაქცია ბერძნულის cdx ნუსხებს დავუკავშიროთ. სამწუხაროდ, საქმე ასე მარტივად არ წყდება. როგორც ეს ზემოთ დამოწმებული ფაქტიური მასალიდანაც ჩანდა, J რედაქცია ვერ იჭერს მყარ პოზიციას ბერძნულის cdx ნუსხების მიმართ; იგი ხან cx-ს ემხრობა, ხან d-ს. ეს ნუსხები კი ტექსტობრივად ერთმანეთისაგან სხვაობს. ესეც რომ არ იყოს, ქართული მოკლე რედაქცია უხვად გვაწვდის შემოკლებულ მონაკვეთებს სწორედ იქ, სადაც cx და d ნუსხები, ჩვეულებრივ, სრულადაა წარმოდგენილი: ქართულ ტექსტში შემოკლების სამასზე მეტი შემთხვევა დავადასტურეთ, ხოლო ამ უკანასკნელის cdx-თან შემხვედრი მომენტების ზემოთ მოყვანილ რაოდენობას ბევრს ვერაფერს დაუმატებთ. ამის გამო cdx ნუსხები ვერ ჩაითვლება იერუსალიმური მოკლე რედაქციის წყაროდ; მაგრამ აქვე ყურადღებას იქცევს ერთი გარემოება: cx ნუსხები მიჩნეულია LXX ალექსანდრიულ ვერსიასთან ახლო მდგომ ტექსტებად***. ალექსანდრიული ვერსია კი, თავის მხრივ, LXX ვატიკანურ რედაქციასთან შედარებით, თვალსაჩინოდ უახლოვდება ებრაელის მასორეტულ ტექსტს****. აღნიშნულის გამო განსაკუთრებული ყურადღება გვამახვილებინა იმ მონაკვეთებზე, რომლებიც მასორეტულ ტექსტს აკლია*****. შედარებამ გაარკვია, რომ მხოლოდ ორგან ემთხვევა ებრაელისა და ქართულის ნაკლული ადგილები ერთმანეთს, დანარჩენ შემთხვევაში ებრაელის ნაკლული ადგილები, LXX მსგავსად, ქართულშიც წარმოდგენილია. აი ის ორი შემთხვევაც: ა) II მეფ. 11, 22; ებრაელსა და ქართულის მოკლე რედაქციაში გამოტოვებულია ერცელი მონაკვეთი „რად ეგოდენ ურიდად მახლობელად შეუკვდით ბრძოლად ზღუდესა მას მის ქალაქისასა? ანუ თქუენ არა უწყოდეთა, რამეთუ დიდიმცა ვნებაჲ გაენეს ზღუდით გარდამო მათ? ვინ მოკლა აბიმელექ ძე იორობოალისი, ძისა ნერისი? არა დედაკაცმან ერთმან ნატეხი საფქვილისა გარდამოსტყორცნა ზღუდით გარდამო და მოკლა იგი მუნვე თებეს; აწ რაჲსათჳს ეგოდენ შეეახლენით ზღუდესა მას მის ქალაქისასა?“ O. ბ) II მეფ. 13,34: და შემოვიდა ებგური იგი და უთხრა მეფესა და ჰრქუა: ხილვით ვიხილე გზასა მას სორემისასა მთით კერძო, რამეთუ გუნდი ერთი შთამოვიდოდა“ O.

ამრიგად, განხილული მასალა საბოლოოდ ასეთ სურათს ქმნის: ქართულ მოკლე ტექსტს საერთო მომენტები აქვს როგორც cdx, ისე მასორეტულ ტექს-

---

* А. А. Цагарели, Сведения о памятниках грузинской письменности, вып-II, Санкт-Петербург, 1889.

** R. P. Blake, დასახ. ნაშრომი.

*** Johnson, დასახ. ნაშრომი, გვ. 76.

**** I მეფ. 17, 12—32; 41—42; 17, 55—18,6 მონაკვეთები, რომლებიც ვატიკანურ რედაქციაში არა გვაქვს, აღექსანდრიულში, ებრაელის მსგავსად, მოგვეპოვება.

***** N. Peeters, დასახ. ნაშრომი, გვ. 117—165.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტებთან; ეს მომენტები მხოლოდ სპორადულად გვხვდება და სისტემურ ხასიათს არ ატარებს. ქართულში გვაქვს უამრავი შემთხვევა შემოკლებისა სწორედ იქ, სადაც დასახელებულ ტექსტებში ამას ვერ ვხედავთ.

სავსებით ნათელია, J ნუსხის რედაქტორი რამე ტრადიციისა და საფუძვლის გარეშე, მხოლოდ საკუთარი ინიციატივით, ბიბლიური ტექსტის ასეთ მასიურ შემოკლებას ვერ გაბედავდა. სწორედ ამიტომ ჩნდება ვარაუდი, ხომ არაა რაიმე კავშირი ქართულ მოკლე ტექსტსა და ე. წ. თარგუმებს შორის?

იხილავდა რა ქართული პალიმფსესტების ტექსტსა და ენას და იმ თავისებურებებს*, რომლებითაც პალიმფსესტებში დაცული ტექტი გამოირჩევა, ჯერ კიდევ აკადემიკოსმა ნ. მარმა ივარაუდა ქართული თარგუმების არსებობა. უფრო გვიან აკად. ქ. კეკელიძეც ვარაუდობს, რომ ძველი და ახალი აღთქმის იმ მონაკვეთებში. რომელთაც სამოელ არქიდიაკონი უყვება ევსტათის**, საქმე უნდა გქონდეს ე. წ. თარგუმებთან, ან სირიულთან ან სპარსულთან, შესაძლებელია, ქართულ თარგუმებთანაც და არა ტატიანეს დიატესარონთან და ე. წ. ათი მცნების დიდახესთან, როგორც ამას პროფ. ჰარნაკი ფიქრობს***.

მაინც რის საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ ქართული მოკლე ტექსტის თარგუმებთან კავშირი?

როგორც ცნობილია, თარგუმი უფრო პარაფრაზია, ვიდრე ზუსტი გადმოცემა ტექსტისა: თარგუმისტი ჩვეულებრივ დიდ თავისებურებას იჩენს. ის ბიბლიის ტექსტს ხან უმატებს, ხან აკლებს, ხან ცვლის კი დევაც****.

ანალოგიურ ფაქტებს იერუსალიმურ ტექსტში უხვად ვიპოვით. მაგალითად:

II19, 37: მიაქცია მონაჲ შენჲ ადგიდ თჳს და მივიდე და მოვკუდე მუნვე ქალაქსა ჩემსა და დაეფლა საფლავსა მამისა ჩემისასა, ეგრეცა ძჳ ჩემი აჰნან მივიდეს უფლისა ჩემისა თანა მეფისა და ეც მას, რაცა სათნო იყოს წინაშე თუალთა შენთა.

და ნაცვალად წარმოიყვანა მეფემან მის თანა ძე მისი აჰნან, და მისთჳს იმედი წყალობისაჲ უბრძანა ბერზელის. და ამბორს უყო და განუტევა.

19. 38: მიუგო მას მეფემან და ჰრქუა: ეგრე იყავნ, მოვიდინ ჩემთანა აჰნან ძე შენი და მე ვყო მისთჳს, რაჲცა სათნო მიჩნდეს წინაშე თუალთა ჩემთა და ყოველი რაჲცა მრქუა, ვყო მისთჳს.

---

* ნ. მარი გამოყოფს სამ ძირითად თავისებურებას, რომელთაგანაც ჩვენთვის განსაკუთრებით საჯულისხმოა მესამე, რომ პალიმფსესტური ვერსია «представляла перевод с сокращениями в котором бросается в глаза использование живой речи». Н. Марр, О кавказской версии библии в грузинских палимпсестных фрагментах: ТР по кавказской филологии. Т. 1, 1925, Ленинград, стр. 50 — 65.

** მარტჳლობაჲ და მოთმინებაჲ წმიდისა ევსტათი მცხეთელისაჲ: ძვ. ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, 1, შედგენილი ს. ყუბანიშვილის მიერ, 1945, თბ., გვ. 49—52.

*** კ. კეკელიძე, ძვ. ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1960, გვ. 514.

**** O. Eissfeldt, Einleitung in das Alte Testament, Tübingen, 1964, გვ. 949—950. კ. კეკელიძე, ძვ. ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, გვ. 514 — 515.

ეროვნული ბიბლიოთეკა

II 19, 39: და ერი იგი ყოველი წიაღ-მოჴდებოდა იორდანესა და მეფ‹ჱ›ცა წიაღ-მოსრულ იყო და დგა კიღესა მდინარისასა. და პირსა აყოცა მეფეშან ბერზელის და აკურთხა იგი და მიაქცია ბერზელი უანად თჳსა.

აქ მოყვანილი მაგალითი საუკეთესო ნიმუშია პარაფრაზისა, (იხ. ავრეთვე I. 23, 20—23 მუხლები, რომლებიც J რედაქციაში ნებისმიერადაა გადასმულ-გადმოსმული, ანდა ივივე პარაფრაზის ნიმუში: II, 25, 17—20; II, 25, 25 და სხვა).

შემოკლებულ მონაკვეთებს ხომ J რედაქციაში სათვალავი აღარა აქვს. ჩვენ ვცადეთ ზოგიერთი იმ მიზეზის ახსნა, რომელსაც შემოკლება უნდა გამოეწვია და მისი დაკავშირება „თარგუმისტის“* თვალსაზრისთან, ე. ი. რატომაა რომ შემოკლებას მთლიანად ესა თუ ის მუხლი კი არ განიცდის, არამედ მისი მხოლოდ გარკვეული ნაწილი და რით შეიძლება გავამართლოთ ეს?

არაშეცვალოთად შეინიშნება, რომ შემოკლებულია ტექსტის ის ნაწილი, რომელიც თითქმის, ან რამდენადმე მაინც, იმეორებს წინამდებარე მუხლისეულ თხრობას, ურომლისოდაც ტექსტის შინაარსობრივი მთლიანობა არ ირღვევა, ხოლო ზოგ შემთხვევაში იგი უფრო დახვეწილიც კი ხდება. სხვაგან შემოკლებას განიცდის ამა თუ იმ გეოგრაფიული ადგილის ზედმიწევნითი აღწერა, ანდა როცა ლაპარაკია რომელიმე პირის წარმომავლობის შესახებ და მოცემულია მისი წინაპრებისა თუ ნათესავების ჩამოთვლა: ა) შემოკლებულია გეოგრაფიული ადგილის აღწერა:

J

I, 23, 19: და მოვიდეს ზიფელნი და ჰრჭუეს საულს: დავით დამალულ არს ჩუენ შორის.

FOS

და მოვიდეს ზეფელნი[1] იგი საულისა ბორცუად და თქუეს:[2] აჰა ესერა დავით დამალულ არს ჩუენ შორის, მესერამს ძნელოვანსა მას, ახალთა მათ ოდენ, ბორცუსა მას ქელას, რომელ არს მარჯულიკერძო ესემონსა.

---

* „თარგუმისტსა“ ეხმაროთ პირობითად მოუხერხებელი ტერმინის „შემოკლებელის“ ნაცვლად. აქვე უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ ქართულ თარგუმებზე ლაპარაკის დროს ჩნდება სხვა თარგუმების, პირველ ყოვლისა, არამეული თარგუმების ჩვენებათა გათვალისწინების აუცილებლობაც. სამწუხაროდ, საკითხის ამ მხარის გაშუქება ამჟამად არ ხერხდება; მაგრამ თუ ქართული თარგუმების არსებობას დავუშვებთ, ცხადია, ისინი არსებული ტრადიციის გავლენის გარეშე (უშუალოდ ან უშუალობით გზით) ვერ დარჩებოდნენ. სამეცნიერო ლიტერატურაში დიდი ხანია დგას საკითხი არამეული თარგუმების ურთიერთობისა და გავლენის შესახებ სირიულ პეშიტასა და LXX ე. წ. ლუკიანეს რეცენზიასთან. საკითხის დასმისათვის იხ. : O. Eissfeldt, Einleitung..., გვ. 948.

თუ გავიხსენებთ, რომ ლუკიანეს რეცენზიასთან ქართულ ტექსტსაც მჭიდრო ურთიერთობა აქვს, ხოლო მეორე მხრივ, ვერც სირიულს გამოვრიცხავთ ქართულ თარგმანთან მიმართებით, ვარაუდი შუალობითი გზის შესახებ საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს.

[1] ზიფელნი FS. [2]თქუეს ჰრჭუეს FS.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) შემოკლებულია პირთა ჩამოთვლა:

J	FOS
II. 17, 25: და აბესალომ დაადგინა იოაბის წილ ერისთავად ამესა ძე იეთერ ისრაწტელისაჲ.	და ამესა[3] დაადგინა აბესალომ ერისთავად[4] იოაბის წილ[5], ერსა თჳსსა[6] ზედა ხოლო ამესა იყო ძე იეთერის[7] ისრაიტელისაჲ, რომელ-იგი[8] მოვიდა აბიგეაჲსთჳს, ასულისა მის[9] იესწსისა, დისა შაროველისაი[10], დედის[11] დისა მის[12] იოაბისი[13].

მოვიყვანოთ კიდევ რამდენიმე ნიმუში მექანიკური შემოკლებისა.

II, 7, 29: და აკურთხე სახლი მონისა შენისაჲ.	და აწ იწყე დაკურთხე[14] სახლი[15] მონისა შენისაჲ, რაჲთა ეგოს უკუნისამდე წინაშე შენსა, რამეთუ შენ უფალი იტყოდე და კურთხევითა შენითა იკურთხენ სახლი მონისა შენისაჲ უკუნისამდე.
II, 9, 5: და წარავლინნა დავით.	და წარავლინა მეფემან დავით[16] და წარმოიყვანა[17] იგი სახლისა[18] მისგან[19] მაქირისა, ძისა ამიელისაჲ[20], ლადაბარით[21].
II, 11, 10*: მიუგო დავით: არა გზით მოსრულ იყავა, რად არა შეხუედ სახიდ შენდა?	და უთხრეს[22] დავით[23] მეფესა[24], ვითარმედ[25] ურია არა მივიდა[26] სახიდ თჳსა[27]. მიუგო დავით ურიას და ჰრქუა[28]: არა გზით მოსრულ იყავა[29] შენ, რად არა შეხუედ სახიდ შენდა?
II, 17, 24: ხოლო დავით მიიწია საბანაკესა თჳსსა.	და დავით მივიდა და მიიწია[30] საბანაკესა თჳსსა და აბესალომ წიაკჭდა იორდანესა მდინარესა, იგი თავადი[31] და ყოველი ისრაწლი მის თანა[32].

---

[3] აბესა S. [4] ერისთავად აბესალომ S. [5] იოაბის წილ — FJ ნაცვალად იოაბისა S. [6] თჳსსა] მას F. [7]~ძე იეთერისი იყო FS. [8] რომელ-იგი]რომელი. FS. [9] მის]-FS [10] შარუელისა~FS [11] დედისა FS. [12] დისა მის]— FS. [13] იოაბისა O. [14] იწყე და]— FS. [15] სახლი]+იგი O. [16]~დავით მეფემან FS. [17] წარმოიყვანეს FS. [18] სახლით S. [19] მისგან —S. [20] სახლისა — ამიელისა]—F. [21] ლადაბარით] გაბარეველისა S. [22] და უთხრეს]მოუთხრეს S. [23] დავითს OS. [24] მეფესა]— S. [25] ვითარმედ] რამეთუ S. [26]~არა წარვიდა ურია S. [27] თჳსა]+და S. [28] და ჰრქუა]— S. [29] იყავა] ხარა S. [30] და მიიწია]— FS. [31] იგი თავადი]—S. [32] იგი თავადი—მის თანა]—F.

* II შეფ. 11, 10 შეხლი F ნუსხას აკლია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოკლების თავისებური ხერხია გამოყენებული, როცა ამა თუ იმ მონაკვეთის მთლიანად ამოგდება არ ხერხდება, მაგრამ მისი შედარებით მოკლედ გადმოცემა კი არის შესაძლებელი. შედეგი მეტად თვალსაჩინოა და ბევრჯერ საგულისხმოც:

J	FOS
II, 3, 35: ...ვიდრე არა დაჰქდეს მზე, არარაჲსა გემოჲ ვიხილო.	...ვიდრე არა დაჰქდეს მზჱ, არა ვიხილო მე გემოჲ პურისაჲ და არცა სხჳსა რაჲს ჭამადისაჲ[33].
5, 2: ...ოდეს საულ მეფობდა ჩუენ ზედა.	...გუშინ და ძუღუანცა, წარსრულთა მათ ჟამთა[34], ვიდრე საულ მეფე[35] ცოცხალ-ღა[36] იყო[37].
6, 23: და მელქოლ ეგო უშვილოდ სიკუდილადმდე.	და მელქოლს[38], ასულსა საულისსა, არა[39] ესუა შვილი ვიდრე დღედმდე სიკუდილისა მისისა[40].
11, 25: ნუ შესწუხნები მაგის საქმისათჳს.	ნუ მძიმე[41] რაჲ[42] გიჩნ[43] თუალთა შენთა[44] საქმჱ იგი[45].
13, 14*: და არა ისმინა ამნონ...	და არა უნადა ამნონს სმენა ჴმისა მისისაჲ...
14, 21: მომიმდაბლებიეს ნედა.	ეგერა[46] ნება გიყავ[47] შენ სიტყუაჲ ესე[48], რომელი მარქუ მე[49].
16, 7: და ესრეთ სწყევდა.	და[50] სემიე[51] ესრეთ იტყოდა წყევასა მას მისსა.

და სხვა მრავალი, რომელთა უბრალო ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანდა. ანალოგიური მოვლენები მეფეთა პირველი ორი წიგნის მთელი ტექსტის მანძილზე შეინიშნება: ვრცელი რედაქციებისათვის დამახასიათებელ თხრობის სიუხვეს ამა თუ იმ საგნისა ან მომხდარი ამბის დაწვრილებით აღწერა-გადმოცემისას, იერუსალიმურ რედაქციაში უპირისპირდება მეტად ძუნწი და ლაკონიური თხრობა. როგორც წესი, დანარჩენი რედაქციები თითქმის ყოველთვის სრულია, იერუსალიმური კი — მოკლე; დაუფარავი ლტოლვა სიმოკლისა და ლაკონიურობისაკენ იერუსალიმური რედაქციის ერთ-ერთ მთავარ ნიშნად უნდა ჩაითვალოს. ჩვენი ტექსტის მისწრაფება სიმოკლისაკენ თავს იჩენს თითქმის ყველგან; სადაც კი ტექსტი ამის საშუალებას იძლევა. ასეა ეს ე. წ. სინონიმურ პარალელიზმებთან დაკავშირებითაც**; ვრცელი რედაქციები საერთოდ, განსაკუთრებით კი ოშკური „სინონი-

[33] ვიდრე-ჭამადისაჲ] უკუეთუ ვჭამო პური გინა სხუაჲ რაჲმე ვიდრე მწუხრადმდე S, ხოლო მან არა ინება ვიდრე მწუხრადმდე F. [34] გუშინ—ჟამთა]—FS. [35] მეფე]—F. [36] ცოცხალ-ღა]—S. [37] იყო] + ჩუენ ზედა S. [38] მელქულს O. [39] არა] არღარა FS. [40] დღედმდე — მისისა] სიკუდიდმდე მისა FS. [41] ნუ მძიმე] უმძიმეს S. [42] რაჲ]—FS. [43] გიჩს F, გიჩნს S. [44] თუალთა შენთა]—FS. [45] საქმე ეგე FS. [46] ეგერა]—FS. [47] გეყავნ FS. [48] შენ-ესე] სიტყჳსაებრ შენისა FS. [49] რომელი მარქუ მე]—FS. [50] და]—S. [51] სემეი FS

* II, 13, 14]—F, S ნუსხა J-თან დგას.

** საკითხის დასმისათვის იხილე: ა. შანიძე, გიორგი მთაწმიდლის ენა იოვანესა და ეფთვიმეს ცხოვრების მიხედვით: იოვანესა და ეფთვიმეს ცხოვრება, ტექსტი გამოსაცემად დაამზადა ივ. ჯავახიშვილმა ა.თბ., 1946, გვ. 80; შ. ძიძიგური, ცნება სინონიმური პარალელიზმისა, აკად. მოამბე, II, №7, 1941, გვ. 689.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მური პარალელიზმის“ საკმაოდ მდიდარ მასალას გვაწვდიან. J რედაქცია აქაც, გარდა ზოგიერთი გამონაკლისისა, კენტ სინონიმს გვაძლევს. მაგალითად:

J	FOS
I. 10, 27 დუმნა	დუმნა და არას[52] იტყოდა
11, 4 ზრუნვიდა	ტიროდა და იუვოდა
14, 46 აღიჭურნეს	აღიმჭედრნეს და აღიჭურნეს[53]
17, 35 მოვაკუდინი	შეემსური და მოვკლი
26, 24 განმარინენ	მიჭსენინ მე და განმარინენ
28,2 ჭელმწიფე გყო შენ	ჭელმწიფე გყო შენ და უფალ[54]
II. 3, 6 მფლობელ	მფლობელ და[55] ჭელმწიფე
5, 12 დავამკჳდრნე	დავამტკიცნე და დავამკჳდრნე
10,8* განეწყვნეს	განემზადნეს და[56] განეწყვნეს
II. 11, 15 მოკლან	წყლან და მოკლან
15,19 მწირი	უცხოჲ და მწირი
16, 10 მწყევდეს	მგმობს და[57] მწყევს[58]
24.2 აღრაცხეთ	აღრაცხეთ და[59] აღთუალეთ
	და სხვა.

მაშასადამე, მოკლე ტექსტი, რომელსაც იერუსალიმური რედაქცია წარმოგვიდგენს, არაა მხოლოდ ეროვნული ტექსტის მექანიკური შემოკლების შედეგი. მრავალ შემთხვევაში მოკლე ტექსტი ამ რედაქციის სტილისტური თავისებურებითაც არის გაპირობებული. მექანიკური შემოკლება სტილისტური თავისებურების განსახორციელებლად ჩანს გამოყენებული.

სწორედ სტილისტური ნიშნით უნდა აიხსნას ისეთი ტექსტუალური განსხვავებებიც, როგორიცაა:

J	FOS
I. 13, 10 მოღებად მისგან კურთხევისა	რაჲთამცა აკურთხა იგი სამოელ[60]
20,7 აღსრულებულ არს სიბოროტე მისი	უწყოდე, რამეთუ ყოვლად ბოროტი ჰნებავს
23, 15 გამოსრულ არს საულ ძიებად მისდა	ეძიებს მას საულ
II. 1, 2 ...მოიწია კაცი ერთი... კუართ დაპებული და მიწა გარდასხმული	...მოვიდა კაცი ერთი, ...რომელსა კუართი დაეპო და მიწაჲ გარდაესხა თავსა მისსა.
2, 1 უკუეთუ აღვიდე ან კიდევ:	ეგებოს თუ რაჲმე[61] ჩემდა აღსლვად
I. 10, 2 იხარებდენ	და იწყონ ვლდომად
12, 15 და არა ერჩდეთ ბრძანებათა მისთა	და მჭდომად აღუდგეთ მცნებათა მისთა
	და სხვა.

[52] არა FS. [53] აღიმჭედრნეს და შეიჭურნეს FS. [54] ~ჭელმწიფე და უფალ გყო შენ F, ჭელმწიფედ უფალ გყო შენ S. [55] მფლობელ და] — FS. [56] განემზადნეს და] — S. [57] მგმობს და]—FS [58] წწყევდეს FS. [59] და]—O. [60] სამოელ]—S. [61] ეგებოს თუ რაჲმე] ჯერ თუ არს FS.
* II, 10, 8]-F.

განსხვავება მოკლე და ვრცელ რედაქციებს შორის გატარებულია ლექსიკის სფეროშიც. როგორც წესი, მოკლე რედაქცია სხვა სინონიმს ხმარობს, ვრცელი კი — სხვას. თქმულის დასადასტურებლად აღრიცხულია სამასამდე შემთხვევა. დავიმოწმოთ ზოგი მათგანი:

J		FOS
I.	9, 20 აღგუალე	აღვედ[62]
	10, 2 შუადღე	სამხრის[63]
	11, 15 შარავანდედი	მეფე
	14, 25 სამხრობა	სადილობა
	14, 45 ლხინება	შენდობა
	17, 5 ჩაფხუტი	ჩაბალახი
	17, 40 ჭევი	რიყე
	19, 10 განწონა	შემშჭუალვა
	28, 1 გუნდი	ერი
	31, 4 მონა	მენიჯოგე[64]
II.	1, 12 გოდება	ტყება
	4, 4 მკელობელი	შეხამებული ფერკითა
	6, 5 ახიობა	სიღოდა[65]
	7, 23 მოგება	მოპოვება
	11, 20 უწესო	უსაზომო
	12, 1 საბჭო	სამჯელი
	13, 3 მეგობარი	მოყუასი
	13, 27 სერი	შუება
	15, 24 მღდელი	ლევიტელი
	16, 2 ტკრთი	აღსაგებელი
	18, 17 აღგება	აღშფნება
	19, 43 წუნობა	შეურაცხ-ყოფა
	21, 10 გარდამოსლვა	გარდამოტევება
	24, 10 შეწუხება	შეჰუვება და სხვა.

ასეთია ის საერთო სურათი, რომელსაც მოკლე და ვრცელი რედაქციების შედარება გვაძლევს. მაგრამ სურათი ბოლომდე უცვლელი როდია. გზადაგზა გვხვდება ისეთი ფაქტებიც, რომლებიც ნუსხათა ურთიერთგავლენის, ამ ნუსხებზე სხვადასხვა ეპოქისა და რედაქტორის ზემოქმედების ნაყოფი ჩანს. არც თუ იშვიათად ვრცელი რედაქციის რომელიმე ნუსხა მოკლეს ემხრობა, ანდა მოკლე რედაქციის ესა თუ ის მონაკვეთი სრულადაა წარმოდგენილი, ხოლო ვრცელისა, პირიქით, შემოკლებულია. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს საბასული ნუსხა (A—51), რომელიც მკვეთრად გამოირჩევა თავისი მერყეკი ხასიათით.

ცნობილია, რომ S ნუსხა ტექსტობრივად ყველაზე ახლოს F-თან დგას. მაგრამ გვაქვს ისეთი შემთხვევებიც. როდესაც S-ი F-ს შორდება და მოკლე რედაქციის გვერდით დგება. S ნუსხის ამგვარი პოზიცია განსაკუთრებით თვალში საცემია იქ, სადაც F ნუსხა ნაკლულია*. აღნიშნულ ადგილებში S ნუსხა

[62] აღვედ]—S. [63] სამხრით FS. [64] მენიჯოგრე F, მენიჯგრე S. [65] სიღოდა] სახიობა FS.

* ეს მონაკვეთებია: I მეფ. 14, 30–39; II მეფ. 6, 5–20; 10—11,11; 12, 9–25; 13, 11–26.

თითქმის სიტყვასიტყვით მისდევს იერუსალიმურ რედაქციას და ოშკისაგან სხვაობს. ეს ფაქტი, ვფიქრობთ, ერთხელ კიდევ ამაგრებს იმ მოსაზრებას, რომ-საბას, მცხეთური ბიბლიის რედაქტირების დროს, ოშკური ტექსტი ხელთ არა ჰქონდა* ′. სხვაგვარად ძნელი ასახსნელია, რატომ ანიჭებს საბა უპირატესობას იერუსალიმურ რედაქციას მხოლოდ მითითებულ მონაკვეთებში და ოშკურს უარყოფს. დავიმოწმოთ მაგალითები:

JS	O
II, 10, 9 ვითარცა იხილნა იოაბ რამეთუ განწყობილ იყვნეს პირის-პირ მათსა, გამოირჩინა ყოველნი ჭაბუკნი ძლიერნი ძეთაგან ისრაჱლი-სათა და განაწყო პირისპირ ასურთა მათ.	ვითარცა იხილნა იგინი იოაბ, რა-მეთუ განწყობილ-განმზადებულ იყ-ვნეს პირისპირ განსაწყობელსა მას წინა კერძო და უკუანა კერძო მისა, წარაჩინა ყოველი იგი ერი ჭაბუკრო-ვანი ძეთა მათ ისრაჱლისათაჲ და მოვიდა და განაწყო პირისპირ ასურ-თა მათ.
II, 12, 22 მიუგო დავით: ვიდრე ცოცხალ იყო, ვწუხდი, რაჲთამცა წყალობაჲ ეყო ღმერთსა და ეცხოვ-ნა ყრმაჲ იგი	მიუგო დავით და ჰრქუა: ვცოდე! ვიდრე ცოცხალ-ღა იყო ყრმაჲ იგი, ვწუხდ და ვტიროდე-მეთქი: გინც ხოლო წყალობაჲ ყოს უფალმან და ცხოვნდეს ყრმაჲ იგი.

ანალოგიური სურათია II. 12, 18; 12, 23; 13, 11; 13, 13—14; და სხვა.

აღნიშნულ მონაკვეთებში JS ნუსხები ისეთ ლექსიკურ თუ ფრაზეოლოგიურ ერთეულებსაც გვაწვდის, რომლებიც ოშკური ნუსხისათვის ან უცნობია, ან მათ ნაცვლად იგი სხვას წარმოგვიდგენს:

II. 6, 5 ახიობითა J: სახიობითა S] სიღოდითა მემღერთაჲთა O.
6, 6 შეხარა JS] შეყარა O.
6, 17 კარავსა JS] ადგილსა O.
10, 5 განკიცხულ JS] გინებულ O.
10, 6 განიკიცხნეს JS] იგინნეს O.
10, 13 შეამტკუეფრა J: შეამტკუებარა S] შეკრიბა ზუფად O.
10, 17 ესმა JS] აგრძნა O.
11, 3 მოყვანებად სცა JS] მოძიებად სცა O.
11, 4 განბანილ იყო წესისაგან JS] განბანილ იყო არაწმიდებისაგან O.
11, 6 მსწრაფლ JS] ადრე O.
13, 11 დაწოლა JS] დაწანება O.
13, 23 მიხადნა JS] მიიწანნა O.
13, 25 ევედრებოდა JS] აიძულებდა O.

ერთგან JS ნუსხებში საერთო მცდარი წაკითხვაც კი გვაქვს:

II. 13, 11 შეიყუარა JS] შეიპყრა O. როგორც კონტექსტი, ისე ბაქარიცა და ბერძნულ-სომხურიც აღნიშნულ ადგილას „შეიპყრა“ წაკითხვას უჭერს მხარს: ἐπελάβετο: բուռնեհար: შეიპყრა B.

* Н. Я. Марр, Эчмиадзинский фрагмент древне-грузинской версии Ветхого Завета, ХВ, т. II, стр. 378.

საყურადღებოა, რომ მსგავსი დამთხვევა JS ნუსხებს შორის დროდადრო შეინიშნება იქაც კი, სადაც F ნუსხას აღარ აკლია, მაგრამ S ნუსხის ნდობაც მაინც ვერ იმსახურებს. სხვათა შორის, ეს ეხება იმ მონაკვეთებს, რომლებშიც F ნუსხა იერუსალიმურთან შედარებით თვალსაჩინოდ სცილდება სტანდარტულ ტექსტს (შდრ. II. 14, 20; 15, 4) და სხვა.

მაშასადამე, საბასეული ნუსხა ბევრ შემთხვევაში J ნუსხას იყენებს როგორც საკნტროლო საშუალებას. უფრო მეტიც, საჭიროებისდა მიხედვით S ნუსხა არა მარტო ერთი, არამედ რამდენიმე ნუსხის ჩვენებასაც კი ითვალისწინებს. იშვიათი როდია ისეთი ნიმუშები, რომლებიდანაც რჩება შთაბეჭდილება, რომ საბასეული ტექსტი ერთსა და იმავე მუხლში, სულ ცოტა, ორი სხვადასხვა ნუსხა არა მარტო ერთი, არამედ რამდენიმე ნუსხის ჩვენებასაც კი ითვალისწი-

და რაჟამს თაყუანის-	და იყო ვითარ-	და იყო ვითარცა მი-	
სცემდის ვინმე. მი-	ცა მიიახლა[66] ყო-	ახლის ყოველი კაცი თა-	
ვის ჴელი შეიტ-	ველი კაცი, თავყუ-	ყუანის-ცემად მისა, მი-	
კბის და ამბორს-	ანის-ცემად მისა[67]	ყვანის იგი და მიყვის ჴე-	
უყვის. J	მიიყვანის[68] იგი და	ლი, შეიტკბის და ამბორს-	
	პირსა აკოცის მას. O.	უყვის მას. S.	

ცხადია, ამგვარი ფაქტები შემთხვევითობით ვერ აიხსნება. S ნუსხის რედაქტორს ერთი გარკვეული მიზანი აქვს დასახული და ამ მიზანს თანამიმდევრულად ახორციელებს ბოლომდე. მიზანი კი შემდეგი ჩანს: რამდენიმე ერთმანეთისაგან განსხვავებული ნუსხის გათვალისწინების საფუძველზე ჩამოაყალიბოს ისეთი ტექსტი, რომელიც, შეძლებისდაგვარად, უკეთეს თანხმობაში იქნება ბიბლიის კანონიკურ ტექსტთან, ამ შემთხვევაში, სომხურ ვულგატასთან*.

აღნიშნულის სასარგებლოდ შემდეგი ფაქტები მოგვეპოვება:

1) მეფეთა წიგნების დასათაურებაში S ნუსხა სიტყვასიტყვით იმეორებს სომხურის ჩვენებას, დანარჩენი ნუსხები კი არსებითად სხვაობს მათგან. ასე: „წიგნი მეორე სამოელისა, რომელი ჩუენ მიერ მეორე მეფეთად იწოდების“. S: *Գիրք երկրորդ Սամուէլի զոր մեք երկրորդ Թագաւորաց ասեմք*** შდრ.: მეორე თავი მეფეთაჲ FO: წიგნი მეფეთაჲ, თავი ბ J. ამ უკანასკნელთა ჩვენება LXX-ს ეთანხმება: Βασιλειων δευτερα: Βασιλειων δευτερον βιβλιον δεκατον.

2) ანალოგიური სურათია ტექსტის დამუხლვის დროსაც: სადაც S ნუსხა LXX დამუხლვას შორდება, თითქმის ყოველთვის, სომხურ ვულგატასთან დგას (შდრ. I. 14, 23; 15, 13; 18, 27; 19, 2; 18 და სხვ.)***.

3) S ნუსხასა და სომხურს შორის, რაც ყველაზე არსებითია, გვაქვს წმინდა ტექსტუალური დამთხვევის მრავალი შემთხვევა: ა) მატება, ბ) კლება, დ) ტექსტუალური გადაადგილება, ე) გეოგრაფიულ და საკუთარ სახელთა გადმოცემა, ვ) რედაქციულად განსხვავებული წაკითხვები და სხვა. ვრცლად ამ საკითხებზე

---

66 მიეახლის O. 67 მისა]+ მიყვის ჴელი მისი O. 68 მოიყვანის O. 69 იგი]—O. 70 ~და აკოცის პირსა მისსა O.

* საკითხის დასმისათვის იხილე: Н. Я. Марр, Заметки по текстам святого писания в древних переводах армян и грузин. XB, т. IV, стр. 232.

** შდრ.: წიგნი პირველი სამოელისი, რომელსა ჩუენ პირველსა მეფეთასა უწოდებთ S: *Գիրք առաջներորդ Սամուէլի զոր մեք առաջներորդ թագաւորաց ասեմք*.დანარჩენი ნუსხებიდან FJ-ს ადგილას დეფექტურია, ხოლო ოშკურში ასეთი ვითარებაა: პირველი თავი მეფეთაჲ, საუღისი და დავითისი და სამოელ წინაწარმეტყუელისაჲ O.

*** I. 10, 15]—FJO, მაგრამ S-ში გვაქვს და სიტყვასიტყვით მისდევს სომხურს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაპარაკი გვაქვს ქართული რედაქციების ბერძნულ-სომხურთან მიმართების განხილვის დროს და ამჯერად მათზე აღარ შევჩერდებით.

განხილული საკითხების შემდეგ, ბუნებრივია, ისმის კითხვა: მაინც რომელ ნუსხასთან ამჟღავნებს იერუსალიმური მოკლე ტექსტი ყველაზე მეტ საერთოს და შეიძლება თუ არა იმ რედაქციის განსაზღვრა, რომლიდანაც იგი მომდინარეობს, თუ ის თავიდანვე ამ სახით არსებობდა? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ისევ ფაქტობრივ მასალას უნდა მივანდოთ. ფაქტობრივი მასალა კი იმის სასარგებლოდ ლაპარაკობს, რომ იერუსალიმურ მოკლე რედაქციას ყველაზე მეტი საერთო ოშკური ნუსხის ვრცელ რედაქციასთან მოეპოვება. ამისი დამადასტურებელი ფაქტობრივი მონაცემებიდან შემდეგი სამი მომენტი უნდა გამოვყოთ: 1) საერთო წაკითხვები, რომლებიც მხოლოდ ამ ორ ნუსხაში გვაქვს. 2) საერთო შეცდომები, რომლებიც ისევ მხოლოდ ამ ორ ნუსხაში გვხვდება. 3) გადაწერის პროცესში გაჩენილი მცდარი წაკითხვები, რომლებიც დედნად ერთ-ერთ ამ ნუსხათაგანს გულისხმობს.

1. **საერთო წაკითხვები:**

JO ნუსხებში გვაქვს რამდენიმე ისეთი წაკითხვა, რომელსაც სხვაგან ვერსად შევხვდებით:

ა) ს კ ო რ ვ ი ლ ი: და აგარაკსა ჩუენსა თანა ს კ ო რ ვ ი ლ ა დ თესული ქრთილი არს J; არს მუნ ს კ ო რ ვ ი ლ ი ქრთილად თესული O (II. 14, 30).

ბ) გ უ ა მ ი: და მოაქცია[71] იგი გ უ ა მ ი ს ა მისგან მესერაჲსა[72] JO (II. 3, 26); F ნუსხაში ეს წაკითხვა საერთოდ არ ჩანს, ხოლო S-ში შესატყვისად „ჯურღმული“ გვაქვს რაც, თავის მხრივ, ბერძნულ-სომხურის φρέαρ, ατος, τὸ: ջրհոր წაკითხვამდე ადის.

გ) კ ი ლ ო: და დაესხა მათ ზედა დავით კ ი ლ ო ს ა მას ზედა მოსაწყუედელსა და მოსრნა იგინი... ამის გამო ერქუმის[73] ადგილსა მას კ ი ლ ო ჲ მოსრვისაჲ JO (II, 5, 20) საგულისხმოა, რომ ფად-ის ნაცვლად „ქშირად გვაქვს, ბერძნულ-სომხურში აქ შესატყვისი არა ჩანს.

დ) ზ უ ფ ა დ O: ზ ჳ ფ ა დ J: და კუალად შესძინეს[74] უცხოთესლთა მათ გამოსლვაჲ[75] ზ უ ფ ა დ // ზ ჳ ფ ა დ კრებულად უბესა მას ველისა მის ტიტანელთასა JO. (II. 5, 18); FS-ში ზუფად-ის ნაცვლად „ქშირად“ გვაქვს, ბერძნულ-სომხურში არც აქა ჩანს პირდაპირი შესატყვისი.

ე) ნ უ შ ი: და ათი ესე ნ უ შ ი უძღუენ[76] ერისთავსა მას JO. (I. 17,18); ამ ადგილას „ნუში“ F ნუსხაშიც გვაქვს, რაც ამ უკანასკნელის O ნუსხაზე დამოკიდებულების მანიშნებელი უნდა იყოს, ხოლო S-ში მის შესატყვისად ხ ა ჭ ო გვაქვს. „ხაჭო“ წაკითხვა ჩანს ლექციონარებშიც, რაც თავის მხრივ კვლავ ბერძნულ-სომხურის στροφαλίς, ἰδος (=τροφαλίς, ἰδος): ճախարակ წაკითხვამდე ადის.

[71] მოაქციეს O. [72] მესერაჲსა] სარაჲსა O. [73] ერქუა J. [74] და შესძინეს] მერმე შეღავე-სძინეს O. [75] გამოსლვაჲ]—O. [76] უძღუენ] მიუპყარ O.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

აქ განხილულ მაგალითებს ემხრობა ისეთი შემთხვევებიც, როცა JO ნუსხები ერთ სინონიმს აჩვენებს, ხოლო FS — სხვას:

II. 1, 21 წჳმაჲ ნელი JO] წჳმაჲ მშჯობისაჲ FS.
7, 19 გრძიად O: გრძლა J] მყოვარ FS.
13, 5 სახურტელი JO] წუენი FS
13, 30 ღაღადისი JO] ქადაგი FS.
19, 35 მეღოდარი JO] მემღერი FS.
და სხვა.

2. **საერთო შეცდომები:**

ა) შ ჯ დ ას: და იყვნეს მის თანა რომელთა მოაქუნდა კიდობანი იგი უფლისაჲ, შ ჯ დ ას მემღერთაჲ O: და იყვნეს მის თანა... მემღერნი შ ჯ დ ას J. (II. 6,13); თავისი „შჯდას“ წაკითხვით ორივე ნუსხა ერთნაირ შეცდომას უშვებს. შდრ.: მემღერნი შ ჯ დ ა ს ა დ FS: შ ჯ დ ი გ უ ნ დ ი B_1: ἑπτὰ χοροί: ***სიმრჱ დაჲ***. შეცდომა გაჩენილია ორი დონის მეზობლობაში ერთ-ერთის გამორჩენის ნიადაგზე.

ბ) უ მ აღ ლ ე ს ნ ი: საულ და იონათან საყუარელნი და შუენირნი... უ მ აღ ლ ე ს ნ ი ორბთასა და უმჯნესნი ლომთასა JO (II. 1. 23); „უმაღლესნი“ კლავ მცდარი წაკითხვაა, შდრ.: უმალესნი ორბთანი FS: უფროჲს ორბისა უმსუბუქეს B_1: ὑπὲρ ἀετοὺς κοῦφοι: ***მსწრაფნიჲ დაჲ დაღრჯოხაჲ***.

გ) ორივე ნუსხაში გამოტოვებულია ზმნა „ყავ“: ჰრქუა: სადა ღმერთმან განგიმარჯუა შენ ყოველივე, [ყ ა ვ] რაჲცა გიც გულსა შენსა... O: მიუგო ნათან წინაწარმეტყუელმან: სადა ღმერთმან განგიმარჯოს ყოველივე, მიევედ და [ყ ა ვ] რომელი გონდეს J. (II. 7, 3); შდრ.: მიევედ და ყ ა ვ რაჲცა გნებავს FS: βάδιζε καὶ ποίει: ***ერჱ ჲ ართ*** და სხვა.

3. **ამოკითხვის შეცდომები:**

შეცდომა დაშვებულია იერუსალიმურ ნუსხაში.

ა) მ ი ს ნ ე ბ ა O: სმენა J: და ჰრქუა მას: მ ი მ ი ს ნ ე ულუკებითა შენითა O: ...მ ი ს მ ი ნ ე ულუკებითა მაგით შენითა J. (I. 28. 8); „მისმინე“ მცდარი წაკითხვა მომდინარეობს „მიმისნე“ სწორი ფორმიდან. შდრ.: μαντεύσαι: ***ჩრჩნჲ***; J ნუსხის შეცდომა გამორებულია FS ნუსხებშიც: მიმისმინე F: მამისმინე S.

გ) შ ე პ ყ რ ო ბ ა O: შეყუარება J: და შეიპყრა იგი ამნონ O: და შეიყუარა იგი ამნონ J; იერუსალიმური შეცდომას S ნუსხა კლავ იმორებს (იხ. ზემოთ), F ნაკლულია; კონტექსტი აშკარად „შეპყრობას“ მოითხოვს: აღწერილია ის მომენტი, როცა უკვე კარგა ხნის შეყვარებულმა ამნონმა ხელი სტაცა (ἐπελάβετο: ***ეოსრნჰარ***) თამარს, რათა მასთან დაწოლილიყო.

გ) ი შ ვ ნ ე ს O: იყვნეს J: და ესე სახელები არს შჯლთა მისთაჲ, რომელნი იგი ი შ ვ ნ ე ს ათცამეტ შვილ O, (II. 5. 15) შდრ.: იშვნეს FS: γεννήϑεντος: ***ბნსლოგ***; „იყვნეს“ იერუსალიმურ ნუსხაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყაოსა და შინის გრაფიკული აღრევის ნიადაგზეა გაჩენილი.

დ) ჯარნი O: ჯორცინცა J: აჰა ეგერა არიან ჯარნი ეგე მსხუერპლად O: აჰა ეგერა ჯორცინცა მსხურპლად J (II. 24, 22); „ჯორცინცა“ შეიძლება კვლავ მცდარი წაკითხვაა თუ დავუშვებთ, რომ დედანში დაჭრაგმებული კ̾რნიცა გვქონდა, თუმცა არც სიტყვის გააზრიანება უნდა იყოს გამორიცხული.

გვაქვს საპირისპირო ფაქტებიც, ე. ი. როცა მცდარი წაკითხვა წარმოდგენილია ოშკურში, ხოლო იერუსალიმური სწორ ფორმას გვაძლევს:

ა) რიცხვთა J: რისხვითა O: და მოიღო იოაბ წიგნები აღწერილი სოფლად სავსჱ რიცხვთა J (II. 24, 9), FS ნუსხებში ეს წაკითხვა არა ჩანს. ეჭვი არაა, „რისხვითა“ ოშკურში მცდარი წაკითხვაა, შდრ.: τὸν ἀριθμὸν τῆς ἐπισκέψεως: *ღრმად ჩანდახარ*.

ბ) სირცხვლი JFS: სისხლი O: და ყოველნივე ცეცხლითა დაიწუნენ და დაშრტენ სირცხვლითა მათითა JFS (II. 23, 7): შდრ.: κἐκχύνη: *ამოჭ* სისხლითა O. ოშკის „სისხლითა“ წაკითხვის გაჩენას ალბათ „დაშრეტა“ სიტყვამაც შეუწყო ხელი.

გ) ერი JFS: ერთი O: და არცა ერმან მან უწყოდა წიაღსლვაჲ იონათანისი JFS: და არცა ერთმან უწყოდა... O (I. 14, 3). შდრ.: ὁ λαός: *ძიძიცრ.*

მსგავსი ფაქტები, როცა ხან ერთ და ხან მეორე ნუსხაში იჩენს თავს გადაწერის პროცესში გაჩენილი შეცდომები, ამავე დროს ამ ორ ნუსხას (JO) მოეპოვება ისეთი წაკითხვებიც, რომელთაც, გარდა ამ ნუსხებისა, სხვაგან ვერსად ვხედავთ — გვაგარაუდებინებს ერთი საერთო დედნის არსებობას, რომლიდანაც, ერთი მხრივ, იერუსალიმური, ხოლო მეორე მხრივ, ოშკური რედაქცია ჩამოყალიბდა. გარდა ზემოთ თქმულისა, ამის სასარგებლოდ უნდა ლაპარაკობდეს შემდეგი ფაქტებიც:

1) იერუსალიმური მოკლე რედაქციაა, ოშკური — ვრცელი. გვაქვს რამდენიმე საწინააღმდეგო შემთხვევაც: იერუსალიმური ვრცელია, ოშკური კი მოკლე (I. 14,18; 14, 35; 17, 6; 20, 13 და სხვა).

2) ოშკურ რედაქციაში დადასტურებულია რამდენიმე ისეთი წაკითხვა, (II, 8, 8 კალი, 13; 30 ვატი, 21,5 პანეზი), რომელთაც იერუსალიმურში უკვე ვეღარ ვხედავთ.

მაშასადამე, J ნუსხას რომ ხელთ ჰქონოდა სწორედ ის ტექსტი, რომელსაც ოშკური ნუსხის ვრცელი რედაქცია წარმოგვიდგენს, ზემოთ აღნიშნულ ფაქტებს მასშიც გარკვეული ასახვა უნდა ეპოვა. ამიტომ, ბუნებრივია, ისიც საკითხი მოკლე და ვრცელი რედაქციების ქრონოლოგიური თანამიმდევრობის შესახებ, ე. ი. რომელი რედაქციის ჩვენება უნდა მივიჩნიოთ უფრო არქაულად და როგორ დალაგდება ეს ნუსხები ამ თვალსაზრისით.

თუ გავიხსენებთ, რომ ოშკური ნუსხა 978 წლით თარიღდება და FS ნუსხებში დადასტურებული ვრცელი ტექსტებიც ოშკურთან მეტ საერთოს ავლენს,

ხოლო იერუსალიმური ნუსხა კი XIII—XIV სს. განეკუთვნება, საკითხის დასმა თითქოს არცაა საჭირო. მაგრამ საქმე ის არის, რომ მოკლე და ვრცელი რედაქციების ტექსტუალური ურთიერთმიმართების გულდასმითი ანალიზის შემდეგ ამგვარად საკითხის დასმა მოულოდნელი უკვე აღარა ჩანს.

პირველი, რაც ამ შედარების დროს თვალში გვეცემა და რაც სისტემატურად მეორდება მთელი ტექსტის მანძილზე, არის ის, რომ ვრცელი ნუსხები თავიანთი წაკითხვებით უმთავრესად ერთმანეთს ემხრობა და ერთ მხარეს დგას, ხოლო მოკლე სხვაობს მათგან და ცალკეა. ამავე დროს, სწორედ ეს უკანასკნელი, შედარებით ვრცელ რედაქციებთან, უფრო არქაულ ლექსიკას წარმოგვიდგენს. ზემოთ ჩვენ საამისოდ დავიმოწმეთ საკმაო მოცულობის ფაქტობრივი მასალა. (ალგუალე J: ალვედ FOS, შარავანდედი J: მეფე FOS, ლხინება J: შენდობა FOS, ჩაფხუტი J; ჩაბალახი FOS, განწონა J: შემშჭუალვა FOS, მქელობელი J: შეხაშმებული ფერქითა FOS, მოგება J: მოპოვება FOS, სერი J: შუება FOS. წუნობა J: შეურაცხ-ყოფა FOS და სხვა. იხ. გვ. 56).

განვიხილოთ კიდევ ზოგი მათგანი:

ა) მტევებარი J: მჭკუერველი FOS: და მ ტ ე ვ ე ბ ა რ ი იგი, რომელი გამოვიდოდა ბანაკისა მისგან უცხოთესლთაჲსა, სამად გუნდად განიყოფოდა J: და მ ჭ კ უ ე რ ვ ე ლ ი, რომელი გამოვიდოდა უცხოთესლთაჲ მათ. FOS (I, 13, 37); მოკლე რედაქცია სხვაგანაც „ტევება“ ფუძეს იყენებს, ვრცელი რედაქციები კი ცვლიან მას: აწ მიიღოს ვანის მცველმან ნაწილი მ ტ ე ვ ე ბ ა რ ს ა თანა და ზოგად განვყოთ J: სწორად მიიღონ ყოველთა — ვანის მცველმან და მ ტ ყ უ ე ნ ა ვ მ ა ნ FOS (I, 30, 24); შდრ. აგრეთვე: მიტევება J: შერევა FOS (I, 14, 14), მიტევება J: ზედა მიჭდომა FOS (I, 17, 35). აღნიშნული ტერმინები საბასთან ასეა განმარტებული: მტევებარი — დამსხმელი მოლაშქრე; მჭკურველობა — საფლავთ ძარცუა, გინა მაოჭარი. ეს უკანასკნელი უფრო ახლოს დგას სათანადო ბერძნულ-სომხურის ჩვენებასთან: διαφθείρω (=წარწყმედა, გარყუნა, წახდენა): *ապականիչ* (=განმრყუნელი, მომსპობი, გამანადგურებელი).

ცხადია, „მტევებარი“ და „მჭკუერველი“ სინონიმებია, მაგრამ მითითებულ კონტექსტში (I, 13, 17) მტევებარი — დამსხმელი მოლაშქრე — გაცილებით უკეთ გამოიყურება, ვინემ „მჭკუერველი“; შდრ. I, 30, 24, სადაც „მტევებარი // მტყუენავი“ დაპირისპირებულია „ვანის მცველ“-თან.

ბ) დათხევა J: დავარდნა FOS: და აწ ნუ დ ა ი თ ხ ე ვ ი ნ სისხლი ჩემი წინაშე უფლისა J: და აწ ნუ დ ა ვ ა რ დ ე ბ ი ნ სისხლი ჩემი წინაშე უფლისა FOS. (I, 26, 20); შდრ.: πέσοι (=πίπτω=დაცემა, დავარდნა): *անկանիլ* (=დაცემა, დავარდნა, დაყრა), რომლებიც ისევ ვრცელ რედაქციასთან დგანან უფრო ახლოს, თუმცა J ნუსხა თავისი „ნუ დაითხევიან სისხლი ჩემი“ წაკითხვით გაცილებით უკეთესი თარგმანის ნიმუშს გვაძლევს.

გ) მიწა J: მტუერი FOS: და მოვიდოდა დავით და ერი მისი და სემეი... ქვითა ესროდა და მ ი წ ა ს ა გარდაასხმიდა J· ...ქვითა ესროდა და მტუერსა გარდაასხმიდა FOS (II, 16, 13); შდრ.: χόος: *հող* (=მიწა, მტუერი).

დ) მსახური J: კაცი FO: და სახლისაგან საულისისა დაშთომილ იყო მ ს ა ხ უ რ ი ერთი... J: და სახლისა მისგან საულისა დაშთომილ იყო კ ა ც ერთ FO (II, 9, 2); ვრცელი ნუსხებიდან S კვლავ მერყეობს და მოკლე რედაქციასთან დგება; შდრ. მსახური S: παῖς, υἱός: *մանուկ*.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ე) ერი J: კაცები FOS: და ე რ ი იგი რომელი იყო მის თანა, თითოეულად სახლეულებითურთ თჳსით ალვიდეს ქებრონდ J: და კ ა ც ე ბ ი იგი... მივიდეს და დაემკჳდრნეს ქებრონს FOS (II, 2, 3); შდრ.: ἀνήρ, ἀνδρός: այր (առն). ანალოგიური სურათია I, 27, 2; II, 27, 3; 27, 8.

ვ) ფერდი J: გუერდი FOS: და მოვიდა აბენერ... და უგუმირა ფ ე რ დ ს ა მისსა და მუნთქუესვე მოკლა J: ...უგუმირა გ უ ე რ დ ს ა მისსა FOS (II, 3, 27) ψόα (=поясница): անակուշտ (=ребро, бок).

ზ) წელი J: მუცელი FOS: ძე ჩემი, რომელი გამოვიდა წ ე ლ თ ა გ ა ნ ჩემთა, ეძიებს სულსა ჩემსა J: ...რომელი გამოჴდა მ უ ც ლ ი ს ა გ ა ნ ჩემისა FOS (II, 16, 11); ბერძნულ-სომხური კვლავ ქართულის ვრცელ რედაქციებთან დგას: κοίλια (=живот; чрево, утроба): որովայն (=утроба, чрево; живот, брюхо), თუმცა კონტექსტს მოკლე რედაქცია უკეთ ხსნის: ამ სიტყვებს ამბობს დავით მეფე თავისი შვილის, აბესალომის მიმართ; შდრ. წელი=ნაწლევი=მუც-ლის შიგანური (საბა)—II, 20, 10; ψόα=νέφρος (внутренности): მუცელი J.

თ) ჭამადი J: პური FOS: და ჰოვეს მუნ კაცი ერთი... და სცეს მას ჭ ა მ ა დ ი და წყალი J. ...სცეს მას პ უ რ ი და წყალი FOS (I, 30, 11); შდრ.: ἄρτος: հաց

ი) სამკაული J: სამოსელი FOS: და დაიპო დავით ს ა მ კ ა უ ლ ი თჳსი J: აღდგა ადრე-დარე დავით და დაიპო ს ა მ ო ს ე ლ ი თჳსი FOS (II, 13, 31). ბერძნ. ἱμάτιον (=гиматий, плащ), გრძელი წამოსასხამია ხიტონს ზემოდან; სომხ. հանդերձ (=одежда; риза). ანალოგიური სურათია II, 1, 11: სამკა-ული J: სამოსელი FOS: ἱμάτιον: հանդերձ; მოკლე რედაქცია კვლავ ყველა-საგან ცალკე დგას. მაგრამ გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როცა მოკლე რედაქცი-ისათვის დამახასიათებელი ესა თუ ის წაკითხვა ვრცელშიც ჩნდება, ასე: II, 3,31: ჭელი მიყავთ საყელესა და დაიპეთ სამკაული თქუენი JO, მაგრამ FS ნუსხებში ამჯერადაც „სამოსელი“ გვაქვს, შდრ.: ἱμάτιον: հանդերձ. ანალოგიურ სურათს ვხედავთ შემდეგ შემთხვევებშიც: და შეუპყრა კიდე ჩ უ დ კ ე ც ი ს ა მისისაჲ, რაჲთამცა დააყენა... JS: და საულ შებმა უყო ს ა მ ო ს ე ლ ს ა მისსა, რაჲთამცა დააყენა იგი მისთანა FO (I, 15, 27); მაგრამ I, 28, 14 მუხლში ასეთი თანაფარდობა გვაქვს: ჩუდკეცი JS: შჳდკეცი სამოსელი O: ორკეცი სამოსელი F; ბერძნულ-სომხურში ორივე შემთხვევაში შესატყვისად გვაქვს διπλοΐδος: կրկին. შდრ. F ნუსხის „ორმაგი სამოსელი“ და საბასეული განმარტება: „ჩუდკეცი“ — საპირიან სარჩულიანი წამოსასხამია მღდელთა. საპირიან-სარჩუ-ლიანი ე. ი. ორმაგი, ორკეცი. მაშინ როგორ ავხსნათ ოშკური ნუსხის „შჳდკეცი სამოსელი“? „შჳდკეცი“ „ჩუდკეცის“ მცდარი წაკითხვაა. ეს რომ ასეა, იქიდანაც ჩანს, რომ I, 24, 12 მუხლში „ჩუდკეცი“ წაკითხვა O ნუსხაშიც ჩნდება: ფრთე ერთი სამოსლისა შენისაჲ ჴელთა შინა ჩემთა არს, რომელი მოვჰკუეთე ჩ ო დ-კ ე ც ს ა შენსა. საყურადღებოა, რომ F ნუსხაც, რომელსაც სხვაგან „ჩუდკე-ცის“ შესატყვისად „ორმაგი სამოსელი“ ჰქონდა, ამჯერად „ჩოტკეცს“ კითხულობს. S ნუსხაში აღნიშნული წაკითხვა უკვე აღარა ჩანს, ხოლო მოკლე რედაქცია აქ ნაკლულია საერთოდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურათი, რომელიც ზემოთ წარმოდგენილ მაგალითებში ვნახეთ, ტიპური
სხვა შემთხვევაშიც:

J	FOS		
კარაული	ვირი	I მეფ.	10, 2
ღუაწლი	ბრძოლა	„	11, 7
წყობა	ბრძოლა	„	13, 5
შეიწრება	შეურვება	„	14, 31
დამჭობა	დაცემა	„	17, 49
კუეცა	შეხება	II მეფ.	14, 26
დაყუდება	დაპყრობა	„	16, 20
ძჯრი	ბოროტი	„	24, 16

და სხვ.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ მოკლე და ვრცელი რედაქციების ურთიერთობა ასე შეიძლება შევაჯამოთ:

ა) იერუსალიმურ ნუსხაში დაცულია მეფეთა წიგნების მოკლე რედაქცია, რომელიც ამ სახით არსად დასტურდება ქართულში.

ბ) ის სტილისტური და ლექსიკური თავისებურებები, რომლებითაც მოკლე რედაქცია თვალსაჩინოდ სხვაობს ვრცელისაგან, სავარაუდებელია, დამახასიათებელი იყო თავდაპირველი ტექსტისათვის. ვრცელი რედაქციები საერთოდ, განსაკუთრებით კი ოშკური და მცხეთური, ყველაზე აშკარად ამჟღავნებს არაერთგზისი შესწორების კვალს.

გ) მიუხედავად იმისა, რომ იერუსალიმურ და ოშკურ ნუსხებში დაცული ტექსტები ამჟამად რედაქციულად არსებითად სხვაობს, მათ მოეპოვებათ ისეთი საერთო ნიშნებიც, რომლებიც ამ რედაქციების ერთი საერთო დედნიდან მომდინარეობაზე მიგვანიშნებს.

დ) შემოკლებული ტექსტი არაა საკუთრივ ქართული მოვლენა. იგი შეინიშნება ბერძნულის cdx ნუსხებში, რომლებიც თავის მხრივ გარკვეულ ნათესაობაში იმყოფებიან ებრაულის მასორეტულ ტექსტთან. მართალია აღნიშნულ ნუსხებთან ქართულ მოკლე ტექსტს აქვს შემხვედრი ადგილები, მაგრამ საბოლოო ჯამში მათგან მაინც არსებითად სხვაობს.

ე) იერუსალიმურმა მოკლე ტექსტმა, შესაძლებელია, შემოგვინახა რამდენადმე სახეშეცვლილი ტიპი ქართული თარგუმებისა.

У. Е. ЦИНДЕЛИАНИ

ДРЕВНЕГРУЗИНСКИЕ РЕДАКЦИИ ПЕРВЫХ ДВУХ КНИГ ЦАРСТВ

(Резюме)

Текст первых двух книг Царств на грузинском языке представлен в двух редакционных типах «А» и «В». Тип «В» совмещает в себе только один текст опубликованный Бакаром в Москве в 1743 году, а тип «А» разделяется на три т. н. подредакции: Иерусалимской, Ошкской и Мцхетской. Последняя по отдельным чтениям, иногда подразделяется на две части: список Джанашвили и список Саввы Орбелиани или Мцхетский.

Среди названных нами редакций Иерусалимский дает сокращенный текст. При сличении этого сокращенного текста с полным удается выявить, что тексту, лежащему в основе сокращенной редакции, свойственны: архаичные лексические формы и архаические чтения, восходящие, видимо, к древнему грузинскому переводу Библии.

В местах, где Иерусалимские чтения совпадают с Мцхетскими, в последнем, полагаю, так же сохранен древнейший слой, который усердно замаскирован позднее вульгатными чтениями армянской Библии.

Следы неоднократных сличений грузинского текста с различными редакциями обнаруживаются также и в Ошкском списке грузинской Библии.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულნაზ ქიქნაძე

„ნეშტთა" I წიგნის ქართული რედაქციები

„ნეშტთას" წიგნები შედის ბიბლიის ისტორიულ ნაწარმოებთა ციკლში. წიგნის შინაარსი კარგადაა გამოხატული მის ებრაულ სახელწოდებაში „სეფირ დიბრე ჰაიოჰიმ" — „წიგნი ყოველდღიური ამბებისა" (რასაც ზუსტად თარგმნის იერონიმისეული ლათინური ვულგატა — Libri chronicorum)[1].

„ნეშტთა" წარმოადგენს ანალებს, ისტორიული ხასიათის ჩანაწერებს. გენეალოგიურ სქემებს (რომლებსაც ზოჯერ ახლოს ისტორიულ თუ გეოგრაფიულ ხასიათის კომენტარები) მოსდევს ცნობები დავითისა და სოლომონის მმართველობის შესახებ.

ებრაული ბიბლიის თავდაპირველ ტექსტში „ნეშტთას" I და II წიგნები გაერთიანებული ყოფილა (ერთადაა მოხსენიებული ბიბლიის კანონთა წერწმიც). მხოლოდ სეპტანტის წყალობით მიიღო მან ახალი დაყოფა და ძველთან ერთად ახალი სახელწოდებაც: παραλειπομένων τῶν βασιλέων Ἰούδα.

ბიბლიოლოგიურ ლიტერატურაში ამ ფაქტს შემდეგნაირი ახსნა აქვს მოძებნილი[2]: LXX შედგენისა თუ თარგმნის დროისათვის ებრაული ბიბლიაში ამ წიგნს არ ჰქონია ცალკე გამოკვეთილი ადგილი და სახელი. 70 მთარგმნელს იგი ჩაუთვლია მეფეთა წიგნების შევსებად ან დამატებად, იმ ადგილების აღდგენად, რაც გამოტოვებული იყო მეფეთა წიგნებში. ამან განაპირობა ბერძნული სახელწოდება. παραλειπομένων— მიმღეობური ფორმა παραλείπω „ვტოვებ" ზმნისა.

წიგნის ორად გაყოფა უნდა მომხდარიყო იმავე „მეფეთას" ანალოგიით. ისევე როგორც „მეფეთას" II წიგნი ეძღვნება დავითის, ხოლო III — სოლომონის მმართველობას, „ნეშტთა I"-ში წარმოდგენილია დავითის მეფობის ანალები, ხოლო „ნეშტთა II"-ში — სოლომონისა და მისი მომდევნო მეფეების შესახები ამბები.

„ნეშტთა I" ქართული ნუსხები. „ნეშტთა I" წიგნის ქართული ნუსხები კრიტიკულად შესწავლილი არ არის, არ მოგვეპოვება მათი მეცნიერული გამოცემაც.

ტექსტი ქართულში დაუცავს 5 ნუსხას:

A — 570 (XV ს. გვ. 33v — 56v), A — 646 (XVI ს. გვ. 255r — 305r), H — 885 (XVII ს., 3r—12r), ე. წ. საბასეულ A — 51 (XVIII ს.) და ბაქარის ნაბეჭდ ბიბლიას 1743 წლისას[3].

---

[1] Толковая Библия или комментарии на все книги Св. писания В. и Н. завета, под редакцией А. Лопухина, т. 3, 1914, СПб. стр. 13.

[2] იქვე.

[3] ლიტერები: I: A — 570; F: A—646; D: H — 885; S: A — 51; B: ბაქ. ბიბლ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქედან A—570-ის ტექსტს აკლია მონაკვეთი 2, 52-დან 4, 18-მდე ფურცლების დაკარგვის გამო. ძლიერ ნაკლულია H—885-ის ტექსტიც, აკლია თავიდან 4, 39 მუხლამდე (ნუსხა ჩვენი წიგნით იწყება), 6, 66-დან — 15, 8-მდე და 22, 9-დან — 24, 8-მდე ფურცლების დაკარგვის გამო.

დანარჩენ ნუსხებში ტექსტები სრულადაა წარმოდგენილი.

ჩვენს მიზანს ამ ნუსხათა რედაქციული ურთიერთობის გარკვევა წარმოადგენს.

ნუსხათა რედაქციული მიმართება. ნუსხათა შესწავლამ და მათმა ურთიერთშეჯერებამ ცხადი გახადა, რომ ისინი შეიძლება დაჯგუფდნენ ორ ძირითად რედაქციად. ხელნაწერები A — 570, A — 646, H — 885, აგრეთვე A — 51 ქმნიან ერთ რედაქციულ ტიპს, რომელსაც აღვნიშნავთ ასომთავრული Ⴑ-ით. მეორე მხარეზეა ბიბლიის მოსკოვური გამოცემის ტექსტი (აღნიშნული გვაქვს Ⴋ-ით), მოვიყვანოთ საილუსტრაციოდ ერთი მაგალითი:

Ⴑ

მისლვასა მას მისსა სეკელად მოადგეს მას მანასესგანნი: იდნა, იოზაბად, იედიელ, მიქელ, იოზაბეს, ელიუ და სელათი — ესე არიან მთავარნი ათასეულთანი — 12, 20.

Ⴋ

და ოდესცა წარვიდა დავით სიკილით, შიივლტოდეს მისა მიმართ მანასესგან: მარტო და იოზავათ და იედიილ და მიხაილ და იოსაფაფ და ელიუ და სალაფი — მთავარნი ათასისთავთა ზედა მანასეს თანა.

განვიხილოთ ეს რედაქციები ცალ-ცალკე.

Ⴑ რედაქცია. ამ რედაქციის შესწავლისათვის საგულისხმოა ბიბლიის უცხოურ გამოცემებთან შეპირისპირების შედეგი (ვიყენებდით ა. რალფის ბერძნულ გამოცემას, სომხურისა და ლათინური ვულგატას ტექსტებს). პირთა და გეოგრაფიული სახელების გაფორმებაში (საკუთარი სახელები კი მოიცავენ ჩვენი ტექსტის უდიდეს ნაწილს) Ⴑ' რედაქცია ხშირად სეპტანტის ძირითადი ვატიკანური ტექსტისაგან განსხვავებული მონაცემებით LXX ალექსანდრიული კოდექსის გვერდით დგას.

მოვიყვანოთ ორიოდე ნიმუშს:

6, 44-ში დასახელებულია გეოგრაფიული პუნქტები: ბეთთერი, რამუთი, ბეთსამუსი. მათ ადგილას B (ვატიკანურ) კოდექსშია Ἄσαν Ἀσηρώθ, Βάσαμυς, A— (ალექსანდრიულ)ში კი მათ შესატყვისად დასტურდება Βαιθθήρ, Βαμώθ καὶ Βαίθσαμυς.

საფი და აფიმ და ძენი ორაჲსნი და აორ ძე მისი—7,12.

Σαπφιν (Σαφειμ A) καὶ Ἀρφιν (Ἀφειμ A) καὶ υἱοὶ ῥαωμ (Ὠρα A) υἱὸς αὐτοῦ Ἀερ (Ἀορ A).

ალექსანდრიულს მისდევს Ⴑ სხვა შემთხვევაშიც:

4, 41-ში გვაქვს: „მოსრნეს მკჳდრნი“ (B-შია οἰκοὺς (=სახლნი), ხოლო A-ში οἰκήτορας, რაც ზუსტად შეესაბამება „მკჳდრს“. სომხურშიც „მკჳდრნია“ *զբանակիչն*. („ექუსასთა მათ წყლვად...“ — 11, 20 ვატ. τριακόσιοι, A-ში: ἑξακόσιοι).

ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს Ⴑ რედაქცია ყოველთვის ღალატობდეს ვატიკანური კოდექსის ტრადიციას (რასაც ქვემოთ შევეხებით), მაგრამ ალექ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანდრიულის წაკითხვების დადასტურება მაინც საგულისხმო ფაქტია. ალექსანდრიული ხელნაწერი ერთ-ერთი უძველესი ფენაა სეპტანტაში, იგი, როგორც აღნიშნავენ ლიტერატურაში, უფრო მეტ სიახლოვეს იჩენს ებრაულ ტექსტთან[4]. ამიტომ ქართული ხელნაწერების მიერ ალექსანდრიული კოდექსის ჩვენებათა გაზიარება ქართული რედაქციის სიძველეს უნდა უსვამდეს ხაზს.

მთავარი, რაც თავს იჩენს I, D, F, S ხელნაწერების ურთიერთობის შესწავლისას, არის ის, რომ შესაძლებელი ხდება მათი დაჯგუფება მსგავს წაკითხვათა მიხედვით, ამ მხრივ ერთ მხარეზეა A — 570 და H — 885. მეორეზე — A — 646 და A — 51.

I და D ხელნაწერთა წაკითხვების აბსოლუტური უმრავლესობა თანხვდება ერთმანეთს.

D, I-ის FS-თან მიმართების შესახებ უნდა აღინიშნოს, რომ აქ საქმე უნდა გვქონდეს ერთგვარ განშტოებასთან, თუ შეიძლება ასე ეწოდოს, — ქვერედაქციასთან.

FS-ში გამოიყოფა მრავალი ადგილი (და მის მხარეზეა ბერძნული და სომხური ტექსტები), რომლებიც DI-ში წარმოდგენილი არ არის. მექანიკურად მოცილებულია თუ დამატებული ცალკეული სიტყვები და ფრაზები, ზოგჯერ მთელი წინადადებებიც კი. იშვიათად სხვაობა ვლინდება ფრაზის აღნაგობის წესსა და სხვა კონსტრუქციებში.

ქვემოთ აღვნუსხავთ ამ მომენტებს.

ა) 1, 51 — 52 და მომდევნო მუხლებში ჩამოთვლილი არიან მთავრები, რომლებიც გამოცხადდნენ დავით მეფესთან სიკეცაკს; ჩამოთვლისას ყოველ საკუთარ სახელს წინ უძღვის თანამდებობრივი განსაზღვრა „მთავარი“: „მთავარი იოელ, მთავარი ისაჭარ, მთავარი სებეჭა“ და ა. შ. DI — პირველად ნახსენები „მთავრის“ გარდა თითქმის ყველგან მხოლოდ საკუთარი სახელების ჩამოთვლით კმაყოფილდება (ბერძნ. და სომხ.-შიც უძღვის ἀρχηγός და իշխան.

2, 13; 26, 2 და სხვ. გენეალოგიურ სქემებში ოჯახის მემკვიდრეები დასახელებული არიან რიგობითი რიცხვითი სახელების დართვით.

„სამაია მესამე, ნათანაელ მეოთხე... და ა. შ. (ბერძ. Σαμαι ὁ τρίτος...) DI-ში ეს რიცხვითი სახელები აკლია; მსგავსი შემთხვევები ბევრია.

ზოგი მუხლი, როგორიცაა 6, 57; 6, 58 და სხვ. ჩამოთვლის დაპყრობილ გეოგრაფიულ პუნქტებს, ქალაქის სახელწოდებას. FS-ს ყველა შემთხვევაში თან ახლავს შესიტყვება: „და გარემოსათესავი მისი“, DI ბევრგან საჭიროდ არ თვლის მას.

FS	DI
ქებრონი და გარემოსათესავი მისი, ეთერი და გარემოსათესავი მისი, დაბირი და გარემოსათესავი მისი, ბეთერი და გარემოსათესავი მისი, ბეთსამუსი და გარემოსათესავი მისი.	ქებრონი და გარემოსათესავი მისი, დაბირი, ბეთერი და ბეთსამუსი.

[4] И. Чистович, История перевода Библии на русский язык, СПб., 1899, стр. 19.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბერძნულში ყველგან შესაბამისად არის „περιστερά“ სომხურში: *գառամբ*[illegible] ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს DI-ს რედაქტორი თუ გადამწერი „გარემოსთვისავის“ ერთხელ აღნიშვნის შემდეგ ერიდებოდეს სიტყვის გამეორებას.

DI ჩამოთვლისას ხშირად უგულებელყოფს კავშირ „და“-საც იმ დროს, როდესაც FS და სომხურსა და ბერძნულში ეს კავშირი წარმოდგენილია.

DI	FS
თოლა, ფუა, იასუე.	თოლა **და** ფუა **და** იასუე **და** სამბრამ.

ქვემოთ თანშემდევრობით ჩამოვთვლით წინადადებებს, რომლებიც დასტურდება FS და ბერძნულ-სომხურში, DI-ში კი მათ გვერდი აქვს ავლილი:

1, 48: საულ რობეული + **რ~ლ არს მდინარეს თან;**

4, 41: მოსრნეს მკვდრნი მათნი + **რამეთუ საძოვარი საცხოვართა მათთა~თჳს იყო მუნ.**

5, 24: და ესენი იყვნეს... წინამძღუარნი + **სახლთა მამულთა მათთანი;**

7, 14: მაქრ + **რომელი უშვა ხარჭმან მისმან ასურმან, შვა მაქრ მამა გალაადისი** S (რომელი უშვა ხარჭმან მისმან ასურ მამა გალაადისი F).

11,24: ესე იყო||ესე ქმნა ბანეა ძემან იოდესმან FS;

12, 33 — ძენი იზაქარისნი + **სამთავროსა თჳსსა ორასნი და ყოველნი ძმანი მის თანა;**

15,9 + **და დავითს ემოსა სამოსელი ბისონი S;**

19, 17: დაეწყო მათ + **და განეწყო დავით წინაშე ასურთა და ჰბრძოდა მათ;**

19, 19: იძლივნეს + **წინაშე პირისაგან ისრაჱლისა;**

21,12 + **და ანგელოზი უფლისაჲ მის თანა;**

ძალიან იშვიათად. მაგრამ მაინც DI მონაცემები (მაგ., 10,4 — მომკლან მე; 27, 3 — დავით მეფისა ნაყოფთანი იყვნეს) აკლია FS-ს.

ბ) FS სტილისტურად უპირისპირდება DI-ს ფრაზის აღნაგობასა და კონსტრუქციებში.

DI ნუსხების „უშვილოს“ შესაბამისად FS-ში სისტემატურად გვხვდება აღწერითი „არა ესხნეს შვილნი“ (მაგ. 23, 22). ამ უკანასკნელს კი მხარს უჭერს სომხური და ბერძნული: *ὀυκ ἤσαν υἱοί.*

ამა თუ იმ პირის შთამომავლობის დასახელებისას DI მიმართავს გამოთქმას **„ძე მისი“** (მაგ., 6,11—12—13... ძე მისი აქიტობ, ძე მისი ზარია და ა. შ.) FS კი იყენებს ზმნიან შესიტყვებას **„აქიტობ შვა ზარია, ზარია შვა“** (სომხ. *Ծնաւ* ბერძნ. *ἔτεκεν*).

DI: **მიეგება** 12, 18, **მეძიებელთა** სათნოებისათა — 16, 10.	FS: **განვიდა მიგებებად. რ~ლი ეძიებს** სათნოებასა
შემწე ეყვნეს — 19, 19.	**ინებეს შეწევნად.**

სხვაობაა სახელთა წარმოებაშიც:

მხიერული ID	მხიარული 16.30 FS

F და S იცავენ რთული რიცხვითი სახელების წარმოების ერთსა და იმავე წესს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი მხრივ გვაქვს: მეორე მხრივ:

DI: ექუსი ათას რვაასნი
შვდი ათას ასნი.

FS: ექუს ათას **და** რვაასნი;
შვდ ათას **და** ასნი და სხვ.

სხვაობა ვლინდება კომპონენტთა „და“ კავშირით შეერთებასა და წრფე-ლობითი და სახელობითი ბრუნვების გამოყენების საკითხში.

ასეთია FS სტილისტური ქვეჯგუფის საერთო სურათი. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ E და S-ის ერთ სიბრტყეზე მოთავსება ყოველთვის არ შეიძლება (თავისებურებას იჩენს S, მაგრამ ამაზე ცალკე), ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ გვინდოდა გვეჩვენებინა, რომ C' რედაქციის ხელნაწერები თავის მხრივ ნაწილდება ორ ქვერედაქციაში და ავსახეთ ის საერთო მომენტები, რომლებიც ნიშანდობლივია S და F-სათვის DI-ის საპირისპიროდ.

რომელია ამ ორ ჯგუფში ძველი ვითარების ამსახველი; სხვაგვარად რომ ვთქვათ, როგორია მათი ქრონოლოგიური მიმართების საკითხი?

კითხვა საინტერესოა, მაგრამ მასზე პასუხის გაცემა შეუძლებელია, მანამ არ გაირკვევა საანალიზო ტექსტის წარმომავლობა. ამ საკითხის გადაწყვეტა კი კვლევის დღევანდელ ეტაპზე შეუძლებელია. შეუძლებელია, რადგან ჩვენი ნუსხები არ გვიჩვენებენ თარგმანის თავდაპირველ სახეს, ჩვენ აქ საქმე გვაქვს მრავალგზისი სწორებისა თუ შეჯერების პროცესის შედეგთან და როგორც შენიშნავს აკად. კ. კეკელიძე, „ყოვლად შეუძლებელია ამა თუ იმ ტექსტთან შედარების დროს ვიხელმძღვანელოთ მხოლოდ ნაბეჭდი ტექსტით, იქნება ის ქართული თუ უცხო. საქმე ისაა, რომ ნაბეჭდი ტექსტი ქართული თუ უცხო ბიბლიისა უცვლელად არ შეიცავს იმ ტექსტს, რომელიც ან რომლიდანაც გადმოთარგმნეს ბიბლია ჩვენმა წინაპრებმა“[5].

ნაადრევად ვთვლით მსჯელობას „ნეშტთა I“ ქართული რედაქციის წარმომავლობის შესახებ (რადგან მანამდე გასარკვევია მისი მიმართება ყველა უცხოურ წყაროსთან). მაგრამ მიუხედავად ამისა, წინასწარ მაინც აღვნიშნავთ, რომ ქართულ ტექსტში გამოიყოფა გარკვეული ფენა, რომელიც უცილობლად მიგვანიშნებს ქართულ თარგმანში ბერძნული წყაროს გამოყენებაზე.

ბერძნულ ტექსტზე უშუალო დამოკიდებულების ნიშნებია სიტყვათა მცდარი გაგება, ფუძეებისა თუ აფიქსის არასწორი გააზრება, ბერძნული (ან ებრაულის ბერძნული გზით) სიტყვების უთარგმნელად გადმოტანა და სხვ.

C რედაქციის ბერძნიზმებზე როდესაც ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს უპირატესად IDF ნუსხები (რადგან S ხელნაწერი ზოგ შემთხვევაში სომხურის ჩვენებებს უფრო უჭერს მხარს, თუმცა ამაზე ცალკე).

ბერძნიზმის ნიმუშებია:

1. 11, 36 გვხვდება საკუთარი სახელი „აფერ **ომოქორათელი**“, ბერძნულშია Ὀφὰρ ('Αφὲρ A) ὁ μοχοραθι, ამ წყვილში არტიკლი ქართველ რედაქტორს თუ მთარგმნელს ფუძის კუთვნილებად მიუჩნევია.

2. 4.14: მამა ქ უ ე ყ ა ნ ი ს ა რ ა ს ი ნ ი ს ა. ბერძნ. τὸν πατέρα Γησρασειμ (მცხეთურში „გესრასინისა“). საკუთარი სახელი „გ ე ს რ ა ს ი მ ი“ დაშლილია ორ ნაწილად. γης ელემენტი მიჩნეულია γῆ „მიწა“ სიტყვის ნათეს.

[5] კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I, თბ., 1951, გვ. 394.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრუნვად. სიტყვის დანარჩენი ნაწილი ცალკე საკუთარ სახელად არის გაგებული (ტექსტი მხოლოდ F ხელნაწერშია. D და I-ს წესაბამისი ტექსტი აკლია: იხილეთ ფურცლების დაკარგვის გამო).

3. იხილე მეფე და ოთხნი ძენი მის თანა და აქაბინ მის თანა: 18, 12 εἶδεν τὸν βασιλέα καὶ τέσσαρες υἱοὶ αὐτοῦ μετ' αὐτοῦ μεθαχαβιν (ალქ. კოდექსში მის ადგილზეა κρυβόμενοι—κρυπτόμενος-ს, „დაფარულს“, რასაც შეესაბამება მცხეთურის „დაბურვილი“ და სომხურის *ծածկալ*). საქმე ისაა, რომ μεθαχαβιν -ის μέθ ელემენტი μετα- წინდებულად გააზრების შედეგად „თანა“ თანდებულით გადმოდის, ხოლო „აქაბინ“ ცალკე საკუთარ სახელადაა ჩათვლილი.

4. ბერძნულის გავლენას ეხედავთ სიტყვა „გარემო სათესავშიც“ — 6,42 ბერძნულშია περιστερία. περιστερία ნიშნავს ქალაქის შემოგარენს; ამავე მნიშვნელობის მატარებელია სომხ. *գաւառական* ნიშნავს „ირგვლივ შემოვლებას“, ჩვენ ვფიქრობთ, რომ στειρᾶω აღრეულია στείρα 'ვთესავ' ზმნაში, რაც უნდა ახორციელებდეს სიტყვას „გარემო-სათესავი“.

ბერძნულიდან უნდა ჰქონდეს გადმოყოლილი ქართულ თარგმანს ზოგი ებრაული წარმომავლობის სიტყვა

ესენია: „ზაქო“, „სოფერი“, „სოომი“.

„აღმოაჩუნდა კიდობანი იგი უფლისა სასწაულითა ქმითა სოფერითა. საყვრთა და წინწილითა“: 15.28.

ἀναγοντες τὴν κιβωτὸν ἐν σημασίᾳ καὶ ἐν ψωνῇ σωφερ καὶ ἐν σάλπιγξι καὶ ἐν κυμβάλοις. სომხ-ში შესაბამის ადგილას არის *Յորիւեան*.

„სოფერი“ Σωφέρ. ე. სოფოკლეს ლექსიკონის მიხედვით არის „საყვირი, რქა“, რომელშიაც ჩაბერდნენ ხოლმე დღესასწაულის დროს. σωφέρ (-σωφειρ უთარგმნელად გადმოსულა ქართულ თარგმანში, ისევე როგორც უთარგმნელია სეპტუანტის ბერძნულ გამოცემაშიც.

„ზაქო“-ც ებრ. სიტყვაა, ნიშნავს ტაძრის განძთსაცავს, საგანძურს სომხ. *գանձարան*.

„და მისცა დავით... სახე ტაძრისა და სახლისა მისისა ზაქოსა მისისა ქორთა მათ და საუნჯეთა — 28, 11

τὸ παράδειγμα τοῦ ναοῦ καὶ τῶν ζαχχω αὐτοῦ.

დასტურდება ზაქო ფორმაც.

„სოომი“ — საკმარე ქვა (სპა იმოწმებს ჩვენ ტექსტს, 29, 2): მოუმზადა რკინა, ძელი, ქვა, კედი და სოომი“.

ბერძ. Σοομ, სომხ. *քարին անկանդ*.

ბაქარის ბიბლიაშია „კამარა“.

აღნიშნული სიტყვები, საფიქრებელია, ბერძნული გზითაა მოხვედრილი ქართულ თარგმანში.

მაშასადამე, ნეშტთა I წიგნის ქართული Շ რედაქციის ტექსტის შესწავლა მის ერთ-ერთ წყაროდ ბერძნულს გვაეარაუდებინებს. სხვა წყაროების ძიება შემდგომი კვლევის საქმეა.

S *ხელნაწერისათვის*. ჩვენ ვთქვით, რომ F და S ხელნაწერები მთელ რიგ წაკითხვებში მხარს უჭერენ ერთმანეთს, მაგრამ სრულ დამთხვევას მათ შორის მაინც არა აქვს ადგილი. რიგ შემთხვევაში S უპირისპირდება არამარტო DI-ს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

არამედ F-საც და ქრონოლოგიურად მისი წინამორბედი ხელნაწერების ნუსხებს სრულიად განსხვავებულ ვითარებას გვაჩვენებს (F ასეთ დროს ყოველთვის DI-ს მხარეზეა).

ეს დაპირისპირება ვლინდება როგორც ტექსტის გარეგნულ გაფორმებაში, ისე ტექსტობრივ მომენტებში.

მცხეთურ ნუსხაში „ნეშტთა I“ (ისევე როგორც სხვა წიგნები) დაყოფილია თავებად (29 თავი) და მუხლებად. აქვე აღვნიშნავთ, რომ დამუხლვაში იგი მისდევს ლათინურ-სომხურ ტრადიციას. ეს უკანასკნელი კი სხვაობს ბერძნულისაგან მუხლებისა და თავების ნუმერაციაში[6].

სხვა პრინციპითაა დაყოფილი DIF ნუსხების ტექსტი. იქ არის სულ 41 თავი, თითოეული მათგანი დასათაურებულია (მაგ. „ძლიერთათჳს მთავართა დაჱითისთა“, „განყოფისათჳს ლევიტელთაჲსა“ და სხვ.) და აქვს ასოებრივი ნუშერაცია. ტექსტებს წამძღვარებული აქვს სარჩევიც (გარდა D-სი, რომელსაც დასაწყისი აკლია).

ვერაფერს ვიტყვით იმის შესახებ, თუ საიდან გადმოიღო ქართველმა მთარგმნელმა დასათაურების ეს პრინციპი. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ საკითხი საინტერესოა და მას მნიშვნელობა ექნება რედაქციათა ქრონოლოგიური მიმართების განსაზღვრისთვისაც.

Ↄ რედაქციის ყველა ხელნაწერში (S-ის გარდა) გამოტოვებულია მოსაკვეთი 14 მუხლის მოცულობით (სეპტანტის რალფისეულ გამოცემაში ეს მუხლები სქოლიოშია ჩატანილი და ალექსანდრიული კოდექსის კუთვნილებადაა გამოცხადებული, წარმოდგენილია სომხურშიც), S-ში ეს მუხლები თავის ადგილზეა.

S-ში წარმოდგენილია ყველა ის სიტყვა და ფრაზა, რაც ნუსხებს აკლია ბერძნულ-სომხურ ტექსტებთან მიმართებაში.

ასეთებია:

1, 32 + და ძენი დედანისანი ასურიმ და ლატურიმ და ლოვმინ;

1,43 : ესე ნეფენი მათნი + რ̃ნი მთავრობდენ ჴუეყანასა ედომისასა, რომელნი პირველად ზედა ძეთა ისრაჱლთასა მეფობდენ.

10,9 : მიუძღუანეს ქ̃ყნასა უცხოთესლთასა + და კრპებსა მათსა და ერთა.

16,23 + მიუთხარით წარმართთა დიდებაჲ მისი და ყოველსა ერსა საკჳრველებაჲ მისი.

S სხვაგვარად განსაზღვრავს მხედართა ან მთავართა რაოდენობას (უცხოური თუ ქართულ ნიადაგზე — საძიებელია).

ოთხმეოცდაათქუსმეტ — 9, 16	S: ექუსასოთხმეოცდაათი.
ათას შჳდას სამეოც — 9, 13	ათას შჳდას და ოთხმეოცდაათი.

სიტყვათა სტილისტური ხმარება და გაფორმება ზოგჯერ ისეთია, თითქოს S-ის რედაქტორი საგანგებოდ ცვლიდეს ძველი ხელნაწერების მონაცემებს ახალი სიტყვით ან ახალი ფორმით:

---

[6] ჩვენ ტექსტი დამუხლული გვაქვს ბერძნულის მიხედვით, მცხეთურის დამუხლა ფრჩხილებშია მითითებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელუსულელოვანთა (27, 31) || ლელოვანთა (S); სახედ (16, 41Ⴀ) || სახ-ლად; მსხოვრით (23, 6 Ⴀ) || მსახურებად; მაშკთა (17, 1 Ⴀ) || კარავთა; იხილე (12, 8 Ⴀ) || იხილოს S; მბრძოლი (17, 10 Ⴀ) || მტერი S.

განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ გამოიყო განსხვავებულ წაკითხვათა ერთი წყება, რომელიც მიგვანიშნებს ქართველი მთარგმნელის ან რედაქტორის მიერ სომხური წყაროს გამოყენების ფაქტზე. ამ დასკვნის გამოტანის საფუძველს ეჭვმიუტანლად იძლევა საკუთარი სახელების ფორმა და ზოგი სხვა ტექსტობრივი მონაცემი.

ზევით უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ Ⴀ რედაქციის ხელნაწერებს აკლია მონაკვეთი I თავის 11-დან 24-ე მუხლამდე. რადგან არმენიზმი საკუთარი სახელების გადმოტანაში უპირატესად ამ ნაწილზე მოდის, ვფიქრობთ, S-ის შემდგენელ-რედაქტორები შევსების პროცესში ხელმძღვანელობდნენ სომხური ტექსტით (ან სარგებლობდნენ ჩვენამდე მოუღწეველი ქართული ხელნაწერით, რომელიც აგრეთვე დავალებული უნდა ყოფილიყო სომხურისაგან).

საკუთარი სახელები გადმოცემულია სომხურის აკუზატივის *Զ* აფიქსის შენარჩუნებით.

1,21-ში ვკითხულობთ: კედურამ და ზ ე ზ ე ლ და... ზ ი რ ა. ესე სახელები „შვა" (*ծնաւ*, ἔτεκεν) ზმნასთან შეწყობილი პირდაპირი ობიექტებია. ბერძნულშია τὸν Κεδουραν καὶ τὸν Αιζηλ. სომხ. *եզել զիրա*. ეს უკანასკნელი სახელი ბერძნულ ტექსტში, საერთოდ არ ჩანს.

ზაბიმეელ *Զաբիմեէլ* ბერძნ. ᾿Αβιμεηλ (1,22).

ზევი, ᾿Ευι *զևի* (1,23).

ზ გვხვდება ისეთ ადგილებშიც, სადაც IDF ტექსტიცაა. 8,1: **ზარა**; ბერძნ. ᾿Αρα სომხ. *զառա*.

შემთხვევითი არ უნდა იყოს დამთხვევები პირთა სახელების ხმარებაში სხვა ადგილებშიც.

8,34: მერიბაალ	მემფიბაალ
1,19: ფალეკ	ფოლეგ φαλεκ *փաղեկ*
6,5: გავაონი	(Ⴀ გაჳლონი Γαυλων)
11,13: ბანეა სამოგონონელი	ელიაბ ასანოლაბელი

ვფიქრობთ, სომხურის (ან ერთი საერთო უძველესი წყაროს) გავლენის შედეგია ქვემოთ დასახელებული მაგალითები:

1,54: ესე არიან ს ა ხ ლ ნ ი, რომელნი მოვიდეს ემათით.	ესე არიან კ ი ნ ე ლ ნ ი, რომელნი მოვიდეს ემათით.

ერთმანეთს უპირისპირდება „კინელნი" და „სახლნი", მათ სანაცვლოდ სომხურ ტექსტშია *տունք*, ბერძნულში κιναῖοι.

S	F
1,52: ესენი ესხნეს ძენი სობალს... რ ო მ ე ლ ნ ი ხ ე დ ვ ი დ ე ს ნ ა წ ი ლ ს ა გ ა ნ ს უ ე ნ ე ბ ი ს ა ს ა	ესენი ესხნეს ძენი სობალს... ა რ ა, ა ს ი რ, ა მ ო ნ ი თ.

სომხ. *տեսանել զտասն հանգստեալ*; ბერძნ. ᾿Αραα, ᾿Σσι, ᾿Αμμανιθ.

Толковая Библия-ში აღნიშნულია, რომ დასახელებული წაკითხვა სეპტანტაში ტექსტის დამახინჯებაა, მთლად ნათელი არც ებრაული წაკითხვაა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და რომ ამ ტექსტს ზოგჯერ შინაარსობრივი გააზრების საფუძველზე ასწო-რებენ[7].

ფაქტი ისაა, რომ F LXX-ს მხარეზეა, S კი — სომხურისა.

წარმოდგენილი მსჯელობა ეყრდნობა ქართული ტექსტის სომხურ ვულგატასთან შედარების პროცესში გამოვლინებულ ცალკეულ ფაქტებს. სომხურთან S-ის და სხვა ხელნაწერების ურთიერთობის ზუსტი და სრული სურათის წარმოსადგენად საჭირო იქნება იგი შეუდარდეს არამარტო ნაბეჭდ სომხურ გამოცემას, არამედ ხელნაწერებსაც, რომლებიც ზოგჯერ უფრო ძველი ვითარების ამსახველნი არიან, ვიდრე ნაბეჭდი ტექსტი. მათთან „ნეშტთას“ ქართული ვერსიების გამოწვლილვითმა შედარებამ შესაძლოა გამოავლინოს ისეთი მასალა, რომელიც გადაწყვეტდა ქართული ტექსტის წარმომავლობის მეტად საინტერესო საკითხს.

S-ის შესახებ ნათქვამი რომ შევაჯამოთ, მივიღებთ:

S-ის მიმართებაში IDF ნუსხებისადმი გამოიყოფა სამი მომენტი: ა) რედაქციული თვალსაზრისით S ძირითადად იძლევა იმავე სურათს, რაც ნიშანდობლივია დანარჩენი ხელნაწერების ტექსტისათვის, ბ) ზოგჯერ F-თან ერთად სტილისტურად უპირისპირდება DI-ს და გ) უპირისპირდება დანარჩენ ნუსხებს. მასში სრულადაა წარმოდგენილი ყველა ის მონაკვეთი და დეტალი, რაც ქრონოლოგიურად მის წინამორბედ ხელნაწერებს აკლია ბერძნულსა და სომხურთან მიმართებაში.

ასეთ და ზოგ სხვა შემთხვევაში ტექსტი ავლენს სომხურზე დამოკიდებულების ნიშნებს.

„ნეშტთა I“ ქართული ტექსტი საინტერესოა ლექსიკითაც. გვხვდება ზოგი ისეთი სიტყვა, რაც მაინცდამაინც ძალიან არაა გავრცელებული ქართულ ტექსტებში.

კ ე დ ი საკუთხი ქვა (საბა) (22,3); კ უ რ ტ ი მ ლ ე ბ ი — კარის კამრები, გინა ქუდები (საბა. დამოწმებულია ჩვენი ტექსტი) (23.29); ლ ე ლ ა ნ გ ო — „უფოვარი ნაზუქი“; (10, 4); ნიჯოგარი — მეაბჯრე αἴρων τὰ σκενή (12, 41); ს კ ი ჭ ი „ჩამიჩი“ (ἡ στάφις). მ ს ხ ო ვ რ ი თ ἡ ἐφημερία და სხვ.

Ⴙ რედაქცია. ბაქარის ბიბლიაში დაცული „ნეშტთა I“ ამ რედაქციის ერთადერთი ტექსტია. იგი იცავს იმ ტექსტობრივ ტრადიციას, რომელიც ბერძნულ სეპტანტაშია წარმოდგენილი. მაგრამ როგორც ტექსტის შესწავლამ დაგვანახვა, იგი დიდად დავალებულია სლავური ტექსტისაგან. მივმართოთ მაგალითებს.

ა) პირთა და გეოგრაფიულ სახელთა ხმარება, მათი გაფორმება Ⴙ რედაქციაში გაპირობებულია სლავური ტექსტით.

VII თავის 31-ე მუხლში გვხვდება: „მამა ზ ა ვ ე ფ ო ს ა“, C' რედაქციაში შესაბამის ადგილზეა — „მამა ბ ე რ ზ ე თ ი ს ი“. ამ უკანასკნელის გვერდით დგას ბერძნული და სომხური, სამაგიეროდ, სლავური ბაქარისეულ „ზავეფოს“ უჭერს მხარს: отец Завефов.

7, 32-ის **„ხოვორ“** (საკ. სახელი) C რედაქციის „ქ ა ბ ე ლ ი ს“ საპირისპიროდ (ბერძნ. χαβηλ) სლავური „ховор“-ითაა გამოწვეული (Ховор ради).

---

[7] Толковая Библия... т. III, стр. 143.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგივე შეიძლება ითქვას „უფიი ძე ამიუდისი“ (Ш რედაქციის „გოთის“ სანაცვლოდ)—Уфии сын Амиудов და სხვათა შესახებ.

წარმოდგენილი სახელები ლექსიკურად სხვადასხვა ერთეულებია. როგორც საკუთარ სახელებზე დაკვირვება გვიჩვენებს, მათი გადმოტანა დამოკიდებულია სლავურის ტრანსლიტერაციაზე და ზოგჯერ ზეპირ გამოთქმაზე.

1,43: და სახელი ქალაქისა მისისა დენნავა (Ш რედ. „დენება“) Бѣрнѣ. Дѣнѣвѣа слав. Деннава. შენარჩუნებულია სლავურის ორი თანხმოვანი და ѣ, რაც თავის მხრით თვით სლავურში ახალ ბერძნულ გამოთქმაზე უნდა იყოს დამყარებული.

7,28: და სავანე მისი ევფილ... და სიხემ. საყოფელი მისი ბეთელი და... სჴქემ.

Обитание их Вефил... Сихем.

1,9:Сава — Саг?
4,34:Вѣсова — Мосовав
18,1:Ефф ‖ Гаѳѳ (Ш) F Гѣѳ და სხვ.

როგორც აღვნიშნეთ, ტექსტის უდიდესი ნაწილი გენეალოგიურ სქემებს უჭირავს. წარმომავლობისა და ნათესაობის გამოსახატავად გამოყენებული — ев. ов, ин სუფიქსები სახელის ძირთან ერთად გადმოყოლია ქართულ თარგმანს (ეს მოვლენა, როგორც გარკვეულია სამეცნიერო ლიტერატურაში, დამახასიათებელია ბაჭარისეული ბიბლიის სხვა წიგნებისთვისაც).

მოვიყვანთ რამდენიმე ნიმუშს:

(9, 12) ადამ ძე იოროამისა... ძისა მელხიაევისა... ძისა ემმაროვა (Ш: ემერისა)
(1,36) ხარჭმან ელიფაზოვა უშვა მას ამალეკი (Ш ელიფაზისმან)
Адам сын Иероама... Сына Мелхиева...
сына Еммарова
Наложница Елифазова

(3,5) ძენი ნოადინისნი (ნოადისი — Ш) Ноадины; (4,37) ძისა სემეინისი (Ш სემისი) сына Семеина.

ესაა ერთ-ერთი მომენტი ქართული თარგმანის სლავურზე დამოკიდებულებისა.

ბ) Ч რედაქციის ტექსტი დამძიმებულია ინფინიტური და მასდარული კონსტრუქციებით.

იქ, სადაც Ш რედაქციაში გეხვდება ზმნის პირიელი ფორმა „ჰრქუა“, Ч-ში თითქმის სისტემატურად დასტურდება მიმღეობა „მეტყუელი“, შესაბამისად სლავურშია „глаголя“.

უწოდა მას სახელი დედამან მისმან იავის, მეტყუელმან: 4,9... Иавис, глаголющи.

4,10: მოუწოდა... მეტყუელმან პრიზა глаголя.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა შემთხვევებშიც Ⴙ რედაქციის ზმნის პირიელ ფორმებს Ⴟ-ში სრულ რისპირდება მიმღეობები.

7,11: **აღმსვლელნი**... ბრძოლისა მართ ко ополчению... исходящий — **რომელნი გამოვიდოდეს** ბრძოლად

12, 1: **შემწეველნი** ბრძოლასა შორის помогающе во брани — შეეწეოდეს ბრძოლასა

6,33: ესენი წᲽმდგომარენი сии предстоящие — და ესენი, რᲽნი დგეს

ხელოვნურობის შთაბეჭდილებას ტოვებს ინფინიტიური კონსტრუქციების გამოყენებაც.

„გამოგიყვანე... სამწუხოსგან, რᲽლ ყოფად შენდა მყუანებელად“ —ბობღანთა შორის გალობდენ რᲽლ აღმატებად—15,21 — რაჲთა იყო წინამძღუარი—еже быти вождем еже хвалити гдᲽа

აქ კონსტრუქცია „რᲽლ ყოფად“, „რᲽლ აღმატებად“ ზუსტად იმეორებს სლავურს. ინფინიტივთან ერთად გადმოყოლილია კავშირი „რომელ“ „რაჲთას“ მნიშვნელობით. „რომელით“ „რაჲთას“ შესაცლებისათვის, ვფიქრობთ, ხელუნდა შეეწყო еже-ს მნიშვნელობის აღრევას еже-чтобы-ში (В. Даль). еже-ს აქვს განსხვᲽნება: ижe-иже, иже, еже—который; ѯ, ѣ, ѳ (И. Срезневский).

გ) სლავური თარგმანისაკენ მიაპყრობს ჩვენს ყურადღებას თანდებულებისა და კავშირების უადგილო ხმარებაც. იგივე შეიძლება ითქვას ზოგი სიტყვის მცდარ გაგებასა და სახელების არასწორ გაფორმებაზე ბრუნვასა და რიცხვში.

Ⴙ — მგალობელნი ორღანოთა შინა. — მაქებელად ქნარითა. — во органы (15,7)

მოუთხრობს ებანთა შინა. (7,10) — над псалтырем

„და“ კავშირი ინდოევროპულ ენებში აღჭურვილია ცა ნაწილაკის ფუნქციით[8]. ქართულის „და“ ამ მნიშვნელობას მოკლებულია. „დას“ — „ცას“ მნიშვნელობით ხმარება ნათარგმნ ძეგლებში ყოველთვის უცხოური გავლენის მაჩვენებელია. მსგავსი ვითარებაა ჩვენს ტექსტშიც.

და დაბანი მისი **და სიხემ** (7, 28) — и веси его и Сихем.

განძლიერდეს... **და დღეს** (28, 7) — Якоже и днесъ.

განსაკუთრებით ხელშესახებია სლავურის გავლენა შემდეგ მაგალითში:

1,6: და ვანია იოზიილ. — Ваня и Озиил

„იოზიილ“ „იზიილის“ ნაცვლად. კავშირი და ფუძის დასაწყის ხმოვნად მიუჩნევია ქართველ მთარგმნელს.

---

[8] ს. ყაუხჩიშვილი, ხრონოგრაფი გიორგი ამარტოლისა, ნაწ. II, გამოკვლევა, თბ., 1926, გვ. 21.

დ) ტექსტის მცდარი გაგების სხვა ნიმუშებია:

1. — და იყო მოპოვნებულსა წელსა შინა 20,1 ბერძნულში აქ არის ἐπιὸν ἔτει, ἔπιον ἔπειμι ზმნის მიმღეობაა და აღნიშნავს „მომავალ წელს“ — (через год), „მოპოვნებული“ უნდა გაეპირობებინა находящее ფორმის находить „პოვნა“ ზმნასთან დაკავშირებას. И бысь в находящее лето.

2. აღაშენა ვეფორონ მდაბალნი— 7, 24. „ქუემო“ უნდა იყოს. Вефорон нижний

3. მიივლტოდეს მისა მიმართ **მარტო** და იოზავათი — 12, 20. იდნა და იოზაბად еднай Иозаваф

Еднай საკუთარი სახელი რიცხვით სახელად „ერთად“ მიუჩნევიათ.

ე) ვეყრდნობით რა ზემოთქმულს და თან ვითვალისწინებთ რა ბაქარის ბიბლიის ტექსტის ისტორიას, გამოვყოფთ ზოგიერთ ებრაულ თუ ბერძნულ სიტყვას, რომელიც სლავური გზით უნდა მოხვედრილიყო ქართულ თარგმანში.

Ⴄ	Ⴂ
1. დავითზე იყო **ეფუდი** ბისონისა 15, 27.	დავითს ემოსა **სამოსელი** ბისონისა

„ეფუდი“ ებრაული სიტყვაა. „ეფუდი“ „ნეშტთა I“ შესაბამის ადგილას არც ბერძნულ, არც სომხურ ტექსტში არ დასტურდება. გასაღებს ისევ სლავური ტექსტი იძლევა.

На Давиде ефуд виссонный.

2. ქვათა პარისულთა || მარმარინო (Ⴂ 29,2).

ბერძ. πάρινος, სლ. камни парийские.

ლაპარაკია პაროსის მარმარილოზე (კუნძული პაროსი ეგევსის ზღვაში განთქმული იყო უმაღლესი ხარისხის მარმარილოთი, მას პირდაპირ პაროსულს უწოდებდნენ საზღვრულის გარეშე). **„ქვათა პარისულთა“ ეს** მსაზღვრელ-საზღვრული სლავურის თარგმანი უნდა იყოს.

3. 28, 11; სახე **კამარათა** და ზედასახლთა.

სლ. камара.

4. პატრიარხი აარონ ვ~ა ძმანიცა მისი — 24,31 Ⴄ	ტომნი პ~ლნი ვ~ა ძმანი მათნი უმრწამესნი — Ⴂ.

ბერძნულშია πατριαὶ ἀρως (ალექს. კოდექსით).

სლავურში; патриарси Аарони.

ამრიგად, „ნეშტთა I“ ტექსტი წარმოდგენილია ქართულში ორი ძირითადი — Ⴂ და Ⴄ რედაქციის სახით.

Ⴂ რედაქცია წარმოდგენილია ოთხი ნუსხით, რომელთაგან ერთ ქვეჯგუფში ნაწილდება A — 570 და H — 885, ხოლო მეორეში — A — 646 და A — 51. ამ ტექსტის გარკვეული ფენა მიგვანიშნებს ქართულ თრაგმანში ბერძნული წყაროს გამოყენებაზე. გარკვეულ მონაკვეთში A — 51 უპირისპირდება Ⴂ რე-

დაქცის ხელნაწერებს და ავლენს სომხურზე დამოკიდებულების ნიშნებს.

Ქ რედაქციას ქმნის მხოლოდ ბაქარის ნაბეჭდი ბიბლიისეული ტექსტი, რომელიც დიდადაა დავალებული სლავურისაგან.

Г. И. КИКНАДЗЕ

ГРУЗИНСКИЕ РЕДАКЦИИ ПЕРВОЙ КНИГИ «ПАРАЛИПОМЕНОН»

(Резюме)

Грузинский текст первой книги «Паралипоменон» сохранился в двух основных редакциях. К первому редакционному типу относятся рукописи А-570 (XV в.), А-646 (XVI в.), Н-885 (XVII в.), А-51 (XVIII в.), ко второму — текст Московского издания грузинской Библии (1743 г.).

Списки первой редакции со своей стороны образуют две подредакции. Их следует считать результатом дальнейшей переработки (сверения и исправления по разным источникам) первоначального текста.

Текст этой редакции сличен с иноязычными изданиями Библии (с греческим, армянским, латинским, славянским). Несмотря на то, что устанавливается относительная зависимость от греческого LXX (неправильное понимание слов, словообразование), вопрос о происхождении грузинского перевода пока не решен.

По некоторым языковым признакам (формы собственных имен, словообразование, инфинитивные и причастные обороты) установлено, что текст II-ой редакции подвергался влиянию славянского подлинника.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნარგიზა გოგუაძე

„ნეემიას წიგნის“ ძველი ქართული რედაქციები

„ნეემიას წიგნი“, რომელიც სხვადასხვა სახელწოდებით გვხვდება ძველ ქართულ ხელნაწერებში და რომელიც ადრე „ეზრას წიგნთან“ იყო გაერთიანებული, მოგვითხრობს სპარსეთის მეფის არტაშეს ღვინისმწდის — ნეემიას საქმიანობაზე, რაც მან გასწია დანგრეული იერუსალიმის აღსადგენად და გასამაგრებლად.

„ნეემიას წიგნის“ ქართული ტექსტი ჩვენამდე მოღწეული ნუსხების[1] მიხედვით ორ რედაქციად იყოფა. პირველ — Ⴀ რედაქციას ქმნის: ოშკური ბიბლია (ჩვენი ლიტერით O), იერუსალიმური ბიბლია (ლიტ. J), კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერები: A — 51 (ლიტ. S), A — 570 (ლიტ. F), A — 646 (ლიტ. E) და H — 885 (ლიტ. D). მეორე — Ⴁ რედაქციის ტექსტს შეიცავს მხოლოდ 1743 წელს მოსკოვში გამოცემული ქართული „ბიბლია“.

Ⴀ რედაქციის ხელნაწერებს შორის ქრონოლოგიურად უძველესია ოშკური (978 წ.) და იერუსალიმური (XI საუკ.), დანარჩენები განეკუთვნება XV—XVIII საუკუნეებს. თუმცა ოშკური (O) ხელნაწერი ყველაზე ადრინდელია, მაგრამ იგი, როგორც შედარებიდან ირკვევა, არც ერთი ზემოთ დასახელებული ნუსხის დედანი არაა. მოვიყვანთ ამის დამადასტურებელ რამდენიმე ნიმუშს:

O მცდარად კითხულობს ზოგიერთ სახელს, რასაც არც ერთი ნუსხა არ იმეორებს:

1, 1: მე ვიყავ შ ო რ ი ს დედაქალაქთა მათ აბირაჲსთა O.	მე ვიყავ შ უ შ ს... JF „ „ შ უ ს F „ „ შ უ შ S „ „ ბ უ ბ ს D.
6, 2: და მოავლინეს კ ა ნ ა ბ ა ლ ა ტ და გესამ და მრქუეს: მოვედ და შევკრბეთ ერთად დაბნებსა მას ველისა უ კ უ ა ნ ა ჲ ს ა ს ა O.	მოავლინეს ს ა ნ ა ბ ა ლ ა ტ და გესამ და მრქუეს: მოვედით და შევკრბეთ ერთად დაბნებსა მას ველისა ო ნ ა ჲ ს ს ა JEFS.

გეოგრაფიული სახელი ო ნ ა ჲ ს ს ა (რომელსაც შეესაბამება ბერძნული Ωνώ, რუსული Оно) ოშკურმა ნუსხამ შეცდომით დაქარაგმებულ სიტყვად მიიჩნია და გახსნა „უ კ უ ა ნ ა ჲ ს ა ს ა“.

13,15: მათ დღეთა შინა ვიხილჱ ჰურიასტანს, რამეთუ წ˜ წ ყ ლ ე ბ დ ე ს საწნეხელსა შაბათსა... O.	მათ დღეთა შინა ვიხილე ჰურიასტანს, რამეთუ წ რ ე ტ დ ე ს საწნეხელსა შაბათსა... J.

[1] XVIII საუკუნეზე გვიანდელი ნუსხები არაა გათვალისწინებული.

ეროვნული

DEF ნუსხები ამ ნაწილში ნაკლულია, S ნუსხა კი რედაქციულად განსხვა-ვებულ წაკითხვას გვაძლევს: „მათ დღეთა შინა ვხედევდი ჰურიასტანს შინა, რამეთუ ს წ ი ხ ნ ი დ ე ნ საწნეხელთა დღესა შაბათსა“...

C რედაქციის ნუსხათა შორის ძირითადია ოშკურ-იერუსალიმური. მართა-ლია, სხვა ნუსხებიც ამავე რედაქციის ტექსტს შეიცავს, მაგრამ ზოგი მათგანი თავისებურებას ამჟღავნებს. მაგალითად, ხელნაწერები D (=H—885) და F (=A—570) OJ-სთან შედარებით იძლევა მთლიანი მუხლების განსხვავებულ წაკითხვებს:

O	DF
4, 21: მარადის ზოგნი იქმოდეს და ზოგთა მათ აქუნდა ჭური თჳსი გან-მზადებული გამობრწყინვებითგან ცისკრისაჲთ ვიდრე აღმოსლვადმდე ვარსკულავთა.	მარადის ზოგნი იქმოდეს და ზოგ-თა ჰქონდა ჭური თჳსი ცისკრით ვიდრე მწუხრადმდე.
5, 12: და თქუეს მთავართა მათ და სხუათა მათცა დიდ-დიდთა: მივაქცი-ოთ მუნვე და მაგათგან არაჲ მოვი-ღოთ; და ეგრეთ ვყოთ, ვითარცა-იგი შენ გჳბრძანე...	და თქუეს მთავართა მათ: ვყოთ, ვითარცა შენ გჳბრძანე...
	D
6. 4: და მოავლინეს ჩემდა მრავალ-გზის და მე იგივე სიტყუაჲ მიუგე მათ	და მოვიდიან მოციქულნი და მე იგივე სიტყუაჲ მიუგი.
6, 16: და იყო ვითარცა ესმა ესე ყოველთა მათ მტერთა ჩუენთა, შეძრ-წუნდეს ყოველნი წარმართნი, რო-მელნი გარემოჲს იყვნეს ჩუენსა. და დაეცა მათ ზედა ზარი და შიში ფრი-ადი. და გულისხმა-ყვეს, რამეთუ ღმრთისაგან იყო აღსრულებაჲ საქმი-სა მის ჩუენისაჲ.	და იყო ვითარცა ესმა ესე ყოველ-თა მტერთა ჩუენთა და შეძრწუნდეს წარმართნი. და დაეცა ზარი და გუ-ლისჴმა-ყვეს, ვითარმედ ღმრთისაგან იყო ესე აღშენებაჲ.
7,3: და ვარქუ მას: ნუ განაღებ ადრე-ადრე ბჭეთა იჱ~მისათა ვიდრე აღმოსლვამდე მზისა. და ყოველთა ეღჳძოს-ღა დაჰჴშევდ ბჭეთა მათ და კლიტითა დაჰკრძალევდ, და დადგედ მჴუმილნი მკჳდრთა იჱ~მისათაჲ და კაცნი საჴუმილავსა თჳსსა და კაცნი თითოეულად სახლსა თჳსსა.	და ვარქუ: აღახუამ ბჭეთა იჱ~ლ-მისთა ვიდრე მზისა აღმოსლვამდე. ვიდრე ყოველთა ეღჳძოს-ღა დაჴშ-ნედ ბჭენი ივი და კლიტენი დაჰკრ-ძალენ და ჴუმილნი დააყენენ თი-თოეულად სახლსა თჳსსა.
	DF
12, 35: ძეთა მათგან მღდელთანი იყვნეს, რომელ ჰბერვიდეს ნესტუსა მას: ზაქარია ძჱ იონათანისი, ძჱ სამე-აჲსი, ძჱ მათთანიაჲსი, ძჱ მიქჱაჲსი, ძჱ იზაქორისი, ძჱ ასაფისი.	ძეთა მათგან მღდელთანი იყვნეს მენესტუენი: ზაქარია ძე იონათანისი და ძისა ძეები მისი.
12, 43: და შეწირეს მას დღჱსა ში-ნა საკუერთხები დიდ-დიდები და გან-მხიარულდეს, რამეთუ ღმერთმან	შეწირეს საკუერთხები და იხარებ-დეს სიხარულითა დიდითა ცოლნი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხიარულ ყვნა იგინი სიხარულითა დიდითა. და ცოლები მათი და ძენი მათნი და ასულნი მხიარულ იყვნეს. და განისმა სიხარული იგი იწ~მისაჲ შორიელთა ადგილთა.

ძენი და ასულნი მათნი. და ისმა შორიელთა ადგილთა.

12, 44: და დაადგინეს მას დღჱსა შინა კაცი ზედა ფასსა მას საფასესა და პირველთაჲ მათ ათეულთაჲ, რომელ-იგი ერთვე შეკრბებოდა მუნ მთავართა მათგან ქალაქისათა, ვითარცა ბრძანებულ იყო შჯულსა მოსჱსსა მღდელთა მათ და ლევიტელთა.

დაადგინეს მას დღესა შინა კაცნი ზედა საფასესა, რომელი-იგი ეგრეთვე შეკრბებოდა, ვითარცა ბრძანებულ იყო სჯულსა მოსესა, რამეთუ სიხარული დიდი იყო შორის იუდაჲსა, მღდელთა და ლევიტელთა.

D და F ნუსხების ამგვარი გადახვევებისათვის დამახასიათებელია გამარტივებული წაკითხვანი, მაგალითად:

„ცისკრით ვიდრე მწუხრადმდე". — შდრ.: „გამობრწყინვებითგან ცისკრისაჲთ ვიდრე აღმოსლვადმდე ვარსკულავთა" O.

„მენესტუენი" — შდრ.: „რომელ ჰბერვიდეს ნესტუსა მას" O და სხვ.

როგორი წარმოშობისაა ზემოთ მოყვანილი განსხვავებული წაკითხვანი? რომელია უფრო ადრინდელი: D და F ნუსხათა[2] ჩვენება, თუ O ნუსხისა?

არქაულობისა და სიძველის ნიშნები ახასიათებს როგორც ოშკურ-იერუსალიმურს, ასევე D და F ტექსტებს. ამასთანავე, ისინი დიდ ნაწილში იმეორებენ ერთმანეთს, აშკარაა მათი ერთიმეორესთან რედაქციული კავშირი. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს განსხვავებული წაკითხვანი შედეგი იყოს ტექსტის შეჯერებისა უცხო წყაროსთან[3].

S ნუსხა, ე. წ. საბასეული ბიბლია, იმდენ თავისებურებას იჩენს „ნეემიას" ტექსტის მიხედვით, რომ მასზე საგანგებოდ ვრცლად უნდა შევჩერდეთ. S ძირითადად მიჰყვება ოშკურ-იერუსალიმურ ტექსტს, ბევრ შემთხვევაში კი ამჟღავნებს დამოუკიდებლობას. კერძოდ:

1) ავრცობს ზოგიერთ მუხლს:

მაგალითად: 4,5: ნუ დაეფარნენ უშჯულოებანი მათნი OJEFS + და ნუცა ცოდვანი მათნი პირისაგან შენისა აღიჴოცნენ, რამეთუ შეურაცხ-ყოფენ მაშენებელთა S.

11, 25: და დამკჳდრებულ იყო აგარაჲსა თჳსსა და ძეთა მათგანი იუდაჲსთაჲ რომელნი დასხდეს კარიათარბას OJDFS + დიბოს და ძენი მისნი და ყაბსაელს და აგარაკთა მისთა S.

---

[2] მ. ჯანაშვილს მიაჩნდა, რომ F(A—570) ხელნაწერი ათონურ ბიბლიაზე ადრინდელ ტექსტს შეიცავს. იხ. მ. ჯანაშვილი, ნაწრომი, 3, 1910, გვ. 37.

[3] ასეთი მაგალითები ცნობილია ჩვენი მწერლობის ისტორიიდან.

2) ამატებს ახალ მუხლებს, რაც არ გააჩნია სხვა ქართულ ნუსხებსა და ტებული მუხლებია: 3, 7; 4, 6; 7 : 19, 20, 24, 30; 8, 8; 10, 24 (25ბ); 11 : 16,20.21, 28—29, 32—35; 12 : 4 — 6, 9, 15—21, 38...

3) ასწორებს O და J ნუსხების წაკითხვებს:

მაგალითად: 3, 4: ძესა იწსესსა ზებელს O.
ძისა მასიზებელისა S.

შდრ. ბერძნ.: Μασεζεβγλ (ასეა სომხურში, რუსულში. ებრაულში).

3, 12: დაიპყრა ალუმ O.
სალუმ S. შდრ. ბერძნ.: Σαλουμ.

7, 31: კაცნი ბემაქერამაისანი O.
„ ბემაქერამაჲსნი J. შდრ. ბერძნ.: ἀνδρες
„ მაქემარისნი S. Μαχεμας.

7, 18: ოთხი OJ] შვიდი S. (ასეა ბერძნულში, რუსულში).

7, 25: ას და თორმეტ OJ] ოთხმეოც და ათხუთმეტ S (ასევეა ბერძნულში, რუსულში) და სხვა.

4) S ნუსხა იძლევა ქართული ძირითადი (ოშკური, იერუსალიმური) ნუსხების პარალელურ რედაქციულ წაკითხვებს.

ასეთებია: 8, 7; 11, 18, 26, 27, 30, 36; 12, 7, 10—12, 25.

ნიმუში:

8, 7: „ისუ და ბანეას და სარაბია გულისხმა-უყოფდეს ერსა მას შჯულსა. და ერი იგი დგა მსგავსად წესისა“ O.	„და ისუ და ბანეას და სარაბია, იამინ, აკუფ, სეფრაიმ, ოდა, მაასია, ელიტა, აზარია, იოსაფეთ, ანან, ფალაია და ლევიტელნი დაადუმებენ კრებულთა სმენად შჯულისათჳს. და ერი იგი დგა თჳსად“ S.
12, 25: „ერსა მათსა შინა მეკარეთა თანა“ O.	„მათანიას, ბეთბეგია, ობედია, მოსოლამ, თელმონ, აკუბ და მეკარენი და მეწუსენი და ძენი წინაშე კარისა“ S.

OJ ნუსხების პარალელური წაკითხვა ახასიათებს S-ის ბოლო მე-13 თავის უდიდეს ნაწილს: ნიმუშად მოვიყვანთ რამდენიმე მუხლს:

OJ	S
9. და უბრძანე განწმედად სახლი იგი საფასისა უფლისაჲ. და მოვაქცე მუნვე ჭურჭერი სამსახურებელი უფლისაჲ და ყოველი ლიბანონი.	9. და ვბრძანე, რაჲთა გაწმიდონ სახლი საფასეთა. და მოვაქცე მუნითგანვე ჭურჭელნი და სამსახურებელნი სახლსა უფლისასა ყოველივე და ლიბანონი.
10. და გულისხმა-ვყავ და ვცან, ერთარმედ ნაწილი ლევიტელთა არა უცემიეს. და იგინი წარსრულ იყვნეს აგარაკებად თჳსად. და ლევიტელნი იგი და შემსახმელნი იგი იქმოდეს საქმესა მუშაკობისა მათისასა.	10. რამეთუ გულისხმა-ვყავ და ზედა-მიწევნულ ვიქმენ, რამეთუ ნაწილნი ლევიტელთა არა მიეცა. და იგინი წარსრულ იყვნენ აგარაკთა თჳსთა. ხოლო ლევიტელნი და შემსახმელნი იქმოდენ საქმეთა მუშაკობისათა.

11. და ვჰხლაცედ მთავართა მათ და ვარქუ: რაჲსა მოაკლდა როშიკი სახლისაგან უფლისა? და შეკრიბენ ყოველნი იგი მსახურნი და დაადგინენ ადგილსა თჳსსა.

12. და ყოველთა ჰხურიათა მოიღეს ათეული იფქლისა და ღჳნისა და ზეთისაჲ საფასედ სახლსა უფლისასა.

11. რამეთუ ვაბრალებდი მთავართა და ვეტყოდი: რასათჳს მოაკლდა ეროშიკი სახლისაგან უფლისა? და შევკრიბე ყოველნი მსახურნი და დავაწესე იგინი ადგილსა მათსა.

12. და ყოველნი ჰურიანი მოიტანდეს ათეულთა იფქლისათა და ღჳნისასა და ზეთისასა საფასესა სახლსა უფლისასა. და ა. შ.

როგორც მაგალითებიდან ჩანს, A—51-ის შემდგენელ-რედაქტორი რაღაც წყაროსთან შეჯერების შედეგად ავსებს ქართულ ტექსტს (ასეა ბიბლიის სხვა წიგნებშიც). სამა ორბელიანმა ცალკეული მუხლები ხელახლა თარგმნა საკონტროლო დედნიდან, როცა ეს უკანასკნელი ქართული ხელნაწერების მონაცემებისაგან დიდად სხვაობდა. ამან გამოწვევა A—51-ში განსხვავებული ადგილების არსებობა. მაგალითად ავიღოთ ზემოთ დამოწმებული მერვე თავის მეშვიდე მუხლი:

O

„ისუ და ბანეას და სარაბია გულისხმა-უყოფდეს ერსა მას შჯულსა. და ერი იგი დგა მსგავსად წესისა“.

S

„და ისუ და ბანეას და სარაბა, იამინ, აკუფ, სეფრაიმ. ოდა, მაასია, ელიტა, აზარია, იოსაფეთ, ანან, ფალაია და ლევიტელნი დაადგმებენ კრებულსა სმენად შჯულისათჳს. და ერი იგი დგა თჳსად“.

S-ისეული წაკითხვა არ მოდის ჩვენთვის ცნობილი რომელიმე ქართული ხელნაწერიდან. ვვარაუდობთ, რომ იგი A—51-ის შედგენისას უნდა იყოს ქართულად გადმოღებული (ამ სიახლეს უნდა გულისხმობდეს ასეთი რიგის მაგალითები: „გულისხმა-უყოფდეს ერსა მას შჯულსა“ O, შდრ.: „დაადგმებენ კრებულთა სმენად შჯულისათჳს“ S).

რაც შეეხება ახალ მუხლებს ან დამატებულ ცალკეულ ადგილებს, ბუნებრივია, ისინიც ქართული ტექსტის ნაკლული ადგილების შევსების საჭიროებით ახლად ითარგმნებოდა. მაგ., მე-3 თავის მე-7 მუხლი (როგორც ზემოთ დავასახელეთ) დამატებულია S-ის მიერ:

„მახლობელად მათსა აღაშენეს მელქაიას გაბონატელმან და იადონ მერონატელმან გაბაონის და მასპის კაცთა მთავრისა მისთჳს, რომელი-იგი თემისა იყო წიაღ მდინარესა მის“ S.

ჩვენი აზრით, ეს ჩანამატი მუხლი ხელნაწერის შედგენის დროინდელი თარგმანია. მთელი მესამე თავი „ნეემიას წიგნში“ ეძღვნება ჩამოთვლას: ვინ და ვინ ააშენა იერუსალიმის ბჭენი. ოშკურ-იერუსალიმურ ნუსხებში S-ისეული ფრაზის — „მახლობელად მათსა აღაშენეს“ — ბადლად როგორც წესი გვაქვს:

3, 4: ჴელითა ამათითა ეპყრა...

3, 5: ჴელისაგან მათისა ეპყრა...

3, 6: ბჭე იგი ძუელი ეპყრა...

3, 8: და შემდგომად... დაიპყრა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

3, 9: და შემდგომად მათსა დაიპყრა... და ასე მთელი თავის გაყოლებით ცხადია. S-ისეულ ფრაზას — „მახლობელად მათსა აღაშენეს დისონანსი შეაქცს „ნეემიას“ ტექსტის უძველესი ნუსხების მონაცემებში. (შდრ.: პაჭარისეული ვერსიის: „და მახლობელ მათსა აღაშენეს...“).

მაშასადამე, A—51-ის შემდგენელ-რედაქტორი ტექსტს უდარებს საკონტროლო უცნო წყაროს და საჭიროების შემთხვევაში იქიდან თარგმნის ცალკეულ ადგილებს: ფრაზებსა და მუხლებს.

საგანგებო აღნიშვნის ღირსია მე-13 თავის საკითხი საბასეულ ხელნაწერში. A—51 ძველ ხელნაწერებთან შედარებით, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, იძლევა ამ თავის დიდი ნაწილის პარალელურ წაკითხვას. როგორ შეიძლება ავხსნათ ეს ფაქტი? ყველა ის ქართული ხელნაწერი, რომელიც სულხან-საბა ორბელიანის დროს იპოვებოდა საქართველოში და რომლითაც შეეძლო ეხელმძღვანელა მას A—51 შედგენისას, ამ ნაკვეთში ნაკლულია: D და F ხელნაწერები წყდება მე-13 თავის მე-3 მუხლზე, E ხელნაწერი კი — უფრო ადრე! მხოლოდ ოშკური და იერუსალიმური ნუსხებია ამ ნაწილში სრული, მაგრამ ორივე ნუსხა საბასთვის ხელმიუწვდომელი იყო[4] (ეს ხელნაწერები იმყოფება და იმყოფებოდა საბას დროსაც საქართველოს ფარგლებს გარეთ). მაშასადამე, საბა მე-13 თავის ნაკლულ ადგილს ოშკურ-იერუსალიმური ხელნაწერებიდან ვერ შეავსებდა.

აღნიშნული ნაკვეთის ერთხელ დაკვირვებით ჩაკითხვაც საკმარისია დავრწმუნდეთ, რომ ტექსტი ახალი თარგმანია. ამაზე მიგვანიშნებს ძირითადი ტექსტისაგან განსხვავებული სტილი და გრამატიკულ-ენობრივი მონაცემები. დავასახელებთ ზოგიერთს: S3-ის მრავლობითობა ნამყო დროში სისტემატურად გადმოიცემა -ენ სუფიქსით ძველი ქართულის -ეს-ის ნაცვლად.

O	S
მაგალითები: იქმოდეს	იქმოდენ
წარსრულ იყვნეს „	წარსრულ იყვნენ
მისცემდეს „	მისცემდენ
წრეტდეს „	სწიხნიდენ
ფრდიდეს „	ჰყიდდენ
სხდეს „	ისხდენ
ვაჭრობდეს „	გაჰყიდდენ
იტყოდეს „	ეტყოდენ

ზმნაში აღინიშნება მიცემით ბრუნვაში დასმული სახელის მრავლობითობა: „მათ შემოაქუნდა“ O — „მოაქუნდათ“ S (13, 15, 16). ესაც სიახლის მანიშნებელია. მეორე მხრივ, ზმნაში არ აღინიშნა ნარიან მრავლობითში დასმული სახელის რიცხვი: „მოაწივა ბოროტნი“ (13, 18); „ვიხილე ჰურიანი“ (13, 23), შდრ.: „ვიხილენ ჰურიანი“, O; „დავადგინე ჭაბუკნი“ (13, 19), შდრ.: „დავადგინენ მჭუმელნი“, O; „შევკრიბე ყოველნი“ (13, 11), შდრ.: „შევკრიბენ ყოველნი“, O? „მისცენ ასულნი“ (13, 25), შდრ.: „მისცნენ ასულნი“, O.

[4] სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების მიხედვით A—51 საბოლოოდ გაფორმდა და ჩამოყალიბდა 1711—12 წწ. იხ. ქრ. შარაშიძე, პირველი სტამბა საქართველოში, 1955 წ., გვ. 166—177; ქავთარია, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის ერთი წყაროს შესახებ, «მაცნე», 1965 წ., №1, გვ. 249—256.

II ბრძანებითის ნაცვლად II კავშირებითის გამოყენებაც ახალ ნორმებზე მიგვითითებს:

Ი	S
13, 29: მოიკსენინ იგი ღმერთმან	მოიკსენოს იგი ღმერთმან
13, 31: მომიკსენენ ჩუენ ღმერთმან	მომიკსენოს მე ღმერთმან
13, 14: მომიკსენენ მე ღმერთმან	მომიკსენოს მე ღმერთმან.

საკუთარ სახელებს ერთვის ემფატიკური ხმოვანი:

„რომელიცა ყო ელიასი ტობიასათჳს“ (13, 7), შდრ.: „რომელი ქმნა ელიასობ ტობისთჳს“ O.

„ანანძ ზაქურისა, ძე მათანისა“ (13, 13).

„ძეთა იოვადისათა“ (13, 28)

„ასული სანაბალატისა“ (13, 28)...

უდავოა, ეს მაგალითები თარგმანის სიახლეზე მიანიშნებს.

საიდან უნდა მომდინარეობდეს ეს ნაკვეთი, ე. ი. მე-13 თავის ახალი თარგმანი? როგორ მოხვდა იგი S ნუსხაში? სულხან-საბა ორბელიანი A—51-ის შედგენისას, როგორც წესი, იყენებდა ასეთ ხერხს: თუ რომელიმე წიგნის ტექსტი ნაკლული იყო, იგი ჩვეულებრივად ტოვებდა ხოლმე ცარიელ ადგილებს და ხშირ შემთხვევაში შემდგომ შეავსებდა მას სხვადასხვა წყაროების (უმეტესად საკითხავების) მონაცემებით.

ჩვენ საგანგებოდ შევამოწმეთ ისეთი რიგის წიგნები[5], რომლებიც შეიცავს საკითხავებს ბიბლიიდან, მაგრამ ნეემიას საძიებელი ნაკლული ტექსტი (მე-13 თავი) ვერც ერთ მათგანში ვერ დავადასტურეთ. მაშასადამე, რჩებოდა მხოლოდ ერთადერთი შესაძლებლობა, რომ S-ში მე-13 თავის ნაკლული მუხლები შევსებულიყო ახალი თარგმანით. ასეთი ხერხი, როგორც ზემოთ S-ისეული ახალი მუხლების განხილვიდან დავინახეთ, A—51-ის რედაქტორისათვის მიუღებელი და უცხო არაა; როგორც ჩანს, A—51-ის შედგენისას მე-13 თავის ნაკლული ადგილი ახლად ითარგმნა. A—51 ხელნაწერში მე-13 თავის ბოლო ნაწილი (ახალი თარგმანი) ძირითად ტექსტთან შედარებით დაწერილია მოგვიანებით, რაც აშკარად ჩანს ხელნაწერის ტექნიკური გაფორმებიდან: მე-13 თავის მე-5 მუხლიდან[6] გვაქვს უფრო მსხვილი ასოები, ტექსტი ნაწერია უფრო მუქად. ადგილი რომ გაშვებული იყო და მერე მომხდარა შევსება, ამაზე მიუთითებს გვ. 295v b სვეტი, სადაც დაუწყიათ წერა ახალი ტექსტისა: „წიგნი ეზრა ზორაბაბელის, მესამე“ შემდეგ გადაუხაზავთ მთელი ეს სვეტი, შეუვსიათ იმავე 295v გვერდის a სვეტი „ნეემიას“ ტექსტით და ტექსტი გაუგრძელებიათ შემდეგ ფურცელზე — 296r-ზე. ტექსტი მთავრდება 296v-ზე a სვეტით (ამ სვეტში სულ 12 სტრიქონია, მერე ადგილია გაშვებული), ხოლო b სვეტში იწყება ისევ „ეზრა III“, სწორედ ის ნაკვეთი, რომელიც წინა 295v-ზე გადახაზულია.

---

[5] ლექციონარები, სადღესასწაულონი, მარხვან-ზატიკი და სხვ.

[6] აქ კითხვა იბადება: რატომ მე-3 მუხლიდან არა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდის მოხდა „ნეემიას“ ტექსტის ბოლო ნაკლული ადგილის შევსება? სპას ნებართვით ხდება ეს ჩამატება თუ არა? ამ კითხვებზე ჩვენ დადებითად უნდა ვუპასუხოთ. ირკვევა, რომ ეს ჩამატება ხდება სპას სიცოცხლეში და მისი სანქციით. ამაზე მიუთითებს ორი ფაქტი:

1) A—51-ს საერთოდ ახასიათებს ბიბლიის წიგნებიდან პარალელური ადგილების დამოწმება. ეს დამოწმება შესრულებულია სულხან-სპა ორბელიანის ხელით. საბედნიეროდ, ასეთი დამოწმება სპას ხელით ახლავს მე-13 თავის 26-ე მუხლს.

2) არის კიდევ ერთი საშუალება (ეს დამოწმება რომ არ გექონოდა) იმის დამადასტურებლად, რომ სპამ იცოდა „ნეემიას“ მე-13 თავის შევსების ამბავი: სპას ლექსიკონის ავტოგრაფულ Z და A ნუსხებში[7] გვაქვს რამდენიმე სიტყვა, აღებული სწორედ „ნეემიას წიგნის“ მე-13 თავიდან. ესენია: ა წ ე, მ ა გ ა თ, მ უ ნ ი თ. ამ სიტყვებს დამოწმება ახლავთ: „2 ეზრა“ და შემდეგ შესაბამისად თავი და მუხლი.

ა წ ე 2 ეზრა 13, 27; მ ა გ ა თ 2 ეზრა 13, 26; მ უ ნ ი თ 2 ეზრა 13, 19.

(აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ A—51-ში „ნეემიას წიგნი“ იწოდება „ეზრა II“-დ)[8].

S ნუსხის თავისებურებათა განხილვიდან ჩანს, რომ სულხან-სპა ორბელიანი ქართულ ტექსტს აჯერებს რაღაც სხვა წყაროს და იმის მიხედვით ასწორებს ან ავსებს სათანადო ადგილებს. რა ტექსტი უჭირავს სპას საკონტროლოდ?

ცნობილია, რომ სულხან-სპა ორბელიანი ბიბლიაზე და თავის ლექსიკონზე მუშაობისას მიმართავდა სომხურ წყაროებს[9]. სომხური ბიბლიის[10] ტექსტთან შეჯერებამ S-ისეული დამატებებისა გამოაჩინა, რომ იგი არ შეიძლება იყოს სპასეული ჩამატებების ერთადერთი წყარო. სომხურ ტექსტში არ აღმოჩნდა მრავალი მუხლი, რომელთაც ამატებს S. ასეთებია: მე-3 თავის მე-7 მუხლი, მე-8 თავის მერვე მუხლი (სომხურში მე-7 მუხლს მოსდევს მე-9 მუხლი, რომელიც გამოცემაში აღნიშნულია 8-ით, ამიტომ სომხურის მე-9 უდრის მე-10 და ა. შ.), მე-11 თავის 16, 20, 21, 28, 29, 32—35 მუხლები და სხვ. ცხადია, ეს მუხლები სპასეულ ტექსტში რომელიღაც სხვა წყაროდან მომდინარეობს.

სპასეული ჩამატებები, რომელთაც პარალელები არ დაეძებნა სომხურ ტექსტში, სხვა წყაროს საკითხსაც სვამს. „ნეემიას“ ტექსტის სპასეული ჩანა-

---

[7] ლიტერეს ვიღებთ «ლექსიკონის» ახალი. 1965 წლის გამოცემიდან. რედაქტორი ილ. აბულაძე.

[8] სულხან-სპა ორბელიანის თხზულებაში—«საქრისტიანო მოძღვრება», იგივე «სამოთხის კარი» (ხელნაწერი კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის S ფონდის № 2951, გადაწერილი ნ. ჩაჩიკაშვილი) ჩამთავლილია ძველი და ახალი აღთქმის წიგნები, სადაც «ორი ნიშტოსი» შემდეგ შეცდომით დასახელებულია «ორი ეზეკიასი», უნდა იყოს «ორი ეზრასი» (ეზეკიელ ვრთია, წინასწარმეტყველი და იგი მიდის თავის რიგზე წინასწარმეტყველებში: წინასწარმეტყველება ესაიასი, იერემიასი, ბარუქისი, ეზეკიელისი, დანიელისი და ა. შ.). ხელნაწერის შეცდომა გამორებულია გამოცემაში: «სულხან-სპა ორბელიანი, თხზულებანი, ტ. III, 1963 (იხ. გვ. 259).

[9] ილ. აბულაძე. სულხან-სპა ორბელიანის სომხური წყაროები. თსუ შრომები, III. 1936.

[10] შედარებისას ვიყენებდით სომხური ბიბლიის პეტერბურგსა და კონსტანტინოპოლში შესრულებულ გამოცემებს.

მატები ჩვენ შევუჯერეთ ბერძნულ[11], ლათინურ[12] და რუსულ (ებრაულ) ტექსტებს. ბერძნულთან შეჯერებამ გაარკვია, რომ S წუხსას აქვს ისეთი დამატებანი, რასაც ბერძნულში შესატყვისი არ ეძებნება; მაგალითად, მე-4 თავის მე-5 და მე-6 მუხლები, მე-8 თავის მე-8 მუხლი, ამავე თავის მე-7 მუხლის ვრცელი S-ისეული წაკითხვა და სხვ.

ლათინურ ეულგატასთან შეჯერებამ კი დაგვანახვა, რომ იგი არ არის საბას შესწორებების და ჩამატებების წყარო. მაგალითად: ლათინურ ტექსტს აქვს მე-12 თავის ყველა მუხლი, მათ შორის 40-ე და 41-ე, რაც არ გააჩნია S-ს. გარდა ამისა, S ამატებს მუხლებს, რომლებიც არ მომდინარეობს ლათინური ტექსტიდან. მაგ.,

11, 17: „და ნათანიმელნი იგი ძენი მიქესნი და იოა ძე სამუისი ორას სამეოც და ათოთხმეტ“ S.	ლათ.: „Et Mathania filius Micha, filius Zebedei, filius Asaph princeps ad laudandum et ad confitendum in oratione et Becbecia secundus de fratribus ejus et Abda filius Samua, filius Gabal, filius Idithum“.

უველაზე მეტ სიახლოვეს S ნუსხის ჩანამატები ინენენ ებრაულ-რუსულ[13] ვერსიასთან. ნიმუშები:

O	ბერძნ.	S	რუს.
8, 7: ისუ და ბანეას და სარაბია და ბანეას და სარაბია უყოფ - გულისხმა-ყოფ - ერსა მას შჯულსა. და ერი იგი დგა მსგავსად წესისა[14].	Καὶ Ἰησοῦς καὶ Βαναιας καὶ Σαραβια ἦσαν συνεστηκοτες τὸν λαὸν εἰς τὸν νόμον καὶ ὁ λαὸς ἐν τῇ στάσει αὐτου.	და ისუ და ბანეას და სარაბა, იამინ, აკუფ, სეფრამი, ოდა, მაასია, ელიტა, აზარია, იოსაფეთ, ანან, ფალაია და ლევიტელნი დაადგუმებენ კრებულთა სმენად შჯულისათჳს. და ერი იგი დგა თჳსად.	Иисус, Ванаия, Шеревия, Иамин, Аккув, Шавтай, Годия, Маасея, Клита, Азария, Иозавад, Ханан, Фелаия и левиты поясняли народу закон, между тем, как народ стоял на своем месте.
8, 8: აკლია ქართულ ძირითად ნუსხებს (ასევე სომხურს).	καὶ ἀνέγνωσαν ἐν βιβλίῳ νόμου τοῦ Θεοῦ, καὶ ἐδίδασκεν Ἔσδρας καὶ διεστελλεν ἐν ἐπιστήμῃ κυρίου, καὶ συνῆκαν ὁ λαὸς τῇ ἀναγνώσει.	და წიგნი შჯულისა ღმრთისა განმარტებით და საჩინოდ აღმოიკითხეს, რაჲთა გუღისხმა-ყონ სიტყუაჲ იგი და სცნან.	И читали из книги, из закона Божия внятно, и присоединяли толкование, и народ понимал прочитанное.

[11] ბერძნული სეპტანტა ა. რ ა ლ ფ ი ს რედაქციით, 1952.

[12] ლათინური ბიბლია, 1903 წლის გამოცემა.

[13] ებრაულ ტექსტს როცა ვასაზელებთ, იგულისხმება სომხური ბიბლიის კონსტანტინოპოლური გამოცემის ვარიანტები (ადრეული რუსული ბიბლიის ჩვენებანი).

[14] სომხური ტექსტი მიჰყვება ბერძნულსა და O-ს ჩვენებას.

რომელი ენიდან ითარგმნა „ნეემიას წიგნი“ ქართულად? რადგან „ნეემიას“ ტექსტი ქართულში ორი რედაქციითაა, ბუნებრივია, მათ წარმომავლობას ცალ-ცალკე განვიხილავთ.

C რედაქციის ტექსტი „ნეემიას წიგნისა“ შევუდარეთ, ერთის მხრივ, ბერძნულ და, მეორე მხრივ, სომხურ ტექსტებს. ბერძნულ სეპტანტასთან შეჯერებამ გაარკვია, რომ ბერძნული ტექსტი არაა ქართული C რედაქციის თარგმანის დედანი. მაგალითად მოვიყვანოთ რამდენიმე ნიმუში:

1, 1: „და იყო თუესა მას ქასლევსა წელსა მას მეოცესა არტაშეს მეფისასა მე ვიყავ შუშს დედაქალაქთა მათ აბირაჲსთა“.

καὶ ἐγένετο ἐν μηνί χασεηλου ἔτους εἰκοστοῦ καὶ ἐγὼ ἤμην ἐν Σουσαν αβιρα.

2, 14: „და განვლე მე ბჭესა მას წყაროჲსასა წყალთა გარდამოსაქანელთა თანა. ესე არიან ამონიტელნი და მოაბელნი და სამარიტელნი მეფისათა. და არა იყო მუნ ადგილი კარაულისათჳს ჩემისა, ვითარმცა განვლე იგი ადგილი მჴედრ“.

καὶ παρῆλθον ἐπὶ πύλην τοῦ Αιν κα εἰς κολυμβήθραν τοῦ βασιλέως, καὶ οὐκ ἦν τόπος τῷ κτήνει παρελθεῖν ὑποκάτω μου.

5, 1: „და იყო ლალადებაჲ ერისა მის და ცოლებისა მათისაჲ კაცისაჲ ძმისა მიმართ თჳსისა“.

καὶ ἦν κραυγὴ τοῦ λαοῦ καὶ γυναικῶν αὐτῶν μεγάλη πρὸς τοὺς ἀδελφοὺς αὐτῶν τοὺς Ιουδαίους.

5, 4: „და იყვნეს რომელნიმე იტყოდეს: მივსცეთ მონაგები ჩუენი და მოვიღოთ ოქროჲ და ვეცხლი და მივსცეთ ხარკად მეფესა“.

καὶ εἰσίν τινες λέγοντες ἐδανεισάμεθα ἀργύριον εἰς φόρους τοῦ βασιλέως, ἀγροὶ ἡμῶν καὶ ἀμπελῶνες ἡμῶν καὶ οἰκίαι ἡμῶν.

ქართული თარგმანი რომ ბერძნულიდან არ მომდინარეობს, ეს ჩანს საკუთარი სახელების შედარებიდანაც:

მაგ., ქართული: არტაშე — ბერძნ. Αρθασασθα

7, 56: ძენი სოვეაჲსნი, ძენი ატუფაჲსნი

შდრ. ბერძნ.: υἱοὶ Νισια, υἱοὶ Ατιφα და სხვ.

თუმცა აგებულებით (მუხლების რაოდენობით) ქართულ ძირითად ნუსხებთან სომხური ტექსტი ახლოს დგას (ორთავეს აკლია: მე-3 თავის მე-7 მუხლი, მე-8 თავის მე-8 მუხლი, მე-11 თავის 16, 20, 21, 28, 29, 32—35 და სხვ.), მაგრამ მაინც სომხური არ ჩანს ქართულისათვის პირველწყარო. ავიღოთ ერთი ნიმუში: მე-3 თავის მე-3 მუხლში გვაქვს ასეთი დასახელება: „ბჭჱ იგი ი ქ ე თ უ რ ე ა ნ ი (ი ქ თ ჳ ე რ ე ა ნ ი J)“ OJ. სომხურში შესაბამის ადგილას იკითხება: **«Նեքախուրբան»**. იქეთურეანი||იქთჳერეანი, სომხ. **Նեքախուրբուն** და ბერძნ. (τὴν) ἰχθυηράν საკუთარი სახელია: იერუსალიმის ერთ-ერთ მისადგომს, ერთ-ერთ ბჭეს ასე უწოდებს ჩვენი ტექსტი. ეს სახელწოდება წარმომავლობით ბერძნულია ἰχθύς (=თევზი)→ ἰχθυηρος (=სათევზური). ქართული ტექსტი სომხურიდან რომ მოდიოდეს, იგი გადმოიტანდა სომხურში დადასტურებულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნჰქთჩრ**ჲ**ნ-ს [15]. ასევე, საკუთარი სახელების გადმოტანისას არ იგულისხმება სომხური დედანი სხვა შემთხვევებშიც, მაგალითად ავიღოთ ისევ ზემოთ დამოწმებული ადგილი:

7, 56: ძენი სოვეაჲსნი, ძენი ატუფაჲსნი

შდრ. სომხ.: *Որդիք Նախայ, որդիք Սարիփայ.*

შეიძლება სხვა ნიმუშის მოტანაც, სადაც ქართული და სომხური ტექსტები არ ემთხვევა ერთმანეთს:

3, 4: და ჴელითა ამათითა ეპყრა ჰრომოოს და ძეთა ქორეისთა აკოლისთა. და ჴელითა მათითა ეპყრა მოსოლას ძესა ბარუქისსა ძესა იშსისსა ზებულს. და ჴელითა მათითა ეპყრა სადუკს ძესა ბანეაჲსსა.

Եւ ի ձեռանէ նոցա ունէին Մասոդամ, որպէս Բարաքիւ, որպէս Մասիփիէլ և ի ձեռանէ նոցա ունէին Սադովկ, որպէս Բանայ։

გარდა ამისა, სომხურს გააჩნია ისეთი მუხლები (ამაზე ზემოთაც გვქონდა საუბარი), რაც არ არის ქართულ ძირითად ნუსხებში, მაგ., მე-7 თავის 19, 20, 24, 30 მუხლები და სხვ.

შენიშვნა: „ნეემიას წიგნის“ Ճ რედაქციის დედნის ბიებისას იქნებ ანგარიშგასაწევი იყოს ტექსტში შემჩნეული თავისებურება სახელთა გაფორმებისა, კერძოდ, საკუთარ სახელზე თავკიდური ა-ნის დართვა. მაგალითად:

10, 16 (=ბერძნ. 17): ⲁⲃⲁⲅⲗⲁ Ο ‖ ⲁⲃⲁⲅⲟⲩⲁ JEF, შდრ. ბერძნ.: ⲃⲁⲅⲟⲓ, რუს. Бигвай.

10, 15 (=ბერძნ. 16): ⲁⲃⲁⲧⲁⲓⲁ Ο ‖ ⲁⲃⲁⲃⲁⲓⲁ J ‖ ⲁⲃⲁⲃⲁ DF, შდრ. ბერძნ.: ⲃⲁⲃⲁⲓ, რუს. Бевай.

6, 10: ძისა ადალიასა Ο ‖ ადალჲასა JF, შდრ. ბერძნ.: ⲩⲓⲟⲩ ⲇⲁⲗⲁⲓⲁ, რუს. сына Делаии.

„ნეემიას წიგნის“ მეორე — Ც რედაქცია, როგორც დასაწყისში ითქვა, წარმოდგენილია მხოლოდ ე. წ. „ბაქარის ბიბლიაში“. იგი განცალკევებით დგას ყველა ძველი ხელნაწერის მონაცემებისაგან; მას არ აქვს შემხვედრი ადგილები Ճ რედაქციის ტექსტთან და არ არის ამ უკანასკნელზე დამოკიდებული.

ბიბლიის ცალკეული წიგნების დაწვრილებითი შესწავლით აშკარავდება, რომ ქართული ბიბლიის მოსკოვური გამოცემისთვის ითარგმნა არა მხოლოდ „ისო ზირაჯი“ და „მაკაბელთა“-ს წიგნები, როგორც ეს ივარაუდება გამოცემაზე დართული წინასიტყვაობიდან და ბოლოსიტყვაობიდან[16]. ერთ-ერთი ახალი თარგმანი, რომელიც შესრულებულია 1743 წლის გამოცემისათვის სლავური ენიდან, არის აგრეთვე „ნეემიას წიგნი“. თქმულის დასამტკიცებლად მოვიყვანთ ზოგიერთ ისეთ ფაქტს, რომელთა ახსნა მხოლოდ სლავურის საფუძველზეა შესაძლებელი: საკუთარი სახელები, რითაც ასე მდიდარია ჩვენი ტექსტი, „ნეემიას“ Ც რედაქციაში გაფორმებულია სლავურის მიხედვით. მაგალითები[17]:

---

[15] ეს სახელწოდება ტექსტში სხვგანაც გვხვდება (მე-12 თავის 39-ე მუხლში). ქართულისა და სომხურის ჩვენება აქაც განსხვავებულია.

[16] „ბიბლია“, მოსკოვი, 1743, თავფურცელის recto და ბოლოფურცელი, იხ. აგრეთვე, «ქართული წიგნი», 1, № 33, 1941, გვ. 44, 46.

[17] სამწუხაროდ, ჯერჯერობით ხელი არ მიგვიწვდება სლავური ბიბლიის 1663 წ. გამოცემაზე, საიდანაც უნდა მომდინარეობდეს არჩილისეული თარგმანები. ვიყენებთ სლავური ბიბლიის 1891 წ. გამოცემას.

3,4: „აღაშენა საღუკ ძმან ვაანაევისმან“.	„созидаше Садок сын Ваанаев“.	„ეპყრა საღუკს ძესა ბანეაჲსსა“
3,10: „აღაშენა ათტუფ ძმან ასავანინისმან“.	„созидаше Аттуф сын Асаванинн“	„დაიპყრა ატტოს ძმან ასბანისმან“.
13,4: „ელიასივ მღდელი... მონათესავე თობინისა“.	„Елиасив священник... сродник Товин“	„ელიასობ მღდელმან... სცა ადგილ ტობიას.“
3,19: „აღაშენა... აზურ ძმან იისუსოვმან“.	„созидаше... Азур сын Иисусов“	
7,9: „ძენი საფათიევისნი“	„Сынове Сафатиевы“	„ძენი საფატისნი“
7,10: „ძენი ირაევისნი“	„сынове Израевы“	„ძენი ერასისნი“
7,12: „ძენი ელამოვისნი“.	„сынове Еламовы“.	„ძენი ელამისნი“...

უდავოა, საკუთარ სახელთა ამგვარი ფორმები: ძენი საფათიევისნი (=საფატისნი), მონათესავე თობინისა (=ტობიასი) და მისთ. სლავური ტექსტიდან მომდინარეობს. ეს ფორმები არ არის მიღებული იმ „ჩასწორებების“ შედეგად, რაც აწარმოეს 1743 წლის ქართული ბიბლიის გამომცემლებმა. ამ „სწორების“ დროს, როგორც გამომცემელ-რედაქტორები სპეციალურად განმარტავენ, ხელი არ უხლიათ საკუთარი სახელებისათვის, აგრეთვე მცენარეთა და ცხოველთა სახელწოდებისათვის მაშინაც კი, თუ ეს სახელწოდებანი მათთვის უცნობი იყო. „ბიბლიაზე“ დართულ ბოლოსიტყვაობაში ამაზე პირდაპირი მითითებაა: „ნადირთა, მჭეცთა, თევზთა, ხეთა სახელნი, რომელიცა ვერ ვსცანით, ანუ საკუთარნი, ეგრეთვე დავსხენით“[19].

ჩვენ საშუალება გვქონდა შეგვემოწმებინა ეს დებულება 1743 წლის გამოცემის „მეორე სჯულთას“ ტექსტზე, რომელიც რედაქციულად ძველ ნუსხებს მისდევს და რომელიც ხასწორებია გამომცემელთა მიერ. მართალია, „მეორე სჯულთას“ ბაჭარისეული ტექსტი გამომცემლებმა შეუდარეს სლავურ თარგმანს და მის მიხედვით ჩაასწორეს ზოგი ადგილი, მაგრამ ამ ტექსტში არც ერთი შემთხვევა არ გვაქვს, რომ საკუთარ სახელთა ქართული ფორმები შეეცვალათ სლავურით. „ნეემიას“ Ч რედაქციის ტექსტში საკუთარ სახელთა გაფორმება სლავურის მიხედვით, მაშასადამე, არ არის ტექსტის „სწორებით“ მიღებული. გარდა ამისა, „ნეემიას“ Ч რედაქციაში გვხვდება სხვა ნიშნები სლავური დედნის გავლენისა. მაგალითად, გვაქვს სლავური ტერმინებისა თუ გამოთქმების კალკირება:

3,31: სლ.: „до дому Нафинимла и щиты продающих“.
„ვიდრე სახლადმდე ნაფინიმლისა და ფართა გამსყიდველთა“
3,32: სლ.: „созидаша ковачи и щитопродавцы“.

[18] სლავურ ტექსტს ვიძლევით რუსული ტრანსკრიპციით.

[19] „ბიბლია,“ მოსკოვი, 1743, ბოლო ფურცელი, იხ. აგრეთვე „ქართული წიგნი“, I, გვ. 47.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„აღაშენეს მჭედელთა და ფარისმყიდველთა“.

შდრ. რუს.: „чинили серебряники и торговцы“.

შდრ. O: „დაიპყრეს ქალკიანი და მდიდართა მათ ჭალაჭისათა“.

2,9: სლ.: „посла же царь со мною начальники силы“...

„წარმოავლინა მეფემან ჩემ თანა უხუცესი ძალთა“.

შდრ. O: „წარმაყვანნა მე მეფემან წინამძღუარნი ძლიერნი“...

8,7: სლ.: „людие же стояху на стоянии своем“.

„ხოლო ერნი დგეს მდგომარებასა ზედა თჳსსა“.

შდრ. რუს.: „народ стоял на своем месте“.

და ბოლოს, აღვნიშნავთ ზოგიერთ ისეთ შეცდომას, რომელიც დედნის მცდარად ამოკითხვით ან სიტყვის მნიშვნელობის მცდარად გაგებით არის გამოწვეული:

მესამე თავის მე-13 მუხლში არის ნახსენები გეოგრაფიული პუნქტი ზანუნი || ზანონი.

O: „დამკჳდრებულ არიან ზანუნს“.

სლ: „обитающий в Занюне“.

ბერძნ.: „οἱ κατοικοῦντες Ζανω“.

ეს გეოგრაფიული სახელი Ქ რედაქციის მთარგმნელმა დედანში შეცდომით ამოიკითხა Занон-ის ნაცვლად Законად და ასე თარგმნა: „მსავანებელთა რჯულსა შინა“.

მთარგმნელმა არ გაითვალისწინა, რომ „земля“ რამდენიმე მნიშვნელობით გამოიყენება და თარგმნისას მიეღეთ შეუსაბამობა:

4,10: „ხოლო ჰრქუა იუდა: შემუსრვილ არს ძალი მტერთაგან,

და ქუეყანა მრავალი არს, და ჩუენ არა ძალ-გვიც აღშენებად ზღუდისა“.

სლ.: „Рече же Иуда: истомлена есть сила (от) враг, и земля многа есть, и мы не можем созидати стены“.

შდრ. რუს.: „Но Иудеи сказали: ослабла сила у носильщиков, а мусору много; мы не в состоянии строить стену“.

მოყვანილი ნიმუშები, ჩვენი აზრით, ეჭვს აღარ ტოვებს, რომ „ნეემიას წიგნის“ Ქ რედაქცია მივიჩნიოთ სლავურის თარგმანად.

მაშასადამე, „ნეემიას წიგნის“ Ⴀ რედაქციის პირველწყარო კვლავ საძიებელია, მეორე — Ქ რედაქცია კი თარგმნილია სლავური დედნიდან XVIII საუკუნეში.

Н. Д. ГОГУАДЗЕ

ДРЕВНЕГРУЗИНСКИЕ ВЕРСИИ «КНИГИ НЕЕМИИ»

(Резюме)

Текст «книги Неемии» по дошедшим до нас спискам представлен в двух редакциях: первую — Ⴑ редакцию составляют рукописи: O (=ошкская библия), J (=иерусалимская библия), S(=A-51), F (=A-570,) E (=A-646) и D (=H-885). Вторую — Ⴓ редакцию представляет только московское издание грузинской «Библии».

В работе рассмотрены те отклонения, которые дают списки D, F и особенно S. Редактор рукописи A-51 Сулхан-Саба Орбелиани сравнивает грузинский текст «книги Неемии» с более полным иноязычным текстом и в нескольких случаях дополняет его своим переводом. Особенностью списка S здесь оказалось то, что в конечной 13-ой главе с согласия редактора дается новый перевод текста.

Текст «книги Неемии» сверен нами с греческим, армянским, латинским, славянским и русским текстами. Оригинал грузинского перевода Ⴑ редакции не найден. Вторая Ⴓ редакция является переводом с славянского языка.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციალა ჟურციკიძე

ეზრას აპოკალიფსისის ქართული რედაქციები

ეზრას სახელით ბიბლიაში სამი წიგნია ცნობილი: ერთი კანონიკური და ორი აპოკრიფული. ამჟამად ჩვენი განხილვის საგანს შეადგენს ეზრას აპოკრიფული წიგნი, ე. წ. „ეზრას აპოკალიფსისი“, რომელიც უძველეს ქართულ ხელნაწერებში „ეზრა სუთიელის წიგნად“ იწოდება.

ბიბლიაში ეს წიგნი ორი რედაქციით არსებობს — მოკლეთი და ვრცელით. ვრცელი რედაქცია შედგება თექვსმეტი თავისაგან, მოკლე — თორმეტი თავისაგან. ამ უკანასკნელში არაა ვრცელი რედაქციის პირველი ორი და ბოლო ორი თავები, თავის მხრივ, მოკლე რედაქციას V თავის 35-ე მუხლის შემდეგ ერთვის 83 მუხლის შემცველი ტექსტი, რომელიც არა აქვს ვრცელ რედაქციას.

სამეცნიერო ლიტერატურაში უფრო ძველად და პირველადად მიჩნეულია ამ წიგნის მოკლე რედაქცია. თვლიან, რომ იგი უნდა დაწერილიყო ებრაულ ენაზე, შემდე ეთარგმნათ ბერძნულად, სადაც მას უნდა დართვოდა პირველი ორი და ბოლო ორი თავები[1]. დღეისათვის ბიბლიის ეს აპოკრიფი არც ებრაულად და არც ბერძნულად არ არსებობს, არც ისაა ცნობილი, თუ როდის დაიკარგა იგი ამ ენებზე.

ძეგლს ჩვ. წელთაღრიცხვით I—II საუკუნეებით ათარიღებენ (რადგან მასში იხსენიება ქრისტე, მისი მოსვლა და აღსრულება: იხ. V თავის 28—29 მუხლები)[2].

ქართულ ენაზე ბიბლიის ამ წიგნის ორივე რედაქცია არსებობს. მოკლე ანუ ძველი რედაქციის ტექსტი დაცულია ათონისა (978 წ.) და იერუსალიმის (მე-11 საუკ.) ბიბლიის ნუსხებში, ვრცელი რედაქციის ტექსტი კი — ბაქარის ბიბლიაში.

მოკლე რედაქციის ტექსტი 1926 წ. იერუსალიმური ხელნაწერის მიხედვით გამოაქვეყნა რ. ბლეიკმა[3]. მანვე 1929 წ. დაბეჭდა აღნიშნული ტექსტის ვარიანტები ათონური ნუსხიდან[4].

სათაურის შესახებ. ბიბლიაში ეზრას წიგნებს ყოველთვის მყარი ადგილი არ ჰქონდათ: ერთი და იგივე წიგნი იწოდებოდა პირველ, მეორე, მესამე და ა. შ. ეზრად იმის მიხედვით, თუ რა ადგილი ეჭირა მას ხელნაწერებში ეზრას სხვა წიგნებთან მიმართებით.

[1] М. Шавров. О третьей книге Ездры (опыт исследования о книгах апокрифических). СПб., 1861, გვ. 17—34; Otto Eissfeldt. Einleitung in das alte Testament. 1964, გვ. 846—849.

[2] М. Шавров, დასახ. ნაშრომი, გვ. 130—158.

[3] R. Blake, The Georgian Version of Fourth Esdras from the Jerusalem Manuscript, The Harvard Theological Review, t. XIX, 4, 1926.

[4] The Georgian Text of Fourth Esdras from the Athos MS. The Harvard Theological Review, t. XXII. 1, 1929.

„ეზრას აპოკალიფსისი“ ლათინურ გამოცემებში IV ეზრად იწოდება (ა. ეზრას წიგნებში ნეემიას წიგნიცაა ჩათვლილი და ამიტომ), ეთიოპურ და არაბულ თარგმანებში იგი I ეზრას სახელწოდებით ყოფილა ცნობილი[5]. სომხურში ერცელი რედაქციის ტექსტს, რომელიც ლათინურიდანაა თარგმნილი (**ესკანისა** და მისგან მომდინარე გამოცემები), ლათინურისაგე მსგავსად IV ეზრა ეწოდება, ხოლო მოკლე რედაქციის ტექსტს (ბიბლიის ვენეციის გამოცემაში დაცულს) — III ეზრა. III ეზრას სახელითაა ეს წიგნი შეტანილი სლავურ ბიბლიაშიც.

რაც შეეხება ქართულ რედაქციებს, ვრცელი რედაქციის ტექსტს (ბაქარის ბიბლიისას) სლავურის მიხედვით ეწოდება „წიგნი მესამე ეზდრასი“. მოკლე რედაქციის ტექსტი კი ყველა ენისაგან განსხვავებულ სურათს გვიჩვენებს: ოშკისა და იერუსალიმის ნუსხებში ეს წიგნი რაიმე ნომრის ქვეშ არ ზის; ოშკის ნუსხაში მას სათაურად აქვს: „წიგნი ეზრა სუთიელი“, იერუსალიმის ნუსხაში კი: „ეზრა სუთიელი, რომელი იყო ბაბილოვნს“. მსგავსი სურათი გვაქვს ეზრა ზორობაბელის აპოკრიფული და კანონიკური წიგნების შემთხვევაშიც. სხვა ენებისაგან განსხვავებით ქართულ ძველი რედაქციის ნუსხებში არც ეს წიგნებია დანომრილი. შეიძლება მიზანშეწონილი იყოს ამ ფაქტის შემდეგნაირი ახსნა: ეზრას წიგნების ძველი ქართული რედაქციები უნდა გადმოსცემდნენ არქაულ ვითარებას, როდესაც ჯერ კიდევ არ არსებობდა მათი I—II—III და ა. შ. წიგნებად დაყოფა[6].

მოკლე რედაქციის ნუსხები და მათი ურთიერთმიმართება. მოკლე რედაქცია ნაკლულია როგორც ოშკის, ისე იერუსალიმის ნუსხებში.

ოშკის ნუსხას აკლია შემდეგი ადგილები:

III თავის 45-ე მუხლიდან ამავე თავის 56-ე მუხლამდე,

V თავის მე-3 მუხლიდან ამავე თავის 35-ე მუხლზე დართული 83 მუხლიანი ტექსტის 6 (50-ე) მუხლამდე[7].

V თავის 45-ე მუხლიდან VIII თავის მე-20 მუხლამდე,

VI თავის 63-ე მუხლიდან XIV თავის მე-18 მუხლამდე,

XII თავის 24-ე მუხლიდან ამავე თავის 27-ე მუხლამდე.

აღსანიშნავია, რომ თვითონ ოშკის ხელნაწერს იქ, სადაც ეზრა სუთიელის წიგნია მთავსებული, ფურცლები არ აკლია, როგორც ჩანს, ოშკის ბიბლიის გადამწერს ეს წიგნი რომელიღაც ნაკლული ხელნაწერიდან აქვს გადმოწერილი.

იერუსალიმის ნუსხას აკლია:

V თავის 35-ე მუხლზე დართული ტექსტის **ლე** მუხლიდან **ჲთ** მუხლამდე,

V თავის **პბ** მუხლიდან ამავე თავის 55-ე მუხლამდე.

VII თავის მე-20 მუხლიდან ბოლომდე.

ჯარდა ამისა, 211-ე გვერდიდან (VI თავის 23-ე მუხლიდან) ხელნაწერის დაზიანების გამო ბევრი ადგილი არ იკითხება.

იერუსალიმის ნუსხაში ტექსტის ნაკლულობა თვითონ ხელნაწერის დაზიანების ბრალი ჩანს (მხოლოდ პირველი შემთხვევის გარდა: ხელნაწერის 208-ე

---

[5] М. Шавров, О третьей книге Ездры... გვ. 1.

[6] ამგვარ ახსნაზე ბ. გიგინეიშვილმა მიგვითითა.

[7] მოკლე რედაქციის ტექსტში V თავის 35-ჯ მუხლის შემდეგ დართული ტექსტი დაუმუხლავადაა. როგორც ჩვენს ხელნაწერებში, ისე სომხურ გამოცემებშიც. იგი დამუხლულია ეთიოპური ტექსტის რუსული თარგმანის მიხედვით, რომელიც მ. შავროვის ზემოთ დასახელებულ წიგნშია დაბეჭდილი. აღნიშნული დანართის ტექსტის დამუხლვისათვის გამოიყენეთ ძველი ქართული ანბანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვერდზე **ლდ** მუხლზე დამთავრებული ტექსტი იქვე უშუალოდ **ეთ** მუხლიდან ტექსტით გრძელდება).

მიუხედავად იმისა, რომ ოშკისა და იერუსალიმის ნუსხებმა ერთმანეთის ბევრი დაკლებული ადგილი შეავსეს, მოკლე რედაქციაში ტექსტის თითქმის ნახევარი მაინც შეუვსებელი დარჩა.

მოკლე რედაქციის ტექსტში ცარიელია შემდეგი ადგილები:

V თავის **ლე** მუხლიდან **მთ** მუხლამდე.

V თავის 45-ე მუხლიდან ამავე თავის 55-ე მუხლამდე.

იერუსალიმური ხელნაწერის ფურცლების დაზიანების გამო VI და VII თავების მრავალი მუხლი.

VII თავის მე-20 მუხლიდან XII თავის მე-18 მუხლამდე.

VII თავის 24-ე მუხლიდან ამავე თავის 27-ე მუხლამდე.

რაც შეეხება საკითხს, იცნობენ თუ არა ოშკისა და იერუსალიმის ნუსხები ერთმანეთს, მარტო ის ფაქტი, რომ აღნიშნული ნუსხები სხვადასხვა ადგილასაა ნაკლული (სადაც ოშკის ტექსტს აკლია, იქ იერუსალიმური ნუსხა სრულია და, პირიქით), უკვე ნიშნავს იმას, რომ ამ კითხვას უარყოფითად ვუპასუხოთ.

როგორც ოშკის, ისე იერუსალიმის ნუსხებში საერთო არქეტიპის ტექსტი ძალზე შეცვლილი ჩანს, ბევრგან იგი დამახინჯებულიცაა.

თვალში საცემია ნუსხებში სინონიმების ანდა მახლობელი მნიშვნელობის მქონე სიტყვების მონაცვლეობა ერთმანეთის პარალელურად. მაგ.:

ოშკის ნუსხაშია: შეურაცხ-გყვეს — **იერუსალიმურში:** უარ-გყვეს (I,8)

ნათესავები	—	თესლები (I, 12)
ქუეყანა	—	სოფელი (I, 18)
ნათესავთა	—	ნაშობთა (I, 26)
დასძლოს	—	დაჰწონა (I, 34)
ტომმან	—	ნათესავმან (I, 35)
დაჰნერგის	—	დასთესის (II, 9)
აღმოცენებულად	—	აღორძინებულ (IV, 22)
საზეპურო	—	საკუთარი (IV, 58)
მუცელქმნულსა	—	მიდგომილსა (IV, 21)
ნაყოფნი უკეთურებისანი	—	ნაყოფნი უღმრთოებისანი (II, 31)
სიხარულსა	—	სიყუარულსა (III, 40)
ძლევათაჲ	—	ძალთაჲ (IV, 3)
გამოჩინებად	—	გამობრწყინვებად (V, 35 ოა) და სხვ.

როგორც ოშკის, ისე იერუსალიმის ნუსხებში (განსაკუთრებით კი პირველში) თვალში საცემია იმ რიგის შეცდომები, როდესაც გრაფიკული მსგავსების გამო სიტყვა შეცვლილია კონტექსტისათვის შეუფერებელი მნიშვნელობის მქონე სიტყვით.

ოშკის ნუსხაში გვაქვს:	**უნდა იყოს ისე, როგორც იერუსალიმის ნუსხაშია:**
„მიუგო მათ ერემი ანგელოზმან“	„მიუგო მათ ურიელ ანგელოზმან“ II, 36.
„სული ჩემი მოაკლდებოდა შურითა“	„სული ჩემი მოაკლდებოდა შრომითა“ III, 14.

„ყოველთაგან ადგილთა სულისათა“

მესმის მისთჳს და ვიტყჳ“

„ოხრადმდე ქუეყანისა და გამობრწყინვებადმდე ვარსკულავთა“

სამკაულად

ლოცვათა

„ყოველთაგან ადგილთა სოფლისათა“ — III, 24.

„მელმის მისთჳს და ვიტყჳ“ — III, 34.

„ოხრადმდე ქუხილისა და გამობრწყინვებადმდე ვარსკულავთა“ — IV, 2.

სამკალად — IV, 42.

ცოდვათა — VI, 26.

მცდარია იერუსალიმური ნუსხის წაკითხვები:

ორგან ოშკის ნუსხის „გჰბრძოთ“-ის შესატყვისად იერუსალიმის ნუსხაში გვაქვს „უბრძანოთ“ — II, 14—15.

J: „დაეფაროს წყალი ჰეშმარიტებისაჲ“.

„სასყიდლისა მისთჳს“.

„ქუეყანამან გამოსცეს კმაჲ თჳსი და ერნი იბრძოდიან“

„ყრმანი“.

O: „დაეფაროს ნაწილი ჰეშმარიტებისაჲ“ III, 1.

„სასწაულისა მისთჳს“ III, 1.

„ქუეყანამან გამოსცეს კმაჲ თჳსი და ერნი იძრვოდიან“ — III, 5.

„ყანანი“ — IV, 22.

მოკლე რედაქციის ტექსტის ენობრივი და ლექსიკური თავისებურებები. „ეზრას აპოკალიფსისის“ ძველი რედაქცია კლასიკური ქართულის ენობრივ ნორმებს ზედმიწევნით იცავს. საინტერესოდ გვეჩვენება იერუსალიმური ნუსხის რამდენიმე თავისებურება, რომელთაც ჩვენ დიალექტიზმები ეწუოდეთ.

1) „სმენა“ და „სმენილი“-ს ნაცვლად გვაქვს ფორმები: „სძობა“ და „სმობილი“:

„სმობით (სმენით O) ისმა... კმაჲ შენი“ — IV, 32.

„კმაჲ კაცისაჲ არღა სმობილ (სმენილ O) იყო“ — IV, 39.

2) „ცხონება“/„ცხოვნება“-ს ნაცვლად იერუსალიმის ნუსხაში გვაქვს „ცხომება“:

„იგი ცხომდეს (ცხონდეს O)“ — IV, 25.

„მცირედნი ცხომდენ“ — VI, 3 (O-ს აკლია).

„არამცა ცხომდა“ — V, 67 (O-ს აკლია).

3) ერთგან „სიცხე“-ს ნაცვლად გვაქვს „სიცხოჲ“:

„დაიცვა სიცხოჲსაგან და წყლისა შენი შექმნული“ — VI, 8.

ოშკის ნუსხას აქაც აკლია.

სი-ო პრეფიქს-სუფიქსით მხოლოდ რამდენიმე აბსტრაქტული სახელი იწარმოება (სითბო, სიმსხო, სიტკბო, სილბო)[8]. „სიცხო“ ძველი ქართული ენის ძეგლებში სხვაგან არ დაგვიდასტურებია.

ოშკის ნუსხაში ერთგან (იერუსალიმურს ეს ადგილი აკლია) შეგეხვედა მაგალითი უწყვეტლის ხოლმეობითის მწკრივზე:

[8] შდრ. ა. შანიძე. ქართული გრამატიკის საფუძვლები. თბ., 1953, გვ. 133.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„იგინი დღისი წერედ და ღამს ჰამედ პურსა, ხოლო მე დღს ყოველ ვ-ტყოდი და ღამს არა დავდუმნი“ — II, 43.

მე-7 საუკუნეში (თუ უფრო ადრე არა) თარგმნილი ძეგლისათვის[9] უწყვეტლის ხოლმეობითის ფორმის ხმარება აშკარად ნეოლოგიზმია.

ძეგლში ყურადღება მიიქცია მაგალითების განსაკუთრებულმა სიხშირემ რამდენიმე ენობრივ ფაქტზე:

ა) მომავალი დროის გადმოსაცემად გამოყენებულია ვითარებით ბრუნვაში დასმული მასდარი „ყოფნა“ ზმნის აწმყოსთან ერთად:

„ვიდრე ოდენ აქა ყოფად ვართ?“ — II, 35.
წარსლვად არიან — II, 45.
„რომელ არიან და რომელ ყოფად არიან“ — II, 51.
შობად არიან — III, 43.
ტანჯვად არიან — III, 48.
გარდაცვალებად არს — V, 17.
„გამოცხადებად არს რჩეული ცხებული“ — V, 28.
დაშჯად არიან — V, 35 (ბბ).
განწესებად არიან — V, 35 (ბგ).
განთავისუფლებად არიან — V, 35 (ბთ).
გამოჩინებად არიან — V, 35 (ოთ).
„რაჲ ვნებად არს ჩუენდა“ — V, 56.
ყოფად არს — V, 18; II, 32; II, 33.
შობად არიან — II, 19.
ყოფად ვართ — II, 35.
„რომელნი აქამომდე ქმნულ არიან, ანუ მერმე საქმედ არიან — II, 21.

ეს ფორმები ასე მრავლად ძველი ქართული ენის არცერთ ძეგლში არ შეგვხვედრია.

ბ) ვითარებითი ბრუნვის -ად ნიშნით ნაწარმოები სახელები:

წარსლვად — II, 45; II, 46: „წარსრული უწყი, ხოლო წარსლვად არა უწყი“ — II, 46.
შობადი — II, 42.
მსთუალი — III, 42.
განკრწნადი — II, 11; VI, 34; VI,6.
უჯრწნადი — II, 11: „ვერ შეუძლოს განკრწნადმან გულისჯმის-ყოფაჲ უკრწნადისა გზათასა“.
ჯამადი — III, 17; IV, 44.
ყოფადი — VII, 5.

გ) ე. წ. ნანათესაობითარი ვითარებითის ფორმები („ჩემდა“, „შენდა“), რომლებსაც ისინი კუთვნილებას გადმოსცემენ, დაირთავენ ვითარებითი ბრუნვის ნიშანს -დ-ს. ამგვარი მაგალითები ძველი ქართული ენის ცალკეულ ძეგლებში თითო-ოროლა გვხვდება, ჩვენთან კი ისინი საკმაოდ ბევრია:

„აღადგინე შენდად მონაჲ შენი დავით“ — I, 23.
„ვყოთ მუნ ჩუენდად სხუაღა მაღნარი“ — II, 14.

[9] შდრ. Н. Марр. Предварительный отчет о работах на Синае веденных в сотрудничестве с И. А. Джаваховым и в Иерусалиме в поездку...1902 г., стр. 15.

„გამოირჩია შენდად ვენაკი“ — III, 22.
„წმიდა ჰყავ შენდად სიონი“ — III, 24.
„განადიდე შენდად ერთი მდინარჱ“ — III, 24.
„გამოირჩია შენდად იატაკი ერთი“ — III, 23.
„სახელ-სდევ შენდად ტრედსა ერთსა“ — III, 26.
სათნო იყავ შენდად ერთი ცხოვარი“ — III, 28.
„საკუთრად შენდად ჰყავ ერი ერთი“ — III, 27.

აღნიშნული ენობრივი მოვლენების ასეთი სიხშირე სტილისტური თვალსაზრისით ძეგლის სპეციფიკას ქმნის. ამგვარი თავისებურებების გამოვლენა ძველ ძეგლებში უთუოდ დაგვეხმარება მათი ავტორისა თუ მთარგმნელის მიგნებაში.

ეზრა სუთიელის წიგნის ძველ რედაქციაში ყურადღება მიიქცია სიტყვებმა: **ნაგები, იაჰტავი, მსხეპრი, დარი, კასრი.**

1. **ნაგები** ტექსტში ორჯერ დასტურდება. IV თავის 42-ე მუხლში ნათქვამია, რომ ღმერთმა შექმნა რა მიწა და წყალი: „მესამესა დღესა უბრძანე (მიმართვაა ღმრთისადმი— ც. ქ.) წყალთა შეკრებად მეშჳდესა ნაწილსა ქუეყანისასა, ხოლო ეჭუსი ნაწილი კმელად დასდევ წინაშე შენსა სამსახურებლად და სათესველად და სამკალად“.

47-ე მუხლში თხრობა გრძელდება ამგვარად:

„ხოლო შეხუთესა დღესა უბრძანე მეშჳდესა მას ნაწილსა, სადა იყვნეს წყალნი, რომელსა ჰრქჳან ნაგებ, გამოცენებად საცხოვართა, მფრინველთა და თევზთა“...

50-ე მუხლში კი: „ვერ უძლო მეშჳდემან ნაწილმან ნაგებმან, სადა დგეს წყალნი, დატევნად მათა“.

კონტექსტის მიხედვით „ნაგები“ ჰქვია დედამიწის მეშვიდედ ნაწილს, სადაც „არიან წყალნი“.

სიტყვა „ნაგები“ ამ ადგილს სხვაგან არ დასტურდება. სომხურ მოკლე რედაქციის ტექსტში (იხ. სომხური ბიბლიის ვენეციის გამოცემა) IV თავის 47-ე მუხლი ქართულისაგან განსხვავებულია (შდრ. *ჩრ ի հինգերորդումն առար սասցեր երկրի բովանդ գետանցս կոպատա շտնչ կենդանի եւ թռչունս...*), 50-ე მუხლი კი მას სულ არა აქვს.

რაც შეეხება ვრცელი რედაქციის ტექსტებს, ყველა ენაზე ამ ადგილას ლათინურიდან მომდინარე „წყალთა შესაკრებელი“ გვაქვს (შდრ. ლათინური: aqua congregata, რუსული: была собрана вода, სომხური: *ջուրն հաւաքեալ*; ქართული: „შესაკრებელი წყალთა“).

სიტყვა აღმოჩნდა ებრაული negeb, რომელსაც ორი მნიშვნელობა აქვს: 1. ხმელი ადგილი, სამხრეთი, 2. ბიბლიის მიხედვით გარკვეული ადგილი. ქვეყანა[10].

ებრაული negeb, როგორც ქვეყნის სახელი, ბიბლიის რამდენიმე წიგნში გვხვდება (ისუ-ნავე, ნეშტთა, იერემია, ეზეკიელი), როგორც საზოგადო სახელი კი (სამხრეთის მნიშვნელობით) უთარგმნელად მხოლოდ ჩვენს ძეგლში დადასტურდა.

[10] სიტყვა ებრაულ ლექსიკონში დაგეძებნა მზექალა შანიძემ.

იაჰრავ (იაჰრავად).

სიტყვა სამჯერაა ნახმარი ერთმანეთის მიმყოლ მუხლებში, სამივეგან „იაჰრავად“ ფორმით. მოსდევს ტექსტს, სადაც ლაპარაკია იმის შესახებ, რომ ქვეყნად: „უმრავლეს არს ვეცხლისა რკინაჲ და უმრავლეს რვალისა — ბრპენი და უმრავლეს რკინისა — კეცი“ — V, 35 ლ, ლა. ამასთან დაკავშირებით უფალი ეკითხება ეზრას:

„განწონე შენ, რომელი უპატიოსნეს და საწადელ არს? უმრავლესი, იგი, ანუ რომელი იაჰრავად იპოვების“? — V, 35 ლბ.

ეზრა უპასუხებს: „და ვთქუ, უფალო, რომელი-იგი უფროჲს იპოვის, უადვილად იყიდების, ხოლო რომელი-იგი იაჰრავად იპოვის, იგი დიდის პატივის არნ“ — V, 35 ლგ.

და მესამე: „მომიგო და მრქუა მე: შენ თჳთ აღწონე, რამეთუ რომელ-ეგე გულისჴმა-ჰყავ, რამეთუ რომელ-იგი იაჰრავად იპოვის, უფროჲს უხარინ, რომელსა-იგი უცნ ფრიად“ — V, 35 ლდ.

სიტყვა დასტურდება მხოლოდ მოკლე რედაქციაში — მე-5 თავის 35-ე მუხლის შემდეგ დართულ ტექსტში — რომელიც ვრცელ რედაქციას არა აქვს. ამიტომ მისი შესატყვისების დაძებნა მოგვიხდა სომხურ მოკლე რედაქციასა და ეთიოპური ტექსტის რუსულ თარგმანში.

კონტექსტითაც და სომხური და ეთიოპური (რუსული თარგმანის მიხედვით) შესატყვისებითაც „იაჰრავი“ („იაჰრავად“) ნიშნავს: ცოტა, იშვიათი, ძნელად მოსაპოვებელი *սակաւ*, редкий, реже, редко[11].

სიტყვა უცხო წარმოშობისაა, მისი მიგნება ჯერჯერობით არ მოხერხდა.

მსხეპრი წვიმასთანაა ნახმარი და კონტექსტშივეა განმარტებული როგორც მძაფრი (ძლიერი, შხაპუნა):

„ხოლო შემდგომად მისა წარჴდა წინაშე ჩემსა ღრუბელი, სავსჱ წჳმითა და მოუტევა წჳმაჲ მძაფრი ფრიად, და ოდეს წარჴდა წჳმაჲ იგი მსხეპრი, და დაშთა მისგანი ცუარი ხოლო“ — II, 49, „წჳმაჲ მსხეპრი“ ნიშნავს „წჳმაჲ მძაფრი ფრიად“. „მძაფრი“ (უფრო ზუსტად, „მძლაფრება“) შეესატყვისება მას ბაქარისეულ რედაქციაშიც: „წარჴდა მძლაფრება წჳმისა თანა“.

„მსხეპრი“ ქართული სიტყვა ჩანს, მაგრამ ვერც ძველ ძეგლებში და ვერც ქართული ენის დიალექტებში მისი ხმარება ვერ დავადასტურეთ[12].

დარი: „განიგრძოს მოსლვაჲ ვიდრე შჳდად წლად ოდენ, რომელ არს შჳდი დარი“ — V, 35 ივ.

სიტყვა სემიტურია, ძეგლში ნახმარია სირიული ფორმით (dār), აღნიშნავს წელს, საუკუნეს, ეპოქას. ძველი ქართული მწერლობის სხვა ძეგლებიდან მისი ხმარება იმავე სირიული ფორმით დასტურდება აბო თბილელის წამებაში („მეშჳდესა დარსა ზედა ვდგათ“)[13].

კასრი ჩვენს ძეგლში ჭურჭლის მნიშვნელობითაა ნახმარი: „სხუანი ნათესავნი, ადამისგან შობილნი, არად შერაცხილ არიან, არამედ ვითარცა ხოლო ნერ-

---

[11] შდრ. М. Шавров, О третьей книге Эздры .., გვ. 56.

[12] «მსხეპრი» იმავე ძირის სიტყვა ჩანს, რაც შხეპი, შხეპა.

[13] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I, თბ., 1963, გვ. 49.

22.

წყუაჲ პირისაჲ შეირაცხნეს და ვითარცა ნაწუეთი კ ა ს რ ი ს ა ჲ, სიმდიდრე იგი მათი“ — IV, 56.

„კასრის“ ამგვარი მნიშვნელობით ხმარება ძველი ქართული ენის სხვა ძეგლებში არ შეინიშნა, უფრო მოგვიანო ხანის ძეგლებში იგი გვხვდება სახლის (სახლი მომცრო, სათავისწინაო — საბა) მნიშვნელობით. ამ მნიშვნელობით ეს სიტყვა არაბულიდანაა ჩვენში შემოსული (قصر — კოშკი, ციხე, სასახლე, ქალაქი).

რა წარმოშობისაა „კასრი“ — ჭურჭელი, ჩვენთვის ჯერჯერობით აუხსნელი რჩება. ჰრ. აჭარიანი მას სომხურ *կարաս*-თან აკავშირებს (ნიშნავს: დიდი თიხის ჭურჭელი, საღვინე)[14]. სიტყვა საგანგებო შესწავლას საჭიროებს.

მოკლე რედაქციის ტექსტის მომდინარეობის საკითხისათვის. ეზრა სუთიელის წიგნის მოკლე რედაქციის ტექსტი სომხურიდან თარგმნილად მიიჩნია ნ. მ ა რ მ ა. 1902 წელს სინასა და იერუსალიმში მოგზაურობის წინასწარ ანგარიშში იგი წერდა: „სომხურში ეზრას აპოკრიფული წიგნი გვიანდელ თარგმანად ითვლებოდა, რადგან აქამდე მისი ტექსტი ცნობილი იყო მხოლოდ XVI—XVII საუკუნეების ბიბლიის ხელნაწერებიდან. სპეციალურ ლიტერატურაში განიხილავდნენ სწორედ ამ გვიანდელ სომხურ ტექსტს, ამოიცნობდნენ რა შიგ აქა-იქ არქაულ ნიშნებს და მათზე აფუძნებდნენ სხვადასხვა შეხედულებებს. ამ შეხედულებათა უმრავლესობას ეხლა უნდა გამოვეთხოვოთ, რადგან ქართულმა თარგმანმა, რომელიც წარმოდგენილია XI საუკუნის ხელნაწერში, შემოგვინახა ჩვენ ძველი სომხური ვ ე რ ს ი ა, სრულიად განსხვავებული, უეჭველად არქაული თავისი შინაარსითაც.

„თვითონ ქართული თარგმანი არავითარ შემთხვევაში არაა VII საუკუნეზე გვიანდელი, შეიძლება, რომ იგი უფრო ადრინდელიც იყოს“[15].

ნ. მარს რაიმე დამამტკიცებელი საბუთი ქართული ტექსტის სომხურიდან მომდინარეობაზე არ მოუტანია.

1926 წელს იერუსალიმური ტექსტის გამოცემის წინასიტყვაობაში ეგევე აზრი, მხოლოდ ვარაუდის სახით, გამოთქვა რ. ბ ლ ე ი კ მ ა ც.

ბლეიკის აზრით, ჩვენამდე მოღწეულ სომხურ ტექსტს საერთო არაფერი აქვს ქართულთან, სომხური ენის თავისებურებები ქართულში არ გვხვდება, მაგრამ სომხური ენის გავლენა ქართულ ტექსტზე მაინც იგრძნობა[16].

ქართულ-სომხური ტექსტები ჩვენც შევუდარეთ ერთმანეთს[17], მათ საერთო აღმოაჩნდათ მხოლოდ ის, რომ ორივენი მოკლე რედაქციისანი არიან.

სომხური ტექსტი ქართულისაგან ორი ძირითადი ნიშნით სხვაობს:

1. სომხურ ტექსტს მუხლების დიდი რაოდენობა აკლია, ქართული ამ მხრივ სრული ჩანს (ვმსჯელობთ იმ ტექსტის მიხედვით, რომელმაც დაუზიანებლად მოაღწია ჩვენამდე). შდრ.: I, 18—22; II, 31—32; 42; 46; IV, 6—10; 23; 49—52; VI, 17—30 და სხვა.

---

[14] Ա ճ ա ռ ե ա ն, Արմատական Բառարան, III, გვ. 1057.

[15] Н. М а р р, Предварительный отчет о работах на Синае и в Иерусалиме... გვ. 14—15.

[16] R. B l a k e, The Georgian Version of Fourth Esdras from the Jerusalem Manuscript, The Harvard Theological Review, გვ. 306.

[17] ეზრა სუთიელის წიგნის სომხური მოკლე რედაქცია რამდენიმე ხელნაწერის მიხედვითაა გამოცემული ვენეციურ ბიბლიაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. ზოგიერთ ადგილს სომხური ტექსტი გაცილებით უფრო ვრცლად გადმოსცემს, ვიდრე ქართული. ნიმუშად ერთ მაგალითს მოვიყვანთ:

III. 13 — „და ვითარცა განვილვძე, ჴორცნი ჩემნი ძრწოდეს ფრიად და სული ჩემი მოაკლდებოდა შრომითა“.

შდრ. სომხური: *եւ իբրեւ զարթեայ եւ լուեալ զայս ի մտի ունէի, եւ յերկեղէն եղծան կերպարանք մարմնոյ իմոյ եւ զօրութ՟ի իմ հեռացաւ յինէն, եւ մերձեցաւ անձն իմ ի նուազել. Աձի զմտաւ եւ ասեմ, եթէ ոչ ոք կարէ ապրել ի մենջ եւ մեռանիմ ո՞պ զանասունս, յորս ոչ գոյ ի նոսա իմաստութ՟ի եւ տանջին ի տանջանսն յաւիտենից. Զայս իմ յոյժ զմտաւ ածեալ հոգայի.*

ასეთი მაგალითები ბევრია.

ამგვარად, სრულიად აშკარაა, რომ ჩვენთვის ცნობილი სომხური ტექსტი სხვა თარგმანია და ქართული — სხვა.

რამდენად დასაშვებია, რომ ქართული თარგმანისათვის წყაროდ ვივარაუდოთ სომხური არარსებული ტექსტი?

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართულ ტექსტში არმენიზმებს ვერც რ. ბლეიკმა მიაგნო. მას არმენიზმად დასახელებული აქვს „რწმუნებულ ხარ“←*Հաստատեալ ես*; და სომხურის გზით შემოსულად მიიჩნევს სიტყვას „დარი“ *(դար)*. „რწმუნებულ ხარ“ შედგენილი შემასმენელია ქართულში „არა უწყია, რამეთუ რწმუნებულ ხარ ისრაელსა, ქუეყანასა მას მწირობისასა“ I, 14 — და ისეთივე უფლებითაა ქართული მოვლენა, როგორითაც სომხური.

რაც შეეხება „დარს“, მის შეთვისებაში ქართულისათვის სომხურის წყაროობას ეჭვის ქვეშ აყენებს, ჯერ ერთი, ის, რომ ეს სიტყვა სომხურ ტექსტში შესატყვისად არა გვაქვს, მეორეც, მისი ხმარება ქართული ორიგინალური მწერლობის ძეგლში — „აბო ტფილელის მარტვილობაში“.

ერთადერთი რამ, რითაც შეიძლებოდა ქართული თარგმანის სომხურთან მიმართებაზე გველაპარაკნა, არის ის, რომ ქართულ ტექსტში ადგილი აქვს სომხურ ენასთან საერთო სიტყვების ხმარებას. ესენია: ჭეშმარიტი (I_{19}), ამბოხება (III_4), ჰასაკი (III_{52}), საზეპურო (III_{27}, IV_{58}), ტომი (I_7; I_{19}), ნიში (VII_6).

აღსანიშნავია, რომ ეგევე სიტყვები სომხურ ტექსტში სწორედ შესატყვის ადგილებში დასტურდება (შდრ.).

მეორე მხრივ, არის ისეთი შემთხვევებიც, რომ სომხურ ტექსტში ქართულთან საერთო ხმარების სიტყვა გვაქვს, ქართულში კი მის შესატყვისად სხვა სინონიმია გამოყენებული: სომხურშია *յատակ*, ქართულში — „საფუძველი“ (III_{53}), *գունդ* — „ერი“ (IV_3), *նշան* — „სასწაული“ (IV_{12}), *սաստիկ* — მძაფრი (II_{12}). ასე რომ, საერთო სიტყვათა ერთმანეთის პარალელურად ხმარება უსათუოდ ერთი ტექსტის მეორისაგან მომდინარეობაზე არ უნდა მიანიშნებდეს. როგორც ჩანს, ისინი ორივე ენაში მკვიდრი სიტყვები ყოფილა და ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად სომხურსაც გამოუყენებია და ქართულსაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამგვარად, ქართული ტექსტის სომხურიდან მომდინარეობის მტკიცებისათვის საფუძველი არ ჩანს: 1. სომხურში არ არსებობს ქართული თარგმანისათვის დედნად მისაჩნევი ტექსტი, 2. ქართულ ტექსტში არა გვაქვს არმენიზმები[18].

ეზრა სუთიელის წიგნის ქართული თარგმანის წყაროდ ბლეიკმა სრულიად გამორიცხა ბერძნული, იგი წერდა: apriori შეიძლება ითქვას, რომ ბერძნული გამორიცხულია: ჯერ ერთი, პირდაპირი თარგმანი ამ ენიდან ადრეული ტაოკლარჯული პერიოდისათვის არ არის სავარაუდო... მეორეც, ტექსტის ენა ბერძნიზმებს არ გვიჩვენებს[19].

ამ საკითხთან დაკავშირებით ყურადღება მიიქცია ეფრემ მცირის ერთმა ლიტერატურულმა ცნობამ, რომელიც მას კომენტარის სახით დაურთავს იოანე დამასკელის „გარდამოცემის“ ქართული თარგმანისათვის.

დამასკელი, ჩამოთვლის რა ბიბლიის წიგნებს, რომელთა რაოდენობაც ებრაული ანბანის მიხედვით 22-ს შეადგენს, 21-ედ ასახელებს ეზრას I და II წიგნებს, 22-ედ კი ესთერის წიგნს: „და დაშთებიან ორნი სხუანი ეზრაჲ პირველი და მეორე ერთ წიგნად, და ესთერი მეორედ, რაჲთა ამათ მიერ სრულ იქმნენ ოცდაორნი წიგნნი შესწორებულად ოცდაორთა მათ ასოთა ებრაულისა ანბნისათა“. ამის შემდეგ იგი აგრძელებს თხრობას სოლომონისა და ისო-ზირაქის სიბრძნეთა წიგნების შესახებ: „ხოლო პანარეტოსი, რომელ არს «სიბრძნე სოლომონისი» და «სიბრძნე ისუჲსი», რომელ-იგი ზირაქის მამამან ისუ აღწერა ებრაელთა ენითა, ხოლო ბერძულად თარგმნა ძის-წულმან მისმან და ძემან ზირაქისმან ისუ, ორნივე ესე წიგნნი სათნო უკუჱ არიან და კეთილ, არამედ არა აღირიცხუვიან ზემოთქმულთა მათ თანა, არცა მდებარე იყვნეს კიდობანსა მას შინა“.

ეფრემ მცირის კომენტარი დამასკელის ზემოთ მოყვანილ ცნობათა მიმართაა გაკეთებული. იგი წერს: „რამეთუ რაჲამს ეზრაჲ პირველი და მეორე გესმნენ, უწყოდი, ვითარმედ მისვე ერთისა ეზრა ზორობაბელის წიგნთა იტყჳს. პირველად და მეორედ — პირველსა და მეორესა თავსა. ხოლო სხუაჲ იგი ეზრაჲ სუთიელი, რომელ ქართულად არს, არავისგან აღრაცხილ არს წიგნთა თანა და არცა საჩინოდ იპოების ბერძენთა თანა, ვინაჲცა ნუუკუჱ დაფარულთაგანი რაჲმე არს და არა საეკლესიოჲ, ამისთჳსცა მრავალთა წმიდათა ესრე სახედვე აღურიცხოვან წიგნნი და არცა ერთი აჴსენებს სახელსა მისსა. ხოლო ტუბისი დალაცათუ აქა არა მოჴსენებულ არს, არამედ სხუანი მოიჴსენებენცა და აღჰრიცხოვენ არა ოცდაორთა თანა, არამედ სტიქარონ უწოდენ რეცა კიდეგნად რიცხჳსაგან, ვითარ-იგი სიბრძნეთაცა სოლომონისსა და ზირაქისსა“[20].

---

[18] Muséon-ის 1966 წლის XXIX, 3—4 ნომერში დაიბეჭდა სტატია, რომელშიც განხილულია «ეზრას აპოკალიფსისის» სომხური ვერსია (Michael E. Stone, Some features of the armenian version of IV Ezra). ყველა სხვა ენის თარგმანებთან (სირიული, ეთიოპური, არაბული, ქართული) შეპირისპირებით ირკვევა, რომ სომხური თარგმანი ტექსტობრივად ყველა მათგანისაგან სხვაობს და ცალკე დგას. ავტორი სომხურ ვერსიას ბერძნული დაკარგული დედნიდან მომდინარედ ვარაუდობს და განსხვავებათა შესახებ საკითხს ორგვარად სვამს: ისინი სომხურ ტექსტში ან ბერძნულიდანაა გადმოსული, ანდა სომეხი მთარგმნელის კუთვნილებას წარმოადგენსო.

[19] R. Blake, The Georgian Version..., გვ. 317-318.

[20] ცნობა ეფრემ მცირის ამ კომენტარის შესახებ მოგვაწოდა თ. ბრეგაძემ, კომენტარი მოთავსებულია A—124 ხელნაწერში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომენტარიდან ჩანს შემდეგი:

1. ეფრემ მცირე იცნობს ეზრა სუთიელის წიგნის ქართულ თარგმანს (ძველი რედაქციის ტექსტს).

2. ეს წიგნი ბერძნულად „არა საჩინოდ იპოვების“.

3. იგი „დაფარულთაგანი (ე. ი. აპოკრიფული) რაჲმე არს და არა საეკლესიოჲ“

4. იოანე დამასკელის მსგავსად მას არც სხვა საეკლესიო მამები აღრიცხავენ ბიბლიის წიგნებში.

ჩვენი აზრით, ეფრემ მცირის ეს კომენტარი ეხმაურება ეზრა სუთიელის წიგნის ბერძნული თარგმანის დაკარგვის ფაქტს. ეფრემს, ჩანს, აფიქრებს ის გარემოება, რომ ეს წიგნი ბერძნულად „არა საჩინოდ იპოვების“ და წმიდა მამებთანაც მოხსენებული არ არის. „ნუუკუე დაფარულთაგანი რაჲმე არს და არა საეკლესიოჲ“-ო, — წერს იგი. ე. ი. მას სურს, რომ ეს ფაქტი ბიბლიის აღნიშნული წიგნის აპოკრიფულობით ახსნას.

ეზრა სუთიელის წიგნის „დაფარულთაგანობა“ მის დასახელებას საეკლესიო მამებთან ხელს რომ არ შეუშლიდა, ამის საბუთად თვითონ იოანე დამასკელის „გარდამოცემის“ ზემოთ მოყვანილი ადგილი გამოდგებოდა: ბიბლიის კანონიკურ წიგნებთან ერთად იგი ჩამოთვლის აპოკრიფულ წიგნებსაც სათანადო კვალიფიკაციით.

რაკი იოანე დამასკელის წინადროინდელი სხვა საეკლესიო მამებიც არ იხსენიებენ ეზრა სუთიელის წიგნს („არცა ერთი აჴსენებს სახელსა მისსა“), მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ბერძნულ ენაზე მისი დაკარგვა მეტად ადრეული ფაქტი ყოფილა; ყოველ შემთხვევაში, ქართულ ენაზე მისი გადმოღების დროისათვის უკვე აღარ უნდა არსებულიყო.

ამგვარად, ეზრა სუთიელის წიგნის ქართული ტექსტი არაა თარგმნილი არც სომხური და არც ბერძნული ენებიდან.

ბიბლიის ამ წიგნის მოკლე რედაქცია დაცულია აგრეთვე სირიულ, ეთიოპურ და არაბულ (ორი რედაქციით) ენებზე.

ბუნებრივად ისმის კითხვა, ხომ არ მომდინარეობს იგი რომელიმე სემიტური ენიდან?

ამ მიმართებით რაიმე დადებითი დასკვნის გაკეთება, როდესაც ხსენებული ენების ტექსტებზე ხელი არ მიგვიწვდება, ჭირს. საერთოდ კი არ შეიძლება ანგარიში არ გავუწიოთ ორ მომენტს: 1. ეზრა სუთიელის წიგნის ქართულ თარგმანში სემიტური ენებისათვის დამახასიათებელი ენობრივი მოვლენების სიმრავლეს და 2. ქართული ტექსტის სიახლოვეს ეთიოპურ თარგმანთან.

სემიტური ენებისათვის დამახასიათებელი ენობრივი მოვლენებიდან ძეგლში გვხვდება და თანაც ძალზე ხშირად:

1. მაგალითები პარონომაზიაზე:

„განსლვით განმივლიან წარმართნი“ — I, 33.
„დაკჳრვებით დაკჳრვებულ არს გული ჩემი“ — II, 2.
„მისლვით მივიდეს“ — II, 13.
სიძულილით მოიძულე“ — III, 30.
ძრვით იძრას“ — IV, 14.
„აღდგომით აღადგინო“ — III, 45.
„ცხოვრებით აცხოვნო“ — III, 45.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„სმენით ისმა“ — IV, 32.
„სიტყვით იტყოდე“ — IV, 38.
„ზრახვით იზრახოს“ — V, 5.
„მოცემით მოეცეს“ — V, 9.
„მცნებით ამცნო“ — V, 21.
„ზომით განზომე“ — VII, 1.
„მწირობით მწირ იყვნეს“ — XII, 29[21].

2. ხშირია მუხლების „და იყო“/„და იყოს“-ით დაწყება:

„და იყო ოდეს იწყეს განმრავლებად ქუეყანასა ზედა მკვდართა ქუეყანისათა... იწყეს უღმრთოებად უფროჲს პირველთა მათ“ — I, 12.

„და იყოს მას ჟამსა ესვიდენ კაცნი პოვნად და ვერ შეემთხჳნენ“ — III, 11.

იხ. აგრეთვე: I. 13, I, 25, I, 29, III, 15, III, 20, III, 31, IV, 14, IV, 17, IV, 18, IV, 25, IV, 29, IV, 36, V, 1, V, 31, V, 35 (ნგ), VII, 1. XII, 38, XII,45[22].

3. ბერძნული წინადადებები, ეს ფართოდ გავრცელებული ენობრივი მოვლენა სემიტურ ენებში:

„და გამოგცა ადამის გუამი მკუდარი, და იგიცა ქმნული ჴელთა შენთაჲ“ — II, 5 (შდრ.: „და ესე იყო ქმნული ჴელთა შენთა“).

„წარვალთ სოფლისა ამისგან ვითარცა მჴალნი, და ცხორებაჲ ჩუენი ვითარცა კუამლი“ — II, 24.

„ვითარცა ნაწუეთი კასრისაჲ სიმდიდრჱ იგი მათი“ — IV, 56.

„იყო იგი სავსჱ წყლითა და ფერი მისი ცეცხლის სახჱ მსგავსებითა“ — XII, 39 და სხვ.

საყურადღებოა ამ მხრივ სემიტური ლექსიკის ზემოხსენებული ნიმუშებიც (ნაგები, დარი).

აქ ჩამოთვლილი გრამატიკული და ლექსიკური სემიტიზმები სხვა შემთხვევაში შეიძლებოდა რომელიმე არასემიტური ენის (ჩვეულებრივ, სომხურის ან ბერძნულის) მეშვეობით შემოტანილად ჩაგვეთვალა, მაგრამ ამ ძეგლის ქართული თარგმანის შექმნაში სომხურისა და ბერძნულის მონაწილეობა გამორიცხა.

„ეზრას აპოკალიფსისის“ მოკლე ტექსტის ლათინური, სირიული, ეთიოპური, არაბული (ორივე რედაქციისა) და სომხური რედაქციები ერთმანეთის პარალელურად (ექვს სვეტად) გამოაქვეყნა ბრუნო ვიოლეტმა 1910 წელს წიგნში: Die Esra Apokalypse (IV Esra), Leipzig. მხოლოდ აღნიშნულ ენებზე კი არა, სირიული, ეთიოპური და არაბული თარგმნილი აქვს გერმანულ ენაზე, სომხური კი — ლათინურზე.

აღსანიშნავია, რომ ბრუნო ვიოლეტს ცნობა ჰქონია ამ წიგნის ქართულ ენაზე არსებობის შესახებ, მაგრამ მიუხედავად ბევრი ცდისა (იყო იერუსალიმში და საგანგებოდ ეძებდა იერუსალიმურ ნუსხას, პეტერბურგში მისწერა ნ. მარს), მან ვერ მოახერხა ქართული ტექსტის მიღება[23].

---

[21] შდრ. კ. წ ე რ ე თ ე ლ ი, პარონიმიზმი ქართულში, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, ტ. VI, თბ., 1954, გვ. 461-502.

[22] ც. ქ უ რ ც ი კ ი ძ ე, ერთი სტილისტური თავისებურებისათვის ძველ ქართულში, „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“, XXXVI. 1. 1964, გვ. 249—256.

[23] იხ. ამის შესახებ: Bruno Violet, დასახ. ნაშრომი, გვ. XLI—XLIII.

სირიული, ეთიოპური და არაბული ტექსტების აღნიშნულ გერმანულ თარგმანთან ქართული თარგმანის შედარებისას აღმოჩნდა, რომ ქართული ტექსტი განსაკუთრებულ სიახლოვეს ამჟღავნებს ეთიოპურთან.

ქართული ტექსტის ეთიოპურთან სიახლოვე პირველად რ. ბლეიკმა შენიშნა და სქემატურად ამგვარად გამოხატა:



ჩვენი აზრით, ქართული და ეთიოპური ტექსტები უფრო ახლოს უნდა იყვნენ ერთმანეთთან, ვიდრე ბლეიკის სქემის მიხედვით ჩანს.

პირველ რიგში აღსანიშნავია ის, რომ ქართულ და ეთიოპურ ტექსტებში ყველა დანარჩენისაგან განსხვავებით ეზრა ერთნაირად „სუთიელად“ იწოდება. სხვა ენების ტექსტებში მას ყველგან „სალათიელი“ ჰქვია. ეზრა „სუთიელადაა“ მოხსენიებული ქართულ ორივე ნუსხაში — ოშკურშიც და იერუსალიმურშიც: „წიგნი ეზრა სუთიელი“ — O; „ეზრა სუთიელი, რომელ იყო ბაბილოვს“ — J.

რაც შეეხება ტექსტობრივ სიახლოვეს, რამდენადაც ეთიოპური ტექსტის გერმანული და რუსული თარგმანების მიხედვით შეიძლება მსჯელობა, ქართული და ეთიოპური ტექსტები ერთმანეთთან ტექსტობრივადაც ძალზე ახლოს არიან.

შდრ. I თავის პირველი მუხლი ქართული და ეთიოპური (გერმანული თარგმანით) ტექსტებისა:

„შემდგომად სამისა წლისა დაცემითგან ქალაქისათ ვიყავ ბაბილონს, მე სუთიელ[25], რომელ არს ეზრა. დასულებული ვიდევ სარეცელსა ჩემსა ზედა და ზე აღმეხილნეს თუალნი და გულის-სიტყუანი მოშივიდოდეს გულსა ჩემსა“. — I_1.

Im jahre 30, nachdem unsere Stadt gefallen war, war ich in Babylon, ich Sutaël, der ich Esra heiße, und ich war hingestrecht [ich] aufen meinem Lager, und mein Gesicht [war] geöffnet, und meine Gedanken Stiegen auf in meinem Herzen...

ამ ორი ტექსტის სიახლოვე კარგად ჩანს აგრეთვე V თავის 35-ე მუხლის გაგრძელებად დართული ტექსტიდან. მისი ზუსტი რუსული თარგმანი ეთიოპურიდან გამოქვეყნებული აქვს მ. შავროვს თავის ზემოთ დასახელებულ ნაშ-

[24] R. Blake, The Georgian Version... გვ. 310.

[25] ბლეიკს ქართულ ტექსტში «სუთიელის» ნაცვლად «სულიელი» წაუკითხავს, ამიტომ ქართული და ეთიოპური ტექსტების მსგავსება ამ მხრივ მისთვის შეუმჩნეველი დარჩა.

რომში. ქართული ტექსტი მთელი 83 მუხლის მანძილზე თითქმის სიტყვასიტყვით გადმოსცემს ეთიოპურ შესატყვისს, ნიმუშად მოვიყვანთ პირველ ორ მუხლს:

„და განეღოს მღჳმე საშჯელისაჲ, და ესე წინაშე ადგილსა მას განსასუენებელისასა. და გამოჩნდეს საქუმილი იგი გეჰენიაჲსაჲ, და ესე წინაშე სამოთხესა მას ფუფუნებისასა.

Тогда ров суда откроется против места утешения, и явится пещь адская насупротив рая радости.

„და ჰრქუას მაშინ მაღალმან განღჳძებულთა მათ ნათესავთა: იხილეთ და იცანთ, რომელი-იგი უვარ-ჰყავთ, ანუ რომელსა-იგი არა ჰმონეთ, ანუ რომლისაჲ მცნებანი ჭეშმარიტნი შეურაცხ-ჰყვენით.

Тогда всевишный скажет людям воскрешным: вот смотрите и поймите, кто Тот, от Которого вы отреклись, Которому не служили и Которого заповеди презрели.

ეთიოპური და ქართული ტექსტების ასეთი სიახლოვე ბუნებრივად ბადებს ორგვარ ვარაუდს: ან ქართულ და ეთიოპურ ტექსტებს ჰქონდათ ერთი საერთო წყარო, ანდა ძველი ქართული საქრისტიანო მწერლობა იცნობდა ეთიოპურ მწერლობასაც.

ამ ძეგლის გადმოთარგმნას ნ. მარი ქართული ქრისტიანული მწერლობის უძველეს პერიოდს აკუთვნებდა. „თარგმანი არავითარ შემთხვევაში არ არის VII საუკუნეზე გვიანდელი, შეიძლება, რომ იგი უფრო ადრინდელიც იყოსო“— წერდა იგი[26].

ძეგლში ვერ ვნახეთ რაიმე ხელშესახები მასალა, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იქნებოდა მისი დათარიღება. აღსანიშნავია მხოლოდ ერთი ჰაემეტი ფორმა, რომელიც იერუსალიმის ნუსხაში დასტურდება:

„აწ აღვწონენ სასწორითა უშჯულოებანი ჩუენნი და უშჯულოებანი სოფლისანი და დაჰწონა ულელმან სასწორისა მათისამან“ — I, 34.

ვრცელი რედაქციის ტექსტის მომდინარეობის საკითხისათვის. „ეზრას აპოკალიფსისის“ ბაქარის ბიბლიაში დაცულ რედაქციას რ. ბლეიკი ლათინურიდან თარგმნილად მიიჩნევს, თუმცა ეს ტექსტი მას ლათინურთან მიმართებით შესწავლილი არ ჰქონია[27].

სლავურთან შეჯერებისას აღმოჩნდა, რომ ბაქარის ბიბლიაში ეს წიგნი სლავურიდან ყოფილა თარგმნილი. სლავური დედნის კვალი ტექსტში საძებარი არაა, იგი იგრძნობა და ჩანს თითქმის ყველა მუხლში: მასში ძალზე ბევრია სლავური ენის, მისი გრამატიკული კანონების ცუდი ცოდნის შედეგად დაშვებული შეცდომა. ყველა ამგვარი შეცდომის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, დავასახელებთ რამდენიმე თვალსაჩინო მაგალითს:

1. სლავური ტექსტი ჩანს მიზეზი წინადადების ცალკეული წევრების არასათანადო ბრუნვებსა და პირის ფორმებში წარმოდგენისა:

---

[26] Н. Марр, Предварительный отчет..., стр. 15.

[27] R. Blake, The Georgian Version of Fourth Esdras from the Jerusalem Manuscript... გვ. 25. ბლეიკი აქ იმეორებს ბრუნო ვიოლეტის ვარაუდს, რომელიც მან წამოაყენა ზემოთ დასახელებულ ნაშრომში: Die Esra Apokalypse... გვ. XLIII.

ა) „ისმინე ჭმაჲ აღსილნი ოჯრისა“ — VI, 13.

შდრ. услыши глас исполнен шума.

სლავური ნათესაობითის ფორმა მთარგმნელმა ნათესაობითით გადმოიღო, არ გაითვალისწინა რა ქართული სინტაქსის თავისებურებანი.

ბ) „მისთჳს ფლობენ სიონითა“ — VI, 13.

კალკია სლავური შემდეგი ფრაზისა: и того ради владеют Сионом.

გ) „დასასრული იყოს ჩემ თანა და არა სხჳთ“ — VI, 6.

შდრ. и конец будет мною а не иным.

დ) „ანუ ვინ წარმართთან ესრეთ დაიცევ მცნებანი შენნი“ — I, 35.

კონტექსტის მიხედვით აქ მოსალოდნელი იყო III პირის ფორმა. სამიეე პირისათვის საერთო сохранил მთარგმნელმა, როგორც ჩანს, კონტექსტის გაუთვალისწინებლად III-ს ნაცვლად II პირის ფორმით გადმოიღო.

გარკვეული რიგის შეცდომების მიზეზი ის არის, რომ ერთი მნიშვნელობის სლავური სიტყვა გაგებულია სულ სხვა შინაარსის სიტყვად და ამის გამო არასწორადაა თარგმნილი. ასე მაგ.: V თავის 27-ე მუხლში გვაქვს: „ყოველთაგან უმრავლესთა ერთა იპოენ შენდა ერნი ერთანი“ — ფრაზა პუნდოვანია. ↄ რედაქციაში შესატყვისად გვაქვს: „ყოველთაგან შექმნულთა შენთა ერთა საკუთრად შენდად ჰყაე ერი ერთი ისრაელი“.

აქ „უმრავლესთა“-ს ნაცვლად ზის „შექმნულთა“.

ასეა სლავურშიც: и от всех умноженных людей взыскал еси себе народ один.

სრულიად აშკარაა, რომ ქართველმა მთარგმნელმა სლავური умноженный თარგმნა როგორც „უმრავლესი“.

ხშირია შემთხვევები სიტყვის არასწორი თარგმნისა გრაფიკული აღრევის ნიადაგზე: სლავური простил სიტყვის შესატყვისად VII თავის 69-ე მუხლში ზის „ითხოვა“, რაც простил და просил სიტყვების აღრევის შედეგი ჩანს: „უკუეთუმცა მსაჯულმან არა ითხოვა“... გადმოსცემს სლავურ и судия аще бы не простил...

მსგავსი შემთხვევები ბევრია:

„რომელთაცა ჟამსა მაჩუენენ მეღამე გარდასრული“... VI, 12—გადმოსცემს სლავურ их же часть показал еси мне нощи прешедшия.

როგორც ჩანს, გრაფიკულ ნიადაგზე ერთმანეთში აირია часть და час.

რთული სახელების შემადგენელი ნაწილების ცალ-ცალკე თარგმნით დაკარგულია მათი ნამდვილი მნიშვნელობა. ასე მაგ.: „წინა-დადებული“ და „წინაშე-დადებული“ სლავური предположенный-ის სიტყვა-სიტყვითი თარგმანი ჩანს, მაგრამ ისინი მნიშვნელობით არ უდრიან სლავურ предположенный-ს.

ძეგლში საკუთარი სახელები ბევრი არ გეხვდება, მაგრამ რაც გვაქვს, ნათესაობით ბრუნვაში სლავური ев/-ов სუფიქსებითაა წარმოდგენილი: „...ძისა სარაიევისა და ძისა აზარიევისა, ძისა ელიკევისა და ძისა სადანიევისა... შდრ. სლავური: сына Сараиева, сына Азариева, сына Елкиева, сына Саданиева...

რაც შეეხება მუხლებს, რომლებიც მთარგმნელის მიერ სლავურის ცუდი ცოდნის გამო გაუგებრადაა თარგმნილი, თანაც შესაბამის სლავურ ტექსტს სიტყვა-სიტყვით მისდევენ, ჩვენს ძეგლში ასეთია ყოველი მეორე მუხლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ შევუგუოთ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებულ აზრს, რომლის მიხედვითაც ბაქარის ბიბლიაში სლავურიდან თარგმნილად მხოლოდ მაკაბელთა წიგნები და ისო-ზირაქის სიბრძნე მიიჩნევა[28], ეზრას მესამე წიგნის სლავურიდან მომდინარეობის ფაქტი?

სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული ეს აზრი ემყარება ბაქარის ბიბლიაზე დართულ ბაქარის წინასიტყვაობასა და ვახუშტის ბოლოსიტყვაობას.

აღნიშნულ წინასიტყვაობასა და ბოლოსიტყვაობაში მოკლედ და ნათლად გადმოცემულია ბიბლიის ამ გამოცემისათვის ცალკეული წიგნების შეკრების, გასწორება-გამართვის, ზოგი მათგანის სლავურიდან თარგმნისა და შემდეგ დაბეჭდვის ისტორია.

ბაქარიცა და ვახუშტიც ერთნაირი გულისხმიერებით მიუთითებენ არჩილ მეფეზე, როგორც ამ დიდი საქმის ინიციატორზე, რომელმაც ბიბლიის წიგნები შეკრიბა, სლავური ბიბლიის მიხედვით გამართა, ხოლო გარკვეული წიგნები, რომლებიც „დაკარგულ და დაკლებულ“ იყო, თვითონვე თარგმნა სლავურიდან.

მოვიყვანოთ ამონაწერები ბაქარის წინასიტყვაობიდან და ვახუშტის ბოლოსიტყვაობიდან:

ბაქარი: „პირველ ფრიადითა სასოებითა ნებებოდა ნეტარჴსენებულსა მეფეს არჩილს, რათამცა შეეკრიბა და შეესრულებინა დაბადება, რამეთუ ქუეყანათა ჩუენთა არღარა იპოვებოდა ერთად შეკრებულნი, არამედ წიგნად-წიგნად იყო და რომელნიმე დაკარგულ და დაკლებულ, ვითა წიგნი ისო-ზირაქი და მაკაბელნი. ხოლო რომელნიცა დაშთომილ იყუნეს და იპოვებოდეს, იგინიცა უთავოდ და უმუჴლოდ და მწერალთა მიერ განრყვნილნი. არამედ შეეკრიბა და შეეწყო ერთად და ნაკლულევანიცა იგი ეთარგმნა ძალისებრ თვისისა, რომელიცა შემძლებელ ყოფილიყო“.

ვახუშტი: „(არჩილმა)... იგულა, ვითა შეჰგვანდა სიბრძნე მეცნიერებასა მისსა... შეკრებად წიგნისა ამის. და ითხოვა ძმისწულისა თჳსისა, ძისა ლევანისა, ვახტანგისაგან... წიგნი დაბადებისა. და რომელიცა მუნ იპოებოდენ, მოუგზავნა. ხოლო ზოგნი თჳთ აქუნდეს. მაშინ მოენება რუსულსა დაბადებასა ზედა განმართვად და განსწორებად. ხოლო ვითა შვენოდა სიბრძნე მეცნიერებასა მისსა, განემართა და შეეწყო თჳნიერ მუჴლთა, თავ-თავად. ხოლო მაკაბელი თჳთ ეთარგმნეს და ზირაქი ეგრეთვე“.

აღნიშნული ამონაწერებიდან სხვა დასკვნის გაკეთება თითქოს არ შეიძლება: არჩილ მეფეს ქართული ბიბლიის წიგნები, რომელთაგან ზოგი თვითონ ჰქონია და ზოგიც ვახტანგ VI-ს გაუგზავნია მისთვის საქართველოდან, გაუმართავს სლავური ბიბლიის მიხედვით, თვითონ კი უთარგმნია მხოლოდ „მაკაბელთა წიგნები“ და „ზირაქის სიბრძნე“.

რატომ არ მიუთითეს ბაქარმა და ვახუშტიმ ეზრას III წიგნზე, როგორც სლავურიდან თარგმნილ ძეგლზე, ანდა მის მთარგმნელზე?

ჯერ ერთი, ბაქარსა და ვახუშტის თავიანთ წინასიტყვაობასა და ბოლოსიტყვაობაში ბიბლიის ტექსტის მეცნიერულ კვლევაზე უფრო მის გამოცემას-

[28] ძ. კ ე კ ე ლ ი ძ ე , ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, თბ., 1951, გვ. 399.

თან დაკავშირებული ორგანიზაციული და ტექნიკური ამბების გადმოცემა ინტერესებდათ, არჩილ მეფეზეც მათ ყურადღება იმდენად გამახვილეს, რამდენადაც იგი ბიბლიის გამოსაცემად მომზადების ინიციატორი და წამომწყები იყო. მეორეც, ვახუშტის ბოლოსიტყვაობიდან ისეთი დასკვნის გაკეთებაც შეიძლება, რომ გამომცემლებს მთლად ზუსტად არც უნდა სცოდნოდათ არჩილისეული ბიბლიის წიგნების ისტორია, სახელდობრ, რა თარგმნა არჩილმა და რა გამართა.

ვახუშტი იმ ადგილას, სადაც წერს, რომ არჩილს ბიბლიის წიგნები „განმართა და შეეწყო თჳნიერ მუკჳთა, თავ-თავად, ხოლო მაკაბელი თჳთ ეთარგმნეს და ზარაქი ეგრეთვე“, კავებში ურთავს შემდეგ შენიშვნას: „მე ვგონებ ზარაქისაცა განმართვასა, რამეთუ ეგრეთ ჩნდეს“. ეს ფრაზა ისე უნდა გავიგოთ, რომ ვახუშტის ეჭვი ეპარება არჩილის მიერ „ზარაქის“ წიგნის თარგმნაში და ფიქრობს, რომ არჩილმა სხვა წიგნების მსგავსად „ზარაქიც“ მხოლოდ გამართა და გაასწორა.

ამგვარად, ბაქარისა და ვახუშტის ცნობები იმის შესახებ, რომ ბაქარისეულ ბიბლიაში სლავურიდან თარგმნილად მხოლოდ „მაკაბელთა“ და „ისო-ზარაქის“ წიგნები უნდა მივიჩნიოთ, ზუსტი არაა. ეზრას III წიგნს, რომლის ნუსხები მე-18 საუკუნეში საქართველოში არ არსებობდა (მოკლე რედაქციის ორი ნუსხიდან ორივე საქართველოს საზღვრებს გარეთ იყო), რა თქმა უნდა, ახლიდან გადმოთარგმნიდნენ. ეზრას III წიგნი ერთადერთი არაა, როგორც ირკვევა, სლავურიდან მის გარდა სხვა წიგნებიც უთარგმნიათ.

Ц. И. КУРЦИКИДЗЕ

ГРУЗИНСКИЕ ВЕРСИИ АПОКАЛИПСИСА ЕЗДРЫ

(Резюме)

Апокрифическая книга «Апокалипсис Ездры» имеется в двух редакциях: краткой и пространной. В научной литературе первичной считается краткая версия.

На грузинском языке существуют обе версии: краткая сохранилась в ошкском (978 г.) и иерусалимском (XI в.) рукописях, пространная же — в московском издании царевича Бакара (1743 г.).

Грузинский текст краткой версии считали переведенным из армянского (Н. Я. Марр, Р. Блейк). Выяснилось, что источником для грузинского текста нельзя считать ни армянский, ни греческий переводы. Грузинский текст обнаруживает ряд грамматических, лексических и стилистических семитизмов, таких, как параномазия, номинальные предложения, начало стиха словами «и был», отдельные лексемы «негеби», «дар». Кроме всего сказанного, грузинский перевод текстуально имеет много общего с эфиопским.

Пространная версия, сохраненная в московском издании, оказалась переведенной с славянского.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულნაზ კიკნაძე

«ივდითის» წიგნის ქართული რედაქციები

«ივდითის» წიგნი ბიბლიის ერთ-ერთი საინტერესო აპოკრიფული ნაწარმოებია. მასში აღწერილია ღვთისმოსავი ებრაელი ქალის — ივდითის მიერ მშობლიური ისრაელის გადარჩენის ისტორია.

ასურეთის მეფის ნაბუქოდონოსორის მთავარსარდალი ოლოფორნე დიდძალი ლაშქრით გარს შემორტყმია ქალაქ ბეტულას. ამ სტრატეგიული მნიშვნელობის პუნქტის აღება ადვილებს მთელი ისრაელის დაპყრობას. მთავორიანი ბეტულა მიუვალი და ძნელად ასაღებია, მაგრამ ხანგრძლივი ალყა მის მცხოვრებთ შიმშილითა და წყურვილით დაღუპავს უქადის. და აი ღვთისმოსავობით და სილამაზით განთქმული ივდითი გადაწყვეტს განსაცდელისაგან იხსნას მშობლიური ქალაქი. ივი ახერხებს მტრის ბანაკში შესვლას. მთავარსარდალი ქალის სილამაზით მოხიბლულია. ივდითი პოულობს ხელსაყრელ შემთხვევას მტრისთვის ანგაოშის გასასწორებლად. ერთ-ერთი ღამის შემდეგ კარავში მარტოდ დარჩენილი ივდითი თავს წვაცლის უგონოდ მთვრალ და მძინარე ოლოფორნეს. უმთავარსარდლოდ დარჩენილი ლაშქარი უკან იხევს. ისრაელი გამარჯვებას ზეიმობს.

«ივდითის» წიგნი ებრაულ კანონთა წიგნში შეტანილი არ ყოფილა[1], მაგრამ ივი დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ეს პოპულარობა იყო ალბათ იმის მიზეზი, რომ ზოგი საეკლესიო მოღვაწე მას კანონიკურის მნიშვნელობასაც ანიჭებდა. კანონიკურად თვლიდა მას ნეტარი იერონიმი, რომელიც ნიკეის კრების გადაწყვეტილებებსაც კი იმოწმებდა თავისი აზრის დასამტკიცებლად[2], თუმცა ამ გადაწყვეტილებაში არაფერია ნათქვამი ივდითის წიგნის შესახებ[3].

ბიბლიოლოგიურ ლიტერატურაში «ივდითის» ყველაზე ძველ ტექსტებად მიჩნეულია ბერძნული სეპტანტა (ფიქრობენ, რომ ივი მოდის ებრაულიდან)[4], სირიული და ძველი ლათინური ვერსიები, აგრეთვე იერონიმისეული თარგმანი, რომელიც შესულია ლათინურ ვულგატაში[5].

სირიული ტექსტი, ფ. ვიგურუს გამოკვლევის მიხედვით, ახლოსაა ბერძნულთან[6]. ყველაზე უფრო უპირისპირდება ერთმანეთს ბერძნული სეპტანტისა და

---

[1] Толковая Библия или комментарии на все книги Св. писания В. и Н. завета, под ред. проф. А. П. Лопухина, т. 3. СПб, 1914 стр.362.

[2] Biblia sacra Vulgatae editionis sixti. Parisiis, 1819, 23. 183.

[3] Толковая Библия... стр. 362.

[4] Г. Смирнов-Платонов. О книге «Юдифь», «Православное обозрение», 1863, II. стр. 128—129; O. Esselfeldt. Einleitung in das Alte Testament, Tübingen, 1964, стр. 796.

[5] П. Юнгеров. Частное историко-критическое введение в священные книги, Вып. II. Казань. 1907. стр. 274—284; Н. Дроздов, Исторический характер книги Юдифь, Киев, 1876.

[6] Ф. Вигуру, Руководство к чтению и изучению Библии, Москва, 1916. стр. 159—161.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლათინური იერონიმისეული რედაქციები. იერონიმი თარგმანის წინასიტყვაობაში აღნიშნავს, რომ ებრაელებს მის დროს არ ჰქონიათ ეს წიგნი და თავისი თარგმანის დედნად ასახელებს ქალდურს[7]. ქალდური ტექსტი შენახული არ არის. ფაქტი ისაა, რომ იერონიმისეული თარგმანი მნიშვნელოვნად სხვაობს სეპტანტის ტექსტისაგან.

ივდითის ქართული ნუსხები. ივდითის ქართული ტექსტი კრიტიკულად შესწავლილი არ არის. არ მოგვეპოვება მისი მეცნიერული გამოცემაც. იგი პირველად (ერთი რედაქციით) გამოიცა 1743 წ. ე. წ. ბაქარის ბიბლიაში, საიდანაც გადაბეჭდილი 1884 წ. გამოცემა (მხედრულით). ივდითის წიგნის ბაქარისეული ვერსია ნუსხურით დაბეჭდა დ. ჩუბინაშვილმა თავის „ქრესტომატიაში"[8].

«ივდითის» წიგნი დაცულია 6 ნუსხაში. ესენია: 1. ბიბლიის ოშკური ხელნაწერი 978 წლისა (ფოტოპირი გვ. 510-528), 2. A—570 (XV საუკ. გვ. 103-115), 3. A — 646 — XVI ს. (გვ. 421-485), 4. H — 885 — XVII ს. (გვ. 47-57), 5. A — 51 ე. წ. მცხეთური ანუ საბასეული ბიბლია (გვ. 318-325) და 6. ბიბლიის ბაქარისეული გამოცემა*.

აქედან ტექსტს ოშკურ ნუსხაში აკლია მონაკვეთები 9, 5-დან — 10, 3-მდე და 14, 17-დან 15, 11-მდე ფურცლების დაკარგვის გამო. დანარჩენ ნუსხებში ტექსტი სრულადაა წარმოდგენილი.

მცხეთური და ბაქარისეული ტექსტები დაყოფილია მუხლებად. დამუხლვით ისინი მისდევენ სომხურ-ლათინურ რიგს და განსხვავდებიან ბერძნული სეპტანტის დამუხლვისაგან.

ნუსხათა რედაქციული მიმართება. ივდითის ქართული ნუსხები ქმნიან 2 ძირითად რედაქციულ ტიპს. პირველში, რომელსაც აღვნიშნავთ Շ-ით, გაერთიანებულია OIDFS ხელნაწერები, მეორე (Ч) კი ბაქარის ბიბლიის ტექსტითაა წარმოდგენილი (რამდენიმე ფრაგმენტში S გამოიყოფა მესამე რედაქციის სახით).

Շ უპირისპირდება Ч-ს შინაარსისა და აღნაგობის მხრივ. ერთსა და იმავე შინაარსობრივ მომენტს ერთი გადმოსცემს ვრცლად, მეორე — მოკლედ. ის, რაც ცნობილია და დეტალურად აღწერილია Շ-ში, უცნობია Ч-სათვის და პირიქით.

Ч რედაქციაში გვერდი აქვს ავლილი Շ-ს მრავალ მომენტს, რის გამოც გამოტოვებულია:

1. I, 13, 14, 15, 16 მუხლები — ნაბუქოდონოსორის ბრძოლა არფაქსადის წინააღმდეგ;

2. II, 7, 8, 9, 10 — განრისხებული ნაბუქოდონოსორის მუქარა;

3. IV. 11, 12 — იერუსალიმელთა წუხილი;

4. VII, 11, 12, 13, 14, 15 — მთავართა და წინამძღვართა რჩევა ბეტულას ალყის შესახებ მცხოვრებთა შიშნილით და წყურვილით ამოწყვეტის მიზნით;

5. VII, 18, 19, 20 — ოლომფორნეს ლაშქრის 20-დღიანი ალყა;

6. VIII, 9, 10 — უხუცესთა გადაწყვეტილების შეტყობა ივდითის მიერ;

---

[7] Sainte Bible, en latin et en francais, m. VIII, 1821, გვ. 395.

[8] ქართული ქრესტომატია ანუ გამოკრებული ადგილნი ქართულთა წიგნთაგან დ. ჩუბინაშვილის მიერ, 1846, გვ. 345—377.

* ლიტერატურა: O=ოშკის ბიბლია, S: A=51; B: ბაქარის ბიბლია, I; A=570; F: A=646; D: H=885.

7. VIII, 11, 13 (ნაწილობრივ), 14, 15 — ივდითის მიმართვა ებრაელებისადმი;

8. VII, 22, 23 — ივდითის მისვლა კრებულის წინაშე;

9. IX, 3—4 — ისრაელის უბედურებათა ჩამოთვლა ივდითის ლოცვაში;

10. X, 9 — ბრძანება ივდითისთვის ქალაქის კარიბჭის გაღების შესახებ;

11. X, 20; 22 — ივდითის შესვლა ოლოფერნესთან;

12. XI, 14—15 ივდითის მონათხრობი ებრაელთა შეცოდების შესახებ იერუსალიმის წინაშე: დაახლოებით 30 მუხლი.

აღსანიშნავია განსხვავება მუხლების თანმიმდევრობაშიც. XIII თავის მე-20 მუხლის შემდეგ (Շ-ს დამუხლვით) Կ-ში აღწერილია აქიორის მოყვანისა და ოლოფერნეს სიკვდილის შეტყობინების სცენა, რაც მოიცავს 4 მუხლს. ეს ამბავი Շ-ს მიხედვით მოთხრობილია XIV თავში (მე-5-6-7-8-9 მუხლები).

მეორე მხრივ, აქ ვრცლადაა წარმოდგენილი Շ-ს ზოგიერთი ნაწილი, შინაარსი გავრცობილია და შევსებული სხვადასხვა დეტალით, კერძოდ:

1. III, 4-ის შემდეგ შინაარსში გავრცობილია სამი მუხლით (4, 56, ვულგატის დამუხლვით).

2. იოაკიმ მღვდელმთავარი ამხნევებს ებრაელებს მოსალოდნელი გასაჭირის წინ და ლოცვა-ვედრებას სწირავს ღმერთს (ეს გრძელდება IV თავის მე-12—15 მუხლამდე, ვულგატის დამუხლვით).

3. V თავში Կ მოგვითხრობს ებრაელთა ისტორიას ეგვიპტიდან გამოსვლის შემდეგ და ზოგ სასჯაულზე 40 წლის მანძილზე (13, 15, 16, 17, 18).

4. ამავე თავის ბოლოში ორი მუხლი (28-29) ეხება მთავართა გადაწყვეტილებას აქიორის დასჯის შესახებ.

5. VI, 21-ის მომდევნო მუხლებში აქიორის მოსვლა ბეტულელთა წინაშე და ნაბუქოდონოსორის მუქარა და ებრაელთა გლოვა-გოდება (Կ-თი 13, 14) Շ-სგან განსხვავებით დეტალურადაა მოთხრობილი.

6. VII თავის 29-ე მუხლის შემდეგ (ვულგატის დამუხლვით 19—22 მუხლები) 4 მუხლის მანძილზე Կ-ში აღწერილია ისრაელის მკვიდრთა ღაღადება და ლოცვა უფლის მიმართ;

7. VIII თავის 27-ე მუხლის შემდეგ, სადაც ივდითი მიმართავს თავკაცებს, Կ-ს Շ-სგან განსხვავებით აქვს 4 მუხლი (ვულგატათი 24.—27).

8. IX თავის 7—9 მუხლები ვრცლად გადმოსცემს ივდითის ლოცვას.

9. XIV, 13-ის შემდეგ ოთხ მუხლში აღწერილია მძინარე ოლოფერნეს გასაღვიძებლად მიდგართმთავართა მისვლა (9, 10, 11, 12).

10. XVI თავის ბოლოს Կ-ში წარმოდგენილია კიდევ ერთი მუხლი, რასაც Շ არ იცნობს.

Շ და Կ ერთი და იმავე უცხოური რედაქციის ორი სხვადასხვა თარგმანი კი არ არის, არამედ ტიპობრივად განსხვავებული წყაროებიდან მომდინარე დამოუკიდებელი თარგმანებია. ზემოთ განხილულ სხვაობებს ჩვენ მივყავართ ივდითის ბერძნულ და ლათინურ ვერსიათა ურთიერთობასთან, Շ მისდევს ბერძნული სეპტანტის ტრადიციას, Կ კი ლათინური ვულგატის ტექსტს უჭერს მხარს (ამ ორი ვერსიის შერიგების ცდაა თითქოს S ხელნაწერში, მაგრამ ამაზე ქვემოთ).

ეროვნული ბიბლიოთეკა

C რედაქცია. OIDFS ხელნაწერები გაერთიანდა C რედაქციულ ტიპში, მაგრამ ეს არ ნიშნავს მათ სრულ დამთხვევას და იგივეობას, მათ შორის გარკვეული სხვაობები შეინიშნება.

ნუსხათა ურთიერთობაში საგულისხმოა რამდენიმე მომენტი:

ა) ოშკური ხელნაწერი ერთეულ შემთხვევაში ცალკე დგას და უპირისპირდება ამ რედაქციის ყველა დანარჩენ ნუსხას.

მკჳდრ იყვნეს ...სამხრით კერძო ქუეყანისა მის ქელონისასა და *ქალდეველთაჲსა* — 2, 23.

ხაზგასმული სიტყვა არ დასტურდება FDIS ნუსხებში. საფიქრებელია, რომ ოშკური აქ დაეყრდნო და გააერთიანა ორი განსხვავებული წყაროს ჩვენება, ერთ-ერთი ამ წყაროთაგანი სეპტანტის ვატიკანური კოდექსის მიმდგომი უნდა ყოფილიყო, სადაც ფორმას χελέων ენაცვლება χαλδείων.

და დაეცა შიშითა მკჳდრთა ზღჳს-კიდისათა და მკჳდრთა *კჳპრისათა*.— 2, 28.

სხვა ნუსხებშია „სურისათა", რასაც მხარს უჭერს ბერძნ. Σουρ. აქაც განსხვავებული წყარო უნდა ვივარაუდოთ.

ზოგ შემთხვევაში სხვაობა O და IDFS შორის გამოხატულია სინონიმურ სიტყვათმონაცვლეობაში: წარიძრა —7,8 O ‖ წარიტრა IDFS; განმიმტკიცე — 7,8 O ‖ განმაძლიერე; მოსრვად 4,5 O ‖ მოჯოცად.

O-ს ზოგჯერ აკლია გარკვეული სიტყვა ან ფრაზა, რაც დადასტურებულია სხვა ნუსხების და აგრეთვე ბერძნული სეპტანტას ტექსტში.

და შეკრბეს... ყრმანი შესაკრებელსა მათსა (+ და დაადგინეს აქიორ შორის ერისა მათისა — IDFS). — 6,16. ბერძნ. καὶ ἔστησαν τοῦ Αχιωρ ἐν μέσῳ πάντος τοῦ λαοῦ αὐτῶν.

მოუჴდეს მას... ყოველნი (+ ერისთავნი ზღჳს-კიდისანი IDFS) წინამძღუარნი ერისა მოაბისანი. — 7, 15. ბერძნ. στρατηγοὶ τῆς παραλίας.

ბ) თავისი ჯგუფის ხელნაწერებს მსგავს ჩვენებათა მიხედვით უპირისპირდებიან I და D.

I და D ხელნაწერების ვარიანტული წაკითხვების აბსოლუტური უმრავლესობა თანხვდება ერთმანეთს. უფრო მეტიც, ის ფაქტი, რომ H — 885-ში გამოტოვებულია ადგილები დედნიდან ამოუკითხავი სტრიქონებისათვის და შესაბამისი ადგილების ამოკითხვაც არ ხერხდება A — 570-ში, გვავარაუდებინებს, რომ D ხელნაწერის გადამწერს ხელთ ჰქონდა I ნუსხა. თუ ეს ასე არ არის, ორივე საერთო წყაროდან უნდა მოდიოდეს.

DI-ს მიმართება დანარჩენი ტექსტებისადმი გამოიხატება ერთგვარ შემოკლებაში, დაკლებულია ერთი ან ორი სიტყვა, ზოგჯერ ფრაზაც კი.

ქვემოთ ჩამოთვლილ მაგალითებში ხაზგასმული სიტყვები გამოტოვებულია განსხვავებით სხვა ნუსხებისაგან.

დასცხრა შფოთი იგი *კაცთაჲ* *მათ*. — 6, 1.

დაჰჴშნა ჴევნი და *განაჴმნა* წყალნი. — 16, 5.

აღმოჰჴადა საბარკალი და *მიეახლა* *ცხედარსა*. — 13, 7.

და მოიქცა *მათ* *თანა* ნინევედ და *ყოველი* *განწყობილი* და *ყოველი* *ნადი* *მისი*. — 1, 16.

და აკჳრვებდეს სიკეთესა მისსა და *შეიყვანეს* და *შეიწყნარებდეს* *სიტყუათა* *მისთა*. — 10, 19.

და აღამაღლებით და ჰხადოდით სახელსა მისსა. — 16, 1.

DI ერთადაა სინონიმურ სიტყვათ-მონაცვლეობაშიც და ფრაზეოლოგიაში:

OFS	DI
ცხენებმან. — 13,3.	ჰუნებმან.
გამზადებული არიან. — 5, 1.	განწყობილ არიან.
მოიდრიკნეს მუკლნი. — 13, 17.	მოიყარნეს მუკლნი.
სიმრავლესა. — 7, 4.	სიდიდესა.

გ) ზოგჯერ ცალკეა FS ხელნაწერებიც, ისინი ტექსტს თითქოს ავსებენ იმ ფრაზებით, რაც OID ხელნაწერებს აკლია ბერძნულ სპტანტასთან მიმართებაში.

და არწმუნე დედაკაცსა მას ებრაელსა (+ რომელ არს შენ თანა FS). — 12, 11. πεῖσον δὴ πορευθεὶς τὴν γυναῖκα τὴν Ἑβραίαν, ἥ ἐστιν παρὰ σοί.

და ვითარცა მოვიდეს იერუსალემდე, თაყუანი-სცეს ღმერთსა (+რაჟამს განწმიდნა ერი იგი არაწმიდებისაგან მათისა FS). 16, 18. Ὡς δὲ ἦλθοσαν εἰς Ἱερουσαλήμ, προσεκύνησαν τῷ θεῷ, καὶ ἡνίκα ἐκαθαρίσθη ὁ λαός, καὶ οἱ ἱερεῖς καὶ τὰ ἱερὰ σκεύη.

და იხარებდა ერი იგი უფლისა მიერ (+იერუსალემს FS) — 16,20. καὶ ἦν ὁ λαὸς εὐφρανόμενος ἐν Ἱερουσαλήμ.

მამაკაცმან არა იხილა იგი ყოველთა დღეთა ცხორებისა მისისათა, ვინათგან დღითგან მოკუდა მანასე ქმარი მისი (+და შეეძინა ერსა თჳსსა FS) — 16,22 ...καὶ οὐκ ἔγνω ἀνὴρ αὐτὴν πάσας τὰς ἡμέρας τῆς ζωῆς αὐτῆς, ἀφ' ἧς ἡμέρας ἀπέθανεν Μανασσῆς ὁ ἀνὴρ αὐτῆς καὶ προσετέθη πρὸς τὸν λαὸν αὐτοῦ.

Ↄ რედაქციის ცალკეული ნუსხების ეს თავისებურებები შედეგად უნდა მოჰყოლოდა ტექსტს სხვადასხვა უცხოურ წყაროსთან მრავალჯერადი შეწყობისა და სწორების პროცესს. ამ პროცესის ისტორიის კვლევას კი უცილობლად მივყავართ ტექსტის წარმომავლობის დღესდღეობით გადაუჭრელ პრობლემასთან.

ბიბლიის ბერძნულ, სომხურ და ლათინურ გამოცემებთან[9] ივდითის ტექსტის შეჯერებამ გამოავლინა გარკვეული ფენა, რომელიც ბერძნულ წყაროზე დამოკიდებულების ნიშნებს უნდა ატარებდეს (ეს ეხება ზოგიერთი სიტყვის არასწორ გაგებას, კონსტრუქციას და სიტყვაწარმოებას).

საზღვარნი მათნი დაითრევნენ სისხლითა მათითა. — 6.4.

ბერძნულშია ὅρη =„მთებს", საფიქრებელია, რომ იგი აღრეულია მრ. რიცხვის ფორმასთან ὅρος-ისა, რომელიც ნიშნავს „საზღვარს".

მოვიდა... მახლობელად დოთაისა, რომელ არს წინაშე პრიონსა დიდსა იდუსაასისა. — 3,9. ἦλθεν κατὰ πρόσωπον Ἐσδρηλων πλησίον τῆς Δωταια, ἥ ἐστιν ἀπέναντι τοῦ πρίονος τοῦ μεγάλου τῆς Ἰουδαίας.

πρίων ქართულში გაგებულია საკუთარ სახელად სომხური, სლავური თარგმანებისაგან განსხვავებით.

ინფინიტივის გადმოსატანად ზმნის პირიელი ფორმის ნაცვლად ხშირად გამოყენებულია მასდარი, ფრაზის აღნაგობა მისდევს ბერძნულისას.

---

[9] Septuaginta id est Vetus Testamentum graece juxta LXX intepretes. edidit Alfred Rahlfs, Stuttgart 1952; Biblia sacra Vulgatae, editionis sixti, Parisiis. 1819; զիբր ნინց ს ნიրոց կთակարանաց. Սանկտ Պետերբուրգ. 1817.

„...და არავინაჲ იყო სივლტოლაჲ შორის მათსა“. — 7,19. ...οὐκ ἦν διαφυγεῖν ἐκ μέσου αὐτῶν.

სთქუ ძეთა ისრაჱლისათა არა ბრძოლაჲ. — 6, 2. ...εἶπας τὸ γένος Ισραηλ μὴ πολεμῆσαι.

...და ჩჩჳლთა ჩემთა მიცემად იავარსა. — 16, 4. ...καὶ τὰ νήπιά μου δώσειν εἰς προνομήν.

ქართული და ბერძნული კომპოზიტები აღნაგობითა და შინაარსით ხშირად ფარავენ ერთმანეთს (თუმცა ეს დამთხვევა გავლენას ყოველთვის არ გულისხმობს)[10].

„სულ-მცირე იქმნეს“. — 8, 9. — ὀλιγωψυχήσαν.

„სულ-მცირე“ არ ნიშნავს „მსუბუქს“[11], არამედ „შეშინებულს“, „სულმოკლეს“ და იგი ემთხვევა ბერძნულ კომპოზიტს (კომპონენტთა გადაადგილებით ὀλιγός — „მცირე“, ψυχή — „სული“). συμ წინსართიანი ზმნა συγγενέσθαι ვფიქრობთ, იწვევს ქართულში „თანა-ყოფას“ (=„შეერთებას“).

გული უთქუმიდა თ ა ნ ა-ყ ო ფ ა დ მისა. — 12, 16. ...καὶ ἡ κατεπίθυμος σ υ γ γ ε ν έ σ θ α ι μετ' αὐτῆς.

ქართულ თარგმანში ტექსტუალურად დადასტურებულია ბერძნული სიტყვები: „ჭაბუკთა ტ ი ტ ა ნ ე ლ თ ა გ ა ნ მოიკლა“ — 16,6 υἱοὶ τιτάνων ἐπάταξαν „ქლამინდი“ — 10,3 χλαμύς, χλαμύδος.

მაგრამ ეს ცალკეული ფაქტები ვერ გადაწყვეტს ტექსტის მომდინარეობის საკითხს. ვერ გადაწყვეტს, რადგან მანამდე გასარკვევია მრავალი სხვა საკითხი.

მართალია, «ივდითის» C რედაქცია ძირითადად მისდევს «ივდითის» ბერძნული სეპტანტისმიერი ვერსიის ტრადიციას, მაგრამ აქვე ვლინდება საყურადღებო მნიშვნელობის ფაქტი. C-ში დასტურდება რამდენიმე ისეთი მონაკვეთი, რომელიც ხსენებული ვერსიის (აგრეთვე სომხური ბიბლიის) გამოცემებში წარმოდგენილი არ არის:

1. „ნუგეშინის-სცეს აქიორს, აქებდეს მას ფრიად და ჰრქუეს (თქუეს IDFS): რაჲცა სთნდეს ღმერთსა და შენდაცა იყოს კეთილი“ — 6,20.

2. „და ბრძენ გულითა და სახიერ გონებითა და მდიდარ ფრიად“ — 8,7.

3. „და უფალი ღმერთი იყავნ შენ (მის ID) თანა წინაშე შენსა შურის-მეძიებელად მტერთა ჩუენთა“ — 10,8.

4. „ყავნ აწ უფალმან ღმერთმან სიტყუათა თქუენთაებრ და პოვენ მადლი მჴევალმან (მჴეველმან S) წინაშე თუალთა მისთა“ — 10,9.

5. „წარსრულ ვიყავ მე (—ID) წინაშე დიდებისა მისისა, რომელმან მოსცა იგი ჴელსა დედაკაცისასა ოლომფორნე (ჰოლომფორნე IFD) მდიდრად (დიდსა ID) მეტყუელი“ — 13,16.

6. აქვე, ივდითის ლოცვაში დამოწმებული ბიბლიის სიუჟეტები საპირისპიროდ უცხოური წყაროებისა (და S ხელნაწერისა, რომელიც ლათინურ ვერსიას ემხრობა):

---

[10] თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, კომპოზიტები ძველ ქართულში, თსუ შრომები, ტ. 49, 1952, გვ. 59—90.

[11] აკ. შ ა ნ ი ძ ე, სინური მრავალთავი 864 წლისა და მისი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 5, 1959, გვ. 329.

„ხოლო მე (რამეთუ ID) ვესავდი უფალსა გულითა ჩემითა სრულითა და სულისა ნებითა და უფალმან, რომელმან დაიცვა სარა გულის თქუმისაგან ფარაოჲსა და რებეკა აბიმელიქისაგან იჴსნა, მანვე განმარინა (განარინა ID) მჴევალი მისი კელისაგან ასურთაჲსა და მთავრისაგან მათისა“.

ციტირებული მონაკვეთები არ შეიძლება მივაკუთვნოთ მთარგმნელის შემოქმედებით ინიციატივას. ბიბლიის ტექსტის მიმართ ქართველი მთარგმნელები ეგზომ თავისუფლებას ვერ გამოიჩენდნენ. ცხადია, ისინი ჩვენთვის უცნობი წყაროს კუთვნილებაა. შესაძლოა, ისინი ასახავენ უფრო ძველ ვითარებას, ვიდრე ჩვენ მიერ შესადარებლად გამოყენებული ტექსტები, ან წარმოადგენენ ისეთი რეცენზენტის ან ხელნაწერის კუთვნილებას, რომელიც არ არის გათვალისწინებული გამოცემებში[12]. ეს მონაკვეთები კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ ქართული თარგმანის მომდინარეობის გარკვევა ამოსავალ წინაპირობად გულისხმობს ტექსტის შეჯერებას ყველა უცნობურ წყაროსთან (გამოცემებსა და ხელნაწერებთან). საკითხი დამატებით კვლევას მოითხოვს.

S ხელნაწერისათვის. S-ის მიმართების შესწავლამ Ⴙ რედაქციის ხელნაწერებისადმი გამოავლინა ერთი საგულისხმო თავისებურება. იგი ცალკეულ შემთხვევაში შორდება Ⴙ-ს ძირითად რედაქციულ ფენას და იძლევა იმავე სურათს (ღრღნდ არასრულად), რაც ნიშანდობლივია Ⴙ და Ⴝ რედაქციათა დამოკიდებულებისათვის. გავრცობისა თუ კლების შემთხვევებში, რითაც Ⴝ განსხვავდება Ⴙ-საგან, S შინაარსობრივად ემთხვევა Ⴝ რედაქციას. ამრიგად, S (ფრაგმენტებში) ერთი მხრივ, უპირისპირდება Ⴙ რედაქციას — ავლენს ისეთ მონაკვეთებს, რაც საერთოდ უცხოა ივდითის ბერძნული და სომხური ტექსტების ტრადიციული ხაზისათვის (რასაც ძირითადად მისდევს Ⴙ ქართული რედაქცია) და მეორე მხრივ, ტექსტობრივად უპირისპირდება Ⴝ რედაქციასაც.

Ⴙ-საგან Ⴝ-ს განსხვავების 12 შემთხვევიდან, რაც ტექსტის გამოტოვებაში გამოიხატება, S მხარს უჭერს Ⴝ-ს მხოლოდ სამჯერ (ეს მუხლებია: IV, 11, 12; VII, 11, 12, 13, 14, 15; VIII, 18, 19, 20). S უპირატესად ემხრობა Ⴝ-ს შემდეგ დამატებით მონაკვეთებში: III, 4, 5, 6 (მუხლები მითითებულია ლათინური ვულგატის მიხედვით, რადგან ბერძნულში, რომლის მიხედვითაც დამუხლულია სანალიზო წვრილი რედაქცია, შესაბამისი ტექსტი არ დასტურდება. ფრჩხილებში კი მითითებულია Ⴙ-ს ის მუხლი, რომელსაც მოსდევს დამატებითი მონაკვეთი Ⴝ რედაქციისა); IV, 12, 13, 14, 15 (მე-12-ის შემდეგ); V, 11, 13, 15, 16, 17, 18, 19 (მე-12-ის შემდეგ); VII, 19, 20, 21, 22 (ჩასმულია 29-ეს შემდეგ); IX, 7, 8, 9; IX, 12, 13, 14, 15 (Ⴙ-ს მე-10-ს შემდეგ); XIV, 9, 10, 11, 12 (მე-13-ის შემდეგ).

S და B ტექსტების შეჯერება ცხადყოფს, რომ მათი სახით ჩვენ საქმე გვაქვს ლათინური ვერსიისათვის სპეციფიკური მონაკვეთების ორ ქართულ რედაქციასთან.

S	B
ხოლო უკუეთუ სხუათა თაყუანი სციან გარეშე ღმრთისა მათისა, მიეცემოდიან ტყუეობასა და სრვასა და იქმნებო-	და რაოდენ გზის თაყუანის-სცეს ღმერთთა უცხოთა თჳნიერ ღმრთისა თჳსისა, მიცემულ იყოფებოდენ ტყუეობასა ში-

[12] კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I, 1951, გვ. 394.

ეროვნული ბიბლიოთეკა

S	B
დიახ ყოველთაგან საყუედრელ. — 5, 18.	ნა და მახჯლთა ჭუეშე და ყუედრებასა.
ხოლო დამაშურალნი ღაღადებითა და გოდებითა უსუსურქმნილნი დადუმნეს.— 7, 29.	და ოდეს ამათ ღაღადებათა და ამათ ტირილთა დაშურენ. დაჰსდენ და დუმდეს.
თჳნიერ მშჯლ-კაპარჭთა და საჭურველთა და მახჳლთასა ბრძოდა მათ წილ ღმერთი მათი და ყოველნივე მძლავრნი დასცნა. — 5, 16.	და ოდეს სადაცა ვიდოდეს უმშჯლდიროთ და უფარკმლოთ, ღმერთი მათი ჰბრძოდა მათ წილ და სძლევდეს.

არანაკლები ღირებულებისაა S ხელნაწერის რამდენიმე მუხლის ჩვენება (სხვადასხვა ადგილას), რომელიც Շ და Վ-ს გვერდით გამოიყოფა მესამე რედაქციის სახით.

OIDF	S	B
და განაკმო ღმერთმან ზღუაჲ მეწამული წინაშე მათსა. — 5, 12.	და იქცთდენ რაჲ ღმერთმან განაკმო ზღუაჲ მეწამული წინაშე მათსა და წყალნი იქმნნეს ზღუდე მარიგი ფერჴითა დაულტობელითა ვიდოდეს სიღრმესა ზღუასასა.	ლტოლვასა მათსა ღმერთმან ცათამან ზღუაჲ განაპო მუნ, რამეთუ იმიერ და ამიერ წყალნი ვითარცა ზღუდეღალ ამიერ და იმიერ დანი დგეს, ხოლო იგინი ვიდოდეს ქმელად შორის ზღჳსა.
მოიკსენეთ, რავდენი უყო აბრაჰამსა და (—I) ვითარიგი გამოცადა ისაკი და რავდენი შეემთხჳა (უყო DI) იაკობს შუამდინარეს ასურეთისასა, მწყსიდა რაჲ ცხოვართა საკუთრეს ლაბანისთა (ცხოვარსა ლაბანისსა F) დედის ძმისა თჳსისათა და ვითარცა იგი გამოაჯურვნა გამოსაცდელად გულისა მათისა. — 8, 26—27.	და მოიკსენეთ, რაოდენი უყო აბრაჰამს და რაოდენგზის განიცადა და ღმრთის მოყუარე იქმნა. ეგრეთვე ისაკი და იაკობი და მოსე და ყოველნივე, რომელნი შეეცნეს ღმერთსა, რომელთა მოითმინნეს ტანჯვანი მრავალნი და სარწმუნო იქმნეს. — 8, 22—23.	თანამდებობენ მოკსენებად, ვითარ მამაჲ ჩუენი აბრაჰამ მრავალთა ჭირთა გამოცდილ არს და ეგრეთცა ისაკცა და იაკობ და მოსე და ყოველნი საჭმარნი უფლისა ღმრთისა მრავლითა ჭირითა განვლიდეს სარწმუნოებასა.

და ცხოველ არს უფალი ღმერთი, რომელმან დამიცვა მე გზასა ჩემსა, რომელსა წარსრულ ვიყავ მე წინაშე დიდებისა მისისა, რომელმან მოსცა იგი ჴელსა დედაკაცისასა ჰოლოფორნე მდიდრად მეტყუელი, რამეთუ აცთუნა იგი პირმან ჩემმან წარსაწყმედელად მისა და აზმნობდა ჩემთანა ცოდვად და შეგინებად ჩემდა სირცხჳთ ბილწებისა. — 13, 16.	და ცხოველ არს უფალი ღმერთი, რომელმან დამიცვა ანგელოზისა მისისა მიერ და წარმავლინა მუნ და დამიფარა მუნ და მომაქცია აქავე და არა მოუშვა უფალმან შებილწებად მჴევლისა თჳსისა და უცოდველად ვლალადებ ჰოლოფორნე და ვიხარებ ძლევასა მისსა ზედა და განრინებასა ჩემსა და ჴსნასა ჩემსა.	არამედ ცხოველ არს უფალი ღმერთი, რამეთუ დამიცვა მე ანგელოზმან მისმან, ოდეს მუნ ვიდოდი და ვიქმენ მუნ, ეგრეთცა ოდეს მოვიქეც აქა და არა დამიტევა მე უფალმან ღმერთმან მჴევალი თჳსი შეგინებად და არცა თანამდებ ცოდვისა მომაქცია მე თქუენდამი. ვიხარებდით ძლევისათჳს მისსა და შემოსლვისათჳს ჩემისა და ჴსნისათჳს თქუენისა.

აქვე დავუმატებთ, რომ S-ის V, 27 მუხლს პარალელი არ ეძებნება ბერძნულ-სომხურ-ლათინურ წყაროებში.

დავასკვნით: ა) S უდიდეს ნაწილში ტექსტობრივად მისდევს C რედაქციას, ბ) ემხრობა Վ-ს ამ რედაქციისათვის სპეციფიკურ მონაკვეთებში (ოღონდ არა ტექსტუალურად), გ) რამდენიმე შემთხვევაში ტექსტობრივად უპირისპირდება C და Վ რედაქციებს.

ყველაზე საინტერესოა მაინც ის, რომ S ხელნაწერის ფრაგმენტებში გაზიარებულია ლათინური ვულგატის ტრადიცია (აღსანიშნავია, რომ მცხეთურსა და ბაქარისეულ ბიბლიებში ტექსტები განლაგებულია სომხურ-ლათინური რიგის მიხედვით: «ივდითი» მოსდევს «ტობიას» წიგნს, სხვა ხელნაწერებში კი «ესთერისას»).

«ივდითის» არც ბერძნული და არც სომხური ტექსტებისათვის, რომლითაც უნდა ეხელმძღვანელათ მცხეთური ბიბლიის შემდგენლებს, ზემოთ დასახელებული დამატებითი მონაკვეთები ცნობილი არაა, არ ჩანან ისინი S-ის წინამორბედ და მასთან ახლოს მდგომ ნუსხებშიც.

მცხეთური ბიბლია დამუხლვით, მუხლების ნუმერაციით მისდევს ლათინურ-სომხურ რიგს. ვულგატასთან შინაარსობრივი განსხვავების შემთხვევაში სომხურში დარღვეულია მუხლების თანამიმდევრობა (მაგ., 28-ე თავში 23-ს მოსდევს 26-ე მუხლი, V, 12-ს მოსდევს V, 20 და სხვ.). ეს ეხება ნუმერაციას, თორემ სეპტანტის ტრადიციის მიხედვით ტექსტს არაფერი აკლია. მცხეთური ბიბლია ზოგჯერ მისდევს ამ დანომვრას, მაგრამ მის შემდგენლებს რიგ შემთხვევაში გაუსწორებიათ ეს შეუსაბამობა, ციფრები გადაუსწორებიათ, სხვა შემთხვევაში დარღვეული თანმიმდევრობა ვულგატის შესაბამისი ადგილების ქართული ტექსტითაა შევსებული და ლათინურისავე დამუხლვაა წარმოდგენილი.

სხვა საკითხია, თუ რა წარმომავლობისაა შესავსებად გამოყენებული ადგილები. შეიძლება დავუშვათ ორი შესაძლებლობა:

1. მცხეთურმა ბიბლიამ გამოიყენა დღეისათვის უცნობი ან დაკარგული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელნაწერი «ივდითის» ტექსტისა, რომელსაც ორგანულად ერწყმოდა ბერძნული სეპტანტის ვერსიისათვის უცნობი მონაკვეთები. მაშინ იგი მეტად არქაული ვითარების ამსახველად გამოვიდოდა. სავარაუდო უცხო წყარო მოუკლებელად ანდა დაკარგულად უნდა ჩათვლილიყო ამ შემთხვევაში. შესაძლოა, სწორედ აქ იყოს შორეული გამოძახილი აღმოსავლური (შესაძლოა, ქალდური) წყაროსი, რომელსაც დაკარგულად მიიჩნევენ ბიბლიოლოგიურ ლიტერატურაში.

2. თუ ეს ვარაუდი სწორი არაა, მაშინ საქმე უნდა გვქონდეს გვიანდელი კომპილაციის შედეგთან. ძველი თარგმანის უქონლობის შემთხვევაში ახლად უნდა ეთარგმნათ გარკვეული მონაკვეთები ვულგატის შესაბამისი მუხლების შესვების მიზნით. სავარაუდო უცხო წყაროდ ლათინური ვულგატა ჩათვლებოდა. მაშინ ახლებურად დაისმებოდა საკითხი სულხან-საბა ორბელიანის რედაქტორული მუშაობის შესახებ. დაბეჯითებით რაიმეს თქმა ჯერჯერობით ძნელია.

Ც რედაქცია. ტექსტზე დაკვირვება ცხადს ხდის, რომ Ც რედაქცია წარმოადგენს Շ-სთან შედარებით ახალ თარგმანს. მისი ენა უფრო ხელოვნურია და დამძიმებული უცხოური კონსტრუქციებით.

ამ მხრივ განსაკუთრებით დამახასიათებელია „თანა“ (=ურთ-ის მნიშვნელობით) თანდებულის ხმარება. სათარგმნი ენის წინდებულთა გავლენით თანდებული **თანა** სახელს დაერთვის წინ, თუმცა იმავე მნიშვნელობის გადმოსაცემად ქართულში სავსებით საკმარისი იქნებოდა სახელის მოქმედებითი ბრუნვა.

მივმართოთ მაგალითებს.

...„და ღმერთმან **თანა ცრემლითა**“,—13,4 (6). orans cum lacrymis.

„იქმნა თავისა თჳსისა საიდუმლო საყოფელი, რომელსა შინა თანა მჴეცთა თჳსითა დაჴშული სცხოვრებდა. — 8, 5. Cum puellis suis clausa morabatur.

და განვიდე თანა აბრით ჩემითა. — 8,33 ...ego exeam cum abra mea.

იყოს ეგრეთ **თანა შენთა** ყოველნი.—5,11. ...ita cum tuis omnibus.

უცხო ტექსტზე დამოკიდებულების ფაქტია სხვა თანდებულების ხმარებაც.

და წარგიმართა შენ მოკუეთასა ზედა მთაერისა მტერთა ჩუენთასა. — 13, 18 (24). ...qui te direxit in vulnera capitis principis inimicorum nostrorum.

Շ რედაქციაში აქ ინფინიტიური კონსტრუქცია გვაქვს: „წარგიმართა შენ წყლვად თავისა მის მტერთა ჩუენთაჲსა“.

„ესავს“ ზმნას ობიექტი უთანდებულოდ ეწყობა ქართულში, მაგრამ წინდებულის გავლენით თარგმანში თავი ჩნდა „ზედა“ თანდებულმა.

...ძენი ისრაჱლისანი არცა შუბსა ზედა, არცა ისართა ზედა ესვენ. — 7, 8. Filii Israel non in lanece nec in sagitta confidunt.

Շ რედაქციაში ბუნებრივი ქართული წყობაა: „ესვენ ჰოროლებსა და დრუჟებსა“.

მოსავნი ეტლთა ზედა და მჴედრობათა ზედა და სიმრავლესა ზედა მებრძოლთაჲსა. — 9, 7 (6). ... confidentes in quadrigis et equitatu suo, et in multitudine bellatorum.

მსგავსიე მაგალითებია: წარწყმედასა შინა (=წარსაწყმედელად) მიცემული 11,12 (in perditionem); სუ და ჰამე სიხარულსა შინა 12,17 — (in jucuditate).

დამახასიათებელია მომღეობური კონსტრუქციების სიჭარბე:

ხოლო მხილველი ახიარ თავი ოლომფრესი, განცჯფრდა. — 13,29.

ტიპიურია მომღეობური ფორმა „მეტყუელი“ იქ, სადაც Შ რედაქცია იყენებს ზმნის პირველ ფორმას:

Შ	Ც
აკურთხეს იგი ერთბამად ყოველთა და ჰრქუეს. — 15,10.	აკურთხეს იგი ყოველთა ერთჴმობით მეტყუელთა.
ღალად-ყო... და თქუა. — 9, 1.	ღალადებდა ღმრთისა მიმართ მეტყუელი.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ «ივდითის» ეს რედაქცია მომდინარეობს ლათინური ვულგატიდან[13]. ამ თვალსაზრისით ტექსტის ლათინურ ბიბლიასთან შედარებამ გვიჩვენა, რომ იგი მისდევს ლათინურ ვერსიას, მაგრამ მასზე უშუალო დამოკიდებულებების აშკარა ნიშნებს არ იძლევა. ვითვალისწინებთ რა ბაჭარის ბიბლიის ტექსტის ისტორიას (ცნობილია, რომ ქართული რედაქციები ზოგჯერ ნასწორებია სლავური ბიბლიის მიხედვით, ზოგი წიგნი კი ითარგმნა თავიდან), ჩვენ ვვარაუდობთ, რომ «ივდითის» წიგნი გაღმოღებულია სლავურიდან. მხედველობაშია მისაღები თვით «ივდითის» სლავური თარგმანის ბედი. სლავურად «ივდითი» თავდაპირველად თარგმნილი ყოფილა ლათინური ვულგატიდან, მაგრამ XVIII საუკუნიდან ეს ვერსია ხმარებიდან გადევნია ბერძნული სეპტანტის ახალ თარგმანს. ბიბლიის გამოცემებში, როგორც სავალდებულო, ეს უკანასკნელი რედაქცია გამატონებულა. «ივდითის» ვულგატასეული ტექსტი წარმოდგენილი ყოფილა 1663 წ. მეფე ალექსისთვის გამოცემულ ბიბლიაში[14]. სწორედ ამ გამოცემის ტექსტს მისდევს ზუსტად «ივდითის» ქართული Ც რედაქცია.

სლავურზე დამოკიდებულების ნიმუშად აღვნიშნავთ შემდეგს: რომელიმე პირის გენეალოგიის წარმოდგენისას სლავურში საკუთარი სახელი წარმოდგენილია ნათესაობით ბრუნვის **-ев,-ов** სუფიქსებით, ეს სუფიქსები შენარჩუნებულია ქართულ თარგმანშიც (და ეს დამახასიათებელია ბაჭარის ბიბლიის სხვა წიგნებისთვისაც).

...ძისა რაფაიმოვისა ძისა მელხიევისა, ძისა ენანოვისა, ძისა ნათანოვისა, ძისა სალათიელისა... — 8, 1.	...сына Рафаимова, сына Мелхиева, сына Энанова, сына Нафанова, сына Салафиелева.

ბერძნული სიტყვა ἡ ἀβρα („მსახური“) Ც-ში დატოვებულია უთარგმნელად. განვიხილავთ შორის და აბრაჲ მისი — 10,10 (სლავურშიაც არის авра, ბერძნულში კი აქ არის ἡ παιδίσκη).

„აბრა“ სლავური გზით უნდა მოხვედრილიყო ქართულ თარგმანში, იგივე შეიძლება ითქვას „ადონას“ (9, 10) შესახებ.

«ივდითის» ბაჭარისეული ბიბლიის ტექსტი სლავურიდან უნდა მომდინარეობდეს.

---

[13] კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I, 1951, გვ. 319.

[14] И. А. Чистович, История перевода Библии на русский язык, СПб, 1899, стр. 12—13.

ამრიგად, ქართული ნუსხები იცნობენ „იუდითის“ ტექსტის ორ ძირითად რედაქციას: 1. Ъ — წარმოდგენილი 5 ნუსხით (A — 570, A — 51, A — 646, A — 885, ოშ. ბიბლიის ტექსტით), რომლებიც ზოგჯერ სცილდებიან ბერძნულ-სომხური ბიბლიების გამოცემათა ტექსტობრივ ტრადიციას და უცნობი წყაროს გამოყენებას გვავარაუდებინებს. 2. Ч რედაქცია წარმოდგენილია ბაქარის ბიბლიის ტექსტით, იგი თარგმნილი უნდა იყოს სლავურიდან XVII—XVIII საუკუნეებში. ამ ვერსიისათვის ნიშანდობლივი ზოგიერთი ტექსტობრივი მონაკვეთი (Ч-საგან განსხვავებული რედაქციით) შესულია მცხეთურ ბიბლიაში.

Г. И. КИКНАДЗЕ

ГРУЗИНСКИЕ РЕДАКЦИИ КНИГИ «ЮДИФЬ»

(Резюме)

Текст книги «Юдифь» сохранился на грузинском языке в двух основных редакциях. Первую редакцию образуют списки Ошкской библии, А-570, А-646, А-51, Н-885, а вторую — текст московского издания грузинской «Библии» 1743 г.

В работе проанализировано взаимоотношение этих списков, а также их отношение к иноязычным (греческим, латинским, славянским) изданиям Библии. Установлено, что первая редакция следует греческой версии LXX, а вторая — тексту латинской Вульгаты.

Особо отмечается текст списка А-51, который в основном совпадает с I-ой редакцией, но и отличается от нее наличием тех фрагментов, которые свойственны лишь латинской Вульгате и следовательно II-ой редакции. Следует отметить, что в этих фрагментах А-51 и печатный текст грузинской Библии с редакционной точки зрения, текстуально не совпадают. Предполагается компиляторская работа со стороны редакторов списка А-51.

Текст II-ой редакции переведен с славянского языка.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე გამყრელიძე

იოანე ოქროპირის ჰომილიის „მარხვისათჳს და იონაჲსთჳს" პარხლური ვერსია

იოანე ოქროპირის თხზულების — „მარხვისათჳს და იონაჲსთჳს" — თარგმანი ორ ქართულ მრავალთავშია დაცული, სინურსა და პარხლურში. ამათგან პირველში მთელი სახითაა მოღწეული ჩვენამდე, ხოლო მეორეში, პარხლურში, მხოლოდ დასაწყისის ორიოდე გვერდია გადარჩენილი. სინური მრავალთავში გადმოცემული ტექსტის სომხურთან შედარებამ, რომელიც პროფ. ი. აბულაძემ შეასრულა, ცხადჰყო, რომ ხსენებული ტექსტი უთუოდ სომხურიდან უნდა მომდინარეობდეს, რაც ბევრი ადგილის ზუსტი თანხვედრითა და თარგმანში დაშვებული ზოგიერთი ისეთი ცთომილებით დასტურდება, რომელნიც, პროფ. ი. აბულაძის დასკვნით, მხოლოდ სომხური დედნიდან მომდინარეობით თუ შეიძლება აიხსნას.

რაც შეეხება პარხლურ რედაქციას, იმავე მეცნიერის წინასწარი დაკვირვებით, იგი სომხურის იმ რედაქციას უფრო ემხრობა (უნდა აღინიშნოს, რომ ამ ძეგლისა სომხურადაც ორი რედაქციაა მოღწეული, რომელთაგან ერთი, მკვლევართა დასკვნით, ბერძნულს მისდევს საკმაოდ ზუსტად, მეორე კი ნაწილობრივ შორდება მას და ერთგვარად გარდაკაზმული ნაწარმოების შთაბეჭდილებას ტოვებს თითქოს), რომელიც ბერძნულის ზუსტ თარგმანს ჰგავს.

პარხლურ მრავალთავში (A — 95) ეს ნაწარმოები მოთავსებულია 443—444 გვერდებზე და მის შემდეგ, მთელი რვეულის ნაკლებობის გამო, დანარჩენი ნაწილი ამ თხზულებისა დაკარგულია. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ჯერჯერობით არც სხვა რომელიმე ქართულ ხელნაწერში ჩანს ამ თხზულების ეს რედაქცია.

საჭირო გახდა ამ ტექსტის თვით ბერძნულ ორიგინალთან ზედმიწევნით შეჯერება, რამაც მიუხედავად თხზულების გადარჩენილი ნაწილის სიმცირისა, ფრიად საინტერესო და, ჩვენი აზრით, საკმაოდ დამაჯერებელი სურათი გვიჩვენა იმისა, რომ ხსენებული ტექსტი მომდინარეობს არა სომხურიდან, არამედ პირდაპირ ბერძნული ორიგინალიდან.

პარხლურ ვერსიაში ამ თხზულებას შემდეგი სათაური აქვს: „საკითხავნი წმიდათა მარხვათანი. თქუმული მამისა ჩუენისა იოვანე ოქროპირისაჲ მარხვისათჳს და იონაჲსთჳს". სინური მრავალთავის ვერსიის სათაური თითქმის მთლიანად ემთხვევა ამ სათაურს, ოღონდ ნაცვლად ლიტონი „მამისა ჩუენისა", იქ შედარებით უფრო ვრცელი დახასიათებაა მოცემული იოანე ოქროპირისა შემდეგნაირად: „წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა..."

აღსანიშნავია აქვე, რომ ასეთი გაერკობა ტექსტისა, უმეტესად სინონიმური სიტყვების სახით, ნიშანდობლივი დამახასიათებელი თვისებაა სინური ვერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიისა და თავიდან ბოლომდე სისტემურად გასდევს. ხანდახან ერთი რომელიმე სიტყვა ორი, სამი და ხან ოთხი სინონიმური სიტყვითაც არის თარგმნილი, მაგრამ ეს თავისებურება უმეტესად სომხური სათარგმნელი ტექსტიდან მოდის; თუმცა არის შემთხვევები, როცა თვით ქართველი მთარგმნელიც უმატებს და აკრცობს თავის მხრივაც.

თუ ამ სათაურებს ბერძნული ორიგინალის სათაურს შევუდარებთ, მცირე განსხვავებას ვპოვებთ. ბერძნულში, გარდა მარხვისა და იოანესი, ეს ჰომილია ანუ ქადაგება მისი სათაურის (და დავსძენდით აგრეთვე, შინაარსის) მიხედვით ეხება ამასთანავე წინასწარმეტყველი დანიელისა და სამი ბავშვის ამბავსაც (მთელი ეს შინაარსი სინურ სრულ ქართულ რედაქციაშიაც არის გადმოცემული). ბერძნულად სათაურს შემდეგი სახე აქვს: „Τοῦ αὐτοῦ ὁμιλία περὶ νηστείας καὶ εἰς τὸν προφήτην Ἰωνᾶν, καὶ Δανιήλ, καὶ τοὺς τρεῖς παῖδας. Ἐλέχθη δὲ εἰς τὴν εἴσοδον τῶν ἁγίων νηστειῶν“[1], რაც ქართულად სიტყვასიტყვით იქნება: „მისივე (ე. ი. იოანე ოქროპირის) ქადაგება მარხვისა, წინასწარმეტყველ იონასა, დანიელისა და სამი ბავშვისათვის. ითქვა წმიდა მარხვის დადგომისას (ანუ შემოლოცვისას)“.

ქართული ტექსტის შედარება ბერძნულთან შემდეგ სურათს გვაძლევს.

პირველივე წინადადება ზუსტად ემთხვევა ბერძნულ ტექსტს და ამასთანავე სხვა მხრივაც მიგვანიშნებს ქართული ამ რედაქციის ბერძნულისაგან წარმომავლობაზე.

1. ქართული (პარხლური) ვერსია[2]: „ბრწყინვალე არს დღეს ჩუენთჳს კრებაჲ ესე და უბრწყინვალეს ჩუეული ესე სიტყუაჲ“.

ბერძნულში: „Φαιδρὰ σήμερον ἡμῖν ἡ πανήγυρις, καὶ λαμπρότερος τοῦ συνήθους ὁ σύλλογος“.

ამ ორ ტექსტში ყველაფერი კარგად ხვდება ერთმანეთს, გარდა ხაზგასმული სიტყვებისა, და ამ სიტყვებს შორის განსხვავების მიზეზიც, ჩვენი აზრით, საკმაოდ დაბეჯითებით შეიძლება აიხსნას. საქმე ის გახლავთ, რომ ბერძნული ὁ σύλλογος, რაც „კრებას“, „შეკრებილებას“ ნიშნავს, ქართველ მთარგმნელს ბგერითი მიმსგავსებულობის გამო აღრევია სიტყვაში ὁ λόγος (რაც მართლაც „სიტყვას“ ნიშნავს), ანდა მისგან ნაწარმოებ, თუ მასთან ახლოს მდგომ სხვა რომელიღაც სიტყვაში. ნიშანდობლივია აგრეთვე, რომ ამ ადგილას არც სომხურ პირველ (ბეჭითად ბერძნულიდან მომდინარე) და არც სომხურ მეორე (და მისგან გადმოთარგმნილ სინურ ქართულ) ვერსიებში ამგვარ წაკითხვას ვერ ვპოვებთ. იქ სრულიად სწორი შესატყვისი გვაქვს — „კრებაჲ“.

2. ქართული P:

„მან უდებებისა მისგან პირველისა დღეს დედისა ჭელთა შეგუკრიბნა“.

---

[1] იოანე ოქროპირის ბერძნულ ტექსტთან შედარებისათვის ვისარგებლე «Patrologia graeca“-ს გამოცემით: Patrologia graeca, t. 49. S. Joannes Chrysostomus, Opera omnia quae extant, t. II, pars prior. Parisiis. 1862, pp. 305—314.

[2] პარხლურ ვერსიას აღვნიშნავთ P ლიტერით, ხოლო სინურს S ლიტერით. სინური ტექსტის გამოცემა იხ.: სინური მრავალთავი 864 წლისა, სასტამბოდ მოამზადეს კათედრის წევრებმა ალექსი შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობით და გამოკვლევით. «ძველი ქართული ენის კათედრის შრომები», 5, თბილისი, 1959, გვ. 100—111.

„ἐκείνῃ καὶ τοὺς πρὸ τούτου ῥᾳθυμοτέρους, σήμερον πρὸς τὰς μαχαίρας ἐπανήγαγε χεῖρας“.

აქაც ქართული და ბერძნული ტექსტების ზუსტ თანხვედრილობასთან გვაქვს საქმე, ოღონდ ბერძნული πρὸ τούτου-ს ბადლად „პირველისა“-ს დაწერა იწვევს ეჭვს. ბერძნული ამ გამოთქმის უფრო შესაბამისია „აქამდე“, „ამ დრომდე“, „წინათ“ (ლათ. antehac, რუს. перед сим, до сего времени, прежде); მაგრამ, ჩანს, ქართველი მთარგმნელი აქაც აცდუნა სიტყვათა ფონეტიკურმა მსგავსებამ და თანაც ნაწილობრივ შინაარსობრივმა სიახლოვემაც—მას იგი, შესაძლოა, აერია πρώτου-ში (სიტყვიდან πρῶτος — „პირველი“), რაც მართლაც „პირველისა“ გამოვა ქართულად.

სინური ვერსიის რაობის გასათვალისწინებლად განსაკუთრებით საინტერესოა ამ წინადადების მაგალითი და მისი შეპირისპირება პარხლურთან და მის დედანთან — ბერძნულთან. სინურში ეს ადგილი შემდეგნაირად გახლავთ გადმოცემული:

„დაროშელნი-ეგე პირველ უდებ იყვენით და მოზარე და მორიდე და განბნეულ, ამან ვითარცა დედამან შეგკრიბნა და შეგიწყნარნა თქუენ“.

როგორც ხაზგასმული ტექსტიდან ჩანს, სინური ვერსიის მთარგმნელს ერთ შემთხვევაში ოთხი სინონიმით აქვს გადმოცემული ერთი სიტყვა, მეორე შემთხვევაში კი — ორით.

3. ქართული Ⲣ:

„აჰა მადლობამან მისმან ესოდენი შეგამთხჳა თქუენ გულსმოდგინებაჲ“.

„εἰ δὲ καὶ προσδοκωμένῃ μόνον τοιαύτην ἡμῖν ἐνεποίησε σπουδήν...“

ქართული ტექსტი კარგად ემთხვევა ბერძნულს გარდა იმ შეცდომებისა, რომლებიც, ერთი მხრივ, მთარგმნელისა ჩანს, მეორე მხრივ კი გადამწერისა. გადამწერის შეცდომა უნდა იყოს „მადლობამან“ ნაცვლად სიტყვისა „მოლოდებამან“, რაც მართლაც მოსალოდნელი ჩანდა ბერძნული προσδοκωμένῃ-ს ბადლად.

თითქოს შეუფერებელი ჩანს „აჰა“ ბერძნული εἰ-ს (=„თუ“, „უკუეთუ“) ადგილას. აქ სომხური თარგმანი სწორ წაკითხვას იძლევა, ქართველი მთარგმნელი კი, უნდა ვივარაუდოთ, აცთუნა ბერძნული εἰ-ს ბგერითმა მსგავსებამ ბერძნულსავე ზოგიერთ შორისდებულთან, როგორებიც არიან: ἔα (=ოჰ! აჰ! აჰა!), ἐ ἐ ἔ ἔ (=ოჰ! ვაჰ! ვაგლახ!), ანდა εἶα (=აბა! აბა ჰე!).

მესამე შეცდომა აგრეთვე მთარგმნელისა გახლავთ. ნაცვლად „ჩუენ“-ისა, რაც სავარაუდო იყო ბერძნული ἡμῖν-ისათვის, წერია „თქუენ“; ე. ი. მთარგმნელს ერთმანეთში აქვს არეული ბერძნულის ἡμῖν (=„ჩვენ“) და ὑμῖν ფორმები, რაც შედარებით ადვილი წარმოსადგენია მისგან, თუ მის სხვა მსგავს შეცდომებსაც გავითვალისწინებთ.

4. ქართულშია (პარხლურში): „ეგრეცა ქალაქმან რაჟამს შეცვალიან მთავარი იგი საშინელი, ყოველივე დაუტევიან უდებებაჲ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბერძნული:

„οὕτω καὶ πόλις ἀρχόντος εἰσελαύνειν μέλλοντος φοβερὸν, πᾶσαν ἀποτίθεται ῥᾳθυμίαν.

პარხლური თარგმანი მცდარი ჩანს, ბერძნულის აზრს უფრო სწორად გადმოსცემს სინური ვერსია, რომელშიაც იკითხება:

„ესრე სახედცა ქალაქი განეკრძალის და განეშადის მოლოდებასა და შემოსლვასა საშინელისა კელმწიფისასა და ადრე-ადრე დაუტევიან უდებებად“.

თანამედროვე ქართულით კი ბერძნული ორიგინალის აზრი შემდეგნაირად შეიძლება გადმოიცეს: „ასევე ქალაქიც, როდესაც საშინელი ხელმწიფე უნდა შემოვიდეს (როდესაც საშინელი ხელმწიფე აპირებს შემოსვლას, ანდა როდესაც საშინელი ხელმწიფის შემოსვლას ელის), მთელ სიზარმაცეს (უხალისობას, უსაქმობას, სიზანტეს) გვერდზე გადასდებს (სიზარმაცეს სრულიად თავს ანებებს)“.

პარხლური ვერსიის დაშორება, ცხადია, საგრძნობია. ამ ვერსიის ქართველ მთარგმნელს სიტყვა „შეცვალიან“, რომელიც არ უდგება კონტექსტსა და ბერძნული ორიგინალის აზრს, ეტყობა, შეცდომით ამოუკითხავს ბერძნული სიტყვიდან εἰσελαύνειν, რაც ქართულად „შესვლას“, „მოსვლას“, „შებრძანებას“, „შემობრძანებას“ ნიშნავს ამ კონტექსტში. მთარგმნელს ეს ზმნა, ჩანს, სხვა ბერძნულ ზმნებში აერია —ἐξελάσειν (=„შეცვლა“, „გამოცვლა“) ანდა ἐπαλλάσσειν (=„მონაცვლება“, „გადანაცვლება“, „მონაცვლეობა“), რომელთაც გარეგნულად ცოტათი წაავგს.

5. ქართული (პარხლური):

„არა თუ თქუენდა რაჲმე საშინელ არს, არამედ ხათესავისა მის ეშმაკთაჲსა“.

ბერძნული:

„οὐ γὰρ ὑμῖν ἐστι φοβερά, ἀλλὰ τῆ τῶν δαιμόνων φύσει“.

აქაც სიტყვა-სიტყვით მისდევს ბერძნულს ეს ქართული თარგმანი, ოღონდ ქართველი მთარგმნელი კვლავ სიტყვის ὑμῖν (=„ჩუენდა“), მაგიერ ὑμῖν (=„თქუენდა“) ზმარობს. ასევე თითქმის ზუსტად ემთხვევა პარხლურს, და, მაშასადამე, ბერძნულსაც. სინური რედაქციის შესაბამისი ადგილი:

„არამედ არა თქუენდა საშინელ არს, არამედ ბუნებასა დევთასა“.

ამ შემთხვევაში „ნათესავისა“ და „ბუნებასა“ ორივენი სინონიმურ წყვილებად გვევლინებიან ბერძნული სიტყვისათვის φύσις, რომელიც მართლაც „ბუნებასაც“ ნიშნავს და აგრეთვე „ნათესაობას“, „ნათესავს“, „მოდგმას“, „ჯილაგსაც“.

6. ქართული (პარხლური):

„დაღათუ ვინმე მთავრითა გუემულ იყოს, აჩუენე მას მარხვისა იგი პირი“.

ბერძნული:

„ἐὰν σελήνιαζόμενός ἤ τις, δεῖξον αὐτῷ νηστείας πρόσωπον“.

ქართული (სინური):

„და თუ ეშმაკეულ ვინმე იყოს, უჩუენე მას სახე მარხვისაჲ“.

ამ წინადადებაში ისეთ შეცდომასთან გვაქვს საქმე, რომელიც, ერთი მხრივ, აშკარად მიუთითებს, რომ პარხლური ტექსტი უთუოდ პირს, გადმონაწერს წარმოადგენს და აქ გადმომწერს მოსვლია შეცდომა; მეორე მხრივ კი მთარგმნელს, ჩანს, პირდაპირ გადმოუღია ბერძნული ξελγνιαζόμενος (= „მთავარეული“). ზმნიდან ξελγνιάζομαι (= „მთავარეულობა“, „შეშლილობა“, „სიგიჟე“). ქართულ თარგმანში ხაზგასმული სიტყვები ალბათ შემდეგი სახით იქნებოდა: „...მთავარითა გუემულ იყოს“ და სხვ.

7. შესაძლოა, გადამწერისაგე შეცდომასთან და ნაწილობრივ კი არა ზუსტ თარგმანთან გვქონდეს საქმე მომდევნო მაგალითში.

ქართულ პარხლურშია:

„უმეტეს ხოლო რაჟამს იხილოს მარხვითა შემკული დაჲ იგი მარხვისაჲ და მეუღლჱ ლოცვისაჲ“.

ბერძნული:

„καὶ μάλιστα ὅταν ἴδῃ τῇ νηστείᾳ συμβεβλημένην τὴν ἀδελφὴν τῆς νηστείας καὶ ὁμόζυγον, τὴν εὐχήν“.

აქ ეჯეს იწვევს ბერძნული სიტყვის συμβεβλημένην შესატყვისი ქართულში — „შემკული“. ეს ბერძნული სიტყვა წარმოადგენს პერფექტუმის ვნებითის მიმღეობას ზმნისა συμβάλλω. იგი „ერთად შეყრას“, „შეერთებას“, „ერთად თავმოყრას“, „მიერთებას“ ნიშნავს, რაც, საფიქრებელია, ქართველმა მთარგმნელმა „შეერთება-შეკვრადაც“ გაიაზრა და ხსენებული ბერძნული სიტყვა თარგმნა როგორც „შეკრული“. შემდგომში კი, გადამწერის წყალობით, იგი უკვე „შემკულის“ სახით მოგვევლინა.

ამ შემთხვევაში სინური თარგმანის შესაბამისი ტექსტი უფრო გამარტივებულად, მოკლედ და შეიძლება ითქვას, ნათლად არის წარმოდგენილი. იგი ასე იკითხება:

„და უფროჲს, რაჟამს იხილოს თანა-მოღუაწჱ იგი მარხვისაჲ — ლოცვაჲ“.

8. ბერძნული ტექსტის არა სწორად გაგებისა და თარგმნის ერთ-ერთი მკაფიო მაგალითია შემდეგი ადგილიც.

ქართული პარხლური:

„ხოლო მარხვამან დამონებულად და კრულად დაგჳპყრნა ჩუენ“.

ბერძნული:

„ἡ δὲ νηστεία δουλεύοντας ἡμᾶς καὶ δεδεμένους εὑροῦσα“.

აქ εὑροῦσα-ს ბადლად მოსალოდნელი იყო არა „დაგჳპყრნა“, არამედ „გჳპოვნა“ (უფრო სწორედ, „მპოვნელი“, რადგან მიმღეობაა აქ მეორე აორისტისა — εὗρον) ზმნიდან εὑρίσκω (= „პოვნა“, „ნახვა“, „აღმოჩენა“), რაც ჩვენს მთარგმნელს, სავარაუდოა, აერია ზმნაში αἴρέω (= „შეპყრობა“, „დაჭერა“, „ხელთ გდება“), რომლიდანაც ნაწარმოები აწმყოს მიმღეობაც შედარებით ადვილად შეიძლებოდა აღრეოდა εὑρίσκω ზმნის მეორე აორისტის მიმღეობის ზემოთმოყვანილ ფორმაში. სხვა მხრით მოყვანილი ფრაზა საკმაოდ ახლოს უდგება ბერძნულს.

9. ჩვენი ტექსტის ბერძნულიდან წარმომავლობის დამადასტურებელი საინტერესო შემთხვევა გვაქვს წინადადებაში:

„გნებავსა სწაელის, რავდენ მარხჳჲ სოფლისათჳს მცველ არს და კრძალვა?“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბერძნული:

„Βούλει μαθεῖν, ὅσος κόσμος ἀνθρώποις ἡ νηστεία, ὅση φυλακὴ καὶ ἀσφάλεια“;

აქ არც სომხურ შესაბამის ტექსტში და არც ჩვენს სინურ ვერსიაში „სოფელი“ არ არის ნახსენები და, რასაკვირველია, არც უნდა ყოფილიყო.

სინურშია:

„აწ გნებავს ცნობად, რავდენ-რაჲ სამკაულ არს კაცთა მარხვაჲ და ლოცვაჲ, ანუ რავდენ მცველობა და კრძალულება არს?“

ცხადია, პარხლურის მთარგმნელმა ბერძნული ὁ κοσμός, რაც, ერთი მხრივ, მართლაც ძველ ქართულ „სოფელს“ ანუ „მსოფლიოს“, „სამყაროსაც“ ნიშნავს და, მეორე მხრივ, აგრეთვე „სამკაულს“, „შემკულობასაც“ (ამ ძირიდანაა სიტყვა „კოსმეტიკაც“), კონტექსტის არა სწორად გაგების გამო, შეცდომით თარგმნა „სამკაულის“ ნაცვლად „სოფელი“ და ამის მიზეზით მთელი წინადადების შინაარსიც გაბუნდოვანდა, დაირღვა და დაშორდა ორიგინალს. თანამედროვე ქართულით ეს წინადადება დაახლოებით ასე იქნებოდა: „გნებავს შეცნობა (სწავლა, გაგება), როგორი სამკაულია ადამიანებისათვის მარხვა, როგორი მცველი და მხსნელი (როგორი დაცვა და ხსნა)?“

10. ერთი და იგივე სიტყვის ორი სხვადასხვა (თუმცა არა ძალიან დაშორებული) მნიშვნელობის აღრევასთან და არა სწორედ თარგმნასთან გვაქვს საქმე ფრაზაში:

„და შუენაგნი მათნი უდაბნოსა ზედა ყუდროდ, რეცათუ ტფილსა აღდგნენ“.

ბერძნული:

„καὶ τὰς καλύβας ἐν τῇ τῆς ἐρημίας ἡσυχίᾳ καθάπερ ἐν εὐδιεινῷ τινι λιμένι, πηξάμενοι“.

აქ თარგმანში გარდა იმისა, რომ მთელი სიტყვაა გამოტოვებული ὁ λιμήν, ένος (=„ნავთსაყუდელი“, „ნავთსადგური“, „საყუდელი“, „ყურე“), რომლის მსაზღვრელად უნდა ყოფილიყო „ტფილსა“ (აქ უნდა დავძინოთ, რომ, შესაძლოა, „ნავთსაყუდელსა“ თუ „ნავთსადგურსა“ გადამწერსაც გამორჩა), თვით სიტყვა „ტფილი“ წარმოადგენს ბერძნული εὐδιεινός-ის არა ზუსტ ადეკვატს ამ კონტექსტისათვის; ვინაიდან ამ ბერძნულ სიტყვას აქვს „თბილის“ მნიშვნელობაც და, ამასთანავე, „წყნარის“, „მშვიდის“, „მშვიდობიანის“ მნიშვნელობაც. ჩვენს მთარგმნელს კი ამ ტექსტის შესაბამისი მეორე მნიშვნელობის მაგიერ პირველი გამოუყენებია — უნდა გადმოეცა გამოთქმა „მშვიდი, წყნარი ნავთსადგური ან ნავთსაყუდელი“ და არა „თბილი ნავთსადგური“.

გარდა ზემოთ მოყვანილი საბუთებისა, პარხლური თარგმანის ბერძნულიდან წარმომავლობას ადასტურებს აგრეთვე მთელი წყება წინადადებისა და ფრაზებისა, რომლებიც პირდაპირ ზედმიწევნით, და, შეიძლება ითქვას, ზედმეტად ზედმიწევნილობითაც, მისდევს ბერძნულ დედანს, რის გამოც ქართული თარგმანი მოიკოჭლებს და ბუნდოვანდება კიდეც. ასეთი მაგალითებიდან მოვიყვანთ ზოგს მაინც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. ქართული:

„არს რაამე მიზეზ წარმართებისათჳს მარხვისაჲსა? მე ვიცი მარხვაჲ, არათუ როგორი თანა არს, არამედ მერმისა საგონებელი“.

შესატყვისი ბერძნული:

„Τί ποτε ἄρα τὸ αἴτιον; Νηστείας τὸ κατόρθωμα τοῦτο· οἶδα κἀγὼ νηστείας οὐχὶ παρούσης, ἀλλὰ προσδοκωμένης“.

2. „რამეთუ მან შემკრიბნა ჩუენ მამულსა მას სახლსა“.

„ἐκείνη γὰρ ἡμᾶς πρὸς τὸν πατρῷον συνήγαγεν οἶκον“.

3. „და უფროჲს გულსმოდგინედ განეშადნიან“.

„καὶ πλείονι καθίσταται τῇ σπουδῇ“.

4. „ყოველივე დაუტევიან უდებებაჲ“.

„πᾶσαν ἀποτίθεται ῥᾳθυμίαν“.

5. „ამისთჳსცა ჭრისტემან თქუა“.

„διὰ τοῦτο καὶ ὁ Χριστός φησι“.

6. „არამედ ნუ მოჰმედგრები, რაჟამს გესმეს საშინელი იგი მოავრობაჲ მარხვისაჲ“.

„ἀλλὰ μὴ πτήξετε φοβερὸν ἄρχοντα τὴν νηστείαν ἀκούσαντες“.

7. „როგორი ლოდისა უშეუძრველესად დგას, შიშითა შეკურივებულ არს“.

„καὶ τῶν λίθων αὐτῶν ἀκινητότερος μένει τῷ φόβῳ πηγνύμενος.“

8. „და ვითარცა სპყრობილით რაჲთამე შეიპყრას, უმეტჳს ხოლო რაჟამს იხილოს“.

„καὶ καθάπερ δεσμῷ τινι κατεχόμενος, καὶ μάλιστα ὅταν ἴδῃ.“

9. „ესე ნათესაი არარაჲთ განვალს, გარნა ლოცვითა და მარხვითა“.

„Τὸ γένος τοῦτο οὐκ ἐξέρχεται, εἰ μὴ ἐν προσευχῇ καὶ νηστείᾳ.“

10. „ამისთჳს ჭამს მოკითხვაჲ და სიყუარული, არათუ შიში ხოლო“.

„φιλεῖν αὐτὴν καὶ ἀσπάζεσθαι, οὐχὶ δεδοικέναι χρή.“

11. „რამეთუ იგი ჩუენ კელთა უკუმართ შეგჳკრავს მძლავრობითა მით ვნებათაჲთა“.

„Ἐκείνη μὲν γὰρ ὀπίσω τὰς χεῖρας ἡμῶν δήσασα, τῇ τυραννίδι τῶν παθῶν“.

12. „განგებულ ნეტართაჲ მათ და განსაკჳრვებელთაჲ მონაზონთა ნათესაი“.

„Ἐννόησον μοι τὸ μακάριον καὶ θαυμαστὸν τῶν μοναζόντων γένος.“

13. „ესე შესაძინელად და ზიარად ყოვლისაჲვე ცხორებისა მიიღეს“.

„ταύτην συνέμπορον καὶ συγκοινωνὸν τοῦ βίου παντὸς ἔλαβον.“

14. „ამისგანადეც იგინი ანგელოზ ქმნნა კაცთაგან“.

„Τοιγαροῦν καὶ ἀγγέλους αὐτοὺς ἐξ ἀνθρώπων ἐποίησεν“.

15. „რაჟამს უნებებ მათ ღმრთისა შესლვაჲ სიტყუად მისა მიმართ“.

„ὅτε ἐβούλοντο προσελθεῖν τῷ θεῷ καὶ διαλεχθῆναι“.

და სხვ.

საკვლევი ტექსტის მცირე მასალა საშუალებას არ იძლევა ბეჯითად განვსაზღვროთ ამ თარგმანის წარმოშობის დრო. უნდა კი ვივარაუდოთ, რომ სინურის ტექსტი, რომელიც ხანმეტ ფორმებს ამჟღავნებს („ხუნდა“, „ხოლო იქმნე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოდა“ „ხიქმნებოდა“, რომლებზედაც პროფ. ი. ა ბ უ ლ ა ძ ე უთითებს) და, პროფ. ი. აბულაძის დასკვნით, V—VII საუკუნეების ხანას უნდა მიეკუთვნოს, წინ უსწრებს პარხლურ ვერსიას. იგი შესრულებული უნდა იყოს იმ ხანაში, როცა სომხურ-ქართულ ეკლესიებს შორის მომხდარი განხეთქილების შემდგომ ქართველმა მოღვაწეებმა განსაკუთრებით ინტენსიურად დაიწყეს თარგმნა ბერძნული ორიგინალებიდან.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წინამდებარე თარგმანი შედარებით ჯერ ნაკლებად გაწვრთნილი კალმოსნის ნახელავი ჩანს, რომელიც თითქოს ცდილობს ბერძნული დედნის ზედმიწევნით მიყოლას, მაგრამ, როგორც ტექსტის ანალიზი მოწმობს, ასე მცირე მონაკვეთშიაც საკმაოდ ბევრ შეცდომას უშვებს. ამასთანავე ისიც უნდა დავძინოთ, რომ ეს თარგმანი საბოლოოდ არ არის დამუშავებული მთარგმნელის მიერ და თან გადამწერთაგანაც ბევრი რამ უნდა იყოს შერყვნილი.

მეორე მხრივ, გადამწერის შეცდომები გვაფიქრებინებს, რომ, შესაძლოა, ჩვენს (პარხლურ) ტექსტსა და თავდაპირველ თარგმანს შორის არა მარტო ერთი, არამედ რამდენიმე საშუალედო საფეხური არსებობდა და იგი საკმაოდ დაშორებულია თავდაპირველი სახისაგან.

თუ ყოველივე ზემოხსენებულს გავითვალისწინებთ, შესაძლებლად უნდა მივიჩნიოთ, რომ ეს თარგმანი შესრულებულია არა უგვიანეს IX—X საუკუნის მიჯნისა და ეგებ თვით IX საუკუნეშიაც; ყოველ შემთხვევაში, ათონელებამდე მაინც.

უნდა ვიფიქროთ, რომ ამის მთარგმნელმა იცოდა კიდეც სინური ვერსიის არსებობა, რომელიც სომხურიდან მომდინარეობდა და თან ერთგვარად გარდაკაზმულ-გავრცობილი იყო და ამიტომ არჩია ბერძნული დედნიდან უფრო ზედმიწევნითი და დაახლოებული თარგმანის განხორციელება.

ლექსიკური მასალის მხრივ ეს ნაწყვეტი გარდა „შუვაგისა“, რომლის შესახებაც საკმაოდ ვრცლად მსჯელობს პროფ. ი. აბულაძე, განსაკუთრებით ძველსა და უცნაურს არას ამჟღავნებს. შედარებით იშვიათად ხმარებულ სიტყვათაგან შეიძლება აღსანიშნავი იყოს შემდეგი სიტყვები.

„აზნაურება“ — (ἡ ἐλευθηρία), თავისუფლება („აზნაურებად მომყვანებელ“ — πρὸς ἐλευθηρίαν ἐπανάγῃ).

„გარდარეული“ — (μέγιστος, η ον), უდიდესი, ფრიად დიდი („გარდარეული იგი სიყუარულისა გამოჩინებაჲ“ — μεγίστη γὰρ φιλίας ἀπόδειξις...).

„მამული“ — (πατρῷος), მამეული, მამისეული.

„მთოვარითა გვემული“ — (σεληνιαζόμενος), ეშმაკეული, გაგიჟებული, შეშლილი.

„მომედგრება“ — დაფრთხობა, შეშინება, მოდუნება („ნუ მოჰმედგრდები“ — ნუ დაფრთხები, ნუ შეშინდები, ნუ წახდები — μὴ πτήξητε). ბერძნ. πτήσσω (f. πτήξω, aor. ἔπτηξα) — შიშით მიწას გართხმა, დამალვა; დაფრთხობა, შეკრთომა; შიშით აცახცახება[3].

„საპყრობილე“ — (ὁ δεσμός), შესაკრავი, შესაკვრელი („საპყრობილითა რაჲთმე შეიპყრას“ — δεσμῷ τινι κατεχόμενος).

„უდებებაჲ“ — (ἡ ῥαθυμία), მცონარეობა, სიზარმაცე, უხალისობა.

[3] მედგარის შესახებ იხ. განსვენებულ მ. კ ა ხ ა ძ ი ს ნაშრომი: შენიშვნები ძველი ქართული ენის ლექსიკიდან («ცხედარი», «მედგარი», «პირამტკბობა»), «თბ. სახ. უნივერსიტეტის შრომები», ტ. 37, 1949, გვ. 213—223.

„უკუმართ“ — (ὀπίσω), უკან, ზურგს უკან („იგი ჩუენ ჴელთა უკუმართ შეგჳკრავს“ — ἐκείνη μὲν γὰρ ὀπίσω τὰς χεῖρας ἡμῶν δήσασα).

აღსანიშნავია აგრეთვე ბერძნიზმნები:

„თან არსი“ — (παρών, παροῦσα, ὄν — მიმღეობა ზმნისა πάρειμι — ვესწრები ვარ, აქ ვარ), ახლანდელი, აწმყო, ახლა არსებული.

“მერმისა საგონებელი“ — (προσδοκωμένος, η, ον — მიმღეობა ზმნისა προσδοκάω — ველი, ველოდები, ვუცდი), მომავალი, მყოფადი.

ამრიგად, იოანე ოქროპირის თხზულების „მარხვისათჳს და იონაჲსთჳს“ პარხლური თარგმანის შედარება ბერძნულ ტექსტთან და სათანადო მასალის ანალიზი ადასტურებს, რომ პარხლური ვერსია პირდაპირ ბერძნული ორიგინალიდან უნდა იყოს გადმოღებული.

აქვე მოგვყავს ძველი ქართული თარგმანის პარხლური რედაქციის ტექსტი და თან ვურთავთ იოანე ოქროპირის თხზულების ბერძნულ ორიგინალს მინის „ბერძნული პატროლოგიის“ გამოცემის (ტ. 49, სვეტები 305—307) მიხედვით.

Τοῦ αὐτοῦ ὁμιλία περὶ νηστείας καὶ εἰς τὸν προφήτην Ἰωνᾶν, καὶ Δανιὴλ, καὶ τοὺς τρεῖς παῖδας. Ἐλέχθη δὲ εἰς τὴν εἴσοδον τῶν ἁγίων νηστειῶν

α'. Φαιδρὰ σήμερον ἡμῖν ἡ πανήγυρις, καὶ λαμπρότερος τοῦ συνήθους ὁ σύλλογος· Τί ποτε ἄρα τὸ αἴτιον; Νηστείας τὸ κατόρθωμα τοῦτο. οἶδα κἀγώ. νηστείας οὐχὶ παρούσης, ἀλλὰ προσδοκωμένης. Ἐκείνη γὰρ ἡμᾶς πρὸς τὸν πατρῷον συνήγαγεν οἶκον· - ἐκείνη καὶ τοὺς πρὸ τούτου ῥαθυμοτέρους, σήμερον πρὸς τὰς μητρικὰς ἐπανήγαγε χεῖρας. Εἰ δὲ καὶ προσδοκωμένη μόνον τοσαύτην ἡμῖν ἐνεποίησε σπουδὴν, φανεῖσα καὶ παραγενομένη πόσην ἐν ἡμῖν ἐργάσεται τὴν εὐλάβειαν; Οὕτω καὶ πόλις ἄρχοντος εἰσελαύνειν μέλλοντος φοβεροῦ, πᾶσαν ἀποτίθεται ῥαθυμίαν, καὶ ἐν πλείονι καθίσταται τῇ σπουδῇ.

Ἀλλὰ μὴ πτήξητε φοβερὸν ἄρχοντα τὴν νηστείαν ἀκούσαντες· οὐ γὰρ ἡμῖν ἐστι φοβερὰ, ἀλλὰ τῇ τῶν δαιμόνων φύσει. Ἐὰν σεληνιαζόμενος ᾖ τις, δεῖξον αὐτῷ νηστείας πρόσωπον, καὶ τῶν λίθων αὐτῶν ἀκινητότερος μένει τῷ φόβῳ πηγνύμενος, καὶ καθάπερ δεσμῷ τινι κατεχόμενος, καὶ

[443a] საკითხავნი წმიდათა მარხვათანი. თქუმული მამისა ჩუენისა იოვანე ოქროპირისაჲ მარხვისათჳს და იონაჲსთჳს

ბრწყინვალე არს დღეს ჩუენთჳს კრებაჲ ესე და უბრწყინვალეს ჩუეული ესე სიტყუაჲ. არს რაჲმე მიზეზ წარმართებისათჳს მარხვისაჲსა? [b] მე ვიცი მარხვაჲ არათუ რომელი ესე თანა არს, არამედ მერმისა საგონებელი. რამეთუ მან შემკრიბნა ჩუენ მამულსა მას სახლსა; მან უდებებისა მისგან პირველისა დღეს დედისა ჴელთ შეგუკრიბნა.

აჰა მოლოდებამან[4] მისმან ესოდენი შეგამთხჳა თქუენ გულსმოდგინებაჲ, რომელი-იგი გამოჩნდა, რაჟამს მოიწია, რავდენი იქმნა თქუენ შორის ღმრთის მსახურებაჲ? ეგრეცა ქალაქმან რაჟამს შეცვალიან მთავარი იგი საშინელი, ყოველივე დაუტევიან უდებებაჲ და უფროჲს გულსმოდგინედ განემზადნიან.

არამედ ნუ მოჰმედგრდები, რაჟამს გესმეს საშინელი იგი მთავრობაჲ მარხვისაჲ. არათუ თქუენდა რაჲმე საშინელ არს, არამედ ნათესავისა მის ეშმაკთაჲსა. დალათუ მთოვარითა[5] გუემულ იყოს, აჩუენე მას მარხვისა იგი პირი, რომელი-იგი ლოდისა უშეუძრ-

[4] მადლობამან P.

[5] მთავრითა P.

μάλιστα ὅταν ἴδῃ τῇ νηστείᾳ συμβεβλημένην τὴν ἀδελφὴν τῆς νηστείας καὶ ὁμόζυγον, τὴν εὐχήν. Διὰ τοῦτο καὶ ὁ Χριστός φησι. Τὸ γένος τοῦτο οὐκ ἐξέρχεται, εἰ μὴ ἐν προσευχῇ Καὶ νηστείᾳ.

Ὅταν οὖν τοὺς πολεμίους τῆς σωτηρίας τῆς ἡμετέρας οὕτως ἐλαύνῃ, καὶ τοῖς ἐχθροῖς τῆς ζωῆς ἡμῶν οὕτως ᾖ φοβερά, φιλεῖν αὐτὴν καὶ ἀσπάζεσθαι, οὐχὶ δεδοικέναι χρή· εἰ γὰρ φοβεῖσθαι δεῖ μέθην καὶ ἀδηφαγίαν, οὐχὶ νηστείαν φοβεῖσθαι χρή. Ἐκείνη μὲν γὰρ ὀπίσω τὰς χεῖρας ἡμῶν δήσασα, τῇ τυραννίδι τῶν παθῶν, καθάπερ τινὶ δεσποίνῃ χαλεπῇ, δούλους καὶ αἰχμαλώτους ἐκδίδωσιν· ἡ δὲ νηστεία δουλεύοντας ἡμᾶς καὶ δεδεμένους εὑροῦσα, ἀνίησι τῶν δεσμῶν, ἀπαλλάττει τῆς τυραννίδος, καὶ πρὸς τὴν ἐλευθερίαν ἐπανάγει τὴν προτέραν. Ὅταν οὖν καὶ τοῖς ἐχθροῖς ἡμῶν πολεμῇ, καὶ δουλείας ἀπαλλάττῃ, καὶ πρὸς ἐλευθερίαν ἐπανάγῃ, ποίαν ἑτέραν μείζονα ζητεῖς ἀπόδειξιν τῆς φιλίας αὐτοῦ, τῆς πρὸς τὸ γένος τὸ ἡμέτερον; Μεγίστη γὰρ φιλίας ἀπόδειξις εἶναι δοκεῖ τὸ τοὺς αὐτοὺς ἡμῖν φιλεῖν καὶ μισεῖν.

Βούλει μαθεῖν, ὅσος κόσμος ἀνθρώποις ἡ νηστεία, ὅση φυλακὴ καὶ ἀσφάλεια; ἐννόησόν μοι τὸ μακάριον καὶ θαυμαστὸν τῶν μοναζόντων γένος. Οὗτοι γὰρ τοὺς ἐν μέσῳ θορύβους φυγόντες, καὶ πρὸς τὰς κορυφὰς τῶν ὀρέων ἀναδραμόντες, καὶ τὰς καλύβας ἐν τῇ τῆς ἐρημίας ἡσυχίᾳ, καθάπερ ἐν εὐδιεινῷ τινι λιμένι πηξάμενοι, ταύτην συνέμπορον καὶ συγκοινωνὸν τοῦ βίου παν-

ველესად დგას, შიშითა შეკურივებულ არს და ვითარცა საპყრობილით რაჲთმე შეიპყრას, უმეტჱს, ხოლო, რაჟამს იხილოს მარხვითა შემკული დაჲ იგი მარხვისაჲ და მეუღლჱ ლოცვისაჲ. ამისთჳსცა ქრისტემან თქუა: „ესე ნა-[444a]თესავი არარაჲთ განვალს გარნა ლოცვითა და მარხვითა“*.

რაჟამს მბრძოლნი იგი ჩუენისა ცხორებისანი ვაოტნეთ და მტერნი იგი ჩუენისა ცხორებისანი ესრეთ ზარგანჴდილად ვიოტნეთ. ამისთჳს ჯამს მოკითხვაჲ და სიყუარული, არათუ შიში ხოლო; შიში ამისთჳს, მარადის მომთრვალეთათჳს და უჟამოდ მჭამელთა, არათუ მარხვისათჳს. რამეთუ იგი ჩუენ ჴელთა უკუმართ შეგჳკრავს მძლავრობითა მით ვნებათაჲთა, ვითარმცა ვინ დედოფალმან ბოროტმან მონანი და მონაგებნი ტყუედ წარსცა.

ხოლო მარხვამან დამონებულად და კრულად დაგჳპყრნა ჩუენ და განგუჴსნნა და განგუარინნა ჩუენ მძლავრისა მისგან და თავისუფალ გუქმნნა ჩუენ პირველისათჳს· ვინაჲთგან მტერთა ჩუენთა განმაშორებელ არს და მონებისაგან განმარინებელ და აზნაურებად მომყვანებელ, სხუასა რასაღა უმეტჱსსა ვეძიებ და გამოცხადებასა სიყუარულისა მის ჩუენისა ნათესავისა მომართ? გარდარეული იგი სიყუარულისა გამოჩინებაჲ [b] ამისთჳს საგონებელ არს, რომელნი-იგი მას ჰყუარობენ და სძულობენ.

გნებავსა სწავლის, რავდენ მარხვაჲ სოფლისათჳს მცველ არს და კრძალვა? განიგულე ნეტართაჲ მათ და განსაკჳრვებელთაჲ მონაზონთა ნათესავი. ესენი შორის ამბოხებასა მას განერნეს და თხემსა ზედა მთათასა აჴდეს და შუვაგნი მათნი უდაბნოსა ზედა ყუდროდ, რეცა თუ ტფილსა აღდგნეს, ესე შესაძინელად და ზიარად ყოვლისავე ცხო-

[6] მათ. 17, 21; მარკ. 9, 29.

τὸς ἔλαβον. Τοιγαροῦν καὶ ἀγγέλους αὐτοὺς ἐξ ἀνθρώπων ἐποίησεν, οὐκ ἐκείνους δὲ μόνους, ἀλλὰ καὶ ἐν ταῖς πόλεσιν ὅσους ἂν εὕρῃ πρσιεμένους αὐτήν, πρὸς αὐτὸ τῆς φιλοσοφίας ἀνάγει τὸ ὕψος. Καὶ γὰρ Μωϋσῆς καὶ Ἠλίας, οἱ πύργοι τῶν ἐν τῇ παλαιᾷ προφητῶν, καίτοι καὶ ἀπὸ τῶν ἄλλων ὄντες λαμπροί καὶ μεγάλοι, καὶ πόλλὴν ἔχοντες παῤῥησίαν, ὅτε ἐβούλοντο προσελθεῖν τῷ Θεῷ καὶ διαλεχθῆναι, ὡς ἀνθρωπῳ δυνατὸν ἦν, πρὸς ταύτην κατέφυγον, καὶ διὰ τῶν ταύτης αὐτῷ προσεφέροντο χειρῶν. Διὰ τοῦτο καὶ ὁ Θεὸς τὸν ἄνθρωπον ποιῶν ἐξ ἀρχῆς, εὐθέως αὐτὸν...

რებისა მიიღეს. ამისგანადაც იგნიშნა გელოზ ქმნა კაცთაგან; არა ხოლო თუ იგინი, არამედ რომელნიცა იგი ქალაქთა შინა არიან, რავდენნიცა იგი პოვნეს შემავალნი მისა, მოიყვანნეს მასვე ზედა სიბრძნის-მოყუარებასა. რამეთუ მოსეცა და ელიაც, გოდოლნი იგი ძუელნი წინაწარმეტყუელნი და სხუათა მათ უბრწყინვალესნი და უდიდესნი, და დიდი აჭუს მათ კადნიერებაჲ, რაჟამს უნებენ მათ ღმრთისა შესლვაჲ სიტყუად მისა მიმართ, ეითარცა კაცისა ძლიერისა, ამას მოევედრნიან და ამისგანადაც გულსჯრობილად ვლენდე.

ევრეცა რაჟამს შექმნა ღმერთმან კაცი პირველად, მეყსა შინა ძალად...

А. Г. ГАМКРЕЛИДЗЕ

ПАРХАЛЬСКАЯ ВЕРСИЯ ГОМИЛИИ ИОАННА ЗЛАТОУСТА «О ПОСТЕ И О ПРОРОКЕ ИОНЕ»

(Резюме)

Перевод сочинения Иоанна Златоуста «О посте и о пророке Ионе» встречается в двух грузинских многоглавах — в знаменитом Синайском многоглаве 864 г. (Sin Georg. N 32—57—33) и т. н. Пархальском многоглаве (рукопись начала XI в. А 95 Института рукописей им. К. С. Кекелидзе АН Грузинской ССР).

В Синайском многоглаве этот текст дошел до нас в полном виде. В пархальской же версии, вследствие выпадения из рукописи и утери целой тетради, сохранилось лишь начало произведения. Изучение и сравнение текстов показало, что мы имеем дело с двумя разными переводами, выполненными в разное время из разных источников. Источником синайской версии, как подтвердило исследование проф. И. В. Абуладзе, послужила одна из армянских редакций упомянутого памятника.

Результаты проведенной работы, имеющей целью сравнительное изучение грузинского текста с греческим, дают возможность утверждать, что другой грузинский перевод (вернее — часть переведенного сочинения, дошедшая до нас в Пархальском многоглаве) несомненно исходит прямо от греческого оригинала и выполнен приблизительно в IX—X веках.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაზა ალექსიძე

არსენი ვარჩეცის „დოგმატიკონში“ შესული ანტიმონოფიზიტური ტრაქტატი და მისი გამოძახილი ძველ სომხურ მწერლობაში

ძველ ქართულ მწერლობაში საკმაოდ ცნობილია „დოგმატიკონი“, რომელიც არსენი ვაჩეცისის სახელს ატარებს. კრებულს სპეციალისტები ასე იმიტომ უწოდებენ, რომ მინაწერების მიხედვით სტატიების უმრავლესობა არსენი ვაჩესის თარგმნილია. არსენის „დოგმატიკონს“ ჩვენამდე მოუღწევია ათი ხელნაწერით[1]. ამათგან „თავნი სომეხთა წვალებისანი ოცდაათნი“ შესულია რვა ხელნაწერში, რომელთაგან შვიდი დაცულია კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის საცავში და ერთი ქუთაისის მუზეუმში (№ 24). ტექსტის დასადგენად გამოყენებული გვაქვს ყველა ხელნაწერი, გარდა ქუთაისურისა.

ხელნაწერების აღწერილობაზე არ შევჩერდებით, რადგან მათი აღწერილობა (გარდა A — 205-ისა) უკვე გამოქვეყნებულია. ტექსტის დასადგენად ძირითადად მივიჩნიეთ S — 1463. რომელსაც A ლიტერით აღვნიშნავთ და A — 205 — აღვნიშნავთ Ბ ლიტერით. ამათ შორისაც უპირატესობა S — 1463-ს მივანიჭეთ, ვინაიდან სპეციალურ ლიტერატურაში იგი მიჩნეულია როგორც ყველაზე უფრო სრული და ძველი ნუსხა (ათარიღებენ XII—XIII სს-ით). ძირითად ტექსტში ნუსხების ჩვენებები მხოლოდ მაშინ შეგვქონდა, როცა ისინი არა მარტო უფრო სწორად და მოსალოდნელად გამოიყურებოდნენ, არამედ აუცილებლად უჭერდნენ მხარს B ნუსხას, რომელსაც XIII საუკუნით თარიღებენ. დანარჩენი 5 ნუსხა XVIII საუკუნისაა, რომელთაგან A — 64 1751 წლისაა (C ლიტერი), H — 601—1746 წ. (E ლიტერი), Q — 51 — 1777 წლისა (G ლიტერი), S—401 (D ლიტერი) და H—985 (F ლიტერი) — დაახლოებით თარიღდება XVIII საუკუნით. ამ ხელნაწერთაგან მხოლოდ F-ია მხედრულით შესრულებული, დანარჩენი — ნუსხურით არის ნაწერი.

XVIII საუკუნის ყველა დასახელებული ხელნაწერის ჩვენებები სქოლიოში ჩაგვაქვს, რაც უნდა საინტერესოდ გვეჩვენებოდეს წაკითხვები, თუ კი მას B ხელნაწერი მაინც არ უჭერს მხარს. ამ მხრივ თვალსაჩინო მაგალითი შეიძლება იყოს შემდეგი: როგორც A და B, ისე სხვა ნუსხები, F-ის გარდა, წერენ „დღესასწაულობენ თორმეტსა იანვარისასა“ და მხოლოდ F-ი გვიჩვენებს „ათორმეტსა იანვარისასა“. აშკარაა, რომ F-ი უფრო მოსალოდნელ ფორმას იძლევა, მით უფრო, რომ A და B ნუსხები სხვა შემთხვევაში სხვა რიცხვით სახელებს სწორედ ასე აფორმებენ („ათხრამეტი“ და სხვა). მაინც F-ის ჩვენება სქოლიოში გვაქვს შეტანილი. თითქმის ყველა XVIII საუკუნის ნუსხა

[1] კ. კეკელიძის მიერ მითითებულ სიაში ზოგჯერ «დოგმატიკონის» მაგიერ სხვა ხელნაწერის ნომერია დასახელებული, იხ. ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1960, გვ. 280.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთხმად უჭირვებს „კოსტანტინეს“, ხოლო A და B ნუსხები წერენ „კონსტანტინე“-ს. აქაც თითქოს უპირატესობა გვიანდელი ხელნაწერებისთვის უნდა მიგვეცა, მაგრამ მიღებულ პრინციპს არ ვუღალატეთ და სქოლიოში ჩავიტანეთ.

A და B ნუსხები, ვფიქრობთ, ერთმანეთზე არ უნდა იყვნენ დამოკიდებულნი და სხვა წინაპარს გულისხმობენ. მართალია, მათ შორის ვარიანტული განსხვავებები მცირეა, მაგრამ რაც არის, უმეტესობა საკუთარ სახელებზე მოდის. ამის მაჩვენებელია მაგ., მაწყერტი (A) — მაწყერტი (B). სილვესტროს (A) — სილვესტროს (B), დიონსიოს (A) — დინჯსიოს (B). ტირიდატი (A) — თრდატი (მხოლოდ ერთგან B).

განსაკუთრებით საგულისხმოა B ნუსხის ისეთი წაკითხვები, სადაც იგი აშკარა ორთოგრაფიულ ბერძნიზმებს ამჟღავნებს. A-სგან განსხვავებით მას შენარჩუნებული აქვს ბერძნული ტრანსკრიპცია ისეთ სიტყვებში, როგორიცაა „ეკკლესია“, „კაპპადუკია“. A ხელნაწერის მცდარი „კრეტორის“ მაგიერ B წერს სწორ „პრეტორ“-ს, რაც კვლავ დედანთან მის სიახლოვეზე უნდა მიუთითებდეს.

XVIII საუკუნის ხელნაწერების დაჯგუფება არ ხერხდება. ისინი უფრო ზშირად B-ს მისდევენ, მაგრამ ზოგჯერ A-საც უჭერენ მხარს. შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს რომელიღაც პირველი გადამწერი (E-სი?) ორივე ნუსხას იცნობდა, ხოლო სხვები მასზე არიან დამოკიდებულნი. ზოგ შემთხვევაში ამთვალთვალა ცალკე დგას C ნუსხა (მასზეა დამოკიდებული F-იც), რომელიც საკუთარი სახელების წერაში გარკვეულ თავისებურებას იჩენს (მაგ., სისტემატოლად ხმარობს ბერძნულ-სომხურ ფორმას „გრიგორი“). საერთოდ, გვიანდელ ხელნაწერებს, და ერთ შემთხვევაში B ნუსხასაც, ემჩნევათ ცდა ბერძნული ტრანსკრიპციის შედეგები მოშალონ, მაგრამ თანმიმდევრულად ამას ვერ ატარებენ.

„თავნი სომეხთა წვალებისანი ოცდაათნი“ როგორც სათაურიდანაც მოჩანს, წარმოადგენს ქალკედონური ეკლესიის მიერ სომხური სარწმუნოების აღსარებისა და გარდამოცემის საწესო ნაწილისადმი წაყენებულ ბრალდებებს ოცდაათი მუხლის როდენობით. ერთ გარემოებას უნდა თავიდანვე გაესვას ხაზი: ტრაქტატის მუხლების უდიდესი ნაწილი წესების აღრულებასადმია მიძღვნილი და დოგმატიკას სულ ერთი მუხლი აქვს დათმობილი. მეორეზე უმნიშვნელოვანეს მუხლად, როგორც ჩანს, მიჩნეულია სომხური ეკლესიის ხუთ სამოციქულო საყდართან დამოკიდებულებისა და სომეხთა მღვდელმთავრის ხელდასხმის პრაქტიკის მამხილებელი საკითხები. ეს მუხლი ყველაზე უფრო საინტერესოა ტრაქტატში და ქვემოთ უფრო ვრცლად შევეხებით.

ჯერ კიდევ 1938 წელს ი ლ. ა ბ უ ლ ა ძ ემ სპეციალისტებს აჩვენა, რომ არც არსენი ვაჩეს-ძის „დოგმატიკონი“, საერთოდ, და არც „თავნი ოცდაათნი“, კერძოდ, სომხებს მხედველობიდან არ გამორჩენიათ მაშინვე. იგი უყურადღებოდ არ დაუტოვებიათ არც დიოფიზიტებსა და არც მონოფიზიტებს. სომხურ ენაზე შემონახულია ჩვენი „დოგმატიკონის“ ტიპის კრებული, რომელშიც არსენი ვაჩეს-ძის კრებულიდან შერჩევით შეუტანიათ სომხურად თარგმნილი სტატიები. მათ შორისაა ამჟამად ჩვენთვის საინტერესო „თავნი ოცდაათნი სომეხთა წვალებისანი“, რომელსაც სომხურად უკვე სხვა სახელი ეწოდება. კერძოდ, ი ლ. ა ბ უ ლ ა ძ ის თარგმანით, „სიტყვის-გება სომეხთა მიმართ“. მისივე გამოკვლევით, „თავნი ოცდაათნი სომეხთა წვალებისანი“ ცნობილი ყოფილა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისეთი მოღვაწისთვისაც, როგორიცაა მხითარ გოში, ან უშუალოდ ქართულით, ან სომხურ კრებულში შესულზე უფრო ადრინდელი სომხური თარგმანით[2].

„სიტყვის-გება სომეხთა მიმართ“ ჩვენამდე მოღწეულია ხუთი ხელნაწერით. ამათგან ერთი, რომელსაც D ლიტერით აღვნიშნავთ, გამოქვეყნებულიცაა ჟურნალ «Լույս» -ის 1905—1906 წლის ნომრებში. აღწერილობაში ხელნაწერი დათარიღებული არაა. დანარჩენი ოთხი ხელნაწერი დაცულია ერევნის „მატენადარანში“. ძირითად ნუსხად მივიჩნიეთ № 5859 (A ლიტერი), რომელსაც XVIII საუკუნით ათარიღებენ. ეს ნუსხა ყველა სხვაზე უფრო ვრცელია და მეტი სამწერლო კულტურით არის შესრულებული. B ლიტერით აღნიშნული გვაქვს № 63, რომელიც „მატენადარანის“ ხელნაწერთა კატალოგის მიხედვით ყველა სხვა ჩვენთვის საინტერესო ხელნაწერზე უფრო ძველია და XV—XVI სს-ით ათარიღებენ. C ლიტერით აღნიშნული გვაქვს № 5495 ხელნაწერი, რომელიც 1696—1697 წლებით თარიღდება. E ლიტერი მივაკუთვნეთ № 103 ნუსხას, რომელიც, „მატენადარანის“ კატალოგის მიხედვით, დაახლოებით 1729 წლის წინ არის გადაწერილი.

„სიტყვის-გება სომეხთა მიმართ“ გაცილებით უფრო ვრცელი ნაწარმოებია, ვინემ ქართული „თავნი ოცდაათნი“, თუმცა ძირითადი მასში მაინც სწორედ ეს უკანასკნელია. სომხური ტექსტი შედგება წინასიტყვაობისაგან, სადაც საკმაოდ გონებამახვილურად არის ნაჩვენები სომეხთა მიერ მონოფიზიტობის არჩევის ზოგადი პირობები, მიზეზები და გარემო. წინასიტყვაობას მოსდევს სომეხთა სარწმუნოების აღსარებისა და წესისადმი წაყენებული 26 მუხლისგან შემდგარი ბრალდება, რომელიც ქართული „თავნი ოცდაათნის“ გადმოცემას წარმოადგენს. ამის შემდეგ უკვე ავტორი იძლევა ცალ-ცალკე თითოეული მუხლის ვრცელ კომენტარს. კომენტარები ზუსტად იმავე პოზიციიდან არის დაწერილი, რომლიდანაც თვით ბრალდებანი, ოღონდ არგუმენტაციაა უფრო ვრცელი. გამრავლებულია მაგალითები წმინდა წერილებიდან და მამათა სწავლანიდან. მუხლებში მხოლოდ მინიშნებული ადგილები ოთხთავიდან აქ მთლიანადაა მოტანილი და ქრისტეს მოღვაწეობიდან სიტუაციები ვრცლადაა აღწერილი. კომენტარები პრინციპში განსხვავებულს არც დოგმატური თვალსაზრისით იძლევა არაფერს. ოღონდ კომენტარებშიც ისევე, როგორც „ოცდაათ თავში“ ჩვენთვის უფრო საინტერესოა მეოთხე მუხლის კომენტარი, სადაც სომხური ეკლესიის მწყემსთავრის ხელდასხმისა და თვით ეკლესიის უფლებრივი დამოკიდებულების შესახებ არის საუბარი.

სომეხი მთარგმნელის ვინაობა და თარგმნის დრო გარკვეული აქვს ილ. აბულაძეს და ამ საკითხის შესახებ ჩვენ მის სიტყვებს გავიმეორებთ: „დოღმატიკონიდან“ აღებული მასალის მთარგმნელად ერთ ადგილს დაგდებული მოსახსენებლით (յիշատակարան)სიმეონია დასახელებული. ეს სიმეონი აქამომდის ცნობილი იყო როგორც იოანე პეტრიწის კომენტარდართული პროკლე დიადოხოსის „კავშირნი ღვთისმეტყველებითნის“ ქართულიდან მთარგმნელი და როგორც ბოლო დროს გაირკვა იგი აგრეთვე მთარგმნელია იოანე სინელის „კლე-

---

[2] ილ. აბულაძე, მხითარ გოშის ტრაქტატი «ქართველთათვის» და მისი ლიტერატურული წყაროები, «თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები», VII, 1938, გვ. 97—108. მისივე, რუსთაველის ხანის ქართულიდან ნათარგმნი ძველი სომხური მწერლობის ძეგლები, «ენიმკის მოამბე», III, 1938, გვ. 123—134.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაქსისაც“. სიმეონი დიოფიზიტია უეჭვოდ, რადგან დიოფიზიტი სომეხი, თუნდაც სხვა ვინ მოჰკიდებდა ხელს ეთარგმნა ასეთი ანტიმონოფიზიტური შრომები, რომლებიც „დოღმატიკონდანაა“ აღებული! „კავშირნი ღვთისმეტყველებითნი“ მას 1248 წელს უთარგმნია, უკვე 60 წლის მოხუცს; მაშასადამე, იგი XIII საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწეა. თუ მართლაც, როგორც ამას ჩვენ ვამტკიცებთ, მხითარს უსარგებლია მისი თარგმანებით და მისადვე მისაძღვნი შრომითაც: „სიტყჳს-გებაჲ სომეხთა მიმართ“, მაშინ ეს თარგმანები და საკუთარი შრომაც მას „კავშირნი“-ს თარგმნამდის გადაუღია, მაგრამ არა უგვიანეს 1213 წლისა, რადგან მხითარი ამ დროს გარდაცვლილად არის მოხსენიებული ძველ სომეხ ისტორიკოსთა მიერ. თუ 20—22 წლის ჰასაკის მჭონე სიმეონისთვის შეუძლებელი აღმოჩნდება ამ თარგმანებისა და კერძოდ რამდენადმე ორიგინალური სტატიის „სიტყჳს-გებაჲ სომეხთა მიმართ“-ის მიწერა, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ იგი ან სხვა ვინმემ შეასრულა 1213 წლამდის, ანდა თვითონ მხითარმა იცოდა ქართული“. ამრიგად, ი ლ. ა ბ უ ლ ა ძ ი ს დასკვნა ასეთია: ან „სიტყვის-გების“ მთარგმნელი-ავტორია სიმეონ პღძაჰანქელი და იგი მას შესრულებული აქვს 1213 წლის ახლო ხანებში. ან კიდევ იგი სხვისი ხელიდან არის გამოსული უფრო ადრე“[3]. ცხადია, სანამ ახალი რამ მასალა არ აღმოჩნდება, უფრო კონკრეტულად რაიმეს თქმა შეუძლებელია.

ქართული და სომხური ტექსტების რაოდენობა დაახლოებით თანაბარია. უფრო ზუსტი იქნება, თუ ვიტყვით: ზოგი მუხლი ქართულისა უფრო ვრცელია, ზოგი კი — სომხურისა. „თავნის“ მეცხრიდან მოყოლებული მეთოთხმეტე მუხლამდის (ჩათვლით) სომხურში ერთი მუხლით (IX) არის წარმოდგენილი. აქიტომ არის, რომ ოცდაათის ნაცვლად „სიტყვის-გებაში“ სულ ოცდაექვსი მუხლია. როგორც ვხედავთ, „სიტყვის-გების“ ერთ მუხლში გაერთიანებულია „თავნის“ ექვსი მუხლი, ე. ი. განსხვავება უნდა ყოფილიყო ხუთი მუხლის რაოდენობისა. ეს განსხვავება სომხურს ერთი დამატებული მუხლითა აქვს შემცირებული. სომხურის ოცდამეხუთე მუხლი ქართულში შესატყვისს არ პოულობს.

რომ წარმოდგენა ვიქონიოთ ტექსტების ერთმანეთთან მიმართებაზე, მოვიყვანთ შესადარებლად თითო მუხლს მთლიანად:

„თავნი ოცდაათნი“

24. რამეთუ ჭმა-განსმენილობით ქადაგებული მათ მიერ მარხვაჲ არაჯვორისაჲ, რომელი მიიღეს მათ უღმრთოთა და საძაგელთა მანწყურტს და თეოდოსიპოლის შეკრებულთა მწვალებელთაგან, რომელნი გამოსთქუეს მართლმადიდებელთა სარწმუნოებისაგან და დაეწესეს ესევითარი ყოვლად ბილწი მარხვაჲ, მსგავსი არს იეზაბელის მარხვისაჲ, რამეთუ მათცა ქადაგეს მარხვაჲ, არა სიმართლისა და ჭეშმიდისა, არამედ დათხევისა სისხლთაჲსა მჭონებელი და მიზეზი

„სიტყვის-გება“

19. რადგან ხმამაღლა ქადაგებულია მათი მარხვა, რომელსაც არაჯვორს უწოდებენ, რომელიც დაწერა დიდმა კრებამ მანწყურტისა და თეოდოპოლისის, რადგანაც იქ შეკრებილებმა იქადაგეს ეს მარხვა და მარხვის შემდეგ გამოუყვანენ მთელს ღმრთის ეკლესიას და მართლმადიდებელ სარწმუნოებას, თავიანთ წინაპრებს — წმინდა გრიგოლს და სხვებს, რომლებიც ოთხს სამოცი წელი მართლმადიდებლები იყვნენ და ეს მარხვა იყო არა ერთობისა, არამედ მათ

[3] ი ლ. ა ბ უ ლ ა ძ ე, მხითარ გოშის ტრაქტატი, გვ. 108.

თა მის მარხვისაჲთა მოკლეს ნაბოთე, რომელსა მრავალთაგან მრავალთა წიგნთა შინა განაქიქებს საღმრთოჲ ოქროპირი და იტყვის: „ოჲ მარხვაჲ, ნაწილი ზაკუვისაჲ, სახლი ანგარებისაჲ, საჭურველი სისხლისდამთხეველობისაჲ და საღმრთოჲსა რისხვისა აღმძრველი“. ეგრეთვე მწვალებელთა მათ სომეხთა ეგევითარივე ქადაგეს მარხვაჲ არა განწმედისათჳს, არამედ მართლმადიდებელისა სარწმუნოებისაგან გამოხეთქისათჳს თავთა თჳსთაჲსა, და ესრეთ განამაგრეს და განამტკიცეს იგი, ვიდრემდის ესრეთ ეშინის მისგან, ვითარცა რისხვისაგან ღმრთისა. გარნა უკუეთუ ჰკითხო ვისმე მათგანსა ეგევითარისა მის მარხვისათჳს, მოგიგნეს შენ მტყუარნი და საძაგელნი სიტყუანი და უკუეთუ კუალად სხუასა სხუანი რაჲმე გრილნი და შეუწყობელნი და სავნებელნი. და ესრეთ არა ურთიერთას თანა-მოწამე, არამედ უფროჲს-ლა წინააღმდგომად არიან მათისა მის მარხჳსათჳს. ხოლო დასწერს იგავთა აღმწერელიცა, ვითარმედ: „რომელი ესვიდეს ტყუილთა, მწყსის იგი ქართა და ვალს ადგილსა უდაბნოსა და ურწყულსა და უნაყოფოსა“.

სარწმუნოების დამხობისა — ვითარცა მარხვა ეზაბელისი, რომელმაც განაწესა მარხვა — ამაოდ დათხევისა ნებროთის სისხლისა, რომელსაც გმობს მრავალ წიგნში იოანე ოქროპირი, რომელიც იტყვის: „ო მარხვა, ნაწილი ზაკვისა, სახლი ანგარებისა“. ასევე იყო სომეხთა ტომის მარხვა, რომელიც დაცული იყო არა სიწმიდისათვის, არამედ ყველა მართლმადიდებელთაგან თავის გამოყოფისათვის. ასევე მტკიცედ განსაზღვრეს როგორც უცოდველებმა, ისევე ეშინიათ მისი, როგორც ღმრთის რისხვისა. ხოლო თუ ჰკითხავ ვისმეს მათგანს ამ მარხვის შესახებ, თუ რა საიდუმლოა, ზოგი სხვა რამეს იტყვის და ზოგი — სხვას. და სრულიად ცრუნი და უცხონი არიან ერთმანეთისა მათი სიტყვები და ერთმანეთის საწინააღმდეგო არსებით. არა რცხვენიათ სოლომონისა, რომელიც იტყვის: „რომელი ქდებოდის სიცრუევსა, ესევითარი იგი ჰმწყსის ქართა“.

სათაურიდანვე მოჩანს, რომ „სიტყვის-გების“ მთარგმნელი და ავტორი სომხებს უპირისპირდება, მაგრამ „სომეხი“ მის ტექსტში ყველგან რელიგიური მნიშვნელობით უნდა გავიგოთ. მთარგმნელი თვითონ აშკარად სომეხია. უკეთ, დიოფიზიტი სომეხი, რომელიც შესაძლოა თავის თავს ქართველსაც უწოდებდა, ან კიდევ მონოფიზიტი სომხები უწოდებდნენ ასე. ყოველ შემთხვევაში, „თავნი ოცდაათნი“-ს ყოველი მკაცრი გამოთქმა სომეხი ხალხის მისამართით, მას ან სრულიად გამოტოვებული აქვს, ან კიდევ — გადაკეთებული: მაგალითად: „პირველად უკუე იტყვიან ყოვლად ბოროტნი სომეხნი“ — „პირველად ამას იტყვიან, რომ...“; „მეცნიერმან სომეხთა ყოვლად ბოროტისა ნებისამან“ — „განმჭვრეტელმა მათი ფიქრისა“; „მიიღეს მათ უღმრთოთა და საძაგელთა მანწკერტს“ — „დააწესა დიდმა კრებამ მანაზკერტისა“; „ვითარცა მპარავნი ოდესმე სხუასა ადგილსა გარდაიჭრდიან მას და ოდესმე სხუასა“ — „მაგრამ დღესასწაულობენ არა თავის დროს, არამედ ხან შემდეგ, ხან წინ გადანაცვლებით“; „ხოლო აწინდელნი სომეხნი შეურაცხის-მყოფელ და მაგინებელ და გარდამავალ არიან ესე-

ვითარისა საიდუმლოჲსა" — სულ არ არის სომხურ თარგმანში. გამოტოვებულია აგრეთვე ასეთი წინადადება: „არამედ სხუაჲ საშმაკოჲ, რომელიც შემდგომთა სიტყუათა შინა ცხად-ვყოთ" და სხვა.

ყურადღებას იპყრობს ის დამატება, რომელიც „სიტყვის-გების" ზემოთ მოტანილ მუხლშია გაკეთებული. სომეხი მთარგმნელი ამბობს, რომ ახლანდელ სომეხთა წინაპარნი გრიგოლიდან მოყოლებული ოთხას სამოცი წლის განმავლობაში მართლმადიდებელნი იყვნენო. თუ საბოლოოდ სომეხთა გამონოფიზიტების თარიღად 726 წელს მიიჩნევს მთარგმნელი („თავნი ოცდაათნი" ასე თვლის), მაშინ სომეხთა მართლმადიდებლობა გრიგოლიდან მოკიდებული 266/67 წლებზე მოდის. მაგრამ შესაძლოა, აქ გადამწერის შეცდომასთან გვაქვს საქმე და უნდა ყოფილიყო ოთხასი. მართლაც კომენტარებში ავტორი რამდენჯერმე უბრუნდება ამ საკითხს და მაშინ უკვე ზუსტად მიუთითებს, მანაზკერტის კრებამდე 400 წლის განმავლობაში სომხები მართლმადიდებლები იყვნენო. თუ ასეა, „სიტყვის-გების" ავტორი საწყის თარიღად 326 წელს გულისხმობს და, ცხადია, მხედველობაში აქვს სომხეთის სახელმწიფო სარწმუნოებად ქრისტიანობის გამოცხადება.

როდის უნდა იყოს „თავნი ოცდაათნი სომეხთა წვალებისანი" დაწერილი? ამ საკითხის გადაწყვეტა მეტისმეტად ძნელია იმის გამო, რომ თვითონ ძეგლი ლაკონურია და თავისუფალია წმინდა ისტორიული მასალისაგან. „თავნი ოცდაათნი" უსახელო ძეგლია და, რამდენადაც ვიცით, მისი დათარიღება ჯერ არავის უცდია.

როცა ეცნობით ტექსტს, ყურადღებას იქცევს პირველი მუხლი: „პირველად უკუე იტყჳან ყოველად ბოროტნი სომეხნი, ვითარმედ ძისა ღმრთისასა შემდგომად განჴორციელებისაცა ერთი ბუნებაჲ და ერთი ნებაჲ და ერთი მოქმედებაჲ აქუს შეზავებული, რომელ ესე არს სარწმუნოებაჲ სერგისი, პიროსისი და პავლესი და სხჳა მის კრებულისა მათისაჲ, რომელნი-იგი კონსტანტინუპოლს შეკრებილან წმიდათან მეექუსეთან კრებათან წმიდათა ასსამეოცდაათთა ღმერთშემოსილთა მამათათან შეაჩუენნა". დოგმატში განსხვავებას ოცდაათი მუხლიდან ეს ერთი აქვს მიძღვნილი და ესეც მონოთელეტების წინააღმდეგ არის მიმართული. მთელს ტექსტში არცერთი მონოფიზიტი ერესიარქი არ არის დასახელებული, გარდა „სამწმიდაროსბასთან" დაკავშირებით პეტრე მკაწრავლისა და აქ კი ერთ პატარა მუხლში სამი მონოთელიტი ერესიარქია მოხიბებული. მთელს ტექსტში არცერთი მსოფლიო კრება არ არის დასახელებული და მეექვსე კი მონაწილე მამებითა და იმპერატორით არის მოხსენიებული. სომეხთა განსაკუთებლად დაწერილ არცერთ სხვა გვიანდელ ძეგლში ასეთი რამ არ გვხვდება. არ უხდება ასეთი შეტევის მოგერიება თვით ნერსეს შნორჰალსაც, რომელმაც თითქოს ამოწურა XII საუკუნეში ყველა სადავო საკითხი. შთაბეჭდილებაა ისეთი, თითქოს „თავნი ოცდაათნი" იწერება მაშინ, როცა უკვე დაამთავრა თავისი მუშაობა მეექვსე მსოფლიო კრებამ (681) და ჯერ არ შემდგარა VII მსოფლიო კრება. მონოთელიტების საკითხი ჯერ კიდევ მწვავე საკითხია საეკლესიო თეორიაში. თარიღის დავიწროება კიდევ უფრო შეიძლება. „თავნი ოცდაათნი" იხსენიებს მანაზკერტის 726 წლის კრებას, მაშასადამე, იწერება მას შემდეგ. მაგრამ მეცხრამეტე მუხლით წამოჭრილია ხატთაყვანისმცემლობის საკითხი, თუმცა ჯერ კიდევ არ

არის იგი გაშლილი. უნდა ვიფიქროთ, რომ იოანე დამასკელის მოღვაწეობაც უკვე მოგვიანებით VII მსოფლიო კრება.

ყურადღებას იპყრობს კიდევ ერთი გარემოება, რომელიც დათარიღების საკითხს არ ეხება. „თავნი ოცდაათნი“ ასახელებს მონოთელიტების სამ ერესიარქს: სერგი კონსტანტინეპოლელს, პიროს კონსტანტინეპოლელსა და პავლე კჳპრელს (პავლე კონსტანტინეპოლელს?). ამათგან სერგი და პავლე მონოთელიტობის შემოქმედებად არიან მიჩნეულნი, ხოლო პიროსი მათი მომდევნო თაობის მოღვაწეა და მონოთელიტური მოძრაობის გაცოცხლება, მაქსიმე აღმსარებელთან პაექრობა და მისი გადმოსახლება ლაზიკაში მისი დამსახურებაა. მაგრამ არც ერთ ამ მოღვაწეს იმდენი ამაგი არ დაუდგია მონოთელიტებისათვის, რამდენიც დასდო კიროს ალექსანდრიელმა. მან ერთადერთმა არ დაიხია უკან სოფრონ პალესტინელის ძლიერი შეტევის შედეგად. იგია ავტორი ერთადერთი, 9 მუხლისაგან შემდგარი თანმიმდევრული მონოთელიტური ტრაქტატისა. სწორედ მისი სახელი გამოტოვა „თავნი ოცდაათნი“-მ. ვფიქრობთ, რომ იგი გამოტოვებულია ქართულ თარგმანში, რადგანაც სხვა არავის არ შეიძლებოდა ჰქონოდა ამის საფუძველი. ეს უკვე მერამდენე ქართული ძეგლია, რომელიც გვერდს უვლის კირონის (კიროსის) ხსენებას მაშინაც კი, როცა გვერდის ავლა შეუძლებელი ხდება. მაგრამ რა ხდება სომხურ თარგმანში? „სიტყვის-გებაში“ სია ასე გამოიყურება: სერგი, პიროსი, პავლე სამოსატელი, ევტიქე, დიოსკორე, სევერიოსი, ცრუ ეპიფანე, ბარსუმა, ანდიმო, იაკობ წარწყალოსი. ჩვენი აზრით, კიროსის გამოტოვება სომხურში ერთხელ კიდევ ამტკიცებს იმას, რომ სომხური ტექსტი ქართულიდან არის გადაღებული (თუ კი ამას კიდევ დამტკიცება ესაჭიროება). პავლე კჳპრელი სომეხ მთარგმნელს პავლე სამოსატელად მიუჩნევია და ამის შემდეგ ჩამოუთვლია ყველა ის მონოფიზიტი მოღვაწე, რომლებიც მონოთელიტებზე გაცილებით ადრინდელები არიან (ყოველგვარ ეჭვს გარეშეა, რომ პავლე „თავნი ოცდაათნი“-სა არ არის პავლე სამოსატელი. წინააღმდეგ შემთხვევაში იქვე უნდა მოეხსენებინა სომეხ მთარგმნელს არიოზიც და ნესტორიც, ე. ი. პავლიანობის გვერდით არიანობაც უნდა დაეგმო და ნესტორიანობაც. იგი ამას არ აკეთებს და უმატებს მხოლოდ და მხოლოდ მონოფიზიტ მოღვაწეთა სიას). ცხადია, ეს დამატება სომეხი მთარგმნელისა თუ რედაქტორისაა და აი, რატომ: საქმე ის არის, რომ სომხური ეკლესიისადმი წაყენებულ ბრალდებებსა და მოთხოვნებს XII საუკუნეში მართლმადიდებლურმა ეკლესიამ, უფრო ზუსტად, მანუელ კომნენოსის დროს (1143—1180) კონსტანტინეპოლის პატრიარქმა, დაუმატა სხვებთან ერთად კიდევ ერთი ბრალდება[4]. კერძოდ ის, რომ ზემოთ ჩამოთვლილ მონოფიზიტ მოღვაწეებს (ამ დროს სერგი, პიროსი და პავლე უკვე აღარავის აინტერესებდა და ახსოვდა) არ წყენდიდა. ცხადია, ამ გარემოებას გაითვალისწინებდა XIII საუკუნის დამდეგს სომეხი მთარგმნელი, რომელიც, უეჭველია, კარგად იცნობდა ყველა ბრალდებას.

ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ჯვართან დაკავშირებული ოთხი ბრალდებიდან ტრაქტატში მხოლოდ ერთია მოცემული. ეს არის „თავნისა“ და „სიტყვის-გების“ მესამე მუხლი: „რამეთუ სამთა ჯუართა შეაუღლებენ და აღჰმართებენ საეშმაკოთა შინა შესაკრებელთა მათთა. ორთა უკუე სწორ საზომთა

[4] Троицкий, Изложение веры Церкви Армянския, С.-П. 1875, стр. 239. მოთხოვნების ბერძნული ტექსტისათვის იხ. Mai, Scriptorum Veterum nova collectio, Romae, 1833, გვ. 376—378.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სწორ სახეთა, ხოლო ერთსა უკნინესსა და უმცირესსა და წმიდად სამ[illegible] უწოდენ მათ. ხოლო ჰქონან საქმესა ამას ორნი დიდნი წვალებანი ერთად; უკუე, რამეთუ წმიდა სამებასა ვითარცა ნივთიერსა დაჰსახვენ ქუეყანასა ზედა და მეორედ, რამეთუ ერთსა წმიდისა სამებისასა უდარესად აღიარებენ". ამას გარდა, ცნობილია კიდევ სამი ბრალდება: 1. სომხები ჯვარს ყოველწლიურად აკურთხებენ წმინდა წყლით. 2. ჯვარს, რა მასალისაგანაც არ უნდა იყოს იგი გაკეთებული, ლურსმნებით აჭედებენ. 3. პირჯვარს ერთი თითით იწერენ. ყველა ეს ბრალდება ერთდროულად არ წარმოშობილა. პირველი ორი (ჯვრის კურთხევა და ლურსმნით დაჭედება) XII საუკუნემდე უკვე ცნობილი ყოფილა და ნერსეს შნორჰალი ცდილობს მათ გაბათილებას. რაც შეეხება მესამეს (პირჯვრის გამოსახვას ერთი თითით), ეტყობა, ნერსეს შნორჰალის დროს ჯერ კიდევ არ იყო გამოთქმული და ისიც სრულიად არ ახსენებს მას. ლიტერატურაში გარკვეულია, რომ მეორე ბრალდება (ჯვრის ლურსმნით დაჭედება) უკვე ცნობილია X საუკუნის მეორე ნახევარში. იგი გვხვდება ნიკონ შემნანებელის ნაწარმოებში „ულმრთო სომხური სარწმუნოების შესახებ"[5]. ამავე ნაწარმოებში მოცემულია ის ბრალდებაც „სამი ჯვრის შეუღლების შესახებ", რომელიც IV მუხლად შეტანილია „თავნში". ამრიგად, „თავნი ოცდაათნი" არ იცნობს ერთ ისეთ ბრალდებას, რომელიც დამოწმებულია უკვე მეათე საუკუნეში, მეორეს ისეთს, რომელიც ცნობილია XII საუკუნის II ნახევრამდე და მესამეს ისეთს, რომელიც ამის შემდეგ შემუშავდა. ყველა ამ ბრალდებას იცნობს X—XIII საუკუნეების ბერძნული, სომხური და ქართული ძეგლები. მაგალითად, „თარგმანება სომეხთა წვალებათათჳს, თუ რომლითა შეიჩუენებიან სომეხნი" წერს: „რომელ განაჭლებენ საშუალ ჯუარისასა სამსჭუალსა რკინისასა, ქვისა იყოს ჯუარი ანუ თუ ძელისა და სცხებენ ზეთსა ქუნჯუთისასა, წესისამებრ ახალ ნათელღებულთასა და ეგრეთდა თაყუანსა სცემენ, შეიჩუენებიან"[6]. ცხადია, უნდა ვიფიქროთ, რომ „თავნი სომეხთა წვალებისანი ოცდაათნი" ამაზე უფრო ადრეა დაწერილი.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ „თავნი ოცდაათნი"-ს მეცხრამეტე და „სიტყვისგების" მეთოთხმეტე მუხლი მიძღვნილია სომეხთა ხატმებრძოლეობის წინააღმდეგ: „რამეთუ პატიოსანთა და წმიდათა ხატთა ქრისტჱსსა და ღმრთის-მშობელისა არა თაყუანისსცემენ" („რადგან არ სცემენ თაყვანს პატიოსან და წმინდა ხატებს ქრისტესას, ღმრთისმშობლისასა და ყველა წმინდანისას, არამედ კერპებს უწოდებენ მათ"). ასეთი ბრალდება სომხებისათვის შეიძლებოდა წაეყენებინათ VIII საუკუნის შუა ხანებში, განსაკუთრებით კი პავლიკიანთა მოძრაობის დროს. შემდეგშიც, ცხადია, შესაძლოა, ინერციით რჩებოდა ასეთი ბრალდება. როცა ხატებისათვის ბრძოლის ისტორია უკვე განვლილი ეტაპი იყო, როცა უკვე აშკარად ჩანდა, რომ ასეთი ბრალდება მხოლოდ გაუგებრობად გამოჩნდებოდა, ქალკედონიტებმა სცადეს მისი სახის შეცვლა. XII საუკუნეში გაჩნდა ახალი ფორმულა: „ვწყევლი მათ, ვინც არ სცემენ თაყვანს პატიოსანსა და წმინდა ხატებს და თვით სიცოცხლის მომნიჭებელ ჯვარს მანამ, სანამ ნათელს არ სცემენ კურთხევით, როგორც თვითონ ამბობენ"[7]. ცხადია, ეს უკვე სულ სხვა ფორმულაა და სხვა განწყობილებას ასახავს. ის კი რაც „თავნი ოცდაათნი"-ს შემოუნახავს, უფრო ძველ ვითარებაზე მიუთითებს.

---

[5] Троицкий, Изложение ..., стр. 210—214.

[6] საქართველოს სამოთხე, პეტერბურღი, 1885, გვ. 635.

[7] Троицкий, Изложение..., стр. 243.

ბოლოს, კიდევ ერთი საკითხი. ექვთიმე ათონელის „მცირე სჯულის კანონში“ შეტანილია სომეხთა ბრალდების რვა მუხლი. ამ რვა მუხლში შედის ბევრი ის საკითხი, რაც მოცემულია არსენი ვაჩესძის «დოგმატიკონში“ შესულ ტრაქტატში. ეს უკანასკნელი რომ არსენი ვაჩესძის დროს იყოს შექმნილი ქართულ ენაზე, შეუძლებელი იქნებოდა მასში არ ასახულიყო ისეთი ოფიციალური ძეგლი, როგორიცაა „მცირე სჯულის კანონი“. მით უფრო შეუძლებელია კიდევ, რომ არსენი ვაჩეს-ძეს, თუ იგი ნამდვილად არსენი იყალთოელია, თავისი „სჯულის კანონიდან“ არ გადმოეღო მუხლები. სინამდვილეში კი რას ვხედავთ: „თავნი ოცდაათნი“ არ იცნობს არსენის ოთხი მუხლიდან ერთს სრულიად, ხოლო დანარჩენ სამს სულ სხვა რედაქციით წარმოგვიდგენს. ასეთივე მიმართებაშია „თავნი“ ექვთიმეს „სჯულის კანონთან“. არავითარი შეხების წერტილი რედაქციულად მათ არა აქვთ და ერთის კითხვის დროს მეორე არ გაგახსენდებათ, თუმცა კი ორივეს დაახლოებით ერთ საკითხებზე აქვთ ლაპარაკი. მაგრამ სულ სხვა ვითარებაა, როცა ეცნობით „თარგმანებას სომეხთა წვალებათათჳს“. იგი სრულიად აშკარად დამოკიდებულია „თავნზე“, თუმცა კი დამატებები აქვს გაკეთებული. ამით კვლავ იმის თქმა გვინდა, რომ „თავნი“ (უკეთ, მისი დედანი) უფრო ადრინდელი ნაწარმოები უნდა იყოს ვიდრე ქართული „მცირე სჯულის კანონი“.

ამრიგად, ვფიქრობთ, „თავნი სომეხთა წვალებისანი ოცდაათნი“ შექმნილი უნდა იყოს დაახლოებით VIII საუკუნის შუახანებში. ამას გვავარაუდებინებს: 1. ძეგლი ისეთ განწყობილებებს ამჟღავნებს, ისეთ ისტორიულ პირებზე მიუთითებს, რომ იგი შექმნილი უნდა იყოს VI და VII მსოფლიო საეკლესიო კრებებს შორის. ტექსტში მოხსენიებულია მანაზკერტის კრება, რაც უფრო გვავიწროვებინებს თარიღს (726—787). 2. ტრაქტატში არ არის შეტანილი ისეთი ბრალდებები სომეხთადმი, რომლებიც უკვე ცნობილია X—XII საუკუნეებში. 3. ხატმებრძოლთა წინააღმდეგ ფორმულა მოცემულია ისეთი რედაქციით, რომელიც ადრინდელ ვითარებაზე მიუთითებს. 4. „თავნი ოცდაათნი“ არ ამჟღავნებს მსგავსებას ექვთიმე ათონელისა და არსენი იყალთოელის „სჯულის კანონებთან“.

აი, ასეთი არგუმენტაციის შემდეგ კვლავ გვინდა მივუბრუნდეთ სომხურ „სიტყვის-გებას“: *Նորին Յոհաննու Դամասկացւոյ Պատասխանի առ Հայս համառօտեալ* (იმავე იოანე დამასკელის სიტყვის-გება სომეხთა მიმართ, შემოკლებული).

როგორც ვხედავთ, „სიტყვის-გების“ მთარგმნელი ამ ძეგლს იოანე დამასკელს მიაწერს, VIII საუკუნის შუახანების განთქმულ საეკლესიო მოღვაწეს. ხატმებრძოლთა წინააღმდეგ ყველაზე უფრო აქტიურად მოქმედ პიროვნებას. ამგვარად, ძველი სომხური ტრადიციითაც ჩვენს წინაშეა VIII საუკუნის ძეგლი. მისი გამომცემელი სომეხი სპეციალისტი ხედავს, რომ მთლიანად სომხური ტექსტი არ შეიძლება VIII საუკუნისა იყოს, ვინაიდან მასში სხვებთან ერთად დასახელებულია, ვთქვათ, უხტანესი, X საუკუნის სომეხი ისტორიკოსი და მისი თხზულება „ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან“. ამიტომ სწორად ვარაუდობს, რომ უნდა არსებულიყო რაღაც თხზულება, რომელიც შემდეგშია გავრცობილი. მაგრამ მან არ იცის, რა უნდა იყოს ეს თხზულება, რა მოცულობისაა, და იმედოვნებს, რომ ის აღმოჩნდება[8]. ასეთი რამ მართლაც აღმოჩნდა, მაგრამ არა ბერძნულში და იოანე დამასკელის შრომებში, არამედ ქართულში. ვინაიდან

[8] «Լույս», 1905, გვ. 1010, —1011.

ასეთი ძეგლი ბერძნულ მწერლობაში დამოწმებული არა ჩანდა, ნ. ა კ ი ნ ნ ი ს ვარაუდით, იგი მთლიანად დაწერილი უნდა ყოფილიყო სომეხი დიდებულის ზიტის მიერ, რომელიც იოანე დამასკელის ავტორიტეტს იშველიებდა[9]. არც ი ლ. ა ბ უ ლ ა ძ ე იზიარებს ძველ სომხურ ტრადიციას. მისი აზრით: „სომხურ წუსხებში ეს (იოანე დამასკელისთვის მიწერა — ზ. ა.) იმის გამო მოხდა, რომ იგი ზოგიერთ სხვა უავტორო თუ ავტორიან სტატიასთან ერთად იოანე დამასკელის ძირითადი შრომების („დიალექტიკასა“ და „გარდამოცემაჲ“-ს) აქვს დართული. „სიტყჳსგებაჲ სომეხთა მიმართ“-ის იოანე დამასკელისადმი მიწერას ალბათ იმანაც შეუწყო ხელი, რომ იგი თავიდან ისე იწყება, თითქოს მისი ავტორი სირიელი იყოს — *ես արդ՝ իմ միոյն ցարդ ընդ համագիտացն իմոց խօսեցեալ Աստուածոյ, ցաւօք սրտի, սիրով ազաչանօք խրատեալ աշխատասիրեցի*... (და აწ, აქამომდისოა თანამონათესავეთა ჩემთა ასურთათჳს ვიტყოდი გულის ტკივილით, სიყუარულითა და ვედრებითა, და ვიღუაწე განწურთნაჲ მათი...) იოანე დამასკელი სირიიდან იყო, ამიტომ გადამწერს ადვილად შეეძლო იგი იოანესად მიეჩნია და მის მიხედვით დაესათაურებინა კიდეცაც როგორც იოანეს ნაშრომი“[10].

ამრიგად, იოანე დამასკელის ავტორობის საწინააღმდეგოდ შემდეგი არგუმენტები იყრის თავს: 1. იოანეს ნაწარმოებებში არ ჩანს ასეთი ტრაქტატი. 2. ქართული ტექსტი, საიდანაც თარგმნილი უნდა იყოს სომხური „სიტყვისგება“, ანონიმურია. 3. სომხურში საჭმე გვაქვს გადამწერის შეცდომასთან, რომელმაც იოანე დამასკელს შეცდომით მიაწერა კრებულში შესული სხვა თხზულებებიც. ამ არგუმენტაციის წინააღმდეგ არაფრის თქმა არ შეგვიძლია. გავიმეორებთ მხოლოდ, რომ, ჩვენი შეხედულებით, „თავნი სომეხთა წუალებისანი ოცდაათნი“ უნდა შეჰმნილიყო 726—787 წლებს შორის, ხოლო იოანე დამასკელი ცხოვრობდა და მოღუაწეობდა 675—749 წწ-ში.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არ ჩანს გამოთქმული მოსაზრება, ორიგინალური, ქართული თხზულებაა „თავნი ოცდაათნი“, თუ რომელიმე ენიდან არის იგი თარგმნილი. ვფიქრობთ, რომ „თავნი ოცდაათნი სომეხთა წუალებისანი“ ბერძნული ენიდან არის ნათარგმნი, თუმცა შესაძლოა ისიც დედნის ადექვატური არ იყოს და თავისუფალ თარგმანს წარმოადგენდეს, როგორც ეს გვიჩვენა „სიტყვის-გებამ“. ასეთი შეხედულება შემდეგ არგუმენტებს ემყარება: 1. ტექსტში, როგორც წესი, საკუთარი სახელები მოცემულია ბერძნული ტრანსკრიპციით. ამ მხრივ განსაკუთრებით საგულისხმოა B ხელნაწერის ჩვენებები. ეს არის A—205, რომელსაც, სამწუხაროდ, გავეცანით ყველა სხვა ხელნაწერზე უფრო გვიან. ვფიქრობთ, რომ, მიუხედავად კ. კეკელიძის მითითებისა, A — 205 „დოგმატიკოსის“ ხელნაწერებს შორის უძველესია, ყოველ შემთხვევაში, იმ ნაწილში მაინც, რომელიც დღეს ჩვენ გვაინტერესებს. ყველა სხვა ხელნაწერი და განსაკუთრებით კი ეს, საკუთარ სახელებს (ბერძნული სახოგადოსაც) ბერძნული ტრანსკრიპციით გვაძლევს; ტირიდატი, სილვესტროს, ლეონტიოს, დიონჳსიოს, კაპპადოკია, ეკკლესია. ისიც კი შეიმჩნევა, რომ მისი გადამწერი ერთგან ცდილა კიდეც „ტირიდატი“ მისთვის ცნობილი „თრდატ“-ით შეეცვალა, მაგრამ შემდეგ ასეთი ოპერაციებისათვის თავი დაუნებებია. ვფიქრობთ, ის გარე-

[9] Ն. Ակինեան, Կիւրիոն կաթողիկոս Վրաց, ვენა, 1910, გვ. 69-70.

[10] ი ლ. ა ბ უ ლ ა ძ ე, მხითარ გოშის ტრაქტატი..., გვ. 106—107.

მოებაც, რომ A და B ხელნაწერებში მოსალოდნელი „კოსტანტინეს“ მაგიერ ყველგან „კონსტანტინეა“ დაცული, ორთოგრაფიულ ბერძნიზმზე უნდა მიუთითებდეს. რაიმე განსაკუთრებულ ბერძნულის კალკზე მითითება აქ არ შეგვიძლია. ისეთი თითქმის არაფერი ჩანს, რაც XII საუკუნის ქართულ სამეცნიერო თუ საეკლესიო მწერლობაში ორიგინალურ ძეგლს ნათარგმნიდან გავგარჩევინებდა. 2. როგორც ჩანს, „თავნი ოცდაათნის“ მეოთხე და მეთექვსმეტე მუხლების წყარო აგათანგელოსია (აქ მოთხრობილია გრიგოლის კესარიაში ხელდასმის, ლეონტი არქიეპისკოპოსსა და თრდატ მეფეს შორის ადრესების გაცვლის, გრიგოლის მიერ სომხების მონათლისა და სილვესტროს მიერ კონსტანტინე დიდის ნათლისცემის შესახებ), მაგრამ ისიც თვალშია საცემია, რომ სომხური აგათანგელოსის ჩვენება საგრძნობლად განსხვავდება „თავნი ოცდაათნის“ ცნობებისაგან. აგათანგელოსის ყველა დღემდე ცნობილი ვერსიის მიხედვით, ჯერ თრდატი უგზავნის ეპისტოლეს, ხოლო ლეონტი კესარიის არქიეპისკოპოსი შემდეგ პასუხობს. „თავნში“ ეს პირიქითაა მოთხრობილი: თრდატი უპასუხებს ლეონტის წერილს. „თავნი“ კატეგორიულად ლაპარაკობს კესარიასა და სომხეთს შორის დადებული კავშირის წივნზე. მასში მოტანილ თრდატის წერილში სომხეთის მეფე აღთქმას აძლევს კესარიას სამუდამო ერთგულებისა. ასეთი რამ არ წერია აგათანგელოსის დღემდე ცნობილ ვერსიებში. იქ მხოლოდ ერთგვარი სარეკომენდაციო წერილია შემონახული ლეონტისთან გატანებული გრიგოლისთვის და მხოლოდ-და ლეონტის საპასუხო ეპისტოლეშია გაკვრით ლაპარაკი კავშირის შესახებ[11]. რაც შეეხება სილვესტროს მიერ კონსტანტინესთვის ნათლისცემას და ამის შესახებ კონსტანტინე დიდის მიერ მიწერილ წერილს თრდატისადმი, იგი უკვე საერთოდ არ მოიპოვება აგათანგელოსის სომხურ რედაქციაში და გვაქვს ბერძნულსა და არაბულ ვერსიებში[12]. უფრო მეტიც, თვით რომის პატრიარქის სახელი სილვესტროს საერთოდ არ გვხვდება სომხურ „აგათანგელოსში“, როდესაც კონსტანტინოპოლში ჩამოდის თრდატი, აქ მას ევსებიოს ეპისკოპოსი ხვდება. ასე წერია ყველა სომხურ ნუსხაში, გარდა ერთისა. ამრიგად, შთაბეჭდილება ისეთია, რომ „თავნი სომეხთა წვალებისანი ოცდაათნი“ წყაროდ იყენებს აგათანგელოსის ბერძნულ ვერსიას, და თუ მართლია ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებები აგათანგელოსის რედაქციებზე, ე. წ. ელინოფილურს, ე. ი. იმას, რომელიც VII საუკუნეში შეიქმნა, ხოლო მანაზკერტის კრების შემდეგ კვლავ განიცადა ცვლილებები[13].

სპეციალური კვლევის ობიექტი შეიძლება გახდეს სომხური „სიტყვის-გებისათვის“ დართული შესავალი და კომენტარები. ერთი რამ შეიძლება ითქვას: ეს ორი ნაწილი ძირითადი ტექსტისაგან აშკარად განსხვავდება ასაკის მიხედვით. ამ განსხვავების ჩვენება, ერთგვარად, გაგვარკვევდა კომენტარების შექმნის თარიღშიც. 1. ძირითად ტექსტში არცერთი სიტყვით არ არის აღნიშნული, რომ უცომო პური (ბალარჯი) საერთო აქვთ სომხებს, თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, კათოლიკურ ეკლესიასთან, იმ ეკლესიასთან, რომელსაც სათავეში უდ-

[11] Ա գ ա թ ա ն գ ե ղ ո ս, Պատմութիւն Հայոց, Տփղիս, 1909.

[12] Gerard Garitte, Documents pour l'etude du livre d'Agathange. Citta del Vaticano. 1946 § 176. შდრ. გვ. 233. Н. Марр. Крещение армян, грузин абхазов и аланов святым Григорием. ЗВОИРАО, 1905 т. XVI, вып. II—III. стр. 142—143.

[13] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ძველი სომხური საისტორიო მწერლობა, თბ., 1935, გვ. 136—144.

გას რომის პაპი, და ასეც იყო მოსალოდნელი. უცომო პური მხოლოდ XI საუკუნეში ვრცელდება ყველგან დასავლეთ ევროპაში და პაპი ლეო IX (1049–1054) პირველად ილაშქრებს კონსტანცის კრებაზე საფუარიანი პურის წინააღმდეგ[14]. აი, ამ დროიდან უკვე აქვთ საშუალება სომხებს მოკავშირედ რომის ეკლესიის წესი მოიხმონ. ასეც იქცევა ნერსეს შნორჰალი თავის „გარდამოცემაში". იგი პირველად მიუთითებს, რომ სომხურ ეკლესიას ზიარებაში უცომო პურის გამოყენება საერთო აქვს რომის ეკლესიასთან. ამის შემდეგ იწყებს აღმოსავლური დიოფიზიტური ეკლესია ამ კავშირის კრიტიკასაც. „სიტყვის-გება სომეხთა მიმართ" ვრცლად განიხილავს ბალარჯობის წესს და ასკვნის: ბალარჯი არ იცის არცერთმა მონოფიზიტურმა ეკლესიამ, გარდა სომხურისა. ბალარჯი არ იცის დიოფიზიტურმა ეკლესიამ, გარდა რომის ეკლესიისა. სომხურ ეკლესიას რომის ეკლესიასთან ამ ერთი წესის გარდა საერთო სხვა არაფერი აქვს და, ცხადია, ორივე ეკლესიაში საქმე გვაქვს გაუგებრობასთან. ასე რომის ეკლესიაზე მითითებით იცავენ თავს კონსტანტინოპოლის ეკლესიისაგან სომხები XII საუკ. მეორე ნახევარში და ამავე საუკუნის მიწურულიდან ცდილობენ მოწინააღმდეგეები ამ არგუმენტის სისუსტე დაუმტკიცონ. გარდა ამისა, კომენტარებში ჩამოყალიბებული და გაკრიტიკებულია ყველა ის მომენტი, რაც ასხვავებს კათოლიკურ ეკლესიას აღმოსავლურისაგან. მათ შორის ინდულგენციების რამდენადმე ფართო გავრცელება XII საუკუნეზე მოდის. XI საუკუნეზე ადრე იგი სრულიად არ გვხვდება, ხოლო XI საუკუნეში იშვიათია. აქვე მოცემულია გამანადგურებელი დახასიათება კათოლიკური ეკლესიის მსახურთა ცოდვებისა (მაძათმავლობა, ცხოველთ-მავლობა, და სხვა), რომელთა შესახებ ცნობები მხოლოდ ჯვაროსანთა ლაშქრობების შემდეგ შეეძლო მიეღო აღმოსავლეთს. უნდა ვიგარაუდოთ, რომ „სიტყვის-გება სომეხთა მიმართ"-ის კომენტარები XII საუკუნის ბოლოს და მომდევნო ხანაშია შექმნილი. 2. რომის ეკლესიას „კომენტარები" ფრანკთა ეკლესიის უწოდებს. ტერმინი „ფრანკთა" შეიძლებოდა გაჩენილიყო მას შემდეგ, რაც საბოლოოდ გაიმიჯნენ აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიები ერთმანეთისაგან და ცნება „კათოლიკური ეკლესია" უკვე შემუშავდა. ეს უნდა მომხდარიყო 1058 წლის შემდეგ, სწორედ იმ კონსტანცის კრების შემდეგ, რომელზეც ლეო IX-მ საბოლოოდ დააკანონა უცომო პური. ამრიგად, XI საუკუნის მეორე ნახევარში იქმნება ტერმინი კათოლიკური ე. წ. ლათინური ეკლესიის აღსანიშნავად. რაც შეეხება „ფრანკს" იგი მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლებოდა გაჩენილიყო და, ვფიქრობთ, ჯვაროსანთა ლაშქრობების ან უშუალო მომდევნო ხანის პროდუქტია. 3. ჯვაროსანთა ლაშქრობებსა და კათოლიკურ ეკლესიაში ეპისკოპოსთა მეთაურობით შექმნილ ორდენებს უნდა გულისხმობდეს კომენტარების ავტორი, როცა ლაპარაკობს „ფრანკი" ეპისკოპოსებისა და მღვდლების ომებში სიარულისა და სისხლისღვრის შესახებ. 4. 726 წლის მანაზკერტის კრებაზე სომხური ეკლესია დაუახლოვდა სირიულ-იაკობიტურ ეკლესიას. ქალკედონურმა ეკლესიამ თანდათან შეიმუშავა შეხედულება, თითქოს სომხური მრწამსი იაკობიტურია და არსენი საფარელმა ტაქტატში „განყოფისათჳს ქართლისა და სომხეთისა" სომხებს იაკობიტები უწოდა. მას შემდეგ რაც საეკლესიო სამყაროში ცნობილი გახდა ნერსეს შნორჰალის „გარდამოცემა სარწმუნოებისა", ღვთისმეტყველებმა დაინახეს, რომ სომხური

[14] Полный православный богословский Энциклопедический словарь, стр. 1702.

მრწამსი, მართალია, ყველაზე ახლოს დგას იაკობიტურთან, მაგრამ მისგანაც განსხვავდება. სომხური ეკლესია განსხვავებული აღმოჩნდა ყველა მონოფიზიტური სექტისაგან არა მხოლოდ საწესო პრაქტიკით (რაც ჯერ კიდევ ტრულის კრების კანონებში იქნა აღნიშნული), არამედ ქრისტეს ბუნების შესახებ დოგმატის თეორიული დაცვის საკითხშიც. აი, ასეთი ვითარებაა ასახული „სიტყვისგების“ კომენტარებში. სხვა საინტერესო ადგილებს რომ თავი დავანებოთ, კომენტარებში პირდაპირაა ნათქვამი: მანაზღვრული სჯულიდან ზოგი ურიათაგან აიღეს, ზოგი ნესტორიან ასურთაგან, ზოგი იაკობიტ ასურთაგან და ზოგიც თავისი ბოროტი ფიქრით განიწესესო. ამიტომვცა, რომ არსენი საფარელი სომხებს უკიჟინებს ოთხ საპატრიარქო ეკლესიას განუდექითო, ხოლო „სიტყვის-გება“ მათვე ხუთი საპატრიარქო ეკლესიის უგულებელყოფას დებს ბრალად. საქმე შემდეგში უნდა იყოს: არსენი საფარელს სომხები იაკობიტებად მიაჩნდა და ანტიოქიას, სადაც იაკობიტი პატრიარქი იჯდა, აღარ ასახელებდა სომეხთაგან უგულებელყოფილ საპატრიარქო ეკლესიებს შორის. „სიტყვის-გების“ კომენტარების ავტორისათვის უკვე აშკარაა, რომ სომხები არ არიან იაკობიტები და თამამად შეუძლია უკიჟინოს: არცერთი სამოციქულო ეკლესიის მიმდევარი არა ხართო, თუმცა კი იქვე აღნიშნავს ანტიოქიისაგან ბევრი რამ გაქვთ აღებულიო. ამრიგად, „სიტყვის-გების“ კომენტარები ყველა ნიშნის მიხედვით დაწერილი უნდა იყოს XII საუკუნის მიწურულის შემდეგ. ასეთი დათარიღება კვლავ სიმეონის მთარგმნელობისა და ავტორობის სასარგებლოდ მეტყველებს.

„სიტყვის-გების“ კომენტარებში მოცემულია ორი ისეთი პოზიცია, რომელიც ემთხვევა არსენი საფარელის ისტორიულ კონცეპციას: 1. სომეხი ხალხი უბრალოა ისტორიის სამსჯავროს წინაშე. სპარსეთმა აიძულა იგი გადაეხვია მართლმადიდებლური სარწმუნოებიდან. ერთშიც და მეორე ძეგლშიც ეს პოზიცია თანმიმდევრულად არის გატარებული. არცერთგან თვით ხალხი არ არის „ყოვლად ბოროტი“, როგორც ესა გვაქვს „თავნი ოცდაათნში“. 2. სომხებს სარწმუნოება მიღებულ აქვთ არა იერუსალიმიდან, არამედ საბერძნეთიდან და გრიგოლი ხელდასხმულია კაპადოკიის კესარიაში. ასეთი პოზიცია გატარებულია როგორც არსენი საფარელთან, ისე „თავნი ოცდაათში“ და მთლიანად „სიტყვისგებაში“.

ქვემოთ ქვეყნდება „თავნი სომეხთა წვალებისანი ოცდაათნი“ და მისი შესატყვისი ნაწილი ძველი სომხური ტექსტისა „სიტყვის-გება სომეხთა მიმართ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავნი სომეხთა წვალებისანი ოცდაათნი

1. პირველად უკუე იტყჳნან ყოველად ბოროტნი სომეხნი, ვითარმედ:[1] „ძისა ღმრთისასა[2] შემდგომად განკორციელებისაცა ერთი ბუნებაჲ და ერთი ნებაჲ და ერთი მოქმედებაჲ აჴუს შეზავებული“, რომელ-ესე არს[3] სარწმუნოებაჲ სერგისი, პიროსისი და პავლესი და სხჳსა მის კრებულისა მათისაჲ, რომელნი-იგი კონსტანტინეპოლეს[4] შეკრებილმან[5] წმიდამან მეექუსემან კრებამან, წმიდათა ასსამეოცდაათთა ღმრთშემოსილთა მამათამან, შეაჩუენნა[6] კონსტანტინეს[7] ზე მეფისა, რომელი იყო მამაჲ მცირისა იუსტინიანესი, რომელთა წვალებასა[8] ამხილებს[9] ღმრთისმეტყუელია გრიგოლი[10] მეტყუელი ესრეთ: „მრწამს ძე[11] და[12] სიტყუაჲ ღმრთისაჲ ორთა შინა ბუნებათა, სული და ჴორცნი ენებული და უენებელი“; და საღმრთოჲ ჴმაჲ[13] მჴმობელი, ვითარმედ: „ერთსა მას ენსო და მოკუდა და ერთი[14] უენებელად და უკუდავად ეგო“; ამათ თანა სანატრელი[15] ეფრემცა, ვითარმედ: „ორნი ბუნებანი ერთად შემოკრბეს, არამედ ღმრთეებაჲ[16] არა იქცა ჴორცად და ჴორცთა მიმხუმელი[17] უფალი არა შემატება იქმნა ღმრთეებისა“[18].

2. მეორე ძჳრ მათდა არს. რამეთუ დიდად სცთებიან[19] სამწიდაობითსა შინა ანგელოზებრსა[20] გალობასა შეძინებითა ამისითა, ვითარმედ: „რო-

[1] ვითარცა G. [2] საღმრთოჲსა G. [3] არს]—G. [4] კონსტანტინუპოლის G. კოსტანტინეპოლის DF. კონსტანტინუპოლეს E. [5] შეკრებულმან BF. [6] შეაჩუენა B. [7] კოსტანტინეს C. კონსტანტინე EF. [8] წვალებისა E. [9] ამხილებს] არამედ წვალებასა CE. [10] გრიგორი CF. [11] ძე]—DG. [12] და]—G. [13] ჴორილა C. [14] გან]—იგი G. [15] სანატრელ B. [16] ღმრთაეებაჲ G. [17] მიმხუმელი F. [18] ღუთაებისა F. [19] ჰსცთებიან F. [20] ანგელოსებრა F.

ნიორჱნ ვიქჱნნიი ჴამაგკაწაჲნი ფაჩაჲმაჩჲი ჲი ჰაჲც ჰამჲმაჩიჩნაჲ.[1]

1. Ააოჲჯი զაკი ოაჩნ, ჩէ Որգիչ Աստուծոյ զկնի մարմնացուցիս, մի բնութիւն է[2] յերկուց[3]ից խառնելոց մի եղեալ: Եւ այս է խոստովանութիւն Սրբոյն, Պիտոյի, Պողոսի Սամոսատացւոյ, Եւտիքէի, Փիւսկրոսի[3], Մեւեսիոսի[4], Մոսա Եպիսկոպոս, Պարսամի[5], Արքիշա, Յակոբ Ծանծալոսի և այլոցն չարափառութիւնքդ նոցա ժողովոյն, զոր հհատ և որշեաց Կոստանդինուպոլսի[6] երկրորդ ժողովոյն ճՀ սուրբ հարքն[7] յաւուրս Կոստանդիանոսի սուրբ թագաւորին, հօրն Յուստիանոսի Փոքրոն. զորոց հերձուածն յանդիմանէ Փրիգոր Աստուածաբանն ասելով՝ Հաւատամ զՈրդին Աստուծոյ կենդանւոյ[8] կատարեալ բնութիւնս՝ ստուծով և մարդով հոգի և մարմին, չարչարելի և անչարչարելի, մահկանացու և անմահ: Եւ կրկին ասէ՝ Մինն[9] մնաց անչարչարելի և անմահ: Եւ երկիմի ասէ լեռ[10] Երկու բնութիւնքն ի մի ժողովեցան, այլ Աստուած ոչ փոխեցաւ ի մարմին, և զմարմինն առնելով ոչ յաւելաւ ինչ յաստուածութիւնն:

2. Երկրորդ մոլորութիւն նոցա, զի ի հրեշտակական[11] օրհնութիւնս յերից սրբասացութիւնս սուրբ երրորդեան[12] հաստատեալ ասեն գնաչգործսն, զոր առեալ Պետրոսէ Աստուածասէց, զոր ասեալ Յեսուայ, ասեր մի բնութիւն և մի անձն գոլով վերդրոյտ[13]ին և այն խաչեալ և մեռեա-

[1] բաը համառոտեալը CDE. [2] է]—D. [3] Դիոսկորոսի E. [4] Սեւերեան E. [5] Պարսամի DE. [6] Կոստանդինուպոլսոյ DE. [7] սրբոց հարցն E. [8] յերկուս]-D. [9] մին DE. [10] թէ DE [11] հրեշտակայական B. [12] երրորդութեանն F.

მელი ჯუარს ეცუ"[21] — ცხად არს, ეითარმედ შედგომითა პეტრე მაყრაველისა[22] მოძღურებისაგთა[23]. ვინაჲ ამასცა ზედა ამბილებს წარმრეველობასა მათსა სხუათა მამათა თანა ღმრთისმეტყუელი გრიგორი[24] მეტყუელი ესრეთ: „უკუე არიან წმიდანი წმიდათანი, რომელნი სერაფიმთადეცა[25] დაიფარჭან სამითა სიწმიდითა ერთად, რაჲ უფლებად და ღმრთებებად[26] შემოკრბებოდინ". ხოლო უკუეთუ მიზეზობდენ დაწყეველნი[27] და იტყოდინ, ვითარმედ არა წმიდისა სამებისა, არამედ მხოლოდ[28] მას გალობასა[29], მეყსეულად საბელიოზისსა მზრახვალობაჲ[30] ემხილების და არა სამთა, არამედ ერთსა პირსა ღმრთებებისასა[31] რწმუნებაჲ. და კუალად უკუეთუ ძმაც უვიდენ[32], ვითარმედ სამწმიდისა ვიდრემე გალობასა[33] ღმრთებებისა[34] მიმართ, ხოლო ჯუარცმულობასა ძისა მიმართ აღვიყვანებთ, მრწმუნებლობაჲ[35] ემხილების სამებისა წილ ოთხებისა აღმსაარებელთა.

3. მესამე ძჳრ: რამეთუ სამთა ჯუართა შეაუღლებენ და აღჰმართებენ[36] საეშმაკოთა შინა შესაკრებელთა მათთა[37] — ორთა უკუე სწორ საზომთა და სწორ სახეთა, ხოლო ერთსა უკნესსა და უმცირესსა — და წმიდად სამებად უწოდენ მათ. ხოლო ჰქონან საქმესა ამას ორნი დიდნი წვალებანი ერთად უკუე, რამეთუ წმიდა სამებაჲ ეითარცა ნივთიერსა დაჰსახენენ ქუეყანასა ზედა და მეორედ, რამეთუ ერთსა წმიდისა სამებისასა უდარესად აღიარებენ.

4. მეოთხედ, რამეთუ წმიდათა ხუთთა სამოციქულო საყდართაგან უცხო არიან და ჭელთ-დასხმაჲ არავინაჲ აქუს, ვინაჲთგან გარდამავალ ექმნენს წმიდათა მამათა წესთა[38]

ალ, დიდ კანდიმანსა ამჩნაჲს ჭამასა სიერეიდმსჩანს ასალთ ძერძე სიდაათაოსჭმჩის: ეჱ ნიდად պատճառանს სჩმს ძნგ ჲ ჭჱმი იეძალ ძმაჲს ათნთდ: ᲘᲔᲠ ქმთ ჭპაკ ჲ ჭეიგის ნათნძალ ჲ ქაიჭ ჭჩხეთალჭაის სიეიგის[13] ჲ ის სიერჭგ ცჩჭცჩ ათნს ქმთ ათეიგ ცჩეის ქმთ ათეიგ ჭიაჩხეთ იეძალ[14] ძმაჲს ჯიეი ჲიეიგანნს ათბჩნაჩთ ქმთ ათეიგ ძი ანბჩ ათნს ცჩეის Ათჩცჩჭიის: ეჱ ცჩათიაბჩს ჲ ჭპაიეის ჲ ჭიანთანათაის ჲ ჭიაჩკჩაის ნიძა ათათიგნს:

ძისა მიმართ ოდენ ვიტყჳთ ეგეეითარსა

ძჳრ: რამეთუ სამთა ჯუართა შეაუღლებენ და აღჰმართებენ[36] საეშმაკოთა შინა შესაკრებელთა მათთა[37] — ორთა უკუე სწორ საზომთა და სწორ სახეთა, ხოლო ერთსა უკნესსა და უმცირესსა — და წმიდად სამებად უწოდენ მათ. ხოლო ჰქონან საქმესა ამას ორნი დიდნი წვალებანი ერთად უკუე, რამეთუ წმიდა სამებაჲ ეითარცა ნივთიერსა დაჰსახენენ ქუეყანასა ზედა და მეორედ, რამეთუ ერთსა წმიდისა სამებისასა უდარესად აღიარებენ.

3. ეჱ ჭაის ალეიბრიკ ჲერიი ჩაჯა ეჯაჭგჩჭაჩ კაიჭჩნის ჲ ძიეიბჩაჩთაი ჩიცჩაიგ ჲერიი ძიაჯაჩა ჩ ძჩნის[15] ძიიდჩ ჩი ჩ სიიდ ჲერიიდიბჩის კიეიის: ეჱ ის სიდად ჲერიი ჩნერძიაიდა. ძჩნ[16] ჭი ძერიიდიბჩის ჩაჯაჩ ათნს ჩ ძჩნ' ჭი ჩიდჭ ძიდჩჭჩაიგანნს ჲ ძიჭჲ ქაი ჩიდიი ჩიეიგ.

4. მეოთხედ, რამეთუ წმიდათა ხუთთა სამოციქულო საყდართაგან უცხო არიან და ჭელთ-დასხმაჲ არავინაჲ აქუს, ვინაჲთგან გარდამავალ ექმნენს წმიდათა მამათა წესთა[38]

*4 Ջიერიერძին[17], ჭაის ჭი ჩ ჩჩნგ[18] ჩამაჭჩაიჩრჭაის ჩ ჩაიაჭჩაიჭაის ჩჩკჩნჭჩაიგნს[19] ჩაიაჩ ჩნ ჩ ის ჩაიაჩნს[20] ანჩის ჭნჩაიჩაიძჩის: ჭაის ჭი ჯანგაიაიჩ[21] ჩაჩნს ჩაიაჩნჭჩაიჩნგ ნიგჩნ ჩ ჯანძიჩაიჩნს ჯიეიჩაიჩნგ ჭჩჯიიგ ჭჩიიგნ, ჩიდ ჩი ეჩნგ ჩიჭ ეჩნჭჩაჩნიაიჩნს: ჭაის ჭი Ჩჩიჩჩიი Ჭაიჩნის ჭაიიგ ჩ ჩჩნგ ჭჩიიგნ ჯიეიჩაიჩნგ ჭჩჯიიგ ჭჩიიგნ ჩ ჭჩჯიიგ ჭჩიიგნ ჩ ჭჩჯიიგ ჭჩიიგნ ჩ

დამსხმელობასა[39] და ემხილების თჳსთა წიგნთა შინა წერილთა და დღითი-დღე მათ მიერ აღმოკითხულთა სიტყუათა მიერ. რამეთუ[40] გრიგოლი[41], დიდისა სომხეთისა დიდმან და პირველმან ეპისკოპოსმან, მითუცალა ქალაქ-დასხმად კესარიას შინა კაპადოკიისასა[42] ლეონტის მიერ, მთავარ-ეპისკოპოსისა მის ეკლესიისა[43]. რომელმანცა სანატრელმან ლეონტიოს, ეითარცა მეცნიერმან სომეხთა ყოველად ბოროტისა ნებისამან. წერით განუცხადა მეფესა ტირიდატს[47] მიმწერელმან ესრეთ: „ოჲ მეფე, მდღელობაჲ, რომელი შეიწყნარეთ ჩემ[45] მიერ და საყოჩისა ჩემისა[46], უცვალებელად დაჰმარხეთ უქცეველად გებული ჩუენსა ამას წმიდასა დედაქალაქსა უკუნითი უკუნისამდე“. რომლისა მიმართ ამათმან შემწყნარებელმან მეფემან ტირიდატ[47] მიწერა ესრეთ: „ესევითარისა ამის პირისათჳს, რომლისათჳს მოსწერე ჩემდა, ყოველად სანატრელო მეუფეო, თავსმდებად მიგისცემ დიდსა სიწმიდესა შენსა მარჯუენესა მაღლისასა და პატიოსანსა ჯუარსა, რომელსა ზედა ქრისტე ამაღლდა ჩუენთჳს, და წმიდასა ნათლი-ღებასა, რომლისა მიმართ ნათლი-ღებულ ვართ სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა და სიკუდილისა ქრისტესთჳს ვნებულთა[48] წმიდათასა, ეითარმედ შეურყეველად ვეგნეთ ეგევითარისა მაგის აღსაარებისაგან“. ესენი ტირიდატი სხუათა მიმდგომთა მისთა თანა დაწერა მაშინ, ხოლო აწინდელნი სომეხნი შეურაცხის-მყოფელ და მაგინებელ[49] და გარდმავალ არიან ესევითარისა საიდუმლოჲსა.

5. რამეთუ სცთებიან ჟამის-წირვასა შინა მათსა[50] და არა აქუს საიდუმლოჲ მსხუერპლი, რომელი თქუა ქრისტემან სახარებასა შინა, ეითარმედ: „მოიბთ ზუარაკი ჴმებული და *ჴ̃ი. ოჲ, ჲ̃ჩ̃ჲ̃ი ჲ̃ პაოაოაოაოჲ-ჲ̃ჩ̃ი[32] ჲ̃ოოჲ̃ჩ̃ოჲ̃ჩ̃ი ჲ̃ ოჲ̃ჩ̃ოჲ̃ჩ̃ოჲ ჩ̃ჩ̃ჩ̃ჲ̃ჩ̃ჲ̃ჩ̃ჲ ჩ̃ჩ̃ჩ̃ჲ̃ჩ̃ჲ̃ჩ̃ჲ ჩ̃ჩ̃ჩ̃ჲ̃ჩ̃ჲ̃ჩ̃ჲ[33] ჩ̃ჲ̃ჩ̃ჩ̃ჲ̃ჩ̃ჲ̃ჩ̃ჲ ჩ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშამელნი ვიხარებდეთ“.* არამედ სხუად საეშმაკოჲ, რომელი შემდგომათა სიტყუათა შინა ცხად-ეყოთ[51]. რამეთუ იტყჳს საიდუმლოჲსათჳს მსხუერპლისა და ჴამებულისა ზჳარაკისა ოქროპირი: „წმიდა არს მაძაჲ, რომელმან ინება საიდუმლოჲ მსხუერპლი[52]; წმიდა არს ძჳ, რომელი სამარადისოდ დაიკლვის და არადღეს[53] განლოგესს; წმიდა არს სული წმიდაჲ, სრულების-მოქმედი ესეგითარისა მის მსხუერპლისაჲ“, ამათ თანა გრიგოლიცა[54] ღმრთისმეტყუელი[55] ჰმობს: „ამისთჳს კრავად სახელ-იდებისო ქრისტე სიმშჳდისათჳს[56] და შემმოსელობისა პირველისა სამოშულისა[57], რომლისათჳს აწინდელიცა[58] ესე საიდუმლოჲ მსხუერპლი საიდუმლოსა[59] ზედა ტრაპეზსა სამოელ უხრწნელებისა და საბლარდნელ სიწმიდისა მექმნების ჩუენ“.

6. რამეთუ უცომოსა და მკუდარსა მსხუერპლსა მოცემისაებრ ჰურითაჲსა ურცხჳნოჲთა პირითა[60] წარდგებიან შეწირვად წინაშე ღმრთისა, რომლისათჳს დიდი პაული მრავალსახედ ესრეთ მისწერს კორინთელთა მიმართ: „მკირე ცომი ყოველსა შესუარულსა[61] აღაფუენებს“62** და კუალად: „უკუეთუმცა[63] პირველი უბიწო იყო, მეორესა არღარამცა ჰჭინდა ადგილ“64***. და კუალად გალატელთა მიმართ, ეითარმედ: „განქარდებიან ქრისტესგან, რაოდენნი სჯულითა. განმართლდებიან და განვარდებიან მადლისაგან“****. და კუალად: „უკუეთუ ვისმე ჴნებავს[65] ქმნაჲ ერთისა შჯულისაგან, წყეულ არს, უკეთუთუ არა ქმნეს ყოველნი“. და უფალმან ქრისტა შინა საიდუმლოჲ სერობაჲ რაჟამს ინება, მოწყალეთა თჳსთა გამოცხადებაჲ საიდუმლოჲსაჲ არა

კასატად და *დაფად* ა ოჲ ჱ *მრქმაჲ* ჰ *ჴადიდრჩს* ა ოჲ *ოდრახაჩჩ ქჩნჩს ოდრაფა* ჲ *ჴნჩთაჩს ფადრაფაჩ ქადრაჩნჩ** *ჴაჩრს* ა *ოდჩტჩს* ა *ბაოაკჩს*: *Ოდრაჲა Ბაჩქრაქრაჩნნ*[35] *ბაქ* ჲ *ბანჩთა-ქბნნა ბაოდრ. Ბაოდრ* ჲ *ჴაჩრ*, *ოდრ ქაბანგაა ქჩიდრჩდრაფაჩ ფადრაფაა*: *Ბაოდრ* ჲ *ოდრჩ*, *ოდრ ბაოდრ ქჩნჩს* ა *ჴაჩნაჩნ*: *Ბაოდრ* ჲ *ჴიდრ*, *ოდრ ბაოდრ* ა *ოჲ ჴაჩნაჩნ*: *Ბაოდრ* ჲ *ჴიდრ*, *ოდრ ქაბაოაა* ა *ოჲ ჴაჩნაჩნ*: *Ბაოდრ* ჲ *ჴიდრ*, *ოდრ ბაოდრ ქჩნჩს

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცომოდათა, არამედ სრულითა პურითა სრულ-ყო, ვინათგან არღა იყო მაშინ ჟამი უცომოთად[66] შჯულისაებრ ჰურიათაჲსა. ვითარცა მახარებელი იოვანე ღაღადებს განცხადებულად, ვითარმედ: „ხოლო უწინარეს დღესასწაულსა პასექისასა“*, და კუალად, ვითარმედ: „ხვალისაგან მოიყვანეს იესუ კაიაფაჲსით[67] პრეპარატად[68] და იგინი არა შევიდეს, რაჲთა არა შეიგინნენ, არამედ, რაჲთა ჭამონ პასექი“**.

7. რამეთუ წყლითა არა განაზავებენ[69] საღმრთოსა საიდუმლოსა. და ამისთჳსცა ღმრთისმეტყუელი იოვანე დასწერს მეტყუელი, ვითარმედ: „ესრეთ არს სულითა და სისხლითა და წყლითა, და სამნივე ესე წამებენ და სამნივე[70] ერთ არიან“***. და ვინათგან პატოსანი უკუე ჯუარი ტრაპეზად იწოდა, ხოლო ჯორცნი უფლისანი პურად ცხორებისა და წყალსა საიდუმლოჲ ღმრთეებისაჲ აქუს, ვინაჲცა საღმრთოჲ ჟამის-წირვაჲ, თჳნიერ წყლისა ქმნილი, ლტონსა კაცსა მოასწავებს.

8. რამეთუ თჳნიერ მარილისა შეიქმან მათ მიერ შეწირულსა საიდუმლოსა და არა ესმის უფლისა მეტყუელისაჲ მოწაფეთა მიმართ: „თქუენ ხართ მარილნი სოფლისანი“**** და ვითარმედ: „ყოველგუარი მარილითა დაიმარილოს“*****.

9 (9). რამეთუ ხარებაჲ ღმრთისმშობელისაჲ არა უწყიან. არცა აღმოიკითხვენ, ვითარმედ კუალად თაესისუფლებისა უწყებანი და შემდგომი.

ფონი ფაიკრი: *ნა. Ქალაქი Ტრაპეზი ბანკი ხიდი ტაძარი Ტრაპეზი ბანკი ხიდი ტაძარი Ტრაპეზი ბანკი ხიდი ტაძარ

ეროვნული ბიბლიოთეკა

10 (9). რამეთუ უცნობელ არიან და უგულისჴმო უფლისა ჩუენისა[71] იესუ[72] ქრისტეს შობისათჳს და არცა-ღა თუ წმიდისა გრიგოლ[73] ღმრთის-მეტყუელისასა ირწმუნებენ ესრეთ თქუმასა:[74] „ქრისტე აშვების, აღდებდიო“.

11 (9). რამეთუ იანვარისა თთჳსა[75] ხუთსა ჰყოფენ ხარებასა უწესოებით[76], არა[77] პატივად ღმრთისმშობელისა, არამედ უფროჲს-ღა უპატიოებად, ვინაჲთგან საიდუმლონი უფლისა ჩუენისა განჴაცებისანი წესისაებრ წელიწადისა სრულ იქმნებიან.

12 (9). რამეთუ არა ეჭუსსა იანვარისასა[78] დღესასწაულობენ ნათლობასა, არცა აქუს ხარებურთით განგებაჲ მის დღესასწაულისაჲ[79], არამედ მხოლოდ განლეულ ოდენ[80] მდინარედ მაჩუენებლობით[81]. ხოლო ამისებეს მათ ღმრთისმეტყუელი გრიგოლ[82], დღესასწაულობდეს რაჲ მას დღესა, დაწერდეს: „კუალად იესუ[83] ჩემი და კუალად სიდღეშიო“.

13 (9). რამეთუ დღესასწაულობენ ცხრასა იანვარისასა სხუასა ხარებასა, რომელ არს წვალებაჲ დიდი და გალობენ დასდებელთა ხარებისათა და წარიკითხვენ სახარებასა ხარებისასა. ხოლო სახმარ არს ცნობად, ვითარმედ ყოველთა აპრილისა თთუეთა გარდაიჴდინ ხარებასა; ხოლო ქრისტეს შობასა, იანვარსა თთუესა, მიმწუხრი უკუე ქრისტეს შობასა დღესასწაულობენ, ხოლო ცისკრად ეჭუსსა მისე ათჳსასა — ნათლობასა.

14(9). რამეთუ დღესასწაულობენ თორმეტსა[84] იანვარისასა[85] ნათლის-ღებასა ქრისტჱსსა და გალობენ ცისკრად ყოველსა განგებასა განცხადებისასა, რომელ არს გარდაქცეულებაჲ დიდი.

15 (10). რამეთუ არა აქუს მიჰრონი[86], არცა რაჲ ნიეთი შეზავებისა მი-

ალჭეს[57] მყრთალჰრს ათჳს თჳსჲსაჲ[58] Ორჲქს და ფარეტყოჲს[58] ენთხრჰრსა[59], ფრთა და ფრჩილებრჰრის ენდ ააოთხაჲთჳს ჰრ და ხთანჱსაჲ ათჳს, ნიჭიერი და ფერით დაჲ ხთანჱსჲს და ოდნაჲს ოჲ დიე, ყოო აჲდ[60] ჰრეს ენდ ხთიეთაჲ ათჳსაჲ ყოო ფარეტყოჲს ჰრაჲს ათჳს, ოდ ჯაჲს ნარ და ნიჭიეს[61] ჰრძანეს და ჴიერჲდ Ორჲქ Ააოთაჲ ცხაჲ ათჳს და ყანჭრჰრათჳს ი Ქრჰსაოო[62], ოდ Ჯაჲდაჲრჰრის ფაფანჯჰრმჲს[63] ჲ ჰრთა ათჳსჲს დაოთჱჰრათჳს ააჴ' ცხაჲ და ყოოთანჲს ფჩჱნიეიდჲ. ჭჱსაჲს ყოოჲჰრის: ნი. ჰრეჲ ყეაჲს აოთაჲდ ჲჴნჲდაჲს ენჲს ოთაჲთჳს ფჲნჲდ[64] ათჳს და ჰრყოოჰრის და ჰჭჱოოა ეი ოთაჲ ჰრჩიჲნჱჲ ალჲთაჲ ყიეიე ყაოჲჰრ[65] იეიდ Ჭაქაჲფოო[66] და ყანჭრჰრათჳს ქაოოთაჲდაჲჲნჲს[67], ოდ ააჴ' Ჩჲჩიოოა ბჲნაჲ ენჲს და აიდ' Ჩჲჩიოოაის ყაოთანჲჰრათჳს ათჳს ჱ. ფჲ ჩჩჱყაჲ ააოთაჲ ოაიდ ბჲნჲდთოო ჩჲნჲდაოო ენდ ჩჲ აიდ ბჲნჲდჲნჲს[68] ფჲჩჩჱჯჱჩაოო ათჳსჲ-ყიეიდ ენდ აოო: Ხაჲ დჲყოოჰრჰრსჲს ჲნ ჭაოთაჲ ოაიდ ჩჲ ჩჩჱჭჱჩაოო აოო ჩჲ ჩჩჱჭჱჩაოო ათჳს ჱ. ოოაიიეიდაოოჰრჰრის ყოჯჱ ჲ ი ჩჲნჲდაოო:*

10 (13) Ჭჰ ი ათჳს ჰრჩიაი[68] ჱ ი ჩჲნჲჭ ხთანჲდთოო ჯიეიაი, აოო ჭჱი ყჲნჯჰრჱაჲ[69] ი ჩჲნჯ ხთანჲჭჰ ათჳს ჱ

71 ჩუენი F. 72 იესო F. 73 გრიგორი CF. 74 თქუმადსა D, თქმასა F. 75 თთჳსსა DF. 76 უწესოებითა GD, უწესოებით-ღა F. 77 არა]—DFG. 78 იანვრისასა E. 79 დღესასწაულისაჲ F. 80 ოდენ]—DEF. 81 მაჩუენებლობით C. 82 გრიგორი C. 83 იესო F. 84 ათორმეტსა F. 85 იანვრისასა CG. 86 ჰირონი DF.

57 յայգուն E. 58 մարկոսին E. 59 ընութիւն ընն E. 60 աջօր C. 61 ճգի BC. 62 յՈւսկասու AB. 63 պապան ումն B. 64 գծնունդն B. 65 կարծիր E. 66 Յովսեփայ D, Յովսեփոյ 67 գծննդեանս ABC. 68 մերոյ ABC. 69 կնչբեա ABC, կննբեայ E.

* შდრ. Ლიტ. 1, 22—26.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სისაჲ, არამედ ბალასანსა ზეთსა[87] იჭმარებენ მიჰპრონად და ჰყიდიან მას დიდ ფასის.

ჲ. ჴრამას[ა] ანჩილ ქრისტეშვილ-ნილ ფსა, ჲ ჯანფიმანზს ჩ ჴნიფს ამანნიფსაც, ფს ბჭლ ბჩლნნსაც ჭნს ობჭლჩ ბოფაცაროფ ჲ ქარნანოჭნ ჲ ფიჩს ჲ ხაინთოჭნ[70] ჩიკ, იფ ყიჭნ[71] ნაფოფი ჲჲ ჩ ნიფიოპა ამანნიჭს აიაფჩიყაის ნჩსფიყნ ფსიფს ანჩს, ფაკ ჩ ნიფიოპა ამანნიჭს აიაფჩიყაის ნჩსფიყნ ფსიფს ანჩს ჭნიფიფ ჭნ[72].

16 (11). რამეთუ ნათლის-ღებასა არა სცხებენ ზეთსა ახალ ნათელ-ღებულთა მათ, არამედ უდებ-ჰყოფენ, ვითარცა მწყალებელნი და ნაწილნი შეჩუენებისანი, რომელი-ესე წერით მოცემულ არს და წესად ეკლესიისა[88] დამტკიცებულ არს. რომელსა დიონჳსიოსცა[89] არეოპაგელი[90] იგავის სახედ სარწმუნო-ჰყოფს ცრისთ თქუმითა, ვითარმედ: „ჟამსა დგენთ[91] სრბისასა, გამოცდილნი მსრბოლნი სცხებენ თავთა თჳსთა ზეთსა, რაჲთა არა ადვილად შეპყრობილ იქმნენ წინააღმდგომთა მიერ. ეგრეთვე ნათლ-ღებულნიცა ზეთსა იცხებენ, რაჲთა არა ვითარ სახედცა უფლებულ იქმნენ წინამოსჯულისა ეშმაკისაგან, არამედ განერინენ ცხებითაცა[92] ზეთისაჲთა და წმიდისა ნათლის-ღებისა მიერითა შეწევნითა სულისა წმიდისაჲთა“. არამედ დიდისა სომხეთისა პირველმან ეპისკოპოსმანცა გრიგოლ[93], ოდეს-იგი ათცხრამეტთა ბევრეულთავე მდინარესა შინა ევფრატსა ნათელ-სცა, ესოდენი ზეთი წამოაცალეერა[94] მათ ზედა, ვიდრემდის კნინღა ყოველისა მის მდინარისა აღვსებამდე და სრულებით გარეშეცვად მათდა. აჭუს უკუე მამხილებელად დიდი პაპაჲ სილვესტრისცა[95], რომელი ნათელ-სცემდა-რაჲ დიდსა კონსტანტინეს[96], ზეთი სცხო პირველად, რამეთუ წერილ არს, ვითარმედ „მცხებელმან მისდა ზეთისამან ნათელ-სცა მას“.

ნჩ ჴრამას[ა] ანჩილ ქრისტეშვილ-ნილ ფსა, ჲ ჯანფიმანზს ჩ ჴნიფს ამანნიფსაც, ფს ბჭლ ბჩლნნსაც ჭნს ობჭლჩ ბოფაცაროფ ჲ ქარნანოჭნ ჲ ფიჩს ჲ ხაინთოჭნ[70] ჩიკ, იფ ყიჭნ[71] ნაფოფი ჲჲ ჩ ნიფიოპა ამანნიჭს აიაფჩიყაის ნჩსფიყნ ფსიფს ანჩს, ფაკ ჩ ნიფიოპა ამანნიჭს აიაფჩიყაის ნჩსფიყნ ფსიფს ანჩს ჭნიფიფ ჭნ[72].

17 (12). რამეთუ გარდამავალ არიან მცნებათა ქრისტჱსთა, რამეთუ მან უკუე მოწაფეთა თჳსთა „მამაო ჩუე-

11 (16) ნიჭსაჲ ა ჲ ჩყიფაჭს ოჭ ობანჭს ნაჩ ბჭჩოფს ჭჩყიფაჭსაჭს, ჩყი ანჩიფყჩ ანჩს ჲ ჯანფიმანჭს ჯაობჭიფაჭს, ჩი[72] ყიფაჭყიჭს, ოიაჭჲ ყჩჭ ჩნბნ ჩიიიჩაჭსა ობანჭს ბჭჩოფ ჩყიფაჭსაჭჩ ჲ ფიჩს ჲ ხაინთოჭნ ჩიკ, იფ ყიჭნ ნაფოფი ჲჲ ჩ ნიფიოპა ამანნიჭს აიაფჩიყაის ნჩსფიყნ ფსიფს ანჩს ჭნიფიფ ჭნ. ნიჭსაჲ ა ჩყიფ ბჭჩოფს ჭნიფიფ ჭნ ჲ ნიფიოპა ამანნიჭს აიაფჩიყაის ნჩსფიყნ ფსიფს ანჩს ჭნიფიფ ჭნ[73] ჲ ნაჩაიაიაყაის ჲ ნიფიოპა ამანნიჭს აიაფჩიყაის ნჩსფიყნ ფსიფს ანჩს ჭნიფიფ ჭნ[74] ჲ ჩჭიაიყ, ოიაჭ ყიფაჭყიჭს ჲ ნიფიოპა ობანჭს ბჭჩოფ ბჭჩოფ ჩყიფაჭსაჭჩ ჲ ჯნიფიფ ჭნ ჲ ნიფიოპა ამანნიჭს აიაფჩიყაის ნჩსფიყნ ფსიფს ანჩს ჭნიფიფ ჭნ[75] ჯაიყ, ყიფაჭ[76] ჭჩნს ა ოიაჭს ბჩიფს ჲ ჩყიფაჭსაჭს ბჩიფს ამყიფჩ ჲ ჩჭიაიყ ნიჭიფაჭ, ოიაჭჲ ბჭ ჭნიფიფ ჭნ ჩნიფიფ ჩნჩ ჭნიფიფ ჭნ ჲ ჯნიფიფ ჭნ ჩნიფიფ ჭნ ჲ ნიფიოპა ამყიფჩ ჲ ჩჭიაიყ ნიჭიფაჭ, ოიაჭჲ ბჭ ჭნიფიფ ჭნ ჩნიფიფ ჩნჩ ჭნიფიფ ჭნ ჲ ჯნიფიფ ჭნ ჩნიფიფ ჭნ ჲ ნიფიოპა ამყიფჩ ჲ ჩჭიაიყ ნიჭიფაჭ[77] ჭნიფიფ ჭნ ჲ ჯნიფიფ ჭნ ჩნიფიფ ჭნ ჲ ნიფიოპა ამყიფჩ ჲ ჩჭიაიყ ნიჭიფაჭ.

[87] ზეთისასა C. [88] ეკკლესიისა B, ეკლესიისა F. [89] დინჳსოსცა B. დიონჳსოსცა C. დინჳსოსცა E. [90] არიოპაგელი DFG. [91] დგინებით DFG. [92] ცხებითა DFG. [93] გრიგორი C. [94] წარმოაცარილა B. [95] სილვესტროცა C, სილვისტროცა CDEFG. [96] კოსტანტინეს DEG.

[70] ხაინთოჭნ D. [70] ყიჭსიჭ E. [71] იფ DE. [72] ყიჭნს E. [73] ჲ ნაჩაიაიაყ... ყიჭნყნს]—E. [74] ყიჭნყნს] ნყიჭნს C. [75] ნაყიაყიფაჭ E. [76] ჯაიყ]—E. [77] ნიჭსაჲ]—E.

ნო, რომელი ხარ ცათა შინა“ * ამცნო ლოცვად. ხოლო ამათ არცა ერთსა ლოცვასა შინა ამისი თქუმად დაუც[97] შჯულად[98].

18 (13). რამეთუ ნათლის-ღებასა შინა არა იქმნების მათ მიერ შებერვად ნათელღებულთა. დაღათუ ჴმობს ღმრთისმეტყუელი გრიგოლ[99]: „მჭნარ სამნი შებერვანი სარეფთელისა ძისათჳს, რომელთა მიერ განვაცხოველო იგი მომუღდარი“. და სხუაგან წერილ არს, ვითარმედ: „სამი შებერვად სულსა[100] ცხოველ-ჰყოფს, ცოდვასა მოჰკლავს და ქრისტეს შეჰმოსს ნათელ-ღებულსა“.

19 (14). რამეთუ პატიოსანთა წმიდათა ხატთა ქრისტწსსა და ღმრთისმშობელისა[101] და ყოველთა წმიდათასა არა თაყუანის-სცემენ[102], დაღათუ აქუს წერილად წიგნთა მათთა შინა[103] ესე მისე დიდისა ჰრომთა პაპისა სილუესტროჲსთჳს[104], ვითარმედ დიდმან მეფემან კონსტანტინე[105] წმიდათა ხატთა მიერ პეტრესსა და პაველსსა იცნა ჭეშმარიტებაჲ და მაცხოვარებაჲ.

20 (15). რამეთუ ჟამსა წმიდისა ზიარებისასა არცა ეკლესიად[106] შეველენ, არცაღა ჯუარსა თაყუანის-სცემენ[107].

ცხრისხა[78]** და თქუა მე ჲ მი ოფლი ესე კარგსგჳნ თანა ყოფა[79]:

13 (18) ჳრ ჲ ძყრთაჱჩრჲნ ჲცრსთნე ნც ჳჩჲნ ჲ ძყრთასაჲნ ჲ ყანჯრმანჲნ ჲ ჩრჲსთოსჲ, ოი ჳჩჲნ ყთაჭჯსაჲნ ჩნთაჩ ოსცრ: ნჲ. ნჲჭსთაე[80] ჳჯსთაცრ ფანთაჩ ძყრთაჩ ჲრსხრჲსთმყთნეჲნ[81] ჩჲნჩყნთაჩყთნეჲ: ნჲ ჲრონსხრთსთ ოი თაჱ, ხრჱ ნრჲსთ ჳჯსთაცრ ჩნთაჩ ჩჲნჩყნთაჩყთრჱჱ, ჩჯნთი თაყნჱჱ, ჲ ჩჩრჲსთოსი ყჩჩყთყთაჩ ძყრთასჲნ:

14 (19) ყანი ჩჲ ჲ ფაოთაჩაჲნ ჲ ოსცრ ფაოჩჲჩრაყნ[82] ჩჩრჲსთოსჲ ჲ ჱაოთაჱაბაჲნ ჲ ამნჲაჲნ ორჩთყ ოჲ ხრჲჩრფაჩყნჲნ, ოჱჱ ჩოსი ჩჩჲნი ნჲნაი: ნჲ ყანჯრმანჲნ ჲ ჲიჲ ჩჲჩი ჩ ჩრჲსთოსჲ, ორ ჩჲჩ ფაოჩჲნ ნი Ორჩთაი[83] ჲ ჱაოთაჱაბაჲნ ჩჲნი ჩრჲსთოსჲ[84] ნაი: ნჲ ჳიჩჯი ჱაოჩ ჯჩჲნ ჲ ჱაჩაორჩნჲნ ჩჩრჲსთოსჲ ჩჩრჲსთოსჲ ნჩრაფჲნ ჩ ჭნჩ ყაჩნაყნ ჩჩჲნ[85] Ჰაყრსაორი[86] ჩნჲნ ჩაოჱაბჯყნ ფაოჱაჩრჲნ ოსცრ ჱაოთაჩაჲნ ფსაორ ჲ ფოყნ ჩაჩაჱაჲ ჲ ჲიყნ ჱაი[87] ფაჱაჱაი ჲ ფჩრაბჲნ:

15 (20) ნჲ ჩჲ ჲ ჟაი[88] ჱაოჩჲნყნ ოაი ჰაყრყთყბჲნ[89] ჩჩრჲსთოსჲ ნც ყაჱაჩნაყნ. ჱაჱ ფაჩაჲ ჲნ ჩაჲ ჩჩრჲ ჩჩრჲსთოსჲ ნჲნა ჩჩრჲსთოსჲ ჲ ნჲნა ჩჩრჲსთოსჲ ჲ ჩრჲსთოს

ჩუენებულ ყოვნ". ამისთჳს შიშითა ესევითარისა მის[109] შეჩუენებულისაჲთა[110] წმიდათა შინა და დიდთა

21 (16). რამეთუ შჯულად[108] დაუცთ. ვითარმედ: „ვინცა ვინ შაბათი ანუ კჳრიაკე მარხეასა თანა აღრაცხნეს თჳნიერ ხოლო განცხადებისანი, შემარხეთა შაბათსა და კჳრიაკესა ჴამენ[111] სძესა და კუერცხსა[112] და ერბოსა, რომელ ნიმე ცხადად. ხოლო რომელნიმე იდუმალ

22 (17). რამეთუ საჴსენებელთა[113] წმიდათასა არა აღასრულებენ ამით, რამეთუ უცხონი არიან მათგან, არცა ჰრწმს ოჭროპირისა ესრეთ მეტყუელისაჲ, ვითარმედ: „ფრიადითა კადნიერებითა მდგომარე არიან წმიდანი[114] წინაშე ღმრთისა".

23 (18). რამეთუ მიცვალებასა ღმრთისმშობელისასა და ამაღლებასა პატიოსნისა ჯუარისასა დაღთუ დღესასწაულობენ, არამედ, ვითარცა[115] მპარავნი, ოდესმე სხუასა ადგილსა გარდაჲქდიან მას და ოდესმე სხუასა.

24 (19). რამეთუ ჭმაგანსმენილობით ქადაგებული მათ[116] მიერ მარხეაჲ არაჲგორისაჲ, რომელი მიიღეს მათ ულმრთოთა[117] და საძაგელთა მანწკურტს[118] და თეოდოსიპოლის[119] შეკრებულთა მწუალებელთაგან, რომელნი გამოსთქდეს[120] მართლმადიებელთა სარწმუნოებისაგან და დაწესეს ესევითარი ყოვლად ბილწი მარხეაჲ, მსგავსი არს იეზაბელის მარხვისაჲ[121], რამეთუ მათცა ქადაგეს მარხეაჲ არა სიმართლისა და სიწმიდისა, არამედ დათხევისა სისხლთაჲსა მჭრებელი და[122] მიზეზითა მის მარხვისაჲთა მოკლეს ნაბოთე, რომელსა მრავალთაგან მრავალთა წიგნთა შინა განაქიქებს საღმრთოჲ ოჭროპირი და

16 (21). Զի օրինադրեալ ոչ թնաւ պահէ զշաբաթ[90] կամ զկիւրակէ[91], բայց միայն ի կապանդէն պահոցն և յայս գմնծի պահոցն զշաբաթս և զկիւրակեայսն[92] լուծանելն, ասեն կիր՝ ամենք յայնի և ամենք ի թագստի:

17(22) Զի լիշատակս սրբոց գկատէին ոչ պատուին, այլ օտարք գոն ի նոցանէ.

18 (23). Եւ գննջումն Աստուածածնին և բարձրեալին խաչին վերացեալ և ասենն[93], այլ ոչ լիւրում ատրն, այլ երբեմն լիտուլ կամ լատաք փոխիսկոլոյ:

19 (24). Եւ գի հաչակելի է նոցա պահքն, որ կոչին աստաջատ, զոր[94] կարգեաց մեծ Ժողովն Մաածակերտի և Թէոդոսիոպոլին. վասն գի անդ Ժողովոյ քարոզին գայս պահս և գկնի պահոցն հերձուածոյն չամինացն հիմնեալ Աստուածոյ և լուզդափառ[95] հաւատոյ, և ի նախնեաց իւրեանց՝ ի սրբոյն[96] Գրիգորէ[97] և յալլոցն, որք[98] չորսարիւր և վաթսուն սմ ուղղափառք էրն, և հգև պահս այս ոչ ի միաբանութիւն, այլ ի քակտումն նոցա հաւատոյ իբրև զպահք Եգաբելի, որ կարգեաց պահս[99], և հնդոյ գարիւն Նաբոթեայ տարապարատոյ, զոր հայհոյէ ի բազում[100] գիրս Յովան Ոսկերբերանն՝ ասելով. Մվ պահք, բաժին նենգութեան,

---

108 Եջ.ելա G. 109 մեն]—F. 110 Շրիչուենծնասաց G. 111 Լիձամենք DG. 112 կզերկնես D. 113 Սաչսենդեալես CDG. 114 Գիոգանով]—DFG. 115 ցոտարգա]—FG. 116 Մատ] մոն C. 117 Ըզտոտոտս G. 118 ՁՇչչեռրէթ BCDEFG. 119 տոդոտրտոպոլսն DFG. 120 քամոսնչդոյն BCDEFG. 121 Մարեցայս D. 122 ըս] համոյտ BCEFG.

90 գշաբաթ]—A, 91 գկիւրակէն A, կիրակէ CDE. 92 գկիրականն DE. 93 ասենն C. 94 զոր]+գշաբաթ A. 95 ուղղափառ E. 96 սբբոյնն]—C. 97 Գրիգոր Լուսաւորչէն C. 98 որ ABC. 99 պահն]+առ BCDE. 100 բազում]+և C.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოტყს: „ოჲ მარხვაჲ, ნაწილი ზაკუესაჲ[123], სახლი ანგარებისაჲ[124], საჭურველი სისხლის დამთხეველობისაჲ და საღმრთოჲსა რისხვისა აღმძრველი“. ეგრეთვე მწვალებელთა მთ სოფლიოჲ. ეგრეთვე მწვალებელთა მთ სომეხთა ეგეევთარივე ქადაგეს მარხვაჲ არა განწმედისათჳს, არამედ მართლმადიდებელისა სარწმუნოებისაგან[125] გამოხეთქისათჳს თავთა თჳსთაჲსა, და ესრეთ განაშგარეს და განამტკიცეს იგი, ვიდრემდის ესრეთ ეშინის მისგან, ვითარცა რისხჳსაგან ღმრთისა. გარნა უკუეთუ ჰკითხო ვისმე მათგანსა ეგეევთარისა მის მარხვისათჳს, მოგიგნეს შენ მტყუარნი და საძაგელნი სიტყუანი. და უკუეთუ კუალად სხუასა — სხუანი რაჲმე გრილნი და შეუწყობელნი და საენებელნი, და ესრეთ არა ურთიერთას[126] თანა-მოწამე[127], არამედ უფროჲსად წინააღმდგომად[128] არიან მათისა[129] მის მარხვისათჳს. ხოლო დასწერს იგავთა აღმწერელიცა, ვითარმედ: „როჲსეი ესვიდეს ტყუილთა[130], მწყსის იგი ქართა და ვალს ადგილსა უდაბნოსა და ურწყუელსა და უნაყოფოსა“*.

თჳს ადარსებისაჲ: ნიუსტუი ხილვაჲსა აჲსა აქუს ადგილი ქადაგებაჲ, ეჴ კაცთაჲ სულთქმისაჲ აქუს ადგილი ქადაგებაჲ, არა ცისაჲ და ქუეყანისაჲ, არამედ ზეცისაჲ და ქუეყანისაჲ.

25 (20). რამეთუ ყველიერი, რომელი მიიღეს ქრისტეანეთა წმიდისა სილვესტროჲს[132] და წმიდისა კონსტანტინესგან[133] და შემდგომითი შემდგომად ყოველთა წმიდათა მამათაგან და წმიდამან ბასილი[134] დაამტკიცა და უქცეველჰყო[135], ამათ შედგომითა[136] უღმრთოთა წვალების დასაბამთაჲთა[137] შეაბილწეს.

20(25). ჳს დაშაბრიოთჳს[104], დიდ ათნჳს[105] დღჱთაჲსაჲ ჲ მსგრძნობიარეთ ქადაგებაჲსაჲ ჲ ამისთჳს ნათლისღებისა დაშაბრიოთჳს ადგილსა ნათლისღებაჲსა აქუნდეს და ამისაჲს ნარჩუნ და ძეთაჲ[106] ეკლესიაჲ[107] და ნათლისმცემელნი, ადგილ ჲ ნიუს ძეთაჲს მაშინაჲსკენაჲ ლიტჳს.

26 (21). რამეთუ შეურაცხ-ჰყოფენ საღრთოსა ჯამოს-წირვასა და არცა შეიმოსებიან, არცა აქუს[138] შესამოსელი წმიდისა ჯამოს-წირვისაჲ, რომე-

21 (26). ნიუ ჳს არჩამარჩნს[108], ათისთაჲსაჲს ფსალმაჲს ჲ ილ ანჩნს ნანგრეჲს ფსალმაჲს[109] ჲთრჲდაკანაი, ენდ ჴნის ნიდიჲ[110] ათანფილჩისანს ქანანაკიაჲსაჲ ისქიაჩეს, დიდ ათნჳსანაც მაიქსე[111] ანჩს ათაჩჩიჲს ფსალმაჲსაჲ ჲ ილ ირჩაკ, ისაჲსი ათაყ[112] ანაგრიათიი

123 ზაკჳა C. 124 ანგაჭრებისაჲ BD. 125 სარწმუნოებასთჳს C. 126 ურთიერთ არს BE. 127 თანა-მოწამჱ BDF. თანა-მოწამენი C. 128 წინააღდგომ CEF. წინამდგომად DG. 129 მათისაჲ]—DG. 130 ტყუილსა DG. 131 და ვალს... უნაყოფოსაჲ]—DG. 132 სილვესტრობას F, სილვესტროს DG. სილვესტრ DG. 133 კოსტანტინესგან CDEFG. 134 ვასილი C. 135 უქცეველ-ყო BCE, უქცეველ-იყო DFG. 136 შემდგომთა C, შედგომთა D. 137 დასაბამთათაჲ]—DG. 138 აქუნ D.

101 ნნრბიიმან A. 102 ნრჲE. 103 յուսո ABC. 104 պասհարտոյն AB, պասիրոյն C. 105 սուին ABC. 106 ժողովն ABC. 107 ընկալյաւ AB. 108 արհամարհին C. 109 պատարագի DE. 110 ნიდი AB. 111 զեկնեալոդաց C. 112 ասէ C.

* იგავნი 9,12.

ლი კანონით დაწესა[139] დიდმან სილვესტროს და ცხად-ყო საიდუმლოჲ მისი თქუმითა ესრეთ, ვითარმედ: „ფელონისა გარეშემომცველობაჲ ვითარცა ზღუდისაჲ და ყოველთა ასოთა მღდელთასთა შინაგან შემაწყუდველობაჲ დაჰსახავს, ვითარმედ შიშითა ღმრთისაჲთა უკჳმს მას შეყენებაჲ უშინაგანესთა შინა ადგილთა გონებისთა და მუნ ზრახვაჲ ღმრთისაჲ“. ხოლო იგინი თითოეული თჳსითა ტანისამოსითა[140], რომელითა მოჭაღებას და იქცევის და შურებს, მითჳ შევლენ საკურთხეველად. არამედ ეპისკოპოსნიცა მათნი და კუალად მონაზონნიცა, წინამძღუარნი მონასტერთანი, არა ხოლო[141] თავდაბურვილნი წირვენ, არამედ კუალად სხუათაცა დაიბურვენ ჭუდთა და ორითა ჭუდითა წირვენ.

ლ[139] დაწესა] დაამტკიცა DG. 140 ტანისამოსთა F. 141 ხოლო] + რამეთუ ADEFG.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ра նոցա և միւրքա զանազան[131], կա-
խեն ի նմա[132] և մոռեղիսն ի մէջ
աղջերացն, և[133] բերեն ի դուրս եկի-
զեցուին տան նմա աղ օրհնեալ յօ-
րինակ մտացն[134], և օծանեն իւղով
զանգամս նորա[135], և այնպէս զենեալ
կերիցին, և այնիւ տանն ունել[136] թո-
ղութիւն մեղաց կենդանեացն և մեռե-
լոց. և վասն որով ոչ զենցի և ոչ ունի թողութիւն և ոչ թողեսցի օրհ-
նութեամբ և ոչ նմա[137] պատարագ լինելով հնար է:

25 1. Եւ վասն զի կենդանեացն ոչ
առնեն պատարագ և յանդիմանին ի
Քրիստոսէ, որ յաղագս կենդանեացն
և որ զեռնս լինին և լինելոց են, մա-
տոյց զիւր անձն պատարագ և հրա-
մայեաց մատուցանել վասն ամենե-
ցուն ի թողութիւն մեղաց:

26 (30). Եւ զի անհատաւոք գոլով
այսորիկ ևթէ արիւնն Քրիստոսի
հեղեալ վասն թողութեան մեղաց աշ-
խարհի, ասեն՝ ևթէ[138] ոչ հեղցի արի-
ւնն անասնոց՝ յաղագս հեղուլոյն[139] հան-
գիցեալ[140], ոչ լինիցի[141] թողութիւն
մեղաց նորա և ոչ մաանէ ի հան-
դիստ պատարագին մարմնոյն[142] և
արեանն Քրիստոսի:

[131] միրգս զանազան E. [132] նմայ C. [133] և + յորջ առ ձգեն ի վերայ և C. [134] մտաց E. [135] նոցա E. [136] լինել A. [137] նմայ C. [138] թէ E. [139] հոգւոյ E. [140] հանգուցեալոցն ABC. [141] լինի E. [142] մարմնոյ E.

30 (26). Համեմատ ցանկալի և ազնուական առաքինի ամենայն, ըստ նմանի ճշմարիտ քրիստոնեայ ամենայն և ըստ նմանի սիրելի Քրիստոսի ոչ ամենեքեան կարեն զանձինս իւրեանց ընդունել զանարգութիւն մահուան խաչին, զոր ինքն Քրիստոս ընդունեցաւ վասն մեր, զ

В исследовании автор приходит к двум основным заключениям:

а) Трактат «Тридцать глав ереси армян», возможно, переведен на грузинский язык с сочиненного в VIII веке на греческом языке антимонофизитского трактата.

б) Пространные комментарии к древнеармянскому переводу сделаны на рубеже XII—XIII вв. В них отражается историческая концепция перекликающаяся с трактатом Арсения Сапарского — «О разделении Картли и Армении».

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქ. ჯანაშია დოლაძიძე

ილარიონ ქართველის სახელზე დაწერილი საგალობლები

უცნობი ავტორის საგალობელი

ილარიონ ქართველის სახელზე დაწერილია სამი დიდი ფორმის საგალობელი (კანონი). ერთის ავტორია XI ს. მოღვაწე „უღირსი“ ზოსიმე, ათონის ჰიმნოგრაფიული სკოლის წარმომადგენელი. საგალობელი მოღწეულია ჩვენამდე ათონის 1074 წლის აღაპებიანი ხელნაწერით[1].

მეორე საგალობლის ავტორი უცნობია. ეს საგალობელი მოთავსებულია ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიულ კრებულში, Jer. 71-ში[2]. საგალობელი უმნიშვნელო ცვლილებებით გიორგი მთაწმიდელს შეუტანია თავის რედაქციის „თუენში“ (Jer. 124), რის შემდეგაც იგი ფართოდ გავრცელებულა: ჩვენამდე მოღწეულია ამ საგალობლის შემცველი არაერთი ჰიმნოგრაფიული კრებული.

მესამე საგალობლის ავტორია ანტონ I კათალიკოსი. ეს საგალობელი მოთავსებულია ანტონის „სადღესასწაულოში“[3].

საძიებელია მეორე საგალობლის ავტორი, დაწერის ადგილი და დრო.

უცნობი ავტორის „დასდებელნი წმიდისა ილარიონ ქართველისაჲ“ წარმოადგენს დიდი ფორმის საგალობელს, რომელიც რვა გალობისაგან შედგება: უგალობდითსაჲ, განძლიერდითსაჲ, მესამასაჲ, ღამითგანისაჲ, ღაღადყავისაჲ, კურთხეულ არსაჲ, აკურთხევდითსაჲ, ადიდებდითსაჲ.

საგალობელს თავსა და ბოლოში მიერთვის მცირე ფორმის ორი გალობა: უფალო ღაღადყავისაჲ და აჰებდითსაჲ. დაწერილია საგალობელი მეოთხე ხმაზე.

პირველი ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიული ძეგლი, რომელშიაც გვხვდება ილარიონ ქართველის სახელზე დაწერილი უცნობი ავტორის საგალობელი („აღვახუნეთ დღეს, მორწმუნენო, ბაგენი ჩუენნი“...), არის ხელნაწერი Jer. 71, რომელიც შეიცავს კალენდარული თანმიმდევრობით დალაგებულ სექტემბერთებერვლის საგალობლებს (XI—XII ს.)[4].

იმისთვის, რომ მიახლოებით მაინც შემოიფარგლოს ამ საგალობლის შექმნის ქრონოლოგიური საზღვრები, საჭიროა გაირკვეს Jer. 71 ადგილი X—XI სს. ჰიმნოგრაფიული კრებულების ჯგუფებში.

---

[1] A 558. საგალობელი გამოქვეყნებულია: ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი აღაპებით, ობ., 1901, გვ. 177.

[2] Jer. 71, II. 112v; საგალობელი გამოქვეყნებულია: სადღესასწაულო, მოსკოვი, 1865, გვ. 335.

[3] S 1464, 208r, საგალობელი გამოქვეყნებულია: სადღესასწაულო, მოსკოვი, 1855, გვ. 338 (ტლშ).

[4] Catalogue des manuscrits géorgiens de la Bibliothéque patriarcale grecque à Jérusalem par R. P. Blake, Paris, 1924, № 71

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწორედ ამიტომ Jer. 71-ის მასალა შევუდარეთ, ერთი მხრივ, გიორგი მთაწმიდლის „თუენის“ შესაბამის ადგილებს (დეკემბერი — იანვარი — თებერვალი)[5], ხოლო, მეორე მხრივ, X ს. ჰიმნოგრაფიულ კრებულებს (Jer. 42, დამბარტონ ოქსის თვენი, იელისა და წვირმის იადგარები).

შედარებამ შემდეგი სურათი მოგვცა:

1. Jer. 71-ის კალენდარი არ არის სრული, ე. ი. არ არის ყოველდღიური ხსენებები.

ეს ნიშანი Jer. 71-ს ახლოებს X ს. იადგარებთან (იელის, წვირმის) და აგრეთვე თვენის პირველ რედაქციასთან[6] (Jer. 42) და განასხვავებს მას გიორგი მთაწმიდლის „თუენისაგან“, რომლის კალენდარი სრულია, ყოველდღიური და დღეზე ზოგჯერ რამდენიმე ხსენებაა დადებული.

2. Jer. 71-ის კალენდარი განსხვავებულია გიორგი მთაწმიდლის „თუენის“ კალენდარისაგან და დგას თვენის პირველი რედაქციის (Jer. 42) კალენდართან.

„გიორგის თუენი“ H 2338	Jer. 71	Jer· 42
5.1 წმ. მამათა თეოქთისტესი და ფოსტირისი	5.1 წმ. მამისა ამბა პავლესი	5.1 წმ. მამისა ამბა პავლესი
7.1 წმ. იოანე წინამორბედისა და ნათლისმცემელისაჲ	7.1 ნათლისღებისანი და აბოჲსი	7.1 ნათლისღებისანი და აბოჲსი
21.1 წმ. მაქსიმე აღმსარებელისაჲ და წმ. ნეოფიტე მონაზონისაჲ და წმ. აღნისი	11.1 წმ. მაქსიმე აღმსაარებლისაჲ	21.1 წმ. მაქსიმე აღმსაარებლისაჲ
22.1 წმ. ტიმოთე მოციქულისაჲ და წმ. ანასტასი სპარსისაჲ	22.1 წმ. ტიმოთე მოციქულისაჲ	22.1 წმ. ტიმოთე მოციქულისაჲ

ამ ნიმუშების მიხედვით აშკარაა, რომ Jer. 71 და Jer. 42 ერთი ჯგუფის ჰიმნოგრაფიული კრებულებია.

3. Jer. 71-ის საგალობლებს თითქმის ყოველთვის აქვთ „აქებდითსა“ „ადიდებდითსაჲ“-ს შემდეგ. ესეც Jer. 71-ს ახლოებს ადრეული პერიოდის ჰიმნოგრაფიულ კრებულებთან (იელისა და წვირმის იადგარები და Jer. 42 — „თუენი“-ს პირველი რედაქცია), რომლებშიაც „აქებდითსა“ სისტემატურად მიერთვის დიდი ფორმის საგალობელს

გიორგი მთაწმიდლის „თუენში“ „აქებდითსა“-ს სახელწოდებით არცერთი გალობა არ გვხვდება. გიორგი მთაწმიდელი ზოგჯერ იყენებს იადგარებისეულ „აქებდითსა“-ს ტექსტს, მაგრამ შეცვლილი სახელწოდებით: მას ან „სტიქარონს“ არქმევს, ან „უფალო ღაღატყავისა“-ს. სხვა შემთხვევებში კი იადგარი-

[5] S 4999; H 2338; Jer. 100

[6] ლ. ჯღამაია, XI ს. ქართული ჰიმნოგრაფიის ისტორიიდან (გიორგი მთაწმიდლის თვენი). სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 1966, გვ. 92.

სეული „აქებდითსა“-ს არც სახელწოდება და არც ტექსტი გიორგი მთაწმიდლისა „თუენში“ არ დასტურდება.

ამ ნიშნითაც Jer. 71 განსხვავებულია გიორგი მთაწმიდლის რედაქციის „თუენისაგან“ და დგას „თუენის“ პირველ რედაქციასა (Jer. 42) და იადგარებთან.

გიორგის „თუენი“ Jer.12; H 2338	Jer. 71	იელის იადგარი	წეირმის იადგარი
8.I X შაბაჲ წმ. ღმრთისმშობელისაჲ (უფ. ღაღატყ.) სხუანი, ბ. „გიხარიდენ და მხიარულ იყავ, ქალაქო ღმრთისაო, სიონ“...	აქებდითსა, ბ. მამისაგან შობ. „გიხარიდენ და მხიარულ იყავ, ქალაქო ღმრთისაო, სიონ...“	აქებდითსა „გიხარიდენ და მხიარულ იყავ, ქალაქო ღმრთისაო, სიონ“...	აქებდითსა „გიხარიდენ და მხიარულ იყავ, ქალაქო ღმრთისაო, სიონ...
20. IX. წმ. ევსტათისი (უფ. ღაღატყ.) სხუანი, მოგუცემიეს. „რაჟამს წოდებულ იქმენ ზეგარდამო, მჭვრე ევსტათი...“	აქებდითსა, მოგუცემიეს ღმრთო. „რაჟამს წოდებულ იქმენ ზეგარდამო, მჭვრე. ევსტათი“...	აქებდითსა მოგუცემიეს. „რაჟამს წოდებულ იქმენ ზეგარდამო, მჭვრე ევსტათი“...	აქებდითსა. მოგუცემიეს. „რაჟამს წოდებულ იქმენ ზეგარდამო, მჭვრე ევსტათი“...
28. IX. ხარტონ აღმსარ. (სტიქარონი) სხუაჲ, დ. „ცხორებაჲ შენი, ღირსო, უბიწოებით აღასრულე...“	აქებდითსა „ცხორებაჲ შენი, ღირსო, უბიწოებით აღასრულე“...	აქებდითსა „ცხორებაჲ შენი, ღირსო, უბიწოებით, აღასრულე“...	აქებდითსა „ცხორებაჲ შენი, ღირსო, უბიწოებით აღასრულე“...
6.I განცხადებაჲ და ნათლისღებაჲ			

4. ნიშანდობლივია შემდეგიც: იმ შემთხვევაში, როდესაც თვენებსა და იადგარებში შესული რომელიმე წმიდანის სახელზე დაწერილი საგალობლები მხოლოდ ნაწილობრივ (ერთი გალობით ან სტიქარონით) სხვაობენ ერთმანეთისაგან, მაშინაც Jer. 71 დგას თვენის პირველი რედაქციისა და იადგარების ჯგუფთან.

გიორგის „თუენი“ H 2338	Jer. 42	Jer. 71	იელის იადგარი	წეირმის იადგარი
6.I განცხადებაჲ და ნათლისღებაჲ	6.I	6.I	6.I	6.I
უგალობდითსა,ბ. განაპა სიღრმე. „ადამ განხრწნილო, განაახლა ღმერთი...“	უგალობდითსა, ბ. განაპა სიღრმე. „ნათელს იღებს ქრისტე, ნათელი ვიღით“...	უგალობდითსა, ბ. განაპა სიღრმე. „ნათელს იღებს ქრისტე, ნათელი ვიღით“...	უგალობდითსა,ბ. განაპა სიღრმე. „ნათელს იღებს ქრისტე, ნათელი ვიღით“...	უგალობდითსა,ბ. განაპა სიღრმე. „ნათელს იღებს ქრისტე, ნათელი ვიღით“...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგის „თუენი“ H 2338	Jer. 42	Ier. 71	იელის იადგარი	წვირმის იადგარი
14.1. მ ს ვ ე ფ ს ი გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ი ს ა ჲ უ ფ. ღ ა ღ ა ტ ყ. დ გ~ი ვითარმედ ჯხად. „ძრწოდა ჴელი ნათლისმცემლისაჲ, ეშინოდა შეხებად უხრწნელსა თავსა საღმრთოსა“...	უფ. ღ ა ღ ა ტ ყ. დ გ~ი „უფალო, დალაცათუ ვითარცა კაცი წინაშე იოვანესსა სდეგ“...	უფ. ღ ა ღ ა ტ ყ. დ გ~ი „უფალო, დალაცათუ ვითარცა კაცი წინაშე იოვანესსა სდეგ“...	უფ. ღ ა ღ ა ტ ყ. დ გ~ი „უფალო, დალაცათუ ვითარცა კაცი წინაშე იოვანესსა სდეგ“...	უფ. ღ ა ღ ა ტ ყ. დ გ~ი „უფალო, დალაცათუ ვითარცა კაცი წინაშე იოვანესსა სდეგ“.,.

ზემოთქმულის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ Jer. 71 არ არის გიორგი მთაწმიდლის თვენის რედაქციის კრებული და დგას „თუენი“-ს პირველ რედაქციასთან (Jer. 42).

5. Jer. 71-ის ადრინდელობაზე უნდა მიუთითებდეს შემდეგი გარემოებაც: გიორგი მთაწმიდლის ანდერძში, რომელიც ახლავს მის მიერ შედგენილ სექტემბრის „თუენ“-ს, აღნიშნულია, რომ 3, 5 და 7 სექტემბერს შეტანილია ექვთიმე მთაწმიდლის მიერ თარგმნილი „გ ა ლ ო ბ ა ნ ი“[7].

Jer. 71-ს 3 და 7 სექტემბრის ხსენებები არა აქვს, ხოლო რაც შეეხება 5 სექტემბერს, აქ (Jer. 71) შესულია არა ექვთიმე მთაწმიდლის მიერ თარგმნილი „გ ა ლ ო ბ ა ნ ი“, არამედ სხვა, უცნობი მთარგმნელისა.

გიორგის „თუენი“ — Jer. 124	Jer. 71
5.IX წ მ. ზ ა ქ ა რ ი ა ჲ ს ი უ გ ა ლ ო ბ დ ი თ ს ა, დ გ~ი. ქუეყანასა მწყ. „ჴსენებასა შენ ზედა წინასწარმეტყუელო. უგალობ და ვითხოვ სულისა წმიდისა მადლსა შეწევნად..;,, (ექვთიმე მთაწმიდლის თარგმანი)	უგალობდითსა, ზღჳსა მის მეწ. „პირველად შევწიროთ დიდებაჲ მამისა, ძისა და წმიდისა სულისა, რომლისა მიერ განძლიერდეს წმიდანი.:.“ (უცნობი ავტორის თარგმანი)

Jer. 71-ის შემდგენელს ხელთ რომ ჰქონოდა გიორგი მთაწმიდლის „თუენი“, სადაც შეტანილი იყო ექვთიმე მთაწმიდლის თარგმნილი მასალა, არა გვგონია, მას (Jer. 71-ის შემდგენელს) უგულებელეყო იგი და შეეცვალა სხვა, უცნობი მთარგმნელის საგალობლით.

ეს არგუმენტიც აშკარად მიუთითებს Jer. 71-ის ადრინდელობას.

6. Jer. 71-სა და „თუენის“ პირველ რედაქციას (Jer. 42) აახლოებს საგალობლების გარეგნული მხარეც: მეტრული პუნქტუაციისათვის Jer. 71-ში, ისევე როგორც Jer. 42-ში, გამოყენებულია ორი წერტილი (ქვეითა მსხვილი, ხოლო ზევითა მომცრო), გიორგი მთაწმიდლის „თუენებისაგან“ განსხვავებით, სადაც მეტრული პუნქტუაციისათვის გამოყენებულია ერთწერტილი.

ამ ფორმალური მხარითაც გიორგის „თუენი“ განსხვავდება ადრეული პერიოდის ჰიმნოგრაფიული კრებულებისაგან. ამ უკანასკნელთა რიგში დგება Jer. 71-იც.

---

7 გიორგი მთაწმიდლის ამ ანდერძზე ყურადღება მიგვაქცევინა ც. ჯღამაიამ.

Jer. 42-ის ერთ-ერთი წყაროა იადგარები (წვირმისა და იელის), ხოლო Jer. 71-ის უშუალო წყაროდ იადგარები არ ჩანს. Jer. 71-ის მასალა მთლიანადაა წარმოდგენილი Jer. 42-ში. Jer. 42-ს კი დამატებით აქვს იადგარებისეული მასალა, რომელიც მხოლოდ იმდენადაა მოცემული Jer. 71-ში, რამდენადაც ის Jer. 42-შიცაა შესული, ამის გამო სავსებით შესაძლებელია Jer. 71 Jer. 42-დან გამონაკრებად მივიჩნიოთ და ვივარაუდოთ, რომ თვენის პირველი რედაქციის ნოემბრის თვის აწ დაკარგულ ნაწილში უნდა ყოფილიყო ილარიონ ქართველის სახელზე დაწერილი იგივე საგალობელი, რომელიც დასტურდება Jer. 71-ში.

Jer. 71-ში მოთავსებული ილარიონ ქართველის სახელზე დაწერილი საგალობელი გიორგი მთაწმიდელს უმნიშვნელო ცვლილებებით შეუტანია თავის სექტემბერ-ოქტომბერ-ნოემბრის „თუენში“[8]. სავარაუდებელია, რომ წყაროდ გიორგი მთაწმიდელი იყენებდა Jer. 42-ის ტიპის ხელნაწერს.

* * *

გასარკვევია, თუ რა მიმართებაა ილარიონის სახელზე დაწერილ უცნობი ავტორის საგალობელსა, ზოსიმეს საგალობელსა და ილარიონის ცხოვრების სხვადასხვა რედაქციებს შორის.

ამ მასალის შედარებითი შესწავლით გამოვლინდა მთელი რიგი ისეთი ფაქტებისა, რომელიც გვაძლევს უფლებას დავუშვათ, რომ უცნობი ავტორის საგალობელი არ იცნობს არც ცხოვრებათა ტექსტებს და არც ზოსიმეს საგალობელს.

უცნობი ავტორის ილარიონ ქართველის საგალობლის ამავე წმიდანის „ცხოვრებებთან“ და ილარიონის სახელზე დაწერილ ზოსიმეს საგალობელთან შედარების შედეგად დაიძებნა მრავალი დეტალი, სადაც ანონიმური საგალობელი სრულიად ცალკე დგას, ხოლო ერთ ჯგუფშია მოქცეული ყველა სხვა წყარო: ზოსიმეს საგალობელი, „ცხორების“ ვრცელი ათონური[9], ე. წ. მეტაფრასული[10], მოკლე ათონური[11] და სვინაქსარული[12] რედაქციები.

მოგვყავს ნიმუშები:

1. ზოსიმეს საგალობელში აღნიშნულია, რომ ილარიონმა „მკელობელსა სლვაჲ მიანიჭა“, რაც ვრცელი ათონური „ცხორებით“ არის შთაგონებული. უცნობი ავტორის საგალობელი არაფერს ამბობს მკელობელის განკურნებაზე.

ილარიონის პიროვნების ირგვლივ შექმნილ ყველა ლიტერატურულ ძეგლში არის აღწერილი მკელობელის განკურნების ფაქტი.

ზოსიმეს საგალობელში: „არა უგულებელს ჰყავ. ტკივნეული **ფერჴითა**. და ლოცვითა შენითა. ღმერთმოსილო. მკელობელსა სლვაჲ მიანიჭე“.

ათონურ „ცხორებაში“: „პოვა... კარსა მის სამოთხისასა მკელობელი ერთი მჯდომარჱ... შეეწყალა წმიდასა კაცი იგი და სულთ ითქუნა სიღრმითა გულისაჲთა და აღიხილნა თუალნი გონებისანი ღმრთისა მიმართ... და მუნთქუესვე განემართნეს ფერჴნი მისნი“.

---

[8] Jer. 124.

[9] ათონის „ივერიის“ მონასტრის 1074 წლის ხელნაწერი აღაპებით. თბ., 1901, გვ. 69—108.

[10] «სამოთხე», მ. საბინინის გამოცემა, 1882, ს.-პეტერბურგი. გვ. 371—392.

[11] ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ს. ყუბანეიშვილის გამოცემა, I, თბ., 1946, გვ. 170—171.

[12] ქ. ქ ე ქ ე ლ ი ძ ე, ეტიუდები, IV, 1957, გვ. 150.

მეტაფრასულ რედაქციაში: „და ვითარცა თესალონიკედ მივიდა, შეწყნარებულ იქმნა გლახაკისა ვისმე მიერ... ხოლო იყო იგი კოჭლ ორითავე ფერჴითა... სასწაული ჯუარისაჲ გამოსახა კაცსა მას ზედა... მრავალ ჟამისა იგი მდებარე წამსა შინა განკურნებულად ქმნა“.

სვინაქსარულ რედაქციაში: „ვითარცა მიიწია თესალონიკედ, მკელობელი იგ წლისაჲ განკურნა“.

მოკლე ათონურ რედაქციაში: „პოვა სამოთხე გარეშე ქალაქისა და კარსა მისსა მკელობელი ერთი მჯდომარე... სულთ-ითქუნა წმიდამან ილარიონ და ჰრქუა მას: «აღდეგ, ძმაო, უფალსა უბრძანებიეს», და მეყსეულად განემართნეს ფერჴნი მისნი“.

ერთადერთი ძეგლი ილარიონის სახელზე შექმნილი ნაწარმოებების ციკლიდან, რომელშიაც ეს ფაქტი არ არის აღნიშნული, არის საგალობელი უცნობი ავტორისა.

2. ილარიონის გარდაცვალების შემდეგ მისი გვამი ახდენს სასწაულმოქმედებას, რის შედეგადაც იკურნებიან ეშმაკეულნი. ეს დეტალი ასე წარმოგვიდგება ჩვენს ძეგლებში:

ზოსიმეს საგალობელი: „სრულ ჰყავ რაჲ სრბაჲ შენი. ღმრთშემოსილო მამაო. და მიიცვალე წინაშე უფლისა. ადიდა. განსლვაჲ შენი მეუფემან. სასწაულთა მიერ. და ნიშთა შეგამკო. რაჟამს შეპყრობილნი. სულთაგან არაწმიდათა. შეხებითა შენითა განთავისუფლდეს“[13].

ვრცელი ათონური რედაქცია: „და ვითარცა ეგულებოდა დამარხვაჲ მისი, მეყსეულად მოვიდეს ორნი ეშმაკეულნი და იტყოდეს: «ილარიონ ქართველო, რაჲსათჳს განგუასხამ ჩუენ საყოფელთაგან ჩუენთა», და ვითარცა მიეახლნეს წმიდასა მას გუამსა მისსა, მუნთქუესვე განიკურნნეს იგინი“.

მეტაფრასული რედაქცია: „მრავალნი უკუე სნეულნი და ეშმაკეულნი განიკურნნეს ჟამსა მას, რამეთუ ჴმობდეს ეშმაკნი იგი სახელსა წმიდისასა და განვიდოდეს მიერ ღაღადებით და ვაებით“.

სვინაქსარული რედაქცია: „ორნი ეშმაკეულნი შემდგომად მიცვალებისა განკურნნა, შეეხნეს რაჲ გუამსა მისსა“.

მოკლე ათონური რედაქცია: „მაშინ, ვითარცა ეგულებოდა დამარხვაჲ მისი, მოვიდეს ორნი ეშმაკეულნი და იტყოდეს: «ილარიონ ქართველო, რაჲსა განგუასხამ», და ვითარცა მიეახლნეს წმიდასა მას, მსწრაფლ უჩინო იქმნნეს“.

უცნობი ავტორის საგალობელში კი ვკითხულობთ: „ხედვიდეს რაჲ. ეშმაკთა სიმრავლენი გუამსა შენსა. ილარიონ. შემოსილსა ძძისა სამოსლითა და სირცხჳლეულნი. გლოვით განგეშორნეს. შენგან ნეტარო“.

ამ დეტალშიაც უცნობი ავტორის საგალობელს განკერძოებული ადგილი უკავია დანარჩენ ძეგლებთან შედარებით („ხედვა“ და არა „შეხება“, „განშორება“ და არა „განკურნება“).

3. ილარიონი გარდაცვალების შემდეგ ჩვენებით მოევლინება ბასილ მაკედონელს და სთხოვს მას წაიყვანოს სამეფო პალატთაგან შორს, ბასილის მიერ დაფუძნებულ მონასტერში.

[13] საგალობლიდან მოყვანილ ციტატებში ვიცავთ რიტმულ პუნქტუაციას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს დეტალიც დაცული აქვთ ზოსიმეს საგალობელს, „ცხორების“ ვრცელ ათონურ, მეტაფრასულ და მოკლე ათონურ რედაქციებს.

უცნობი ავტორის საგალობელი ამ ფაქტის შესახებაც დუმს.

4. იერუსალიმში ყოფნის დროს ილარიონმა ჩვენებით იხილა ღმრთისმშობელი, რომელმაც უბრძანა სამშობლოში დაბრუნება. ეს დეტალი ასეა წარმოდგენილი ჩვენს ძეგლებში:

ზ ო ს ი მ ე ს ს ა გ ა ლ ო ბ ე ლ ი: „იხილე. ჩუენებით ⁘ ღმერთშემოსილო მამაო. დედოფალი ყოველთა დაბადებულთაჲ. და გიბრძანებდა წარსლვად ქუეყანად თჳსად“.

ა თ ო ნ უ რ ი რ ე დ ა ქ ც ი ა: (ჩვენებაში) „ჰრქუა მას წმიდამან დედოფალმან: „ილარიონ, წარვედ და მიისწრაფე სახედ შენდა, დაუმზადე სერი უფალსა და ძესა ჩემსა“.

მ ე ტ ა ფ რ ა ს უ ლ ი რ ე დ ა ქ ც ი ა: „სწრაფით აღასრულე, რომელი წარსრულსა მას ღამესა გებრძანა ჩუენებით ანგელოზისა მიერ, ვითარმედ: „მსწრაფლ აღდეგ, ილარიონ, და წარვედ ქუეყანად შობისა შენისა“.

ს ვ ი ნ ა ქ ს ა რ უ ლ ი რ ე დ ა ქ ც ი ა: „ჩუენებითა წმიდისა ღმრთისმშობლისაჲთა წარვიდა ქუეყანად თჳსა“.

მ ო კ ლ ე ა თ ო ნ უ რ ი რ ე დ ა ქ ც ი ა: „ღამესა ერთსა იხილა ჩუენებაჲ... იხილა წმიდაჲ დედოფალი ღმრთისმშობელი მარადის ქალწული მარიამ... ჰრქუა მას წმიდამან დედოფალმან: „ილარიონ. მიისწრაფე სახედ შენდა და განუმზადე სერი უფალსა“.

უცნობი ავტორის საგალობელი ამ შემთხვევაშიაც ცალკე დგას: მას არა აქვს დაცული ეს დეტალი.

5. ილარიონის „ცხორების“ მეტაფრასულ რედაქციაში არცერთი სიტყვა არ არის ნათქვამი ილარიონის მიერ რომში აღსრულებულ სასწაულებზე, ათონურ რედაქციაში კი აღნიშნულია: „მუნცა (რომში) მრავალნი სასწაულნი და კურნებანი აღასრულნა უფალმან მის მიერ“. სახელდობრ, რა სასწაულები, „ცხორება“ ამის შესახებ არაფერს ამბობს. იგივეა მოკლე ათონურ რედაქციაში და სვინაქსარულში. აქაც უცნობი ავტორის საგალობელი განკერძოებით დგას „ცხორებებისაგან“: „ბრმანი მხედველ ჰყვენ და ღრეკილნი განჰკურნენ“. უსინათლოთათვის მხედველობის დაბრუნება და ღრეკილთა განკურნება „ცხორებათა“ ტექსტმა არ იცის.

ეს ფაქტიც მოწმობს, რომ საგალობლის უცნობი ავტორი არ იცნობს „ცხორებათა“ ტექსტს. შესაძლებელია, მან იცის ისეთი ფაქტებიც ილარიონის ცხოვრებიდან, რაც „ცხორებათა“ დაწერის მომენტისათვის უკვე მივიწყებული იყო.

ამრიგად, უცნობი ავტორის საგალობელი არ იცნობს ილარიონის „ცხორებათა“ ტექსტებს და ზოსიმეს საგალობელს.

ტექსტების შედარების შედეგად მიღებული ეს შთაბეჭდილება მხარს უჭერს იმ მოსაზრებას, რომ უცნობი ავტორის საგალობელი ყველაზე ადრეული ძეგლია, შექმნილი ილარიონის სახელზე. იგი იცნობს მხოლოდ ზოგად მომენტებს ილარიონის ცხოვრებიდან.

საგალობელში არ არის გადმოცემული არცერთი ეპიზოდი ილარიონის ცხოვრებიდან. ორიოდე სიტყვით აღნიშნულია მხოლოდ ილარიონის ჩასვლა სხვადასხვა ქალაქში (რომი, თესალონიკე), ზოგჯერ ქალაქის დაუსახელებლა-

დაც (წმიდად ქალაქად — იერუსალიმი); ქალაქად სამეუფოდ (კონსტანტინოპოლი), მისი დამკვიდრება სხვადასხვა ადგილას (საბაწმინდა, ულუმბო).

საგალობელში არ არის ნახსენები არც გარეკის მონასტერი, სადაც მოღვაწეობდა ილარიონი, არც ჰრომანას ქართველთა მონასტერი, რომელიც ბასილი მაკედონელმა აუშენა ილარიონის მოწაფეებს, არც კახეთში ილარიონისა და მისი მამის მიერ აშენებული მონასტრები.

როგორც ცნობილია, უცნობ ავტორს ხელთ არ უნდა ჰქონოდა „ცხორებათა“ ტექსტი. თუ ამ გარემოებას გავითვალისწინებთ, მაშინ გასაგები გახდება, რატომაა საგალობელი დაცლილი ფაქტიური შინაარსისაგან.

საგალობელი წარმოადგენს საკმაოდ ზოგადი ხასიათის შესხმას და დაწერილი უნდა იყოს ილარიონის ხსენების საფუძველზე (კერძო სამონასტრო მოსაჯსენებლის საფუძველზე) „ცხორებათა“ შექმნამდე.

ჩვენი აზრით, საგალობელი უნდა შექმნილიყო ილარიონ ქართველის სახელთან მჭიდროდ დაკავშირებული რომელიმე მონასტრის კერძო მოსაჯსენებლის საფუძველზე.

რომელი მონასტრები შეიძლება ვივარაუდოთ საგალობლის შექმნის ადგილად?

უპირველეს ყოვლისა, კონსტანტინოპოლის მახლობლად მდებარე რომანოსის ქართველთა მონასტერი.

დაუშვებელია, რომ ამ მონასტერში არ ყოფილიყო ილარიონის საჯსენებელი. მონასტერი სავანგებოდ იყო აშენებული ილარიონის მოწაფეებისათვის. რომანას ქართველთა სავანე იყო ილარიონის ნეშტის საბოლოო დასვენების ადგილი. ამის გამო ილარიონის ხსენება დადებული იქნებოდა მონასტრის დაფუძნების პირველი დღიდანვე. მაშასადამე, პირველი, რაც გაკეთდებოდა რომანას მონასტრის ლიტურგიკულ პრაქტიკაში, ეს იქნებოდა ილარიონ ქართველის ხსენების დადება.

რომანას მონასტრისათვის ილარიონ ქართველი იყო მთავარი წმიდანი და ამიტომ, მოსალოდნელია, იქვე შეიქმნა შესხმაც.

რომანას მონასტერში ამ საგალობლის დაწერის სასარგებლოდ მეტყველებს შემდეგი:

1. რომანას მონასტერი ილარიონის სახელზეა აშენებული, დაფუძნებულია ილარიონის მოწაფეთათვის, აქვეა დასვენებული ილარიონის ნეშტი.

2. საგალობლიდან ჩანს, რომ ავტორი იმყოფება იქვე, სადაც ილარიონის „ნაწილნია“ დასვენებული, რომ ამ „ნაწილთაგან“ ილარიონის მოწაფეები და მათ შორის საგალობლის ავტორიც ყოველდღიურად იღებენ „სასწაულთა მადლს“. „საზრდელის მომცემელად ჩუენდა. ნაწილი შენნი გუქონან ღირსო. სარწმუნოებით ჩუენ მოწაფეთა შენთა. და მოვიღებთ მათგან მადლსა. სასწაულთასა. დღითი-დღე ბრძენო“.

ასეთი ადგილი კი რომანას მონასტერი იყო.

რომანას მონასტერში საგალობლის დაწერას ეწინააღმდეგება ორი ადგილი:

1. „გამოხუედ წმიდით ქალაქით (იერუსალიმი) და მოხუედ ქუეყანად თჳსა“ (აქ იგულისხმება საქართველო).

2. „წარხუედ ქალაქად სამეუფოდ“ (კონსტანტინოპოლი).

ვფიქრობთ, რომანას მონასტერში მყოფი ავტორი ვერ იხმარდა ამ ზმნურ წინიან ფორმებს.

მეორე მონასტერი, სადაც შეიძლება ვივარაუდოთ საგალობლის შექმნა, იერუსალიმის მიდამოებშია საძიებელი.

ილარიონის „ცხორებებიდან“ ცნობილია, რომ იგი ხანგრძლივად მოღვაწეობდა იერუსალიმსა და მის მიდამოებში (ბეთლემი, საბაწმიდა, იორდანის უდაბნო). IX ს-ში იერუსალიმში მძლავრი ჰიმნოგრაფიული კერა იყო, ამიტომ არაა გამორიცხული, რომ ილარიონის სახელზე აქ დაწერილიყო საგალობელი. ამ ვარაუდს მხარს უჭერს ის გარემოებაც, რომ უძველესი ხელნაწერი, რომლითაც ჩვენამდე მოუღწევია ამ საგალობელს, იერუსალიმურია (Jer. 71).

ჩვენი ვარაუდით, ილარიონის მეტაფრასული „ცხორება“ იერუსალიმის ახლოს მდებარე რომელიღაც მონასტერში ჩანს შედგენილი[14]. იქნებ იქვე შეიქმნა ეს საგალობელიც?

საგალობლის იერუსალიმში დაწერას ეწინააღმდეგება შემდეგი:

1. გ ა მ ო ხ უ ე დ წმიდით ქალაქით (იერუსალიმი) და მ ო ხ უ ე დ ქუყანად თჳსა.

2. მ ი ი წ ი ე წმიდად ქალაქად და დაემკჳდრე დიდსა ლავრასა შინა.

მესამე პუნქტი, სადაც შეიძლებოდა და მოსალოდნელი იყო ილარიონის საზელზე საგალობლის დაწერა, საქართველოშია საძიებელი.

საგალობლის საქართველოში დაწერას მხარს უჭერს შემდეგი:

1. საქართველოში შედგენილი და გადაწერილი ქართველ წმინდანთა „ცხორებების“ კრებულების ხელნაწერებში ყველგან შეტანილია უცნობი ავტორის საგალობელი, მხოლოდ ერთშია უცნობი ავტორის საგალობლის გვერდით ზოსიმეს საგალობელიც. ეს არის ხელნაწერი A—176, მაგრამ აქაც უცნობი ავტორის საგალობელი ზოსიმეს საგალობელზე ადრე ყოფილა შეტანილი[15].

2. ერთი ადგილი უცნობი ავტორის საგალობლიდან „გამოხუედ წმიდით ქალაქით. და მოხუედ ქუეყანად თჳსა“, თითქოს მიუთითებს იმაზე, რომ საგალობლის ავტორი საგალობელს წერს საქართველოში.

ანონიმური საგალობელი გვხვდება ქართველ წმინდანთა ცხოვრებების შემცველ კრებულებში: Q — 661 (XVI ს.), Q — 627 (XVIII ს.), A—1048 (1766 წ.), A — 1401 (XVIII ს.), A — 130 (1713 წ.), A — 170 (1733 წ.), A — 176 (1743 წ.), Jer. 124 (XI—XII სს.), H—2077 (1736 წ.), H—1672 (1740 წ.), Jer. 71 (XI—XII სს.), Jer. 33 (XIII—XIV სს.) და სხვ.

როგორც ვხედავთ, ეს საგალობელი საკმაოდ გავრცელებული ყოფილა საქართველოსა და იერუსალიმში. საქართველოში გადაწერილ ხელნაწერებში არ ჩანს არც ზოსიმეს საგალობელი (XVIII საუკუნემდე) და არც ილარიონის ვრცელი ათონური ცხორება. ათონურ წრეში შექმნილ ილარიონის ცხორებასა და ზოსიმეს საგალობელს, როგორც ეტყობა, გავრცელება ვერ უპოვია ჩვენში.

---

[14] ეს საკითხი განხილული გვაქვს ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის (ილარიონ ქართველის „ცხორების“ რედაქციები და საგალობლები. ტექსტი და გამოკვლევა) პირველ თავში.

[15] ე. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, ქართული ჰაგიოგრაფიის კრებული და მისი შემდგენელი. პუბლიკაციის პედ. ინსტიტუტის შრომები, ტ. VIII, 1950, გვ. 419 (ღმერთი კათალიკოსმა 1736 წ. ზოსიმეს საგალობელი ჩამოიტანა საბერძნეთიდან და თვითონვე ჩაროთი მის მიერ შედგენილ ქართველ წმიდათა „ცხორებების“ კრებულში (A—176), რომელიც 1743 წ. არის გადაწერილი).

ეს მოვლენა ორნაირად შეიძლება აიხსნას:

1. საქართველოში არ მოუღწევია ცნობას ათონზე ილარიონის სახელზე დაწერილი ცხოვრებისა და საგალობლის შესახებ, რაც თითქოს დაუჯერებელია.

2. საქართველოში არ ყოფილა საჭიროება ათონური ცხოვრებისა და ზოსიმეს საგალობლის გავრცელებისა, ვინაიდან საეკლესიო პრაქტიკაში გავრცელებული იყო უფრო ადრე შექმნილი უცნობი ავტორის საგალობელი და მეტაფრასული ცხოვრება (ქართველ წმიდანთა ცხოვრების კრებულები იცნობენ ილარიონის ცხოვრების მხოლოდ მეტაფრასულ რედაქციას).

თუ ეს ვარაუდი სწორია, მაშინ ილარიონის სახელზე შექმნილი ლიტერატურული ნაწარმოებები ორ ჯგუფად წარმოგვიდგება:

1. არათონური წარმოშობისა: ე. წ. მეტაფრასული რედაქცია ილარიონის ცხოვრებისა და ანონიმური საგალობელი, რომელთა გავრცელების სფეროს ძირითადად საქართველო წარმოადგენდა.

2. ათონური წარმოშობისა: ვრცელი ათონური რედაქცია ილარიონის ცხოვრებისა და ზოსიმეს საგალობელი, რომელთა გავრცელების სფერო მათი შექმნის ადგილით შემოიფარგლა.

ფაქტობრივი მასალა ილარიონის ცხოვრებისა ანონიმურ საგალობელში შემდეგნაირად წარმოგვიდგება: ილარიონმა კეთილად განაგო სიმდიდრე-მამული და ყოველივე „მიავასხა“ დამბადებელს. შემდეგ ილარიონი „მიიწია“ წმიდად ქალაქად“ (იერუსალიმში) და დაემკვიდრა საბაწმიდის ლავრაში. იერუსალიმიდან სამშობლოში დაბრუნდა. საგალობლის მიხედვით ილარიონს აუშენებია ექვსი მონასტერი. მონასტრთა აშენების შემდეგ „მყის განეშორა საყოფელთა თჳსთაგან“ და წავიდა „ქალაქად სამეუფოდ“ (კონსტანტინოპოლში). მოღვაწეობდა ილარიონი ულუმბოს მთის უდაბნოში.

ანონიმმა ავტორმა იცის თესალონიკიდან კონსტანტინოპოლში ილარიონის „ნაწილთა“ მიცვალების (ადგილის მოცვლა, გადატანა) ფაქტი. ე. ი. მას უნდა სცოდნოდა რომანას მონასტრის აშენების ამბავიც.

საგალობელში ილარიონი შედარებულია ილია, მოსე, სამოელ, პეტრე, პავლე და იობთან:

1. „კუალად ახლად. დამბადებელი გიცნობს. მეორედ ელიად ყოფად მთასა კარმელსა“.

2. „იობ მეორედ გამოშჩნდი შენ. განსაცდელთა შინა ნეტარო“.

3. „სრულიად განწმედილ იქმენ ღირსო. საშოჲთგან დედისა თჳსისაჲთ. ვითარცა დიდი სამოელ“.

4. „ახლად მოსედ. დამბადებელი გიცნობს ილარიონ. რამეთუ შენ მარხვითა და ლოცვითა დასცენ მტერნი ვითარცა-იგი მან. პირველ ამალეკ. უკუნ აქცია“.

5. „შური აიღე ღირსო. მთავართა მათ ქრისტეს მოციქულთაჲ. პეტრესი და პავლესი. და მათებრვე მიისწრაფე ჰრომედ. რამეთუ სურვიელ იყავ. ხილვად საკვირველსა გუამთა მათთასა. და მიემთხჳე ბრძენო. წადიერებისაებრ“.

აღნიშნულია საგალობელში აგრეთვე ილარიონის სასწაულებრივი საქმიანობა: „ეშმაკთა განსდევნიდი და სენთა. განჰკურნებდ ბრძენო. მკურნალო სულთა და ჯორცთაო“.

პეტრე და პავლე მოციქულთა სამარტვილოს სანახავად ილარიონი რომში წასულა, სადაც სახელი გაუთქვამს სასწაულებით: „ყრმანი მხედველ ჰყვენ ღრეკილნი განჰკურნენ“.

უცნობი ავტორის საგალობელში მოხსენიებულია ილარიონის მიერ აშენებული ექვსი მონასტერი, მაგრამ არ ჩანს, სახელდობრ, რომელ მონასტრებს გულისხმობს ავტორი: „გამოხუედ წმიდით ქალაქით. და მოხუედ ქეყანად თჳსა. განზრძნობილი საღმრთოჲთა მათ მოძღურებითა. და სავსე სულიერითა მით. სწავლითა ილარიონ. და აღაშენენ ექუსნი. მონასტერნი დიდებულნი. სადიდებელნი. სამებისა წმიდისანი“...

ილარიონის არცერთ ცხოვრებაში არ არის ნათქვამი, რომ ილარიონმა ექვსი მონასტერი აიშენა. თუ გავიხსენებთ, ილარიონის სახელთან შემდეგი მონასტრებია დაკავშირებული:

1. ილარიონის მამას კახეთის დაბაში აუშენებია მონასტერი: „მამამან მისმან... კელყო ადგილისა მის აღშენებაჲ მონასტრად და შეკრებეს მუნ ძმანი რიცხჳთ ვითარ ათექუსმეტნი ოდენ“ (ვრცელი ათონური რედაქცია. იგივე ცნობა დაუცავს მეტაფრასულ რედაქციასაც).

2. გარეჯის ქვაბში ილარიონმა შემოიკრიბა თერთმეტი მონაზონი, ხოლო შემდეგ, გარეჯაში მეორედ მოსვლის დროს, „წმიდღა მამისა დავითის სამარტვლოსა შინა ეკლესიად შექმნა და შეწირა საჭმარი, რაჲოდენი იპოვა მის შორის, რომლისათჳსცა მოვიდოდეს მისსა დღითი-დღე სამრავლე ერისა“ (მეტაფრ. რედ.).

3. იერუსალიმიდან დაბრუნების შემდეგ ილარიონმა ააშენა დედათა მონასტერი (ათონ. და მეტაფრ. რედ.).

4. ილარიონს აუშენებია მამათა მონასტერიც (ისევ ქართლში).

5. თესალონიკეში ილარიონისათვის აუშენებიათ ეკლესია (მეტაფრ. რედაქციით — „ეგუტერი“).

6. ბასილ მაკედონელმა ილარიონის მოწაფეებს აუშენა რომანას მონასტერი სოსთენის მახლობლად (ყველა რედაქციით).

ამრიგად, ილარიონის სახელთან დაკავშირებული (მის მიერ და მისთვის აშენებული) მონასტერ-ეკლესიების საერთო რიცხვი მართლაც შეადგენს ექვსს (კახეთის დაბა, გარეჯა, დედათა და მამათა მონასტრები, თესალონიკე, რომანა), მაგრამ საგალობელი თითქოს გულისხმობს ილარიონის მიერ მხოლოდ სამშობლოში აშენებულ მონასტრებს. მაშინ აუხსნელია, საიდან აიღო მან ეს ციფრი.

საგალობლის ავტორს, როგორც ეტყობა, გაგონილი ჰქონია, რომ საერთო რიცხვი ილარიონის სახელთან დაკავშირებული მონასტრებისა (ეკლესიებისა) აღწევდა ექვსამდე, მაგრამ მას არ სცოდნია, ეს მონასტრები ილარიონის მიერ იყო აშენებული, თუ მისთვის, ან მისი მოწაფეებისთვის, მხოლოდ საქართველოში თუ უცხოეთშიც. ამიტომაც ვერ დაუცავს მას სიზუსტე ამ ცნობის მოწოდებისას.

ეს გარემოებაც მხარს უჭერს იმ მოსაზრებას, რომ საგალობლის უცნობ ავტორს ხელთ არა ჰქონია ილარიონ ქართველის „ცხორებათა“ ტექსტები.

ვინ უნდა იყოს საგალობლის ავტორი? მასალის უქონლობის გამო ავტორის ვინაობის შესახებ გადაჭრით რაიმეს თქმა ძნელია. ერთი კი ცხადია, რომ იგი ქართველი უნდა ყოფილიყო: ილარიონს იგი უწოდებს „ქართველთა სიქადულს“. ავტორი აღფრთოვანებას გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ მთელი დასაელეთი, რომი და ევროპა აღიარებს ილარიონის ღვაწლს: „ბრწყინვალედ დღე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასწაულობს ჰრომი. ევროპი და ყოველი სოფელი. დასავალისაჲ ქადაგებ[illegible] ღუაწლთა შენთა სანატრელო. ილარიონ და იშუებენ. საჴსენებელსა შენსა ღირსო“.

საგალობლის ორი ადგილის მიხედვით შეიძლება დავუშვათ, რომ საგალობელი დაწერილია ილარიონის მოწაფის მიერ:

1. „ვითარცა სახედ ეგჳპტისა. საზრდელის მომცემელად ჩუენდა. ნაწილნი შენნი გუქონან ღირსო. სარწმუნოებით ჩუენ მოწაფეთა შენთა და მოვიღებთ მათგან მადლსა. სასწაულთასა. დღითი-დღე ბრძენო“.

2. „ვითარცა ზღუდე მტკიცე. და ნავთსადგური მყუდროჲ ნეტარო. მამაო ილარიონ. გუაქუ მოწაფეთა შენთა მფარველად“.

როგორც ვხედავთ, ორივე მაგალითში ავტორი თავის თავს ილარიონის მოწაფეს უწოდებს. ხოლო პირველ მაგალითში ისიც უნდა იგულისხმებოდეს, რომ ეს მოწაფე (საგალობლის ავტორი) იქვე იმყოფება, სადაც ილარიონის ნეშტია დასვენებული და რომ ილარიონის მოწაფეები ყოველდღიურად იღებენ მის „ნაწილთაგან“ სასწაულთა მადლს.

თუ საგალობელი ილარიონის მოწაფის მიერაა დაწერილი, მაშინ მისი შექმნის დრო IX—X სს. მიჯნით უნდა განისაზღვროს.

ამრიგად, ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ:

1. უცნობი ავტორის საგალობელი ტექსტობრივად განკერძოებით დგას ილარიონის ირგვლივ შექმნილი ნაწარმოებების ციკლში. ის არ უნდა იცნობდეს „ცხორებათა“ ტექსტებს და დაწერილი უნდა იყოს კერძო სამონასტრო მოსახსენებლის საფუძველზე.

2. ამ საგალობლის შემცველი უძველესი ხელნაწერი არის საგალობელთა კრებული (Jer. 71), რომელიც გიორგი მთაწმიდლის რედაქციის „თვენზე“ ადრინდელია და „თვენის“ პირველი რედაქციიდან გამოკრებილ ჰიმნოგრაფიულ კრებულს წარმოადგენს.

3. გიორგი მთაწმიდელს ეს საგალობელი უმნიშვნელო ცვლილებებით შეუტანია „თვენში“ (Jer. 124).

4. საგალობლის ავტორი უცნობია. ვარაუდით უნდა იყოს ილარიონ ქართველის მოწაფე, ილარიონის სახელთან დაკავშირებული რომელიმე მონასტრის ბერი.

5. საგალობლის შექმნის დროდ სავარაუდებელია IX—X სს. მიჯნა.

ზოსიმეს საგალობელი

ზოსიმესეული ილარიონის „დასდებელნი“ წარმოადგენს დიდი ფორმის საგალობელს, რომელიც შედგება რვა გალობისაგან: უგალობდითსაჲ, განძლიერდითსაჲ, მესმაჲსაჲ, ღამითგანისაჲ, ღაღატყავისაჲ, კურთხეულ არსაჲ, აკურთხევდითსაჲ, ადიდებდითსაჲ.

დასაწყისსა და ბოლოში საგალობელს მიერთვის ხუთი მცირე ფორმის გალობა: უფალო ღაღატყავისაჲ, აქებდითსაჲ, სტიქარონი, სხუანი სტიქარონნი (2).

დაწერილია საგალობელი მერვე ხმაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმის გასარკვევად, თუ რა მიმართებაა ზოსიმეს საგალობელსა და ილარიონის „ცხორების“ რედაქციებს შორის, ზოსიმესეული ილარიონის საგალობელი ტექსტობრივად შევუდარეთ „ცხორების“ ტექსტებს.

შედარებამ შემდეგი სურათი მოგვცა:

ილარიონმა იერუსალიმში ყოფნის დროს ჩვენებით იხილა ღმრთისმშობელი, რომელმაც უბრძანა მას დაბრუნებულიყო სამშობლოში და დაემზადებინა სერი უფლისათვის:

1. „ჰრქუა მას წმიდამან დედოფალმან: „ილარიონ, წარვედ და მიისწრაფე სახედ შენდა, დაუმზადე სერი უფალსა დაძესა ჩემსა“ (ვრც. ათონ. რედაქცია).

2. „სწრაფით აღასრულე, რომელი წარსულსა მას ღამესა გებრძანა ჩუენებით ანგელოზისა მიერ“ (მეტაფრ. რედაქცია).

ზოსიმეს საგალობელში ვკითხულობთ: „აღასრულე მამაო. ბრძანებული შენდა ვითარცა სარწმუნომან. და გონიერმან მნემან. უფლისა თჳსისამან დაუმზადე. თავადსა. სერი სულიერი“.

როგორც ვხედავთ, შესაბამის ადგილას მეტაფრასულ რედაქციაში „დაუმზადე სერი უფალსა“ არ არის.

ზოსიმეს საგალობლის ეს ადგილი (იხ. აქვე) თითქოს პასუხია ათონის რედაქციისეულ ღმრთისმშობლის დავალებაზე. სახელდობრ, ხაზგასმულია, რომ ილარიონმა აღასრულა ბრძანებული და დაუმზადა თავადსა (ანუ უფალსა) სერი.

ყფიქრობთ, საგალობლის ეს ადგილი გამძაფხილია ვრცელი ათონური რედაქციის ზემოთ მოყვანილი ადგილისა.

ზოსიმეს საგალობელში ილარიონი შედარებულია აბრაჰამთან: „ემსგავსე შენ ღმერთშემოსილო. მამაო დიდსა აბრაჰამს. და დაუტევე ქუეყანაჲ შენი. და უცხო იქმენ მისთჳს. რომელი ჩუენთჳს უცხო იქმნა“.

მთელი ათონური რედაქციის მანძილზე არსად ილარიონი აბრაჰამთან არ არის შედარებული.

ხოლო მეტაფრასული რედაქციის მიხედვით: „გამოვიდა ქუეყანისაგან თჳსისა და ნათესავისაგან თჳსისა, ვითარცა ოდესმე მამათმთავარი აბრაჰამ“.

ამ მაგალითში ზოსიმეს საგალობელი მხარს უჭერს მეტაფრასულ რედაქციას და სხვაობს ათონურისაგან.

ზოსიმეს საგალობელში ილარიონი შედარებულია სამოელთან: „მსგავსადვე სამოელისსა. აღთჳმით იშვე. ღმერთშემოსილო მამაო. ღირსო ილარიონ. და სიყრმითგანვე შეიწირე. ყოველთა შემწირველისა“.

ათონური რედაქციით: „წმიდაჲ ესე აღთჳმულ იყო ღმრთისადა მშობელთა თჳსთაგან, ვითარცა პირველ სამოელ ანნაჲსაგან“.

მეტაფრასული რედაქციით: „ღმრთისმოყუარეთა კაცთაგან იშვა რტო ესე ღმრთისმსახურებისა და მსგავსად სამოელისსა პირველ შობასავე შეწირული ღმრთისაჲ“.

საგალობლის „მსგავსადვე სამოელისსა“ შეესაბამება მეტაფრასული რედაქციის „მსგავსად სამოელისსა“-ს; ხოლო საგალობლის „აღთჳმით იშვე“ ეხმიანება ათონური რედაქციის „აღთჳმულ იყო“-ს; საგალობლის „შეიწირე“ ემთხვევა მეტაფრასული რედაქციის „შეწირული“.

ამრიგად, ამ მაგალითში ზოსიმეს საგალობელი მსგავსებას იჩენს, როგორც ათონურ, ასევე მეტაფრასულ რედაქციებთან.

ზოსიმეს საგალობელს დაუცავს კიდევ ერთი დეტალი, რომლითაც ძველებს ნათესაობას ათონურ ცხოვრებასთან:

ზოსიმეს საგალობელი: „უცხო იქმენ მისთჳს. რომელი ჩუენთჳს უცხო იქმნა. რაჲთამცა უცხო-ქმნულნი. მამასა წყალობით დამაგნა“.

ათონური რედაქციით: „მოგეცენ შენ უფალმან სასყიდელი სიყუარულისაჲ, რომელმან-იგი უცხო-ქმნულნი ესე უცხოებითა თჳსითა დამაგნა ღმერთსა და მამასა“.

მეტაფრასული რედაქციით: შესაბამის ადგილას მსგავსი გამოთქმა არ გვხვდება.

ილარიონმა თესალონიკეში განკურნა ფეხმტკივანი კაცი:

ზოსიმეს საგალობლით: „ლოცვითა შენითა. ღმერთშემოსილო. მკელობელსა სლვაჲ მიანიჭე“.

ათონური რედაქციით: „პოვა... კარსა მის სამოთხისასა მკელობელი ერთი მჯდომარჱ“.

მეტაფრასული რედაქციით: „ხოლო იყო იგი კოჭლ ორითავე ფერჴითა“.

ამრიგად, საგალობელსა და ათონურ რედაქციაში ნახმარია ერთი და იგივე სიტყვა „მკელობელი“, ხოლო მეტაფრასულ რედაქციაში — „კოჭლი“.

ილარიონმა გარდაცვალების შემდეგ განკურნა „შეპყრობილნი სულთაგან არაწმიდათა“.

ზოსიმეს საგალობლით: „შეპყრობილნი სულთაგან არაწმიდათა შეხებითა შენითა განთავისუფლდეს“.

ათონური რედაქციით: „მოვიდეს ორნი ეშმაკეულნი... და ვითარცა მიეახლნეს წმიდასა მას გუამსა მისსა, მუნთჳესვე განიკურნნეს იგინი“.

მეტაფრასული რედაქციით: „მრავალნი ეშმაკეულნი და ეშმაკეულნი განიკურნნეს ჟამსა მას, რამეთუ ჰმობდეს ეშმაკნი იგი სახელსა წმიდისასა და განვიდოდეს მიერ ღაღადებით და ვაებით“.

როგორც ვხედავთ, ზოსიმეს საგალობელსა და ათონურ რედაქციაში „შეხებით განკურნებაზეა“ ლაპარაკი. ხოლო მეტაფრასული რედაქცია აღნიშნავს, რომ ილარიონის მიცვალების ჟამს „მრავალნი ეშმაკეულნი განიკურნნეს“, მაგრამ არ აზუსტებს, ეს განკურნება „შეხება-მიახლოებით“ ხდებოდა, თუ სხვა გზით.

ამდენად, ამ შემთხვევაშიაც საგალობელი ათონურ რედაქციასთან დგას უფრო ახლოს, ვიდრე მეტაფრასულთან.

ილარიონი გარდაცვალების შემდეგ „ჩუენებით“ მოევლინა ბასილ მაკედონელს და სთხოვს მას უდაბნოში წაყვანას.

ზოსიმეს საგალობლით: „ჩუენებით აუწყე მეფესა. საწადელი შენი. უდაბნოჲ რომელსა შინა. სულნელებად სულისა გამოსჩნდი“.

ათონური რედაქციით: „აწ უკეთეს გნებავს, რაჲთა სრულებით მადლი გაჭუნდეს, წარმიყვანე მე უდაბნოსაჲვე ადგილსა“.

მეტაფრასული რედაქციით: „ახალშენსა მას შენ მიერ მონასტერსა ბრძანე წარყვანებაჲ ჩემი“.

როგორც ვხედავთ. საგალობელშიაც და ათონურ რედაქციაშიაც ილარიონი „ჩუენებაში“ უდაბნოში წაყვანას სთხოვს ბასილ მაკედონელს, ხოლო მეტაფრა-

სულ რედაქციაში უდაბნოს ხსენება არ არის, სამაგიეროდ, ნახსენებია ახალშენი მონასტერი.

ამ მაგალითში ათონური რედაქცია და ზოსიმეს საგალობელი ერთ ჯგუფში დგას, ხოლო მეტაფრასული რედაქცია განზე რჩება.

როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, ზოსიმეს საგალობელი ახლოს დგას ათონურ რედაქციასთან და მრავალ შემთხვევაში მხარს უჭერს მას.

შევნიშნეთ ორად-ორი შემთხვევა, როდესაც საგალობელი მხარს უჭერს მეტაფრასულ რედაქციას და სხვაობს ათონურისაგან:

1. ზოსიმეს საგალობელი: „ემსგავსე შენ ღმერთშემოსილო. მამაო დიდსა აბრაჰამს. და დაუტევე ქუეყანაჲ შენი“.

მეტაფრასული რედაქცია: „გამოვიდა ქუეყანისაგან თჳსისა და ნათესავისაგან თჳსისა, ვითარცა ოდესმე მამათმთავარი აბრაჰამ“.

2. ზოსიმეს საგალობელი: „მსგავსადვე სამოელისსა. აღთქუმით იშუე ღმერთშემოსილო მამაო. ღირსო ილარიონ. და სიყრმითგანვე შეიწირე. ყოველთა შემწირველისა“.

მეტაფრასული რედაქციით: „ღმრთის-მოყუარეთა კაცთაგან იშვა რტო ესე ღმრთისმსახურებისა და მსგავსად სამოელისსა პირველ შობასვე შეწირული ღმრთისაჲ“.

არის თუ არა საკმარისი ეს ორი მაგალითი იმის მტკიცებისათვის, რომ ზოსიმეს საგალობელი ათონური და მეტაფრასული რედაქციების მიხედვით დაიწერა? იქნებ შესაძლებელია, ორივე მაგალითი ზოსიმეს მეტაფრასული „ცხორების“ გაუცნობლადაც მოეტანა?

როგორც ეტყობა, ეს ორი მაგალითი მხედველობიდან გამორჩა აკად. კ. კეკელიძეს, როდესაც ამტკიცებდა, ზოსიმეს საგალობელსა და მეტაფრასულ რედაქციას შორის არავითარი მსგავსება არ არისო.

აკად. კ. კეკელიძე წერს: საგალობელში „ჩვენ ვპოულობთ ისეთ დეტალებს, რომელნიც ძველს, ათონის, რედაქციას ახასიათებენ და მეტაფრასულში კი არ არიან; მაგალითად, ერთ-ერთ საგალობელში ნათქვამია: „სრულ-ჰყავ რაჲ სრბაჲ შენი, ღმერთშემოსილო მამაო, მიიცავალე წინაშე უფლისა, ადიდა განსლვაჲ შენი მეუფემან, სასწაულთა მიერ და ნიშთა შეგამკო, რაჟამს შეპყრობილნი სულთაგან არაწმიდათა შეხებითა შენითა განთავისუფლდეს“. აქ აღნიშნული ფაქტი მეტაფრასულმა რედაქციამ არ იცის, ხოლო ძველს, ათონის რედაქციაში ამის შესახებ ვკითხულობთ: „და ვითარცა ეგულებოდა დამარხვაჲ მისი, მეყსეულად მოვიდეს ორნი ეშმაკეულნი და იტყოდეს: ილარიონ ქართველო! რაჲსათჳს განგუასხმ ჩუენ საყოფელთაგან ჩუენთა? და ვითარცა მიეახლნეს წმიდასა მას გუამსა მისსა, მუნთჳესვე განიკურნნეს ოგინი“[16].

საქმე ისაა, რომ შესაბამისი ადგილი მეტაფრასულ რედაქციაშიც არის: „შრავალნი უკუე სნეულნი და ეშმაკეულნი განიკურნნეს ჟამსა მას, რამეთუ კრობდეს ეშმაკნი იგი სახელსა წმიდისასა და განვიდოდეს მიერ ღაღადებით და ვაებით“.

[16] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართული ჰაგიოგრაფიის ისტორიიდან, ეტიუდები, IV, 1957, გვ. 149.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ათონური რედაქცია და საგალობელი „შეხება-მიახლებაზე“ ამახვილებს ყურადღებას, ხოლო მეტაფრასული რედაქცია უბრალოდ განკურნებაზე ლაპარაკობს.

ასე რომ, ეს ფაქტი მეტაფრასულმა რედაქციამ იცის და ის არ გამოდგება ათონური რედაქციისა და საგალობლის ნათესაობის დასამტკიცებლად.

თუ ზემოთ მოყვანილი ორი მაგალითი საკმარისია იმის მტკიცებისათვის, რომ ზოსიმეს საგალობელი იცნობს მეტაფრასულ რედაქციასაც, მაშინ ეს უფრო ზუსტად დაათარიღებს მეტაფრასულ რედაქციას: ზოსიმეს საგალობელი შექმნილია 1072—1074 წწ. მაშასადამე, მეტაფრასული რედაქცია 1072—1074 წლებში უკვე დაწერილი ყოფილა.

ზოსიმეს საგალობლის რამდენიმე ადგილი აშკარად ეხმიანება ანონიმურ საგალობელს. ანონიმური საგალობელი შექმნილია ბევრად უფრო ადრე, ვიდრე ზოსიმეს საგალობელი. მაშასადამე, ანონიმური საგალობლის ავტორს არ შეეძლო ესარგებლა ზოსიმეს საგალობლით. ზოსიმე საგალობლის წერის დროს სარგებლობდა არა მარტო „ცხორებებით“, არამედ უცნობი ავტორის საგალობლითაც.

ზოსიმე მოღვაწეობდა ათონზე და, ბუნებრივია, იგი იცნობდა გიორგი მთაწმიდლის „თუენს“, რომელშიაც შეტანილია ილარიონის საგალობლის გიორგისეული ვარიანტი (Jer. 124).

ზოსიმე ათონის ჰიმნოგრაფიული სკოლის წარმომადგენელია. X ს. ბოლოდან „ათონის ქართველთა სავანე გახდა წყარო, საიდანაც საქართველოში მოედინებოდა საეკლესიო-საღვთისმსახურო ცხოვრების ახალი ნაკადი; ამ სავანეში ახლად ითარგმნებოდა საღვთისმსახურო წიგნები, რომლებმაც შეცვალეს ამ წიგნების პალესტინური თარგმანები“[17]. ამ სკოლაში აღზრდილა მთელი თაობა ბრწყინვალე ჰიმნოგრაფებისა, რომელთა შორის ერთ-ერთი ღირსეული ადგილი უკავია ზოსიმესაც.

ზოსიმეს შეუთხზავს საგალობლები ილარიონ ქართველისა და ექვთიმე მთაწმიდლისა.

ექვთიმეს საგალობლის ბოლოს არის ზოსიმეს მინაწერი: „ლოცვა ყავთ, წმიდანო ღმრთისანო, იაკობ მღდელისათჳს, რომელმან აიძულა უღირსი ენაჲ ჩემი გალობად წმიდისა ეფთჳმესი, რომელი არცა თუ სახელის-დებად ღირს ვიყავ მე, უღირსი ზოსიმე. ქრისტე, შეიწყალე იაკობ, ამინ“[18].

იგივე იაკობ მღდელი იხსენიება ილარიონის საგალობლის ბოლოს იმავე ზოსიმეს მინაწერში: „ლოცვა ყავთ, წმიდანო მამანო, ქრისტეს-მოყუარეთა პატიოსანთა ძმათათჳს, რომელთა სიტყჳთა ვიიძულე გალობად მამისა ჩუენისა ილარიონისა მე, უღირსი ზოსიმე, რომელი-ესე არცათუ სახელის-დებად მისა ღირს ვიყავ; თუ კეთილ იყვნენ, სასყიდელი მათი არს, ხოლო ნაკლულევანებაჲ ჩემისა უსწავლელობისა მიერ არს. წმიდაო ილარიონ, შეიწყალე მონაჲ შენი იაკობ, მღდელი ქრისტესი და მწყრალიცა შეიწყალე“[19].

ამრიგად, ამ მინაწერების მიხედვით, ზოსიმეს ილარიონისა და ექვთიმეს საგალობლები დაუწერია იაკობის დეკანოზობის დროს.

---

[17] К. Кекелидзе. Литургические грузинские памятники. Тифлис, 1908, стр. 478.

[18] A 558, 176v; ათონის ივერიის მონასტრის 1074 წლის ხელნაწერი აღაპებით, 1901, გვ. 208.

[19] A 558, 162 v; დასახ. ნაშრომი, გვ. 186.

როგორც ირკვევა მიქელ დაღალისონელის ანდერძიდან, იაკობ მღვდელმა დეკანოზად ყოფილა გიორგი ოლთისარის მამასახლისობის დროს[20]: „მე... მიქელ დაღალისონელმან ...დავწერე „ცხორებაჲ“ განმანათლებელისა ჩუენისა ეფთჳმე ქართველისა, ახლისა ოქროპირისა... მამასახლისობასა გიორგი ოლთისარისასა, დეკანოზობასა იაკობ მღდელისასა, განზრახვითა მისითა“[21].

აგრე. კ. კეკელიძის აზრით, გიორგი III ოლთისარი „იევრის“ წინამძღვრად იყო დაახლოებით 1065—1077 წლებში. მის დროს, 1071 წლამდე, დეკანოზად ყოფილა ევსტრატი. ევსტრატი დეკანოზის მიერაა გადაწერილი გიორგი მთაწმიდლის სვინაქსარი გიორგი ოლთისარის მამასახლისობის დროს მისივე ბრძანებით: „განსრულდა სჳნაქსარი ესე ახლად-თარგმნილისაგან წმიდისა მამისა ჩუენისა გეორგისითა ჭელითა ჩემ გლახაკისა და ფრიად ცოდვილისა ევსტრატი დეკანოზისაჲთა, ბრძანებითა მამისა გიორგი ოლთისარისაჲთა, რამეთუ მან დამაწერია მამასახლისობასა მისსა“[22].

ა. ცაგარელსა და რ. ბლეიკს ეს ხელნაწერი დათარიღებული აქვთ 1062 წლით[23]. თ. ჟორდანია და კ. კეკელიძე ასწორებენ ამ თარიღს და ხელნაწერს ათარიღებენ 1071 წლით[24] (ქ“ნი იყო... ინდიკტიონი თ. დასაბამითგან წელნი ხფო-ს ნაცვლად ხელნაწერში უნდა ყოფილიყო ქ ნი სჟა. ინდიკტიონი თ. დასაბამითგან წელნი ხფოთ)[25].

მაშასადამე, რადგანაც 1071 წ. დეკანოზად ჯერ ისევ ევსტრატია, იაკობი უნდა ყოფილიყო დეკანოზად არა უადრეს 1072 წლისა. ჩვენთვის საინტერესოა იაკობის დეკანოზობისა და გიორგი ოლთისარის წინამძღვრობის თანხვედრი წლები. 1077 წელსაა გადაწერილი გიორგი ოლთისარის წინამძღვრობის დროს გიორგი მთაწმიდლისეული პარაკლიტონი[26]. მაშასადამე, გიორგი ოლთისარი წინამძღვრობდა 1065 წლიდან 1077 წლამდე მაინც[27]. იაკობი დეკანოზობდა 1072 წლიდან. ზოსიმეს საგალობელი კი მოთავსებულია 1074 წლის ხელნაწერში. მაშასადამე, ზოსიმეს საგალობელი უნდა დაეწერა 1072—1074 წლებში, არა უადრეს 1072 წლისა, ვინაიდან 1071 წელს დეკანოზად ჯერ კიდევ ევსტრატი ჩანს და არა იაკობი; და არა უგვიანეს 1074 წლისა, როდესაც გადაიწერა ხელნაწერი.

ამრიგად, სამეცნიერო ლიტერატურაში აქამდე აღიარებული ქრონოლოგიური საზღვრები ზოსიმესეული საგალობლის დაწერისა — 1066—1074 წწ.[28]. შეიძლება უფრო ზუსტად განისაზღვროს 1072—1074 წლებით.

---

[20] A 558, 155r-v

[21] A 558, 155r-v

[22] Bl. 30, Цат. 28; Catalogue des manuscrits géorgiens de la bibliothèque de la laure d' Iviron au Mont Athos par. R. Blake. Paris. 1932, p. 148.

[23] Пл. Цагарели. Сведения о памятниках грузинской письменности. Вып. I. СПб. 1886. стр. 79.

[24] თ. ჟორდანიას „ქრონიკები-ს“ კ. კეკელიძისეული ცალის მინაწერიდან ირკვევა, რომ აგრე. კ. კეკელიძე იზიარებს ამ თარიღს.

[25] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, 1. თბ., 1892, გვ. 213.

[26] Bl. 24.

[27] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ათონის ლიტერატურული სკოლის ისტორიიდან, ეტიუდები, II, 1945, გვ. 234.

[28] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართული აგიოგრაფიის ისტორიიდან, ეტიუდები, IV, 1957, გვ. 149.

როგორც აღნიშნული იყო ზემოთ, ზოსიმეს საგალობელი საქართველოში არ გავრცელებულა. საქართველოში გადაწერილ მრავალ ხელნაწერში ვხვდებით მხოლოდ უცნობი ავტორის საგალობელს. მაგრამ არის ერთი XVIII ს. ხელნაწერი, რომელშიაც მოთავსებულია უცნობი ავტორის საგალობელი[29] და ილარიონ ქართველის „ცხორების“ ე. წ. მეტაფრასული რედაქცია. მათ შორის კი ხელნაწერის გადაწერის შემდგომ სხვა ზომის ფურცლებზე და სხვა ხელით გადაწერილი ზოსიმეს საგალობელია ჩართული[30].

ეს ხელნაწერია A—176, ქართველ წმინდანთა ცხოვრება-წამების კრებული, გადაწერილი 1743 წელს. ამ ხელნაწერში, როდესაც ის უკვე გამზადებული ყოფილა, განუზრახავთ ზოსიმესეული საგალობლების შეტანა[31]. ილარიონის საგალობელს დართული აქვს ანდერძი[32], საიდანაც ირკვევა, რომ დომენტი კათალიკოსს ის უპოვია და გადაუწერია საბერძნეთში, ტენედოსზე 1736 წ.[33] საქართველოში დაბრუნების შემდგომ დომენტის ეს საგალობლები (ილარიონ ქართველისა და იოანესი და ექვთიმესი), როგორც დამატებითი მასალა, შეუტანია ქართველ წმინდანთა ცხოვრება-წამების კრებულში[34], რომელიც მისი ინიციატივით და მონაწილეობით იყო შედგენილი.

ამავე ტიპის კრებულების უფრო ადრეულ ნუსხებში (A — 130, A — 170, H — 1672, H — 2077) ილარიონისა და ექვთიმეს ეს საგალობლები შესული არ არის.

ამრიგად, საქართველოში გადაწერილი ხელნაწერებიდან A — 176 პირველია, რომელშიც შეტანილია ილარიონის ზოსიმესეული საგალობელი, ხოლო ზოსიმეს საგალობელზე უფრო ადრე ამ კრებულში შეტანილი ყოფილა უცნობი ავტორის საგალობელი.

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულიდან ირკვევა შემდეგი:

1. ზოსიმეს საგალობელი შედგენილია ათონური და მეტაფრასული რედაქციების მიხედვით.

2. სავარაუდოა, რომ ზოსიმე სარგებლობდა აგრეთვე ანონიმური საგალობლით.

3. ზოსიმეს საგალობელი მოღწეულია ჩვენამდე ათონის 1074 წლის ხელნაწერით (A — 558) და დაწერილია 1072—1074 წლებში.

4. ზოსიმეს საგალობელი შექმნილია ათონის ჰიმნოგრაფიულ წრეში.

5. ზოსიმეს საგალობელი საქართველოში არ ყოფილა გავრცელებული XVIII ს-მდე, კერძოდ, 1743 წლამდე, როდესაც დომენტი კათალიკოსს ის შეუტანია ქართველ წმინდანთა „ცხორებათა“ კრებულში (A—176).

---

[29] A 176, 242 v—245 r.

[30] A 176, 245r—250r.

[31] ე. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი. ქართული ჰიმნოგრაფიის კრებული და მისი შემდგენელი. პუშ. კინის სახ. ინსტიტუტის შრომები, ტ. VIII, 1950, გვ. 419.

[32] A 176, 250r.

[33] ე. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 420.

[34] იქვე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1. [დასდებელნი]*

ნოენბერსა ით წმიდისა ილარიონ ქართველისაჲ

ო´ო ღ´ღდყსა, ჴ´ჲ დ, თ´ნასწორთა ზ´ა.

აღვახუნეთ დღეს მორწმუნენო. ბაგენი ჩუენნი გალობად. ჴსენებასა წმიდისა და ნეტარისა. მამისა ილარიონისსა. სულითა მჴურვალითა. და ღირსად შევაჰკობდეთ. დღესასწაულსა ამას მისსა. რაჲთა მოვიღოთ ჩუენ. ვედრებითა მისითა. მჴსნელისაგან. შენდობაჲ ცოდვათა ჩუენთაჲ. მარადის და დიდი წყალობაჲ.

კეთილად განაგე ღირსო. სიმდიდრე იგი მამული. და სიბრძნითა მიავასხე ყოვლითვე. დამბადებელსა ღმერთსა შენსა. აღიღე ჯუარი მისი. და შეუდეგ კუალსა მისსა. მიიწიე წმიდად ქალაქად. და დაემკჳდრე. დიდსა ლავრასა შინა. და ისწავენ. ღირსთაგან სათნოებანი. ქრისტეს ღმრთისანი სანატრელო.

გამოხუედ წმიდით ქალაქით. და მოხუედ ქუეყანად თჳსა. განბრძნობილი საღმრთოჲთა მით მოძღურებითა. და სავსე სულიერითა მით. სწავლითა ილარიონ. და აღაშენენ ექუსნი. მონასტერნი დიდებულნი. სადიდებელნი. სამებისა წმიდისანი. და შეჰკრიბე. მას შინა კრებული ღირსთაჲ. რომელნი აწ პატივ-გცემენ შენ.

რაჟამს მოგემადლა ღირსო. ღმრთისა მიერ აღშენებად. მონასტერთა შენთა და ეკლესიათაჲ. და შესწირენ იგინი ქრისტესა. მაშინ მყის განეშორე. საყოფელთა შენთაგან. წარხუედ ქალაქად სამეუფოდ. და მოიგე შენ. სიგლახაკე ქრისტესთჳს. მსგავსად მისა. და მკჳდრ იქმენ უდაბნოსა. ულუმბოჲსასა სანატრელო, — სღ´თოთა წერ.

უგ´ლ´ბდთსა, ზღუაჲ უვალი რ´ი.

მოწყალებით მომხედენ. მამაო ყოვლად სანატრელო. და მომეც მადლი შენი. რაჲთა ღირსად ვაქებდე დიდებულთა მათ. სათნოებათა შენთა. ღირსო ილარიონ ქართველთა სიქადულო.

ჭეშმარიტად მსახურად. უფლისა შენისა იწოდე. სანატრელო მამაო. და შეუდეგ გზათა მისთა ღმრთივ-განბრძნობილო. ჯუარს აცუენ ჴორცნი შენნი. ღირსო ვითარცა მიმსგავსებულმან ქრისტესმან.

აღამაღლენ ნეტარო. ჴორცნი და სული და გონებაჲ. მთასა მას ულუმბოჲსასა. მამაო ილარიონ და კუალად ახლად. დამბადებელი გიცნობს. მეორედ ელიად ყოფად მთასა კარმელსა — სასაკმევლე ოქ.

გ´ნძლრდსა, ბ´ნბით ღმობი.

იობ მეორედ გამოშჩნდი შენ. განსაცდელთა შინა ნეტარო. და ვერ შეუძლო შერყევად. მტერმან გოდოლი ჴორცთა შენთაჲ. რამეთუ წინა-აღუდეგ. მზაკუვარებასა მას მისსა.

სრულიად განწმედილ იქმენ ღირსო. საშოჲთგან დედისა თჳსისაჲთ. ვითარცა დიდი სამოელ. და წინაჲთვე ჰქადაგებდი. მერმესა მას სანატრელო. და სიმტკიცე ექმენ ყოველთა.

ბრწყინვალედ დღესასწაულობს ჰრომი. ევროპი და ყოველი სოფელი. დასავლისაჲ ქადაგებს. ღუაწლთა შენთა სანატრელო. ილარიონ და იშუებენ. საჴსენებელსა შენსა ღირსო. — გამოშჩნდი ღელ.

---

* ტექსტი ქვეყნდება ხელნაწერ Jer. 71-ის მიხედვით, 112v — 114v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ო~თ მს~მსა, გ~ნზრახვაჲ საიდუმლ~ჲ.

მიმსგავსებულ იქმენ შენ. პირველთა მათ. მამათა ღირსო სათნოებითა. მთათა და ქუაბთა· შინა· რაჲ იყოფვოდე. და წესსა მათსა ზედა ეგე. ნეტარო მამაო ილარიონ.

დასდევ შენ სასოებაჲ. ღმრთისა მიმართ. დამბადებელისა მის შენისა. და მოჰსრევდ ღირსო. ლოცვისა მახჳლითა. ეშმაკთა სიმრავლესა. ნეტარო ჯუარითა შეჭურვილო.

მოიღე მადლი ღმრთისა. მიერ ღირსო. ეშმაკთა განსდევნიდი და სენთა. განჰკურნებდ ბრძენო. მკურნალო სულთა და ჴორცთაო. ყოვლითურთ გამოცდილო. ნეტარო მამაო ილარიონ. — შ~ნ მდ~ს ქწ~ლ.

ღმთ~გნსა, ნაწილ ჩემდა ხ~რ.

ვითარცა რაჲ უჴორცოდ. მარადის წინაშე ღმრთისა. მდგომარე იყავ ღირსო მამაო. ყოვლადვე ცრემლით არაჲ დასცხრებოდე ლოცვასა. სახჱ წესის ექმენ მრავალთა. და განჰკაფენ ჴორცნი შენნი შრომითა ნეტარო.

ვინმე არაჲ განკჳრდეს. მამაო ცხორებასა შენსა. სიმშჳდესა და მყუდროებასა. და უცხოებასა ადგილითი-ადგილად. ევლტოდე კაცთა დიდებასა და მიჰხედევდ ზეცისა სასუფეველსა.

ვითარცა ანგელოზი. იქცეოდე შენ სანატრელო. ცხორებასა ამას წარმავალსა. რომლისათჳსცა ზეცას მათ თანა იხარებ. და წმიდათა კრებულსა თანა. მარადის უგალობ და აქებ ყოველთა უფალსა. — ალეს~რლნს შ~5 ზ~ა.

ღ~ღდყსა, ღ~ღდბდა წ~წ ტყლი იონა.

დიდ არიან. ღუაწლნი შრომათა შენთანი წმიდაო. რამეთუ შენ. ჯუარი ერქუანის სახედ მჴართა აღი.ღე და ურნატნი იგი. სულისანი მოჰჴნენ. ბრძენო. ბრწყინვალედ.

ხედვიდეს რაჲ. ეშმაკთა სიმრავლენი გუამსა შენსა. ილარიონ. შემოსილსა ძაძისა სამოსლითა და სირცხჳლეულნი. გლოვით განგეშორნეს. შენგან ნეტარო.

ახლად მოსედ. დამბადებელი გიცნობს ილარიონ. რამეთუ შენ. მარხვითა და ლოცვითა დასცენ მტერ.ნი ვითარ-იგი მან. პირველ ამალეკი. უკუნ აქცია. — უმეტეს ხ~რ.

კხ~ლრსა, რ~ნ დაიცვნა ყრმ.

გსუროდა ზეცისა იგი. დიდებაჲ ღირსო ილარიონ. სამგზის სანატრელო მამაო. და ქუეყანისაჲ ნაგევად შეჰრაცხე. და ჰღაღადებდ დიდებულო. მამათა ჩუენთა ღმერთო კურთხეულ ხარ.

თანა-მობაძავ პირველთა. წმიდათა მამათა გიცით შენ. კრებულსა შორის რჩეულთასა. და წმიდათა თანა აღრაცხილ ღირსო. და სიხარულით ვღაღადებთ. მამათა ჩუენთა ღმერთო კურთხეულ ხარ.

ვითარცა მწყემსი კეთილი. მამაო ყოვლად სანატრელო. ნუ დასცხრები მეოხებად. სამწყსოჲსა შენისათჳს ილარიონ. ბრძენო რომელნი ვღაღადებთ. მამათა ჩ(უენთა ღმერთო კურთხეულ ხარ). — სმ~ბისა რმ~წმნ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკ~დთსა, ყრმ~ნი ბრწყინვ.

ვინ შეუძლოს მითხრობად ღუაწლთა შენთა. სანატრელო მამაო ილარიოს რამეთუ სიმშჯდით და. სიმდაბლით და უცხოებით. განჰკლე შენ სოფელი ესე ღირსად დიდებულო. და ანგელოზთა თანა იხარებ. და ჰსუფევ ქრისტეს თანა მარადის უკუნისამდე.

შეუნიერად შემკობილო მამაო. მეოხ გუეყავ ჩუენ მარადის უფლისა მიმართ რომელნი სიხარულით. გადიდებთ სანატრელო. რამეთუ შენ ხარ შემწე ყოველთა მორწმუნეთაჲ. რომელნი აკურთხევენ ქრისტესა. და უფროჲსად ამაღლებენ მას უკუნისამდე.

ჰე შემარტად ქებასა შენსა ღირსო. ენაჲ კაცობრივი ვერ შემძლებელ არს გამოთქუმად ხოლო სარწმუნოებით. ჰსენებასა შენსა დღეს. ყოველნი მოვიღტით და ვითხოვთ შენგან წმიდაო. რაჲთა მეოხებითა შენითა. მოგუმადლო ჩუენ კურნებაჲ სანატრელო ილარიონ. — არსებაჲ ბ~ლი მიზეზ.

ადბ~დთსა, ლოდი საკიდური უგე.

ვარსკულავი მნათობი მამაო. აღმოსავალით რაჲ გამოშჩნდი. განანათლე ქუეყანაჲ და ზღუაჲ. ნათლითა შრომისა შენისაჲთა ღირსო. ამისთჳს ჩუენ მორწმუნენი. საჰსენებელსა შენსა ვადიდებთ.

ვითარცა სახედ ეგჳპტისა. საზრდელის მომცემელად ჩუენდა. ნაწილნი შენნი გუქონან ღირსო. სარწმუნოებით ჩუენ მოწაფეთა შენთა. და მოვიღებთ მათგან მადლსა. სასწაულთასა. დღითი-დღე ბრძენო.

იხილე სულისა ჩემისა. უდებობაჲ ყოველად სანატრელო. და მოჰხედენ ფიცხლად აღძრვასა. გონებისა ჩემისასა და დაცხრვენ. მწრაფლ გულის-სიტყუანი ჩემნი. მეოხებითა. შენითა ღირსო. — არსებითა მიუწდო.

აქ~ბდთსა, ხისა მ~რ ადმ.

შური აიღე ღირსო. მთავართა მათ ქრისტეს მოციქულთაჲ. პეტრესი და პავლესი. და მათებრვე მისიწრაფე ჰრომედ. რამეთუ სურვილ იყავ. ხილვად სამართჳლოსა გუამთა მათთასა. და მიემთხჳე ბრძენო. წადიერებისაებრ. და ჰღაღადებდი. მომიჴსენე მჴსნელო სასუფ(ეველსა შინა).

საცაჲარ იქმნეს ღირსო. მადლნი სათნოებათა შენთანი. და განითქუა სახელი. შენი ილარიონ ჰრომეს შინა. რამეთუ ჰქმნენ სასწაულნი. ბრმანი მხედველ ჰყუენ და ღრეჱლნი განჰკურნენ. მაშინ ივლტოდე მიერ. მიხუედ თესალონიკედ. და მუნ შეჰვედრე. სული შენი წმიდაჲ ჴელთა მაცხოვრისათა.

ჯერ იყო მიცვალებაჲ. ნაწილთა მათ შენთაჲ სანატრელო. ქალაქად სამეუფოდ. რაჲთა ღირსად პატივცემულ-იყო. მეფეთა და მთავართაგან. და ყოვლისა ერისა მორწმუნისაგან. და აწცა დიდებულ არს. სამარხოჲ ძუალთა შენთაჲ. რომელთა მიერ. იქმნებიან ძალნი სენთა კურნებისანი.

ვითარცა ზღუდე მტკიცე. და ნათსადგური მყუდროჲ ნეტარო. მამაო ილარიონ. გუაქუ მოწაფეთა შენთა მფარველად. ამისთჳსცა გევედრებით. დამიფარენ ჩუენ ღირსო განსაცდელთაგან. ვედრებითა შენითა. ქრისტეს მიმართ მარადის. რომელნი ვიტყჳთ. მომიჴსენენ მჴსნელო სასუფეველ(სა შინა).— ვ~ა ღ~თისმშობელ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. დასდებელნი [ზოსიმესი]*

(157) წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა იოანესნი, რომლისა თავნი იტყჳნ: ესე აწ ღმერთშემოსილი ილარიონ იქებოდეს დღეს ჯერისაებრ ამის.

ორ ღ[ვთ]ჲ[ა] კ[ა]დ გუერდი, აღძრვაჲშ.

ელვად ნათლისა საღმრთოჲსა. მოგუეფინა დღეს ჴსენებაჲ ყოველად დიდებულისა მოღუაწისა: ილარიონ ახლისა მნათობისა. მოვედით მოსწრაფედ. ქრისტეს სამწუხაროსნო. და განვნათლეთ სათნოებათა მისთა. ბრწყინვალითა ნათლითა. რომელი ქრისტეს მიერ განბრწყინდა.

სიყრმით შენითგან მამაო. სულისა შენისა სლვანი. სათნოებათა მიმართ მაღალთა. მოსწრაფედ წარჰმართენ ღმერთშემოსილო. და ძალითი ძალად. აღსლვითა ნეტარო. არაჲ შეგებრკოდა ცხორებისა გზათა. ვიდრემდის აღიწიე. ზეცისა საღმრთოსა ნავთსაყუდელსა.

ეტყინებოდე საღმრთოჲსა. სიყუარულისა ცეცხლითა, რომლითა დასწუენ მთავარნი ბნელისანი. ღმერთშემოსილო ღირსო ილარიონ. და ყოველი ძალი. ფარაოჲს მძლავრისა. დაანთქ უფსკრულსა ცრემლთა შენთასა. და მწყობრი მოღუაწეთაჲ. წიაღ-იყვანე ღელვათა სოფლისათა.

არმური ჯორცთაჲ წიაღ-ჰვლე. მოღუაწებათა ნათლითა. უაღრესისა მონა ჰყა[v]ე უდარესი. და ფიცხელნი ჯორცთა იგი კრთომანი. აღჴორთა მათ მიერ. შინაგანისა ღმრთისათა. დაუმორჩილენ მთავარსა გონებასა. და ვითარცა ეტლითა. აღიწიე კამარათა ცისათა.

წარგჳძღუე ჩუენცა მამაო. ალაგთა ცხორების[ა]თა. ვინაჲ-იგი აწ მკჳდრ ხარ ცათა შინა. უღელეოთა მათ საღმრთოთა სავანეთა. და დაიცხრვე ჯორცთა. უფლებაჲ ჩუენ ზედა. და დაჰჴსნენ ბრალთა ჩუენთა საკრველნი. და ვითარცა მამამან. ტკბილმან გჳღუაწენ წინაშე სამებისა.

გალობანი წმიდისა ილარიონისნი. კმაჲ დ გუერდი.

(უგალობდითსაჲ), ეტლთა მფ.

ღმრთისა მამისა ნათელო. ნათლითა მით სულისა წმიდისაჲთა. არმური ვნებათაჲ. გონებისაგან ჩემისა აწ. განაქარვე და ნათელი. სიწმიდისაჲ მომმადლე. რაჲთა ღირსებით შევაკრბიე დღეს. მსახურსა უბიწოსა. სიწმიდეთა შენთასა. მსგავსადვე სამოელისსა. აღთქუმით იშვე ღმერთშემოსილო მამაო. ღირსო ილარიონ. და სიყრმითვანვე შეიწირე. ყოველთა შემწირველისა. ვითარ კრავი უმანკოჲ. აღზრდად ბაყსა მას მჴეცთ-შეუვალსა. მწყემსთ-მთავრისა ქრისტესა. რომელი დიდებულ არს.

ეტრფიალე შენ მამაო. მარგალიტსა მრავალ-სასყიდლისასა. რომლისა ძებნად. განხუედ სიჩჩოჲთგან ნეტარო. და ახოვნითა სულითა. უვარ-ჰყავ ყოველივე. სოფლისაჲ მო[158]ნაგებნი და თჳსნი. იგი მოიყიდე. დიდებით დიდებული.

რომელი ჰგიე ერთარსად. სამებაო შუენებით მიუწდომელო. არსთა შემოქმედო. შენ უმიზეზოო მიზეზო. ყოველთა დამბადებელო. და სიბრძნით მმართებელო. მამაო ძეო და სულო წმიდაო. გაგალობ და გაკურთხევ. და ძრწოლით ავამაღლებ.

თავადი სიტყუაჲ მამისაჲ. საშოდ შენდა გარდამოჴდა უსძლოო. ვითარცა რაჲ წჳმაჲ. გონიერსა საწმისსა ზედა. დაგუალული კაცთა ბუნებაჲ. ცუართაგან

---

* ტექსტი მეეწვდება ხელნაწერ A 558-ის მიხედვით, 157r — 162v.

მადლისათა. მორწყო და აღაყუაილა ჩუენ შორის. ნაყოფი სიმართლისაჲ. რაჲ
თუ დიდებულ არს.

გ ძა, გ ნმაძლიერებელი.

შიში უფლისაჲ მოიგე. თავად სიბრძნისა საღმრთოჲსა. და მას შეემსჭუალე
სიყრმითგანვე. და მთავარი გონებაჲ. მფლობელ ჰყავ კორცთა ბუნებისა. და
ვნებათა აღძრვანი. სიბრძნით დაუმორჩილენ სულსა.

ემსგავსე შენ ღმერთშემოსილო. მამაო დიდსა აბრაჰამს. და დაუტევე ქუეყანაჲ შენი. და უცხო იქმენ მისთჳს. რომელი ჩუენთჳს უცხო იქმნა. რაჲთამცა
უცხო-ქმნულნი. მამასა წყალობით დამაგნა.

მოწყლული ტრფიალებითა. საუფლოთა ვნებათაჲთა. წარხუედ ღმერთშემოსილო მამაო. ვინაჲ-იგი თავს ისხნა. ვნებანი სოფლისა ჴსნისათჳს. ღმრთეებით
უვნებელმან. ღმრთისა მამისა სიტყუამან.

[v] უჟამოდ მშობელო მამაო. სიტყჳსა უჟამოჲსაო. უჟამოდ მომავლინებელო. ცხოველისა სულისა. თანასწორისა შენისაო. მათ თანავე გადიდებ. სამგუამოვნად. და ერთღმრთეებად.

საკჳრველნი და სასწაულნი. მუცლად-ღებისა შენისანი. და კუალად უხრწნელად შობისანი. განმაკრთობენ უსძლოო. ვითარ დედაჲ ხარ და ქალწული,
ვითარ აწოებ სძესა. ყოველთა მზრდელსა უფალსა.

გ სა, აჰმჭვრდი.

იწურთიდი. სიყრმითგანვე წერილთა ღმრთივ-სულიერთა. და ემსგავსებოდე მოქალაქობასა მას. და ცხორებასა პირველთა მათ მამათასა და აწ მათ თანა
ჰსუფევ. წინაშე ღმრთისა ღირსო მამაო.

ლოცვათა. შენთა საკუმილითა ღმერთშემოსილო. მჴეცთა მათ ლერწმისათა
საყოფელნი დასწუენ. და მდინარითა ცრემლთაჲთა დაშრიტენ შენ. განჴურვებულნი იგი. ვნებათა ისარნი ილარიონ.

იხილე. ჩუენებით ღმერთშემოსილო მამაო. დედოფალი ყოველთა დაბადებულთაჲ. და გიბრძანებდა წარსლვად ქუეყანად თჳსად. რაჲთა შესწირნე ღმრთისა. სიმრავლენი ერთა ურიცხუთანი.

იხილეთ და გრცხუენოდეს თქუენ მწვალებელთა კრებულნო. ვითარ ერთარსებით ვჰმონებთ სამებასა. და სამთჳთებით [159] ვჰადაგებთ ჩუენ ღმრთეებასა. და თქუენ შეჩუენებულ გაყოფთ. თანა ეშმაკით მამით თქუენითურთ.

ლხინებაჲ. და გამოჴსნაჲ შენ მიერ მიიღო ადამ. რაჟამს მეორე ადამ გჳშევ
ჯორცითა. და წყევისა მისგან მამულთა ურჩებათა. განთავისუფლებულნი. სამართლად დედად ღმრთისად გჭა[და]გებთ.

ღგ ა, რაჲსათჳს გ ნ.

აღასრულე მამაო. ბრძანებული შენდა ვითარცა სარწმუნომან. და გონიერმან მნემან. უფლისა თჳსისამან დაუმზადე. თავადსა. სერი სულიერი სულთა მათ
ცხოვნებულთაჲ. რომელთა შესწირენ მეუფისა.

რომელმან დაითმინა. ჯუარ-ცუმაჲ ჯორცითა უცოდველმან კაცთათჳს
ჯუარს-ცუმისათჳს მამაო. და სოფელი ჯუარს-აცუ შენდამი ბრძენო. ვითარცა.
ახოვანმან ჭრისტეს[მან] ღმერთ-შემოსილო. და განაჭიქენ მთავარნი ბნელისანი.

იქმენ ღმერთშემოსილო. სარკე სათნოებისა მხილველთა მათ შენთათჳს ეროვნული ბიბლიოთეკა
ძუელ მოღუაწებისა. შემდგომთა ნათესავთა საბაძველად. და სუეტად. ცეცხლისა უბრალოჲთა მით მღდელობითა. აღწევნულად კამარათა ცისათა.

უქორცოთა კრებულნი. ძრწოლით აღამაღლებენ სამებასა წმიდასა სამწმიდითა შესხმითა. და ერთუფლებით ღმრთისმეტყუელებითა. და ესრეთ. სა[v]მითა გუამითა ერთსა ღმერთსა გჳქადაგებენ. სამებით ერთარსებად ცნობილსა.

ნეტარ არიან პირნი. ღმრთისმშობლად მქადაგებელნი შენნი დედოფალო. და ვაჲ მათდა რომელნი. არა აღგიარებენ ღმრთისმშობლად. და ხატსა. შენსა წმიდასა არაჲ თაყუანის-სცემენ. უკეთურნი მწვალებელთა ერნი.

ღტ̃ყა, მომიტევენ სახიერ.

ივლტოდე შენ შფოთთაგან. სოფლისათა ღირსო ილარიონ. და ცუდსა დიდებასა. სრულიად განეშორე. და ვითარცა მთიები. აღმოსავალით. დასავალეთად მიიწიე.

ქრისტესთჳს უცხო-ქმნილმან. და მსგავსადვე მისა მოწყალემან. არა უგულებელს-ჰყავ. ტკივნეული ფერჴითა. და ლოცვითა შენითა. ღმერთშემოსილო. მკელობელსა სლვაჲ მიანიჭე.

ეჩუენა საშინელად. დედაჲ ყოველთა შემოქმედისაჲ. და უთქუმიდა სასტიკად. არაჲ შემწყნარებელსა. შენსა ღმერთშემოსილო. და აუწყებდა. სათნოებათა შენთა ძალსა.

ბუნებით ერთად ვიცნობ. და გუამითა სამად ღმრთისვმეტყუელებ. სამებასა წმიდასა. და ერთსა ღმრთეებასა. ერთსა მეუფებასა ერთმთავრობასა. და ერთსა ჴელმწიფებასა.

უცვალებელმან ღმერთმან. შენგან ჴორცნი მიიხუნა უხძლოო. და ერთ გუამად იხილვა. ო[160]რითა ბუნებითა. და ორითა ნებითა. ღმერთი და კაცი. რომლისა მიმართ მეოხ გუეყავ.

კხ̃სა, ღმ̃თისა გარდა.

დიდთა მათ მოციქულთა. სურვილითა ღირსო. აღეგზნე შჳდწილად. და მიიწიე ჰრომედ. წინაძღომითა სულისა წმიდისაჲთა. და სრულ ჰყავ საწადელი. გონებისა. შენისაჲ. და ჰდიდადებდი. ღმერთო შენ კურთხეულ ხარ.

ეწყვე ღმერთშემოსილო. სულთა უკეთურთა. ვითარცა რჩეული. მჴედარი მეუფისაჲ. ქუეყანითი-ქუეყანად მიმოსლვითა. და სათნოებათა. და სასწაულთა შენთა. დაფარვითა და. სიმდაბლით უჩინო-ქმნითა.

ნათლად ღმრთივ-მოცემულად. გიცნობს დასავალი. ნეტარო მამაო. და მხიარულ არს ჰრომი. და უფროჲსად განსცხრების თესალონიკე. რამეთუ მას შინა. განხუედ სოფლით და მიხუედ. წინაშე ღმრთისა. მამაო ილარიონ.

დიდებულებაჲ ნიშთა. შენთაჲ სანატრელო. უფროჲს აღემატა. რამეთუ მკელობელთა. სლვაჲ მიანიჭე პირველ სიკუდილისა. და კუალად შემდგომად. სიკუდილისა შენისა. თავისუფლებაჲ. მიანიჭე ტყუე-ქმნულთა.

ღმრთისვმეტყუელებ ერთარსად. მხოლოსა მამასა. და მხოლოსა ძესა. და მხოლოსა წმიდასა. სულსა არა თუ სამთა მხოლოთა. არამედ მხოლოსა. ერთსა ღმერთსა ბუნებით. ღმერთად აღვიარებ. და ძრწოლით თაყუანის-ვსცემ.

[v] ეტლად სიტყჳსა ღმრთისა. სახელ-გდებთ ქალწულო. დედაო ღმრთისაო. და დიდებულებათა. რომელნი ყვნა შენ̃ თანა მაღალმან. ჴმამაღლად ვქადაგებთ. და ნისტორ შევაჩუენებთ. და ყოველთავე. წინააღმდგომთა შენთა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკ˘ხა, ქებით აკ˘ხთ.

სრულ-ჰყავ რაჲ სრბაჲ შენი. ღმერთშემოსილო მამაო. და მიიცავლე წინაშე უფლისა. ადიდა. განსლვაჲ შენი მეუფემან. სასწაულთა მიერ. და ნიშთა შეგამკო. რაჟამს შეპყრობილნი. სულთაგან არაწმიდათა. შეხებითა შენითა განთავისუფლდეს.

ჯერ-იყო ვინაჲთვან. სული შენი მეუფემან. წინაშე თჳსსა დიდებით მიცავლა. და რაჲთა. გუამი შენი ქუეყანისა. მეუფემან მიიღოს. ძალად და სიმტკიცედ. და სამეუფოდ. ქალაქად აღმოსლვაჲ შენი. იდიდოს შემდგომად ზეცად აღსლვისა.

ეჰა სანატრელო. ვითარ არაჲ სათნო იყავ. შემდგომად სიყუდილისაცა შენისა. პალატთა. სამეუფოთა მკჳდრობაჲ. არამედ ჩუენებით. აუწყე მეფესა. საწადელი შენი. უდაბნოჲ რომელსა შინა. სულნელებად სულისა გამოსჩნდი.

რომლითა ცხოველ ვარ. და რომლის მიერ ვიშევ. ემბაზისაგან მეორედ შობითა. ვადიდებ. სამებასა ერთსა ღმერთსა. მამასა მშობელსა. და ძესა შობილსა. და გამომავალსა. სულსა სახიერსა. მამისაგან და ძისა თანა ქებულსა.

[161] იხილენეს შენ შორის. საკჳრველნი სასწაულნი. მუცლად-ღებაჲ უთესლოდ და შობაჲ. უხრწნელად. და შობილი სიტყუაჲ ღმრთისაჲ. და დედაჲ ქალწული. ეჰა საკჳრველი. არამედ ვინაჲცა. ინებოს ღმერთმან მიერცა. ბუნებითნი წესნი იცვალებიან.

ად˘ბა, გ˘ნკჳრდეს ზესკნელს ც˘ნი.

საუფლოთა მათ ქადაგთა სიტყჳსათა. თანაზიარი იქმენ წმიდაო. მამაო ილარიონ ზეცისა სუფევასა. და ქუეყანასაცა ზედა. თანა-მოსაგრე მათდა გამოსჩნდი. დასხმითა მით ნაწილთა. შენთა უბიწოთადთა. კელთა მიერ ღმრთის-მსახურთა მეფეთადთა.

აწ მოიხილე ჩუენ ზედა მოწყალებით. ჱ ღმერთშემოსილო მამაო. მგალობელთა ამათ წინაშე ლარნაკსა შენსა. ჳვილთა და სამწყსოთა შენთა. და ევედრე ჩუენთჳს მაცხოვარსა. ნეშტსა დღეთა ჩუენთასა. აღსრულებად მშჯდობით. ოხითა შენითა ილარიონ.

ეჰა წყალობის-მოყუარეო სულო, ჱ ღმერთშემოსილო მამაო. შეიწირე ძღუენი უღირსთაგან ბაგეთა. და ნუ დასაჰკელად ჩემდა. იქმნებიან შესხმაჲ შენი წმიდაო. არამედ მომიტევე. წარმდებად კადნიერსა. ძალისა უაღრესსა ქელყოფად.

ბუნებით ერთ ხარ ჱ წმიდაო სამებაო. ხოლო გუამითა სამად იცნობები. განუყოფელი განიყოფი განუყოფელად. ხოლო თჳთებანი შენნი. შეურევნელად ჰგიან მარადის. მამაო [v] უშობელო. ძეო მხოლოდ შობილო. და სულო წმიდაო გამომავალო.

რომელთა არა ჰრწამ შენ ღმრთისმშობელად. და ხატსა შენსა არა ჰმონებენ. დედაო და ქალწულო უქორწინებელო. უტყუე იყვნენ ბაგენი მათნი. ხოლო ჩუენ ზედა მოსავთა შენთა. მადლი შენი მოვედინ. და მოწყალებაჲ შენი. იყავნ ჩუენგან განუშორებელ.

აკ˘ბსა, სარწმ˘ნებით ყ˘ნი.

აჰკედ სიმაღლედ მამაო. გონიერითა ფრთითა. საქმისა და ხედვისა. მრჩობლიად წარმართებითა. გონებაჲ წარადგინე წინაშე ღმრთისა. გუნდთა თანა წმიდათა ზეცისა განწყობილთასა. და ღირს იქმენ შენ ხილვად დიდებასა ღმრთისა-

სა. რომელსა განუკუთნე. თავი თჳსი სიჩჩოჲთგან. მისა მიმართ ოხად ნუ დაჰგდებ. სამწყსოთა შენთათჳს ილარიონ.

მღჳძარედ იპყრენ მამაო. თუალნი გონებისანი. და მიურულებელად. დასცევდ სულისა ნაყოფთა. წარპარვისაგან ავაზაკთა ზუაობისათა. და სიმდაბლით მარხვითა ლოცვასა თანა წმიდისა. სიყუარული მოყუსისა. მოწყალებისა თანა და ყოველივე მწყობრი. წმიდაჲ სათნოებათაჲ. ვითარცა რაჲ მუშაკმან სულიერმან. ზეცისა საუნჯეთა შეჰკრიბე.

იქცეოდე სანატრელო. სოფელსა ამას შინა. ვითარ პირველ ელია. იწროებითა ჯორცთაჲთა. რომლისა-იგი შემდგომად ამაღლებისა. ხალენთა მისითა მოწაფე იგი მისი. სასწაულთა იქმოდა ხოლო აქა შემდგომად. სიყუდილისა შენისა. სამოსე[162]ლიცა შენი. პირად-პირადთაგან სენთა გუემულთა. მადლითა შენითა განჰკურნებდა.

ნუ დამივიწყებ მამაო. ნეტარო ილარიონ. სამწყსოთა ამათ შენთა. წინაშე ქრისტეს მჴსნელისა. დედასა თანა ცათა მეუფისასა. და ყოველთა წმიდათა ზეცისა უჯრცოთა. წინაწარმეტყუელთა და საღმრთოთა მოციქულთა. ნეტართა მღდელთ-მოძღუართა. მამათა და მარტჳლთა. რომელთა თანა აღრაცხილ ხარ. რაჲთა დავიცხეთ განსაცდელთაგან.

სტ ქრნნი ამისე წმიდისა მამისანი, ვმაჲ ბ გუერდი, ყი სასოებაჲ.

მოვედით ერთი ხოროჲ. ხილული და უხილავი. საღმრთოჲ და სულიერი. ზეცისათა თანა დღეს. განვაწყოთ ერნო. და შემოვკრბეთ ქებად. ქრისტეს მოღუაწისა. ახოვნისა. რომელი-იგი. შრომითა ოფლთაჲთა. ეწყო სიყრმითგან მტერსა ბორკტსა. და შემუსრა ძალი მისი. საჭურველითა უძლეველითა. და ვეევდრნეთ მას ჳ სამგზის სანატრელო ილარიონ. ნუ დასცხრები მეოხებად სამწყსოჲსა შენისათჳს.

სხუაჲ. გ გუერდი, მჴდომარეთაჲ.

წმინდა გყო ღმერთმან საშოჲთგანვე დედისაჲთ. ვითარცა პირველ დიდი იერემია. და ჴურად სიწმიდისად. გამოგაჩინა მამაო. და სასწაულთა. ნიშებითა განგაშუენა. და შენ მიერ სოფლისა მჴყრობელი ბელიარ. სირცხჳლითა აღავსო. ყოველით დასით მისითურთ. და სიღრმესა ბნელისასა დაანთქა ხოლო შენ ნეტარო. გჳრგჳნი [v] ძლევისაჲ ბრწყინვალე დაგადგა. ვითარცა მოღუაწესა თჳსსა. ღმერთშემოსილო. ნეტარო ილარიონ.

სხუანი, დ გუერდი, ედემსა ზედა.

სათნოებათა დიდთა საუნჯე. გამოსჩინდი სანატრელო. და მიემსგავსე. პირველთა გამოცდილთა. რამეთუ შეიტკბე სიყრმითგან. სიმშჳდე იგი მოსესი. და დავითისი. ძჯრუჭსენებლობაჲ. და ელიაჲსი. მოღუაწებაჲ და სრული უპოვარებაჲ და მსგავსად. პავლესსა სიყუარული ყოველთა მიმართ. მოგეგო მამაო. და ესრეთ საქმითა მოღუაწებათა შენთაჲთა. ვითარცა რაჲ ეტლითა. აჰმაღლდი წინაშე სამებისა. მამაო ილარიონ. მეოხ გუეყავ ჩუენ შემსხმელთა შენთა.

ვითარცა მოციქულთა მეგობარი. და მათ თანა-მოსაგრე. და ცათა შინა. მათ თანა-მოდასე. ქუეყანასაცა ამას ზედა მათ თანავე ზიარ იქმენ. ზოგადსა სახლსა. ღმრთისასა მკჳდრ-ყოფად. რომელსა-იგი. შინა სხენან წმიდანი ნაწილნი შენნი. მადლისა. მომცემელად ჩუენდა და სენთა საკურნებელად. და აწ სანატრელო.

მათ თანავე ევედრე სამებასა წმიდასა. ღმრთისმშობლისა თანა. და ყოველთა წმიდათა კრებულსა. მონიჭებად მშჯდობაჲ. და სულთა ჩუენთა დიდი წყალობაჲ*.

М. Ш. ДОЛАКИДЗЕ

ПЕСНОПЕНИЯ НА ИМЯ ИЛЛАРИОНА ГРУЗИНА

(Резюме)

В предлагаемой статье представлен материал о песнопениях, созданных в честь Иллариона Грузина.

Илларион Грузин был известным церковным деятелем и монастырским строителем IX-го века, проведшим большую часть своей жизни вне Грузии: в Палестине, Риме, Константинополе, Салониках, на Олимпе (в Вифинии).

Создано несколько редакций его «Жития» и несколько песнопений.

В настоящей статье рассматриваются древнейшие из этих песнопений:

1) Песнопение анонимного автора.

2) Песнопение Зосимэ, представителя афонской грузинской литературной школы.

В статье рассматриваются вопросы взаимоотношений этих песнопений с редакциями «Жития» Иллариона Грузина, время и место написания этих песнопений.

На основании сличения текстов песнопений и «Житий» сделаны следующие выводы: песнопение анонимного автора занимает обособленное место среди сочинений, созданных в честь Иллариона Грузина. Оно не носит следов влияния текстов «Жития» Иллариона Грузина и должно быть создано до написания «Житий».

Песнопение, принадлежащее Зосимэ Афонскому, обнаруживает следы использования автором редакций «Жития» Иллариона Грузина и песнопения анонимного автора. Оно создано в 1072—1074 годах на Афоне, а в Грузии стало известно лишь с 1743 года.

---

* სიგალობელს ერთვის ზოსიმეს და გადამწერის შენიშვნები: „ლოცვა ყავთ წმიდანო მამანო, ქრისტეს-მოყუარენო პატრონსანთა ძმათათვის, რომელთა სიტყჳთა ვიძულე გალობად მაგისა ჩუენისა ილარიონისა მე, უღირსი ზოსიმე, რომელი-ესე არცათუ სახელის-დებად მისა ღირს ვიყავ. თუ კეთილ იყვნენ, სასყიდელი მათი არს, ხოლო ნაკლულევანებაჲ ჩემისა უსწავლელობისა მიერ არს.

წმიდაო ილარიონ, შეიწყალე მონაჲ შენი იაკობ, მღდელი ქრისტესი და მწერალიცა შეიწყალე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თორნიკე ჭყონია

იყო თუ არა მონოფიზიტი „ევსტათი მცხეთელის მარტვილობის“ ავტორი

მეექვსე საუკუნეში, როდესაც დაიწერა „მარტვილობაჲ და მოთმინებაჲ წმიდისა ევსტათი მცხეთელისაჲ“, ქართლის ეკლესია აღიარებდა მონოფიზიტობას. ალბათ ამ გარემოებამ აფიქრებინა აკად. კ. კეკელიძეს განეხილა თხზულების ავტორის მიერ გადმოცემული ქრისტიანული მოძღვრება მონოფიზიტობასთან შედარებით. განხილვის შედეგი ცნობილი გახდა 1941 წელს. აკად. კ. კეკელიძე წერდა: „აღმწერი ევსტათის მარტვილობისა იქნებოდა მონოფიზიტი. ეს აპრიორული მოსაზრება თხზულებითაც მტკიცდება. აქ ერთ ადგილას ვკითხულობთ არქიდიაკონი სამოელის შემდეგ სიტყვებს: ქრისტე „საშოჲსაგან (ქალწულისა) გამოვიდა და ღმრთეებაჲ ჴორცითა გარდაიფარას[1]; უკუეთუმცა ღმრთეებაჲ ჴორცითა არა დაეფარა, კაციმცა ვერ მიეახლა ღმერთსა“. დიოფიზიტური მოძღვრებით ქრისტე არის არა მარტო სრული ღმერთი, არამედ ამავე დროს სრული კაციც, მან მიიღო სრული კაცობრივი ბუნება, ერთარსი ჩვენი ბუნებისა, რომელსაც დამოუკიდებელი, სუბსტანციური არსებობა ჰქონდა. ზემომოყვანილი სიტყვებით კი მისი ხორცი იყო, არა ხორცი სრული ადამიანისა, კაცისა, რომელიც შეურევნელად, შეუცვლელად და განუყრელად იყო გაერთიანებული ღვთაებასთან, არამედ მხოლოდ საფარველი ღვთაებისა; ეს მონოფიზიტური შეხედულებაა“[2].

ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია გაირკვეს, არის თუ არა ეს შეხედულება მხოლოდ მონოფიზიტური.

როგორც ცნობილია, არა მარტო მონოფიზიტები, არამედ დიოფიზიტებიც აღიარებდნენ, რომ ძე ღმერთმა შეიმოსა — გარდაიფარა ხორცი[3], მაგრამ მართლმადიდებელთა (დიოფიზიტთა) შეხედულება, მონოფიზიტური მოძღვრე-

---

[1] შდრ. «ღმრთეებაჲ ჴორცითა დაიფარა» (ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I (V-X სს.), დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯღამაიამ ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბილისი—1963, გვ. 38).

[2] კორნელი კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1941, გვ. 476.

[3] ეფრემ ასური (გარდ. 373 წ.) ჰქადაგებდა: «Так воплотившийся Господь наш прикрыл Себя покрывалом плоти, изшел из чрева и явился; тогда увидели Его волхвы

ბისაგან განსხვავებით, ემყარებოდა ქრისტეს ბუნების დიოფიზიტურ გაგებას. ეს განმასხვავებელი ნიშანი არ ჩანს ძე ღმერთის განხორციელების საკითხის ზოგიერთ განმარტებაში[5], ასე, მაგალითად, იოანე საბანისძე წერს: „გამობრწყინვებითა ღმრთეებისათა, ვითარცა სამჭადური მატლსა შინა, ეგრეცა ჯორცთა შინა თჳსთა დაფარა ღმრთეებაჲ იგი თჳსი და უფსკრულთა ამის სოფლისათა შთაგდო და აღმოიქუა, ვითარცა კეთილმან მეთევზურმან, რომლისათჳსცა იტყჳს: „შეიპყრა ვეშაპი იგი სამჭადურითა და განიღო დანდალი ყბასა მისსა და ხარტყაი ცხჯრსა მისსა“, ესე იგი არის ეშმაკი, რომელი შეიპყრა და შემუსრნა მანქანებანი მისნი“ (A — 19, გვ. 410).

ეს შეხედულება არ არის მონოფიზიტური. ქართველი მწერალი იოანე საბანისძე (VIII ს.) კარგად იცნობს მონოფიზიტობას, ებრძვის მას, აღიარებს „ღმერთსა არა შეშუელსა“[6]. იგი იზიარებს მართლმადიდებელი ზოგიერთი მწერლის (გრიგოლ ნოსელის, იოანე ოქროპირის და სხვ.) შეხედულებას, რომ ღმერთმა გადაიფარა ხორცი ეშმაკის ტყეობისაგან ადამიანის დახსნის მიზნით.

ქართველ ჰიმნოგრაფს იოანე მინჩხოსს (X ს.) ასე აქვს წარმოდგენილი ღმრთის განხორციელება: „კაცებაჲ რაჲ შე[ი]მოსა[7] კაცთა ჭსნისათჳს უჴორცომან ღმერთმან, დაფარა ჯორცითა თუალთ-შეუდგამი შანთი იგი ღმრთეებისაჲ განგებუ-

---

и принесли дары» (Творения Ефрема Сирина, часть 5-ая, издание четвертое, 1900, стр. 165).

ეფრემ ასურის თხზულებათა რუსული თარგმანის V ნაწილში მოთავსებულ პირველ სტატიას დართული აქვს შენიშვნა: «Вся пятая часть творений преп. Ефрема Сирина переведена с сирского языка».

გრიგოლ ნოსელი (გარდ. 394 წ.) განმარტავს: ადამიანი თვითონ დაემონა ეშმაკს, ამიტომ უსამართლო იქნებოდა ძალით დახსნა ადამიანისა; ღმერთმა ინება მისი გამოსყიდვა. მაგრამ ეშმაკი ვერ მიეახლებოდა ღმერთს, ვერ შეხედავდა მას. ეშმაკთან მიახლების მიზნით ღვთებამ გადაიფარა ხორცი.

„Διὰ τοῦτο, περικεκάλυπται τῇ σαρκὶ ἡ θεότης“ („Migne, Patr. gr., t. 45, col. 64).

„Поэтому божество прикрывает себя плотью“ (Творения Григория Нисского, ч. IV, 1862, стр. 62).

ეშმაკმა არ იცოდა, რომ ხორცით დაფარული იყო ტყვის მხსნელად მოსული ღმერთი და მიიღო ადამიანის ფასად სიკვდილი მხსნელისა, მაგრამ წამოეგო ხორცით დაფარულ ღვთების ანკესზე.

[4] დიოფიზიტური მოძღვრებით სრული ღმერთი და სრული კაცია ქრისტე; მას აქვს ორი ბუნება და ორი ნება. მონოფიზიტობა «უარყოფს ქრისტეში ნამდვილი, სრული ადამიანის ხორციელ ბუნებასა და მის ვიპოსტასში მხოლოდ ღვთებას ხედავს» (ვ. ქ ე ქ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტომი I, 1960, გვ. 513—514).

[5] მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ მწვალებლად გამოცხადებული არიოზიც (გარდ. 336 წ.), ათანასე ალექსანდრიელის (გარდ. 373წ.) ცნობით, აღიარებდა, რომ ღვთებამ გადაიფარა ხორცი.

„Ἄρειος δὲ σαρκὶ μόνην πρὸς ἀποκρυφὴν τῆς θεότητος ὁμολογεῖ“ (Migne, Patr. gr., t. 26, col. 1136).

„Арий же признает, что одна плоть служила к прикровению Божества“ (Творения Афанасия Александрийского, кн. II, 1903, стр. 343).

[6] ძველი ქართული ავიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I (V-X სს), ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1963, გვ. 53.

[7] დაბეჭდილია Sin.—ნი-ს მიხედვით: «შემოსა».

ლებით ჴორცითა თჳსითა, რომლითა გამოჩნდა უხილავი სახილავად[8] დაბადებულთა“[9]. (შდრ. „ევსტათი მცხეთელის მარტვილობის“ ავტორის სიტყვები: „უკუეთუმცა ღმრთეებაჲ ჴორცითა არა დაეფარა[10], კაციმცა ვერ მიეახლა ღმერთსა“).

იოანე მინჩხის აზრით, ადამიანს არ შეეძლო დაენახა ღმერთი, ამიტომ მან დაფარა ხორცითა ღმრთეება თვისი; უხილავი ღმერთი გახდა სახილავი.

ერთი საპოლემიკო თხზულება („ჴსენებაჲ სიტყჳს-გებისაჲ და სასჯელისაჲ შჯულისათჳს ქრისტეანეთაჲსა და სარკინოზთა“), რომელიც „ორიგინალური ქართული ნაწარმოები უნდა იყოს“, საფიქრებელია, XII საუკუნეში დაწერილი[11], მოგვითხრობს თბილისში გამართულ პაექრობაზე. სხვათა შორის ღმრთის განხორციელების საკითხიც განუხილავთ ამ პაექრობაში მონაწილე ქრისტიანე ბერსა და სარკინოზს (მაჰმადიან არაბს). „სარკინოზმან თქუა: რაჲსათჳს აიძულა თავსა თჳსსა ყოფად და მერმე მიცემად თავი თჳსი ჰურიათა მოკლვად? ესე უწყით, ვითარმედ ღმერთმან ყოველნი წმიდანი მისნი იჴსნნა მძლავრთაგან, თავი თჳსი უკუჱ ვითარმცა მისცა კიცხევად და დასჯად?! ბერმან თქუა: ამისთჳს, რამეთუ არა შესაძლებელ იყო სიკუდილითა მოსესითა, გინა თუ შემდგომთა მისთაჲთა ჴსნაჲ ადამისი, არამედ სიკუდილითა ძისა მისისაჲთა, ჴორცითა თჳსითა, რომელ-იგი მიიხუნა საფარველად შორის მისსა და შორის დაბადებულთა მისთა. სარკინოზმან თქუა: და არარაჲ იპოვა საფარველად თჳსა, გარნა ჴორცნი კაცობრივნი, უშუჱრნი და შურისაგან ნივთთაჲსა მოხუმულნი? ბერმან თქუა: არა აღმოგიკითხავსა წიგნთა მოსესთა, და კურანსაცა, ვითარმედ ღრუბლით გამო ზრახვიდა ღმერთი მოსეს, და წინა მისსა მაყულოვნით გამო, და მერმე კიდობნით გამო, რომელი ქმნილ იყო ძელითა და

---

[8] შდრ. «დაფარული ჴორცთა შინა თუალთ შეუდგამი ღმრთეებაჲ თუალითა სულისაჲთა იხილა იოვანე, ღმრთად იცნა და კრავად მაღლისა ქადაგა განცხადებულად» (პავლე ინგოროყვა, ძველ-ქართული სასულიერო პოეზია, წიგნი I, ტექსტები, VIII-X საუკუნეები, ტფ., 1913, გვ. სიზ).

[9] ივ. ჯავახიშვილი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბ., 1947, გვ. 155.

[10] ძველ ქართულ ლიტერატურაში დაკავშირებულია ძე ღმერთის განხორციელების საკითხთან არა მარტო «ჴორცითა გარდაიფარა» («ჴორცითა დაეფარა»), არამედ «ჴორცნი შეემოსნეს» და «ჴორცნი შთაიცუნა». აკად. კ. კეკელიძეს ასე აქვს წარმოდგენილი ერთმანეთთან მათი მიმართება: «მოქცევაჲ ქართლისაჲს» პირველწყაროებში «ჴორცითა გარდაიფარა»-ს უდრის «ჴორცნი შთაიცუნა», მაგრამ ლუკიანეს მარტვილობის «ჴორცნი შეემოსნეს» (კ. კეკელიძე, კიმენი, II, 9) სულ სხვა, მართლმადიდებლობაშიც მიღებული ტერმინია» (კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1960, გვ. 513, შენ. 3).

ჩვენ უნდა შევნიშნოთ, რომ «ჴორცითა გარდაიფარა» არ არის უარყოფილი მართლმადიდებლობის მიერ, არც «ჴორცნი შეემოსნეს» უპირისპირდება მას თავისი მნიშვნელობით. ამის დასამტკიცებლად შეგვიძლია დავიმოწმოთ ერთი ადგილი X საუკუნის ქართველი ჰიმნოგრაფის იოანე მტბევარის საგალობლიდან: «სიტყუამან დაუსაბამომან, ღმრთეებრ უხილავმან, მიიღო დასაბამი განკაცებისაჲ ჴსნისათჳს კაცთა ნათესავისა, რაჟამს შეეზავა აგებულებასა ნივთიერსა მიწისაგანსა მოწყალებით აუგებელი არსებაჲ ღმრთეებისაჲ საშოსა შინა ქალწულისასა, ვითარცა სამჭედურმან გარე შეიმოსნა ჴორცნი, რომლითა დაფარა სავსებაჲ ღმრთეებისაჲ» (პავლე ინგოროყვა, ძველ-ქართული სასულიერო პოეზია, გვ. პდ.).

[11] კორნელი კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტომი I, თბ., 1960, გვ. 478—479.

ტყავითა? არა კაცი უპატიოსნეს არსა ეკალთა და კიდობანსა, რომელ საფარველად მიიხუნა ღმერთმან, რომლისათჳს იტყჳთ, ვითარმედ ანგელოსნი თაყუანისცემენ კაცსა?? უკუეთუ კაცისაგან მიიხუნა კორცი საფარველად და ზრახვიდა კაცთა, რაჲ საკჳრველ არს ესე? არა კაცი უპატიოსნეს არსა ეკალთა და ძელთა ტყავითა მომკუდრისაჲთა შემოსილთა, რომელი — იგი დაჰბადა ხატად ღმერთებისა თჳსისა და უდიდებულეს ყო იგი ანგელოზთა“? („დოგმატიკონი“, S — 1463, ფ. 311რ).

ქრისტიანე პოლემიკოსი გარკვევით აცხადებს, რომ ხორცი არის საფარველი ღვთაებისა.

ნათარგმნი ძეგლებიც აცნობდნენ ქართველ მკითხველებს გამოჩენილ სასულიერო მწერალთა მიერ გამოთქმულ აზრებს ძე ღმერთის განხორციელების შესახებ. მაგალითად, საკითხავი „ხარებისათჳს წმიდისა ღმრთის-მშობელისა“ (მესამჱ), რომლის ავტორად გრიგოლ ნეოკესარიელი (გარდ. 270—275 წ.) იხსენიება „სინურ მრავალთავში“ (გადაწ. 864 წელს), შეიცავს ასეთ განმარტებას: „შესხრტულსა მას გუამსა კაცებისასა ელვარჱ იგი ბრწყინვალებაჲ ღმრთეებისაჲ დაეფარა და სულთა ღმრთეებისაჲთა მოგუეახლა ჩუენ; ანგელოზთა გალობასა ღირს მყვნა ჩუენ გალობად მისა“[12].

ნ. საგარაძ ამტკიცებს, რომ აღნიშნული თხზულება ეკუთვნის არა გრიგოლ ნეოკესარიელს, არამედ გრიგოლ ნოსელს[13]. თხზულების ბერძნულ ტექსტში არ არის ჩვენ მიერ მოტანილი ციტატი, მაგრამ იგი მთლიანად შემოუნახავს სომხურ თარგმანს[14].

იმავე კრებულში („სინურ მრავალთავში“) დაცული არის საკითხავი „გურტისათჳს და წმიდისა ეკლესიისათჳს“, რომელიც მიეწერება იოანე ოქროპირის (გარდ. 407 წ.) კალამს.

ესაია წინასწარმეტყველის სიტყვები — „დამდვა მე ვითარცა ისარი ერთი რჩეული და დამშალა მე კაპარჭსა შინა“ — ასეა განმარტებული ხსენებულ თხზულებაში: „აწ რაჲ-მე არს ძალი ისრისაჲ მის? ღ მ ე რ თ ი სიტყუაჲ იგი თქუა და კ ა პ ა რ ჭ — კორცნი იგი, რომელთა შინა დაფარულ იყო ღმრთეებაჲ“[15].

---

[12] სინური მრავალთავი 864 წლისა ა ა კ ა კ ი შ ა ნ ი ძ ი ს რედაქციით, წინასიტყვაობით და გამოკვლევით, თბ., 1959, გვ. 17.

[13] «Беседа в честь Пресвятой Богоматери Приснодевы сохранилась в армянском переводе, с которого F. C. Conibeare сделал английский перевод, напечатанный в «Expositor», March, 1896, отсюда—русский перевод в «Церк. Вед.» за 1896, №14. Нам удалось установить тождество этой беседы с беседой, приписанной св. Григорию Нисскому, греческий текст которой напечатан G. La Piana в «Rivista Storico-critica della Schienze theologiche», 1909, fasc. 7—8, p. 548—563. Греческий текст сохранился в более краткой редакции» (Творения Григория Чудотворца епископа Неокессарийского, перевел профессор Николай Сагарда, Петроград, 1916, стр. V).

[14] შდრ. «Сокрывши в грубом веществе человечества лучезарное сияние Своего Божества и исполнивши (нас) Божественного Духа, Он и нас соделал достойными воспевать Ему ангельскую песнь хваления» (Творения Григория Чудотворца епископа Неокессарийского, перевел Николай Сагарда, Петроград, 1916, стр. 186).

[15] სინური მრავალთავი, გვ. 227—228.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენთვის საინტერესო განმარტება კაპარჭისა აკლია ბერძნულ ტექსტს[16].

მეორე თხზულება „ნათლიღებისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა“, რომელიც აგრეთვე იოანე ოქროპირის სახელთანაა დაკავშირებული, შემოუნახავს X საუკუნის ხელნაწერ კრებულს A — 19-ს. იგი იწყება ქრისტიანებისადმი მიმართვით: „სიხარულ არს ჩუენ ყოველთათჳს, ძმანო, ღმრთისა მიერ მომადლებული დღესასწაული ესე დღჱ დასაბამი ცნობისაჲ, საფუძველი ცხორებისაჲ, დასასრული არს იგი წერილისა ჳურიათაჲსა, რომელი — იგი ჩვენ არა ვიცოდეთ და გამოგჳჩნდა, და სასურველი გუაცნობა, საძიებელი გამოგჳჩინა, დაფარული გამოგჳცხადა.

„არა ვიცოდეთ ჩუენ ქალწულისა მარიამისგან შობილი, არა ვიცოდეთ ღმრთეებაჲ ჴორცთა შინა დაფარული, არა ვიცოდეთ ნათელი ბნელსა შინა ყოფად, არცა მზჱ ღრუბელთა შინა დაფარული“ (A — 19, გვ. 338).

თხზულების ავტორი არა მარტო აღნიშნავს, რომ ღვთაება იყო „ჴორცთა შინა დაფარული“, არამედ უძებნის ამ მოვლენას ანალოგიებს (ბნელში ნათლის ყოფნასა და ღრუბელში მზის დაფარვას), რითაც ცდილობს გაუადვილოს მკითხველს თუ მსმენელს ღმრთის განხორციელების საკითხის გაგება.

დაბეჯითებით ვერ ვიტყვით, არის თუ არა უკანასკნელი ორი თხზულების[17] ავტორი იოანე ოქროპირი, მაგრამ საეჭვოდ არ ითვლება, რომ მას ეკუთვნის „მათეს სახარების განმარტება“. ქრისტიანული ეგზეგეტიკური ლიტერატურის ამ შესანიშნავი ძეგლის პირველ ნაწილში (მეორე თავში) ვკითხულობთ:

’Εννόησον γὰρ ἡλίκον ἐστὶν ἀκοῦσαι, πῶς μὲν ἐκ τῶν οὐρανῶν καὶ τῶν θρόνων ἀναστὰς τῶν βασιλικῶν, καὶ εἰς τὴν γῆν, καὶ εἰς αὐτὸν τὸν ᾅδην ἥλατο ὁ Θεὸς, καὶ ἐπὶ τῆς παρατάξεως ἔστη; πῶς δὲ ἀντιπαρετάξατο ὁ διάβολος, μᾶλλον δὲ οὐ Θεῷ γυμνῷ, ἀλλὰ Θεῷ ἀνθρωπίνῃ κρυπτομένῳ φύσει. Καὶ τὸ δὴ θαυμαστὸν, ὅτι θανάτῳ θάνατον ὄψει λυόμενον, καὶ κατάραν ἀφανιζομένην κατάρᾳ, καὶ δι’ ὧν ἴσχυσεν ὁ διάβολος, διὰ τούτων αὐτοῦ, καταλυομένην τὴν τυραννίδα[18].

გულისჴმა-ყავთ რაჲ უსაკჳრველეს არს ანუ უმჯობეს სმენად წინა-მდებარეთა ამათ საჲდუმლოთა, ვითარ გარდამოჴდა ღმერთი ზეცით, ვითარ იშვა ქალწულისაგან და კაცთა შორის იქცეოდა, შთავიდა ჯოჯოხეთად, შებმა უყო ეშმაკსა; ვითარ წინა-განეწყო ეშმაკი ღმერთსა, დაფარულსა ჴორცთა შინა კაცობრივთა[19]; განეწყო კაცისა მიმართ და მიემთხჳა ძალსა ღმრთეებისასა, იძლია და დაეცა, მოითრია იგი მეუფემან, ვითარცა ვეშაპი სამჭედურითა, მოკლა სიკუდილი

---

[16] შდრ. „’Ανάγνωθι τὸν ‘Ησαΐαν, καὶ ἐν αὐτῷ εὑρήσεις πῶς λαλεῖ τὸ βέλος: καὶ ἔθηκέ με ὡς βέλος ἐκλεκτὸν, ὁ Θεοὸς Λόγος λέγει, καὶ ἐν τῇ φαρέτρᾳ αὐτοῦ ἔκρυφέ με“ (Migne, Patr. gr., t. LV. col. 600).

[17] პირველი ჰ ო მ ი ლ ი ი ს («გურიტისათჳს») ბერძნული ტექსტი მოთავსებულია გამომცემლის მიერ იმ თხზულებათა შორის, რომელთა ავტორი საეჭვოა იყოს იოანე ოქროპირი (Migne, Patr. gr. t. LV, col. 600. Spuria).

[18] Migne, Patr. gr., t. LVII, 24—25.

[19] შდრ. «... как дьявол боролся с Богом,—не с неприкровенным, впрочем, Богом, а с Богом, скрывавшимся под покровом человеческой плоти» (Творения Иоанна Златоуста, архиепископа Константинопольского в русском переводе, том седьмой, книга первая. Издание С. -Петербургской Духовной Академии, 1901, стр. 18).

სიკუდილითა, განაქარვა წყევაჲ წყევითა („თარგმანებაჲ წმიდისა სახარებისა მა-თეს თავისაჲ“, თარგმნილი ექვთიმე ათონელის მიერ, Jer.—35, ფ. 14v).

გამოჩენილი ეგზეგეტიკოსის იოანე ოქროპირის განმარტებას იმოწმებს ანტიმონოფიზიტური, პოლემიკური თხზულების „წინამძღურის“ ავტორი ანასტასი სინელი (VII ს.).

„Καὶ πάλιν ὁ αὐτὸς ἐν τῷ πρώτῳ βιβλίῳ τῷ εἰς τὸ κατὰ Ματθαῖον „Θεὸν“, λέγει, „τὸν Χριστὸν ἐν ἀνθρωπίνῃ κρυπτόμενον φύσει[20]“.

და კუალად იგივე პირველსა წიგნსა შინა მათეს თარგმანებისასა ღმრთად იტყჳს ქრისტესა კაცობრივსა ბუნებასა შინა დაფარულად (S—1463, ფ. 17 v).

იოანე ოქროპირის განმარტება მეორეჯერაც არის სხვა ადგილას გამოყენებული „წინამძღუარში“.

Ψεύστης λοιπὸν Ἰωάννης ὁ Κωνσταντινουπόλεως λέγων: „Θεὸν ἐν ἀνθρωπίνῃ κρυπτόμενον φύσει“[21].

რამეთუ მტყუვარ სადმე არს იოვანე კონსტანტინუპოლელი ოქროპირი კაცობრივსა ბუნებასა შინა დაფარულად მეტყუელი ღმრთისაჲ (S—1463, ფ. 20r).

რა თქმა უნდა, არსენ იყალთოელმა (XI—XII სს.) იცოდა, რომ ორთოდოქსული ქრისტიანული ეკლესიის მიერ არ იყო უარყოფილი ანასტასი სინელის „წინამძღუარში“ დამოწმებული შეხედულება იოანე ოქროპირისა, ამიტომ მან მთლიანად (ე. ი. ჩვენ მიერ ზემოთ მოტანილი ორი ციტატის დაუკლებლად) თარგმნა ქართულ ენაზე „წინამძღუარი“ და შეიტანა იგი „დოგმატიკონში“[22].

არსენ იყალთოელის „დოგმატიკონში“ აგრეთვე მოთავსებულია ლეონ ჰრომთა პაპის (გარდ. 461 წ.) ეპისტოლე. ლეონ პაპი წერს კონსტანტინეპოლელ ეპისკოპოსს ფლაბიანეს: „ხოლო რაჟამს წინამორბედისა თჳსისა იოვანეს მომართ მოვიდეს ნათლის-ღებად, რაჲთა საცნაურ იქმნეს, ვითარმედ საბურველითა ჴორცთაჲთა დაფარულ იყო ღმრთეებაჲ, მამისა ჴმაჲ ზეცით მჴმობელი ღაღადებს: ესე არს ძე ჩემი საყუარელი, რომლისა შორის სათნო ვიყავ“[23] (S—1463, ფ. 218v).

ლეონ ჰრომთა პაპის ეპისტოლე, რომელშიც აღიარებულია ღვთაების დაფარვა ხორცით, არ შეიცავს მონოფიზიტურ მოძღვრებას. იგი დიოფიზიტებმა გამოიყენეს მონოფიზიტების წინააღმდეგ ბრძოლაში. მეოთხე მსოფლიო საეკლესიო (ქალკედონის) კრების მეორე სხდომაზე, როდესაც წაკითხულ იქნა ლეონ პაპის ეპისტოლე, მართლმადიდებელმა ეპისკოპოსებმა წამოიძახეს: ეს არის

---

[20] Migne, Patr. gr. t. 89, col. 156.

[21] Migne, Patr. gr. t, 89, col. 172.

[22] ჩვენ მიერ გამოყენებული ხელნაწერები: A — 19, S — 1463 (დოგმატიკონი) და Jer.—35 ხელნაწერის ფოტოპირები დაცულია საქ. მეცნ. აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში.

[23] შდრ. «Когда Он пришел принять крещение от предтечи своего Иоанна, тогда дабы не утаилось, что под покровом плоти скрывается Божество, с неба возгремел глас Отца: сей есть Сын мой возлюбленный, о немже благоволих (Матф. III, 17).». (Деяния вселенских соборов изданные в русском переводе при Казанской Духовной Академии, т. III, издание второе, Казань, 1879, стр. 235).

მამათა სარწმუნოება. ეს არის სარწმუნოება მოციქულთა. ყველას ასე გვწამს, ასე სწამთ მართლმადიდებელთ. ანათემა იმას, ვისაც ასე არ სწამს[24].

აკად. კ. კეკელიძე მართებულად აღნიშნავს, რომ „ქალკედონის კრების ისტორიაში და მის დოგმატიკურ ფორმულაში დიდი როლი ითამაშა პაპის ლეონ დიდის ეპისტოლემ“[25].

ამ ეპისტოლის ქართულად თარგმნა მოწმობს, რომ V საუკუნის მოღვაწის ლეონ პაპის შეხედულებას ძე ღმრთის განხორციელების საკითხზე იზიარებდნენ ქართველი დიოფიზიტები XII საუკუნეშიც.

დასკვნა ჩატარებული კვლევა-ძიებისა ასეთია: ჩვენ მიერ დამოწმებული ძეგლები (ეგზეგეტიკური, ჰომილეტიკური, დოგმატიკური, ჰიმნოგრაფიული, პოლემიკური და ჰაგიოგრაფიული ლიტერატურისა) შეიცავენ ისეთსავე ზოგად ქრისტიანულ შეხედულებას ძე ღმრთის განხორციელების საკითხზე, როგორსაც „ევსტათი მცხეთელის მარტვილობა“. ეს ფაქტი გვაძლევს საფუძველს განვაცხადოთ: აკად. კ. კეკელიძის მიერ განხილული ციტატა („ღმრთეებაჲ ჴორცითა გადაიფარა...“) ვერ გამოდგება იმის გასარკვევად, იყო თუ არა მონოფიზიტი „ევსტათი მცხეთელის მარტვილობის“ ავტორი.

ТОРНИКЕ ЧКОНИЯ

БЫЛ ЛИ МОНОФИЗИТОМ АВТОР «МУЧЕНИЧЕСТВА ЕВСТАФИЯ МЦХЕТСКОГО»

(Резюме)

В произведении неизвестного грузинского писателя VI века — «Мученичестве Евстафия Мцхетского» сказано, что Христос «вышел из чрева (девы) и прикрыл свое божество плотью». По мнению акад. К. С. Кекелидзе автор этих строк был монофизитом.

Однако такое же толкование вопроса о рождестве Христа встречается в произведениях диофизитов: Ефрема Сирина (ум. в 373 г.), Григория Нисского (ум. в 394 г.), Иоанна Златоуста (ум. в 407 г.), Анастасия Синайта (VII в.), и грузинских писателей — Иоанна Сабанисдзе (VIII в.), Иоанна Минчхи (X в.) и др.

Следовательно, нет основания утверждать, что автор «Мученичества Евстафия Мцхетского» был монофизитом.

---

[24] Деяния вселенских соборов, т. III, издание второе, Казань, 1879, стр. 242.

[25] კორნელი კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1960, გვ. 469.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაია მამაცაშვილი

ვისრამიანის ქართულ ხელნაწერთა მიმართებისათვის

ქართული ვისრამიანის პირველი გამოცემის რედაქტორებს ილია ჭავჭავაძეს, ალ. სარაჯიშვილს და პეტრე უმიკაშვილს ტექსტის ბეჭდვისას ხელთა ჰქონდათ ოთხი ხელნაწერი (S—27; S—17; S—102; S—96). რედაქცია ძირითადად ემყარებოდა S—27 ხელნაწერს (S—17 ზუსტი პირია S—27-ისა; დანარჩენი ორი ხელნაწერი კი, რედაქციის დახასიათებით — „დამახინჯებული და შეცვლილი იყო“[1]. ესენია: S—102 და S—96). ჩამოთვლილ ხელნაწერებს გარდა გამომცემელთ სხვა ნუსხებით არ უსარგებლიათ, რადგან, მათივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „მეტი ხელნაწერი ვერ მოიპოვეს“[2].

ქართულ ხელნაწერთა სიუხვისა და სიმდიდრის მხრივ მეორე გამოცემის რედაქტორები (ალ. ბარამიძე, პ. ინგოროყვა და კ. კეკელიძე) გაცილებით უფრო მომგებიან პირობებში აღმოჩნდნენ. ამ დროისათვის მათ განკარგულებაში უკვე 14 ხელნაწერი იყო[3]. ამას თან დაერთო ის გარემოებაც, რომ ძეგლის გამომცემელთ შესაძლებლობა მიეცათ გაეთვალისწინებინათ სპარსული დედნის მონაცემებიც. თქმა არ უნდა, რომ ყოველივე ამის გამო ვისრამიანის მეორე გამოცემის მეცნიერული დონე უფრო მაღალი უნდა ყოფილიყო და, არის კიდეც, ვიდრე წინა გამოცემისა. რედაქციამ ტექსტი გამართა დედნის ჩვენებათა მოშველიებით, ქართულ ხელნაწერთა მონაცემების ურთიერთშეკერებით და მათ შორის უკეთესის შერჩევით. ამას გარდა ტექსტი შეივსო ორი, აქამდე უცნობი ნაწყვეტით[4]. ეს ერთადერთი გამოცემაა ქართული ვისრამიანისა, რომელსაც ახლავს თან ხელნაწერთა მოკლე აღწერილობა. განხილული 14 ხელნაწერის ფარგლებში რედაქციამ მოგვცა ქართულ ხელნაწერთა რაობის არსებითი სურათი, გამოჰყო სამი რედაქცია და ამასთანავე გაარკვია მათი მნიშვნელობა კრიტიკულ-სამეცნიერო ტექსტის დასადგენად.

1960 წელს ვისრამიანის რიგით მესამე გამოცემა გამოვიდა. იგი მომზადა ივ. ლოლაშვილმა[5]. ახალ გამოცემას საფუძვლად ხუთი ძველი ხელნაწერი დაე-

---

[1] ვისრამიანი, რედაქტორობით ილ. ჭავჭავაძის, ალ. სარაჯიშვილის და პეტრე უმიკაშვილის, ტფილისი, 1884, გვ. XI.

[2] იქვე.

[3] ვისრამიანი, ალ. ბარამიძის, პ. ინგოროყვას და კ. კეკელიძის რედაქციით და შესავალი წერილით, ტფილისი, 1938.

[4] პირველი ნაწყვეტი მე-2 გამოცემის 96—97 გვერდებზეა მოთავსებული და იწყება სიტყვებით: „საყუარელი“ და თავდება: „თუ აღარ მიჩნდეს“, ხოლო მეორე—129-ე გვერდზე და იწყება: „არაკით“ და თავდება: „შრავალფერად ქცევასა“.

[5] ჩვენი საუნჯე, 2, თბ., 1960.

დო, სახელდობრ: S—27; S—17; S—3702; Q—355 და Q—479. ბოლო ხელნაწერი მეორე გამოცემის შემდეგ იქნა გამოვლენილი და ბუნებრივია, რომ მე-2 გამოცემის რედაქტორების მიერ ვერ იქნებოდა გამოყენებული.

1962 წელს გამოვიდა ქართული ვისრამიანის მე-4 გამოცემა[6]. გამომცემელთ გამოუყენებიათ დღეისათვის გამოვლენილი ყველა ხელნაწერი, რომელთა რიცხვმა უკვე 21-ს მიაღწია[7].

ჩვენს წერილში მოცემულია ცდა ვისრამიანის ქართულ ხელნაწერთა შეძლებისამებრ სრული და ზართო მიმოხილვისა. ჩვენ აქ არ შევუდგებით ცალკეული ხელნაწერის აღწერასა და დახასიათებას; ცალკე გამოვყოფთ მხოლოდ იმ ხელნაწერებს, რომლებიც რატომღაც დაჩრნენ მკვლევართა ყურადღების გარეშე. ვეცადეთ ავრეთვე შეგვეცნო ის ხარვეზებიც, რომლიც შეინიშნება ვისრამიანის ხელნაწერთა აღწერისა თუ შესწავლის საქმეში.

ვისრამიანის უძველესი ქართული ხელნაწერია S—27[8], რომელიც ეკუთვნის მე-17 საუკუნეს და გადაწერილია სალაროს მუშრიბის ა ღ მ უ რ ა ა ნ თ გ ა ს ა პ ა რ ა ს მიერ. ხელნაწერი სრულია და ნაკლებად შერყვნილი. მასში პეტრე უმიკაშვილის ხელთაა შეტანილი სხვადასხვა ხასიათის შენიშვნები, გახსნილია ქარაგმები, ჩატანილია სქოლიოში ვარიანტები. ერთი სიტყვით, A ხელნაწერი პ. უმიკაშვილისათვის წარმოადგენდა შავს, რომლის მიხედვით გამოიცა შემდგომ დაბეჭდილი ტექსტი ვისრამიანისა. 1883 წელს 26 ნოემბერს უმიკაშვილს საბოლოოდ დაუმთავრებია ტექსტზე მუშაობა (256r). ამ ხელნაწერს, დაწყებული პირველი გამოცემიდან უკანასკნელ გამოცემამდე, ვისრამიანის ტექსტის ყველა გამომცემელი ძირითად ნუსხად იყენებს.

A ხელნაწერისაგან რედაქციულად განსხვავებული ნუსხაა C, რომელიც გადაწერილია 1729 წელს. ხელნაწერს აქვს 45 საკმაოდ კარგი მინიატურა (31 მინიატურისათვის თავისუფალი ადგილია გაშვებული ხელნაწერში). A ნუსხასთან შედარებით C ხელნაწერში იკითხება ის ორი მოზრდილი ნაწყვეტი, რომლითაც იქნა შევსებული ვისრამიანის ტექსტი მეორე გამოცემის რედაქტორთა მიერ. თუ პირველ ნაწილში C ხელნაწერი მისდევდა A ნუსხას, უკვე მეორე ნაწილში იგი ვარიანტულად განსხვავებულია. ამ ნაწილში ბევრი აკლია კიდეც ტექსტს. ასეთ შემთხვევებში თავად გადამწერი გვამცნობს ხოლმე: „აქა ფურცლები აკლია“ ანდა „აქ ფურცელი აკლია“ (მაგ. გვ. 27; 67; 246 და სხვა).

ვისრამიანის ყველაზე საინტერესო ნუსხაა D — გადაწერილი 1736 წელს მხატვარ გ რ ი გ ო ლ ი ს ძ ი ს ა ლ ე ქ ს ი ს მიერ. ხელნაწერი თავდაპირველად დაშლილი ყოფილა. სამწუხაროდ, იგი არასწორად აუკინძავთ და ამის გამო ძნელდება მისი მოზმარება (გვერდების თანმიმდევრობა ასეთი უნდა იყოს: 1r—3v: 34r: 25r; 27r—v; 31r—32v; 28r; 33r—v; 4r—v; 35r—47v; 5r—24v;

---

[6] ვისრამიანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთეს აღ. გ ვ ა ხ ა რ ი ა მ დ ა ა გ ა ლ ი თ ო დ უ ა მ, თბ., 1962.

[7] ამ ხელნაწერთა აღწერილობა მოცემულია კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის სათანადო აღწერილობებში.

[8] ჩვენ მიერ განხილულ ქართულ ხელნაწერებს შემდეგი ლიტერებით განვსაზღვრავთ: A(S-27); G-(S-17); C(S-3702); D(H-716); N(Q-479); M(Q-355); J(S-1728); f(H-218); H(H-295) H-2698 შეცვლილია Q-479, a(H-80); E(S-96): L(S-102); o-თელავის ნუსხა: E(H-1211a); B (H-1211b): ილინინგრადის აზიის ხალხთა ინსტიტუტის ხელნაწერი E-71) და Q (ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის ნუსხა № 112).

48r—57v; 29r—30v; 58r—69r). D ხელნაწერი მთელი ტექსტის მანძილზე აჭრელებულია ჩამატებებით, ნასწორები თუ წაშლილი სიტყვებითა და მთელი წინადადებებით. მეორე გამოცემაში ამის თაობაზე ნათქვამია, რომ ვიღაცას D ნუსხა უსწორებია AB ხელნაწერების მიხედვით და შეუტანია ნაკლული ადგილები[9]. ამ ხელნაწერის შეჯერებამ C ნუსხასთან, ხოლო შემდგომ AG ხელნაწერებთან, დაგვანახვა, რომ გადამწერს ტექსტი თავდაპირველად C ხელნაწერიდან (ან მისი ტიპის ნუსხიდან) გადაუწერია. ამგვარად მივიღეთ ხელნაწერის პირველი ვარიანტი, რომელსაც D^1 ვუწოდებთ. D ნუსხის ეს ვარიანტი C-შეცდომებსაც კანონზომიერად იმეორებს. ძაგ.: C ნუსხაში ხან ზოგჯერ არის დადასტურებული, ხან კი ზოგჯირ. ამის მიხედვით D ხელნაწერიც ისე კითხულობს, როგორც ეს იკითხება C ნუსხაში. C ხელნაწერის 161r-ზე ვკითხულობთ: ზოგჯირ-ს; D ნუსხაშიც შესაბამისად იკითხება: ზოგჯირ (გვ. 24v). როდესაც C ხელნაწერი იძლევა სწორ ფორმას: ზოგჯერ (გვ. 13), D ნუსხაც სწორად კითხულობს სიტყვას: ზოგჯერ (32v) და ასე მთელი ტექსტის მანძილზე. ამ ორი ნუსხის საერთო ადგილების მოხმობას არ შევუდგებით, რადგან ამისთვის მთელი ტექსტის მოყვანა დაგვჭირდებოდა. ყურადღებას იმ ადგილებზე გავამახვილებთ, რომლებიც არაა დამოწმებული CD^1 ხელნაწერებში. ესენია: თავში „რამინისაგან ადინას ნახვა“ არაა დადასტურებული C ნუსხაში — „ხარ-ხიზითა და სამანდურითა და ყანარით“, არ აღმოჩნდა იგი არც D^1-ში. ნაკლული ტექსტი მოგვაქვს D ხელნაწერიდან, რომელსაც D^2 ვუწოდებთ. ამავე თავში აკლია CD^1 ნუსხებს შემდეგი ადგილი: „და თვით ვითამცა გულისა შეცულა აღარა გარდასრულიყო“ და კიდევ: „მე მის ელვისაგან მაშორება, რომლისა დარბაზი ცა არის“. თავში „რამინის წყაწი ვისისათანა“ (საკუთარივ ამ თავის სათაური იკითხებოდა D^1-ში C ნუსხის მიხედვით ასე: „წყაწი რამინისი ვისსა თანა“) ძალზე ბევრი აკლია ტექსტს CD^1-ხელნაწერების მიხედვით; მრავალთაგან ზოგს დავასახელებთ: „შიში მაგ შენისა პირისა მზისა მსგავსისა ნახვისათვის მოსურვება და გონება მიუწდომელია, რომელსა შიში დავიწყებია“. აგრეთვე: „ჩემი საქმე ცა იყო, მენ მიწად შეჰქმენ“. იქვე: „რად მიჩვენე მოფიცარნი და მოწამენი“ და სხვა. ბევრი აკლია ტექსტს აგრეთვე თავში „რამინისა და ვისის ერთგან შეყრა“ CD^1-ის მიხედვით. „არც შენდობისა თხოა შემიძლია, არცა უშენოდ ჩემი სიცოცხლე ეგების“. ანდა: „მან ღმერთმან, რომელმან დამბადა, აწ შენ ჩემი შეცოდება უხსოვნელსა გაქნევინოს, მაგრა აწ ჩემან ბედმან და ეშმამან მაქნევინა და გამიღო გონება შენი შესაგუარი“. C ნუსხას განსაკუთრებით ბევრი აკლია, როგორც უკვე ითქვა, ტექსტის მეორე ნაწილში, უფრო მეტი კი ბოლოში. ამიტომაა სწორედ, რომ D^1 ნუსხაც ამ ნაწილშია უფრო მეტად აჭრელებული. ამგვარად, D^1 — პირველი და ძირითადი ფენაა D ნუსხისა. C ხელნაწერის გადაწერის შემდეგ ალექსი მხატვრის ძეს შეუდარებია მის მიერ გადაწერილი ნუსხა A-ს ტიპის ხელნაწერისათვის. თავიდან ბოლომდე შეუჯერებია იგი მისთვის და საკუთარი ხელით უსწორებია A-ს მიხედვით D^1 ხელნაწერი; შეუტანია ყველა ხარვეზი, რომელიც კი გააჩნდა მის გადაწერილ ხელნაწერს. პირველის მაგალითად მოვიყვანთ შემდეგ ადგილებს: D-ში იკითხებოდა (გვ. 52v) „არ იყავ ესრე თავისა ჭელთა მქონელი და ესდენ მწარეთა

[9] ვისრამიანი, აღ. ბარამიძის და კ. კეკელიძის რედაქციით, ტფილისი, 1938, გვ. XVII. B ნუსხა უფრის G ლიტერით აღნიშნულ ხელნაწერს.

სიტყვათა მთქმელი“ (ასეა დამოწმებული ეს და ჩვენ მიერ მოყვანილი სხვა ადგილი C ნუსხაშიც). ალექსის ეს ადგილი შეუსწორებია A-ს ტიპის ნუსხის მიხედვით: „არ იყავ ესრე თავისა ჭელთა მქონებელი და ესდენ მწარეთა სიტყვათა მთქმელი“. D-ში ისევე, როგორც C-ში დამოწმებული იყო: „მე შენი ნახვა ჩვეულებისაებრვე მომცესო“. გადამწერი აქაც ასწორებს ტექსტს, შლის სიტყვა „მომცესო“ და თავზე აწერს ახალ წყაითხვას: „ჩემისა მოყვარულისად“, რის შემდეგ მთელი ფრაზა ახლებურად იკითხება: „მე შენი ნახვა ჩვეულებისაებრვე ჩემისა მოყვარულისად“. თავში „რამინისაგან ვისის მოგონება“ D-ს მისხედვით (გვ. 55r) ტექსტი ასე იყო წარმოდგენილი: „რა ჰურჭელი ახალი იყოს, წყალსა კარგა დაიჭირავს“. ასეა C-შიც. გადამწერს აქაც გაუსწორებია წაკითხვა „ჰურჭელი“. წაუშლია იგი და ზემოდან წაუწერია სიტყვა კოკა. „რა კოკა ახალი იყოს, წყალსა კარგა დაიჭირავს“. ამავე თავში D-ში იკითხებოდა (55r): „გულო, შენ უმეცარსა მფრინველისაებრ მარცვალი ჰპოე და ბადე ვეღარ დაინახე“. ალექსის სიტყვა „დაინახე“ გადაუკეთებია „გაიცადე“-დ. აქვეა შესწორებული D-ს წაკითხვა „ხედვისად“ „ლხენისად“-ად: „გულსა კუნესა არა მქონდა“ (D—55v) „გულსა კუნესა არა მართებს“-ად (სიტყვა მქონდა წაშალა გადამწერმა D-ში და ზედ წაუწერა „მართებს“). ამავე თავში ალექსის სხვა რიგის მანიპულაციაც ჩაუტარებია ფრაზაში: „აგრემცა დღემოკლე ვარ, თუ შენი ფიცი გავტეხო“ (D—55r). გაუსწორებია ტექსტი A-ს ტიპის ნუსხის მიხედვით შემდეგნაირად: „რომელ აგრემცა დღემოკლე ვარ და ღმრთისაგან აბეზარქმნილი, თუ შენი ფიცი გავტეხო“ და ა. შ.

D ხელნაწერის პირი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მეორე ნაწილში საგრძნობლად სხვაობს შემაესებელი ნუსხისაგან. ხშირად მთელი პასაჟებია ჩამატებული D-ში ამ ნუსხისაგან, მაგ.: გვ. 62r—67r-მდე. როგორც წესი, თუ D-ნუსხის ტექსტი არაა აშკარებული ჩანამატებებითა და ჩასწორებებით ან შეცვლილი ადგილებით, ასეთ შემთხვევებში იგი ან A-ს ტიპის ხელნაწერს მიჰყვება, ან არა და, უნდა დავასკვნათ, რომ ეს ადგილები საერთოდ ჰკლებია D-ნუსხის პირს და ალექსი მხატვრის ძე A-ს ტიპის ხელნაწერით ავსებდა მათ. პირველ ნაწილში D ნუსხა ზედმიწევნით მიჰყვება ამ ხელნაწერს და ამ ნაწილში D-ს ტექსტიც სუფთაა. ბუნებრივია, რომ ამ მანიპულაციების ასპარეზს გადამწერი პოულობს მეორე ნახევარში, სადაც C ნუსხა სცილდება A-ს. A-ს ტიპის ხელნაწერსო რომ ვამბობთ (და არა საკუთრივ A-ს), ისეთი შემთხვევები გვაქვს მხედველობაში, როდესაც გადამწერის მიერ შესწორებული წაკითხვებიდან ზოგიერთი მათგანი CA ხელნაწერებში ერთნაირად იკითხება, მაგრამ ალექსი მხატვრის ძე მათაც ასწორებს. გასწორებული ადგილები ხშირად ემთხვევა E ნუსხის ჩვენებებს (ხან კი სხვა ხელნაწერთა მონაცემებს). დავასახელებთ ამის რამდენიმე მაგალითს: თავში „რაფიდ მისსა ასულსა რამინის გამზრაობა უამბო“ იკითხება DCA ხელნაწერებში: „ვინ იცის, თუ რაზომნი ჭირნი მინახავენ მოყუარისა სიმორისაგან“. D ნუსხაში წაკითხვა „მინახვან“ გადამწერს გადაუკეთებია „მინახავნ“ ვარიანტად. ამგვარი წაკითხვა კი დასტურდება E ხელნაწერში.

D ნუსხაში ამავე ადგილას ვკითხულობთ: „ერთმანერთისა იადიგარნი არიან“. გადამწერს აქაც E ხელნაწერის ჩვენება შეაქვს: „იედიგარნი არიან“. ასევე ემთხვევა D ხელნაწერის წაკითხვა E ნუსხის ჩვენებას შემდეგ მაგალითშიც: „მეტისა უსუსურობითა ნასენებასა ვგავ“ (D—56v). დანარჩენ

ნუსხებში იკითხება: „უსუსურებითა ნასნებასა ვგავ“. მაგალითად, გამრავლება კიდეც შეიძლებოდა, მაგრამ, ვფიქრობთ, მოტანილიც კმარა. ამ მაგალითების დასახელება მხოლოდ იმიტომ დაგვჭირდა, რომ გაგვემართლებინა ჩვენ მიერ გამოყენებული გამოთქმის —A-ს ტიპის ხელნაწერის— ხმარება. ყველაფრიდან ჩანს, რომ ალექსი მხატვრის ძის გადაწერილი D ნუსხა არაა შესანიშნავი. ამიტომ ვფიქრობთ, რომ ალექსი მხატვრის ძის გადაწერილი D ნუსხა არაა შესანიშნავი. დაისმის კითხვა, რატომ დასჭირდა, საზოგადოდ, ალექსის თავისი გადაწერილი ხელნაწერის სხვა ნუსხასთან შეჯერება და მისი შესწავლა უკეთესი ნუსხის ჩვენებებით. დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად უთუოდ უნდა ვთქვათ ორიოდე სიტყვა ალექსი მხატვრის ძის საქმიანობის შესახებ.

ალექსი, ძე „ტფილელთა მოქალაქეთქმნულის ქელაანის მხატვრის გრიგოლ მღუდლის დეკანოზისა“, იყო დეკანოზი ახჩისხატის ტაძრისა მე-18 საუკუნის I ნახევარში, ანტონ კათალიკოსის თანამოღვაწე და მწერალი მისი, იგი იყო „მეცნიერი კაცი, მოძღვარი სულიერი ანტონ კათალიკოსისა, მწერალი ხუცურისა და მსედრულისა, რომელიც ღირს ქებისა არს ნაწერებისაგან. ამან მრავალნი სამრთო წერილნი და ისტორიანი გადასწერნა და ამან კეთილად აღზარდა შვილნი თვისნი გიორგი, სოლომონ და დავით, რომელთაცა ასწავლნა სამეცნიერო წერილნი, საღმრთონი და მგალობლობაცა“[10].

ვარდა ვისრამიანისა, ალექსი მხატვრის ძეს გადაუწერია საბას ლექსიკონი (1730 წ.), „წიდათა ცხოვრება“ (1736 წ.), „ოთხთაეი“ (1743 წ.), „ტიბიკონი“ (1760 წ.) და სხვა.

მესხიშვილთა ცნობილი კალიგრაფიული სკოლის ფუძემდებლად სწორედ ალექსი მხატვრის ძე ითვლება. მის მიერ დამკვიდრებულ ტრადიციებს მისი შვილები (დიმტრი, ტარასი, მიქელ) და სხვანი აგრძელებდნენ. ლ. ქუთათელაძის აზრით, მესხიშვილთა გვარის ზედწოდება (გაორმაგება მისი) ა ლ ე ქ ს ი მ ე ს ხ ი შ ვ ი ლ ი, სწორედ ალექსი მწიგნობრის სახელთანაა დაკავშირებული[11].

ალექსი მხატვრის ძე არა მარტო გადამწერი ყოფილა, არამედ ქელაენი მხატვარიც. ლ. ქუთათელაძის აზრით, საბას ლექსიკონის ფრონტისპისზე წარმოდგენილი მინიატურა სულხან-საბას გამოსახულებაა და თვით მინიატურაც გადამწერ ალექსი მესხიშვილის ნახელავია[12]. ალექსის მოხატულად მიაჩნია მკვლევარს აგრეთვე კალიგრაფიული ნუსხურით გადაწერილი „ოთხთაეის“ თავსამკაულები და მინიატურები და „წმიდათა ცხოვრების“ ქართველ მოწამეთა და მაშათა 26 მინიატურაც[13].

ჩვენ ამჯერად ალექსი მესხიშვილი გვაინტერესებს როგორც გადამწერი. ტექსტის გადანუსხვის დროს, როგორც ირკვევა, ალექსი არასოდეს პასიური არაა მის მიმართ. ალექსი ან მის შემკობა-გაფორმებას მიჰყოფს ხელს, ან თუ ეს უკანასკნელი საჭირო არაა იმ კონკრეტულ შემთხვევაში, როგორც განსწავლული მწიგნობარი, ყოველთვის ცდილობს სრული, ზუსტი ტექსტის შექმნას. ავსებს გადასწერი ნუსხის ტექსტის ხარვეზებს, უძებნის პარალელებს. ერთი სა-

---

[10] ი ო ა ნ ე ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, კალმასობა, კ. კეკელიძის და ალ. ბარამიძის რედაქციით, ტ. II, 1948, გვ. 200.

[11] ლ. ქ უ თ ა თ ე ლ ა ძ ე, საბას თანამედროვე გრიგოლ მხატვრის ძე მესხიშვილი, საბჭოთა ხელოვნება, 1959, № 10, გვ. 19.

[12] იქვე, გვ. 20.

[13] იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტყვით, ეწევა სერიოზულ და რთულ სამუშაოს, რომელიც სცილდება უბრალო გადანუსხვის ფარგლებს. იმის ნიშუშად, თუ როგორი ხასიათისაა მისი საქმიანობა ტექსტის გადაწერის დროს, დავასახელებთ მის მიერ გადაწერილ „სადღესასწაულო საგალობლების“ ორ ნუსხას: S—535 და A—1093. S—535 წარმოადგენს მხედრულად გადაწერილ ტექსტს, ალექსი მესხიშვილის ატტოგრაფს. ჭვირნიშნის მიხედვით იგი მე-18 საუკუნის მეორე ნახევრის ნუსხაა. ამ ხელნაწერზე მუშაობისას ალექსიმ რედაქციული ხასიათის დიდი და მძიმე სამუშაო ჩაატარა. როგორ მუშაობდა ალექსი ამ ტექსტზე, ეს მისივე სიტყვებიდან ჩანს: „თუ სადღესასწაულო დასწერათო, ამ რუსულის ტიბიკონზე დასწერეთ. დიდის გამოძიებით აღგიწერია. ადვილად არ იპოვება, ეს მუკლნი სხუათა წიგნთა ეს დიდად გამოწვლილვით გვიძებნია და სრულიად შეკრებით აღგიწერია. რომელიც ამაში სრულიად უჩნდეს, სხვითა წიგნიდამ დაწერეთ. ისინი ადვილად იშოვება და ესენი იქიდამ შეამოწმეთ“. ალექსის, როგორცა ჩანს, ერთმანეთისათვის შეუჯერებია ეს ორი ნუსხა, შეუცვლია მათი ტექსტი რუსული ტიბიკონის მიხედვით, დაუდგენია და აღუნუსხავს განსხვავებები. S—535 და A—1093 ერთმანეთისაგან მხოლოდ ლიტურგიკული მითითებებით სხვაობს. ამ მასალის შემდეგ კი ორივე ხელნაწერი ერთი და იგივე გალობებს შეიცავს. მთელი ეს რედაქციული ხასიათის სამუშაო ალექსი მესხიშვილმა ჩაატარა S—535 ხელნაწერის გადანუსხვისას, ისე რომ, A—1093-ის ტექსტი უკვე დახვეწილი და გარანდული აღმოჩნდა ამ სამუშაოს შესრულების შემდეგ. აღქსის ამ ნუსხის გადაწერის დროს აღარ დასჭირვებია იგივე ჯანიპულაციების ჩატარება. ხელნაწერ S—535-ის სახით მას უკვე გამართული, მზა ტექსტი ჰქონდა ხელთ[14].

დაახლოებით ამ ტიპის შრომა აქვს ჩატარებული ალექსი მესხიშვილს ვისრამიანის D ნუსხის გადაწერის დროს. ამ ხელნაწერის სხვა ნუსხებთან შეჯერებამ, მისი გადამწერის მუშაობის სტილის გათვალისწინებამ მიგვიყვანა შემდეგ დასკვნებამდე:

1. ხელნაწერი H—716 გადაწერილია თავიდან ბოლომდე ერთი ხელით — ალექსი მესხიშვილის მიერ.

2. ყველა მანიპულაცია ამ ხელნაწერზე წარმოებულია თვით გადამწერის, ალექსი მესხიშვილის მიერ, მისივე ხელით და მის გარდა არავის არაფერი უსწორებია ან ჩაუმატებია ამ ნუსხაში.

3. H—716-ის გადამწერი, ალექსი მესხიშვილი, უბრალო გადამნუსხავი არაა.

4. ჩვენ, სინამდვილეში, მივიღეთ ან ნუსხის ორი ვარიანტი (D-ს პირველი ფენა D^1 და D^2, ან როგორც ზემოთ ვუწოდებდით, A-ს ტიპის ხელნაწერი).

5. D^2 ნუსხა სპორადულად A-ს ჯგუფის ხელნაწერთა რიგში იმკვიდრებს ადგილს, ხოლო D^1 კი C-ს უდგას გვერდში.

ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში დაცულია ქართული ვისრამიანის ერთი მეტად თავისებური ხელნაწერი Q—479 (N), რომელიც მე-18 საუკუნის დამდეგის ნუსხას წარმოადგენს. ხელნაწერი არტანუჯულია; იგი 1937 წელს შემოსწირა საქართველოს სახ. მუზეუმს პროფ. შალვა ასლანიშვილმა. ნუსხა

---

[14] „სადღესასწაულოთა“ ხელნაწერების ნომრებია და მასალაც მოგვაწოდა უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა მიხეილ ქავთარიამ, რისთვისაც მას დიდ მადლობას მოვახსენებთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავ-ბოლო ნაკლულია; იწყება: „ვირო და ასული ვისი“... ესაა თავის „აქა ხუ- ზისტანით მოყვანა ვისისა ჰამიანის ქალაქსა“ — დასასრული. ზოგან ხელნაწერს ტექსტის შიგნითაც აკლია. მაგ.: 17r-დან — „მიემატოს ჭირი“ — ესაა თავის „ცნობა ვიროსაგან ცოლის წაგვრისა და ტირილი“ დასასრული. აქ აკლია ზუსტად ერთი გვერდი თავიდან „რამინისაგან ვისის ნახვა და გამიჯნურება“: -- მოახსენა: „ჰაი, იქნებოდამცა და სიზმრად ვეჩვენე“. აკლია აგრეთვე თავი „შაჰი მოაბადისაგან ვისის წვრთნა და შეგორება და მცნება“ — მთლიანად და თავი „ვისის და რამინის ერთმანეთის წყრომით გაყრა“ — ესეც მთლიანად. ეს ადგილები ტექსტს აკლია არა რედაქციულად, არამედ იმის გამო, რომ ხელნაწერი თავის დროზე ყოფილა დაწლილად და ასე უგზოუკლოდ გაბნეულა. ჩვენსავე საცავებში ინახება ვისრამიანის ხუთფურცლიანი ფრაგმენტი, რომელიც, როგორც მათი შეჯერებისას გაირკვა, N ხელნაწერის ნაწილია. ფრაგმენტში მოიპოვება ზუსტად იმგვარივე წრეები, როგორიც N ნუსხაში. ამ ნიშნების ფუნქციისა და მნიშვნელობის შესახებ ჩვენ სპეციალური მსჯელობა გვქონდა ცალკე წერილში[15] და ამიტომ მათ შესახებ აქ ალარ ვილაპარაკებთ. ფრაგმენტის H—2698-ის ტექსტი უერთდება N ხელნაწერს შემდეგი თავიდან „რამინისაგან გულისათვის გამიჯნურება“. N ნუსხის 141 გვერდის გაგრძელებას წარმოადგენს ფრაგმენტის მეორე ფურცელი. ამ მონაკვეთში ტექსტი გრძელდება თავამდე „რამინისაგან გამწარაობის წიგნის მიწერა ვისისათვის“. ფრაგმენტი წყდება სიტყვებზე: „გამოსვენება ესე მჭონდა“... მისი გაგრძელებაა N ნუსხის 142 გვერდი. ამ ადგილას ფრაგმენტს ერთი ფურცელი აკლია. ჩანს, ის ექვსფურცლიანი ყოფილა და არა ხუთფურცლიანი. ტექსტი შემდეგ გრძელდება: „რა რამინის შიკრიკი“... N ხელნაწერს რამდენიმე თავი ბოლოშიც აკლია.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ქართული ვისრამიანის მეორე გამოცემის რედაქტორებს ხელთა ჰქონიათ ვისრამიანის ეს ფრაგმენტი. თვით N ნუსხა კი შემდეგ გამოვლენილა. ესე იგი, ისინი (ფრაგმენტი და მთლიანი ნუსხა) ცალ-ცალკე შესულან საქ. სახ. მუზეუმის ფონდებში.

შედგენილობით და ვარიანტული ჩვენებების მიხედვითაც N ნუსხა მისდევს A-ს ჯგუფის ხელნაწერებს (DMiE), მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი N ნუსხაში დაძოწებული ადგილი არ ჩანს სხვა ხელნაწერებში: თავში „აქა ვისის მოყვანა ხუზისტანით ჰამიანს“ ნუსხაში იკითხება: „სამნივ ღვთისაგან დაწყეულნი“, ანდა შემდეგი ადგილი: თავიდან „აქა ქორწილი ვისისა და ძმისა მისისა ვიროსი“. არც იგია რომელიმე სხვა ნუსხაში დადასტურებული გარდა N ხელნაწერისა: „და ეს მიკვირს, რომელ რატომ ცეცხლი არ აწვიმა ღ~თან მათისა ისრე უშჯულოს საქმის გაბედებისათვის“. პოემის ჩვენთვის ცნობილ არც სპარსულ ნუსხებში იკითხება ეს ადგილები. ისინი ქართული ვისრამიანის გამოცემებში არაა შესული, ვინაიდან მიჩნეულია, რომ ეს ადგილები ქართველი გადამწერის მიერაა ჩამატებული ტექსტში. ეს ვარაუდი მხოლოდ მაშინ გამართლდება, თუ არსებულ სპარსულ არცერთ ხელნაწერში არ დადასტურდებიან ისინი.

ნუსხა ნაკლული ადგილებით გვერდში უდგას Dfi ხელნაწერებს. თავში „აქა მოაბადისაგან ვიროს ციხის გარშემოდგომა და ვისის საუბარი“ აკლია ის ადგი-

---

[15] ვისრამიანის ერთი თავისებური ხელნაწერის გამო, საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, XXXIX.2; 1965. გვ. 499—505.

ლი, რომელიც განმარტავს, როგორ ვითარებაში დარჩა გათხოვილი ვისი „ქორწილისაგან ხელმეუყოფელი“: „და მათი სქმე აგრე იქმნა, რომელ... თავისა გზა ვეღარა შეიგნა მიჯნურობისაგან“ N-სა და Ii-ში. დანარჩენ ნუსხებში ეს ადგილი დამოწმებულია. თავში „მოაბადისაგან ვისის გაშვება“ ამ ადგილიდან „რადგან ანაზდეულად გაგეყარა მოყუარე“, აქედან აკლია ნაწყვეტი: „შეხთუის ხუთშისა ჟამი წავიდა და ეკლისა მოვიდა... რათგან ვისსა ვერ უჸვრეტ“. ეს ადგილი N ნუსხის გარდა აკლია D²-საც (D² კი A ნუსხას უდრის აქ). თავში „რამინისაგან წასულა მაისა ქალაქსა“ აკლია წინადადება: „...არის, რომელ პირისა მიწისაგან ჩემი მტერი აჸკოცეთ; თუ შენი კრმალი ბასრი არის“. ეტყობა, წყარო ნუსხის გადაწერისას გადამწერს თვალმა უმტყუნა, ორი ა რ ი ს მეზობლობამ შეცდომაში შეიყვანა იგი და მისი შეცდომა გადავიდა სხვა ნუსხებშიც.

ვარიანტული წაკითხვებით N ნუსხა მხარს უჭერს DMEfioab-ს. მოვიყვანთ საამისო მაგალითებს: ძმამან] ძიძამან NAbfoiQ; დია ადე] დია EDNafoiQ; საჭურჭლითა] მუშკისფერი საჸურჭლითა NDaoJ; ბალზურით] ხალხურით DNEao; რუალი] ძვალი ENDaK; ტირილითა ეგრე] ეგრე EbN; დიდად] დიადად DN; დაკოდილი] დაკლული DNb; სახლეულთაგან] სასმელთაგან NDb დია] დიად NDM; კულა ძიძა] ძიძა DNMob; იადგრად] იადრა DN; ენამელურობა] მელურობა NobJ; მოგაცდუნა] მოგაცთუნეა DN; გაზაფხულეგე შეეტყობის] გაზაფხულსავე შეეტყვების DNM; მაპისა] მაისა DNM; გულჰამოდ] გვლპოდა ND; ბევრი ათასი] ბევრათასი ND; წუართე] საწუთრო ND; და] დაა ND; პატრონი] პატრონსანი ND; ზამთრისა] ზამთრისაგან NEDM; შესუა] შერესეა ND; კედაო მალვიდა] მალვიდა ND; აღელვებულსა] აღელებულსა ND; ვეყან] ვეყანს DNB; საბრისაცა] საუბრისაცა ENJ; მტყურისა] მტუერისა ND და მრავალი სხვა.

ძველ ხელნაწერთა შორის საყურადღებო ნუსხებია აგრეთვე M და E ხელნაწერები. M ნუსხა ჭვირნაშნის მიხედვით (სამი ნახევარმთვარე) მე-18 საუკუნის პირველ ნახევარს განეკუთვნება. ვარიანტული ჩვენებებით იგი გვერდში უდგას D ნუსხას. საერთო ადგილების ჩამოთვლაზე არ შევჩერდებით აქ. ყურადღებას გავამახვილებთ მხოლოდ საერთო შეცდომების აღნუსხვაზე. მოგვყავს ის ადგილები, რომლებიც ერთნაირადაა წარმოდგენილი ორსავე ხელნაწერში. მაგალითად: მეამანსა MD²; მავაბადი MD; მოაბთა] მათთა MD²; ჰქუიანთ] ჰქუიანთა MD²; ზოგჯერ MD¹C; ღონეა MD²; წაგნნი MD; ერცახენებურად] ერცხენებურად DM და სხვა.

M ხელნაწერი რედაქციული შედგენილობითაც და ვარიანტული წაკითხვებითაც A-ს ჯგუფის ნუსხებს მისდევს.

დაბოლოს, ძველ ხელნაწერთა მიმოხილვას ვასრულებთ ერთი საინტერესო ნუსხის ფრაგმენტით (H—1211ბ) B, რომელიც 22 ფურცლისაგან შედგება და მე-17-18 საუკუნეს ეკუთვნის. ქაღალდი და ხელი ამ ფრაგმენტისა საოცრად ჰგავს C ხელნაწერისას: ვარიანტული ჩვენებებით და შედგენილობითაც გვერდით უდგას მას. ამის დასადასტურებლად მოვიყვანთ შემდეგ მაგალითებს: ესმა] ჰპოვა CB; იარებოდის] ელიდის CB; ახალმოწიფული] ახლა მოწიფული CB; ყმა] ყმა კაცი CBh; ერთსახე დასწყლდა და დასნეულდა] ერცახე და წყლად დასნეულდა Cb, ერცახე დასწყლდა და დასნეულდა B; იჭვრეტდეს] დასხდეს CB; ლამოდა] ინატრის CB; თუ რაი უჩანს და არა მოკვდეს] და თუ ცოცხალ იყოს CB; მშობლისა] დედისა CB; შესუა] შერესეა CB; ძიძაო მწყრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოდიო] შენ მწდეობდიო CB; სიყუთლითა] სიყუთლესა CB; ჩვენთვის] ჩვენ თვის CBD; აშენია] ჰამოვანია CBD; იგი] რამინ CB; მიამებას] მინდა CB ტრილი] მოთქმა CBD; ესრე თავ უწეავრ ქმნით] ესრე თუ წავერქნით CB და მისთანანი.

თავში „რამინისაგან ვისის მიყუანა მარავს“ აკლია ადგილი: „შენი საქმე და საწადელი დღისაგან სრულია, ამი არის დღე ჩვენი“ CB ნუსხებში. ორივე ხელნაწერში აკლია აგრეთვე შემდეგი ადგილი თავიდან „მოაბადისაგან საბერძნეთს გალაშქრა:“ „უნახაობისა შენისა ჭირნი ჩემნი თუ ყოველსა ქუეყანისა კაცსა ზედა ვინ გაუწუნს, იგინიცა ვერ მოითმენენ“. და: „ესეთი ძმა ერთისა თემისა ლაშქართაგან მოსაკერებელია შენთუის, ამისთოა მიზეზითა მტერობასა ვერა გადრებენ და მოყუარეთა ერთგულობასა მოემატების“. ამავე თავში ორივე ნუსხაში აკლია ცალკეული გამოთქმები, ფრაზები თუ მთელი წინადადებები: „მოყვრისაგან ვჩივით“, „ვისმან კაცისა სახე ვერ ნახოს“, „სულთა შეჩემებაცა მცრობს, არაოდენ ტირილი“ და მისთანანი. ყველა ამის გამო ჩვენ გამოვიაქვს დასკვნა, რომ B-ს ფრაგმენტი გადაწერილია C-ნუსხიდან. CBf ხელნაწერებთან ერთად დგას აგრეთვე K და D[1]Q ნუსხებიც.

გვიანდელ ხელნაწერებს შორის ყურადღებას იქცევს უკანასკნელ ხანებში გამოვლენილი თელავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული ნუსხა № 2480. ჭვირთიშნის მიხედვით იგი თარიღდება მე-18 საუკუნის 20 — 30-იანი წლებით[16]. თავბოლო ნაკლულია (ალაგ შუა ტექსტშიც აკლია ხელნაწერს); გადაწერილია რიგიანი მხედრულით მოყვითალო-მონაცრისფერო ქაღალდზე; აქვს მინაწერები (21v-ზე ლექსად) და კალმით შესრულებული პრიმიტიული მინიატურები (14r; 16r; 18r; 26v). 37v-ზე არის მიწერილი გადამწერისავე ხელით: „მეფის ასული ნინა“; „ლეჩხუმის დედოფლის როდამის“, ხოლო 40v-ზე სხვა ხელითა და სხვა მელნით მიწერილია შემდეგი: „ვინც ეს წიგნი გადმოწერა ღმერთმა წაწყმინდა“. თელავის ნუსხაში ზოგიერთ სიტყვას თავზე უზის პატარა წრე, რომელსაც არაფერი აქვს საერთო N ხელნაწერში დაცულ ნიშნებთან... o-ს ნიშნები თავზე ესმის მხოლოდ განსამარტ სიტყვებს. ამიტომაც კი გატანილია მათი განმარტებები გადამწერისავე ხელით. მაგ.: მაჯანსა“ უფასური; ამარტა“ — მძივია ქვითა, ეშში; ჩაუქობითა“ — ცქვიტი და ლამაზი; კუშტობა“ — მწყრალად; ნიშტიანად“ — ხასიათი; იალმაგი“ — სამი ჯაჭვის გარესამოსი; ნატამალთაგან“ — მიდამო; არჯალი“ — ურცხვად ანჩხლი; მატყეობა“ — მაჭაკალი; რა გაგვა“ — რა გენადვლება; იედგრად“ — სახსენებელი (აშიაზე მიუწერია: „იადგარი ეწერა სხვაში“; აგრეთვე: „იედგარი ეწერა სხვაში“. ე. ი. გადამწერი სხვა ნუსხების ამგვარ ლექსიკონებშიც იხედებოდა). ამ დროის ხელნაწერთა შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ ვისრამიანის გვიანდელი ხელნაწერები შეიცავენ ასეთ ლექსიკონებს. ჩვენ ერთ ჯგუფში გავაერთიანეთ თელავური ნუსხის ტიპის გვიანდელ ხელნაწერები ამ ნიშნის მიხედვითაც.

თელავის ნუსხას ვარიანტული ჩვენებებით გვერდში უდგას ab ხელნაწერები. მოვიყვანთ ამის მაგალითებს: წესი არის] წესიერისა abo; აეგონება] უგონება abo; გაცხრობისაგან] გააცხრობს ao, გაცხრობს b; წაზიდვა] წ ა რ ბ ზ ი დ ვ ა ab; აიღებ] მოისთვლებ ao; შენ გემწარების] შენ გეძნელების abo; შაჭრისაებრია] შაჭრისაებრ იქმნების abo; ავკაცობამან] ავმან ცნობამან abo; ენისა]

[16] ცნობა მოგვაწოდა რ. პ ა ტ ა რ ი ძ ე მ, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ.

ავსა ენასა a; ავსა ენისა bo; ეძებდე] თუ ეძებდე abo; გავხდები] დავიდები abo; შემნახავთა თანა თუით] შემნახავი თვით a; შემნახავია თვით bHo; წეროსფერად] ყორნისა ao; ყორანისა b; თვალსა და მარგალტსა] თვალნი და მარგალიტნი abo; ვისი დედოფალი] ვისი ცოლთა მსგავსი დედოფალი abo; თუალისაგან] თვალთაგან abo; გასწუელდა] გაწვრილდა abo; კოკობი] კოკობი ხარ abo; ბრძენი და გონიერი] ბრძენი abo; მომლოდნენ] მომლოდნი Eabo; გასრულებასა] გახარებასა LEbo; ჯახარებისა a; ჯლახა] გლახაკი abo; შეკაზმულნია] შემოსილნი არიან abo; მისრულხარ] გასრულხარ abo; გაეხსნი და] გავხსნი და დავლენ abo; იმედ გარდაწყუეტილი] უიმედო abo; ხელთაებრ უცნობო] ხელთაებრ იქცეოდის და უცნობო abo; სიმხიარულე] სიხარული abo; დადაღული] დადაგული Labo; მოყუარენი] მოყუარულნი abo; ეგრე არქუა] პასუხი ეგრე რქვა ab; პასუხნი ეგრე რქვა o; სულისაგან] გულისაგან abo; იადონი] ბულბული abo; მლხენელი] მხსნელი bo; სამისო ღონე] სამისნო წამალი bHJo; დია ენადირა] დიადი ენადირა bo; სასმელი დიდად] წამალი დია bo; უწრფელობა] უსარცხვილობა bo; ეკიცხევის] ჰკიცხავს Lbo; დამიფაროს] მაელინოს bo; ავისა] ბედითისა bo; დაბადებისა] მბადისა bo; დავგორდე] ავფრინდე bo; წოლა] წოლა + იქმნების bHJo; გაწყრომისა] წყრომისა bHo; დაუჩენელობისა] დაუმორჩილობისასა bo და ა. შ.

ახლა მოვიყვანთ იმ ადგილებს, რომლებიც საერთოა ამ ხელნაწერებისათვის ტექსტის დაკლების თვალსაზრისით: და რომელიცა... ვერ გაიხარებენ] — abo; იადონსაცა შტისაგან ჩამოგდებდის ეგზომისა] — abHo; მთვრალისაებრვე შფოთითა ხმით რომელ] — abo; ანუ.. საკუირველობასა] — Labo; ღმე ჩემთვინ ეტლთაგან ახალიცა] — bo; წენი სიფუძრული... უფრო] — bo; ორი ქმარი... ხარ] — Lbo; ძიძა... დარბაზსა] — LbEo და სხვ.

ამ რიგის მაგალითების გამრავლება კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ, ვფიქრობთ, მოყვანილითაც კარგად ჩანს, რომ abo ნუსხები ხელნაწერთა განცალკევებულ ჯგუფს ქმნის და თუ ერთმანეთისაგან არ მომდინარეობენ, ერთი საერთო წყარო მაინც უნდა ჰქონდეთ.

ამაე ჯგუფში შემოდის ერთი გვიანდელი ხელნაწერი, რომელიც გადაწერილია მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში (1825 წელს) „კნეინა ანნა ავთანდილ ამილახვრის ასულის მიერ თვესა ივნისსა იე; წელსა ჩყკე". ხელნაწერი ეკუთვნოდა რაფიელ ერისთავს, რომლის ხელითაც მოწერილი თავფურცელზე შემდეგი: „ვისრამიანი, შეთხზული მეთორმეტეს საუკუნეში, თამარ მეფის დროსა, დილარგეთ სარგის თმოგველისაგან". ხელმოწერა: თ. რ. ერისთავი — 1859. აქვე მოწერილია განმარტების სახით: „დილარგეთ სარგის თმოგველს დაუწერია დილარიანი და არა ვისრამიანი, ვისრამიანი არის დაწერილი ქრისტეს წინ, მაგრამ არავინ იცის ვისგან"... ბარბარე. ამ ხელნაწერის აღმწერელი ქრ. შარაშიძე ბარბარეს გვარს (ჯორჯაძეს) აოდგენს რატომღაც კითხვის ნიშნით[17]. ჩვენ შევუდარეთ J ხელნაწერის მინაწერის ხელი ბარბარე ჯორჯაძის ხელს და დადასტურდა ვარაუდი, რომ იგი მართლაც ბარბარე ჯორჯაძეს ეკუთვნის.

J ნუსხაში ვხვდებით ზუსტად იმ ტიპის პრიმიტიულ, კალმით შესრულებულ მინიატურებს, რომლებიც დადასტურებულია თელავის ნუსხაში. მე-7 გვერდზე

[17] საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის S კოლექციის ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. III.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არის მინიატურა, რომელიც აღწერს „ხუზისტანით ვისის ჰამიანს მოყვანას“. მე-8 გვერდზე მოთავსებულ მინიატურას ქვეშ მიწერილი აქვს ლექსი:

„ედემსა წალკოტსა ალვა ზე აყრით არებდა,
ახლად ყვაოდა სიკუშტით, მართ მზისა ეტლსა დარებდა,
მისსა ნაყოფსა წალკოტი უამოდ მიიჩქარებდა,
მოიჩქარებდა თვით ამათ, ცნობასა გაუმწარებდა.“

მე-4 გვერდზე მინიატურისათვის თავისუფალი ადგილია დატოვებული; მინიატურა აღარ შეუსრულებია, ხოლო ლექსი მიუწერია (თვითონ გადამწერს):

„პირველ არც ამას, არც შაროს მართებდა თხოვნა-მიცემა,
რადგან მიცემა დაასკვნეს წიგნმან და პირმან მტკიცემან,
აღარ მართებდა გატეხა ზენარის მყის ცემა,
ყოველს პირს გამტეხს მიხვდების თავსა ცემა.“

გადამწერის დამოკიდებულება „უშობელი ვისის“ გათხოვების და შაჰროს პირის გატეხის მიმართ აშკარადაა გამოხატული ამ ლექსში. საფიქრებელია, შეუსრულებელ მინიატურაშიც სწორედ ეს სცენა უნდა ყოფილიყო განსახიერებული. 57-ე გვერდზე დასურათებულია მოაბადის დარბაზში ვისის მიერ რამინის მალვით ჭვრეტა და მისი გამიჯნურება. თავი „მოაბადისაგან ცეცხლის აგზნება ვისის საფიცრად“ იწყება ლექსით:

„ალი ცად აღვალს სახმილი, რომელ მუნ დაეგზნებოდა,
მიკვირს მთიები უზადო, მისგან ვით იგზავნებოდა,
ვით დასთმო შარომან ვისი და გული ვისითა კვდებოდა,
მას არ ეგონა და თვითვე გლახ ველად გაიძებოდა“. /გვ. 79/.

ციხიდან მალვით ჩაშვებული რამინი ვისის მოშორვებით დადუხჭირებულ გულს ასე მიმართავდა: „რას მიზამ გულო, ზოგჯერ სისხლსა ჩემსა ღვრი, ზოგჯერ სულთა მომაშორებ და ზოგჯერ ყოფასა დამამწარებო“. შემდეგ იწყება არაკი, რომლის წინ ანა ამილახვრის ასულს საკუთარი შემოქმედების ნიმუში წარუმძღვარებია:

„მე ვარ უმოყვრო მოყვარე ჭირთაგან მოყვარიანად,
ვერ დამითვალნეს სევდანი, ვერ ამილია სვიანად,
მოკრბით, ყოველმან ტრფიალმან ბაგე ლალ - მინა სათისად
კაეშანთ რაზმი იტვირთედ თქვენ მზისა მოკამათისად.
სული შესწირეთ, ვინადგან დაგამხობსთ შორ-ქმნა მათისად,
და გული უძლვუნით, გასჭვრიტეთ, რა გევზნათ ცხენთა მათი სად“. /გვ. 109/.

ვისრამიანის ძველ ხელნაწერთა გადამნუსხავები თუ ერიდებოდნენ ტექსტის შერყვნას, ზედმეტი ადგილების ჩამატებას და არაფრით ამჟღავნებდნენ თავის დამოკიდებულებას ძეგლისადმი, ამას ვეღარ ვიტყვით უკვე გვიანდელ ნუსხათა გადამწერების შესახებ. ისინი, როგორც წესი, სავალდებულოდ მიიჩნევდნენ საკუთარი კორექტივების შეტანას ვისრამიანის ძირითად ტექსტში, ძეგლის გმირთა მოქმედების დადებით თუ უარყოფით შეფასებას, და საზოგადოდ, თავიანთი დამოკიდებულების გამომჟღავნებას. ასეთ ნუსხათა რიგს მიეკუთვნება სწორედ J ხელნაწერიც. ამ ნუსხაში, ისევე როგორც თელავისეულში, მთელი ტექსტის მანძილზე განსამარტ სიტყვებს დასმული აქვს თავზე პატარა წრეები და მათი განმარტებები აშიებზეა გატანილი. მაგ.: ცხროიანი° — ცივი, მაჯნად° — უფასური, ხამრთა° — სირაჯი, ასაბიანი° — მტერზე მიმყოლი; ფარანდამან° — მფრინველი, ბეჩარა° — გაჭირვებული და მისთანანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარიანტული ჩვენებებით J ნუსხა გვიანდელი ხელნაწერების გვერდით დგას aboLH, განსაკუთრებით ახლოსაა bo ნუსხების წაკითხვებთან. ჩვენს ყურადღებას ისევ საერთო შეცდომებსა და განსხვავებულ ვარიანტებზე გავამახვილებთ:

უთხარ] თუ ხარ boJ; გულწყლული] წყლიან წყლული boJ; მომაგონდების] მოგვეგონების abHJ; დავნატრდები] დავნატრი aJ; ნაძვი ნაყოფიანი] ნაძვსა ნაყოფიანსა abJ; ღარიბობისა] ღარიბობისასა abJ; დავმორჩილდები] დავემორჩილები abHJ; გამოარჩევდა] გარჩევდა abJ; ცოლები] ცოლებნი abHJ; ლაშქარი] ლაშქრები abJ; წინა მავალნი] წინა მრავალნი abJ; და საჯდომი] დასჯდომია abJ; მტერიანნი] მტერნი abJ; ზარს] ზრახვას abJ; მე ტანისამოსი] მეტნი რამინისანი abJ; თუმცა ჩვენ შაქრისა] თუ თქვენცა შაქრისა abEDoJ; შენ გემწარების] შენ გეძნელების aboJ; მოყურობა ერთმანეთსა შიგან ჩვენი] მოყვრობა ერთმანეთისა aboJ; ავკაცობამან] ავმან ცნობამან aboJ; წესი არის] წესიერისა aboJ; ქორწილი] ქორწინი b; ქორწიJ; საპატიმრობისაგან] საპატიმაროსაგან aboJ; მოხელეებისათვის] მოხელებასა boJ; და სამკაულითა] სიმრავლისაგან abJ; ჭრმალი იყოს] იყოს გინა ხმალი aboJ; გავხდებით] დავიდები aboJ; გამტეხელი] გამტეხი abJ; საუგო] სააუგე abHoJ; იყიდო] დაიხსნა abHJ; წეროსფერად] ყორნისა aboJ; უთხოვისა] ნათხოვნისა abJ; მეორემან ჰქა] მესამემან ჰქა abHoJ; მზე ჯდა] მზე ჩნდა EbHoJ; კაცთა] ხალხთა LEabJ; მუნითა] ანუ თუ abJ; ბანსა] ბანთა aboJ; ვისი დედოფალი] ვისი ციურთა მსგავსი დედოფალი aboJ; კოკობი] კოკობი ხარ abJ; ბროწეულისაებრ] ყვავილისა aboJ; ცეცხლითა დეწუა] ცეცხლითა აევსო და დაეწუა aboJ; ვირო] მარა ვირო boJ; მოუცემია] მოუცია abJ; ტანისამოსი შეიმოსე] ტანსა შეიმოსე aboJ; გახადე] გაიხადე boJ; თუ ძმისათვის] თავისთვის abJ; მისრულხარ] დაუთმობლად გასრულხარ aboJ; დაჭედილნი] დაბეჭდილნი abJ; და დარჩა გლახ მოაბად უკუნისამდე შეკრული aboJ; ბნელი] ბნელად abHoJ; ტალახსა შიგან ჩაეფლის + და იადონსაცა შტოსაგან ჩამოიყვანდის abHoJ (ჩამოჰყვანდის J); გულ დადაღული] გულ დადაგული LaboJ; ყუანჯად] ფანჯად abJ; ფილოსოფოსთა] ფილასოფოსთა boJ; სულისაგან] გულისაგან aboJ; იადონი] ბულბული aboJ; წაზიდვა] წარბზიდვა aboJ; დაავდო] აავო aboJ; შევიწამებ] შევწიწებ abJ; შევიწიწებ Lo; ზედა დაიდვა + და აწ ძიძა ეგრე ეტყოდა boJ; ყოველთათვის თავის ნებისა და გამომსვენებელის მძებნელი boJ; რაზომცა ხელმწიფეთა ცოლნი და ასულნი ფარდაგსა შიგან მყოფნი და აგრეთვე დიდებულნი boJ; თუ ვტირით და თუ ვიცინით სიცოცხლესა შიგან ვერ ავხდებით ღვთისა განგებასა და ჩვენგან არ იქცევის წერად; ავისა] ბედითისა boJ; ზენაარ, ზენაარ] ზენარ bHoJ; დაუჩენელობისა] დაუმორჩილობისასა bo; დაუმორჩილობისსა J; ძიძისაგან რამინის გვერცა მისვლა] რამინის გვერდით მისვლა ძიძისაგან boJ; შენსა] ჩემსა boJ; წყალობა] წყალობაა LoJ; არნისაებრ] ჯერნისაებრ bHJ; შართქუნად] დოშაქად LEBbHJ; სასთაულად] სართულად b; სართაულად J; საჭურჭლე] საჭურველი bHJ; განვაქრივე] განვაქარვე bHJ; უსაქმოდ] უსაეჭოდ LEb; უსაჭოდ J; ჩემი შეიგონეო და შენისა თავისა] ჩემი შეგონება მოისმინო შენისა თავისა bJ; სიახლითა] სიხარულითა bJ; გაუწითლდა] გაუწითლა EbBDJ; ნისბური] ნისიბური LAEfoKH; ნასიბური CBJ; მითხარ] გითხარ boJ; მწარეთა] მწვავეთა AD; მ წ ი რ ი oBJ; მეშურნეთა] მოშურნეთა LEDobJ; დიჯლისა ოდენი ეგრეცა] დილეჯისა ოდენი წყალი ეგრეცა EbJ; ბარე ნელადრე ნთება მათნიე] ბარე ნელთარე

ნათება მაიმინე b; ბარე ნელთა აენთება მამათმინე J; წამიხვე] წამიხველ LbJ; დაურჩომლობა] დაურჩომლობა+იქმნება bJ; დაკოდილსა] კოდილსა bJ; მოიგრნებდე] მოგენდობოდეს bJ; სული] სული obJ; შემოვიდა] შინა შემოვიდა bJ; იადონი ვარდთა ზედა მრავალფერთა ხმათა იტყოდეს] იადონნი მრავალფერად იტყოდეს ვარდთა ზედა bJ; მოსურვებულმან] მოუსვენებელმან bJ; მშვილდოსანსა] მშვილდიანსა boJ; წავა] წვიმა bJ; ისარი მისთა] მისთა boJ; ზეპირ] ზეპირად bJ; გველია] ძველია o; ძველი არს bJ; ვინმე] მეკლებოან J; მეკლებანი bo.

ცალკე გამოვყოფთ იმ წყაროხვებს, რომლებიც მხოლოდ oJ ნუსხებში დასტურდება.

თავი: „ვისისა და ძიძისაგან მოაბადის მამაცობის კვრა“ — წაიღო ტილისმი] წაიღო ტილმა oJ; გავწირო] გავასწორო oJ;

თავი „ძიძისაგან ვისის გაყრა და რამინის ნახვა მესამედ“: დაიდგამ] დაადგრგბი oJ; ფერსა ადრე იქცევ] ფერა ადრე იქცევის oJ;

თავი: „რამინისაგან მარავიდამან აშქაფუთი დევანს ვისის შესაყრელად წასლვა“: ვითა ქურციკი oJ;

თავი „მოაბადისაგან ცნობა ვისისა და რამინის ერთგან შეყრისა“: შეყრისა] ყოფნისა oJ; სილაღითა] სილაღისა oJ; მძევალნიცა] მხევალნიცა oJ; ასაყარსა] ასაყრელსა oJ· რამინის+ნაცელად შაჰანშას ლაშქრითურთ ათასი ბერძენთა oJ;

თავი „ბეგოსაგან რამინის შეგონება კარგი“: ჩამსობს] ჩამისობს oJ; შენი ბედი შენ გიშველის] ბოლოსა ჟამსა] შენი ბედი შენ გიშველის oJ; გაგიწყრეს] გაწყრეს oJ; რღუნობა] რღვნა oJ; ცხენისა რბევა შენი] ცხენსა არბევ შენი oJ; მტერთა] მტერნი oJ;

თავი „მოაბადისაგან ვისის წვრთნა და შეგონება და მცნება“: რაზომჯერ] ზოგჯერ oJ; ესრეთი ვინ] ერთი ვინ oJ; ვითარცა გუმბათსა ზედა ნივოზი] თუცა გუმბათსა ზედა ნივოზი არ დადგების oJ; და ბუნება] და ნება oJ; ესრეთისა მშობლისაგან] ერთისა მშობლისაგან oJ; გაგხარნე] გამახარა oJ; ცხადია] გამცდელია oJ; მოწყალე და მძლე] მოწყალე და მოწყალე oJ; ძნელი] ნელი oJ შენ გშველის ხელმწიფობა დიდება] შენ გშველის ჯელმწიფება+შენ გშველის მორჩმით დავლა oJ; ესუნა] ესვიანა o; ესვინა J;

თავი „რამინისაგან გულის გამოჯნურება“: საღამოდ სმად და სიხარულად დასხდიან] საღამოდ სმად დასხდიან და სიხარულად oJ; ისახებდა] ივასხებდა LoJ; ფათერაკსა შესწრობილია] ფათერაკისა შესწრობასა oJ; სხუა არავინ ვძებნო] არავინ მინდა და არცა ვძებნო oJ; არავინ ვძებნო, არავინ მინდოდეს და არცა ვინ სხვა ცოლად ვსძებნო oJ;

თავიდან „ვისისაგან მიშქინის საუბარი“ J ნუსხის ტექსტი შევსებულია ახალი ფურცლებით და ტექსტიც უკვე პირწმინდად o ნუსხას აღარ მიჰყვება. როგორც ჩანს, გადამწერმა იგი შეავსო b ნუსხის ტექსტით. ამ მონაკვეთში გადამწუსხავი b-ს ტექსტს მიჰყვება სიტყვასიტყვით. მაგ.: რამინისაგან უფრო] რამინისაგან bJ; თუნდა] თუ cbJ; ამოდინების] ამოდინდების bJ; მიდგს] მედგას bJ; მხიარულსა და ბედნიერსა] მხიარულად ბედნიერსა bJ; ალვისანი] ალვის ხისანი bJ და ა. შ.

ვარიანტული მონაცემების გარდა J ნუსხა შედგენილობითაც ob ხელნაწერებს უდგას გვერდში. მოვიყვანთ ნაკლული ტექსტის საერთო ადგილებს: თავში „ქორწილი ვისისა და ძმისა მისისა ვიროსი“ აკლია: რაცა გენახოს და არა იგი, რაცა გასმიოდესო. ამბავი დასტურს არა ჰგავს და არცა ნახვა საეჭვსა. ნასმენსა ნურას მიითხრობ და] — abJ; აქვე: „დიდებულნი ვინცა მას წინაშე იყვნეს

შეჭირვებითა] — abJ; თავს „ცნობა ვიროსაგან ცოლის წაგვრის და ტირილისა აკლია; „ვერ გაიხარნა თავისა სიყმისაგან, თუცა მას დაამძიმა საწუთრომან, შაჰი მოაბადს დია გაახარნა“ — ერთსა წაუღო გულისა წამღები და მეორესა მისცა და აღარცა] — LEHabJ; აქვე: „და გაახარნა. ერთსა დარბაზი შეუმკო სიხარულითა და] — LabE;

თავს „ძიძისაგან მოთქმა და ტირილი ვისის წაყვანისათვის“: შენ ხარ ჩემთა თუალთა ჩენა] — LEabJ; და „და რომელიცა დიდის გემოა, რაზომცა კეკლუცი და კარგია მოახლენი მას გვერდით ჰამოღ ვერ გაიხარებენ] — aboJ; თავს „ამბავი რამინის მიჯნურობისა“ აკლია: „ქუეყანასა ზედა მეფე ძმა იყო და შვილი მოაბადისი და მაჰისა ქუეყანისა პატრონი იყო] — abJ; ასევე: „ამით, რომელ დუხჭირი მოყუარე კეკლუცადვე უჩს] — aboJ; აკლია აგრეთვე: „შე მისითა ლამაზითა თუალთაგან გულსა ასი ათასი ისარი მარჭვია და ფერხთა დაუხსნელი]— abJ; იქვე: „ანუ ვინ შეაწამებს მას თანა არ იცრობ მისსა გუნებასა საკურველობასა] — LaboJ;

თავს „ძიძისაგან ვისის გაყრა და რამინის ნახვა მესამედ“ აკლია ადგილი: „შენი რამინ თუმცა შევარდენი ყოფილიყო, ვერცა ეგრე მომეწეოდა] -- LEboJ; თავს „რამინის და ვისის ერთგან შეყრა“ აკლია: „ძიძა ვითა სამოთხესა ზოგჯერ ვისსა ჰკაზმიდის, ზოგჯერ დარბაზსა] — LEboJ; თავს „მოაბადისაგან საბერძნეთს გალაშქრვა და...“ აკლია დასაწყისში: „ესეთი ძმა ერთისა თემისა ლაშქართაგან მოსაცერებელია შენთუის. ამისითა მიზეზითა მტერობასა ვერა გაკდრებენ და მოყუარეთა ერთგულობასა მოემატების] -- LEbCJ; თავში „რამინისაგან გულის გამიჯნურება“ აკლია: „და მისი არყი მუშკი იყო] — LECoJ; და კიდევ შემდეგი: „შენებითა გაზაფხულისა წალკოსა და დიდის გემოობით მარტორქასა. მხეცასა ჰყევს მისებრვე] — LoJ; იქვე: „მზესა და მთუარესა ელვა ჰქონდეს, ღამე დაბნელდებოდეს] — oJ; და ბევრი სხვა. ამგვარად, J ნუსხა ყველა ნიშნის მიხედვით გადაწერილი ჩანს ისეთი ხელნაწერიდან, რომელიც საერთო იყო bo ნუსხებისათვის.

გვიანდელ ხელნაწერთა შორის ვისრამიანის ტექსტის გააზრებისა და მისი ინტერპრეტაციის თვალსაზრისით ძალზე თავისებურია L ნუსხა. ამის გამო დააყენეს ეს ხელნაწერი ძეგლის სხვა ხელნაწერებთან შედარებით სრულიად განცალკევებით ვისრამიანის მეორე გამოცემის რედაქტორებმა. გადაწერილია მე-19 საუკუნეში. ნუსხას 306 გვერდზე მიწერილი აქვს პეტრე უმიაშვილის ხელით: „ეს ეგზემპლარი დაბეჭდვის დროს 1884 წელს რედაქციას ხელში ჰქონდა. შეცვლილი და შერყვნილი აღმოჩნდა“. ხელნაწერი სრულია. ამ ხელნაწერში, ისევე როგორც თელავის ნუსხაში, გადაწერს მიზნად დაუსახავს ზოგიერთი გაუგებარი სიტყვების განმარტება, რისთვისაც მასაც იმ გზებისათვის მიუმართავს. ასეთ სიტყვებს თავზე პატარა წრეები აქვს გაკეთებული (ამას გარდა, ვერსკვლავებიც ახლავს თან) და განმარტებები ხან სქოლიოშია მოცემული და ხან ნუსხის აშიებზე. მაგ.: გრივი°* —ოცდა ორი ქსეტია ანუ ძველი ლიტრახანავარი; უტევანი°* — ასი მხარი; არივი°* — ამხანაგი; ემუდა°* — ცალის ფერხის ბორკილი; არჯალი°* — ურცხვად ანჩხლი. და სხვა მისთ...

L ნუსხა უფრო სრული ხელნაწერიდან ჩანს გადაწერილი, ვიდრე აღრინდელი ხელნაწერები. გვიანდელი ხელნაწერების შედარებითმა შესწავლამ დაადასტურა, რომ L ნუსხა შედგენილობით ზემოთ დასახელებულ ჯგუფის ნუსხებთან ერთად განიხილება და უკვე აღარა დგას განცალკევებით.

ამგვარად, ვისრამიანის ქართულ ხელნაწერთა მიმართების შესწავლისას აშკარა გახდა, რომ არსებული ნუსხები სპარსული დედნის ერთ თარგმანს წარმოადგენს და მათი მეტ-ნაკლები სისრულე არაა გამოწვეული რედაქციული სხვაობებით.

განხილული ქართული ხელნაწერები თავისი შედგენილობით და ვარიანტული მონაცემებით არ გვაძლევენ მასალას ცალკე რედაქციების გამოსაყოფად. ამ მასალის საფუძველზე შესაძლებელია მსჯელობა მხოლოდ ნუსხათა წარმომავლობისა და ზოგიერთ გადამწერთა თვითნებობის შესახებ. ასე რომ, საერთო წყაროხვების, ვარიანტული ჩვენებების, გადამწერისეული ლაფსუსების და, საზოგადოდ, ნაკლული ადგილების სხვაობა-ნათესაობის მიხედვით ვისრამიანის ქართული ხელნაწერები სამ ჯგუფად დაიყო:

I. A, G, D^2, E, N, M, b (პირველი ნაწილი).

II. C, D^1, B, f, i, Q.

III. L, b (მეორე ნაწილი), H, a, J, o.

ორთოგრაფიის თვალსაზრისით ვისრამიანის ქართული ხელნაწერები საკმაოდ ჭრელ სურათს წარმოგვიდგენენ. როგორც აღნიშნული იყო, მეორე გამოცემის რედაქციის მიერ ხშირად ერთი ხელნაწერის ფარგლებშიც არაა დაცული ერთგვაროვნება[18]. მაგალითისათვის დავასახელებთ C ხელნაწერს: სიტყვა „ზოგჯერ“ ხან „ზოგჯირ“ ფორმითაა დადასტურებული (რომ ეს **ლაფსუს კალამი** არაა, ჩანს მისი კანონზომიერი ხმარებით არა მარტო C ნუსხაში, არამედ D ხელნაწერშიც).

ანასდა // ანაზდა; ანასდად // ანაზდად; ხვარასანი // ხორასანი; ზედა // ზედან; რომე // რომელ; ყოელი // ყოველი; ვირემდის // ვირემდინ; ვირემდისი // ვირემდისინ; ნანა // ნანვა; ყოლაუზი // ყოლაოზი // კულაოზი; საკე // საკენ და მრავალი სხვა. მეორე გამოცემის რედაქტორებს მიაჩნიათ, რომ: „არის ნიშანი იმისა, რომ თავდაპირველად ტექსტი, საიდანაც არსებული რედაქციები მომდინარეობს, გადაწერილი უნდა ყოფილიყო ნუსხა-ხუცურით“. ასეთი შორს მიმავალი დასკვნისათვის საბუთად რედაქციას მოაქვს შემდეგი: არეულია ერთმანეთში ტ — ხ, ღ — ჰ, ბ — შ, რაც ხუცური დამწერლობის ნიადაგზეა მოსალოდნელი (ტარასა — ხარასა; ლელო — ჰელო; ბეგოს — შეროზს). ჩვენი აზრით, ნუსხა-ხუცურით ვისრამიანის არცერთი ხელნაწერი არ გადაწერილა. ხუცური ასოების შერევა მხედრულ ტექსტში გვიანდელ ხელნაწერებს ახასიათებს და დაკავშირებული ჩანს ხელნაწერის გაფორმება-შემკობასთან. ეს ასოები **ხშირად იხმარებოდნენ** სპეციალურად ასოებად აღრევის საფუძველი ისევე და ისევე გვიანდელ ხელნაწერებშია საძიებელი. თვით ვისრამიანის ქართული ხელნაწერების შესწავლამ დაგვანახა, რომ ძველ ხელნაწერებში კილიც კი არა ჩანს მსგავსი შემთხვევების (S — 3702; H — 716; Q — 479; Q — 355; S — 27; H — 1211ა).

ამ თვალსაზრისით საყურადღებო იქნებოდა ანტონ I კათალიკოსის მიერ შემოღებული ორთოგრაფიული წესების გახსენება, რომელიც თავის დროზე ძალზე ფართოდ გავრცელდა საქართველოს ეკლესიებში პირველად ეს წესები გაუტარებია იოანე ოსეს ძეს ახალი აღთქმის ორსავე კრებულში[19]. ჩვენ აქ არ

[18] ვისრამიანი, ალ. ბარამიძის და კ. კეკელიძის რედაქციით. 1938. გვ. XIX.

[19] ა. შანიძე, ანტონ I-ის გავლენა სალიტერატურო ქართულზე, თბ., 1964. გვ. 30—31.

შევეხებით იმ ასოებს, რომლებიც პირველად შემოიტანა ხმარებაში ანტონმა საღვთო წიგნების ტექსტების გამართვისას (იქნება ეს გასარჩევი ნიშნები, ცალკეული სიტყვის ორთოგრაფიის შეცვლა, სასვენი ნიშნები თუ დიაკრიტიკული ნიშნები და სხვა მისთ.). ყურადღებას გავამახვილებთ იმ ფაქტზე, რომ მთავრული ასოების ხმარება საკუთარი სახელების წინ (როგორც ნაბეჭდ, ისე სახარებისა და სამოც. ტექსტში) ყოველი მუხლის დასაწყისში, და აგრეთვე ზოგიერთი საზოგადო სახელის წინაც დაინერგა სწორედ ანტონის შემდეგ. ვფიქრობთ, სწორედ ეს გარემოება დაედო საფუძვლად გვიანდელ ხელნაწერებში ზოგ სიტყვის დაწყებას ნუსხა-ხუცურის ასოებით (და არა მთავრულით, როგორც ეს ანტონის სკოლის წარმომადგენელთ გაუტარებიათ).

М. Г. МАМАЦАШВИЛИ

ОБЗОР ГРУЗИНСКИХ СПИСКОВ «ВИСРАМИАНИ»

(Р е з ю м е)

В статье дается наиболее полный обзор грузинских рукописей «Висрамиани». По данным рассмотренных списков не представляется возможным выделение редакций грузинского перевода «Вис о Рамин». На основании привлеченного материала можно судить лишь о происхождении того или иного списка, и об отдельных особенностях переписчиков. По этим признакам и группируются в работе грузинские списки «Висрамиани».

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცაცა ჯანკიევი

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის ერთი ნუსხის შესახებ

სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონა“ ჩვენამდე რამდენიმე რედაქციითაა მოღწეული. ლექსიკონის რედაქციებად დაყოფა შესაძლებელი გახდა მას შემდეგ, რაც გამოვლინდა საბას ლექსიკონის ავტოგრაფები და ავტორიზებული ნუსხები[1]. სამეცნიერო ლიტერატურაში ლექსიკონის რედაქციებისათვის შემოღებულია ლიტერები: E — H — 416, D — S — 2498, Cq — ქუთ. № 300, Cb — H — ყნ, Ca — Q — 400, B —H — 1658, Ab — A — 1473, Aa — A—75, Z — H — 1429[2]. ამ ნუსხათა შესწავლისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე გაირკვა, რომ თითოეული მათგანი ავტორის ლექსიკონზე მუშაობის გარკვეულ ეტაპს ასახავს. ამათგან უძველესია E ლიტერით აღნიშნული ხელნაწერი H—416, რომელიც შეგროვილი მასალის ლექსიკონად გაფორმების პირველ ცდას წარმოადგენს[3], და საბოლოოა Z ლიტერით აღნიშნული ხელნაწერი H—1429, რომელიც ლექსიკონის დასრულებულ სახეს გვაძლევს.

ამჯერად შევეხებით სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის ერთ ნუსხას, S—4748-ს, რომელიც საბას ავტოგრაფს არ წარმოადგენს. ხელნაწერი ჩვენამდე სრულადაა მოღწეული, ნაკლულია მხოლოდ ლექსიკონის თავში დართული ანდერძსამაგი. ხელნაწერი იწყება ტექსტით „ცნობისათვის და უწყებისათჳს ჭეშმარიტად“, რომელიც გადაწერს დაურთავს საბას ლექსიკონისათვის. შემდგომ მოსდევს ლექსიკონის შესავალი გრამატიკული ნაწილი. ხელნაწერს დართული აქვს მინიატურა ბერის გამოსახულებით[4].

---

[1] სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, ი. ყიფშიძისა და ა. შანიძის რედაქციით, 1928; ე. მეტრეველი, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის უძველესი ავტოგრაფი, აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XIX-B, თბ., 1956, გვ.11—40; ლ. ქუთათელაძე, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის რედაქციები (ავტოგრაფების მიხედვით), თბ., 1957; მ. ქავთარია, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის უცნობი ავტოგრაფი, საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, II, თბ., 1960, გვ. 1—11.

[2] სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, IV, ლექსიკონი ქართული, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით გამოსაცემად მოამზადა ი. ლიაბულაძემ, თბ., 1965.

[3] ე. მეტრეველი, დასახ. ნაშრომი, გვ. 11.

[4] ამ სურათის შესახებ იხ. ლ. ქუთათელაძე, სულხან-საბა ორბელიანის მინიატურული პორტრეტი და მისი შემსრულებელი ალუკა მესხიშვილი. საბჭოთა ხელოვნება, № 10, 1959, გვ. 17—20; კ. კეკელიძე, სულხან-საბა ორბელიანის პორტრეტისათვის, კომუნისტური აღზრდისათვის, № 3, 1960, თბ., 87—89.

ლექსიკონი გადაწერილია ქორონიკონს უიჱ, 1730 წელს, ალექსი მესხიშვილის ხელით, ლექსიკონის ბოლოს დართული „რიცხვი პასექთა“ კი გადამწერს მიუწერია 1737 წელს[5].

როგორც ანდერძიდან ჩანს, ალექსი მესხიშვილი დაუპატიმრებიათ სამეფო განძის მითვისების ბრალდებით. ნაღველის გაქარვების მიზნით მას ხელი მიუყვია ლექსიკონის გადაწერისათვის — „ამისთვი დავშვერ, რამეთუ ნაღვლისაგან მწარე უდებება შემექმნის და უდებების განმაქარვებელად ესე მოვიგონე“[6]. შემდეგ ანდერძში ვკითხულობთ: „რომელი დედანში ეწერა, მეც ის დავწერე. რომელიცა იხილოთ ამა წიგნსა გინა კეთილ, გინა ბოროტ, მე არც ეთში შუა ვარ. ორივ—დასაწუნი, გინა მოსაწონი დედნისა არის, მე გადმოწერის მეტში არას შუა ვარ“[6]. მართლაც, ჩანს, რომ გადამწერს დედანი ზედმიწევნით გადმოუღია. ლექსიკონში კიდეებზე, განსამარტი სიტყვების გასწვრივ, ყოველთვის სათანადო ადგილზე, სინგურით მიწერილია წყაროს დასახელება და ციტატები. სხვა ნუსხების მსგავსად აქაც ზოგი სიტყვის განმარტების გასწვრივ მიწერილია ს, რაც იმის მანიშნებელია, რომ ეს განმარტებები საბას ეკუთვნის. ლექსიკონში განსამარტი სიტყვების გასწვრივ შეტანილია აგრეთვე შესაბამისი თურქული და სომხური შესატყვისები.

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის არაავტოგრაფული ნუსხები რედაქციების მიხედვით დაჯგუფებულია ლ. ქუთათელაძის მიერ[7]. მათ შორის ავტორი ეხება S — 4748 ხელნაწერსაც, რომელსაც ლექსიკონის მოკლე, C რედაქციის ნუსხების გვერდით აყენებს. C რედაქციაში ავტოგრაფული ნუსხებიდან გაერთიანებულია E, D, Cq, Cb და Ca ლექსიკონები.

S — 4748 ლექსიკონის მთელი მასალა შევუდარეთ საბას ლექსიკონის ავტოგრაფებსა და ავტორიზებულ ნუსხებს. შედარების შედეგად გამოჩნდა, რომ იგი მართლაც მოკლე, C რედაქციისაა, ოღონდ რედაქციულად ახალ საფეხურს წარმოადგენს და დგება S—2498, D ლიტერით აღნიშნულ, და ქუთ. 300, Cq ლიტერით აღნიშნულ, ხელნაწერებს შორის. S—4748 ხელნაწერის აღსანიშნავად შემოგვაქვს Cd ლიტერი.

სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია, რომ საბას ლექსიკონის ადრეულ რედაქციებში განსამარტი სიტყვები შედარებით მცირე რაოდენობითაა შეტანილი, შემდგომ რედაქციებში კი მათი რიცხვი თანდათანობით იზრდება. Cd ხელნაწერშიც განსამარტი სიტყვების რაოდენობა D ხელნაწერთან შედარებით გაზრდილია. ამასთან, ყველა ის განსამარტი სიტყვა, რომელიც D ხელნაწერისაგან განსხვავებით Cd ხელნაწერში გვხვდება, Cq ხელნაწერშიცაა შეტანილი. ესენია: **აჭინარი, ბაგოვნები, ბარაბა, ბელიარ, ბლაძუნი, განპება, გერგესეველი, გოლგოთა, დასტანაგები, დასულება** და ა. შ. თავის მხრივ, Cq ხელნაწერშიც გვაქვს განსამარტი სიტყვები, რომლებიც D და Cd ხელნაწერებში არ დასტურდება და Cq ნუსხის მომდევნო რედაქციებში გადადის. ესენია: **ბეთბარა, ბეთდაგონ, ბენედიკტე, ბენიამენ, ბენონი, ბერფეგორ, ბეჰემოთ, ბისონი, ენების, ვემზრუნველე, კაპატონი, კარსე, კეკლუცი** და ა. შ.

ცნობილია აგრეთვე, რომ საბას ლექსიკონის ადრეულ რედაქციებში განუმარტავი სიტყვები მეტი რაოდენობით გვხვდება, მომდევნო რედაქციებში კი განუმარტავად დარჩენილი სიტყვების რიცხვი თანდათანობით მცირდება:

[5] S-4748, 240 v.

[6] S-4748, 199 r.

[7] ლ. ქ უ თ ა თ ე ლ ა ძ ე , სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის რედაქციები (ავტოგრაფების მიხედვით), თბ., 1957, დამატება III, გვ. 266.

ა. ერთი მხრივ, გვაქვს განსამარტი სიტყვები, რომლებიც D ხელნაწერში არ არის შეტანილი, Cd-ში შეტანილია, მაგრამ განუმარტავია, Cq-ში კი განმარტებულია:

აშფაშაჭი Cd.

რბევით ისრის სრევა საგანთა Cq.

განება Cd.

გახევასავით Cq.

ლმობიერი Cd.

გუნება-მშვიდი და წყნარი Cq.

აგრეთვე: **მკურის-კევი, მოთუთქვა, მოძულე, მსმკნელი, მკიე, ნემსიაპარია, ყივჟავი, რუბი, ხაზედაო, სამდურავი, საურავი, სახრვა, ტაბასტო, უსხეულო, ულნარ-მაღნარი, ჭაჯი, ქედმაღლობა, ქილავში, შეგმანება, შესაკრებელი, შეწდომა, შეწმასნა.**

ბ. მეორე მხრივ, ზოგი განსამარტი სიტყვა D-ში განუმარტავია, Cd-ში უკვე განმარტებულია, განმარტებულია Cq-შიც, ოღონდ Cd-საგან განსხვავებული რედაქციით:

ბარათი D.

(უკმ.) Cd.

(უკმ.) ათრათი Cq.

ბიძა D.

დედ-მამის ძმა Cd.

დედ-მამათ ძმა Cq.

ზინზლი D.

სიმყრალე წარმართთა ყნოსვილი Cd.

ყნოსვილი სიმყრალე წარმართთა Cq.

ამგვარი ნიმუშებია: **ზმნით იზმნის (აზმნის Cd), თარგმანი, თახი, თაფლი ველური, კონწოლი, კორდი, კოტვა, მიტრა, მიტრაპოლიტი, მობაძავი, მხლება, ოშხივარი, პაემანი, პირდავტი, საპოვნი, სარეცხი, ტფაკი, უკაცრავად** DCd **(უკაცრაული, უკაცრავი Cq), უკუდმა, უმანკო, ყრა, შეკოცა, შმორი, შოლტი, ძლება, წირვა, ქელოვანი.**

გ. D ნუსხაში სიტყვა განუმარტავია, მაგრამ წყაროა დასახელებული და შესაბამისი ციტატია მოტანილი, Cd და Cq ნუსხებში კი ზოგი მათგანი **უკვე** განმარტებულია, ამიტომ წყაროს დასახელება და ციტატი ან აღარ არის გადმოტანილი, ან გადახაზულია. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ Cd ნუსხაში გადახაზული მოწმობები და ციტატები არ გვხვდება. როგორც ჩანს, გადამწერს გადახაზული წყაროს დასახელება და ციტატი გადმოწერის დროს არ გადმოუჭრიხლია.

დაჟივდებოდა ორმეოცთ შესხმა: „შვენიერება პირთა დაჟივდებოდა და დაშავდებოდა და ყვავილისა სიკეთე მოიწყლვოდა“ D.

დანაცრისფერებოდა Cd

ნაცრისფერ იქმნებოდა Cq.

ზრინვა 9 დარეჯან.: „იზრინვა ქარავანმა და შემოგვიდგა უკანა“ D.

ზრიალი Cd.

თქრიალივით Cq.

ილეკრო 12 იოსიპოსში: „ბროლი და ილეკრო“ D.

თეთრ-ყვითელ ელვარე Cd.
ილეკრო, ილეკტრიონი და ლეკტორი ერთი არს Cq.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსგავსი ნიმუშებია: **დუმბული, ევსტარი, მაჯნა, მვირსიონი, მწვისე, ნადალი, ნოიჯი, პაექრობა, პერპერა, პიპო, სინიბი, ტაბარუკი, ტაბარზადი DCd (ტაბარზადი Cq), ღვლეფური, ცანკვილისა, წალაები, წართხელი, წერეული.**

D, Cd და Cq ნუსხების ქრონოლოგიური ურთიერთმიმართება განსაკუთრებით კარგად ჩანს **ომილია**-ს მაგალითზე. ეს სიტყვა D-ში სულ არ არის შეტანილი, Cd ნუსხაში შეტანილია, მაგრამ განუმარტავია და მხოლოდ წყარო და ციტატია დამოწმებული — „დაბადების თარგმანი, ბ დღე: ომილიასა შინა“, Cq ნუსხაში კი უკვე განმარტებულია — „ზეპირად წიგნის ამბვის თქმა“, ხოლო წყაროს დასახელება და ციტატი გადახაზულია.

გვხვდება ისეთი ნიმუშებიც, როდესაც განსამარტი სიტყვა შეტანილია Cd და Cq, ან სამივე D, Cd და Cq ნუსხებში და სამივეგან სხვადასხვა რედაქციითაა განმარტებული:

ბაბილონი შერევნა Cd.
შერევნა გინა შფოთი Cq.

ბავრუკი ელვარე D.
ელვარე წყალი არს, ჭაშურებრ გამოვლის Cd.
წყლისაგან არს, თეთრს ხაშურსავით გამოყრის Cq.

განლაგება გაყუჩება D.
გაყუჩებასავით Cd.
გაყუჩებასავით, გინა უკმოობა Cq.

ამ რიგის ნიმუშებია: **ბერსაბე, გლახ, გულიო, დორა, ელენთა, ენოტი, მანდრინნი, ოშხივარი, პაემანი, პაექრობა, პატიჟი, რეტინე, როჭიკი** და ა. შ.

ამ ნიმუშების ანალიზიდანაც ჩანს D, Cd და Cq ნუსხების ქრონოლოგიური თანმიმდევრობა — შეინიშნება, რომ D-ს მომდევნო Cd და Cq ნუსხებში განმარტებები თანდათან უფრო ზუსტ, დახვეწილ და ჩამოყალიბებულ სახეს იღებს.

სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ საბას „ლექსიკონის ყოველ ახალი რედაქცია ახალი წყაროებით არის გამდიდრებული“[8]. ამ თვალსაზრისითაც შევუდარეთ Cd ნუსხა მის წინ მდგომ E და D და მის მომდევნო Cq ნუსხებს. შედარების შედეგად გამოჩნდა, რომ Cd ნუსხაში პირველად დამოწმებული გვხვდება წყაროები, რომლებიც წინარე E და D ნუსხებში არ ჩანს.

ეფთვიმე ქართველი[9]: ამ წყაროდან Cd ნუსხაში შეტანილია განსამარტი სიტყვები: **აპოთიკი, დრისტი, მევაჟინე, საპყრად, საწანგრო, სახიკონი** და **ფიაფალსა** შესაბამისი ციტატებითურთ. ამათგან: **აპოთიკი, დრისტი, მევაჟინე** და **საპყრად** Cq-ში უკვე განმარტებულია, ამიტომ დამოწმებული წყარო და ციტატი გადახაზულია.

გიორგი მთაწმიდელი[10]: **პრასტინი, პროტონოტარსი.** ეს უკანასკნელი Cq-ში უკვე განმარტებულია და მოწმობა გადახაზულია.

---

[8] ე. მეტრეველი, დასახ. ნაშრომი, გვ. 34.

[9] ცხოვრებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი, გამოსაცემად მომზადა ილ. ყავახიშვილმა, გიორგი მთაწმიდლის ენა იოვანეს და ეფთჳმეს ცხოვრების მიხედვით, ს. შანიძისა, თბ., 1946

[10] ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი ალაპებით, თბ., 1901, გვ. 282—351.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სისხლის განაჩენი: **„ცხუმური** — სისხლის განაჩენში ეწერა: ამდენი ცხუმური მიეცეს“ Cd. Cq ნუსხაში ეს სიტყვა ასევე წყაროთი გადადის, ხოლო მომდევნო რედაქციებში უკვე განმარტებულია: „ვეცხლია ერთის ჟამისა“. როგორც საბას განმარტებიდან ჩანს, ცხუმური დროის გარკვეულ მონაკვეთში იხმარებოდა ფულის ერთეულად. ტერმინი ცხუმური მართლაც სასისხლო სიგელებში გვხვდება: „გაგიჩინეთ სასისხლო სიგელი ორასი ათასი ცხუმური თეთრი“[11]. ცხუმური ცხუმიდან მომდინარე ჩანს და სავარაუდებელია, რომ ცხუმური თეთრი დასავლეთ საქართველოში ხმარებულ ფულს მიანიშნებდეს, მაგრამ სასისხლო სიგელების ნაყალობის გამო გადაჭრით რაიმეს თქმა ჭირს. ჩვენთვის კი საინტერესოა ის ფაქტი, რომ, როგორც ჩანს, საბა თავის ლექსიკონში წყაროდ ლიტერატურული და ფილოსოფიური ძეგლების გვერდით დოკუმენტებსაც ითვალისწინებდა.

ამრიგად, Cd და Cq ნუსხების ურთიერთშეჯერების საფუძველზე გამოჩნდა:

1. Cd ნუსხაში განსამარტი სიტყვები მეტი რაოდენობითაა შესული, ვიდრე D-ში და ნაკლები რაოდენობით, ვიდრე Cq-ში.

2. იმ შემთხვევაში, როდესაც განსამარტი სიტყვები ამ სამი ნუსხიდან შეტანილია მხოლოდ Cd და Cq ნუსხებში, Cd-ში ზოგი მათგანი განმარტებულია, Cq-ში კი უკვე განმარტებულია.

ზოგი განსამარტი სიტყვა, რომელიც D-ში განუმარტავია, ან მხოლოდ წყაროს დასახელება და ციტატია მოტანილი, Cd-სა და Cq-ში უკვე განმარტებულია. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ Cd ნუსხაში პირველადაა წყაროდ დამოწმებული ეფთვიმე ქართველი, გიორგი მთაწმიდელი და სისხლის განაჩენი.

3. D. Cd და Cq ნუსხების ქრონოლოგიური თანმიმდევრობა ჩანს განმარტებების ანალიზითაც. რიგ სიტყვებთან ადრეულად მიჩნეულ D და Cd ნუსხებში განმარტებები შედარებით სქემატური ჩანს, ვიდრე მომდევნო Cq ნუსხაში.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ: S—4748 ხელნაწერის დედანი უნდა იყოს საბას ხელიდან გამოსული ლექსიკონი, რომელიც გარდამავალ საფეხურს წარმოადგენს D და Cq რედაქციებს შორის.

საბას ლექსიკონის წინ დართული გრამატიკული ნაწილი ოთხ რედაქციას გვაძლევს: I — Cab, II — Ab, III — Aa და IV — Z. E, D, Cq და B ხელნაწერები თავსაკლულია და მათ გრამატიკული ნაწილი არ ახლავს. გრამატიკული ნაწილი დართული აქვს Cd ხელნაწერსაც. ამ გრამატიკული მასალის მიხედვითაც Cd ხელნაწერი რედაქციულად Cab ხელნაწერებს, ლექსიკონის ადრეული მოკლე რედაქციების, გვერდით დგება და გვაძლევს მხოლოდ მცირედოდენ ვარიანტულ სხვაობებს.

საბას ავტოგრაფებსა და ავტორიზებულ ნუსხებს, რომლებიც უშუალოდ საბას ხელიდანაა გამოსული, ატყვია მისი მუშაობის კვალი. კიდეებზე ზოგან მიწერილია ჩამატებული განმარტებები ან განმარტებათა შესწორებები, რომლებიც მომდევნო რედაქციებში უკვე ძირითად ტექსტშია შესული. S—4748 ხელნაწერი უშუალოდ საბას ხელიდან არ არის გამოსული, ამიტომ კიდეებზე მიწერილი ამ რიგის შენიშვნები აქ არ გვხვდება. საფიქრებელია, რომ ასეთი შენიშვნები გადამწერს დედნის გადმოღების დროს ძირითად ტექსტში შეჰქონდა.

[11] თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, ტფ., 1897, გვ. 264—266.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამაგიეროდ შეინიშნება, რომ D ნუსხაში რამდენიმე სიტყვასთან კიდეზე მიწერილი განმარტება Cd ნუსხაში უკვე სათანადო ადგილზე ძირითად ტექსტშია შესული:

ივლისი — თიბისა. კიდეზე მიწერილია: „ივლისსა პირველად ავ და ევნტოლიონი ეწოდებოდა“ D. Cd ნუსხაში ეს ორივე განმარტება ძირითად ტექსტშია შეტანილი განსამარტის გასწვრივ.

მარტი — მირკანი. კიდეზე მიწერილია: „ამ მარტსა ჰქვიან ნისანი და ფამენოთი (იკამენოთი Cd)[12], რომელსა პირველად ტრიმონ ეწოდა, რომელ არს არეოსი“ D. Cd ნუსხაში ორივე განმარტება ერთადაა მოტანილი განსამარტთან.

მგლის — მეზრუნების, მგამა D. რამდენიმე სიტყვის მერმე კი **მანის** რიგში ქვედა კიდეზე მიწერილია: **რა მგლის** — რა მენაღვლების. Cd-ში **მგლის** განმარტებას უშუალოდ მოსდევს: „რა მგლის — რა მენაღვლების“.

სიტყვა-სთან ვრცელი განმარტებაა. განმარტებაში რამდენიმე სიტყვისათვის თავისუფალი ადგილია გაშვებული, კიდეზე კი მიწერილია შენიშვნა: „დედანს არ აჩნდა“. მსგავსი სურათი გვაქვს Cd ნუსხაშიც, აქაც იგივე სიტყვებია გამოტოვებული და ზემოთ მოტანილი შენიშვნაც „დედანს არ აჩნდა“ მიწერილია. Cq ნუსხაშიც განმარტებაში ნაკლული აღგილი ასევე შეუვსებლადაა გადმოსული, ოღონდ კიდეზე მიწერილი შენიშვნა აღარ გადმოდის.

ეს მაგალითებიც, თავის მხრივ, მხარს უჭერს ჩვენს მიერ ზემოთ გამოთქმულ დასკვნას.

დასასრულ, როგორ დათარიღდება S—4748 ხელნაწერის დედანი. რადგან გაირკვა, რომ S—4748 ხელნაწერი რედაქციულად D და Cq ნუსხებს შორის დგას, ვფიქრობთ, გარკვეულია ამ ხელნაწერის დედნის თარიღიც. იგი შედგენილი უნდა იყოს D ხელნაწერის შემდეგ, ეს უკანასკნელი გადაწერილი ჩანს 1703—1704 წწ.[13] და Cq ხელნაწერზე ადრე, რომელიც თარიღდება 1706—1707 წწ.[14] აქედან გამომდინარე, S—4748 ხელნაწერის დედანი 1704—1706 წლებით დათარიღდება.

Ც. ა. ჭანკიევა

ОБ ОДНОМ СПИСКЕ ГРУЗИНСКОГО СЛОВАРЯ С.-С. ОРБЕЛИАНИ

(Резюме)

В труде рассмотрена рукопись грузинского словаря С.-С. Орбелиани S—4748, переписанная в 1730 году Алексеем Месхишвили.

В результате сравнения этой рукописи с автографами словаря С.-С. Орбелиани установлено, что она является новой ступенью между редакциями словаря D (S — 2498) и Cq (Кут. № 300).

---

[12] აღრევა გრაფიკულ ნიადაგზე ჩანს.

[13] ვ. ქ ა ვ თ ა რ ი ა, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის უცნობი ავტოგრაფი, საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, II, 1960, გვ. 10.

[14] ე. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის უძველესი ავტოგრაფი, ა. ჯ ა ნ ა შ ი ა ს სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XIX-B, 1956, გვ. 39.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლ ჯუთათელაძე

პაპუნა ორბელიანის უცნობი ისტორიული პოემა «შეჰრვებანი ქართლისანი»

ისტორიკოს პაპუნა ორბელიანს ისტორიული თხზულების „ამბავნი ქართლისანის“ გარდა პოეტური ნაწარმოებებიც შეუქმნია. დღემდე დაუმუშავებელი, ნაწილობრივ უცნობი ეს მასალა შემოუნახავს XVIII საუკუნის ერთადერთ ნუსხას[1].

პაპუნა ორბელიანის პოეტური მემკვიდრეობის შესახებ ადრე არაფერი იყო ცნობილი. მისი ნაწილობრივი აღწერა განხორციელდა 1954 წელს[2], ხოლო უფრო სრულად ამ ნუსხის შედგენილობა გამოქვეყნდა თ. ჟორდანიას ქრონიკების III ტომში[3].

ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის (A კოლექცია) IV ტომში პაპუნას სახელით მხოლოდ 4 თხზულებაა წარმოდგენილი:

1. „ხილთა ქება ანბანზე თქმული პაპუნა ორბელიანისაგან“,
2. „ყვავილთ ქება, ნათქუამი პაპუნა ორბელიანისაგან“,
3. „ანბანთქება ცხრა ლექსად თქმული, ღარიბი, თქმული პაპუნა ორბელიანისა“

და

4. „ცხრა ნეტარება ლექსად თქმული პაპუნა ორბელიანისაგან“.

ხსენებულ აღწერილობაში შეტანილი „გაბაასება თაფლ-შაქრისა“-ც მასვე ეკუთვნის, მაგრამ ავტორის ვინაობა ბოლო სტროფში მეღავნდება და არა სათაურში.

აქ წყდება პაპუნას თხზულებათა აღწერა, აღმწერლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო.

ორიოდე სიტყვა პაპუნა ორბელიანის თხზულებათა შემცველი ხელნაწერის ისტორიისა და მისი მნუსხველის შესახებ.

ანთოლოგიის ეს ნუსხა შეუძენია ისტორიკოსს თედო ჟორდანიას 1899 წელს. ამას ვიგებთ მისივე რამდენიმე მინაწერიდან:

1. „ეს წიგნი ვიშოვე, პეტრე დადიანის ოჯახში ნაჭონია. თ ე მ ა ბატონი შვილისაგან დაწერილია 1764 წელს, თ. ჟორდანია“ (3r).

---

[1] ქ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის A-1166.

[2] იხ. ხელნაწერთა აღწერილობა, კოლექ. A, ტ. IV, ნუსხა 1166, აღწერილობა შეადგინა ქრისტინე შარაშიძემ.

[3] თ ე დ ო ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, III, გამოსაცემად მოამზადეს გ ი ე ო რ დ ა ნ ი ამ და შ ო თ ა ხ ა ნ თ ა ძ ე მ, 1967, გვ. 291—292.

2. „ამ წიგნიდან ამოღებული ფურცლები, შემცველი ძვირფასი საისტორიო ლექსებისა, ჩადებულია ჩემს მეოთხე საისტორიო მასალების კრებულის წიგნში. თ. ჟორდანია“ (3რ).

ეს მინაწერები მოთავსებულია ხელნაწერის დასაწყისში, ე. ი. იმ ნაწილზე, რომელიც მას საეკლესიო მუზეუმისათვის გადაუცია, ხოლო ის მონაკვეთი, რომელიც მას ამ ნუსხისათვის ჩამოუცილებია („ქებანი მეფეთანი“-დან), და ჩაუდევს თავისი საისტორიო მასალების კრებულში, მას დაუმუშავებელი დარჩენია. ეს ნაწილი მისმა შვილიშვილმა ისტორიკოსმა გ ი ვ ი ქ ო რ დ ა ნ ი ამ სხვა მნიშვნელოვან ხელნაწერებთან ერთად, შემოსწირა მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებას. იგი შევიდა ახალ ფონდში Q—1157 ნომრით. რამდენიმე ხნის შემდეგ, ხელის მიხედვით, დაიძებნა მისი ნაწილი ყოფ. საეკლესიო მუზეუმის კოლექციაში (A—1166) და შეუერთდა მას. ეს მოხდა 1954 წლის შემდეგ, ამიტომ „ხელნაწერთა აღწერილობაში“ განსახილველი ნუსხის ეს მნიშვნელოვანი ნაწილი არ ასახულა.

3. მესამე მინაწერი თ. ქორდანიას მასთან დარჩენილ ფურცლებზე დაურთავს, გაეცნოთ მას:

„ეს ხელნაწერი გადაწერილია მარიამობის თვეს 20-ს, 1765 წელს ვიღაც მ ე ლ ე ქ ს ი ს თ ო მ ა ს მიერ (ვგონებ მესხი შვილია) და წარმოადგენს ძვირფასს ისტორიისათვის, და ჩვენს მწერლობაში უცნობს ლექსთა კრებას ჩვენის სახელოვანის მემატიანის პაპუნა ორბელიანისას. შევიძინე 1899 წ. პ. დადიანის ოჯახის წევრისაგან წ.-კ. საზოგადოების წიგნსაცავისათვის შესაწირად. თევდორე ქორდანია“ (75რ).

4. მეოთხე მინაწერი პირველისა და მესამის ანალოგიურია: „ეს წიგნი უცნობი წერილებია მემატიანის პაპუნა ორბელიანისა. მოვიგე 1899 წელს სამეგრელოს, დ ა დ ი ა ნ ის ოჯახში. თევდორე ქორდანია“.

გადამწერის თომას გვარს ვერც ჩვენ მივაგენით, მაგრამ ამავე ნუსხაში „ვარდბულბულიანის“ სათაურის შემდეგ მიწერილმა: „ეს ბულბულიანი კ ა ლ ო ბ ნ ი ს თ ო მ ა ს ი ა, ქ ̃კს უნგ“, მოგვცა საშუალება გვეძებნა კალოუბნელი თომა. მართლაც, ჩვენი აღწერილობების საძიებელთა მეშვეობით სწრაფად ვიპოვეთ რანდნიმე თომა და მათ შორის თომა კალოუბნელიც.

გამოირკვა, რომ თომა კალოუბნელს გადაწერილი ჰქონია სასულიერო წიგნებიცა და საერონიც. მათ შორის:

1. საბას ლექსიკონი[4], გადაწერილი 1765 წელს. მის ანდერძში ვკითხულობთ: „ამ ლექსიკონის მნუსხველი პატრონიც მ კ ა ლ ა უ ბ ნ ის მღვდელი თ ო მ ა. ვინც იხილოთ, მკითხველნო, ამაში ცთომილი რამე, ნუ მწყევთ. დედანი არც მენახა და არც თვალ ჩამევლო, ავი ხელიც იყო. აღიწერა აგვისტოსს კგ, ქ̃კს უნგ...“.

2. „წიგნი სამღთო სამეტყველო ჭ ე მ შ ა რ ი ტ ებისა[5]“, წამძღვარებული აქვს მნუსხველის მიმართვა მკითხველთადმი: „წიგნი სიტყვა მკითხველთა მიმართ მ ო ნ ი ს ღ ̃თ ი კ ა ლ ო ბ ნ ი ს თ ო მ ა ს მიერ აღწერილი თვესა იანვარსა დ. ქ̃კსა უნგ“ [1766].

---

[4] ქ. ქეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ნუსხა H-3132.

[5] ჭუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ნუსხა № 571.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ტიბიკონი[6], დანუსხული 1766 წელს. ანდერძი იუწყება: „აღიწერა ტვიბიკონი ესე თვესა სეკდემბერსა, რიცხვსა კა, ქრისტეს აქეთ ჩღჲვ.

ღმერთო, შეიწყალე მნუსხველი ამისი თ ო მ ა, ქ̄კსა უნდ“.

ამ ტიბიკონის ხელი, ამასთანავე, თომას მნუსხველობითი მოღვაწეობის წლები ემთხვევა ერთიმეორეს. ესეც კალოუბნელი თომაა.

4. აგიოგრაფიულ-მეტაფრასული კრებული[7], 1779 წლისა. აქედან დიდი ნაწილი თ ო მ ა ს გადაწერილია, ნაწილი კი კალოუბნისავე მღვდლის ი ო ა ნ ე ს ი. ამ ნუსხას ორივე გადამწერის რამდენიმე ანდერძი ერთვის. მოვიტანთ ერთერთს:

„მეცა მეოხ მექმენ, ღვაწლ-მრავალო ეკატერინა მონასა თქვენსა მნუსხველს და პატრონს ამისას თ ო მ ა ს“.

„...სრულ იქმნა თვესა მაისსა იე, ქრისტეს აქეთ წელსა ჩღოთ, ქორონიკონს უჲზ“[8].

პირველი მინაწერის მიხედვით, როგორც ვნახეთ, თ. ჟორდანიას ბატონიშვილად მიუჩნევია მნუსხველი თომა. ბატონიშვილ თომას ვერ მივაგენით, მაგრამ მის ძებნაში წავაწყდით თ. ჟორდანიას პირველი მოსაზრების წყაროს თომას ვინაობის შესახებ. XVIII საუკუნის ერთ-ერთი ხელნაწერი კრებულის[9] გადამწერიც თომაა, რომელსაც ამ ნუსხისათვის ანდერძი ლექსად დაურთავს:

„ღვთისგან კეთილად შობილი გიორგი მეფის ძეო და,
მე, მისი მონა თ ო მ ა ვწერ, ვარ დანერგული ხეო და,
თუცა არა ვჭრეტ გავხმები, დაცხრების ჩემ წილ მზეოდა...“

მეფის გიორგის ძის გვერდით სახელი თომა, პირველი შთაბეჭდილებით, გააზრებულ იქნა ბატონიშვილად. შემდეგში იგი შეიცვალა. აქ მოხსენებული გიორგი მეფის ძე — იოანე ბატონიშვილია. ხელნაწერი იოანე ბატონიშვილის მეუღლის ქეთევან წერეთლის ასულის საკუთრებაა. ამის შესახებ არა ერთგზისაა წარწერილი ნუსხაზე.

ამ ხელნაწერის გადამწერი თომა ბატონიშვილი არ არის, მაგრამ არც კალოუბნელი მღვდელია. თომა კალოუბნელის მნუსხველობითი მოღვაწეობა (მისგან გადაწერილთა მიხედვით) 1764—1779 წწ. მოიცავს. იოანე ბატონიშვილი 1779 წელს მხოლოდ 11 წლისა იყო. ზემოთ მოტანილი ტაეპები, მით უმეტეს, მომდევნო:

„...პატრონისთვის თავი ჩემი გამტვეროს [და] დანაცაროს,
არ გამყაროს, მაჭვრეტინოს, ზენარმანც[ა] დანაცაროს...“

11 წლის ასაკში მყოფ ბავშვზე ვერ დაიწერებოდა.

ვინ არის პაპუნა ორბელიანის თხზულებების გადამწერი მელექსე თომა? მესხიშვილია? ასეთი ვარაუდის საფუძველი არსებობს, რადგან მესხიშვილები ხშირად იყვნენ ანჩისხატისა და კალოუბნის მღვდლებიცა და დეკანოზებიც.

---

[6] კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ნუსხა A-1496.
[7] ამავე ინსტიტუტისა S-300.
[8] თარიღის ამსახველი ნაწილი აღებულია იოანე კალოუბნელის ანდერძიდან.
[9] ამავე ინსტიტუტის ნუსხა A-1787.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თომას ბელით გადაწერილი ზოგიერთი ნუსხა მართლაც გვაგონებს მესხიშვილთა კალიგრაფიულ სკოლას[10].

ვეებერწყდებით განსახილველი ნუსხის მეორე ნაწილს, რომელიც მხოლოდ პ. ორბელიანის თხზულებებს შეიცავს, ესენია:

1. „ქებანი მეფეთანი“,
2. „მეფის ერეკლეს ქებანი“,
3. „წმიდის პატრიარქის ანტონის შესხმა“,
4. „მეფის სახლის ქება“,
5. „ამიცანად ნათქვამი“,
6. „ფუტკაროვანი“

და 7. უსათაურო ისტორიული პოემა, რომელსაც პაპუნას „ამბავნი ქართლისანის“ ანალოგიით, პირველი ტაეპისავე მიხედვით, „შეჯერებანი ქართლისანი“ შევარქვით.

როგორც ზემოთაც აღინიშნა, „გაბაასება თაფლ-შაქრისა“-ს ავტორი სათაურში არ ჩანს, მაგრამ მისი ვინაობა უკანასკნელ სტროფშია გამომქღავნებული:

„ვამბობ, ვაუბნევ ენასა პაპუნა ორბელიანი.
გახსენე უთქუნი ამბავნი, შეგამეც მწერას ჭიანი...“

ასევე, „ქებანი მეფეთანი“-ს მთხზველის სახელიც უკანასკნელ ტაეპში იკითხება:

„...მეფის თავს ფიცავს პაპუნა, ერთგული არის გულითა.“

„მეფის ერეკლეს ქებანი“-ს დამწერიც პაპუნა ორბელიანია, რის შესახებაც იგი იუწყება ამ თხზულების რუსთველურად გაწყობილ ბოლო სტროფში:

„...მისი წყალობა ყოველთა მზეებრივ მოეფინების,
უხვად ბოძება დიდ-მცირთა წყაროებ მოდინების,
გლახათ, უმქონთ [ა] აღვსება, ოროდს მოწყინების,
პაპუნა[ს], მისსა ერთგულსა, ნახვითაც მოკონების.“

„მეფის სახლის ქებაც“ მისსავე კალამს ეკუთვნის, ამის შესახებ ის თავითვე გვატყობინებს „ქების“ ბოლოს:

„...თეიმურაზ მეფის მონამან პაპუნა ორბელიანმან,
აღწერე ესე შაირნი, სიბრძნითა მცირე ჭმიანმან,
განძალიერა მეფემან ტახტ-გვირგვინ დოლათ-სვიანმან,
და უხვად წყალობის მპოძემან, მიფენით ეითარ მზიანმან“.

---

[10] ჩნდება მეორე ვარაუდიც: თ. ქორდანიამ კალოუბნელი თომას გადაწერილი ნუსხა (A-1166) შეიძინა სამეგრელოში პეტრე დადიანის ოჯახში. ამაეე თომას მიერ დანუსხული „ტბებიკონიც“ იოანე ცაგარელს, დადიანის ნაქონია, რასაც მოწმობს მასზე მინაწერი: „ცაგერისა ღვთისმშობელო, მეოხ მექმენ მონასა შენსა ცაგერელს დადიანის ძეს და კავკალის იოანეს. ქრისტეს აქეთ ჩყა, ქორონიკონს ჳპთ ...“ (A-1496).

პაპუნას განსახილველ პოემაში ხშირად გაგხვდება იმერიზმები, რაც კალოუბნელი მესხიშვილისათვის მოულოდნელი ჩანს. ხომ არ შეიძლებოდა დაშვება იმისა, რომ თომა კალოუბნელი დასავლელ ყოფილიყო და ახლო დამოკიდებულება ჰქონოდა დადიანების ოჯახთან? დამაფერებელია ისიც, რომ, თუ კალოუბნელი თომა მესხიშვილი იყო, მისგან გადაწერილი და მხოლოდ ერთი ნუსხით შემონახული თხზულებანი პ. ორბელიანისა,რისთვის გახდა მიუწვდომელი დავით რეჭტორისათვის, რომელმაც ქართული მწერლობის ანთოლოგიის (S-1511—1512) სისრულისა და დახვეწილობის დიდძალი შრომა გასწია? ეს საკითხი შესასწავლია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„მეფის სასახლის ქებას“ მოსდევს „ამიცანად ნათქვამი“, შემდგარი 36 სტროფისაგან. მასში ავტორის სახელს ვერ ვპოულობთ ვერც თავსა და ვერც ბოლოში. ეს თხზულებაც პაპუნა ორბელიანისაა. ამაზე მიუთითებს იგივე შაირი, ლექსწყობა, და ბოლოს ისიც, რომ პაპუნა ორბელიანის თხზულებათა შორისაა მოქცეული და მხოლოდ ამ ნუსხაშია შესული ისევე, როგორც აქ წარმოდგენილი მისი სხვა ლექსები და „ამბავნი“.

ისტორიკოს პაპუნა ორბელიანს, რომელიც დასახელებულ ანთოლოგიაში პოეტად წარმოდგა, აწუხებს ის, რომ მან თავის შემოქმედებაში დიდი ადგილი დაუთმო საერო პოეზიას. ამიტომ, აქვე, სასულიეროსაც უხდის ხარკს. ის ლექსი, რომელსაც იგი „ცხრა ნეტარებას“ უწოდებს, ასე იწყება:

„მე, სვინიდისი მამხილებს, სამღთოდ არა მაქვს შრომანი,
აღვეზენავე საქებრად, როდეს ვსცან სწავლად რომანი...“.

სულის საოხად დაწერილ ამ ლექსში ისტორიკოსი თავს ავედრებს უზენაესს. ამით არ კმაყოფილდება იგი და სულისათვის კვლავ განაგრძობს ზრუნვას. აქვე მოთავსებული „ანბანთქება ცხრა ლექსად თქმული, ღარიბი, თქმული პაპუნა ორბელიანისა“ და „შექმნა ადამისა, ცდომა და ექსორიობა“ იმავე თემატიკიდანაა, რომლის სიმცირესაც უჩივის იგი თავის შრომებს.

მართალია, ამ უკანასკნელი თხზულების არც ერთ სტროფში პაპუნა არ იხსენიება, მაგრამ ერთსა და იმავე სალექსო ფრაზებს, ამასთანავე, „აღზენავებას“ საღმრთოს საქებრად („ცხრა ნეტარებიდან“) პაპუნასთან მივყევართ. ამასვე გვიდასტურებს აქაური ერთი ტაეპის მსგავსება იმ თხზულების სალექსო სტრიქონთან, რომლის ბოლოშიაც ავტორია დასახელებული, ასე, მაგალითად:

შექმნა ადამისა, ცდომა და ექსორიობა	ქებანი მეფეთანი
„...ღმერთმან დაბადა ყოველი, ქუეყნად მოძრავი სულითა, ოთხფეხნი, მწერნი, მფრინველნი არ აღირიცხვის ნულითა...„	„...ღვაწლი კეთილი მიუძღვის იხარებს, ბრწყინავს სულითა, სრულად ვითა ვოქვა მე ქება, არ აღი- რიცხვის ნულითა...“

ამავე თემატიკას უძღვნა პოეტმა ისტორიკოსმა „წმინდის პატრიაქის ანტონის შესხმა“, რომლის ბოლო სტროფში იკითხება, როგორც ავტორის სახელი, ასევე მისი დაწერის მიზანი:

„...მე მისი მონა პაპუნა შევუდექ მისსა ქებასა,
მე ალქატი და უცები მივეცი კრძალულებასა,
მე მგონის ჩემად მეოხად მითა მოვიცემ შვებასა,
და წმინდას პატრიარქს თაყვანს ვცემ, ანტონის ბრწყინვალებასა“.

ამით დაუსრულებია პაპუნა ორბელიანს „საღმრთოდ შრომა“ და განუგრძვია საქვეყნო ამბების პოეტურადვე აღწერა, რომლის გამომჟღავნება თავის დროზე, ჩანს, მას არ მოუსურვებია. თითქოს ამის შესახებ სცოდნია მნუსხველს, კალოუბნელ თომას, და დიდი საერო, ისტორიული პოემა არც სათაურით გამოუყვია, არც სინგურით. მხოლოდ ტექსტის მკრთალი მელნით დაწერილი ქანწილი აცალკევებს მას, მის წინ მოთავსებულ „ამიცანად ნათქვამისაგან“ და მომდევნო თხზულებისგან „ფუტკაროვანი“, რომელიც, აგრეთვე, პაპუნა ორბელიანის ხელიდანაა გამოსული.

თომა კალოუბნელს პ. ორბელიანის თხზულებანი, გადაწერის დამთავრების შემდეგ, ასე შეუფასებია:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მე ვაქებ ამის მნუსხველი, ამა წიგნისა მელექს[ს]ა,
შეუკრებია სიტყვები, არ ცუდსა რასმე მელექს[ს]ა,
საღმთო, საერო ორივე, უცხო განწყობით მელექს[ს]ა,
უფალმან მისცეს ნათელი. ვამოაშოროს ბნელებსა“.

პაპუნა ორბელიანზე, როგორც ისტორიკოსზე, აზრი გამოუთქვამთ ივ. ჯავახიშვილს, კ. კეკელიძეს, ალ. ხახანაშვილს... ბოლო ხანებში კი მისი ისტორია „ამბავნი ქართლისანი“ გამოსაცემად მოამზადა ელ. ცაგარეიშვილმა გამოკვლევითა და შესაბამისი სამეცნიერო აპარატურით.

პ. ორბელიანის ცხოვრების შესახებ, როგორც მისი ისტორიის მკვლევარნი გადმოგვცემენ, ცნობები არ არის შემონახული.

ივ. ჯავახიშვილი მას ასე ახასიათებს: „პ. ორბელიანი ცხოვრებაში ჩახედული, ღრმა მოაზროვნე და ეროვნულ-საზოგადოებრივ გრძნობებით გამსჭვალული ისტორიკოსია. მისი მამულიშვილური გული თანამოძმეთადმი სიყვარულით სძგერს...“[11]

პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“, როგორც ცნობილია, იწყება 1739 წლიდან. მოვიგონოთ ავტორის ანდერძი:

„ვინათგან ვიდრე აქამომდე აღწერილი იყო ამბავი ესე ქართლისანი, აღმწერელსა ამისას ჩ ხ ე ი ძ ე ს ე ხ ნ ი ა ს ა დაშთომოდა შემდგომნი ყოფილნი და ყოფადნი, და მე, პ ა პ უ ნ ა მ ო რ ბ ე ლ ი ა ნ მ ა ჰელვყავ აღწერად. პირველად — რათა არა დავიწყებულ იქმნენ ესე ვითარნი ამბავნი და მეორედ — შემდგომნი ჩვენნი მოიხსენებდნენ ესეოდენთა ჟამთა და ვითარებათა დაქცეულებათა, რომელ კნინღა და არაოდეს ყოფილ არიან ესევითარნი იწროებანი ქართლისანი, და მალიადნი ცვალებანი დამპყრობელთა და განმგებელთა ქვეყანისა ჩვენისანი, მწარენი და ძალიადნი მოხარკეობანი. რომელნიმე ვიხილე თვალითა ჩემითა და რომელიმე მომეთხრნეს სარწმუნოთა კაცთაგან, და არა უდებ ვყავ ჰელყოფა ამისი, მსგავსად ძალისა ჩემისა, რათა მოზარდულნი ქართლისანი განეკრძალნენ ქვეყანათა თვისთა სიმტკიცისათვის, ვინაიდგან ესეოდენი ჭირნი, იწროებანი წარგუხდიან, და იუწყებოდენ, თუ ვისგან და ვითა, რომლისა მიზეზითა იქმნეს ესე ყოველნი“[12].

ეს ანდერძი თამამად შეიძლებოდა წამძღვარებოდა პ. ორბელიანის აქამდე სრულიად უცნობ ისტორიულ პოემას, რომელიც დასახელებულ ანთოლოგიაში უსათაუროდ აღმოჩნდა. მოტანილი ანდერძიდან ერთი წინადადება: „...რომელნიმე მომეთხრნეს სარწმუნოთა კაცთაგან...“ მხოლოდ ამ პოემის შესავლისათვის გამოდგებოდა. ძირითად ტექსტში კი მას აღწერილი აქვს თვალით ნახული და განცდილი.

თავმდაბალ ისტორიკოსს მისგან ლექსად თქმული „შეჭირვებანი ქართლისანი“ გვერდზე გადაუდევს, მასზე სიტყვა არ დაუძრავს და სეხნია ჩხეიძის ისტორია განუგრძვია; საკუთარი ნაწილი ლექსითვე დაუწყია, რაც შემთხვევითი არ უნდა იყოს და უნდა აიხსნას მისგანვე წინა პერიოდის ისტორიის პო-

---

[11] ივ. ჯავახიშვილი, ძველი საისტორიო მწერლობა. წიგნი 1, გვ. 374.

[12] ქართლის ცხოვრება, დასაბამითგან მეათცხრამეტე საუკუნემდე, ნაწილი მეორე. ახალი მოთხრობა 1469 წლიდან, ვიდრე 1800 წლამდე, გამოცემული ჩუბინოვისაგან, სანქტ-პეტერბურგი, 1854, გვ 343—374; H-2324, 1773 წლის ნუსხა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტურად აღწერის ზეგავლენით. აი ეს ცნობილი სტროფიც, დასაწყისი პაპუნას ისტორიისა:

„შეუდგ ამბავს ქართლისას პაპუნა ორბელიანი,
გამაძლიერა მეფემან, ვინ არის გვირგვინიანი,
აღვწერე ყოელი ყოფილი, მრავალგზის საჩივრიანი,
ვიცე წარიკითხოთ, ნუ მკიცხავთ, სიტყვა სთქვით შენდობიანი“.

ის „ამბავი“, რომელიც ეხება 1739 წლის წინა ხანას, 17 წლით ადრინდელს, დღემდე სრულიად უცნობია.

3. ორბელიანი თავის ისტორიულ პოემას, რომელიც ამჯერად 76 სტროფის შემცველია, იწყებს შესავლით. მასში აღწერილი აქვს ქართველ მეფეთა და დიდებულთა ცხოვრება ძველად. ამ ათისტროფიან შესავალში ჩატეულია ზოგადად ყველაფერი ის, რის თქმაც უნდოდა ისტორიკოსს საქართველოსა და მის მკვიდრთა ცხოვრების დასახასიათებლად და თანადროულ ეპოქასთან დასაპირისპირებლად.

ძველადო — გადმოგვცემს პოემის ავტორი სანდო კაცთაგან მონათხრობსა და გაგონილს — მეფენი ყოფილან განთქმულნი სიბრძნით, სიმართლით, სიუხვითა და ძლიერი ლაშქრით: „ვის ეძლო მათი ომები“-ო, დასძენს იგი.

თავადნი ყოფილან ზნეობით სრულნი, ლომგულნი და ერთგულნი თავისი პატრონისა. სახელგანთქმულნი, სახელის მოხვეჭას ეძიებდნენ საკუთარი მარჯვენით: „თვისისა ჰქლების მინდობით“, იყვნენ უშურველად მოწყალენი...

„ქვეყანა ჰქონდათ ცოტაი, მარა ყოვლის გზის საქმები.
ბარის ალაგი შემკული, აგრეგ მოხდომით მათ მთები,
წყლები რიგ-რიგად მომდენნი, კარგი და სტომაჭი მარგები...“

ქართლის მეფეთა საბრძოლო ძალები ოთხ სადროშოს შეადგენდა. სამარათშვილო-სომხითისას ორბელიანთ გვარი სარდლობდა და მტრის საწინააღმდეგოდ თორმეტიათასი ვაჟკაცი გამოჰყავდა; ასევე დანარჩენი სამი სადროშოს მეომრებიც მტრის გამდრეკი და უკუმაქცევნი ყოფილანო, გადმოგვცემს ისტორიკოსი და პოემის შესავალს ამთავრებს ქართველოს მშვენიერებისა და სიმდიდრის ხაზგასმით, რომლის მოგონება მას ადარებინებს აწმყოს წარსულთან და ნაღვლიანად ათქმევინებს:

„ქვეყანა ჰქონდათ შემკული, კარგი და მოსაწონები,
მშვენიერი და ლამაზი, ალმასის ასაწონები,
თავადნი, აზნაურები მრავლის საქონლის მქონები,
და აწცა ჩავარდით ურვასა, მათ რაღაი მოვიგონები!“

წარსულის ამსახველ შესავალს მოსდევს პოემის ძირითადი ნაწილი — ქართლის შეჭირვებათა გადმოცემა, რომლის უშუალო მონაწილეა პოემის ავტორი.

პაპუნა „ამბავს“ იწყებს ვახტანგ VI-ით; ერთ სტროფში ათავსებს იგი ვახტანგის მეფობის ღირსების აღწერას, მეორეში კი გამოთქვამს მეფის არჩევანით გამოწვეულ უკმაყოფილებას:

„ეს მეფე ქართლთა მპყრობელი მოტყუვდა ცუდის საქმითა“: ცუდ მრჩეველთ მინდობილმა, ყაენისაგან თავის დასაღწევად, მიმართა ხონთქარსო, ამბობს იგი. გაგზავნეს სანდო კაცი არზით არზრუმში ხონთქრის სარასკართან და მისწერეს:

„მოდით, გვაყმევით ხონთკარსა, ჩვენ ვიყუნეთ მისსა ბანდობად,
დაგაჭირნებთ ერანსა, ჩვენ გვყავით წინა სარდლობად“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამით ნაამები სარასკარი ურუმთა ჯარით წამოვიდა ქართლისაკენ.

შემდნელ ვითარებას პოემის ავტორი გადმოსცემს ძუნწ-სიტყვაობით. შეკუმშული აზრი ფაქტებს ამძაფრებს: მკვეთრად ისახება უცხო დამპყრობთა შემოსევით გამოწვეული განცდები, შიში ქართლის მკვიდრთა და შეძრწუნება ვახტანგ მეფისა:

„წარმოემართა ქართლზედა, აღივსო მთა და ბარები,
წინ მიეგებნენ ქართველნი შიშითა ფერ-ნაკრთალები,
თვის ნებად იქნეს ქართლზედა, მეფემან შემქნა ჯავრები“.

ურუმთ დაიჭირეს თბილისი და ციხე მისი. ბაგრატიონთა ტახტზე ბატონად დასხდნენ ფაშებიო, გადმოგეცემს პოემის ავტორი. სხვა ისტორიული თხზულებანი დიდ ადგილს უთმობენ ამ პერიოდის პოლიტიკური ვითარების დასახასიათებლად და ასახსნელად იმ შინაგან არეულობას, რომელიც სუფევდა კახთ-ბატონის მამადყულიხანსა და ვახტანგ VI-ს შორის. პ. ორბელიანი ამ ფაქტს არ იხსენიებს. იგი, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, პირდაპირ ვახტანგ მეფისგან პოლიტიკურად მცდარი ნაბიჯის გადადგმით იწყებს პოემის ძირითად ნაწილს, და გარკვეულად მიუთითებს თურქთა მოპატიჟებაზე, აზერბაიჯანის დაქვემდებარებისა და ირანისაგან განთავისუფლების მიზნით.

ომან ხერხეულიძის გადმოცემით: „1723 წელსა სულთანის სარასკარი მოვიდა ყარსს და ესმა აღრეცა ქართველთა მეფეთა და მით შეჰხედა ჟამი მარჯვე, რომლისათვის მოსწერა მეფესა ვახტანგს: ვითა წარმომიდგინე ერთი ნათესავთა შენთაგანი და მე ვავუტო (! ვაოტო) მამადყულიხან და შენვე ჰკვიდრომდე მეფედ ქართლისა. მეფემან წარავლინა ძმა თვისი იესე, და მისელისავე თანა იესესა, წარმოემართა ყარსით და დადგა შანბიანს, მაშინ მეფემან მიაგება ძე თვისი ბაქარ და მუნით მოვიდა სარასკარი, დადგა ყორყუთასა...“[13]

ამისგან სხვაობს ისტორიულ პოემათა ცნობები, რომელთა ავტორები, მიუხედავად იმისა, რომ ვახტანგ VI-ს ბრძენსა და ქველყნის კეთილად მმართველს უწოდებენ, მისგან გადადგმულ პოლიტიკურ ნაბიჯს მცდარად მიიჩნევენ.

იესე ტლაშაძე, ავტორი „ბაქარიანისა“, შეშფოთებით აღწერს თბილისის არაერთგზის აოხრებას და დაპერას მამადყულისგან. რის შემდეგო, მოგვითხრობს იგი:

„ცოტა რამ ხანი გამოხდა, წამოდგა ურუმთ ლაშქარი,
თრიალეთზე რომ მოვიდა, წინ მიეგება ბაქარი,
დიაღ, იამთ მათ მისვლა, პირში ჩაუდეს მაჭარი,
და მტერსა ეჭადა დაჭერა, დიდი ოჭრო და მასქარი“.[14]

მაშასადამე, იესე ტლაშაძის მოხედვითაც, თურქების შემოსევა თბილისში მმართველთაგან ნებადართული ჩანს:

---

[13] ქართლის ცხოვრება II, ე. ჩუბინაშვილის გამოცემა, ცხოვრება მეფის ირაკლი მეორისა, ომან მდივნისაგან ქმნილი, 1854, გვ. 475—501; S-4997, ომან ხერხეულიძე, შემოკლებული ისტორია ცკებულის მეფის თეიმურაზისა და ძისა მისისა მეფისა ირაკლისა.

[14] იესე ტლაშაძე, ბაქარიანი, გამოსაცემად მოამზადა სოლ. ყუბანეიშვილმა, 1962, სტროფი 65.

„ყოფნა მისჭირდა ბაქარსა და თავი დაღონაო,
ამათი მოსვლა ქართლშია ნეტარ რამ მამაგონაო?
ნეტარ ამათი სიტყვა ყურით არ გამაგონაო,
და ამათ ვადაჭრილი არ მინდა იმათი[თ] ქართლის შოვნაო“[15].

„ბაქარიანის“ ავტორი თავის პოემაში, ამბავთა განვითარების გეერდით, საკუთარ თვალსაზრისს გვთავაზობს ვახტანგ მეფისგან განსაცდელში ჩაგდნილი ქვეყნის მიტოვების გამო:

„...ქართლი დაგდო, წავიდა, ძირს დადგა დიდის მთისასა,
და ხმალი არა ჰკრა ხვანთქრისა, უყურეთ ჭკუას მისასა“[16].

ანდა:

„კაცმა რომ მტერი დაჩაგროს, აჯობოს ამ ჭკუითაო!“[17]

ან კიდევ:

„მაშ ასე უნდა კარგ კაცმა იყაროს მტრისა ჯავრია?!.“ [18]

როგორც ვნახეთ, ავტორი ისტორიული პოემისა, გმობს მტრის დამარცხებას მეორე, უფრო მძლავრი მტრის ხელით, რომელიც ქვეყანას არანაკლებ მძიმე უღელს დაადგამს.

დავით გურამიშვილი „დავითიანში“ აგვიწერს რა ქართლის ჭირის ამ პერიოდს, მამადყულიბანისაგან თბილისის დაპურისა და აოხრების ამბებს ასე ამთავრებს:

„...დანამარცხეს ქართველთ ჯარი, ვახტანგ მეფე გააქციეს,
და თეთრსა მტკვარსა წითლად ღებდა, რაც მათ სისხლი დააქციეს.“ [19]

ამას მოსდევს შექმნილი მდგომარეობის შეფასება დავით გურამიშვილისათვის ჩვეული მხატვრული დიდოსტატობით:

„ჯახთ ნაჩინჩხლთ წინწყალთ დვრებო ქართველთა ჭარი ალზედა,
რა იგი ორნი შეუღლდნენ, ვით ჭორნი გარიალზედა,
გამოეღვიძა არწივსა ჩხუბსა და მათს ყრიალზედა,
და გარეულს კლანჭი მან უკრა, სხდენ ორნივ ცარიალზედა.
სჯობდა იდუმალ ენუკათ ჭორთ თვისი სანუკარია,
წილად ეროს მჭარი ეწიწყნა, მეორეს საწიწკარია,
სრულ არ მიეცათ მტრისათვის თავიანთ საკენკარია...“

მოტანილი ადგილები დ. გურამიშვილის პოემიდან ეხმაურება ისტორიკოს ო მ ან ხ ერ ხ უ ლ ი ძ ი ს ცნობას:

„...1723 წელსა სულთნის სარასკარი მოვიდა ყარსს და ესმა აღრევა ქართველთა მეფეთა და მით შეხვდა ჟამი მარჯვე...“

მომდევნო სტროფებში გურამიშვილი უფრო კატეგორიულია და მსჯავრის დამდები, შეიძლება ითქვას, რომ აქ იგი მიუთითებს ვახტანგისგან „ძიმწარის უმწარე“ ხვანთქრის მოხმობას სამშვიდად და „აღსაშენებლად“:

„ვახტანგ ძიმწარის უმწარე ეტკბილა, ვითა შაქარი,
ძილგაკრთობილმან, საზღაპროდ, მძინარე შეძრა ხვანთქარი.
აღსაშენებლად სრა-ვანთა გაგზავნა ორი სარქარი,
და წინ მოუძღვარა ხუროთა იესე—ძმა, ძე—ბაქარი“.

---

[15] იესე ტლაშაძე, ბაქარიანის დასახელებული გამოცემა, სტრ. 98.
[16] იქვე, სტრ. 108.
[17] იქვე, სტრ. 66.
[18] იქვე, სტრ. 67.
[19] დავით გურამიშვილი, დავითიანი, 1955, სტრ. 305.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი საბოლოო დასკვნა ამ საკითხთან დაკავშირებით ასეთია:

„მოტყუვდნენ ხუროთმოძღვარნი, იქმარეს ავნი ხურონი,
ძველთაგან ყკვდრად ნაშენნი, საქართლო-საკხურონი,
მოშალეს, ვეღარ იშენეს სრა-ვანი საკვეხურონი,
და ყმა და მამულნი მტრებს მისცეს, თვით დარჩნენ უმსახურონი“[20].

დ. გურამიშვილი ისევე, როგორც პაპუნა ორბელიანი, მომსწრეა თურქებისაგან ქართლის დაჩერისა და ვახტანგ VI წასვლისა რუსეთს, მაგრამ მან იგი აღწერა სიბრძნის, ხანდაზმულობის პერიოდში, როცა საკუთარი თვალსაზრისი, განვლილი ფაქტების ირგვლივ, სავსებით ჩამოყალიბებული და შერწყმული ჰქონდა ბუნებრივ ნიშთან.

პაპუნა ორბელიანი თავის ისტორიულ პოემაში გადმოგვცემს, რომ ვახტანგ VI-ს არ გაშართლებია მოლოდინი. თურქეს თავისი მიზან-სურვილების განხორციელებისათვის მიუყვიათ ხელი:

„დაგვიპყრეს, დაგვჩაგრეს, გვიჭირეს“-ო იეწუწება ამ ამბების მომსწრე და უშუალოდ განმცდელი ისტორიკოსი და მოკლედ გვაცნობებს:

„მეფემან შექმნა ჯაერები“-ო, ამასთანავე, იძლევა ვახტანგ VI-ის პოლიტიკური ნაბიჯის ახსნა-შეფასებას:

„ფაშები დასხდნენ ბატონად ბაგრატიონთა ტახტზედა,
ეს ვეღარ გასძლო მეფემან, ჭელი აიღო ქართლზედა,
წაბრძანდა ვახტანგ მეფეი, სწრაფ გადაირა მთაზედა,
და მიმართა რუსსა ჭელშწიფეს, ისწრაფდა მისკლას კარზედა“.

ისტორიკოსი უკმაყოფილოა იმითაც, რომ ვახტანგმა თან გაიყოლა თავისი ძენი და გამოჩენილი ადამიანები:

„თან გაყვნენ ბაქარ, გიორგი, ორივე მისი ძენია,
ქართველთ თავადნი ცოლ-შვილით, ვინ იყუნენ თავნაჩენია,
ჭელშწიფემ მისცა პატივი, არავის მოუწყენია,
ეს რომ შეიტყეს ურუმთა, უფრო მოგვეზნეს გენია“.

ისტორიკოსის დასკვნა ერთია: რომ მეფემ არა მარტო თვით მიატოვა განსაცდელის ქამს თავისი ქვეყანა, არამედ თან გაიყოლა მემკვიდრენი და სახელმწიფოებრივ-კულტურულ საქმიანობასა და ბრძოლებში გამორჩეული („თავნაჩენი“) ქართველებიც. ამის გამო უფრო წათამამდა მტერი და უფრო მეტად შეაჭირვა ქართლის მოსახლეობა.

პ. ორბელიანს ეხერხება საოცარი უბრალოებით, ლაკონურად გადმოსცეს მნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტები. აი რა ხდება ვახტანგის წასვლის შემდეგ:

„ძმას აღარ გაყუა იასე, ქალაქში დადგა მეფობით.
მიიქცა ოსმანო რჯულზედა, ეკონა: დავსჯდე სუფობით.
აღარ აუფლეს ურუმთა, აღარც მიუშვეს ნებობით,
და ელოდა ქართლის შოვნასა, რჩებოდა თვისის ჯერობით.“

თითქმის ამასვე ამბობს ომან ხერხეულიძეც თავის ისტორიაში: „...1725 წელსა იესე, ძმა ვახტანგისა, გათათრდა და ამის გამო მისცეს მეფობა იესეს თურქთა, გარნა არცა იგი ამეფეს ნებისაებრ თვისისა...“[21]

[20] დავითიანი, დასახელებული გამოცემა, სტრ. 306—309.

[21] ომან ხერხეულიძე, დ. ჩუბინაშვილის დასახელებული გამოცემა; S—4997.

იასეს მოქმედება, მისი მორალური სახე სულ ექვს ტაეპშია ჩატეული, რო-
მელსაც ასე ნათლად და მკვეთრად თაბახებიც ვერ ასახავდა. ორი უკანასკნელ
დასკვნითი სალექსო სტრიქონი იასე მეფის ყოველნაირ აღსასრულს აუწყებს
მკითხველს პაპუნასთვის ჩვეული უბრალოებით:

„ისიც აღსრულდა, ქალაქში დამარხეს თათართ წესითა,
ხუთი ძე დარჩა ოთხ ცოლთან, თეთრი გიაყუეს ქესითა...“

ისევ ქვეყნის რბევისა და ხალხის შეჭირვების, ეკონომიური სიღატაკის შე-
სახებ მოგვითხრობს მომდევნო სტროფები:

„დაქვეიდრდნენ უფრო თათარნი, ვიყვითი მარად ცუნვსითა,
[ვ]მუშაკობდით და ვშვრებოდით, ვრჩებოდით ხვნა და თესვითა“.

ანდა:

„სულ აგვწერეს ქვეყანა, ვენაჯი, ბაღი, ნერგია,
ზედ დასდევს ხარჯი სახვანთქრო, ვინ წინა აღუდგაო!“

ამას მოსდევს ქართლში სხვადასხვა ფაშის ხანმოკლე ბატონობის აღწერა-დახა-
სიათება, ზოგჯერ მათი მხოლოდ დასახელება.

პირველად ქართლში უთვალავი ჯარით შემოდის იბრეიმ ფაშა, რო-
მელიც ხონთქრის ბრძანებით, სასწრაფოდ მიემართება აზერბაიჯანისაკენ. მას
სცვლის დიარბექირის ფაშა „მკაცრი და უწყალო, ქართლისა და თბილისის მომ-
თხრელი“ (იესე ტლაშაძის მიხედვით, სტრ. 97). ისიც იგზავნება სარასკად
აზერბაიჯანშივე.

ამ პირველი ორი ფაშის დახასიათებაზე არ ჩერდება ისტორიკოსი, სამაგი-
ეროდ, მათ შემცველ მესამეზე მოგვითხრობს:

„რაჯა-ფაშაი მრისხანე, რომ იჯდა ქართლში მპყრობელად,
ხვანთქრის ვეზირი უშიში, ამაყად პყრობდა მფლობელად.
ვინა შეხედის შეშინდის, ვინ იყვის მისანდობელად,
სისხლი დასთხია ქართველთა, იყო სჯულისა მგმობელად“.

მასვე დაუბეზღებია და წარუგზავნია დომენტი კათალიკოსი ხონ-
თქართან.

რაჯა-ფაშას ვერაგობასა და უკაცურობას უფრო ვრცლად აგვიწერს იესე
ტლაშაძე:

„უღმერთო იყო წყეული, უბრალოს კაცის მკელელია,
არ შეიბრალის, მან მოკლის, იყო სისხლისა მსმელია“,

„ერთ დღეს უღრომან სამას კაცს თავები გაადებინა,
მრავალი კაცი შეშინდა, სამკვიდრო დაიგდებინა,
თეთრი და ფლური მრავალი სალაროს ჩაადებინა,
ვისაც რომ თეთრი არ ჰქონდა, მამული დადებინა“[22].

არც რაჯა-ფაშას დახანებია ქართლში. იგი შეუცვლია სარასკარს სარ-მუს-
ტაფა-ფაშას, რომლის „მოღვაწეობა“ პ. ორბელიანს ასე აქვს გადმოცემული:

„....ციხე აიღო ლორისა, ჯარის ცხენს მისცა ქერადა.
ჩავიდა, განჯაც დაიპყრა, ყიზილბაშთ დაჰჯერადა.“

უფრო შეკუმშულად და სიმძაფრით დახატვა ლორის ციხეში დატრიალე-
ბული ამბებისა, წარმოუდგენელია.

[22] „ბაქარიანი“, დასახელებული გამოცემა, სტრ. 114, 115.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამათ შემდეგ ისტორიკოსი ქართლის მმართველად ასახელებს ახალციხის მპყრობელს ისაყ-ფაშას, რომელიც, მისი თქმით:

„...სჯულს გარდა კარგად საქები, არ იყო დასაგმობელი“-ო,

მაგრამ იგი დაუბეზღებიათ ხონთქართან, ისაყ-ფაშას შველისათვის მიუმართავს ერევნის სარასკარის ალი-ფაშისათვის:

„მან იპატივა ხონთქრისგან, შეიქმნა განთვისებული...“

აქედან ტექსტს აკლია. რამდენი ფურცელი ან სტროფია დაკარგული ამის თქმა ძნელია, ვინაიდან ამ პოემის შემცველი სხვა ნუსხა არ მოგვეპოვება.

მომდევნო სტროფებში გადმოცემულია ურუმთა ბატონობის შედეგები: ტყვეთა ყიდვა-გაყიდვის გახშირება, მოსახლეობის რბევა და თრევა, საყდართ გუმბათების დაქცევა და შებილწვა, ახალგაზრდების ყულებად წაყვანა, ხოლო ქალების ცოლებად დასხმა, თეთრის გამორთმევა ქისებით და იანიჩართ ჯარით ქართლის ავსება.

„გამრავლდა ქართლში ტყვის სყიდვა, ქალ-ყმა მიჰყუანდათ ბევრია.
არა სწუნობდნენ ბერს კაცსა[ც], წამს მოპარსვიან წვერია,
შეაბილწიან სახლები, სად იყვის ღვინის ქვევრია,
სცემდენ, ათრევდენ ქართველთა, შიშით ეცვალის ფერია“.

ამ, არცთუ დიდი მოცულობის ისტორიულ პოემაში გადმოცემულია არა მხოლოდ „ოსმალობის“ ხანა ქართლში, არამედ სპარსთა ბატონობისაც („ყიზილბაშობისა“):

„გამოჩნდა კაცი ერანში უცხო და საკვირველია,
მიუდრეკელი, ლომ-გული, არ ჰქონდა სიმჯნე ნელია...“

ეს საკვირველი, ახლად გამოჩენილი კაცი თამაზ-ხანია (შემდეგში ნადირშაჰი), რომლის შესახებაც, მსგავსად სხვა წყაროებისა, პ. ორბელიანიც გვაუწყებს, რომ იგი ყოფილა უბრალო, ხორასნელი მებადრაგის[23] შვილი („მონათესავე ყაჯრისა“), სახელად რქმევია ნადირყული. იგი გაძლიერებულა, დაუჭერია ყაენი (შაჰ-თამაზი), მოუსპია მისი საგვარეულო და ურჩნი.

პირველად თამაზ-ხანი შებმია ბაღდადში მჯდარ ოსმან-ფაშას, რომელიც მისი მარცხით დამთავრებულა. ორმოცი დღის შემდეგ იგი კვლავ მისდგომია ბაღდადს ურიცხვი ჯარით. ამჯერად მას გაუმარჯვნია. შემდეგ მისულა განჯას, დაუხოცნია ურუმნი და გაუდევნია ფაშა.

პ. ორბელიანი იწყებს თუ არა თხრობას თამაზ-ხანის გამოჩენასა და სიძლიერეზე, მაშინვე ამჟღავნებს მის დამოკიდებულებას ახალი დამპყრობლისადმი:

„ცდილობდა ურუმთ გაყრასა, ის გვექნა მონაშველია“.

ხოლო, როცა განჯიდანაც, თამაზ-ხანის მიერ ურუმთ აღკვეთის ამბავს გადმოგვცემს, კმაყოფილებით დასძენს:

„შური ვიძიეთ ურუმზე, გულისა მოსაფხანია“.

შექმნილი მდგომარეობით უსარგებლიათ ქართველებს, შეუკრავთ პირი დამპყრობელთ საწინააღმდეგოდ და სხვადასხვა უბნებზე შებმიან მათ. სარდალს ქაიხოსრო ორბელიანს შეუყრია სომხით-საბარათიანოს სადროშო:

---

[23] ნუსხაშია „მეპარტაკის“.

„...ჭმალი ჰკრა ურუმთ ძლიერი, საქმე ქნა სახელიანი“-ო, ასკვნის ისტორიკოსი.

შეთქმულ ფეოდალთაგან, გორის ციხეში შეხიზნულ მტერზე გივი ამილახორს გაულაშქრნია:

„გორს იყო ურუმთ ყრილობა, ესე რომ იქა მივიდა,
ციხე აიღო გორისა, ურუმნი შიგან ყვიდა,
გარს გამოყარა ალები, ციხეში თითონ შევიდა...“

ამ დროს, თამაზ-ხანს ქართლში სარდლად, თავისი ერთგული ჯარით, ხ ა ნ ჯ ა ხ ა ნ ი გამოუგზავნია. ხანჯახანისგან თბილისის დაჭერა, სხვადასხვა ქრონიკებით, სხვადასხვა დროს მიეწერება:

1. „მეფის ირაკლის ქორონიკონით“: „ხანჯახან რომ ქალაქი დაიჭირა მკათათვის ლ, ქ˜კს უკგ 1735 წ.“ (H—1362)[24].

2. პლიევქტ კარბელაშვილის ქრონიკებითაც: „ქ˜კს უკგ ხანჯახან მობრძანდა ქალაქს კათათვის გასულს“ (S—5302)[25].

3. ფურცელაანთ ქრონიკით: „ქ˜კს უკგ ყიზილბაში ხანჯალხანი მობრძანდა ქალაქს კათათვის გასულს“ (ცსსა, ფონდ. 1446, № 137)[26]

4. დავით რექტორისეული ქრონიკა ზემოთ მოტანილთაგან განსხვავებულ ცნობას გვაწვდის:

„ქ˜კს უკე 1737 წ. ქალაქიდამ ოსმალი გავიდა და ხანჯალხანი შემოვიდა მარიამობის თვეს“ (S—2515)[27].

როგორც დავინახეთ, ქრონიკების ცნობათა უმეტესობა ხანჯახანის თბილისში შემოსვლის თარიღად 1735 წელს მიიჩნევს. „ყიზილბაშობის“ დასაწყისადაც ეს წელია ცნობილი. პ. ორბელიანსაც, განსახილველ პოემაში, ოსმალობის ბატონობის პერიოდზე ნათქვამი აქვს:

„თორმეტ წელს იყუნენ ქართლშია, გულზე ჩვენ დაგვსვეს დაღები...“ ურუმთაგან თბილისის დაჭერის თარიღს — 1723 წელს თუ მივუმატებთ მათი ბატონობის 12 წელს, სწორედ „ყიზილბაშობის“ დასაწყისს — 1735 წელს მივიღებთ.

აკად. ნ. ბერძენიშვილს ხანჯახანის ქართლში გამოგზავნის თარიღი არა აქვს აღნიშნული, მაგრამ იმ კონტექსტში, სადაც მასზეა საუბარი, უნდა იგულისხმებოდეს 1738 წელი:

„...ყანდაარში შაჰმა თეიმურაზ მეფეს კახეთიდან ქალი და ვაჟი დააბარებინა. კახეთის მეფის ქალი თავის ძმისწულს ცოლად მისცა, ხოლო ვაჟი ერეკლე ინდოეთს ლაშქრობაში თან წაიყვანა. თეიმურაზი შაჰმა კახეთის მმართველად გამოისტუმრა. ასევე გაათავისუფლა და უკან დააბრუნა ქართველი თავადებიც, მაგრამ ქართლს ყაენმა ყიზილბაში ხანჯახანი დაუნიშნა მმართველად“[28].

პროფ. დ. გვრიტიშვილი ამავე საკითხთან დაკავშირებით წერს:

---

[24] თ ე დ ო ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, III, გამოსაცემად მოამზადეს გივი ჟ ო რ დ ა ნ ი ა მ დ ა შ ო თ ა ხ ა ნ თ ა ძ ე მ, 1967, გვ. 58.

[25] იქვე, გვ. 631.

[26] იქვე, გვ. 145.

[27] იქვე, გვ. 056.

[28] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, 1965, გვ. 171.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

„...1738 წელს ტყვე ქართველები, მათ შორის ამილახორიც, ნადირმა საქართველოში დააბრუნა და ქართლი სამმართველოდ ხანჯახანს მისცა. ვერც ხანჯახანმა დაამშვიდა ქვეყანა“[29].

პ. ორბელიანის პოემით, პირველი, ვინც თამაზ-ხანს თავისი ჯარის სარდლად დაუნიშნავს და გამოუგზავნია ქართლში, ხანჯახანი ყოფილა. ესეც მხარს უჭერს თბილისში მისი შემოსვლის თარიღად 1735 წლის აღიარებას.

პ. ორბელიანის პოემა ერთ საინტერესო ცნობასაც გვაწვდის ამ პიროვნების ვინაობის შესახებ:

„თამაზხანს ქართლში ებოძა თვის მახლობელი ჯარია,
ხანჯახან სარდლად დროშითა, ორბელიანთა გვარია,
მოვიდა, დადგა მცხეთასა, ქართველნი ჯართან გარია,
მოართვეს ქართველთ ურუმნი, შეეპყრათ ვითა ვარია.“

ამ სტროფის მიხედვით ავტორი ხ ა ნ ჯ ა ხ ა ნ ს თითქოს ორბელიანთა გვარს აკუთვნებს. მართლაც, გამორიცხული არ არის, რომ ხანჯახანი (რომლის ქართული სახელი უცნობია) ბავშვობიდანვე ირანში მოხვედრილიყო; გამჭრიახსა და ცბიერ ნადირს სწორედ გაყიზილბაშებული და იქ გაწრთვნილი ნაქართველარი შეერჩია ქართლში გამოსაგზავნად. მას პირადად ჯერ კიდევ არ ეცალა, მრავალი ქვეყანა ჰქონდა დასამორჩილებელი. თუ ეს ვარაუდი სწორია, თამაზხანის გააზრებული არჩევანი (დაპყრობილი ქართლის პირველ სარდლად ხანჯახანის დანიშვნისა) დასაწყისში მიზანმიღწეული ჩანს. პოემაში ვკითხულობთ:

„შემოიყარნენ ქართველნი, ვინ იყუნენ მთა და ბარებით,
სარდლები, ერისთავები, ყველანი თავ-ს ჯარებით,
მორჩილობდენ და მონებდენ, სულ იყუნენ მისის ბრძანებით,
და ჴოცდენ მარადის ურუმთა, ვეღარ ომობდენ ფარებით.“

მთებში გახიზნული თუ ბარად მიმალული ერისთავებისა და სარდლების შემოკრება ხანჯახანის დროშის ქვეშ, მისდამი ნდობა და მორჩილება, ჩანს, ნაწილობრივ მისი წარმოშობითაც იყო შეპირობებული:

„ხანჯახან დაჯდა ქართლშია, ვაქკაცად დიდად ქებული,
ქართველთ თავადნი გაიწყო, მით იყო მასთან შვებული,
ურუმნი განწმდეს ქართლიდან, არზა ყუეს მივლინებული,
და თამაზხანს დიდად იამა, არ იყო განრისხებული“.

ქართლის მძიმე და ძნელი ამბების მოკლედ გადმოცემისას, როგორც არაერთხელ აღინიშნა, პაპუნა ორბელიანს საკუთარი შეხედულებებიც აქვს მომარჯვებული ამა თუ იმ მოვლენასთან დაკავშირებით. მათში არა მარტო მისი განცდები ან შურისძიება იხატება, არამედ მტრის ხელში ჩავარდნილი ქვეყნის სიდუხჭირეც:

„თორმეტ წელს იყუნენ ქართლშია, გულზე ჩვენ დაგვსვეს დაღები,
მაგიერ სისხლი ვადინეთ, პირიდან ამონაღები.“

ქართლის ურუმთაგან გაწმენდის ამბის შეტყობით ნასიამოვნებ თამაზ-ხანს ამასთანავე, ქართველი ერისთავებისა და თავადების გულის მოგების მიზნით, მათზე საბოძვარი გაუცია. პ. ორბელიანი შესამკობ ეპიტეტებს არ იშურებს ირანის მპყრობელის დასახასიათებლად:

[29] დ ა ვ ი თ გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, 1955, გვ. 112.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„ლომ-გული, კარგი ვაჟკაცი, არ იყო კაცი ბერია,
ახოვანი და ტანსრული, შავად შვენოდა წვერია."

„სულ დაიმონა ერანი, ყაენს ქონოდა ძველადა,
უყო ყათლამი ურუმთა, ჴმალი მას ქონდა სველადა,
გასცის უზომო ჯარზედა, ლხინად რომ დაჯდის მღერადა,
და ემზადებოდა ურუმზე, სტამბოლის დასაჭერადა".

ყარსში თამაზ-ხანი შებმია ხონთქრის სარასკარს. მას, როგორც ისტორიკოსი ამბობს: „სიმდიდრით ამაღლებული ჯარის" მპყრობელს, გაუმარჯვნია, დიდი რაოდენობით გაუწყვეტია ურუმნი, მრავალიც შეუპყრია:

„აღავსეს კაცის მძოვრითა, ყარსისა მთა და ბარია."

იქ დაუბარებია თამაზ-ხანს ქართლ-კახელნი და მათთვის პატივი უცია; მაგრამ, ამავე დროს, დამპყრობლური და ქვეყნის ეკონომიურად გაჩანაგების პოლიტიკის გატარებასაც იქვე შესდგომია. აი, რას მოგვითხრობს ისტორიკოსი ამის შესახებ:

„...კახთბატონის ძეს ალმირზას, რომ იყო მისის რჯულობით,
მას მისცა ქართლი, კახეთი, უბრძანა: იყავ ვალობით..."

„ქართლი რომ მისცა ალიხანს, კახის ბატონის ძესადა,
უბრძანა: მომეც ამ ქვეყნით, რაც ჩვენის დავთრით სძესადა,
ახალი საქმე განჳსაზღვრეთ, აღარა ვჯერვართ ძველსადა,
და ხარჯი დაადვა ქართლს ძალით: სოფელთა, ტყეთა, ველსადა".

აქ მოხსენებული ალიმირზა და ალიხანი ერთი და იგივე პირია. მირზა სახელის წინ აღნიშნავს მწერალს, მასწავლებელს, მოხელეს; სახელის შემდეგ კი — ბატონიშვილს. ალიმირზა იგივე ალექსანდრე ბატონიშვილია, თუ კახთ რომელი ბატონისა, ამაზე პასუხს ვპოულობთ სხვადასხვა საბუთში, კერძოდ, იმამყულიხანის მიერ 1722 წელს გაცემულ ერთ-ერთ სიგელში მიტროპოლიტ ნიკოლოზ ჩერქეზიშვილისადმი:

„...მეფე ერეკლე ნაზარ ალიხანის ძემან... იმამყულიხან, პატრონმა კახეთისამან... მეფეთ-მეფემან... და თანამეცხედრემან ჩუენმან დედოფალთ-დედოფალმან... ძათრი ჯაჰან-ბეგუმ... და... უხუცესმან ძმამან ჩუენმან კონსტანტინე მაჰმადყულიხან და კვალად უმრწმესმან ძმამან ჩუენმან... კახეთის უფლისწულმან, ბატონიშვილმა თეიმურაზ... და შედეგთა ძმათა ჩვენთა... რიზაყული მირზამ და მუსტაფა მირზამ, და პირმშოთა ძეთა ჩვენთა ლეონ — მაჰმადმირზამ და ალექსანდრე — ალიმირზამ განვაგეთ..."[30] და სხვა.

ხანი თურქთ ენით არის მებატონე გინა ერისთავი. ეს ტერმინი საბას ასე აქვს განმარტებული ხანის „განყოფილებაში" (ბუდეში). პაპუნა ორბელიანიც სახელს ალექსანდრე — ურთავს იმ ტერმინს, რომელიც, ერთი მხრით, მიუთითებს წარმომავლობაზე, მეორე მხრით კი — მიღებულ თანამდებობაზე.

პ. ორბელიანის პოემიდან ვგებულობთ, რომ თამაზ-ხანს გამაჰმადიანებული კახთბატონიშვილი ალიმირზა ქართლის ბატონად (განმგებლად) განუწესებია და მისდამი ერთგულება და ბეგარის ახალი წესით აკრეფა დაუკისრებია.

ალექსანდრე — ალიმირზას ქართლის ხანად დანიშვნის შესახებ შემდეგს მოგვითხრობს ნადირ-შაჰის ისტორია:

---

[30] თ. ჟორდანია, ქრონიკები, III. გვ. 85.

ეროვნული ბიბლიოთეკა

[ნადირ-შაჰი, ღ. ჭ.] „მიიწია რა ტფილისს, მიუწერა მეფის ძეს თეიმურაზს და ალის და მოუწოდა თვისთანა სამასითა კეთილშობილითა ქართველითა. თუ მცა ჯერ-იყო მეფობაი თეიმურაზისად და ოდეს ალია [ალიმირზა] იყო მაჰმადან და ძმაცა მისი მაჰმადმირზა — ლეონ მოკლეს წინაშე მისსა, ბრძოლასა ბაღდადისასა, რომელმანცა მიართვა ჰუნეჲ თჳსი ნადირს, ოდეს დაშთა ქვეითად, მოკლისა გამო ქვეშე ტაიჭისა. ჰყო მეფედ ქართლისა ალი და განუტევა თჳს-თჳსად; რომლისა გამო, თეიმურაზ იპირნა თავადნი და აზნაურნი, აღიყარნენ და აღვიდნენ მთასა არაგვისასა და იწყეს მუნ მაგრებად...“[31].

ნადირ-შაჰის ვეზირის მირზა მეჰთის დაწერილ ამ ისტორიულ თხზულებაში ხაზგასმულია ალიმირზას გამეფება ქართლში სარწმუნოებისა და ძმის მაჰმადმირზას დამსახურების გამო, მიუხედავად იმისა, რომ იქვე აღნიშნულია: „ჯერ-იყო მეფობაი თეიმურაზისად“[32].

პაპუნა თავის ისტორიულ პოემაში ამ საკითხს თავისებური ლაკონურობით ასე უპასუხებს:

„მოვიდა ქალაქს ალიხან, მეფეთა ტომი გვარობით,
უბრძანა მეფეს თეიმურაზს, ეგრევე მისა ჯარობით,
ქართველთ თავდთა ყოველთა: მიდით ქალაქის კარობით,
ცოლ-შვილით იქა დადექით, მე ვიყო თქვენდა წყალობით“.

თეიმურაზსა და ქართველობის ნაწილს ეს წინადადება არ მიუღია და არც გაყოფნილბაშებული ქახთბატონიშვილის განმგებლობას შერიგებია:

„ქართლშია დაჯდა ბატონად, ალიხან იყო შვებითა,
ზოგნი მიუდგნენ ქართველნი, იყუნენ ამისა ნებითა,
ზოგნი უკუდგნენ ისევე, გამაგრდენ მაღლა მთებითა,
და ჭმალი კრეს კარგად ყიზილბაშთა, ვიყავით მათის ჭებითა“.

ასე მოკლედ მოგვითხრობს პაპუნა თეიმურაზისა და მისი მომხრე თავადების განდგომასა და გამაგრებას „მთასა არაგვისასა“.

ყარსის დამორჩილებისა და გაძარცვის შემდეგ, უთვალავი ნადავლით დატვირთული აქლემებით, თამაზ-ხანს გეზი ქართლისაკენ აუღია და დმანისზე ჩამოვლით მოსულა თბილისში:

„მობრძანდა თბილის ქალაქში, სიმაღლე მისი ვაქვთა“-ო...

გვაუწყებს პოემის ავტორი და მიუხედავად მისი, აქამდე გამომჟღავნებული სპარსული ორიენტაციისა, რაც, ცხადია, თორმეტწლიანი ოსმალური უღლით იყო გაპირობებული, ისტორიული ფაქტების აღწერისას, მაინც ყოველთვის ობიექტური რჩება. იგი არ ცდილობს ახალი ბატონების საზარელ განკარგულება-მოქმედებათა შერბილებას.

---

[31] H-2310, საქმენი, შრომანი და ღვაწლნი დიდის ხელმწიფისა ავშარელისა (თარგმნილი ღ ა ვ ი თ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ. მთარგმნელის ავტოგრაფი).

[32] დასახელებულ ნუსხაში, სხვა ხელით დაწერილ, ჩანაშატ ფურცელზე ეს ცნობა შერბილებულია და ნათქვამია, თითქოს ნადირს თეიმურაზისათვის შეეთავაზებინოს თბილისში გადმოსვლა და ალიმირზასთან ურთიერთ შეთანხმებით საქართველოს საქმეების მართვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყარსიდან ქართლისაკენ დაძრულ ნადირსა, გადმოგვცემს ისტორიკოსი:

„ვინ ახლდა ქართველთ თავადნი, ზემო ქართლისა ყოველი,
სულ გაეპარნენ, წავიდნენ, ვინ იყვნენ გზათა მპოვნელი,
ავიდნენ ხიზნით მთებშია, თქუეს თუ ყათლანსა მოველი,
და მირბოდენ მალვად ციხეთა, ვინ იყო ცხენთა მშოვნელი“.

აყრილა და გახიზნულა კახეთიც:

„წაბრძანდა მეფე თეიმურაზ, მიმართა თვისსა ფშაველთა,
ზოგნი გავიდნენ ალაზანს, თუ იშოვნიდეს ნავსათა,
იწყინა ესე თამაზხან, ბძანა: მე ვიყო ჯავრსაო“.

ირანის მპყრობელს, თბილისში შემოსვლისთანავე გაუცია განკარგულება აეყაროთ და აეოხრებინათ სოფლები, დაეწვათ და მტკრად ექცათ მცხოვრებთა სახლ-კარი.

მის ჯარს, რომელიც შედგებოდა ყიზილბაშთა, ავღანთა და ქურთთაგან, მთელი ზემო ქართლი წაუხდენია; მრავალი ტყვე წაუსხამს; განსაკუთრებით გაუნადგურებია ორი საერისთო: საციციანო და სათარხნო. იქ ჩაუყენებიათ დიდძალი ჯარი „თვალად ნასია“; ხოცდნენ ქართველებს, სტაცებდნენ ქალებსო, მოგვითხრობს პ. ორბელიანი. მათ კომლობით აუყრიათ ურუმთ სოფლების ბამბაკისა და ყაიყულის გლეხობა. ქართველებსაც მეზობელთ დასცემიან თავს:

„ვინ დაიჭირა რისხვითა, შუა ყო განახერხია“.

თამაზ-ხანს ერთი თვე დაუყვია თბილისში („დავით რექტორისეული ქრონიკონით“ (S—2515) კი — ოცი დღე: [ქ^კს] „უკე (1737) თამაზ-ხან მოვიდა ტფილისს ქალაქს, კ დღე დადგა, წაბძანდა ჭარზედ...“). მას თავდაპირველად მიმხრობია სარდალი ქაიხოსრო ორბელიანი, შემდგომ საერთოდ ორბელიანები და სომხით-საბარათიანო. ამ საკითხთან დაკავშირებით ისტორიკოსს თავისი თვალსაზრისი გააჩნია:

„ხონთქარს განუდგნენ, ყეენს ყმეს. საქმე ქნეს ამით ჭკვიანი...“

აქვე იძლევა ამ თვალსაზრისის დასაბუთებასაც:

„მორჩნენ ოხრებას, ტყვეობას, არ ნახეს ბოლო ზიანი“.

შემდგომ პ. ორბელიანი აგვიწერს თამაზ-ხანის ბრძანებით დანარჩენ საერისთოთა აკლებას, მცხეთის ზევითი სოფლების აყრას, ობლების ყლეტას, სწრაფი სიარულის ეერშემძლე ტყვეთა ხოცვას... შემდეგო, — განაგრძობს იგი:

„ვინ დარჩა, ნოქრად აღწერა, ჯარად ყო თვისად ყულია,
ქალაქს წაართვა მრავალი თეთრი გუდებით ფულია,
ვინა შესჩივლა. განაძო, არვის მოუგდო ყურია,
და ბევრნი დახოცა მოშოობით, ანაზდ წარხადნა სულია“.

ახალ დამპყრობელს არც ციხეების დანგრევა დავიწყნია:

„დააქცევინა გორს ციხე, გარემოს კიდის კიდებით,
ოაბორის ციხე თბილისსა, სულ ამოიღო მიწებით.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა ქართლის რბევა-ნგრევას მორჩენილა, იგი უთვალავი ჯარით შესევია კახეთს, იქაც არანაკლები უბედურება დაუტრიალებია:

„კახნი შეიპყრა მრავალი, მიყვედათ თავადთ გვარია,
სულ შვაბილწა საყდრები, ამით იყარა ჯავრია.“

პ. ორბელიანი თავის ისტორიულ პოემაში მოკლედ, მაგრამ საკმაოდ მძაფრ ფერებში გადმოგვცემს, როგორც „ოსმალობის“, ასევე „ყიზილბაშობის“ შედეგებს ქართლ-კახეთში. იგი ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში მომხდარი ტრაგიკული ფაქტების აღწერას სულ ერთ ან ორ სტროფს უთმობს, ზოგჯერ კი ახერხებს ერთ ტაეპში გვაგრძნობინოს დიდი ისტორიული უბედურება, დატეხილი უცხო თესლთაგან:

„რაც ტყვე წაასხა, ვითა ვთქვა, ვერ დაიტევდა ქარტები,
ერთად შეყარა ყველაი, გარს შემოარტყა დასტები,
ვაჟკაცთა დასდვეს ჯინჯილი, ქელთა შვარტყეს სალტები,
და გაგზავნეს ქვეყით სახლობით, ხორასანს წესამტები“.

კახეთიდან თამაზ-ხანი ჰარს მიხდომია. გაუძარცვავს მოსახლეობა, ბევრი ოქრო და გუდებით ვერცხლი წაურთმევია მათთვის, აუკლია და დაუმონებია შირვანი.

ჩამოთვლილი ოპერაციების ჩატარების შემდეგ თამაზ-ხანი თავის ქვეყანას დაბრუნებია.

ალიხანის ქართლში ბატონობა ქართლ-კახეთის მკვიდრთ არ მიუღიათ, მით უმეტეს, რომ პირდაპირი მემკვიდრე („თუმცა ჯერ-იყო მეფობაი თეიმურაზისად...“), მართლმადიდებელი თეიმურაზი ეგულვებოდათ. მათ ალიხანისა და ყიზილბაშების წინააღმდეგ ბრძოლა გაუჩაღებიათ. თეიმურაზიც ჩამოსულა ფშავიდან. მისი მომხრე, გახიზნული მოსახლეობაც დაბრუნებია თავთავის სოფლებს; თეიმურაზის ირგვლივ შემოკრებილა თავკაცობა.

პ. ორბელიანის პოემაში ამბავთა განვითარების თანმიმდევრობა დაცულია. ჰარიდან უკუქცეული თამაზ-ხანი მუღანში მისულა და იქ დაუდგამს შაჰის გვირგვინი:

„ყაენად დაჯდა თამაზხან, მუღანში იყო ყრილობა,
ვინ მიყვა მისა ნებასა, უბძანა თვისი შვილობა,
ჯიღა დაირჯო თავშია, ქვეშა ყო მონაჩრდილობა,
და ქვეშა უშლიდენ სტავრასა, არ ქონდათ ცუდი ჭილობა“.

გაღატაკებული ქვეყნის თანამედროვე ისტორიკოსი არ ფარავს ნადირშაჰისა და მისი ქვეყნის ეკონომიურ კეთილდღეობას:

„ვითა ვთქვა მისი სიმღერე, მდიდარი ქელმწიფობანი,
ლაშქართ სიმრავლე, სიკეთე, ჭმა მაღალ სვიანობანი,
და ჯარით, სიუხვით სავსება, ყოვლადვე იაფობანი“.

თამაზ-ხანის ყაენად კურთხევა მომხდარა 1736 წელს:

„ქ~კს **უკდ** თამაზ-ხან წაბძანდა მუღანში და იქ იქმნა ერანის ქელმწი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფედ, დაიდგა თავსა გჳრგჳნი და დაირჭო საჴელმწიფო ჯიღა მარტის იბ“[33].

შდრ. პაპუნას სალექსო სტრიქონს:

„ჯიღა დაირჭო თავშია, ქვეშა ყო მონაჩრდილობა“.

თუ ერთი ქრონიკის ცნობასაც გავიხსენებთ, დართულს ლიტურგიკულ კრებულზე[34], რომელიც ქართველ მეფეთა გენეალოგიაშიც არის ასახული, კახეთის მეფის იმამყული-ხანის ძე ალექსანდრე 1736 წელს მეფეა ქართლში. პ. ორბელიანი მას მეფეს არ უწოდებს. ვახტანგ VI შემდეგ 20 წლის განმავლობაში, თეიმურაზ II-ის მეფედ კურთხევამდე, ქართლს მეფე არ ჰყოლია. პაპუნას პოემის მიხედვით თამაზ-ხანმა ყარსიდან თბილისში გამომგზავრებამდე, ქართლის გამგებლად, ხანად დაადგინა ალიმირზა, იგივე ალიხანი. ეს კი, როგორც ზემოთაც ითქვა, მოხდა 1736 წელს.

ამავე 1736 წელს გახელმწიფებულ ნადირ-შაჰს კვლავ უხმია ქართლ-კახელნი თავისთან მუღანში. კვლავ მათი გულის მოგებაზე ზრუნვას შედგომია, დაუსაჩუქრებია ისინი, სხვებისაგან გამორჩეულად კი — ქაიხოსრო ორბელიანი:

„სარდალსა ორბელიანსა წყალობა უყო მეტობით,
უბრძანა: მოგსრავ რისხვითა, ვინა არ ნებით მეყმობით“.

ალექსანდრე — ალიხანი ქართლიდან კახეთში დაუბრუნებია, ხოლო ქართლის მმართველობა სეფი-ხანისთვის ჩაუბარებია:

„სეფიხან კარგი სარდალი, რომ იყო კაცი მდიდრობით.
მას დასდვა საქმე ქართლისა, მონებდენ ყუელა შიშობით...
კახეთი, თვისი სამკვიდრო, უბოძა კახთა მეფესა,
ალიხან-ალექსანდრესა უხარჯოთ დაანებესა“.

გაცემულ წყალობას ყოველთვის თანსდევდა მოთხოვნა-დავალებანი:

„ნოქარი სთხოვა რჩეული, არ გავდა მონაკრეფესა,
და არ იჯდა მეფე ქართლშია, ვინ ნახის ლხინი სეფესა“.

პოემის დასასრულს, ისტორიკოსი გულისტკივილს გამოთქვამს იმის გამო, რომ ქართლი უმეფოდ იყო დარჩენილი და ლხინი შეწყვეტილი.

ამრიგად, პაპუნა ორბელიანს, ვიდრე იგი „ამბავნი ქართლისანის“ წერას შეუდგებოდა, შეუქმნია ისტორიული პოემა „შემჭირვებანი ქართლისანი“, რომელშიაც მხატვრულად გადმოუცია „ოსმალობა“ ქართლში და „ყიზილბაშობის“ ხანა 1736 წლის ჩათვლით.

აქამდე [illegible] პ. ორბელიანის ისტორიული პოემა ავსებს მისსავე ისტორიულ თხზულებას, წინა პერიოდის ასახვით.

ვფიქრობთ, იგი გარკვეულ ადგილს დაიჭერს სხვა ისტორიულ წყაროთა შორის.

ქვემოთ ვაქვეყნებთ ტექსტს[35].

---

[33] «დავით რექტორისეული ქორონიკონი», ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (S კოლექ.) IV, 1965, № 2515; თ ე დ ო ყ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, III, გვ. 617.

[34] S—4615. ამ ნუსხაში შეტანილი ქრონიკები დაიბეჭდა S კოლექციის აღწერილობის VI ტომში.

[35] პ. ორბელიანის ისტორიულ პოემებს («შემჭირვებანი ქართლისანი», «ქებანი მეფეთანი», «მეფის ერეკლეს ქებანი», «მეფის სახლის ქება», და სხვ.) კომენტარებითა და ლექსიკონით ვამზადებთ გამოსაცემად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

«შეჰირვებანი ქართლისანი»

მინდა მოთხრობა ანბისა, ქართლისა შეჭირვებანი,
ვითარ ჰქონიათ პირველით ლხინი და მარად შვებანი,
მეფეთა ფლობა ქვეყნისა, ყმათაგან კრძალულებანი,
და ბოლოს დაჯაბნა მტერთაგან, ქვეყნისა მოოხრებანი.

მეფენი მსხდარან ქართლშია ბაგრატიონთა ტომები,
[3]ქონიათ მრავლად სიუხვე, სხვათაგან მოსაწონები,
ლაშქართ სიმრავლე, სიდიდე, ვის ეძლო მათი ომები,
და სიბრძნე, სიმართლე, სიმაღლე მეფეთა მოსანდომები.

თავდთა გვარნი მაღალნი, ეერა ვთქვა მართლად ქებანი,
მდიდარნი ფრიად საფასით, [3]ქონიათ მარად შვებანი,
ერთგულნი თვისთა პატრონთა, დართვიათ მათგან ნებანი,
და ზნეობა სრულნი, ლომ-გულნი, შვენოდისთ ცხენოსნობანი.

მამულ ვრცელ ყმათა ურიცხვნი, ხოსტანგით მრავლობიანნი,
სახელგანთქმულნი ყოველგან, ქცევა ჰქონიათ ჯკუანნი,
ლხინ-შემ[ა]ქცევნი სტუმართა, სიუხვით საჩუქრიანნი,
და წყალობა უშურველობით არა სცოდნიათ გვიანნი.

ეს პატრონ-ყმანი ყოფილან ქებითა ქართლში მკვიდრობით,
მძებნელნი ოცისთა სახელთა, თვისისა კლდეების მინდობით,
მრჩეველნი კარგად საქმისა, ჰქონიათ სიბრძნე მდიდრობით,
და სიმდაბლის მსურნი მოწყალენი, არა მქცეველნი დიდობით.

ქვეყანა ჰქონდათ ცოტაი, მარა ყოვლ[ი] გზის საქები:
ბარის ალაგი შემკული, აგრეც[1] მოხდომით მათ მთები,
წყლები რიგ-რიგად მომდინნი, კარგი და სტომაქით[2] მარგები,
და თევზსა იქერდნენ[3] ბეე[რ]რიგთა, ვის ქონან მაზარ[4]-ბადები.

ქართლში რომ მსხდარან მარადის მეფენი დიდნი ვალობით,
დიდების მქონნი სვიანნი, ჯარი ყოლიათ მრავლობით,
დროშანი ოთხნი სარდლებით, მონებდენ განაკრძალობით,
და ჯართ უბოძიან სიუხვით, მათ აღავსიან წყალობით.

---

[1] დედანშია: «აგრევე». 2 «სტომაქთ». 3 «დაიჭერთ». 4 «მაზარა».

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამირ-სპასალრად ყოფილან ორბელიანთა გვარია,
თორმეტთასნი ვაჟკაცნი მუდამ ყოლიათ ჯარია,
საბარათშვილო, სომხითი და მათი მთა და ბარია,
და გამზადებულნი საომრად, მტერთა დასციან ზარია.

სამნი სხვა იყუნენ სარდალნი, ქართლისა ჯართა თავები,
მზნე, ახოვანნი, ლომგულნი, არ იყუნენ კაცნი ავები,
მტერთ როს ნახიან ესენი, პირი შეექნისთ შავები,
და გადრკიან გასაქცეველად, იტყვიან[5]: აღარ შავები.

ქვეყანა ჰქონდათ შემკული, კარგი და მოსაწონები,
მშვენიერი და ლამაზი, ალმასის ასაწონები,
თავადნი, აზნაურები მრავლის საქონლის მქონები,
და აწცა ჩავცივდით ურვასა, მათ რაღათ მოვიგონები.

* * *

ქართლში რომ იჯდა პატრონად ვახტანგ მაღალი მეფობით,
მოვლენილი და მორჭმული, ქვეყანა ჰქონდა შენობით,
ლხინ-მოყუარული, გამცემი, როს დაჯდის გასცის სეფობით,
და ქართველნი შიშით მონებდენ, რომ იყუნენ მისის ნებობით.

ეს მეფე, ქართლთა მპყრობელი, მოტყუვდა ცუდის საქმითა,
ურჩივეს ვეყმოთ ხონთქარსა, მივსცეთ, ავავსოთ ქრთამითა,
დავიპყრათ ადრიბეჟანი, იქ დაჯექ პყრობად სკამითა,
და ნუღარ ვეყმობით უაენსა, ნუღარც რას მივსცემთ დრამითა.

გაგზავნეს კაცი მისანდო აზრუმის ქალაქს ამბობად,
არზი მისწერეს სარასკარს: იყუენით ჩვენდა დანდობად,
მოდით, გვაყმევით ხონთქარსა, ჩვენ ვიყუნეთ მისსა ბანდობად,
და დაგაჭერინებთ ერანსა, ჩვენ გვყავით წინა სარდლობად.

იამა დიდათ სარასკარს, შეუყარა ურუმთ ჯარები,
წარმოემართა ქართლზედა, აღივსო მთა და ბარები,
წინ მიეგებნენ ქართველნი, შიშითა ფერ-ნამკრთალები,
და თვის ნებად იქნეს ქართლზედა, მეფემან შექმნა ჯაერები.

ძე იყო მეფეთ-მეფისა, სახელად ბაქარ დებული,
ქართლშია იჯდა პატრონად, ილხენდა მარად შვებული.
ეს მიეგება ურუმთა, მამისგან დავედრებული,
და იასეც, ბიძა ამისი, ამასთან მოვლინებული.

მოვიდნენ ქართლში ურუმნი, სარასკარი და ფაშები,
სიმდიდრით სრულნი, ჯარითურთ, წინ მიუძღოდათ რაშები,
დაიპყრეს თბილის ქალაქი ციხით და გარეთ კარ შები,
და დაგვიპყრეს, დაგვჩაგრ[6]-გვიჭირეს, ვიქმენით ცუდი ნაშები.

---

[5] დედანშია: «იტყოდიან».
[6] დედანშია «დაგვჩაგრეს».

ფაშები დასხდნენ ბატონად ბაგრატიონთა ტახტზედა,
ეს ვეღარ გასძლო მეფემან, ქელი აიღო ქართლზედა,
წაბძანდა ვახტანგ მეფეი [ს]წრაფ გადიარა მთაზედა,
და მიმართა რუსსა ქელმწიფეს, ისწრაფდა მისკლას კარზედა.

თან გაყვნენ ბაქარ, გიორგი, ორიეე მისი ძენია,
ქართველთ თავადნი ცოლ-შვილით, ვინ იყუნენ თავ ნაჩენია,
ქელმწიფემ მისცა პატივი, არავის მოუწყენია.
და ეს რომ შეიტყუეს ურუმთა, უფრო მოგვეზნეს გენია.

ძმას აღარ გაყუა იასე, ქალაქში დადგა მეფობით,
მიიქცა ოსმანთ რჯულ-ზედა, ეგონა დავსჯდე სეფობით,
აღარ აუფლეს ურუმთა, აღარც მიუშვეს ნებობით,
და ელოდა ქართლის შოვნასა, რჩებოდ[ა] თვისის კერჯობით.

ისიც აღსრულდა, ქალაქში დამარხეს თათართ წესითა,
ხუთი ძე დარჩა ოთხს ცოლთან, თეთრი გაიყუეს ქესითა,
დამკვიდრდენ უფრო თათარნი, ვიყავით მარად კუნესითა,
და [ვ]მუშაკობდით და ვშვრებოდით, ვრჩებოდით ხვნა და თესვითა.

თავადთ სოფლები გაიყუეს, ვინც ახლდათ აღა ბეგია,
ფაშამ უბრძანა დაპყრობა, ვინა ჰყუა კარზე მდეგია,
სულ აღგვიწერეს ქვეყანა, ვენაკი, ბაღთა ნერგია,
და ზედ დასდვეს ხარკი სახვანთქრო, ვინ წინა აღუდეგია.

იბრეიმ ფაშა ქართლშია მოვიდა ჯარის მრაწლობით,
ხონთქარს ებძანა გამოცლა, განჯას წავიდა მალობით,
დიარბექირის ფაშაი მოვიდა ქართლში მალობით,
და სარასკრად ადრიბეჟანზე რომელს ეძახდენ სარდლობით.

რაჯა-ფაშაი მრისხანე რომ დაჯდა ქართლში მპყრობელად,
ხვანთქრის ვეზირი უშიში, ამაყად ჰყრობად, მფლობელად,
ვინა შეხედის შეშინდის, ვინ იყვის მისანდობელად,
და სისხლი დასთხია ქართველთა, იყო სჯულის[ა] მგმობელად.

დომენტი კათალიკოზი ღირსი და სჯულის თავია,
ამან გაგზავნა ხონთქართან, გარს შემოხვევა ჯარია:
„ძმა არის მეფის ვახტანგის, თქვენზე ქმნა საქმე ავია“,
და გაგზავნეს ზღვისა კუნწულში, მას მისცეს ერთი ნავია.

ეს ფაშაც ქართლით გავდევნეს, ერევნის დასაჭერადა,
სარ-მუსტაფ-ფაშა სარასკრად რომ იყო კაცი ბერადა,
ციხე აიღო ლორისა, ჯარის ცხენს მისცა ჭერადა,
და ჩავიდა, განჯაც დაიპყრა, ყიზილბაშთ დააჯერადა.

ქართლში ბატონად მოვიდა ახალ-ციხის[ა] მპყრობელი,
ისაყ-ფაშაა ვეზირი ხონთქრის[ს] მისანდობელი,
ტკბილი, წყნარი და მდაბალი, ნელიად ამომჭმობელი,
და სჯულს გარდა კარგად საქები, არ იყო დასაგმობელი.

ებოძა ხონთქარს ყაფუჩი, ფაშაზე განრისხებული:
მოსჭერით თავი, მომართვით, ჩემს წინა მოვლინებული.
რა რომ შეიტყო ფაშამა, შეიქნა შეშვერებული,
და კარი დალეწნა ქალაქის, გაიქცა გამახვებული.

თან წაიყუანა დაჭერით ხონთქრისა იასაული,
ალი-ფაშაა ერევანს სარასკრად განყენებული,
მას შეეხვეწა: მიშველე, აწ შენ ჩამიდგი ეს სული,
და მან იპატივა ხონთქრისგან, შეიქნა განთვისებული...[7]

...განმრავლდა ქართლში ტყვის სყიდვა, ქალ-ყმა მიჰყუანდათ ბევრია,
არა სწუნობდენ ბერს კაცსა[ც], წამს მოპარსვიან წვერია,
შეაბილწიან სახლები, სად იყვის ღვინის ქვევრია,
და სცემდენ, ათრევდენ ქართველთა, შიშით ეცვალისთ ფერია,

ვით მოითვლების მათგანა, ვითა ყუეს ქართლზე ავია,
სულ შეაბილწეს საყდრები, ზედ მოაქცევეს თავია,
ხონთქრის ქვეყნითა მოვიდნენ სულ ეენგიჩარ შავია,
და აღივსო ქართლის ქვეყანა, ზედ დაგდევეს დიდი ზ[ვ]ავია.

ბევრს ათათრებდენ ქართველთა, იხმარეს ჩვენზე ძალები,
შვილებს გვართმეუდენ ყულათა, ცოლად დაისხეს ქალები,
თეთრს გვთხოვდენ ბევრსა ქესებით, თითონ მოგვციან ვალები,
და ცოლ-ქმართ კიდებდენ, სცემდიან, ცრემლით აღევსით თვალები.

გამოჩნდა კაცი ერანში, უცხო და საკვირველია,
მიუდრეკელი ლომგული, არ ქონდა სიმჭნე ნელია,
მალ შეაგროვა ჯარები, სულ მოელო მთა და ველია,
და ცდილობდა ურუმთ გაყრასა, ის გვექმნა მონაშველია.

მან დაიჭირა ყაენი, ახოცა მისი ძეობა,
სულ ამოწუყიტა შაჰზადა, აღარ [3]ყო ქალთა ძეობა.
ვინ ყიზილბაშნი არ მიყუნენ, მათი [3]ყო განაძეობა,
და ხორასნით იყო მემკვიდრე, აღევსო მათი ხეობა.

პირველ მივიდა თამაზ-ხან ქვეყანას ბაღდადისასა,
ზაფხულის ქამსა სიცხეში, ჩ[რ]დილსა ვერ ნახავს ხისასა,
იქ დახვდა ოსმან-ფაშაჲ, ჯარს ებრძვის სარასკრისასა,
და თეთრს[ა] ბევრს მისცემს ენგიჩართ, ჭელსა გაიკრავს ქისასა.

[7] ტექსტს აკლია.

შემოუტიეს ურუმთა[8], მოადგნენ თამაზხანზედა.
გამოაქცევ[ეს][9], გაწყვიტეს, ურუმნი სჯობან ცხენზედა,
ყიზილბაშთ ლაშქარს ფრინველნი ეხვივნენ მათსა ლეშზედა,
და ჩავა თამაზხან ამადანს, ოეთრს გასცემს ბევრსა ჯარზედა.

ორმოცსა დღეზე შეყარა ისევე ჯარი ბევრობით,
მივიდა ბაღდადს, მიუხდა, სარა[ს]კარს ექმნა მტერობით,
ს[რ]ულად გაწყვიტნა ურუმნი, აღარა ექმნა ფერობით,
და სარასკარი და ფაშები გახადა განმტვერობით.

უწინ ეს იყო დაბალი, რომ ერქვა ნადირ-ყულია,
ყაჯრისა მონათესავე, მეპარტაკისა წულია,
მერე დაირქვა თამაზხან, ყმანი ყვა განრძალულია,
და ვისა გაუწყრის, რისხვა ყვის, წამს ამოხადის სულია.

მან შეიყარა ჯარები, აღმართა ალამ-დროშები,
ყათლამი უყო ურუმთა, მორბოდენ ზევით ფაშები,
სულ გამოშორდენ ერანსა, შიშით დაუსჭდათ ლაშები,
და ურუმთ იქ დარჩათ აზუღა, არ ქონდათ მოსახარშები.

მოადგა განჯას, აიღო, ის იყო თამაზხანია,
ბევრი დაჭოცნა ურუმნი, მით დაყო მცირე ხანია,
განდევნა ფაშა მშვიდობით, არა ქნა დასანანია,
და შური ვიძიეთ ურუმზე, გულისა მოსაფხანია.

უკუ დგნენ ქართველთ თავადნი, სულა ქნეს ერთი პირია,
ჭმალი ვკრათ ურუმთ, უმტეროთ, ჩვენზე ყუეს ბევრი ჭირია,
დასტაცეს ურუმთ ხვატანგი, აღარ დაუგდეს ვირია,
და შიგ დაამწყვდიეს თბილისში[10], ბრძოლა ყუეს ქართველთ ხშირია.

დიდი სარდალი ქართლისა ქაზოსრო ორბელიანი,
სახელოვანი სპასპეტი, ყმა-მრავალ მამულიანი,
სულ შეიყარა სომხითი, ერთობით ბარათიანი,
და ჭმალი ჰკრა ურუმთ ძლიერი, საქმე ქნა სახელიანი.

ამილახორი ჯარითა, სახელით იყო გივი და,
გორს იყო ურუმთ ყრილობა, ესეც რომ იქა მივიდა,
ციხე აიღო გორისა, ურუმნი შიგან ყივიდა,
და გარს გამოყარა აღები, ციხეში თითონ შევიდა.

თამაზხანს ქართლში ებოძა თვის მახლობელი ჯარია,
ხანჯანხან სარდლად დროშითა, ორბელიანთა გვარია,
მოვიდა, დადგა მცხეთასა, ქართველნი ჯართან გარია,
და მოართვეს ქართველთ ურუმნი. შეეპყრათ ვითა ვარია.

---

[8] დედანშია «ურუმთა+ზედა.
[9] «გამოაქცევა».
[10] დედანშია „თბილ+ზში“

შემო[ი]ყარნენ ქართველნი, ვინ იყუნენ მთა და ბარებით,
სარდლები, ერისთავები, ყველანი თავის ჯარებით,
მორჩილობდენ და მონებდენ, სულ იყუნენ მისის ბძანებით,
და კოცდენ მარადის ურუმთა, ველარ ომობდენ ფარებით.

თბილის ქალაქსა რომ იჯდა ისაყ-ფაშა და ალები,
კარს უდგნენ მარად ქართველნი, აღარ აჩვენეს ბაღები,
თორმეტს წელს იყუნენ ქართლშია, გულზე ჩვენ დაგვსვეს დაღები,
და მაგიერი[11] სისხლი ვადინეთ პირიდამ ამონაღები.

შემოეხვეწნენ ხანჯანხანს: აქით გაგვიშვით მშვიდობით,
წავიდეთ, ვლოცოთ თამაზხან, ჩვენ ვიყუნეთ თქვენდა მინდობით.
სულ განუტევეს ქალაქით, არ მოაქციევს დიდობით,
და ურუმებზე დასხდენ, წავიდნენ, გზაზე არ იყუნენ შიშობით.

ხანჯანხან დაჯდა ქალაქში, ვაქკაცად დიდად ქებული,
ქართველთ თავადნი გაიწყო, მით იყო მასთან შვებული,
ურუმნი განწმედენ ქართლითგან, არზა ყუეს მიელინებული,
და თამაზხანს დიდათ იამა, არ იყო განრისხებული.

ქართველთ ხალათი უბოძა, ინამათ თეთრი ბევრია,
მდიდარი იყო თამაზხან, ჯარი ჰყუა ვითა ტევრია,
ლომ-გული, კარგი ვაქკაცი, არ იყო კაცი ბერია,
და ახოვანი და ტან-სრული, შავად შეშვენდა წვერია.

სულ დაიმონა ერანი, ყაენს [ჰ]ქონდა ძველადა,
უყო ყათლამი ურუმთა, ქძალი მას [ჰ]ქონდა სველადა,
გასცას უზომო ჯარზედა, ლხინად რომ დაჯდის მღერადა,
და ემზადებოდა ურუმზე, სტანბოლის დასაშერადა.

ყარსის ქუეყანას მიედა თამაზხან დიდად ქებული,
ერანის ჯარი თან ახლდა სიმდიდრით ამაღლებული,
ხონთკრის სარასკარს შეება, რისხვა [ჰ]ყო მიელინებული,
და წამს დასცა ურუმთ სიმრავლე, ეჩვენა განრისხებული.

იქ ამოწყვიტნა ურუმნი და მათი სარასკარია,
იქერდენ ბევრს [ი]ენგიჩართ, ვითა შეეპყრათ ვარია,
აღავსეს კაცის მძოვრითა ყარსისა მთა და ბარია,
და სულ დაწვეს მათი ნაცარცევი, არცა ინდომეს მჭვარია.

იქ დაიბარა ქართველნი და კახნი, ყუელა სრულობით,
ნახა და ყუელას პატივ სცა, არ იყო დანასულობით,
კახ ბატონის ძეს ალმარხას, რომ იყო მისის რჯულობით,
და მას მისცა ქართლი, კახეთი, ფბძანა: იყავ ვალობით.

[11] დედანშია «მაგიერი».

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართლი რომ მისცა ალიხანს, კახის ბატონის ძესა და.
უბძანა: მომეც ამ ქვეყნით, რაც ჩვენის დავთრით სძესა და,
ახალი საქმე განვსაზღვრეთ, აღარა ვკერვართ ძველსადა,
და ხარჯი დაადეა ქართლს ძალით სოფელთა, ტყეთა, ველსადა.

მოვიდა ქალაქს ალიხან, მეფეთა ტომი გვარობით,
უბძანა მეფეს თეიმურაზს, ეგრევე მისა ჯარობით,
ქართველთ თავადთა ყოველთა: მიდით ქალაქის კარობით,
და ცოლ-შვილით იქა დადექით, მე ვიყო თქვენდა წყალობით.

წარმოემართა თამაზხან ყარსისა ქვეყნით აქეთა,
მოჭონდა ურუმთ ხაზინა, ეკიდა მრავალს აქლემთა.
ჩამოიარა დმანი[ს]ზე, ქვეყანა ნახა ქართველთა,
და მობძანდა თბილის ქალაქში, სიმაღლე მისი ვაქეთა.

ვინ ახლდა ქართველთ თავადნი, ზემო ქართლისა ყოველი,
სულ გაეპარნენ, წავიდნენ ვინ იყვნენ გზათა მპოვ[ნ]ელი,
აივდნენ ხიზნით მთებშია, თქუეს: თუ ყათლამსა მოველი,
და მირბოდენ მალად ციხეთა, ვინ იყო ცხენთა მშოველი.

სულ აიყარა კახეთი, იქ მიელოდენ ჯარსაო,
წაბძანდა მეფე თეიმურაზ, მიმართა თვისსა ფშავსაო,
ზოგნი გავიდნენ ალაზანს, თუ იშოვნიდენ ნავსაო.
და იწყინა ესე თამაზხან, ბ[რ]ძანა: მე ვიყრი ჯავრსაო.

ქართლს გაუსივა ჯარები, ვინა აღრიცხოს ბევრობით:
აყარეთ ყოველი სოფელი, თქვენ მოექცენით მტერობით.
წავიდ[ნ]ენ სადმე, მიყევით, უკან ექმენით მდევრობით,
და დაწვით[12] სახლ-კარით, აოკრეთ, გაჭადეთ განამტევრობით.

ყიზილბაშნი და ავღანი, ჭურთები თვალად ნასია.
წავიდნენ მათნი დასტები, არ ეცვათ ტანთა ფლასია.
მთლიე ზემო ქართლი წარტყუენეს, მოყუანდათ ტყვეთა დასია,
და საციციანოს[13], სათარხნოს ჩაუდგა ბევრ ათასია.

ორის ერისთვის ქვეყნები სულ ა[ა]ოხრეს ძეტათა,
მოყუანდათ ტყვენი ურიცხვნი, იყუნენ საქონლის ხვეტათა,
ჯოცდენ მრავალთა ქართველთა, იყვნა დაჭრილი რეტათა,
და მიყავდათ ქალნი ყიზილბაშთ. გახადნეს ქრმები ჴვრეტათა.

კომლობით ბევრი აჰყარა ურუმთ ქვეყნების გლეხია,
ყაიყული და ბანბაკი, ქართველთაც უყო ხერხია.
ჯარი და[ა]სხა იდუმალ, ვითა დაეცეს მეხია,
და ვინ დაიჭირა, რისხვითა შუა [ჰ]ყო განახერხია.

დაჯდა თამაზხან ქალაქში, მაღლა, საჩენად ტახტზედა,
არ დაუძახის, ვინ ნახის, ვინ მოვა მისსა კარზედა,

---

[12] დედანშია «წკით». [13] «საციციანოს + და».

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვის ხახვა ბძანის, შეშინდის, ქელი აიღის თავზედა,
და წყალობა უყო სარდალსა, დიბა ჩააცვა ტანზედა.

მოუდგნენ ყმობით ყველანი, ერთობით ორბელიანნი,
ხონთქარს განუდგნენ, ყე[ე]ნს ყმეს, საქმე ქნეს ამით ჰკეიანი.
სომხითი, ამათ თან მოყვნენ ალგეთის ბარათიანი.
და მორჩნენ ოხრებას, ტყეობას, არ ნახეს ბოლო ზიანი.

64 მცხეთას ზევითი ქვეყანა, სულა აყარა სოფლები,
აზნაურთ[ა] და გლეხთ სახლნი, არსად გაუშვეს ობლები,
მოყუანდათ ჩქარა ქვეითნი, მკერეს ჩასდიოდათ ოფლები,
და ვინა დავარდის, ჯოცდიან, არ ყეიან მიწას ნაფლები.

65 ვინ დარჩა, ნოქრად აღწერა, ჯარად [ჰ]ყო თვისად ყულია,
ქალაქს წაართვა მრავალი თეთრი, გუდებით ფლურია,
ვინა შესჩივლა, განაძო, არვის მიუგდო ყურია,
და ბევრი დახოცა მოშთობით, ანაზდ წარხდნა სულია.

66 ერთი თვე იყო ქალაქში ამ ჯარებით და დიდებით,
იყვნენ ქართველნი ურვილნი, მარადის დიდის შიშებით,
დააქცევინა გორს ციხე, გარემოს კიდის კიდებით,
და თაბორის ციხე თბილის[ს]ა, სულ ამოიღო მიწებით.

გავიდა, კახეთს ჩაუდგა ეს უთვალავი ჯარია,
თამაზხან, თვითან ძლიერი, ვინ ყუანდა ამას დარია,
კახნი შეიპყრა მრავალი, მიყვანდათ თავადთ გვარია,
და სულ შეაბილწა საყდრები, ამით იყარა ჯავრია.

რაც ტყვე წაასხა ვითა ვთქვა, ვერ დაიტევდა ქარტები.
ერთად შეყარა ყველაი, გარს შემოხვია დასტები,
ვაჭკაცთა დასდვეს ჯინჯილი, ქელთა შეარტყეს სალტები,
და გაგზავნა ქვევით სახლობით, ხორასანს შესამატები.

თითონ წაკიდა ჭარზედა, მათ მოუკიდა ცეცხლია,
ფლური და ოქრო მრავალი, გუდებით ართო ვერცხლია,
სულ დაიმონა შირვანი, ფარჩა მოართვეს ნახლია,
და მიუხდა რისხვით თათარხანს, ბევრთა აუკლო სახლია.

ქართლშია დაჯდა ბატონად, ალიხან იყო შვებითა.
ზოგნი მიუდგნენ ქართველნი, იყუნენ ამისა ნებითა,
ზოგნი უკუდგნენ ისევე, გამაგრდენ მაღლა მთებითა,
და ჭმალი კრეს კარგად ყიზილბაშთ, ვიყავით მათის ქებითა.

ფშავით მობძანდა კახეთში ვინ იყო მათი მპყრობელი,
მეფე თეიმურაზ ქველთვე იყო კახეთის მფლობელი,
შემოეხვეწნენ თავადნი, ვინც ყუანდათ მისანდობელი,
და მივიდნენ ისევ სოფლებთა, ვინ იყო წინა მსწრობელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყაენად დაჯდა თამაზხან, მუღანში იყო ყრილობა,
ვინ მიყვა მისა ნებასა, უბძანა თვისი შვილობა,
ჯილა დაირჭო თავშია, ქვეშა [3]ყო მონაჩრდილობა.
და ქვეშა უშლიდენ სტავრასა, არ [3]ქონდათ ცუდი ჭილობა.

ვითა ვთქვა მისი სიმაღლე, მდიდარი კელმწიფობანი,
ლაშქართ სიმრავლე, სიკეთე, კაპაღალ სვიანობანი.
კაც-ცხენით სრულად მართვითა, ანუ კარავთა მკობანი,
და ჯარით, სიუხვით სავსება, ყოვლადვე იაფობანი.

იქ დაიბარა ყოველნი ქართველნი, კახნი ერთობით,
დამოსა ყუელა დიდებით, თეთრი უბოძა ბევრობით,
სარდალსა ორბელიანსა წყალობა უყო მეტობით,
და უბძანა: მოგსრავ რისსეითა, ვინა არ ნებით მეყმობით.

სეფიხან კარგი სარდალი, რომ იყო კაცი მდიდრობით,
მას დასდვა საქმე ქართლისა, მონებდენ ყუელა შიშობით,
ქართლშივე გამოისტუმრა ქართველნი, კახნი ყრილობით.
და ბევრჯელ სრა ლეკნი სეფიხან, სისხლი ადინა მილობით.

კახეთი, თვისა სამკვიდრო, უბოძა კახთა მეფესა,
ალიხან ალექსანდრესა უხარჯოთ დაანებესა,
ნოქარი სთხოვა რჩეული, არ გვანდა მონაკრეფესა,
და არ იჯდა მეფე ქართლშია, ვინ ნახის ლხინი სეფესა.

Л. И. КУТАТЕЛАДЗЕ

НЕИЗВЕСТНАЯ ИСТОРИЧЕСКАЯ ПОЭМА ПАПУНЫ ОРБЕЛИАНИ «БЕДСТВИЯ КАРТЛИ»

(Резюме)

Папуна Орбелиани, автор известного исторического сочинения «История Картли», оставил и поэтическое наследие (рук. А-1166), из которого особенное внимание привлекает неизвестная историческая поэма «Бедствия Картли». Она содержит 76 строф и внесена в названный сборник без заглавия. В поэме описаны события периода 1722—1736 гг., предшествующие тем, о которых автор рассказывает в своем вышеназванном историческом сочинении.

Политическое и экономическое положение страны в поэме оценено объективностью, свойственной Папуне Орбелиани. Данные поэмы уточняют даты некоторых исторических событий.

К исследованию прилагается текст поэмы.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაია რაფავა

საიათნოვას ქართული ლექსები

(ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდების მიხედვით)

ქართული პოეზიის ისტორიაში საიათნოვას შემოქმედებას მეტად ღირდი და საპატიო ადგილი უჭირავს. მისი პოეტური მემკვიდრეობა, ქართულ ენაზე დაწერილი ლექსები, კარგა ხანია ქართული ლიტერატურის ისტორიკოსების მიერ შესწავლილია და სათანადოდ არის დაფასებული*.

სხვადასხვა დროს სხვადასხვა პირთა მიერ გამოქვეყნდა საიათნოვას 32 ლექსი. მათი უმრავლესობა აღებულია იმ ხელნაწერებიდან, რომლებიც ამჟამად დაცულია კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში. საიათნოვას პოეზიის შესახებ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაში გათვალისწინებულია ეს ხელნაწერები.

მაგრამ, როგორც ხელნაწერთა კრებულების გულდასმითმა შესწავლამ გამოარკვია, საიათნოვას ყველა ქართული ლექსი გამოვლენილი არ ყოფილა.

საკითხი ეხება არა მხოლოდ უცნობ ლექსებს, რომელთა ავტორად საიათნოვა ჩანს და რომელნიც აქამდე არ ყოფილა გამოქვეყნებული, არამედ იმ გამოუქვეყნებელ ლექსებსაც, რომლებიც გვხვდება ხელნაწერებში და რომელთა ვარიანტები დღემდე სამეცნიერო ლიტერატურაში არ ყოფილა გათვალისწინებული.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში თავმოყრილი ხელნაწერები პოეტური ნაწარმოებთა უნიკალურ და უაღრესად მნიშვნელოვან კრებულებს მოიცავენ. აქ მრავალრიცხოვნად არის წარმოდგენილი სხვადასხვა ავტორთა ლექსები, განსაკუთრებით მუხამბაზური პოეზიის ნიმუშები. ზოგიერთი კრებული ისეთი ცნობილი კოლექციებიდან არის, როგორიცაა: თეიმურაზ ბატონიშვილის, დავით რექტორის, იოანე ბატონიშვილისა და სხვ., მაგრამ ზოგს კრებულის სახეც აღარა აქვს: შემორჩენილია მხოლოდ რამდენიმე ფურცლის ნაშთი. მიუხედავად ამისა, ეს ფრაგმენტები ფრიად ფასეულია.

---

* ი. გრიშაშვილი, საათნოვა, 1918; გ. ლეონიძე, მგოსანი საათნავა, 1930; ლ. მელქისეთ-ბეგი, საიათნოვა, 1930; კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბილისი; А. Барамидзе, Саят-Нова по грузинским источникам, Известия АН Арм. ССР, 1946, № 1; მ. ჩიქოვანი, ფოლკლორული ეტიუდები, ა. ს. პუშკინის სახ. თბილისის სახელმწ. პედაგ. ინსტიტუტის შრომები, 1949, № 6.

საიათნოვას ქართული ლექსები მოიპოვება შემდეგ ხელნაწერებში:

1. S (ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების) ფონდის №№ 1543, 1576, 2385, 3686, 3723, 5190, 5374.

2. H (ყოფილი საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების) ფონდის №№ 935, 1127, 1926, 1969, 1999, 2130.

3. A (ყოფილი საეკლესიო მუზეუმის) ფონდის №№ 523, 656, 1384, 1683.

S ფონდის ყველა დასახელებული ხელნაწერი და H—2130 ცნობილია მკვლევართათვის, ხოლო დანარჩენი ხელნაწერების მასალა ჯერ შესწავლილი არ არის.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ქართული ლექსების გვერდით, ამ ხელნაწერებში დაცულია ქართული ტრანსკრიპციით დაწერილი საიათნოვას სომხური ლექსებიც, რომლებიც გამოქვეყნებულ ტექსტებთან შედარებით რედაქციულ სხვაობებს იძლევა.

ინსტიტუტის ფონდებში ჩვენ მივაკვლიეთ და გამოვაქვეყნეთ ერთი უცნობი სომხური ლექსი, რომლის ავტორადაც მივიჩნიეთ საიათნოვა*. საიათნოვას ავტორობა გაზიარებულ იქნა სპეციალისტთა მიერ**.

ხელნაწერებში შემონახულ ქართულ ლექსთა შორის აღმოჩნდა ერთი ლექსი, რომელიც საიათნოვას დღესდღეობით გამოქვეყნებულ ლექსთა შორის არ დასტურდება. ლექსის ბოლო სტროფში მოხსენიებულია საიათნოვა.

ლექსი შესულია A ფონდის № 523 ხელნაწერში. ხელნაწერი წარმოადგენს რვეულს, ამოგლეჯილს რომელიღაც დავთრიდან. ხელი უწიგნურია, ენა — გაუმართავი. ხელის მიხედვით ხელნაწერი თარიღდება მე-19 საუკუნით. რვეულის ფურცლებზე მოთავსებულია ქართულ-სომხური და თათრული ლექსები საიათნოვასი, ქიჩიკნოვასი, სტეფანე მკერვალისა და სხვათა. როგორც ჩანს, კრებული შექმნილია თბილისის სომხურ გარემოში. ალაგ-ალაგ ქართულ ლექსებში გვხვდება არმენიზმები: „ყარმირ-ბაგე“ — *կարմիր* ბაგე, რაც ნიშნავს, წითელი ბაგე; „ეშხინ თრალებს“ — „ეშხინ“ ალბათ სომხურ *էշխէն* — გამოსვლითი ბრუნვის გადმოცემაა და ნიშნავს, ‘ეშხისგან მთვრალს’.

ლექსები დაწერილია გაბმული ტექსტით, სალექსო სტრიქონის დაუცავად. ლექსი მოთავსებულია 4v — 5r-ზე.

ლექსი ძალზე დამახინჯებულია. ზოგი ადგილი არ იკითხება. როგორც ეტყობა, იგი გადმოწერილია არა რაიმე ხელნაწერიდან, არამედ ზეპირად გავრცელებული ლექსის ჩანაწერს წარმოადგენს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საიათნოვას ავტორობაზე მიუთითებს მისი გვარის მოხსენიება. ლექსიკის თვალსაზრისითაც იგი აშკარად ნიშანდობლივია საიათნოვასათვის. მაგალითად, 1. „როსტომ-ზალის“ რეფრენად ხმარება, 2. „ხელმწიფე ხარ, გამობრძანდი, რა სამართალი გიხდება“ მოგვაგონებს სიათნოვას „სამართალი მიყავ, ხელმწიფე ხარო“-ს, 3. „მობრძანდი ჩვენსა ბაღში, მიბრძანე კარი გაგიღო“ — ამ სიტყვებში საიათნოვას რამდენიმე ლექსის გამოძახილი ისმის და სხვ.

---

* იხ. «Սովետական Վրաստան», 1963, 27. VI.

** იხ. Սայաթ-Նովա. Հայերեն, վրացերեն, ադրբեջաներեն խաղերի ժողովածու, կազմեց, խմբագրեց և ծանոթագրեց Մ. Հասրաթյան, Երևան, 1963, გვ. 333.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აი, ეს ლექსი:

„ლამაზი ხარ მეტისმეტად, პირზედ ხალი გიხდება,
დაგიხურავს შენ ჩარუფი, ტურფა დალალი გიხდება,
მარგალიტის... ზურმუხტის ლალი გიხდება,
გინდა მამკლამ, გინდ დამარჩენ, როსტომის ზალი გიხდება.

ზაფხულშია საყვარელია ნიავ-ქარი გალობასა, (sic!)
მოირთვები, მოგიხდება, ნუ მაიშლი ქალობასა,
ხელმწიფე ხარ, გამობრძანდი, რა სამართალი გიხდება,
გინდა მამკლამ, გინდ დამარჩენ, როსტომის ზალი გიხდება.

მობრძანდი ჩვენსა ბაღში, მიბრძანე კარი გაგიღო,
რა წამს რომ დაგინახო, ფიცხლავ თავი დაგიღო,
შემოგხედო, დაგინახო, ცნება შენ წაიღო.
ხეივანში გადანერგული, ერთისა კვალი გიხდება.
გინდა მამკლამ, გინდ დამარჩენ, როსტომის ზალი გიხდება.

ბულბული მთიდან ჩამოვა, ერთხელაც ასასვლელია,
დღე და ღამე მღერის, ასე ჰგონია—სთველია,
საიათნოვა მოგახსენებს, ენა შაქარს წვენია,
აქიმი ხარ, გეცოდინება—ჩემს თავს რა მასასვლელია,
ავათა ვარ, მოდი, მნახე, რა წამალი მამიხდება,
გინდა მამკლამ, გინდ დამარჩენ, როსტომის ზალი გიხდება".

როგორც ჩანს, ლექსი დეფექტურია და ნაკლულიც.

გარდა ამ ლექსისა, ხელნაწერებში დადასტურებული ლექსები საიათნოვას უკვე ცნობილ ლექსებს წარმოადგენს.

ჩვენ მათ იმ ვარიანტული სხვაობების მიხედვით განვიხილავთ, რითაც თითოეული მათგანი ხასიათდება. პროფ. მ. ჩიქოვანის სამართლიანი შენიშვნით, „ყველა ლექსს, განსაკუთრებით ქართულს, იმდენი ვარიანტი მოეპოვება, რამდენი ხელნაწერიც არსებობს"*.

საიათნოვას ზოგიერთი ქართული ლექსის ვარიანტულ სხვაობებს თავის დროზე ყურადღება მიაქციეს და სათანადო კვალიფიკაციაც მისცეს**.

აღსანიშნავია, რომ იმ შემთხვევაში, როცა საიათნოვას ქართული ლექსების ავტოგრაფი არ მოგვეპოვება, მისი ლექსების გავრცელების ზეპირმა ტრადიციამ წარმოშვა ისეთი ვარიანტული სხვაობები, რაც ზოგიერთ ლექსს დამოუკიდებელ ვარიანტადაც კი აქცევს. პროფ. მ. ჩიქოვანს თავის შრომაში განხილული აქვს საიათნოვას ზოგიერთი ლექსის ვარიანტული სხვაობანი და დამაჯერებლად აქვს ნაჩვენები მათი გათვალისწინების აუცილებლობა პოეტის ლექსების სრული აკადემიური კრებულის გამოცემის საქმეში.

ჩვენი მიზანია წარმოვადგინოთ საიათნოვას ყველა ქართული ლექსის ვარიანტული წაკითხვა. იგი მოიცავს როგორც ტაეპთა, ისე მთელი სტროფების შედგენილობას, აგრეთვე ცალკეულ პოეტურ გამოთქმებს და თვით ლექსის მთლიან ტექტონიკას.

ამ ვარიანტების ლიტერატურული ღირებულების დადგენა უნდა მოხდეს განსხვავებულ წაკითხვათა ურთიერთშეჯერების ნიადაგზე, საიათნოვას ლექსე-

* მ. ჩიქოვანი, ფოლკლორული ეტიუდები, გვ. 97.
** გ. ლეონიძე, მგოსანი საათნავა, გვ. 57-58; მ. ჩიქოვანი, იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის სხვა წიგნთსაცავებიდან ცნობილ ვარიანტებთან შედარების გზით და იმ ტექსტობრივი მასალის გამოწვლილვით, რაც ყველაზე მეტი დამაჯერებლობით შეიძლება ატარებდეს ავტორის პოეტურ მეობას. ამ შემთხვევაში დიდი სიფრთხილეა საჭირო, რომ ლექსი დაიწმინდოს სხვადასხვა დროისა და სხვადასხვა წრის ჩამწერთა, ე. ი. ლექსთა კრებულების შემდგენელთა, თვითნებური „შემოქმედებითი“ ცდებისაგან: თავის გემოვნებაზე გადააკეთონ ესა თუ ის სიტყვა ან თუ ზოგი ადგილი არ ახსოვთ, საკუთარი ფანტაზიით გამართონ. პოეტური ნაწარმოების გავრცელების ზეპირი ტრადიციის ეს ნიშნები აშკარად შეიმჩნევა ჩვენს ხელნაწერებში დაცულ ლექსებში.

ვარიანტებისათვის აღებული ლიტერებია:

A: გამოცემა	E: S — 2385	J: S — 3723
B: S — 1543	F: S — 1576	K: H — 2130
C: S — 3686	G: H — 935	L: H — 1999
D: H — 2130	H: A — 1683	M: H — 1926

I. ცნობილი ლექსი — „კოკობო, ძუძუთ გაზრდილო, ცურისაგან ლამაზი ხარ“ — დასტურდება შემდეგ ხელნაწერებში: S — 1543 81v, S — 3686, გვ. 41—42*.

1. ი. გრიშაშვილის გამოცემაში იკითხება: „კოკობი, ძუძუთ გაზრდილო, ცურისაგან ლამაზი ხარ“ (1) — S—1543, S—3686: „კოკობო, ძუძუთ გაზრდილო, ცურისაგან ლამაზი ხარ“ (1);

ხელნაწერების წაკითხვა უფრო მართებულია, რადგან „კოკობო“ მიმართვის ფორმაა, წოდებით ბრუნვაში. იგი ეხება ლექსის ადრესატს, მისი ეპითეტია, ამიტომ ამ სიტყვის შემდეგ მძიმე უნდა დაისვას.

2. „შენი მზგავსი ანგელოზი სიზმარშიაც მომეჩვენა“ (II) — „შენი მზგავსი დახატული სიზმარშიაც მომეჩვენა“ (II).

ცხადია, მხატვრულობის თვალსაზრისით უფრო მისაღებია გამოცემის „ანგელოზი“, ვიდრე ხელნაწერების „დახატული“, მაგრამ, ძნელია საიათნოვას პოეზიის მხატვრული ქსოვილის ფონზე ზუსტად გამოიყოს მისი აღმოსავლური ან წმინდა ქართული ტრადიციების პოეტური დეტალი.

3. „მას აქეთ ვზივარ და ვამბობ: „ჰურისაგან ლამაზი ხარ“ (12) — S—1543: „მას აქეთ ვზივარ და ვამბობ, ურვსაგან ლამაზი ხარ“ (12).

ვარიანტებია: ჰურისაგან და ურვსაგან. უპირატესობა უნდა მივანიჭოთ „ჰურისაგან“ წაკითხვას. 'ჰური' ფალაურია და ნიშნავს ფერიას, ნიმფას. თავისთავად გარკვეულ პოეტურ სახეს ქმნის ურვის, მწუხარების სილამაზესთან, გარკვეულ ზნეობრივ სიფაქიზესთან შედარება და ამდენად, „ურვის“ აბსოლუტურად გამორიცხვა მართებული არ იქნება.

მაგრამ მაინც, ჩვენი აზრით, დასატოვებელია „ჰურისაგან ლამაზი ხარ“, რადგან ასეთი პოეტური სახე უფრო ბუნებრივი და დამახასიათებელია საიათნოვას მხატვრული მეტყველებისათვის, მისი პოეტური ლექსიკისათვის.

4. „რად არ მოხვალ, რად არ მკითხავ, რას დასტირი, საჲათნავო?“ (17) — S — 3686: „რად არ მოხვალ, რად არ მკითხავ, რადა სტირი საოთნაო“ (17).

---

* ჩვენი მასალა შედარებულია ი. გრიშაშვილის გამოცემასა და მ. ჰასრათიანის გამოცემის ქართულ ლექსთა სომხურ თარგმანებს, სადაც ავტორი ეყრდნობა საახიო მუზეუმის № 222 ხელნაწერს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვფიქრობთ, ჰარმონიულად ჟღერს ხელნაწერის: „რ ა დ ა რ მოხვალ, რ ა დ ა რ მკითხავ, რ ა დ ა სტირი საოთნაო?“ რადგან, სამსავე ადგილას რიტმს კრავს — დ მჟღერი ბგერით დამთავრებული — რად ნაცვალსახელი.

5. „ნაშენი სალბი სადაფით? თ უ რ ი ს ა გ ა ნ ლამაზი ხარ?“ (20) — S — 1543: „ნაშენი სალბი სადაფით, თ უ რ ი ს ა გ ა ნ ლამაზი ხარ“ (20).

ვარიანტულ სხვაობას ქმნის გამოცემის: „თუ რისაგან?“ და ხელნაწერის: „თურისაგან“

გამომცემელს „თუ რისაგან“ ცალ-ცალკე დაუწერია. ამდენად, -თუ- გამოდის კავშირის როლში, ხოლო „რისაგან“ კითხვითი ნაცვალსახელია. ამის შედეგად, ეს ადგილი გამოცემაში ასე გაიგება: „თუ რაზე ლამაზი ხარ?“ მთლიანად ამ ტაეპის წაკითხვა ბუნდოვანია. ცალკეა გამოყოფილი: „ნაშენი სალბი სადაფით?“. გაუგებარია, რას განეკუთვნება ეს კითხვითი ნიშნით გამოყოფილი სიტყვები?

შეიძლება იგი გამოყოფილია „თუ რისაგან ლამაზი ხარ?“ წინადადებისაგან ისეთივე პაუზით, როგორც მაგალითად, მე-4 სტრიქონში გვაქვს: „შუშავ შირაზის, შამახის, სურისაგან ლამაზი ხარ“. მაგრამ მძიმის დასმის შემთხვევაშიც, აზრი გაუგებარი დარჩება. ლექსის ადრესატი ნაშენია სალბი სადაფით, თუ რაზე ლამაზია?

შეიძლება „ნაშენი სალბი სადაფით?“ მიეკუთვნება წინა ტაეპში ნახმარ „დახატულო სკივრის ყუთოს“?“ მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ ლექსის ტექტონიკას, სხვა სტროფებში ანალოგიური აგებულების ტაეპთა რიტმს, ასეთი გაგება უნდა გამოვრიცხოთ. სხვაგან, ლექსში რამდენიმეჯერ იხმარება ანალოგიური ფორმები, შედარებითი ხარისხის წარმოება: „კოკობო, ძუძუთ გაზრდილო, ცურისაგან ლამაზი ხარ“ (1), „სპილენძის ქვეყნის დედოფლის საყურისგან ლამაზი ხარ“ (8), „ხუთმეტი დღისა გავსილი მთვარისაგან ლამაზი ხარ“ (20) და სხვ.

ყოველ შესადარებელ სიტყვას ცალკეულ სტრიქონში წინ უძღვის მისივე განსაზღვრება. თანახმად ასეთი აგებულებისა, სადავო სტრიქონიც, ჩვენის აზრით, უნდა გაიმართოს ასე:

„ნაშენი სალბი სადაფით თურისაგან ლამაზი ხარ“. „ნაშენი სალბი სადაფით“ არავითარი სასვენი ნიშნით არ გამოიყოფა, რადგან იგი განსაზღვრავს მომდევნო სიტყვას თურ'ს. ამდენად, 'თური' უნდა დაიწეროს ერთად, იგი არსებითი სახელია, გამოყენებული შესადარებელ სიტყვად, ისევე როგორც „ცურისაგან“ (1), „პურისაგან“ (2) „ქურისაგან“ (3), „სურისაგან“ (4), „საყურისაგან“ (8) და სხვ.

'თური' სიტყვა ქართულში არ დასტურდება. როგორც ჩანს, იგი არმენიზმია. **Թուր** — სომხურში ნიშნავს 'მახვილს', 'ხმალს' ან 'ხანჯალს'. ჰ. ა ჭ ა რ ი ა ნ ი ს შენიშვნით, იგი გვხვდება კავკასიის მთის ენებშიც. მკვლევარი მათ სომხურიდან გადასულად მიიჩნევს, ამ უკანასკნელს კი ინდოევროპული წარმოშობისად თვლის*.

'ხმლის' ან 'ხანჯლის' მნიშვნელობით შეიძლება იხმარებოდეს ეს სიტყვა საიათნოვას ლექსშიც. გაგება ასეთი იქნება: სალბითა და სადაფით ნაჭედ მახვილზე ლამაზი ხარო.

---

* Հ. Աճառյան, Արմատական բառարան, Երևան, 1926.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Թուր სიტყვას სხვა მნიშვნელობაც აქვს სომხურში. *Սաձեն բառարանում* ასეთი მნიშვნელობა დასტურდება: *«ոստայնանկի կկոց, մաքոք»*, რაც ნიშნავს: საქსოვი დაზგის მაქოს, რომელიც ძაფს ატრიალებს ქსოვის პროცესში. მაგრამ, რამდენად გამართლებულია ეს ეტიმოლოგია ამ სიტყვისა ჩვენი კონტექსტისათვის? ცხადია, მახვილთან შედარება ფრაზას უფრო მეტ პოეტურ დრამატიზმს ანიჭებს, ვიდრე საქსოვ მაქოსთან.

ინტერესმოკლებული არაა, როგორ გაიაზრება ეს ადგილი მ. ჰ ა ს რ ა თ ი ა ნ ი ს სომხურ თარგმანში? სომხურად იკითხება: *«սիրուն սալբու, սադափ շարած, թախտակից է, վուր սիրուն խա»*. ქართულ თურ'ს სომხურ თარგმანში შეესატყვისება *«թախտակ»*. *«Տախտակ»* სიტყვას სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს სომხურში. უპირველეს ყოვლისა, იგი ნიშნავს ტახტს, ერთ-ერთი მისი მნიშვნელობა კი არის *«մետաղե բարակ թախտակ, որով պաշտպանում էին կուրծքն ու մեջքը պատերազմի ժամանակ»**. ეს იგივეა, რაც ქართული „თორი“, მეტალის ვიწრო ჯავშანი, რომლითაც იფარავდნენ მკერდსა და ზურგს ბრძოლის დროს.

როგორც ჩანს, მთარგმნელი ლექსში ნახმარ თურ' სიტყვას კითხულობს თორ'ად. განსხვავება მხოლოდ — ო და უ ხმოვნებშია. ამიტომ გაჩნდა სომხურ თარგმანში თორი'ს შესატყვისი *«թախտակ»*. არცერთ ქართულ ხელნაწერში არ დასტურდება „თორ“ წაკითხვა. ალრევა გრაფიკულ ნიადაგზე მოხდა.

ამრიგად, მე-4 სტროფის მე-4 ტაეპი უნდა გაიმართოს ამ სახით: „ნაშენი სალბი სადაფით თურისაგან ლამაზი ხარ“, სადაც 'თური' ნიშნავს მახვილს, ხმალს ან ხანჯალს.

სიტყვამ მოიტანა და სომეხ მთარგმნელს ვერ დავეთანხმებით „ცურისაგან ლამაზი ხარ“, „პურისაგან ლამაზი ხარ“ და მსგავს თქმათა ისეთ თარგმანში, როგორიცაა: *«կաթից է, վուր սրուն խա»*, რაც ნიშნავს: 'სძისაგან არის, რომ ლამაზი ხარ'; *«հացից է, վուր սիրուն խա»*, პურისაგან არის, რომ ლამაზი ხარ'. ქართულ გამოთქმებში სახეზეა შედარებითი ხარისხის თავისებური ფორმები, რაც წარმოებულია სომხური ენის ანალოგიით. აზრი ასე უნდა გვესმოდეს: 'ცურზე ლამაზი ხარ', 'პურზე ლამაზი ხარ', წინააღმდეგ შემთხვევაში უაზრობა გამოვიდოდა შემდეგ სტროფებში ნახმარი: „დედოფლის საყურისგან ლამაზი ხარ“, „მთვარისაგან ლამაზი ხარ“. საყურისგან არის, რომ ლამაზია, თუ საყურეზე ლამაზია? მთვარისაგან არის, რომ ლამაზია, თუ მთვარეზე ლამაზია? ეჭვს არ ბადებს, რომ მეორე ფრაზები უფრო მართებულია.

აი, ეს ლექსი:

„კ ო კ ო ბ ო[1], ძუძუთ გაზრდილო, ცურისაგან ლამაზი ხარ!
სითეთრით ვერვინ გაჯობებს, პურისაგან ლამაზი ხარ!
თავად[2] გადამდნარო ოქრო[3], ქურისაგან ლამაზი ხარ!
შუშავ შირაზის, შამახის, სურისაგან ლამაზი ხარ!

კარში გელის დიდი ჯარი, გამოდი, სულთანო ხანო!
ბაღში ვარდო და ნარგიზო, მთაში[4] სუმბულო, სოსანო,
ოქრომკედში ამოსხმულო მარგალიტის[5] კრიალოსანო;
სპილენძის ქვეყნის დედოფლის საყურისგან ლამაზი ხარ!

---

* **Ստ. Մալխասեանց, Բացատրական բառարան, Երևան, 1945.**

[1] კოკობი A· [2] თავად] იმ თავით B· [3] ოქროვ B. [4] მათში B. [5] მარგალიტში B.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცალგნით თემი და ქვეყანა[6], ცალგნით მე მეჩვენე[7] შენა,
უბეში გაქეს ვარდის კონა, პირში გაქეს[8] ბულბულის ენა,
შენი მზგავსი ანგელოზი[9] სიზმარშიაც მომეჩვენა[10],
მას აქეთ[11] ვზივარ და ვამბობ: ჰერისაგან[12] ლამაზი ხარ![13]

შორის ქვეყნიდამ მოსულო[14], მიხაკო, ჯავზო და ხუთო,
მისთვის[15] გაძევს დიდი ფასი დიპაც, ზარბაბო და ხუთო[16],
თვალით, მარგალიტით სავსევ[17], დახატულო სკივრის ყუთო,
ნაშენი სალი სადაფით თურისაგან[18] ლამაზი ხარ!

რად არ მოხვალ, რად არ მკითხავ[19], რადა სტირი[20], საოთნაო[21]?
რას უზიხარ ზღვათა შუა, გამოდი ინგილოის ნაო[22],
დღისით კაშკაშებ მზესავით[23], ღამით ცისკრისა ვარსკვლაო,
თხუთმეტის[24] დღისა გავსილი მთვარისაგან ლამაზი ხარ!

II. ლექსი „გალობს თუთის ყაზალახი, ბულბულის ბანი მინდოდა“ გვხვდება შემდეგ ხელნაწერებში: S—1543 81r, S—2385 16r, S—1576 g 14v, S—3686 gg. 44—45, H—935 22v, H—2130 61r.

1. გრიშაშვილის გამოცემისაგან განსხვავებით ხელნაწერებში სხვაგვარია სტროფების განლაგება: მე-4 სტროფი გადმოსულია მე-2 სტროფის ადგილას და პირიქით.

უკლებლივ ყველა ხელნაწერი სტროფების ასეთ თანმიმდევრობას ადასტურებს. მაგრამ, საკითხავია, ეს ავტორისეულია თუ ზეპირად გავრცელების ტრადიციით განპირობებული? საქმე ისაა, რომ თვით ლექსის შინაარსობრივი მხარე არ იძლევა რაიმე ხელშესახებს რომელიმე მათგანისათვის უპირატესობის მინიჭებისათვის, რადგანაც სტროფების გადაადგილება არ არღვევს ლექსის აზრობრივ და კომპოზიციურ მთლიანობას.

2. პირველ სტროფში ტაეპთა განლაგება სხვადასხვა ვარიანტს უჭირავს. გამოცემასა და H—935, S—1576, S—2385 ნუსხებში სხვაგვარია ტაეპთა განლაგება, ვიდრე S—3686, H—2130, S—1543 ხელნაწერებში.

შეცვლილია მე-4 და მე-2 ტაეპების ადგილი. მე-4 ტაეპი გადასმულია მე-2-ის ადგილას. ჩვენი აზრით, ასეთი განლაგება უფრო მართებული ჩანს, რადგან მე-4 ტაეპი, სადაც ბულბულის მიერ ვარდის უბნის ძებნაა თქმული, პირველი ტაეპის ბუნებრივი გაგრძელება იქნება. ასეთი გაგებაა: ჰგალობს თუთი, ყაზალახი, მე ბულბულის შემოძახილი მინდოდა, ხოლო ბულბული ამ დროს იმას სტირის, რომ ვარდის უბანი უნდოდა და ა. შ.

ამდენად, ტაეპთა განლაგება შესაცვლელია გამოცემაში.

3. გამოცემაში წერია: „გალობს თუთი ყაზალახი, ბულბულის ბანი მინდოდა“. H—2130-ის გარდა, ყველგან ხელნაწერებში იკითხება: „გალობს თუთის ყაზალახი“. „თუთის ყაზალახი“ მსაზღვრელ-საზღვრულია, იგულისხმება თუთის რაღაცა, ეთქვათ, მართვე.

---

[6] თემი და ქვეყანა] ერთი ქვეყანა B. [7] მემეჩვე B. [8] გაქვს] მაქვს B. [9] ანგელოზი] დახატული BC. [10] მომეჩვენა] მომეცვენა B. [11] აქათ B. [12] ჰურისაგან] ურჯისავან B. [13] ლამაზი ხარ] ლამაზო B. [14] მოსრულო B. [15] მისთვის] მიტომ A. [16] ხუთო] სუთო B. [17] თვალით მარგალიტით სავსე] თვალმარგალიტით სავსე ხარ A. [18] თურისაგან] თუ რისაგან AC. [19] რად არ მკითხავ] არ მიკითხავ B. [20] რადა სტირი] რას დასტირი A, რად არა სტირ B. [21] საათნოვო A, საათნაი B. [22] ნაო A. [23] მზესავით კაშკაშებ A. [24] თუთხმეტის C, ხუთმეტის A.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეთ გაგებას უჭერს მხარს ხელნაწერი ვარიანტები. მაგრამ როგორც ჩანს, ზეპირად გავრცელების ტრადიციამ ამყამად უმართებულო წყაროხვა შემოგვინახა, ხოლო გამოცემასა და H—2130 ხელნაწერში სწორი ფორმაა. აი, რატომ: 'თუთი' 'tuti' სპარსული სიტყვაა და ნიშნავს 'თუთიყუშს'. 'ყაზალახი' კი თურქულია და ნიშნავს 'ტოროლას'. „ტორუა — qazalax" — ასეა ეს სიტყვა განმარტებული ს. ორბელიანის ლექსიკონში*. ასე რომ, ამ დამოუკიდებელ არსებით სახელებს შორის მძიმის დასმა სავსებით სწორია: 'გალობს თუთი, ყაზალახი' — გალობს თუთი და ტოროლა, მე კი ბულბულის ბანი მინდოდა — აზრი სავსებით გასაგებია.

4. მსგავსი სურათია შემდეგი ვარიანტული სხვაობის თვალსაზრისითაც: გამოცემაშია: „მითომ ტყვე ვარ და გლახაკი, ღვთის გულისთვის ვამაკითხე" (14) — S №№ 2385, 1576, H—935: „მითამ ტყვე ვარ და გლახა ვარ, მის გულისათვის გამიკითხე" (6)—S—3686, H—2130, S—1543: „მითომ ტყვე ვარ და გლახა ვარ, ღვთის გულისთვის გამიკითხე" (6).

მართალია, მხატვრულობის თვალსაზრისით გამოცემის ვარიანტი ყველაზე ჰარმონიულია, მაგრამ სრულ გაუგებრობას გამოიწვევდა ამ ვარიანტთაგან ავტორისეულად უცილობლად რომელიმე მათგანი ჩაგვეთვალა. საიათნოვას პოეტური სტილი აღმოსავლური პოეზიისა და აშუღური პოეზიის ისეთ მრავალფეროვნებას იტევს, რომ მისს გარკვეული ფორმის გამოყოფა.

5. ი. გრიშაშვილის გამოცემაში წერია: „გამოდი უცხო ნადირო, ნუ ეფარები მაგ ხესა" (9) — S—1543, 2385, 1576: „გამოდი, უცხო ყვავილო, ნუ ეფარები მა ხესა" (9) — S—3686, H—935, H—2130: „გამოდი, უცხო ნადირო, ნუ მოეფარები ხესა" (9).

ვარიანტულ სხვაობას ქმნის 'ნადირისა' და 'ყვავილის' დაპირისპირება. ცხადია, სტრფოს ყვავილთან შედარება უფრო ესთეტურია, ვიდრე ნადირთან. უნდა გვახსოვდეს, რომ სხვაგან საიათნოვას ლექსიკაში ხშირად იხმარება შელთან, ჯეირანთან, რაშთან შედარება. მაგრამ, 'ნადირი' იხმარება არა უშუალოდ შედარების სახედ, არამედ ასეთ კონტექსტებში: „ნადირში ნაქებო რაშო, ჯეირანო" („ხარ ტურფა"), „ტრიალი მინდორი, რა შავი ტყე ხარ, შიგ ნადირი სავსე ბაზებიანო" („ხარ ტურფა"). უთუოდ გასათვალისწინებელია, რომ აქ ლექსის („ხარ ტურფა") ადრესატი ნაზი და ჰაეროვანი ქალი კი არ არის, არამედ მამაკაცია — კერძოდ, ერეკლე მეფე. 'ნადირი' იხმარება გაბედულობისა და ვაჟკაცობის აღსანიშნავად.

ამდენად, ჩვენს ტექსტში აღდგენილ უნდა იქნას — „ყვავილო".

6. გამოცემაშია: „ახალო მაჩინო, ნეტავი შენსა ნეფესა" (11), ხელნაწერებში 'ნეფის' ნაცვლად გვაქვს 'მეფე'. ვფიქრობთ, ეს უფრო მართებულია: ჩინ-მაჩინის მეფეზე იქნება საუბარი და არა ნეფეზე.

შეინიშნა, რომ S—1543, 2385, 1576 ნუსხები ერთნაირ ვარიანტულ წყაროხვას ავლენს, მაგ.: „უჩინ-მაჩინო". „რა ნუშ-ქიშმიში მინდოდა", ხოლო S—3686, H—935, H—2130 — ერთნაირს. „ჩინო-მაჩინო". „ნუშის ლებანი მინდოდა" და სხვ.

---

* ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ნაწ. II, თბ., 1966.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიძლევით ამ ლექსის დადგენილ ტექსტს:

„ჰგალობს თუთი[1], ყაბალახი, ბულბულის ბანი მინდოდა,
ბულბულმა თქვა[2]: მასა[3] ვსტერი[4], ვარდის უბანი მინდოდა,
სიზმარში წამალად მასწავლეს, ვარდის ნაბანი მინდოდა,
შორის მთიდამ[5] გარდმოსულვარ[6], ბაჭანის ბანი მინდოდა[7].

შენმა ძებნამ გამათავა, სისხლი ოფლად მომადინა[8],
ვარდი დაკრეფილი[9] ვნახე[10], ბულბულსავით[11] დამეძინა.
ნაქებო ოჭრის ვალაზო[12], შიგ აწყვია ბროლის მანა,
ნეტავი ერთი ჩემი გქნა[13], რა კიდობანი მინდოდა?

ვამოდი, უცბო ყვავილო[14], ნუ ეფარები[15] მა ხესა[16],
პირი მარმარილოს გიგავს[17], ქაღალდივით გაგელესა,
ახალო ჩინო-მაჩინო,[18] ნეტავი შენსა მეფესა[19].
ძველის ქარხნისა[20] ზარბაბო, შენი კაბანი მინდოდა.

შენი წიგნი მომივიდა[21], ჩემი რად არ წაიკითხე?
ვითომ[22] ტყუე ვარ და გლახა ვარ[23], ღვთის გულისთვის[24], გამაკითხე,
აგრე მალე რად მოგძულდი[25], ერთხელ აღარ[26] მომიკითხე?[27]
ავდე[28] ვიყავ, დასაბურად შენი საბანი მინდოდა.

მოდი, თვალო[29], დამიჯერე, არა ვარ შენი ორგული,
ხელმეორედ[30] ნუღარ[31] დამწვავ, იმ თავით ვარ დადაგული,
საათნოვა[32] მოგახსენებს: შენ ვარდი ხარ, მე ბულბული,
ჩამსვი ოჭროს ყაფაზში, ნუშის ლებანი[33] მინდოდა!“

III. ლექსი „არვის უარი არ უთქვამს თავის მეგობარისათვის“ გვხვდება შემდეგ ხელნაწერებში: S—2385, H—935, A—№№ 1683, 1384.

ლექსი შემდეგი ვარიანტული სხვაობებით გამოირჩევა:

1. გამოცემაშია: „ჰინდის ყალამქარს დავეძებ ზარუ-ზარაბა-ზარისათვის“ (4) — S—2385, H—935: „ჰინდის ყალამქარს მოგიტანს და ზარბაბი ზარისათვის“ (4) — A—1683: „ჰინდის ყალამქარს დავეძებ ზარბაბ იარისათვინ“, A—1384: „ინდის ყალამქარს დავეძებ და ზარბაბის ზარისათვინ“.

საინტერესოა, რას ეკრდნობა ი. ვრიშაშვილისეული გამოცემა ამ ადგილის წაკითხვაში, რადგან, როგორც ცნობილია, ეს ლექსი ლენინგრადის ანუ იმავე სააზიო მუზეუმის № 222 ხელნაწერში, რომელიც პოეტის შვილის ატოგრაფს წარმოადგენს, სრულებით არ არის*.

---

* Ц. Ц. Гиппиус-Вирская, Рукописи, портреты и документы Саят-Новы, Ереван, 1963, стр. 260.

[1] თუთის BDEFG. [2] სთქვა A, თქუ D. [3] ამას D, მას F. [4] ვსტეროდი F. [5] მთიდგან AG, მთითუან F. [6] გადმოვსულვარ AEFG. [7] სიზმარში წამალად მასწავლეს... შორის მთიდამ გადმოვსულვარ... ბულბულმა თქვა: მასა ვსტერი, ვარდის უბანი მინდოდა AEFG. [8] მამეღონა A, მომედინა BC. [9] დაკრეფული BCF. [10] ვნახე დაკრეფული A. [11] ბულბულივით A. [12] ალიზო G, ლალიზო E. [13] ჰქნა CD, ქნა BF, ქნა EG. [14] ყვავილო] ნადიროABCD. [15] მოეფარები BC: [16] მაგ ხესა A, ხესა BC. [17] ~ გიგავს მარმარილოს A. [18] უჩინ-მაჩინო EFG. [19] ნეფესა A. [20] ძველი ქარხანის BEFG., [21] შენი წიგნი მომივიდა] შენ რომ წიგნი მოგიწერა EFG. [22] მითომ AEFG ვითომ B. [23] გლახაკი A. [24] მის გულისთვის EFG. [25] აგრე როგორ მამძულე A, აგრე მალე ვით მოგძულდი D. [26] აღარ] რათ არ B. [27] მამიკითხე A. [28] აჟათ BCEFG. [29] თვალო] ჭალო B. [30] ხელმეორეთ ACEFG. [31] ნუღა A. [32] საათნავა B, საათნო C, საჳთნავა D, საათნავა F. [33] ნუშის ლებანი] რა ნუშ-ჭიშიში EFG.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოცემის „ზარუ-ზარბაბ ზარისათვის“ ფრაზაში ორი ზარ'ია. ზარ, სპარსული სიტყვაა და ნიშნავს 'ოქროს'. ზარ' აგრეთვე ნიშნავს 'ოქრომკედით ნაკერ ქსოვილს', 'ფარჩას'*. 'ზარბაბი'ც სპარსულია და ასევე 'ოქრომკედით ნაქსოვ ქსოვილს' აღნიშნავს. ტექსტში პირველ ზარ'ს თან ახლავს — უ: 'ზარუ'. 'ზარუ' აშკარად არმენიზმია. სპარს. ზარ+უ, რაც სომხური -ი მაერთებელი კავშირია. ამრიგად, აზრი ასეთია: ზარი და ზარბაბ ზარისათვის. მაგრამ ამ ადგილის აზრის გაგება ჭირს.

თუ პირველ 'ზარ'ში 'ოქროს' ვიგულისხმებთ, ხოლო მეორე 'ზარ'ში 'ოქრომკედიან ქსოვილს', ასეთი აზრი იქნება:

ჰინდის ყალამქარს დავეძებ ოქროსა და ზარბაბ ფარჩისათვის. მაგრამ, უაზრობაა შემდეგი: ჰინდის ყალამქარის ძებნა ოქროსთვის.

ხოლო თუ პირველ 'ზარ'ში 'ფარჩა' იგულისხმება, ხოლო მეორეში — 'ოქრო', აზრი იქნება: ჰინდის ყალამქარს დავეძებ ფარჩისა და ზარბაბ ოქროსთვის. მაგრამ, ზარბაბი ოქრო ასევე უაზრობაა.

როგორც ვხედავთ, გამოცემის ეს ადგილი გაუგებარ წაკითხვას იძლევა. ასეთ ვითარებაში ტექსტის დადგენის თვალსაზრისით საყურადღებოა ხელნაწერების ვარიანტები. სამწუხაროდ, ხელნაწერებშიც გვიანი დროის შემსწორებელთა იმპროვიზაციის კვალი ჩანს. A—1683-ის ვარიანტი: „ჰინდის ყალამქარს დავეძებ ზარბაბ იარისათვინ“ აშკარად გაჩენილია მე-2 სტრიქონის ანალოგიით, სადაც წერია: „უბრალოთ თავი მოვიყალ ბემურვით იარისათვის“.

დაახლოებით ერთგვარ შინაარსობრივ გაგებას იძლევა S—2385, H—935 და A—1384 ვარიანტები: „ჰინდის ყალამქარს მოგიტანს (დავეძებ) და ზარბაბი ზარისათვის“. აზრი აქაც გაუგებარია და ამას იწვევს -და კავშირის უადგილო ადგილას ხმარება. ჩვენის აზრით, -და კავშირი თავდაპირველად არ უნდა ყოფილიყო ამ ადგილას, არამედ 'ზარბაბ' სიტყვის შემდეგ. ტექსტში უნდა ყოფილიყო: ჰინდის ყალამქარს დავეძებ (მოგიტანს) ზარბაბი და ზარისათვის. ამ სახით აზრი სრულიად გასაგებია: ჰინდის ყალამქარს დავეძებ ზარბაბი (ოქრომკედიანი ქსოვილი) და ზარისათვის (ოქრომკედიანი ქსოვილი). ლექსის რიტმიც შენახული და ტაეპში მარცვალთა რაოდენობაც.

ამიტომ, ტექსტის დადგენისათვის საჭიროდ მივიჩნევთ ზოგი ვარიანტის წაკითხვაში -და კავშირის ადგილის შეცვლას. უნდა იყოს: „ჰინდის ყალამქარს დავეძებ ზარბაბი და ზარისათვის“.

2. „ადე, ქალო, ითამაშე ოქროს სიმის ლანგარშია“ (7) — „ადე, ქალო, ითამაშე, ოქროს სინის ლანგარშია“ (7).

გამოცემის სიმი'ს ვარიანტად ხელნაწერებში არის 'სინი'. როგორია უფრო მართებული: სიმი თუ სინი? ამაზე პასუხს 'ლანგარ' სიტყვის განმარტება იძლევა.

ქართულში ლანგარი'ს ორგვარ მნიშვნელობას ადასტურებს დ. ჩუბინაშვილი. მის ლექსიკონში 'ლანგარი' განმარტებულია ასე: ლანგარი — დიდი სინი, ბლიდი; ლანგარ — მუშაითთა ხელ-საჭერი გრძელი ლატანი**.

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში 'ლანკანი'ა 'ლანგარის' ნაცვლად და ნიშნავს ჭურჭელს*** ს. ს. ორბელიანს არა აქვს 'ლანგარი' კამბაზის ლატანის მნიშვნელობით.

* სპარსულ-რუსული ლექსიკონი (მირზა-ბადალი ღაფარისა), ტ. I, მოსკოვი, 1916.

** დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, ს.-პეტერბურგი, 1887.

*** სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ნაწ. I, თბ., 1965.

'ლანგარი' მხოლოდ ერთი მნიშვნელობით არის განმარტებული ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშიც: „ლანგარი — 1. დიდი ბრტყელი თეფში, მრგვალი ან ოვალური (ჩვეულებრივ ლითონისა), ლანჯანი“*.

საფიქრებელია, რომ ქართულში ჭურჭლის მნიშვნელობით თავდაპირველად იხმარებოდა მხოლოდ 'ლანჯანი', როგორც ეს დადასტურებულია ს. ს. ორბელიანთან, ხოლო 'ლანგარი' გვიან პერიოდში იქნა გამოყენებული მის სინონიმად. 'ლანგარი' თავდაპირველად იხმარებოდა ჯამბაზების ხელსაწერი ლატანის მნიშვნელობით.

ანალოგიური სურათი ვლინდება სომხურ ენაში. *լանգաժ* 'langark' ნიშნავს 'ჯამბაზის ხელსაწერ გრძელ ლატანს'. ხოლო *լանկարի* 'lankari'—ისპილენძის დიდი სინია**. 'ლანგარი' სპარსულიდან მომდინარე სიტყვაა და ნიშნავს: „баланс, в руках акробата“***. ჯერჯერობით უცნობია 'ლანკანის' გენეზისის საკითხი.

დავუბრუნდეთ საიათნოვას ლექსს.

თუ 'ლანგარი' იხმარება დიდი მრგვალი ჭურჭლის მნიშვნელობით, მაშინ გამოცემის 'სიმი' სრულიად შეუფერებელია შინაარსეული თვალსაზრისით და უნდა იყოს — სინი: ადე, ქალო, ითამაშე ოქროს სინის ლანგარშია. მართალია, 'სინი' და 'ლანგარი' ტავტოლოგიაა და აზრი მთლიანად გამჭრალია არც ამ შემთხვევაშია, მაგრამ ამ კონტექსტში 'სიმის' ხმარება უაზრობაა.

თუ 'ლანგარი' იხმარება ჯამბაზთა ხელსაწერი გრძელი ლატანის მნიშვნელობით, ე. ი. რაღაც აკრობატულ თამაშზეა ლაპარაკი, მაშინ მით უფრო საფიქრებელია აქ იყოს 'სინი' ან 'სინა' და არა, რატომ:

ს ი ნ ი — ლანგარი, поднос (დ. ჩუბინაშვილი). 1. ძვ. თუნუქი, რვალი. 2. დიდი გაშლილი თეფში ლითონისა (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი).

ს ი ნ ა — თეთრი რვალი, მაფრახი (დ. ჩუბინაშვილი) 1. იგივეა, რაც სინი (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი).

თუ ჩვენს კონტექსტში იგულისხმება 'სინი', მაშინ აზრი ასეთი იქნება: 1. სინის ლანგარი ანუ ლანგარის ლანგარი, რაც ტავტოლოგიაა. 2. სინის ლანგარი ანუ რვალის ლანგარი. მაგრამ, რვალის ხმარება ოქროსთან ერთად უაზრობაა: ოქროს რვალის ლანგარი.

ყველაზე მეტად საფიქრებელია, კონტექსტში ნახმარი იყოს 'სინა' მავთულის მნიშვნელობით: ოქროს მავთულის ლანგარი. მაშინ კონტექსტს მიეცემა ასეთი გაგება: ადე, ქალო, ითამაშე ოქროს მავთულის ლანგარშია, ე. ი. ითამაშე ოქროს მავთულზეო.

ამრიგად, 'ლანგარისა' და 'სინის' ('სიმის') მნიშვნელობათა გათვალისწინების შედეგად, ტექსტში აღდგენილ უნდა იქნას: 'სინის ლანგარი', როგორც ამაზე მიუთითებს ყველა ხელნაწერის ვარიანტი.

3. „დილ-დილაზე გიახელი, ვნახე შენი საროს ძირი“ (13) — „დილ-დილაზე გიახელი, ვნახე შენი საროს ძილი“ (13). ვარიანტებია „ძირი“ და „ძილი“. ვფიქრობთ, მართებულია 'ძილი', წინააღმდეგ შემთხვევაში, რას ნიშნავს „საროს ძირი“? შეიძლება ვიფიქროთ, რომ ძირის ქვეშ ტანი იგულისხმება,

---

* ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 1960.

** Ա. Ալիսանեան, բացատրական բառարան, Երևան, 1944.

*** მ. ღ ა ფ ა რ ო ვ ი, სპარსულ-რუსული ლექსიკონი.

მაგრამ ეს მთლიანად კონტექსტის აზრობრივ გაგებას არ შეეფერება. ტექსტში გარკვეულად არის აღნიშნული:

„დილ-დილაზე გეახელი, ვნახე შენი საროს ძილი,
დიბის საბანი გეხურა, ვერ ვიხილე შენი პირი!“

ამდენად, გამოცემის 'ძირი', ჩვენის აზრით, უნდა შეიცვალოს ხელნაწერების 'ძილი' სიტყვით.

დასახელებული ლექსი სტროფთა სხვადასხვა რაოდენობით არის წარმოდგენილი A—1683 და A—1384 ხელნაწერებში. A—1683 მხოლოდ ერთ ფურცელს მოიცავს. პირველ გვერდზე ვინმე ზარბაბ-ოღლანის ლექსია, ხოლო მე-2 გვერდზე მოთავსებულია საიათნოვას დასახელებული ლექსი, ოღონდ ნაკლული სახით. აკლია მე-8, 9, 10, 11 სტრიქონები.

რაც შეეხება A—1384 ხელნაწერს, აქ საინტერესო სურათი შეინიშნება. ხელნაწერი წარმოადგენს აპოკრიფულ და სამკურნალო თხზულებათა კრებულს. დათარიღებულია მე-19 ს.-ით. კრებული 67 ფურცლიანია, ფურცლები დაზიანებულია. საგულისხმოა, რომ სამკურნალო ხასიათის მოთხრობათა შორის აღმოჩნდა ოდნავ განსხვავებულ ქაღალდზე იმავე ხელით დაწერილი ლექსები. ლექსები დაწერილია გაბმულ ტექსტად, უწიგნური ხელით. ხელნაწერი არ ჩანს მაინცდამაინც დიდი ღირებულების მქონედ, მაგრამ საინტერესო ისაა, რომ ამავე ხელნაწერში მოიპოვება სამი სომხური ლექსი, რომელთაც გადამწერის მეტი პასუხისმგებლობა და დაკვირვებულობა ეტყობა.

დასახელებული ქართული ლექსი სხვა ვარიანტებისაგან გამოირჩევა როგორც საერთო ადგილებში არსებული სხვაობებით, ისე ზედმეტი სტრიქონებითაც. ლექსი იმდენად არის შეცვლილი, რომ დამოუკიდებელ ვარიანტს წარმოადგენს.

მოგვაქვს ლექსი A — 1384 ნუსხის მიხედვით:

„მიჯნურო, მოგიხდება სირმა-ვერცხლი ქამრისათვინ,
შენთვინ კაცი მიგზავნია ინდის ყალამქარისათვინ.
ინდის ყალამქარს დავეძებ და ზარბაბის ზარისათვინ,
უძილო ღამეს გითივებ ვით მასკლავი თვარისათვინ.

*

ტანი ალვის ხეს მიგიგავს, ვით ლერწამი ამოსულა,
შენისთანა ანგელოზი ამ ქვეყანას არ მოსულა,
შენი სილამაზის ქება სულ ხმელეთს გადასულა,
უძილო ღამეს გითივებ შენისთანა იარისათვინ.

*

თითები მოყვანილი გაქს, ჩამოსხმული ფარგალშია,
მარგალიტის ღილს დავეძებ, ვერ შოულობ ზარგარშია.
ადე, ერთი ითამაშე, ოქროს სინის ლანგარში (ია),
ღამეს გითივებ დიბის და ზარბაბისათვინ.

*

ღილის საქათიბე ქვეშადამ სიასამურია,
(ა)აბანოში მიბრძანდები, თავზე გაქვს სამზური,
მარგალიტი მოგიხდება ზემოდან საწვიმრისათვინ
საყვარელო, მაგ (sic!) მაგ თმაზედა დაგიბურავს (ჩა)ღრათი...

*

ხელმწიფეები დავნატრიან, მეტათ შენი გვარისათვინ,
არვის უარი არ უთქვამს თავის ეხტიბრისათვინ,
დიბის საბანი გეხურა, ვერა ვნახე შენი პირი,
დილაზე ადრე გიახელ, ვერ ვნახე შენი სახის ძილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენ, საბრალო საიათნო, ვზივარ, მუდამ შენთვის ვტირი,
დღე და ღამე შევზარებულვარ მეზობლი ქალისათვის,
უძილო ღამეს გითევებ თვარესავით, ქალისათვის..."

A — 1284 ხელნაწერის ვარიანტი მკვეთრად სხვაობს გამოცემისა და სხვა ვარიანტებისაგან, ამდენად იგი მთლიანად გადმოვწერეთ და მას არ ვითვალისწინებთ ამ ლექსის ვარიანტებში, რომელთაც აქ წარმოვადგენთ. აი, ეს ლექსი:

„არვის უარი არ უთქვამს თავის მეგობარისათვის,
უბრალოთა[1] თავი მოვიკალ ბემურეთა[2] იარისათვის...
შენთვის კაცი მიგზავნია ჰინდის ყალამჭარისათვის,
ჰინდის ყალამჭარს დავეძებ[3] ზარბაბი და ზარისათვის[4].

შენთვის ოქროს ღილს დავეძებ, ვერა ვპოვობ[5] ზარგარშია,
თითები გაქსს ჩამოსხმული, მოყვანილი ფარგალშია[6],
ადე, ქალო, ითმაშე, ოქროს სინი[7] ლანგარშია,
შენ, მიყურო, მოგიხდება სირმა-ვერცხლი ქამრისათვის[8].

ტანი ალვის ხეს მიგიგავს, ვით ლერწამი[9] აღმოსული,
პირისახე შხეს მოგიგავს, მთვარესავით გამოსული,
შენისთანა ანგელოზი ამ ქვეყანას არ მოსული,
ხელმწიფეები[10] დავნატრიან მეტათ[11] შენის გვარისათვის![12]

ღილ-დილაზე გიახელი, ენახე შენი საროს ძილი[13],
დიბის სახით გეხურა, ვერ ვიხილე შენი პირი,
მე საწყალი საიათნოვ[14] დღე და ღამე შენთვის ვტირი,
უძილოდ ღამე ვათევ, ვით ვარსკვლავნი მთვარისათვის".

IV. ცნობილი ლექსის „შე საწყალო, ჩემო თავო"-ს შემდეგი ვარიანტები დასტურდება: S—5190, S—3686, S—3723 და იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში" (S—5374, 157r) შემონახული ვარიანტი.

ამ ლექსის განსხვავებული შედგენილობა და ვარიანტული წყაროსხვები განხილულია მ. ჩიქოვანის მიერ. ურთიერთს შედარებულია ორი ვარიანტი: დიმ. თუმანიშვილის ჩანაწერით (საქ. ც. არქივი, ფ. 233 (8) № 495) და იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში" მოცემული ჩანაწერი*. გ. ლეონიძეს დიმ. თუმანიშვილისეული ვარიანტი შედარებული აქვს სხვა ვარიანტთან**.

ჩვენი ხელნაწერები მათგან განსხვავებულ ვარიანტებს ავლენს. S—3686, S—3723 ახლოსაა ი. გრიშაშვილის გამოცემასთან. ამ უკანასკნელისაგან განსხვავდებიან შემდეგი ადგილებით:

1. მე-2 სტროფის ბოლოში რეფრენამდე ხელნაწერებს აკლიც:

„განა ჩემი თავი ქვისაგან არის?!" მე-4 სტროფის ბოლოს კი ზედმეტი სტრიქონია: „რაც მომიხდა, განუსჯელობით არი", რომელიც იოანე ბატონი-

---

* ვ. ჩიქოვანი, ფოლკლორული ეტიუდები, გვ. 58.

** გ. ლეონიძე, მგოსანი საათნოვა, გვ. 59.

[1] უბრალოდ A. [2] ბემურეთაო EGH. [3] დავეძებ] მოვიტანს EG. [4] ზარბაბი და ზარისათვის] ზარე ზარბაბ ზარისათვის A, და ზარბაბი ზარისათვის EG. [5] ვპოვობ G, ვპოვით H. [6] გაქს ჩამოსხმული, მოყვანილი ფარგალშია] მოყვანილი გაქს ჩამოსული თარგალშია H. [7] სიმის A. [8] შენ, მიყურო, მოგიხდება სირმა-ვერცხლი ქამრისათვის] ხელმწიფეი დაგნატრან მეტად შენის ვგვრისათვის H. [9] ლერწამი E, ლერწამით G. [10] ხემწიფეი A. [11] მეტად A. [12] ეს სტრიქონი არაა H-ში. [13] ძილი] ძირი A. [14] საათნოვა GH.

შვილისეულ ვარიანტში ჩასმულია იმ ადგილას, რაც ჩვენს ხელნაწერებში გამოტოვებულია, ე. ი. მე-2 სტროფის მე-4 ტაეპად.

2. S—3686, S—3723 ნუსხებში შენაცვლებულია მე-4 და მე-5 სტროფები გრიშაშვილის გამოცემასთან შედარებით.

ყველაზე მკვეთრ ვარიანტულ სხვაობას იძლევა S—5190, რომელიც სხვებთან შედარებით მეტ სიახლოვეს დიმ. თუმანიშვილის ჩანაწერთან ამჟღავნებს, მაგრამ მისგანაც მნიშვნელოვნად განსხვავდება. მოგვყავს S—5190-ის ვარიანტი:

„რომელს დავაბრალო, რისაგან არის?
ეს საქმენი ჩემის ჯიგისაგან არის!
ჩემი თავი ქვისაგან არის?
განა ჩემი წელი მთისაგან არის?
განა ჩემი ცრემლი ზღვისაგან არის?
ჩემი ჭიანური ხისაგან არის?

თაფშურმა.

ბრინჯი ვიყავ, ქერობა რათ მინდოდა?
მტრედი ვიყავ, მწყერობა რათ მინდოდა?
ერი ვიყავ, მღედლობა რათ მინდოდა?
ერთი მითხარ, ბერობა რათ მინდოდა?

თაფშურმა

აკი ვიყავ ქვეყანაში ქებული?
ალმასივით ოქროს ყუთში დებული,
ეს რა მამიცდა ახირებული?
ხელწიფე დავკარგე, სუფრა გებული.

თაფშურმა

საიათნოვა შეინახეთ თქვენთანა,
საჯინიბოში დაიბით ცხენთანა,
აღარ წავა ხონთქართან, ყეენთანა
იქმნება თქვენთვის თავგადადებული!

რომელს დავაბრალო, რისაგან არის,
ესენი სულ ჩემის ჯიგისაგან არის!“

დიმ. თუმანიშვილის ჩანაწერში ხუთი ხუთსტრიქონიანი სტროფია*, ხოლო S—1590-ში — ოთხი ოთხსტრიქონიანი.

ჩვენს ხელნაწერში აკლია თუმანიშვილისეული 10, 13, 16, 17, 18, 19, 20, 23 სტრიქონები. საერთო ადგილებში კი — განსხვავებული წაკითხვაა:

1. S—5190: „ჩემი ჭიანური ხისაგან არის“ მე-4 სტრიქონია, თუმანიშვილისეულში კი — 25-ე; 2. S—5190: „ალმასივით ოქროს ყუთში დებული (10)— „ჰქასავით ოქროს ყუთში დებული“ (12); 3. S—5190: „ხელმწიფე დავკარგე, სუფრა გებული“ (12) — „ჩემი უბედურის დღისაგან არის“ (15); 4. „იქმნება თქვენთვის თავგადადებული“ (16) — „ჩემი ჭიანური ხისაგან არის“ (25).

ასეთი მეტობა-ნაკლებობითა და ზოგიერი ადგილების განსხვავებული წაკითხვებით ხასიათდება ეს ლექსი.

* დიმ. თუმანიშვილის მიერ ჩაწერილ ვარიანტს ვუდარებთ მ. ჩიქოვანის ნაშრომის მიხედვით.

უნდა შეინიშნოს, რომ ლექსი ხელნაწერებსა და გამოცემებში იმდენად არა ცალკეულ სიტყვათა ვარიანტებით ხასიათდება, არამედ სტრიქონთა მეტობა-ნაკლებობით და გადასმა-გადმოსმით. ოთხი ძალზე დაშორებული ვარიანტი გვაქვს: 1. დ. თუმანიშვილისეული, 2. ი. ბატონიშვილისეული, 3. S—5190 ხელნაწერისა და 4. S—3723, S—3686 ნუსხებისა.

როგორც ჩანს, „შე საწყალო ჩემო თავო“ ძალზე პოპულარული სიმღერა იყო და სხვადასხვა დროის ჩანაწერებში ძალზე იცვალა სახე. ყველაზე სრულყოფილი სახით ლექსი დასტურდება ი. გრიშაშვილის გამოცემასა და S—3686, S—3723 ნუსხებში. ამდენად, ტექსტს ვადგენთ ამ უკანასკნელი ვარიანტების მონაცემების გათვალისწინებით.

„შე საწყალო, ჩემო თავო[1], რა იქენ,
ქვეყანაში სასაცილო შეიქენ!
სათაც გაიქეც, იქით წაიქეც,
ბოლო[2] დროსაც ბედოვლათი შეიქენ!
რომელს დავაბრალო, რისაგან არის?[3]
ეს საქმენი ჩემის ჭკვისაგან არის![4]

თითქმის ვიყავ ქვეყანაში ქებული,
პიქასავით ოქროს ყუთში დებული.
ეს რა მომივიდა[5], ახირებული,
განა ჩემი თავი ქვისაგან არის?[6]
რომელს დავაბრალო, რისაგან არის?
ეს საქმენი ჩემის ჭკვისაგან არის!

ბრინჯი ვიყავ, ქერობა რად მინდოდა?
ტრედი ვიყავ, მწყერობა რად მინდოდა?
ერთი[7] მითხარ, ბერობა რად მინდოდა?
ვეჭვობ[8], ჩემის უბედურის[9] დღისაგან არის!
რომელს დავაბრალო, რისაგან არის?
ეს საქმენი ჩემის ჭკვისაგან არის.

აღერ მიღმა ურმებიცა ამართეს,
საფრანგეთის ტურიც საზი გამართეს,
ალთმაშეღი სატარეღოთ[10] წამართვეს,
ამიტომ[11], რომ ერთსა ქოხში სდგებარო![12]
რომელს დავაბრალო, რისაგან არის?
ეს საქმენი ჩემის ჭკვისაგან არის!

საათლამა[13] შეინახე შენთანა...
საჯინიბოს დააყენე ცხენთანა,
ეეღარ წავა ხონთქართან, ყეენთანა[14],
ნაქებია სუფრაშია ჩვენთანა...[15]
რომელს დავაბრალო, რისაგან არის?
ეს საქმენი[16] ჩემის ჭკვისაგან არის![4]

---

[1] თაო CJ. [2] ბოლოს CJ. [3–4] არი CJ. [5] გამოვიდა J. [6] განა ჩემი თავი ქვისაგან არის?—CJ. [7] მიდი CJ. [8] ვეჭობ CJ. [9] უბედურ A. [10] სატარეღოთ CJ. [11] იმიტომ A. [12]+რაც მომიხდა, განუსჯელობით არა CJ. [13] სადათნოვა A. [14] ხონთქარ ყეენთანა J. [15]+ჩემი ჭიანური ხისაგან არის ACJ. [16] საქმე J.

V. S—3686 ხელნაწერში 41—44v-ზე დაცულია ლექსი: „ამისთანა ტყუილი“, რომლის ვარიანტები აღნიშნული აქვს ჭ. ჩიქოვანს*. აი, ეს ლექსი:

„ამისთანა[1] ტყუილი არ გამგონა!
წავედ ვნახე — კარი ღია მეგონა,
დაეძინა, აბანოში ებანა,
ახლა მოდი, გუნაცვალე, მე შენა[2].
არამც თუ შენ, უცხო ვინმე მეგონა,

სურმისათვის გინდა ოქროს მილია,
ქათიბისთვის[3] ლიპანის ღილია.
შენი სული მიხაკია, ჰილია[4]
აბა, მითხარ, რა დროს შენი ძილია,
თვალო, სიზმარში რა მოგეგონა?

დიბის ზარო, ქარქაში განაწევო,
ოქროს სიმო, მართულ გამოსწევო,
რა იქნება ერთს ღამეს რომ გვეწვიო,
დილადღის ესოთ, ვის გეტყვის თუ დაწევო...
ბევრი დაუწვავს, ბევრსაც დასწვავს ეგ ენა[5].

ძირფასისა ყირმიზისა ქსა ვარ,
ჯებეში ნადები უცხო ბია ვარ,
ზარაფუშაით დამებურე, ღია ვარ,
მე შენს სიცხეს ვერ გავუძლებ, ია ვარ,
ყველამ იცის, შენ ვარდი ხარ, მე — კონა.

ყმაწვილსავით[6] ეგ რა ჭინი, ჭანგი გაჭვს?
ხომალდსავით ზღვაცა შუა ლანგი გაქვს,
დამპირე, თრიაქი გაქვს, ბანგი გაქვს,
შენ საოთნაზედ ბევრი[7] ჰახვი გაქვს,
შენ ლამაზო, შენ ბაღდადო, მე მონა!“

VI. ლექსი „გიხდება ზარი, ოქროს ღილები“ გვხვდება S—3686 და H—2130 ხელნაწერებში. მათი ვარიანტული წაკითხვებიც მითითებულია მ. ჩიქოვანის შრომაში**.

ჩვენ მიერ აღნიშნული იქნება ის შემთხვევები, სადაც ტექსტის დადგენისათვის საჭიროდ მივიჩნიეთ გამოცემის წაკითხვა ხელნაწერების მონაცემების საფუძველზე გადესწორებინა.

1. გამოცემაშია: „ერან-თურანი, ადრიბეჟან განაშენია“ (2) — S—3686: „ერან-თურანი, ადრიბეჟანი განა შენია“ (2).

გამოცემაში „განაშენია“ ერთად არის დაწერილი, ხოლო ხელნაწერში — ცალ-ცალკე: განა შენია? 'განაშენი' ნიშნავს 'გაშენებულს', მაგრამ ასეთი მნიშვნელობა კონტექსტის აზრობრივ გაგებას ამუხდოვანებს. ფრაზა: გაშენებული ერან-თურანი და ადრიბეჟანი — სრულიად უაზროდ და განყენებულად გამოიყურება კონტექსტში.

---

* მ. ჩიქოვანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 94.

** იქვე, გვ.93.

[1] ასეთი A. [2] დაეძინა, აბანოში ებანა... უცხო ვინმე მეგონა—A. [3] ქაბისათვის C. [4] მიხაკი და ჰილა A. [5] დიბის ზარო... ბევრსაც დასწვავს ეგ ენა — A. [6] ყმაწვილივით A. [7] შენ საოთნაზედ ბევრი] სადათნაზე უფრო ბევრი A.

ამდენად, თითქოს უფრო მისაღებია' განა შენია?' ცალ-ცალკე დაიწეროს და სათანადო კითხვითი ნიშნის დასმით ასეთი გაგება იქნება: „ერან-თურანი, ადრიბეჯან განა შენია?“, მაგრამ ვფიქრობთ, ეს ადგილი უნდა შესწორდეს სხვანაირად: „ერან-თურანი, ადრიბეჯან განაშენია“, ჩვენის აზრით, წინა ტაეპში ნახმარ „თანა შენიას“ უშუალო გაგრძელებაა. ეს კონტექსტი აზრობრივად ასე გვესმის: გიხდება—ზარი, ოქროს ლილი, თანა შენია ერან-თურანი, ადრიბეჯან განაშენია“, ე. ი. „თანა შენია“ მძიმით არ უნდა გამოიყოს მომდევნო 'ერან-თურანისაგან'... რადგან ისინი ერთ ფრაზას წარმოადგენს. როგორც ჩანს, ერან-თურანი და ადრიბეჯანი ეკუთვნის იმ პირს, რომელსაც მიმართავს პოეტი. ლექსის ადრესატი რომ დიდგვაროვანია, აშკარად ჩანს ლექსის სხვა ადგილებიდან: მას მოახლეები ახლავს (6), მორთულია უძვირფასეს სამოსში (ყალამქარი, ატლასი, ზარბაბი) (19) და ბოლოს, ლექსის უკანასკნელი სტრიქონები, სადაც პოეტს აუხდენლად მიაჩნია თავისი ოცნება, რადგან „რა გატირებს, ვინ მოგცემს შენა? ტახტი თოუზი ინდის მეფის ანაშენია“.

ამდენად, არ უნდა გავვიკვირდეს ასეთი დიდგვაროვანი არსებისადმი მიმართვა: ერან-თურანი, ადრიბეჯან შენია.

აქედან გამომდინარე, ჩვენის აზრით, უნდა მოიშალოს სასვენი ნიშანი „თანა შენიას“ შემდეგ, ხოლო, „განაშენი“ უნდა დაიწეროს ერთად.

2. „გაშლილა ბ ა ღ ი, გ ა მ ო ბ რ ძ ა ნ დ ი მოახლებითა!“ (6) — „გაშლილა ვ ა რ დ ი, მ ო ბ რ ძ ა ნ დ ი ბ ა ღ შ ი მოახლებითა“.

3. „ბ რ ო ლ ი ს მ ი ნ ა ს დ ა ბ რ ო ლ ი ს ს უ რ ა ს გიგავს ყელია“ (11), S—3686: „ბ რ ო ლ ი ს მ ი ნ ა ს დ ა ს უ რ ა ს ჰ გ ა ვ ს შენი ყელია“ (11) — H—2130: „ბ რ ო ლ ი ს ყ ა რ ყ ა რ ა მ ი ნ ა ს გიგავს შენი ყელია“ (2).

მხატვრული თვალსაზრისით ყველაზე ჰარმონიულია H—2130 ნუსხის წაკითხვა: ლექსის დინამიზმი ამ ვარიანტში უფრო სრულყოფილია, ამდენად, ვფიქრობთ, ეს ადგილი ამ ვარიანტის მიხედვით უნდა გაიმართოს.

H—2130 ვარიანტი გამოირჩევა მთელ რიგ ადგილთა მეტობა-ნაკლებობით. იგი ძალზე დაშორებულია სხვა ვარიანტებისაგან.

ამიტომ, ტექსტის დადგენისას H—2130 ვარიანტს მივმართავთ მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა ზიარ ადგილებში გამოცემასა და S—3686 ხელნაწერთან იგი ვარიანტულ სხვაობას ავლენს.

მოგვაქვს ლექსი ვარიანტებით:

გიხდება[1] ზარი, ოქროს ლილი[2], თ ა ნ ა[3] შ ე ნ ი ა
ე რ ა ნ-თ უ რ ა ნ ი, ა დ რ ი ბ ე ჯ ა ნ ი[4] გ ა ნ ა შ ე ნ ი ა,
მოდი, ნუ მომკლავ, ხელთ გიჭირავს დანა შენია,
ბულბული სტირის, დაგიცია მანა შენია[5],
მიჯნურსა[6] სძინავს, შესმენია ნანა შენია...

გაშლილა ვ ა რ დ ი: მ ო ბ რ ძ ა ნ დ ი ბ ა ღ შ ი მ ო ა ხ ლ ე ბ ი თ ა![7]
ბულბული გალობს, მოგახსენებს: დილა ნებითა!
თვალად ლამაზო, რამ გაგზარდა ტან-დიდებითა?
ბევრი მოგიკლავს, მეც მომღალე შენის ქებითა,
ლექსები კარქი, ასორმოცი ხანა შენია.

ბ რ ო ლ ი ს ყ ა რ ყ ა რ ა მ ი ნ ა ს გ ი გ ა ვ ს შ ე ნ ი ყ ე ლ ი ა[8],
რად გინდა სარკე? სახე სავსე მთვარე მთელია,

---

[1] გაცვია K. [2] ლილვი C, პირია K. [3] ტანა K. [4] ადრიბეჯან A. [5] ბულბული ტირის ვარდი ჩივის ლილა ჩეშისა (14) K. [6] მიჯნურისა K. [7] გაშლილა ვარდი მობრძანდი ბაღში მოახლებითა] გაშლილა ბაღი, გამობრძანდი მოახლებითა A. [8] ბროლის ყარყარა მინას გიგავს შენი ყელია] ბროლის მინას და ბროლის სურას გიგავს ყელია A, ბროლის მინას და სურას ჰგავს შენი ყელია C.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზილუებისათუის ხელთ[9] ეიჭარავს მაკრატელია,
მე რაზედა მკლავ, რა ვერჩოლე, რა სახელია.
ან რაზედ მომკლავ[10], ჩემი თავი განა შენია?

ჰე[11], უსიკვდილოდ არ იქნება ჩემი მორჩომა,
სულ ქვეყანა რომ ჩემი იყოს, არა მაქვს ნდომა!
ჰე, საყვარელო, უცხოდ გმვენის[12] შენ ეგ მორთომა,
ყალანქარისა, ატლასისა, ზარბაბის ზომა...
არ მომიპარავს, მიპოვნია შანა შენია!

წაიმართი სიტყვა არ იცოდი, ვინ მოგაჩვენა?[13]
ვინ მოგიტანა, ვინ გაჩვენა ვარდის გაფენა?[14]
ტურფა ზარიფო, შენსა ქებას ვერ იტყვის ენა[15],
მო, საოთნო[16], რა გატრებს, ვინ მოგცემს შენა?
ტახტი თოუზი ინდის მეფის ანაშენია“[17].

VII. ლექსი „ბაღი ბულბულით ავსილა“ გვხვდება H—1999 ხელნაწერში. ხელნაწერი წარმოადგენს ხალხური სიმღერების კრებულს, დათარიღებულია მე-19 საუკუნით. ლექსს ბოლოში აქვს მინაწერი: „ივერია“, 1877 წლ. № 30.

ცნობილია, რომ საიათნოვას ეს ლექსი გამოქვეყნებული იყო „ივერიაში“ 1877 წელს. მაგრამ, დაუშვებელია, რომ H—1999 ნუსხის შემდგენელს იგი გაზეთიდან გადაეწერა, და აი, რატომ: ი. გრიშაშვილმა თავის გამოცემაში დასახელებული ლექსი სწორედ ილ. ჭავჭავაძის „ივერიიდან“ შეიტანა, ხოლო H—1999 ხელნაწერში დაცული ლექსი ვარიანტულად აშკარად განსხვავებულია ი. გრიშაშვილის გამოცემისაგან.

1. გამოცემაში იკითხება: „ბაღი ბულბულით ავსილა, ვარდსა რაზი არ აკლია“ (1) — „ბაღი ბულბულით ავსილა, ვარდს ეკალი არ აკლია“ (1).

ხელნაწერის ვარიანტი აშკარად გვიანი დროის შესწორებაა. ჩამწერმა ალბათ ვერ გაიგო „ვარდსა რაზი არ აკლია“ ფრაზაში რაზი'ს მნიშვნელობა და თავისებური შესწორება შეიტანა ტექსტში: „ვარდს ეკალი არ აკლია“. 'რაზი' სპარსულია და 'ფერადოვნებას', 'ფერს' ნიშნავს. ასეთი მნიშვნელობა სრულიად მისაღებია კონტექსტისათვის. „ვარდსა რაზი არ აკლია“ ნიშნავს: 'ვარდს ფერადოვნება არ აკლია'.

2. „აწ დაშვენდა ია-ვარდი, ზედ ლამაზი არ აკლია“ (2) — „გაფენილა ია-ვარდი, ზედ ლამაზიც არ აკლია“ (2).

ხელნაწერების „გაფენილა ია-ვარდი“ უდავოდ უფრო ბუნებრივი ჩანს კონტექსტში, ვიდრე „აწ დაშვენდა ია-ვარდი“. საერთოდ, — აწ-ნაწილაკი არ არის დამახასიათებელი საიათნოვას პოეტური ლექსიკისათვის.

3. „უცხოდ ხარობს ასამინი, ძილს სარაზი არ აკლია“ (3) — უცხო ხარობს იასამანი, ძირს ვაზიც არ აკლია“ (3).

გაუგებარია, რას ნიშნავს გამოცემის „ძილს სარაზი არ აკლია“? ეს ფრაზა კონტექსტში, სადაც ბაღსა და ყვავილებზეა ლაპარაკი, სრულიად უადგილოდ

---

[9] მზად C. [10] მამკლავ C. [11] ჰე — C. [12] გიხდება C. [13] მოგეჩვენა C. [14] ვინ გაჩვენა ვარდის გაფენა] ვინ გასწავლა შაჭრისა ენა? K. [15] ტურფა... ენა] რისთვის დადუმდა შენი ქარჩა ბულბულის ენა? C. [16] საათნოვავ A. [17] ტახტი ტოზუბის ინდოეთსა განა შენია? K.

გამოიყურება. რაც შეეხება ხელნაწერის „ძირს ვაზიც არ აკლია“ — ამ ფრაზას უკვე გარკვეული შინაარსეული მნიშვნელობა აქვს და არ ეწინააღმდეგება კონტექსტის საერთო აზრს: ბაღში გაშლილია ია-ვარდი, იასამანი და ვაზიც კი არ აკლია.

ამიტომ, ეს სტრიქონი უნდა გასწორდეს ამ სახით: „უცხო ხარობს იასამანი, ძირს ვაზიც არ აკლია“.

4. „რომელ ერთხელ გენაცვალო, განა რამდენი თავი მაქვს?“ (7) — „რომელ ერთი განაცვალო, ნეტარ რამდენი თავი მაქვს“ (11).

უფრო გამართლებული, ვფიქრობთ, ხელნაწერის წაკითხვაა, შინაარსეულად იგი უფრო გამართულია. საჭიროა, ეს ადგილიც ხელნაწერის ვარიანტის მიხედვით შესწორდეს.

5. „კბილები მარგალიტში გაქვს, ინდის პილპილი ხალშია“ (22) — „პირი-სახე მთვარეს გიგავს, ჰინდის პილპილი ხალშია“ (21).

ძნელია თქმა, თუ ამ ვარიანტულ სხვაობათაგან რომელია ავტორისეული. ორივე პოეტური სახე თანაბრად დამახასიათებელია საიათნოვას პოეზიისათვის. მაგრამ პოეტურობის თვალსაზრისით ხელნაწერის ვარიანტი უფრო მაღალმხატვრულია და ამდენად, ჩვენც მას ვსტოვებთ ძირითად ტექსტში.

6. ასევე საეჭვოანი ვითარებაა შემდეგი ვარიანტული სხვაობის მიმართ: „ფაჰლევანთა მომრევი ხარ, ნაქები როსტომ-ზალშია“ (23) — „ნაქები ხარ იაგუნდშია, ალმასშია და ლალშია“ (22).

მათგან რომელი უფრო მეტად ატარებს საიათნოვას პოეტურ მეობას?

ვარიანტულ სხვაობებს ქმნის ის ფაქტიც, რომ შეცვლილია ზოგიერთი ტაეპის ადგილი. მაგ.: „წმინდა სანოლები შამდანში, ზირანდაზიც არ აკლია“ გამოცემაში მე-4 სტრიქონია, ხელნაწერში — მე-14; „ტრიალებს ოქროს თასები, ლელუმ ნაზი არ აკლია“ გამოცემაში მე-15 სტრიქონია, ხელნაწერში — მე-19. ლექსში ასევე შეცვლილია სტროფების თანმიმდევრობა. გამოცემის მე-2 სტროფი ხელნაწერში მე-3 სტროფად გვხვდება და პირიქით.

ტაეპთა და სტროფთა ეს მონაცვლეობა არ ცვლის ლექსის შინაარსეულ მხარეს.

„ბაღი ბულბულით ავსილა, ვარდსა რაზი[1] არ აკლია,
გაფენილა[2] ია-ვარდი, ზედ ლამაზიც[3] არ აკლია,
უცხო[4] ხარობს იასამანი[5], ძირს ვაზიც[6] არ აკლია,
წმინდა სანოლები შამდანში, ზირანდაზი არ აკლია[7],
მეიდანი გამართული, ქანდირ-ბაზიც[8] არ აკლია.

არ გეწყინოს, ჩემო კარგო, სატყუარაც იგივე მაქვს,
რომელ ერთი განაცვალო, ნეტარ რამდენი თავი მაქვს?[9]
მუდამ შენს[10] სამსახურში ვარ, არა სთქვა პირი შავი მაქვს,
ამოდამ ჩვენსა მობრძანდი, ერთი კარგი ამბავი მაქვს,
სულ ქვეყანა ჩვენსა არის, რომ ბაზარი არ აკლია![11]

---

[1] რაზი] ეკალი C. [2] აწ დაშვენდა A. [3] ლამაზი A. [4] უცხოდ L. [5] ასამინი A. [6] ძირს ვაზიც] ძილს სარაზი A. [7] წმინდა... არ აკლია L. [8] ქანდირბაზი A. [9] რომელ ერთხელ გენაცვალო, განა რამდენი თავი მაქვს? A. [10] თქვენს L. [11] სულ ქვეყანა... არ აკლია] წმინდა სანოლები შამდანში, ზირანდაზიც არ აკლია L.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადგან[12] სოფელს ასე მოსდევს, ულხინოთაც[13] არ იქნება,
შენი ქება და დიდება[14] უენოთაც არ იქნება,
მარანისა ტუმბო სავსე[15], უდენოთაც არ იქნება,
მეჯლიში გამართულია[16], უშენოდაც არ იქნება,
ტრიალებს ოქროს თასები, ლეილუმ ნაზი არ აკლია![17]

ხელმწიფესაც არ უქნია როსტომ-ზაალისათვინა,
ნიშნობა კა ქორწილი[18] თავისი[19] ქალისათვინა!
რაც რომ გადამხდა[20] თავზედა, სულ იმ მაღალისათვინა[21],
ლეილუმის[22] ქამანჩისა, დოულ[23] ყავალისათვინა,
გარს უსხედან მომღერალნი, სანთურ-საზი არ აკლია![24]
ტანი ტურფა[25] ლერწამს გიგავს, მორთული[26] ქირმანშალშია.
პირისახე მთვარეს გიგავს[27], ჰინდის პილპილი ხალშია,
ფაჰლევანთა მომრევი ხარ, ნაქები როსტომ-ზალშია[28],
თუ ჩვენსა არ მობრძანდები, წავიდეთ სამართალშია.
სავათნავას[29] სახელმწიფო[30] შაჰ-ბაზ ყენიც[31] ირაკლია.

VIII. ლექსი „დიბისა ლობდანის ბაზაზიანო“ გვხვდება S—3686 ხელნაწერში, გვ. 39—41. გამოცემისაგან განსხვავებით, აქ გადაადგილებულია ორი ტაეპი: „მტკვარო არეულო, არაზიანო, მე შენ ვერ გაგიძლებ, მიზეზიანო“ გამოცემაში პირველი და მე-2 ტაეპია, ხელნაწერში — მე-5 და მე-6.

იმავე ლექსის პირველი სტროფია შენახული მხოლოდ S—1543-ში.

„მტკვარო ამღვრეულო[1], არაზიანო,
მე შენ ვერ გაგიძლებ, მიზეზიანო[2],
დიბისა ლობდანის[3] ბაზაზიანო,
სირმის, აბრეშუმის[4] ყაზაზიანო,
თვალები, წარბები ლამაზიანო,
მე რა მაბადია, რა მაზიანო.

*

ზოგი კაცი ღვინის სმას ეხვეწება,
ზოგი მეჯლისისას[5] ზმას ეხვეწება,
ჩემი ენა გამოთქმას ეხვეწება,
გული მას სტირის[6], მას ეხვეწება —
დაეხსენ[7] ჩემს ვარდსა, კრაზანიანო![8]

*

შენსა ქებას[9] საწერელი ზღვა უნდა,
შენს შემხედავს თავში რაღა ჭკვა უნდა?
განა საყვარელი სხვადასხვა უნდა?
შენი ნახვა სულ ქვეყანას[10] მოუნდა,
გამოდი ღრუბლიდამ, მზე[11] ნაზიანო!

---

[12] რა ხან B. [13] ულხეროთაც A. [14] შენი ქება და დიდება] შენი ქება, შენი ხვეწნა L. [15] მარანის ტუმბო სავსეა L. [16] თუ მეჯლისი მორთულია A. [17] ტრიალებს... არ აკლია] სულ ქვეყანა ჩვენსა არის, რომ ნაზაზიკარ აკლია L. [18] ნიშნობა და ქორწილიკა A. [19] თავისის L. [20] გარდამხდა L. [21] სულ იმ მაღალისათვინა] ტანად მაღალისათვინა L. [22] ლეისა L. [23] დუხტურ L. [24] გარს უსხედან... არ აკლია] ტრიალებს ოქროს თასები, ლეილუმ ლაზიც არ აკლია L. [25] ~ ტურფა ტანი A. [26] მორთულხარ A. [27] კბილები მარგალიტში გაქვს A. [28] ფაჰლევანთა... როსტომ-ზალშია] ნაქები ხარ იაგუნდშია, ალმასშია და ლალშია L. [29] საათნოვას A. [30] ხელმწიფე A. [31] ყენ შაჰბახი A.

[1] არეულო C. [2] ~მტკვარო... მიზეზიანო მე-5 და მე-6 სტრიქონია C-ში. [3] დიბისა ლობდანო A. [4] სირმა-აბრეშუმო A. [5] მეჯლისის A. [6] ტირის C. [7] დაეხსნეს C. [8] კრაზიანო C. [9] შენის ქების C. [10] ~სულ ქვეყანას შენი ნახვა A. [11] მზევ A.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოდი, დამიჯერე, ბაღდადის წერო,
ინდოეთის თუთისავით[12] იმღერო,
რა იქნება, ერთხელ მეც დამიჯერო,
ფარჰადის[13] ბებერო, შირინის მტერო,
შენ ვით[14] მიჯნურო, შე ბარაზიანო![15]

*

ვაი თუ ერთი რიგი ნარდი გასწიო,
მარდი მოჰკლა და ნამარდი გასწიო,
ბულბული ატირო, ვარდი გასწიო,
ნეტა[16] რომელ ერთის დარდი გასწიო?
ბეჩავ, საოთხაო![17], თავბზიანო![15]

IX. ლექსი „შავი მაყვალივით თვალებიანო“ დაცული აქვს S—5190 ხელნაწერს (ამ ლექსის შესახებ იხ. გ. ლეონიძე, მგოსანი საათნავა, გვ. 60).

X. ლექსი „ზღვას ვით გააშრობს“ გვხვდება შემდეგ ხელნაწერებში: H—1926, H—1127 2r.

სრული სახით ეს ლექსი დაცულია H—1926 ნუსხაში, 39r—39v. ხელნაწერი ლექსების კრებულია, XIX—XX საუკუნისა, შემკრები ალ. მირაქიშვილი. ლექსს აქვს მინაწერი: „საიათნოვას ერთი იშვიათი ლექსი, ნათქვამი ჩღნა წ. — 1751 წ.“

ამ ლექსის ვარიანტული სხვაობების აღნიშვნის მიზნით საინტერესოა შევუდაროთ მას ლიტერატურული მუზეუმის ერთ ხელნაწერში დადასტურებული ვარიანტი. ეს არის 12626 — 6 ხელნაწერი.

ამ ხელნაწერში დასახელებული ლექსის სტროფებში, კერძოდ, მე-2 და მე-3 სტროფებად ჩართულია ორი სტროფი სხვა ლექსიდან, კერძოდ იმ ლექსიდან, რომელსაც ი. გრიშაშვილის გამოცემაში ეწოდება „ზოგ-ზოგი კაცი“. ეს სტროფებია ი. გრიშაშვილის გამოცემის პირველი და მე-4, რომლებიც გარკვეული ცვლილებებით არის ლიტერატ. მუზეუმის ხელნაწერში. ეს ლექსები შინაარსობრივ ძალზე ახლოსაა ერთმანეთთან და ალბათ ამან განაპირობა გადამწერთა, თუ ჩამწერთა მხრივ ორი დამოუკიდებელი ლექსის გაერთიანება*.

ამ ზედმეტი ორი სტროფის გარდა ლექსის მოცულობა H—1926 ხელნაწერსა და ლიტერატ. მუზეუმის ხელნაწერში ერთია, ოღონდ ისინი ერთმანეთისაგან და გამოცემისაგან განსხვავდებიან როგორც სტროფების თანმიმდევრობით, ისე ზოგ ადგილთა ვარიანტული განსხვავებით.

განსხვავებული წყაროხვები ასეთია:

1. „ზღვას ვით გააშრობს ვარსკვლავის სხივი“ (1) — H—1926: „ზღვას როგორ გააშრობს ვარსკვლავის სხივი“ (1) — ლიტ. მუზ. ხ.: „ზღვას როგორ დააკლებს ხმელეთის სიცხე“ (19); 2. „თუ გინდ თევზი დაკლა — არ დაიყვირებს“ (13) — H—1926: „თევზი თუ გინდ დაკლა, არ დაიყვირებს“ (5) — ლიტ. მუზ. ხ.: „რა გინდ თევზი დაკლა, არ დაიყვირებს“ (21); 3. „ჭიქას არ ედება ალმასის ფასი“ (7) — H—1926: „ჭიქას არ მისცემენ სპილენძის ფასი“ (11) — ლიტ. მუზ. ხ.:

* მსგავსი სურათი ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში დაცულ საათნოვას სომხურ ლექსებშიც დადასტურდა.

[12] თუთისავით A. [13] ფერჰადის A, ფარადის C. [14] აი C. [15] ბარაზიანო C. [16] ნეტარ C. [17] საჲათნოვაჲ A.

„ჭიქას არ მისცემენ ალმასის ფასი“ (15); 4. „რა გინდ მაღლა თახჩაშიაც შეიწყოს“ (12) — H—1926: „რა გინდ მაღლა სარკმელში შაიწყოს“ (16) — ლიტ. მუზ. ხ. „თუ გინდ მაღლა თახჩაშიაც გაეწყოს“ (5); 5. „თუ გინდ გაათეთრო სპილენძის თასი, სპილენძი ერთია, ვერცხლი — ათასი“ (5, 6) — „თუ გინდ დაიფასო სპილენძის ფასი, ვერცხლი ერთი არის, ოქრო — ათასი“ (13, 14); 6. „ნურვინ იტყვით — ეს ყმაწვილი ვინა ვარ“ (17) — H—1926: „ეს ნუ იტყვი — საზანდარი ვინა ვარ?“ (17) — ლიტ. მუზ. ხ.: „თუ იკითხოთ ეს ყმაწვილი ვინა ვარ!“ (25).

საიათნოვას ამ ლექსის ვარიანტების ურთიერთშეჯერებით ირკვევა, რომ გამოცემის ტექსტი წარმოადგენს უკეე დადგენილ სრულ ტექსტს, გარდა ერთი ადგილისა. ეს არის: „თუ გინდ თევზი დაჰკლა — არ დაიყვირებს“ (13). ხელნაწერის ვარიანტი უფრო გამართულია აზრობრივადაც და ლექსის რიტმის თვალსაზრისითაც: „თევზი თუ გინდ დაჰკლა — არ დაიყვირებს“.

რაც შეეხება H—1127 ხელნაწერს, აქ მხოლოდ ფრაგმენტებია დაცული: ოთხი 2-2 ტაეპისაგან შემდგარი სტროფი. ეს სტროფები მინაწერად არის 2r-ზე.

ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერის მსგავსად აქაც შერეულია ტაეპები ორი ლექსიდან: „ზღვას ვით გააშრობს“ და „ზოგ-ზოგი კაცი“. ხელნაწერი წარმოადგენს დიმიტრი ბაგრატიონის ლექსებისა და პროზის კრებულს. როგორც ჩანს, გადამწერს ზეპირად ჩაუწერია საიათნოვას ლექსის ეს ფრაგმენტები.

გამოცემის ტექსტთან შედარებისათვის მოგვყავს H—1926 ნუსხის ვარიანტი:

„ზღვას ვით[1] გააშრობს ვარსკვლავის სხივი,
მტკვარი ცხრილით როგორ უნდა აირწყოს?[2]
ქარი რას დაკლებს ქვეთკირის კლდესა,
თუ გინდ წლის-წლობამდისმ[3] ქროლა დაიწყოს?!

თუგინდ[4] გაათეთრო სპილენძის თასი,
სპილენძი ერთია, ვერცხლი — ათასი!
ჭიქას არ ეღება ალმასის ფასინ,
თუ გინდ ოქროს ბეშუდშიაც[5] გაიწყოს!

ზოგ-ზოგი კაცია ეშმაკის მუშა,
ეშმაკის ნაშენი ღმერთმა[7] დაფუშა,
გოგრა არ გახდება შირაზის შუშა,
რა გინდ მაღლა თახჩაშიაც[8] შაიწყოს!

თევზი თუგინდ დაკლა[9], არ დაიყვირებს,
ფეხთ პინის დადება რათ უნდათ ვირებს?
ქვეშა ბამბის ალაგს ვერ[10] დაიჭირებს,
თუგინდ[11] ყუთინს საბანშიაც[12] ჩაიწყოს!

ნურვინ იტყვით — ეს ყმაწვილი ვინა ვარ![13]
ანაბანა ვიცი, სიტყვით წინა ვარ,
საიათნოვა მქვიან, არუთინა ვარ
სიტყვას ვიტყვი, ცამ ქუხილი დაიწყოს!“

---

[1] როგორ M. [2] აიწყოს M. [3] წლის წლამდისა M. [4] რაკიდ MA. [5] ჭიქას არ... ფასი] ჭიქას არ მისცემენ სპილენძის ფასი M. [6] ბეშდშია M. [7] ღმერთმან. M. [8] სარკმელშია M. [9] თუ გინდ თევზი დაჰკლა A. [10] არ M. [11] რაგინდ A. [12] სა'ანშია M. [13] ნურვინ იტყვით... ვინა ვარ] ეს ნუ იტყვი საზანდარი ვინა ვარ M. [14] A-ს მე-4 სტროფი M-ში მე-2 სტროფია.

XI. S—3723 ხელნაწერში 40v—41r-ზე მოთავსებულია ლექსი: „არავსა გავსდოთ ხიდია". ლექსს აქვს მინაწერი: „ჰაბუა დიანბეგს ყაფლანიშვილს ქორწილი რომ უყვეს მუხრან-ბატონის ქალზედა და შეიყვანეს მეფე-დედოფალი დასასხმელად, საათნავა იქ იყო, გიორგი ბატონიშვილს ახლდა, ჰაბუას რომ შეხედა, ჩაჯაგული, სქელი, კუზიანი და ბეჭ-მუცელ მრუდე და ქალი დიაღ მაღალი, მაშინ სთქვა წყობილი".

აი, ეს ლექსი:

„არავსა გავსდოთ ხიდია,
აქლემს ხურჯინი ჰკიდია,
ეს დარბაზი რა დიდია!
ჯო, ჰო! ჯო, ჰო!

აღარ ვიტყვი ამის მეტ,
თუნდა წელში დამკარ კეტ,
მარგალიტი გასახვრეტ ...
ჯო! ჰო!"

* * *

ამ სახით არის წარმოდგენილი საიათნოვას ქართული ლექსები ხელნაწერებში. მნიშვნელოვანი ვარიანტული სხვაობანი, რომელნიც ნუსხებშია წარმოდგენილი, განაპირობა საიათნოვას პოეტური ქმნილებების ზეპირად გავრცელების ტრადიციამ. მათი გათვალისწინება აუცილებელია პოეტის ლექსების სრული აკადემიური კრებულის გამოცემისათვის. ჩვენ შევეცადეთ, ვარიანტების ურთიერთშეჯერებისა და მათი გამოცემასთან შედარების გზით წარმოგვედგინა საიათნოვას ლექსების დადგენილი ტექსტი.

ცალკეა შესწავლილი და შემდგომ კვლევას მოითხოვს ის საკითხიც, რომ ზოგჯერ ხელნაწერთა გადამწერნი საიათნოვას მიაწერენ სხვა პოეტის სტეფანე მკერვალის ლექსებს (იხ. ხელნაწერები — 1543, 80r—81r; 81v—82r; S—3723 41v; H—1969).

ადვილი მოსალოდნელია, რომ შემდგომი კვლევის პროცესში გამოვლინდება ახალი მასალა, რომელიც მეტ სინათლეს შეიტანს საიათნოვას პოეტური მემკვიდრეობის შესწავლის საქმეში.

М. А. РАПАВА

ГРУЗИНСКИЕ СТИХИ САЯТ-НОВА

(по фондам Института рукописей)

(Р е з ю м е)

Грузинские стихи известного ашуга Саят-Нова имеют огромное значение в деле изучения его поэтического наследства. Как известно, автограф грузинских стихов поэта не сохранился. Грузинские стихи разбросаны по разным рукописям. Некоторые из них стали известны по фольклорным записям.

В нашей статье рассматриваются грузинские стихи Саят-Нова, хранящиеся в фондах Института рукописей им. К. С. Кекелидзе АН Грузинской ССР. Как выявило изучение рукописных сборников, грузинские стихи поэта до сих пор не были полностью изучены.

В рукописях были обнаружены два стихотворения (одно—грузинское, другое—армянское), которые до сих пор не были опубликованы. Неизвестное грузинское стихотворение встречается в рукописи № 523, фонда—А. Как видно, стихотворение подвергнуто определенным изменениям, оно дефектно. Все это говорит в пользу того, что оно является записью распространенного устным образом стихотворения.

Помимо этого стихотворения, остальные грузинские стихи уже известны по публикациям. Эти стихотворения рассматриваются по тем вариантным особенностям, которые характерны для каждого из них. Вследствие этих вариантных разночтений, некоторые стихи являются самостоятельными вариантами. Эти вариантные разночтения обусловлены традицией устного распространения стихов поэта.

Установление и изучение вариантных разночтений грузинских стихов, весьма значительно и необходимо для опубликования полного академического сборника стихов Саят-Нова.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარეჯან მეგრელაძე

იონა ხელაშვილის ბიოგრაფიისათვის

XIX საუკუნის პირველ ნახევარში რუსეთში გადასახლებულ ქართველ მოღვაწეთა შორის საპატიო ადგილი უკავია „გონება ვრცელსა“ და „შორს გამჭვრეტელ“ იონა ხელაშვილს.

მისი პიროვნების შესახებ ბიოგრაფიული მასალა ერთად თავმოყრილი და გამოცემული ჯერჯერობით არ გვეგულება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ნ. ბარნაბიშვილის წერილს „ბერი იონა ხელაშვილი“[1], რაც გამოყენებული აქვს აკად. ქ. კეკელიძეს ქართული ლიტერატურის ისტორიის პირველ და მეორე გამოცემებში[2].

იონას ბიოგრაფიისათვის დიდძალი მასალაა მისსავე ავტობიოგრაფიულ ნაწარმოებში „რონინში“[3], მის საკმაოდ მრავალრიცხოვან ხიზულებებში, იონას პირად მიმოწერაში ნაცნობ-მეგობრებთან თუ ნათესავებთან და ა. შ. იონას ბიოგრაფიისათვის შეიძლება მასალა ამოიკრიფოს იოანე ბატონიშვილის „კალმასობიდანაც“, რომლის მთავარ მოქმედ პირად იონა ხელაშვილია გამოყვანილი.

იონა ხელაშვილის ბიოგრაფიისათვის მნიშვნელოვანი დოკუმენტია დაცული აკად. ქ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში. ეს დოკუმენტი „მოწმობისა წერილს“, ანუ იონა ხელაშვილის პირადობის მოწმობას წარმოადგენს. იგი იონასათვის 1832 წლის 17 მარტს უბოძებიათ საქართველოს დედოფალს მარიამს და ბაგრატ, თეიმურაზ, მიხეილ, ილია, ოქროპირ და ირაკლი ბაგრატიონებს[4].

ამ საბუთს გასცნობია აკად. ქ. კეკელიძე, ვიდრე მას მუზეუმი შეიძენდა, რის საფუძველზედაც პატივცემულ მკვლევარს ქართული ლიტერატურის ისტორიის მესამე გამოცემაში შეუსწორებია იონა ხელაშვილის ბიოგრაფია[5].

---

[1] „სახალხო გაზეთი“, 1911, №№ 347—348.

[2] ქ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, წიგნი I. პირველი გამოცემა—1923, გვ. 434—440; მეორე გამოცემა—1941, გვ. 369—372.

[3] ხელნაწ. ინსტ., S—233. ნ. მ ა ხ ა თ ა ძ ე, იონე ხელაშვილის „რონინი“, აკად. ქ. კეკელიძის 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ. 1959.

[4] ხელნაწ. ინსტ., Qd—7967.

[5] ქ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, თბ., 1951, გვ. 376—379.

ეს საბუთი, ან ამ საბუთის პირი, ხელთ უნდა ჰქონოდა (სხვა საბუთებთან ერთად) ნ. ბარნაბიშვილს, როდესაც იგი იონა ხელაშვილის ბიოგრაფიას წერდა[6].

აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული საბუთიდან ჩანს, რომ ხელაშვილები ვაჭრის მკვიდრნი არიან და „უძველესის დროჲთ საკუთარნი სამეფონი და ერთგულნი წარჩინებულნი და მიჩნეულნი ყმანი მეფეთა ტახტისანი“[7].

ხელაშვილები რომ მეფეებისათვის „მიჩნეული ყმანი“ იყვნენ, ამას ადასტურებს 1777 წ. მეფე ერეკლეს, დედოფალ დარეჯანის და ბატონიშვილების მიერ ხელაშვილისადმი ბოძებული სიგელიც, სადაც ჩამოთვლილია ხელაშვილთა დამსახურება მეფეთა წინაშე, რის გამოც „ერთგულნი და სარწმუნონი მონანი“ — ხელაშვილები, გაუჯნაურებიათ[8].

გაჯნაურებული ხელაშვილები რომ იონას ახლო ნათესავები იყვნენ, ამას ადასტურებს როგორც იონასადმი ბოძებულ „მოწმობის წერილში“, ისევე გაჯნაურებისათვის ბოძებულ სიგელში მოთხრობილი ამბების თანამთხვევა.

1777 წ. გაცემულ სიგელში მოთხრობილია, რომ ანა დედოფალმა[9] აიყვანა ყრმა დიმიტრი ხელაშვილი, „შუშნიერ ჭმოვანი“, „რათა ტკბილმგალობელ ყოფად აღზარდოს იგი“[10].

ამავე ცნობას გვაწვდის იონასადმი 1832 წელს ბოძებული საბუთიც[11].

1777 წელს მეფის ოჯახს აზნაურობა დაუმტკიცებია იოსების, მისი ძეების დიმიტრი, ლონგინოს, ნიკოდიმოს და მათი ბიძის ძის დიაკონ გიორგი ხელაშვილებისათვის. ამ საბუთში მოხსენიებული იოსების დიმიტრი ხელაშვილის შვილი ყოფილა: „ღმუდელი იოსებ, ძე თქმულისა მის მღდელისა დიმიტრისა“ — გვამცნობს საბუთი. ამავე საბუთში იხსენიება ნიკოლოზი, „მამა დიაკონისა გიორგისა“. ეს ნიკოლოზი ძმისწული ყოფილა ხსენებული დიმიტრისა: „ძმისწული მრავალგზის აქა თქმულისა მის დიმიტრისა“.

მაშასადამე, ანა დედოფლის გაზრდილ დიმიტრის ჰყოლია ძმა (ნიკოლოზის მამა), რომლის სახელიც ამ საბუთში არ ჩანს.

1777 წლის საბუთში არ იხსენიება იონას პაპა დავითი.

1832 წლის საბუთში კი ჩანს, რომ იონას პაპა დავითი თან ხლებია თეიმურაზს და ერეკლეს სპარსეთში და „ერთგულებითა და მამაცობით უმსახურნიეს მეფეთათვის“.

ნ. ბარნაბიშვილს თავის სტატიაში მოჰყავს ერთ-ერთი საბუთი, რომელიც, ჩანს, მას ხელთ ჰქონია. ამ საბუთის მიხედვით, მეფე იმამყულიხანი და დედო-

---

[6] ამაში დაეჭვნენდით ჩვენი საბუთისა და ნ. ბარნაბიშვილის წერილში მოტანილი ფაქტების შეჯერების დროს.

[7] Qd—7967.

[8] Ad—904. პირი. ეს დოკუმენტი გამოქვეყნებული აქვს პ. კარბელაშვილს წიგნში— „ქართული სიგრა და სასულიერო კილოები“, 1898 წ. როგორც ჩანს, გამომცემელს ხელთ ჰქონდა საბუთის დედანი.

[9] იგულისხმება ნაზარალიხანის მეუღლე. ერეკლე II მას „ბებიად“ იხსენიებს.

[10] Ad 904.

[11] Qd — 7967.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფალი ფერიჯანბეგუმი წყალობას აძლევენ ხელაშვილ დემეტრეს და მის ძმას დათუნას[12].

მაშასადამე, ამჯერად ცნობილი ხდება დიმიტრის ძმის სახელი.

ჩვენ ზუსტად ვიცით იონას მამის სახელი — გიორგი, რომელიც იყო დავითის შვილი. „პაპა შენი დავით, რომელიცა მამა მამისა შენისა არს“, მაგრამ არ ვიცით იმავე დავითს ჰყავდა თუ არა მეორე (ან პირველი) ვაჟი, ნიკოლოზად წოდებული. შესაძლებელია, იოსებ დიმიტრის-ძე ხელაშვილის ბიძის ძედ წოდებული დიაკონ გიორგის მამა ნიკოლოზი შვილი იყო დავით-დათუნა ხელაშვილისა, ე. ი. იყო იონა ხელაშვილის მამის, გიორგის ძმა.

ამრიგად, იონას პაპა-ბიძები ერეკლე პირველის დროს იწყებენ დაწინაურებას (XVII—XVIII საუკ. მიჯნაზე). ისინი უმთავრესად სასულიერო პირები არიან: „პროთოიერეი იოსებ“, „პროთოპრეზვიტერი იოსებ“, „პროთოიერეი გიორგი“, „დიაკონი გეორგი“ და ა. შ.

ხელაშვილები თან ახლდნენ მეფეებს ჭირსა თუ ლხინში, „თავდადებით“ ემსახურებიან მათ, რის გამოც მიუღიათ აზნაურობა“[13].

იონა (ცრისკაცობაში იოვანე) ხელაშვილი 1770 წელს უნდა იყოს დაბადებული[14].

შესრულებულა თუ არა ექვსი წლისა, იონას სასწავლებლად სიარული დაუწყია წმიდა წინამორბედის ეკლესიაში, როგორც თვითონ აღნიშნავს, და შეუყვარებია „წმიდისა სახარებისა კილოჲსა კმაჲ“[15]. ცოტა ხნის შემდეგ იმავე ეკლესიის მღვდელს უსწავლებია მისთვის სამღვდლო წიგნთა ამოკითხვა. როგორც თვითვე აცხადებს იონა, მას არ აკმაყოფილებდა ის, რაც სოფელში ისწავლა. ამის გამო ჩუმად („იდუმალ“) დაუტოვებია მშობლები და წამოსულა თბილისში, სადაც მოუხერხებია მეფის ნახვა. მეფეს იონა ატყუანია და მატაკარანისათვის[16] მიუბარებია მეფის ტაბლის მსახურად. ამის შემდეგ მეფეს იონა მეტეხის პროთოიერეი იესესათვის მიუბარებია; როგორც თვითონვე აცხადებს იონა, მას იესესთან სწავლა დაუწყია „უწინარეს ტფილისის წარტყუენისა“ (იგულისხმება ალა-მაჰმად-ხანის მიერ).

ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ იონას პირადობის მოწმობაში ზუსტადაა ნათქვამი, თუ როდის მიუბარებია ერეკლეს იონა იესესათვის: „წელსა განჯრეციელებითგან სიტყჳსა ღთისა ჩღყგ“. — ე. ი. 1793 წ.

მალე იონა დედითაც და მამითაც დაობლდა (მამა ლეკებმა მოუკლეს).

---

[12] ნ. ბარნაბიშვილის ვარაუდით, ეს სამუთი 1724 წ. უნდა იყოს გაცემული; ჩვენი ფიქრით კი, 1719—22 წ. შორის. აქ მოხსენებული დემეტრე დედოფალ ანას გაზრდილი დემეტრე უნდა იყოს. დედოფალი ანა, ვახუშტის ცნობით, 1716 წ. გარდაიცვალა (იხ. საქ. ცხ. თბ., 1913, გვ. 385). იმამყულიხანი კი 1722 წ. გარდაიცვალა.

[13] ნ. ბარნაბიშვილს მიაჩნია, რომ ხელაშვილები მიხელაშვილების შთამომავალნი არიან და აღნიშნავს, რომ მიხელაშვილები, ე. ი. ხელაშვილები მოხსენებული არიან 1783 წლის ტრაქტატში, როგორც კახეთის აზნაურები. მაგრამ იონე ბატონიშვილის მიერ შედგენილ სიაში (იხ. S—3729) ვერც ხელაშვილები და ვერც მიხელაშვილები ვერ ვნახეთ.

[14] ამ თარიღზე მიუთითებს ნ. მახათაძე, წერილში: იონა ხელაშვილის „რონინი“, ხოლო 1955 წ. 8. VII „ლიტ. გაზ.“ მოთავსებულ მისსავე წერილში იონას დაბადების თარიღად მითითებულია 1775 წ. ჩვენი აზრით, იონა მართლაც 1770 წ. უნდა იყოს დაბადებული, რაზედაც მიუთითებს H—2108 ხელნაწერის 328 გვ. გაკეთებული მინაწერი.

[15] S—288.

[16] მატაკარანი—მზარეულთ-უხუცესი (საბა).

დაობლებული იონა წინამორბედის ეკლესიას შეეკედლა, სადაც მონოზონმა დავითმა დააწყებინა ფსალმუნთა სწავლა[17].

აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის შემდეგ იონა კვლავ ერეკლესთან დაბრუნებულა (ერეკლე ამ დროს თელავში იყო), რომელსაც იონა მიუბარებია კარის მღვდელ იოანესათვის „რომელი წიგნებთა უპოვარებისა გამო მეფისა სალოცველსა წიგნებთა შინა ვსწავლობდი ბრძანებითა უმაღლესისათა“ — მოგვითხრობს იონა[18].

იონას ამ მონათხრობს ეთანხმება „მოწმობისა წიგნიც“. „შემდგომად მოსლვისა სპარსთა მხედრობითა აღა-მოჰმედ-ხანისა ყაჯრისა... ოღეს ღთისა მიმართ განსვენებული მეფე ირაკლი სახლეულებითა თჳსი(თა) მიბრძანდეს კახეთს და ქალაქსა შინა თელავს სამეფოსა პალატსა შინა სუფევდეს, მაშინ მეფემან შეგვედრა კარისა თჳსისა მღვდელ მწიგნობარსა კალატოზისშვილს იოანეს და იგი გასწავლიდა საღმრთოთა წერილთა, ხოლო ბრძანებითა მეფისათა იზრდებოდი შენ პალატსა შინა მეფისასა, ტრაპეზისაგან მეფისა“[19].

ერეკლეს გარდაცვალების შემდეგ არც გიორგი XIII-ეს დაუტოვებია იონა უყურადღებოდ და თელავის სასწავლებელში მიუბარებია: „მიმცა თელავის შკოლასა შინა დავით რეკტორსა, რომელი მასწავებდა ჯეროვნად სიბრძნესა, ვიდრემდის დაბებკებული ვიქმენ“, — აცხადებს იონა „რონიწში“[20].

ამასვე ადასტურებს 1832 წ. გაცემული საბუთიც.

გიორგი XIII-ის გარდაცვალების შემდეგ იონას მონასტერში დაბინავება განუზრახავს. XVIII საუკ. ბოლოსა და XIX საუკ. დასაწყისში გარკვეული პოლიტიკური მიზეზების გამო საქართველოს ეკონომიკა დაცემული იყო. გამოფიტულიყო მონასტრებიც. აღარც საზრდო და აღარც წიგნები მონასტრებს აღარ გააჩნდათ. ამიტომ იონას ბევრი უხეტიალია, ვიდრე რომელიმე მონასტერს წეიფარებდა თავს. „მივმართე დავით წმიდისა მონასტერსა შინა“, წერს იონა[21], მაგრამ წინამძღვრისაგან უარი მიუღია: „არა გვქონანო პური თჳთ საჭიროთაცა კაცთა“. ამის შემდეგ იონა წინამორბედის ეკლესიას შეჰკედლებია, მაგრამ სამი თვის შემდეგ სიღარიბის გამო თავი დაუნებებია წინამორბედისათვის და შიო მღვიმეს მისულა; მაგრამ იქიდანაც უარით გამოუსტუმრებიათ: „ჰუნცა მომითხრეს წიგნებთა არა ქონება და უფროსღა უსაზრდელობა“. ამის შემდეგ იონა ქვაბთახევის მონასტერს შეკედლებია, სადაც სამი წელი დაუყვია.

იონას პირადობის მოწმობაში არაფერია ნათქვამი მისი ერთი მონასტრიდან მეორეში ხეტიალის შესახებ. საბუთის გამცემთათვის არც ისე სასახელო იყო მათი ქვეყნის ასეთი დაკნინების აღიარება. ამიტომ დედოფალი და ბატონიშვილები მოკლედ აღნიშნავენ: „არღა მიხედე შენ მარჯუღ, გინა მარცხულ, არამედ შეხვედ უძველესსა და უწარჩინებულესსა მონასტერსა შინა ქვაბთახევისასა და... იყოფოდი მუნ წელ რაოდენმე წესითა კეთილითა მეუდაბნოეთა“.

1805 წელს იონა თან გაჰყვა რუსეთში გადასახლებულ ფარნაოზ ბატონი-

---

[17] იონა „რონიწში“ აცხადებს, რომ თითქოს მას შემდეგ დაეზოცა მშობლები, რაც უკვე ერეკლესთან იყო. ოფიციალური დოკუმენტის მიხედვით კი ერეკლემ ის აიყვანა დაობლების შემდეგ.

[18] S—288, გვ. 32.

[19] Qd—7967.

[20] S—288, გვ. 33.

[21] იქვე. გვ. 45.

შვილს. მაისის 31-ს ქართველები ვორონეჟს მისულან (საქართველოდან აპრილის დასაწყისში გავიდნენ). აქ იონას გადაუწყვეტია რუსული ენის შესწავლა. როგორც იონა აცხადებს, იგი შეუწყნარებია ერთ მდიდარ კაცს — ტიმოთე სა-ლიბისტროს-ძე ბოროდინს, რომელსაც ბინა თავის სახლში მიუცია იონასათვის. ბოროდინის ოჯახში იონას ერთი წელი და სამი თვე დაუყვია.

1806 წელს ქართველები მოსკოვში გადაუყვანიათ. იონა მოსკოვიდან პეტერბურგს წასულა. ცოდნას დაწაფებული იონა ახლა რუსეთში მყოფ ბატონიშვილებს მიმართავს. „შემიწყნარა რა მეფის ძემან მიხაილ და ამიხსნა ღრამმატიკა“, „მეფის ძემან იოანე განმიმარტა ფილასოფია ძუჱლი ათინელთი და ახალი გერმანიისა ეგრეთუჱ“ — აღნიშნავს იონა[22].

იონას ამ განცხადებას ადასტურებს „პირადობის მოწმობაც“. „მუნ შეგიწყნარეს უმაღლესთა მეფის ძეთა პატივით და მემკვიდრე სრულიად საქართველოჲსა უმაღლესი მეფის გიორგის პირმშოჲ ძე დავით ფრიად გულისმოდგინე იქმნა სწავლისათჳს შენისა, ვინაჲდგან გსურდა რა აღგზარდოს და გასწავლოს შენ საფილოსოფონი და საღმრთჳსმეტყველონი სწავლანი და მათთა სიმაღლეთა მეფის ძემან იოანე და მეფის ძემან მიხაილ გასწავეს შენ საღრამმატიკონი და საფილოსოფოსონი სწავლანი და შეგაჩვიეს შენ სარიტორროთა ლოღიკასა და სამეტაფისიკოსა გულისხმისყოფასა შემეცნებათა“.

იონა მაინც ვერ კმაყოფილდება მიღებული ცოდნით და გამოცდების ჩაბარების შემდეგ შედის ალექსანდრე ნეველის აკადემიაში.

1812 წელს იონას აკადემიის კურსი დაუმთავრებია. ნ. ბარნაბიშვილს ხელთ უნდა ჰქონოდა იონას დიპლომის პირი[23]. „მის (იონას, დ. მ.) მოწმობაში, რომელიც მიუციათ 1812 წელსა მარტის 15-სა, ასე წერია: „საქართველოს იპოდიაკონმა იონა ხელაევმან ისწავლა ს.-პ-ბურგის სემინარიასა შინა კითხვა რუსული და სლავენური და წერა, ღვთისმეტყველება და დოღმატიკა და მორალი, სამღრთო ისტორია, ღრამატიკა რუსული, ფილოსოფია და არითმეტიკა დია მისწრაფებითა არს კეთილ ყოფაქცევისა და იყო ყოვლითა დღეთა პატიოსან“, — წერს ნ. ბარნაბიშვილი[24].

სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ამბროსი მიტროპოლიტს იონა მონოზნად შეუმოსია, ხოლო სამი დღის შემდეგ, როგორც თვითონვე მოგვითხრობს იონა, არხიერ დოსითეოსს უკურთხებია იერომონახად. ამ ფაქტის შესახებ იონასადმი ბოძებულ დოკუმენტში ვკითხულობთ: „წელსა ჩყიბ (1812), თუჱსა ოკდომბერსა, ქართულსა ქორანიკონსა ფ[25], უწმიდესისა სინოდისაგან ბრძანებულ ექმნა არხიეპისკოპოსსა დოსითეოსს, ერთსა საქართველოჲსა მწყემსთაგანს და მქადაგებელსა კავკასიისა მთათა შინა მყოფთა ერთასა და გაკურთხა შენ იეროდიაკონად ოკდობრის ე (5-ს) და მღუდელად იერომონახად ოკდობრის ი (10-ს)“.

სწავლის კურსის დასრულების შემდეგ იონა დავით ბატონიშვილთან და-

---

[22] S—288, გვ. 55—56.

[23] ამ დიპლომის პირი დაცულია ხელნაწ. ინსტ. Qd—7060. დოკუმენტი ძალიან დაზიანებულია, ამიტომ მიზანშეწონილად ჩავთვალეთ აქ მოგვეტანა ბარნაბიშვილის მიხედვით (თვით დიპლომი რუსულად დაწერილი იქნებოდა).

[24] „სახალხო გაზეთი“, 1 11, № 348.

[25] უნდა იყოს ფ — 500, ე. ი. 1812 წ.

ბრუნებული. დავითისათვის იონა იმერეთის დედოფალ ანას გამოუთხოვია. ანა-ასთან იონას სამი წელი უმსახურნია. ამის შემდეგ იონა თეიმურაზ ბატონიშვილთან გადასულა და მასთან ათი წელი დაუყოვნია. ამის შემდეგ იონა იმერეთის დედოფალ მარიამთან გადასულა. იმ დროს, როდესაც იონა „რონინს“ წერდა, იგი მარიამ დედოფალთან იყო. ამის შესახებ იონა აღნიშნავს: „აჰა ესე რა ვსწვდელობ (მარიამთან, გ. მ.) ცხრა წელნი მიმდინარეობენო“[26].

გარდა „რონინში“ აღნიშნული ფაქტებისა, 1832 წელს გაცემულ იონას მოწმობაში აღნიშნულია რამდენიმე სხვა წერილმანი ცნობაც იონას ცხოვრებიდან, სახელდობრ: 1831 წელს პეტერბურგს ხოლერა მოსდებია, იონა ქალაქში დარჩენილ ქართველი მეფის ოჯახის წევრებთან დარჩენილა და ერთგულად ემსახურებოდა მათ, ხოლო როდესაც მეფის რძალი ეკატერინა ხოლერისაგან გარდაიცვალა[27], მისი დაკრძალვა თავს უდგია იონას და სხვ.

როგორც ვხედავთ, იონას ავტობიოგრაფიულ ცნობებს უცვლელად ადასტურებს და ზოგჯერ აზუსტებს 1832 წელს მეფის ოჯახის მიერ გაცემული დოკუმენტი. ამდენად იგი იონა ხელშეწყობის ბიოგრაფიისათვის მნიშვნელოვანია.

აქვე ვაქვეყნებთ დოკუმენტს.

1832 წ. მარტის 17. „მოწმობისა წერილი“. ბოძებული მარიამ დედოფლისა და ბატონიშვილების მიერ იონა ხელშეწყობილისადმი. დედანი, დაზიანებული, 150×43 სმ. თეთრი ქაღალდის გრაგნილი. შედგება სამი კიფისაგან დაწერილია გარკვეული მხედრული ხელით. სიტყვების დასაწყისში ხშირად ნახმარია ასომთავრული Qd — 7967.

ღ~თით[28]

ჭ. ესე მოწმობისა წერილი მოგეცემის შენ უფალს პატიოსანს ღირსს მამა იონას მოძღვარს, მათთა უმაღლესობათ სრულიად საქართველოს სამეფოს წევრთა ნამსახურს, და ძმათა შენთა სოლომონს და გიორგის, ძმისწულთა შენთა: იოანეს, მიხაილს, ნოდარს, დიმიტრის და გრიგორს[29] და მომავალთა სახლისა თქვენისათა ჴელშეწყობას ესრეთ, რომე პირველადვე ძველნი ჯიხაყის მცხოვრებთაგანნი ხართ თქვენ დიდისა დაბისაგან ვაჭირისა, რომელიცა არს ნაწილი ჯიხაყის წინამხრისა და საუკუნიდგან საქართველოჲსა დაშენებითგან უძველესის დროჲთ საკუთარნი სამეფონი და ერთგულნი წარჩინებულნი და მიჩნეულნი ყმანი მეფეთა ტახტისანი ხართ თქ(ე)ნ სრულიად ერნი ჯიხაყისანი

---

[26] „რონინი“ 1834 წელს იწერება. როგორც ცნობილია, იონამ ალექსანდრე ნეველის აჯდომია 1812 წელს დაამთავრა, რის შემდეგაც სამი წელი დედოფალ ანას ემსახურებოდა. ამის შემდეგ გადადის თეიმურაზთან, უნდა ვიჯარაუდოთ, 1815 წელს, რომელთანაც დაჰყო 10 წელი. ე. ი. თეიმურაზთან დარჩა 1825 წლამდე, რის შემდეგაც აცხადებს იონა: „აჰა, ესე რა ვსწვდელობ ცხრა წელნი მიმდინარეობენო“ — ე. ი. 1834 წელია. ამასვე ადასტურებს იონას განცხადება: „1812 წლითგან ვარე აჭამომდე ოცდაორი წელნი არიანო“ (S—233, გვ. 61). ეს არ გამორიცხავს შესაძლებლობას, რომ „რონინის“ წერა ადრეც იყო დაწყებული და, შესაძლებელია, 1834 წელს იგი არც კი დასრულებინოს იონას.

[27] გიორგი მეფის რძალი, ბაგრატ ბატონიშვილის მეუღლე, დერმიშხან ჩოლოყაშვილის ასული. გარდაიცვალა 1831 წ. ივნისს 30-ს, H—2103, ფ. 327.

[28] გახსნილ ქარაგმებს ვთავსებთ მრგვალ ფრჩხილებში, ხოლო დაზიანებულ ტექსტს აღდგენის დროს ვთავსებთ კვადრატულ ფრჩხილებში.

[29] ეს სახელი ჩამატებულია ზემოდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და განსხვავებულ ყოვლითურთ უძველესითა ერობითა საქართველოჲსა ერთა შორის და ეგრეთვე მამულითა ხარაკტირითა. ხ(ოლო) შთამომავლობანი თქ̃ნნი განსხვავებულ იყვნეს ადრიდგანვე მეფეთა წინაპართა ჩვ(ენ)თა მ(იე)რ. ეს სახედ, რ(ომე)ლ ღ̃ისადმი განსვენებულსა დიდებულსა ქართლისა და კახეთისასა და სხვათა დედოფალსა ანნას ასულსა თავადის ჩოლოყაშვლისასა, მეუღლესა დიდებულისა ქართლისა და კახეთისა და სხვათა მფლობელისა მეფისა ირაკლი პირველისასა, დავითიან ბაგრატიონსა, დედასა დიდებულისა სრულიად ქართლისა და კახეთისა და სხვათა მეფისა თეიმურაზ მეორისასა, მოუყვანიეს ერთი[30] წინაპართა თქვენთაგანი და აღუზრდიეს პალატსა შ(ინ)ა თჳსსა ყოვლითა საღმრთოჲთა და სამეცნიეროთა სწავლითა, და სრულისა მგალობლობითა და დაუწესებიეს თჳსთ(ან)ა[31] იგი და შემდგომნი მ(ა)თნი შემდგომად კარისა თჳსისა უხუცესს პროთოიერეიდ და მგალობელთა და მწიგნობართა მთავრად, რომელთაცა შთამომავლობანი ღირსებისა ამას შინა სრულისა პროთოიერეობისასა, რომელ არს ჩვენებრ მღვრდელთ დეკანოსობაჲ, და დაწესებულ იყვნეს თელავისა კარისა ეკკლესიასა შ(ინ)ა, რომელთაცა შთამომავლობანი ღირსებასა ამას შ(ინ)ა მყოფნი ვიდრე მახლობელთა ჟამადმდე იყოფოდეს დროსა დიდებულთა მეფეთა სრულიად ქართლისა, კახეთისა და სხვათა დავითიან ბაგრატოვანთა მეფისა ირაკლი მეორისა და პირმშოჲსა ძისა მისისა მეფისა გიორგი მეათცამეტისასა, პროთოიერეი იოსებ და პროთოიერეი გიორგი, — პატივცემულნი გვამნი მეფეთაგან და სწავლულნი ფ(რია)დ საღმრთოჲთა წერილითა მეცნიერებითა, მწიგნობრობითა და სრულისა მგალობლობისა კელოვნებ[ი]თა მშვენიერ და ტკბილ-ჴმაობითა. ხ(ოლო) ოდეს იგი კურთხეული დიდებული მეფე სრულიად ქართლისა, კახეთისა და სხვათა, თეიმურაზ მეორე წაბრძანებულ არს სპარსეთსა შ(ინ)ა, მიწვევითა დიდისა და ძლიერისა სპარსეთის მპყრობელისა ნადირ შაჲსათა, მაშინ პაპაჲ შენი დავით რომელიცა მამა მამისა შენისა არს[32], იგი გარდაჰყოლიეს თანა მეფესა თეიმურასს (sic) და ძესა მისსა მეფესა ირაკლის და მუნ სპარსეთსა შ(ინ)ა სამაგალითოდ ყოვლისა ერდგულებითა, სიმჴნითა და მამაცობითა უმსახურნიეს მეფეთათვის შემდგომად მამასა შენსა გიორგისცა უმსახურიეს მეფეთათჳს ერთგულად და თავდადებულად და შემდგომად სიკვდილისა მამისა შენისა შენ და ძმანი შენნი ობლად დაშთომილხართ და ღ̃ისადმი განსვენებულსა მეფესა ირაკლის ნამსახურობისათჳს მამა-პაპათა შენთა მოუყვანიხარ თჳსს საფარველსა ქუ̃ჵშე და წელსა განჴორციელებითგან სიტყჳსა ღ(ვ)თისა ჩღჟგ, სამეუფეოსა ქალაქსა შინა ტფილისს მიებარებინე მეფესა თჳსისა მოძღვრისა მეტეხის დეკანოსის პროთოიერეის იესესთჳს და ძისა მისისა კარის ხუცეს მწიგნობრისა და მგალობელისა ზაქარიასთჳს, რომელთა თანაცა იწყე სწავლა საღმრთოთა წერილთა და საეკლესიოთა წესთა. შემდგომად მოსლვისა სპარსთა მხედრობითა აღა-მოჰმედ-ხანისა ყაჯრისა, რომელიცა იპყრობდა სპა[რ...]სა და შემოსვლისა მისისა მტერობითისა სახითა ქალაქსა შ(ინ)ა ტფილისს და უკუნქცე[ვა]სა სპარსეთადვე. ოდეს ღ̃ისა მიმართ განსვენებული მეფე ირაკლი სახლეულებითა თჳსი[თა] მიბრძანდეს კახეთს და ქალაქსა შ(ინ)ა თელავს სამეფოსა პალატსა შ(ინ)ა სუფევდეს, მაში[ნ] მეფემან შეგვედრა კარისა თჳსისა მღვდელ მწიგნობარსა კალატოზისშვილს იოანეს და იგი გსწავლიდა საღ-

---

[30] ეს სიტყვა ჩამატებულია ზემოდან.

[31] დედანში უკანასკნელი წინადადება ფრჩხილებშია მოთავსებული.

[32] დედანში უკანასკნელი წინადადება ფრჩხილებშია მოთავსებული.

მრთოთა წერილითა. ხ(ოლო) ბრძანებითა მეფისათა იზრდებოდი შენ პალატს შ(ინ)ა მეფისასა ტრაპეზისაგან მეფისა. შემდგომად გარდაცვალებისა კურაპალატის ღთისადმ[ი] განსვენებულის მეფისა ირაკლისა ძემან მისმან, დიდებულმან მეფემან სრულიად ქართლისა და კახეთისა და სხვათა მპყრობელმან გიორგი მეათცამეტემან, მიგიღო თჳსსა მფარველობასა ქვეშე და შეგვედრა თელავისა თავადთა და აზნაურთა სასწავლებელსა შ(ინ)ა შხოლისასა მოძღვარ(ს)ა და დირექტორსა მის სასწავლებლისასა ფილოსოფოსსა დავით ალექსის ძე[ს]ა, რომელმანცა მოგასმენინა შე(ე)ნ რომელნიმე სამეცნიერონი და საფილოსოფონი სწავლანი მ(ა)შინდელისამებრ ხარისხისა სწავლისა შ(ე)ნსა. ხ(ოლო) ოდეს გარდაიცვალა ღ~ისადმი განსვენებული მეფე გიორგი მას ჟამსა სწავლასაცა შ(ინ)ა იყვე ჩემ ზედა მოწამებულ და მაშინ აღ[ირ]ჩიე უმე]ტეს სხვათა ხარისხთა ზედა ზესთა-მფრინვალე ფილოსოფია. ესე იგი მონოზონება [. . .] ცხოვრებისა მობაძა[ვ]ი და არღარა მიხედე შ(ე)ნ მარჯუე, განა მარცხენ, არამედ შეხვედ უძველესსა და უწარჩინებულესსა მონასტერსა შ(ინ)ა ქვაბთახევისასა ყოვლა)დ დიდებულსა დედუფლისა ჩვენისა ყოველად წმიდისა ქალწულისა ღ~ისმშობელისასა, რომელიცა მონასტერი განწმედილ არს სისხლითა დიდებულთა დიდთა მოწამეთა და მოწესეთა დედათა მეუდაბნოეთათა და იყოფებოდი მუნ წელ რაოდენმე წესითა კეთილითა მეუდაბნოეთათა. ხ(ოლო) ოდეს შემთხვეულ-ბისამებრ ჟამისა მათითა სახლეულებითა უმაღლესი მეფის ძე ფარნავაზ მიწოდებულ იქმნეს როსიად, მიგიწოდა თჳსთანა მეფის ძემან და წარგიყვანა თჳსთანა და გზასა ზედა ნეფხვასა და მყინვართა სავალთა მათ ძნელთა კავკასიისა და რუსეთისათა ფრიად დაშვერ შენ და მოითმინენ შენ სიძნელენი გზათანი და ცივრეთ ფრიადისა გულსმოდგინებითა და შრომითა მსახურე მათ ლოკჳთა, ღ~ის მსახურებითა, მწყანობრობითა და ყოველთა კეთილწესიერითა მსახურებითა და ოდეს მოიწიევინით მოსკოვად, რომელნიცა მაშინ ბრძანდებოდეს მუნ უმაღლესნი საქართველოს მეფის ძენი სახლეულებითურთ მათით, მათცა მიგიღეს პატივით და ეგრეთვე არა უნაწილო იქმენ ერდგულად და გულისმოდგინედ მსახურებასა მათსა ძალისამებრ შენისა. და შემდგომად ამისსა ნებითა და სათნოჰინებითა მეფის ძეთათა, საჭიროებისათჳს სწავლისა წარგზავნილ იქმენ მოსკოვით სანკტპეტრბურგად და მიწევნილ მუნ შეგიწუნარეს უმაღლესთა მეფის ძეთა პატივით და მემკვიდრე, ს(რულია)დ საქართველჲსა უმაღლესი მეფის გიორგის პირმშოჲ ძე დავით ფრიად გულისმოდგინე იქმნა სწავლისათჳს შენისა. ვინაჲდგან გსურდა რა[33] აღგზარდოს და გასწავოს შენ საფილოსოფონი და საღმრთჳსმეტყველონი სწავლანი და მათთა სიმაღლეთა მეფის ძემან იოანე და მეფის ძემან მიხაილ გასწავეს შენ საღრამმატიკონი[34] და საფილოსოფოსონი სწავლანი და შეგაჩვიეს შ(ე)ნ სარიტოროთა ლოღიკასა და სამეტაფიზიკოსა გულისხმისყოფისა შემეცნებათა და ოდეს მიიღე შენ ქართულსა შ(ინ)ა კმად სწავლულებაჲ შემდგომად მისსა აღრჩევითა და თხოვითა მემკჳდრის მეფის ძის დავითისათა სწავლისათჳს რუსულისა ენისა ფილოსოფიისა და ღ(ვ)თისმეტყუელებისა წარიდგინე[35] აკადემიასა შ(ინ)ა წ~ისა და დიდებულსა მთავრისა ალექსანდრე ნეველისასა და მიგიღო მიტროპოლიტმან ნოვაგოროდისა, სანკტპეტრბურგისა, ისლანდიისა და ფილანდიისამან ამ-

[33] ესურდა რა—დედანში ჩამატებულია სტრიქონს ზემოთ.

[34] დედანში წერია სალრამმატიკონი.

[35] დედანში ჩამატებულია სტრიქონს ზემოდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბროსიმ. ხ(ოლო) წარდგინებითა მეფის ძისათა განგეწსა ჯამაგირი მათის დი-დებულების ჴელმწიფე იმპერატორისა კაბინეთით, რომელიცა წლითი წლად გეძლეოდა შ(ე)ნ ორასორმეოცდაათი რუბლი სამოსლისათვს, ხ(ოლო) საუკუ-ნოდ სახსენებელი მიტროპოლიტი ამბროსი გზრდიდა შ(ე)ნ ტაბლისაგან თვსი-სა და ესრეთ ისწავლე შენ ენაჲ სლავენური, რუსული და განვლენ შ(ე)ნ კლას-ნი ფილოსოფიისა და ღ̃თისმეტყუწლებისანი და ისწავენ შენ სჯულნი და ყოველნი წესნი საეკკლესიონი და ოდეს სრულჰყავ ესე ყოველი, მაშინ მემ-კვიდრემან მეფის ძემან დავით მოგითხოვა მიტროპოლიტისაგან ამბროსისა სახლისა თვსისა მღვდელად და ნეტარმან ამბროსი, ვ(ითარც)ა მორჩილმან თხოვისა მისისამან განგამზადა შენ სამღვდელოდ და წელსა ჩყიბ, თუწსა ოკდომბერსა ქართულსა ქ̃ კსა ფ[36] უწმინდესისა სინოდისაგან ბრძანებულ ექ-მნა არხიეპისკოპოსსა დოსითეოსს ერთსა საქართველოჲსა მწყემსთაგანს და მქადაგებელსა კავკასიისა მთათა შ(ინ)ა მყოფთა ერთასა და გაკურთხა შენ იეროდიაკონად ოკდომბრის ე და მღუდელად იერომონახად ოკდომბრის ი და ესრეთ მიგიძღვანა მიტროპოლიტმან მემკვდრესა მეფის ძეს და მსახურებდი მას ყოვლითა გულსმოდგინებით: ლოცვთა, წირვითა და ყოვლისა ღ̃ის მსა-ხურებითისა წესითა მრავალჟამ და მერმე დაგადგინა შენ ჟამ რაოდენმე თვსსავე მონათესავესა იმერეთისა დედოფალს ანნასთანა ვინაჲდგან ოჯახნი ქართლისა, კახეთისა და იმერეთისა მპყრობელთა ერთ არს. ესე იგი სახლი ბაგრატოვანთა (და ერნიცა სრულიად ამათ ადგილთა ერთ არიან)[37] და [38] ვი-ნაჲდგან დედოფალი ანნა მას ჟამსა ხნიერი იყო და არა ძალედვა სვლად შორ-სა ეკლესიასა, ამისთვს სახლსა შ(ინ)ა თვსსა სადგომსა აქვნდა საყდარი, რო-მელსა შინა სწირევდი და ილოცევდი მოუკლებელად. ხ(ოლო) შემდგომად, ოდეს ჯერჩინებითა მემკვიდრის მეფის ძისათა ქმნა სახლსა შ(ინ)ა თვსსა საყ-დარი სასწაულთმოქმედისა ხატისა ჴელით უქმნელისა მხსნელისა და მაცხოვ-რისა ჩვენისა, მისმან სიმაღლემან მეფის ძემან თეიმურაზ[39] და შეამკო იგი შესაბამითა სამკაულითა მჰშ̃ვნრდ მაშინ მემკვიდრემან, მეფის ძემან მოგი-ყვანა და დაგადგინა ეკკლესიას ამას და მიგიღო მეფის ძემან თეიმურაზ შესა-ბამისა პატივისცემითა და იღვაწე ეკკლესიასა მას შ(ინ)ა ღ̃ის მსახურებითა, ლოცვთა და წირვითა და მსახურებდი მეფის ძეთა ყოვლისა შეძლებითა შენითა ერდგულად და თავდადებულად და აწ ვინაჲდგან არს მოწაფეჲ შენი სრულიად იმერთა დედუფალი მარიამ, ამისთვს ეკკლესიასა სახლისა მისისასა მოუკლებე-ლად აღასრულებ ლოცვასა და წირვასა და მსახურებ ყოვლისა ერდგულებითა მათსა უმაღლესობას ბატონს დიდებულს დედოფალს. ხ(ოლო) წარსრულსა ამას წელსა ჩყლა, ოდეს საშინელი იგი სენი მომსვრელი ხოლერისა შემოვიდა სნკტპეტერბურგად სრვასა მას შ(ინ)ა საშინელსა არა განეშორე შენ ეკლესიასა შენსა, ა(რამე)დ მხურვალითა ვედრებითა და ლოცვითა ევედრებოდი და სთხოვდი ღმერთსა მშვიდობისათვს და გამოხსნისათვს ერისა და წევრთათვს სამეფოჲსა სახლთასა და რომელნიცა სამეუფოსა სქესისაგანნი დაშთეს ქა-ლაქსა შინა არა განეშორებოდი მათ, არამედ ყოვლისა შეძლებითა შენითა ნუ-გეშ ჰსცემდი და განამხნობდი მათ სულიერთა ნუგეშინის ცემითა და ეგრეთვე

---

[36] დედანში წერია Ф.

[37] არ გვარადვეა ფრჩხილები დედანში.

[38] დედანში მხოლოდ დ წერია.

[39] დედანში ამ სიტყვის შემდეგ შემოხაზულია პატარა რგოლი.

ყოველთა საქართველოსა წარჩინებულთა, გინა მცირეთა და მსახ(უ)რთა, [illegible] მელნიცა, არიან წინაშე საქართველოს სამეფოს სახლისა სქესთა თ(ან)ა. ხ(ოლო) ოდეს ღ~ისა მიმართ განსვენებული ს(რულიად) საქართველოს მეფის სძალი ეკატერინა[40] უძლეგ იქმნა ხოლერისა მის სენითა, მაშინ არა განეშორე მას, არამე)დ ფრიადისა შრომითა მსახურე მას და ყამსა აღსასრულისა მისისასა ვითარცა არს წესი მართლმადიდებელთა აღსასრულისა ყამსა ზეთის კურთხევითა აღსარებითა, ზიარებითა საღმრთოსა და საუფლოსა მზსნელისა ქ(რისტ)ეს ღ~ისა ჩ~ნისა სისხლითა და კორცითა და ესრეთ კეთილად იღვაწე შ(ე)ნ, დასდევ თავი შენი და არა შეიშინე სასტიკსა მისგან სენისა და თანამოღვაწე შენდა იქმნა პატიოსანი ღირსი და ფრიად კეთილი მღ(ვდ(ე)ლი იოანე ძე რაჟდენისა ჯაფარიძეჲ, — იმერეთისა ცნობილისა ოჯახისაგანი. ყ(ოვე)ლსა ამას შ(ინ)ა მსახურებასა მეფის სძლისასა და დაფლვასაცა ზედა არვინ სხვათა სამღვდელოთაგანი დაემთხვა მუნ გარდა თქვენსა თუნიერ ერთისა რუსთა სამწყისოსა მღ~დლის და ესრეთ იღვაწეთ თქ(ვე)ნ. მხ(ო)ლოდ ყოველივე წესი დაფლვისა ვინაჲდგან ესრეთი განწირულება იყო სენისა მის მ(ე)ირ ქალაქსა შ(ინ)ა, რომელ შეუძლებელ იყო ადვილად მას ყამსა მაღლისა ანუ მდაბლისა ხარისხისა მოპოვება სამღვდელოთა და ოდეს სრულ იქმნა თქვენ მიერ ყოველისა კეთილწესიერებითა დაფლვაჲ, მაშინ ფრიად მწუხარეს და უსაზომოდ მგლოვარესა სასურველსა მეუღლისა თჳსისათჳს მისსა სიმაღლესა ძესა მეფისა გიორგისასა ბაგრატ და ძეთა მათთა ჯერედ უასაკოთა და სალმობელად მწუხარეთა დაობლებულთა არა განეშორე და არა მცირედი ნუგეშისცემა აჩვენე მათ ვინაჲდგან არვინ ნათესავთა და მეყსეთა მათთაგანი ჰყვეს მაშინ მახლობლად მათ, ვინაჲდგან ჰსცხოვრობდეს იგინი მას ყამად გარე პეტერბურგისა — ცარსკისელოს და პეტერჰოფს ადგართა შ(ინ)ა საზაფხულოთა, რომელნიცა უწინარესვე სნეულებისა მ(ა)ს შემოსვლისა პეტერბურგსა შ(ინ)ა განსრულ იყვნეს იგინი მუნით და არღარა ძალიდებოდა, მაშინ შემოსვლად მრთელთა ქალაქით გარე განსრულთა ერთა ვინაჲდგან ბრძანებულ იყო მჱართებლობისა მიერ ესრეთ რათ)ა გარდა ვაჭართა და მდაბიოთა მოვაჭრეთა სახმარებისათჳს ქალაქისა მცხოვრებთა სხვანი გარე მყოფნი არა შემოვიდოდენ ქალაქად, რათა მრთელთა არა შეამთხჳონ თავთა თჳსთა განსაცდელი და ესრეთსა ყამსა არა განეშორე მათ და ნუგეშინის სცემდით მათ და ყოველთა შეძლებითა მსახურებდით, რომლისა გამო დასდევით მოვალეობად სამსახური ესე სრულიად სახლისა ჩვენ ბაგრატოვანთა შთამომავლობათა ზედა. გარდა ამისსა, მამაო იოანე, ვ(ით)ა შევნის პატიოსნებასა მონოზონებისასა ყოველნი ქცევანი შენნი და წამისყოფანი არიან განშვადებულ ღ~ისმსახურებისა მიმართ სიბრძნისა და შრომის მოყვარებისა მიმართ და სიყვარულისადმი მოყვასთა მოუკლებელად და სიყვარულსა შ(ინ)ა მშობელისა მამულისა ჩვენისასა უგულსმოდგინესი ხარ[41] შენ პატრიოტი და დღე და ღამე არა დასცხრები შ(ე)ნ შრომისაგან და შეთხზენ შ(ე)ნ წიგნი საღ~თისმეტყველონი საღრთოთა წერილთა რომელთამე განმარტებანი ქადაგებანი სადღესასწაულონი წელიწდისა და კჳრიაკეთა

---

[40] ხელნაწ. ინსტ., H—2108, გვ. 327. მინაწერი: „მეფის რძალი ეკატერინა ასული ჩოლოკაშვილის დურმიშხანისა, მეფის გიორგის რძალი მეფლე მეფის ძის ბაგრატისა მიიცვალა ხოლერით სანკტიპეტრბურხსა შ(ინ)ა. წელსა 1831-სა, თუმსა ივნისსა 30-სა. იხ. ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. V, თბ., 1949, გვ. 68.

[41] დედანში წერია: ხარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეთანი, ლექსიკონი ვრცელი ქართულისა ენისა, შესხმანი და სხვადასხვანი სასარგებლონი წიგნნი და ეპისტოლენი სასულიეროთა მიმართ და სიბრძნის მოყვარეთა კაცთადმი და კ(ვ)ლ(ავ)დცა არა ატარებ დღეთა შენთა უქმად და მარადჟამ შრომითა და ღ˜თისმსახურებითა და ჩვენდა მომართისა ერდგულებითა და სამსახურითა ატარებ ჟამსა ცხოვრებისა შენისასა კეთილ-წესიერებით და პატიოსნებით, რომლისათჳსცა ნიშნად წყალობისა და საზოგადოდ კეთილ-მითვალულებისა ჩვენ მიერ მოგეცემის წერილი ესე შენ უფალო იერომონახო იონავ, რათა მარადის პატივისცემითა მიღებულ იყო ჩ(ვე)ნგან ვ(ით)ა ყოვლითურთ უერდგულესი და თავდადებულად ნამსახური სახლისა ჩ(ვე)ნისა და ეგრეთვე ყოვლისა სახლისა ჩ(ვე)ნისა წევრთაგან და, ეგრეთვე შემდგომად წერილი ესე ჩვენი დაშთეს ნიშნად წყალობისა და კეთილმიდრეკილებისა ჩვენისა ძმათა მიმართ შენთა ჴელაშვილთა სოლომონისა და გიორგისა და ძმისწულთა შენთა: იოანესა, მიხაილისა, ნოდარისა, დიმიტრისა და გრიგოლისა და ყოველთა სახლისა თქვენისა შვილთა კაცთა, გინა ქალთა და შემდგომთა მომავალთა, რომელ ოდესცა მადგანსა რომელსამე შეხვდესთ და მოიწეოდიან ჩვენდამი გინა შთამომავლობათა ჩვენთა, რომელთამე თანა მიღებულ იქმნებოდნენ იგინი საპატიოსა კაცისა შვილობისა პატივითა და რაოდენ ძალიდებოდეს ჩ(ვე)ნ მ(იე)რ შეწე ვექმნებოდეთ მათ ყ(ოვე)ლთა შ(ინ)ა შემთხვევებულებათა მათთა ზემოხსენებულთა მსახურებათათჳს შენთა. ხ(ოლო) წინაპართა თქვენთა ღ˜ისა მიმართ განსვენებულთა მეფ[ეთა წინა]შე თავდადებულად სამსახურისათჳს და ჩ(ვე)ნ მ(იე)რ ესე გვარისა ჭეშმარი[ტად]... და მო[წმ]ებ[ი]სათჳს შესაძლებელ არს, რათა უმაღლესთა შინაცა ადგილთა და მმართებელ[ო]ბათა გმსახუროსთ წერილმან ამან. ხ(ოლო) დ[ამ]ტკიცების წერილი ესე ჩვენ მიერ ჴე[ლ]ისა მოწერითა და ბეჭედთა ჩ(ვე)ნთა მ(იე)რ აღბეჭდითა წელსა დასაბამითგან სოფლისა ბერძულითა კტმ, (რ(ომე)ლ არს 7340)[62] ქართულსა ქ˜კსა მეათოთხმეტ[ე]სა მოქცევისასა ფკ (ესე იგი 520)[42], ხ(ოლო) განჴორციელებითგან სიტყჳსა ღ˜ისა ჩყლბ (ესე იგი 1832)[46] თჳესა მარტსა იზ, ინდიკტიონსა ე. სამეუფოსა ქალაქსა შინა სანკტპეტერბურგს.

საქართველოს დედოფალი მარიამ ბეჭედი

სენატორი და კავალერი, საქართველოს მეფის
გიორგის ძე ბაგრატ ვამტკიცებ და სწორე
ჴელი ჩემი არის და ბეჭედიცა ჩემი ბეჭედი

ვმოწმობ და ვამტკიცებ ჴელითა და ბეჭდითა
ჩემითა წერილსა ამას სრულიად საქართველოს
მეფის გიორგის ძე თეიმურაზ და კავალერი ბეჭედი

ქ. ყოველსავე ამას ვემოწმები და ვამტკიცებ
მეფის ძე მიხაილ

ყოველსავე ამას ვემოწმები და ვამტკიცებ
მეფის ძე ილია ბეჭედი

---

[42] ფრჩხილებში მოთავსებული დედანშია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამა ყოველსა ვამტკიცებ მეფის ძე ოქროპირი.

ზემო წერილსა ამასა ვამტკიცებ მეფის ძე ირაკლი.

1812 წ. მარტის 15. იონა ხელაშვილის სასწავლებლის დამთავრების მოწმობა. პირი. 21×34,5 სმ., დაზიანებული. ასლია თითქმის 1/4. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრულით. თარიღად აქვს 1812 წ. 15 მარტი. ახლავს იონას ხელით გაკეთებული მინაწერი Qძ 7060

მოწმობა[ა]

საქართველოს იპოდიაკონმან იოანე ჯე[ლაევმან ისწავლა ს.-პ-ბურგის სემინარიასა შინა] კითხვა რუსული და სლავენური და წერა და ღ~თის მეტ[ყველება და დოღმატიკა და მორალი, სამრთო] ისტორია, ღრამმატიკა რუსული, ფილასოფია და არითმეტი[კა. და მოსწრაფებითა არს კეთილ][43] ყოფაქცევისა და იყო ყოველთა ღიეთა პატიოსან.

მარტის 15 დღესა წელსა 1812.

მმართებელ — რე(კ)ტორი არხიმადრიტი ანატოლი.
ს. პტრებ. — ბეჭედის — ინსპექტორი არხიმადრიტი მეფოდი.
დუხოვნ. — ადგილი. — ეკონომი მღუდელი პეტრე ტურჩანინოვი.
სემინარის — სეკრეტარი ანდრეი ივანოვი.

ჩემო[44] ღ~თის წყალობაე იონე ძმისწულო ჩემო! მოწმობისა ამის აღმოკითხვითა მომიხსენებდე ლოცვითა სულისა ჩემისა განსუფნებად. უკეთუ ო(ფა)ლსა უნდეს და მოგცეს შეილნი აღზარდენ საღთო სიბრძნითა. ლოცვა-კურთხევას გწერ მღვდელ-მონაზონი იონა ბიძა შენი და სულიერ მოძღვარი უმაღლესისა ჯ. ზ კაცია ზ ასულისა წელსა 1837 ჩყლზ. მარტს 2. ბ.

Д. Г. МЕГРЕЛАДЗЕ

К БИОГРАФИИ ИОНЫ ХЕЛАШВИЛИ

(Р е з ю м е)

В статье публикуется документ, который содержит ценные сведения для уточнения биографических данных известного грузинского писателя и общественного деятеля Ионы Хелашвили.

[43] აღდგენილია ნ. ბარნაბიშვილის მიხედვით. იხ. „სახალხო გაზეთი“, 1911, № 347.

[44] მიწერილია იონას ხელით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციალა ქახაჯრიშვილი

ნიკოლაოს იეროდიაკონის ვინაობისათვის

რუსთველოლოგიური ლიტერატურა იცნობს ვინმე ნიკოლაოს იეროდიაკონს, რომელსაც გადაუწერია ვეფხისტყაოსნის ვრცელი რედაქციის შემცველი ტექსტი (ხელნ. H 2055) და წინ ლექსად წაუმძღვარებია საკუთარი წინასიტყვაობა.

ვეფხისტყაოსნის ამ გადამწერს მკვლევართა ყურადღება იმით დაუმსახურებია, რომ თავის შეთხზული „წინასიტყვაობის“ ბოლო სტროფში „უდიერად მოუხსენიებია რუსთველი“[1].

რუსთველო, ახ თუ დრო გჭუს, მიტომ ავად ლექსთა ჩმახავ,
აღეკ. მოდი, ერთად დავსხდეთ, ერთად ვსწეროთ, ვაშინ განახავ,
ლაგაზივით წამოგწედები, ეს კი ვიცი ვერ გაგლახავ
და ამას წინათ შენს დროებში დავავიწყეს რაც გინახავ.

რუსთველისადმი ეს უდიერება არ არის გამოწვეული ავტორის მტრული დამოკიდებულებით ვეფხისტყაოსნის მიმართ. ნიკოლაოსის ლექსის პირველ სტროფებში ჩანს მისი სიყვარული ამ პოემისადმი. იგი მკითხველებს მიმართავს: „სიყვარულით დასხდებოდეთ, ამ წიგნით გჭონდესთ შექცევა“-ო. მას მიაჩნია აგრეთვე, რომ პოემის გადაწერა ღვთის სადიდებელი საქმეა და მხოლოდ უვიცს შეუძლია ამ საქმის დაძრახვა. იგი ასე მიმართავს ღმერთს:

რადგან მაქვს შენი ბეჭედი თავსა, მკერდსა და ფერხთაცა,
ამას თუმც ვსწერ, მე შენ გაჭებ, არ ვიქმ საქმეს საძრახთაცა,
ვარ და ვიქნები მაქებელ შენთა ნიჭთა და მადლთაცა
და თუ მძრახონ არა მგამა ჩემებრ უვიცთა კაცთაცა.

ნიკოლაოსის ლექსის პირველი სტროფების შესახებ მკვლევარ მერი გუგუშვილს გამოთქმული აქვს ისეთივე აზრი, რომელიც ჩვენ ზემომოყვანილ მსჯელობაში გავატარეთ[2]. მკვლევრისაგან განსხვავებული აზრის ვართ ნიკოლაოსის ბოლო სტროფების შესახებ.

---

1 ალ. ბარამიძე, შოთა რუსთველი და მისი პოემა, თბ., 1966, გვ. 504

2 მ. გუგუშვილი, პოლემიკა რუსთველის გარშემო, თბ., 1966, გვ. 48—50.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლოს წინა სტროფში ნიკოლაოსი გვამცნობს, რომ მასაც აქვს პოეტის გაგრძელების სურვილი:

მინდა მეცა განვაგრძელო, ვწერო მარდათ სწავლა, ლექსი,
ათასამდი მაინც იყოს, რას მეყოფის ხუთი, ექვსი,
მაგრა, რა ვქნა, რუსთაველსა აღარევა წიგნთა სქესი
და მეშინის არ წამოხტეს, არ აჯახოს ლექსთა ლექსი.

მერი გუგუშვილის აზრით, ამ სტროფებიდან ჩანს, რომ ნიკოლაოსს „შეგნებული აქვს რუსთაველის, როგორც პოეტის ძალა“ და ეშინია „რომ როცა ის გაგრძელებას დაიწყებს, რუსთაველი წამოხტება და აჯახებს ლექსთა-ლექსს“. უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო ორ სიტყვას შორის მკვლევარს დეფიზი თვითონ ჩაუსვამს და მიუღია კომპოზიტი „ლექსთა-ლექსი“. აქედან ტაეპის არასწორი ინტერპრეტაცია — თითქოს ნიკოლაოსის ნათქვამიდან გამოდიოდეს, რომ რუსთაველის ლექსი ლექსთა-ლექსია და ამიტომ ეშინია მას მასთან დაჯახების. სინამდვილეში ტაეპის აზრი ასეთია: მეშინია, რუსთაველი არ წამოხტეს და ჩემს ლექსებს არ აჯახოს თვისი ლექსიო. ლექსთა ლექსის კომპოზიტად გაგების შემთხვევაში წინადადება დაუმთავრებელ სახეს მიიღებდა, გაუგებარი იქნებოდა, ვის თუ რას უნდა აჯახოს რუსთაველმა ლექსთა-ლექსი. თუ ობიექტად ნიკოლაოსი იგულისხმება, მაშინ ტაეპში ასე უნდა ყოფილიყო: არ მაჯახოს ლექსთა-ლექსი.

მიიჩნია რა აღნიშნული სტროფი რუსთაველისადმი თავმოდრეკილობის გამომხატველად, მომდევნო სტროფი, რომელშიც ნიკოლაოსი უდიერად იხსენიებს რუსთაველს, მკვლევარს არალოგიურად მოეჩვენა. „სრული შეუთანხმებლობაა ავტორის სტრიქონებს შორის“-ო, წერს იგი და ცოტა უფრო ქვემოთ დასძენს: „შეიძლება ანგარიშგასაწევი იყოს ის გარემოებაც, რომ ამ სტროფში ნიკოლაოზი რუსთაველს ეუბნება: „ლაგაზვით წამოგვწვდებიო“, მაგრამ „ეს კი ვიცი ვერ გაგლახავ“, ე. ი. აქაც გადამწერი იმ აზრისაა, რომ ის რუსთაველს ვერ აჯობებს. რუსთაველის უდიერი მოხსენიება ვეფხისტყაოსნის არა დევნისა და ბრძოლის გამოხატულებაა, არამედ იგი შეჯიბრებაში დამარცხებული კაცის ლანძღვა-გინებას წარმოადგენს“-ო, ასკვნის ის ბოლოს.

ნიკოლაოსის სტროფში, მართლაც, არ შეიძლება დავინახოთ ვეფხისტყაოსნის დევნისა და ბრძოლის გამოხატულება, მაგრამ ეს სტროფები რომ შეჯიბრებაში დამარცხებული კაცის ლანძღვა-გინებას წარმოადგენდეს — ამ აზრს ვერ ვერწმუნებით.

ნიკოლაოსი წინა სტროფის პირველივე ტაეპიდანვე რიხით აუწყებს მკითხველებს, რომ მას ვეფხისტყაოსნის გაგრძელება სურს[3].

მინდა მეცა განვაგრძელო, ვწერო მარდათ სწავლა, ლექსი-ო.

ლექსების წერის სიმარდეში მას ეჭვი არ ეპარება; მაგრამ გაგრძელებაც არის და გაგრძელებაც. „მოშაირე არა ჰქვია, ვერას იტყვის ვინცა გრძელადო“, და სწორედ ამ გრძელად თქმის უნარს იკვეხის ნიკოლაოსი: „ათასამდე მაინც იყოს, რას მეყოფის ხუთი, ექვსი“-ო. შემდეგ აგრძელებს:

---

3 მას ეს სურვილი აღარ განუხორციელებია.

მაგრა, რა ვქნა, რუსთაველსა აღერევა წიგნთა სჭესი
და მეშინის არ წამოხტეს, არ აჯახოს ლექსთა ლექსი.

ეს ტაეპები მხოლოდ ასე შეიძლება გავიგოთ: ლექსების თქმაში მე რუსთაველს დავჯაბნი, აღვურეკ წიგნთა სქესს; ამ ამბით შეშფოთებული ვაი თუ ის წამოხტეს, რომ მე, მისი მეტოქე, ორთაბრძოლაში, ლექსად პაექრობაში გამომიწვიოსო.

ნიკოლაოსს არ ეშინია ამ ორთაბრძოლის. „ადექ, მოდი, ერთად დავსხდეთ, ერთად ეწეროთ, მაშინ გნახავო“ — გულადად იწვევს ის რუსთაველს. ლაგაზივით[4] წამოგწვდებიო ეუბნება, და რა ფასი აქვს ამ ტაეპის სიტყვებს — „ეს კი ვიცი ვერ გაგლახავო“ — ნიკოლაოსის თავმოდრეკილობის დასამტკიცებლად, როცა შემდეგ ტაეპში ასეთი მუქარაა: „ამას წინათ შენს დროებში დაგავიწყეს რაც გინახავს“-ო. ასეთ განცხადებაში, ეფექრობთ, დამარცხებული კაცის ხმა არ უნდა ისმოდეს. ნიკოლაოსს სჯერა თავისი გამარჯვების. ამ სტროფების მიხედვით მას თავი რუსთაველზე უკეთეს პოეტად მიაჩნია.

როგორც აღვნიშნეთ, რუსთაველისადმი ეს უდიერება არ არის ვეფხისტყაოსნისადმი ავტორის მტრული დამოკიდებულების გამომხატველი.

ნიკოლაოსს რუსთაველი უყვარს და იფასებს, მის სიყვარულს სხვებსაც უქადაგებს. რაც შეეხება მის ქადილს — რუსთაველს მე ვჯობებო, ეს არის მხოლოდ და მხოლოდ სასაცილო კვეხნა თავის პოეტურ ძალაში უზომოდ დარწმუნებული კაცისა. იგი ამ ტრაბახით გვაგონებს როსტომიანის გამლექსავის სერაპიონ საბაშვილის სიტყვებს:

ნაძლევი ვარ რუსთველისა, თუ მეტი ქნა ჩემოდნისა.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი ინტერესი ნიკოლაოსის მიმართ აღძრა სწორედ მისმა ასეთმა რწმენამ საკუთარი თავისადმი. მას თავი პოეტად მიაჩნია და იქნებ მართლაც იყო პოეტი? მისი რანგის განსაზღვრა წინასწარვე შეიძლება თუნდაც იმ პატარა წინასიტყვაობიდან, რომელიც მან ვეფხისტყაოსანს წარუმძღვარა. ამ სტროფების ავტორს პოეტობის ბრწყინვალე ნიჭი არ ემჩნევა. მაგრამ ლიტერატურის ისტორია არ იფარგლება მხოლოდ გენიოსთა შემოქმედების შესწავლით; ამიტომ ნიკოლაოსის არაბრწყინვალე პოეტად აღიარება არ ანელებს მისი ვინაობისა და შემოქმედებისადმი აღძრულ ინტერესს.

* * *

ნიკოლაოსის როგორც ვინაობის, ასევე შემოქმედების ძიების სათავე იწყება მხოლოდ და მხოლოდ ხსენებული ხელნაწერიდან. ეს არის ხელნაწერთა ინსტიტუტის H 2055 ხელნაწერი. მასში ნიკოლაოსი რამდენჯერმე გვიცხადებს თავის სახელს. „წინასიტყვაობის“ ორი სტროფის შემდეგ მას ხელჩართულად უწერია: „იეროდიაკონი ნიკოლაოს ეპარეტ წერას“. „წინასიტყვაობის“ დასასრულს მიწერილი აქვს: „ბ. კ. ი. დ. ნიკოლაოს“. ბოლო ორი ასო — ი. დ. — იეროდიაკონი უნდა იყოს. პირველი ბ. კ.-ს მნიშვნელობა ვერ ამოვიცანით.

---

[4] „ლაგაზი“ დიალექტური ფორმაა სიტყვისა „ნაგაზი“.

„წინასიტყვაობის“ შემდეგ ნიკოლაოსს აკროსტიხი მიუძღვნია ვიღაც ბრწყინვალე კნეინა ელენესათვის, რომლისთვისაც გადაუწერია მას ვეფხისტყაოსანი და რომელიც, შეიძლება, ბატონიშვილი ან ბატონისძალი იყოს. თავისი სახელი მას ამ აკროსტიხშიც მოუხსენებია:

ნიკოლოს მოგიძღვანე
კეთილთა მოხუცებულ
ბრწყინვალე მუნ სამენ**ას.**

დასასრულ, ხელნაწერის 195 v-ზე, ვეფხისტყაოსნის გაგრძელების სტროფებს შუა ნიკოლაოსს ერთხელ კიდევ ჩაუწერია თავისი სახელი მთავრული ასოებით: „ნ ი კ ო ლ ო ს“.

ამრიგად, სრულიად ეჭვმიუტანლად ვიცით, რომ ვეფხისტყაოსნის ამ ხელნაწერის გადამწერისა და მისი წინასიტყვაობის შემთხზველის სახელი ნიკოლაოსია. იგი სასულიერო პირია, კერძოდ — იეროდიაკონი.

ხელნაწერი საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ აგრეთვე მისი მოღვაწეობის დრო. ქაღალდის ჭვირნიშანი 1820 წელია. ვფიქრობთ, ხელნაწერი არ უნდა იყოს 1820 წლიდან დიდად განსხვავებული დროისა.

ხელნაწერი ნიკოლაოსის ავტოგრაფია. იგი საშუალებას გვაძლევს ვიცნობდეთ ნიკოლაოსის როგორც ლამაზ, კალიგრაფიულ ხელს, ასევე აჩქარებულს. აჩქარებული ხელის ნიმუშს განსაკუთრებით კარგად იძლევა ილუსტრაციებისა და სხვა ნახატების ქვეშ მიწერილი ახსნა-განმარტებანი ამ ილუსტრაციების სათაურისა თუ მათი შინაარსის შესახებ. სურათები ხშირად ფერადებით არის შესრულებული და თვით ნიკოლაოსის ნახელავს უნდა წარმოადგენდნენ.

XVIII საუკუნის მიწურულისა და XIX საუკუნის დასაწყისში ბევრი ნიკოლაოსი აღმოჩნდა ლიტერატურული საქმიანობის მიმდევარი. მათი სახელით მოღწეულ ხელნაწერთაგან რომელი იყო ჩვენთვის საინტერესო პიროვნების კუთვნილებად მისაჩნევი, ამის დადგენა შეიძლებოდა მხოლოდ ავტოგრაფული მონაცემებით. სამწუხაროდ, ჩვენ ვიცნობთ ნიკოლაოსის მხოლოდ მხედრულ ხელს; ამიტომ ნუსხურით და მთავრულით დაწერილი ბევრი ხელნაწერი, რომელთა გადამწერის სახელი ნიკოლაოსია, გამოეთიშა ამოცნობის შესაძლებლობას.

დაიძებნა ნიკოლაოსის რამდენიმე ავტოგრაფი. ზოგიერთი მათგანი გამოდგა ნიკოლაოსის ვინაობის გარკვევისათვის გეზის მომცემი ცნობების შემცველი. გავეცნოთ მათ:

I. ხელნაწერი H 2769. ერთი ფურცელია, ზომით 25×19,5 სმ.; ფურცლის verso დაუწერელია, recto-ზე მოთავსებული ტექსტი ნიკოლაოსის ავტოგრაფია. ფურცლის მარცხენა აშიაზე მთავრული ასოგრეხილით ნაწერი სირთულის გამო არ იკითხება[5]. ამ ხელნაწერს შემოუნახავს შესხმა იოანე მიტროპოლიტის მიმართ ნიკოლაოსის მიერ მიძღვნილი. კიდურწერილი ასოებით იკითხება: „მიტროპოლიტის იოანესად ვმართლობ მე ულირსი მონა მისი ნიკოლაოს“. ქვევით ავტორის ანდერძ-მინაწერი: „მათის მაღალ ყოვლად უსამ-

[5] ხელნაწერი აღწერილია ლ. მ ე ფ ა რ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ. იხ. ხელნაწერთა აღწერილობა (H კოლექცია) ტ. VI, თბ., 1953, გვ. 174.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღუდელოსობის სიღნაღის და ჯისიყის მიტროპოლიტის იოანეს სამწყსოთა ცხოვართაგანნ ყოვლად უკანასკნელი პატარა ბერი იეროდიაკონი ნიკოლაოს".

ამ ანდერძ-მინაწერმა, შეიძლება ითქვას, გასაღები მოგვცა ნიკოლაოსის ვინაობის გარკვევისათვის. იგი ყოფილა „სიღნაღის და ჯისიყის მიტროპოლიტის იოანეს სამწყსოთა ცხოვართაგანნ" — ე. ი. კახელი, ქიზიყელი.

2. ხელნაწერი H 1126. ამ ხელნაწერის აღწერილობაში შეცდომაა დაშვებული[6]. მის გადამწერად მიჩნეულია დავით ციციანოვი, ხოლო გადაწერის თარიღად 1851 წელი. სინამდვილეში, ამ ხელნაწერში დავით ციციანოვს ეკუთვნის მხოლოდ ბოლო (38v—39r) გვერდებზე მოთავსებული ლექსი, რომელიც ტექსტისაგან განსხვავებული ფერის მელნით და ხელით არის დაწერილი. ლექსი გვიან არის მიწერილი ხელნაწერის დაუწერელ გვერდებზე და თარიღი 1851 წელი მხოლოდ მას ეკუთვნის. თვით ხელნაწერი ბევრად ადრეულია და მისი გადამწერი ნიკოლაოს იეროდიაკონია.

ნიკოლაოსს ამ კრებულში გადაუწერია „სიბრძნე ბალავარისა" (1r—33v), ხოლო შემდგ კი საკუთარი ლექსები. სახელდობრ: „საგალობელი ხარებისა იამბიკო წყობილი უღირსისა და ყოვლად კნინის იერომონახის ნიკოლაოსის მიერ ქმნილი" (34r—37v), „გალობა თ. რომლისა კიდურ-წერილობა არს აკროსტიხურად ესრეთ: უღირსი შენი ბერი, ძისა შენისა მონა ნიკოლაოს". ამ გალობის ბოლოს ნიკოლაოსს დაურთავს ისეთივე ჩართული ასოგრეხილი, როგორიც ხელნაწერის H 2769 მარცხენა ველიზე იყო მოთავსებული. ასოგრეხილი აქ იკითხება: „სრულ იქმნა ღვთით".

უნდა აღინიშნოს, რომ თვით ეს ხელნაწერი არავითარ ცნობას არ იძლევა ნიკოლაოსის ბიოგრაფიის შესახებ, მაგრამ მხოლოდ მისი არსებობა იძლევა ნებას მეორე ხელნაწერში S 2527 მოწოდებული ცნობები მივაკუთვნოთ მხოლოდ ჩვენთვის საინტერესო პიროვნებას და არა სხვა ნიკოლაოსს.

მეორე ხელნაწერი, S 2527, გადაწერილია H 1126-დან. შინაარსიო იგი ზუსტად იმეორებს თავის დედანს. მასში გამოტოვებულია მხოლოდ დავით ციციანოვის ლექსი. რომელიც, როგორც ვთქვით, მეტად გვიან ჩაიწერა ნიკოლაოსის ხელნაწერში. ხელნაწერის გადამწერია დავით დეკანოზის ძე ანდრია მესხიშვილი[7]. იგი ანდერძში წერს: „გარდავწერე წიგნი ესე ბალავარიანი მშვენიერის ნაწერისაგან, რომელიც იყო დაწერილი უღირსის ბერის ნიკოლოზის, და მას თვისი სახელი იამბიკო ლექსით გამოეყვანა და მეცა მიბაძვითა მისითა თუმცაღა უძლე, გარნა მას თანა არა ჯერ-არს გამოჩენა მისი. გარნა რაცა ასაკსა ჩემსა ეკუთვნოდა, ისე არს ამისი ყოველი, რომელსაცა ამისა ქვემორე წარიკითხავთ". ამ ანდერძს მოსდევს 27-ტაეპიანი აკროსტიხული ლექსი, ნიკოლაოსისადმი მიძღვნილი, რომლის კიდურწერილობით იკითხება: „უჩენიკის ანდრია მესხიევისაგან".

ანდრია მესხიშვილი, დავით დეკანოზის ძე, ამ აკროსტიხით თავს ნიკოლაოსის მოწაფედ თვლის. ამ ნიკოლაოსში რომ მხოლოდ ჩვენთვის საინტერესო პიროვნება იგულისხმება, ამაში ეჭვის შეტანა შეუძლებელია, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, ანდრია მესხიშვილის ნუსხა გადაწერილია ნიკოლაოსის

6 ხელნაწერთა აღწერილობა (H კოლექცია), ტ. III, გვ. 126.

7 ხელნაწერთა აღწერილობა (S კოლექცია), ტ. IV, თბ., 1965, გვ. 26.

ავტოგრაფული კრებულიდან და იგი მისგან გამოყენებული დედნის ფრაგმენტია ნიკოლაოზს უძღვნის აკროსტიხს[8].

ამრიგად, ნიკოლაოსი ყოფილა ანდრია მესხიშვილის მასწავლებელი. ამ ცნობის გარდა, ანდრია მესხიშვილის აკროსტიხი იმითაც იმსახურებს ყურადღებას, რომ იგი წარმოადგენს ხოტბას მიძღვნილს ნიკოლაოსისადმი და გვაცნობს მის პიროვნებას.

უძღვენი ძღვენსა სასოს ჩემსა,
ჩემის გულის სასურველსა,
ენით ტკბილსა, ბაგით მშვენსა
ნიკოლაოზ განდგომილ ბერსა.

იგი არის წინამძღვარი,
კიდეთ შინა შემაწყნარი,
იგი არის სიტყვით წყარო,
სიტკბოთ დიდით დამატკბარი.

აღთქმა ღვთისა კეთილი,
ნაწერი შენი სულ მრთელია,
დრო-დროდმდე განთქმული,
რომლისათის ეს ქმნული,
ასონიც გამართული..

ენით ტკბილი, ბაგით მშვენი წინამძღვარი, რომლის ნაწერი განთქმულია დრო-დროდმდე, ე. ი. ხანგრძლივი დროის განმავლობაში, ნიკოლაოს კახელი, ქიზიყელი, მოძღვარი, მასწავლებელი — აი, რა შეეძყეთ ნიკოლაოსის პიროვნების შესახებ განხილული ხელნაწერების მიხედვით.

ნიკოლაოს კახელის ანუ კახის სახელი არ არის უცნობი ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის. იოანე ბატონიშვილის „კალმასობის“ იმ თავში, რომელსაც ქვია „ახალთა ჩვენთა დროთა მეცნიერთა, მწერალთა, მგალობელთა და მოშაირეთათვის“, ამ სახელს თავისი ადგილი აქვს მიკუთვნებული. მასში ვკითხულობთ: „ნიკოლაოს ხელაშვილისა კახისათვის. — ნიკოლაოზ ხელაშვილი კახი არზარდა დავით ალექსიშვილმან სწავლათა შინა. ესე არს ახალთა ფილოსოფიათა სწავლასა შინა გამოცდილი და საღორმატიკოსისაცა. მგა-

8 ანდრიას ხელნაწერი რომ ზუსტად ნიკოლაოსის ხელნაწერიდან მომდინარეობს, ამას ვადასტურებს ანდერძის გარდა გვდასტურებს ერთი დეტალიც: ნიკოლაოსს თავისი შეთხზული სავალობლის სათაურის სიტყვაში — იერომონახი — ასოები ან და ხანი ისე გადაუბამს, რომ იერომონახის ნაცვლად იკითხება იერომონზი. ანდრია მესხიშვილს ასევე გადაუხატავს ეს სიტყვა სავალობლის გადაწერისას.

აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ნიკოლაოსის ამ კრებულს შინაარსის შემცველი ერთი ხელნაწერი მოიპოვება საქ. ცენტრალურ სისტორიო არქივშიც (ფ. 1446, ხელნაწერი 285, გადაწერილია 1854 წელს). მისი გადამწერიც ანდრია მესხიშვილივით მოკლეულა და „იერომონაზი“ დაუწერია. არქივის ნუსხაც კელავ იმეორებს ბოლოში დავით ციციშვილს ლექსს, მაგრამ ანდრია მესხიშვილის ხელნაწერისაგან განსხვავებით ამ ლექსს მასში ავტორის ანდერძი არ ერთვის, ე. ი. დავით ციციშვილი რომ ჩამბეჭდილი ლექსის ავტორია, ამ ხელნაწერის მიხედვით არ ჩანს.

ვფიქრობთ, არქივის ხელნაწერის დედანიც ნიკოლაოსის ავტოგრაფული კრებულია. იგი გადაწერილია მას შემდეგ, რაც დედანს დავით ციციშვილის ლექსი ჩემატა. არქივის ხელნაწერი რომ ანდრია მესხიშვილის გადაწერილიდან მომდინარეობდეს, მაშინ ის გაიმეორებდა ანდრია მესხიშვილის ანდერძს და ნიკოლაოსისადმი მიძღვნილ აკროსტიხსაც.

ლობლობასა შინაცა კარგი, რომელ მამა ამისი გიორგი კახურსა გალობასა შინა იყო პირველი, რომელმან ასწავა შვილსა ამას თვისსა და აწ ესე არს მოძღვრად საქართველოსა სკოლასა შინა ნაცვლად ზემოხსენებულისა იოანე მღვდლისა“[9].

„კალმასობიდან“ მოყვანილ ამ ადგილში ყველაზე მეტად ხაზი გვსურს გავუსვათ სიტყვებს: „აწ ესე არს მოძღვრად საქართველოს სკოლასა შინა“.

ამ სიტყვებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმის გამო, რომ მისგან ვტყობილობთ: ის ნიკოლოას კახი, გვარად ხელაშვილი, რომელსაც იოანე ბატონიშვილი ასახელებს, სახელისა და ზედწოდების გარდა პროფესიითაც ივვეობს ნიკოლოას იეროდიაკონთან. ნიკოლოას იეროდიაკონს რომ ზედწოდებად ჰქონოდა კახი, ეს არ არის შეუძლებელი. რადგან როგორც ვნახეთ, იგი კახელი, ქიზიყელი იყო.

ამ დამთხვევამ საკმაო საფუძველი შექმნა იმისათვის, რომ დაგვეშვა ნიკოლოას იეროდიაკონისა და ნიკოლოას კახის ივვეობის შესაძლებლობა. ასეთ დაშვებას, ერთი შეხედვით, თითქოს ერთგვარ დაბრკოლებას უქმნიდა შემდეგი ლიტერატურული ცნობა: სოლომონ დოდაშვილი იოანე ხელაშვილთან გაგზავნილ წერილებში იხსენიებს არქიმანდრიტ ნიკოლოაზ ხელაევს[10]. სოლომონ დოდაშვილის თხზულებათა წიგნის რედაქტორი ს. ხუციშვილი წერილების კომენტარებში აღნიშნავს[11], რომ ეს არქიმანდრიტი ნიკოლოაზ ხელაეკი ის ნიკოლოზ გიორგის ძე ხელაშვილია, რომელიც იოანე ბატონიშვილის „კალმასობაშია“ მოხსენიებული. მაშასადამე, ამ ცნობის მიხედვით, ჩვენი საკვლევი პიროვნება გასაგვებელი პიროვნებისაგან განსხვავებულია სასულიერო ხარისხით. პირველი იეროდიაკონია, მეორე კი არქიმანდრიტი.

ეს წინააღმდეგობა, ჩვენი აზრით, არ იყო მისაჩნევი ისეთ გადაულახავ დაბრკოლებად, რომ კვლევის არჩეული გზიდან ხელის აღებაზე გვეფიქრა. სოლომონ დოდაშვილის წერილები, რომელშიც ნიკოლოაზ ხელაშვილი არქიმანდრიტად იხსენება, დათარიღებულია 1827 წ. 10 სექტემბრისა და 1828 წლის 5 იანვრის თარიღებით. წარმოუდგენელი არ არის, რომ 1820-იან წლებში იეროდიაკონად მოხსენიებული პიროვნება 1827 წლისთვის არქიმანდრიტი გამხდარიყო. გარდა ამისა, უკვე მოპოვებული მასალების მიხედვით გვაქვს გარკვეული მინიშნება იმისა, რომ იეროდიაკონობა არ უნდა ყოფილიყო ნიკოლაოსის მუდმივი ტიტული.

ანდრია მესხიშვილი თავის ხოტბაში ნიკოლაოსს უწოდებს „განდგომილ ბერსა“ და „წინამძღვარს“. წინამძღვარი მონასტრის წინამძღვარს უნდა ნიშნავდეს. მონასტრის წინამძღვარს კი სასულიერო ხარისხად არქიმანდრიტობა შეეფერება.

ამრიგად, ს. დოდაშვილის წერილების კომენტარების ცნობა, ზემონათქვამის საფუძველზე, კი არ ეწინააღმდეგება, პირიქით, უდგება და ხსნის ნიკოლაოსის პიროვნების შესახებ მოპოვებულ მასალებს. ეს კი მეტ საფუძველს

---

9 იოანე ბატონიშვილი. კალმასობა, კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით, ტ. II, თბ., 1948, გვ. 201.

10 სოლომონ დოდაშვილის წერილები, ს. ხუციშვილის შესავალი წერილითა და რედაქციით, გვ. 95, 107. იხ. აგრეთვე სოლომონ დოდაშვილი. თხზულებანი, თბ., 1961, გვ. 266, 279.

11 სოლომონ დოდაშვილი, თხზულებანი, თბ., 1961, გვ. 407.

უქმნის ჩვენს ვარაუდს ნიკოლაოს იეროდიაკონისა და ნიკოლაოს კახის ვინაობის ვეობის შესახებ.

ასეთი დაშვების შემდეგ, ბუნებრივია, ყველაფერი ის, რაც „კალმასობაში“ ნიკოლაოს კახის შესახებ არის ნათქვამი, ნიკოლაოს იეროდიაკონს უნდა მივაწეროთ. მაშასადამე, უნდა მივიჩნიოთ, რომ ის ყოფილა გვარად ხელაშვილი, გიორგის ძე, განთქმული მგალობელი და უფრო განთქმული მგალობელი მამის შვილი, დავით ალექსიშვილის გაზრდილი, ე. ი. თელავის სემინარიაში სწავლამიღებული.

თელავის სემინარიასთან დაკავშირებით ნიკოლაოზ ხელაშვილი იოანე ბატონიშვილს თავის წიგნში სხვაგანაც ჰყავს ნახსენები.

ცნობილია, რომ თელავის სემინარიაში ხშირად იმართებოდა საჯარო პაექრობანი. აკად. ალ. ბარამიძის სიტყვით: „ასეთი დისპუტები (პაექრობანი) ძირითად ისახავდა სასწავლო წელში შესრულებულ მუშაობის შეჯამება-შემოწმებას და იმართებოდა ამა თუ იმ დისციპლინის კურსის მოსმენის შემდეგ“[12].

გაიოზ რექტორისაგან დამკვიდრებულ ამ კარგ ტრადიციას ღირსეულად აგრძელებს დავით რექტორიც. იოანე ბატონიშვილს აღწერილი აქვს დავით რექტორის მიერ გამართული ერთ-ერთი საჯარო პაექრობის სურათი[13]. ამ პაექრობის მთავარი გმირები იოანე და ნიკოლაოს ხელაშვილები არიან.

დავით რექტორს თელავს ჩასული იოანე ხელაშვილი მიუწვევია თავის სემინარიაში: „ხვალე მოდი მეცხრე საათსა, აქ ჩვენის მოწაფეებს ეგზამინია (გამოცდა) და უნდა შენ გებაასნენ და იმათ სიტყვა მიუგო“. იოანე მართლაც მისულა დაბარებისამებრ. „...იოანეს აჩვენს მარჯვენით სკამი მდგომელი და მიიწვიეს მუნ. წინ დაუდგეს სტოლი და დაუწყვეს წიგნები. რა ყოველი შემოკრბენ სკოლად, მაშინ რექტორმან მცირე ზარი დაჰკარუნა, და მაშინ წინ წარმოდგა ნიკოლაოს ხელაშვილი, თაყვანი სცა ხატსა, წართქვა ლოცვა, რომელსაც მოწაფენი იტყვიან, და მერეთ დაუკრა რექტორს თავი, და აქეთ-იქით, აგრეთვე იოანეს და მერე დაიწყო კითხვად იოანესა და რქვა:

ნიკოლაოზ: იოანე! ვითარ გრწამს მართლმადიდებელთა სარწმუნოებაჲ იოანემ მრწამსი თქვა ზეპირ“...[14]

ასე კითხვა-მიგებით მიმდინარეობა პაექრობა ნიკოლაოსსა და იოანეს შორის სხვადასხვა საკითხზე. სახელდობრ: „ღრამმატიკისათვის“, „წიგნისათვის“, „თვის განყოფილებისა წიგნისა“... სამწუხაროდ, ამ საკითხების შემდგომ, როგორც ცნობილია, დაკარგულია დედნის მთელი მე-15 რვეული[15]. ამიტომ როგორ დამთავრდა ნიკოლაოსისა და იოანეს პაექრობა, ამის შეტყობა შეუძლებელია. მოწერეული ადგილის მიხედვითაც ნიკოლაოსი წარმოგვიდგება მოწინავედ და წარჩინებულად დავით რექტორის მოწაფეთა შორის. იგი პირველი ადგა საპაექროდ და შეება მაშინ უკვე სახელმოხვეჭილ იოანე ხელაშვილს.

ბუნებრივად იბადება კითხვა — რა იყო ნიკოლაოსი იოანე ხელაშვილი-

---

12 ალ. ბარამიძე, საჯარო პაექრობანი თელავის სემინარიაში (იხ. კრებული „სწავლა-განზრდის ისტორიისათვის საქართველოში“. თბ., 1937).

13 ალ. ბარამიძე, დასახ. წერილი; ტრ. რუხაძე, დავით რექტორი (ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, თბ., 1954, გვ. 16—17).

14 იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით, ტ. I, ტფ., 1936, გვ. 74—77.

15 იქვე, გვ. XI, 77.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის

სა? გვარის ერთობის გარდა მათ საერთო აქვთ მამის სახელიც. როგორც ცნობილია, იოანე ხელაშვილის მამასაც გიორგი ერქვა.

იოანე ხელაშვილის წერილებში მოიძებნა ამ კითხვის პასუხი. თავის ბიძაშვილ გიორგისადმი გაგზავნილ წერილში 1826 წლის 15 ივლისს იგი წერს: „...კუალადცა მიუთხარ სოლომონს[16], უკეთუ შვილთა თვისთა სწავლანი სურდა, რაჲსათჳს არა წარუგზავნა დეკანოზ ნიკოლაოს კელაშვილს ე. ი. მიხეილოვს"... შემდეგ აგრძელებს: „უკეთუ მაგათ, ძმათა ჩემთა, ცოდნოდათ წიგნი, მრავალთა სარგებლობათა მიიღებდნენ ჩემგან. უწიგნოთა ვერა სცნეს ეგზარხოსისაგან შვილთა თჳსთა პირდაპირ სემინარიასა შინა მიღება შვილთა თჳსთა (sic) და ნიკოლოზ დეკანოზისა მიხაილოვისა, ჩვენისა ნათესაჲსა, კეთილ მიდრეკილებაცა დაუკარგეს, რომელმან თჳთ მთხოვა მიღება მაგათი ტფილისს"[17].

ამ წერილიდან ირკვევა, რომ ნიკოლაოსი იოანე ხელაშვილის ნათესავი ყოფილა. მაგრამ რად უნდა ყოფილიყო იგი მიხეილოვი თუ მიხაილოვი? ამის შესახებ იხილეთ ქვემოთ.

იოანე ხელაშვილის წინაპრის შესახებ, რომელიც ერეკლე პირველის მეუღლეს ანას მოუყვანია თავის სასახლეში, აკად. კ. კეკელიძე წერს: „საიდან მოიყვანა, სათანადო დოკუმენტში ნაჩვენები არაა. ამასთან ხომ არაა დაკავშირებული ნ. ბარნაბიშვილის ცნობა, ვითომც იოანეს წინაპარნი, მეხელაშვილები. წინათ ხოდაშენს ცხოვრობდნენ, ერთ-ერთი მათგანი თეიმურაზ მეორის დროს თითქოს ვაქირში დადასახლდა, აქ ის ჩაესიძა ერთი გლეხის ოჯახს და მიიღო გვარი ხელაშვილი"[18].

იოანე ხელაშვილს თავის კრებულში (S 388) შეუტანია მოწმობა მიხელაშვილების აზნაურობის შესახებ, რომელსაც ემოწმებიან რუსეთში მყოფი ბატონიშვილები.

ამრიგად, მიხელაშვილი თუ მეხელაშვილი ხელაშვილთა პირველადი გვარი ყოფილა; ნიკოლაოსს ხელაშვილის პარალელურად შეურჩენია თავისი ძველი გვარიც. მიხეილოვი ამ გვარის რუსული ფორმაა.

ამ ცნობამ გადამწყვეტი როლი ითამაშა ნიკოლაოს იეროდიაკონის პიროვნების საბოლოო გამოჩინებისათვის. ამ ცნობის გარეშე, შეიძლება ითქვას, შეუძლებელი იქნებოდა კილევის ბოლომდე მიყვანა.

პირველ ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ მხოლოდ მას შემდეგ, რაც გაირკვა ნიკოლაოს ხელაშვილისა და ნიკოლაოს მიხაილოვის იგივეობა, შესაძლებელი გახდა იმის დადგენაც, რომ სწორი იყო ჩვენი ვარაუდი ნიკოლაოს იეროდიაკონისა და ნიკოლაოს ხელაშვილის იგივეობის შესახებ. ნიკოლაოს მიხაილოვის დაწერილი საბუთები თუ ხელნაწერები ნიკოლაოს იეროდიაკონის ავტოგრაფები აღმოჩნდა.

საქ. ცენტრ. სახ. საისტორიო არქივის ფონდებს შემოუნახავს საბუთები, რომლებიც საშუალებას გვაძლევს მივყვეთ ნიკოლაოს მიხაილოვის ცხოვრების კვალს. ყველაზე მეტად ეს ითქმის ამ არქივის იმ ფონდზე, რომელსაც ეწოდება „თბილისის სასულიერო სემინარია" (№ 440).

---

16 სოლომონი იოანეს ძმაა (ც. კ.).

17 S 1532 (254v—255v).

18 კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტ. ისტორია, ტ. I. თბ., 1960, გვ. 403.

ნიკოლაოს ხელაშვილის ბიოგრაფიული მონაცემების გათვალისწინება მნიშვნელოვან ხდიდა ამ ფონდში მასალების მოპოვების შესაძლებლობას.

ნიკოლაოსი რომ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა, როგორც ვნახეთ, ეს ანდრია მესხიშვილის შესხმიდანაც დამოჩნდა. ნიკოლაოს ხელაშვილი, როგორც თავისი დროის გამოჩენილი პედაგოგი, ნახსენები ჰყავს აკად. კ. კეკელიძეს ქართული ლიტ. ისტორიის I ტომში[19].

ნიკოლაოსის პედაგოგიურ მოღვაწეობაზე ხაზგასმით მიუთითებდა როგორც ვნახეთ, იოანე ბატონიშვილი: „აწ ესე არს მოძღვად საქართველოს სკოლასა შინა"-ო. „ნიკოლაოს ხელაშვილი კეთილშობილთა სასწავლებელში მსახურობდა" — მითითებულია ს. დოდაშვილის წერილების კომენტარებში.

ამრიგად, ნიკოლაოსის პროფესია სრულიად ექვიმეტანლად დადგენილი იყო მოყვანილი ცნობების საფუძველზე. ამ გარემოებამ გამოიწვია ინტერესი „თბილისის სასულიერო სემინარიის" ფონდისადმი.

„თბილისის სასულიერო სემინარიის" ფონდში უხვად აღმოჩნდა მასალები პედაგოგ ნიკოლაოს მიხაილოვზე. ამ მასალების საფუძველზე გაირკვა და დადგინდა ბევრი მნიშვნელოვანი მომენტი ნიკოლაოსის ბიოგრაფიისა. სახელდობრ, შევიტყეთ შემდეგი: 1826 წლის 1 ნოემბრიდან ნიკოლაოზი დაუნიშნავთ თელავის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად[20]. იგი ამ თანამდებობაზე ყოფილა 1830 წლამდე. 1826 წლის ბოლოს ქერივ ნიკოლაოსს მოუსურვებია ბერად აღკეცა. 1827 წლის 1 თებერვლიდან იგი ბერად აღუკეცია თბილისის მაცხოვრის ფერისცვალების მონასტრის წინამძღვარ ევგენის. ბერად აღკეცისას ნიკოლაოსისთვის სახელი შეუცვლიათ და თეოდოსი დაურქმევიათ. 2 თებერვალს, იოანე ეგზარხოსის ბრძანებით იგი განუმწესებიათ დავით გარეჯის ნათლისცემლის უდაბნოს არქიმანდრიტად[21].

ამ დღიდან ნიკოლაოსი ერთად ათავსებდა არქიმანდრიტობისა და თელავის სასწავლებლის ზედამხედველობის მოვალეობას, რაც ბევრ სირთულესთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. ნიკოლაოსს, როგორც ჩანს, გასძნელებია ამ ორი თანამდებობის შეთავსება. თელავის სასულიერო სასწავლებელს არქიმანდრიტის მოვალეობით დატვირთული ნიკოლაოსის ყურადღება დაჰკლებია, რასაც მოჰყოლია მოსწავლეთა მიერ დისციპლინის დარღვევის შემთხვევები. მაგ.: მოწაფეები ქევხიშვილი და მირიანაშვილი დაჭორწინებულან ისე, რომ ამის შესახებ თვეების განმავლობაში ვერაფერი გაუგია სასწავლებლის ხელმძღვანელობას. ეს ამბავი მისულა თბილისის სასულიერო სემინარიის ხელმძღვანელობასა და თვით იოანე ეგზარხოსის ყურამდე. ნიკოლაოსისთვის მოუთხოვიათ პასუხი. თბილისის სემინარიის ხელმძღვანელობას შედარებით ლმობიერი განაჩენი გამოუტანია: ამ დანაშაულისთვის დიდი ჯარიმა უნდა გადაგვეხდევინებინა, მაგრამ მივიღეთ რა მხედველობაში მისი დიდი პედაგოგიური დამსახურება, სასტიკი საყვედურით შევუცვალეთო — მოახსენებ მათ იოანე ეგზარხოსს. იოანე ეგზარხოსის განაჩენი უფრო მკაცრია: რადგან მო-

---

19 კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტ. ისტორია, ტ. I, თბ., 1960, გვ. 88.

20 ცსსა, ფ. 440, 22.XV.48. ტერმინი ზედამხედველი თარგმნილი გვაქვს რუსული სიტყვიდან „Смотритель".

21 ცსსა, ფ. 440, 39. XXVIII. 90. ამრიგად, დადასტურდა ანდრია მესხიშვილის ხოტბაზე დამყარებული ვარაუდიც ნიკოლაოსის მონასტრის წინამძღვარობისა და არქიმანდრიტობის შესახებ.

ნასტრის წინამძღვრობის გამო ვერ იცლის, რომ კარგად უხელმძღვანელოს სემინარიას, განთავისუფლდეს ამ თანამდებობიდანო, -- დაუდგენია მას 1830 წლის 20 დეკემბერს[22]. ამ დღიდან ნიკოლაოსის პედაგოგიური მოღვაწეობა შეწყვეტილა.

მოსწავლეებისადმი დამოკიდებულებაში ნიკოლაოსი ჰუმანური და კეთილშობილი ყოფილა. იგი სასტიკად ეწინააღმდეგებოდა მოსწავლეების ფიზიკურ დასჯას. 1828 წელს თბილისის სასულიერო სემინარიის ხელმძღვანელობის წინაშე მან უჩივლა თავის მასწავლებელს მაკაროვს და მოითხოვა მისი მოხსნა. ყველაზე დიდ ბრალდებად იგი მას მოწაფეებთან უხეშ დამოკიდებულებას უყენებდა[23]. როგორც ჩანს, მაკაროვის გარდა სხვა მასწავლებლებიც შეინიშნებოდნენ ასეთ საქციელში. ნიკოლაოსის რისხვა მათაც დასტყდომიათ თავზე. ამას გვიდასტურებს ამ მასწავლებლების მოხსენებითი ბარათი, რომელშიც ისინი ნიკოლაოსს სთხოვენ ინსტრუქციას, თუ როგორ უნდა მოიქცნენ ისინი მოსწავლეთა საჭირო დასჯის შემთხვევაში, თუკი არ შეიძლება მათი დასჯა „როზგითა, თმის გლეჯითა და სხვათა მსგავსითა სახითა“[24].

როგორც აღვნიშნეთ, თბილისის სასულიერო სემინარიის ფონდი უხვი აღმოჩნდა ნიკოლაოსის ბიოგრაფიული მასალებით. მასში ჩვენ შევხვდით ნიკოლაოსის ცხოვრების არა მხოლოდ ცალკეული მოვლენის ამსახველ მასალებს, არამედ მთლიან, მზამზარეულად ჩამოწერილ ბიოგრაფიასაც კი.

1829 წ. თბილისის სასულიერო სემინარიაში შეუდგენიათ უწყისები გორის, თელავის, სიღნაღის და ქუთაისის მასწავლებელთა შესახებ. ამ უწყისებში დაწერილებით არის გადმოცემული მასწავლებელთა ბიოგრაფიისა და მათი დამსახურების შესახებ ცნობები. მოვიყვანთ მის ქართულ თარგმანს მცირედენი შემოკლებით: „თელავის სასწავლებელთა ზედამხედველი, იოანე ნათლისმცემლის უდაბნოს არქიმანდრიტი თეოდოსი. დაბადებიდან 55 წლის. ქართველთა აზნაურთაგანი. სწავლობდა თელავის ყოფილ. სასულიერო სასწავლებელში ქართულ გრამატიკას, რიტორიკას, ფილოსოფიას და ღვთისმეტყველებას.

თელავის სასულიერო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, 1801 წლის 16 იანვარს დიაკვნად ეკურთხა კათალიკოს ანტონის მიერ თელავში. იმავე კათალიკოსის მიერ მღვდლად ეკურთხა 1802 წლის 21 მაისს. იეროდიაკონობა ებოძა 1807 წლის 25 მარტს. 1814 წლის 29 მარტს განემწესა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში საღვთო სჯულისა და ქართული სიტყვიერების მასწავლებლად. ამ თანამდებობიდან განთავისუფლდა საკუთარი თხოვნის საფუძველზე 1824 წლის 18 დეკემბერს.

კახეთის უკანასკნელი აჯანყების დროს ახლდა რუსის ჯარს საქრისტიანო მღვდელთმსახურებისათვის. უფროსობის წარდგინებით ერთგული სამსახურისათვის დაიმსახურა უმაღლესი წყალობა 1818 წლის 3 მაისს. საქართველოს მთავარმმართებლის ინფანტერიის გენერალ ერმოლოვის წარდგინებით 1821 წლის 20 მარტს დაჯილდოვდა სამკერდე ჯვრით. მისივე წარდგინებით 1824 წელს ეწყალობა პენსია წლიურად 500 ასიგნაციის რაოდენობით სიკვდილამდე.

22 ცსსა, ფ. 440, 39.XXVIII.90.

23 იქვე, ფ. 440. არქ. 24.

24 ხელნაწ. ინსტ. Ad 889.

თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში, სადაც იგი ასწავლიდა ქართულ მართო სჯულსა და ქართულ გრამატიკას, წარჩინებული და ერთგული სამსახურისათვის 1826 წლის 18 მარტს დაჯილდოვდა ოისფერი ხავერდის კუნაულით. 1826 წლის 19 მარტს მას მიენდო კახეთის საეკლესიო შემოსავლის განმგებლობა. 1826 წლის 1 ნოემბერს დაინიშნა თელავის სასწავლებლის ზედამხედველად. 1827 წლის 1 თებერვალს აღიკვეცა ბერად. ამავე თვის 2 რიცხვს არქიმანდრიტად ხელდასხმულ იქნა ქართლისა და კახეთის ეგზარხოსის, იოანე მიტროპოლიტის მიერ და ებოძა წინამძღვრობა იოანე ნათლისმცემლის უდაბნოსი. აქვს ბრილიანტის ჯვარი ელადმირის ბაბთაზე წარწერით: 1812 წლისათვის[25].

ამ საკმაოდ დაწერილებითი ცნობებიდან ყველაზე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ცნობა ნიკოლაოსის წლოვანების შესახებ. 1829 წლისათვის ის 55 წლის ყოფილა, ე. ი. დაბადებულა დაახლოებით 1774 წელს.

ნიკოლაოსის დწერილ ბიოგრაფიას ერთხელ კიდევ შევხვდით საქ. ცსსა არქივის ფონდში „Канцелярия Экзарха Грузии“ (ფ. 488, არქ. 5645, № 346). აქ ზუსტად გამეორებულია უკვე მოყვანილი ცნობები. ახალი ამ საბუთებიდან შევიტყეთ ის, რომ 1838 წლის 27 ოქტომბერს ხანგრძლივი და ერთგული სამსახურისათვის ნიკოლაოსი — არქიმანდრიტი თეოდოსი — სხვა არქიმანდრიტებთან ერთად დაჯილდოებიათ წმ. ანას მესამე ხარისხის ორდენით. ნიკოლაოსის ბიოგრაფია სწორედ ამ დაჯილდოებასთან დაკავშირებით არის შედგენილი.

1840 წლისათვის 70 წლის მიტანებული ნიკოლაოსი მოუძლურებულა ხშირი ავადმყოფობის გამო, რის გამოც გასწნელებია თავის გართმევა დაკისრებული მოვალეობისათვის. საქართველოს ეგზარხოსის ბრძანებით იგი გაუთავისუფლებიათ სამონასტრო მიწების მოვლა-პატრონობის პასუხისმგებლობისაგან და მხოლოდ არქიმანდრიტობა დაუტოვებიათ[26]. ამის შემდეგ ნიკოლაოსს დიდხანს აღარც უცოცხლია. 70 წლის ასაკში, 1844 წლის 24 თებერვალს იგი გარდაცვლილა. არსებობს საბუთი მისი გარდაცვალების შესახებ: „ნათლისმცემლის უდაბნოს ერთობლივ კრებულის მიერ რაპორტი. — პატივი გვაქვს განცხადებად ერთობ ნათლისმცემლის კრებულთა თქვენის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობისადმი, რომელ ჩემდ-ს წელსა ამა მდგომარეს თებერვლის კე-ს რიცხვსა არხიმანდრიტი ამა ნათლისამცემლის მონასტრის ფეოდოსი, ნებითა ღვთისათა გარდაიცვალა თავისის ავანტყოფობით და ვითხოვთ თქუენის მაღალ ყოვლად უსამღუდელოესობისაგან გვებრძანოს დამარხვა. ერთობ იოანე ნათლისმცემლის მონასტრის კრებულნი ხელს ვაწერთ. ჩემდ-ს წელსა, თებერვლის კვ-ს რიცხვსა“[27].

შეიძლება ითქვას, რომ მოყვანილი საარქივო მასალების მეშვეობით თითქმის აღნუსხულია ნიკოლაოს იეროდიაკონის ცხოვრების ძირითადი ფაქტები. მაგრამ ჩვენ ხათილი წარმოდგენა არ გვექნება ნიკოლაოსის პიროვნების შესახებ თუ არ გავითვალისწინეთ მისი ბიოგრაფიის კიდევ რამდენიმე დეტალი.

ნიკოლაოს იეროდიაკონი გვარად ხელაშვილი იყო და, როგორც აღვნიშ-

25 საქ. ცსსა, ფ. 440, 39.I.24.

26 საქ. ცსსა, ფ. 488, არქ. 6702.

27 იქვე, არქ. 10167.

ნეთ, იონა ხელაშვილის ნათესავი. ეფიქრობთ, რომ ეს ნათესაობა არ უნდა ყოფილიყო შორეული. ისინი ერთმანეთის ბიძაშვილიშვილები მაინც უნდა ყოფილიყვნენ.

ეს აზრი დამყარებულია შემდეგ გარემოებაზე — იონა ხელაშვილის წინაპრების შესახებ ქართული ლიტერატურის ისტორიაში წერია: „ერთ-ერთი მისი წინაპართაგანი ერეკლე პირველის მეუღლეს ანას მოუყვანია თავის სასახლეში, აღუზრდია სამღვდლოდ და შემდეგ დაუდგენია თელავის კარის „პროთოიერეიდ“ (რომელ არს ჩვენებრ მღდელთ-დეკანოზობაჲ). ეს თანამდებობა ამ ოჯახში შვილიდან შვილზე გადადიოდა. ცნობილი ყოფილან თავის დროს დეკანოზები: იოსებ, გიორგი და დავით, იონას პაპა (მამის მამა)“[28].

ნიკოლაოს იეროდიაკონის მამა გიორგი ერთ-ერთი ასეთი დეკანოზი ყოფილა. კარის დეკანოზის გიორგის ძე — ასე ასახელებენ ნიკოლაოზს თანამედროვენი. ნიკოლაოსიც თავის დაწერილი საბუთისა თუ ხელნაწერის ანდერძში თავს გვაცნობს თავისი მამის შვილობით: „მე, კახეთის სამეფოს სასახლის კარის ეკლესიის დეკანოსის შჯულ, კარის ეკლესიის მღუდელს ნიკოლაოს მიხელოვს დამიწერია ომანის, ზაქარიასა და იოსების სიტყჳთ და ყაბულით და მოწამეცა ვარ“ — წერს ის 1803 წელს დაწერილ საბუთში[29].

მოგვეპოვება თვით გიორგის დაწერილი საბუთები: „მე, მეფის კარის ეკლესიის მღუდელ-მგალობელს, გიორგი ხელაშვილს დამიწერია ამაოის ბძანებით და მოწამეცა ვარ“[30] — 1781 წელს დაწერილი საბუთის ანდერძია. „აღიწერა ჴელითა მათის უმაღლესობის კარის ეკლესიის მღუდელ-მგალობელ გიორგისითა“[31] — 1785 წ. „აღიწერა ჴელითა მათის სიმაღლის კარის ეკლესიის დეკანოსის გიორგისითა, რომელ მოწამეც ვარ“[32] — 1794 წ.

ხელმწიფის კარის ეკლესიის დეკანოსობა ნიკოლაოსსაც მიუღია: „აღუსწერე წერილი ესე კარის დეკანოსმა ნ ი კ ო ლ ა ო ს მ ი ხ ა ი ლ ო ვ მ ან“[33] — წერს ის 1797 წლის საბუთში. „მე, თელავის კარის ეკლესიის დეკანოსმა ნ ი კ ო ლ ა ო ს მ ა აღვსწერე“[34] — 1813 წლის საბუთია. გიორგი მეფის ბრძანება: „...მაღალო ღირსო დეკანოზო ნ ი კ ო ლ ო ზ, რადგან ჩვენის კარის დეკანოზი ხარ და კარის წინამძღრობის ადგილიც შენ გიპყრიეს, ეს შენც ასე დაუმტკიცე“[35] — 1800 წ.

როგორც ვიცით, 1807 წელს ნიკოლაოსს ებოძა თელავის კარის ეკლესიის პროთოპოპობა. ხელნაწერთა ინსტიტუტში შენახულია ანტონ II კათალიკოსის მიერ ნაბოძები ეს საბუთი: „წყალობითა ღვთისათა... გარწმუნეთ შენ ყოვლად პატიოსანსა მღუდელსა ჴ ე ლ ა შ ვ ი ლ ს ა ნ ი კ ო ლ ა ო ს ს თელავს წმიდისა ღვთის მშობელისა მიცუალებისა ეკკლესიისა პროტოპოპობა, ყოვლითავე განწესებითა მით და განგებითა, ვითარცა აჭუნდათ წინაპართა პროტოპოპთა მისთა...“[36].

---

28 კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტორია, ტ. I, თბ., 1960, გვ. 403.
29 საჭ. ცსსა, ფ. 1448, საბ. 8125.
30 იქვე, საბ. 5417.
31 იქვე, საბ. 562.
32 იქვე, ფ. 1448, საბ. 75.
33 იქვე, საბ. 970.
34 იქვე, საბ. 8034.
35 იქვე, საბ. 818.
36 ხელნწ. ინსტიტუტი, Hd 9833.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ვხედავთ, მოყვანილი საბუთების მიხედვით, ნიკოლაოსი და მისი მამა გვევლინებიან მემკვიდრედ იმ თანამდებობისა, რომელიც, კ. კეკელიძის სიტყვით, იონა ხელაშვილის წინაპართაგან შვილიდან შვილზე გადადიოდა. სწორედ ეს გვაფიქრებინებს, რომ ნიკოლაოსი ხელაშვილთა იმავე შტოს წარმომადგენელია, რომლისაც იყო იონა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერც ის და ვერც მისი მამა აღნიშნულ თანამდებობაზე ვერ დაინიშნებოდნენ.

მცირეოდენი რამ ნიკოლაოსის მამის შესახებაც. იგი კარის დეკანოზობის გარდა ცნობილი ყოფილა როგორც მგალობელი. „მე, მეფის კარის ეკლესიის მღუდელ-მგალობელს გიორგი ხელაშვილს დამიწერია“[37] — 1781 წ. „დაიწერა ხელითა მგალობელის გიორგისათა“[38] (1778 წ.) — ვკითხულობთ მისი ხელით დაწერილ საბუთებში.

გიორგი სახელგანთქმული მგალობელი ყოფილა. მასზე იოანე ბატონიშვილი აღნიშნავს: „კახურსა გალობასა იყო პირველი“-ო. ეს გალობა მას შვილისთვისაც უსწავლებია. მგალობლობის გარდა გიორგი უნდა ყოფილიყო კარგი მწიგნობარიც. ჩვენ მოვიყვანეთ მისი ანდერძები მის მიერ გადაწერილი სიგელ-გუჯრებიდან. ეს სიგელ-გუჯრები დაწერილია ულამაზესი კალიგრაფიული ხელით. სიგელ-გუჯრების წერის ხელოვნება, უნდა ვიფიქროთ, რომ მას უსწავლებია ნიკოლაოსისთვის. შემონახულია რამდენიმე საბუთი, რომლის დამწერი ნიკოლაოსია. წერის სილამაზეში მას მამისთვის მიუბაძავს.

სიგელ-გუჯრების გარდა გიორგი ყოფილა ხელნაწერი წიგნების გადამწერიც. გვაქვს ნუსხა, რომელიც მისი გადანაწერიდან მომდინარეობს. ეს არის ხელნაწერი H 2673. აღწერა წუქეთისა და ჭარისა, 1846 წ. მისი ანდერძი გვამცნობს: „ეს აღწერილობა ვახუშტის ბატონიშვილის გაკეთებულის ქართლის ცხოვრებიდან გადმოვჰსწერე ჭეშმარიტებით მე, გიორგი ხელაშვილმა, ხუცეს-მგალობელმა, თვესა მაისსა კზ. წელთა ჩღპდ. და მუნითგან უმეტნაკლებოდ აღვსწერე იოანე ნათლისმცემლის უდაბნოს წინამძღვარმა არხიმანდრიტმან იოანე ჯორჯაძემ, კეთილად აღმომკითხველთათვის საცნობელად ქვეყნისა ჩუენისა ამინ. ჩყმვ წელსა, იანვრის დ დღესა“.

იოანე ნათლისმცემლის უდაბნოში ეს ხელნაწერი, როგორც ჩანს, ნიკოლაოსს ჰქონდა თან და მისი სიკვდილის შემდეგ, იოანე ჯორჯაძემ, ნიკოლაოსის შემდგომმა წინამძღვარმა, ნახა და გადაწერა.

გიორგი ხელაშვილი თელავის სამეფო კარზე დეკანოსად ჩანს უკვე 1778 წლისათვის[39]. 1798 წელს გიორგი მეფე მას უახლებს ერეკლე მეფისაგან მოცემულ ჯამაგირის წიგნს[40]. ე. ი. იგი ამ დროისათვის კიდევ ცოცხალია. შეიძლება, 1807 წელს ნიკოლაოსისთვის პროტოპოპობის ბოძება გიორგის სიკვდილზე მიგვანიშნებდეს.

გიორგი ხელაშვილზე ყურადღების გამახვილებით ჩვენ ის გვინდა ვთქვათ, რომ ნიკოლაოსის მწიგნობრობა და ლიტერატურული საქმიანობის სიყვარუ-

---

37 საქ. ცსსა, ფ. 1448, საბ. 5417.

38 იქვე, საბ. 1511.

39 ეს ჩანს საბუთიდან, რომლის ანდერძი ერთხელ უკვე მოვიყვანეთ — საქ. ცსსა, ფ. 1448, საბ. 1511.

40 ხელნაწ. ინსტიტუტი, Ad 921.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი ოჯახური ტრადიციებიდან იღებდა სათავეს. დავით რექტორის მოწაფენი გახდომა ამ სიყვარულის ზრდისა და გაღვივების კარგი საწინდარი იყო.

დავით რექტორთან სიახლოვე ნიკოლაოსს თითქმის სიბერემდე შეუურჩენია. ამის კარგ მაჩვენებლად გამოდგება გიორგი ერისთავის, დიდ კნიაზად წოდებულის და გენერალ-მაიორის, წერილი დავით რექტორისადმი. ნიკოლაოსს თავის დროზე არ უპასუხნია გიორგი ერისთავისაგან მიღებულ წერილზე. მას ამ საქციელს გიორგი ერისთავი დავით რექტორს ატყობინებს: „ესეოდენ ჟამ სურვილი ჩემი დაყენებული იყო წერად თქუენდამი და განცხადებად ჰაზრთა კეთილთა, და ჭელმყუანებელთა სამღრთოსა ტრფიალებისადმი და აწცა ჭელ-ჭებად კალამთა მაყენებდა სოფლისა ამის ვითარება და გარემოება ჩემი. გარნა განმაღვიძა და მიზეზ მექმნა მოწაფე თქუენი პროთოპოპი ნიკოლაოს, რომელსა მოვსწერე ჰეშმარიტნი და საღმრთო წერილთაგან დამტკიცებულნი სიტყუანი, რომელი აჩუენებდა გზასა კეთილობისასა და ძირსა თუ გუამსა ბოროტმოქმედებისა, და მის მიერ პასუხი ვერა რაჲ მივიღე. ამისთვის საჭიროდ ვრაცხ შენდამი მოქცევად და წერად“-ო[41].

1821 წლისათვის, რომლითაც დათარიღებულია ეს წერილი, ნიკოლაოსი 46 წლის კაცი იყო და უკვე თვით იყო ღვაწლმოსილი პედაგოგი. ამ დროისათვის მისი დავით რექტორის მოწაფედ მოხსენიება, არ უნდა იყოს მხოლოდ იმ ფაქტის გახსენება, რომ იგი დავით რექტორის სემინარიაში სწავლობდა. აქ უნდა იგულისხმებოდეს ნიკოლაოსის ლიტერატურულ მოღვაწეობაზე დავით რექტორის გავლენა და ხელმძღვანელი როლი, რომელიც არ უნდა შეწუვეტილიყო სემინარიის კედლებში და რომელიც, ალბათ, გრძელდებოდა ნიკოლაოსის მთელი სიცოცხლის მანძილზე.

ანდრია მესხიშვილის მიერ მიძღვნილი ხოტბა გვიდასტურებს, რომ თავის მხრივ ნიკოლაოსიც ყოფილა მოწაფეთა მისაბაძი მაგალითი პიროვნული თუ შემოქმედებითი ღირსებებით. ამ მხრივ საინტერესო ცნობას გვაწვდის აგრეთვე გრ. ორბელიანის ბიოგრაფი ი. მეუნარგია: „გრიგოლ იმისმა მშობლებმა მიაბარეს ახალს მთავრობისგან გამართულს კეთილშობილთა სასწავლებელში. აქ ქართული ენის მასწავლებლად შეხვდა იმას მღვდელი ხელაშვილი, ჩვენი ენის ზედმიწევნით მცოდნე. ჩინებული კაცი იყოო, მოიგონებდა პოეტი თვისს მასწავლებელს“[42].

როგორი ავტორიტეტითა და პატივისცემით სარგებლობდა ნიკოლაოსი თანამედროვეთა შორის, ეს კარგად ჩანს აგრეთვე მისდამი მიმართული წერილებიდან. მათ შორის უნდა დავასახელოთ: „ეპისტოლე დოლმატიკებრი, მათის მაღალ მსულელობის კნიაზ ლენრალ-მაიორის და კავალერის გ ი ო რ გ ი ს მიერ ე რ ი ს თ ა ვ ი ს ა. მათს მაღალ პატიოსნებას უფალს პ რ ო თ ო პ ო პ ს ნ ი კ ო ლ ა ო ზ ს, მოწყალეს ჭელმწიფეს“[42ა]. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია თეიმურაზ ბატონიშვილის წერილი. მოვიყვანთ მას: „მაღალ ღირსო პროთოიერეი, საკუთარო მეგობარო ნ ი კ ო ლ ა ო ზ. — წმიდას მარჯვენას გეამბორები. უკაცრაოთ ვიყავ, აქამდის დაგიგვიანე საფიცონე, ჟამმა ასე მომცა. აწ შემდგომისა ამის სიით მოგიგავთ მძიმის

41 საქ. ცსსა, ფ. 1446, ხელნაწ. 389.

42 ი. მ ე უ ნ ა რ გ ი ა, ცხოვრება და ღვაწლი თ. გრიგოლ ორბელიანისა, ტფ., 1905, გვ. 18—19.

42ა ხელნაწ. ინსტიტუტი, H 1216; საქ. ცსსა, ფ. 1446, ხელნაწ. 389.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოშტით თავსა და ბოლოს ჩემის ბეჭდით დაბეჭდილი საფიცრო ფარჩა, ცხრა ადლი, რომელსაც ფილონი და ოლარი გამოგვიგა. კვლად აძ ფარჩასთანავე ძვს იმავე ფარჩისა ორი ადლი ნაჭერი, თავსა და ბოლოს ჩემის ბეჭდით დაბეჭდილი. ეს ორი ნაჭერი თერთმეტი ადლი რუსული არის. მეორე ნაჭერისა ბედერნიკ და ენქერი გამოგვიგია. ამასთანავე ორნაჭრათ ოცდაერთი ადლი რუსული ადლი არშია თანავე ამა ფარჩისა თანა ძვს. მუყაოსნის არშია არის, ყვითელი, დიახ კარგი. რუსნი გასს უწოდებენ ამას და შესამოსლებზე და ეკკლესიის სამკაულებზედ სულ ამგვარებს ხმარობენ აქა.

შეიკერე ლამაზათ ჩვენებური ფილონი, რომელსაც რომ ბოლო სწორეთ მწყაზარის ბოლოს უგავს, ისე ლამაზათ მოყვანილი. ძახსოვს მამაშენი რომ ლამაზათ ჩაიცმდა და სარტყელს ძეძესთან შემოიკრავდა თელავს. თუმცა ზქელ იყო, მაგრამ კარგად შვენოდა ხოლმე. შენ კი არა მგონია, თუ ახლა დასქელდი და უკეთ გაგეწყობა. საბუხრებიც ასე უნდა გაიწყო ხოლმე, როგორც კარგმან კეკლუცმან ქალმა ხრიკით მაჯები. მამაშვილობას, კიცხევთ კი არ ჩამომართო, საწყალი დიმიტრი მღვდელი არ იყო შატბერაშვილი — საკვირველად იცოდა ლამაზათ გაწყობა შესამოსლისა. ნამტნავათ საბუხრებისა, და შორიდამ ვფიქრობ, რომ როგორ ლამაზათ დაგშვენდება. ღმერთმან მშვიდობაში, დიდსა ალექსანდრე იმპერატორის ერთგულად სამსახურში და მანდაურის კეთილშობილთ მოძღვრების უმეტეს წარმატებაში მოგახმარის.

მამაშვილობამ, ჭელმწიფე იმპერატორსაც და ქვეყანასაც ასე მმსახურებ შენა, რომ უმეტესის ღირსი ხარ, რომ ვინც მამულის შვილები არიან, ყველამ პატივს გცეს. და ღმერთმა ქნას, ეს ჩემი გამოგზავნილი ფილონი ასე ბედნიერად მოგიხდეს, რომ ჭელმწიფის მოწყალება და წყალობა რამც დაგემართოს, რომ მე შენ ბედნიერების სმენაზედ ვიხარო, და ღირსიც ხარ მამაშვილობამ. რას წამს მოგვიდეს, საჩქაროდ მომწერე ჰასუხი.

უმდაბლესად და უსაკუთრესად საქართველოს მ ე ფ ი ს ძ ე თ ე მ უ რ ა ზ. წელსა 1822, ნოემბრის 2.

ბატონის სძალმა, ჩემმა ძეუღლემ, დიდის სიყვარულით მოგიკითხა და ხელს გაკოცა.

ნ ი კ ო ლ ა ოზ ჩ უ ბ ი ნ ო ვი დიდის სიყვარულით მომიკითხე. რა ვქნა, უკაცრაოთ ვარ დარჩომილი, ვერათ მოვიგონე, მაგრამ ვფიქრობ კი უთუოდ.

ჩემს დას დიდის სიყვარულით მრავალი მოკითხვა მოახსენე, წიგნი დაუგვიანე, მამაშვილობამ, გული სულ მაგასთანა მაქვს.

შენი მშვიდობის ამბავს ნუ დამაკლებ. ი ო ა ნ ე მ დიდის სიყვარულით მოგიკითხა და ჭელს გაკოცა. აგრეთვე შენმა ძმაკაცმა"[43].

ეს მეტად ვრცელი წერილი მთლიანად იმიტომ მოვიყვანეთ, რომ იგი კარგად გვიხატავს იმ სიახლოვეს, სიყვარულს და პატივისცემას, რომელიც არსებობდა ნიკოლაოსსა და ბატონიშვილებს შორის. ამ წერილში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ თეიმურაზ ბატონიშვილისაგან ნიკოლაოსისადმი სიყვარულისა და პატივისცემის მიზეზად გვესახება არა მხოლოდ მათი თანაშეზრდილობა, არამედ ნიკოლაოსის ღვაწლის დაფასება და აღიარება.

43 ხელნაწ. ინსტიტუტი, Ad 897.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ბატონიშვილთა და იმ ეპოქის გამოჩენილ მოღვაწეთა სიახლოვე და პატივისცემა, განათლებულობა და ღვაწლმოსილება კიდევ უფრო ზრდის ნიკოლაოსის შემოქმედებისადმი აღძრულ ინტერესს.

ნიკოლაოსის პიროვნების ღირსებამ გარკვეულად ფასი დასდო და აამაღლა ჩვენი წარმოდგენა მის შემოქმედებაზე. სამწუხაროდ, ჩვენ შევძელით მისი ლიტერატურული მემკვიდრეობის მხოლოდ რამდენიმე ნიმუშის მიკვლევა. ისინი შემდეგ ხელნაწერებშია წარმოდგენილი.

1. H 2055. ეს ხელნაწერი ნიკოლაოსის მიერ გადაწერილი ვეფხისტყაოსანია. მას წინ უძღვის, როგორც ვთქვით, ნიკოლაოსის მიერ შეთხზული 11-სტროფიანი წინასიტყვაობა. ამ ხელნაწერშივეა აკროსტიხი-მიძღვნა: „ბრწყინვალე კნეინა ელენას“.

ხელნაწერის გადაწერის თარიღი ახლა უფრო გარკვეულ ჩარჩოებში შეგვიძლია ჩავსვათ. ქაღალდის ჭვირნიშანი 1820 წელია. ნიკოლაოსი თავის თავს იეროდიაკონად იხსენიებს: 1827 წლის შემდეგ იგი არქიმანდრიტ თეოდოსად იწოდებოდა. მაშასადამე, ხელნაწერი 1820—1827 წლებში ყოფილა გადაწერილი.

2. H 1126. მასში, როგორც უკვე ვიცით, ნიკოლაოსს გადაუწერია „სიბრძნე ბალავარისა“ (1r—33v) და საკუთარი ლექსები: 1. საგალობელი ხარებისა, იამბიკო წყობილი, უღირსისა და ყოვლად კნინის იერომონახის ნიკოლაოსის მიერ ქმნილი. გალობა ა. სძლისპირი (34r—37v); 2. გალობა თ. რომლისა კიდურ-წერილობა არს აკროსტიხურად ესრეთ: უღირსი შენი ბერი, ძისა შენისა მონა ნიკოლაოს“ (37v—38r).

„საგალობელი ხარებისა...“ ვრცელი პოეტური ნაწარმოებია. ნიკოლაოსს გაულექსავს ბიბლიური სიუჟეტი იესო ქრისტეს ჩასახვის შესახებ. დაწერილია იამბიკური ხუთტაეპოვანი ლექსით, დიალოგის ფორმით. შეიცავს 29 იამბიკურ სტროფს.

ხელნაწერი დაწერილია ნიკოლაოსის იერომონახობაში, ე. ი. 1827 წლამდე.

3. H 2769. როგორც აღვნიშნეთ, ერთი ფურცელია, მიტროპოლიტი იოანესადმი მიძღვნილი ლექსი-აკროსტიხი, რომლის ავტორი ნიკოლაოსია.

ნიკოლაოსის ანდერძი გვამცნობს, რომ ლექსი დაწერილია „1821 წელსა, 6 თთუესა, 7 დღესა“.

4. S 105. დავით რექტორის ცნობილი კრებული. შედგენილია 1825 წელს. ამ კრებულში დავით რექტორს შეუტანია თელავის სემინარიაში არსებული ლიტერატურული წრის წევრთა, თავის შეგირდთა, სანიმუშო ნაწარმოებები, რომლებიც მიძღვნილია ერეკლე მეფისა და სხვა ბატონიშვილებისადმი[44]. სხვა ახალგაზრდა პოეტთა სახელებს შორის ხშირად ვხვდებით ნიკოლაოსის სახელსაც. „ნიკოლაოს, თელავის კარის დეკანოზის გიორგის ძისა“, „ნიკოლაოს, კარის დეკანოზის გიორგის ძისა“, „ნიკოლაოს, გიორგი დეკანოზის ძისა“ — აწერია მეფე ერეკლეს, მეფის ძის დავითისა და მეფის ძის ვახტანგისადმი მიძღვნილ შესხმებს[45].

---

44 თელავის სემინარიის ლიტერატურული წრის შესახებ იხ. ტრ. რუხაძე, დავით რექტორი (ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან, თბ., 1954, გვ. 44—53).

45 შესხმები დაბეჭდილია და განხილული ტრ. რუხაძის ხსენებულ ნაშრომში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროფ. ტრ. რუხაძე დავით რექტორის ამ კრებულის შესახებ წერს: „ეჭვი არაა, შეგირდებს ყველა უფლისწულისა და თანამედროვე მეფეების ქება უნდა ეთქვათ, მაგრამ დ. რექტორის ლექსების კრებულში დაცულია მხოლოდ ის ხოტბები, რომლებსაც ირაკლის, ვახტანგ და დავით ბატონიშვილებს ეუბნებიან შეგირდები.

აი მათი სია: გერმანე ქობულაშვილი, სიმონ მდივნის ძე; მერაბ ანდრონიკაშვილი; იოსებ პრეფექტორი ალავერდელი; ნიკოლოზ გიორგი დეკანოზის ძე (ხელაშვილი?)“[46]...

პროფ. ტრ. რუხაძეს მოყავს კრებულში წარმოდგენილ ახალგაზრდა პოეტთა სრული სია. ჩვენ იგი შევწყვიტეთ ნიკოლაოსის სახელთან. გვსურს ყურადღება გავამახვილოთ იმ გარემოებაზე, რომ პატივცემულ მეცნიერს ნიკოლაოსის სახელის შემდეგ კვადრატულ ფრჩხილებში კითხვის ნიშნით ჩაუსვამს გვარი ხელაშვილი.

ეს კითხვის ნიშანი იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ტრ. რუხაძეს დამტკიცებულად არ მიაჩნია და მხოლოდ სავარაუდოდ აქვს დაშვებული ნიკოლოზ გიორგი დეკანოზის ძის ხელაშვილობა.

იმ საარქივო მასალების გაცნობის შემდეგ, რომელიც ჩვენ აქ მოვიყვანეთ, ვფიქრობთ, ყოველგვარი ეჭვის გარეშე შეიძლება დავასკვნათ, რომ დავით რექტორის შეგირდთა შორის წარმოდგენილი თელავის კარის დეკანოზის გიორგის ძე ნიკოლაოსი გვარად ნამდვილად ხელაშვილია.

5. S 1735. ეს ხელნაწერი, რომელიც ბევრად ადრეულია ხსენებულ S 105-ზე (გადაწერილია 1791 წ), მცირეოდენი რედაქციული სხვაობით იძლევა დავით რექტორის მოწაფეთა ლექსებს. ყურადღებას იმასხურებს იმით, რომ S 105-ში ნიკოლაოსის სახელით წარმოდგენილ შესხმებს აქ ეწერია: „გიორგი დეკანოზის ძის კიკოსი“. ეჭვს გარეშეა, კიკო ნიკოლაოსის ბავშობის საალერსო სახელი ყოფილა.

6. H 796. სასულიერო შინაარსის თხზულებების კრებული. ახლავს გადაწერის ანდერძი: „ესე წიგნი ქმნილ არს იეროდიაკონის ბერის ნიკოლაოზისაგან. 1821-ს წელსა, ოქტომბრის 18-ს დღესა. აღიწერა ჩემ გლახაკის იოსებ დიაკონ ფოცხვერაოვისა მიერ“.

ამ კრებულის შემქმნელი იეროდიაკონი ბერი ნიკოლაოსი რომ ნიკოლაოს ხელაშვილია და არა სხვა პიროვნება, ამას გვიდასტურებს ხელნაწერი A 536. A 536 აგრეთვე სასულიერო შინაარსის თხზულებების კრებულია. მისი ბოლო ნაწილი შინაარსით მთლიანად იმეორებს H 796-ს.

A 536 სხვადასხვა პირის მიერ არის გადაწერილი. მისი გადაწერა დაუსრულებია (128v—132v) ნიკოლაოს ხელაშვილს. ანდერძიც მიუწერია: „1822-ს წელსა, ნიკოლაოს“. ამრიგად, A 536-ში გვაქვს ნიკოლაოს ხელაშვილის ავტოგრაფი იმ რამდენიმე თხზულებისა, რომელიც შედის დიაკონ იოსებ ფოცხვეროვის მიერ გადაწერილ კრებულში. ამიტომ მიგვაჩნია, რომ სწორედ ნიკოლაოს ხელაშვილია, და არა სხვა, ის იეროდიაკონი ბერი ნიკოლაოსი, რომელსაც იოსებ ფოცხვეროვი ასახელებს H 796 კრებულის შემქმნელად.

---

46 ტრ. რუხაძე, დავით რექტორი (ქველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, თბ., 1954, გვ. 46).

ეს მეტად საინტერესო ცნობაა. H 796-ში ჩვენ უკვე ვეცნობით ნიკოლოსის პროზაულ თხზულებებს, მის მოღვაწეობას სასულიერო მწერლობის დარგში. გავეცნოთ ამ კრებულის შინაარსს.

1. პირველი თხზულება, რომელიც ამ კრებულშია წარმოდგენილი, არის „საღმრთო ისტორია შემოკლებული, კითხუა-მიგებისათჳს“.

კითხვა-მიგების ფორმით გადმოცემული საღმრთო ისტორია იმ დროის ბევრი ხელნაწერით არის მოღწეული. H 796-ში დაცული თხზულება განსხვავებულია ყველა მათგან და იგი ნიკოლაოსის ორიგინალურ ნაწარმოებად უნდა ჩაითვალოს.

2. დიდაქტიკური ხასიათისაა შემდეგი თხზულება — „კანონი კეთილისა საქმისანი და ჩვეულებისანი“. აქ ნიკოლაოსს ჩამოუყალიბებია ქრისტიანული მორალის მრწამსი, რომელსაც შეგონების ფორმით აწვდის მკითხველებს.

3. „გლეხი ანუ მიწის მოქმედი და შვილნი მისნი“ — ასე ჰქვია მესამე თხზულებას ნიკოლაოსის კრებულში. ეს არის ცნობილი სიუჟეტი არაკისა „ძალა ერთობაშია“. ნიკოლაოსს მოუცია ამ არაკის თავისებური რედაქცია.

4. მეოთხე თხზულებას ჩვენ ვუწოდეთ „ზნეობრივი შეგონებანი“. იგი წარმოადგენს ნიკოლაოსის ქადაგებას, რომლის მიზანი მრევლის ქრისტიანული მორალით დამწყემსვაა.

5. ამავე მიზანს ემსახურება უკანასკნელი, ავრეთვე ორიგინალური თხზულება: „ძმათათჳს ანუ დათა“.

7. H 813. 5 ფ.; 33,5×22,5; ხელნაწერი ნიკოლაოსის ავტოგრაფია. იგი შეიცავს ერთ ჰომილეტიკურ თხზულებას: „სიტყუა შობისათჳს წმინდისა დიდებულისა და ყოვლად ქებულისა წინასწარმეტყუელისა, წინამორბედისა და ნათლისმცემელისა იოანესა“. ანდერძში აღნიშნულია მხოლოდ დაწერის დრო და ადგილი: „1824-ს წელსა, თვესა ივნისსა 19-ს, ხ ი რ ს ა ს“.

„სიტყუა შობისათჳს...“ ნიკოლაოსის ორიგინალური ნაწარმოებია, მაღალმხატვრული და მჭერმეტყველური, ავტორის განათლებისა და გემოვნების მაუწყებელი. როგორც ამ, ისე H 796-ში წარმოდგენილი ნაწარმოებებიდან ჩანს, რომ ნიკოლაოსი ყოფილა ნიჭიერი მქადაგებელი და ჰომილეტიკა მისი სამწერლო მოღვაწეობის ერთ-ერთ დარგად უნდა გამოიყოს.

ორიგინალური ნაწარმოებების შემცველი ხელნაწერების გარდა მიგაკვლიეთ ნიკოლაოსის მიერ გადაწერილ კიდევ რამდენიმე ხელნაწერს.

1. H 928. ნიკოლაოსის ავტოგრაფი; 1821 წელს ნიკოლაოსს გადაუწერია ბაუმეისტერის ეთიკა. ხელნაწერს ახლავს მისი ანდერძი: „მმადლობ, გაჳურთხევ, გაჭებ და გადიდებ შენ, ღმერთსა ჩემსა ცხოველ-მყოფელსა, მით, რამეთუ ყოველივე ნიჭთა შენმიერთა წარმათებაჲ შენმიერვე მოეცემის თჳთოეულთა. დიდება შენ, ღმერთსა ყოვლისა მპყრობელსა, აწ და უკუნითი უკუნისამდე, ამინ. უღირსი იეროდიაკონი ნიკოლაოს. 1821-სა წელსა, თვესა 28.3“ (ფ. 160)[47].

2. H 623. მეტაფიზიკა. ნიკოლაოსის ავტოგრაფი. ახლავს ანდერძი:

---

47 ხელნაწერის აღწერილობა იხ. (H კოლექცია) ტ. II, თბ., 1951, გვ. 295—296.

„შენად ღმერთმყოფო (!) და შენ ხოლო, რომელი არა (?) გარნა უხმარი შენდა წყალე, ნიკოლაოს“ (ფ. 166)[48].

3. საქ. ცსსა, ფ. 1446, № 80. პარაკლისი ნიკოლაოზისა. 1803 წ.; ნიკოლაოსის ავტოგრაფი; ახლავს ანდერძი: „იმისმა უბრწყინვალესობამ თავდმა ჩოლოყოვმა ნიკოლაოსმა აღმაწერინა პარაკლისი ესე წმინდის ნიკოლაოსისა მე, ყოვლად უღირსს მღუდელს ნიკოლაოსს, დეკანოსის გიორგის შვილს მიხეილოვს, წელსა 1803, ნოემბერს 30-ს“ (ხვეულად): „ნიკოლაოს“ (ფ. 12)[49].

4. საქ. ცსსა, ფ. 1446, № 673. მანანა. 1823 წ., ნიკოლაოსის ავტოგრაფი; ახლავს ანდერძი: „1823-სა წელსა, უღირსი ნიკოლაოს“[50].

5. საქ. ცსსა, ფ. 1446, № 68. ხელნაწერი წარმოადგენს ანტონ კათალიკოზის რიტორიკას. გადმწერის ანდერძი არ ახლავს, ადვილად საცნობი ნიკოლაოსის ავტოგრაფია[51], არაკალიგრაფიული, ჩქარი ხელით დაწერილი. ასეთი ხელით დაწერილი შეგვხვდა ნიკოლაოსის, როგორც მასწავლებლისა და ნიკოლაოსის, როგორც არქიმანდრიტ თეოდოსის მიერ დაწერილი მოხსენებითი ბარათები ამავე არქივის ჩვენს მიერ უკვე მითითებულ ფონდებში.

6. საქ. ცსსა, ფ. 1446, № 69. ხელნაწერში წარმოდგენილ თხზულებისათვის აღმწერლებს უწოდებიათ „ფილოსოფიური წიგნი“[52]. გადმწერის ანდერძი არ ახლავს. ნიკოლაოსის ავტოგრაფია, ისეთივე ხელით ნაწერი, როგორიც წინა, № 68 ხელნაწერი[53].

ჩვენგან მიკვლეული ლიტერატურული მემკვიდრეობა მხოლოდ მცირე ნაწილად უნდა ჩაითვალოს ნიკოლაოზ ხელაშვილის შემოქმედებისა. ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ დასახელებული ხელნაწერებიდან ნახევარზე მეტს (H 2055, H 2763, H 928, H 813, A 536, საქ. ცსსა, ფ. 1446, № 673) 1820-–1824 წლების თარიღი უზის.

ნიკოლაოსმა ლიტერატურული მოღვაწეობა ჰაბუკობიდან, სემინარიაში სწავლის პერიოდიდან დაიწყო. ამის კარგი დადასტურებაა დავით რექტორის კრებულში წარმოდგენილი მისი პოეტური შემოქმედების ნიმუშები, რომლებიც 1791 წლისათვის უკვე დაწერილია. ნიკოლაოსი გარდაიცვალა 1844 წელს. ძნელი დასაჯერებელია, რომ 1791 წლიდან 1844 წლამდე, 53 წლის განმავლობაში მას მხოლოდ 3 წერილი ემუშავა ინტენსიურად. პირიქით, ეს სამი წერილი უნდა მივიჩნიოთ ნიკოლაოსის ლიტერატურული პროდუქტიულობის კარგ მაგალითად. საფიქრებელია, რომ ნიკოლაოსის ცხოვრების სხვა პერიოდის შემოქმედებას ჩვენამდე არ მოუღწევია.

ნიკოლაოსის ორიგინალური პოეტური შემოქმედება, რომელიც აღნიშნულ ხელნაწერებშია წარმოდგენილი, მეტყველებს მათი ავტორის წიგნიერებასა და

48 აღწერილობა იხ. იქვე, გვ. 97.

49 საქ. ცსსა ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. I, თბ., 1949, გვ. 79.

50 საქ. ცსსა ხელნაწერთა აღწერილობა ტ. II, თბ., 1950, გვ. 181—182.

51 საქ. ცსსა ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. I, თბ., 1949, გვ. 69—70.

52 იქვე, გვ. 70.

53 უნდა აღვნიშნოთ, რომ საქ. ცსსა-ს მოყვანილი 4 ხელნაწერიდან 3 (№ 68, 69 და 80) შემოწირულია ვლადიმერ მიხეილის ძის ხელაშვილისაგან, ქ. თელავიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განათლებულობაზე. ნიკოლაოსი პოეტურ ხელოვნებას დაუფლებული შემოქმედია. მისი სტილი მაღალფარდოვანია და ანტონ კათალიკოსისა და დავით რექტორის დიდი გავლენა ატყვია.

პოეტური სახეებით და მხატვრულობით მოსაწონია მისი ხოტბები ერეკლე მეფისა და ბატონიშვილებისადმი მიძღვნილი. ყურადღებას იმსახურებს აგრეთვე რამდენიმე ადგილი ლექსებიდან: „საგალობელი ხარებისა იამბიკო წყობილი...“ და „გალობა თ...“

მოვიყვანთ ნაწყვეტებს ამ ლექსებიდან.

ეგე შობაჲ კაცთა, ხ̃ ქალწულო,
ღვთისა არ ეგრეთ, დავითისა ასულო,
მადლით წერილო, გრაგნილად დასახულო,
კურთხევის თაო, წყევისა დასასრულო,
ხოლო პატივით სახლად ღვთისა აღსრულო.

(„საგალობელი ხარებისა...“)

კიპარისებრ ფშვი კეთილსა სამოთხესა,
ოფაზის ოქროვ, განწმენდილო მადლითა,
ღრუბელო სავსევ, კურთხევისა ცუარითა,
აღმატრფე კუალად შენდამი მგალობელი
ოსანნაისა გალობად ქისა შენის·

(„გალობა თ“.).

* * *

მოღწეული ხელნაწერები გვიდასტურებენ ნიკოლაოსის ლიტერატურული მოღვაწეობის მრავალმხრივობას. სასულიერო და საერო პოეზია, სასულიერო მწერლობა, წიგნთა გადაწერა — აი მისი ინტერესთა სფერო. ნიკოლაოსი იყო აგრეთვე საუცხოო კალიგრაფი, სიგელ-გუჯრების დახელოვნებული მწერალი, მგალობელი, კარგი პედაგოგი, მონასტრის არქიმანდრიტი.

ყოველივე ეს უფლებას იძლევა დავასკვნათ, რომ ნიკოლაოსის პიროვნების სახით ჩვენ საქმე გვაქვს თავისი ეპოქის ერთ-ერთ გამოჩენილ კულტურულ მოღვაწესთან, რომლის ღვაწლს სათანადო დაფასება ჰქონდა თანამედროვეთა შორის.

დასასრულ, საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ნიკოლაოს კახის სახელით ქართული ლიტერატურის ისტორია იცნობს კიდევ ერთ პიროვნებას. იგი ცნობილია იმით, რომ ფილიპე ყაითმაზაშვილსა და იოანე ორბელიანთან ერთად სომხურიდან უთარგმნია ფილოსოფიური თხზულებანი, კერძოდ, არისტოტელეს პერიარმენია და დიალექტიკა, აგრეთვე პროკლე დიადოხოსის კავშირნი ღვთისმეტყველებითნი სვიმეონ ჯულფელის რედაქციისა.

მღვდელი კახთა მეფის კარისა ნიკოლაოზ კახელი, ან ქიზიყელი — ასე იხსენიება ის სამეცნიერო ლიტერატურაში[54]. ამავე სახელს ატარებდა, როგორც ვნახეთ, ნიკოლაოს იეროდიაკონიც. ბიოგრაფიული ფაქტები არ გვაძლევენ უფლებას ამ ორი პიროვნების გაიგივებისა. ნიკოლაოს იეროდიაკონი დაბადებულია 1774 წელს. პირველი ნიკოლაოსი კი აღნიშნულ თხზულებებს უკვე XVIII საუკუნის 60-იან წლებში თარგმნის.

---

[54] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართ. ლიტ. ისტორია, ტ. I, თბ., 1960, გვ. 365, 366, 368.

Ц. В. КАХАБРИШВИЛИ

К ВОПРОСУ О ЛИЧНОСТИ ПРОТОИЕРЕЯ НИКОЛАОСА

(Резюме)

В руставелологической литературе известен некто протоиерей Николаос, привлекавший внимание исследователей лишь своим непочтительным отзывом о Руставели в стихотворном предисловии к переписанному им самим «Вепхисткаосани». Однако, подобное упоминание Руставели вызвано отнюдь не враждой к нему, а лишь преувеличенным представлением Николаоса о собственных поэтических возможностях: он провозглашает себя поэтом, превосходящим Руставели.

На основании изучения многочисленных литературных и архивных материалов, удалось выявить доселе неизвестные факты, проливающие свет на его биографию. Стало возможным отождествить Николаоса — с Николаосом Георгиевичем Хелашвили, носящим прозвище «Кахи» (т. е. «Кахетинца»), которому Иоанэ Багратиони в своем сочинении «Калмасоба» отводит одно из почетных мест среди деятелей той эпохи. Он был писателем и песнопевцем, довольно хорошо известным в свое время.

Николаос Хелашвили родился, всего вероятнее, в 1774 году; он был родственником Ионы Хелашвили. Получил образование в Телавской семинарии, где учился у Давида Ректора. Окончил ее в 1801 году и в том же году был рукоположен в диаконы. 21 мая 1802 года принял сан священника. В протоиереи он был произведен 25 марта 1807 года. В 1814—1824 гг. преподавал в Тбилисском благородном училище закон божий и грузинскую словесность.

Николаос Хелашвили носил также фамилию Михайлова, являвшуюся русифицированной формой фамилии его предков — Михелашвили (фамилия Хелашвили образована путем переделки фамилии Михелашвили при получении носителями ее дворянского звания).

В 1826 — 1830 годы он служил смотрителем в Телавском духовном училище. 1 февраля 1827 года Николаос постригся в монахи, приняв имя Феодосия. 2 февраля этого же года был рукоположен в архимандриты и определен настоятелем монастыря Иоанна Крестителя в Давид Гареджийской пустыне.

Николаос Хелашвили скончался в 1844 году.

Выявленные нами образцы творчества Николаоса свидетельствуют о разнообразном характере деятельности их автора. Как выясняется, Николаос был весьма просвещенным деятелем, владевшим мастерством художественного слова.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თინათინ ენუქიძე

აღმოსავლეთ საქართველოს მდივანბეგთა ქრონოლოგიური რიგი

საქართველოში მდივანბეგთა ინსტიტუტის წარმოშობის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა.

პირველი მკვლევარი, რომელიც ამ საკითხს შეეხო არის ვ. გაბაშვილი[1]. მისი ვარაუდით, მდივანბეგთა ინსტიტუტის წარმოშობა საქართველოში XV ს. II ნახევრის შუა წლებით უნდა განისაზღვროს[2]. მანვე სამართლიანად უარყო ვახუშტი ბაგრატიონის მოსაზრება იმის შესახებ, რომ თითქოს „როსტომმა მსაჯულთუხუცესსა დივანბეგი უწოდა"[3].

ს. კაკაბაძე მდივანბეგის სახელოს შემოღებას მეფე სვიმონ I პერიოდს უკავშირებს. ცნობილია, რომ მეფე სვიმონ I 1569—1573 წწ. ტყვეობაში იმყოფებოდა სპარსეთში, სადაც მან კარგად შეისწავლა სპარსული ენა, გაეცნო იქაური მმართველობის სისტემას და სამშობლოში დაბრუნების შემდეგ შეეცადა იქ არსებული ზოგიერთი ინსტიტუტის შემოღებას. ასე შემოიღო მან 1578 წ. მდივანბეგის სახელოც[4]. ამ აზრს იზიარებს მ. ლეკვეიშვილიც[5]. დაახლოებით ამავე პერიოდში (XVI საუკ. II ნახევარი) ვარაუდობს აღმოსავლეთ საქართველოში მდივანბეგთა ინსტიტუტის წარმოშობას ანა ბაქრაძეც[6].

აზრთა სხვადასხვაობაა აგრეთვე ადრეულ პერიოდში (XVII—XVIII საუკ. I ნახ.) ერთდროულად რამდენიმე მდივანბეგის არსებობის საკითხის შესახებაც.

ვ. გაბაშვილი ფიქრობს, რომ „XVII ს. პირველ ნახევარში ქართლის სა-

---

[1] ვ. გაბაშვილი, დარბაზის რიგის მოხელენი დასტურამალის მიხედვით, აკად. ნ. მარის სახ. ენის, ისტორიის და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, XIII, 1943, გვ. 179—185.

[2] ამ აზრს იზიარებს პროფ. ივ. სურგულაძეც (იხ. მისი სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, 1, 1952, გვ. 313).

[3] ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941. გვ. 23.

[4] ს. კაკაბაძე, საქართველოს ისტორია, ახალი საუკუნეების ეპოქა, თბ., 1922, გვ. 27.

[5] მ. ლეკვეიშვილი, მდივანბეგობის ინსტიტუტი გვიანფეოდალურ აღმოსავლეთ საქართველოში (მანქანაზე გადაბეჭდილი სადისერტაციო ნაშრომი), 1953, გვ. 23.

[6] ანა ბაქრაძე, მდივან-მწიგნობრის სახელის საკითხისათვის, „მაცნე", 1966, № 6.

მეფოში მხოლოდ ერთი მდივანბეგი სამართლობდა...“ და „მდივანბეგთა რაოდენობის ზრდა მსაჯულშეკრებილების ჩამოყალიბების შემდეგ მოხდა“[7].

ივ. სურგულაძე XVII საუკ. ქართლის სამეფოში რამდენიმე მდივანბეგის არსებობას ვარაუდობს და ამტკიცებს, რომ XVIII საუკ. I მეოთხედში ერთდროულად სამი მდივანბეგი იყო[8].

წერილის მიზანია დოკუმენტური მასალების საფუძველზე დაადგინოს აღმოსავლეთ საქართველოს მდივანბეგთა მთლიანი ქრონოლოგიური რიგი. ამის დამუშავება ხელს შეუწყობს საქართველოში მდივანბეგთა ინსტიტუტის დამკვიდრებისა და ერთდროულად რამდენიმე მდივანბეგის არსებობის საკითხების გარკვევას.

გამოკვლევაში მდივანბეგების სია წარმოვადგინეთ ქრონოლოგიური თანმიმდევრობით. მასალებიდან ამოკრებილი ცნობები და ჩვენი დაკვირვებები ყოველ მდივანბეგთან ცალ-ცალკე გვაქვს მოცემული. ზოგიერთ მდივანბეგთან მასალების სიმცირის გამო საკვლევი ნაწილი მცირეა წარმოდგენილი. ამავე დროს, ჩვენ არ დავრიდებივართ, ქრონოლოგიური რიგის დაცვით, სქოლიოებში საბუთების უხვად წარმოდგენას, როცა რომელიმე მდივანბეგზე ამის საშუალება გვეძლეოდა.

*
* *

ბეჟან ხერხაულიძე. 1620.IV.15 მისი მონაწილეობით გაირჩა დიდ მოურავ გიორგი სააკაძის დავა ქაიხოსრო ჯავახიშვილთან*: „დავსხედით ბრჭენი და მოსამართლენი ღმრთისა შიშსა ქუეშ ჩუენ, დივანბეგი პატრონი ბეჟან, ბარათაშვილი პატრონი გიორგი და სხვ.“[9]. იმავე წლის ივლისის 15 დიდი მოურავის გიორგი სააკაძის მიერ ქაიხოსრო ჯავახიშვილისათვის მიცემულ უდაობის წიგნში „შუამდგომთა“ და „მომრიგებელთა“ შორის დასახელებულია „ხერხაულიძე დივანბეგი პატრონი ბეჟან[10]. ასევე „შუამდგომი“ და „მომრიგებელია“ იგი 1624 წ. ზაქარია და იესე ჯავახიშვილების მიერ გიორგი სააკაძისათვის მიცემულ შეყრილობის წიგნში[11]. ამ ორმა უკანასკნელმა საბუთმა მისი გვარი — ხერხაულიძეც შემოგვინახა.

მასალების მიხედვით, აღმოსავლეთ საქართველოში იგი პირველ მდივანბეგად ითვლება და 1620—1624 წლებში გვხვდება.

პირველ მდივანბეგად სთვლის მას პროფ. ვ. გაბაშვილი და ივ. სურგულაძე[12].

---

[7] ვ. გაბაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 181.

[8] ივ. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, 1952, გვ. 332.

[9] Hd—6259;

[10] Hd—14424;

[11] Hd—14693;

[12] ივ. გაბაშვილი, დასახ. ნაშრომი. გვ. 183. ივ. სურგულაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 313.

* ქვემოთ მოყვანილი ხელნაწ. ინსტ. დოკუმენტები აღნიშნული იქნება მხოლოდ შიფრით (Hd, sd, Qd, Ad) და ნომრით, ასევე ცხსა საბუთები შიფრით (1448, 1449. 1450) და ნომრით.

მკვლევარ მ. ლეკვეიშვილს პირველ მდივანბეგად უდიშელი მიაჩნია[13]. ეს შეცდომაა და მომდინარეობს გერმანოზიშვილების გვარის ერთ-ერთი საფლავის ქვის წარწერის არა ზუსტი წაკითხვიდან[14]. წარწერაში: „...არაგვის ერისთავის მდივანბეგ უდიშელის...“ მაგივრად უნდა იკითხებოდეს: „...არაგვის ერისთავის მდივანბეგ ედიშერის...“ და ჭორნიკონი „ტდგ“-ს მაგიერ „ტნგ“. არაგვის ერისთავი ედიშერი მართლაც გვხვდება 1661—1667 წწ. (იხ. აქვე, გვ. 304).

ყაფლან ბარათაშვილ-ორბელიშვილი. ორბელიანთა გვარში იგი პირველი მდივანბეგია. ამ გვარს ეს სახელო საუკუნეზე მეტ ხანს შერჩა და მათ სამემკვიდრეო სახელოდ იქცა[15]. 1636 წ. მას ყავს შვილები: პაპუნა, ორბელი და ასლამაზი[16]. ყაფლანი გარდაიცვალა 1671 წ.[17]

დოკუმენტების მიხედვით, 1634—1643 წწ. იგი მდივანბეგის ტიტულითაა მოხსენიებული[18]. 1646 წ. შიოშ სოლაღაშვილის შვილების დათუნა, ბაძინა და თამაზის სამკვიდროზე დავის წიგნში[19], და აგრეთვე 1652,1.3, 1653, 1657 და 1658 წწ. როსტომ მეფის მიერ მისთვის მიცემულ მამულის წყალობის წიგნებში[20] იგი სახლთუხუცესად არის მოხსენიებული. პროფ. ივ. სურგულაძეს მიაჩნია, რომ 1646 წლიდან ყაფლანს მდივანბეგობაც და სახლთუხუცესობაც უჭირავს. დოკუმენტებში, რადგან სახლთუხუცესობა უფრო საპატიო თანამდებობაა, ამ ტიტულით იხსენიებენ, ორივე თანამდებობის მოხსენება კი აუცილებელი არ იყო[21].

რიონ ჯავახიშვილი. დოკუმენტებში ყველგან მდივანბეგის ტიტულითაა მოხსენიებული. მთელ რიგ სასამართლო გადაწყვეტილების წიგნებს უზის მისი პატარა ზომის ოთხკუთხოვანი ბეჭედი მხედრული ლეგენდით: „როინ“[22]. ყავს შვილები ქაიხოსრო[23] და რევაზ[24]. ეტყობა, როსტომ მეფის ახ-

---

[13] მ. ლეკვეიშვილი, მდივანბეგობის ინსტიტუტი გვიანფეოდალურ აღმოსავლეთ საქართველოში, სადისერტაციო ნაშრომი 1953, გვ. 19.

[14] გ. ჩიტაია, პიტარეთისა და გიდარეხის საფლავის ქვები, საქართველოს მუზეუმის მოამბე, III. გვ. 119—126.

[15] გ. ყამბურია, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, 1955, გვ.147.

[16] Hd—14476.

[17] გ. ჩიტაია, დასახ. ნაშრომი გვ. 119—126.

[18] ა ა დ ა წ უ ყ ი ტ ა. 1634. X. 24 დავით დავითისშვილისა და მის ძმისწულ რამაზს შორის მამულზე დავა (საქ. სიძე., II. № 190); 1635. XI. 14 თბილელსა და მერაბ ყორღანაშვილს შორის მამულზე დავი (ფ. 1449 № 1775); 1636 წ. ქრთ-ერთ დოკუმენტში მას როსტომ მეფე თავისი ქარის მდივანბეგს უწოდებს და წყალობს მამულს. (Hd—14476). 1643 წ. ახლო დროით დათარიღებულ დოკუმენტში—როსტომ მეფის მიერ დავით დავითისშვილისთვის მიცემულ მამულის წყალობის წიგნში იგი მდივანბეგად იხსენიება (Qd—8237 (3);

[19] Sd—744.

[20] ცსსა, ფ. 1450, დავთ. 15, საბ. 100, 127, 140.

[21] ივ. სურგულაძე, დასახ. ნაშრომი. გვ. 327.

[22] Hd—14421, 14663, 14664; Sd—496.

[23] Hd—5233, 14677; Ad—951, 1687;

[24] Hd—5233.

ლობელია. როსტომის ძმისწულის სიმონ-ხანის ერთგულებისათვის თეიმურაზ I-მა იგი ჩააგდო ხორნაბუჯის ციხეში, სადაც „ბორკილისა და უდრეკის“ გამო-ფეხიც დაუშავდა[25]. მასალების მიხედვით, მას მდივანბეგის სახელო 1638—1661 წლების მანძილზე უჭირავს[26]. 1638—1643 წწ. ქართლში ერთდროულად ორი მდივანბეგია: ყაფლან ბარათაშვილ-ორბელიშვილი და როინ ჯავახიშვილი. მათი უფლებების გავრცელების ტერიტორიული დაყოფა ჩვენს ხელთ არსებული მასალით ვერ ხერხდება.

ე დ ი შ ე რ ე რ ი ს თ ვ ი შ ვ ი ლ ი. მასალების მიხედვით, იგი მდივანბეგად გვხვდება 1661—1667 წწ.[27].

ვ ა ხ ტ ა ნ გ (ო რ ბ ე ლ) ო რ ბ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, შვილი ყაფლან ორბელიშვილისა. მამა სახელოვანი ლექსიკოლოგის სულხან-საბა ორბელიანისა. 1676 წ. მეფე ვახტანგ V (შაჰნავაზისაგან) მიიღო ქართლის, ქალაქის, საბარათიანოს, სომხითისა და თათრის მდივანბეგობა[28]. აქვს პატარა ზომის ოთხკუთხა ბეჭედი მხედრული ლეგენდით: „ვახტანგი“[29].

---

[25] Hd—14677.

[26] გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა: 1638. III. 20 შაველდა არდაშელაშვილსა და ამირასლანა მექვაბიშვილს შორის მამულზე დავა (სოც. დოკ., 1, გვ. 4); 1641 წ. მერაბსა და წოდორელ სულხანიშვილებს შორის სამამულო დავა (Sd—496); 1642. 11. 12 პაატა ყორღანაშვილსა და მახარებელ სულხანასშვილს შორის მიწაზე დავა (Sd—1014); 1646 წ. ბარათაშვილ ფალავანხოსროს და პაპუნას შორის მამულზე დავა (ფ. 1450 დავთ. 2, საბ. 143); 1649 წ. მთავარეპისკოპოსსა და როსტომა ხითარაშვილს შორის ყმაზე დავა (სოც. დოკ., 1, № 44); 1652 წ. გივი და სვიმონ ზევდგენიძეებს შორის სასისხლო დავა (Hd—1805); 1653 წ. მონაწილეა ბარათაშვილებსა და გოგებაშვილებს შორის მამულების გაცვლის წიგნისა (Hd—8765 (3); 1656. 1. 3 ბერუკა, სეხნია და სხვ. თურქესტანიშვილებს შორის მამულზე დავა (Hd—14421); 1656. VI. 28 მამუკა ბლორძელსა და ჰარუნ სარქისაშვილს შორის მიწაზე დავა (Hd—14657); 1657 წ. ბარათაშვილებსა და ელიოზიშვილებს შორის ნასოფლარის გაჭრო ატეხილი დავა (Qd-2153); 1659 წ. ამილახორსა და ელიზბარ ქსნის ერისთავს შორის ამტყდარი სამამულო დავა (Hd—2113); 1661 წ. ყმების ივანესა და ამბარიას შორის მამულზე დავა (Ad—1687); 1632—1658 წწ. სახლთუხუცეს ყაფლან ბარათაშვილსა და მეჯინიბეთუხუცეს პაატას შორის ამტყდარი სამამულო დავა (Sd—794). მ დ ი ვ ა ნ ბ ე გ ა დ მ ო ხ ს ე ნ ე ბ უ ლ ი ა: 1642. 1. 8 მის მიერ აბანოელ ნასყიდასათვის მიცემულ როსტომ მეფის ჟამისმწირველად დადგენის წიგნში (Hd—14663); 1652 წ. მანგლისის ღვთისმშობლის კრებულის მიერ მისთვის მიცემულ შენდობის წიგნში (Hd—8584); 1653 წ. როსტომ მეფის მიერ მისთვის მიცემულ მამულის წყალობის წიგნში (Ad—951); ამავე წელს დოლმაზა გოგიბაშვილის მიერ პაატა და ვარაზა ბარათაშვილებისათვის მიცემულ მამულის გაცვლილობის წიგნში (Hd—14664); 1656 წ. როსტომ მეფის მიერ მისთვის მიცემულ მამულის წყალობის წიგნში (Hd—14677); 1659 წ. შაჰნავაზის მიერ მისთვის მიცემულ მამულის მფლობელობის განახლების წიგნში (Hd—5233); (1641—1658 წწ.) როსტომ მეფის მიერ მისდამი მიწერილ წერილში იესე ერისთავის მკვლელობასთან დაკავშირებით (საქ. სიძვ., II, №59).

[27] გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა: 1661 წ. გიორგი ბარათაშვილსა და ვარხუნიძეებს შორის საზღვარზე ცილობის დავა (ფ. 1448, № 3266); 1662. V. 20 გაარიგა ბარათაშვილების მიწაზე ცილობა (ფ. 1450, დავთ. 38, საბ. № 4); 1666 პაპუნა ფავნელიშვილსა და ბაადურ მაჩაბელს შორის დავა (Qd—8710); 1667 წ. შანშიაშვილ პაპასა და მისი ძმის დოლმაზას გაყრა (Hd—9292); 1662 წ. მოწმეა ანჩაფ ტულუნაშვილის მიერ კათალიკოს დომენტისთვის მიცემულ ყმის ნასყიდობის წიგნისა (ისტ. დოკ., IV, გვ. 37).

[28] Sd—536;

[29] ფ. 1448, № 5067.

1677.III.1 თათარ ევაზასა და გიორგი სარალიძის შორის ამტყდარი დავა გადაწყვიტა (ფ. 1448, № 5067).

მასალების მიხედვით, მას მდივანბეგობა 1676—1685 წწ. უჭირავს[30].

ბ ა რ ძ ი მ ე რ ი ს თ ა ვ ი. იგი არაგვის ერისთავის გიორგის ძმაა[31]. გამეფებისთანავე ერეკლე I-მა მას მსაჯულთუხუცესობა — მდივანბეგობა უბოძა[32]. 1689 წელს კათოლიკობა მიიღო[33]. ვახუშტი ბატონიშვილი მის შესახებ აღნიშნავს, რომ „ბარძიმი იყო ამაყი, თავხედი და არა რაიდ ვინმე ჩნდა"[34]. კათოლიკე მისიონერთა წერილების მიხედვით, იგი ქართლის სამეფოში გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწედ ითვლება და მეფის შემდეგ პირველ პირად ჩანს[35]. იგი ნინოწმიდას მოკლეს[36] 1692 წ. ახლო[37]. აქვს ორი ბეჭედი. ერთი — პატარა ზომის ოთხკუთხოვანი ბეჭედი მხედრული ლეგენდით „ბარძიმ" და მეორე — საშუალო ზომის ოთხკუთხოვანი ბეჭედი მხედრული ლეგენდით „მონა ღთისა დივაბეგი ბარძიმ".

1689 წ. 1 იანვარს მან გარეჯის იოანე ნათლისმცემლის მონასტერს ყოველწლიურად 25 კოდი პური, სამი საპალნე ღვინო, ხუთი ლიტრა ზეთი და ორი ლიტრა სანთელი შესწირა[38]. ამავე დღეს ასეთივე შეწირულების წიგნი მისცა იოანე ნათლისმცემლის მონასტერს[39].

მასალების[40] მიხედვით, მდივანბეგად ჩანს 1689—1692 წწ.

---

[30] მდივანბეგის ტიტულითაა მოხსენიებული 1676—1686 წწ. დათარიღებულ თამაზ ორბელიანის მიერ მისთვის მიცემულ საფიცრის წიგნში (საქ. სიძვ., II, №154). და გიორგი XI მიერ მასთან მიწერილ წერილში (Sd—632);1677 წ. ზაქუმ ალიყულისშვილის მიერ მისთვის მიცემულ ზვრის ნასყიდობის წიგნში (საქ. სიძვ., II, №110); 1678. VI შიოშ ბარათაშვილის მიერ მისთვის მიცემულ მამულის ნასყიდობის წიგნში (Sd—2295); 1679. IV. 29 გიორგი მეფის მიერ მისთვის მიცემულ ქალაქში სასახლის წყალობის წიგნში (Sd—539); 1681წ. გუგუნა ბარათაშვილის მიერ მისთვის მიცემულ მამულის ნასყიდობის წიგნში (Hd—9674); 1682 წ. ციცი ფანასკერტელ-ციციშვილის მიერ წმ. ნიკოლოზის ეკლესიისათვის მიცემულ ყმების შეწირულების წიგნში (Ad—641); 1684. X ფალავან -ხოსროშვილ ბარათა თაყაშვილის მიერ მისთვის მიცემულ ვენახის ნასყიდობის წიგნში (Sd—540); 1684. XI. 1 ზაალ ციცისშვილის მიერ მისთვის მიცემულ საბაზიეროს ნასყიდობის წიგნში (ისტ. დოკ., 1, №79); 1685. VI. 27 მანუჩარ იარალისშვილის მიერ მისთვის მიცემულ სავენახეს ნასყიდობის წიგნში (საქ. სიძვ., II, № 115).

[31] ქართლის ცხოვრება, დ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი ს გამოცემა, ნაწ. II, გვ.,310.

[32] იქვე, გვ. 60; [33] იქვე; გვ. 63; [34] იქვე, გვ. 310—311. [35] მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 275, 278, 697.

[36] ქართლის ცხოვრება, დ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი ს გამოცემა, ნაწ. II, გვ. 311;

[37] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, გვ. 533. [38] Ad—407; [39] Ad—738.

[40] მან 1689. IV გაარიგა შერმაზან მახარაშვილის ქულბაქის ნასყიდობა (Qd—9086);

1689 წ. იგი მოწმეა მამადა ბაღირა-ბეგის მიერ მდივან გივი თუმანიშვილისათვის მიცემული ყაბზის გაცუდების წიგნისა (Hd—14590);

ასევე მოწმედაა 1690 წ. ფარსადან ციცისშვილის მიერ რევაზ მაღალაძისათვის მიცემულ ვალში ყმის დანებების წიგნისა (Ad—1781);1690 წ. მისი ბრძანებით გარიგებულა ფარსადან ციციშვილის მიერ ნიკოლოზ მაღალაძისათვის მიცემული ყმების ნასყიდობა (Ad—1883);

1691 წ. მეტეხელი ნადირას საქმე გაურიგებია (არა ჩანს, რა საქმე) (Hd—11573) (პ); იმავე წელს გადაუწყვეტია სახლთუხუცეს რევაზ მაღალაძისა და მოურავისშვილ გიორგი თარხანს შორის საზღვარზე ცილების დავა (ფ. 1448, № 3268);

1692. III. 15 იგი მეფე ნაზარალიხანთან, იოანე კათალიკოსთან, ქრისტეფორე მთავარეპისკოპოსთან, გიორგი არაგვის ერისთავთან, დავით ქსნის ერისთავთან და სხვ. ერთად არჩევს გივი, იორამ და ავთანდილ ამილახვრებს შორის სახლიკაცობაზე დავას (Hd—2251(პ));

1688—1792 წწ. გადაწყვიტა ოთარ გერმანოზიშვილის ცოლყოფილის მარიამის მამულზე დავა პაპუა და გუგუნა გერმანოზიშვილებთან (Hd—15059);

პაატა ერისთავი. ჰყავს ძმები ბეჟან და გივი. შვილები: რეჟაბ, აბელ და ბაღთარ[41]. იგი ბაინდურ ერისთავის ბიძაშვილია. აქვს ოთხკუთხა ვანი საშუალო ზომის ბეჭედი მხედრული ლეგენდით: „მონა მღთისა მდივანბეგი პაატა“[42]. თარიღიან დოკუმენტთა შორის იგი პირველად 1695 წ. იხსენიება. საბუთი წარმოადგენს ყმა-მამულის წყალობის წიგნს, მიცემულს ბაინდურ ერისთავის, პაატა მდივანბეგის, ოტიასა და სხვ. მიერ შამახა, ალიბეგ და შანშე თეგთურმანიეებისათვის[43]. მასალების[44] მიხედვით, მდივანბეგად ჩანს 1695—1697 წლებში.

ქრონოლოგიურად მდივანბეგ პაატა ერისთავს მოყვება მდივანბეგი პაატა ჯანდიერისშვილი. დოკუმენტური მასალის შესწავლის საფუძველზე (ბეჭედი, ოჯახის წევრების ვინაობა) შესაძლებელი გახდა ამ ორი ერთნაირი სახელის მქონე და ახლო პერიოდში მოღვაწე მდივანბეგების გაცალკევება.

პაატა ჯანდიერისშვილი. ჰყავს შვილები: ზურაბი, მამუკა, როსებ, ასლან და ზაზა[45]. ძმები: მანუჩარ და ჯარდან[46]. 1703 წ. მაისში ზაალ რევაზისშვილისაგან შეისყიდა მიწა[47]. 1711 წ. აპრილში გიორგი მაჩაბელისაგან იყიდა ყმა გაალოელისშვილი[48]. ამავე წლის 14 სექტემბერს ქაიხოსრო ვაჩნაძისაგან შეისყიდა ყმა-მამული. ამ საბუთმა შემოგვინახა პაატას გვარი ჯანდიერისშვილი[49]. 1718 წ. გადაწყვეტა სავინაშვილებსა და ყარალაშვილებს შორის მამულზე დავა[50]. 1703—1722 წლებით დათარიღებულ საბუთში პაატა მდივანბეგი და დავით გარეჯის წინამძღვარი ონოფრე აკურის კაცებზე ცილობენ. იმამყული ხანმა დავის გადაწყვეტა ალავერდელს, სამებელს, ნინოწმინდელს, ქიზიყის მოურავს და ენისელო მოურავს დაავალა[51]. იმ საბუთების ტექსტების შესწავლა, სადაც პაატა მდივანბეგი მონაწილეობს, გვაჯარუდებინებს, რომ იგი კახეთის მხარის მდივანბეგია.

ერასტი ორბელიშვილი. შვილი მდივანბეგ ვახტანგ ორბელიშვილისა. 1684 წლის 17 იანვარს იგი იშვილა მისმა უშვილო ბიძამ პაპუნამ[52]. 1704 წლის 23 სექტემბერს ქართლის გამგებელ ლევან მაჰყული ხანისაგან მიიღო მამის სახელო — მდივანბეგობა[53]. მასალებიდან კი ჩანს, რომ იგი ამ ტი-

---

1692. IX. 10 იგი მოწმეა გიორგი მეფის მიერ გივი ამილახორისათვის მიცემული ზემო ქართლის სარდლობისა და მოურაობის წყალობის წიგნისა (Hd—2134);
მისი ბეჭედი 1687. XI, დამტკიცების მიზნით უზის გიორგი მეფის მიერ იორდანესათვის მიცემულ სამალახეს სითარხნის წიგნს (Hd—6204) და სასისხლო სიგელს (Ad—1588).

41 Hd—5261; 42. Sd—497; 43. Qd—1670. 44 1696. 1. 29 გადაწყვეტა დათუა სალხინაშვილსა და ხოსიტა მამისაშვილს შორის ვენახის გამო ატეხილი დავა (Sd—497); 1697. XI. 11 იგი მოწმეა ავთანდილ ქანბეგაშვილის მიერ გივი ჩუბინაშვილისათვის მიცემული შამირზას ნასოფლარის ნასყიდობის წიგნისა (Hd—403); მოხსენებულია სხვა საბუთებშიც (Sd—759); Hd—2543, 5261; Qd—216, 240).

45 ფ. 1443, № 2922.

46 ფ. Ad—1307.

47 Ad—1307.

48 Ad—1566.

49 ფ. 1448, № 2922.

50 Hd—10152 (3).

51 Ad—475.

52 საქ. სიძვ. II, №73.

53 Hd— 13053.

ტულს ოფიციალური დოკუმენტის მიღებამდე ერთი წლით ადრე ატარებს[54] XVIII ს. 20-იანი წლებიდან ყაფლანიანთა სახლის უფროსია. 1724—1730 წლებში სომხით-საბარათიანოს სარდალია, ხოლო 1727 წ. ისაყ ფაშამ მას სავამგეოდ სომხით-საბარათიანო მისცა[55]. გარდაიცვალა 1731 წ. 21 ოქტომბერს. დასაფლავებულია დმანისის ხეობაში სოფ. ღორისთავის მახლობლად, მის მიერ განაახლებულ წმ. დავითის მონასტერში[56].

აქვს სამი ბეჭედი: პირველი, რვაკუთხოვანი საშუალო ზომის ბეჭედი მხედრული ლეგენდით — „მონა მღთისა ძე ორბელისა მდივანბეგი ერასტი", მეორე, იმავე ფორმისა და ზომის ბეჭედი მხედრული ლეგენდით — „მონა ღვთისა ყმა გიორგისა მდივანბეგი ერასტი" და მესამე, მრგვალი პატარა ზომის ბეჭედი მხედრული ლეგენდით — „ერასტი".

მასალების[57] მიხედვით მდივანბეგად 1703—1731 წწ. ჩანს.

---

[54] Sd—581, Hd—2162. [55] გ. ჯ ა მ ბ უ რ ი ა, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, 1955, გვ. 147.

[56] ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, სომხით-საორბელოს წარწერები, ნაწ. II.

[57] 1703. XI. 5 მოწმეა ბეჟუა იაღიკაშვილის მიერ ნასყიდა შანშიაშვილ-დოლმაზაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (Sd—581); 1704. IV. 3 შაჰყულიხანმა მასა და მის ძმებს დაუბრუნა ერეკლე მეფის მიერ წართმეული ჯალდამი და ღორისთავი (Hd—2162); 1703. XI. 15 მოწმეა ბეჟუა იაღიკაშვილის მიერ ნასყიდა შანშიაშვილ-დოლმაზაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (Sd—581);

1704. IV. 3 შაჰყულიხანმა მას და მის ძმებს დაუბრუნა ერეკლე მეფის მიერ წართმეული ჯალდამი და ღორისთავი (Hd—2162);

1706. III ამტკიცებს დავით ჭილაშვილის მიერ თაყა თუმანისშვილისათვის მიცემულ ვენახისა და ზვრის ნასყიდობის წიგნს (Ad—966); იელისის 28, ვახტანგ ჯანშიხთან ერთად არჩევს მარნეულელებსა და გოსტაშაბიშვილებს შორის მიწების გამო ატეხილ დავას (Hd—2392);

1707. I. 25 გადაწყვეტა პაპუა გერმანოზაშვილის ბუშის წილზე დავა (Hd—2085); 1707 წ. მეფე გიორგი XI მას და საბა ორბელიანს სწერს სამძიმრის წერილს მათი ძმის ვახუშტის გარდაცვალებასთან დაკავშირებით (Sd—591, Hd—14314); 1707 —1711 წწ. ვახტანგ ჯანშიხთან ერთად არჩევს პაპუნა ციციშვილსა და ფარემუშ ჯავახიშვილს შორის ნასოფლარის გამო ატეხილ დავას (Sd—617);

1708. IX. 9 მას ღუარსაბ ორბელიშვილი თავის ძმებთან ერთად აძლევს ერთგულების ფიცის წიგნს (Hd—11572) (ვ);

1709. V. 10 თავის ძმებთან ერთად ფარემუზ, ოთარ და პაპა სიჩინოშვილებისაგან ყიდულობს მამულს (Sd—594).

1710. I. 27 ყმა-მამულის მფლობელობის განახლების წიგნი მისცა მას მეფე ქაიხოსრომ (საქ. სიძვ., II, გვ. 226).

1711. III. 4 მოწმეა იერუსალიმის არქიმანდრიტ სერგის მიერ სვეტიცხოველისათვის მიცემული სასახლის ნასყიდობის წიგნისა (Ad—2048);

1712. IV. 4 მას ზურაბ გიორგის ძე ორბელიშვილმა მიჰყიდა ვენახი (საქ. სიძვ. ,II , გვ. 243)

1713. XII. 1 გაარიგა თამაზ გოსტაშაბიშვილის მიერ ასლან ხოსტაშვილისათვის მამულის მიცემა (საქ. სიძვ. II, გვ. 129);

1715 წ. მან ერთგულების ფიცის წიგნი მისცა თავის ბიძაშვილ გორჯასპისა და მის შვილს ქაიხოსროს (საქ. სიძვ. II, გვ. 251);

1717. I. 6 თავის ძმებთან ერთად ზურაბ გიორგისშვილისაგან შეისყიდა სასახლე (Sd—797); II. 8 ბაგრატ პაატაშვილ-ციციშვილსა და მის განაყოფს ნოდარ ედიშერიშვილს შორის სასისხლო დავა გაარიგა (Hd—2081);

1718. VII. 15 სოფლის წყალობის განახლების წიგნი მისცა ფარსადან მაჭავარიანს (საქ. სიძვ. III, გვ. 154. XII. 7 მას სამ და ედიშერ ბარათაშვილმა მათი წილი „სატრედო" მიჰყიდეს (Sd—777);

1723. III. 20 გაარიგა მუხრანის ბატონის მუსტანბეგის მიერ როინ ჯავახიშვილისთვის მიცემული ყმა-მამულის ნასყიდობა (Sd—712);

დიმიტრი მდივანბეგი. მის შესახებ მეტად მცირე ცნობები გვაქვს. გვარის დადგენაც კი ვერ შევძელით. ყავს ყმები: თელავში და საცხენისში[58]. აქვს პატარა ზომის ოთხკუთხოვანი ბეჭედი მხედრული ლეგენდით: „მონა ღთისა მდივანბეგი დიმიტრი“. მისი მონაწილეობით 1704 წლის 31 ივლისს გადაწყდა ლუარსაბ ეაჩნაძისა და დათუნა აგათოშვილს შორის სასისხლო დავა[59]. 1705 წლის 27 მარტს მონაწილეობა მიიღო ჩოლოყაშვილების გაყრაში[60].

საბუთების მიხედვით კახეთის მდივანბეგად ჩანს 1704—1705 წწ.

ავთანდილ მდივანბეგი. მის შესახებ ცნობები მეტად მცირეა. აქვს ორი ბეჭედი. პირველი, საშუალო ზომის ოთხკუთხოვანი მხედრული ლეგენდით: „მონა ღთისა, ყმა გიორგისა, დივანბეგი ავთანდილ“[61] და მეორეც, ისეთივე ბეჭედი მხედრული ლეგენდით — „მონა ღ~სა ყმა იესუ მეფისა დივანბეგი ავთანდილ“. მასალების[62] მიხედვით მდივანბეგად გვხვდება 1715—1717 წწ. უძველესი დოკუმენტი, რომელშიც იგი მდივანბეგად იხსენიება 1715 წლისაა[63], მაგრამ მისი ბეჭდის ერთ-ერთი ლეგენდით — „მონა ღთისა, ყმა გიორგისა დივანბეგი ავთანდილ“ — ჩანს, რომ იგი გიორგი XI დროს უკვე მდივანბეგია, ამიტომ მისი მდივანბეგობის დასაწყის თარიღად გიორგი XI მეფობის უკანასკნელ წლებს ვიღებთ (1703—1709 წწ.), ხოლო დასასრულად — 1717 წ.

სარდალ-მდივანბეგი ქაიხოსრო ორბელიანი. მის შესახებ პაპუნა ორბელიანი წერს: „რადგან ქაიხოსრო ორბელიანს მდივანბეგობა ჰქონდა და ვეჭილობაც ახლა უბოძა, სომხით-საბარათაშვილოს ჯარი მის ძეს — რევაზს მიაბარა“[64]. ამ ცნობის საფუძველზე გ. ჯამბურია თვლის, რომ ურასტის გარდაცვალების (1731 წ.) შემდეგ მდივანბეგი ქაიხოსრო სარდალია

1725. XII. 27 მოწმეა მაჰმადბეგის მიერ ონოფრესთვის მიცემული ფულის მიღების ხელწერილისა (Ad-481);

1727. 11. 20 შეისყიდა მამული პაატა რევისშვილისაგან (Sd—688(ბ));ავგისტოს პირველს, სოფ. ჩინჩხურის წყალობა განუახლა დმანისის დეპისშობლის ეკლესიას (Ad—1060); დეკემბრის 21 დემეტრე თაყაიშვილისაგან ცხნარში ყმა-მამული შეისყიდა (Sd—695); 1727 წ. ოსია და არაქელ ფირალიშვილები გაათარხნა და მეხრედ მისცა თავის ბიძაშვილ დემეტრეს (საქ. სიძე. II, გვ. 338);

1703—1731 წწ. გაარჩია შუა ბოლნელთა და ზემო ბოლნელთა შორის სასაზღვრო დავა (Ad—649);

[58] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, I, 1967, გვ. 25, 100. [59] Hd—14026; [60] ფ. 1448, № 5329; [61] Hd—9686; [62] 1715. II. 27, ეძყვ მეფესთან, დომენტი კათალიკოსთან, ერასტი ორბელიშვილთან და სხვ.ერთად არჩევს რამაზიშვილებისა და დავითაშვილებს შორის სამამულო დავას (Ad—1040); 1717. II. 8. სვიმონ ბატონიშვილთან, ერეკლე მუხრანის ბატონთან, გიორგი არაგვის ერისთავთან, ერასტი ორბელიშვილთან და სხვ. ერთად არჩევს ბაგრატ პაატაშვილ-ციციშვილისა და მის ვანაყოფ ედიშვილების სასისხლო დავას (Hd—2081); 1717 წ. მოწმეა კოსტანტინეს მიერ ბაქარ მეფისათვის მიცემული ნასოფლარის ნასყიდობის წიგნისა (Hd—9686, Qd—1597(3)); (1717—1724. წწ. ვახტანგ და ბაქარ მეფეებთან და სხვ. ერთად არჩევს ელიზბარ და კონსტანტინე დავითაშვილებს შორის სახლკარობაზე დავას (Hd—2367), ამავე პერიოდში არჩევს დათუნა ტაირიშვილის დავას ბირთველ თუმანიშვილთან (Qd—142).

[63] Ad—1040.

[64] ქართლის ცხოვრება, დ. ჩუბინაშვილის გამოცემა, II, გვ. 348.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღა ვარაუდობს, რომ მას ეს ხელი გარდაცვალებამდე (1748 წ.) უჭირავს[65]. აქვს პატარა ზომის ბეჭედი, რომლის ლეგენდის ამოკითხვა ვერ მოვახერხეთ[66].

1740 წ. მისი მონაწილეობით გადაწყდა ლუარსაბ თარხნიშვილის ქალისა და ამილღაბარ გოშტაშაბიშვილის ვაჟის განქორწინება[67]. ამავე წელს დავით გოსტაშაბიშვილს აძლევს წიგნს, რომლის მიხედვით უსუბეგიშვილს დავითის კაცებთან სქმე არა აქვს[68]. 1741 წ. 1 მარტს ზურაბ ზურაბისშვილისაგან ყმამოული იყიდა[69]. 1742 წ. 26 ოქტომბერს დავით ყიფიანის შვილის მიერ ვახტანგ თაყაშვილისათვის მიცემული ყმების ნასყიდობის წიგნის მოწმეა[70]. ზემოთაყვანილ დოკუმენტებში იგი ყველგან მდივანბეგად იწოდება.

1736 წ. 20 მაისს თბილელსა და მერაბის შვილის აბაშის შორის კაცზე დავა გადაწყვიტა. ამ დოკუმენტში იგი მხოლოდ სარდლად იწოდება[71].

მდივანბეგად ჩანს 1740—1742 წწ.

პაპუა (ორბელიანი) აქვს საშუალო ზომის რვაკუთხოვანი ბეჭედი მხედრული ლეგენდით: „მონა მღთისა, ყმა მეფისა, პაპუა“.

გადაწყვიტა: 1743 წლის 16 ივნისს მეფე თეიმურაზისა და „ეფისკოპოზ, დარბაისელთა დასწრებით“ გიორგი გოვნიაშვილსა და ზაზა ჯანდიერს შორის სასისხლო დავა[72].

1749 წლის 6 ივნისს პაპა მარჩილაშვილსა და ზაალ ბარამიშვილს შორის საკომლოების გამო ატეხილი დავა[73].

მკვლევარ გ. ჯამბურიას აზრით, პაპუა ორბელიანი რევაზის შემდეგ არის მდივანბეგად[74].

იოანე ორბელიანი. ერთ-ერთი მისი ანდერძიდან ვტყობილობთ, რომ მას სწავლა თბილისში „ნახიჭევანის სანახებთაგან“ დაბა „ჭიუკით“ მოყვანილი ეპისკოპოს აევტიასთან დაუწყია. მასთან ერთად მოწაფეც, როგორც ის გამოთქვამს, „თანამესხოლედ“ ყოფილან: ფილიპე ყაითმაზაშვილი, მღვდელი ნიკოლოზი და გიორგი. იგი დაეხმარა ფილიპე ყაითმაზასშვილს პროკლე დიადოხოსის „კაშირინი ღვთისმეტყველებითნის“ თარგმნაში. „იწყო თარგმანებად და მეცა თანაშეველწოდი და ჭილითა ჩემითა ვწერდი, რაოდენნიმე თავნი ნიკოლოზიცა აღწერა, გარნა თარგმანთა უპირატესი მამა ფილიპე იყო. ფრიადითა შრომითა აღესწერეთ და გარდამოვენავით ჩვენდა“-ო[75].

აქვს რვაკუთხოვანი ძნელად ამოსაკითხი ბეჭედი, მხედრული ლეგენდით: „ქ. სჯის მსჯელი, ტკეფრავს ორბელი... ის მბჭო მიდმო მითგანღია, იოანე, 1748“. ეს ბეჭედი კარგი საბუთია მისი მდივანბეგობის დაწყების (1748 წ.) თარიღის დასადგენად.

მასალების[76] მიხედვით იგი 1749 — 1752 წწ. შემდეგ, 14 წლის

---

[65] გ. ჯ ა მ ბ უ რ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 147; [66] ფ. 1448, № 3244.

[67] Hd—2445. 5. [68] ფ. 1448. № 3244. [69] იქვე, № 1315. [70] Hd—4473.

[71] ისტ. სბ., V, გვ. 48.

[72] Ad—1421.

[73] Ad—2062.

[74] გ. ჯ ა მ ბ უ რ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 148.

[75] ქრ. შ ა რ ა შ ი ძ ე, ხელნაწ. აღწ., ტ. IV (A კოლექცია), გვ. 211—214.

[76] გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა: 1749. II. 27 გორელებსა და გიორგი ბაინდურასშვილს შორის ფულზე დავა (Hd—13096); VIII. 13 ათანდილ და ქაიხოსრო ჯავახიშვილებს შორის სახლკარებზე დავა (Hd—14524);

1752. IV. 10 მისგან ფული ისესხა თეიმურაზ ფალავანდიშვილმა (საქ. სიძვ., III, გვ.424).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

განმავლობაში მხოლოდ ერთხელ, 1761 წლის საბუთში[77], გვხვდება მდივან-ბეგად.

პაპუნა ორბელიანის ცნობით, 1753—1754 წწ. იგი საქართველოში არ არის. 1753 წ. ახლო ის და ზაალ თავანქჩიაღიასი თან გააყოლეს თეიმურაზ მეფის დისწულს — აბდულა-ბეგის შვილს მარიამ-ბეგუმს, რომელიც ახატხანმა ითხოვა ცოლად. „შეეყარნენ ახატხანს ქვეყანასა არაყისასა. სცა დიდი პატივი მდივანბეგს იოანეს და ზაალს... თვითონ [ახატხანი] წავიდა ქალაქს ისპაანსა დასაპყრობად და თანა წაიყვანა იოანე მდივანბეგი და ზაალ... ამათ მიანიჭნა პატივი დიდი მისაცემელითა და ფრიადითა ლხინ-განცხრომითა განუსვენა...“[78].

1754 წ. ახლო ისინი, სპარსეთიდან წამოსულნი, ერევნისა და ახალციხის გზით ქვიშხეთს მოსულან, სადაც იოანე მდივანბეგს მისი სიძე (ქალიშვილის ქმარი) ნიკოლოზ აბაშიძე შეხვდა და „განუსვენეს ლხინითა უზომოთა“[79].

ამ პერიოდში 1753—54 წწ., ცხადია, იოანე ქართლში ვერ იქნებოდა მდივანბეგად, მაგრამ მასალებში არც მერე ჩანს იგი მდივანბეგის სახელოს მფლობელად.

პროკლე დიადოხოსის „კავშირნი ღვთისმეტყველებითნი“-ს ანდერძში, რომელიც იოანეს ეკუთვნის და დათარიღებულია 1757 წ. 17 აპრილით, იოანე თავის თავზე ამბობს: „ქართველთა ნამსაჯულევი“, „ქართველთა მსაჯულყოფილი“[80]. ეტყობა, ჩვენთვის მიუკვლეველი რაღაც შემთხვევა 1754—1764 წწ. ხელს უშლის იოანეს მდივანბეგობას.

1765—1782 წწ.[81] მას მტკიცედ უჭირავს მდივანბეგის სახელო.

---

[77] გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა: 1761. VI. 13 დავით დალაქის ყმობაზე დავა პაატა მეითრიშვილთან (Hd—2538);

[78] ქართლის ცხოვრება, დ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი ს გამოცემა, ნაწ. II, გვ. 450—451.

[79] იქვე, გვ. 453.

[80] ქრ. შ ა რ ა შ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 214.

[81] გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა: 1765. III. 18 დიასამიძე მორდარ დავითის დავა თავის ბიძაშვილთან—ცოლის მუცლის წახდენასთან დაკავშირებით (ფ. 1448, № 1123); III.21 იასე ამილახვრიშვილსა და გიორგი ზარიძეს შორის ყმაზე დავა (ფ. 1448, № 1140); დეკემბრის 29 ტეტიასა და მორდარს შორის სასისხლო დავა (ფ. 1448, № 10092);

1766. II. 6 ბეჟანა დათასშვილსა და მარტიროზა გიუასშვილს შორის კაცზე დავა (ფ. 1448, № 1292); V. 22 თეიმურაზ ჯავახიშვილსა და ზაქარია ბიჭიკაშვილს შორის ტყვეზე დავა (Hd-9655); V. 5 ციციშვილ ედიშერისშვილი ქაიხოსროსა და სხვ. დავა დიმიტრის შვილ ედიშერთან სამკვიდრებლის გამო (ფ. 1448, № 1282); XI. 10 ედია ქალანთარისშვილსა და ლომა გვარამაძეს შორის ყმობაზე დავა (ფ. 1448, № 5664);

1767. VIII. 10 ტეტია ყაფლანისშვილის ყმობაზე დავა სარქისა სალმახანაშვილთან (Hd-14201);

1768. V. 22 დავით ქსნის ერისთავისა და გიორგი ყულარაღასის გაყრა (ფ. 1448, № 352); VI. 7 მღვდელ მიქელსა და პაპა ასლანასშვილს შორის ფულზე დავა (ფ. 1448, 449); VI,16 მირზაშვილებსა და ციციშვილებს შორის ყმაზე დავა (ფ. 1448, № 5047);

1769. V. 4 მისწერა იასაულებს განაჩენის აღსრულების შესახებ (Hd—3981);

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა: 1770. III. 6 თეიმურაზ ჯავახიშვილის ძმებთან გაყრა (Hd—9332); IX. 20 დავით და ნიკოლოზ მირზაშვილებს შორის სასისხლო დავა (Sd—47);

1771. I. 17 რევაზ ამილახორსა და აბაშიძეებს შორის ცხრამუხაზე დავა (Hd—13933); VI. 3 ხიდირბეგიშვილებსა და მურვანიშვილებს შორის სასისხლო დავა (Ad—1171); XII. 13 ქიზიყის მოურავიანთა (ენდრონიკაშვილები) გაყრა (ფ. 1448, № 278);

1772. VIII. 17 ელიზბარ ხერხეულიძეს და ზაზა დედანაშვილს შორის მამულზე დავა (Hd-6546);

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი მდივანბეგობის პერიოდში პარალელურად რამდენიმე მდივანბეგი გვხვდება: მზეჭაბუკ ორბელიანი, ზაალ მდივანბეგი, რამაზ ჭაიხოსრო ენდრონიკაშვილები, ფარსადან და თეიმურაზ ციციშვილები, სარიდან და ბეჟან ერისთავები. ამ მასალებით დასტურდება, რომ საქართველოში მდივანბეგთა რიცხვის ზრდა მსაჯულთშეკრებულებამდე (1778 წ.) ბევრად ადრე მომხდარა.

სარდალ-მდივანბეგი რევაზ ორბელიანი. შვილი სარდალ-მდივანბეგ ჭაიხოსრო ორბელიანისა. მის შესახებაც მეტად მცირე ცნობები გვაქვს. აქვს რვაკუთხოვანი საშუალო ზომის ბეჭედი მხედრული ლეგენდით: „სარდალი მეფეთ-მეფისა მდივანბეგი ვარ მეფისა — რევაზ".

1757 წლის 26 მარტს გაარჩია ივანესშვილი ჰონი გიორგის ცოლის მიერ ანდერძით დატოვებულ საქონლზე დავა[82]. მისი მდივანბეგობის შესახებ მხოლოდ ეს ერთადერთი საბუთი მოგვეპოვება.

რამაზ (ენდრონიკაშვილი). მასალების[83] მიხედვით მდივანბეგად

1773. VI. 14 სულხან მდივანსა და იბრაგიმ მამუკაბეგისშვილს შორის წყლის გატარების გამო ატეხილი დავა (Ad—991);

1774. VI, 1 ჭაიხოსრო ჯასტაშვილსა და ზაზა თარხნიშვილს შორის ფულზე დავა (Hd—2852); VIII. 28 ქსნის ერისთავიანთა გაყრა (Hd—5339); XII. 13 გლახა ფავლენიშვილსა და მის სახლიკაც ჭაიხოსროს შორის კაცზე დავა (Hd—10395);

1775. V. 11 გივი ყანდაშვილისა და იესე მაჩაბლის დავა წისქვილის თაობაზე(Qd—755); VI. 19 ზაალ დავითისშვილის დავა ყმა-მამულზე ფავლენიშვილებთან (Hd—9437); VIII. 10 ქარუმიძეებსა და მრულისშვილებს შორის სასახლეო დავა (Ad—2189); VIII. 15 ითხოვს მოწმეთა სწორ ჩვენებას ფავლენიშვილების მიერ ბროწეულთის შესყიდვის თაობაზე (Hd—527);

გადაწყვეტა: 1776. 11. 17 ჭაიხოსრო მდივანბეგსა და ზაქარია მოურავიანშვილს შორის ქოდალის ციხეზე დავა (Hd—1303), V. 3 ამილახორ-მდივანბეგის იესეს დავა დავით ორბელიანთან ყმების თაობაზე (ფ. 1448, № 452); VI. 15 გლახა და ჭაიხოსრო ფავლენიშვილებს შორის კვირიაყულის მამულზე დავა (Hd—2351);

1777. I. 14 ლუარსაბ ონანსშვილსა და დავით აფხაზს შორის სასახლის ალაგზე დავა (Hd—6729); III. 23 ნაზირ იოანე ყორჩიბაშისშვილის მამულზე დავა ცაგულაშვილებთან (ფ. 1448, № 872); V. 11 მზეჭაბუკ ორბელიანის ყმაზე დავა აეკა ფეიქართან (ფ. 1448, № 2394);

1778. IV. 26 თაღებობაზე დავა ჭაიხოსრო მურვანისშვილისა, ჭაიხოსრო აბაშიძესთან (Ad—1175);

1779. I. 27 ბეკა დორათაშვილსა და ზაალ ყაფლანისშვილს შორის ყმა-მამულზე დავა (Hd—9383); III. 2 მსაჯულთშეკრებილების სახელით მისწერა გარსევან ეშიკაღასბაშს ზაალ გურამიშვილისა და მისი ძოძის სამართალში მოყვანის შესახებ (Hd—174); IV. 16 გაარჩია გლახა როჭიაშვილსა და პაატა მეითრისშვილს შორის სასახლის გამო დავა (Hd—13159);

1782. I. 8 მოწმეა ზურაბ ზურაბისშვილის მიერ გურგენა რამაზაშვილისთვის მიცემული თავდახსნილობის წიგნისა (საქ. სიძე. III, გვ. 21);

იგი მდივანბეგად მოხსენიებულია აგრეთვე არზებში: Hd—10407,13, 797, 14650, 15065; Qd—559, 787, 789, 8736.

[82] ფ. 1448, № 5147.

[83] გადაწყვეტა: 1763. II. 23 რევაზ გაბაშვილსა და მის ბიძაშვილებს შორის გაუყოფლად დარჩენილ მამულზე და საწყლისპირის გამო ატეხილი დავა (ფ. 1448, № 754); 1765. III. 18 მორდარ დავით დისამძიძის სასისხლო დავა თავის ბიძაშვილთან (ფ. 1448, № 1123); 1765. III. 21 იასე ამილახორისშვილის ყმობაზე დავა გიორგი ზარიძესთან (ფ. 1448, № 1140); 1765. XII. 29 ტეტიასა და მორდარს შორის სასისხლო დავა (ფ. 1448, №10092); 1766. II. 6 ბეჟანა დათაშვილსა და მარტიროზა გიუსშვილს შორის კაცზე დავა (ფ. 1448, № 1292); 1766. V. 5 ციცისშვილ ედიშერისშვილ ჭაიხოსროსა და სხვათა მიერ ხაჩრ დიმიტრისშვილ ედიშერთან სამკვიდრებელის გამო ატეხილი დავა (ფ. 1448, № 1282); 1766. XII. 28 გრიგოლ სახლთუხუცესსა და დიმიტრი ჩოლოყაშვილის ობოლს შორის წისქვილზე დავა (Hd—

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩანს 1763—1773 წლებში. მისი მონაწილეობით გადაწყვეტილ სასამართლო წერილებში უზის მისი რვაკუთხოვანი საშუალო ზომის ბეჭედი მხედრული ლეგენდით: „რამაზ“. ბეჭდის ლეგენდა არაფერს ამბობს მისი მდივანბეგობის შესახებ, მაგრამ ამავე საბუთების ტექსტებში მოიპოვება მასალები მისი „მდივანბეგობის“ ნათელსაყოფად. ასე მაგ.: „ჩვენ დივანბეგმან რამაზ“ ან კიდევ „მისმა სიმაღლემ მეფემან სრულიად საქართველოსამან ირაკლი მეორემან გვიბრძანა ჩვენ მათ მონათ მდივანბეგს იოანე ორბელიანს, მდივანბეგს რამაზს, მდივანბეგს სარიდანს, მდივანბეგს ფარსადანს, მდივანბეგს ზაალს, მდივანს გორჯასპის, ედიშერს...“ (ფ. 1448 № 1292); ეს დოკუმენტი 1766 წლისაა. მოყვანილი ადგილი უეჭვოს ხდის რამაზის მდივანბეგობას და კარგ მასალას იძლევა 1778 წლამდე (მსაჯულთმეკრებილებამდე) ერთდროულად რამდენიმე მდივანბეგის არსებობის შესახებ.

სარიდან ერისთავი. მასალების[84] მიხედვით მდივანბეგად გვხვდება 1765—1771 წწ. აქეს ოთხკუთხოვანი პატარა ზომის ბეჭედი მხედრული ლეგენდით: „ძე ერისთავისა სარიდან“. აქაც ბეჭდის ლეგენდა არაფერს ამბობს მისი მდივანბეგობის შესახებ, მაგრამ საბუთებში იგი მდივანბეგის ტიტულოთაა მოხსენიებული.

ქაიხოსრო (ენდრონიკაშვილი) მასალების[85] მიხედვით მდივან-

2220); 1767. X. 10 ლუარსაბ ონანაშვილის ყმობაზე დავა გიორგი მირაშვილთან (ფ. 1448, № 226); 1770. IV. 20 დავით და ნიკოლოზ მირზაშვილებს შორის სასისხლო დავა (Sd—487); 1770. XI. 17 დამ ყარანგოზიშვილსა და ბურდღლს შორის სასისხლო დავა (Hd—5247); 1771. I. 17 რევაზ ამილახორსა და აბაშიძეებს შორის ცხრამეხზე დავა (Hd—13933); 1771. VI. 3 ხიდირბეგისშვილებსა და მურავნიშვილებს შორის ამტყდარი სასისხლო დავა (Ad—1171); 1771. VI. 8 ამტკიცებს საგარეჯოს მოურავი რამაზისა და სხვათა მიერ გარჩეულ ნინოწმიდელსა და კუდაშვილებს შორის მამულზე ატეხილ დავას (Ad—143); 1772. V. 20 ერეკლე სწერს გადაწყვეტის ეფემოზ მღვდლის ყმობაზე დავა ავთანდილთან (ფ. 1448, №359); 1773. X. 7 გადაწყვეტა მღვდ. ოთარსა და დავით გარეჯის უდაბნოს მრევლ შორის მამულის გამო ატეხილი დავა (Ad—796(3), 1500(3), 2221).

[84] 1765. II. 8 უჩივლა გივი ციციშვილს (Hd—8574); გადაწყვეტა :1765. XII. 19 ტეტიასა და მორდარს შორის სასისხლო დავა (ფ. 1448, №10092); 1766. II. 6 ბეჟან დათაშვილსა და მარტიროზა გიუსშვილს შორის კაცზე დავა (ფ. 1448, №1292); 1766. V. 5 ქაიხოსრო ციციშვილსა და სხვათა დავა სამკვდრებლის გამო დმიტრისშვილ ედიშერთან (ფ. 1448, № 1282); 1766. V. 22თემურაზ ჯავახიშვილსა და ზაქარია ბიჭიკაშვილს შორის ტყეზე დავა (Hd—9655); 1766. XII. 28 გრიგოლ სახლთუხუცესსა და დმიტრი ჩოლაყაშვილის ობოლს შორის წისქვილის გამო ატეხილი დავა (Hd—2220); 1771. I. 17 რევაზ ამილახორსა და აბაშიძეებს შორის ცხრამეხზე დავა (Hd—13933);

[85] გადაწყვიტა: 1768. V. 22 ქსნის ერისთავისა და გიორგი ყულარაძისს გაყრა (ფ. 1448. № 352); VI. 16 მირზაშვილებსა და ციციშვილებს შორის ყმაზე დავა (ფ. 1448. №5047); VII. 7 მღვდელ მაქელასა და პაპა ასლანიშვილს შორის ფულზე დავა (ფ. 1448, № 449);

1769. V. 4 მისწერა მურავნიშვილისა და ჯობაძეების იასაულს განაჩენის აღსრულების შესახებ (Hd—3981);

1770. III. 6 მონაწილეობა მიიღო ჯავახიშვილების გაყრაში(Hd—9332);

1771. VI. 8 დამტკიცა 1771. V. 11 საგარეჯოს მოურავ რამაზის, არჭმანდრიტ გერმანეს და სხვ. მიერ ნინოწმიდელსა და კუდაშვილებს შორის მამულის გამო ატეხილი დავის გარდაწყვეტილების წიგნი (Ad—143); XII. 13 მათი ოჯახი გაუყრია თემურაზ, იესე და იოანე მდივანბეგებს (ფ. 1448, № 278);

გადაწყვიტა: 1774. XII. 13 გლახა ფანელიშვილსა და მის სახლიკაც ქაიხოსროს შორის კაცზე დავა (Hd—10395).

ბეგად გვხვდება 1768—1797 წლებში. აქვს ერთი პატარა ზომის ბეჭედი მხედრული ლეგენდით: „ქაიხოსრო“ და მეორე საშუალო ზომის რვაკუთხიანი ბეჭედი მხედრული ლეგენდით: „მეფემ მყო ერთა მსაჯულად ღმერთს ვვედრებ ვიქმნა მარჯულად, ქაიხოსრო“.

ფ ა რ ს ა დ ა ნ   ც ი ც ი შ ვ ი ლ ი. მისი მდივანბეგობის შესახებ მასალები[86] გვხვდება 1763—1771 წლებში. აქვს ორი ბეჭედი. ერთი, რვაკუთხოვანი

1775. V. 11 გივი ყანდუაშვილის დავა წისქვილის გამო, იესე მაჩაბელთან (Qd—755); VI. 29 ზაალ დავითისშვილის ყმა-მამულზე დავა ფანველისშვილებთან(Qd—9437).

1776. II. 17 უჩივის ზაქარია მოურავისშვილს ხატებზე და ქოდალის ციხის გამო (Hd—1303); V. 3 მდივანბეგ იესესა და დავით ორბელიანს შორის დავა (ფ. 1448, №452); VI. 15 გლახა და ქაიხოსრო ფავნელისშვილებს შორის კვირიკაულის მამულზე დავა (Hd—2351).

1777. V. 11 მზეჭაბუკ ორბელიანის ყმობაზე დავა ავაქა ფეიქართან, (ფ. 1443, №2394);

1778. IV. 26 ქაიხოსრო მურვანიშვილის დავა ქაიხოსრო აბაშიძესთან თავდებობის გამო (Ad—1175);

1779. III. 2 მისწერა გარსევან ეშიკალასშაბს ზაალ გურამისშვილისა და მისი მოადის სამართალში მოყვანის შესახებ (Hd—174); გადაწყვეტა: III. 11 ვაჩნაძეებსა და დავით აფხაზიშვილს შორის საკომლეობის გამო ატეხილი დავა (Hd—10169); IV. 16 გლახა როჭიკაშვილსა და პაატა მეითრისშვილს შორის სასახლის გამო ატეხილი დავა (Hd—13159);

1785. V. 28 თომა მეღვინეთხუცისშვილსა და სეხნიას შორის მიწაზე დავა (Qd—426); VI. 24 იოანე ჯავახიშვილის ობლების ყმობაზე დავა(Qd—8603);

1787. V. 14 ბეჟან რატისშვილსა და მის სახლიკაცს შორის მამულზე დავა; (Hd—2444); V. 30 ბერო ფალავანდისშვილის ყმაზე დავა იესე მაჩაბელთან (Hd—14874); VI. 8 გოგია ვაჭრიძის ყმობაზე დავა ფალავანდიშვილებთან (Hd—10654); XI. 16 მოურავისა და თოფჩიბაშს შორის სასახლეზე დავა (ფ. 1448, №3070);

1788. V. 30 რამაზ და იოსებ გლურჯიძეებს შორის ვენახზე დავა (Hd—7262);

1789. V. 9 იოანე დოლენჯიშვილის ობლის ვარისთან ბოქოულთ-უხუცეს პაპუა საგინაშვილის ვალზე დავა (ფ. 1448, №317);

1790. III. 1 რევაზ ეშიკალასშაბსა და სოლომონს შორის სასახლეზე და გზაზე დავა (ფ. 1448, № 456);

1791. IX. 27 ნინია და ბეჟან თანიასშვილებს და ვარჯან და აქაზს შორის მამულზე დავა (ფ. 1448, №5337); XII. 16 ფარსადან და რევაზ ქარუმიძეს შორის სასისხლო დავა (Ad—613);

1794. VI. 1 მღვდელ თომა აბულვარდისშვილის მიწაზე დავა იოსებ ცალქალამანიძესთან (Hd—10005);

1796. V. 28 პაპა სომხიშვილის სასისხლო დავა ნინია ონანასშვილთან (ფ. 1448, №3077); 1797. VII. 10 ზაზა სოლაღაშვილსა და იესე მსაჯულს შორის სასისხლო დავა (Hd—14635); მდივანბეგად მოხსენებულია აგრეთვე 1768—1790 წლების არზებში (Hd—13798, 14650, 15065; Qd—559, 611, 787,789, ფ. 1448, № 472);

[86] გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა: 1763. II. 23 რევაზ გაბაშვილსა და მის ბიძაშვილებს შორის გაუყოფარ მამულზე დავა (ფ. 1448, №754); 1765. III. 18 დიასამიძის სასისხლო დავა მორდალთან (ფ. 1448, № 1123); 1765. III. 21 იესე ამილახორისშვილსა და გიორგი ზარიძეს შორის ყმობაზე დავა (ფ. 1448,№ 1140); 1766. V. 22 თეიმურაზ ჯავახიშვილსა და ზაქარია ბიჭიკაშვილს შორის ტყვეზე დავა (Hd—9655); 1766. II. 6 ბეჟანა დათასშვილსა და მარტიროზა გიუასშვილს შორის კაცზე დავა (ფ. 1448, № 1292);1766. V. 5 ქაიხოსრო ციცისშვილსა და სხვათა დავა დიმიტრის შვილ ედიშერთან სამკვიდრებელის გამო (ფ. 1448, №1282); 1767. VIII. 10 ტეტია ყაფლანისშვილის ყმობაზე დავა სარქისა სალმახანასშვილთან (Hd—14201); 1767. VI. 7 მიქელ მღვდელსა და პაპა ასლანასშვილს შორის ფულზე დავა (ფ. 1448, №449); 1767. X. 10 ლუარსაბ ონანაშვილის ყმობაზე დავა გიორგი მირაშვილთან (ფ. 1448, №226); 1768. V. 22 დავით ქსნის ერისთავისა და ყულარაღას გიორგის გაყრა (ფ. 1448, №352);1768. VI. 16 მირზაშვილებსა და ციციშვილებს შორის ყმაზე დავა (ფ. 1448, №547); 1769. V. 4 მისწერა მურვანიშვილისა და ქობაძეების იასაულს გაჩაჩენის აღსრულების შესახებ (Hd—3981);

1769. VI. 10 მოწმეა ქაიხოსრო აბაშიძის მიერ იესე ბარათაშვილისათვის მიცემული სახლის ნასყიდობის წიგნისა (ფ. 1450 დავთ. 17,საბ. №57); 1770. III. 6 გადაწყვიტა თეიმურაზ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშუალო ზომის ბეჭედი მხედრული ლეგენდით: „ფარსადან“. მეორე, ოთხკუთხა ბეჭედი ირგვლივ მხედრული, ხოლო შუაში მთავრული ლეგენდით: „მდივანბეგად განვისჯები თუ გავდრიკე დავისჯები. ფარსადან“.

ზაალ (ჯანდიერიშვილი). აქვს ოთხკუთხა პატარა ზომის ბეჭედი მხედრული ლეგენდით: „მონა ღთისა დიობეგი ზალ“. მდივანბეგად ჩანს 1766—1771 წწ.

1766.II.6 მან სხვა მდივანბეგებთან (იოანე, რამაზ, სარიდან, ფარსადან) ერთად ბეჭედ დათსწვილსა და მარტიროზა გიუსაშვილს შორის კაცზე დავა (ფ; 1448, № 1292) გადაწყვიტა, ხოლო 1771.I.17 რევაზ ამილახორსა და აბაშიძეებს შორის ცხრამუხაზე დავა (Hd—13933).

თეიმურაზ ციციშვილი. აქვს სამი ბეჭედი. ერთი — ოვალური ფორმის პატარა ბეჭედი მთავრული ლეგენდით: „თეიმურაზ“, მეორე — ოთხკუთხოვანი საშუალო ზომის ბეჭედი მხედრული ლეგენდით: „მონა ღთისა მდივანბეგი თემურაზ“ და მესამე — რვაკუთხოვანი საშუალო ზომის ბეჭედი მხედრული ლეგენდით: „ვის მონებასა ვეტრფე და ვეგი ეშიკაღასბაშ მყო მდივანბეგი“. ამ უკანასკნელი ბეჭდის ლეგენდით ირკვევა, რომ მას მდივანბეგობის სახელოს მიღებამდე ეშიკაღასბაშობის სახელო ეჭირა.

მრავლად ყავს ყმები ხატის თელეთსა და წავკისში[87].

მასალების[88] მიხედვით, მდივანბეგად გვხვდება 1771—1793 წწ.

ჯავახიშვილის ძმებთან გაყრა (Hd—9332); 1770. IX. 19 დავით ჯავახიშვილისა და მისი ბიძაშვილის გაყრა (ფ. 1448, № 990); 1770 IX. 20 დავით და ნიკოლოზ მირზაშვილებს შორის სასისხლო დავა (Sd—487); 1770. XI. 17 ადამ ყარანგოზისშვილისა და ბურდულს შორის სასისხლო დავა (Hd—5247); 1771. I. 17 რევაზ ამილახორსა და აბაშიძეებს შორის ცხრა მუხაზე დავა (Hd—13933); 1771. VI. 3 ხიდირბეგიშვილსა და მურვანიშვილებს შორის სასისხლო დავა (Ad—1171);

[87] იქ. ჯავახიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 165, 181.

[88] გადაწყვიტა: 1771. XII. 13 მდივანბეგ იოანესთან ერთად ქიზიყის მოურავიანთა (ენდრონიკაშვილები) გაყრა (ფ. 1448, №278);

1772. VIII. 27 იოანე მდივანბეგთან ერთად ელიზბარ ხერხეულიძესა და ზაზა დედანაშვილებს შორის მამულზე დავა (Hd—6546);

1773. VI. 14 იოანე და იესე მდივანბეგებთან ერთად სულხან მდივნისა და იბრეიმ მამუკაბეგისშვილს შორის წყლის გატარების გამო ატეხილი დავა (Ad—991);

1774. II. 26 კაკაბეთის პატრონის ყმობაზე დავა ქვლივიძეებთან (ფ. 1448, №867); VI. 1 ქაიხოსრო ჯასტაშვილისა და ზაზა თარხნისშვილს შორის ფულზე დავა (Hd—2852); VIII. 28 ქსნის ერისთავიანთა მამულის გაყოფა (Hd—5339); XII. 13 გლახა ფანელიშვილსა და მის სახლიკაც ქაიხოსროს შორის კაცზე დავა (Hd-10395);

1775. V. 11 გივი ყანდუაშვილსა და იესე მაჩაბლს შორის წისქვილის გამო ატეხილი დავა (Qd—755); VI. 29 ზაალ დავითისშვილსა და ფანელისშვილებს შორის ყმა-მამულზე დავა (Hd—9437); VIII. 10 ქარუმიძეებსა და მირუისშვილებს შორის სასისხლო დავა (Hd—527); X. 26 გიორგი მაღალაშვილის დავა გიორგი ფალავანდისშვილთან ვალის თაობაზე (Ad-1879);

1776. II. 17 ქაიხოსრო მდივანბეგსა და ზაქარია მოურავიშვილს შორის ჭოდალის ციხესა და ხატების გამო ატეხილი დავა (Hd—9437); X. 3 ამილახორ მდივანბეგი იესეს დავა დავით ორბელიანთან ყმების გამო (ფ. 1448, №452); VI. 15 გლახა და ქაიხოსრო ფანელიშვილებს შორის კვირიკაულის მამულზე დავა (Hd—2351);

1777. I. 14 ლუარსაბ ონანაშვილსა და დავით აფხაზს შორის სასახლის ალაგის გამო ატეხილი დავა (Hd—2351);

1777. I. 14 ლუარსაბ ონანაშვილსა და დავით აფხაზს შორის სასახლის ალავის გამო ატეხილი დავა (Hd—6729); III. 23 იოანე ყორჩიბაშისშვილის დავა მამულის გამო ცაგულაშვილებთან (ფ. 1448, № 872); V. 11 მზეჭაბუკ ორბელიანის ყმობაზე დავა ავაქა ფეიქრართან (ფ. 1448, №2394); VIII. 29 სახლთუხუცეს ზაქარია ციციშვილისა და მისი ბიძაშვილი დიმიტრის დავა პატარა ქარელზე (Hd—866);

1778. IV. 26 ქაიხოსრო მურავნისშვილის თავდებობაზე დავა ქაიხოსრო აბაშიძესთან (Ad—1175);

1779. I. 27 ბეგან დორათაშვილსა და ზაალ ყაფლანიშვილს შორის ყმა-მამულზე დავა (Hd—9383); III. 2 მსაჯულთშეკრებილების სახელით მისწერა გარსევან ეშოკოლასაბაშს ზაალ გურამისშვილსა და მისი მოადის სამართალში მოყვანის შესახებ (Hd—174); IV. 16 გლახა როქიაშვილსა და პაატა მეითრისშვილს შორის სასახლის გამო ატეხილი დავა (Hd—13159); VI. 20 ლუარსაბ აბაშიშვილსა და მერაღებეგ ქალანთარის შვილიშვილთან გლეხებზე დავა (Qd—273);

1780. II. 18 დათუა მაიაბლის მამულზე დავა ცხინვალელ გიაშვილთან (Sd—184); II. 19 ქაიხოსრო აბაშიძესა და ზაალ დავითისშვილს შორის ფულზე დავა (Hd—537); II. 26 მამუკა თარხნისშვილის ყმობაზე დავა თევდორე და შიო ხახანაშვილთან (Hd—1741); III. 22 იოანე დოლენჯისშვილის ყმობაზე დავა ბასილა ხუციშვილთან (Hd—14199); VI. 27 გაყარა სარდალქალაქის მოურავი ციციშვილი და მისი სახლიკაცები (ფ. 1448, № 874);

1781. I. 13 მისწერა ავთანდილ ბოქოლუთუხუცესს გადაწყვეტილების აღსრულების შესახებ (Hd—5248); იმავე დღეს გადაწყვიტა იოანე მდივანსა და მისი სახლის მოგორაენებს შორის დავა (ფ. 1448, № 461); VII. 26 ელიზბარ და ზაალ დავითისშვილებს შორის აზნაურზე დავა (Hd—435); XI. 15 მღდელ ვასილის მიერ მონასტრის მიწის დაჭერის შესახებ დავა (Ad—137); XI. 22 ბარძიმ მაჩაბელსა და როსტომ ერისთავშვილს შორის მამულზე დავა (Qd—7023);

1782. VI. 18 მდივან სულხან თუმანიშვილსა და ფარსადან ამირაღაშვილს შორის დუქნის ადგილზე დავა (Hd—11041); VI. 22 შერმაზან აფხაზიშვილის მკვლელობის საქმე (ფ. 1448, № 5524); VI. 27 გლეხების ყმობაზე დავა გოგია შაშიაშვილთან (ფ. 1448, № 457);

1783. I. 18 ბეცია და გაბრიელ ედეკანიშვილები გაყარა (Hd—5689); გადაწყვიტა: 1783. II. 11 იოსებ და ზაზა ავათოშვილებსა და აიდემურს შორის მამულზე დავა (Hd—14501); III. 14 ლუარსაბ მურავნისშვილსა და სურამის მამასახლისს შორის მამულზე დავა (Hd—13996); VIII. 7 გიორგი უთნელიშვილსა და იორამ მრულიშვილს შორის სასისხლო დავა (ფ. 1448, № 4650); VIII. 12 მამუკა გოჩიტასშვილის დავა ყმობაზე (ფ. 1448, № 413); X. 19 ფარეშთუხუცეს გივი ციციშვილსა და უთრუთ ციციშვილს შორის სახლიკაცობაზე დავა (ფ. 1448, №1559);

1785. V. 23 ყასაბ ყურაას ქალის მარმარასა და ფარსადანს შორის მამულზე დავა (Hd—13103);

1786. XI. 15 ჯავახ ზურაბის ყმობაზე დავა შიშია და გედევანიშვილებთან (Hd—2851); VII. 4 დვალისშვილსა და რუღისშვილს შორის ვენახზე დავა (ფ. 1448, №4263);

1787. V. 30 ბერო და იაკობ ფალავანდისშვილებსა და იესე და გოგია მაჩაბლებს შორის ყმობაზე დავა (Hd—14874);

1788. V. 30 რამაზ და იოსებ გლურჯიძეებს შორის ვენახზე დავა (Hd—7262); VIII. 28 დავით და სოლომონ აბაზაძეებს შორის ფულზე დავა (Hd—13852);

1789. V. 9 ამილეაბარ ციციშვილის ყმობაზე დავა იოანე დოლენჯისშვილის ვარისთან (Sd—459); XII. 23 ზაალ ყაფლანიშვილის დავა წისქვილის თაობაზე ტეტია გასტაშაბიშვილთან (ფ. 1448, № 470);

1791. V. 9 ზაზა და დავით მაღალაშვილებს შორის სასისხლო დავა (Hd—14187);

1793. II. 15 ბერ ფრიდონიშვილსა და გიორგი ქართველს შორის სასისხლო დავა (ფ. 1448, №303); III. 30 გიორგი ვეზირიშვილსა და დათუა გვერდწოველს შორის სახღვარზე ცილება (Hd—8516);

მდივანბეგად მოხსენიებულია აგრეთვე არზებში (Ad-1315); Qd-402, 787, 789, 8736; Hd—452; 1774, 13798).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბეჭედი მხედრული ლეგენდით — „მონა ღვთისა ამილახვარისშვილი მოურავი იესე". მასალების[89] მიხედვით, მდივანბეგად გვხვდება 1767—1786 წწ.

იესე ბარათაშვილი. [1777 წ.] იანვარში მიიღო ერეკლე მეფისაგან მდივანბეგობა[90]. აქვს ბეჭდები მხედრული ზომიანი ლეგენდებით: „ჟამი ესეცა წერილის" (**იესე**), „მსაჯულმან სწორი **ესე ყოს ეს ძეს**" (**იესე ოსეს ძე**) და „სოფლის შემსვლელს სოფელმაც **მდივა ნიჭი ესე**მცა განმეელტო მძლავა" (**მდივანი იესე**). 1786 წელს 15 ივლისს ეს ბეჭედი დაჰკარგვია[91]. მდივნობა სამ-

---

[89] გადაწყვეტა: 1767. VII ელიზბარ დავითისშვილსა და ხახანაშვილს შორის მამულზე დავა (საქ. სიძე. II, № 452);

1768. V. 22 დავით ქსნის ერისთავისა და გიორგი ყულარაღასის გაყრა (ფ. 1448. № 352);

VI. 16 მირზაშვილებსა და ციციშვილებს შორის ყმაზე დავა (ფ. 1448, № 5047);

1770. IX. 19 მდივან ჯავახიშვილსა და მის ბიძაშვილს შორის გაყრის გამო ატეხილი დავა (ფ. 1448, №990);

1771. I. 17 ამილახორსა და აბაშიძეებს შორის ცხრამუხაზე დავა (Hd—13933); XII. 13 ქიზიყის მოურავიანთა (ენდრონაკაშვილების) გაყრა (ფ. 1448, № 278);

1772 .VIII. 27 ელიზბარ ხერხეულიძესა და ზაზა დედანაშვილს შორის მამულზე დავა (Hd—6546);

1773. VI. 14 სულხან მდივანისა და იბრაიმ მამუკა ბეგისშვილს შორის წყლის გატარების გამო ატეხილი დავა (Ad—991);

1774. VI. 1 ქაიხოსრო ჯაშიტაშვილსა და ზაზა თარხნისშვილს შორის ფუღზე დავა (Hd—2852); XII. 13 გლახა ფანელიშვილსა და მის სახლიკაც ქაიხოსროს შორის კაცზე დავა (Hd—10395);

1775. V. 11 გივი ყანდუაშვილსა და იესე მაჩაბლის დავა წისქვილის თაობაზე (Qd—755); V. 26 მაღალაშვილის დავა ვალის თაობაზე გიორგი ფალავანდიშვილთან (Ad—1879); VIII. 10 ქარუმიძეებსა და მრეულიშვილებს შორის სასისხლო დავა; (Ad—2189); VIII. 15 ჩვენების სთხოვს მოწმეებს ფიქენინშვილების მიერ ბროწეთის შესყიდის თაობაზე (Hd—527);

1776. II. 17 ქაიხოსრო მდივანბეგისა და ზაქარია მოურავისშვილს შორის ქოდალის ციხესა და ხატების გამო ატეხილი დავა (Hd—1303); III. 16 იესე მიქელაძესა და ბერა ბეგისშვილს შორის სამამულო დავა (ფ. 1448, №3895);

1777. III. 23 ნაზირ იოანე ყორჩიბაშიშვილსა და ცაგულაშვილებს შორის მამულზე დავა (ფ. 1448, №872); V. 11 მზეჭაბუკ ორბელიანის ყმაზე დავა ავაქა ფიქრთან (ფ. 1448, 2394); VI. 23 შიოშ საყვარელიძესა და ღუთისია მიქელაძეს შორის მამულზე დავა (Hd—10988);

1778. IX. 26 ქაიხოსრო მურვანიშვილის დავა თავდებობის გამო, ქაიხოსრო აბაშიძესთან (Ad—1175);

1779. VII. 24 დავითისშვილებსა და წერეთელს შორის ფუღზე დავა (Hd—533);

1780. IX. 25 ელიზბარ დავითისშვილსა და მის ბიძაშვილს შორის მამულზე დავა (საქ. სიძე., II, № 462);

1781. VII. 28 ელიზბარ და ზაალ დავითისშვილებს შორის აზნაურზე დავა (Hd—435);

1783. II. 11 იოსებ და ზაზა აგათოშვილების დავა აიდემორთან მამულის გამო (Hd—14501);

1784. VI. 15 გოგია თუხარელის სასისხლო დავა ყანჩაველის ბუშ კიკოლაზე (ფ. 1448, № 801);

1786. VIII. 20 ქვათახევის არქიმანდრიტსა და წრიალაშვილებს შორის მამულზე დავა(ფ. 1448, №4363);

მდივანბეგად მოხსენებულია აგრეთვე 1768—1780 წწ. არზებში: Hd—536; 638; 10407; 11056; 14098; 14650 15065; Qd—559, 789 და სხვ.

[90] იესე ბარათაშვილი; ცხოვრება-ანდერძი, ა. იოსელიანის გამოცემა, 1950, გვ. 84.

[91] იქვე, გვ. 107.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვდროდ ჰქონია, მდივანბეგობის შესახებ კი სწუხს: „ჩემს უკან ამას (მდივნობას) კი მისცემენ ჩემს შვილებს და მდივანბეგობას ვინ მისცემს?“[92].

მდივანბეგად გვხვდება[93] 1777—1786 წწ.

მზექაბუკ ორბელიანი. აქვს ბეჭედი საშუალო ზომის მთავრული ლეგენდით: „მზექაბუკ“. მასალების[94] მიხედვით, 1777—1791 წწ. უჭირავს მდი-

---

[92] იესე ბარათაშვილი, ცხოვრება-ანდერძი, ა. იოსელიანის გამოცემა, გვ. 106.

[93] 1779. II. 5 მსაჯულთშეკრებილების ოქმს უზის მისი ბეჭედი (Hd—3376);

1779. III. 2 მსაჯულთშეკრებილების მიწერილობას უზის მისი ბეჭედი (Hd—174);

1780. III. 22 მსაჯულთშეკრებილების გადაწყვეტილება იოანე დოლენჯიშვილის ბასილა ხუციშვილთან ყმობაზე დავისა (Hd—14199);

1781. I. 13 მსაჯულთშეკრებილების გადაწყვეტილება იოანე მდივანსა და მისი სახლის მოგირავნეებს შორის დავაზე (ფ. 1448, №461); III. 8 მსაჯულთშეკრებილების გადაწყვეტილება, სულხან მდივნისა და მანუჩარს შორის სახლზე დავის გამო (ფ. 1448, №675);

1782. VI. 22 მსაჯულთშეკრებილების გადაწყვეტილება შერმაზან აფხაზიშვილის მკვლელობის საქმეზე (ფ. 1448, № 5524);

1783. I. 18 მსაჯულთშეკრებილების გადაწყვეტილება გედევანისშვილების გაყრაზე (Hd-5689);

1785. V. 23 მსაჯულთშეკრებილების გადაწყვეტილება ყასაბ ყულიას ქალის მარმარასა და ფარსადანს შორის მამულზე დავის გამო (Hd—13103);

არის სხვა დოკუმენტებშიც (იხ. Ad—437; Qd—8609;7023; Hd—435, 445, 452, 537, 1774. 5248, 11041; 1448 ფ. №413, 457, 1559, 4650).

[94] 1777. X. 11 მან ავაქა ფეიქარს უჩივლა ყმობაზე (ფ. 1448, № 2394), გადაწყვიტა: 1778. IV. 26 ქაიხოსრო მურვანიშვილის თავდებობაზე დავა ქაიხოსრო აბაშიძესთან (Ad—1175);

1779. I. 27 ბეჟან დორათაშვილსა და ზაალ ყაფლანიშვილს შორის ყმა-მამულზე დავა Hd—9383); IV. 16 გლახა როჭიკაშვილსა და პაატა მეითრისშვილს შორის სასახლის გამო ატეხილი დავა (Hd—13159); VI. 28 ლუარსაბ აბაშიშვილსა და მერალიბეგ ქალანთარის შვილიშვილს შორის გლეხებზე დავა (Qd—273);

1780. II. 18 დათუა მაჩაბლისა და ცხინვალელ გიაშვილს შორის მამულზე დავა (Sd—184); II. 19 ქაიხოსრო აბაშიძესა და ზაალ დავითაშვილს შორის ფულზე დავა (Hd—537); II. 26 მამუკა თარხნიშვილის ყმობაზე დავა თევდორე და შიო ხახანაშვილთან (Hd—1741); III. 22 იოანე დოლენჯიშვილის ყმობაზე დავა ბასილა ხუციშვილთან (Hd—14199); VI. 1 გალუსტა ხანდამაშვილსა და ოსკანაშვილს შორის ხაბაზ გოგიას გამო დავა (Hd—2619);

1781. I. 13 იოანე მდივანსა და მისი სახლის მოგირავეებს შორის დავა (ფ. 1448, № 461); III. 8 სულხან მდივანსა და მანუჩარს შორის სახლზე დავა (ფ. 1448, № 675); VII. 26 ელიზბარ და ზაალ დავითისშვილებს შორის აზნაურზე დავა (Hd—435); XI. 15 მღვდელ ვასილის მიერ მონასტრის მიწის დაჭერის შესახებ დავა (Ad—437);

1782. VI. 18 მდივან სულხან თუმანიშვილსა და ფარსადან ამირალასშვილს შორის დუქნის ალაგზე დავა (Hd—11041); VI. 22 შერმაზან აფხაზიშვილის მკვლელობის საქმე (ფ. 1448, № 5524); VII. 27 გოგია შანშაშვილთან გლეხების ყმობაზე დავა (ფ. 1448, № 457);

1783. I. 18 გაყარა ბეცია და გაბრიელ გედევანიშვილები (Hd—5689);გადაწყვიტა: III 14. ლუარსაბ მურვანიშვილსა და სურამის მამასახლისს შორის მამულზე დავა (Hd—13996); VII. 8 ქალაქის მოურავ დავითსა და იოანე თაქთაქისშვილს შორის ყმაზე დავა (Hd—1623); VIII. 7 გიორგი უთნელიშვილსა და იორამ მრულიშვილს შორის სასისხლო დავა (ფ. 1448, № 4650); X.19 ფარეშთუხუცესს გივისა და უთრუთ ციციშვილებს შორის სახლიკაცობაზე დავა (ფ. 1448, № 1559);

1785. V. 23 ყასაბ ყურიას ქალის მარმარასა და ფარსადანს შორის მამულზე დავა (Hd—13103); VI. 12 დავით მღვდელსა და ონასშვილს შორის ნასყიდობის გამო ატეხილი დავა (ფ. 1448, № 5145); VI. 24 იოანე ჯავახიშვილის ობლების ყმობაზე დავა (Qd—8609);

1787. V. 30 ბერო ფალავანდიშვილსა და იესე მაჩაბელს შორის ყმაზე დავა (Hd—14874);

1791. IV. სესია და ნინიას ყმობაზე დავა თავიანთ ბატონ სოლომონ ბებურისშვილთან (ფ. 1448, N1210);

მდივანბეგად მოხსენებულია აგრეთვე სხვა დოკუმენტებშიაც (Hd—174, 445, 452, 1774, 1849, 13103, Qd—402; 1448 ფ. №413, 2450).

ვანბეგობა. (1777 წ.) 28 იანვარს ერეკლე მეფემ უბოძა ეს თანამდებობა[95].

ბეჟან ერისთავი. აქვს საშუალო ზომის ოთხკუთხოვანი ბეჭედი მხედრული ლეგენდით: „მეფემან ბრძენმან ესრეთ განაგო, მე ერისთვისა მსაჯულად მაგო. ბეჟან“. 1803 წ. მაისის 6 დათარიღებული, პავლე ციციანოვისადმი მირთმეული მისი მოხსენებიდან ჩანს, რომ მას წელიწადში 30 თუმანი ჰქონია ჯამაგირად და ნატურით ღვინო და ცხვარი[96]. მასალების მიხედვით, მდივანბეგად ჩანს 1778—1800 წწ.[97].

ოტია ენდრონიკაშვილი. აქვს ორი ბეჭედი. პირველი, პატარა ზომის ოთხკუთხოვანი ბეჭედი მხედრული ლეგენდით: „ოტია“, მეორე, საშუალო ზომის რვაკუთხოვანი ბეჭედი მხედრული ლეგენდით: „მონა ღმრთისა მდივანბეგი ოტია“. საბუთებში იგი ხშირად „კახეთის მდივანბეგად“ იხსენიება. მასალების[98] მიხედვით, მას 1778—1796 წლებში უჭირავს მდივანბეგობა.

---

[95] იესე ბარათაშვილი, ცხოვრება-ანდერძი, ავთ. იოსელიანის გამოცემა, თბ., 1950, გვ. 84.

[96] შ. მესხია, დასახ. ნაშრომი, სად. 63.

[97] გადაწყვიტა: 1778. XI. 15 ქაიხოსრო სახლთუხუცესშვილსა და ქავთარ ახალურს შორის ვენახზე დავა (Hd-2172);

1782. VI. 18 მდივან სულხან თუმანიშვილსა და ფარსადან ამირაღაშვილს შორის დუქნის ალაგზე დავა (Hd—11041); VI. 22 შერმაზან აფხაზიშვილის მკვლელობის საქმე (ფ. 1448, № 5524);

1783 I. 18 გედევანიშვილების გაყრა (Hd—5686); III. 14 ლუარსაბ მურვანიშვილსა და სურამის მამასახლისს შორის მამულზე დავა (Hd—13996);

1785. I. 19 ქაიხოსროსა და კობაშვილს შორის მამულზე დავა (ფ. 1448, № 673); VIII. 6 ბერო და ადო ხატაშვილებს შორის მამულზე დავა (Hd—7242);

1787. II. 5 ხატაშვილსა და ბარამის კაცებს შორის სამამულო დავა (ფ. 1448, N1872); III ეშიკაღასბაშ ჯარდან ჩოლოყაშვილსა და მის ძმისწულ დურმიშხანს შორის გაყრაზე დავა (ფ. 1448, № 5031); XI. 16 მოურავსა და თოფჩიბაშს შორის სასახლეზე დავა (ფ. 1448, № 3070);

1789. V. 5 ამილდაბარ ციცისშვილს ყმაზე დავა იოანე დოლენჯისშვილის ვარისსთან (Hd-459); VII. 23 ზაალ ყაფლანშვილის დავა წოსქვილის გამო ტეტია გოსტაშაბიშვილთან (ფ. 1448, № 470);

1791. V. 9 ზაზა და დავით მაღალაშვილებს შორის სასისხლო დავა (Hd—14187); IX. 27 ნინია და ბეჟან თანოსშვილებსა და ვარჯან და აქაზს შორის მამულზე დავა (ფ. 1448, №5337);

1792. IV. 19 ვაჩნაძეებსა და დავით აფხაზს შორის მამულზე დავა (Hd—14518);

1795. VI. 11 დავით გარჯის წინამძღვრის დავა მამულების თაობაზე;

1798. V. 22 დარჩიაშვილების მამულზე დავა მღვდელ სტეფანე ბილანიშვილთან (ფ. 1448, № 1667);

1799. V. 20 ონანაშვილებისა და იოანე აფხაზიშვილს შორის მამულზე დავა (Hd—14152);

1800. III. 9 ჩერქეზიშვილების გაყრა (ფ. 1448, № 1144);

[98] გადაწყვიტა: 1778. II. 20 ლუარსაბ ონანაშვილსა და დავით აფხაზის შვილიშვილ ნიანიას შორის მამულზე დავა (Hd—4353);IV. 26 ქაიხოსრო მურვანიშვილის დავა თაღდებობაზე ქაიხოსრო აბაშიძესთან(Ad—1175);

1779. VI. 28 ლუარსაბ აბაშიშვილსა და მერალიშვილ ქალანთარის შვილიშვილს შორის გლეხებზე დავა (Qd—273);

1782. VI. 22 შერმაზან აფხაზიშვილის მკვლელობის საქმე (ფ. 1448, №5524);

1783. I. 18 გედევანიშვილების გაყრა (Hd—5689); III. 14 ლუარსაბ მურვანიშვილსა და სურამის მამასახლისს შორის მამულზე დავა (Hd—13996);

1784. V. 8 მისწერა ავთანდილ ხერხეულიძეს მსაჯულშკრებილების გადაწყვეტილების აღსრულების შესახებ (Hd—452);

ნიკოლოზ აბაშიძე. მდივანბეგის სახელოსთან ერთად მას დიდმის მოურაობაც უჭირავს[99]. აქვს საშუალო ზომის რვაკუთხოვანი ბეჭედი მხედრული ლეგენდით: „ღთის კაცად გესავ ქრისტესა მწე მეშენ აბაშიძესა. ნიკოლოზ". იგი სიძია (ქალიშვილის მეუღლე) მდივანბეგ იოანე ორბელიანისა[100].

მასალების[101] მიხედვით, მდივანბეგად არის 1782—1793 წწ.

ვარჯან მდივანბეგი. საბუთებში იგი „კახეთის ძოსამართლედ" იხ-

გადაწყვიტა: 1785 I. 19 ქაიხოსროსა და კობიაშელს შორის მამულზე დავა (ფ. 1448, № 673); VIII. 6 ბერო და ადო ხატიაშვილების სამამულო დავა (Hd—7242); VIII. 28 მენაღარე სანველისა და წოლაშელს შორის დუქნის გამო ატეხილი დავა (ფ. 1450, დავო.№11, სად. 105);

1786. VIII. 14 მისწერა იასაულს გადაწყვეტილების აღსრულების შესახებ (Ad—438); XII. 21 გადაწყვიტა მარინესა და თამახს შორის შეილზე დავა (Ad—230);

1787. II. 5 ხატიაშელსა და ბარამის კაცებს შორის სამამულო დავა (ფ. 1448, № 1872);

1787. III. ეშიკაღასბაშ ჯარდან ჩოლოყაშვილსა და მის ძმისწულ თუშთ მოურავ ღურმიშხანს შორის გაყრაზე დავა (ფ. 1448, № 5031); XI. 16 მოურავსა და თოფჩიბაშს შორის სასახლეზე დავა (ფ. 1448, N3070);

1791. X. 20 სოლომონ თარხნიშვილსა და ოპანეზა ფაფაკერაშვილს შორის ყმობაზე დავა (Hd—2596);

1792. IV. 29 ვაჩნაძეებსა და დავით აფხაზს შორის მამულზე დავა (Hd—14518);

1795. V. 8 დიმტრი მგალობლიშვილის ქვრივის საჩივარი საწისქვილოს გამო (ფ. 1448. № 5635); VI. 11 დავით გარეჯის წინამძღვრის დავა მამულების თაობაზე (ფ. 1448, №1667);

1796. V. 28 ჰაპა სომხიშვილის სასისხლო დავა ნინია ონანაშვილთან (ფ. 1448, № 3077);

[99] Ad—999. [100] ქართლის ცხოვრება, დასახ. გამოცემა, გვ. 453.

[101] გადაწყვიტა: 1782. VI. 27 გლეხი კაცების ყმობაზე დავა მოლარე შანშიაშვილთან (ფ. 1448, № 457);

1783. VII. 8 ქალაქის მოურავ დავითსა და იოანე თაქთაქიშვილს შორის ყმაზე დავა (Hd-1623); X. 19 გივი და უთრუთ ციციშვილების სახლიკაცობაზე დავა (ფ. 1448, № 1559); VIII. 7 გიორგი უთნელიშვილის სასისხლო დავა იორამ მრეულიშვილთან (ფ. 1448, № 4650); VIII. 12 მამუკა გონიტასშვილის ყმობაზე დავა (ფ. 1448, № 413);

მიწერა: 1784. V. 8 ავთანდილ ხერხეულიძეს ბაღთარის საქმის გადაწყვეტილების აღსრულების შესახებ (Hd—452) VIII. 7 ტერ ყაზარას სასამართლოში გამოცხადების შესახებ (Hd—3287);

გადაწყვიტა: 1786. VIII. 20 ქვათახევის არქიმანდრიტ ათანასესა და წრიალაშვილებს შორის მამულზე დავა (ფ. 1448. №4363);

1788. V. 30 რამაზ და იოსებ გლურჯიძეებს შორის ვენახზე დავა (Hd—7262); VI. 6 თიმურაზ მდივანბეგსა და ეშიკაღასბაშს შორის საუპატიოზე დავა (Ad—1340); VIII. 28 დავით აბაზაძესა და სოლომონ აბაზაძეებს შორის ფუღზე დავა (Hd—13852); XI. 27 მამუკა თარხნიშვილსა და ხახანაშვილს შორის ვენახზე დავა (Hd—1738);

1789. V. 9 ამილღაბარ ციციშვილის ყმაზე დავა იოანე დოლენჯისშვილის ვარისსთან (Sd—459); VII. 27 ზაალ ყაფლანისშვილსა და ტატია გოსტაშაბისშვილს შორის წისქვილის გამო ატეხილი დავა (ფ. 1448, №470);

1790. III. 1 რევაზ ეშიკაღასბაშს და სოლომონს შორის სასახლეზე და გზაზე დავა (ფ. 1448, №456); VI. 27 სულხან ხიმშიაშვილსა და მის სახლიკაცებს შორის მამულზე დავა (ფ. 1448, № 5598);

1791. I. 14 ზაალ ყაფლანშვილსა და ერასტი ჭილაშაბისშვილს შორის ყმაზე დავა (Hd—14560); IV. 1 სესიას და ნინიას ყმობაზე დავა სოლომონ ბებურიშვილთან (ფ. 1448, №1210); V. 9 ზაზა და დავით მაღალაშვილებს შორის სასისხლო დავა (Hd—14187);

1792. IX. 14 ზურაბ ფალავანდისშვილის ყმაზე დავა თავის სახლიკაცებთან (Hd—662);

1793. 11, 13 ბერ ფრიდონაშვილსა და გიორგი ქართველს შორის სასისხლო დავა (ფ. 1448 № 303); III. 30 ნასაღჩიბაშ გიორგი ვეზირისშვილის მამულზე დავა დათუა გვერდწითელთან (Hd—8516);

სენიება[102]. აქვს საშუალო ზომის რვაკუთხოვანი ბეჭედი მხედრული ზმიანი ლეგენდით: „ღმერთსა მივართვა **რჯან იადაგი** — ვარჯან“. (ღმერთსა მივართვა **ურჯან** ნიადაგი — ვარჯან); მ. ლეკვეიშვილის ,,ზრით, ვარჯანი კახეთის მხარის თათრებით დასახლებულ სოფლებშია (ხოდაშენი, აწყური, ბაიხო და რუისპირი) მდივანბეგად განწესებული. 1790—1796 წწ. მასვე „ვარჯანი“ მიაწერია თათრულ სახელად და ვარაუდობს ვარჯანის მუსულმანობას[103]. ჩვენ ვითვალისწინებთ ვარჯანის მონაწილეობით გარჩეულ გარდაწყვეტილების წიგნებს (ქრისტიანული წესით ფიცის დადება) და მისი ბეჭდის ლეგენდას: „ღმერთსა მივართვა რჯან ნიადაგი“ და არ მივაჩნია მ. ლეკვეიშვილის მოსაზრება მართებულად.

მასალების[104] მიხედვით, მდივანბეგად არის 1785—1796 წწ.

ᲒᲘᲖᲐᲠ ᲜᲐᲦᲘᲚᲘ მდივანბეგი 1786—1790 წწ. დოკუმენტებში[104ა] მდივანბეგების სხვა ბეჭდებთა შორის გვხვდება საშუალო ზომის რვაკუთხოვანი ბეჭედი მთავრული ლეგენდით „მდივანბეგი“. ბეჭედში ლეგენდა ორ სტრიქონზეა განაწილებული „დ ი ვ ა“ და „ნ ბ ე გ ი“. დიდი ცდის მიუხედავად ამ მდივანბეგის ვინაობის დადგენა ვერ მოვახერხეთ.

ᲒᲝᲠᲒᲘᲫᲐᲓᲘ 1791—1793 წწ. ისევე სასამართლო გარდაწყვეტილების წიგნებზე გვხვდება სწორკუთხოვანი მოგრძო ფორმის ბეჭედი მთავრული ლეგენდით: „მდივანბეგი“[105]. ლეგენდა ერთ სტრიქონზეა. ორივე ბეჭედს ერთი შინაარსის ლეგენდა აქვს, მაგრამ ფორმით განსხვავებიან ერთმანეთისაგან.

---

102 Ad—694; 103 მ. ლ ე კ ვ ე ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 72.

104 1785. VIII. 6 ნადირა თუშოშვილს მისცა განაჩენის გაბათილების წიგნი (ფ. 1448, № 959);

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ი: 1790. I. 19 ხოდაშენელებსა და აწყაურელებს შორის საზღვარზე ცილების დავა (ფ. 1450 დავთ. 14, სახ. 96), Qd—786;

1793. II. 14 მინბაშ როსებ მაყაშვილის ლადალასთან ყმობაზე დავა (Ad—694);

1794. III. 7 იგი მოხსენიებულია გიორგი რუსიშვილის მიერ მდივანბეგებისადმი მირთმეულ არზაში (ფ. 1448, № 1810);

1795. XI. 15 უბრძანა დარეჯან დედოფალმა მასთან შეხიზნული იოანე მამუჩიშვილის ყმების უკან დაბრუნება (ფ. 1450, დავთ. 53, სახ. 11);

1796. XI. 10 ერეკლე მეფემ უბრძანა მას ალავერდში მყოფი რევაზ ნაზირის ყმის—დათუნა ეშიაღაშვილის აყრა და მისთვის მიბარება (ფ. 1450, დავთ. 26, სახ. 234).

104ა 1786. XII. 4 მსაჯულთ შეკრებილების გადაწყვეტილება დვალისშვილსა და რუსლიშვილს შორის ვენახზე დავის გამო (ფ. 1448, №4263);1788. V. 4 არზა სიმონ მაღალაშვილისა მსაჯულთშეკრებილებისადმი (Ad—615);

1788. VI. 5 მსაჯულთშეკრებილების გადაწყვეტილება თემთარაზ მდივანბეგისა და ეშიაღასბაშს შორის საუპატოზე დავაზე(Ad—1340); 1788. VI. 30 რამაზ გლურჯიძესა და მის სახლეკაც იოსებს შორის ვენახზე დავა (Hd—7262);

1778. XI. 27 მამეკა თარხნიშვილისა და ხახანაშვილს შორის ვენახზე დავა (Hd—1738);

1789. V. 9 ამილაბარ ციცისშვილის ყმაზე დავა იოანე დოლენჯიშვილის ვარისთან (Sd—459);

1790. III. 1 რევაზ ეშიაღასბაშსა და სოლომანს შორის სასახლეზე და გზაზე დავა (ფ. 1448, № 456);

105 1791. V. 9 ზაზა და დავით მაღალაშვილებს შორის სასისხლო დავის გარდაწყვეტის წიგნი (Hd—14187);

1791. XI. 16 ფარსადან და რევაზ ქარუმიძეებს შორის სასისხლო დავის გარდაწყვეტის წიგნი (Ad—613).

1792. IX. 14 ზურაბ ფალავანდიშვილსა და მის სახლეკაცებს შორის კაცზე დავის გარდაწყვეტის წიგნი (Hd—662);

1793. II. 15 ბერ ფრიდონაშვილისა და გიორგი ქართველს შორის სასისხლო დავის გარდაწყვეტის წიგნს (ფ. 1448, № 303).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ ვერც ამ ბეჭდის პატრონის ვინაობის დადგენა მოვახერხეთ და ვერც ის გადავწყვიტეთ ეს ორივე ბეჭედი ერთ პირს ეკუთვნის თუ არა.

სოლომონ ლიონიძე. შვილი თელავის კარის დეკანოზის ანდრია ლიონიძისა. განათლება მიუღია თელავის სამეფო კარის სკოლაში. შეუსწავლია: სომხური, სპარსული, თურქული და რუსული. ეკირა მსაჯულისა და მდივნის მაღალი თანამდებობა.

1802—1810 წწ. იგი იმერეთის მეფესთან მოღვაწეობს. 1810 წ. გადაიხვეწა ახალციხეს, სადაც 1811 წ. გარდაიცვალა[106].

ქართლ-კახეთის სამეფოში მდივანბეგად მოღვაწეობის დროს ხმარობს საშუალო ზომის რვაკუთხოვან ბეჭედს გარშემო მხედრული, შუაში მთავრული ლეგენდით: „მსაჯული სამეფოთა და მდივანი მეფისა-სოლომონ“.

სასამართლო გარდწყვეტილების საბუთების[107] მიხედვით, მდივანბეგად ჩანს 1787—1800 წწ.

მეთოდი ერისთავი. აქვს პატარა ზომის ბეჭედი მხედრული ლეგენდით: „მეთოდი“. მასალების[108] მიხედვით, მდივანბეგად ჩანს 1788—1798 წწ.

---

106 ნ. კანდელაკი, ქართული კლასიკური მჭურმეტყველება, 1961, გვ. 305, 307.

107 გადაწყვიტა: 1787. V. 14 ბეგან და შალვა რატიშვილებს შორის ყმა-მამულზე დავა (Hd—2444); VI. 8 გოგია ვაჭრიძის ყმობაზე დავა ბერ და იაკობ ფალავანდიშვილებთან (Hd—10654);

1789. VI. 9 ამილბარ ციციშვილისა და იოანე დოლენჯიშვილს შორის ყმაზე დავა (Sd—459);

1790. III. 1 რევაზ ეშიკაღასბაშსა და სოლომონს შორის სასახლეზე და გზაზე დავა (ფ. 1448, №456);

1791. I. 14 ზაალ ყაფლანისშვილისა და ერასტი გოსტაშაბისშვილს შორის ბეჭზე დავა (Hd—14560); IV. 1 სოლომონ ბებურისშვილისა და მისი ყმების ნინოსა და სესიას დავა (ფ. 1448, № 1210); V. 9 ზაზა და დავით მაღალაშვილებს შორის სასისხლო დავა (Hd—14187);

1794. VI. 1 თომა აბულვარდისშვილისა და იოსებ ცალქალამანძის შორის მიწაზე დავა (Hd—10005);

1800. VI. 12 იოანე და დავით ციციშვილებისა და დმიტრი ედიაშვილს შორის წილზე დავა (ფ. 1448, №869).

108 გადაწყვიტა: 1788. VI. 6 თეიმურაზ მდივანბეგსა და ეშიკაღასბაშს შორის საუპატროზე დავა (Ad—1340); VIII. 28 დავით და სოლომონ აბაზაძეებს შორის ფულზე დავა (Hd—13852);

1789. V. 9 იოანე დოლენჯიშვილის ობლის ვარისსთან ბოქოლოთუზუცესს პაპუა საგინაშვილის ვალზე დავა (Sd—459); VII. 23 ზაალ ყაფლანიშვილის დავა ტატია გოსტაშაბიშვილთან წისქვილის გამო (ფ. 1448, № 470);

1790. III. 1 რევაზ ეშიკაღასბაშს და სოლომონს შორის სასახლეზე დავა (ფ. 1448,№470); VI. 27 სულხან ხიშნიაშვილსა და მის სახლიკაცებს შორის მამულზე დავა (ფ. 1448, №5598);

1791. IV. 1 სესიასა და ნინოს ყმობაზე დავა სოლომონ ბებურიშვილთან (ფ. 1448, №1210); V. 9 დავით და ზაზა მაღალაშვილებს შორის სასისხლო დავა (Hd—14187); XII. 16 ფარსადანსა და რევაზ ქარუმიძეს შორის სასისხლო დავა (Ad—613);

1792. IX. 14 გოგია და ზურაბ ფალავანდიშვილებს შორის ყმაზე დავა (Hd—662);

1793. II. 13 ბერ ფრიდონაშვილსა და გიორგი ქართველ შორის სასისხლო დავა (ფ. 1448, № 303); III. 30 გიორგი ვეზირიშვილსა და დათუა გვერდწოფილ შორის მამულზე დავა (Hd—8516); IX. 14 გოგია და ზურაბ ფურცელაძეების დავა თოთრი გაცაშვილთან ძმის გატაცების გამო. (ფ. 1448, № 918);

1794. VI. 1 ზვიდელ თომა აბულვარდიშვილსა და იოსებ ცალქალამანძის შორის მიწაზე დავა (Hd—10005);

1795. V. 28 თომა მღვინეთუხუცესიშვილსა და სეხნიას შორის მამულზე დავა (Qd—424);

1798. VI. 14 ბერ ქარუმიძის ყმობაზე დავა დათიკა ჭილაძესთან (ფ. 1448, № 4035).

მდივანბეგად მოხსენიებულია აგრეთვე არზებში (Qd—351, Hd—10382, ფ. 1448, №8825);

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით ჩოლოყაშვილი. 1795.IV.13 ერეკლე მეფემ მას უბოძა მდივანბეგობა და ჯამაგირად წელიწადში 10 თუმანი გაუჩინა.

1798.V.27 გიორგი მეფემ ეს ჯამაგირის წოდნი დაუმტკიცა და თავის მხრივ ხუთი თუმანი დაუმატა[109]. აქეს ბეჭედი მხედრული ლეგენდით: „მდივანბეგი დავით“.

მასალების[110] მიხედვით მდივანბეგადაა 1795—1800 წლებში.

ზაალ ბარათაშვილი. შვილი ყორიასაულბაშ სამ ბარათაშვილისა. 1783 წლის 10 ივნისს ერეკლე მეფემ მისცა ყორიასაულბაშობა და ჯამაგირად წელიწადში 18 თუმანი დაუნიშნა. 1796.XII.26 ყორიასაულბაშობის სახელო თავისი ჯამაგირით დაუტოვა და მდივანბეგობაც უწყალობა. 1803 წ. დაემოწმა იოსებ მელიქოვს მისი შემოსავლის შესახებ პავლე ციციანოვისათვის მიცემულ ჩვენებაზე[111]. აქეს ბეჭედი მთავრული ლეგენდით: „ზაალ“. მდივანბეგად ჩანს[112] 1796—1803 წლებში.

იოანე ჩოლოყაშვილი. აქეს ბეჭედი მხედრული ლეგენდით: „მდივანბეგი იოანე“. 1803 წლის 5 ივლისის თარიღით დაწერილ მოხსენებაში პავლე ციციანოვისადმი აღნიშნავს, რომ ჰქონდა თბილისის მდივანბეგობა და ხელფასი და ულუფა იმღენი, რამდენიც განსვენებულ მდივანბეგ თეიმურაზ ციციშვილს[113].

---

[109] შ. მესხია, დასახ. ნაშრომი, სას. 66.

[110] გადაწყვიტა: 1796. V. 28 პაპა სომხიშვილის სასისხლო დავა ნინია ონანასშვილთან (ფ. 1448, № 3077);

1798. V. 22 დარჩაშვილ თევდორეს ქვრივისა და მღვდელ სტეფანე ბილანიშვილს შორის მამულზე დავა (Hd—1448, № 870);

1799. V. 20 ლუარსაბ და ზაქარია ონანაშვილებსა და იოანე აფხაზიშვილს შორის მამულზე დავა (Hd—14152);

1800. III- 21 ივსე ბარათაშვილის შვილების დავა ყმობაზე ტერ ოჰანეზასთან (Hd—2830); VI. 12 იოანე და დავით ციციშვილების მემკვიდრეობაზე დავა დიმიტრი ედიაშვილთან; (ფ. 1448, №869);VI. 13 სოლომონ და ლუარსაბ თარხნიშვილებს შორის მამულზე დავა (Hd—2505); VIII. 20 ნაზირ იოსებიშვილ დათუას დავა აღათორნიკე ამილახვრიშვილთან დანიშნული ქალის დატოვების შესახებ (Qd—843); XI. 29 საგარეჯოს მოურავის ქვრივის თამთის დავა მამულის გამო ნაზირ დავით მაყაშვილთან (ფ. 1448, № 3247).

[111] შ. მესხია, დასახ. ნაშრომი, სას. 20, 68, 80.

[112] 1797. VII. 10 გადაწყვიტა ზაზა სოლაშვილსა და ივსე მსაჯულის შვილებს შორის სასისხლო დავა (Hd—14635);

1799. XII. 7 მირზა აფრიმასა და მისი კაცის ზამან ოღლის შორის დავა (ფ. 1448, № 5286); XII. 22 ლუარსაბ ყაფლანიშვილის კაცის დავა ყაბარდოელ ისასთან ხარების მოპარვის თაობაზე (Hd—6390);

1800. III. 6 ფრიდონ შაშიანის მოურავსა და იმის სახლიკაცს ომანს შორის ამოწყვეტილი პაატა მდივანბეგისშვილის ზაზას მამულზე დავა (ფ. 1448, №5328); III. 9 ჩერქეზიშვილების გაყრა (ფ. 1448, № 1144); III. 21 ივსე ბარათაშვილის შვილების ტერ ოჰანეზასთან ყმობაზე დავა (Hd—2830); VI. 21 იოანე და დავით ციციშვილების მემკვიდრეობაზე დავა დიმიტრი ედიაშვილთან (ფ. 1448, №869);

1800. V. 13 ზურაბ და გლახა ფაღავანიშვილებს შორის ყმაზე დავა (Hd—10371); VI. 12 იოანე და დავით ციციშვილების მემკვიდრეობაზე დავა დიმიტრი ედიაშვილთან (ფ. 1448, № 869); VIII. 20 ნაზირ იოანეს შვილ დათუას დავა აღათორნიკე ამილახვარიშვილთან დანიშნული ქალის დატოვების შესახებ (Qd—843); IX. 26 სვიმონ თაზიშვილის დავა ყმა-მამულის გამო თავის სახლიკაცებთან (ფ. 1448, № 2451);

მოხსენიებულია აგრეთვე არზებში (Hd—8576; 9875).

[113] შ. მესხია, დასახ. ნაშრომი, სას. 65.

მდივანბეგად ჩანს 1797—1800 წლებში[114].

ვახუშტი ჯავახიშვილი. 1797 წლის მარტის 11 მას ერეკლე მეფემ მისცა მდივანბეგობის წყალობის წიგნი[115]. აქვს საშუალო ზომის რვაკუთხოვანი ბეჭედი მხედრული ლეგენდით: „ჯავახის-ძე მდივანბეგი ვახუშტი“. მდივანბეგადაა 1797—1800 წწ.[116].

ადამ ენდრონიკაშვილი. აქვს ბეჭედი მხედრული ლეგენდით: „მონა ღვთისა მდივანბეგი ადამ“.

1798.X.22 გადაწყვიტა დარჩაშვილი თევდორეს ქვრივსა და მღვდელ სტეფანე ბილანიშვილს შორის მამულზე დავა (ფ. 1448, № 870):

1800.VI.12 იოანე და დავით ციციშვილების მემკვიდრეობაზე დავა დიმიტრი ედიაშვილთან; (ფ. 1448, № 869);

მდივანბეგად ჩანს 1798—1801 წწ.

ნიკოლოზ ციციშვილი 1803.V.20 მის მიერ პავლე ციციანოვისადმი მირთმეულ მოხსენებიდან ირკვევა, რომ იგი გიორგი მეფეს დაუდგენია ქალაქში მდივანბეგად და წელიწადში ჯამაგირად 70 თუმანი მიუცია[117]. აქვს საშუალო ზომის რვაკუთხოვანი ბეჭედი მხედრული ლეგენდით: „მდივანბეგი ციციშვილი ნიკოლოზ“.

1800.VI.23 გადაუწყვეტია სოლომონ და ლუარსაბ თარხნიშვილებს შორის მამულზე დავა[118]; VIII.20 ნაზირ იოანეს შვილ დათუას დავა აღათონიკე ამილახვრიშვილთან დანიშნული ქალის დატოვების შესახებ[119]; IX.26 სვიმონ თაზიშვილსა და მის სახლიკაცებს შორის ყმა-მამულის გამო ატეხილი დავა[120].

მდივანბეგად ჩანს 1798—1803 წწ.

---

[114] გადაწყვიტა: 1797. VII. 10 ზაზა სოლოღაშვილსა და იესე მსაჯულის შვილებს შორის სასისხლო დავა (Hd—14635);

1799. V. 20 ლუარსაბ და ზაქარია ონანაშვილებსა და იოანე აფხაზიშვილს შორის მამულზე დავა (Hd—14152);

1800. III. 6 ფრიდონ შაშიანის მოურავსა და იმის სახლიკაცს იმანს შორის ამოწყვეტილი პაატა მდივანბეგიშვილის ზაზას მამულზე დავა (ფ. 1448, № 5328); III. 9 ჩერქეზიშვილების გაყრა (ფ. 1448, №1144); V. 13 ზურაბ და გლახა ფალავანდიშვილებს შორის ყმაზე დავა (Hd—10371); VI. 12 იოანე და დავით ციციშვილების დავა დიმიტრი ედიაშვილთან მემკვიდრეობის თაობაზე (ფ. 1448, № 869);VIII. 20 ნაზირ იოანეს შვილ დათუას დავა აღათონიკე ამილახვრის/შვილთან დანიშნული ქალის დატოვების გამო (Qd—843); XII. 22 კალაურის მოურავსა და მის სახლიკაცებს ფრიდონსა და კიკოლას შორის ყმა-მამულზე დავა (Ad—1986);

[115] Hd—2180;

[116] გადაწყვიტა: 1797. VII. 10 ზაზა სოლაღაშვილსა და იესე მსაჯულის შვილებს შორის სასისხლო დავა (Hd—14635).

1798. VI. 14 ქარუმიძის ყმობაზე დავა დათიკა ჭიღლაძესთან (ფ. 1448, № 4035);

1799. I. 14 ესტატე გიგაურსა და დეკანოზ სფირდონ ანანიაშვილს შორის წისქვილზე დავა (Hd—14044); I. 28 სასისხლო დავა პეტრე მამაცაშვილსა და ოსყოფილ ბერუას შორის (Qd—8605); V. 20 ლუარსაბ და ზაქარია ონანაშვილებსა და იოანე აფხაზიშვილს შორის მამულზე დავა (Hd—14152); VI. 6 სპირდონ დეკანოზის დავა სახელოსა და ჯამაგირზე (Ad—594); XII. 22 ლუარსაბ ყაფლანიშვილის კაცის დავა ყაბარდოელ ისასთან ხარების მოპარვის თაობაზე (Hd—6390);

[117] შ. მესხია, დასახ. ნაშრომი, საბ. 61;

[118] Hd—2505;

[119] Qd—843;

[120] ფ. 1448, №2451;

აქ წარმოდგენილი მასალების საფუძველზე მდივანბეგთა ქრონოლოგიური რიგი ამ სახით წარმოგვიდგება:

ბეჟან ხერხაულიძე	1620—1624 წწ.
ყაფლან ბარათაშვილ-ორბელიშვილი	1634—1671 წწ.
როინ ჯავახიშვილი	1638—1661 წწ.
ედიშერ ერისთავისშვილი	1661—1667 წწ.
ვახტანგ ორბელიშვილი	1676—1685 წწ.
ბარძიმ ერისთავი	1689—1692 წწ.
პაატა ერისთავი	1695—1697 წწ.
ერასტი ორბელიშვილი	1703—1731 წწ.
პაატა ჯანდიერისშვილი	1703—1718 წწ.
დიმიტრი მდივანბეგი	1704—1705 წწ.
ავთანდილ მდივანბეგი	[1703—1709]—1717 წწ.
ქაიხოსრო ორბელიანი, სარდალ-მდივანბეგი	1763—1749 წწ.
პაპუა ორბელიანი	1743—1749 წწ.
იოანე ორბელიანი 1748—1752;	1765—1782 წწ.
რევაზ ორბელიანი, სარდალ-მდივანბეგი	1763—1771 წწ.
ფარსადან ციციშვილი	1763—1771 წწ.
რამაზ ენდრონიკაშვილი	1763—1773 წწ.
სარიდან ერისთავი	1765—1771 წწ.
ზაალ ჯანდიერისშვილი	1766—1771 წწ.
იესე ამილახორიშვილი	1767—1786 წწ.
ქაიხოსრო ენდრონიკაშვილი	1768—1797 წწ.
თეიმურაზ ციციშვილი	1771—1793 წწ.
იესე ბარათაშვილი	1777—1786 წწ.
მზეჭაბუკ ორბელიანი	1777—1791 წწ.
ბეჟან ერისთავი	1778—1800 წწ.
ოტია ენდრონიკაშვილი	1778—1796 წწ.
ნიკოლოზ აბაშიძე	1782—1793 წწ.
ვარჯან მდივანბეგი	1785—1796 წწ.
დივანბეგი	1786—1793 წწ.
სოლომონ ლიონიძე	1786—1800 წწ.
მეთოდი ერისთავი	1788—1798 წწ.
დავით ჩოლოყაშვილი	1795—1800 წწ.
ზაალ ბარათაშვილი	1796—1803 წწ.
იოანე ჩოლოყაშვილი	1797—1800 წწ.
ვახუშტი ჯავახიშვილი	1798—1800 წწ.
ადამ ენდრონიკაშვილი	1798—1800 წწ.
ნიკოლოზ ციციშვილი	1798—1803 წწ.

XVII საუკუნეში ერთდროულად გვხვდებიან მდივანბეგები:

ყაფლან ბარათაშვილი
და } 1638—1661 წწ.
როინ ჯავახიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფლან ბარათაშვილი და ედიშერ ერისთავიშვილი	}	1661—1667 წწ.

XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში კი ოთხი მდივანბეგია ერთდროულად. ორი ქართლშია:

ერასტი ორბელიშვილი და	1703—1731 წწ.
ავთანდილ მდივანბეგი	1715—1717 წწ.
ორი კახეთში:	
პაატა ჯანდიერიშვილი და	1703—1718 წწ.
დიმიტრი მდივანბეგი	1704—1705 წწ.

აქვე ცალკე გვინდა გამოვყოთ კახეთის მდივანბეგები:

პაატა ჯანდიერისშვილი	1703—1718 წწ.
დიმიტრი მდივანბეგი	1704—1705 წწ.
რამაზ ენდრონიკაშვილი	1763—1773 წწ.
ზაალ ჯანდიერისშვილი	1766—1771 წწ.
ქაიხოსრო ენდრონიკაშვილი	1768—1797 წწ.
ოტია ენდრონიკაშვილი	1778—1796 წწ.
ვარჯან მდივანბეგი	1785—1796 წწ.
დავით ჩოლოყაშვილი	1795—1800 წწ.
ადამ ენდრონიკაშვილი	1798—1800 წწ.

რაც შეეხება იოანე ჩოლოყაშვილს, იგი 1797—1800 წლებშია მდივანბეგად. როგორც მთავარმართებელისადმი მირთმეულ მოხსენებაში აღნიშნავს, მას „თბილისის მდივანბეგობა“ ჰქონია[121].

1748—1782 წლებში იოანე ორბელიანის მდივანბეგობის პერიოდში, ერთდროულად გვხვდებიან რევაზ და მზეჭაბუკ ორბელიანები, ფარსადან და თეიმურაზ ციცოშვილები და სარიდან და ბეჟან ერისთავები.

ვფიქრობთ, ზემომოყვანილი მასალებით ნათელია:

1. ერთ პერიოდში რამდენიმე მდივანბეგის არსებობა არა მარტო XVIII ს. I მეოთხედში, როგორც ამას ვარაუდობს პროფ. ივ. სურგულაძე, არამედ უფრო ადრეც, XVII ს. პირველ ნახევრიდან.

2. მდივანბეგთა რაოდენობის ზრდა მომხდარა მსჯულთშეკრებილებაზე (1778 წ.) ადრე.

3. მდივანბეგთა სახელო სამკვიდროდ ძირითადად გარკვეულ გვარებში ჩანს (ჯავახიშვილებში, ორბელიშვილებში, ენდრონიკაშვილებში, ერისთავებსა და ჩოლოყაშვილებში).

ის ფაქტი რომ XVII საუკ. I მეოთხედამდე არ გვხვდება მდივანბეგის სახელო, გვაფიქრებინებს, რომ აღმოსავლეთ საქართველოში მდივანბეგთა ინს-

[121] შ. მ ე ს ხ ი ა, დასახ. ნაშრომი, სახ. 65.

ტიტუტის წარმოშობის დროის შესახებ არსებული სარგის კაკაბაძის მოსაზრება (სიმონ I მეფობის ხანა 1569—1578 წწ.) სიმართლესთან ახლოს უნდა იყოს.

ჩვენ შევეცადეთ ცალკეული მდივანბეგის მოქმედების არე შემოგვეფარგლა. ამ თვალსაზრისით შევისწავლეთ არაგვის საერისთაოსა და კახეთის მხრიდან წარმომავალი მდივანბეგების გადაწყვეტილი სასამართლო დოკუმენტები. აღმოჩნდა, რომ არაგვის საერისთაოს მდივანბეგების მოქმედების არე მხოლოდ არაგვის საერისთაოთი არ არის შემოზღუდული, ისინი ქართლის სხვა მხარეებშიც მოქმედებენ (იხ. საბუთები: ფ. 1448, № 3266; ფ. 1450, დავთ 38, საბ. 4).

რაც შეეხება კახეთის მდივანბეგების მოქმედების არეს, აღრეული ხანის მდივანბეგები, როგორიც არიან პაატა ჯანდიერიშვილი (1703—1718 წწ.), დიმიტრი მდივანბეგი (1704—1705 წწ.) და (უფრო გვიან) ვარჯან მდივანბეგი (1785—1796 წწ.) მხოლოდ კახეთის სადაო საკითხებს არჩევენ.

დანარჩენი მდივანბეგები (რამაზ ენდრონიკაშვილი, ზაალ ჯანდიერიშვილი, ქაიხოსრო და ოტია ენდრონიკაშვილები, დავით ჩოლოყაშვილი და ადამ ენდრონიკაშვილი) მიუხედავად იმისა, რომ ზოგი მათგანი დოკუმენტებში „კახეთის მდივანბეგად“ იწოდებიან, ქართლის არა ერთი საქმე აქვთ გარჩეული.

ეს ფაქტი იმით უნდა აიხსნას, რომ 1762 წლიდან, თეიმურაზის გარდაცვალების შემდეგ ქართლ-კახეთი ერთ სამეფოდ იქცა.

მდივანბეგთა ქრონოლოგიურ რიგში არ შევიტანეთ ის მდივანბეგები, რომლებიც მასალებში მხოლოდ თითოჯერ შეგვხვდნენ და მათ შესახებ სხვა დამაჯერებელი ცნობები არ დაიძებნა. ასეთები არიან:

მ ი ქ ე ლ, მდივანი-მდივანბეგი, რომელიც მოხსენიებულია 1689 წლის ერთი საბუთის პირში (ფ. 1450, დავთ. 30, საბ. 135);

ბ ა ნ გ უ ა, მოხსენიებულია 1707 წ. ვახუშტი ორბელიანის გადამბურავთა ნუსხაში (Sd—637);

ა ს ლ ა ნ მდივანბეგი, რომელიც 1733 წლის ახლო დროით დათარიღებულ საბუთშია მოხსენიებული (იხ. თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქართლ-კახეთის ეკლესიებისა და მონასტრების ისტორიული საბუთები, 1903, გვ. 93).

ჩვენ მიერ ქრონოლოგიურ რიგში შეყვანილ მდივანბეგებიდან ეჭვის თვალით ვუყურებთ იესე ბარათაშვილისა და სოლომონ ლიონიძის მდივანბეგობას, მაგრამ დღეისათვის ამ ეჭვის გასამართლებელი მტკიცე საბუთები არ მოგვეპოვება.

ის ფაქტი, რომ იესე ოსეს-ძე და მის შემდეგ სოლომონ ლიონიძე ძირითადად მსაჯულთშეკრებილების გადაწყვეტილებებსა და მიწერილობებში გვხვდება და იესე ოსეს-ძის ანდერძში აღნიშნული ცნობები (იხ. გვ. 86, 94, 97) გვავარაუდებინებს, რომ ისინი მსაჯულთშეკრებილების მსაჯულ-მდივნები არიან.

Т. П. ЕНУКИДЗЕ

ХРОНОЛОГИЧЕСКИЙ РЯД МДИВАНБЕГОВ ВОСТОЧНОЙ ГРУЗИИ

Резюме

В труде представлен хронологический ряд мдиванбегов, судебных должностных лиц XVII—XVIII вв.

Из материалов выясняется одновременное существование нескольких мдиванбегов, а также то, что наследственная должность мдиванбегов наблюдается в основном в определенных фамилиях (Джавахишвили, Орбелишвили, Ендроникашвили, Эристави, Чолокашвили и др.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურამ ჯანდიერი

XVII საუკუნის აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული ქრონოლოგიის საკითხისათვის

(ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი)

წარმოდგენილი ნაშრომი ემსახურება საქართველოს ისტორიული ქრონოლოგიის შესწავლას, კერძოდ, მიზნად ისახავს XVII საუკუნის აღმოსავლეთ საქართველოს ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგის დადგენას. ეპისკოპოსების ქრონოლოგია მნიშვნელოვანია არა მარტო საეპისკოპოსო კათედრების ისტორიის შესასწავლად — ის დაკავშირებულია საერთოდ მთელ ისტორიულ ქრონოლოგიასთან, ვინაიდან ხელს უწყობს ისტორიულ დოკუმენტებსა და ნარატიულ წყაროებში მოცემული სხვადასხვა მოვლენების დათარიღებას. როგორც ცნობილია, შემორჩენილი ისტორიული დოკუმენტების საკმაოდ მნიშვნელოვანი რაოდენობა უთარიღოა და უნდა დათარიღდეს მასში მოხსენიებულ ისტორიულ პირთა და მოვლენათა საშუალებით. ამიტომ, ისტორიულ პირთა: მეფეებისა და მათი ოჯახის წევრების, კათალიკოსების, ეპისკოპოსების, თუ ფეოდალურ საგვარეულოთა ქრონოლოგიის შესწავლა საშუალებას მოგვცემს დოკუმენტებიც დავათარიღოთ და ქრონოლოგიურ ფარგლებში მოვაქციოთ ამ პირებთან დაკავშირებული ისტორიული მოვლენები.

აღმოსავლეთ საქართველოს XVII ს. ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგის დადგენა მარტო ქრონოლოგიის შესწავლას არ შეუწყობს ხელს. ეპისკოპოსების ცვლა კათედრებზე, ისევე როგორც ამას ადგილი აქვს კათალიკოსების ცვლისა და მეფეების ტახტის მაძიებლობის შემთხვევებში, ხშირად დაკავშირებულია შინაკლასობრივ ბრძოლასთან. ცალკეული ფეოდალური დაჯგუფებების ბრძოლა რამდენადმე ასახული იყო მეფეების, კათალიკოსების და ეპისკოპოსების ცვლაში. ამდენად, მათი ქრონოლოგიის დადგენაც ერთგვარ მასალას მოგვცემს ამ ბრძოლის შესასწავლად.

საქართველოში ფეოდალიზმის გარიჟრაჟზე ქრისტიანობის გავრცელების და მისი ზრდის მაჩვენებელს წარმოადგენს ეპარქიების წარმოქმნა და თანდათანობითი ზრდა საუკუნეების მანძილზე. უძველეს ცნობას საქართველოში საეპისკოპოსოების არსებობის შესახებ, რომელიც ვახტანგ გორგასლის მეფობის პერიოდს ეხება, ჯუანშერი გვაწვდის. იგი ასახელებს შემდეგ საეპისკოპოსოებს: 1. მცხეთის, 2. ახიზის (კლარჯეთში), 3. არტაანის (ერუშეთში), 4. წუნ-

დის (ჯავახეთში), 5. მანგლისის (ქვემო ქართლი), 6. ბოლნისის (ქვემო ქართლი), 7. რუსთავის (კუხეთში), 8. ნინოწმინდის — უჯარმის კარის (კახეთში), 9. ჭერემის (კახეთში), 10. ჩელეთის (კახეთში), 11. ხორნაბუჯის (ჭერეთში), 12. აგარაკის — ხუნანის გამართებით (სომხითში), 13. ნიქოზის (შიდა ქართლში)[1].

როგორც ჩანს, ჯუანშერი გულისხმობს მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს, ე. ი. ქართლის სამეფოს საეპისკოპოსოებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ჯუანშერის ამ ტექსტის ის ადგილი, რომელიც ეხება ნინოწმინდას, ერთგვარ განმარტებას საჭიროებს. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი აქ რატომღაც სამ საეპისკოპოსოს ხედავს: ნინოწმინდის, უჯარმის და კარის. იგი აღნიშნავს: „...ჯუანშერი ქართლის კათალიკოსის სამწყსოში ვახტანგ გორგასლის დროს სახელდობრ შემდეგ საეპისკოპოსოებს იხსენიებს: მცხეთის საეპისკოპოზოს, კლარჯეთში ახიზისას, არტაანში ერუშეთისას, ჯავახეთში — წუნდისას, ქართლში — ნიქოზისას, მანგლისისას, ბოლნისისას; კახეთ-ჰერეთში — რუსთავისას, ნინოწმინდისას, უჯარმისას, კარისას, ჭერემისას, ჩელეთისას, ხორნაბუჯისას, აგარაკისას, ანუ ხუნანისას (ცხ. ვახტანგისი 391, გვ. 179). ამგვარად, სულ თექვსმეტი საეპისკოპოსო გამოდის“[2]. ნამდვილად კი ტექსტში დასახელებულია ეკლესია მდებარე უჯარმის კარს:

„... და დასუა ერთი ეპისკოპოსად კლარჯეთს — ეკლესიას ახიზისას; ერთი არტაანს — ერუშეთს; ერთი ჯავახეთს — წუნდას; ერთი მანგლისს; ერთი ბოლნისს; ერთი რუსთავს; ერთი ნინოწმინდას — უჯარმის კარსა, რომელი გორგასალს აღუშენა; ერთი ჭერემს, მისსავე აღშენებულსა, და მუნ ქმნა ქალაქი ერთი შორის ორთავე ეკლესიითა, რომელი იგი მანვე აღაშენა: ერთი ჩელეთს, რომელი სოფელსა შუა აღაშენა; ერთი ხორნაბუჯს და ერთი აგარაკს, რომელ არს ხუნანს გამართებით“[3].

როგორც ვხედავთ, თითოეული საეპარქიო ეკლესიის სახელწოდება ჯუანშერის ტექსტში გამოყოფილია სიტყვით „ე რ თ ი“: „ე რ თ ი ეპისკოპოსად კლარჯეთს — ეკლესიას ახიზისას; ე რ თ ი არტაანს — ერუშეთს; ე რ თ ი — ჯავახეთს — წუნდას; ე რ თ ი მანგლისს“... და ა. შ. ასევე გამოყოფილია ნინოწმინდის ეკლესია სიტყვით „ე რ თ ი“: „ერთი ნინოწმინდას — უჯარმის კარსა, რომელი გორგასალს აღუშენა“; ცხადია, იგულისხმება მხოლოდ ერთი ეკლესია, მდებარე უჯარმის კარს — ნინოწმინდას.

კარის საეპისკოპოსო მოხსენიებულია „განგება დარბაზობისაში“, მაგრამ, ცხადია, ნამდვილი კარი (გვიანდელი ყარსი) არ მდებარეობდა ჰერეთ-კახეთში. საერთოდ, აქ კარის საეპისკოპოსოს გაგება, ვფიქრობთ, გაუგებრობაა. ტექსტში აღნიშნულია უჯარმის კარი. და არა ცალ-ცალკე უჯარმა და კარი.

უ ჯ ა რ მ ი ს კ ა რ ი მოხსენიებულია გვიანდელ საისტორიო წყაროებშიც. მაგალითად, 1697 წელს გადაწერილ ე. წ. მცხეთური ქართლის ცხოვრების ანდერძშიც. ამავე ანდერძიდან ჩანს, რომ უჯარმის კარს მდებარეობდა სამების კათედრალი. მოვიყვანოთ ანდერძის ეს ადგილი: „...გარდავაწერინე ჩვენ ყოველად უღირსმან.. ხუცეს-მონაზონმან, რომელსა მომეწია უღირსად ეპის-

---

[1] ქართლის ცხოვრება, გამოსცა ს. ყაუხჩიშვილმა, თბილისი, ტ. 1, 1955, გვ. 198—199.

[2] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, 1, 1960, გვ. 299.

[3] „ქართლის ცხოვრება“, ტ. I, 1955, გვ. 198—199.

კოპოზობა და ხელთ-მედვა ზრუნვა უჯარმის კარს დიდებულისა ცხოველისა ეკლესიისა წმინდისა სამებისა, ნიკოლოზს, ძესა მწიგნობართუხუცესისა იოანესა"[4].

„განგება დარბაზობისა"-ში მოხსენიებულია მხოლოდ ნინოწმინდელი ეპისკოპოსი. სამებელი აქ არ იხსენიება. ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით სამების საეპისკოპოსო საკათედრო ტაძარი ლოკალიზებულია ხაშმთან, ნინოწმინდის ახლოს; ხოლო ერთ-ერთი გვიანდელი, 1710 წლის ისტორიული დოკუმენტის მიხედვით სამება, ლოკალიზებულია კაწარეთთან. დოკუმენტში ვკითხულობთ: „... მეფეთ მეფე დავით... ვიგულისძოდგინეთ სამართლიანად შესწორავად კაწარეთს წმ. სამების ტაძრის მისართმეველად და მას შინა მოსაყდრის სამებელ მთავარეპისკოპოსის მდივან-მწიგნობართუხუცესის ძის სანატრელის ნიკოლოზის მისაბარებლად, რისაც მამულის მქონებელი წმ. სამების ტაძარი ყოფილიყო..." (თ. ყორდანია, ქართლ-კახეთის მონასტრების და ეკლესიების ისტორიული საბუთები, 1903, გვ. 32—33).

გამოდის, რომ კაწარეთის საეპისკოპოსო, მოხსენიებული „განგება დარბაზობის" ძველ ქრონოლოგიურ ფენაში და XVI ს-ის ისტორიულ დოკუმენტებში, იგივე სამების საეპისკოპოსოა, რომელიც იხსენიება XVII ს-ის ისტორიულ დოკუმენტებში და ვახუშტის ნაშრომში. ერეკლე II-ის დროს კი ეს საეპისკოპოსო აღარც კაწარეთის და აღარც სამების სახელით აღარ ყოფილა და „განგება დარბაზობის" ახალ რედაქციაში ის აღარ შედის. „ქართლის ცხოვრების" მცხეთური ნუსხის გადამწერის ანდერძი მოწმობს, რომ სამების კათედრა უჯარმის კარს მდებარეობს. ჯუანშერის ტექსტით კი უჯარმის კარს მდებარეობს ნინოწმინდის კათედრაც. გამოდის, რომ უჯარმის კარი ეწოდება არა ერთ პუნქტს, არამედ მთელ იმ მხარეს, სადაც მდებარეობდა როგორც ნინოწმინდა, ისე კაწარეთი, ანუ სამება. თვით სახელწოდება უჯარმის კარი მოწმობს, რომ აქ მდებარე სამიბის საეპისკოპოსო ძველია (ალბათ ვახტანგ გორგასლის დროინდელი). უჯარმის კარი, როგორც გეოგრაფიული სახელი, გვხვდება ჯუანშერთან, ნინოწმინდის საეპისკოპოსო კათედრის მდებარეობის და „მცხეთურ ქართლის ცხოვრებაში" სამების საეპისკოპოსოს მდებარეობის აღსანიშნავად. არც ერთ გვიანდელ წყაროში ეს სახელი აღარ გვხვდება. ვახუშტიმაც ასეთი გეოგრაფიული სახელი არ იცის. გარდა ამისა, უჯარმის კარს საეპისკოპოსოს წარმოშობა სავარაუდებელია მაშინ, როცა უჯარმას ჰქონდა ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ცენტრის მნიშვნელობა, ე. ი. ადრინდელ საუკუნეებში და არა XVII საუკუნეში.

ერთი და იგივე საეპისკოპოსოს აღსანიშნავად სხვადასხვა სახელის ხმარება სხვადასხვა ეპოქაში სხვა შემთხვევაშიცაა დადასტურებული. ასეთია, მაგალითად, ქიზიყის საეპისკოპოსოს აღსანიშნავად ბოდბის ხმარება XVI ს-დან, თუმცა სახელწოდება ქიზიყელი მაინც რჩება და ის შეტანილია როგორც „განგება დარბაზობის" ერეკლეს დროინდელ რედაქციაში, ისე ზოგიერთ დოკუმენტში. კერძოდ, 1566 წლის ერთ დოკუმენტში მაქსიმე იწოდება „ქისიყელ" ეპისკოპოსად (ცსსა, 1449, № 2285), ხოლო 1568 წლის დოკუმენტში იგივე მაქსიმე წოდებულია ბოდბელად (სოც. დ., I, № 503).

---

[4] ა. კლიმიაშვილი, „ქართლის ცხოვრების" ერთი ახალი ნუსხა 1697 წლისა საქ. სსრ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XXIV, № 3, 1960, გვ. 372.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯუანშერს 13 საეპისკოპოსო აქვს დასახელებული. ივ. ჯავახიშვილის აზრით, ჯუანშერს ყველა იმ დროს არსებული საეპისკოპოსო არა აქვს აღნუსხული. იგი ასახელებს მხოლოდ მათ, რომელნიც ანტიოქიის პატრიარქმა აკურთხა. ივ. ჯავახიშვილი ჩამოთვლილ საეპისკოპოებს უმატებს: 1. ცურტავის (ქვემო ქართლი. იგი მოხსენებულია ჯუანშერთან სხვა ადგილზე და აგრეთვე იაკობ ხუცესის თხზულებაში), 2. რუისის (შიდა ქართლი). 3. ურბნისის (შიდა ქართლი), 4. წილკნის (კახეთი), 5. სამთავისის (შიდა ქართლი)[5].

506 წ-ს, „ეპისტოლეთა წიგნის“ ცნობით, ალბანელთა, სომეხთა და ქართველთა გაერთიანებულ საეკლესიო კრებას კათალიკოსიანად 24 ქართველი ეპისკოპოსი დასწრებია[6].

VII ს-ში, კერძოდ, 607 წ. კირიონ ქართველთა კათალიკოსის ეპისტოლეში დადასტურებულია ქართლის საკათალიკოსოში 35 ეპისკოპოსი[7]. სახელები ამ საეპისკოპოსოებისა აღნიშნული არ არის. ეპისკოპოსთა სახელები ჩამოთვლილია ამავე წლის აბრამ სომეხთა კათალიკოსის ეპისტოლეში, სადაც მოხსენიებულია ზემოთ აღნიშნული 506 წ. საეკლესიო კრების მონაწილე ეპისკოპოსები და აგრეთვე უხტანესის თხზულებაში (სადაც შესულა ეპისტოლეთა წიგნის ნაწილი). სახელები დამახინჯებულია და ზოგი მათგანის გამორკვევა შეუძლებელი ხდება[8]. აქ მოხსენიებულია შემდეგი მღვდელმთავრები: 1. მცხეთის, 2. სამეფო სახლის, 3. ასურეთის, 4. თმოგველი, თუ დბანელი, 5. ბოლნელი, 6. ცურტაველი, 7. რუსთაველი, 8. თბილელი, 9. მანგლელი, 10. მროველი, 11. სამთავნელი, 12. აძველი, 13. წყაროსთაველი, 14. კუმურდოელი, 15. გიშის, 16. წილკნელი, 17. ბოდბელი, 18. ბორტის, 19. კარსნის, 20. ჭერემელი, 21. ხუნანისა, 22. ტაშირის, 23 ქორზანის (ქორჯანის).

შემდეგ ცნობას ეპარქიების შესახებ გვაძლევს „განგება დარბაზობისა“, რომელიც სხვადასხვა ქრონოლოგიური ფენებისაგან შედგება. „განგება დარბაზობისაში“ მოხსენიებულია 35 მღვდელმთავარი: 1. ქართლის კათალიკოზი, 2. ჭყონდიდელი, 3. სომხითის მიტროპოლიტი, 4. მთავარეპისკოპოსი, 5. მაწყვერელი, 6. ამბა ალავერდელი, 7. ქისიყელი, 8. კუმურდოელი, 9. ნინოწმინდელი არქიმანდრიტი, 10. იშხნელი, 11. ანჩელი არქიმანდრიტი, 12. მტბევარი, 13. წურწყაბელი, 14. წყაროსთაველი, 15. ერუშნელი, 16. მანგლელი, 17. წინწყაროელი, 18. რუსთველი, 19. წილკნელი, 20. კაწარელი, 21. ურბნელი, 22. მრუელი, 23. სამთავნელი, 24. ნიქოზელი, 25. ვალაშკერტელი 26. ბოლნელი, 27. კარელი, 28. ხარჭაშნელი, 29. ტფილელი, 30. წალკელი, 31, ბანელი, 32. ჭერემელი, 33. დმანელი, 34. დადაშნელი, 35. გიშელი. როგორც ჩანს, „განგება დარბაზობისა“-ში მოხსენიებულია მხოლოდ აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს — ქართლის (პოლიტიკური გაგებით) მღვდელმთავრები, გარდა ჭყონდიდელისა, რომელსაც, როგორც ჩანს, განსაკუთრებული მდგომარეობა ჰქონდა. შესაძლოა აგრეთვე, ჭყონდიდელი გვიანდელი ჩამატებული იყოს (გვიანდელი ჩამატებები აქ სხვაც ჩანს, მაგალითად, ათაბაგი): ეს აიხსნება იმით, რომ

---

[5] ივ. ჯავახიშვილი ქართველი ერის ისტორია, I, თბ, 1960, გვ. 300.

[6] იქვე, გვ. 300.

[7] იქვე.

[8] იქვე, შენიშვნა 3 ; ეპისტოლეთა წიგნი, ზ. ალექსიძის გამოცემა, თბ., 1968, გვ. 97—98, 161.

„განგების“ შედგენის დროს ერთიანი საქართველოს სახელმწიფო არ არსებობდა.

„განგება დარბაზობისა“-ში მოცემული ეს სურათი XVIII-ში შესაფერისად შეცვლილა და ამ ძეგლის ახალი რედაქცია, შედგენილი ერეკლე II-ისა და ანტონის მიერ, შემდეგნაირად გამოიყურება: 1. ქ[ა]ს კათალიკოსი, 2. ამბა ალავერდელი, 3. ქისიყელი, 4. ტფილელი, 5. ნინოწმინდელი, 6. მანგლელი, 7. რუსთველი, 8. წალკელი (თუ აღდგეს), 9. კაზარელი (თუ განახლდეს), 10. ურბნელი, 11. მროველი, 12. ნეკრესელი, 13. სამთავნელი, 14. ნიქოზელი, 15. ბოლნელი (თუ განახლდეს), 16. ხარჭაშნელი (თუ აღდგეს), 17. დმანელი (თუ აღდგეს), 18. გიშელი (ადრითგან მოშლილია)[9].

ამრიგად, ერეკლე II-ის დროს აღმოსავლეთ საქართველოში ყოფილა 12 მოქმედი ეპარქია.

ჩვენ მიერ XVII ს-ის ისტორიული დოკუმენტებიდან ამოკრებილ მასალებში აღმოსავლეთ საქართველოში შემდეგი მღვდელმთავრები ჩანს: 1. ქ[ა]ს კათალიკოსი, 2. მთავარეპისკოპოსი, 3. ალავერდელი, 4. თბილელი, 5. ნინოწმინდელი, 6. სამებელი, 7. მანგლელი, 8. რუსთველი, 9. წალკელი, 10. წილკნელი, 11. ურბნელი, 12. მროველი, 13. ნეკრესელი, 14. სამთავნელი. 15. ნიქოზელი, 16. ბოლნელი, 17. ხარჭაშნელი, 18. დმანელი, 19. ჭერემელი, 20. ბოდბელი.

„განგება დარბაზობის“ სიაში მოხსენიებული მღვდელმთავრებიდან XVII ს-ის ისტორიულ დოკუმენტებში არ იხსენიებიან შემდეგნი:

1. სომხითის მიტროპოლიტი, 2. ქისიყელი, 3. კუმურდოელი, 4. ანჩელი, 5. მტბევარი, 6. წურწყაბელი, 7. წყაროსთაველი, 8. ერუშნელი, 9. წინწყაროელი, 10. კაზარელი, 11. ვალაშკერტელი, 12. კარელი, 13. ბანელი, 14. დადაშნელი, 15. გიშელი, 16. მაწყვერელი, 17. იშხნელი.

აღნიშნულ 17 მღვდელმთავრიდან უმრავლესობა — 13 (კუმურდოელი, ანჩელი, მტბევარი, წურწყაბელი, წყაროსთაველი, ერუშნელი, წინწყაროელი, ვალაშკერტელი, კარელი, ბანელი, დადაშნელი, მაწყვერელი, იშხნელი) თურქეთის მიერ დაპყრობილი სამხრეთ საქართველოს კათედრის მეთაურია. უნდა ვიფიქროთ, ეს ეპარქიები ამ დროს აღარც არსებობდნენ. ამასთან, ცნობები თურქთაგან დაპყრობილი მხარეების შესახებ, ცხადია, ქართულ დოკუმენტებში აღარ გაგვიჩნია. რაც შეეხება დანარჩენ 4 ეპარქიას, მათგან ორი: სომხითის და გიშის, როგორც ჩანს, მოშლილა — ისინი ერეკლეს დროიდან „განგების“ ტექსტშიც აღარ გვხვდება. კაზარეთისა და ქისიყის ეპარქიები კი მოხსენიებულია სამებისა და ბოდბის ეპარქიების სახელწოდებით.

„განგება დარბაზობის“ ძველ ქრონოლოგიურ ფენას XVII ს. ისტორიული დოკუმენტები ავსებენ ნეკრესის ეპარქიით. ნეკრესის ეპარქია აღრევე უნდა არსებულიყო, მაგრამ რატომღაც გამორჩენილია „განგება დარბაზობისაში“.

ერეკლე II-ის განწესების XVII ს. დოკუმენტებთან შედარებით იტყვება, რომ XVII ს-ის შემდეგ XVIII ს. II ნახევრამდე მოშლილა შემდეგი ეპარქიები: 1. ქართლის სამთავარეპისკოპოსო, 2. წალკის, 3. წილკნის, 4. ბოლნისის, 5. ხარჭაშოს, 6. დმანისის, 7. ჭერემის, 8. სამების (კაზარეთის).

როგორც ვხედავთ, ისტორიული დოკუმენტების ცნობები ეპარქიების შე-

---

[9] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები I, გვ. 45-46; ქართული სამართლის ძეგლები, II. ი. დოლიძის გამ., თბ., 1965, გვ. 47-49, 399-402.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახეზ ემთხვევა „განგება დარბაზობის“ ცნობებს. ამ ძეგლში აღნიშნული ყველა ეპარქია, გარდა თურქეთის დაპყრობილი 13 ეპარქიისა და მოშლილი 2 ეპარქიისა, მოხსენიებულია XVII ს. ისტორიულ დოკუმენტებში. „განგება დარბაზობის“ შედგენის შემდეგ შემორჩენილი დოკუმენტების მიხედვით აღმოსავლეთ საქართველოში არ წარმოქმნილა არც ერთი ეპარქია.

ისტორიული დოკუმენტებიდან ამოკრებილი მე-17 ს. აღმოსავლეთ საქართველოს ეპარქიების შემცველი მასალების რაოდენობა მეტად არათანაბარია. არის ეპარქიები, რომლის შესახებ მცირე ცნობები მოგვეპოვება. მაგრამ ამ საეპისკოპოსოების არსებობის ფაქტი ამ მცირე მასალითაც დასტურდება და ეჭვს არ იწვევს. ეპარქიები წარმოდგენილი გვაქვს „განგება დარბაზობისა“-ში დაცული რიგის მიხედვით.

ქართლის მთავარეპისკოპოსი

1630 წ. ქართლის მთავარეპისკოპოსია ი ო ა ნ ე ა ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი. იგი მოხსენიებულია თეიმურაზ მეფის მიერ არსენ ავალიშვილისათვის მიცემული წინამძღვრობისა და მამულის წყალობის წიგნში[10].

1651 წლიდან ქართლის მთავარეპისკოპოსია მ უ ხ რ ა ნ-ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი დ ო მ ე ნ ტ ი. სხვებთან ერთად მონაწილეობს დეკანოზისშვილ რამაზას და მისი ძმისწულების გაყრაში[11]. მოწმეა აგრეთვე დავითის, ქაიხოსროს და მისი შვილების ზაალისა და ამილბარის გაყრისა[12]. 1658 წ. ყორჩიბაშმა ბაადურ ციციშვილმა მიყიდა მას ზვარი ატენს[13]. 1660 წლიდან იგი უკვე ქართლის კათალიკოსად გვხვდება[14].

1661 წ. ნ ი კ ო ლ ო ზ ჩ ხ ე ი ძ ე ა მთავარეპისკოპოსი. იგი მოწმეა პაპუნა სააკაძის მიერ პაპუნა თუხარელისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა[15]. 1662 წ. კი ანჩაფ ტულურუნაშვილის მიერ დომენტი კათალიკოსისათვის მიცემული ყმის ნასყიდობის წიგნისა[16], 1663 წ. მოწმეა ქაიხოსრო ჯავახიშვილის მიერ იარამ თარხან მოურავიშვილისათვის მიცემული ფიცისა[17]. 1664 წ. მისი ბრძანებით, ფარემუზ და იესე ბედისმწერლიშვილებმა გადასწერეს კურთხევანი[18]. 1670 წ. დომენტი კათალიკოსთან, გივი ამილახორთან, ბატონიშვილ აშოთანთან, სახლთუხუცეს ზაზასთან, ტფილელ იოსებთან, ბოვნელ იოსებთან ერთად გაარიგა გიორგი, ყაფლან ბარათაშვილებსა და პაპუნა ვირშელიშვილს შორის სამამულო დავა. (ხ. ი., Sd—534). 1671 წ. მოწმეა დომენტი კათალიკოზის მიერ ზაზა და ზაალ ციციშვილებისათვის მიცემული საყდრის კურთხევის და დავის გარდაწყვეტილების წიგნისა[19].

---

10 ხელნაწ. ინსტ., Hd—14678.
11 ცსსა, ფ. 1450, დ. 31, № 105.
12 იქვე, დ. 29, № 59.
13 ცსსა, ფ. 1449, № 1795.
14 ქრონიკები, II, გვ. 476, 528.
15 ხელნაწ. ინსტ., Sd—50.
16 ქრონიკები, II, 48., ცსსა, ფ. 1449, № 1189, ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, ისტ. საბ., IV, გვ. 37.
17 ხელნაწ. ინსტ., Hd—14435.
18 იქვე, H—1742, 314—316r, ანდერძი.
19 ხელნაწ. ინსტ., Ad—1337.

ამრიგად, ნიკოლოზ ჩხეიძე ქართლის მთავარეპისკოპოსად გვხვდება 1661—1671 წლებში[20].

1690 წელს ქართლის მთავარეპისკოპოსია ქრისტეფორე. სახლთუხუცესმა რევაზ ჩოლოყაშვილმა განუახლა ყმა-მამულის მფლობელობა[21]. იმავე წელს სხვებთან ერთად მონაწილეობდა ონოფრე მაჭუტაძის დავით-გარეჯის წინამძღვრად დასმაში[22]. 1691 წელს კათალიკოს იოვანესთან არაგვის ერისთავ გიორგისთან, გივი ამილახორთან, სარდალ თამაზთან, მდივანბეგ ბარძიმთან ერთად მონაწილეობდა მოურავისშვილ თარხან გიორგისა და მისი ძმის მეჯინიბეთუხუცეს ავთანდილის და სხვათა სამამულო დავის გარიგებაში[23]. 1692 წ. გაარიგა დავა გივი, იოთამ და ავთანდილ ამილახორებს შორის[24]. 1693 წ. ნაზარალიხანმა უწყალობა ყმა-მამული[25]. 1696 წ. მოწვეა ერეკლე მეფის მიერ კათალიკოს იოანესათვის მიცემული ყმა-მამულის შეწირულების წიგნისა[26].

1697 წლიდან ქართლის მთავარეპისკოპოსად გვხვდება ევდემოზ რატიშვილი, რომელიც ადრე ყოფილა, როგორც მანგლელი, ისე ურბნელიც. ამის შესახებ ყანჩაეთის ყამ-გულანის მინაწერში ვკითხულობთ: „დმერო, შეიწყალე ცოდვილი მთავარეპისკოპოსი, რომლისა ბრძანებითა აღიწერა ყამ-გულანი ესე. პირველად ვიყავ ურბნელი, მერე მანგლელი და მერე მთავარეპისკოპოსი ქართლისა“[27]. 1697 წ. მოწმეა ფარსადან ფანასკერტელ ციციშვილის მიერ კათალიკოს იოანე დიასამიძისათვის მიცემული ყმების ნასყიდობის წიგნისა[28]. 1698 წლიდან მთავარეპისკოპოსად გვხვდება ისევ ქრისტეფორე. მონაწილეობს დამღაწაშვილების ყმა-მამულის დავის გარიგებაში[29].

ამგვარად, ქართლის მთავარეპისკოპოსად მე-17 საუკუნეში გვხვდებიან:

იოანე ავალიშვილი 1630 წ.
დომენტი 1651—1658 წწ.
ნიკოლოზ ჩხეიძე 1661—1671 წწ.
ქრისტეფორე 1690—1693 წწ.
ევდემოზ რატიშვილი 1697 წ.
ქრისტეფორე 1698 წ.

ალავერდელი

ალავერდელ ეპისკოპოსთაგან მე-17 საუკუნის დოკუმენტებში პირველად გვხვდება იოანე ავალისშვილი. მან 1612 წ. დაწერა თეიმურაზ

---

[20] ამ წლებით უნდა დათარიღდეს დოკუმენტი ცენტრ. არქივის ფ. 1449, № 1935, რომელშიც ნიკოლოზ ჩხეიძეა მოხსენიებული.
[21] ხელნაწ. ინსტ., Hd—10921.
[22] იქვე, Ad—349.
[23] ცსსა, ფ. 1448, № 3268.
[24] ხელნაწ. ინსტ., Ad—2280.
[25] იქვე, Hd—2593.
[26] ქრონიკები, II, გვ. 515.
[27] ხელნაწ. ინსტ., H—1452, 339 v, მინაწერი.
[28] ს. კაკაბაძე, ისტ. სბ., II, გვ. 71—72.
[29] ხელნაწ. ინსტ., Ad—1077.

მეფის მიერ ალავერდის წმ. გიორგის ეკლესიისათვის მიცემული ყმების შეწირულების წიგნი[30].

1639 წ. ამბა ალავერდელია ზებედე[31], დამწერი თეიმურაზ მეფის წყალობის წიგნისა. ზებედე გვხვდება აგრეთვე ერთ დაუთარიღებელ დოკუმენტში. თეიმურაზ მეფე პირობას აძლევს, რომ მხარს დაუჭერს მის ყოველგვარ განჩინებას[32].

შემდეგი ეპისკოპოსი არსენ ავალიშვილია, რომელიც 1630 წ. წინამძღვრად ჩანს. მეფე როსტომმა 1651 წ. გაუთარხანა ეკლესიის ყმანი[33]. მას და მის ძმებს მარიამ დედოფალმა დაუმტკიცა თეიმურაზის მიერ ბოძებული მამული[34].

აღნიშნული დოკუმენტების საფუძველზე არსენი ალავერდელად ჩანს თეიმურაზ I-ის დროს და XVII საუკუნის 50-იან წლებში.

1685 წ. ალავერდელად ნიკოლოზ ენდრონიკაშვილია. ნაცვალმა ხუტუამ, თარიმანმა, ციხისთავსშვილმა ლაზარემ, გიორგი ქვახარშაშვილმა და ერთობილ ფშაველებმა მისცეს პირობის წიგნი ქრისტიანული კანონების დაცვის შესახებ[35]. 1687 წ. ნიკოლოზმა უწყალობა ყმა-მამული ნასყიდას და მის შვილებს[36]. ამავე წელს უწყალობა ყმა-მამული აგრეთვე დემეტრე გამსახურდაშვილს[37]. 1690 წ. ნიკოლოზი ბოდბელ ევდემოსთან, რუსთველ ნიკოლოზთან და სხვებთან ერთად მონაწილეობდა ორფრე მაჭუტაძის დავითგარეჯის წინამძღვრად დასმაში[38]. 1692 წ. მონაწილეობდა ბებურს, უზებარს და ქაიხოსროს შორის ყმა-მამულის გაყოფაში[39]. 1694 წ. კათალიკოს იოანესთან, რუსთველ ნიკოლოზთან ერთად განაჩინა სასისხლო სამართალი ბოქაულთუხუცეს გურამისშვილ გურამს, ქაიხოსროს, მანუჩარს, დურმიშხანს და მათ განაყოფ გივისა და ფარემუზს შორის (უბოძეს სასისხლოდ ყმა-მამული)[40].

ამგვარად, ნიკოლოზ ენდრონიკაშვილი დოკუმენტებში გვხვდება 1685, 1687, 1690, 1692, 1694 წლებში[41].

1695 წ. ალავერდელად გვხვდება ნიკოლოზ ჩოლაყაშვილი (რომელიც ადრე რუსთველი ეპისკოპოსია: ცსსა, ფ. 1448, № 57). მისი შუამდგომლობით მეფე ერეკლეს შეუწირავს სვეტიცხოველისათვის მამული[42]. 1696 წ. სახლთუხუცეს დურმიშხანთან და ქიზიყის მოურავ რევაზთან, ყორჩიბაშ ხაალ ენდრონიკაშვილთან, მოურავიშვილ პაატასთან, სახლთხუცესიშვილ ედიშერ-

---

30 საისტორიო მოამბე, I, 1925, გვ. 152.

31 ცსსა, ფ. 1449, № 1779.

32 ხელნაწ. ინსტ., Ad—600.

33 ცსსა, ფ. 1451, დ. 1, წ. 6, № 75; Акты, I, 18—19.

34 ხელნაწ. ინსტ., Hd—2430.

35 იქვე, Ad—854.

36 ცსსა, ფ. 1449, № 1858.

37 ცსსა, ფ. 1449, № 1856.

38 ხელნაწ. ინსტ., Ad—349.

39 იქვე, Hd—10170.

40 ცსსა, ფ. 1448, № 57.

41 ჩვის გამო ჩვენ შესაძლებლობა გვეძლევა დავათარიღოთ რამდენიმე დოკუმენტი, რომელშიც მოხსენიებულია ნიკოლოზ ენდრონიკაშვილი—Ad-824, Ad-849, Ad-864.

42 ისტ. სბ. 4, გვ. 70—71.

თან ერთად, გაანთავისუფლა წმ. დავითის ეკლესიის ყმები გადასახადისაგან 1700 წელს გაარიგა სამამულო დავა კაკაბელებსა და შაბლიანელებს შორის[44].

ამგვარად, ნიკოლოზ ჩოლაყაშვილი მე-17 ს-ის ისტორიულ დოკუმენტებში გვხვდება 1695, 1696, 1700 წლებში[45].

მაშასადამე, მე-17 ს-ში, ალავერდის ეპარქიას სათავეში ედგნენ:

იოანე ავალიშვილი 1612 წ.

ზებედე 1639 წ.

არსენ ავალიშვილი [1639/48]—1651 წ.

ნიკოლოზ ენდრონიკაშვილი 1685—1694 (1685, 1687, 1690, 1692, 1694) წწ.

ნიკოლოზ ჩოლაყაშვილი 1695—1700 (1695, 1696, 1700) წწ.

თბილელი

XVII საუკუნეში თბილელ ეპისკოპოსთაგან პირველად გვხვდება 1619 წელს ბარათაშვილი ნიკოლოზი. მუშაღი, სომეხი მხითარა და მისი ძე ოვანეზი აძლევენ მას ყმად თავდაწერილობის წიგნს[46].

შემდეგ თბილელი ეპისკოპოსია საგინაშვილი ელისე: 1628 წლის მარტში სვიმონ მეფემ უბოძა მას თბილელობა და თბილელისათვის კუთვნილი მამული ქართლში და საბარათაშვილოში[47]. 1634 წ. იგი მოხსენიებულია სიონის სიგელში კათალიკოს ევდემოზთან ერთად[48]. იმავე წელს შეუწირავს პაატა ბარამაშვილი სიონის ეკლესიისათვის[49]. 1635 წელს ჰქონდა სამამულო დავა მერაბ ყორღანაშვილთან, რომელიც მეფე როსტომის ბრძანებით გაარიგა მდივანბეგმა ყაფლან ბარათაშვილმა[50]. ელისე საგინაშვილს 1638 წ. ჟოჟუა და სიხარული მამისაშვილები აძლევენ პირობის წიგნს მეჯოგედ დადგომის შესახებ[51]. მისი დაკვეთით აჭარელმა მარკოზმა 1639 წ. „დაწერა წმინდა ესე და სულთა განმანათლებელი წიგნი“[52]. 1640 წ. მისი სახელი გვხვდება ათონის ეტრატის წარწერაში[53]. ამავე წელს მან უბოძა სახსო მამული თერგს იოთამ ბასილაშვილს[54], ხოლო ელიზბარ მამისაშვილმა მიჰყიდა მას მიწა[55]. 1643 წ. დო-

---

[43] ცსსა, ფ. 1448, № 1469.

[44] ხელნწ. ინსტ. Ad—574.

[45] დოკუმენტი (პირობის წიგნი ერთგულებისა და მორჩილების შესახებ, მიცემული ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის მიერ კათალიკოს იოანე დიასამიძისადმი) თ. ქორდანიას ქრონიკებში შეცდომით 1688 წ. არის დათარიღებული: 1685—1694 წწ. დოკუმენტების მიხედვით ალავერდელად ნიკოლოზ ენდრონიკაშვილია. აქ მოხსენიებულია იოანე კათალიკოსი, რომლის კათალიკოსობის წლებია 1688—91; 1696—1700; ნიკოლოზ ჩოლაყაშვილი გვხვდება 1695—1700 წლებში. საბუთი დათარიღებულია 1696—1700 წწ.

[46] ისტორ. სბ., 4, გვ. 11.

[47] ცსსა, ფ. 1451, დ. 1, წ. 2, № 119.

[48] ქრონიკები, II, 450.

[49] ცსსა, ფ. 1451, დ. 1, წ.2, № 105.

[50] იქვე, ფ. 1449, № 1775, ისტ. სბ. 4, გვ. 21—22.

[51] ცსსა, ფ. 1450, დ. 26, № 83.

[52] ხელნწ. ინსტ. H-972; 164v—165r.

[53] ქრონიკები, II, 454.

[54] ცსსა, ფ. 1450, დ. 51, № 174.

[55] ცსსა, ფ. 1451, დ. 1, წ. 2, № 285.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუმენტის მიხედვით როსტომ მეფემ უწყალობა მას ყმა-მამული[56]. 1647 წ. მას განუახლებია სიონის ტაძარი[57], 1649 წ. დედოფალმა მარიამმა გაბუახლა ლევან მეფის შეწირული — კისისხევი[58], ამავე წელს ქავთარაძე შალვას შვილმა ესესმ მიყიდა სიონის ღვთისმშობელს მიწა[59], 1650 წ. განახლა თბილისის სიონის ღვთისმშობლის ეკლესიის გუმბათი[60].

ამგვარად, ელისე გვხვდება 1628, 1634, 1635, 1638, 1639, 1640, 1643, 1647, 1649, 1650, 1656, 1657, 1658 და 1659 წწ.[61].

ელისეს შემდეგ ეპისკოპოსად გვხვდება იოსებ საკაძე, რომელიც ადრე დმანელი ყოფილა[62]. 1661 წ. იგი მოწმეა პაპუნა საკაძის მიერ პაპუნა თუხარელისათვის მიცემული მიწის ნასყიდობისა[63]. 1662 წ. ბერიკა დათუკაშვილმა მისცა ყმად თავდაწერის წიგნი[64], 1664 წ. ელისე აძლევს პირობას ხოჯა ბარხუდარს ქარვასლაზე გაწეული ხარჯის ანაზღაურების შესახებ[65]. იმავე წელს აქვს დავა პაპუნა ფავლენიშვილთან ყმის გამო[66], 1665 წ. დაიხსნა ლევან თურქისტანიშვილის ყმა და შესწირა სიონს[67]; 1666 წ. უწყალობა მამული ბატკუაშვილებს[68]; მონაწილეობს პაპუნა ფავლენიშვილისა და ბაადურ მაჩაბლის დავის გარიგებაში[69]; დაწერა სინის მთავარეპისკოპოს ანანიას მიერ შაჰნავაზისათვის მიცემული აღაპის გაჩენის წიგნი[70], ამავე წელს ჯვრის მამა მელენტიოსი წერს წერილს იოსებ თბილელს და სთხოვს მას მისთვის მიბარებული სახლ-კარის გაყიდვას[71]. 1669 წელს იოსები აძლევს პირობას ხოჯა ბარხუდარას ქარვასლაზე დახარჯული თანხის შესახებ[72]; 1670 წ. მონაწილეობს ყაფლან ბარათაშვილისა და პაპუნა ვირშელაშვილის სარჩელის გადაწყვეტაში[73]; მოწმეა დომენტი კათალიკოსის მიერ 1671 წ. ზაზა და ზაალ ციციშვილებისათვის მიცემული საყდრის კურთხევის გარდაწყვეტილების წიგნისა[74]. 1671 წ. პაპუნა ბარათაშვილ-ყაფლანიშვილმა დაუბრუნა მას სამწყსოდ წაროთი და

---

[56] ცსსა, ფ. 1449, № 1270.

[57] ისტ. საბ. 4, გვ. 25—29.

[58] ისტ. საბ. 4, გვ. 29—30, ქრონიკები, II, 475.

[59] ცსსა, ფ. 1449, № 1774.

[60] ცსსა, ფ. 1448, № 5006.

[61] ამის საფუძველზე ჩვენ გვაძლევა შესაძლებლობა დავათარიღოთ ორი უთარიღო დოკუმენტი ცსსა-ს ფონდებიდან, რომლებშიც ელისე საგინაშვილია მოხსენებული: ფ. 1451 დ. 12, № 115; ფ. 1449, № 1847.

[62] П. Иоселиани, Описание древностей г. Тифлиса, Тифлис, 1866, стр. 180.

[63] ხელნაწ. ინსტ. Sd—50.

[64] ცსსა, ფ. 1451, დ. 1, წ. 2, № 164; 1449, № 1819.

[65] იქვე, № 236.

[66] იქვე, ფ. 1449, № 1810, ფ. 1451, დ. 12, № 231.

[67] ისტ. საბ. 4, გვ. 43.

[68] ცსსა, ფ. 1449, № 1816.

[69] ხელნაწ. ინსტ. Qd—8710.

[70] ქრონიკები 11, 483.

[71] ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ ორ დაუთარიღებელ დოკუმენტში Ad—63 და Ad—586 მოხსენიებულია ჯვრის მამა მელენტიოსი, რომელიც ითხოვს თბილელისაგან მისთვის მიბარებული სახლკარის გაყიდვას. ცხადია, აქ მოხსენიებული პირები ერთი და იგივეა. ამის გამო ეს ორი დაუთარიღებელი დოკუმენტი შეიძლება დათარიღდეს 1666 წლის ახლო ხანით.

[72] ხელნაწ. ინსტ. Ad—60.

[73] იქვე, Sd—534.

[74] იქვე, Sd—1337.

ბალახური[75]. (რომელიც ადრე მისი სამწყსო ყოფილა); გაათავისუფლა ბაჭვის გადასახადისაგან შერმაზან მესხი და მისი შვილები[76]; მოწყალა ზაზა და ზაალა ციცეშვილების სამამულო დავისა[77]; 1676 წ. ამტკიცებს გოგინას მიერ იესესათვის მიცემულ სახლის წყალობას[78]; 1678 წ. მონაწილეობს ციცეშვილების გაყრაში[79]; მოწმეა ქაიხოსრო ბარათაშვილის მიერ პაპუნა ბარათაშვილ-გოლტაშაბიშვილისათვის 1679 წ. მიცემული გირავნობის წიგნისა[80], ხოლო 1680 წ. მოწმეა ნასყიდობის წიგნისა[81], სამ ბარათაშვილმა 1681 წ. შესწირა ყმა[82]; 1682 წ. ზაალ შანთიძე აძლევს პირობას მიწაზე უდაობის შესახებ[83]; გადაწყვეტა დავა 1683 წ. ქვათახევის წინამძღვარ ქრისტეფორესა და მაღალძეების შორის[84], 1685 წ-ს დაწერა გიორგი მეფის მიერ ბეგთაბეგ შანშიან მარტიროზაშვილისათვის მიცემული მამულის წყალობის წიგნი[85]; 1688 წელს იგი მოჰკლეს[86].

ამგვარად, იოსებ სააკაძე თბილელად გვხვდება 1661 წლიდან 1688 წლამდე.

იოსების შემდეგ თბილელის ადგილს იჭერს ყაფლანიშვილი დომენტი. ვახუშტი „საქართველოს ცხოვრებაში“ — აღნიშნავს: „...ამან (ერეკლემ) შესცვალა და დახსნა თვისნი კათალიკოსად დიასამიძე იოანე, მთავარეპისკოპოსად ნაცვლისშვილი, თბილელად ყაფლანიშვილი დომენტი, მანგლელად ჯავახიშვილი იოსებ“[87].

1690 წ. დომენტი ამტკიცებს ანანია ქიტუასშვილის მიერ ოჰანა ყაიარდელაშვილისათვის მიცემულ სახლის ნასყიდობის წიგნს[88]. ამავე წელს სხვა ეპისკოპოსებთან ერთად მონაწილეობდა ონოფრე მაჭუტაძის დავით-გარეჯის წინამძღვრად დასმაში[89].

1693 წ. თბილელი ეპისკოპოსია არაგვის ერისთავიშვილი ონოფრე, დამწერი არაგვის ერისთავ ოთარის თანამეცხედრის მარიამის მიერ ანანურის ღვთის მშობლისათვის მიცემული შეწირულების წიგნისა[90]; ამავე წელს გიორგი ერისთავთან ერთად უბოძა ელისბარ კობიასშვილს ყმამამული[91].

1694 წლიდან თბილელად გვხვდება ასლანბეგ ორბელიშვი-

---

[75] ცსსა, ფ. 1451, დ. 1., წ. 2, № 230.
[76] ცსსა, ფ. 1449, № 1814.
[77] ხელნაწ. ინსტ. Ad—1337.
[78] ცსსა, ფ. 1448, № 2339.
[79] ცსსა, ფ. 1450, დ. 14, № 62.
[80] ხელნაწ. ინსტ, Hd—4156.
[81] ცსსა, ფ. 1448, № 2942, ხელნაწ. ინსტ., Hd—8764.
[82] ცსსა, ფ. 1449, № 1811.
[83] ისტ. სბ. 4, გვ. 64.
[84] ხელნაწ. ინსტ. Qd—8939.
[85] იქვე, Hd—8443.
[86] ვახუშტი, საქართ. ცხოვრება გვ. 20.
[87] ვახუშტი, საქართ. ცხოვრება, გვ. 92.
[88] ხელნაწ. ინსტ. Hd—13130.
[89] იქვე, Ad—349.
[90] ცსსა, ფ. 1449, № 1801.
[91] დოკუმენტები საქართვ. სოც. ისტორიიდან ნ. ბერძენიშვილის გამოც., I, გვ. 91.

ლის შვილი დომენტი (ც. ს. ს. ა. ფ. 1450 დ. 51. № 177). 1695 წ. ნაზარალიხანმა უწყალობა ასლანბეგს და მის შვილებს დომენტის, ლუარსაბ ბეგს, ბაზიერთუხუცეს ოთარს, ქაიხოსროს, მოლარეთუხუცეს მანუჩარს, მეჯინიბეთუხუცეს რევაზს სომხითის სოფ. ჭიმშური. (ც. ს. ს. ა. ფ. 1450 დ. 15. № 115). 1696 წ. ნადირამ მიჰყიდა მიწა[92], ამავე წელს მოწმეა მეფე ერეკლეს მიერ სეტიცხოველისათვის შეწირული ყმა-მამულისა[93]. 1697 წ. მოწმეა ქამარბეგაშვილის მიერ გივი თუმანიშვილისათვის მიცემული ნასოფლარის ნასყიდობის წიგნის[94]. 1701 წ. კი ევდემოს კათალიკოსთან აქვს დავა[95].

ამგვარად, თბილელ ეპისკოპოსთა რიგი მე-17 ს-ში შემდეგნაირად გამოიყურება:

ნიკოლოზ ბარათაშვილი — 1619 წ.

ელისე საგინაშვილი — 1628—1659 წწ. (1628, 1634, 1635, 1638, 1639, 1640, 1643, 1647, 1649, 1650, 1656, 1657, 1658, 1659).

იოსებ საკაძე — 1661—1688 წწ. (1661, 1662, 1664, 1665, 1666, 1669, 1670, 1671, 1673, 1676, 1678, 1679, 1680, 1681, 1682, 1683, 1685, 1688).

დომენტი ყაფლანიშვილი — 1690 წ.

ონოფრე — 1693 წ.

დომენტი ორბელიშვილი — 1695—1701 (1695, 1696, 1697, 1701) წწ.

ნინოწმინდელი

1631 წ. ნინოწმინდელ ეპისკოპოსად გვხვდება ზაქარია მაყაშვილი, რომელიც, ქრისტეფორე კათალიკოსთან ერთად, არიგებს თვალელთა და ნინოწმინდელთა სამამულო დავას[96]. 1654 წ. მას იოთამ თარხანმა და მისმა შვილებმა მიჰყიდეს ყმა-მამული[97].

1655 წ. ეპისკოპოსად არის როსებ მაყაშვილი, იგი მოწმეა ბახუტა თულაშვილის მიერ პაპუნა იასონიშვილისათვის მიცემული თავდასხნილობის წიგნისა[98].

1671 წ. ნინოწმინდელად ნიკოლოზ ენდრონიკაშვილია. „ქ. ნებითა და შეწევნითა ღ~თისათა ჴელ ვყავ განახლებად ენდრონიკაშვილმა ნინოწმინდელმა ნიკოლოზ და განვახლე გარეთ აგურითა დავახატვინე კანკელი და შევამკევ ს~დ... მისისა შესავდრელო წმიდაო ნინო, შეიწირე მცირე ესე ნაწრომი და ნაცულად მაგე დღესა მას დიდსა განკითხვისასა, ამ~ნ. ქ~კს ტნთ“[99]. იგი ნინოწმინდელადაა ავრეთვე 1673 წ. „ქ. შეწევნითა ღ~თა, მე, ფ~ც~რი ენდრონიკეშვილი ნიკოლოზ ნინოწმინდელი მოველ წ~ა ამას უდაბნოს და დავყავ დიდმარხვა ერთ. დავეგდრე სასოებით

---

92 ცსსა, ფ. 1451, დ. 1. წ. 2, № 284.

93 ქრონიკები, 11 515.

94 ხელნაწ. ინსტ. Hd-403.

95 П. Иоселиани, Описание древностей г. Тифлиса, Тифлис, 1866, стр. 217.

96 ცსსა, ფ. 1451, დ. 1, წ. 1, № 223.

97 ცსსა, ფ. 1450, დ. 43, № 105.

98 ცსსა, ფ. 1450, დ. 48, № 111.

99 თ. ბარნაველი, კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები, თბ., 1961, გვ. 121.

წ~ა დავითს, მეოხად ქრისტეს წინაშე, ამინ. ყამთა ჭემწიფის პატრონის არჩილ მეფისითა, ქ~ს ტ~ნია. ვინცავინ მობრძანდეთ აქა შენდობასა გვიბრძანებდეთ“[100].

1690 წ. წინოწმინდელად არის არსენი. სხვებთან ერთად მონაწილეობდა ონოფრე მაჭუტაძის დავით-გარეჯის წინამძღვრად დასმაში[101].

ამგვარად. წინოწმინდელთა რიგი ასე გამოიყურება:

ზაქარია მაყაშვილი—1651—1654 (1651, 1654) წწ.

მაყაშვილი როსებ—1655 წ.

ნიკოლოზ ენდრონიკაშვილი—1671—1673 (1671, 1673)წწ.

არსენი—1690 წ.

მანგლელი

მანგლელ ეპისკოპოსებიდან დოკუმენტებში პირველად გვხვდება 1615 წ. ქრისტეფორე, რომელმაც გაათარხნა მგელაძე და უწყალობა მას 8 დღის მიწა[102].

1618 წ. მანგლელად მოხსენიებულია ტატიშვილი ათანასე, რომელსაც მეფე სვიმონმა უწყალობა მამული[103]. 1619 წლის დოკუმენტში[104] აღნიშნულია, რომ (სვიმონმა) უბოძა მანგლელობა მამულით და სამრევლოთი[105]. ამის შემდეგ ტატიშვილი ათანასე გვხვდება 1639 წ. ამ წელს მას მიჰყიდეს მიწა ნასყიდა ხოსრუაშვილმა და მახანა ხუციშვილმა[106], 1646 წ. მარიამ დედოფალმა უწყალობა ყმა-მამული[107].

1652 წ. მანგლელად ნიკოლოზია, რომელიც გადაწყვეტილების წიგნს აძლევს როინ ჯავახიშვილს[108], ხოლო 1653 წ. მისი მოწმობით და შუამდგომლობით უსუფებეგ ასანბეგისშვილმა მიყიდა პაპუნა გოსტაშაბიშვილს ყმა-მამული[109].

1667 წ. მანგლელად არის ბარათაშვილი არსენ: ღმერთო, შეიწყალე ამისი ამშენებელი მანგლელ[ი] ეპისკოპოზი არსენ ოსტატი. თებერ[ვალსა] გ, ქრონიკონს[ა] ტნე“[110]. 1669 წ. მეფე შაჰნავაზმა შესწირა ყმა-მამული მანგლისის ღვთისმშობელს[111]. 1670 წელს არსენმა ამირაშვილებს უწყალობა მამული[112].

---

100 თ. ბარნაველი, კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები, თბ., 1961, გვ. 47.

101 ხელნაწ. ინსტ. Ad—349.

102 Пурцеладзе, Грузинские церковные гуджари, Тб., 1881, стр. 6

103 ხელნაწ. ინსტ. Hd—14422.

104 ცსსა, 1451, დ. 1. წ. 3, № 28.

105 ცსსა, ფ. 1450 დ. 15, № 28.

106 ხელნაწ. ინსტ. Hd—6170; Hd—3238.

107 იქვე, Hd-1548; ათანასეს მანგლელობის წლებით დათარიღდება დოკუმენტი (Hd—3240 ა), სადაც მოხსენებულია ათანასე, მანგლელი მთავარეპისკოპოსი.

108 Hd—8584.

109 Hd—10026 ბ.

110 თ. ბარნაველი, მანგლისის ტაძრის წარწერები, 1961 გვ. 15.

111 ცსსა, ფ. 1449, № 1825.

112 ქრონიკები, II, 486; ხელნაწ. ინსტ. Ad—634.

1672 წ. გვხვდება ჯავახიშვილი გაბრიელი, რომელმაც ძმებთან ერთად იყიდა ბასილ სულხანიშვილისაგან მამული წოდორეთს[113]. 1673 წ. იგი მოწმეა ჯანო ენდრონიკაშვილის მიერ კათალიკოს ღომენტისათვის მიცემული ყმა-მამულის ნასყიდობის წიგნისა[114].

1676 წ. მანგლელი ეპისკოპოსია ევდემოზ რატიშვილი — „ქსნის ერისთავის სახლის ძე“ (რომელიც პირველად იყო ურბნელი, მერე მანგლელი და შემდეგ მთავარეპისკოპოსი ქართლისა), დამწერი გიორგი მეფის მიერ მიცემული მამულის წყალობის წიგნისა[115]. 1678 წ. მეფე გიორგიმ შესწირა მას სოფ. მეორევანა[116], ამავე წელს ევდემოზი სხვებთან ერთად მონაწილეობდა ციციშვილების გაყრაში[117].

1682 წ. მანგლელი რატიშვილი ევდემოზი დამწერი და მოწმეა მეფე გიორგის მიერ მანგლისის ეკლესიისათვის მიცემული ყმა-მამულის შეწირულების წიგნისა[118]. 1683 წ. მოხსენიებულია, რომ მეფემ განუახლა მას შეწირულება[119].

1686 წ. მანგლელ ეპისკოპოსად გვხვდება ისევ გაბრიელ ჯავახიშვილი, რომელსაც ზურაბ შალიკაშვილმა მიჰყიდა ჭვიროსში მცხოვრები ნანიტაშვილი და ივანისშვილები[120]. ეპისკოპოსების ასეთი ცვლა კათედრაზე, ისე როგორც ამას ადგილი აქვს კათალიკოსების ცვლისა და მეფეების ტახტის მაძიებლობის შემთხვევაში, ხშირად დაკავშირებულია ფეოდალურ საქართველოში შინაკლასობრივ ბრძოლასთან. ცალკეული ფეოდალური დაჯგუფებების ბრძოლა ასახული იყო მეფეების, კათალიკოსებისა და ეპისკოპოსების ცვლაში.

1688 წ. გიორგი მეფემ შესწირა მანგლისის ეკლესიას ყმა-მამული[121]. 1689 წ. ნაზარალიხანმა გაუთარხნა მანგლისი, მეორევანა და სხვა მამულები[122].

---

113 ხელნაწ. ინსტ. Ad-967; ამავე წელსვე უნდა იყოს დაწერილი დოკუმენტი Hd-2629 (მიწის ნასყიდობის წიგნი მიცემული სვიმონ სულხანიშვილის მიერ მანგლელ გაბრიელ ჯავახიშვილისათვის), რომელსაც თარიღად უზის „ტნიდ“. „დ“ სხვა მელნითაა ჩამატებული. ტნიდ-ს, ე. ი. 1680 წელს მანგლელად გაბრიელ ჯავახიშვილი არ გვხვდება. გარდა ამისა, საბუთის შინაარსის მიხედვითაც ცხადია, რომ „დ“ ჩამატებულია და საქმე ეხება 1672 წელს (დოკუმენტი 1680 წლის თარიღითაა შეცდომით შესული „სოციალურ დოკუმენტებში“, ტ. 1, გვ. 64.).

114 1662 წლითაა დათარიღებული (ქრ-ის 11 წიგნში, გვ. 480.) ფრაგმენტი დოკუმენტიდან, რომლიდანაც ირკვევა, რომ გაბრიელ ჯავახიშვილი ეპისკოპოსად კათალიკოს დომენტის უკურთხებია, რის გამოც იგი აძლევს პირობას ერთგულებისა და მორჩილების შესახებ. ცნობა გაბრიელის მანგლელობის შესახებ 1672 წელზე ადრე სხვა დოკუმენტებიდან არ დასტურდება. საფიქრებელია, რომ ეს თარიღი შეცდომითაა მოცემული (ამ პერიოდში ბართათშვილი არსენი ჩანს 1669, 70), მაგრამ, საინტერესოა ფაქტი, საიდანაც ირკვევა, რომ დომენტის უკურთხებია იგი ეპისკოპოსად).

115 ხელნაწ. ინსტ, Hd—1706.

116 ისტ. სბ. 4, გვ. 64.

117 ცსსა, ფ. 1450, დ. 14, № 62.

118 ცსსა, ფ. 1449, № 1824.

119 ცსსა, ფ. 1448, № 2336; ევდემოზის მანგლელობის წლებით დათარიღდება რამდენიმე დაუთარიღებელი დოკუმენტი, რომლებშიც მანგლელად ევდემოზია მოხსენიებული; ხელნაწერთა ინსტიტუტის Ad—261; Hd—9246 და ცენტრალური არქივის ფ. 1449, № 1930.

120 ხელნაწ. ინსტ. Hd—7229.

121 ცსსა, ფ. 1449, № 1826.

122 ცსსა, ფ. 1448, № 1177.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1691 წ. გაბრიელმა უწყალობა მიწა დიმიტრი დეკანოზსა და მის შვილს[123]; 1692 წ. განუახლა სითარხნე [გეგეზას]შვილ შოშიტას, მოძღვარ გაბრიელს და მათ შვილებს[124], ამავე წელს იყიდა მიწა თავის ბიძაშვილების ფარსადან, გოშფარ და მანუჩარისაგან[125]. 1694 წ. დედოფალმა ხვარაშანძა შესწირა ყმა-მამული[126], ამავე წელს გაბრიელმა გაუცვალა ვენახი ფარემუზსა და მის შვილებს[127]. 1696 წელს გაარიგა სამამულო დავა გოგიბედაშვილსა და ზურაბ და შერმაზან ჯავახიშვილებს შორის[128]. 1699 წ. იოანე კათალიკოსი ალძევს მას სამწყსოდ ყმა-მამულს[129]. მაშასადამე, გაბრიელი გვხვდება 1672, 1573, 1686, 1688, 1689, 1691, 1692, 1694, 1696, 1699 წწ.

1699 წ. მანგლელად არის გოსტა შაბისშვილი ნიკოლოზ, რომელსაც ზაზა საგინაშვილმა მიჰყიდა ყმა-მამული[130]. 1702 წ. ფარემუზმა შესწირა ყმა[131]...

ამგვარად, მანგლელთა სია ასე გამოიყურება:

ქრისტეფორე — 1615 წ.

ათანასე ტატიშვილი — 1618—1646 (1618, 1619, 1639, 1646)წწ.

ნიკოლოზი — 1652—1653 წწ.

არსენ ბარათაშვილი — 1667—1670 (1667, 1669, 1670)წწ.

გაბრიელ ჯავახიშვილი — 1672—1673 წწ.

ევდემოზ რატიშვილი — 1676—1683 (1676, 1678, 1682, 1683)წწ.

გაბრიელ ჯავახიშვილი — 1686—1699 (1686, 1688, 1639, 1691, 1692, 1694, 1695, 1699)წწ.

ნიკოლოზ გოსტაშაბისშვილი — 1699 წ.

რუსთველი

რუსთველ ეპისკოპოსთაგან პირველად გვხვდება 1626 წ. მაყაშვილი — იგი მოწმეა გიორგი ტაირიშვილის მიერ კათალიკოს ზაქარიასათვის მიცემული ყმა-მამულის წყალობის წიგნისა[132].

1651 წ. რუსთველად არის ზაქარია, მას როსტომ მეფე აძლევს სითარხნის წიგნს[133].

შემდეგი ეპისკოპოსია მათეოზი, რომელიც გვხვდება უთარიღო დოკუმენტში.

არჩილ მეფის ბრძანებით პირობას აძლევს იოსებ თბილელს, რომ სანამ

---

[123] ცსსა, ფ. 1451, დ. 1, წ. 3, № 37.

[124] ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad—173.

[125] იქვე, Sd—569.

[126] Акты, I, стр. 24; ხელნაწ. ინსტ. Ad—1506 ბ; ცსსა, ფ. 1448, № 69.

[127] ხელნაწ. ინსტ, Hd—14083.

[128] იქვე, Hd—8265; Hd—6021.

[129] ქრონიკები, II, 518, ხელნაწ. ინსტ. Ad—647, ცსსა ფ. 1451, დ. 1, წ. 3, № 29, გაბრიელის მანგლელობის წლებით დათარიღდება რიგი დაუთარიღებელი დოკუმენტებისა, სადაც მანგლელად გაბრიელია მოხსენებული: ხელნაწ. ინსტ. Hd,—9404, Hd—6270, Ad—1506ა., Ad—722.

[130] ხელნაწ. ინსტ., Hd—2250.

[131] ცსსა, ფ. 1451, დ. 1, წ. 3, № 24; ნიკოლოზ გოსტაშაბისშვილის მანგლელობის წლებით დათარიღდება დაუთარიღებელი დოკუმენტები: Hd—13690; Ad-219.

[132] ცსსა, ფ. 1449, № 1800.

[133] ხელნაწ. ინსტ. Ad—597.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოცხალი იქნება, ყოველ წელს სამ საპალნე ღვინოს მიართმევს მას[134]. იოსების თბილელობის წლები მოიცავს არჩილის მეფობის წლებს, ამიტომ საბუთი უნდა დათარიღდეს არჩილის მეფობის წლებით (1664/1675 წწ.).

ერთ უთარიღო დოკუმენტში მოხსენებულია რუსთაველად ნიკოლოზი, რომელიც აძლევს პირობის წიგნს მორჩილების შესახებ კათალიკოს დომენტის[135]. ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულია დოკუმენტი Hd—13409. მეორე დოკუმენტი წარმოადგენს პირობის წიგნს ერთგულების შესახებ, მიცემულს გივი ამილახორის და მისი ძმის—რუსთველ ნიკოლოზის მიერ ლევან ავალიშვილისა და მისი შვილებისთვის. ნიკოლოზი 1676 წლიდან ქართლის კათალიკოსი ხდება. კარბელაშვილი თავის წიგნში „იერარქია საქართველოს ეკლესიისა“ (თბილისი, 1904 წ.), ქართლის კათალიკოს ნიკოლოზ ამილახორის შესახებ აღნიშნავს, რომ იგი „წინათ იყო რუსთავის ეპისკოპოსად მარტყოფში“-ო (გვ. 127).

1690 წ. ონოფრე მაჭუტაძის დავით-გარეჯის წინამძღვრად დასმაში სხვებთან ერთად მონაწილეობდა ნიკოლოზ რუსთველი[136]. 1694 წ. ნიკოლოზ ჩოლაყაშვილმა ნაზარალიხანთან, კათალიკოს იოანესთან, ამბალავერდელ ნიკოლოზთან და სხვებთან ერთად განუჩინა სასისხლო სამართალი ბოქაულთუხუცეს გურამიშვილ გურამს, ქაიხოსროს, მანუჩარს, დურმიშხანს და მათ განაყოფ გივი და ფარემუზს შორის. შესაძლოა, ეს ორივე ნიკოლოზი ერთი და იგივე პირი იყოს (ც. ს. ს. ა. ფ. 1448, № 64).

1697 წ. რუსთველი ეპისკოპოსია ზაქარია ენდრონიკაშვილი. ქაზიყის მოურავის შვილი, რომელმაც უწყალობა ყმა-მამული ჯაბან მაჭუტაძეს[137].

ამგვარად, რუსთველ ეპისკოპოსთა რიგი ასე გამოიყურება:

მაყაშვილი 1626 წ.
ზაქარია 1651 წ.
მათეოზ [1664/1675] წ.
ნიკოლოზ [ამილახორი] 1676 წლამდე
ნიკოლოზ ჩოლაყაშვილი 1690—1694 წწ.
ზაქარია ენდრონიკაშვილი 1697 წ.

წალკელი

მხოლოდ ერთი დოკუმენტი გვხვდება მე-17 ს-ში წალკელის შესახებ. ეს არის ქრისტეფორე — 1678 წ. დამწერი და მოწმეა გიორგი საყაძის (მოურავის შვილიშვილის) მიერ პაპუნა თუხარელისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნის[138].

---

[134] ხელნაწ. ინსტ., Ad—39.
[135] ცსსა, ფ. 1451, დ. 1 წ. 1, № 261.
[136] ხელნაწ. ინსტ. Ad—349.
[137] ცსსა. ფ. 1449, № 170.
[138] ხელნაწ. ინსტ. Sd—63.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ურბნელ ეპისკოპოსთაგან პირველად გვხვდება ზაქარია ბარათაშვილი. 1655 წ. VIII. 7-ს როსტომ მეფემ უბოძა ოქონის ღვთისმშობლის საწინამძღვრო და „უკლებრივ, რაც ქრისტეფორეს ჰქონებოდეს“[139].

1666 წ. ურბნელად ევდემოზ რატიშვილია; ქსნის ერისთავის სახლის ძე, იგი მოწმეა შანშე სეფიდავლისშვილის მიერ ბოქაულთუხუცეს ქაიხოსროსთვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნის[140]. 1669 წ. კი მოწმეა დურმიშხან ბარათაშვილის მიერ დომენტი კათალიკოსისთვის მიცემული ყმების ნასყიდობის წიგნისა[141]. ამავე წელს ამტკიცებს ბატონიშვილ გიორგის და მისი ძმის ლეონის მიერ ურბნისის ტაძრისათვის მიცემულ ყმის შეწირულების წიგნს: „ჩვენ ქსნის ერისთავთ ერისთავის სახლისა ძმან ურბნელ ეპისკოპოზმან პატრონმან ევდემოზ ვიშოვე გლეხი ესე სიგლითა ამით დატმტკიცე წმიდას სტეფანეს“[142]. 1671 წ. მოწმეა დურმიშხან ბარათაშვილის მიერ დომენტი კათალიკოსისათვის მიყიდული ყმებისა[143], მისი ბრძანებით 1674 წ. გადაიწერა ყანჩაეთის გულანი[144].

1697 წლიდან ურბნელად იოსებ ჯავახიშვილია. მეფე ერეკლემ და ქართლის კათალიკოსმა იოანე დისამიძემ შესწირეს მას ყმა-მამული[145], 1698 წ. ერეკლე მეფემ კვლავ შესწირა ყმა-მამული (ც. ს. ს. ა. ფ. 1449, № 1846). 1700 წ. VIII. 27-ს იოსებ ჯავახიშვილი ათარხნებს რევაზ ჟორჟოლაძეს და მის შვილებს[146].

ამგვარად, ურბნელ ეპისკოპოსთა რიგი შემდეგნაირად გამოიყურება.

ბარათაშვილი ზაქარია 1655 წ.

ევდემოზ რატიშვილი — 1666—1674 (1666, 1669, 1671, 1674) წწ.

ჯავახიშვილი იოსებ 1697—1700 (1697, 1698, 1700) წწ.

წილკნელი

წილკნელ ეპისკოპოსებზე 1648 წლამდე ცნობები არ მოგვეპოვება. 1648 წ. როსტომმა და მარიამ დედოფალმა შესწირეს წილკნური გამოსაღები სათათრო საური თავიანთი სულის მოსახსენებლად. ამ შეწირულების წიგნში მოხსენიებულია რომანოზი „...წილკნელ მკ-სო რომანოზ მოგვიხსენებდეთ...“[147]. 1669 წ. რომანოზი მოხსენიებულია წილკნელის პატივის, სარგოსა და ჯარიმების ნუსხის წიგნში[148]. ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ ხელნაწერ A—1153 (ჟამნი წილკნის, № 3) მინაწერში (თ. ყორდანიას ხელით, 252r) აღნიშნულია: „როგორც ეტყობა, ეს ჟამნი წილკნისა ყოფილა. ქრონიკები უნდა

---

139 ხელნაწ. ინსტ. Ad—602.

140 ცსსა, ფ. 1448, № 4150.

141 ისტ. სამ. 4, გვ. 47.

142 ქრონიკები, II, 485; ცსსა, ფ. 1448, № 10010.

143 ისტ. სამ. 4, გვ. 50—51;

144 Ш. Амиранашвили, История Грузинского искусства, М, 1963, стр. 312.

145 ცსსა, ფ. 1448, № 9999, ფ. 1449, № 1845.

146 დოკ. საქ. სოც. ისტ., 1, № 152.

147 ქრონიკები, 11, გვ. 474.

148 ხელნაწ. ინსტ. Ad—526.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყოს ნაწერი თვით წილკნელებისა: 1665 წლამდე რომანოზისა, 1688 წლამდე ქრისტეფორესი; 1700 წლამდე — იოვანესი".

პირობით შეიძლება ამ მინაწერზე დაყრდნობით მივიჩნიოთ 1688 წლამდე ქ რ ი ს ტ ე ფ ო რ ე, ხოლო 1700 წლამდე ი ო ვ ა ნ ე.

1698 წ. წილკნელია დ ო მ ე ნ ტ ი გ ი ლ დ ა შ ვ ი ლ ი, რომელსაც ზევდგინ ზევდგისშვილმა მიჰყიდა ყმა-მამული[149].

წილკნელ ეპისკოპოსთა რიგი შემდეგ სახეს იღებს:

რ ო მ ა ნ ო ზ 1648, 1669 წ.

[ქ რ ი ს ტ ე ფ ო რ ე 1688 წლამდე].

გ ი ლ დ ა შ ვ ი ლ ი დ ო მ ე ნ ტ ი 1698 წ.

[ი ო ვ ა ნ ე, 1700 წლამდე].

მროველი

მროველ ეპისკოპოსად მე-17 ს-ში გვხვდება ა ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი დ ო მ ე ნ ტ ი. ივი მოხსენიებულია ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ დაუთარიღებელ დოკუმენტში Hd-1851 (რაობა: პირობისა და ფიცის წიგნის ერთგულების შესახებ. მიცემული დომენტი ავალიშვილის მიერ მოურავ გიორგის და მისი შვილებისათვის). დომენტი მოხსენიებულია აგრეთვე ბერი ეგნატაშვილის თხზულებაში ლუარსაბ მეფესთან და მოურავ გიორგისთან ერთად, 1608/9 წელს[150].

სხვა დოკუმენტური მასალების უქონლობის გამო დომენტის ეპისკოპოსობის წლებს ვერ განვსაზღვრავთ. ჩანს მხოლოდ, რომ ის ეპისკოპოსად იყო 1608/9 წელს.

1680 წ. მროველად არის ფ ი ლ ი პ ე თ ა ქ თ ა ი ს ძ ე, რომელმაც უწყალობა მამაცაშვილს რობამს და მის შვილებს დავითს, პარუას, იესეს, შიოშს და გიორგის ზემო ქართლის მოურაობა[151]. 1686 წ. მოწმეა შეწირულების წიგნისა[152]. 1699 წ. მეფე ერეკლეს ბრძანებით გაარიგა დავა თუმანიშვილებსა და ჯავახიშვილებს შორის [153] (ქრონიკების II წ. გვ. 445 გამოქვეყნებულია თირის მონასტრის საამშენებლო წარწერა ფილიპე მროველისა, დათარიღებული 1622 წლით. თარიღი აქ, ცხადია, მცდარია).

ამგვარად, მროველ ეპისკოპოსებად გვხვდებიან:

დ ო მ ე ნ ტ ი ა ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი [1608/9] წ.

ფ ი ლ ი პ ე თ ა ქ თ ა ი ს ძ ე 1680—1699 (1680, 1686, 1699) წწ.

ნეკრესელი

ნეკრესელ ეპისკოპოსთაგან მე-17 ს-ის დოკუმენტებში შეგვხვდა მხოლოდ ერთი ეპისკოპოსი — რ ო მ ა ნ ო ზ ი. 1613 წ. ივი მოწმეა მოსეს მიერ კათალიკოს იოვანესთვის მიცემული პირობის წიგნისა[154].

---

[149] ცსსა, ფ. 1449, № 116.

[150] ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამ. II, თბ., 1959, გვ. 385.

[151] ცსსა, ფ. 1450, დ. 48, № 30; ფ. 1450, დ. 48 № 22.

[152] ქრონიკები, II, 504.

[153] ხელნაწ. ინსტ. Hd—9343.

[154] ისტ. სახ., 4, გვ. 9. ქრონიკები II, გვ. 440.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამთავნელი

სამთავნელ ეპისკოპოსად გვხვდება მ ე ლ ი ტ ო ნ ი. მან გივი ამილახორის მითითებით აღადგინა სამთავისის ეკლესიის მხატვრობა[155]. გივი ამილახორი დოკუმენტებში გვხვდება 1638—1692 წწ. სხვა დოკუმენტებში მელიტონი არ შეგვხვედრია. პირობით მელიტონის სამთავნელობა შეიძლება შემოიფარგლოს გივი ამილახორის წლებით.

1699 წ. სამთავნელად არის კ ვ ი პ რ ი ა ნ ე, ამ წლის ერთ-ერთ დოკუმენტში ის მოხსენებულია როგორც მოწმე თექთუმან თექთუმანიძის მიერ ზაალ ქარუმიძისათვის მიცემული ყმა-მამულის ნასყიდობის წიგნისა[156].

ამგვარად, სამთავნელთა რიცხვი ჩვენი დოკუმენტების მიხედვით განისაზღვრება ორი ეპისკოპოსით:

მ ე ლ ი ტ ო ნ ი [1638—1692] წწ.
კ ვ ი პ რ ი ა ნ ე 1699 წ.

ნიკოზელი

ნიკოზის საეპისკოპოსოში შემდეგი სურათია: 1614 წ. ეპისკოპოსი ნ ი კ ო ლ ო ზ ი მოწმეა შ ა ჰ ნ ა ვ ა ზ მეფის მიერ პაპუა, ხოსია, თამაზა და სეხნია ტატიშვილებისათვის მიცემული გაყრის წიგნისა[157].

1626 წ. ნიკოზლად არის ზ ე ბ ე დ ე, რომელსაც კაცია დიასამიძემ მიჰყიდა მამული[158]. 1646 წ. ქართლის კათალიკოსმა ზაქარიამ უწყალობა მას ყმა-მამული[159].

1666 წ. ნიკოზლად არის ფ ა ვ ნ ე ლ ი შ ვ ი ლ ი ნ ი კ ო ლ ო ზ, რომელმაც თავის ძმა ფავნელიშვილ პაპუნასთან და ძმისწულებთან ერთად მისცა პირობა უდაობის შესახებ ბაადურ მაჩაბელს, მის შვილებს და ძმისწულებს[160].

ამგვარად, ნიკოზელ ეპისკოპოსებად იყვნენ:

ნ ი კ ო ლ ო ზ 1614 წ.
ზ ე ბ ე დ ე 1626—1646 (1626, 1646) წწ.
ნ ი კ ო ლ ო ზ ფ ა ვ ნ ე ლ ი შ ვ ი ლ ი 1666 წ.

ბოლნელი

1645 წ. ბოლნელად იოსებ რ ე ვ ი შ ვ ი ლ ი ა. ამ წლის ერთ-ერთი დოკუმენტის ცნობით, მან უწყალობა მიწა პაპია შანშიაშვილს[161]. 1652 წ. აძლევს პირობას მამულზე უდაობის შესახებ შანშიაშვილ პაპას და მის შვილ ზალს[162]. 1666 წ. მონაწილეობს პაპუნა ფაველენიშვილისა და ბაინდურ მაჩაბლის დავის

---

155 Ш. Амиранашвили, История Грузинского искусства, М. 1963, стр. 307.
156 ხელნაწ. ინსტ. Hd—1553.
157 იქვე, Sd—607.
158 ცსსა, ფ. 1450, დ. 33, № 355.
159 იქვე, 1449, № 1778.
160 ხელნაწ. ინსტ. Qd—8710.
161 ცსსა, ფ. 1450, დ. 6 № 27.
162 ცსსა, ფ. 1450, დ. 10 № 38.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარიგებაში[163], 1670 წ. შაჰნავაზის ბრძანებით კათალიკოს დომენტისთან, გივი ამილახორთან, ბატონიშვილ ამთათანთან, სახლთუხუცეს ზაზასთან, თბილელ იოსებთან, მთავარეპისკოპოს ნიკოლოზ ჩხეიძესთან და სხვებთან ერთად გაარიგა ბარათაშვილებისა და პაპუნა ვირშელიშვილს შორის სამამულო დავა[164]. ამავე წელს გაუცვალა მიწა დოლმაზა და ელიზბარ შაწიაშვილებს[165]. 1677 წ. ხურდაყულაშვილები აძლევენ მას მამულზე უდაობის პირობას[166]. ამავე წელს მოწმეა ზაქუმ ალიაყულაშვილის მიერ ვახტანგ [ორბელიშვილისათვის] მიცემული ზვრის ნასყიდობის წიგნისა[167].

1683 წლიდან ბოლნელად გვხვდება ნიკოლოზ მუხრან-ბატონ ბაგრატის ძე, რომელსაც ყმა შეუწირავს მცხეთის ეკლესიისათვის[168]. 1685 წ. ნიკოლოზ მუხრან-ბატონისშვილი ბოლნელი აძლევს დოლმაზა შანშიაშვილს მიწაზე ღალის ამოკვეთის წიგნს[169]. 1687 წ. მოწმეა ელიასაშვილის მიერ იასაულ ბაინდურასათვის მიყიდული მიწისა[170].

1689 წ. ბოლნელად არის რევიშვილი[171]. ნაზარალიხანმა მას და მის სახლის კაცს ჩამოართვა ნავროზაული მამული, რომელიც მათ ნატყუარად ეჭირათ და უბოძა ქაიხოსრო ბარათაშვილს.

1693 წ. ბოლნელი იოვანე[172] (გაარიგა ზურაბაშვილები და შაწიაშვილები). საფიქრებელია, რომ რევიშვილი და იოვანე ერთი და იგივე პირია, რადგან გვაქვს კიდევ ერთი დოკუმენტი, უფრო გვიანდელი პერიოდისა, სახელდობრ, 1699 წლის ალუაშვილებისა და დოლმაზაშვილების ვენახის გაცვლილობის წიგნი (Hd—10257). რომელსაც ამტკიცებს მაქსიმე ბოლნელი და ბოლნელი რევიშვილი იოვანე. მაქსიმე ბოლნელად გვხვდება 1696—1699 წწ. ამგვარად, იგი სპეთის თანადროული გამოდის, ხოლო რევიშვილი იოვანე კი ამტკიცებს მას, ე. ი. უფრო გვიან. ამგვარად, 1689—1893 წწ. ბოლნელად უნდა ყოფილიყო რევიშვილი იოვანე, რომელიც 1699 წლის შემდგომ კვლავ გვხვდება ბოლნელად.

1696, 1697, 1698, 1699 წწ. ბოლნელია მაქსიმე მაჭუტაძე. 1696 წ. იგი მოწმეა ერეკლე მეფის მიერ სეტიცხოველისათვის მიცემული ყმა-მამულის შეწირულების წიგნისა[173]. 1697 წ. მოწმეა შერმაზან ხურდაყულაშვილის მიერ პაპუა ორბელიშვილისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა[174]. 1698 წ. მოწმეა ვენახის გაცვლილობის წიგნისა[175]. 1699 წ. ამტკიცებს ასლუა-

---

163 დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, 11, ს. კაკაბაძის გამ., ტფ., 1921 წ. 172.

164 ცსსა, ფ. 1450, დ. 22, № 30; ქრონიკები, 11, 487, ხელნაწ. ინსტ., Sd-534.

165 ხელნაწ. ინსტ., Hd—5242; Hd—10249.

166 ცსსა, ფ. 1449, № 1805;

167 ხელნაწ. ინსტ. Sd—537.

168 ცსსა, ფ. 1449, № 1205.

169 ხელნაწ. ინსტ. Hd—14173.

170 ცსსა, ფ. 1450, დ. 6, № 13.

171 ცსსა, ფ. 1450, დ. 12, № 98.

172 ხელნაწ. ინსტ. Hd—6604.

173 ქრონიკები, II, 515; ყარბელაშვილი, იერარქია საქ. ეკლესიისა, 1900, თბ., გვ. 130. შენ. 1.

174 ცსსა, ფ. 1450, დ. 20, № 28.

175 ხელნაწ. ინსტ. Sd—764.

შვილების მიერ დოლმაზაშვილებისათვის მიცემული ვენახის გაცვლის წიგნს[176].

ამგვარად, ბოლნელებად იყვნენ:

რევიშვილი იოსები — 1646—1677 (1645, 1652, 1666, 1670, 1677) წწ.

ნიკოლოზი, ბაგრატ მუხრან ბატონის ძე — 1683—1687 (1683, 1685, 1687) წწ.

რევიშვილი იოვანე — 1689—1693 (1689, 1693) წწ.

მაქსიმე მაჭუტაძე — 1696—1699 (1696, 1697, 1698, 1699) წწ.

რევიშვილი იოვანე — [1699წ. შემდეგ].

ხარჭაშნელი

1650 წ. ზაალ ერისთავის მიერ ალავერდისათვის მიცემულ ყმების შეწირულების წიგნში მოხსენიებულია ხარჭაშნელი მათეოზი[177]. ამის შემდეგ, 1693 წლამდე ხარჭაშნელის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება. 1693 წ. გრიგოლ ხარჭაშნელმა გიორგი ერისთავთან, ონოფრე თბილელთან, გიორგი ერისთავის ბიძა დავითთან, ბოქაულთუხუცეს ზურაბთან, თეიმურაზთან, ავთანდილთან, ვამეყთან ერთად უწყალობა ყმა-მამული დუშეთს ელისაბარ კობაიშვილს[178]. 1698 წ. ახლო ხანებში უპოვნია დაკარგული ქამ-გულანი ყანჩაეთისა, რის გამოც მთავარეპისკოპოსი ევდემოზი პირდება მას აწირვინოს ყამი მისთვის „გრიგოლის მამას, პაპას, მის მეუღლეს დარჯანს, მათ შვილთა ზურაბს და ვამეყს და გრიგოლს ხარჭაშნელს მოიხსენებდეს, თუ ეს დაიკლნენ სასუფეველსაც დაიკლებიან...“[179].

ამრიგად, ხარჭაშნის საეპისკოპოსოში XVII ს-ში გვხვდება:

მათეოზი — 1650 წ.

გრიგოლ ერისთავი — 1693 — [1698] (1693, 1698) წწ.

დმანელი

მე-17 ს. დოკუმენტებში დმანელ ეპისკოპოსად — 1665 წ. გვხვდება ბარათაშვილი ქრისტეფორე. მანამდე დმანელი ყოფილა იოსებ

---

176 იქვე, Hd—10257; მაქსიმე ბოლნელის ეპისკოპოსობის წლები საშუალებას გვაძლევს დავთარიღოთ ცენტრ. არქივის დაუთარიღებელი საბუთი (ფ. 1449, № 1867), რომელშიც მოხსენიებულნი არიან მაქსიმე ბოლნელი, თბილელი დმანელი და წინამძღვარი ონოფრე. ონოფრე წინამძღვრად დაჯდა 1690 წ. დმანელი გვხვდება 1690 წ. (ყაფლანიშვილი), 1695—1701 წწ. (ორბელიშვილი) რადგან მაქსიმე გვხვდება 1696 წლიდან, დოკუმენტიც დათარიღდება არა უადრეს 1696 წლისა.

177 ისტ. სახ., 4. გვ. 32—33.

178 ცსსა, ფ. 1448. № 5701

179 ხელნაწერ. ინსტ. H—1452 (ანდერძი ბ, V 339); ქრონიკები, II, გვ. 517. ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულია უთარიღო დოკუმენტი Ad—67, ეშიკაღასბაში ზურაბი სთხოვს კათალიკოს დომენტის გაუჩინოს საწირავი მის გარდაცვლილ ძმას მთავარეპისკოპოს გრიგოლს. გრიგოლი კი 1698 წელს ცოცხალი ჩანს. აქ მოხსენებული კათალიკოსი დომენტი, ეჭვს გარეშეა, უნდა იყოს დომენტი IV, ლეონ ბატონიშვილის ძე (1704—1742). ამის გამო დოკუმენტში Ad—67 უნდა დათარიღდეს არა უადრეს დომენტის კათალიკოსობის წლებისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკაძე, რომელიც შემდეგ 1661 წლიდან თბილელი ეპისკოპოსი[180] 1665 წ. ქრისტეფორე ბარათაშვილს, მის ძმებს: სეხნიას, ბეჟანს და შვილებს პაპუას და ავთანდილს ყარაბუდახმა მიჰყიდა ვენახი[181].

1673 წ. დმანელია ფილიპე მართაშვილი, რომელიც მოწმეა ბეჟან გამცემრისშვილის მიერ დომენტი კათალიკოსისათვის მიცემული პირობის წიგნისა[182].

1698 წ. დმანელად მოხსენიებულია ელისე. ზურაბ ყარჩიხაშვილს ემართა დმანისის ღვთისმშობლის ეკლესიის ვალი, აღებული დმანელ ქრისტეფორე ბეგაშვილისაგან. იგი ვალში ნასყიდად აძლევს ელისეს ყმას. ამ დოკუმენტიდან ირკვევა, რომ დმანელ ეპისკოპოსად 1698 წლამდე ყოფილა ბეგაშვილი ქრისტეფორე[183].

მე-17 ს-ის დმანელ ეპისკოპოსთა რიგი ასეთია:

იოსებ საკაძე — 1661 წლამდე.
ქრისტეფორე ბარათაშვილი — 1665 წ.
ფილიპე მართაშვილი — 1673 წ.
ქრისტეფორე ბეგაშვილი — 1698 წლამდე.
ელისე — 1698 წ.

ჰერემელი

ჰერემელ ეპისკოპოსებში 1636 წ. დოკუმენტში გვხვდება არსენი[184]. მას, მოურავ პაპუას და სახლის უხუცეს იესეს მეფე თეიმურაზმა უწყალობა მამული.

1654 ჰერემელად არის ეპიფანე რუსიშვილი, მოწმე და დამწერი ჰავჰავაძეებისა და ვაჩნაძეების სამამულო დავის გარიგების წიგნისა[185]. აგრეთვე კისისხეველთა და ხოდაშნელთა მამულის დავის გარიგების წიგნის[186].

ჰერემელ ეპისკოპოსად გვხვდება აგრეთვე ანტონი ერთ უთარიღო დოკუმენტში[187], სადაც ანტონი პირობას აძლევს ქართლის კათალიკოს-პატრიარქს ნიკოლაოსს, რომ სანამ მისგან მობარებული სამწყსო: ანდრონიკეშვილი, ჯორჯაძე, ჰავჰავაძე და აგრეთვე აზნაურისშვილები კათალიკოზის წესსა და საწირავს არ შეასრულებენ, მანამდე მათ არც ჟამს უწირავს და არც საწირავს აიღებს მათგან. გვაქვს ამ საბუთის ანალოგიური დოკუმენტი (საბუთის შინაარსი და ჩამოთვლილი პირებიც იგივეა) მხოლოდ მასში ჰერემელ ანტონის ნაცვლად ჰერემელი ეგნატია მოხსენიებული (კლავ პირობის წიგნი, მიცემული კათალიკოს ნიკოლოზისთვის. შინაარსიც იგივეა)[188]. ეს საბუთიც უთარიღოა. როგორც ჩანს, კათალიკოს ნიკოლაოსის მომსწრე ყოფილა, როგორც ჰერემელი ანტონი, ისევე ეგნატეც. ანტონ ჰერემელი მოხსე-

---

180 П. Иоселиани, Описание древностей г. Тифлиса, 1866, стр. 180.
181 ხელნაწ. ინსტ. Sd—622.
182 დოკუმ. საქ. სოც. ისტ. 1. № 71.
183 ხელნაწ. ინსტ., Ad—1075.
184 ცსსა, ფ. 1448, № 621. აქ „ჰერემელი არსენ“ ჩამატებულია.
185 ისტ. საბ. 4, გვ. 34—35;
186 ხელნაწ. ინსტ. Hd—389.
187 ხელნაწ. ინსტ., Ad—1632.
188 ხელნაწ. ინსტ., Ad—1626.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიებულია აგრეთვე ერთ უთარიღო დოკუმენტში, სადაც იგი ფილიპე ამბა ალავერდელთან, ბოდბელ ეპისკოპოს ზაქარიასთან. ნინოწმინდელ მალაქიასთან, რუსთველ იოსებთან, ნეკრესელ ბასილთან, კაწარელ ეპისკოპოს ეგნატესთან, ხარჭაშნელ კლიმთან ერთად პირობას აძლევს კ ა თ ა ლ ი კ ო ს დ ო მ ე ნ ტ ი ს, რომ ვისაც იგი შერისხავს, ისინიც შერისხავენ და შეაჩვენებენ[189]. გამოდის, რომ ანტონი მომსწრე ყოფილა, როგორც კათალიკოს დომენტისა, ისე ნიკოლოზის. ამ დოკუმენტში მოხსენიებულ სხვა ეპისკოპოსთაგან XVII ს-ის დოკუმენტებიდან ჩვენ მიერ ამოკრებილ მასალებში არ შეგვხვედრია არც ერთი ეპისკოპოსი. გარდა ამისა, აქ მოხსენიებულია კ ა წ ა რ ე ლ ი ე პ ი ს კ ო პ ო ს ი ე გ ნ ა ტ ი. „განგება დარბაზობისას“ გვიანდელ რედაქციაში, XVIII ს-ის ერეკლეს დროინდელ ვარიანტში, კაწარელი ეპისკოპოსი აღარ გვხვდება. კაწარელი ეპისკოპოსი ამ სახელწოდებით არ შეგვხვედრია აგრეთვე XVIII ს-ის ისტორ. დოკუმენტებში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კაწარელს XVII ს-ში ეწოდება უკვე სამებელი. ამ ორი გარემოების გამო ეს დოკუმენტი დაწერილი უნდა იყოს უფრო ადრე, კერძოდ დომენტისა და ნიკოლოზის კათალიკოსობის მომიჯნავე წლებში (რადგან ანტონი მომსწრეა როგორც დომენტის, ისე ნიკოლოზის). ასეთი კათალიკოსები შეიძლება ყოფილიყვნენ დომენტი I (1557—1562 წწ.) და ნიკოლოზ IV ბარათაშვილი (1562—1584 წწ.)

ამგვარად, დოკუმენტი Ad-1892 (პირობის წიგნი ეპისკოპოსებისა კათალიკოს დომენტისადმი) უნდა დათარიღდეს დომენტი I წლებით — 1557—1562 წწ., დოკ. Ad-1632 (პირობის წიგნი ანტონ ჭერემელისა, მიცემული კათალიკოს ნიკოლოზისათვის), დათარიღდება ნიკოლოზ ბარათაშვილის წლებით — 1562—1584 წწ. ამავე წლებით დათარიღდება Ad-1626 (პირობის წიგნი, მიცემული ეგნატე ჭერემელის მიერ კათალიკოს ნიკოლოზისათვის).

XVII ს. ჭერემელთა რიგი:

ა რ ს ე ნ ი — 1636 წ.

ე პ ი ფ ა ნ ე რ უ ს ი შ ვ ი ლ ი — 1654 წ.

ბოდბელი

ბოდბელ ეპისკოპოსთაგან პირველად გვხვდება ე ვ დ ე მ ო ზ დ ი ა ს ა მ ი ძ ე. ეპიგრაფიკულ ძეგლში ვკითხულობთ:

„ჩვენ, დიასამიძემ, ბ ო დ ბ ე ლ მ ა ე ვ დ ე მ ო ზ მოვაჭედინეთ ნეკი ესე წმინდის სტეფანესი სულისა ჩვენისა სახსრად, დღეთა ჩვენთა სადღეგრძელოდ ქ̃კს ტე“[190]. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი ამ ქორონიკონს კითხულობს ტზ[191]. ტზ ქორონიკონს კითხულობს აგრეთვე თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა ც[192]. ასე, რომ 1617 ან 1619 წლებში ბოდბელად ყოფილა ევდემოზ დიასამიძე.

შემდეგ ბოდბელად მოხსენიებულია ა რ ს ე ნ ა ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი, ძე ავალიშვილ ზაქარიასი. იგი მოხსენიებულია მეფე თეიმურაზის მიერ ზაქარიასათვის მიცემულ პირობის წიგნში[193]. არსენი 1631 წელს წინამძღვრად ჩანს, ხო-

———————

189 ხელნაწ. ინსტ., Ad—1892.

190 თ. ბ ა რ ნ ა ვ ე ლ ი, „კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები“, 1961, გვ. 40.

191 П. Иоселиани. Путевые записки по Кахетии, 1846, стр. 139.

192 ქრონიკები, II, გვ. 442.

193 ხელნაწ. ინსტ. Hd—14687.

ლო შემდეგ, როსტომის დროს, 1651 წელს, ალავერდელად[194]. ამის გამო არსენის ბოდბელად გახდომა უნდა განისაზღვროს 1631/1650 წლით.

1669 წლამდე ბოდბელ ეპისკოპოსებზე ცნობები არ მოგვეპოვება. 1669 წ. არჩილ მეფე აძლევს პირობას მათეოზ ბოდბელს ღალაზე შეუცილებლობის შესახებ[195].

1673 წ. ბოდბელად ნიკოლოზ ციციშვილია. ამ წელს მან დაწერა შაამან მაღრაძის მიერ დომენტი კათალიკოსისათვის მიცემული ყმის შეწირულების წიგნი[196].

1690 წ. ეპისკოპოსია ევდემოზი, ის, ამ წლის დოკუმენტის ცნობით, რუსთაველ ნიკოლოზთან, ალავერდელ ნიკოლოზთან, სამებელ ნიკოლოზთან, ნინოწმინდელ არსენთან, თბილელ დომენტისთან, მთავარეპისკოპოს ქრისტედორესთან ერთად, მონაწილეობს ონოფრე მაჭუტაძის დავით გარეჯის წინამძღვრად დასმაში[197].

ამრიგად, მე-17 ს-ში ბოდბელი ეპისკოპოსები იყვნენ:

დიასამიძე ევდემოზ — 1617 ან 1619 წ.
ავალიშვილი არსენი — [1631/50] წ.
მათეოზ — 1669 წ.
ციციშვილი ნიკოლოზ — 1673 წ.
ევდემოზ — 1690 წ.

სამებელი

1642 წლამდე სამებელ ეპისკოპოსებზე არავითარი ცნობები არ მოგვეპოვება. 1642 წელს საბუთის ფრაგმენტში[198] მოხსენიებულია ზაქარია. ეს არის ერთადერთი დოკუმენტი, რომელიც გვაწვდის ცნობას მისი ეპისკოპოსობის შესახებ.

ერთ უთარიღო დოკუმენტში სამებელ ეპისკოპოსად მოხსენიებულია მაყაშვილი. მას დავა აქვს ლუარსაბთან. დავას არიგებენ ბატონიშვილი აშოთან და მდივანი გიორგი. მოხსენებული პირების საშუალებით დოკუმენტი თარიღდება 1670/1696 წლით[199].

1690 წ. სამებლად ნიკოლოზია, რომელიც კიდევ გვხვდება 1695, 1696, 1697 წლებში. შესაძლებელია ეს ნიკოლოზი იყოს წინა დოკუმენტში მოხსენებული მაყაშვილი, ვინაიდან მაყაშვილის სამებლობის წლები ხაწილობრივ მოიცავს ნიკოლოზის სამებლობის პერიოდს. 1690 წ. ნიკოლოზი სხვებთან ერთად მონაწილეობს ონოფრე მაჭუტაძის დავით-გარეჯის წინამძღვრად დასმაში[200]. 1696 წ. დაწერა ნიკოლოზ ამბა ალავერდელ, სახლთუხუცეს დურმიშხანის და სხვების მიერ წყმ. დავითისათვის მიცემული სითარხნის წიგნი[201]. 1697 წ. მისი დაკვეთით. გადაწერა „მცხეთური ქართლის

194 Акты, стр. 18—19.
195 ცსსა, ფ. 1448, № 1439.
196 ქრონიკები III. 448.
197 ხელნაწ. ინსტ. Ad—349.
198 ქრონიკები, 11, გვ. 455.
199 ხელნაწ. ინსტ., Ad—612.
200 ხელნაწ. ინსტ. Ad—349.
201 ცსსა, ფ. 1448, № 1469.

ცხოვრება“, რომელიც ამბა ალავერდელ ნიკოლოზ ჩოლაყაშვილის დურმიშხანისათვის მიურთმევია[202].

ამრიგად, XVII ს. სამებელ ეპისკოპოსთა რიგი შემდეგნაირად გამოიყურება:

ზაქარია 1642 წ.
მაყაშვილი [1670/1696] წ.
ნიკოლოზი 1690—1697 (1690, 1695, 1696, 1697)წწ.

XVII ს. აღმოსავლეთ საქართველოს ეპისკოპოსთა რიგი ქართლის მთავარეპისკოპოსი

იოვანე ავალიშვილი 1630 წ.
დომენტი 1649—1658 (1649, 1651, 1658)წწ.
ნიკოლოზ ჩხეიძე 1661—1671 (1661, 1662, 1663, 1664, 1670, 1671)წწ.
ქრისტეფორე 1690—1693 (1690, 1691, 1692, 1693)წწ.
ევდემოზ რატიშვილი 1697 წ.
ქრისტეფორე 1698 წ.

ალავერდელი

იოანე ავალისშვილი 1612 წ.
ზებედე 1639 წ.
არსენ ავალიშვილი [1639/48]—1651 წწ.
ნიკოლოზ ენდრონიკაშვილი 1685—1694 (1685, 1687, 1690, 1692, 1694) წწ.
ნიკოლოზ ჩოლაყაშვილი 1695—1700 (1695, 1696, 1700)წწ.

თბილელი

ნიკოლოზ ბარათაშვილი 1619 წ.
ელისე საგინაშვილი 1628—1659 (1628, 1634, 1635, 1638, 1639, 1640, 1643, 1647, 1649, 1650, 1656, 1657, 1658, 1659) წწ.
იოსებ საყაძე 1661—1688 (1661, 1662, 1664, 1665, 1666, 1669, 1670, 1671, 1673, 1676, 1678, 1679, 1680, 1681, 1682, 1683, 1685, 1688)წწ.

---

202 ა. კლიმიაშვილი, „ქართლის ცხოვრების“ ერთი ახალი ნუსხა 1697 წლისა. გვ. 372, სჭ. მეცნ. აკად. მოამბე. XXIV. № 3.1960. ნიკოლოზის სამებლობის წლებით შეიძლება დათარიღდეს დაუთარიღებელი საბუთი ცენტრარქივის ფ. 1449, №1835, რომელშიც ნიკოლოზ სამებელი და ალავერდელ ნიკოლოზ ჩოლაყაშვილია მოხსენიებული. დოკუმენტი დათარიღება არა უადრეს 1695 წ., რადგან ნიკოლოზ ჩოლაყაშვილი სწორედ ამ დროიდან გვხვდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დომენტი ყაფლანიშვილი 1690 წ.
ონოფრე 1693 წ.
დომენტი ორბელიშვილი 1695—1701 (1695, 1696, 1697, 1701)წწ.

ნინოწმინდელი

ზაქარია მაყაშვილი 1651—1654 (1651, 1654) წწ.
როსებ მაყაშვილი 1655 წ.
ნიკოლოზ ენდრონიკაშვილი 1671—1673 (1671, 1673) წწ.
არსენ 1690 წ.

მანგლელი

ქრისტეფორე 1615 წ.
ათანასე ტატიშვილი 1618—1646 (1618, 1619, 1639, 1646)წწ.
ნიკოლოზ 1652—1653 წწ.
არსენ ბარათაშვილი 1667—1670 (1667, 1669, 1670)წწ.
გაბრიელ ჯავახიშვილი 1672—1673 (1672—1673) წწ.
ევდემოზ რატიშვილი 1676—1683 (1676, 1678, 1682, 1683) წწ.
გაბრიელ ჯავახიშვილი 1686—1699 (1686, 1688, 1689, 1691, 1692, 1694, 1695, 1699)წწ.
ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი 1699—1702 (1699, 1702)წწ.

რუსთველი

მაყაშვილი 1626 წ.
ზაქარია 1651 წ.
მათეოზ [1664/1675] წ.
ნიკოლოზ [ამილახორი] 1676 წლამდე.
ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი 1690—1694 (1690, 1694) წწ.
ზაქარია ენდრონიკაშვილი 1697 წ.

წალკელი

ქრისტეფორე 1678 წ.

ურბნელი

ზაქარია ბარათაშვილი 1655 წ.
ევდემოზ რატიშვილი 1666—1674 (1666, 1669, 1671, 1674,)წწ.
იოსებ ჯავახიშვილი 1697—1700 (1697, 1698, 1700)წწ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წილკნელი

რომანოზ 1648—1669 (1648, 1669)წწ.
[ქრისტიფორი 1688 წლამდე].
დომენტი გილდაშვილი 1698 წ.
[იოვანე 1700 წლამდე].

მროველი

დომენტი ავალიშვილი [1608/1609] წწ.
ფილიპე თაქთაქისძე 1680—1699 (1680, 1686, 1699)წწ.

ნეკრესელი

რომანოზ 1613 წ.

სამთავნელი

მელიტონი [1638/1692] წწ.
კვიპრიანე 1699 წ.

ნიქოზელი

ნიკოლოზი 1614 წ.
ზებედე 1626—1646 (1626, 1646)წწ.
ნიკოლოზ ფავნელიშვილი 1666 წ.

ბოლნელი

იოსებ რევიშვილი 1645—1677 (1645, 1652, 1666, 1670. 1677) წწ.
ნიკოლოზი, ბაგრატ მუხრანბატონის ძე 1683—1687 (1683, 1685, 1687) წწ.
იოვანე რევიშვილი 1689—1693 (1689, 1693) წწ.
მაქსიმე მაჭუტაძე 1696—1699 (1699, 1697, 1698, 1699) წწ.
იოვანე რევიშვილი [1699 წლის შემდეგ].

ხარჭაშნელი

მათეოზი 1650 წ.
გრიგოლ ერისთავი 1693—[1698] (1693, 1693) წწ.

დმანელი

იოსებ სააკაძე 1661 წლამდე
ქრისტეფორე ბარათაშვილი 1665 წ.
ფილიპე მართაშვილი 1673 წ.

ქრისტეფორე ბეგაშვილი 1698 წლამდე
ელისე 1698 წ.

ჰერომელი

არსენ 1636 წ.
ეპიფანე რუსიშვილი 1654 წ.

ბოდბელი

ევდემოზ დიასამიძე 1617 ან 1619 წ.
არსენ ავალიშვილი [1631/1650] წ.
მათეოზ 1669 წ.
ნიკოლოზ ციციშვილი 1673 წ.
ევდემოზ 1690 წ.

სამებელი

ზაქარია 1642 წ.
მაყაშვილი [1670/1696]
ნიკოლოზი 1690—1697 (1690, 1695, 1696, 1697)წწ.

შემოკლებათა სია:

ქრონიკები I — ქრონიკები და სხვა მასალა საქ. ისტორიისა, თ. ჟორდანიას გამ. 1892.
ქრონიკები II — ქრონიკები და სხვა მასალა საქ. ისტორიისა, თ. ჟორდანიას გამ. 1897.
ისტ. სამ. II — ს. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, II, თბილისი, 1913.
ისტ. სამ. IV — ს. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, IV, თბილისი, 1913.
ვახუშტი, საქართ. ცხოვრება — საქართველოს ცხოვრება 1469—1800-მდე ბატონიშვილ ვახუშტის მიერ, II გამ. ზ. ჭიჭინაძის მიერ, თბილისი, 1913.
დოკ, საქ. სოც. ისტ. — დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1940.
ხელნაწ. ინსტ. — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი.
ცსსა — ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი.
Акты I — Акты собранные Кавказскою археологическою комиссиею. I, Тифлис, 1866.

Г. Н. ДЖАНДИЕРИ

К ВОПРОСУ ОБ ИСТОРИЧЕСКОЙ ХРОНОЛОГИИ ВОСТОЧНОЙ ГРУЗИИ XVII ВЕКА (ХРОНОЛОГИЧЕСКИЙ РЯД ЕПИСКОПОВ)

(Резюме)

В труде, на основе сообщений грузинских нарративных источников и исторических документов, установлен хронологический ряд епископов следующих епархий Восточной Грузии XVII века: Картли, Тбилиси, Ниноцминда, Манглиси, Рустави, Цалка, Урбниси, Цилкани, Руиси, Некреси, Самтависи, Никози, Болниси, Харчашени, Дманиси, Черемри, Бодбе, Самеба, Алаверди.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელიკო აბრამიშვილი

კირიონის პირადი საარქივო ფონდი

(მიმოხილვა)

კირიონის (გიორგი საძაგლიშვილის) პირადი არქივის ერთი ნაწილი დაცულია საქართველოს სახელმწიფო ცენტრალურ ისტორიულ არქივში, ხოლო მეორე — კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში.

სახელმწიფო ცენტრალურ ისტორიულ არქივში თავმოყრილია: კირიონის ავტობიოგრაფია, განცხადებები, ახსნა-განმარტებები და მიმართვები, ბრძანებები კირიონის სამსახურში დანიშვნისა თუ გათავისუფლების შესახებ, მის მიერ წარმოთქმული მისასალმებელი და გამოსამშვიდობებელი სიტყვები ერთი ეპარქიიდან მეორე ეპარქიაში გადასვლის შემთხვევაში და სხვა მრავალი ისეთი ხასიათის დოკუმენტი, რომელიც აზუსტებს და შუქს ჰფენს კირიონის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამა თუ იმ მხარეს. ცენტრალურ არქივშია დაცული აგრეთვე კირიონის თხზულებათა ავტოგრაფები. აქვეა ქართულ პერიოდიკაში გაბნეული სხვათა სტატიები და რეცენზიები კირიონის პიროვნებისა და მისი თხზულებების შესახებ. შედარებით მცირე რაოდენობითაა შემონახული აქ კირიონის ეპისტოლარული მემკვიდრეობა, მაშინ როდესაც ხელნაწერთა ინსტიტუტში უმეტესად სწორედ წერილებია თავმოყრილი.

ამჟამად ინსტიტუტში უკვე არსებობს კირიონის პირადი საარქივო ფონდის როგორც კატალოგი, ასევე მეცნიერული აღწერილობაც. საარქივო მასალა, რომელიც 1600 ერთეულს აღემატება, კატალოგსა და მეცნიერულ აღწერილობაში თემატურადაა წარმოდგენილი. I განყოფილებაში გაერთიანებულია ბიოგრაფიული და მოღვაწეობის ამსახველი დოკუმენტები, II-ში — მიწერ-მოწერა და III-ში — ე. წ. სხვადასხვა, რომელშიაც მოცემულია არა კირიონის, არამედ სხვა პირთა დოკუმენტები, რომლებიც კირიონის არქივში აღმოჩნდა. ასე მაგალითად, ამ განყოფილებაში შეხვდებით აკაკი წერეთლისა და ნიკოლოზ დურნოვოს წერილებს იოსებ ჩიჯავაძისადმი, ეპისკოპოს ლეონიდ ოქროპირიძის მიერ წარმოთქმულ სიტყვებს, პროფ. ივანე ევსეევის ჩანაწერებს, სხვადასხვა პირთა სადარბაზო ბარათებსა და პორტრეტებს და სხვა.

IV განყოფილებაში თავმოყრილია კირიონთან დაახლოებული პირის არქიმანდრიტ ტარასი კანდელაკის საარქივო მასალა. ტ. კანდელაკის არქივის შეერთება კირიონის პირად ფონდთან იმით იყო გაპირობებული, რომ მასში მოწოდებული მასალის დიდი ნაწილი კირიონს ეხება.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ, ჩვენი აზრით, კირიონის არქივს ჯერ ტ. კანდელაკმა, ხოლო შემდეგ მისმა ოჯახის წევრებმა უპატრონეს. ამას გვაფიქრებინებს, პირველ რიგში, ის გარემოება, რომ კირიონისა და ტარასის არქივი ხელნაწერთა ინსტიტუტში ერთად იყო შემოსული. გარდა ამისა, როგორც ტ. კანდელაკის წერილებიდან ჩანს, ის განსაკუთრებული გულისხმიერებით ეკიდებოდა კირიონის ყოველგვარ საქმიანობას და ჯერ კიდევ მის სიცოცხლეშივე იჩენდა გარკვეულ მზრუნველობას კირიონის არქივის მიმართ. ასეა თუ ისე, ის კი ცხადია, რომ ხელნაწერთა ინსტიტუტში კირიონის არქივი ისეთნაირად მოწესრიგებული სახით იყო მოწოდებული, რომ მისი შემნახველი უდავოდ სათანადოდ აფასებდა კირიონის პიროვნებას.

კირიონი არა მარტო სასულიერო პირი იყო, არამედ, პირველ რიგში, საზოგადო მოღვაწე და მკვლევარი-მეცნიერი. მისი ზრომები ისტორიისა, არქეოლოგიისა თუ ფილოლოგიის დარგში დღესაც არ არიან მოკლებულნი გარკვეულ მნიშვნელობას. ფართო განათლების მქონე კირიონი თავისი თანამედროვე საქართველოს კულტურული ცხოვრების ცენტრში იდგა და დიდი გავლენით სარგებლობდა არა მარტო საქართველოში, არამედ რუსეთშიაც. და დღეს, როდესაც კირიონის სახელი რამდენადმე მივიწყებულია, მისი მდიდარი არქივი, ვფიქრობთ, ერთგვარ დახმარებას გაგვიწევს ამ საინტერესო პიროვნების საქმიანობის შესწავლაში.

ამჟამად კი ჩვენს მიზანს შეადგენს მიმოვიხილოთ ხელნაწერთა ინსტიტუტში არსებული კირიონის პირადი საარქივო ფონდი.

როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, ინსტიტუტში დაცული კირიონის არქივის უდიდეს ნაწილს ეპისტოლარული მემკვიდრეობა წარმოადგენს. 1607 ერთეულიდან 1400 წერილია.

გარდა კირიონის ეპისტოლარული მემკვიდრეობისა, აქ შეხვდებით იმდროინდელი ქართველი, რუსი, უკრაინელი, გერმანელი და იტალიელი საზოგადო მოღვაწეების, მეცნიერებისა და სასულიერო პირების წერილებს. წერილების ავტორები არიან: ალექსანდრე ხახანაშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, ალექსანდრე ცაგარელი, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ალექსანდრე და გიგა ყიფშიძეები, მოსე ჯანაშვილი, თედო ჟორდანია, პოლიევქტ კარბელაშვილი, ამბროსი ხელაია, ლეონიდ ოქროპირიძე, იოსებ ჩიჯავაძე, ტარასი კანდელაკი, კორნელი კეკელიძე, კალისტრატე ცინცაძე; ნოვოროსიის უნივერსიტეტის პროფესორი ალექსანდრე ალმაზოვი; მოსკოვის უნივერსიტეტის ისპექტორიო თანაშემწე, ისტორიკოსი მიხეილ ბოგოიავლენსკი; ღვთისმეტყველი, პეტერბურგის სასულიერო აკადემიის პროფესორი ნიკოლოზ გლუბოკოვსკი; არქეოლოგი, ხერსონის მუზეუმის დამაარსებელი ვიქტორ გოშკევიჩი; პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი ლეონიდ დმიტრევი; ფილოლოგი, ხარკოვის უნივერსიტეტის დოცენტი ნიკოლოზ დურნოვო; არქეოლოგი, პეტერბურგის სასულიერო აკადემიის პროფესორი ივანე ეზეევი; არქეოლოგი, ტომსკის უნივერსიტეტის პროფესორი ალექსი ვედენსკი; არქეოლოგი და ისტორიკოსი, კიევის სასულიერო აკადემიის პროფესორი ნიკოლოზ პალმოვი; ს. პეტერბურგის სასულიერო აკადემიის ქართული საეკლესიო ისტორიის პროფესორი ივანე სოკოლოვი; არქეოლოგი, მოსკოვის არქეოლოგიური ინსტიტუტის დამაარსებელი და რექტორი ალექსანდრე უსპენსკი; ფილოლოგი, პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი ალექსანდრე შახმატოვი; პეტერბურგისა და მოსკო-

ვის მიტროპოლიტები: ანტონი და ვლადიმირი; ქართული კულტურის დიდი პატივისმცემლები, იტალიელი და გერმანელი ბერები: ავრელიო პალმიერი და გუსტავ ბერშანი და სხვა მრავალნი. ზემოთ ჩამოთვლილ პირთა წერილები გარკვეული მნიშვნელობის მატარებელნი არიან. მათში რამდენადმე ასახულია იმდროინდელი ქართული და რუსული ინტელიგენციის კულტურული ცხოვრება და რუსეთის სასულიერო მთავრობის საქმიანობა.

წერილებში განსაკუთრებით ცოცხლადაა წარმოდგენილი ბრძოლა ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად და ავტოკეფალიის საკითხთან დაკავშირებით მოწვეული სხდომები 1906 წ. სინოდში.

გარდა ამისა, წერილების საშუალებით ვეცნობით მათი ავტორების — იმ დროისათვის გამორჩეული პირების — ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამა თუ იმ მხარეს, მათ ინტერესთა წრეს, გონებრივსა და სულიერ მოთხოვნილებებს და ხასიათის სხვადასხვა თვისებას.

ბუნებრივია, არქივში დაცული მასალა ყველაზე უფრო სრულად კირიონის პიროვნებას წარმოგვიდგენს. ისიც ცხადია, რომ ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა სწორედ კირიონის ეპისტოლარულ მემკვიდრეობას ენიჭება.

არქივში კირიონის 400-ზე მეტი წერილია დაცული. მისი ადრესატები არიან იმ დროისათვის ცნობილი რუსი და უკრაინელი მეცნიერები: ნიკოლოზ ნიკანორის ძე გლუბოკოვსკი, ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე დურნოვო, ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე პალმოვი, ივანე იუანეს ძე სოკოლოვი, ალექსანდრე ივანეს ძე უსპენსკი, ალექსანდრე ალექსანდრეს ძე შახმატოვი, იტალიელი ბერი ავრელიო პალმიერი, პეტერბურგის მიტროპოლიტი ანტონი (ვადკოვსკი), ქართველი ეპისკოპოსები: დავით კაკახიძე და ნესტორ ლეჟავა (იგივე ნაზარი), არქიმანდრიტი ტარასი კანდელაკი, მოციქული იოსებ ჩიჯავაძე და სხვანი.

კირიონის ეპისტოლარული მემკვიდრეობიდან საგანგებო ყურადღებას იმსახურებს ტარასი კანდელაკისა და იოსებ ჩიჯავაძისადმი გაგზავნილი წერილები, რომელთა რიცხვი 300-მდე აღწევს.

ტარასისა და იოსებისადმი გაგზავნილი წერილები 1902—1915 წლებით თარიღდება. ეს იყო ყველაზე უფრო მძიმე, მაგრამ ამავე დროს ყველაზე უფრო ნაყოფიერი წლები კირიონის ცხოვრებაში. როგორც მისი ბიოგრაფიიდანაა ცნობილი, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის მებრძოლ კირიონს შეფისტროინდეკი რუსეთის სასულიერო მთავრობა სასტიკად ავიწროებდა. აშკარა დევნა კირიონისა სინოდის მიერ დაიწყო სწორედ 1902 წ. ამ წელს იგი გაათავისუფლეს გორის ეპისკოპოსის თანამდებობიდან და კამენეც-პოდოლსკის ეპარქიაში გადაიყვანეს. 1903 წელს მას აგზავნიან ხერსონში, 1904 წელს — ორიოლში, 1906 წელს — სოხუმში, 1907 წელს გადაჰყავთ კოვნოში; 1908 წელს კირიონს ითხოვენ უეპარქიოდ და გზავნიან მას კურაიაის მონასტერში, ხოლო კურაიაიდან, ჟანდარმების თანხლებით — სანაქსარის უდაბნოში. 1912 წელს კირიონი გადაჰყავთ ხერსონის მონასტერში, სადაც იგი 1915 წლამდე მოღვაწეობდა. ამავე წელს კირიონს დაუბრუნეს ეპარქიის მმართველობის უფლება და ჩააბარეს ვიტებსკის ეპარქია.

მთელი ამ წლების განმავლობაში კირიონი სისტემატურად წერდა წერილებს ტ. კანდელაკსა და ი. ჩიჯავაძეს და დაწვრილებით აცნობებდა მათ თავისი მდგომარეობისა და საქმიანობის შესახებ. ასე რომ, ამ წერილების მკითხ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ველს ხათლად წარმოუდგება ის დიდი და რთული გზა, რაც კირიონმა განვლო მის უცხო მხარეში.

წერილებში მოწოდებული უხვი კონკრეტული მასალა განუზომლად ამდიდრებს კირიონის შესახებ ნაბეჭდ ლიტერატურაში არსებულ ღარიბ ბიოგრაფიულ ცნობებს და ცოცხლად წარმოგვიდგენს მისი ცხოვრების თითქმის ყველა მნიშვნელოვან ეტაპს.

1902 წ. სამშობლოს მოცილებული კირიონი კამენეც-პოდოლსკიდან ასე წერდა ერთ-ერთ წერილში იოსებ ჩიჯავაძეს: „... კაცის სიცოცხლეში სამი შესანიშნავი ხანაა: დაბადება, ცხოვრება და სიკვდილი. პირველს უნებლიეთ ორივე მოსდევს, ვერა ხორციელი კაცი ამ კანონს ვერ ასცდება. როგორც კაცს ნება არა აქვს დაჰგმოს თავისი დაბადების დღე, ადგრეთვე არ უნდა დაემდუროს ცხოვრების ჩარხისაგან მისთვის ძიძიებული ბედს. მოთა რუსთაველი გვამცნევს, რომ ყველა თავის ხვედრს უნდა დაემორჩილოსო... ვეცდები გამოვხსნა კანძი. მე ქვეყანა და მასზე ზრუნვა ფეხებზე როდი მკიდია... ჩემთვის მარად საღმთო იქნება ის ლტოლვილება, რომელსაც მივესწრაფებოდი. ჩემ სიცოცხლეში ჩემი წარმატებისათვის არ მიზრუნია: არც ოქრო იზიდამდა ჩემს გულს და არც ჯილდო. პირადი ჩემი ინტერესები დიდი ხანია უარვყავ. ბევრი უსამართლობა გამომივლია, მაგრამ თანაგრძნობისათვის არავისთვის თავი არ შემიწყევინებია. მტრებისათვის სამაგიერო არ გადამიხდია, თუმცა შემეძლო და გარემოებაც ხელს მიწყობდა. დღე, დროებით იპარპაშონ ცბიერებამ, ორპირობამ და დამბეზღებლობამ, დადგება დრო, უსამართლობა დაითრგუნება, მოისპობა პირისაგან ქვეყნისა და ჭეშმარიტება გამეფდება. მხოლოდ მოთმინება უნდა, მოთმინება, — თუმცა საქმე თავად მაინც არ გაეთდება, ქადები ციდან არ ჩაცვივა. უფალმა ბრძანა: ეძიებდით და ჰპოებდითო. ძიება არის შრომა ხანგრძლივი და თავდადებული“[1].

მართლაც, კირიონის მთელი ცხოვრება, განსაკუთრებით კი რუსეთში გატარებული წლები, ეს იყო „ხანგრძლივი და თავდადებული“ შრომა. 1902 წ. კამენეც-პოდოლსკში გადახვეწილი კირიონი უჩვეულო ენერგიით შეუდგა თავის საქმიანობას: თავმჯდომარეობდა სხვადასხვა საზოგადოებას, აწარმოებდა ვრცელ მიწერ-მოწერას, ეცნობოდა კონსისტორიის ოქმებს, კითხულობდა წიგნებს ამ მხარის შესახებ, ესწრებოდა ლიტერატურულ დილა-საღამოებს და ამავე დროს ეწეოდა მეცნიერულ საქმიანობას. კამენეც-პოდოლსკში დაწერა მან და გამოაგზავნა თბილისში დასაბეჭდად შემდეგი წერილები: „ Новый вариант творения А. С. Грибоедова „Горе от ума“, „Состояние христианства в Абхазии в первой четверти XIX в. и попытка организации в ней миссионерского дела в 1831—1834 годах“, „Казбегский миссионер, иеромонах кн. Виссарион Павленишвили“, „Харистикарная система и ея влияние на церковно-поземельныя отношения в древней Грузии“. „ეს ოთხი

[1] № 199 (ყველგან, სადაც მხოლოდ ნომერია მითითებული, იგულისხმება კ. კეკელიძის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული კირიონ სააბაგლობელის საარქივო ფონდის ერთეული).

სტატია,—სწერს კირიონი იოსებ ჩიჯავაძეს,—გამოვიდა 25 თაბახი. ამის გარდა, ჩემი სამი დაბეჭდილი სტატია შევასწორე, შევავსე და გამოვაგზავნე[2].

კამენეც-პოდოლსკში დაწერა კირიონმა ავრეთვე სტატია „Колонизация армян в Юго-западной России". „რომ წაიკითხავ, — ვკითხულობთ კვლავ ი. ჩიჯავაძისადმი გაგზავნილ სხვა წერილში, — ცერცვისავით ხტუნაობას დაიწყებ. ჯერ ეფიქრობდი პატარა სტატია დამეწერა და, მართლაც, ერთ თაბახამდე გამოვიდა, მეორედ გადავსწერე, გამოვიდა ორი თაბახი, მესამედ — ოთხი და ეხლა შვიდი თაბახი გამოვა"[3]. და ყველაფერი ეს კირიონმა მოასწრო სულ რამდენიმე თვის განმავლობაში. ასე ენერგიულად დაიწყო მან თავიდანვე მუშაობა რუსეთში და ეს საოცარი ტემპი მთელი ცხოვრების მანძილზე აღარ შეუნელებია. უცხოეთში დაწერა მან უმეტესი ნაწილი თავისი შრომებისა: „Церковно-исторический очерк основания в Херсоне викариата и его жизнедеятельность (1853—1903 гг.)", „Клемакс св. Иоанна Лествичника на грузинском языке", „Из воспоминании русского учителя православной грузинской духовной семинарии", „Культурная роль Иверии в истории Руси", „Санакасрские этюды", „Автокефалия грузинской церкви по декларации" და სხვა მრავალი მეცნიერული თუ პოპულარული ხასიათის სტატია.

კირიონის შრომებში ყველაზე უფრო ფართო გამოხმაურება ჰპოვა წიგნმა „Культурная роль Иверии в истории Руси", რომელზედაც იგი წლების განმავლობაში მუშაობდა.

საგულისხმოა, რომ მისი გამოქვეყნება კირიონს თავდაპირველად განზრახული ჰქონია ქართულ ენაზე, მაგრამ შემდეგში, მეგობრების რჩევით, ქართული ტექსტი რუსულად უთარგმნია. „სამწუხაროდ, — წერს კირიონი ტ. კანდელაკს, — ქართული რვეულები თხზულებისა დავსწვი. ეხლა ბევრსა ვნანობ, მაგრამ გვიანღაა თითზე კბენანი"[4].

1907 წ., როგორც ეს საარქივო მასალიდან ირკვევა, კირიონი ფიქრობდა, დაებეჭდა 140-გვერდიანი წერილი, სათაურით „Культурное значение Грузии в истории России"[5], მაგრამ მუშაობის პროცესში კირიონს იმდენი საინტერესო მასალა უნახავს ამ საკითხთან დაკავშირებით, რომ ამჟამად ეს წიგნი, უკვე შეცვლილი სათაურით „Культурная роль Иверии в истории Руси", თითქმის 500 გვერდს შეიცავს.

ამ წიგნზე კირიონი განსაკუთრებული სიყვარულითა და მონდომებით მუშაობდა. „თუმცა ცოტა სუსტადა ვარ, — სწერს 1908 წლის 16 დეკემბერს კირიონი ი. ჩიჯავაძეს, — მაგრამ ყოველ დღე არანაკლებ 8 საათისა ვმუშაობ. ჩემი თხზულება ძაან იზრდება, 200-ს გვერდიანი ვამოვა. არც ერთ ჩემ თხზულებაზედ ამდენი არ მიშრომია და არც ასე კმაყოფილი ვყოფილვარ შრომით"[6].

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ კირიონს ამ წიგნის წერა ძალზე რთულ ვითარებაში უხდებოდა. 1908 წლის მაისში, როგორც ცნობილია, მოჰკლეს სა-

2 № 406, წერილი 11.
3 № 200.
4 № 101.
5 № 314.
6 № 348.

ქართველოს ეგზარხოსი ნიკონი. რუსეთის სასულიერო მთავრობამ ეკვი კირიონზე მიიტანა, როგორც ამ მკვლელობის ერთ-ერთ მთავარ მონაწილეზე და, მიუხედავად იმისა, რომ ამ ეკვებს არავითარი ფაქტები არ ამაგრებდა, ყოველგვარი სასამართლოს გარეშე, 1909 წლის იანვარში ავადმყოფი კირიონი ქანდარმების თანხლებით სანაქსარის უდაბნოში გაასახლეს[7].

სანაქსარში ცხოვრების პირობები ძალზე მძიმე იყო: ზამთარში საშინელი სუსხი და ყინვა, გაზაფხულსა და ზაფხულში ჭაობების აშმორებული და მყარალი სუნი, გაუთავებელი წვიმები და აუარებელი კოღო. ამას თან ერთვოდა აგრეთვე საკვების ნაკლებობაც[8]. მაგრამ მთავარი შემაწუხებელი მიზეზი კირიონისათვის მაინც ის აღმოჩნდა, რომ მას აქ საგანგებოდ მიუჩინეს იღუმენი ავგუსტინი, რომელიც კირიონის ყოველ ნაბიჯს თვალყურს ადევნებდა. ცხოვრების ასეთმა პირობებმა საგრძნობლად შეარყიეს კირიონის ფიზიკური ჯანმრთელობა. მაგრამ მისი აქტიური ბუნება ყველა მდგომარეობაში ეძებდა გამოსავალს და ახლაც, როგორც სხვა დროს, შრომაში პოვა მან ხსნა. სანაქსარში იმდენად გაიტაცა კირიონი მუშაობამ, რომ იგი გარკვეულ კმაყოფილებასა და სიამოვნებასაც კი გრძნობდა მარტოობაში.

„შენ სანუგეშოდ უნდა გითხრა, — წერდა კირიონი სანაქსარიდან ი. ჩიჯავაძეს, როდესაც ეს უკანასკნელი მარტყოფის მონასტერში გადაიყვანეს, — რომ დროებით განმარტოებულ ცხოვრებას დიდი მნიშვნელობა აქვს.

„განმარტოება — მასწავლებელია სიბრძნისა, განმარტოება მოთმინების დედაა, განმარტოება მშობელია გმირთა, განმარტოება კაცშანს აქარვებს, განმარტოება — აკვანია მამულიშვილობისა, განმარტოება — მყუდრო ნავთსაყუდელია, განმარტოება — სამკურნალოა გულისა, განმარტოება კრავს ალმობს, განმარტოება მიზნის მიღწევას აადვილებს"[9].

სანაქსარში გატარებული წლები იყო ყველაზე უფრო ნაყოფიერი და ინტენსიური წლები კირიონისათვის. აქ დაასრულა მან თავისი წიგნი „Культурная роль Иверии в истории Руси".

„მეტად დიდი ჯაფა მოუნდა ამ ჩემ უკანასკნელ თხზულებას, — სწერს კირიონი ტარასს, — რომელსაც ბენიამინი ვუწოდე სახელად, რადგანაც ეს ჩემი ნაბოლარა შვილია"[10].

კირიონმა წიგნის რედაქტორობა და ბეჭდვა დაავალა ალექსანდრე ყიფშიძეს, რომელმაც ენერგიულად მოჰკიდა ხელი ამ საქმეს და 1910 წლის შემოდგომისათვის ამ წიგნის ბეჭდვა უკვე დაასრულა. „საშას რომ არ ეკისრა ჩემი წიგნის ბეჭდვა, — სწერდა მადლიერი კირიონი ალ. ყიფშიძის შესახებ ი. ჩიჯავაძეს, — მე ვერ მოვახერხებდი. დიდად დამავალა და არ ვიცი, როგორ გადაუხადო"[11].

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ კირიონის არქივში შემონახული ალ. ყიფშიძის წერილები ბევრ საგულისხმო დეტალს გადმოგვცემს ამ წიგნის ბეჭდვისა და გავრცელების შესახებ. ამ წერილების საფუძველზე იკვეთება აგრეთვე

7 № 93.
8 № 98.
9 № 360.
10 № 102.
11 № 380.

ალ. ყიფშიძის სახეც, როგორც მეტად კეთილსინდისიერი და წინდახედული ისტორიკოსისა.

„Культурная роль Иверии в истории Руси“ დიდი სისწრაფით გავრცელდა რუსეთსა და საქართველოში. 1910 წლის 2 ოქტომბრით დათარიღებულ წერილში ტ. კანდელაკი კმაყოფილებას აცნობებს კირიონს: „წ. კ. გ. საზოგადოებაში ვიკითხე: იყიდება თუ არა მეთქი და მითხრეს: იყიდებაო. რუსეთში უფრო იწერებენო. ძალიან დაინტერესებულნი არიან ყველანი ამ წიგნით და უკვირთ, სად შეკრიბა ამოდელა მასალებიო“[12].

კირიონის მეცნიერული შრომების მთავარი ღირებულება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ყველა მათგანი პირველ წყაროებზეა აგებული. ეს გარემოება არც უნდა იწვევდეს გაოცებას. კირიონი ძველი კულტურის თაყვანისმცემელი იყო და ამიტომ, სადაც არ უნდა ყოფილიყო ის, ყველგან, საქართველოსა თუ რუსეთში, ზედმიწევნით სწავლობდა მუზეუმებსა და მონასტრებში დაცულ საარქივო დოკუმენტებს.

„ვინც სათანადოდ ვერ შეიგნებს თავის მშობლიურ სიძველეს, — სწერდა კირიონი ხერხეულიძის მუზეუმის დამაარსებელს ვექტორ ივანეს ძე გოშკევიჩს, — და სიყვარულით არ მოეფრთხილდება თავისი წინაპრების კულტურულ მემკვიდრეობას, ის მათი არა ღირსეული მემკვიდრეა, — შემთხვევითი რგოლია ცოცხალ არსებათა ჯაჭვში, ცუდი მეგზურია.

„ისევე როგორც შეუძლებელია ანბანის გარეშე ისწავლო კითხვა, ასევე მშობლიური სიძველის ცოდნისა და წინაპრების ანდერძის გარეშე შეუძლებელია ჩასწვდე წარსულს, გაიგო აწმყო და შეგნებულად იმუშაო მომავალი დიადი ნაციონალურ-კულტურული საქმისათვის“[13].

ასეთი იდეები ამოძრავებდა კირიონს, როდესაც იგი დაუღალავად ეძებდა და აგროვებდა ძველ ქართულ ხელნაწერებს. ასეთმა თავდადებულმა ძიებამ მიაკვლევინა მას საქართველოში ისეთ უნიკალურ ძეგლებს, როგორიც არის პავლე მოციქულის ეპისტოლენი და „კორიდეთის ოთხთავი“.

საგულისხმოა, რომ კირიონს არც რუსეთში შეუწუვეტია ამ მიმართულებით მუშაობა. წერილებიდან ჩანს, რომ მას გულმოდგინედ შეუსწავლია კამენეც-პოდოლსკის, ხერსონის, ორიოლის, კოვნოს, ხარკოვისა და კიევის მუზეუმებისა და მონასტრების არქივები, დაწერილებით გასცნობია ასევე პეტერბურგში დაცულ სინოდის არქივსა და საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერების განყოფილებას, სადაც სხვა მრავალ ქართულ დოკუმენტებთან ერთად უნახავს „კალმასობის“ გაგრძელებაც.

კირიონის საარქივო მასალებიდან ისიც მჟღავნდება, რომ მისი დავალებით ქართველი სტუდენტები იწერდნენ პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში დაცულ ძველ ქართულ ხელნაწერებს[14]. ამ საქმისათვის კირიონს 40 თუმანზე მეტი ფული გაუღია.

კირიონი არც ამით დაკმაყოფილებულა. მისი შეკვეთით პროფ. ალექსანდრე უსპენსკი, რომელიც ერთ დროს სიმპერატორო კარის არქივში მუშაობდა, თვით არჩევდა მასალებს საქართველოს ისტორიის შესახებ და შემდეგ,

12 ცსსა, კირიონ II, საქ. № 18.

13 № 47. დედანი რუსულ ენაზეა.

14 №№ 1291, 1292.

უკვე გადაწერილს სხვების მიერ, თვითეც უგზავნიდა კირიონს[15]. გადამწერლებს, რა თქმა უნდა, კირიონი უხდიდა ფულს.

მონდომებითა და სიყვარულით აგროვებდა იგი აგრეთვე ძველ ქართულ ოქმულებებს, ლეგენდებს, ზღაპრებს, სიმღერებსა და ანდაზებს, რაშიაც მას, როგორც ჩანს, დიდ დახმარებას უწევდა ტ. კანდელაკი. ტარასისა და იოსებ ჩიჯავაძის დახმარებითვე შეადგინა მან შესანიშნავი კოლექცია ძველი ქართული მონეტებისა.

1909 წ., სანაქსარში ყოფნის დროს, კირიონმა გადაწყვიტა, რომ მთელი თავისი ქონება: წიგნები, ხელნაწერები, ხატები, ძველი მონეტები და სხვა მრავალი საყურადღებო საარქივო მასალა თბილისის საეკლესიო მუზეუმისათვის შეეწირა. ამის შესახებ მან აცნობა ტ. კანდელაკს და თხოვა დახმარებოდა ამ საქმეში.

„დიდ კონვერტში ბატონიშვილების წერილებია, -- წერდა 1909 წ. 11 აპრილს კირიონი ტარასის, — და შინ პატარა ქაღალდის ნაჭერზედ ერეკლეს ბრძანებაა ოქროს შაურიანების მოჭრის შესახებ. ეს ერეკლე მეფის ნაწერი პატარა ჩარჩოში გააკეთე და ისე გადაეც მუზეუმს. პატარა ჩარჩოს ნიქოზში ამოარჩევ ჩარჩოებში. ნიქოზში ადი და ყუთები დახსენი. ალბომები, გარდა ჩემი საშინაო სურათების ალბომისა, ძველი სურათები... ადრესები, ხატები, ხელნაწერები, ქაღალდში გახვეული პატარა ქაღალდის ნაჭრებზედ დაწერილი ოსური სიტყვები და ჭონქაძისაგან დაწერილები, და, საზოგადოდ, რაც სამუზეუმო აღმოჩნდეს, ყველა წამოიღე მუზეუმისათვის გადასაცემად. ყუთში ჰნახამ უყდო წიგნს „Осетинские этюды Миллера“, вып. II. ეს წიგნი და ჩემი ავტობიოგრაფიული შენიშვნები აქ გამომიგზავნე. ყუთები ისევ ჩაალაგე და წიგნებს ნუ აურევ, ყოველ ყუთში თავისი წიგნი ჩაალაგე...

„ქალაქში სოსოსთან[16] რომ ყუთია, გახსენ და იქიდან ამოიღე მუზეუმისათვის გადასაცემად: ხატები, ჯვარი, ძველი ნაბეჭდი წიგნები, ქართული ხელნაწერები, ქაღალდის ყუთშია პატარა ქაღალდებზედ დაწერილი ოსური სიტყვები, ზემოთ ნაჩვენები ოსური სიტყვებიც შიგ ჩადე და ისე გადაეცი. გადაეცი აგრეთვე მუზეუმს ეგზარხოსის სახლის და კანტორის შენობის კუპიები, იულონ ბატონიშვილის მარჯნის ტარიანი კოვზები, კანდიდატური თხზულებები მამინაშვილისა და გიორგაძისა, რემინგტონზედ დაწერილი, გრიბოედოვის ხელნაწერი „Горе от ума“, საქმეები შუამთისა და ალავერდისა. სტუდენტებს რომ გადავუწერინე ხელნაწერები პეტერბურგში (ისინი ან ნიქოზში იქნებიან — ყუთებში, ან მაგ ყუთში), ეგენიც გადაეცი, მხოლოდ ყველა ნომერი (ზოგში რამდენიმე გადაწერილი წიგნია მოთავსებული), უნდა ცალკე ყდაში გაკეთებინო, თუ ცომაია[17] მანდ იყოს, მოგეხმარება ამ პეტერბურგში გადაწერილი წიგნების დაყოფას ნომრებზედ.

„ყველა ნივთები, რომლებიც კი გადასცე მუზეუმს, ხელმოწერილი სია ჩამოართვი. მოსეს[18] შეატყობინე, რომ ჩემი ნუმიზმატიული კოლექციისათვის

15 № 1105.

16 იგულისხმება იოსებ ჩიჯავაძე.

17 იგულისხმება სამუელ ცომაია.

18 იგულისხმება მოსე ჯანაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

(ძველი ფულებისათვის), საკმარისი ვიტრინები გააკეთებინოს მუზეუმმა, მცოდნე კაცი მოიწვიონ, გამოართვი სოსოს[19] ჩემი ძველი ფულები, ამეებს მიუმატე ეხლა გამოგზავნილი და ნიქოზში შუშის ყუთში ჩაწყობილი ფულები და გადაეცი, ანუსხონ ყველა ფულები და ვიტრინებში დაალაგონ. ძველი ფულების ხელმოწერილი სიაც ჩამოართვი. სიაში გამოცხადებული იყოს, რომ ყველა ამ საარხეოლოგიო ნივთებს ვსწირავ საეკლესიო მუზეუმს შემდეგი პირობებით: 1) ნივთები შემიწირია, სანამ მუზეუმი ქართველ სამღვდელოების ხელში იქნება ქ. თბილისში და 2) ჩემი შეწირული ნივთები ცალკე მოათავსონ და სახელად უწოდონ „საშინაო მუზეუმი ეპ. კირიონისა".

„ამ მუზეუმსავე ანდერძით ვსწირავ ჩემ ბიბლიოთეკას. თუ ვინიცობაა მუზეუმი გაუქმდა, ჩემ შეწირულ ყველა ნივთებს და წიგნებს მიიღებს ანდერძში მოხსენებული კომიტეტი, რომელიც გადასწყვეტს: სად მოათავსოს, ან ვის გადასცეს ჩემი საშინაო მუზეუმი და ბიბლიოთეკა"[20].

1909 წლის 9 ივლისს ტარასი აცნობებს კირიონს, რომ ეპისკოპოს დავით კაჭახიძეს და ექვთიმე თაყაიშვილს გადაწყვეტილი აქვთ თხოვნით მიმართონ კირიონს, რომ თავისი მუზეუმი შესწიროს მან არა საეკლესიო მუზეუმს, არამედ საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას. წერილში ვკითხულობთ: „... კრებაზედ (იგულისხმება საეკლესიო მუზეუმის კრება, ე. ა.) დაესწრნენ: თავმჯდომარე მუზეუმისა ეპ. დავითი, მოსე[21], კ. ცინცაძე, კ. კეკელიძე, ე. თაყაიშვილი, მღვდ. ლაზარევი და მე... ყველა აღტაცებაში მოვიდა ამ თქვენს უხვ შეწირულობაზედ და დიდი მადლობელნი და მოხარულნი არიან. მხოლოდ ის აზრი წარმოსთქვეს, რომ მკვიდრ ნიადაგზედ ვერ არის საეკ. მუზეუმი და ყველამ არჩიეს და გთხოვენ, რომ ახლად გახსნილ ეთნოგრაფიულ საზოგადოებაში შესწიროთ, რადგან ის, როგორც ჩვენი კერძო საკუთრება, არ გვეშინიანო და მთხოვეს, რომ ისევე მე მოგწეროთ ყოველივე დაწვრილებით და შეგატყობინოთ ეს დადგენილობა და გთხოვოთ, რომ იქ შესწიროთ"[22].

კირიონმა მხედველობაში მიიღო ამხანაგების რჩევა და, მართლაც, თავისი მუზეუმი საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას ჩააბარა (არქივში დაცულია საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების 1911 წ. 5 დეკემბრით დათარიღებული მომართვა № 55, რომელშიაც ეს საზოგადოება მადლობას უცხადებს კირიონს შემოწირული ნივთების გამო)[23].

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ რუსეთში ყოფნის დროს, როგორც ეს საარქივო მასალებიდან ირკვევა, კირიონი ყველა ზომას მიმართავდა იმისათვის, რომ პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში ქართული ეკლესიის ისტორიის შემსწავლელი კათედრა გახსნილიყო. ამ მიზნით დაუწერია სწორედ მას ბროშურა „Назревший вопрос", რომელიც სასულიერო აკადემიებსა და სასულიერო ხასიათის ჟურნალების რედაქციებში დაუგზავნია. კირიონი იმედოვნებდა, რომ ამ ბროშურით გამოიწვევდა საერთო ინტერესს ქართული ეკლესიის ისტორიის მიმართ[24]. ამ მიზნითვე დაუწერია მას ახსნა-განმარტებითი ბა-

---

19 იგულისხმება იოსებ ჩიჯავაძე.

20 № 99.

21 იგულისხმება მოსე ჯანაშვილი.

22 № 1393.

23 № 29.

24 № 42.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რათი სინოდის სახელზე, რომელშიაც იგი ასაბუთებდა ქართული ეკლესიის ისტორიის კათედრის დაარსების აუცილებლობას პეტერბურგის სასულიერო აკადემიასთან[25]. კირიონის ამ პირველ ცდებს შედეგი არ გამოუღია. ამიტომ მას ამავე მიზნით მიუმართავს პეტერბურგის სასულიერო აკადემიის ღვთისმეტყველების პროფესორ ნიკოლოზ ნიკანორის ძე გლუბოკოვსკისადმი. 1903 წ. 7 ივლისით დათარიღებულ წერილში კირიონი ასე სწერდა ნ. გლუბოკოვსკის: „ასმა წელიწადმა განვლო (100 წელი — ერთი საუკუნე ცოტა ხანი როდია!) მას შემდეგ, რაც საქართველო შეუერთდა რუსეთს და აქამდე რუსული საღვთისმეტყველო მეცნიერება ნაკლებად იცნობს მრავალტანჯული საქართველოს ეკლესიის ისტორიას, მისი საინტერესო წარსულით, მდიდარი წიგნებითა და მონუმენტალური ძეგლებით“[26]. ამავე წერილში კირიონი თხოვდა გლუბოკოვსკის მიექცია ყურადღება ამ გარემოებისათვის და ეზრუნა ქართული ეკლესიის ისტორიის კათედრის გახსნაზე.

საარქივო მასალებიდან ისიც ირკვევა, რომ კირიონს წინასწარ შეუდგენია ამ კათედრის პროექტი, რომელსაც აღფრთოვანებაში მოუყვანია ალ. ხახანაშვილი: „...რადგან თქვენ ინებეთ, — წერს ხახანაშვილი კირიონს, — საყურადღებო გარემოების მიხედვით ამ სამეცნიერო საქმის წამოწყება, მე დარწმუნებული ვარ თქვენი ენერგია და მამულის სიყვარული ფეხზედ დააყენებს მაგ საშვილიშვილო და სადიადო პროექტს. თქვენი სახელი ამ პროექტის შემდეგ დაკავშირებული იქნება ქართული ეკლესიის ისტორიასთან და ჩვენმა მემამულეებმა ეს ღრმად გულში უნდა დაიმარხონ“[27].

კირიონის დაჟინებულმა ზრუნვამ გარკვეული შედეგი გამოიღო. 1903 წ. 24 სექტემბრით დათარიღებულ წერილში ნ. გლუბოკოვსკი აცნობებს კირიონს, რომ პეტერბურგის მიტროპოლიტ ანტონის წინადადებით პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში დაარსდა აღმოსავლურ ეკლესიათა ისტორიის კათედრა, რომელიც შეისწავლის ქართული ეკლესიის ისტორიასაც. „თქვენი იდეები, — სწერს ნ. გლუბოკოვსკი კირიონს, — რამდენადმე ხორციელდება და ეს უნდა გახარებდეთ“[28].

ამგვარად, საარქივო მასალები ნათელყოფს, რომ ამ დიდი საქმის მთავარი ინიციატორი კირიონი ყოფილა.

ყველაფერ ამას კირიონი სამშობლოს სიყვარულით აკეთებდა. სამშობლოს სიყვარული კარნახობდა მას მაშინაც, როდესაც იგი ქართველი ერის გადარჩენისა და გაძლიერებისათვის მშობლიური ეკლესიის დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად იბრძოდა.

კირიონის მთელი ეპისტოლარული მემკვიდრეობა ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ მისთვის ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი იყო.

არქივიდან გარკვევით ჩანს, რომ ქართული ეკლესიის დამოუკიდებლად აღდგენის საქმეში ყველაზე უფრო დიდი ღვაწლი კირიონს მიუძღოდა. კირიონის გარშემო იყრიდნენ თავს მთელი მისი თანამოაზრეები და პირველ რიგში მისგან ელოდნენ რჩევა-დარიგებას, გამხნევებასა და მოქმედების წარ-

25 იქვე.

26 იქვე. დედანი რუსულ ენაზეა.

27 № 1313.

28 № 582.

მართავს. მთელი საქართველო შენ შემოგცქერის,—სწერდა მას ი. ჩხეიძე—იდეალს თავისას შენში ჰპოვებსო[29]. კირიონი გრძნობდა, თუ რა დიდ როლს ანიჭებდა მას ქართველი ხალხი და ამიტომაც, ცხოვრების უმძიმეს პირობებშიაც კი, თავდადებით განაგრძობდა ქართული ეკლესიის ინტერესების დაცვას. სამშობლოს მოცილებული კირიონი შორეული ქვეყნებიდანაც ახერხებდა სათანადო ხელმძღვანელობა გაეწია ქართველი ხალხისათვის.

კირიონი ეძებდა საქართველოში საყრდენ ძალას და ასეთად იგი, როგორც ჩანს, ქართველ ინტელიგენციას მიიჩნევდა, პირველ რიგში კი ილია ჭავჭავაძეს. 1906 წ. 27 თებერვლით დათარიღებულ წერილში კირიონი ურჩევდა ი. ჩხეიძეს, რათა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიისათვის მებრძოლთა შეკრებაზე მიეწვიათ ილ. ჭავჭავაძე, იაკ. გოგებაშვილი, გ. დიასამიძე და სხვა მოწინავე ქართველები, გაეცნოთ მათთვის ქართული ეკლესიის მდგომარეობა და შეედგინათ დეპუტაცია, რომელიც კავკასიის მეფის ნაცვალს ვორონცოვ-დაშკოვს თხოვდა ამ საქმეში დახმარებას[30].

იმდროინდელი ინტელიგენცია ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხს პატრიოტული თვალსაზრისით უყურებდა, ამიტომ, თავის მხრივ, ისინიც არ აკლებდნენ ცდას, რათა ეს საქმე ჯეროვნად დაგვირგვინებულიყო. როგორც ი. ჩხეიძის ერთ-ერთი წერილიდან ირკვევა, თბილისში მოწვეულ კრებას ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ ესწრებოდნენ: ილ. ჭავჭავაძე, ნ. ნიკოლაძე, იაკ. გოგებაშვილი, ა. ცხვედაძე და სხვები[31]. სხვა წერილში ჩხეიძე კმაყოფილებით აუწყებს კირიონს, რომ ილ. ჭავჭავაძეს გადაუწყვეტია მივიდეს მეფისნაცვალთან, შინაურულად აუხსნას მას საქმის ვითარება და დაარწმუნოს იგი, რომ ქართული ეკლესიისათვის დამოუკიდებლობის აღდგენა კანონიერია. ილ. ჭავჭავაძეს განზრახული ჰქონია თან წაეყვანა ავრეთვე ს. გორგაძე, როგორც ქართული ეკლესიის ისტორიის კარგი მცოდნე[32]. ჩანს, ილ. ჭავჭავაძეს თავისი გადაწყვეტილება სისრულეში მოუყვანია[33].

1906 წ. კირიონის ცხოვრებაში დიდი მღელვარების წელი იყო. ამ წლის ივნისის თვეში სინოდში დაინიშნა სხდომები, რომლებზედაც უნდა გადაწყვეტილიყო ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის საკითხი. ქართველებმა თავიანთ წარმომადგენლებად კირიონი და ლეონიდ ოქროპირიძე დაასახელეს.

კირიონს სინოდისათვის უნდა გაეცნო ქართული ეკლესიის ისტორია და ამის საფუძველზე დაესაბუთებინა ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის კანონიერება, ხოლო ლეონიდს უნდა წარმოედგინა თანამედროვე მდგომარეობა ქართული ეკლესიისა.

ამ სხდომებთან დაკავშირებით კირიონმა უზარმაზარი შრომა გასწია. მან საგანგებოდ შეიძინა საეკლესიო ავტოკეფალიის შესახებ არსებული ყველა წყარო და ზედმიწევნით შეისწავლა ეს საკითხი. გარდა ამისა, ღვთისმეტყველების პროფესორ ტ. ი. ბუტკევიჩთან ერთად დაუღალავად მუშაობდა სინოდის არქივში, სადაც მან მრავალ საინტერესო მასალას მიაკვლია. ყოველივე

29 № 1239.
30 № 264.
31 № 1202.
32 № 1206.
33 № 1210.

ამის საფუძველზე კირიონმა სინოდის სხდომებზე წარსადგენად დაწერა 4 მოხსენება: „Грузинский церковный вопрос (историко-каноническия основания)“, „что вынуждает грузии добиваться восстановления автокефалии своей церкви?“ „Какой Иверии дарована автокефалия в XI веке?“ „Национальный вопрос в церкви“.

კირიონის წერილებიდან ვგებულობთ აგრეთვე მისი კერძო საუბრის შინაარსს ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის შესახებ პეტერბურგის მიტროპოლიტ ანტონთან და სინოდის ობერ-პროკურორებთან. ამ წერილებში მეღავნება კირიონის არა მარტო ქართული კულტურის ისტორიის ღრმა ცოდნა და პატრიოტიზმი, არამედ მისი გამბედაობა და ორატორული ნიჭიც.

მიუხედავად კირიონისა და ლეონიდის ენერგიული მოქმედებისა, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი 1906 წ., როგორც ცნობილია, კრახით დამთავრდა. ამ სხდომებს შედეგად მოჰყვა ის, რომ კირიონის დევნამ კიდევ უფრო სასტიკი ხასიათი მიიღო. მიუხედავად ამისა, იგი მაინც კლავინდებურად მონდომებით განაგრძობდა დასახული მიზნის განხორციელებას. „ნეტავი, საზოგადო საქმეს ეშველოს რამე, — სწერდა 1907 წ. 13 ნოემბერს სოხუმიდან კვლავ რუსეთში გადახვეწილი კირიონი ი. ჩიჯავაძეს, — და მე ვითომ სულაც არ ვყოფილვარ ქვეყნიერებაზეც“[34].

შორეულ ქვეყნებში გადახვეწილი კირიონი ყოველმხრივ ცდილობდა, რათა თანამემამულეთა შორის არ განელებულიყო ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის სურვილი. 1907 წ. 5 აპრილს კირიონი ასე სწერდა ჩიჯავაძეს: „მანდ ეტყობა ყველა მხოლოდ თავის თავზედ ფიქრობს და ამით საზოგადო საქმე ფერხდება. სიცოცხლის ძარღვი შეგისუსტდათ! ეგრე საქმის წაყვანა არ გამოდგება“[35]. ხოლო იმავე წლის 15 აპრილით დათარიღებულ წერილში ვკითხულობთ: „ჩემი აქ ყოფნა ხომ მეტად მძიმეა, მაგრამ მით უფრო დამიძძიმდებოდა, როდესაც გულსაკლავი და არა სანუგეშო ამბები მომივა სამშობლოდან. თუ ეკსორიობასა შინა მყოფს შემომესმა მსდდან, რომ ერთგულად შრომობთ, მეც აქ გული დამიშვიდდება, ტანჯვა შემომსუბუქდება. მომავალი ჩვენს ხელშია, კეთილსინდისიერი შრომაა მისი დამაგვირგვინებელი. წინ ფიანდაზის მაგვარად, მართალია, ეკლიანი გზა გვიძევს, მაგრამ ვარდი უეკლოდ ვის მოუკრეფია, სიყვარულით უნდა ავიტანოთ ტანჯვა, ვინაიდან ტანჯვა სიყვარულის ნაყოფია, ძალა ტანჯვაშია. უსიყვარულოდ იგი არ არსებობს დედამიწაზედ, როგორც აჩრდილი საგანს თან დასდევს, ისე ტანჯვა სიყვარულს“[36].

ასეთი სიყვარულით იტანჯებოდა კირიონი კიდევ 10 წლის განმავლობაში, სანამ 1917 წლის 12 მარტს სეპტიცხოვლის ტაძარში არ გამოცხადდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია. კირიონი ამ დღესასწაულს არ ესწრებოდა. მამა ბასილი ი. ჩიჯავაძისადმი გაგზავნილ წერილში გადმოგვცემს, რომ ყველა მოუთმენლად ელოდა კირიონის გამოჩენას. არაგვის ხეობიდან კირიონის შესახვედრად წმ. სამების დროშით, გიგო ყარანგოზიშვილის მეთაურობით, 50

---

34 № 330.

35 № 201.

36 № 302.

კაცი ჩამოსულა. „პირველი სადღეგრძელო იყო ეპისკოპოს კირიონისა და ლეონიძისა ერთად შებრძოლთა და შენი“, — წერს ბასილი იოსებს. ამ დღესასწაულზე კირიონის სადღეგრძელო იყო არა მარტო პირველი, არამედ უკანასკნელიც. დასასრულს ერთ მუშას დამსწრეთათვის კვლავ შეუთავაზებია კირიონის სადღეგრძელო. „დიდი თანაგრძნობა აქვს დამსახურებული კირიონს, — დასძენს ბასილი, — პირზედ აკერია ყველას“[37].

კირიონი არა მარტო მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე იყო, არამედ დიდი ქველმოქმედიც.

რუსეთ-იაპონიის ომის დროს კირიონის თაოსნობით ორიოლის ეპარქიას 67.000 მან. ღირებულების თბილი ტანსაცმელი, თეთრეული და ფეხსაცმელი გაუგზავნია პეტერბურგში რუსი მეომრებისათვის[38] (არქივში დაცულია დედოფალ მარიამ თევდორეს ასულის დებეშა, რომელშიაც იგი გულწრფელ მადლობას უძღვნის კირიონს ასეთი უხვი წყალობისათვის)[39].

რუსეთ-იაპონიის ომის დროსვე კირიონს ორიოლში მოუწყვია ერთ-ერთი ყველაზე უფრო საუკეთესო საავადმყოფო დაჭრილ მეომართათვის. შემდეგში ეს საავადმყოფო გადაუკეთებიათ ეკლესიის დავრდომილ მსახურთა თავშესაფრად, რისთვისაც კირიონს 10.700 მან. გაუღია. მადლიერ სამღვდელოებას ამ თავშესაფრისათვის კირიონის სახელი შეურქმევია[40].

განსაკუთრებით დიდ მზრუნველობას იჩენდა კირიონი ქართველი ახალგაზრდობის მიმართ. მისი წყალობით ორიოლის სასულიერო სემინარიაში 400-მდე ქართველი სწავლობდა[41]. გარდა ამისა, კირიონის ხარჯზე 15 ქართველი სტუდენტი იღებდა უმაღლეს განათლებას რუსეთსა თუ საზღვარგარეთ[42]. არქივში შემონახულია კიევში მყოფი ქართველი სტუდენტების წერილი კირიონისადმი, რომლიდანაც ირკვევა, რომ კირიონს დიდი მატერიალური დახმარება გაუწევია ღარიბი ქართველი სტუდენტებისათვის. მადლობის ნიშნად ამ უკანასკნელთ კირიონი კიეველი ქართველი სტუდენტობის საპატიო წევრად აურჩევიათ[43].

1907 წ. 21 სექტემბერს კირიონი ასე სწერდა კისლოვოდსკიდან ი. ჩიჯავაძეს: „მინდა სიკვდილის შემდეგაც კიდევ ვიცოცხლო და ეხლა იმის ზრუნვაში ვარ, რომ მკვდარმა ვასაზრდოო ცოცხალი, ე. ი. ჩემს შემდეგ იმდენი დავტოვო თანხა, რომლის სარგებლით რამდენსამე საწყალს ლუკმა-პური და სწავლა უზრუნველყოფილი ჰქონდეთ. მსურს აგრეთვე ქართულ დაწესებულებაში იმოდენა ფული შევიტანო ხელუხლებელ თანხად, რომ მის სარგებელმა საზოგადო საქმეს დახმარება გაუწიოს და მით ჩვენი საერთო საქმე წინ წასწიოს“[44].

კირიონი არამარტო მატერიალურ დახმარებას უწევდა ქართველ სტუდენტებს, არამედ ბევრ მათგანს ხელმძღვანელობდა კიდეც სწავლაში. ამ მხრივ

37 № 1607.
38 № 406, წერილი XXIV.
39 № 825.
40 № 13.
41 № 811.
42 № 1220.
43 № 1286.
44 № 314.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოგი განსაკუთრებით მზრუნველობას იჩენდა ნესტორ ლეჟავას, სამუელ ცომაიას, ალექსი გიორგაძისა და კორნელი კეკელიძის მიმართ.

კირიონის არქივში დაცულ კ. კეკელიძის სტუდენტობის დროინდელი წერილებიდან ნათლად ჩანს, თუ რა დიდი როლი უთამაშია კირიონს ჩვენი მოამავალი გამოჩენილი მეცნიერის ცხოვრებაში.

„ფ დ უსამღვდელოესო მეუფეო! — წერს კ. კეკელიძე 1902 წ. 18 ოქტომბერს კიევიდან კირიონს, — პირველად ყოვლისა, საჭიროთ ვრაცხ მოგაგონოთ ჩემი თავი, ვინაიდან უკვე დავიწყებული გეყოლებით და უფუძო კიდევაც გეუცხოვებით. მე გახლავარ ის ადამიანი, რომელიც დღეს თქვენი მოწყალებით კიევის სასულიერო აკადემიაში ვსწავლობ. არ დამავიწყდება ის კრიტიკული მდგომარეობა, რომელშიდაც ვიმყოფებოდი მე სემინარიის კურსის დასრულების შემდეგ: სურვილიც მქონდა და სემინარიის მხრით საშუალებაც სწავლა გამეგრძელებინა, მაგრამ ამ ჩემს სურვილს წინ ეღობებოდა ოჯახური გარემოებანი, სწორეთ ამ დროს მოვმართე თქვენს მეუფებას მატერიალურ და ზნეობრივ დახმარებისათვის, რასაც შედეგად ის მოყვა, რომ დღეს, კიდევ ვიმეორებ, უმაღლეს სასწავლებელში ვიმყოფები. მოუთმენლად ველოდი მადლობა გამომეცხადებინა თქვენი მეუფებისათვის“[45]...

ამავე წერილში კ. კეკელიძე აცნობს კირიონს მის მიერ შერჩეულ საკანდიდატო თემებს და თხოვს მას ამ საკითხთან დაკავშირებით სათანადო რჩევა-დარიგებას.

როგორც ჩანს, კირიონს დაუყოვნებლივ გაუცია პასუხი კორნელი კეკელიძისათვის. 1903 წ. 13 მარტით დათარიღებულ წერილში კ. კეკელიძე ასე წერს კირიონს: „უაღრეს მადლობას გწირავთ, რომ თხოვნა უყურადღებოდ არ დატოვეთ და საჭირო რჩევა-დარიგება მიბოძეთ“[46]. აქვე კ. კეკელიძე აცნობებს კირიონს, რომ მან პროფ. დმიტრეევსკის რჩევით, რომელიც ძალზე დაინტერესებულა ქართული ეკლესიის ისტორიით, საკანდიდატო თემად აიღო „Богослужение грузинской церкви по существующим в Грузии литургическим памятникам“. ამ საკითხთან დაკავშირებით კ. კეკელიძე კვლავ ელის დახმარებას გულისხმიერი მასწავლებლისაგან და ეს უკანასკნელიც, როგორც ჩანს, ხალისიანად პასუხობს თავის საამდო მოწაფეს. „თქვენგან გამოგზავნილი, — წერს კ. კეკელიძე 1903 წ. 16 აპრილს კირიონს, — ყოველივე სრულებით მივიღე; დიდად მადლობელი ვარ, რომ ასეთ გულმხურვალე თანაგრძნობას უცხადებთ ჩემს საქმეს“[47].

კ. კეკელიძის ყველა წერილი უდიდესი მადლიერების გრძნობითაა გამსჭვალული კირიონისადმი. აი, თუნდაც ამის ერთი მაგალითი: „ძველად ებრაელებს ჩვეულება ჰქონდათ, — წერს კ. კეკელიძე კირიონს 1905 წ. 24 მარტით დათარიღებულ წერილში, — ყოველნაირ ახალს ანუ პირველს ნაყოფს მადლობის ნიშნად სწირავდნენ ხოლმე ამ ნაყოფის მომცემელ ღმერთს. ამისდა მიხედვით, ნება მიბოძეთ, მეც უმორჩილესად გიძღვნათ პირველი ნიმუში იმ შრომისა, რომელსაც მე ხელი მივყავი თქვენი შთაგონებითა და რჩევით[48]“.

45 № 775.
46 № 755 ა.
47 № 776.
48 № 778 ა.

მიუხედავად იმისა, რომ კირიონმა რუსეთში თითქმის 2 ათეული წელიწადი დაჰყო, მას მაინც ფართო და ამავე დროს მჭიდრო, საქმიანი ურთიერთობა აკავშირებდა იმდროინდელ ცნობილ ქართველ მწერლებთან და საზოგადო მოღვაწეებთან: ვაჟა-ფშაველასთან, ილია ჭავჭავაძესთან, აკაკი წერეთელთან, ალექსანდრე ხახანაშვილთან, ალექსანდრე ცაგარელთან, ნიკო მართან, ექვთიმე თაყაიშვილთან, ალექსანდრე და გიგა ყიფშიძეებთან, სერგი გორგაძესთან, ეკატერინე გაბაშვილთან და სხვა მრავალ მის თანამედროვე ქართველ ინტელიგენტთან.

კირიონის ეპისტოლარული მემკვიდრეობიდან მეცნიერება, რომ ი. ჩიჯავაძისა და ტ. კანდელაკის გარდა მისი გულითადი მეგობარი იყო ალ. ყიფშიძე (ფროლენი). კირიონის წერილებიდანვე ვგებულობთ აგრეთვე იმას, რომ მას ახლო ურთიერთობა ჰქონია ნ. მართან, ალ. ხახანაშვილთან და ალ. ცაგარელთან.

განსაკუთრებული სიყვარულითა და პატივისცემით იხსენიებს კირიონი თავის წერილებში ალ. ცაგარელს: ეს უკანასკნელი, როგორც ცნობილია, აქტიურად იცავდა ქართული ეკლესიის ინტერესებს და კირიონს პეტერბურგში ყოფნის დროს საშუალება ეძლეოდა საათობით ესაუბრა მასთან ამ საკითხთან დაკავშირებით.

1907 წ. 31 ოქტომბერს კირიონი კმაყოფილებით აუწყებს ი. ჩიჯავაძეს: „მარრისაგან ა. ა. ცაგარელთან წავედი, რომელიც თორმეტ საათზედ ისევ ხალათით ბოლთასა სცემდა სახლში. ამასთან თითქმის სამი საათი დავრჩი და ბევრი ვიბაასეთ ჩვენ საეკლესიო კითხვაზედ. წარსულ მაისში ამას შეუდგენია და დაუბეჭდია ხელთნაწერის უფლებით (на правах рукописей) შემდეგი ვრცელი შეხედულება თავისი „В каком положении находится обсуждение вопроса о восстановлении автокефальных прав Грузинской (Иверской) церкви?“ — საწერი ქაღალდის ფორმატის თაბახნახევარია დაბეჭდილი. ეს კითხვა გულდადებით არის შედგენილი და უტყუარი საბუთით ამტკიცებს, რომ ჩვენი საეკლესიო კითხვა კანონიერად არ იყო გაშინჯული მეორე განყოფილებაში...“[49].

ამავე წერილიდან ირკვევა, რომ ალ. ცაგარლის აზრით, საჭირო იყო ახალი კომისიის შექმნა, რომელიც თავს მოუყრიდა ყველა არსებულ მასალას ავტოკეფალიის საკითხთან დაკავშირებით და წარადგენდა მას რუსეთის მომავალ საეკლესიო კრებაზე. კომისიის წევრებად ალ. ცაგარელს თავის თავის გარდა დასახელებული ჰყავდა პროფესორები: ი. ი. სოკოლოვი, ნ. ა. ზაოზერსკი, ი. ს. პალმოვი და მღვდელი კ. ცინცაძე. ცაგარელს იმედი აქვს, — დასძენს კირიონი, — რომ ეს კომისია საქმეს შეძლებისდაკვალობაზედ რიგიანად დაამთავრებსო.

შემდეგი შეხვედრები კირიონს ალ. ცაგარელთან 1914 წლის ოქტომბრის თვეში ჰქონია. ალ. ცაგარელი მაშინ ახალი დაბრუნებული იყო ევროპიდან და, როგორც კირიონის წერილებიდან ჩანს, ის ხალისიანად უზიარებდა მას მოგზაურობის შთაბეჭდილებებს. კირიონის გადმოცემით, ალ. ცაგარელს ლონდონში უნახავს ცნობილი პროფესორი ფრედერიკ კორნუალის კონბირი, რომელსაც უკვე დაწყებული ჰქონია იაკობის ლიტურგიის თარგმნა ქართული

---

49 № 326.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ენიდან ინგლისურზე[50]. ინგლისშივე შეხვედრია ალ. ცაგარელი ოლივერ უორ-დროპს. ამ უკანასკნელს ქართველი სტუმრისათვის უჩვენებია ვახტანგ VI-ის კანონთა კრებული და „ვისრამიანი“, რომელთაც იგი იმ ხანებში ქართულიდან ინგლისურ ენაზე თარგმნიდა. „პროფ. ა. ა. ცაგარელს თავის მოგონებანი რომ დაეწერა, — დასძენს კირიონი, — ძვირფასი და მეტად საინტერესო მასალა გვექმნებოდა ეხლანდელი ჩვენი ბედშავი ცხოვრებიდან. ბევრი ბუნდოვანი მოვლენა გამოაშკარავდებოდა. ბევრ ცრუ მამულიშვილს დაუმსახურებელი ღირსება აეყრებოდა, რიდე ჩამოეხსნებოდა და ნამდვილი პირისახე გამოჩნდებოდა“[51].

თუ რამდენად მაღალ შეფასებას აძლევდა ალ. ცაგარლის პიროვნებას კირიონი, ეს კარგად ჩანს მის სხვა წერილშიაც. 1914 წ. 17 ოქტომბერს კირიონი ასე სწერდა ტარასის: „პროფესორი ა. ა. ცაგარელი ცოტ-ცოტას იგონებს წარსული დროებიდან შემთხვევებს და მეც ვსარგებლობ ამის მოგონებებით, რადგანაც შემდეგში მათ მნიშვნელობა ექნებათ, როგორც საისტორიო უტყუარ მასალებს“[52].

კირიონის არქივში უხვად არის წარმოდგენილი ისეთი მასალა, რომელიც გარკვევით მიუთითებს ქართველი საზოგადოების ღრმა პატივისცემასა და სიყვარულზე კირიონის მიმართ.

ალ. ხახანაშვილი, როგორც ჩანს, ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც შესანიშნავად იგრძნო კირიონის პიროვნება და წინასწარ განსჭვრიტა მისი მომავალი ხვედრი და ის როლი, რაც მას უნდა ეთამაშნა ქართველი ხალხის კულტურულ ცხოვრებაში. 1896 წ., როდესაც კირიონი ბერად აღიკვეცა. ალ. ხახანაშვილმა ასეთი წერილი მისწერა კირიონს: „არ ვიცი, როგორ მოგმართო: ძველებურად, თუ იმ სახელით, რომელიც დაირქვი, ძმაო გიორგი და მამაო კირილე! წმინდა საქმეა ბერობა და მორწმუნე კაცის გულს სასოებით ავსებს. მე ამ შენს სარწმუნოებრივ საქციელს ვუყურებ ქვეყნიური თვალითაც. მე მრწამს, რომ შენ, როგორც მამულის მოყვარეს, გაგიძრახავს თავი შესწირო სასულიერო სამსახურს ქართველი ტომის სადიდებლად და შეიმოსე ბერად იმ დროს, როცა შენი ასაკის კაცი კიდევ ღელავს და სწყურის სიამოვნება, ტრფიალება, თავისუფლება. თაყვანს ვსცემ ყოველს ნაბიჯს ჩემი თანამემამულისას, რომელიც გამსჭვალულია სამსახურის აზრით სამშობლო ნიადაგზედ და ამიტომ გილოცავ ახალს ასპარეზზედ გამოსვლას და გისურვებ პირნათლად ღვთისა და კაცთა წინაშე შეგესრულებინოს შენი მოვალეობა“[53].

კირიონის დიდი თაყვანისმცემელი ყოფილა აგრეთვე აკაკი წერეთელი, რასაც ადასტურებს მის მიერ გაგზავნილი წერილი ი. ჩიჯავაძისადმი. ამ წერილში აკაკი გამოთქვამს გულწრფელ აღშფოთებას იმის გამო, რომ კირიონი სამუშაოდ რუსეთში გაამწესეს (აკაკის წერილი დაუთარიღებელია, ჩვენის აზრით, ის დაწერილი უნდა იყოს 1907 წ., როდესაც ცნობილი გახდა კირიონის გადაყვანა სოხუმიდან კოვნოში).

„ჩემ მიერ შეჩვენებულო იოსებ, — წერს აკაკი წერეთელი ი. ჩიჯავაძეს, — «თვით არ იყო ძმარიო და მოემატა წყალიო!» სწორედ ასე მოგვივიდა:

---

50 № 162.

51 № 167.

52 № 165.

53 № 1312.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კირიონის ამბავმა ლახვარი გამიყარა!.. რაც იმედები მქონდა, სულ გამიქარწყლა, მაგრამ ახლა ამაზედ გლოვის დრო აღარ არის! კაცმა უნდა წამხდარი საქმე კიდევ უკეთ გამოაგვაროს. მაგ საქმის გამოგვარება სასიკეთოდ ადვილად შეიძლება, მხოლოდ ცდა უნდა და ცოტაოდენი გამჭრიახობა. გადავიდეს დროებით, არაფერია, და ისევ მალე გადმოვა აქეთ. თავს არ დავზოგავ. წავალ პეტერბურგში და თუ ჩემი არ გავიტანე, ცოცხალი აღარ დავბრუნდები და მტრებს კი აღარ გავახარებ. მე ვიცი, როგორც უნდა გამოტრიალება საქმის. აქეთ საჭიროა მარჯვე კაცი და თუ მომიბრუნებს გულს შენზე, კირიონის საქმე...“[54].

კირიონის არქივში თავმოყრილი სხვა მასალაც შესანიშნავად გამოხატავს იმას, თუ როგორ მტკივნეულად განიცდის ქართველი ხალხი თავის სამაგალითო მამულიშვილის ყოველგვარ დამცირებას მეფისდროინდელი რუსეთის სასულიერო მთავრობის მიერ. 1908 წელს, როდესაც კირიონი დაითხოვეს უეპარქიოდ და კურიაჟის მონასტერში გააძევეს, სამუილ ცომაია (იმ დროს კიევის სასულიერო აკადემიის სტუდენტი) ასე სწერდა კირიონს: „მეუფეო, სიტყვა ვერ მომიძებნია — რა ვუწოდო სინოდის განკარგულებას თქვენი სამსახურიდან დათხოვნის შესახებ...“[55].

ამავე წერილში ცომაია აღნიშნავს, რომ სინოდის უკანასკნელი განკარგულება კიდევ უფრო აორკეცებს ყოველი პატიოსანი და „კეთილმოაზროვნე“ ადამიანის სიმპათიასა და სიყვარულს კირიონის მიმართ. წერილის დასასრულს იგი მოსწავლე ახალგაზრდობის დავალებით თანაგრძნობას უცხადებს კირიონს და გამოთქვამს მათ სურვილს, რათა სამერმისოდაც ასეთივე თავგამოდებით განაგრძოს მან მუშაობა სამეცნიერო ასპარეზზე.

განსაკუთრებით დიდი შეშფოთება გამოუწვევია ქართველ ხალხში კირიონის გადაყვანას სანაქსარის უდაბნოში. როგორც მალაქია ბოლქვაძის 1909 წ. 25 ნოემბრით დათარიღებული წერილიდან ვგებულობთ, ყველგან, სადაც კი თავს მოიყრიდა პატარა საზოგადოება, საზოგადო დაწესებულებასა, კერძო სახლსა, თუ ქუჩაში მხოლოდ კირიონის სახელი გაისმოდა. ქართველი ხალხი სასოებითა და თაყვანისცემით იხსენიებდა საქართველოსათვის მრავალტანჯულ კირიონს. „ხალხმა, ერმა, — სწერს მ. ბოლქვაძე კირიონს, — უკვე დააფასა თქვენი სამაგალითო ღვაწლი და თქვენს სახელს სამარადისო შარავანდედი მოჰფინა. ეს სიტყვები საქართველოში მიღებულ შთაბეჭდილებათა ნაყოფია“-ო[56].

მთელი იმდროინდელი ქართველი ინტელიგენცია ერთსულოვნად აღმდგარა კირიონის პიროვნების დასაცავად. როგორც ი. ჩიჯავაძის ერთ-ერთი წერილიდან ირკვევა, ქუთაისში კირიონზე საჯაროდ წარმოუთქვამთ სიტყვა კიტა აბაშიძეს, დავით მიქელაძეს და ნიკოლოზ თავდგირიძეს, რის გამოც ისინი დაუპატიმრებიათ[57].

ქართველი ინტელიგენციის თაოსნობითვე თავადაზნაურობის წინამძღოლს — პავლე თუმანიშვილს გაუგზავნია მიმართვა კავკასიის მეფის ნაცვლისადმი — გრაფ ილარიონ ივანეს ძე ვორონცოვ-დაშკოვისადმი, რომელშიაც

54 № 1535.

55 № 1296.

56 № 500.

57 №№ 1237, 1238.

იგი დაბეჭითებით მოითხოვდა კირიონის გადმოყვანას საქართველოში. მიმართვაში წერია, რომ ქართველი ხალხისათვის ძვირფასია კირიონის სახელი, როგორც არქეოლოგისა და ისტორიკოსისა, როგორც ისეთი პიროვნებისა, რომლის მეცნიერული შრომები წარმოადგენს დიდ ღირებულებას და რომ ასეთი კულტურული ძალის დაკარგვას ვერაფრით ვერ აინაზღაურებს ქართველი ერი.

მიმართვის დასასრულს ვკითხულობთ: „თქვენო აღმატებულებავ, ჩემს თქვენდამი მიმართვაში შეგიძლიათ გაიგოთ ასეული და ათასეული ქართველის ხმა, რომელიც გემუდარებათ თქვენ გადაარჩინოთ მათთვის ძვირფასი ადამიანი“[58].

კირიონის პოპულარობა საქართველოს საზღვრებს სცილდებოდა. ამას ცხადყოფს მის არქივში შემონახული რუსი, უკრაინელი, გერმანელი და იტალიელი საზოგადო მოღვაწეების, მეცნიერებისა და სასულიერო პირების წერილები.

აღსანიშნავია, რომ კირიონის სახელის პოპულარიზაციაში გარკვეული როლი ითამაშა 1901 წ. მის მიერ გელათის მონასტერში მიკვლეულმა ბერძნულმა სახარებამ, რომელიც ამჟამად „კორიდეთის ოთხთავის“ სახელწოდებით არის ცნობილი.

1902 წელს, როდესაც კირიონი კამენეც-პოდოლსკში გადაიყვანეს, მას ბერძნული სახარება გადაუცია თბილისში მცხოვრები გერმანელი ბერისათვის — გუსტავ ბერმანისათვის, რომელსაც განზრახული ჰქონია მისი გამოქვეყნება, მაგრამ შემდეგში კირიონი შეშფოთებულა იმის გამო, რომ ეს ხელნაწერი არ დაკარგულიყო და დაბეჭითებით მოუთხოვია ბერმანისგან, სახარება თბილისის საეკლესიო მუზეუმისათვის გადაეცა[59].

კირიონის არქივში შემონახულია გ. ბერმანის წერილები კირიონისადმი, რომლებშიაც იგი ემუდარება კირიონს, ენდოს მის პატიოსნებას და აღროს მას ამ ხელნაწერზე მუშაობა.

1903 წ. 7 თებერვალს ბერმანი ასე სწერდა კირიონს: „მე მიწერ-მოწერა მაქვს მეცნიერებათა აკადემიებთან პეტერბურგსა და გერმანიაში.

„ხელნაწერი უკვე ცნობილია რუსეთისა და საზღვარგარეთის მეცნიერებს შორის და ყველა ცხოველ მონაწილეობას იღებს მის დამუშავებაში.

„თქვენ საქმე გაქვთ პატიოსან ადამიანთან, რომელიც მუშაობს ბევრი მეცნიერის მეთვალყურეობისა და ხელმძღვანელობის ქვეშ“[60].

1903 წლის ივნისის თვეში გ. ბერმანი სამუშაოდ გადაუყვანიათ „ცარსკოე სელოში“, სადაც იგი კვლავ განაგრძობდა ბერძნული სახარების დამუშავებას. იმავე წლის ზაფხულში მასთან ყოფილა ლაიპციგელი პროფესორი გრეგორი, რომელიც ბერმანთან ერთად გატაცებით მუშაობდა „კორიდეთის ოთხთავზე“[61].

58 № 22 (დედანი რუსულ ენაზეა).

59 № 39.

60 № 462. გ. ბერმანის წერილები რუსულ ენაზეა.

61 კორიდეთის ოთხთავის ტექსტი გამოკვლევითურთ გამოსცეს გ. ბერმანმა და გრეგორიმ 1913 წ. ლაიპციგში.

ბერძანის წერილებიდან ისიც გარკვეით ჩანს, რომ ამ ოთხთავისა და სხვა ფულ კორიდეთის შესახებ ყველა საჭირო ცნობას იგი კირიონისაგან იღებდა.

კირიონის საარქივო მასალებიდან ისიც ირკვევა, რომ გერმანიიდან ჩამოსულ ელჩს საგანგებოდ მიუმართავს სინოდის ობერ-პროკურორ საბლერისათვის, რათა მიეცა მას ცნობები იმ ბერძნული სახარების შესახებ, რომელიც თბილისის მახლობლად ყოფილა აღმოჩენილი (ცხადია, ამ სახარებაში იგულისხმებოდა „კორიდეთის ოთხთავი"). საბლერს, თავის მხრივ, მიუმართავს კირიონისათვის, რათა დახმარება გაეწია მისთვის ამ საქმეში.

საზღვარგარეთ კირიონის სახელისა და, საზოგადოდ, ქართული კულტურის პოპულარიზაციაში გარკვეული წვლილი მიუძღვის აგრეთვე კათოლიკური ეკლესიის იტალიელ ბერს აურელიო პალმიერის, რომელიც დიდ ინტერესს იჩენდა ქართული ეკლესიის ისტორიის მიმართ. პალმიერის თხზვინით მიუმართავს პეტერბურგის სასულიერო აკადემიის პროფესორ ნ. გლობოკოვსკისათვის, რათა მიეთითებინა მისთვის ამ დარგის საუკეთესო სპეციალისტზე. გლობოკოვსკის ასეთ პიროვნებად კირიონი დაუსახელებია[62].

მართლაც, 1903 წ. მაისის თვეში კირიონს მიუღია წერილი იტალიიდან აურელიო პალმიერისაგან. ამ წერილში პალმიერი აცნობებდა კირიონს, რომ ბროსეს საქართველოს ისტორიის წაკითხვის შემდეგ მას დაბადებია ქართული ეკლესიის ისტორიის შესწავლის სურვილი. წერილის ავტორი თხოვდა კირიონს დახმარებოდა მას ამ საქმეში და მოემარაგებინა იგი საჭირო წიგნებით[63].

კირიონს მაშინვე გაუგზავნია აურელიო პალმიერისათვის თავისი თხზულებები და წერილობით შეჰპირებია, რომ ყოველგვარ დახმარებას გაუწევდა ქართული ეკლესიის ისტორიის შესწავლაში[64].

როგორც ჩანს, კირიონი პირნათლად ასრულებდა თავის დანაპირებს. იგი არ ზოგავდა არც დროს, არც ენერგიასა და წერების განმავლობაში იჩენდა მისთვის დამახასიათებელ მზრუნველობასა და გულისხმიერებას იტალიელი ბერის მიმართ.

აი, ამის თუნდაც ერთი მაგალითი: ერთ-ერთ წერილში კირიონი ასე წერს ი. ჩიჯავაძეს: „როგორც თუ ამ წერილს მიიღებ, თუ იდგე, არ დაჯდე, თუ იჯდე, ფიცხლავ ადექ და წერა-კითხვის წიგნების მაღაზიაში გამოართვი ჩემ ანგარიშში შემდეგი წიგნები: 1) Вес. Кавказа, 2) ქართლის ცხოვრება — ჭიჭინაძის გამოცემა, 3) ტიმოთეს მოგზაურობა, 4) ქართული გრამატიკა ჟორდანიასი და ბენაშვილისა, 5) ქართული გრამატიკა მოსე ჯანაშვილისა (მე მგონი დაჰბეჭდა), 6) ბაქრაძის ისტორია და წერა-კითხვის წიგნების მაღაზიის კატალოგი.

ეს წიგნები შემდეგის ადრესით უნდა გამოუგზავნო: Петербург, Профессору Университета А. Папандопуло-Керамевс, Фонтанка 9, № 97, кв. 13. Для передачи О. Пальмиери"[65].

აურელიო პალმიერი დიდი გატაცებით შესდგომია ქართული ეკლესიის

62 № 592.

63 № 897 (პალმიერის წერილები ფრანგულ ენაზეა).

64 № 42.

65 № 331.

ისტორიის შესწავლას. ჩქარა იგი ისე დაუფლებია მეცნიერების ამ დარგს, რომ ბიბლიის ქართული ვერსიების შესახებ შრომის წერასაც შედგომია".

„თქვენი ეკლესიის ისტორია იმდენად შესანიშნავია, — წერს ერთ-ერთ წერილში პალმიერი კირიონს, — რომ ჩემთვის დიდ სიამოვნებას წარმოადგენს მისი შესწავლა. ჩქარა გავუკეთებ რეზიუმეს თქვენს საუცხოო თხზულებას, რომელიც შეეხება ქართული ეკლესიის ისტორიას მე-19 საუკუნეში და დავიწყებ შრომის წერას ბიბლიის ქართული ვერსიების შესახებ"[66].

აურელიო პალმიერი აღფრთოვანებული იყო კირიონის შრომებითა და პიროვნებით. „მე მიყვარს ქართული ეკლესიის ისტორია, — წერს 1904 წ. 13 სექტემბრით დათარიღებულ წერილში პალმიერი კირიონს, — და მუყაითად ვსწავლობ მას. ეს სიყვარული კიდევ უფრო გაიზარდა მას შემდეგ, რაც თქვენი წიგნების კითხვა დავიწყე. პეტერბურგის საიმპერატორო ბიბლიოთეკაში მე კარგად გავეცანი გამოცემებს „პასტირს", „დუხოვნი ვესტნიკს", „კავკაზს" და ბედნიერად ვრაცხ ჩემს თავს იმის გამო, რომ იქ ხშირად ვხვდებოდი თქვენს სახელს.

„მოგმართავთ კლავ თქვენ, თქვენო უსამღვდელოებავ, და გთხოვთ დამეხმაროთ ჩემს განზრახვაში: გაუხადო ცნობილი საზღვარგარეთ საქართველოს დიდება, ქართული ეკლესიის ისტორია, რომელიც არა ნაკლებადაა დიდების ღირსი"[67].

ამავე წერილში პალმიერი აცნობებს კირიონს, რომ ის რუსეთში ჩამოვიდა, როგორც ვატიკანის ბიბლიოთეკის დელეგატი, იმ მიზნით, რომ მოახდინოს ვატიკანისა და რუსული მეცნიერული საზოგადოებების გამოცემათა გაცვლა-გამოცვლა.

პალმიერი თავაზობს ვატიკანის გამოცემათა კატალოგს და თხოვს დაეხმაროს მას, რათა ამის საფასურად მიიღოს მან „პასტირი", „დუხოვნი ვესტნიკი" და „კავკასიის არქეოგრაფიული და არქეოლოგიური კომისიის კრებული და აქტები". დასასრულ პალმიერი წერს: „თაყვანს გცემთ, როგორც ქართული ეკლესიის ყველაზე უფრო სახელოვან და სწავლულ წარმომადგენელს და მწამს, რომ თქვენ მუდამ კეთილად იქნებით განწყობილი ჩემს მიმართ"[68].

სხვა წერილში აურელიო პალმიერი აცნობებს კირიონს, რომ ვატიკანის ბიბლიოთეკა დიდად გახარებული იქნებოდა, თუ კი მიიღებდა გაზ. „ივერიას"[69].

1904 წლის 5 ოქტომბერს პალმიერი წერს კირიონს მოსკოვიდან, რომ მას დიდი სურვილი აქვს ინახულოს ერთი დღით მაინც კირიონი ირაიოლში, რათა მიეცეს საშუალება ისაუბროს მასთან კირიონის სამშობლოზე, იმ ქვეყანაზე, რომელიც მას ძალიან უყვარს მიუხედავად იმისა, რომ არასოდეს არ უნახავს იგი ახლოს[70].

ასე შეაყვარა კირიონმა საქართველო უცხოელ მოღვაწეს და არა მარტო მას.

საარჩევო მასალები ცხადყოფს, რომ კირიონის უშუალო ზეგავლენით ქარ-

66 № 903.
67 № 899.
68 იქვე.
69 № 902.
70 № 900.

თული კულტურისადმი დიდ ინტერესს ამჟღავნებდნენ იმ დროისათვის ცნობილი რუსი და უკრაინელი მეცნიერები: ი. სოკოლოვი, ი. ევსევიევი, ნ. პალმოვი, ლ. დმიტრიევი, პ. იუნგეროვი, ი. კოროლკოვი და სხვანი.

მათი მადლიერებით სავსე წერილებიდან ჩანს, თუ რა დაუზარებლად აწოდებდა კირიონი თითოეულ მათგანს საჭირო ცნობებსა და წიგნებს ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით. სანიმუშოდ შეიძლებოდა დავცმაყოფილებულიყავით ერთ-ერთი წერილით:

„უღრმესი და გულითადი მადლობა თქვენ, დიდად პატივცემულო მეუფეო, — წერს ლ. დმიტრიევი კირიონს 1912 წ. 23 ნოემბრით დათარიღებულ წერილში, — თქვენი თავაზიანი, მოწყალე, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, მამური დამოკიდებულებისათვის ჩემს მიმართ, უღირსისადმი. თქვენი ასეთი დამოკიდებულება ჩემთვის მით უფრო ძვირფასია, რომ გამოტეხით უნდა ვთქვა, არაფერით არ დამიმსახურებია ეს თქვენს წინაშე, იმის ბედნიერებაც კი არა მაქვს, რომ პირადად მიცნობდეთ, მიუხედავად ამისა, თქვენ, მეუფეო, არ [illegible] ებთ მე ყურადღების გარეშე და დროდადრო მასაჩუქრებთ მეცნიერული ღირებულებით ძალზე ძვირფასი ცნობებით“[71].

რუს და უკრაინელ მეცნიერთა შორის კირიონს მეგობრებიც ჰყავდა. განსაკუთრებით ახლო ურთიერთობა ჰქონია მას ხარკოვის უნივერსიტეტის დოცენტ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე დურნოვოსთან, რომელიც, როგორც ცნობილია, დიდი თაყვანისმცემელი იყო საქართველოს წარსული ისტორიისა და გატაცებით იბრძოდა ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობისათვის. ამ საკითხთან დაკავშირებით დაწერა სწორედ მან წიგნი „ „Судьбы Грузии“, რომლის ერთი ეგზემპლარი საჩუქრად კირიონისათვის გაუგზავნია. „დაუფასებელია თქვენი ღვაწლი ქართული ეკლესიის წინაშე, — წერდა კირიონი დურნოვოს, — პირველ რიგში თქვენი თხზულებებისა და სტატიების ზეგავლენით დავწყე მე ჩემი მრავალტანჯული სამშობლოს ეკლესიის ისტორიის შესწავლა“[72].

ასე აფასებდა კირიონი ნ. დურნოვოს და ეს უკანასკნელიც არა ნაკლები პატივისცემითა და სიყვარულით პასუხობდა მას. დურნოვოს წერილების მკითხველს ისეთი შთაბეჭდილებაც კი რჩება, რომ კირიონის ყოველგვარ უსიამოვნებას ის ისე განიცდის, როგორც საკუთარ უბედურებას.

საგულისხმოა, რომ 1907 წელს, როდესაც უკვე ცნობილი გახდა კირიონის გათავისუფლება სოხუმიდან, ნ. დურნოვოს მიტროპოლიტ ანტონისა და ობერპროკურორისათვის მიუწერია წერილი, რომელშიაც იგი გაბედულად ჭიცხავდა სინოდს და თავგამოდებით იცავდა კირიონსა და ქართული ეკლესიის ინტერესებს. ამავე წერილში დურნოვო აძლევდა მათ პასუხისათვის გარკვეულ ვადას, წინააღმდეგ შემთხვევაში ის ემუქრებოდა, რომ ამ წერილის ორასი ათას პირს დაბეჭდავდა და მთელ რუსეთს გააგებინებდა სინოდის უსამართლობას[73].

არქივში შემონახულია აგრეთვე ნ. დურნოვოს წერილი ი. ჩიჯავაძისადმი, რომელშიაც იგი ურჩევს ქართველებს მიმართონ თხოვნით რუსეთის იმპე-

71 № 627. დედანი რუსულ ენაზეა.

72 № 188. დედანი რუსულ ენაზეა.

73 № 295.

რატორს, რათა დაებრუნონ საქართველოში კირიონი და აღუდგინონ ქართული ეკლესიას დამოუკიდებლობა[74].

დიდი თანაგრძნობით ეკიდებოდა აგრეთვე კირიონის საქმიანობას პროფესორი ივანე ივანეს ძე სოკოლოვი, რომელიც 1905 წლიდან ქართული ეკლესიის ისტორიის კურსს კითხულობდა ს. პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში. გადაჭარბებული არ იქნებოდა, ალბათ, იმის თქმა, რომ ინტერესი საქართველოს წარსული კულტურისადმი, კერძოდ კი, ქართული ეკლესიის ისტორიისადმი, ივ. სოკოლოვს კირიონმა აღუძრა; ყოველ შემთხვევაში მათი მიმოწერა იმას კი ცხადყოფს, რომ პროფ. სოკოლოვისათვის კირიონი დიდ ავტორიტეტს წარმოადგენდა და რომ თავის საქმიანობასთან დაკავშირებით ყოველ საჭირო შემთხვევაში პირველ რიგში სწორედ მას მიმართავდა ხოლმე. კირიონი აძლევდა სოკოლოვს აუცილებელ ცნობებს ამა თუ იმ საკითხის შესახებ და ამარაგებდა კიდეცაც მას სათანადო ლიტერატურით[75].

საარქივო მასალებიდან ირკვევა აგრეთვე ისიც, რომ პროფ. ივ. სოკოლოვი აქტიურად იცავდა ქართული ეკლესიის ინტერესებს. ასე მაგ., 1905 წლის შემოდგომაზე, სინოდში, ერთ-ერთი კომისიის სხდომაზე, რომელიც ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხს იხილავდა, პროფ. ი. სოკოლოვს წაუკითხავს მოხსენება, რომელშიაც იგი ბირძნული წყაროების მოშველიებით ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის კანონიერებას ამტკიცებდა. კომისიის წევრებს მართებულად მოუწნევიათ სოკოლოვის ეს შეხედულება და გამოუტანიათ დადგენილება, რომ ქართულ ეკლესიას მინიჭებოდა დამოუკიდებელი მმართველობის უფლება.

„კარგი იქნება, — წერს ამ შემთხვევასთან დაკავშირებით კირიონი 1905 წლის 3 დეკემბერს იოსებ ჩიჯავაძეს, — რომ ივან ივანიჩ სოკოლოვს, — მადლობის წერილი მოსწეროთ და მით გაამხნეოთ იგი მომავალ მძიმე შრომისათვის“[76].

ივ. სოკოლოვი ენერგიულად განაგრძობდა ქართული ეკლესიის ინტერესების დაცვას. იმავე წლის 9 დეკემბერს, სინოდის ერთ-ერთ კრებაზე, რომელსაც პეტერბურგის მიტროპოლიტი ანტონი თავმჯდომარეობდა, მას კვლავ წაუკითხავს მოხსენება საქართველოს ეკლესიის წარსულზე და კვლავ მოუთხოვია დაებრუნებინათ ქართული ეკლესიისათვის დამოუკიდებლობა[77].

„დღეს, 11 დეკემბერს, — აცნობებს 1905 წ. 11 დეკემბრით დათარიღებულ წერილში ალექსი გიორგაძე კირიონს, — სოკოლოვმა მომწერა: ობერ-პროკურორმა დამიბარა შესახებ საქართველოს ეკლესიისაო. სოკოლოვი დიდ ამაგს დებს ჩვენთვის, რომლისათვისაც ის დიდი მადლობის ღირსია“[78].

საგულისხმოა აგრეთვე ისიც, რომ 1906 წლის ივნისში, როდესაც კირიონს სინოდის კრებაზე წაუკითხავს თავისი მოხსენება „Какой Иверии дана была автокефалия в XI веке“, პროფ. სოკოლოვს მაღალი შეფასება მიუცია კირიონის ამ მოხსენებისათვის და მოუთხოვია მისი დაბეჭდვა პირველ რიგში იმ

---

74 № 1525.

75 №№ 1076, 1085, 1086.

76 № 243.

77 549.

78 იქვე.

მოტივით, რომ მასში წამოყენებული ახალი „შესანიშნავი მოსაზრებანი“ დასაბუთებული იყო მათთვის აქამდის უცნობი წყაროებით[79].

ყურადღებას იქცევს ასევე ის გარემოება, რომ ი. სოკოლოვს სტუდენტ ს. ცომაიასათვის საკანდიდატო თემად მიუცია „Власть и права Грузинских каталикосов“. ამით იგი, როგორც ჩანს, ამზადებდა უფრო მყარ ნიადაგს ქართული ეკლესიისათვის დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად[80]

1914 წელს ი. სოკოლოვს უმოგზაურია საქართველოში, სადაც მას საგანგებოდ უმუშავია ქართულ ხელნაწერებზე. იმავე წლის 9 სექტემბრით დათარიღებულ წერილში კირიონი ასე წერდა ტ. კანდელაკს: „პროფ. ი. ი. სოკოლოვი, რომელმაც ზაფხულში საქართველოში იმგზავრა, იყო დღეს ჩემთან და დიდ განცვიფრებაშია ჩვენი ხელნაწერებით“[81]. ხოლო იმავე წლის 3 ნოემბერს კირიონი შემდეგ ცნობას აწვდის ტარასის: „წუხელ ვიყავი პროფ. ი. ი. სოკოლოვთან მიწვეული, ბევრი მელაპარაკა შესახებ ჩვენი საეკლესიო ისტორიისა, ბევრი ახალი ძვირფასი ცნობა ამოუჩენია ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალიაზედ“[82].

კირიონის პიროვნების დასახასიათებლად განსაკუთრებით საინტერესო ცნობებს გვაწვდის პროფ. ი. ი. ევსეევის წერილი.

ი. ევსეევი კირიონს, როგორც ჩანს, კამენეც-პოდოლსკში გაუცვნია. 1903 წ. 13 აპრილს ევსეევი ასე წერდა კირიონს ხერსონში: „ღრმა მწუხარებით გაცილებთ ჩვენ კამენეციდან და დღევანდლამდე არ შეგვიძლია შევურიგდეთ იმ აზრს, რომ ჩვენგან გაფრინდა ერთადერთი იმედი, გვეცხოვრა გააზრებული და იდეური ცხოვრებით“[83].

ი. ევსეევის სხვა წერილებიდან აშკარად იგრძნობა, რომ კირიონი იყო ყველგან შემოქმედებითი მუშაობის ერთ-ერთი იდეური ხელმძღვანელი.

„როგორც მე წინასწარ ვფიქრობდი, — წერს იმავე წლის 20 სექტემბერს ევსეევი კირიონს, — თქვენი წასვლის შემდეგ კამენეცში შეწყდა ჩვენი განათლება მეცნიერულ საფუძველზე“[84].

1904 წ., როგორც ცნობილია, კირიონი ორიოლში გადაიყვანეს. აქ მას განუზრახავს კამენეციდან გამოეწვია ი. ევსეევი ორიოლის სასულიერო სემინარიის ინსპექტორად. იმავე წლის 21 მაისით დათარიღებულ წერილში ევსეევი ასე წერს კირიონს: „ძალიან გამახარა თქვენმა დანიშვნამ ორიოლის კათედრაზე. თქვენ უსამღვდელოებას სურვილი ჰქონდა გაეღრმავებინა ეს სიხარული თქვენი მოწყალე დამოკიდებულებით ჩემს მიმართ — წინადადებით, რომ თქვენი ხელმძღვანელობის ქვეშ ვიმუშაო ორიოლის სემინარიის ინსპექტორის თანამდებობაზე. მართალია, ინსპექტორობა ძალზე მძიმეა და მე ამით ძალზე გადაღლილი ვარ, მაგრამ სიამოვნებით ვიღებ მაინც თქვენს წინადადებას დარწმუნებული რა იმაში, რომ სამსახური თქვენთან ანაზღაურებული იქნება დიდი მორალური კმაყოფილებით“[85].

---

79 №№ 277—281.

80 № 1300.

81 № 156.

82 № 170.

83 № 689.

84 № 690.

85 № 692.

მართლაც, 1904—1905 წლებში კირიონი და ევსეევი მეგობრულად ცხოვრობდნენ ორიოლში და თანაც ცხოველ მეცნიერულ მუშაობას ეწეოდნენ. ეს მეგობრობა გაგრძელდა მას შემდეგაც, რაც კირიონი გადაყვანილ იქნა ორიოლიდან.

1906 წლის 22 მაისს ი. ევსეევი კმაყოფილებით აცნობებს კირიონს, რომ ორიოლის საეკლესიო არქეოლოგიურმა საზოგადოებამ, რომლის სულის ჩამდგმელი კირიონი იყო, გაუგზავნა მას ამ საზოგადოების საპატიო წევრობის დიპლომი[86].

ი. ევსეევს მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე გაჰყვა დიდი სიყვარული და თაყვანისცემის გრძნობა კირიონისადმი. 1912 წ., როდესაც ის უკვე პროფესორად მუშაობდა პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში, ასეთ თბილ და მოწიწებით სავსე წერილს სწერდა კირიონს: „მე განუზომლად გამახარა უტყუმა ცნობამ თქვენს შესახებ. როგორი სურვილი მაქვს თქვენი ნახვის, როგორ მსურს გაგიზიაროთ ჩემი განცდები, როგორც ეს იყო წინათ, ჩემი ინსპექტორობის წლებში“[87]...

კირიონის არქივში შემონახულია აგრეთვე ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე პალმოვის 32 წერილი, რომელთა მთავარ თემას შეადგენს ასტრახანის არქიეპისკოპოსი გაიოზი და იმერეთის კათალიკოსი მაჩაბელი აბაშიძე. ამ ქართველ სასულიერო პირთა შესახებ ავტორი გამოთქვამს საგულისხმო შეხედულებებს და თან ეკამათება კირიონს იმის გამო, რომ, მისი აზრით, კირიონის მიერ სანაქსარში მოპოვებული საარქივო მასალა შეეხება არა არქიეპისკოპოს გაიოზს, არამედ არქიდიაკონ გაიოზს, რომელიც ასტრახანში არასოდეს არ ყოფილა. თავისი შეხედულების დასამტკიცებლად შემდეგში ნ. პალმოვს კირიონისათვის გაუგზავნია მის მიერ მიკვლეული ახალი დოკუმენტის ასლი, კერძოდ, ანტონ I-ის წერილი ასტრახანის ეპისკოპოსისადმი, რომელიც არქიდიაკონ გაიოზის შესახებ საყურადღებო ცნობებს შეიცავდა.

პალმოვის წერილებიდან ისიც მეძლევნება, რომ მას აღმოუჩენია კათალიკოს მაქსიმეს მიტრა და ომოფორი[88].

ნ. პალმოვის ამ ახალი მონაპოვრის შესახებ საყურადღებო აზრი გამოუთქვამს კირიონს, რის გამოც 1912 წ. აპრილის 21-ით დათარიღებულ წერილში ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე მადლობას უძღვნის მას[89].

ასე შეთანხმებულად მუშაობდნენ ნ. პალმოვი და კირიონი ძველი ქართული კულტურის საკითხებზე.

თუ რა დიდ ავტორიტეტს წარმოადგენდა კირიონი პალმოვისათვის და როგორ უყვარდა მას კირიონის სამშობლო, ამას შესანიშნავად გამოხატავს მისი 1917 წ. 17 აპრილით დათარიღებული წერილი, რომელშიაც იგი ულოცავს კირიონს ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენას. „გთხოვთ, შეიტყოთ მეც თქვენს სიხარულს, რადგან ვმუშაობდი რა კავკასიის სიძველეებზე, მე თვით თვალნათლივ დავრწმუნდი, რომ საქართველოს სრული ავ-

---

86 № 697.

87 № 701.

88 №№ 907, 910, 916—921.

89 № 925.

ტოკეფალიის უფლება ჰქონდა და ვუმტკიცებდი ამას მრავალ სხვა გავლენიანი პირს“[90].

ბიბლიოთეკა

აქვე პალმოვი სიამაყის გრძნობით აღნიშნავს, რომ მას ჰქონდა ბედნიერება კიევის სასულიერო აკადემიიდან გამოეშვა კურს დამთავრებული ქართველობა: ო. ა. ფირცხალავა, პატარაშვილი და სირაძე, რომლებიც, მისი აზრით, გულმოდგინედ შეუდგებიან ძველი ქართული ძეგლების შესწავლას. „თქვენ, მეუფეო, — მიმართავს პალმოვი კირიონს, — აუცილებელია შემოიკრიბოთ ყველა ის, ვინც მოისურვებს მეცნიერებაში მუშაობას. თქვენს გარშემო უნდა შეიქმნას სწავლულთა ჯგუფი, რომელთაც თქვენ გაამხნევებდით და შთააგონებდით, როგორც საქართველოს ყველაზე უკეთესი მცოდნე და პატრიოტი...“

ასე გააცნო კირიონმა რუს მეცნიერებს ქართული კულტურა, ასე აღუძრა მათ ინტერესი ჩვენი ქვეყნის წარსულისადმი და ზოგ მათგანს საგანგებო კვლევითი მუშაობაც კი დააწყებინა ამ სფეროში.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ კირიონის არქივში უხვად არის წარმოდგენილი აგრეთვე რიგითი ადამიანების წერილები. როგორც ჩანს, ამ უბრალო ადამიანებისათვის, განურჩევლად ეროვნებისა, კირიონი იყო სიმბოლო პატიოსნებისა, სამართლიანობისა და სიკეთისა.

ცხადია, სხვათა წერილების გარეშე კირიონის პიროვნება ჩვენთვის ბოლომდე შეუცნობელი დარჩებოდა. ეს წერილებია, რომ განუზომლად ამდიდრებს ჩვენს წარმოდგენას კირიონზე და ხორცშესხმულად გვიხატავს მას როგორც ადამიანსა და მოქალაქეს.

ასეთია ზოგადი მიმოხილვა კირიონის იმ პირადი არქივისა, რომელიც ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებშია დაცული. ამ არქივის გაცნობამ დაგვარწმუნა, რომ, საზოგადოდ, ქართული კულტურითა და, კერძოდ, კირიონის პიროვნებით დაინტერესებული მკვლევარი, ბევრ საგულისხმო მასალას ჰპოვებს მასში.

Э. М. АБРАМИШВИЛИ

ЛИЧНЫЙ АРХИВНЫЙ ФОНД КИРИОНА (ОБЗОР)

(Резюме)

Личный архив известного общественного деятеля и историка католикоса Грузии Кириона (Георгия Садзаглишвили), хранящийся в Институте рукописей им. К. Кекелидзе, состоит из 1607 единиц.

Основная часть архива (1400 ед.) представлена в виде писем грузинских, русских, украинских, немецких и италянских общественных деятелей, ученых и духовных лиц.

В письмах некоторым образом отражена общественно-культурная жизнь грузинской и русской интеллигенции конца XIX-го и начала XX-го века.

В переписке рельефно представлена также личность самого Кириона — его широкая популярность и вклад, внесенный им в развитии грузинской культуры.

Одновременно означенные письма дают возможность ознакомиться с той или иной стороной жизни их авторов, которые являлись выдающимися общественными деятелями и учеными того времени.

[90] ცსსა, კირიონ II, საქ. № 34, გვ. 66—67 ც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელენე მეჯრაგელი

ნიკო მარისა და ექვთიმე თაყაიშვილის მიმოწერიდან*

ექვთიმე თაყაიშვილისა და ნიკო მარის პირად არქივებში დაცულია ამ ორი დიდი მეცნიერის მიმოწერა[1] — სულ 225 წერილი[2]. წერილები მოიცავენ ნიკო მარისა და ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრებისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის უდიდეს, ყველაზე მნიშვნელოვან მონაკვეთს — 1888 წლიდან 1931 წლამდე. ამ წერილების უმრავლესობა საქმიანი ხასიათისაა. ისინი კარგად ასახავენ ამ ორი შესანიშნავი მეცნიერის საზოგადოებრივ და მეცნიერულ გეგმებს, მათ ერთობლივ მისწრაფებებსა და მოღვაწეობას ქართველოლოგიისა და კავკასიოლოგიის დარგში. ნ. მარსა და ე. თაყაიშვილს ეროვნული მნიშვნელობის დიდ საქმედ მიაჩნდათ ქართული მეცნიერების განვითარებაზე ზრუნვა, საქართველოს და კავკასიის ისტორიული წარსულისა და სულიერი ცხოვრების შესწავლის ნამდვილ მეცნიერულ დონეზე დაყენება.

ეს წერილები სხვა მხრივაც არის საინტერესო. ბავშვობიდანვე დაახლოებული და ძმებივით შეზრდილი ეს ორი მეგობარი, რომლებმაც ჯერ კიდევ გიმნაზიის კედლებში ყოფნის დროს გადაწყვიტეს მთელი თავისი უნარი და დრო ქართული ეროვნული კულტურის შესწავლისათვის მოენდომებინათ, ერთმანეთს სწერენ ყოველგვარი პიროვნითობით შეუზღუდველნი, პირუთვნელად, გულახდილად, ზოგჯერ დიდი სინაზითა და სიყვარულით, ხშირად კი მწარედ და თავშეუკავებლად. ყოველი მათი სიტყვა უშუალოა, გულწრფელი, ყოველგვარ დიპლომატიასა და წინასწარგანზრახულობას მოკლებული. ხშირად ამ წერილებში პირველად ჩანს ახალი აზრი, ჩანაფიქრი, რომელიც მხოლოდ მრავალი წლის შემდეგ პოულობს თავის მეცნიერულ განხორციელებას. ეს წერილები ზოგჯერ ავტორების საკუთარ თავთან საუბრის შთაბეჭდილებასაც კი

---

* წაკითხულია 1964 წლის 27 ნოემბერს დ. ჩუბინაშვილისა და ნ. მარისადმი მიძღვნილ კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის VI სამეცნიერო სესიაზე.

1 ე. თაყაიშვილის არქივი დაცულია კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში, ხოლო ნ. მარისა — ლენინგრადში, საკავშირო აკადემიის არქივში. ლენინგრადის არქივის მასალების დამოწმების დროს ჩვენ მივუთითებთ როგორც ნ. მარის იმ არქივის ნომერს, ასევე ხელნაწერთა ინსტიტუტის ნ. მარის პირადი ფონდის ნომერსაც, სადაც გატარებულია ამ წერილების ფოტოპირები.

2 წერილები მომზადებული აქვს გამოსაცემად ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომელს ქ. კაკილაძეს.

ტოვებენ, იქამდე არაფერია ამ ორ მეგობარს შორის დაფარული. ამ წყალობის ფუძეები კი, სიყვარულთან ერთად, იყო ის დიდი რწმენა და პატივისცემა, რომლითაც ეს ორივე მეცნიერი იყო გამსჭვალული ერთმანეთისადმი. ორივეს სჯეროდა, რომ არაფერი პირადული, გარდა მეცნიერულისა და საზოგადოებრივისა, არ შეიძლება ამოძრავებდეს რომელიმე მათგანს. რა ვუყოთ, რომ მათ ზოგჯერ განსხვავებული თვალსაზრისი ჰქონდათ ზოგ საზოგადოებრივ თუ მეცნიერულ საკითხზე. თითოეული მათგანი ცდილობდა ჩამოეყალიბებინა თავისი თვალსაზრისი და დაერწმუნებინა მეორე თავის სიმართლეში. ბრძოლა რიგ შემთხვევაში საინტერესო და მწვავე იყო, ხშირად შედეგიანიც — ერთისა თუ მეორის პოზიციების „გაზომიერების“ თვალსაზრისით. ეს განსაკუთრებით ესპიროდა ნ. მარს, რომელიც მუშაობის დროს, მისთვის ჩვეული თავშეუკავებელი გატაცების გამო, ზოგჯერ კარგავდა ზომიერებას და უკიდურეს პოზიციას იკავებდა. აქ გამოჩნდებოდა ხოლმე ექვთიმე მუხრუჭად და მეშველად. იწყებოდა მეგობრების ცხარე და პრინციპული კამათი.

წერილებში ნ. მარისა და ე. თაყაიშვილის მეცნიერული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მეტად დიდი და მრავალფეროვანი მასალაა წარმოდგენილი. ჩვენ შევეხებით ამ შესანიშნავი ადამიანების მეცნიერული თანამშრომლობის მხოლოდ რამდენიმე მომენტს.

როგორც უკვე აღინიშნა, ჯერ კიდევ გიმნაზიაში ყოფნის დროს გადაწყვიტეს მეგობრებმა თავიის ძალა და უნარი ქართველი ხალხის თავდადებული სამსახურისათვის შეეწიროთ. მაგრამ ეს სურვილი ამ დროისათვის ჯერ საქმიანობის კონკრეტულ ფორმებს არ გულისხმობდა. პეტერბურგში ყოფნის დროს კი, 1887 წელს, როდესაც ექვთიმე უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ საქართველოში წამოსასვლელად ემზადებოდა, ხოლო ნ. მარი კი უნივერსიტეტის უკანასკნელი კურსის მსმენელი იყო, მეგობრებმა ჩამოაყალიბეს საქართველოში მათი ერთობლივი საქმიანობის მიზანი და გეგმები. გადაწყვეტილი იყო, რომ ნ. მარი უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ დაბრუნდებოდა საქართველოში, სადაც ე. თაყაიშვილთან ერთად შეუდგებოდა ზრუნვას ახალი გაზეთისა თუ ჟურნალის გამოცემაზე, რომლის გარშემო უნდა შემოკრებილიყო ეროვნული მეცნიერებისა და კულტურის განვითარებისათვის მებრძოლი მოწინავე ახალგაზრდობა. პეტერბურგის უნივერსიტეტის შეგირდებს აღარ აკმაყოფილებდათ ქართველოლოგიის იმდროინდელი დონე და იმედოვნებდნენ, რომ ერთობლივი საქმიანობით ისინი სწრაფად აიყვანდნენ ქართველოლოგიას ახალ მეცნიერულ სიმაღლეზე (ე. თ. არქივი, № 1198, წერ. 115)[3].

მაგრამ სულ მალე გამოირკვა, რომ მარის პეტერბურგში დარჩენა აუცილებელი იყო. თავდაპირველი გადაწყვეტილების დარღვევის გამო ნიკო მარი ერთგვარ საბოდიშო წერილს წერს თაყაიშვილს, სადაც არწმუნებს, რომ ამ გზით ის უფრო კარგად მოემზადება მათ მიერ დასახული საერთო გეგმის განსახორციელებლად.

ამაზე ექვთიმე უპასუხებს: „შენმა აზრის შეცვლამ ერთობ მაწყენინა, მაგრამ, რასაკვირველია, მე ვერ გირჩევ მაინდამაინც წინანდელ აზრს დაადექი მეთქი, რადგან, თუ შენ მაქ პროფესორათ გახთები, შენთვისაც ჯობს და საქმისთვისაც, რადგან უფრო მეტს გააკეთებ მეცნიერებისათვის და ჩვენ ქართვე-

---

3 წერილების ორთოგრაფიას ვტოვებთ უცვლელად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებისათვის და ლუკმა პურის შოვნას ნახევარ დროს არ მოახმარ. მე სულ იმაზე ვფიქრობდი, რა გამომეგონებინა ისეთი, რომ საზოგადოებისთვისაც და ჩვენი მეცნიერებისათვისაც გვეზრუნა და არც შიმშილით მომკვდარიყავით, რაკი შენ აქ ჩამოხვიდოდი“ (ნ. მ. არქივი № 34, ძვ. № 1577, 62 ფ.).

მართლაც, მეგობრები ვერც დრომ და ვერც მანძილმა ვერ დააშორა ერთმანეთს. მთელი სიცოცხლის მანძილზე ორივე ერთი გეგმით, ერთნაირი სიყვარულითა და მონდომებით, ერთსულოვნად ემსახურებოდა მათ მიერ დასახულ საერთო მიზანს.

პეტერბურგის უნივერსიტეტში, ალექსანდრე ცაგარელთან კონფლიქტის გამო, ნიკო მარმა თავის ძირითად სპეციალობად სომხური ფილოლოგია აირჩია და შეუდგა ამ დარგში ინტენსიურ მუშაობას: სწავლობდა სომხურ ისტორიულ პირველწყაროებს, კაზმულ მწერლობას, ენას და, როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე გატაცებული მუშაობის დროს, ყველაფერს არმენოლოგიის თვალსაზრისით უყურებდა და აფასებდა. თუმცა ამ დროისათვის, როგორც ჩანს, მას ჯერ კიდევ არ სჯეროდა ბოლომდე თავისი თავისა, თავისი ვარაუდებისა და მოსაზრებებისა. ერთ-ერთ წერილში ნიკო მარი ასე ახასიათებს არმენოლოგიაში თავის მუშაობას: „საზოგადოთ, უფრო ახლა ვსწავლილობ და უფრო ვსწავლილობ, ვიდრე წერას ვფიქრობ. წერის მადა სულ მეკარგვის, რადგან, რასაც ვეხები, ყველგან ასი გოდორი ლიტერატურა და ჟურნალ-გაზეთებში გაფანტული სტატიები მოჩვენებასავით მიდგება წინ; ეხლა, სხვათა შორის, ძველ სომხურ ჟურნალებს ვუნდები. საზოგადოდ, ეგრე ვარ ამ შეუწყნარებელ კითხვაში გართული, რომ თავისუფალ ფიქრისათვის დრო ცოტა მაქვს. და რომ მოგწერო ამას და ამას ვფიქრობ მეთქი, არ დამიჯერო. ხვალ რასმე ახალს შევიტყობ და მაშინ იმას და იმას ვიფიქრებ. სანამდი ლიტერატურას საგნისას სრულიად არ გავიცნობ, არაფრის გადაწყვეტილის თქმა არ შემიძლია, — ჯერ ეგ შორია“ (ე. თ. არქ., № 1198, წერ. 4).

მაგრამ, რაც უფრო ღრმად ეუფლებოდა ნიკო მარი არმენოლოგიას, მით უფრო რწმუნდებოდა, რომ სომხეთის ისტორიისა და მწერლობის დამუშავება განცალკევებით შეუძლებელი იყო, რომ კავკასიის ხალხთა ენები, კულტურა და ისტორია ერთობლივად უნდა შესწავლილიყო. ამიტომ, არმენისტიკაში ცოდნის გარკვეული მარაგის მოგროვების შემდეგ ის კვლავ დაეწაფა ქართული მწერლობის კვლევას უკვე ახალი, მეზობელ კულტურებთან ურთიერთობის თვალსაზრისით. თუმცა მას არც მანამდე შეუწყვეტია ძველი ქართული ლიტერატურის შესწავლა, ქართული ხელნაწერების გაცნობა და აღწერა.

მეგობრებმა თავიდანვე გამიჯნეს ქართველოლოგიაში თავისი მუშაობის სფეროები. ნიკო მარი სწავლობდა ქართულ ენასა და მის ბუნებას და ქართულ მწერლობას, ხოლო თაყაიშვილი საქართველოს ისტორიას, მის პირველ წყაროებს და არქეოლოგიას. ორივესთვის აშკარა იყო, რომ პირველწყაროებისა და ტექსტების შესწავლისა და მეცნიერული პუბლიკაციების გარეშე გაღრმავებული მეცნიერული მუშაობა შეუძლებელი იყო. ამიტომ ორივეს პირველხარისხოვან საქმედ მიაჩნდა წიგნთსაცავებში დაცული ხელნაწერების შესწავლა, აღწერა და ამის საფუძველზე მნიშვნელოვანი ძეგლების პუბლიკაციების მომზადება. ამიტომ შეუდგა ნ. მარი პეტერბურგის წიგნთსაცავების ქართული ხელნაწერების შესწავლასა და აღწერას, ხოლო ე. თაყაიშვილი კი თბილისის ხელნაწერებისა. ამ ჩატარებულმა მეტად საჭირო სამუშაომ დიდად შეუწყო

ხელი ნიკო მარისა და ექვთიმე თაყაიშვილის ერთობლივ მუშაობას. ისინი ერთმანეთს ამარაგებდნენ ცნობებითა თუ ტექსტებით მათ განკარგულებაში არსებული ხელნაწერებიდან. ამრიგად, ორივეს განკარგულებაში აღმოჩნდა, როგორც რუსეთის, ასევე საქართველოს წყაროსაცავთა ხელნაწერების მდიდარი კოლექციების მასალა.

ნიკო მარი და ექვთიმე თაყაიშვილი ყოველთვის იყვნენ ერთმანეთის სამეცნიერო საქმიანობის კურსში. ეს მეცნიერებს აუცილებლად მიაჩნდათ იმიტომაც, რომ ორივე საქიროებდა ერთმეორის დახმარებას მასალების, ცნობებისა თუ რჩევების მიწოდების მხრით. ექვთიმე უგზავნიდა მარს მისთვის საჭირო ცნობებს ხელნაწერებიდან, ისტორიული ქრონიკებიდან, სიგელ-გუჯრებიდან. რიგ შემთხვევაში ახერხებდა ხელნაწერის გაგზავნასაც კი პეტერბურგში. ასე, მაგ., ექვთიმემ ნ. მარს გაუგზავნა ბაგრატ მუხრან-ბატონის „მოთხრობა სჯულთა ისმაიტელთა“-ს ხელნაწერი, რომელზედაც დაამყარა ნ. მარმა „ამირანდარეჯანიანის“ ორიგინალობის საკითხის კვლევა.

ყოველ წერილში ნ. მარი რაღაც ახალ მასალას თხოვდა ექვთიმეს: ცნობებს გრიგოლ განმანათლებელზე, რიფსიმიანთა წმამების ტექსტებს, აგიოგრაფიულ ძეგლთა ძველ თარგმანებს, „შატბერდის კრებულში“ შემავალ ტექსტებს. ერთ-ერთ წერილში იგი წერს: „ნეშტთა ძველი თარგმანი ხომ არ შეგხვედნია, არ ჩავარდნილი ათონელთა ხელში და მათგან არ გამრთული?.. ქართული დაბადების გამოკვლევისთვის ბევრი მასალა მოვამზადე, სომხური და სირიული დედნების გაცნობით“ (ე. თ., № 1198, წერ. 16).

თავის მხრივ არც ნ. მარი დარჩენილა ექვთიმესთან ვალში. იგი დიდი გულისყურით ადევნებდა თვალყურს ექვთიმეს პუბლიკაციებს და ცდილობდა, რომ ისინი ყოველმხრივ გამართულნი ყოფილიყვნენ. ექვთიმეც გულდამშვიდებით ანდობდა მას პეტერბურგის ორგანოებში მისი წერილების ბეჭდვის მეთვალყურეობას. ნ. მარს სრული უფლება ჰქონდა ესწორებინა ექვთიმეს წერილები ბეჭდვის პროცესში თავისი შეხედულების მიხედვით. მუშაობის დროს არა ერთხელ დასჭირვებია ექვთიმეს ნ. მარის დახმარება. განსაკუთრებით უცხო სიტყვათა წარმომავლობისა და ეტიმოლოგიური ძიებების დროს, ანდა ტექსტის ძნელად გასაგები თუ გაუმართავი ადგილების გამართვისას.

ორივე მეცნიერი ცდილობდა არა მარტო იმას, რომ ქართული მწერლობის მეტი ძეგლი გამოქვეყნებულიყო, არამედ იმასაც, რომ მათ პუბლიკაციებში დაცული ყოფილიყო ტექსტის გამოცემის ერთიანი პრინციპი და გამოცემა ფილოლოგიური მეცნიერების თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე მდგარიყო. ამ მხრივ ექვთიმე თაყაიშვილი საქართველოში პირველი დამცველი იყო ტექსტის კრიტიკული დადგენის იმ მეთოდებისა, რომლებიც ქართულ-სომხური ფილოლოგიაში პირველად ნ. მარმა შემოიტანა.

ერთ-ერთ წერილში ექვთიმე ჩივის ნ. მართან, რომ „სარკე თქმულთას“ ტექსტის დამდგენ და გამომცემელ კომისიაში მან ვერ დაარწმუნა კომისიის წევრები ძირითადი ტექსტის ვარიანტების გატანის საჭიროებაში (ნ. მ. ✓-1 № 32, ძვ. № 1577, 2ფ.).

ამაზე ნ. მარი უპასუხებს: „თუ ღმერთი გწამს, ხომ იცი, რომ ერთხელ რომ წიგნი გამოვა ქართული, მეორე გამოცემა მისი არავის მოსდის თავში. მაშ ეგრე გამოეცი, რომ მეორე გამოცემის საბუთი სხვა არა საბუთი არ იყოს, გარდა პირველის (გამოცემის) დალეგის. ეძიე სისრულე თხზულების მისი სხვა-

დასხვა ნაირობით. კიდევ უკეთესი იქნება, თუ არ გაასწორებ (გარდა თვალსაჩინო შეცთომის, იგიც შენიშვნით); ბეჭდე იგი ხელნაწერი, რომელიც ზოგადოდ უკეთესად გამოდგეს და თუ ზოგ ნაწილში სხვა ჯობდეს, ნუ შეურევ მაინც, — ისევ იმ კარგი ხელნაწერის, თუმც იმ ადგილში ვარესი, კითხვა (lectio) ბეჭდე და სხვა ხელნაწერის უკეთესი კითხვა სხოლიო'ში მოუქციე. ეგ შენ არანაკლებ იცი, მაგრამ გეხვეწები, ნუ გადახვალ მას, რაც იცი, ნუ ეწინაალმდეგები“ (ე. თ. არქ., № 1198, წერ. 117).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეგობრები ყოველთვის უწევდნენ ანგარიშს ერთმანეთის შესაძლებლობებსა და სამეცნიერო ინტერესებს და ერთმანეთს არასდროს არ უპირისპირდებოდნენ. ე. თაყაიშვილმა განიზრახა „ფიზიოლოგის“ გამოცემა და აცნობა ამის შესახებ ნიკო მარს. საპასუხო წერილში ნ. მარი წერდა: „ფიზიოლოგი“ საინტერესოა და უსათუოდ სომხურიდან არის ნათარგმნი. საბუთნი ასეთი თვალსაჩინო არიან, რომ ეჭვი შეუძლებელია. ზოგად ქართული დედნის გაგებაც შეუძლებელია სომხური დედნის თვალწინ წარმოუდგენლად. რადგან გამოცემას შენ აპირებ, მე აღარ ვეხები, ოღონდ „არმენიზმების“ კრებულს ვამზადებ ამ დედნის საშუალებით და ერთ და ერთ წიგნაკთაგანს ჩემი სერიისა Тексты и разыскания по арм.-груз. фил.) დაურთავ. თუ გეცალება, მაცნობე, როდის აპირებ გამოცემას „ფიზიოლოგიისა“; დაბეჯითებით აპირებ, თუ არა? თუ გადაფიქრე, ცნობა დაიჩქარე. მთელად ფოტოგრაფიას ან ფოტოტიპიას მოვამზადებიებ და ისე გამოვაცემინებ ფაკულტეტს“ (ე. ი. არქ. № 1198, წერ. 28).

ამ წერილში ნ. მარმა შეფარვით აგრძნობინა ე. თაყაიშვილს, რომ მასაც აქვს სურვილი „ფიზიოლოგის“ გამოცემისა და ზოგი რამ ამ მიმართულებით გაკეთებულიც აქვს. ე. თაყაიშვილმა, ჩანს, მიიჩნია, რომ ნ. მარისთვის ამ ტექსტის გამოცემა უფრო უპრიანი იყო, ვინემ მისთვის. საბოლოოდ „ფიზიოლოგი“ გამოსცა ნ. მარმა და გამოიყენა ე. თაყაიშვილის მასალა[4].

ნ. მარიც დიდ ანგარიშს უწევს ე. თაყაიშვილს და დიდად აფასებს ქართული მასალის მის ღრმა ცოდნას. ეს იქიდანაც ჩანს, რომ თითქმის ყოველი თავისი ნაშრომის შინაარსს დაბეჭდვამდე იგი აცნობს ექვთიმეს თეზისების სახით (ე. თ. არქ., № 1198, წერ. 26). ე. თაყაიშვილი იყო პირველ ხანებში ერთადერთი კაცი, რომელსაც ნ. მარი ანდობდა თბილისში გამოსაქვეყნებლად გამოგზავნილი წერილების მეთვალყურეობას და კორექტურას.

რაც უფრო ღრმად სწავლობდა ნ. მარი სომხურ-ქართულ მწერლობას, მით უფრო რწმუნდებოდა ამ ორი მწერლობის ერთად შესწავლის აუცილებლობაში. ერთ-ერთ წერილში იგი სწერს თაყაიშვილს: „მე სრულებით დარწმუნებული ვარ, რომ ამ ორ ერთა განცალკევებით არავითარი ხეირი არ მოელის და რადგან ახლანდელი ცხოვრება თავის ბრმა სტიქიური მსვლელობით უარყოფს ამ მარტივ, მაგრამ ჭეშმარიტ აზრს, მეცნიერების იდეალურ არემარეში მისი დასაფუძვლიანება მეტადრე საჭიროა. მისი არ ცნობა და გამოუკვლევლობა აუარებელ შეცდომებს გამოიწვევს. ჩემი Т. и Р. თუმცა ცალკე-ცალკე წიგნებით ყოველთვის ამ ერთობის გამომკვლევველი არ იქნება სამწერლო კითხვებში, მაგრამ როცა განცალკევებითი, მხოლოდ სომხური ან მხოლოდ

---

[4] Физиолог. Армяно-грузинский извод. Грузинский и армянский тексты. Тексты и разыскания, кн. VI, 1904 г., გვ. XXIII.

ქართული რომელიმე კითხვა შეიმუშავება შიგ, მაშინაც დედა აზრისათვის სამსახურებელი იქნება, რადგან წინდაწინ გავიცნობთ მას, რაც ამ ორ ენაში კულტურის დაშორების და გადასხვავების მიზეზნი ყოფილან“ (ე. თ. არქ., № 1198, წერ. 28).

რაც უფრო აღრმავებდა ნიკო მარი კავკასიის მრავალმხრივ შესწავლას, მით უფრო რწმენდებოდა, რომ კავკასიაში მოპოვებული დიდძალი არქეოლოგიური მასალისა და მდიდარი სულიერი კულტურის მრავალრიცხოვანი ძეგლების შესწავლა ერთი და ორი მეცნიერის ცდით ვერ დაიძლეოდა. მისთვის აშკარა იყო, რომ კავკასიის უმდიდრესი კულტურის შესწავლის მნიშვნელობა სცილდებოდა მარტო კავკასიის ქვეყნების ინტერესების საზღვრებს. დღითი-დღე იზრდებოდა ევროპელ მეცნიერთა ინტერესი ქართულ-სომხურ ფილოლოგიისა და მდიდარი ისტორიისადმი. ამიტომ საჭირო იყო ამ დიდი საქმის სათანადო, ფართო ორგანიზაცია, ეს კი, ნ. მარის ღრმა რწმენით, შესაძლებელი იყო მხოლოდ ადგილობრივ მეცნიერთა კადრების მომზადებისა და ამ კადრების საშუალებით ფართო მეცნიერული მუშაობის გაშლით სათანადო სამეცნიერო დაწესებულებებსა თუ საზოგადოებებში.

ამგვარი ორგანიზაციის ჩამოყალიბების საქმეს ნ. მარმა ჯერ კიდევ 1909 წელს მოჰკიდა ხელი, როდესაც მეცნიერებათა აკადემიას წარუდგინა პროექტი ქართულ-სომხური ფილოლოგიის მუშაკთა ყრილობის მოწვევისა. თავდაპირველად ამ ყრილობას ნ. მარმა უწოდა „Съезд тружеников армяно-грузинской филологии“. ხოლო შემდეგ, სხვათა რჩევით, შეცვალა „труженики“—„деятель“-ით, თუმც თვითონ სახელწოდების პირველი ვარიანტი უფრო მოსწონდა (ე. თ. არქ., № 1198, წერ. 60).

ყრილობის მოწვევის ორგანიზაციისათვის თბილისში ჩამოყალიბდა საორგანიზაციო კომიტეტი, რომელსაც ორი თავმჯდომარე ჰყავდა: ექვთიმე თაყაიშვილი და ა. კალანთარი. ამ კომიტეტმა ოთხი თათბირი მოიწვია 1909 წლის მანძილზე და თათბირების ვრცელი ოქმები გაუგზავნა ნ. მარს, რომელმაც ისინი, ყრილობის სხვა მასალებთან ერთად, აკადემიის უწყებებში გამოაქვეყნა (1910 წ., № 14).

ნიკო მარმა ამ საქმეს მისთვის ჩვეული ენთუზიაზმით მოჰკიდა ხელი. ასეთსავე ენთუზიაზმს მოითხოვდა ის კომიტეტის წევრებისაგან. ნ. მარისა და ე. თაყაიშვილის მიმოწერაში კარგად არის წარმოდგენილი როგორც ყრილობის მოწვევისათვის თბილისსა და პეტერბურგში ჩატარებული სამზადისი, ასევე ყრილობის მეცნიერული მიზნები: „Императорская Академия Наук поручила мне устроить съезд, но без живого содействия самих тружеников, притом всех, усилия одного человека ни к чему не приведут. Между тем, дело это, едва ли мне нужно указывать Вам, весьма важное. Почему взываю к чувству преданности и любви Вашей к нашей специальности и умоляю, прежде всего комитет, сплотиться в общей энергии и сотрудничестве“ (ე. თ. არქ. № 1198, წერ. 61).

მეორე წერილში ნ. მარი შემდეგნაირად აყალიბებს ამ ყრილობის მნიშვნელობას: „Я надеюсь, больше того — уверен, что нами начинается (если при вашем содействии оно начнется) длительное дело, а не феерия с

с кометой, что съезд будет рабочий и для работы,.... а не для праздничных речей и публичных лекций. Соберутся специалисты для устроения специального дела, никем не устраеваемого и забываемого и постараются быть хозяйнами безпризорной области,—вот смысл съезда“ (ე. თ. არქ. № 1198, წერ. 62).

ხოლო თუ რა დიდ მეცნიერულ მიზნებს უსახავდა ნიკო მარი ამ ყრილობას, ეს კარგად ჩანს ყრილობაზე განსახილველი საკითხების სავარაუდო სიიდან (примерный перечень вопросов, могущих быть предметом обсуждения на Съезде), რომელიც მან შეადგინა პეტერბურგში ივანე ჯავახიშვილს, ვ. ბენეშევიჩისა და ნ. ადონცის მონაწილეობით.

ეს კითხვარი სრულად გამოქვეყნებულია აკადემიის უწყებებში და ამიტომ აქ ღარი მოვიყვან. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ ეს არის კავკასიის მეცნიერული შესწავლის პროგრამა-მაქსიმუმი, რომლის განხორციელებასაც სჭირდებოდა და სჭირდება ინსტიტუტებისა და თაობების მუშაობა.

მაგრამ, როგორც ცნობილია, ამ ყრილობის მოწვევა ვერ განხორციელდა. კავკასიის მეფის ნაცვალი დიდხანს „იკვლევდა“ და უთანხმებდა ამ საკითხს განათლების მინისტრს, და ბოლოს საიმპერატორო აკადემიაში გაგზავნილ თავის პასუხში მან ისეთი პირობები წაუყენა ყრილობის მოწვევას, რომ ნ. მარმა თვითონ თქვა უარი ამ ყრილობაზე. ამის შესახებ ნ. მარი წერდა თაყაიშვილს:

„Прилагая при сем оттиск Отношения Наместника Его Императорского Величества на Кавказе и решения Академии Наук на основании моего представления ликвидировать столь несправедливо и неблагоприятно встреченное общее наше начинание на пользу одной из важнейших в России отраслей научного востоковедения, именно армяно-грузинской филологии, покорнейше прошу довести о сем до сведения членов подготовительного комитета“ (ე. თ. არქ. № 1198, წერ. 68). მაგრამ აქვე დასძენს: „В то же время, почитая совершенно немыслимым откладывание до неизвестного будущего [изучение] остро назревших научных вопросов, требующих совместной согласованной работы местных сил и немногих специалистов в университетах, я обращаюсь к Вам с просьбой, нельзя-ли сейчас же приступить к осуществлению очередных работ разрешенными уже средствами при содействии функционирующих научных обществ, именно, нельзя ли по вопросу наиболее неотложеному, собиранию диалектологических текстов и лексического материала по живым говорам образовать соответственные комиссии, одну для собирания материалов по армянским говорам при армянском этнографическом обществе, другую— для собирания материалов по грузинским наречиям при грузинском Обществе истории и этнографии, и немедленно же, по образовании этих комиссий, в первую очередь поставить вопросы о точной транскрипции различных звуков, не имеющихся в армянском и грузинском алфавитах“ (იქვე).

ბრძოლა კავკასიაში კავკასიოლოგიური სამეცნიერო ცენტრების შექმნისათვის ნ. მარს არც შემდეგ შეუწყვეტია. ის ცდილობდა ოფიციალური აღიარება მიეღო ანისის არქეოლოგიურ ინსტიტუტს, რომლის მუშაობის შედეგები უკვე საქვეყნოდ იყო ცნობილი, ხოლო შემდეგ, 1917 წლიდან, კვლავ შეუდგა

ზრუნვას თბილისში კავკასიის სამეცნიერო ცენტრის შექმნაზე, რომელშიც ენ- და გაერთიანებულიყო ანისის მუზეუმი და ინსტიტუტიც თავისი მასალებით და მეცნიერული პროდუქციით.

პირველი ცნობა თბილისში კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტის გახსნის შესახებ გვხვდება თაყაიშვილთან გაგზავნილ 1917 წლის 15 მარტის წერილში: „მე მინდა ინსტიტუტი დავაფუძნებიო და იმედია, ისე მხარს მომცემთ, რომ ყველასთვის სასარგებლო დარჩეს“ (ე. თ. არქ. № 1198, წერ. 92). შექმნილი პოლიტიკური ვითარების გამო, ჩანს, ე. თაყაიშვილს ურჩევია ამ საქმის დროებით შეჩერება. მაგრამ დაწყებული საქმის შეჩერება და წინააღმდეგობათა გამო უკან დახევა ნ. მარს არ სწვეოდა: „მოიცადეთ — იწერება ინსტიტუტის შესახებ. ალბათ მანდ ასე ფიქრობენ, რომ ეს შემოქმედებითი დრო მუდმივ დარჩება: რასაც მოასწრებ, შენია, რაც არა — დაკარგულია, ოღონდ მოასწრება კანონიერი გზით არის საჭირო“ (ე. თ. არქ. № 1198, წერ. 93). ამ დროისათვის ნ. მარს ინსტიტუტის წესდება უკვე შედგენილი აქვს. მხოლოდ ნ. მარს შეეძლო იმ მეტად გართულებულ პირობებში, რევოლუციის წინა დღეებში ამ საქმის წამოწყება და ჯიქურ გატანა.

1917 წლის ივნისის წერილით ნ. მარი აცნობებს თაყაიშვილს კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტის ოფიციალურ გახსნას და მოითხოვს ექვთიმესაგან, რომ მან დაანებოს მასწავლებლობას თავი და მთლიანად ჩაება ინსტიტუტის მუშაობაში. ამ დროისათვის ექვთიმე თორთუმის ხეობაში წასასვლელად ემზადებოდა.

1917 წლის 10 სექტემბერს თაყაიშვილმა მიიღო ოფიციალური ცნობა ინსტიტუტის ნამდვილ წევრად მისი არჩევის შესახებ: „В заседании от 6 сентября Отделение Исторических наук и филологии Российской Академии Наук избрало Вас действительным членом Кавказского историко-археологического Института. Уверенный, что и доныне дорогое Вам дело научного исследования родного края станет еще более дорогим Вам и согласно Вашим духовным потребностям целиком захватывающим Ваши хорошо всем известные научные силы, прошу не отказать сообщением, когда именно можете вступить в отправление Ваших новых обязанностей“ (ე. თ. არქ. № 1198, წერ. 94).

ინსტიტუტის ნამდვილ წევრად არჩეული იყო აგრეთვე გ. ჩუბინაშვილი, ხოლო ადიუნქტებად — ს. ტიგრანიანი და დ. გორდეევი. ე. თაყაიშვილი პირველი ოქტომბრიდან შეუდგა მოვალეობის შესრულებას. ის მოუთმენლად ელოდა გიორგი ჩუბინაშვილს, რომელიც ამ დროს პეტერბურგში ანისის არქეოლოგიური ნივთების საეკასუციოდ გამოსაგზავნ ვაგონებს უცდიდა. ნოემბრის უკანასკნელ რიცხვებში თბილისში ჩამოვიდნენ გ. ჩუბინაშვილი და ნ. მარის მიერ გამოგზავნილი შჩეპოტიევი, რომელიც ინსტიტუტის მდივნის მოვალეობის შესრულებას შეუდგა. ინსტიტუტის მცირერიცხოვანმა კოლექტივმა ხელი მიჰყო საქმის ორგანიზაციას. შექმნილ ვითარებაში ძველის შენარჩუნება იყო ძნელი, თორემ ახლის შექმნა ხომ პირდაპირ ზღაპრულ ენერგიას და მონდომებას მოითხოვდა ინსტიტუტის მუშაკებისაგან. ამისდა მიუხედავად არც ნ. მარს შეუწყვეტია არც ერთი წუთით ზრუნვა ინსტიტუტზე და ინსტიტუტის კოლექტივიც ყველა ღონეს ხმარობდა ახლად შექმნილი დაწესებულების გან-

მტკიცებისათვის. ოჭტომბრის წერილში ნ. მარმა ინსტიტუტს მოქმედების სრული თავისუფლება მისცა: „ძმაო ექვთიმე, მადლობელი ვარ, რომ ეგრე მუყაითად შეუდეგი საქმეს და მკაფიოდ განსჯვრიტე საქმე, განარჩიე ხანმოკლე და სამუდამოო ინტერესი იმ საქმეში, რომელიც გვაერთიანებს ჩვენ ინსტიტუტის არსებაში, მისი წმინდა მეცნიერული მხარე. ...შემდეგში ყველაფერს თვით ინსტიტუტს ვანდობ, მის მეცნიერთ კრებას და საბჭოს. მე აღარ ვერევი, თავისუფლება სრული გაქვსთ და მწამს საშენებლად საქმის ისარგებლებთ. ხელმძღვანელობას მე თავს არ ვანებებ მეცნიერულს, მაგრამ როგორც დირექტორი ან მისი მოადგილე მე თქვენი მორჩილი მსახური ვარ“ (ე. თ. არქ. № 1198, წერ. 96).

ინსტიტუტის მთავარი საზრუნავი იყო ბინა, ფინანსური მინიმუმის მოპოვება და სიძველეთა აღნუსხვა და დაცვა.

ოჭტომბრის რევოლუციის შემდეგ კავკასია რუსეთისაგან მოწყვეტილი აღმოჩნდა. საფოსტო კავშირი რუსეთთან შეწყდა. წერილების გაგზავნა შეიძლებოდა მხოლოდ შემთხვევითი მგზავრების მეშვეობით. იურიდიულად და ფინანსიურად ინსტიტუტი დაკავშირებული იყო რუსეთის აკადემიასთან. ამავე დროს საჭირო იყო იგი ეცნო ახალ ადგილობრივ მთავრობას. ნ. მარმა, შინაგან სიტყვებით რომ ვთქვათ, რამდენჯერმე „წაგლიჯა“ კავკასიის ინსტიტუტისათვის ფული **რუსეთის აკადემიას, მაგრამ მოწოდებას** ვერ ახერხებდა, ან უბრალოდ ფული ვერ აღწევდა ადრესატამდე. უსახსრობამ გაართულა ბინის შოვნა. ბოლოს ე. თაყაიშვილმა თავისი ბინის ერთი ოთახი დაუთმო ინსტიტუტს და ინსტიტუტის აბრაც ზედ გააკრა.

თუ რა პირობებში უხდებოდა ნ. მარს ინსტიტუტზე ზრუნვა პეტროგრადში, ხოლო ინსტიტუტის კოლექტივს ინსტიტუტის საქმიანობის წარმართვა თბილისში, ეს კარგად არის ასახული ამ ორი მეცნიერის 1917—1918 წლების მიმოწერაში. 1917 წლის 11 ნოემბრის წერილში ნ. მარი წერს ექვთიმეს: „ცალკე ოფიციალურ წერილს გიგზავნი, მაგრამ ამით მინდა განსაკუთრებით მოგმართო — არა თუ მარტო სიმხნევე და სულგრძელობა გამოიჩინო ასეთ უღროო დროს, რამე იქნება საშვალებაც აღმოაჩინო ადგილობრივ ინსტიტუტის, თქვენი ხორციელად სუფევისათვის, ვიდრე აქედან შეჩერებული მიმდინარეობა ცხოვრების საშუალებას მოგაწვდეს. რაც ხელში მჭონდა ჯამი, თუმცა სხვა საქმეზე დანიშნული, გიგზავნი, მოიხმარეთ შენ და შჩეპოტიევმან, როგორც ხელშესაყრელად იცნობთ. შემდეგ უნდა დამიბრუნო, როცა კრედიტი უკვე გახსნილი წამოვა და მოაწევს. ამ ფულის პირდაპირი დანიშნულება არის ნაშთების დაცვა და მათი შესახები მუშაობა კავკასიის ფრონტზე.

აქ რა ხდება, ძნელია ითქვას, ყოველი წუთი ვითამ ცვლის მდგომარეობას, მაგრამ ისევ იგივე რჩება. ...აქ ახლა უმთავრესი საგანი ორია: 1. შიშნილი, 2. ხოცვა: მთელ ინტელიგენციას ხოცვას უპირებენ, რომ ხმას დაუჯერო. ამ პირობებში აქ ძალიან განსაცდელს განიცდიან. კულტურის ნაშთების დაცვა ახლა აქ არის საჭირო და არა ვან-თოროუმში. აქაური ინტელიგენცია, თვით მეცნიერებაც ზომაზე გადასრულად დაშინებულია და ხელიდან ყველაფერი უვარდებათ... მიუხედავად ყოვლისა ამისა, მე უკიდურესად მაღელვებს არა აქაური მეცნიერული, აქ კიდევ მოგვარდება, არამედ ინსტიტუტის საქმე: იშოვეთ თუ არა სადგური და როგორ მოაწყო მისი ფულის გამოგზავნა, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა სამინისტროებში სიცოცხლე შეწყვეტილია...“ (ე. თ. არქ. № 1193, წერ. 98).

მიუხედავად იმისა, რომ კავშირის დამყარება თბილისთან ამ წლებში მეტად რთული იყო, ინტენსიური მიმოწერა მაინც არ შეწყვეტილა. ე. თაყაიშვილი მუდმივად აწოდებდა ნ. მარს ცნობებს ინსტიტუტის მუშაობის და მისი ფინანსიური მდგომარეობის შესახებ. მისი წერილები ანგარიშების ხასიათს ატარებდა.

ამ პერიოდში მშვიდ და მყუდრო მეცნიერულ მუშაობაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო; დრო კარნახობდა ინსტიტუტს მოქმედებისა და საქმიანობის გეგმებს: „ეხლა ომის და ზავის გამო დიდი უბედურება გვაწევს თავზედ, ანისი რჩება თათრებს, ნებით თუ არ მისცენ, ძალით წაიღებენ, როგორც ჩანს“, — წერს 1918 წლის 24 მარტს ექვთიმე ნ. მარს: „ჩვენ მივიღეთ ზომა მუზეუმის (ანისის) ევაკუაციისათვის; გორდეევი გავაგზავნეთ პირველად. სხვა ნივთების გადმოზიდვა ვერ მოასწრეს ანუ არ ურჩიეს და მხოლოდ ნუმიზმატიური კოლექცია წამოიღეს და ალექსანდროპოლში ქალაქის გამგეობის კვიტანციით ბანკში მიაბარა. ახლა გადავსწყვიტეთ თათბირზე — რისიც წამოღება შეიძლება, წამოვიღოთ: ბიბლიოთეკა, წერილი საყურადღებო ნივთები, გამოცემანი და სხვა, გარდა წარწერებიანი ქვებისა; რაც შეეხება გაგიკის ქანდაკებას, გამოირკვა, რომ თუ არ დაიშალა, ისე არ წამოიღება, ამიტომ შევეკითხეთ სომხურ ნაციონალურ საზოგადოებას, როგორ გვირჩევენ: დავშალოთ და წამოვიღოთ, თუ დავტოვოთ ან იქ დავმარხოთ. აგრეთვე შევეკითხეთ: სად სჯობს გადმოვიტანოთ — თბილისში თუ ალექსანდრეპოლში. ეს ოთხი-ხუთი დღეა პასუხს ვუცდით. ვერ გადაუწყვეტიათ და გვაცდიებენ. მათ უდასტუროთ და დაუხმარებლად საქმე არ გაკეთდება...

მდგომარეობა აქ ახლა ჯოჯოხეთურია, ყოველი მხრიდან საფრთხე მოდის: ბათუმს, ყარსს — ოსმანები აწობა, ქართლ-კახეთში და რკინის გზაზე ანარქია... ბაქოში გუშინ და გუშინ წინ დიდი შეტაკება და სისხლისღვრა მომხდარა. ანისის უფრო ჩვენი მუზეუმებია საშიში. რაც თქვენ უკვე გადაგხდათ, აქ ამ დღეებშია მოსალოდნელი და გადავრჩებით თუ არა, ღმერთმა უწყის! გულს კი არ ვიტეხთ და გარემოების მიხედვით მზათ ვართ კულტურის ნაშთებზე ვიზრუნოთ. ყარსში ტერ-ავეტისიანი იყო იქ აღმოჩენილი წარწერისათვის და გაშინჯა. ამ საღამოს ჩუბინაშვილს ბორჯომში გვზავნი, ბორჯომის მამულს კონფისკაცია უყვეს. ჩვენ ვითხოვეთ გადათვალიერება საისტორიო და საარქეოლოგიო ნივთებისა და ბიბლიოთეკისა. მიგვიწვიეს, მე ვეღარ მივდივარ, აქ ვარ საჭირო და ჩუბინაშვილი მიდის. სეიშში ქალაღი შევიტანეთ, რომ საარქეოლოგიო ადგილები მცხოვრებთ არ გადასცენ და სახელმწიფო საკუთრებათ დარჩეს. კომისიას გადასცეს და მერმინ გავიდეს“ (ნ. მ. არქივი № 104, ძე. № 1577).

თუ ამ საქმიანობას დავუმატებთ იმასაც, რომ ამ ხნის განმავლობაში არქეოლოგიური ექსპედიციების დროს მოპოვებული მასალების დასამუშავებლად ე. თაყაიშვილთან მუშაობდა ოთხი ხუროთმოძღვარი, ინსტიტუტი ემზადებოდა წრომის რესტავრაციისათვის და მოზაიკის პირის გადმოღებისათვის, აწყობდა ადგილობრივ პატარ-პატარა ექსპედიციებს ძეგლების აზომვა-დაცვის მიზნით, მაშინ გასაგები გახდება, რომ ინსტიტუტის კოლექტივმა რევოლუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციისა და ომების ქარიშხლიან წლებში ზღაპრული სიმტკიცე და საქმის ცოდნა გულება გამოიჩინა.

თავის მხრივ ნ. მარიც ეძებდა შესაძლებელსა და შეუძლებელ გზებს ინსტიტუტთან კონტაქტის დასამყარებლად. მან ნებართვაც კი მიიღო განათლების სახალხო კომისრის ა. ვ. ლუნაჩარსკისაგან პირდაპირი ხაზით დაკავშირებოდა თბილისს პეტროგრადიდან: „и лежит это право у меня в кармане, так как порох, конечно, есть, но пушки не оказалось, провод с Тифлисом не работал“ (ე. თ. არქ., № 1198, წერ. № 103).

მისივე მოთხოვნით აკადემიამ გააზავნა მოსკოვში „ცენტრალურ მთავრობაში“ თხოვნა: „1) Сделать заявление германскому правительству о необходимости обеспечить неприкосновенность музея с инвентарем и древностями г. Ани, как места научной работы Академии Наук. 2) Сообщить начальнику советских войск на случай их вступления в Тифлис поддерживать Кавказский Ист.-Арх. Институт в его деятельности по охране всех научных коллекций“. თან დასძენდა: „Мне, надеюсь, не надо указывать, как можно и что можно охранять в Тифлисе с единственной целью их спасения от разгрома, я больше всего опасаюсь судьбы рукописей“, (ე. თ. არქ. № 1198, წერ. 103). ამავე წერილში ნ. მარი მხარს უჭერს გაგიკის ქანდაკების ევაკუაციას თბილისში და იუმორით შენიშნავს: „Меня очень занимает поход воскресшего из мертвых каменного Гагика в северные страны (ოცულსხმება თბილისი); по всей вероятности, он вспомнит о больших реальных связях его края с Тифлисом, этот чалмоносный крестоносец X—XI века“ (ე. თ. არქ. № 1198, წერ. 103).

ამ წერილის საპასუხოდ 1918 წლის 20 მაისის წერილში თაყაიშვილი აცნობებდა ნ. მარს: „ანისის ევაკუაცია წამხდარ პირობებში კიდევ კარგად მოხერხდა. გაგიკი ადგილობრივ დაიმარხა, დაშლილი, რასაკვირველია. წერილი ნივთები, ბიბლიოთეკა, გამოცემანი და შენი ნივთები წამოღებულია და სანაიშია მოთავსებული. ნუმიზმატიური კოლექცია აქ ჩამოიტანეს“ (ნ. მ. არქ. № 105, ძვ. № 1577, 14 ფ.).

თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ამ ინსტიტუტის მუშაობას ადგილობრივი მეცნიერები, ეს კარგად ჩანს ექვთიმე თაყაიშვილის იმავე წერილიდან: „მე არ ვიცი, ახალ პოლიტიკურ სიტუაციაში ინსტიტუტი იარსებებს თუ არა. ჩვენ ყოველ ღონეს მივიღებთ, რომ ასეთი სასარგებლო ჩვენი მეცნიერებისათვის დაწესებულება ყოველ პოლიტიკურ სიტუაციაში დარჩეს და ჩვენი არქეოლოგიური სიმდიდრე შეისწავლოს. ჩემდა თავად, — განაგრძობს თაყაიშვილი, — მე არც დღე და არც ღამე მოსვენება არა [მაქვს]. სულ იმის ფიქრში ვარ, თუ როგორ გადავარჩინო ანარქიას ჩვენი ფასდაუდებელი სიძველენი. ღამის გავიღვიძე წარმოდგენით, რომ შესაძლებელია ერთ ბნელ დღეს ყველაფერი დავკარგოთ და ეს კი არ იქნება ანისის დაკარგვა, არამედ მთელი საქართველოს და ამიერკავკასიის კულტურის დაკარგვა“, გვ. 588 (ნ. მ. არქივი, № 105, ძვ. № 1577, 14 ფ).

გაზვიადებულმა და გაუაზრებელმა შიშმა ბობოქარი აწმყოსა და გაურკვეველი მომავლის წინაშე და უსაზღვრო სიყვარულმა ქართული კულტურისადმი გადააწყვეტინა ე. თაყაიშვილს ქართული განძეულობის — სამუზეუმო ნივთებისა და ხელნაწერების ევაკუაცია საფრანგეთში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1918 წლის 29 ოქტომბრის (ე. თ. არქ. № 1198, წურ. 98) წერილზე წყდება ნ. მარისა და ე. თაყაიშვილის მიმოწერა კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური მუზეუმის თაობაზე.

ე. თაყაიშვილის შემდეგი წერილი, 1921 წლით დათარიღებული, მიწერილია უკვე მარსელიდან, სადაც ე. თაყაიშვილი აღმოჩნდა როგორც ევაკუირებულ სამუზეუმო განძეულობის მცველი. მიუხედავად იმისა, რომ ის უკვე ძალიან შორს იყო თბილისიდან და აღარაფერზე მიუწვდებოდა ხელი, ამ წერილში ის კვლავინდებურად აწვდის ცნობებს ნ. მარს ინსტიტუტის შესახებ: „შევიტყე, რომ პარიზში ყოფილხარ და ამ წერილს საჩქაროდ გწერ. ჩვენ ევაკუაცია მოვახდინეთ ზოგიერთი სამუზეუმო და საეკლესიო ნივთებისა და აგრეთვე სახაზინოსი. ახლა მე მარსელში ვარ და ვინაიდან არ ვიცი, როდის მოვალ პარიზში, ვიჩქარი გაცნობო, რომ ჩვენი შეყრა აუცილებლად საჭიროა, რომ გაგაცნო მდგომარეობა სამეცნიერო დაწესებულებათა და მათი მომავალი არსებობის გარემოებაზე“ (ნ. მ. არქ. № 108, ძვ. № 1577).

მაგრამ სამშობლოს მოცილებულ ექვთიმეს რჩევას აღარ ჰქონდა ფასი: ისტორია თავისი გზით მიდიოდა, მის გარეშე ვითარდებოდა მოვლენები. ე. თაყაიშვილს იმ დროს, რა თქმა უნდა, ვერ წარმოედგინა, რომ სწორედ საქართველოს გასაბჭოების შემდეგ გახდებოდა შესაძლებელი იმის განხორციელება, რაზედაც ის მთელი სიცოცხლე ოცნებობდა და რისთვისაც მთელი სიცოცხლე იბრძოდა.

ნიკო მარმა კი, რომელსაც ოქტომბრის რევოლუციის პირველ დღეებში რევოლუცია მხოლოდ ნგრევის სტიქიად ესახებოდა, სწრაფად აუღო შექმნილ ვითარებას ალღო და ერთი პირველთაგანი მიხვდა, რომ სწორედ ახალ ვითარებაში მის წინაშე იშლებოდა ახალი სამეცნიერო ასპარეზი, სადაც კავკასიოლოგიაც, მისი გამორჩეული და შექმნილი დარგი, თავის საპატიო ადგილს დაიკავებდა.

ასე გაიყო 1921 წელს ამ ორი დიდი მეცნიერის საერთო გზა, რომელსაც ისინი 1888 წლიდან ერთად კვალავდნენ.

Е. П. МЕТРЕВЕЛИ

ИЗ ПЕРЕПИСКИ Н. Я. МАРРА и Е. С. ТАКАЙШВИЛИ

(Резюме)

В личных архивах акад. Н. Я. Марра и акад. Е. С. Такайшвили хранится богатая переписка ученых (225 писем), охватывающая большой период (1888—1931 гг.) их научно-общественной деятельности. Особого внимания заслуживают письма, касающиеся их совместной научной деятельности по грузиноведению и кавказоведению.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცისანა აბულაძე

ორი თურქული ფირმანი

ქვემოთ ვაქვეყნებთ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის მუსლიმურ ფონდში დაცულ თურქულ ფირმანებს: — Tur d 1 და Tur d 2. ორივე ფირმანი წარმოადგენს ოსმალეთის იმპერიაში მოქმედ სამხედრო-ლენური სისტემის საფუძველზე გაცემულ თმშარის ბოძების სიგელებს.

Tur d 1 ფირმანით სულთანი — მუსტაფა ძე მეჰმედისა (1695—1703 წწ.) 14000 ახჩა შემოსავლიან თმშარს უბოძებს ჰაჯარაქის სანჯაყში მდებარე სოფელ ხეოთში ვინმე ოსმანს. საბუთის verso-ზე უნიშნო ნასხით შესრულებული მინაწერის მიხედვით (تحريرا في ١٧ شوال الكرام سنه ست وماية و الف) ფირმანი დაწერილია '1106 წელს დიდებული შევვალის 17-ს' (=1695 წლის 31. V-ს). ბრძანება კი გამოცემულია, როგორც ფირმანის ტექსტიდან ჩანს, 1106 წლის რამაზანის დასაწყისში (=1695 წლის აპრილის პირველ რიცხვებს). ფირმანი განუახლებია, უთუოდ, სულთან აჰმედ III-ს 1167 წლის ჯუმადა-ლ-ევველის 23-ს (=1705 წ. 12 სექტემბერს). იხილეთ მინაწერი მესამე სტრიქონის თავზე—შუაში: جلوس همايون ايچون تجديد اولنمشدر في ٢٣ جا ١١٧

დოკუმენტი დიდი ზომისაა: 115,5×43. დაზიანებული ადგილები რესტავრირებულია. ტექსტი შედგება 7 სტრიქონისაგან. დაწერილია შავი, წითელი, მწვანე და მოცისფრო მელნით. სხვადასხვა ფერის მელანი მონაცვლეობს დოკუმენტის მხატვრული გაფორმების მიზნით. სტრიქონებს, რომლებიც ერთმანეთისგან საკმაოდ დაშორებულია და ბოლოში მშვილდივით იხრება ზემოთ, თავზე აზის 2—3 ან 4 ოქროს მსხვილი წერტილი. თითოეული სტრიქონის ფონი დაფინწკლულია ოქროთი. ფირმანის ტექსტს გვირგვინად ადგას სულთნის თუღრა, რომელიც შავი, წითელი და ოქროფერილით შესრულებულ სამკუთხა ჩარჩოშია ჩასმული. ჩარჩო შეესებულია წითელი, ლურჯი და ოქროფერილით გამოყვანილი ყვავილოვანი ორნამენტებით, იგი თავისთავად ფონს ქმნის ოქროთი შესრულებული მსხვილი წრიული ორნამენტებისათვის. სამკუთხედის ფუძეა სულთნის თუღრა, რომელიც აგრეთვე ოქროთია გამოყვანილი ცისფერ ფონზე.

ტექსტი დაწერილია დივანნი ჯელილის ერთმანეთში მჭიდროდ გადახლართული ასოებით. მეხუთე სტრიქონის ბოლოს სიდამკათის ხელით არის ჩაწერილი ნაწყალობევი თმშარის სახელი და წლიური შემოსავლის ოდენობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოკუმენტი გაცემულია ედირნეში ანუ ადრიანეპოლში, სულთნის ყოფნის დროს, ბანაკში ყოფნის დროს.

Tur d № 2 ფირმანით სულთანი აჰმედ III (1703—1730 წწ.) იმავე თმშარს სოფ. ხეოთში ზიარი მფლობელობის უფლებით უწყალობებს აწ გარდაცვლილი ოსმანის შვილებს — იბრაჰიმს, იუსუფს, მუსტაფასა და მირზას. აქ ყურადღებას იქცევს ერთი ფაქტი, ფირმანში ხაზგასმულია რამდენჯერმე, რომ ზიარი უფლებით თიმარის ბოძება სცილდება თიმარის გაცემის დდგენილ წესებს[1] تيمار مرحمت قانونلرندن زيادەسيله بروجه اشتراك ويرلمك

საბუთის verso გვერდზე მინაწერის თანახმად, ფირმანი გაცემულია 1125 წლის შეჯბანის დასაწყისში (-1713 წლის VIII-ს პირველ რიცხვებს).

ზომა დოკუმენტისა — 82×45; დაწერილია შავი და წითელი მელნით. სტრიქონებს გარკვეული მანძილის დაცვით თავზე აზის 4 ან 5 (თანმიმდევრობით) ოქროს მსხვილი წერტილი. ტექსტი დაწერილია ოქროს მტვრით დაფარულ ფონზე მოხდენილი დრვანი ჯერისით. ფირმანს გვირგვინად ადგას წითელი მელნით გამოყვანილი თუღრა. დოკუმენტი რესტავრირებულია.

ორივე ფირმანი თავისი შედგენილობითა და შინაარსით ტიპიური ნიმუშია ტახტზე ახლად ასული სულთნის მიერ თმშარის წყალობის სივლისა.

საგანგებოდ უნდა შევნიშნოთ, რომ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის თურქულ დოკუმენტებს შორის დაცულ ბევრი ფირმანი იმ გეოგრაფიულ პუნქტებს ეხება, რომლებიც ფიქსირებულია „გურჯისტანის ვილაეთის დიდ დავთარში". ბუნებრივია, ეს დოკუმენტები „გურჯისტანის ვილაეთის დიდ დავთართან" ერთად, კარგი წყაროა სამცხე-საათაბაგოს ისტორიისა და სოციალურ-ეკონომიური ყოფის შესასწავლად, როგორც ქართული, ასევე თურქული ფეოდალური ურთიერთობათა ცალკეული საკითხების გასარკვევად. ამის დამადასტურებელია წარმოდგენილი ფირმანებიც.

ქვემოთ მოცემულია Tur d 1 და Tur d 2-ის თურქული ტექსტი, ქართული თარგმანი და მცირე ცნობები ტექსტში ფიქსირებული სოციალურ-ეკონომიური ტერმინებისა და გეოგრაფიული სახელების შესახებ.

Tur d1

[1] ذكر الله تعالى اعلى و بالتقديم احق و اليق واولى

თუღრა: مصطفى خان بن محمد مظفر دائما

[2] نشان شريف عاليشان سامى مكان سلطانى و طغراى غراى جهان ستان خاقانى نفذ بالعون الربانى حكمى اولدر كه [3] چون رعايت اكرام زمره سپاه وحمايت احترام فرقهٔ اصحاب عز و جاه شيمه كريمهٔ خواقين سعادت دستكاهدر بنا على ذلك

[1] ძველი კანონების თანახმად, მამის კუთვნილი თიმარი, მისი გარდაცვალების შემდეგ, საზიაროდ ეძლეოდა ორ შვილს. მესამე შვილს კი უნდა მოეთხოვა სხვა თიმარი. მაგრამ თუ თიმარი დიდი ოდენობის იქნებოდა, შეიძლებოდა მისი გადაცემა მესამე შვილზეც. იხ. Трактат Али Чауша из Софии о тимариотской организации в османской империи, А. С. Тверитинова, Аграрный строй османской империи XV—XVII вв., Документы и материалы, М., 1963, стр. 112.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ایاق چلدرده واقع زعامت و تیمار احوالی مختل و مشوش اولمغله متصرف اولنلر برات و تمسکاتلریله یوقلنمه‌ده موجود اولنلره دردستلیق اوزره [4] توجیه اولنمق بابنده بوندان اقدم فرمان عالیشان صادر اولمغین اورته یوللو الا کوزلو اچق قاشلو رافع توقیع رفیع الشان خاقانی عثمان درکاه معلامه کلوب حجرك سنجاغنده وناحیه‌سنده خویت نام قریه و غیریدن اون درت بیك اقچه تیمار خداوندکار سابق برآتیله اوزرنده و قدیمی باباسی و ددەسی اتمکی اولوب و واقع اولان [5] سفر و خدمتلرده و عمومی یوقلمه‌سنده موجود اولدوغنه وزعما الای بکیسی شهادتلریله سنه خمس و مائه والف ربع الاولنك غره‌سنده میر میران طرفندن دردستلیق اوزره توجیه اولنوب تذکره ویرلمکله عنایت رجا اینمکین سنجاغنده ساکن اولوب الای بکیسی بیراغی التنده سفره اشمك شرطیله توجیه اولنماغیچون [6] سنه ست ومائه والف رمضانك اوّایلنده حکمی شریفیم ویریلدکدن صکره تذکره‌سی اخراج اولنمق فرمانم اولمغین ذکر اولنان اون درت بیك اقچه تیمار وجه مشروح و دردستلق اوزره مرقوم عثمانه توجیه اولنوب ویردومکه ذکر اولنور

خویت مع محلات
تابع مزبور
١٤٠٠٠

و بویردومکه بعد الیوم تحت یدنده اولوب تصرف قلوب شولکه [7] و طایف خدمات مبروره موفوره و مساعی مشکوره عساکر منصوره‌دن بر موجب دفتر خاقانی بیقصور مرعی و موّدی قبله اول بابده افراد افریدەدن کائناً من کان و کیف ما کان و سبباً من الاسباب هیچ احد مانع و دافع اولمیه و شویله بیلالر علامت شریفه اعتماد قیلالر

بیورت صحراء
ادرنه

تحریراً فی ١٧ شوال المکرم سنه ست و مائه و الف :verso-ზე მინაწერი

თარგმანი

ვახსენოთ ალლაჰი, მაღალი, უზენაესი, ბრწყინვალება და საწყისი
ჰეშმარიტებისა.

(თუღრა): მუსტაფა ხანი მეჰმედის ძე მარადის გამარჯვებული.

პატიოსანი, მაღალღირსეული, ზეციური სამეფო ნიშნისა და ბრწყინვალე და ქვეყნისმპყრობელი უზენაესი თუღრის[1] — თან ახლდეს მას ღირსება შეწევნითა უფლისათა — ბრძანება ის არის, რომ პატივდებულ სიფაჰთა[2] რეცჯაბათის[3] ლაშქარი და უფლის მფარველობაში მყოფი ღირსეულ პატრონთა ჯგუფი, ძლიერი და დიდებული თვისებებით, მოწყალე ხაკანთა ბედნიერების ზღუდენია, მასზეა დაფუძნებული.

ჩილდირის[4] ეჯვლეთში[5] მდებარე ზეცჯმეთი[6] და თიმარი[7], რადგან დაქცეულია და გაპარტახებული, მფლობელები ბერჯთითა[8] და თიმასუქებით დაიძებნა. შემოწმების დროს გამოვლენილთ [თიმარი] ხელთარსებული საბუთის მი-

ხედვით ეწყალობა. რის შესახებაც ამას წინათ მაღალღირსეული ფირმა̄ნი[9] გამოვიდა.

ჩემს სავანეში მოვიდა და მაღალი სამეფო თევკი̄ჲი[10] წარმოადგინა საშუალო ტანის, შორი-შორ დასხმული წარბების მქონე, ჭრელთვალა ‘ოსმა̄ნმა. ძველი ბერა̄თის მიხედვით, ჭაჭარაქის[11] სანჯა̄ყსა[12] და ნა̄ჰიჲეში[13] მდებარე ხეოთის[14] სახელით ცნობილ კარჲესა[15] და სხვა ადგილებში 14000 ახჩა[16] შემოსავლიანი თი̄მა̄რის მფლობელი ყოფილა მისი მოხუცი მამა და პაპა, მათი პური იყო ის (თიმარი). ზუჲემა̄[22] ალა̄ჲ ბეგის[17] მოწამეობით იგი ლაშქრობასა და სამსახურში მონაწილეობდა და საერთოდ შემოწმებისას ცხადდებოდა. ხელთა აქვს საბუთი იმისა, რომ 1105 წლის რები̄ ‘ულ-ევველის დასაწყისში მი̄რმი̄რა̄ნს[18] მისთვის თი̄მა̄რი უწყალობებია.

იმისათვის, რათა [‘ოსმა̄ნს] თეზქერეს[19] მიხედვით ნაბოძები თი̄მა̄რი, რომელსაც ითხოვს, იმ სანჯაყში ცხოვრებისა და თავისი ალაჲ ბეგის ბაირაღის ქვეშ სალაშქროდ გასვლის პირობით ეწყალობოს, ჩემი წმინდა ჰუქმის[20] 1106 წლის რამაზანის პირველში გაცემის შემდეგ, რამდენადაც ფირმანი უკვე გამოვიდა, თეზქერეც უნდა გაიცეს. ხსენებული 14000 ახჩიანი თი̄მა̄რი, ხელთ არსებული საბუთის მიხედვით, როგორც ზემოთ იყო განმარტებული, ზემოხსენებულ ‘ოსმა̄ნს მივეცი, რაც აქვე აღინიშნება:

ხეოთი მისი უბნებითურთ ექვემდებარება ზემოხსენებულს
14000

და ვბრძანე, რომ ამიერიდან მის ხელში იყოს, მის გამგებლობაში იყოს, ისე რომ სამეფო და ძლევამოსილი ჯარისადმი უხვად კეთილი და საქებარი სიბეჯითის გამოსაჩენი სამსახურეობრივი მოვალეობანი სახელმწიფო დავთრის შესაბამისად უნაკლოდ, შესაფერისად და პატივისცემით შეასრულოს. ამ საქმეში ნურც ერთი ქმნილება, ვინც უნდა იყოს და როგორადაც არ უნდა იყოს, მიზეზად რა მიზეზიც არ უნდა ჰქონდეს, ნურვინ იქნება ხელისშემშლელი და უარმყოფელი. ასე იცოდეთ, პატიოსან ნიშანს ენდეთ.

ბანაკში

ედირნეს ველზე.

(verso-ზე მინაწერი:) დაიწერა ღირსეული შევვა̄ლის 17-ს 1106*.

Tur d 2

თუღრა: احمد خان بن محمد مظفر دائما

[1] نشان شریف عالیشان سامی مکان سلطانی و طغرای غرای جهان ستان خاقانی
حکمی اولدر که [2] چون رعایت و اکرام زمره زعما و سپاه شیمه کریمه خواقین
سعادت دستکاهدر فلذکر ججرك سنجاغنده و ناحیه‌سنده خویت نام قریه و غیریدن
اون دورت بیك اقچه تیماره متصرف اولان عثمان فوت اولوب تیماری محلول
و اورته بویلو الا کوزلو اچق قاشلو رافعو توقیع رقیع الشان خاقانی ابراهیم و ینه
اشکال مزبوره ایله مشکل [3] مصطفی و میرزا و یوسف متوفای مزبورك صحیح

* ჩვენი წელთაღრიცხვის 1695 წლის 31 V-ს.

صلبی اوغللری اولوب ابراز ایلدکلری برات بلا شبهه بابالری براتی اولدوغنه لواء مزبوردن ایکی زعیم و اون نفر ارباب تیمار شهادت اتملریله متوفی بابالری تماری مرحمت قانونلرندن زیاده‌سیله اوغللری مزکورونه بروجه اشتراك ویرلمك رجاسنه لواء مزبور [4] الای بکیسی اعلامیله سنه خمس و عشرین و مائة والف شعباننك غره‌سندن امیر الومراء الکرام چلدر بکلر بکیسی اسحاق دام اقباله طرفندن مزکورلره بروجه اشتراك ترجیه اولنوب تحویل مکتوبی ویرلمکله تیمارلری[1] اولدوغی [5] سنجاقده ساکن اولوب الای بکی بیراغی التنده سفره اشمك شرطیله ذکر اولنان اون درت بین اقچه تیمار وجه مشروح اوزره مزکورون ابراهیم و مصطفی و میرزا و یوسف بابالری متوفای مزبور عثمان تحویلندن مرحمت قانونلرندن زیاده‌سیله بروجه اشتراك [6] توجیه اولنوب مُیر میران مومی الیهك تزکره‌سی موجبنجه ویردومکه ذکر اولنور

خویت مع محلات تابع ججرك

١٤٠٠٠

و بویردومکه بعد الیوم تحت یدلرنده اولوب بروجه اشتراك تصرف قیلوب شولکه و ظایف حدمات مبروره موفوره و مساعی مشکوره عساکر منصوره‌در بر موجب [7] دفتر خاقانی بیقصور مرعی و مودّی قیلالر اول بابده افراد افریده‌دن هیچ فرد مانع و مزاحم اولمایوب بروجهله دخل و تعرض قیلمیه شویله بلالر علامت شریفه اعتماد قیلالر

بمقام
قسطنطنیه
المحروسه

მინაწერი verso-ზე: تحریرا فی غره شعبان فی خمس و عشرین و مائتی و الفونده

თუღრა: ა ჰ მ ე დ ხ ა̄ ნ ძ ე მ ე ჰ მ ე დ ი ს ა — მარადის გამარჯვებული.

პატიოსანი, მაღალღირსეული, ზეციური სამეფო ნიშნისა[10] და ბრწყინვალე და ქვეყნისმპყრობელი, უზენაესი თუღრის[1] ბრძანება ის არის, რომ რეჲა̄ჲათი[3] და პატივდებული კლასი ზაჲიმებისა[22] და დიდებული ბუნების სიფა̄ჰები სულთანთა ბედნიერების კარიბჭეა. მოხსენებულია, რომ ჭაჭარაქის[11] სანჯა̄ყსა[12] და ნა̄ჰიჲეში[13] ხეოთის[14] სახელით ცნობილ კარჲედან[15] და სხვა ადგილებიდან 14000 ახჩა შემოსავლიანი თი̄მა̄რის[7] მფლობელი ‘ოსმა̄ნი გარდაიცვალა და თი̄მა̄რი უპატრონოდ დარჩა. საშუალო ტანის, ჭრელთვალება, შორიშორ დასხმული წარბების მქონე იბრა̄ჰი̄მმა და აღნიშნული ნიშნების მქონე მუსტაფამ და მი̄რზა̄მ და იუ̄სუფმა, რომლებიც ხსენებული გარდაცვლილის ნამდვილი, ღვიძლი შვილები არიან, წარმოადგინეს მაღალღირსეული სამეფო თევკიჲი[10]. ზემოხსენებული ლივ‘ა̄დან[21] ორი ზაჲიმისა[22] და თი̄მა̄რის პატრონი ათი პირის დამოწმებით, მათ მიერ წარმოდგენილი ბერა̄თი, ეჭვგარეშეა, რომ მათი მამის ბერა̄თია. ზემოხსენებული შვილები გვეაჯებიან, რომ მათი გარდაცვლილი მამის თი̄მა̄რი, წყალობათა კანონებზე გარდამეტებით, ზიარი მფლობელობის სახით ებოძოს მათ. აღნიშნული ლივ‘ა̄-ს ა̄ლა̄ჲ ბეგის[17] შეტყობინე-

[1] დედანშია تیمالری

ბით 1125 წლის შეწყობის დასაწყისიდან ემირთა ემირმა, ჩილდირის დიდებულმა პაულა ბეგთაბეგმა — ისჰაკმა[23] — სანგრძლივი იყოს მისი ბედნიერება — ახალ ნებულებს უბოძა [თიმარი] ზიარი მფლობელობის სახით. მფლობელობის ბარათის (تحويل مكتوبى) მიღებით, რომელშიც მათი თმშვარია იმ სანჯაყში ცხოვრებისა და თავიანთი ვალის ბეგის ბაირაღ ქვეშ სალაშქროდ წასვლის პირობით, ხსენებული 14000 ახჩა შემოსავლიანი თმშვარი, როგორც ზემოთ არის განმარტებული, ხსენებულ იბრაჰიმს და მუსტაფას და მირზას და იუსუფს, მათი გარდაცვლილი მამის, ხსენებული 'ოსმანის სანაცვლოდ, წყალობათა კანონების მიღმა ებოძათ საზიაროდ. მრ მირანის ზემო ხსენებული თეზქერეს[19] თანახმად მივეცი, რაც აქვე იხსენიება:

ხეოთი უბნებითურთ ექვემდებარება ჭაჭარაქს
14000

და ვბრძანე, რომ ამიერიდან მათ ხელში იყოს, მათ მფლობელობაში იყოს ზიარი მფლობელობის წესით, ისე რომ უხვად კეთილი და საქებარი სიბეჯითის [ვამოსაჩენი] სამსახურებრივი მოვალეობანი ძლევამოსილი ჯარისადმი სახელმწიფო დავთრის შესაბამისად უნაკლოდ, შესაფერისად და პატივისცემით შეასრულონ. ამ საქმეში ნურც ერთი ქმნილება ნუ იქნება ხელშემშლელი და დამაბრკოლებელი, ნურვინ ჩაერევა რაიმე მიზეზით და წინააღმდეგობას ნუ გაუწევს. ასე იცოდეთ, პატიოსან ნიშანს ენდეთ.

კეთილად დაცულ კონსტანტინეს
რეზიდენციაში

verso-ზე მინაწერი: დაიწერა 1125-ს დიდებული შეწყობის დასაწყისს*.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

1. თ უ ღ რ ა < თურქ. tuğra 'სულთნის მონოგრამა'. სულთნის მიერ გაცემული სიგელების წინ დასმული ნიშანი, რომელშიც მონოგრამულად არის გამოყვანილი სულთნის სახელი, მამის სახელი და ფორმულა داڤا مظفر 'მარადის გამარჯვებული'. ვრცლად თუღრის შესახებ (სათანადო ლიტერატურის დასახელებით) იხ. ს. ჯ ი ქ ი ა, XVIII საუკუნის თურქული დოკუმენტი ოქროს ციხის შესახებ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, № 91, თბ., 1960, გვ. 169—70.

2. ს ი ფ ა ჰ ი < სპ. سپاه 'სამხედრო ლენის, თმშვარის ან ზეკვამეთის მფლობელი ფეოდალი, რომელსაც ევალებოდა ომში გამოეყვანა განსაზღვრული რაოდენობის შეიარაღებული ცხენოსნები; არმია, ლაშქარი.

3. რ ე ც ხ ვ ა თ ი < არაბ. رعية 'ჯოგი', 'სამწყსო', 'ქვეშევრდომი', 'მოსახლეობა', 'გლეხი მიწისმოქმედი', 'გადასახადების გადამხდელი'. მეჩვიდმეტე საუკუნემდე რ ე ც ხ ვ ა თ ი ეწოდებოდა როგორც მუსლიმ, ისე არამუსლიმ მიწურილ გლეხებს. მეჩვიდმეტე საუკუნის შუა წლებიდან კი მეტწილად არამუსლიმებს უწოდებდნენ. ვრცლად იხ. И. Петрушевский, Очерки по

* ჩვენი წელთაღრიცხვის 1713 წლის 23 VIII-ს.

истории феодальных отношений в Азербайджане и Армении в XVI-начале XIX в. в.; А. С. Тверитинова, К вопросу о крестьянском землепользовании: Ученные записи института Востоковедения, т. XVII, М., 1959, стр. 15—27. მისივე Аграрный строй османской империи XV—XVII вв., стр. 210-11.

4. ჩ ი ლ დ ი რ ი. თურქულ წყაროებში „ჩილდირად“ იწოდება XVI საუკუნის მეორე ნახევარში სამცხე საათაბაგოში შექმნილი ეჯვლეთი. მეჩვიდმეტე საუკუნის პირველ მეოთხედში ჩილდირის ეჯვლეთი იგივეა, რაც ახალციხის ეჯვლეთი ანდა ჯუჯისტანის ეჯვლეთი.

ვრცლად ჩილდირის შესახებ იხ. ს. ჯ ი ქ ი ა, სამცხე-საათაბაგოს ტოპონიმიკისა და ისტორიული გეოგრაფიის ზოგიერთი საკითხი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, № 41, თბ., 1950, გვ. 185—195; მ ი ს ი ვ ე, გურჯისტანის ვილაეთის დიდი დავთარი, წიგნი III, გვ. 379 და შემდეგ. ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVII საუკუნეებში. თბ., 1958, გვ. 335—36. მ. ს ვ ა ნ ი ძ ე, ჩილდირის (ახალციხის) საფაშოს დაარსების ისტორიიდან: მაცნე, № 3, თბ., 1964, გვ. 79—82.

5. ე ჯ ვ ლ ე თ ი < არაბ. ‘ولاية ‘ოლქი’, ყველაზე დიდი ადმინისტრაციული ერთეული ოსმალეთის იმპერიაში.

6. ზ ე ა მ ე თ ი < არაბ. زعامة ‘ხელმძღვანელობა’, ‘მეთაურობა’, ‘ჰეგემონობა’ > ‘დიდი მამული’; მსხვილი სამხედრო ფეოდალური საკარგავი, რომელსაც წყალობის სახით აძლევდა სულთანი მაღალი თანამდებობის პირებს — ვლაჰ ბეგებს, ქეთხუდებს და ა. შ. მისი წლიური შემოსავალი შეადგენდა 20000-დან 100000-მდე ახჩას.

7. თ ი მ ა რ ი < სპ. تيمار ‘მოვლა’, ‘მზრუნველობა’, ‘დაცვა’ — ზოგადად ოსმალური მიწათმფლობელობის აღმნიშვნელი სახელი, დავიწროებული მნიშვნელობით თ ი მ ა რ ი ნაწყალობევი მიწის მცირე ერთეული, სამხედრო საკარგავია, რომლის წლიური შემოსავალი 20000 ახჩამდე შეიძლებოდა ყოფილიყო. ოსმალეთის ევროპულ ნაწილში თიმარად ითვლებოდა ყველა საკარგავი, რომლის წლიური შემოსავალი 3000 ახჩას უდრიდა, აზიურში კი 2000. თიმარის პატრონი ვალდებული იყო სამხედრო თუ სხვა ხასიათის სამსახური გაეწია სახელმწიფოსათვის. შდრ. ჩვენი ფირმანის ტექსტი: „ვლაჰ ბეგის ბაირაღ ქვეშ სალაშქროდ წასვლის პირობით“, „ღუხად კეთილი და საქებარი სიბეჯითის [გამოსაჩენი] სამსახურებრივი მოვალეობანი სამეფო და ძლევამოსილი ჯარისადმი, შესაბამისად სახელმწიფო დავთრისა, უნაკლოდ, შესაფერისად და პატივისცემით შეასრულოს“. თიმარისა და ზეამეთის შესახებ იხ. ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. წიგნი, გვ. 185—188; ს. ჯ ი ქ ი ა, XVIII საუკუნის თურქული დოკუმენტი... გვ. 178—79; მ ი ს ი ვ ე, იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თბ., 1964, გვ. 104, 111.

8. ბ ე რ ა თ ი < არაბ. برات > ქართული ბარათი; აქ სულთნის მიერ გაცემული უზენაესი ბრძანებისა და განკარგულების შემცველი სიგელი თიმარის ბოძების შესახებ.

9. ფ ი რ მ ა ნ ი < სპ. فرمان ‘სულთნის მიერ გაცემული სიგელი’.

10. თ ე ვ კ ი̄ ყ ი < არაბ. توقيع 'თუღრა', 'ნიშანი'. სულთნის ფირმანებში თუღრის შინაარსით იხმარება, როგორც თურქული წარმომავლობის სიტყვა თუღრა توغرا, ასევე არაბული توقيع, علامة და სპარსული نشان სათანადო ეპითეტებთან ერთად (იხ. თუღრასთან დასახელებული ლიტერატურა).

11. ჭ ა ჭ ა რ ა ქ ი — ამჟამად სოფელი, მდებარეობს ახალციხის რაიონში, შედის მინაძის სასოფლო საბჭოში (იხ. Грузинская ССР, административно-территориальное деление, Тб., 1960. стр. 25). „დავთრის“ შედგენის დროს ჭაჭარაქი, (არაბულ ტრანსკრიფციაში ججرك) ნა̄ჰიჲეს ცენტრია, იხ. „დავთარი“, წიგნი I, გვ. 148; II 148, III 207—241; ჩვენს ფირმა̄ნებშიც ჭაჭარაქი ნა̄ჰიჲესა და სანჯა̄ყის ცენტრად წერია.

12. ს ა ნ ჯ ა̄ ყ ი < თურქ. سنجاق 'სადროშო', 'სამხედრო ადმინისტრაციული ერთეული ოსმალეთში'; სანჯაყებად იყოფოდა ვილა̄ჲეთი.

13. ნა̄ჰიჲე < არაბ; ناحيه 'მხარე', 'კიდე', 'მიდამო', 'სანახები' > ოსმალეთში უმცირესი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეული (=რაიონს), ექვემდებარებოდა კ ა ზ ა̄ ს.

14. ხ ე ო თ ი. „გურჯისტანის ვილაჲეთის დიდ დავთარში“ حوس მოხაზულობით აღნიშნულია სოფელი, ჭაჭარაქის ნაჰიჲეში. მასზე შეწერილია გამოსაღები 14000 ახჩის ოდენობით. ეს კი მანიშნებელია იმისა, რომ ჩვენი დოკუმენტის حويت — სოფელი 14000 ახჩის შემოსავლით ჭაჭარაქის ნა̄ჰიჲეში და „დავთრის“ حوس, რომლის „ხეოთ“-ად ამოკითხვა ეჭვს არ იწვევს (ს. ჯ ი ქ ი ა, გურჯისტანის ვილა̄ჲეთის დიდი დავთარი, წიგნი III, გვ. 230—31), ერთი და იგივედ მივიჩნიოთ. ს. ჯიქიას, ზემოთ დასახელებულ სტატიაში ოქროს ციხის შესახებ, რამდენჯერმე აქვს აღნიშნული, რომ „დავთარში“ ფიქსირებული გამოსაღების ოდენობა უცვლელი რჩებოდა. „დავთრის“ შედგენიდან ერთი საუკუნის შემდეგ გაცემულ დოკუმენტშიც ცალკეულ სოფლებზე იმავე ოდენობის გადასახადია აღნიშნული, რამდენიც „დავთარშია“.

ხეოთი მდებარეობს ახალციხის რაიონში, შედის ურავლის სასოფლო საბჭოში. იხ. Грузинская ССР, административно-териториальное деление, стр. 25.

15. კარჲე < არაბ. قرية 'სოფელი', 'დაბა'.

16. ახჩა < თურქ. آقچه 'ვერცხლის წვრილი მონეტა'.

17. ა̄ლა̄ჲ ბეგი — ვილა̄ჲეთის სიფა̄ჰი̄ების თავი, უფრო გვიან ჟანდარმერიის უფროსი.

18. მი̄რ მი̄რა̄ნი < არაბ. أمير 'დიდი სამეფო მოხელე', ფაშის შემდეგ მეორე პ ი რ ი. ხშირად მი̄რმი̄რა̄ნი გაიგივებულია ვილა̄ჲეთის სათავეში მდგომ ბ ე გ ლ ა რ-ბ ე გ თ ა ნ. შდრ. ش. سامى გვ. 1441.

19. თ ე ზ ქ ე რ ე < არაბ. تذكرة 'მოგონება', 'გახსენება', 'სამახსოვრო წიგნი', 'მემუარები', 'უწყება'. მეთექვსმეტე საუკუნის მეორე ნახევრის ოსმალეთში „თეზქერე“ ეწოდებოდა ბეგლარბეგის მიერ საკარგავის მფლობელად რეკომენდებული პირის იმ საბუთს, რომელიც პროვინციიდან სატახტო ქალაქის დეფთერხანეში იგზავნებოდა. 1530 წლიდან ბეგლარბეგებს ჩამოერთვათ საკარგავების გაცემისა და მფლობელობის „ბარათის“ მიცემის უფ-



Tur d l



ლება. გაშონაკლისს შეადგენდა მცირე თიმარები, რომელთა წლიური შემოსავალი არ აღემატებოდა 3000 ახჩას. ბეგლარბეგი ასახელებდა თიმარის მფლობელობის კახდიდატს და ამ რეკომენდაციას ეწოდებოდა „თეზქერე“. ბეგლარბეგის თეზქერეს საფუძველზე სცემდა სულთანი თიმარის წუალობის სიგელს — ბერათს (იხ. ვ. გაბაშვილი. დასახ. წიგნი, გვ. 337—338).

20. ჰუქმი < არაბ. حكم >თ. hükûm ‘სასამართლოს გადაწყვეტილება’, ‘განაჩენი; ‘უზენაეს ბრძანებათა და განკარგულებათა შემცველი სიგელი’. სინონიმია ბერათისა და ფირმანისა.

21. ლივა’ < არაბ. لواء ‘დროშა, რომელსაც შუბის წვერზე ამაგრებდნენ’ > საღროშო, ადმინისტრაციული ერთეული. იგივე სანჯაყი.

22. ზაყემი < არაბ. زعيم ‘ზეამთის მფლობელი’. ფირმანში მრავლობითის ფორმითაც გვხვდება (زعماء).

23. ისპენჯი — ისპენჯ ფაშა, ჩილდირის დინასტიიდანაა. 1114 წელს (1702—03) ხსენებული ლივა’ს მფლობელი — ბეგთაბეგი გახდა. მერე ცოტა ხნით ჩამოაქვეითეს. მალე კვლავ მიიღო დანიშვნა. 1136 წლის შავვალის 13-ს (1724 წ. 5/VII) ვეზირის რანგი მიიღო, 1137 წელს (1724—25 წ.) თბილისის ვალი თანამდებობაც მისცეს. თბილისის სპარსელთა ხელში გადასვლის გამო კვლავ ჩილდირში დაბრუნდა. მაგრამ 1145 წ. (1732—1733) თბილისი კვლავ აიღეს ოსმალებმა და ისევ მას ჩააბარეს. გარდაიცვალა 1161 წლის რამაზანის თვეში (1748 წ. VIII/IX) იხ. محمد ثريا سجل عثمانى ياخود تذكرهٔ مشهير عثمانيه წიგნი I, გვ. 326—27.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში ქართულ წყაროებთან ერთად დაცულია ბევრი თურქული დოკუმენტი „ოსმალობის“ პერიოდისა, რომელშიც მოხსენიებულია ისპაკ ფაშა.

Ც. ა. აბულაძე

ДВА ТУРЕЦКИХ ФИРМАНА

(Резюме)

В статье публикуются текст и перевод с примечаниями двух турецких фирманов Tur d 1, Tur d 2, хранящихся в Институте рукописей АН Грузинской ССР. Фирманы выданы турецкими Султанами Мустафой (1695—1703) в 1695 году и Ахмедом III (1703—1730) в 1713 году. Они адресованы к неким Осману (Tur d 1) и его сыновьям Юсуфу, Мустафе и Мирзе (Tur. d 2) для закрепления за ними прав владения тимара в селе Хеоти с доходом 14000 ахча.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცისანა აბულაძე

ტრაპიზონის ფაშის სეიდ სულეიმანის წერილები სოლომონ მეორესთან

ცნობილია, რომ იმერეთის მეფემ სოლომონ მეორემ სამეფოსა და ტახტის შესანარჩუნებლად „ღონედ ჟღლურებისა თვისისა“ ოსმალეთს მიმართა და სულთნისაგან დახმარების მიღების მოლოდინში თურქეთში დაასრულა სიცოცხლის უკანასკნელი წლები[1].

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის მუსლიმურ ფონდში ინახება რამდენიმე თურქული დოკუმენტი, რომელიც გვამცნობს სოლომონ მეორის თურქეთში ცხოვრების მნიშვნელოვან დეტალებს, სოლომონის ცალკეულ ზრახვებს და სულთნისა თუ ოსმოსავლეთ ანატოლიის ფაშების დამოკიდებულებას მისდამი. ამ დოკუმენტთაგან ოთხი (Tur d 128_{1-4}): — ერთი ფირმანი (1812 წელს გაცემული) და სამი წერილი (1813 წლით დათარიღებული) დაიბეჭდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომებში[2]. ამჯერად ვაქვეყნებთ აღნიშნული წერილების ავტორის — ტრაპიზონისა და შავი ზღვის სანაპირო ზოლის ფაშის, სეიდ სულეიმანის[3] კიდევ ორი წერილის თურქულ ტექსტსა და ქართულ თარგმანს.

წერილები დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტის მუსლიმურ ფონდში, Tur d 102 და Tur d 123 ნომრით. ორივე დაწერილია მოყვითალო ფერის სქელ ჭვირნიშნიან ქაღალდზე ნასხით. უზის სეიდ სულეიმანის ოვალური, შემოსაზღვრული ბეჭედი წარწერით: سيد سليمان عبده ٢١٩

ორივე წერილში ლაპარაკია სულთნის მიერ სოლომონისთვის მეფურ წყალობად ბოძებულ 15000 ყურუშზე (არა გვგონია, რომ 1814 წლის მარტისა და

---

[1] ალ. ხახანაშვილი, მეფე იმერეთისა სოლომონ მე-II, თბ., 1910; ას. კიკვიძე, საქართველოს ისტორია (XIX საუკუნე), თბ., 1954; გვ. 51—79; მ. დუმბაძე, დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში, თბ. 1957, გვ. 156—203; მ. გონიაშვილი, შენიშვნები იმერეთის სამეფოს გაუქმების შესახებ: მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისთვის, ნაკ. 34, თბ., 1962, გვ. 129—135; ნ. შენგელია, ს. ჯიქია, ოსმალეთთან სოლომონ მეორის ურთიერთობის ერთი ეპიზოდი. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა მოამბე, ტ. 3, თბ., 1963, გვ. 187—189.

[2] ც. აბულაძე, ოთხი თურქული დოკუმენტი იმერეთის მეფის სოლომონ II-ის შესახებ: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, აღმოსავლური სერია, № 121, თბ., 1967, გვ. 165—185.

[3] შდრ. შ. ბურჯანაძე, იმერეთის სამეფოს პოლიტიკური საბუთები (1784—1810), თბ., 1953: ტრაპიზონის ვალი, ჯანიქის ვაჰასალი (sic), ყარაჰსარის და გონიის მუთასარიფი და სრულიად შავი ზღვის ფარშის (sic) და გურჯისტანის სარასკარი სამთელიანი სეიდ-სულეიმან ფაშა.



Tur d 102



Tur d 123

1815 წლის იანვრის წერილებში ერთი და იმავე 15000 ყურუშის ხსენება ყოს. იქნებ ეს თანხა სოლომონს განწესებული ჰქონდა სულთნისაგან ყოველწლიურად).

წერილებიდან ცხადი ხდება, რომ სოლომონ მეორე თურქეთში საპატიო ტყვის მდგომარეობაში ჩავარდნილა. აღმოსავლეთ ანატოლიის ფაშებისა და სერასქერებისგან იმედგაცრუებულს, დახმარების მოლოდინით თავგანწირებულ მეფეს, მიუხედავად ავადმყოფობისა, თავად განუზრახავს სტამბოლს წასვლა, მაგრამ ეს განზრახვა, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, განუხორციელებელი დარჩა.

Tur d 123

[1] رغبتلو زینتلو رتبتلو حشمتلو دوست مخالصت پیوستم سلومان خان جنابلری

[1] جانب رتبتلرینه سلام سلامت انجام اعلاغیله خاطر دوستانه‌لری سئوال و استعلام اولندیغی سیاقده نمایانده محبانه‌مزدر که [3] طرف رغبتلرینه درکار اولان میل درونمز کون بکون افزون اولمقده اولوپ مرور اوان ایله انفصال پذیر اولمیه‌جغی تعریفدن [4] مستغنیدر و اشتغال امور سببیله ورقه موقت ارسالنه دسترس اولنه‌مدی ایسه‌ده جناب دوستانه‌لری خاطر محبانه‌مدن [5] اصلا فراموش اولندیغکز یوقدر و بوندن اقدم بر قطعه ورقه‌مز بعث و تسییر اولنمش اولمغله بو آنه قدر واصل اولمق [6] کرکدر و بو دفعه ارسال اولنان عریضه‌لری مشمول و خلاصه مفهومی معلوممز اولمشدر حکمت خدا حسته‌لیکه دوچار ایله [7] الی هذا الان افاقت بولمدیغکز اشعار اولنمش و افاقت بوله‌مدیغکز حالده در علیه‌یه عزیمت ایلمکز ایما قلنمش [اولنمغله [8] بو صورتده ابتداء امرده قالقوپ در علیه‌یه کتمك روا ومناسب اولمیوب اولاً برکره بو وجهله عزیمت ایده‌جکیکزی در علیه‌یه عرض [9] و تقدیم ایتمك لازمدر افاده اولنمدقچه عزیمتکز غیر مناسب ایدوکی و بو خصوصی اولطرفده طریزون قائمقاممز مروتلو اغا پدرمز [10] حضرتلریله دخی مذاکره ایلمکز مستحسن اولمغله‌جغی و بو اوانده اغای مومی الیه حضرتلرینك امور وافره و اشتغال متکاثره‌یه دوچار [11] اولدیغی حسبیله بعض لوازمات دوستانه‌لرنده صعوبت چکلمش ایسه‌ده بو دفعه استراحت و رفاهیتلری خصوصلری تاءکیداً [12] طرفمزدن تحریر و اشعار اولندیغی و عطیه شاهانه بیوریلان اون بشیك غروشیك دخی صوب رتبتلرینه اعطا و تسلیم [13] اولنمق خصوصلری دخی بروجه دقت تحریر اولنوب بمنه تعالی کافهٔ امورو رفاهیتلرینه اقتضا ایدن مساعده و همتمز زنهار [14] دریغ اولنمیه‌جغی و انشاء الله تعالی سایه همایوانهٔ حضرت تاجداریده هربر خصوصلر رعنا و کوزل اولوب جناب دوستانه‌لری [15] دخی فرحیاب اوله‌جغی و بو حوالیلرده سؤال اولنمغله شمدیلك افاده اولنه‌جق بر حوادث اولمیوب سیزلر بو طرفدن کندکلری حال اوزره [16] اولدیغی و هر بر خصوص توادکز داوید تقریرندن معلومکز اولمق ایچون و خاصه سؤال خاطر دوستانه‌لری سیاقده [17] و مادام الحیواة طرفکزی فراموش

ეროვნული ბიბლიოთეკა

ايمك عديم الامكان ايدوكى ضمننده شقه مودّت تحرير و ارسال اولنمشدر انشاء الله
تعالى لدى الورود [18] بوندن بويله دخى طرفمزى خاطر دوستانه‌لرندن عدم
فراموشلرى مامول محبانه‌مزدر دوستم

في سنه ٢٢٩

را ١٩

ბეჭედი: سيد سليمان عبده

٢١٩

თარგმანი

სანატრელო, მშვენიერო, ჩინოვანო, დიდებულო, გულწრფელო მეგობარო, ჩემო თანამოაზრევ, თქვენო აღმატებულებავ სოლომონ ხან!

თქვენი უდიდებულესობისათვის მშვიდობის მომტანი სალმისა და მეგობრული პატივისცემით ამბის მოკითხვის და გაგების გზით ჩვენი კეთილის მსურველი მოსახსენებელი ის არის, რომ პატივმოსილთა მიმართ ჩვენი ჭეშმარიტი სიყვარული განუზომელია და კვლავაც დღითიდღე იზრდება. საჭირო არ არის გამცნოთ, რომ დროთა სრბოლა ვერ დაგვაშორებს. მართალია, საქმეებით გადატვირთვის გამო, ვერ მოხერხდა მოკითხვის წიგნის გამოგზავნა, მაგრამ არაოდეს ყოფილხართ ჩემს კეთილგანწყობას მოკლებულნი და მივიწყებულნი. ამას წინათ პატარა ბარათი გამოგიგზავნეთ და აქამდე უნდა მოსულიყო.

ახლახან გამოგზავნილი წერილი მოვიდა და ჩვენთვის ცნობილი გახდა მისი შინაარსი და ძირითადი აზრი. ბრძენ უფალს ავადმყოფობა შეჰყრია უცებ. შევიტყეთ რომ არ გამოჯანმრთელებულხართ აქამომდე და თუმცა თავს კარგად ვერ გრძნობთ, მაინც გაგიზრახავთ სტამბოლს[1] გამგზავრება. ასეთ მდგომარეობაში საქმის წამოწყება და სტამბოლს წასვლა არ არის რიგიანი და მიზანშეწონილი. უპირველესად საჭიროა ერთხელ არზისა და მოხსენების წარდგენა, რომ თქვენ ამ მიზეზით გაემგზავრებით სტამბოლს. შეუტყობინებლად კი თქვენი ჩასვლა მიზანშეწონილი არ არის. კარგი იქნება თუ ამის შესახებ დაეთათბირებით ტრაპიზონის კა̄იმაკა̄მს[2], მის აღმატებულებას, ჩვენს კეთილშობილ მამა აღას.

იმის გამო რომ მის აღმატებულებას, ზემოხსენებულ აღას, ამ ხნის განმავლობაში ბევრი საქმე ჰქონდა და ძალიან დაკავებული იყო, ჩვენს მეგობრებს ნივთიერად გაუჭირდათ, მაგრამ აწ კი თქვენი მოსვენებისა და უზრუნველყოფისათვის პირობები მოგვარებულია. ჩვენ ეს მოგწერეთ და შეგატყობინეთ. ყურადღების ნიშნად ისიც იქნა მოწერილი, რომ მეფურ წყალობად გაღებული 15000 ყურუში[3] ებოძა და ჩაბარდა მაღალ ჩინიანთ[4].

---

[1] სტამბოლის აღმნიშვნელად წერილში ყველგან در عليه 'კარი მაღალი' სწერია.

[2] კა̄იმაკა̄მი < არაბ. قائمقام < مقام + قائم 'ადგილის დამჭერი' > 'სახელმწიფო მოხელე', 'ქაზის მმართველი'.

[3] ყურუში—თურქული მონეტა, პიასტრი; თურქული ლირის მეასედი ნაწილი.

[4] აქ უნდა იგულისხმებოდეს ტრაპიზონის კა̄იმაკა̄მი. როგორც სეიდ სულეიმანის მეორე წერილიდან (Tur d 102) ჩანს, სულთანი სოლომონ მეორისთვის გაღებულ საბოძარს—15.000 ყურუშს უგზავნის ტრაპიზონის კაიმაკამს. ეს უკანასკნელი გადასცემს ამ თანხას სოლომონ ხანს.

უზენაესის წყალობით არ დაიზოგება ყველა თქვენი საქმისათვის და თქვენი უზრუნველყოფისათვის საჭირო გულმოდგინება და მცდელობა.

თუ მაღალმა ღმერთმა ინება, მისი მეფური წყალობით, მისი უდიდებულესობის — გვირგვინოსნის — ყოველგვარი საქმე კეთილად და კარგად დასრულდება. ჩვენი საყვარელი ბატონებიც გაიხარებენ. ამ ამბების შესახებ შეკითხვაზე ამჯერად გადმოსაცემი ახალი არაფერი მომხდარა, ისეთივე მდგომარეობაა, როგორიც თქვენი აქედან წასვლის დროს იყო.

იმისათვის, რომ თქვენი თავადის დავითის[5] ნაამბობიდან თქვენთვის ყველაფერი ნათელი იყოს, განსაკუთრებით კი მეგობრული პოგონების მაჩვენებლად და მაუწყებლად იმისა, რომ არაოდეს იქნებით დავიწყებულნი, დაიწერა და გამოგზავნა მოკითხვის წიგნი. ჩემო მეგობარო, თუ მაღალმა ღმერთმა ინება, როცა [წერილს] მიიღებთ, ჩვენი გულითადი სურვილია არ დაივიწყოთ ჩვენი მეგობრული მოკითხვა.

დაიწერა: [1]229 წლის რებ'ულ-ევველის 19*-ს.

ბეჭედი წარწერით: მონა მისი (ალლაჰის) სეად სულეიმან. [1]219**

Tur d 102

[1] حشمتلو زینتلو کیاستلو دوست وفادارم مودتشعارم خان محتشم جنابلری
[2] همواره عمر و حیاتله کارپسندیدهلری صغار و کبار اولملری دعواتی اداسیله
نمایندهٔ دوستانه و ابنا کردهٔ محبانهمزدر که [3] بو دفعه تحریر و ارسال اولنان
رقیمه موّدتلری طرفمزه ورود و خلاصهٔ مفهومنده بوندن اقدم با اراده علیه جنابکزه
[4] احسان و عطیهٔ حضرت شاهانه پیوریلان اون بشیك غروشی حالا کتخدامز و
طریزون وجانبك قایمقامز سعادتلو [5] اغا پدرمز طرفندن اخذ و قبض ایلدکدکزی
مشعر افاده کز معلومم اولوب حظ موفورمز اولمشدر و دیکر شقهٔ موّدتلرنده [6] بو
اثناده ینه مجدداً نامزاج اولدیغکزی اشعار اولنمش اولوب اثر حزنمزی موجب اولوب
حق تعالی حضرتلری قریباً [7] اسباب و دواٴ شفای عاجللر عنایت و احسان ایلیه
امین بو دفعه متعازم اولور وقوعی نعم الوسیله خاصا [8] استفسار خاطر دوستانهلری
سیاقنده اشبو رقیمهٔ موّدت تحریرینه بادی اولمشدر انشا آلله تعالی لدی الوصول
[9] معلوم صداقت ملزومك اولدقده کلور وقوعنده کیفیت مزاجکزی و صحت
خبریکزی مشعر رقیمه مودتلری ارسالیله طرفمزی [10] یاد و تذکاره حمینلری مأمول
محبانه مزدر دوستم

۲۳۰
م ۲۳

ბეჭედი: სიდ
სულეიმან
აბდი
۲۱۹

[5] თავადი დავითი—დავით აგიაშვილი, ქვემო იმერეთის სარდალი, სოლომონ მეორის წარმომადგენელი სტამბოლში. მან და ქაიხოსრო წერეთელმა (ზემო იმერეთის სარდალი, სოლომონის ერთგული თავადი) მიართვეს სულთანს სოლომონ მეორის მორჩილების წერილი. იხ. ნ. შენგელაია, ს. ჯიქია, დასახელებული წერილი, გვ. 192; გ. ათაიშვილი, მგზავრობა თბილისიდან იერუსალიმამდე, თბ., 1967, გვ. 62.

* ჩვ. წელთაღრიცხვის 1814 წლის 10. III-ს.
** 1804-05 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ ა რ გ მ ა ნ ი

დიდებულო, მშვენიერო, შორსმჭვრეტელო, მეგობარო ერთგულო, [illegible]რულით გამორჩეულო, თქვენო აღმატებულებავ ბრწყინვალეო ხან!

მარად ჟამ სიცოცხლითა და დღეგრძელობით, მცირეთა და დიდთაგან მოსაწონ საქმეთა ჩადენაზე ლოცვა-კურთხევით ჩვენი კეთილგანწყობის მაუწყებელი და მეგობრული მოსახსენებელი ის არის, რომ ახლახან დაწერილი და გამოგზავნილი მოკითხვის ბარათი მოვიდა და მის ძირითად შინაარსში თქვენგან გადმოცემული ამბავი შევიტყეთ.

ამ ცოტა ხნის წინ მიგიღიათ და ჩაგიბარებიათ ახლანდელი ჩვენი ქეთხუდასაგან[1], ტრაპიზონისა და ჭანიკის[2] კაიმაკამის, სვებედნიერ მამა აღასაგან თქვენი უდიდებულესობისათვის უზენაეს მეფურ ჯილდოდ ბოძებული და ნაწყალობევი 15000 ყურუში და უზომოდ გავიხარეთ. სხვაც გვეცნო მოკითხვის ბარათიდან — თქვენ ამჟამად კვლავ შეუძლოდ ბრძანებულხართ, რაც ჩვენი წუხილის მიზეზი შეიქნა. მალე გიბოძოთ და გიწყალობოთ მაღალმა ღმერთმა სწრაფად განმკურნავი წამალი და საშუალება, ამინ! ამჯერად ერთმანეთი დავამშვიდეთ. ბედნიერი შემთხვევის გამო, საგანგებო მეგობრული მოკითხვა გახდა მიზეზი ამ სასიყვარულო წიგნის მოწერისა. თუ მაღალმა ღმერთმა ინება, როცა მოაღწევს და როცა გეცნობებათ ჩვენი მტკიცე ერთგულება, ჩვენი გულითადი სურვილია ჩემო მეგობარო, რომ როგორ იგრძნობთ თავს — თქვენი ჯანმრთელობის ამბის მაუწყებელი მოკითხვის ბარათის გამოგზავნით ბეჯითად გახსოვდეთ და მოგვიგონოთ.

[1] 230 წლის მუჰარრემის 23*

ბეჭედი: მონა მისი (ალლაჰისა) სეიდ სულეიმან. [1] 219**

Ц. А. АБУЛАДЗЕ

ПИСЬМА ТРАПЕЗУНДСКОГО ПАШИ СЕЙД СУЛЕЙМАНА К СОЛОМОНУ II

(Резюме)

В статье публикуются два письма (турецкий текст и грузинский перевод) Трапезундского Паши Сейд Сулеймана к царю Имеретии Соломону II. Письма хранятся в Институте рукописей им. К. Кекелидзе АН Грузинской ССР (Tur. d 102 и Tur. d 123). Относятся они к 1814 и 1815 годам и содержат важные сведения об отношениях турецких властей к царю Соломону.

[1] ქ ე თ ხ უ დ ა < სპ. كتخدا 'მამასახლისი'.

[2] ჭ ა ნ ი კ ი — თურქული გამოთქმით და დაწერილობით ჯ ა ნ ი ქ ი, სამსუნისა და ორდუს ვილაეთების ძველი სახელი, ოსმალეთის იმპერიის არსებობის ბოლო პერიოდში ტრაპიზონთან დაკავშირებული ის სანჯაყი, რომლის ცენტრი იყო სამსუნი.

* 1815 წლის 5 იანვარი

** 1804—05 წწ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნანა ყანჩაველი

ალალარ-ხანის რამდენიმე წერილი მ. ზ. არლუთინსკი-დოლგორუკისადმი

კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის აღმოსავლურ ხელნაწერთა ფონდში დაცულია ერთ-ერთი დაღესტნელი ხანის ალალარის არაბულ ენაზე დაწერილი წერილები კასპისპირა მხარის ჯარების უფროს მ. ზ. არლუთინსკი-დოლგორუკისადმი. წერილები პიჯრით 1263—1266 წლებისაა, რომლებიც მოიცავენ ქრისტიანული წელთაღრიცხვით 1846—50 წლებს. აქედან ალალარის წერილების დიდი უმრავლესობა 1848—1849 წლებზე მოდის.

ადრეც გვქონდა აღნიშნული, რომ წინამდებარე წერილები პირველწყაროა, რომლებიც შეიცავენ გასული საუკუნის 40-იან წლებში მეფის რუსეთის წინააღმდეგ დაღესტნელთა ცალკეული საბრძოლო ეპიზოდების დაწერილებით ინფორმაციას. წერილები იძლევა დამატებით კონკრეტულ მასალას ამ პერიოდში შამილისა და მისი მიმდევრებია საომარი მოქმედების გააქტიურების შესახებ. ცნობილი საბჭოთა მეცნიერი ნ. ა. სმირნოვი თავის წიგნში — „მიურიდიზმი კავკასიაში" — აღნიშნავს: „საერთოდ უნდა ითქვას, რომ დადგენა და მიკვლევა წყაროებისა, რომლებიც ეხებიან მიურიდიზმს და შამილისა და მისი წინამორბედების საქმიანობას, საბჭოთა მკვლევრების მნიშვნელოვანი ამოცანაა, რომლის გადაწყვეტა ხელს შეუწყობს ნათელი მოჰფინოს ჯერ კიდევ ბევრ ბუნდოვან საკითხს, რომლებიც მთელითა მოძრაობას ეხება"[1]. ნ. ა. სმირნოვისავე ცნობით, ჯერ კიდევ არ არის ჯეროვნად შესწავლილი და მიკვლეული საარქივო ფონდები, რომლებიც ზემოხსენებული საკითხის შესახებ დოკუმენტებს შეიცავს. ცუდადაა საქმე ხელნაწერი მასალის გამოვლინების მხრივ არაბულსა (შამილის იმამათში ოფიციალურ ენასა) და ადგილობრივ ენებზე და რომ პირველ რიგში მისკენ უნდა იქნას მიმართული ყურადღება მკვლევარ-კავკასიოლოგთა[2]. ამდენად, წინამდებარე მასალა გარკვეულ ინტერესს უნდა წარმოადგენდეს ჩრდილო-კავკასიის, კერძოდ, დაღესტნის ისტორიკოსთათვის.

წერილების ავტორი, როგორც ვთქვით, ალალარ ხანია, მეფის რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი. იგი იყო შვილი ღაზიღუმუქელი ომარ ბეგისა[3], ტო-

[1] Н. А. Смирнов, Мюридизм на Кавказе, М., 1963, стр. 9.

[2] იქვე, გვ. 6.

[3] А. Комаров, Казикумухские и кюринские ханы, ССКГ, вып. II, Тифлис, 1869, გვ. 37, 41. როგორც ლაკური გადმოცემა ამბობს, ალალარის ნამდვილი სახელი ყოფილა შაჰმარდან (ალბათ, პაპის სახელის შიხმარდანბეგის მიხედვით). პატარა შაჰმარდანს დედა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მით ლაკი. აღალარის გარდა ომარ ბეგს სამი ვაჟი ჰყავდა — აბდარრაჰმან ბეგი, სადიკ ბეგი და აბდულლა ბეგი[4].

აღალარი ახალგაზრდობიდანვე რუსების სამსახურშია და აქტიურად მონაწილეობს რუსების მიერ დაღესტანში ჩატარებულ სამხედრო ოპერაციებში. 1847 წლის 1 სექტემბერს მ. ვორონცოვის ბრძანებით, ღაზიღუმუქის სახანოს მმართველის თანამდებობიდან გადაყენებულ იქნა აბდარრაჰმან ბეგი[5], როგორც თავისი პოსტისათვის შეუფერებელი პირი და მის ნაცვლად დაინიშნა მისი ძმა აღალარი, რომელიც იმხანად გვარდიის როტმისტრი იყო. 1852 წლიდან აღალარი გენერალ-მაიორია; 1856 წლიდან იგი მეფის ამალაში ჩარიცხეს. აღალარ ხანი ცნობილია ისტორიაში, როგორც უმკაცრესი მმართველი ღაზიღუმუქის სახანოსი[6]. ამასთან, გამოირჩეოდა არაჩვეულებრივი სიმამაცითა და გამბედაობით. „მეზობელ მთიელ ტომებს, — წერს მის შესახებ ე. ვეიდენბაუმი[7], — რომლებიც შამილის ქვეშევრდომები იყვნენ, ძლიერ ეშინოდათ მისი და ცდილობდნენ თავი აერიდებინათ ყაზიყუმუხის მილიციის ამ მამაც მეთაურთან შეტაკებებისათვის. იგი იყო ნამდვილი აღმოსავლელი მბრძანებლის ტიპი, რომლის სიმკაცრეს, თვითნებობასა და დესპოტიზმს საზღვარი არ ჰქონდა“. გარეგნობით ძლიერ ლამაზი, ენერგიით აღსავსე აღალარი მეტად პატივმოყვარე და უფლებისმოყვარე ყოფილა[8]. მისი დესპოტური ბუნება აღვირახსნილ, ველურ თვისებებში იჩენდა თავს: დიდი მოტრფიალე ყოფილა თავაშვებული ქეიფებისა და დროსტარებისა[9]. როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, გამოირჩეოდა არაჩვეულებრივი სისასტიკითა და ულმობელობით. აი, რას მოგვითხრობს ამის შესახებ აღალარის თანამედროვე აბდულა ომაროვი თავის თხზულებაში „Воспоминания муталима“[10]. მიურიდებთან ყოველგვარი ურთიერთობისათვის, იქნებოდა იგი სავაჭრო თუ სხვაგვარი, მთიელი სასტიკად ისჯებოდა ხანის მიერ. სავაჭროდ მიმავალი ბალხარელნი, რომელთაც თიხის ჭურჭელი მიჰქონდათ მიურიდებთან გასაყიდად, ხანის ბრძანებით დაიჭირეს, წაართვეს ყველაფერი, რაც ებადათ, მთელი თიხის ნაწარმი დაუმსხვრიეს და ნამტვრევები ჩამოჰკიდეს თითოეულ მათგანს ცხვირზე და ტუჩებზე. ასე უნდა ევლოთ დამნაშავეებს მთელი გზა, ვიდრე თავიანთ საცხოვრებელს არ მიაღწევდნენ[11]. ხანის სახლში დაიკარგა 200 მანეთი. ეჭვი მიიტანეს რამდენიმე

ცძახდაო მოფერებით „აღალარს“, რაც თურქულად „ბატონებს“ ნიშნავს და ბოლომდე შერჩაო ეს სახელი (იხ. Материалы и документы по истории лаков, შეგროვებული ალი კაიაევის მიერ, ხელნაწერი ინახება დაღესტნის ისტორიის, ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტის ხელნაწერთა ფონდში). მუჰამმად ტაჰირ კარახელის ქრონიკაში იგი იხსენიება აღლარად — اغلار (გვ. ١٣٤—١٣٥).

[4] А. Камаров, იქვე.

[5] А. Омаров, Воспоминания муталима, ССКГ, вып. II, Тифл., 1869, стр. 39.

[6] Очерки истории Дагестана, I. стр. 207; А. Омаров, დასახ. თხზ., გვ. 5.

[7] Е. Вейденбаум, Библиографический словарь кавказских деятелей (ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტის ისტორიულ დოკუმენტთა და საზოგადო მოღვაწეთა არქივების ფონდში).

[8] В. Потто, Иван Давидович Лазарев, Тифлис, 1900, стр. 87, 208; ССКГ, вып. II, 1869, стр. 21.

[9] იქვე, გვ. 23.

[10] ССКГ, вып. II, 1869, стр. 1—70.

[11] А. Омаров, დასახ. თხზ., გვ. 8.

ნოქარზე, რომლებიც იმ ღამეს ყარაულობდნენ და დაიჭირეს ისინი. ნოქრებთან დაკითხვით რომ ვერაფერს გაჯდნენ, ხანმა ბრძანა რამდენიმე მათგანის წამება შემდეგნაირად: ორი წააქციეს და მკერდზე ცეცხლი გაუჩაღეს, მესამეს გახურებული რკინის შანთებით ნელნელა ამოუწვეს სხეულზე სხვადასხვა ადგილები; ხოლო მეოთხეს თავზე დაადგეს ცომისაგან მოზელილი თასი და შიგ მდუღარე ერბო ჩაასხეს. მსგავსი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება.

აღალარის დესპოტური და მერყეევი ხასიათის მსხვერპლი ხდებოდა ბევრი უდანაშაულო ადამიანი. ბევრი მისი გადაწყვეტილება მისი პირადი კაპრიზებიდან გამომდინარე იყო. იგი არ ერიდებოდა დამნაშავის სიკვდილით დასჯას, ღაზიღუმუქის სახანოში[12]. ამიტომაც გასაკვირი არ არის, რომ მის დროს ხშირად ხდებოდა უკმაყოფილოთა გადასვლა შამილის მხარეზე. თვით ამდუღლა ომაროვიც იძულებული გამხდარა დაეტოვებინა ღუმუქი, როგორც თვითონ უწოდებს, ულმერთობის ქვეყანა, და გადასულიყო მიურიდების მხარეზე, სადაც, მისივე სიტყვებით, „იფურჩქნებოდა ისლამი და შარიათის მართლმსაჯულება“[13]. მაგრამ ეს გადასვლა ძვირად დაუჯდა ა. ომაროვს: ხანის ბრძანებით იგი უკან დააბრუნეს, შეიპყრეს და სასტიკადაც დასჯეს — ენა გაუხვრიტეს და შიგ ჩხირი გაუყარეს. ასე იარა ომაროვმა ხანის ბრძანებით მეზობელ სოფლამდე[14].

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არც იმამათში იყო დაწყნარებული მოსახლეობა. ხალხი ძალზე დაიღალა გაუთავებელი თავდასხმებით, დარბევებითა და სისხლისღვრით. 1843 წ. გრიგოლ ორბელიანი წერდა ზაქარია ორბელიანს: „... ასე ბეზარს არიან მოსულნი ყიბიტმაჰმადისგან და მურუდებისგან აჭაურნი ხალხნი. — თითქმის ყოველს კვირას მიგზავნიან კაცსა, რომ ერთი ახლოს მაინც მოდითო, რომ ჩვენ მაშინვე მოვეგებნოთო“[15]. ამასვე სწერს გრიგოლ ორბელიანი იმავე წელს მოსე არღუთინსკი-დოლგორუკის: „აჭაურის მტრის სოფლების მდგომარეობა ეს არის: ჯუიადა, ყოროდა და ახვახი მზათ არიან რუსების სიხარულით მისაღებად. ყოველს კვირას მიგზავნიან კაცებსა, რომ ოღონდ წინ წამოდექითო, ჩვენ თვითონ შევებმით შამილასაო“[16].

განდიდების მანიით შეპყრობილი აღალარი ეუბნებოდა ამდუღლა ომაროვს: „ხომ ნათქვამია ყურანში — დაემორჩილე უფალს, მის მოციქულს და თქვენს ხელისუფლებს? — ნათქვამია. მე ხომ ვარ თქვენი ხელისუფალი? — ვარ. მაშ იცოდეთ, რომ თქვენ ეურჩეთ უფალს, იმიტომ, რომ თქვენ ჩაიდინეთ ის, რაც მე აგიკრძალეთ (სავაჭროდ იყვნენ მიურიდებთან, ნ. ყ.). ხოლო ის, ვინც ღმერთს ეურჩება, მე უფლება მაქვს, სიკვდილით დავსაჯო. ისე რომ, მე რომ მოგკლა, არა მარტო არ ჩავიდენ ცოდვას, არამედ შევასრულებ კიდეც ჩემს მოვალეობას“[17].

რუსი სამხედრო მოხელეები დიდად აფასებდნენ აღალარს მისი ერთგულების გამო რუსეთის მიმართ. გრიგოლ ორბელიანი 1852 წელს ვასილ ბებუთაშვილისადმი მიწერილ წერილში წერს: „ტაბასარანში დადიან პატარა პარ-

---

[12] А. Омаров, დასახ. თხზ. გვ. 21.

[13] იქვე, გვ. 6.

[14] იქვე, გვ. 32.

[15] გრ. ორბელიანი, წერილები, ტ. I, 1936, გვ. 73.

[16] იქვე, გვ. 77.

[17] А. Омаров, დასახ. თხზ., გვ. 21.

ტიები, აშიხებენ და ჰრევენ ხალხსა მით, რომ შამილ მითომ აპირებს მალე იქ ჯარით მისვლასა. — ეს არის ძნელი, რომ ესოდენი ნაწილი დაღისტნისა... ისე დატყვევებული ღ˜თის ანაბრად: ჯამობეგ ლოთი, ნურბაან სუსტი და სულელი; ჩვენი შამხალი უწინდელზედ უფრო მოეშვა სულითა და ხორცით. ღ˜თმან უშველოს კიდევ ალალარბეგსა და უსუფბეგსა, რომელნიცა ვაჟკაცობითა და კეთილგონიერებითა (ხაზგასმა ნ. ყ.), რაც კი ღონე აქუსთ, უვლიან ხალხსა“[18].

მართალია, ალალარი მეფის რუსეთის უერთგულესი ქვეშევრდომი იყო, მაგრამ თუ საქმე პირადად მის პატივსა და სახელს შეეხებოდა, მაშინ იგი დაუნდობელი და მოურიდებელი ხდებოდა თვით რუს მოხელეთა მიმართაც. ამის ნათელი გამოხატულებაა ის უთანხმოება და მტრული დამოკიდებულება, რომელიც ჩამოვარდა 1850 წლიდან ალალარსა და მეხთულის სახანოს მმართველ გენერალ-ლეიტენანტ ი. დ. ლაზარევს შორის. ამ ამბავს პოტო შემდეგნაირად აღწერს[19]: ღაზიღუმუქში მიმავალი ალალარ ხანი გზად გაჩერდა ჯუნგუთაიში თავის ერთ-ერთ ნათესავთან, რომელმაც საპატიო სტუმრის პატივსაცემად დიდი წვეულება გადაიხადა. წვეულებას ესწრებოდა ი. ლაზარევიც, რომელმაც დალია ახალგაზრდა მეხთულის ხანის სადღეგრძელო და უსურვა მას ახლო მომავალში ავარიის ხანობა. საკმაოდ შეზარხოშებულმა ალალარმა ხელი იკრა ხმალზე და საჯაროდ განაცხადა, რომ ეს არ მოხდება; რომ ავარიის ხანობაზე პრეტენზია მხოლოდ მას შეიძლება ჰქონდეს, როგორც სურხაი ხანის შთამომავალს. ლაზარევს თან ახლდა ერთი ჯარისკაცი, რომელმაც სწრაფად იძრო პისტოლეტი და დაუმიზნა ალალარს შიგ გულში. ატყდა აურზაური, იარაღის ჩხარუნი. ლაზარევმა მოუწოდა ალალარს იარაღი ჩაეგო ქარქაშში. სწორედ ამ ინციდენტის შემდეგ განეწყო ალალარი მტრულად ლაზარევისადმი, რომელშიც ხედავდა იგი თავის პატივმოყვარული განზრახვების განხორციელებაში ხელისშემშლელს.

სხვათა შორის, გრიგოლ ორბელიანი ცდილა მათს შერიგებას. 1855 წლის 22 აგვისტოს გრ. ორბელიანი სწერდა დიმიტრი ჯორჯაძეს: „ყაზიყუმუხში მოვახდინე კარგი საქმე; ალალარბეგს წიგნი მივაწერინე ლაზარევთან შერიგებისათვის, ერთი იმისთანაც გაუგზავნა ჰუსუფბეგსა. — ლაზარევმაც, რასაკვირველია, კარგი წიგნი მისწერა და მაშასადამე აქეთ მხარეს ჩამოვარდება მშვიდობიანობა“[20]. ამავე წერილიდან ჩანს, რომ ალალარს ასეთივე შემარიგებელი წერილის გაგზავნა მოუხდა ქურის სახანოს მმართველ გენერალ-მაიორ იუსუფ ბეგისათვისაც: „ჰუსუფ-ბეგთან ალალარის წერილით გავგზავნე გებექა და ერთიც ყაზიყუმუხელი ალალარის ნოქრებთაგანი, და ამათ უნდა მოახდინონ ძმობა, სიყუარული, მეგობრობა, მეზობლობა ორთა ნათესავთა შორის“[21]. მაგრამ, როგორც პოტო აღნიშნავს, მტრული განწყობილება ლაზარევსა და ალალარს შორის არ შეცვლილა ალალარის სიკვდილამდე. ეს უკანასკნელი ყოველ ხელ-

---

[18] გრ. ორბელიანი, წერილები, ტ. II, 1937, აკ. გაწერელიას რედაქციითა და შენიშვნებით, თბ., გვ. 42.

[19] В. Потто, დასახ. ნაშრ., გვ. 207—209.

[20] გრ. ორბელიანი, წერილები, ტ. II, გვ. 130.

[21] იქვე.

საყრელ დროს მალულად ხელს უშლიდა ლაზარევის მოღვაწეობას მეხთულის სახანოში[22].

1858 წელს აღალარი ავად გახდა ფილტვების ანთებით[23]. ამ ავადმყოფობას გართულება მოჰყვა: წყალმანკი დაემართა და გარდაიცვალა იმავე წლის 16 ივლისს.

აღალარს სამი ცოლი ჰყავდა[24]: შამი-ბიქე — ღაზიღუმუქელი ნუცალ ხანის ასული, რომელიც უშვილო იყო; პახა-ხანუმ — გენერალ-მაიორ ჯამოვბეგის ასული, რომელიც გარდაცვალებამდე ორი თვით ადრე შეირთო და ხალაი — უბრალო უზდენის ქალი. ამ უკანასკნელთან აღალარს სამი შვილი ჰყავდა — ვაჟი ჯაფარი და ორი ქალი. 1858 წლის 25 ივლისს წერილში გრიგოლ ორბელიანი სწერდა დიმიტრი ჯორჯაძეს: „თუმცა იმედი აღარა მქონდა აღალარის სიცოცხლეზედ, მაგრამ მაინც კი დიდად შემაწუხა მაგისმა სიკვდილმა. ახლა იმის მაგიერ, როგორც ჰსჩანს შენს წერილში, კლუღენი დანიშნულა. -- ღმერთმან ჰქმნას, რომ მშვიდობიანად გაიაროს ამ ცვლილებამ, მაგრამ რა ვიცი? ძნელად შეიწყნარებს ეგ ხალხი რუსის ოფიცერსა, მეტადრე მანდა, სადაცა არიან მრავალნი ბეგებთაგან, რომელთაცა ჰგონიათ თავისი თავი მემკვიდრედ და ჰყავთ მაგ ხალხში თავისი პარტიაცა; ამასთანავ აღალარის შვილი და მისი პარტია, მერმე აღალარის ცოლები და დასასრულ შამილის პარტია“[25]. მართლაც, აღალარის დაახლოებულ ხალხს თავი მოუყრია ღაზიღუმუქის მოედანზე და დაჟინებით მოითხოვდნენ სახანოს მმართველად მცირეწლოვანი ჯაფარის დანიშვნას, მაგრამ მათს მოთხოვნას შედეგი არ მოჰყოლია[26]. ასე რომ აღალარი იყო უკანასკნელი ხანი ღაზიღუმუქის სახანოსი.

აღალარის წერილების ადრესატი მოსე ზაქარიას ძე არღუთინსკი-დოლგორუკია (1797—1855 წწ.). იგი იყო მეფის არმიის გენერალ-ადიუტანტი, თბილისელი სომეხი წარმოშობით. სწავლობდა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში. ა. პ. ერმოლოვის რჩევით, მამამ იგი გაგზავნა პეტერბურგში, სადაც 19 წლისა ჩარიცხეს ლეიბ-გვარდიის ცხენოსანთა პოლკში იუნკრად. მონაწილეობდა რუსეთ-სპარსეთის (1826—1828 წწ.) და რუსეთ-თურქეთის (1828—1829 წწ.) ომებში. 1841 წ. ჩააკრო გურიის აჯანყება. 1842 წლიდან იგი დაღესტანშია სხვადასხვა მაღალ სამხედრო-ადმინისტრაციულ პოსტებზე. 1844 წელს იგი ჯარების მთავარსარდალია სამხრეთ დაღესტანში; 1847 წლიდან — დარუბანდის სამხედრო გუბერნატორი, განაგებს აგრეთვე სამოქალაქო სამეფოსაც. იმავე წელს მას ნიშნავენ კასპიისპირა მხარის უფროსად. საფუძლიანად იცნობდა დაღესტნის მხარესა და მის ხალხს.

1853 წელს არღუთინსკი-დოლგორუკიმ გადაიარა თოვლიანი ჭედი დაღესტნიდან ჩარბელაქნისაკენ, რომელსაც შამილი ემუქრებოდა. გადასვლა მე-

---

[22] В. Потто, გვ. 210.

[23] იქვე.

[24] ე. ვეიდენბაუმის ბიბლიოგრაფიული ლექსიკონი.

[25] გრ. ორბელიანი, წერილები, ტ. II, გვ. 246—247.

[26] სხვათა შორის, აღალარის დასაფლავებას ესწრებოდა თითქმის მთელი ოლქი და სწორედ ამ გამოუცხადა გენერალმა მანიუკინმა მათ, რომ ხანი აღარ ეყოლებათ, და რომ ოლქის უფროსად უკვე დანიშნულია პოლკოვნიკი კლუგენაუ (მანიუკინი აგრეთვე იქნა სპეციალურად გაგზავნილი ლემუქში მოსალოდნელი შფოთის თავიდან ასაცილებლად. იხ. ე. ვეიდენბაუმის ბიბლიოგრაფიული ლექსიკონი.

ტად მძიმე პირობებში მომხდარა. იმდროინდელი პრესა უმაღლეს შეფასებას აძლევდა მის ამ ლაშქრობას. 1855 წელს № 17 გაზეთ „Кавказ“-ში კიდევ აღინიშნა, რომ ეს გადასვლა ჭეშმარიტად სუვოროვისეული ალპებზე გადასვლის დარია. იმდროინდელი მწერალი არნოლდ ზისერმანი მის შესახებ შემდეგს წერს: „გახდა რა სამურის ოლქისა და იქ განლაგებული ჯარების უფროსი, მან აჩვენა, რომ იგი ნამდვილად მისთვის ჩვეულებრივ გარემოში მოხვდა: ადგილობრივი მოსახლეობა მალე დარწმუნდა, რომ საქმე აქვს ადამიანთან, რომელსაც ვერ მოატყუებ, რომელიც ყოველგვარ აზიურ დიპლომატიას დაუპირისპირებს მსგავსსავე კვადრატში აყვანილს და თავის მუქარას საქმით განახორციელებს“[27].

*
* *

წერილების შინაარსის უკეთ გაგების მიზნით ზოგადად მიმოვიხილოთ იმ პერიოდის დაღესტნის სოციალურ-პოლიტიკური ვითარება, რომელსაც წერილები ასახავს.

ცნობილია, რომ მე-19 საუკუნის 20-იან წლებში დაღესტანში დაიწყო მთიელთა მოძრაობა, რომელიც მიმართული იყო მეფის რუსეთის კოლონიზატორული პოლიტიკისა და ადგილობრივი ფეოდალების — ხანებისა და ბეგების წინააღმდეგ. ამ ანტიკოლონიზატორულ და ანტიფეოდალურ ომში მთიელების მიერ იდეოლოგიურ იარაღად გამოყენებულ იქნა რელიგიურ-პოლიტიკური მოძღვრება მიურიდიზმი. ამ მოძრაობის დაწყებისა და განვითარების მიზეზებს თვით ის სოციალურ-პოლიტიკური ვითარება წარმოაჩენს, რომელიც იყო დაღესტანში გასული საუკუნის 20—30-იან წლებში. ერთი მხრივ, მეფის მოხელეთა მიერ მთიელი მოსახლეობის მიმართ დაპყრობის მიზნით გამოყენებული მრავალგვარი მეთოდი სამხედრო კოლონიზაციისა და ექსპროპრიაციისა — ადგილობრივ მოსახლეობას იძულებით აშენებინებდნენ თავიანთ მიწებზე გზებს, ციხე-სიმაგრეებს და სხვა საომარ ობიექტებს[28]. სამხედრო კოლონიზაციის მეთოდებთან ერთად ახორციელებდნენ აგრეთვე მოსახლეობის ძალდატანებით აყრა-გადასახლებას, რაც ფაქტიურად მთიელების ფიზიკურ მოსპობას გულისხმობდა[29]. მათს მიწებზე ასახლებდნენ კაზაკებს[30]. მოსახლეობას აიძულებდნენ შეენახათ ყარაულები, სამხედრო ნაწილები მოემარაგებინათ წყლით, შეშით, თივით. ყოველივე ეს ზრდიდა გადასახადსა და გამოსაღებებს. უკმაყოფილოთა წინააღმდეგ სასტიკ რეპრესიებს მიმართავდნენ — წვავდნენ აულებს, ანადგურებდნენ მოსავალს, ბაღებს და სხვ. მეორე მხრივ, ადგილობრივი ხანებისა და ბეგების მიერ პოლიტიკური და ეკონომიური ექსპლოატაციის გაძლიერება თავიანთ ქვეშევრდომებზე კიდევ უფრო მეტად აღვივებდა კლასობრივ წინააღმდეგობას[31] ყველაფერი ეს თავდაპირველად ცალკეულ

---

[27] ნაწყვეტი ამოღებულია ე. ვეიდენბაუმის ბიბლიოგრაფიული არქივიდან.

[28] Очерки из истории Дагестана, ტ. I, მახაჩყალა, 1957, გვ. 210.

[29] О движении горцев под руководством Шамиля (საკავშირო აკადემიის დაღესტნის ფილიალის სესიის მასალები), მახაჩყალა, 1957, გვ. 30; Н. А. Смирнов, Мюридизм на Кавказе, стр. 47.

[30] Н. А. Смирнов, დასახ. ნაშრ., გვ. 47.

[31] დაღესტნის ფილიალის სესიის მასალები, გვ. 26.

წვრილ-წვრილ ჯანყებებსა და გამოსვლებში იჩენდა თავს, რამაც შემდგომ ფართო მასობრივი მოძრაობის ხასიათი მიიღო. ხოლო ამ მოძრაობაში მთიელებს უკვე აქვთ ერთიანი ხელმძღვანელობა, მოლიანი ცენტრალიზებული სამხედრო-თეოკრატიული სახელმწიფო იმამთი, რომლის სათავეში შამილი იდგა, ცენტრალური სახელმწიფო უწყება დავანხანა და რეგულარული ჯარი.

ზევითაც აღვნიშნეთ, რომ ამ მოძრაობაში იდეოლოგიურ იარაღად გამოყენებულ იქნა მიურიდიზმი. მიურიდიზმი სუფიზმის ნაშთანდაის ორდენის რელიგიური მოძღვრება იყო, რომლის არსი შემდეგში მდგომარეობდა: ადამიანი უნდა დაადგეს შემეცნების სწორ გზას და ამ გზით მიაღწიოს სრულქმნას — შეიცნოს ღვთის ჭეშმარიტება; სხვაგვარად რომ ვთქვათ, დაუახლოვდეს ღმერთს. მაგრამ იმისათვის, რათა სრულქმნას მიაღწიოს, იგი ვალდებულია გაიაროს შემეცნების ოთხი საფეხური: პირველ ყოვლისა, მკაცრად შეასრულოს შარიათის (<الشريعة) ზუსტი დაწებული კანონები — ლოცოს, ჰაჯი შეასრულოს, მოწყალებანი დაარიგოს და სხვ. შარიათის მიერ დაწესებული ნორმების შესრულება ყველა მუსლიმს ევალებოდა. მეორე საფეხურია საკუთრივ ღმერთის შემეცნებისაკენ მიმავალი გზა ე. წ. ტარიკათი (<الطريقة)[32]. ტარიკათისტი ინტენსიურად ლოცულობს და ეწევა ასკეტურ ცხოვრებას. შემდეგია მარიფათი (المعرفة): ტარიკათისტი ურს ამბობს აბსოლუტურად ყოველივე ამქვეყნიურზე, მხოლოდ ლოცულობს: წარმოთქვამს განუწყვეტლივ ღმერთის სახელს და ამ საშუალებით ებრძვება ღმერთის არსს. ხოლო მეოთხე და უმაღლესი საფეხურია ჰაკიკათი (الحقيقة); ტარიკათისტი, რომელმაც ამ საფეხურს მიაღწია, იგრძნობს, რომ მასში ყოველივე ამქვეყნიური ჩაკვდა, რომ მან დაკარგა თავისი მეობა და შეერწყა, ეზიარა ღმერთს. უმაღლეს საფეხურს აღწევდნენ მხოლოდ რჩეული პირები — იმამები[33].

მიურიდიზმის მამამთავრად კავკასიაში ითვლება შირვანელი მიურშიდი ეფენდი ჰაჯი ისმაილი. მისი მოწაფე და პირველი მიმდევართაგანი იყო დაღესტნელი მოლა მუჰამმად იარაღელი. 1822 წელს ჰაჯი ისმაილმა თავისთან გამოიძახა მუჰამმად იარაღელი და ახალ მოძღვრებას ახიარა. დაღესტანში დარუნებული მიურშიდი მუჰამმადი ქადაგებს ამ ახალ მოძღვრებას და ბევრი მიმდევარიც უჩნდება. მათგან პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ცნობილი შეიხი ჯამალუდდინ ღაზიღუმუქელი — შამილის ერთ-ერთი სიმამრი, და სამიე იმამი — ღაზი მუჰამმადი, ჰამზათ-ბეგი და შამილი — ღაზი მუჰამმადის უშუალო მოწაფე და თანამებრძოლი.

მოლა მუჰამმადი და მისი თანამოაზრენი სოფელ-სოფელ დადიოდნენ და მოსახლეობას ყურანის ლექსებს უკითხავდნენ. ამასთან, ისინი ქადაგებდნენ, რომ მუსლიმური რელიგია არასწორი გზით მიდის და მას შერყვნის საშიშროება ელის; რომ მუსლიმებმა დავიწყეს კეთილი საქმეები, რომელთა ადგილს

[32] ტარიკათის შესახებ მოთხრობილი აქვს ჯამალუდდინ ღაზიღუმუქელს, იხ. მისე „Адабуль Марзия", СКИГ, вып. II, стр. 1—22.

[33] იხ. Х.—М. Хашаев, Движущие силы Мюридизма в Дагестане, დაბეჭდ. დაღესტნის ფილიალის სესიის მასალებში, გვ. 77—78. С. К. Бушуев, Борьба горцев за свободу и независимость под руководством Шамиля, М., стр. 69—71; Л. И. Климович, Ислам, М., 1962 г., стр. 159—160.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქერს სიცრუე, ორპირობა, სიხარბე, ქურდობა და სხვ.[34]. ამასთან ერთად, ეს მთავარიცაა, ისინი ამხელდნენ მეფის რუსეთის მოხელეთა თვითნებობას, მათ უხეშ და სასტიკ მოპყრობას მთიელი მოსახლეობის მიმართ და ამით და ამგვარად უღვივებდნენ ხალხს ცარიზმის წინააღმდეგ გამოსვლის სურვილს. რადგან ქრისტიანებმა ანუ, როგორც მათ მუსლიმები უწოდებდნენ, „ურწმუნოებმა“, მუსლიმები თავიანთ უღელქვეშ მოაქციეს, საჭირო და აუცილებელი ხდებოდა მათ წინააღმდეგ გალაშქრება და ამით ისლამის „წმინდა“ მოძღვრების დაცვა. ასე ამოაფარეს მურიდებმა რელიგიურ საფარველს თავიანთი ძირითადი მიზანი — ცარიზმის კოლონიზატორული პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლა. შამილის მთელ არმიას მურიდები[35] შეადგენდნენ, რომელთაც ღრმად ჰქონდათ შეგნებული „ღაზავათის“ ანუ „ჯიჰადის“ აუცილებლობა.

უნდა აღინიშნოს, რომ კავკასიაში მიურიდიზმს მკვეთრად გამოხატული პოლიტიკური ელფერი აქვს. თუ სხვაგან და სხვა დროს მიურიდიზმის (ტარიკათის) მომდევრები წინა პლანზე წამოსწევდნენ ადამიანის შინაგანი სამყაროს შესახებ რელიგიურ მოძღვრებას, კავკასიური მიურიდიზმის მქადაგებლები მოითხოვდნენ შარიათის ნორმების მკაცრ დაცვასა და შესრულებასთან ერთად ბრძოლას ისლამის იდეების გამარჯვებისათვის[36]. კავკასიური მიურიდიზმის მთავარი მიზანი იყო, ზევითაც ვთქვით, „ღაზავათი“ ანუ „წმინდა“ ომი „ურწმუნოთა“ წინააღმდეგ. ამაშია სწორედ მისი სპეციფიკა. მართალია, იგი აღმოცენდა შეაზიური ნაშპანდიური სუფიური ორდენის მოძღვრების საფუძველზე, მაგრამ ჩრდილო კავკასიაში იგი განვითარდა და გაივრცო აშკარად გამოხატული პოლიტიკური მიმართულებით, ხოლო მისი წარმოქმნა და განვითარება განაპირობა მე-19 საუკუნეში კავკასიაში შექმნილმა ისტორიულმა და პოლიტიკურმა ვითარებამ[37]. მიურიდიზმი, როგორც რელიგიურ-პოლიტიკური მოძღვრება დაღესტანში აქტიურად მოქმედება 1928 წლიდან ვიდრე შამილის დამარცხებამდე, ე. ი. 1859 წლამდე[38].

ცარიზმისა და ადგილობრივი ფეოდალების წინააღმდეგ ბრძოლაში განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწია შამილმა გასული საუკუნის 40-იან წლებში. ამ დროისათვის მან მოახერხა თითქმის მთელი დაღესტნისა და ჩეჩნეთის ხელში ჩაგდება. ამავე პერიოდში შამილის მიერ ჩატარებული მრავალი წარმატებითი საომარი ოპერაცია (იჩქერიისა 1942 წ., ხუნძახის, გერგებილის, ჯუხისა 1843 წ., 1849 წ., დარღოსი — 1845 წელს და სხვ.) შამილს ხდის მეტად პოპულარულ და სახელმოხვეჭილ სარდლად, რის შედეგადაც იზრდება მისი საერთაშორისო ავტორიტეტი[39]. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, მთიელების მოძრაობა შამილის მეთაურობით ნაწილობრივ მაინც სახალხო-განმათავისუფლებელი, პროგრესული ბრძოლა იყო რეაქციული ძალების — ცარიზმისა და ადგილობრივი ექსპლოატატორების ხანებისა და ბეგების წინააღმდეგ.

[34] Буцуев, С., დასახ. ნაშრ., გვ. 69.

[35] საერთოდ, მიურიდებს უწოდებდნენ ყველას, ვინც კი შამილს ემორჩილებოდა და მისი მომდევარი იყო (იხ. А. Омаров, გვ. 5).

[36] Н. А. Смирнов, დასახ. ნაშრ., გვ. 142.

[37] იქვე, გვ. 141, 146.

[38] დაწვრილებით მიურიდიზმის შესახებ იხ. გარდა ხ. მ. ხაშაევისა და გ. ა. დანიალოვის დასახელებული ნაშრომისა, ნ. ა. სმირნოვის „Мюридизм на Кавказе. М., 1963.

[39] Очерки истории Дагестана, стр. 235.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

წინამდებარე წერილების თარგმანზე მუშაობისას გარკვეულ სიძნელეებს წავაწყდით გეოგრაფიული და ეთნიკური სახელების წაკითხვისა და მათი ქართულად გადმოცემის მხრივ. ამას ართულებს ის გარემოებაც, რომ არა გვაქვს ტრადიცია მათი ქართულად ხმარებისა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ გრიგოლ ორბელიანის წერილებს, რომლებიც ავრეთვე მთიელთა მოძრაობის შესახებ მასალას შეიცავენ. გრიგოლ ორბელიანს ზემოხსენებული სახელწოდებანი ცოცხალი მეტყველებიდან აქვს აღებული (ცნობილია, რომ გრიგოლ ორბელიანი 1843—1858 წლებში დაღესტანში მსახურობდა სხვადასხვა მაღალ სამხედრო-ადმინისტრაციულ თანამდებობებზე). ამის მიუხედავად ზოგიერთი დასახელება იმასაც ნაირნაირად აქვს წარმოდგენილი, რასაც, რა თქმა უნდა, ადგილობრივი წარმოთქმა განაპირობებდა. მაგ., აული اقوشه — გრიგოლ ორბელიანთან: აღყოშა || აჰყოშა || აყოშა; აული همچقلی—უნჭუყათი || უნჯუყატლი; ასევე აული ثغوری — სოღრატლ || სუღრატლ || სუღულ. ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ ერთ-ერთ არაბულ დოკუმენტს (Ar L d № 21), რომელიც წარმოადგენს სუღრატლის ჯამაათის მოკითხვის ბარათს ირაკლი ხანისადმი (ასე იხსენიებენ დაღესტნური წარმოშობის არაბულ დოკუმენტებში მეფე ერეკლეს), აქვს იმდროინდელი მინაწერი ქართულ ენაზე: „ქ. სოყრათელისა“.

Ar Id № 22

الی حاکم عساکر قاسفسکه یرنال لیطنانة کنیاز ارغوتنسکی دالقاروکی

و بعد*

فان استخبرتم عن جهة العدوان فلیس من جهتهم خبرا زائدا غیر انهم یشدّدون ایماکنهم و یرقبون الی طلوع جیوشنا علیهم وانهم ینقلون محلة مقرخی الی طرفهم هذ ثم استخبرتم عن جهتنا فانا لحاضرون للخروج الی الجیش و نخرج ان شاء الله فی اوم الثلثاء عند وصول جیوش الروس الیهنا ثمانا نرقب الی رجوع جواب کاغذنا لاوّل المرسول بید نجم الدین غایة الترقب فان ترکتم بعض السلداتین فی هنا فانا رسل الرقباء منا الی طرف خسرکی والا فنخاف علیهم من مس ید العدوان علیهم وانا انخرقنا نقاب الحیاء بکتبة هذا القول مرة بعد اخری لشدة احوال الزمان هذا

باقی صحتکم انا الخالص لکم اغلار حررفی || من رجب سنة ١٢٦٣

კასპიის[40] ჯარების უფროსს გენერალ-ლეიტენანტ კნიაზ არღუთინსკი-დოლგორუკის,

შემდეგ [აი, რა]:

თუ მტრების შესახებ ამბავს იკითხავთ, იმაზე მეტი მათი მხრიდან არაფერია, რომ მათ გაამაგრეს თავიანთი ადგილები და ყარაულები დააყენეს ჩვენი

* ტექნიკური მიზეზების გამო „ზამირ იშარას“ ნიშნები ტექსტში გამოვტოვეთ.

[40] იგულისხმება კასპიისპირა მხარე. კასპიისპირა მხარეში შედიოდა დარუბანდის მაზრა ქ. დარბანდითურთ, ულუსის მაჰალ, ყაითაღი და ტაბასარანი, სამურის, დარღის, ქურის,

ჯარების მათს წინააღმდეგ გასვლისათვის და რომ გადაასხლეს მუკრახში მაჰალა[42] თავიანთ მხარეში. ეს [აა].

შემდეგ, თუ ჩვენ ამბავს ვკითხავთ, ჩვენ ნამდვილად მზად ვართ ჯარში წასასვლელად და წავალთ, თუ ალაჰი ინებებს, სამშაბათ დღეს აქ რუსების ჯარების მოსვლისთანავე.

შემდეგ, ჭეშმარიტად, ჩვენ ველოდებით ნაჯმუ-დ-დინის ხელით გამოგზავნილი ჩვენი პირველი წერილის პასუხს უსაზღვრო მოლოდინით. თუ თქვენ დატოვებთ აქ სალდათების ნაწილს, მაშინ გავგზავნით ჩვენგან ყარაულებს ხოსრეკის[43] მხარეში. და თუ არა, მაშინ გვეშინია ჩვენ მათ გამო, რომ მტრის ხელი შეეხებათ მათ.

ჭეშმარიტად, ამ დროის მძაფრი ვითარების გამო ამ ამბის არაერთგზის მოწერით ჩვენ ვარღვევთ სირცხვილის ფარდას.

ერჩები თქვენი ერთგული, მე ვარ თქვენი გულწრფელი მეგობარი ალალარი, დაიწერა 1264 წლის რაჯაბის 11-ს [=1848 წლის 13 ივნისს].

Ar Id № 27

الى جناب العالى بالجاه غنرال اطوطانةكنياز ارغوتنسكى دالقاروكى زيد شرفه الخ

و بعد

فقد وصل لدينا كاغذكم الشريف واقرأناه وفهمنا كلّما فيه كما كان الخ فاعلام لكم ايها العالى بالجاه انكم تريدون ايصال الاخبارات الحادثة فينا لديكم على التعجيل وانا ان ارسلنا لديكم كلّما سمعناه يخرج اكثرها كذبا وان بطانا الارسال حتى ان يدرك الخبر الحقيقى لا ترون ذلك وان اخذ الخبر الحقيقى من طرفهم لايمكن الا بالتبطئى والسر البليغ فلما كان الامر كذلك نرسل لديكم كل وقت ما سمعناه من الجاسوسين الخ ثم ان استخبرتم عن طرفنا الان فليس عندنا خبرا آخر غيرما سمعنا من طرفهم بانهم قد امروا للركبان بكونهم متهيئين و حاضرين للخروج وقت الاخبار اليهم بذلك هذا ثم ان بحضور جيش المفسدين الى قرية الدرجى خفية وقت طلوع الفجر

ტაბასარანი, სამურის, დარღის, ქურას, ღაზი-ღუმუქის ოლქები, საშამხლო (Е. Козубский, Памятная книжка Дагестанской области, Темир-Хан-Шура. 1895, გვ. 3). 1847 წლიდან ნიკოლოზ I-ის ბრძანებით გენერალ-ლეიტენანტ მ. ზ. არღუთინსკი-დოლგორუკის ნიშნავენ ქასპიისპირა მხარის ჯარების მთავარსარდლად, რომელიც განაგებდა ამ მხარის სამოქალაქო საქმეებსაც (Е. Козубский, გვ. 2). 1855 წლიდან მ. ზ. არღუთინსკის სიკვდილის შემდეგ მხარეს განაგებდა გრიგოლ ორბელიანი. ქასპიისპირა მხარე, როგორც ადმინისტრაციული ერთეული, შეიქმნა 1847 წელს და იარსება 1860 წლამდე (Очерки из истории Дагестана, стр. 210).

41 მუკარხი (მუკარი, მუკარღუ), ლაკური აული ღაზი-ღუმუქის ოლქში.

42 მაჰალა—კვარტალი, უბანი, ადგილსაცხოვრებელი. ზოგჯერ მაჰალას შემადგენლობაში შედიოდა რამდენიმე აული, რომლებიც გაერთიანებული იყვნენ საერთო ისტორიული, ეთნოგრაფიული ან ტოპოგრაფიული ნიშნებით (Е. Козубский, ... стр. 9; А. В. Комаров, Адаты..., ССКГ, вып. I, 1868, стр. 76).

43 ხოსრეკი (ხოსრეხი, ხოზრეკი), გრიგოლ ორბელიანთან ხოზრეკი, ლაკური აული ღაზი-ღუმუქის ოლქში.

من يوم الاحد الثالث من شهر ذى الحجة الحرام قد احرقوا بعض البيوت و بعض وصل الى ايديهم من محصولاتهم و بقى بعض البيوت صحيحة بدخول اهالى الترچى فيها يقاتلون مع العدوان بمقاتلة غليظة وانى كنت آمرت لنوائب وزقى باقامة الرقباء من محلّتهم فيها حتى ان ينقلوا امتعة بيوتهم و حبوب محصولاتهم الى هذه لطرف فصدر من النوائب التكاسل والتكاهل فى خصوص اقامة الرقباء فهذا ما حدث افى هذه الاوان فلاعلامه الى جنابكم العالى كتبنا هذه الكاغذ لديكم و الباقى صحتكم وانا المخلص لكم اغلار

حرره فى ٣ من شهر ذى الحجة سنة ١٢٦٥

მის აღმატებულებას ბ-ნ გენერალ-ადიუტანტ კნიაზ არღუთინსკი-დოლგორუკის, დაე, იმატოს მისმა ღირსებამ,

შემდეგ [აი, რა]:

აკად. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, რომელიც საკმაოდ ვრცლად იხილავს არაბეთ-საქართველოს ურთიერთობის ადრეულ პერიოდს და სხვა წყაროებთან ერთად სებეოსისა და ლევონდის თხზულებებსაც იყენებს, ქართლში არაბთა თარეშის გაჩენის თარიღად 642—643 წწ. ასახელებს[6]. ს. ჯანაშიაც ძირითადად ტაბარის ცნობას ეყრდნობა, მაგრამ ამასთან ერთად სებეოსის თხზულების ერთ ადგილსაც ითვალისწინებს: „აირარატის მხარეში მყოფმა ჯარმა მახვილს მისცა [მთელი ტერიტორია] ტაოელთა, ქართველთა და ალბანელთა მხარეებამდე, ხელთ იგდო ნადავლი და ტყვე და ამოვიდა ნახიჭევანში იმ ჯართან, რომელიც ნახიჭევანის ციხეს ებრძოდა. მაგრამ მან ვერ შესძლო [ციხის] აღება. მათ აიღეს ხრამის ციხე და [იქ მყოფნი] მახვილით ამოწყვიტეს, ქალები და ყრმები კი ტყვედ წაასხეს“[7].

როგორც თვით სებეოსის თხზულებიდანვე ირკვევა, აღნიშნულ ფაქტს ადგილი ჰქონდა ბიზანტიის კეისრის კონსტანტინეს მეფობის (641—648) მეორე წელს ჰორის თვის 23-ს, რაც მთელ რიგ მკვლევართა გამოანგარიშებით 643 წლის 10 აგვისტოს შეესაბამება[8].

სებეოსისა და ლევონდის თხზულებებში დაცული მასალების შესწავლისა და მათი სხვა წყაროებთან შეჯერების შედეგად ირკვევა, რომ საქართველოში არაბთა პირველ შემოსევას ადგილი ჰქონდა არა 643 წელს, არამედ უფრო ადრე. სებეოსის ცნობით, ჰერაკლე კეისრის გარდაცვალებისა და მისი შვილის კონსტანტინეს გამეფების წელს, არაბებმა ასურეთის მხრიდან შესძლეს სომხეთის საზღვრების გადალახვა და დაიპყრეს ტარონი, ბზნუნიქი, აღიოვიტი, ბერკრის ხეობა, ორდოსპი, გოგოვიტი, აირარატი და თავს დაესხნენ დვინს,

---

[4] Мк. G h a z a r i a n. Armenien unter der arabischen Herrschaft bis zur Entstehung des Bagratidenreiches. Marburg. 1903. გვ. 16—18. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. ქართველი ერის ისტორია, წიგნი II, თბ., 1948, გვ. 70.

[5] იქვე, გვ. 17—18.

[6] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, არაბობა საქართველოში, ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები II, თბ., 1952, გვ. 357.

[7] იხ. წინამდებარე ნაშრომი, გვ. 476.

[8] M. G h a z a r i a n. Armenien unter der arabishen Herrschaft... გვ. 29. T o u r n e b i z e. Histoire politique et religieuse de l'Arménie. Paris, 1900, გვ. 354. M o r g a n. Histoire du peuple armenien. Paris, 1919, გვ. 116. დასახელებულ მკლევართაგან განსხვავებით პროფ. პ. მ ა ნ ა ნ დ ი ა ნ ი ს გამოანგარიშებით აღნიშნულ ფაქტს ადგილი უნდა ჰქონოდა 650 წ. 8 აგვისტოს. იხ. Հ. Մ ա ն ա ն դ յ ա ն Քննական տեսություն Հայ ժողովրդի պատմության. Հատոր Բ. Բ. մասի նյութեր. Երևան. 1960, გვ. 193—196.

გაძარცვეს ქალაქი და თან წაიყვანეს 35 000 ტყვე. არაბები ამჯერად მხოლოდ ნადაელით დაკმაყოფილდნენ და უკან გაბრუნდნენ. აღნიშნული ლაშქრობა, რომელსაც შედეგად მოჰყვა დვინის აოხრება, სამეცნიერო ლიტერატურაში სომხეთში არაბთა პირველ შემოსევადაა მიჩნეული[9]. სებეოსთან აღწერილი ამბებისაგან განსხვავებულ ვითარებას ვხედავთ სხვა სომხურ წყაროებში და მათ შორის ლევონდისთანაც.

ლევონდის თანახმად, დვინზე არაბთა თავდასხმის ადგილი ჰქონდა სომხეთში მათი მეორედ შემოსევისას და არა პირველივე ლაშქრობისას, როგორც ეს გადმოცემული აქვს სებეოსს. ლევონდის თხზულების მიხედვით, დვინის დაჰყრობამდე, რასაც, ისტორიკოსის მითითებით, ჰერაკლე კეისრის შეილიშვილის კონსტანტინეს მეფობის მეორე წელს (642—643 წწ.) ჰქონდა ადგილი, არაბები უფრო ადრეც, დაახლოებით 640 წელს გამოჩნდნენ სომხეთში. ამჯერად ისინი სპარსეთის მხრიდან შემოიჭრნენ, დაარბიეს გოღთნისა და ნახიჭევანის მიდამოები. სწორედ ამ დროს გარნისის მიდამოებში შეეტაკნენ ისმაილტელთა ჯარები ბერძენთა ჯარებს, რომლებსაც მთავარსარდალი პროკოფი ხელმძღვანელობდა. არაბებმა უკუაქციეს ბერძნები, გაძარცვეს ქვეყანა და უკან დაბრუნდნენ[10]. თუ ერთმანეთს შევუდარებთ ლევონდისა და სებეოსის ცნობებს სომხეთში არაბთა პირველი შემოსევის შესახებ, დავინახავთ განსხვავებას, როგორც ქრონოლოგიურს, ასევე ფაქტობრივს, რის გამოც მათი ერთმანეთთან გაიგივება არ მიგვაჩნია შესაძლებლად.

სომხეთში არაბთა ლაშქრობის შესახებ საყურადღებო ცნობაა დაცული იოანე მამიკონიანის „ტარონის ისტორია“-ში: „იმავე წელს გამოვიდა ჰერაკლე, მოკლა ხოსრო... რვა წლის შემდეგ მოვიდა აბდარაჰმი, შუჰამედის დისშვილი, თან წამოიყვანა თვრამეტი ათასი კაცი და ცხენი და მოითხოვა ხარკი სომეხთაგან... აბდარაჰმი გადავიდა სომხეთში, ბასიანში, ქართლში, ჯავახეთში, ვანანდში, აიღო ხარკი და დაბრუნდა არაბეთში“[11]. როგორც ცნობიდანვე ირკვევა, სომხეთში, ხოლო შემდეგ ქართლსა და ჯავახეთში აბდარაჰმის შემოსევას სპარსთა მეფის ხოსროს მოკვლის დროიდან 8 წლის შემდეგ ჰქონდა ადგილი. ეს გავითვალისწინებთ, რომ ხოსრო II მოკვლეს 628 წელს, მაშინ არაბთა სარდალს სომხეთისა და მისი მეზობელი ქართლიდან და ჯავახეთიდან ხარკი აუკრებია 636 წელს, მაგრამ 636 წ. ნაადრევი ჩანს არაბთა მიერ სომხეთისა და მით უმეტეს, ქართლისა და ჯავახეთის დალაშქრა. ვინაიდან არაბებს სომხეთამდე მიღწევა მხოლოდ შუამდინარეთისა და მისი მოსაზღვრე მხარეების დაპყრობის შემდეგ შეეძლოთ, ე. ი. 639 წლის შემდეგ[12].

პროფ. ი. მანანდიანს იოანე მამიკონიანის ზემოთ მოყვანილი ცნობა გაიგივებული აქვს სებეოსის ცნობასთან არაბთა მიერ დვინის პირველად დარბევის შესახებ[13], რაც არ უნდა იყოს მართებული და აი რატომ: 1. ცნობები სხვადასხვა ერთმანეთისაგან ქრონოლოგიით. იოანე მამიკონიანთან აღწერილ ამბავს

---

[9] იხ. Ა. Მანანდიანი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 178—187.

[10] Պատմութիւն Դեւոնդեայ Մեծի վարդապետի Հայոց, Ս. Պետերբուրգ, 1887, გვ. 7—8.

[11] Յովհաննու Մամիկոնեանի եպիսկոպոսի. Պատմութիւն Տարօնոյ. Վենետիկ 1832, გვ. 57—58.

[12] Chronique de Michel le Syrien ed. par Chabot. т. II, გვ. 426.

[13] Ა. Მანანდიანი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 174.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადგილი ჰქონდა არაბთა მიერ დვინის აღებამდე. 2. იოანე მამიკონიანის თანახმად არაბებს მოუვლიათ სომხეთი, ბასიანი, ქართლი, ჯავახეთი და ვანანდი. სებეოსის გადმოცემით კი არაბთა მარბიელ რაზმებს ვხედავთ ტარონში, ბზნუნიქში, ალიოვიტში, ბერკრის ხეობაზე გავლით ორდოსპსა და კოგოვიტში და აირარატის მხარეში. სებეოსის ცნობაში გაკვრითაც კი არ არის ნახსენები არაბთა საქართველოში შემოსევის შესახებ. 3. აღნიშნული ცნობები ფაქტობრივი მონაცემებითაც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. პირველ შემთხვევაში, ე. ი. 639—640 წწ. არაბები მხოლოდ ხარკის აკრეფით კმაყოფილდებოდნენ და მათი უკან გაბრუნება სწრაფად ხდება. მეორედ კი 640—641 წწ. მათი მოქმედება აშკარად აგრესიულია: ისინი არბევენ გარკვეულ ტერიტორიას, ამჯერად მხოლოდ სომხეთისას, ძარცვავენ ქალაქ დვინს და დიდძალი ნადავლითა და ნატყვენავით კვლავ უკან ბრუნდებიან. 4. იოანე მამიკონიანის ცნობის თანახმად სომხეთის, ქართლისა და ჯავახეთის მოსახლეობასა და არაბებს შორის რაღაც გარკვეული შეთანხმების შედეგად, წინააღმდეგობის გაწევის გარეშე არაბებმა მოახერხეს ხარკის აკრეფა. დვინის დარბევისას კი მათი დამოკიდებულება მოსახლეობისადმი უკვე მტრულ ხასიათს ატარებს. არაბთაგან დარბეული ხალხიც ძველებურად აღარ ხვდება მათ და გარკვეულ წინააღმდეგობას უწევს.

იოანე მამიკონიანის ცნობა სომხეთსა და საქართველოში არაბთა პირველად შემოსვლის შესახებ თითქმის ანალოგიურია „წმინდა ნერსესის ისტორიაში“ დაცული მასალისა, მხოლოდ თარიღია განსხვავებული: „სომეხთა წელთაღრიცხვის ოთხმოც წელს ბერძენთა მეფე ჰერაკლე შეებრძოლა სპარსთა მეფეს ხოსროს და მოკლა იგი. რვა წლის შემდეგ მუჰამედის დისშვილი აბდარაჰიმი მოვიდა სომხეთში 18 ათასი კაცის თანხლებით ხარკის ასაკრებად და ქრისტიანთა ჯარის ამოსაწყვეტად, რომელიც ტარონის გავარში იმყოფებოდა. [აბდარაჰიმი] გადავიდა ჰარქსა და ბასიანში, ქართლსა, ჯავახეთსა და ვანანდში, აიღო ხარკი და არაბეთში დაბრუნდა“[14]. აღნიშნული ცნობის თარიღი 639 წელს შეესაბამება (სომეხთა წელთაღრიცხვის 80 წელი — 631 წ., მას უნდა დაემატოს 8 წელი, რაც 639-ს გვაძლევს)[15]. 639 წელი კი უფრო ახლოსაა არაბთა ამიერკავკასიაში შემოსვლის თარიღთან, რადგანაც 639 წელს არაბები იპყრობენ რა გარკვეულ ქვეყნებს, უკვე გზას იკვლევენ სომხეთისაკენ.

სებეოსის „ისტორია“-სთან ერთად, რომელიც სომხეთის საისტორიო წყაროთა შორის ერთ-ერთ ყველაზე უფრო სანდო წყაროთაგანია სომხეთში არაბთა ბატონობის შესასწავლად, ჩვენი აზრით, იოანე მამიკონიანის „ტარონის ისტორიისა“ და „წმინდა ნერსესის ისტორიის“ ცნობებსაც გარკვეული მნიშვნელობა ენიჭებათ. ისინი აუცილებლად გასათვალისწინებელია საქართველოში არაბთა პირველი ლაშქრობის შესასწავლად. აღნიშნულ წყაროთა ზემოთ მოყვანილი ცნობების ზედმიწევნითი სიახლოვე ერთმანეთთან, თითქმის სიტყვასიტყვით დამთხვევა გვავარაუდებინებს, რომ ან იოანე მამიკონიანის თხზულებაა ამოსავალი წყარო, ან კიდევ არსებობდა მესამე წყარო, რომლითაც ორივე თხზულების ავტორებს უსარგებლიათ.

---

14 Պատմութիւն սրբոյն Ներսիսի և գիւտ Նշխարաց. Վենետիկ. 1853, გვ. 43—44.

15 აღნიშნული ცნობის მიხედვით ხოსრო II 631 წელს მოუკლავთ, რაც ეწინააღმდეგება სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებულ თარიღს — 628 წელს.

X—XI საუკუნეების სომეხი ისტორიკოსის სტეფანოს ტარონელის ცნობის მიხედვით არაბთა მიერ დვინის აღება ამიერკავკასიაში მათი პირველი გამოჩენის დროს კი არ მიეწერება, როგორც ამას სებეოსთან ვხედებით, არამედ სომხეთში არაბთა მეორედ შემოსევის პერიოდს: „95 (646) წელს კვლავ მოვიდა ტაჯიკთა დიდძალი ჯარი და აიღო ქალაქი დვინი“[16]. მართლაც იქვე, ამ ცნობის წინ, სტეფანოსი მეორე ცნობას იძლევა, რომელშიც აღნიშნულია: „თეოდოროს რშტუნის გამგებლობის ჟამს 86 (637) წელს სომხეთს პირველად შემოესივნენ ტაჯიკი ომარის ბრძანებით, რომელიც მეორე იყო მუჰამედის შემდეგ“[17]. სტეფანოს ტარონელის ზემოთ მოყვანილ ცნობებში, მართალია, თარიღები არ არის ზუსტი, მაგრამ ფაქტობრივი მასალების გათვალისწინებით აშკარაა, რომ აქ ორ, სხვადასხვა დროს მომხდარ ამბებთან გვაქვს საქმე.

ეჭვს გარეშეა, რომ სტეფანოს ტარონელმა სომხეთში არაბთა შემოსევების აღწერისას წყაროდ გამოიყენა არა სებეოსის თხზულება, არამედ ლეონდის, ან იოანე მამიკონიანის ნაშრომები. შეიძლება სხვა ისეთი წყაროც, რომლის თანახმად არაბთა პირველ შემოსვლას სომხეთში ადგილი ჰქონდა მათ მიერ დვინის აღებამდე. სებეოსისაგან განსხვავებით, სტეფანოს ტარონელი მეორე ცნობაში, დვინის აღების ფაქტის აღნიშვნის შემდეგ მიუთითებს: „შემდეგ დაეუფლნენ [არაბები] სომხეთს, ქართლსა და ალბანეთსო“[18]. მართალია, სებეოსი უფრო სარწმუნო წყაროა, როგორც VII საუკუნის ამბების თანამედროვე, მაგრამ სტეფანოს ტარონელის ცნობაც დვინის აღების შემდეგ არაბების მიერ სომხეთის, ქართლისა და ალბანეთის დარბევის შესახებ არც თუ ისე შორსაა სინამდვილისაგან. შესაძლებელია როგორც პირველად დვინის აღებამდე, ასევე დვინის აღების შემდეგ არაბებს საქართველოსთვისაც მიუპყრიათ ყურადღება.

როგორც ირკვევა, სომხეთსა და საქართველოში არაბთა პირველი ლაშქრობების ძირითად მიზანს ნადავლის დატაცება და ტყვეთა წასხმა წარმოადგენდა, რაც სავსებით ბუნებრივი იყო არაბთა საგარეო ექსპანსიის პირველ ეტაპზე და გაპირობებული იყო მათი ცხოვრების პირობებითა და მისწრაფებებით[19]. მუნარი საცხოვრებელი გარემო აიძულებდა ისმაელტებს დაეტოვებინათ თავიანთი მიწა-წყალი და სხვა უფრო მოსაყვანად და ნოყიერ ტერიტორიაზე ეძიათ ხსნა. არაბთა თავდაპირველი „სამხედრო წარმატებები“ გაპირობებული იყო უმთავრესად მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების შინაგანი ვითარებით... საზოგადოების დაბალი ფენები არაბთა შემოსევებს კლასობრივი თვალსაზრისით აფასებდნენ. არაბებში ისინი ხედავდნენ გამათავისუფლებლებს ექსპლოატატორული კლასების მძიმე უღლისაგან... ტომობრივ პრინციპზე აგებული არაბთა ლაშქარი ზედიზედ ამარცხებდა მძავალწლოვან ომებში დასუსტებული ბიზანტიის და ირანის უკეთ გაწვრთნილ და შეიარაღებულ ლაშქარს...

---

[16] Ստեփանոսի Տարոնեցւոյ Ասողկան Պատմութիւն Տիեզերական. Ս. Պետերբուրգ 1885, გვ. 98.

[17] იქვე, გვ. 98.

[18] იქვე.

[19] А. Мюллер. История Ислама. СПБ. 1895. გვ. 82—89.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათი ფანატიკური ბრძოლის წარმატების მთავარი პირობა მაინც მდიდარი ალაფი და ნადავლი იყო“[20].

ამიერკავკასიაში არაბთა პირველად გამოჩენის ხანაში საკმაოდ ცვალებადი იყო ადგილობრივ მთავართა დამოკიდებულება დამპყრობელთა მიმართ. ისინი ხან ბიზანტიელებს უჭერდნენ მხარს, ხან კი არაბების მოკავშირედ გამოდიოდნენ. ასეთი დამოკიდებულების გასათვალისწინებლად საუკეთესო მაგალითს სომეხი მთავრის თეოდოროს რშტუნის თავგადასავალი წარმოადგენს. სებეოსისა და ლევონდის ცნობების თანახმად არაბთა მიერ დვინის აღების შემდეგ ნერსეს კათალიკოსის (641—661 წწ.) შუამდგომლობითა და კონსტანტინე კეისრის ბრძანებით სომხეთში სარდლად განაწესეს თეოდოროს რშტუნი. 642—643 წწ. არაბთა წინააღმდეგ ბრძოლაში თეოდოროს რშტუნს ბიზანტიის სამხედრო ხელისუფლებამ არ აღმოუჩინა დახმარება, რის გამოც მას საკუთარი ძალებით მოუხდა ბრძოლა. წლების მანძილზე სომხების მიმართ ბიზანტიელთა ასეთმა გულგრილმა დამოკიდებულებამ აიძულა თეოდოროს რშტუნი განდგომოდა ბიზანტიელებს და არაბებს დაკავშირებოდა. აღნიშნულ ფაქტს ადგილი ჰქონდა 652 წელს.

განსაკუთრებით დაწვრილებით აღწერს სებეოსი სომხების აჯანყებას ბიზანტიელების წინააღმდეგ, მათ გადასვლას არაბთა მხარეზე და არაბ გამგებელთა დამოკიდებულებას დამორჩილებულ ხალხთა მიმართ[21]. როგორც ირკვევა, სომხების აჯანყება ქართველებისა და ალბანელების მხარდაჭერის გარეშე არ დარჩენილა. სავარაუდებელია, რომ არაბთა მხრიდან მათაც გარკვეული შეღავათები ენიჭებოდათ, როგორც თეოდოროს რშტუნის მოკავშირეებს. სებეოსისვე ცნობით რშტუნელთა გამგებელს არაბები პირდებოდნენ 3 წლის მანძილზე სომხეთის განთავისუფლებას გადასახადიდან, ხოლო შემდეგში მის გადახდას სომხების სურვილის შესაბამისად. არაბები ნებას რთავდნენ მათ ჰყოლოდათ თავის ქვეყანაში 15000 ცხენოსანი, ხოლო ისმაიტელთა ჯარი, არც ამირები არ შეაწუხებდნენ მათ. ეტყობა, არაბთა მიერ შემოთავაზებული შეღავათიანი პირობები სომხეთის მსგავსად იმჯერად ქართლსა და ალბანეთსაც აწყობდა, რამაც განაპირობა მათი გადასვლა არაბთა მხარეზე.

თეოდოროს რშტუნისა და მისი მოკავშირე ქართველთა, ალბანელთა და სივნიელთა დამორჩილებას არაბებისადმი ასე იოლად ვერ შეეგუებოდა ბიზანტია. მის მომხრედ გამოდიოდა თვით სომხეთის კათალიკოსი ნერსესი. განსაკუთრებით საყურადღებოა სებეოსის ცნობები ამ აჯანყების შედეგების შესახებ[22]. როგორც ირკვევა, კონსტანტინე კეისრის მიერ აჯანყებულთა წინააღმდეგ გამოგზავნილ დამსჯელ რაზმებს მოკავშირეთაგან (სომხეთი, ქართლი, ალბანეთი, სივნიეთი) ყველაზე ადრე ქართლი დამორჩილდა. სწორედ ამას უნდა ნიშნავდეს სებეოსის მითითება „ერთხანს მათ არ სურდათ დანებება, მაგრამ შემდეგ დაემორჩილნენ [ბერძნებს], ხოლო ალბანელები, სივნიელები და საზეპურო გუნდი არ დამორჩილდა. მათი ქვეყნები [მეფის ჯარებმა] გაძარცვეს“[23].

---

20 ვ. გაბაშვილი, არაბთა სახალიფო, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, თბ., 1957, გვ. 59.

21 იხ. წინამდებარე ნაშრომი, გვ. 478—479.

22 იხ. წინამდებარე ნაშრომი, გვ. 479.

23 იქვე, გვ. 477 —478.

როგორც ს. ჯანაშიამ[24] შენიშნა, ეტყობა სწორედ სებეოსის ეს ცნობა ჰქონდა მხედველობაში უფრო მოგვიანო ხანის სომეხ ისტორიკოსს იოანე დრასხანაკერტელს (IX—X სს.) როდესაც მიუთითებდა: „კეისარმა შეკრიბა დიდძალი ჯარი, გაემართა და წამოვიდა სომხეთის დასამორჩილებლად, რომელსაც უკვე არავინ დაემორჩილა, ქართლის ქვეყნის გარდა"[25]. იოანე დრასხანაკერტელის ცნობის გათვალისწინების გარეშეც, თვით სებეოსის თხზულებაში დაცული მასალების შესწავლდანაც ირკვევა, რომ ქართლი აღნიშნულ პერიოდში და შემდგომაც, დაახლოებით 654—655 წლებამდე არაბთა უფლებებს აღარ ცნობდა. სწორედ ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ დამსაკოში ჩასულ თეოდოროს რშტუნს არაბთა ხალიფა მოავიდა წინადადებას აძლევს დაიპყროს სომხეთი, ქართლი, ალბანეთი და სივნეთი კავკასიონამდე და ჭორის ციხე-სიმაგრემდე[26].

აღნიშნულ პერიოდში ქართლი, ისევე როგორც ტაოს სიმაგრეები, ხშირად საიმედო თავშესაფარს წარმოადგენდა არაბთაგან დევნილ და დამარცხებულ პირთათვის. ზოგჯერ ბიზანტიელებიც ქართლში მოდიოდნენ, არაბთაგან ვადარჩენილნი. სებეოსთან ერთი საინტერესო ცნობაა შემონახული ბერძნებისა და არაბთა ბრძოლის შესახებ, რომელსაც 654 წელს ჰქონდა ადგილი. „გაზაფხულის მოახლოებისთანავე — აღნიშნავს სებეოსი, — [ბერძნები] განუწყვნენ და მოემზადნენ ისმაიტელებთან საბრძოლველად. მავრიანოსი კი შეუპოვრობა და გადაწყვეტა [დაწყებული] საქმის დასრულება. ტაჩიკები თავს დაესხნენ ბერძნებს, რომლებიც იბრძოდნენ ნახჭევანის ციხესთან, შეუტიეს მათ და მახვილით ამოწყვიტეს, ხოლო დანარჩენები გააქციეს. თვითონ მავრიანოსი გაიქცა და ქართლში გადავიდა. ისმაიტელთა ჯარი კი უკუიქცა. ალყა შემოარტყა კარნუ-ქალაქს და ბრძოლა დაიწყო მათთან. ხოლო [ქალაქის მცხოვრებლებმა] ვერ შესძლეს წინააღმდეგობის გაწევა. მათ გაალეს ქალაქის კარი და დამორჩილნენ მათ. ისმაიტელები შევიდნენ ქალაქში, შეკრიბეს ოქრო, ვერცხლი და ქალაქის დიდძალი ქონება. მათ გაძარცვეს სომხეთის ქვეყანა, ალბანეთი, სივნეთი"[27]. როგორც ჩანს, ქართლი ამჯერადაც გადაურჩა არაბთა რისხვას.

არაბთა მიერ ქართლის პირველად დამორჩილებას მ. ღაზარიანი[28] და ს. ჯანაშია[29] 653—655 წ. მიაწერდნენ, ქართლში ჰაბიბ იბნ მასლამას მიერ ე. წ. „დაცვის სიგელის" გაცემის ხანას. აღნიშნული დოკუმენტი ქართულ წყაროებში არ არის დაცული, მის შესახებ სომხურ წყაროებშიც არაფერია მითითებული. იგი მხოლოდ არაბულენოვანი ისტორიკოსების — ტაბარის, ბალაძორისა და იაყუთის შრომებმა შემოინახეს[30].

---

24 ს. ჯანაშია, არაბობა საქართველოში, გვ. 360.

25 Ցուկացնում կարդալիքի Դրասխանակերտցւոյ Պատմութիւն Հայոց, Թիֆլիս, 1912, გვ. 86.

26 იხ. წინამდებარე ნაშრომი, გვ. 478.

27 იქვე, გვ. 479.

28 M. Ghazarian, დასახ. ნაშრომი, გვ. 20—37.

29 ს. ჯანაშია, არაბობა საქართველოში, გვ. 362—364.

30 „დაცვის სიგელი"-ს ბალაძორისეული ვარიანტი მ. ღაზარიანის ნაშრომის გერმანული ტექსტიდან ქართულად თარგმნა ივ. ჯავახიშვილმა. ეს ვარიანტი ქართული თარგმანით და კომენტარებით გამოქვეყნებულია მ. ლორთქიფანიძის მიერ. ბალაძორისეული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხსენებულ მკვლევართაგან განსხვავებით აკად. ივ. ჯავახიშვილი ჰაბიბ-იბნ-მასლამას „დაცვის სიგელის“ გაცემის თარიღად 643—645 წწ. მიიჩნევს. ჩანს, განსვენებულ მეცნიერს „დაცვის სიგელის“ გაცემა ამიერკავკასიაში ჰაბიბ იბნ მასლამას პირველად (643 წ.) მოსვლის დროისათვის მიუწერია. სინამდვილეში კი ტაბარის ცნობით, რაზედაც ზემოთაც მივუთითეთ, 643 წ. ჰაბიბ-იბნ-მასლამას თბილისისაკენ გამოლაშქრების დროს არაბები უკუქცეული იყვნენ, ასე რომ იქ რაიმე შეთანხმება, რომელიც ფიქსირებული იქნებოდა გარკვეული დოკუმენტით, გამორიცხულია.

თუ როგორ წარიმართა „დაცვის სიგელში“ გათვალისწინებული პირობების რეალური განხორციელების საქმე, ამის შესახებ მასალა არ გაგვაჩნია, მხოლოდ ის კი ცნობილია, რომ 657 წელს არაბები იძულებულნი იყვნენ დაეტოვებინათ ამიერკავკასია. სებეოსის თანახმად დაახლოებით 656 წელს სომხეთი და ალბანეთი განთავისუფლდა არაბთაგან. სავარაუდებელია, რომ ასეთივე ბედი ეწვია მათ მეზობელ ქართლსაც. სახალიფოში ატეხილმა შინაგანმა ბრძოლამ აიძულა არაბები ორი წლის შემდეგ ისევ დაეტოვებინათ ამიერკავკასია.

ტახტისათვის ბრძოლა ომაელთა დინასტიის გამარჯვებით დამთავრდა[31], რომლის პირველმა წარმომადგენელმა მოავიამ ძალაუფლების ხელში ჩაგდებისთანავე ყურადღება კვლავ ამიერკავკასიას მიაქცია, მაგრამ თავდაპირველად მისი დამოკიდებულება აქაური მოსახლეობისადმი უხეშობასა და ძალადობას გამორიცხავდა და მშვიდობიანი გზით მიიმართებოდა. ხალიფა მოავიას ასეთი პოლიტიკა შემდეგით იყო გამოწვეული: მის ხელისუფლებას ჯერ კიდევ საშიშროება მოელოდა ტახტისათვის მებრძოლთაგან. აღნიშნული გარემოებით აიხსნება ის ფაქტი, რომ პირველ ხანებში მოავია ერიდებოდა ძალის გამოყენებას ამიერკავკასიის მოსახლეობის მიმართ. მაგრამ მალე შეიცვალა ვითარება. ხარკი თანდათანობით მძიმე ტვირთად იქცა ამიერკავკასიის მოსახლეობისათვის. განსაკუთრებით საყურადღებოა ამიერკავკასიაში ომაელთა მძიმე საგადასახადო პოლიტიკის განხორციელების ის შედეგები, რომლებიც საკმაოდ ვრცლად აქვს გადმოცემული ლევონდს. მისი ცნობები მოავიასა (661—680 წწ.) და მისი შვილის იაზიდის (680—683 წწ.) დროს სომხეთის მძიმე გადასახადებით შევიწროების შესახებ ქართლსა და ალბანეთზეც შეიძლება გავავრცელოთ.

VII საუკუნის II ნახევარში საკმაოდ მერყევი იყო არაბთა პოლიტიკური მდგომარეობა როგორც ყველა დაპყრობილ ქვეყანაში, ასევე ქართლში. სახალიფოს ადგილობრივი ხელისუფალნი ხშირად კარგავდნენ თავიანთ უფლებებს დამორჩილებულ ხალხებზე, სარგებლობდნენ ხალიფათა შინაური ბრძოლებით და ცდილობდნენ მორჩილებისაგან განთავისუფლებას. ასეთი მდგომარეობა შეიქმნა სწორედ ხალიფა აბდ-ალ-მალიქის დროს (685—705 წწ.). როგორც ლევონდი გადმოგვცემს „ტაჭიკთა შორის ბრძოლის დროს სომხებმა, ქართველებმა და ალბანელებმა 30-წლიანი მორჩილების შემდეგ შეწყვიტეს ხარკის გადახდა. მათმა ამბოხებამ 3 წელი გასტანა. მე-4 წელს სომხეთი და-

---

ვარიანტის არაბული ტექსტი გამოქვეყნებულია ე. წ ე რ ე თ ლ ი ს „არაბულ ქრესტომათია“-ში. „დაცვის სიგელს“ დაწვრილებით ეხება ე. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძე თავის ერთ-ერთ წერილში: „არაბეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან“. იხ. თსუ შრომები, 73, თბ., 1959, გვ. 167—181.

[31] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, არაბთა სახალიფო, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, გვ. 64—72.

იპყრო ჩრდილოეთის ხალხმა ხაზარებმა. ბრძოლაში მოკლეს გრიგოლ მთავარი და ბევრი ქართველი და აღმანელი ნახარარი და მთავარი. თვითონ მათ კი მარბიელი მოჰფინეს სომხეთის ქვეყანას, დაიპყრეს მრავალი გავარი და დაბა, ხელთ იგდეს დიდძალი ნადავლი და ტყვეები და თავიანთ ქვეყანაში წაიყვანეს[32]. როგორც ს. ჯანაშიას აქვს შენიშნული, ამ ფაქტს 685—686 წლებში უნდა ჰქონოდა ადგილი, ქართლში არაბთა მფლობელობის დამყარებიდან (655 წ.) 30 წლის შემდეგ[33].

VII საუკუნის დასასრულს არაბებმა შედარებით მტკიცედ მოიკიდეს ფეხი ქართლში, რაც შეესება დასავლეთ საქართველოს, იგი აღნიშნულ პერიოდში ბიზანტიის გავლენის ქვეშ იყო მოქცეული. იმ მასალის გათვალისწინებით, რომელიც დღეისათვისაა ცნობილი, როგორც საკუთრივ ქართულ, ასევე უცხოურ წყაროებში, არ შეიძლება მსჯელობა დასავლეთ საქართველოში არაბთა მფლობელობასა თუ ბატონობაზე ე. ი. ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიურ დამორჩილებაზე. მართალია, ადგილი ჰქონდა არაბთა ცალკეულ შემოსევებს, რომლებიც უმთავრესად მიზნად ისახავდნენ დასავლეთ საქართველოში ბიზანტიის გავლენის აღკვეთას, მაგრამ ეს შემოსევები მხოლოდ ეპიზოდურ ხასიათს ატარებდნენ.

ლევონდის თზზულებაში ერთი საინტერესო ცნობაა დაცული, რომლის თანახმად ეგრისელთა ქვეყანას აბდ-ალ-მალიქის დროს ბიზანტიის ხელისუფლება განაგებს, რომელიც ქ. ფოთში თავშესაფარსაც კი აძლევს არაბთაგან შევიწროებულ სომეხ ნახარარებს: „მას შემდეგ, რაც სომეხთა ქვეყანაში ამოწყდა სანახარარო ტომი, მცხოვრებლები, როგორც ცხვრები, მგლებს ჩაუვარდნენ ხელთ. მტრებმა ყოველნაირი ბოროტება, დიდი უბედურება და საფრთხე თავს დაატეხეს სომეხთა ქვეყნის მცხოვრებლებს, რომლებიც ძალიან შეაწუხა გაჭირვებამ და მოუსვენრობა ცხოვრებამ. მათი კენესა და ოხერა ცას წვდებოდა. სუმბატ კურაპალატმა და სხვა ნახარარებმა დასტოვეს თავიანთი [საცხოვრებელი ადგილი] და ბერძენთა მეფეს სთხოვეს ქალაქი საცხოვრებლად და საძოვრები თავიანთი ჯოგებისათვის. [მეფემ] მისცა მათ ქალაქი ფოთი ეგრისელთა ქვეყანაში, სადაც 6 წელი დაყვეს"[34].

არაბთაგან შევიწროებული სომეხი მთავრების დასავლეთ საქართველოში თავის შეფარების შემთხვევები, როგორც ირკვევა, იშვიათი არ იყო. აბასელთა დინასტიის დროს, როდესაც განსაკუთრებით გახშირდა აჯანყებები დაპყრობილ ქვეყნებში, მეზობელი სომეხი მთავრები დასავლეთ საქართველოსკენ მიემართებოდნენ. ლევონდისავე ცნობით, ერთ-ერთი ხალიფას დროს (754—775 წწ.) სომეხი ნახარარები აჯანყდნენ არტავაზდ მამიკონიანის ხელმძღვანელობით, ქალაქ დვინში მოიყარეს თავი, დახოცეს და გაძარცვეს ხარკის ამკრეფნი და შემდეგ ქართველთა ქვეყნისაკენ გასწიეს. მათ დადევნებულმა მუჰამედმა მიაღწია სამცხის მიდამოებს და ჩაკეტა გასასვლელები. მაგრამ არტავაზდმა და მისმა მომხრეებმა მაინც მოახერხეს თავის დაღწევა არაბთაგან და ეგ-

---

[32] იხ. წინამდებარე ნაშრომი, გვ. 480.

[33] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, არაბობა საქართველოში, გვ. 366.

[34] იხ. წინამდებარე ნაშრომი, გვ. 481. აღნიშნული ცნობა განხილული აქვს ისტორიკოს მაქსიმე ბერძნიშვილს თავის ნაშრომში „ლევონდის ცნობა ფოთის შესახებ". თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 26b, 1944, გვ. 201—223.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რისელთა ქვეყანაში დამკვიდრდნენ[35]. მართალია, ლევონდისთან პირდაპირ არ-ასად არ არის მითითებული არაბთა წინააღმდეგ ქართველების აჯანყების ამბავი, მაგრამ სავარაუდებელია, რომ სომხების მსგავსად არც ქართველები იყვნენ არაბთაგან კარგ მდგომარეობაში და არც ისინი დაიხევდნენ უკან აჯანყებისაგან, წინააღმდეგ შემთხვევაში მათი ქვეყანა ასე საიმედო თავშესაფარად ვერ იქნებოდა მიჩნეული აჯანყებულ სომეხ მთავართათვის.

VII—VIII საუკუნეთა მიჯნაზე საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობის სურათი ასე წარმოგვიდგება: არაბები თარეშობენ ქართლში, ბიზანტიელები კი ჯერ კიდევ ცდილობენ დასავლეთ საქართველოში გავლენის შენარჩუნებას. ჩრდილოეთიდან ხაზართა დროგამოშვებით გამოჩენა ასევე საშიშ საფრთხეს უქმნის ქვეყანას. ხაზარები საშიშ ძალას წარმოადგენდნენ არაბთათვის, რასაც კარგად გრძნობდნენ ხალიფები და ბრძოლას უცხადებდნენ მათ. ძირითადად ბრძოლები წარმოებდა ამიერკავკასიის ტერიტორიაზე, მთავარი გასასვლელი გზების (დარუბანდის, დარიალის) დასაუფლებლად. ამის შესახებ რამდენიმე ცნობა ლევონდის თხზულებაშიცაა დაცული[36].

განსაკუთრებით გამწვავდა ბრძოლა არაბებსა და ხაზარებს შორის ხალიფა ჰიშამის (724—743 წწ.) დროს. აუტანელი იყო მოსახლეობის მდგომარეობა იმ ეკონომიური გაჭირვების გამო, რაც ხალიფა ჰიშამის მიერ ხარკის გაზრდამ გამოიწვია. მართალია, ამ ღონისძიების განხორციელების შედეგად შექმნილი მძიმე მდგომარეობა ლევონდის მხოლოდ სომხეთის შესახებ აქვს გადმოცემული, მაგრამ სავსებით შესაძლებელია ანალოგიური სიტუაცია საქართველოშიც წარმოვიდგინოთ. ჰიშამის დროსვე ადგილი ჰქონდა ამიერკავკასიაში მურვან ყრუს ლაშქრობას (სომხეთში 732 წ., ხაზარეთში 735 წ., საქართველოში 736—738 წწ., ალბანეთში 737—735 წწ., 743—744 წწ. კი იგი სტოვებს ამიერკავკასიას)[37].

მართალია, ჩვენ მიერ ზემოთ აღნიშნული იყო, რომ ლევონდის (ისევე, როგორც სებეოსის) **ცნობები საქართველოს** შესახებ ძირითადად მის პოლიტიკურ ვითარებას აღწერენ, მაგრამ მან ერთი მცირე ცნობა არაბობის დროს საქართველოს სარწმუნოებრივი ვითარების შესახებაც შემოგვინახა. სომხეთის მდგომარეობის აღწერისას, სახელდობრ მძიმე სარწმუნოებრივი რეჟიმის შესახებ საუბრისას, ლევონდი აბო თბილელის წამებაზეც მიუთითებს, როდესაც სომეხი ისტორიკოსი ქართველ ერისთავს უწოდებს[38]. „ეს მოხდა მუსეს გამგებლობის დროს ხაზმის მმართველობისას, წმინდა ღმრთის გამოცხადების დღეს, სომეხთა წელთაღრიცხვის 233 (734) წელს. ერთი წლის გამგებლობის შემდეგ გარდაიცვალა მუსე. მის დროს ტანჯვით მოკლეს ქართველთა მთავარი: ხელებითა და ფეხებით ასწიეს მაღლა და შუაზე გაჰპეს. ასე მოუსპეს მას ახალგაზრდა სიცოცხლე. ასე დაიღუპა იგი, როგორც ცხვარი სასაკლაოზე, აღასრულა რა ყველა ეს ბოროტებანი, ერთი წლის შემდეგ იგი გარდაიცვალა“[39].

---

35 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, არაბობა საქართველოში, გვ. 480.

36 იქვე, გვ 483.

37 იქვე, გვ. 375.

38 იქვე, გვ. 398—399.

39 იქვე, გვ. 484.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი 40

„... გარდაიცვალა ჰერაკლე და გამეფდა მისი შვილი კონსტანტინე. [ამ დროს] მტაცებელ თავდამსხმელთა ჯარი ასურეთის მხრიდან ხეობის გზით ტარონის ქვეყანაში ამოვიდა და დაიპყრო იგი, ბზნუნიქი და ალიოვიტი. მათ გეზი აიღეს ბერკრის ხეობაზე და ორდოსპისა და გოგოვიტის [გავლით] აირარატს მოედვნენ. სომეხთა ჯარიდან ვერავინ შესძლო ეს სამწუხარო ამბავი დაბა დვინისათვის ეცნობებინა. მხოლოდ სამი მთავარი — თეოდოროს ვაჰევუნი, ხაჩიან არაველიანი და შაპუჰ ამატუნი, რომლებიც მიდიოდნენ გაფანტული ჯარის შესაკრებად, გაიქცნენ დვინში, მიაღწიეს [მდინარე] მეწამორის ხიდს, დაანგრიეს იგი; თვითონ კი გადავიდნენ და სამწუხარო ამბავი [ამცნეს] დაბას. მათ ციხეში შეკრიბეს მთელი ხალხი, რომელიც ყურძნის საკრებად იყო მოსული...

მეხუთე დღეს [მტრები] თავს დაესხნენ ქალაქ [დვინს] და ქალაქი ხელთ იგდეს. მათ ცეცხლით გარემოიცვეს [ქალაქი], ზღუდის მცველები კვამლითა და ისართა ტყორცნით გააძევეს, [შემდეგ] მიადგეს კიბე, ავიდნენ ზღუდეზე, ჩავიდნენ ქვევით და გაალეს ქალაქის კარები. მტრის ჯარები შიგ შეიჭრნენ, მახვილით ამოწყვიტეს ქალაქის დიდძალი [მოსახლეობა], აიღეს ნაძარცვ-ნადავლი, გამოვიდნენ [გარეთ] და დაბანაკდნენ იმავე ადგილას, [სადაც ადრე იყვნენ]. [ეს მოხდა] ტრე თვის 20 რიცხვს [6 ოქტომბერს] პარასკევს. აქ მათ შეისვენეს რამდენიმე დღე, [შემდეგ კი] გაემართნენ იმავე გზით, რომლითაც მოვიდნენ. მათ თან წაიყვანეს დიდძალი ტყვე: 35 000 კაცი. ხოლო სომეხი მთავარი, რშტუნელთა უფალი, რომელიც ჩასაფრებული იყო გოგოვიტის გავარში, თავს დაესხა მათ მცირე [რაზმით]. მაგრამ მან ვერ შესძლო მათთვის წინააღმდეგობის გაწევა და გაიქცა. ისინი უკან დაედევნენ მათ, მრავალი მათგანი ამოწყვიტეს, თვითონ კი წავიდნენ ასურეთში. ეს მოხდა ეზრა კათალიკოსის დროს...

თავი 43

„კონსტანტინეს [მეფობის] მეორე წელს ჰორის თვის 23-ს, კვირას, დილით ისმაიტელები ყვირილით შეცვივდნენ ციხე-სიმაგრეში წინა და უკანა [მხრიდან] და [იქ მყოფნი] მახვილით ამოწყვიტეს. ბევრნი თვითონ გადმოცვივდნენ [მაღლიდან] და დაიღუპნენ. ქალები და ყრმები გადმოყარეს ციხიდან დახოცვის მიზნით. აურაცხელი იყო ტყვე და საქონელი. მეორე დღეს, დილით მათ თავს დაეცხრა სომეხთა სარდალი და სასტიკად დაამარცხა ისმაიტელთა ჯარის 3000 შეიარაღებული რჩეული მებრძოლი, [ისე რომ] მათგან არავინ გადარჩენილა. გადარჩა მხოლოდ მცირე რიცხვი ქვეითებისა, რომლებიც გამაგრდნენ შამბნარში. ამ დღეს უფალმა მრავალი ტყვე იხსნა ისმაიტელთა ხელთაგან და ისმაიტელები სასტიკად დაამარცხა. [ამ დროს] დაიღუპა ისმაიტელთა ორი მთავარი: უთმანი და ოგომა. სომეხთა სარდალმა დიდ გამარჯვებას მიაღწია. მან კონსტანტინეს ძღვნად გაუგზავნა სამხედრო ნადავლიდან 100 რჩეული ცხენი. მიიღო რა [ყოველივე ეს], მეფემ თავის სამეფო კართან ერთად ფრიად განიხარა და დიდი მადლობა შეუთვალა [სომეხთა სარდალს], ხოლო აირარატის მხარეში მყოფმა ჯარმა მახვილს მისცა [მთელი ტერიტორია] ტაოელთა, ქართველთა და ალბანელთა მხარეებამდე. ხელთ იგდო ნადავლი და ტყვე და ამოვიდა ნახიჭევანში იმ ჯართან, რომელიც ნახიჭევანის ციხეს ებრძოდა, მაგრამ მან ვერ შესძლო მისი აღება. მათ აიღეს ხრამის ციხე და [იქ მყოფნი] მახვილით ამოწყვიტეს, ქალები და ყრმები კი ტყვედ წაასხეს“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„... იმავე წელს აჯანყდნენ სომხები, განუდგნენ ბერძენთა სამეფოს და დაემორჩილნენ ისმაიტელთა მეფეს. რშტუნელთა უფალმა თეოდოროსმა სომეხ მთავრებთან ერთად სიკვდილთან დასდო ალთქმა, კავშირი შეკრა ჯოჯოხეთთან და დაგმო სიღმრთო პირობა...

... მეფე კონსტანტინე რამდენიმე დღე დარჩა კარნუ-ქალაქში. იქ მას ეახლნენ მეოთხე სომხეთის მთავრები და ჯარები, აგრეთვე რშტუნელთა მხრიდან მოსული მთელი ჯარი და მთავრები, მასთან მოვიდნენ აპერაბე, ბაგრატუნიანთა მთავრები, მანალაიელნი, დარანალაიელნი, ისინი, რომლებიც ეკლესიაცის გავარიდან [იყვნენ], იმ ადგილების ჯარები, კარინელები, ტაოელნი და ბასიანელნი. მას ეახლნენ აგრეთვე ვანანდის მთავრები თავიანთი ჯარებითურთ, შირაკელნი, ხორხორუნელნი, კაცები დიმაჭიანთა სახლიდან. [მეფეს] შეეგება მუშელ მამიკონიანი თავის თანამემამულეებთან და სხვა მთავრებთან ერთად, ჯარი აირარატის მხრიდან, არაველელნი, არანიანელნი, ვარაჟნუნელნი, გნთუნელნი, სპანდუნელნი და მათთან მყოფი სხვა [პირნი]. მას ეახლა ნერსეს კათალიკოსი ტაოდან. ყველა მთავარმა ამცნო მეფეს რშტუნელთა უფლის განდგომის განზრახვისა და იმის შესახებ, რომ მასთან ხშირად მიდი-მოდიოდნენ ისმაიტელთა დესპანები. მაშინ მეფემ და მთელმა ჯარმა დაწყევლეს რშტუნელთა უფალი, აჰყარეს მას ხელისუფლების პატივი და მის ნაცვლად გაგზავნეს სხვა კაცი 40 კაცის თანხლებით. როგორც კი მოვიდნენ ისინი [რშტუნელთა უფალთან], შეიპყრეს ისინი და დაატყვევეს. ამათგან ნაწილი ბაღეშის ციხეში წარგზავნეს, სხვები კი ბზნუნიქის კუნძულზე. თვითონ კი [თეოდოროსი] გაემართა და დამკვიდრდა აღთამარის კუნძულზე და იმ მხარეთა ჯარებს უბრძანა წასულიყვნენ და გამაგრებულიყვნენ თავიანთ გავარში. [თეოდოროს რშტუნისთან] მოკავშირენი იყვნენ ქართველები, ალბანელნი და სივნიელნი, რომლებიც მისი ბრძანებით წავიდნენ თავთავიანთ ქვეყანაში და იქ გამაგრდნენ. ვაჰევუნელთა უფალმა თეოდოროსმა დაიკავა არფაის ციხე, მისი შვილი გრიგორი იყო რშტუნელთა უფლის სიძე. ვარაზ ნერსეჰ დაშტკარანელი [და სხვები] გამაგრდნენ გაშლილ ადგილას და ძალით დაიპყრეს საგანძურები, ვინაიდან იქ იყო [თავმოყრილი] ქვეყნის მთელი განძი — ეკლესიის, მთავართა თუ ვაჭრების.

ხოლო კონსტანტინე მეფემ რა შეიტყო ეს, ისურვა ნაძარცვ-ნადავლი ჯართა სიმრავლისათვის გადაეცა, თვითონ წასულიყო სომხეთში დასახმარებლად, რათა აეოხრებინა ქვეყანა. მაშინ კათალიკოსი და მუშელი სომეხ მთავრებთან ერთად დაემხვნენ მის წინაშე დიდი თხოვნითა და თვალცრემლიანი მუდარით და თხოვდნენ შეწყალებას, მათ დანაშაულზე არ განრისხებულიყო და არ აეოხრებინა ქვეყანა. შეისმინა მეფემ მათი ვედრება და გააბრუნა ჯარი. თვითონ კი გაემართა აირარატში 20 ათასი კაცის თანხლებით, წავიდა დვინში და დამკვიდრდა საკათალიკოსო სახლში. მეფემ მამიკონიანთა უფალი მუშელი სომეხთა ცხენოსანი ჯარის უფროსად დანიშნა და 3000 კაცის თანხლებით საზეპურო გუნდის მხარეში გაგზავნა. ასევე დაგზავნა [რაზმები] თავის ჯარიდან ქართლსა, ალბანეთსა და სივნიეთში, რომ დაეოხრებია მათი კავშირი [თეოდოროსთან]. ხოლო ჯარები განლაგებულნი იყვნენ მთიან და დაბლობ ადგილებში არფაის გარშემო. ერთხანს მათ არ სურდათ დანებება, მაგრამ შემდეგ დაემორჩილნენ [ბერძნებს]. ხოლო ალბანელები, სივნიელები და საზეპურო გუნდი არ დამორ-

ჩიღლა. მათი ქვეყნები [მეფის ჯარებმა] გაძარცვეს, წაიღეს თუ კი რამ ჰქონდეთ, და კვლავ მეფესთან დაბრუნდნენ“...

თავი 47

„... ამის შემდეგ რშტუნელთა უფალი თეოდოროსი წავიდა დამასკოს, ისმაიტელთა მთავართან მოავიასთან, და დიდძალი ძღვენი მიართვა მას. ისმაიტელთა მთავარმა მისცა მას ოქროქსოვილი ტანსაცმელები და სამოსი. [მოავიამ თეოდოროსს] უბოძა ხელისუფლება სომხეთსა, ქართლსა, აღბანეთსა და სივნიეთზე კავკასიონამდე და ჭორის ციხე-სიმაგრემდე და გამოისტუმრა იგი დიდი პატივით. ხოლო [თეოდოროსი] დაბრუნდა, რომ ამ ქვეყნებს მას დაუმორჩილებდა. კონსტანტინეს [მეფობის] მე-11 წელს დაიღუპა ის შეთანხმება, რომელიც კონსტანტინესა და ისმაიტელთა მთავრის მოავიას შორის იყო დადებული. ისმაიტელთა მეფემ ბრძანა შეეკრიბათ მთელი ჯარი დასავლეთ მხარეებში და შებრძოლებოდნენ ჰორომთა სამეფოს, რომ აეღოთ კონსტანტინოპოლი.

თავი 48

„... როდესაც ისმაიტელებმა დაინახეს უფლის შიშის მომგვრელი მარჯვენა, შეძრწუნდნენ, ღამით გამოვიდნენ ქალაქედონიდან და წავიდნენ თავიანთ ადგილებში. ხოლო სხვა ჯარი, რომელიც კაპადოკიის მხარეებში იმყოფებოდა, შეებრძოლა ბერძენთა ჯარებს. ბერძნებმა დაარტყეს მათ და ისინი გაიქცნენ არვესტანის მხარეებისკენ, თან გაძარცვეს მეოთხე სომხეთი. შემოდგომის დასასრულს, ზამთრის პირს, მოვიდა ისმაიტელთა ჯარი და დამკვიდრდა დვინში; მას განზრახული ჰქონდა თავს დასხმოდა ქართლს და მახვილით მოესრა იგი. [ისმაიტელებმა] მოციქულთა მეშვეობით აწარმოეს [ქართველებთან] მოლაპარაკება მუქარით, რომ ან მოსულიყვნენ მათ მსახურებაში, ან დაეტოვებინათ მიწა-წყალი და წასულიყვნენ. ისინი კი არ დათანხმდნენ ამას, არამედ მოემზადნენ მათ წინააღმდეგ საბრძოლველად. ისმაიტელები წავიდნენ მათ წინააღმდეგ საბრძოლველად, რომ სავსებით ამოეწყვიტათ ისინი.

ისინი როგორც კი გაემგზავრნენ, ზამთრის ყინვა და თოვლი თავს დაატყდა მათ, რის გამოც აიჩქარეს ასურეთის მხარეებისაკენ წასვლა, სომხეთს კი ბოლოებას არ მიაყენეს.

ხოლო სომეხი მთავრები ბერძენთა და ტაჭიკთა მხრიდან, ჰამაზასპი და მუშელი და ყველა სხვანი ერთ ადგილას შეიკრიბნენ და ერთმანეთთან შეთანხმდნენ, რომ მათ შორის მახვილის [ტრიალსა] და სისხლისღვრას არ ჰქონოდა ადგილი. მათ ზამთარი მშვიდობიანად გაატარეს, რომ გლეხებისათვისაც მიეცათ შვება. რადგანაც რშტუნელთა უფალი მძიმედ დაავადდა და წავიდა აღთამარის კუნძულზე და არ შესწევდა ძალა იქიდან გამოსულიყო, ან რაიმე გადაეწყვიტა, [ამიტომ მთავრებმა] დაყვეს ქვეყანა მხედრების რიცხვის შესაბამისად და ოქროსა და ვერცხლის ხარკის ამკრებნი დანიშნეს.

იქ საშინელი უბედურება დატრიალდა. ასე ემართებათ ავადმყოფებს, როდესაც უძლიერდებათ ტკივილი და ენა უტყვი ხდება. ადამიანისათვის არსად იყო ადგილი გასაქცევად და დასამალავად, არც შინაურები ინდობდნენ მათ. ისინი [ემსგავსებოდნენ] ზღვაში ჩავარდნილთ, რომლებსაც არ შეეძლოთ გამოსვლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიტყო რა ყოველივე ეს, რშტუნელთა უფალმა ისმაიტელებს ჯარი მოსთხოვა, რათა თავს დასხმოდა სომხებს და განეფანტა ისინი, ხოლო ქართველნი ბასრი მახვილით ამოეწყვიტა“.

თავი 50

მამიკონიანთა უფალი მუშელი გადაუდგა ბერძნებს და დაემორჩილა ისმაიტელებს. იმავე წელს სომხეთში მყოფმა ისმაიტელთა ჯარმა დაიპყრო მთელი ქვეყანა კიდით კიდემდე. რშტუნელთა უფალი თეოდოროსი და ქვეყნის ყველა მთავარი ერთხმად დაემორჩილნენ მათ და ყველაფერში მათი ნების აღსრულებას ცდილობდნენ, რადგანაც სიკვდილის აუტანელი შიში იპყრობდა მათ.

იმავე წელს ნეტარი კაცი, ღმრთისმოყვარე არტავაზდ დიმაკსიანი თავისი ძმის შურიანობის გამო ხელთ ჩაუვარდა უწყალო ჯალათს, სარდალ ჰაბიბს, რომელიც აშნაკის არუჭში იმყოფებოდა. მან [არტავაზდს] საშინელი სიკვდილით მოუღო ბოლო.

მკაცრი ზამთრის დღეები იდგა. [ისმაიტელებს] ბერძნები ავიწროებდნენ, მაგრამ ყინვების გამო მათ ვერ შეძლეს გამოსვლა და მათთან ბრძოლა. ისინი მოულოდნელად გამოვიდნენ, გადალახეს მდინარე, წავიდნენ და გამაგრდნენ ზარეჰავანში. ხოლო ბერძნებმა ეს რომ დაინახეს, არ მიაქციეს მათ ყურადღება, ააოხრეს დვინის ციხე, წავიდნენ ნახიჭევანში და შეებრძოლნენ ციხეს, რომ ისიც გაეძარცვათ. ბერძენთა ჯარის სარდლად იყო ვინმე მავრიანოსი, რომელსაც ერთგულ კაცად მიიჩნევდნენ.

გაზაფხულის მოახლოებისთანავე, [ბერძნები] განეწყვნენ და მოემზადნენ ისმაიტელებთან საბრძოლველად. მავრიანოსი კი შეუპოვრობდა და გადაწყვიტა [დაწყებული] საქმის დასრულება. ტაჯიკები თავს დაესხნენ ბერძნებს, რომლებიც იბრძოდნენ ნახიჭევანის ციხესთან, შეუტივს მათ და მახვილით ამოწყვიტეს, ხოლო დანარჩენები გააქციეს. თვითონ მავრიანოსი გაიქცა და ქართლში გადავიდა. ისმაიტელთა ჯარი კი უკუიქცა, ალყა შემოარტყა კარნუ-ქალაქს და ბრძოლა დაიწყო მათთან. ხოლო [ქალაქის მცხოვრებლებმა] ვერ შეძლეს წინააღმდეგობის გაწევა. მათ გააღეს ქალაქის კარი და დაემორჩილნენ მათ. ისმაიტელები შევიდნენ ქალაქში, შეკრიბეს ოქრო, ვერცხლი და ქალაქის დიდძალი ქონება. მათ გაძარცვეს სომხეთის ქვეყანა, აღმოსავლეთ, სივნიეთი. გაძარცვეს [ავრეთვე] ეკლესიები, მათ მძევლებად წაიყვანეს ქვეყნის დიდებული მთავრები, და მრავალთა ცოლები, ქალიშვილები და დები“.

ლევონდი. „ისტორია“

თავი 4

„... გრიგორ სომეხთა მთავარმა თავისი მმართველობის დროს სომეხთა ქვეყანა ყველა მძარცველთა თავდასხმებისაგან დაიცვა. იგი იყო ღმრთის მოშიში, კაცთმოყვარე, სტუმართმოყვარე, ღატაკთა მასაზრდოებელი, იგი ღვთისმსახურებას ეწეოდა. მან არაგაწოტნის გავარში, დაბა არუჭში აღმართა სამლოცველო, ღმრთის დიდებისა და სახელის ტაძარი და მორთო და შეამკო იგი თავისი სახელის უკეთესაყოფად.

ტაჭიკთა შორის ბრძოლის დროს სომხებმა, ქართველებმა და ალბანელებმა 30 წლიანი მორჩილების შემდეგ შეწყვიტეს ხარკის გადახდა, მათმა ძალამ ხებამ 3 წელი გასტანა. მე-4 წელს სომხეთი დაიპყრო ჩრდილოელმა ხალხმა ხაზარებმა. ბრძოლაში მოკლეს გრიგორ მთავარი და ბევრი ქართველი და ალბანელი ნახარარი და მთავარი. თვითონ მათ კი მარბიელი მოჰფინეს სომხეთის ქვეყანას, დაიპყრეს მრავალი გავარი და დაბა, ხელთ იგდეს დიდძალი ნადავლი და ტყვეები და თავიანთ ქვეყანაში წავიდნენ“.

თავი 8

„ასურეთში წასვლის წინ მუჰამედმა თავის ნაცვლად სომხეთში დასტოვა ერთი მთავარი ისმაილთაგან, რომელმაც ბოროტება განიზრახა — სომეხთა ქვეყანაში აზნაურებისა და მხედრების მოსპობა. მაგრამ მისი ბოროტი განზრახვა მალე გამომჟღავნდა სუმბატ ბაგრატუნის, სხვა ნახარარებისა და მათი მხედრების მიერ. [სუმბატმა] შეიტყო რა ამ ვერაგობის ამბავი, მოიხმო თანამზრახველი აზნაურები — აშოტ მთავრის შვილი და სუმბატი, თეოდოროს მთავრის შვილი ბარდა, თავისი ძმა აშოტი და სხვა ნახარარები. მათ მოითათბირეს, რომ ეპოვათ ხსნის საშუალება. გადაწყვიტეს დაეტოვებინათ [სომხეთი] და გამგზავრებულიყვნენ ბერძენთა მეფესთან...

[მთავრებმა] მდინარე არაქსის ნაპირზე გადალახეს უღიეის საზღვარი და მიაღწიეს დიდ დაბა აკორს. ისმაიტელთა ჯარი, 5000-ზე მეტი კაცი, რომელიც ნახიჭევანში იმყოფებოდა, დაედევნა მათ და სურდა შეპყრობა. როცა ამ დადევნების ამბავმა სომეხთა ჯარამდე მოაღწია, ისინი გადავიდნენ მდინარე არაქსს და დაბა ვარდანაკერტში დამკვიდრდნენ. ხოლო ტაჭიკთა ჯარი ფეხდაფეხ მისდევდა მათ... მაშინ თვით ყოვლისმძლე ღმერთი დაეხმარა სომეხთა ჯარს, რომელმაც, მიუხედავად იმისა, რომ 2000 კაცზე ნაკლები იყო, [მოწინააღმდეგეთა] დიდძალი რაოდენობა ამოწყვიტა. ძალიან ცივი დღეები იდგა. ცივი ქარის ქროლვა ხელს უშლიდა ისმაიტელთა ჯარს გამომჭღაჟნებინა თავისი მხნეობა და ძლიერება. ისინი მთელი ღამე არ ჩამომხდარან ცხენებიდან, გათენებისას კი მახვილის მსხვერპლი შეიქნენ. ისინი, რომლებიც გადაურჩნენ მახვილს, გადაუშენენ მდინარე არაქსში, რომელიც იმ დროს გაყინული იყო სასტიკი ყინვების გამო. მაგრამ როცა ჯართა სიმრავლემ თავი მოიყარა ყინულზე, ყინული ჩატყდა და დაიღუპა ყველა, ვინც მახვილს გადაურჩა...

ხოლო მტრის ნადავლით გამდიდრებულმა სომეხთა ჯარმა თავისი გამარჯვების შესახებ ბერძენთა მეფეს აუწყა. მტრის ნადავლიდან მათ [ბერძენთა მეფეს] გაუგზავნეს რჩეული არაბული ცხენები და დაცემულთა გვამებიდან ნესტოები.

მიიღო რა საჩუქრები, კეისარმა ქება-დიდებით მოიხსენია ღმერთი და მადლობა გადაუხადა სუმბატს, მასთან მყოფ ნახარარებსა და მათ ჯარებს. [კეისარმა] კურაპალატის წოდება უბოძა მას სამეფო წესისამებრ. მიიღო რა ასეთი პატივი კეისრისაგან, სუმბატი თავის ჯართან ერთად გამგზავრა ტაოს ქვეყანაში, ჩაიკეტა თუხარისის ციხეში და ერიდებოდა ისმაიტელებს“.

თავი 10

„... ნახარარები ჩაამწყვდიეს საპყრობილეში და აწამეს წარმოუდგენელი ტანჯვა-წამებით. ითხოვდნენ მათგან დიდძალ ვერცხლსა და ოქროს და პირდე-

ბოდნენ განთავისუფლებას გამოსაღები ვერცხლის მიღების შემდეგ. [მწყვალებლები] ფიცით ამტკიცებდნენ თავიანთ ყალბ დანაპირებს. [ხოლო მთავრებმა] ტანჯვა-წვალების [შიშით] მისცეს მათ დიდძალი განძი, რომელიც მძარცველთაგან გადამალული ჰქონდათ ზღვასა და ხმელეთზე. [მათ იმედი ჰქონდათ], რომ მისცეს რა [განძი] მტერს, თავს იხსნიდნენ. მთავრებმა გადასცეს [მტერს] თავიანთი ქონება, ურჯულოებმა კი მაინც შეუკრეს მათ ხელები და სიკვდილს მისცეს, აწამეს რა ისინი საღრჩობელით. ასე დაიღუპნენ აშოტ ბაგრატუნის შვილი სუმბატი, გრიგორი და კორიკეი არწრუნთა გვარიდან, ვარაზ-შაპუჰი და მისი ძმა ამატუნთა გვარიდან და სხვა მრავალნი სომეხ ნახარართაგან, რომელთა სათითაოდ დასახელება მე არ შემიძლია. ყველა ისინი ამოწყვიტეს და ასე უმემკვიდრეო ქმნეს ქვეყანა ნახარართაგან.

მას შემდეგ რაც სომეხთა ქვეყანაში ამოწყდა სანახარარო საგვარეულო, მცხოვრებლები, როგორც ცხვრები, მგლებს ჩაუვარდნენ ხელთ. მტერმა ყოველნაირი ბოროტება, დიდი უბედურება და საფრთხე თავს დაატეხა სომეხთა ქვეყნის მცხოვრებლებს, რომლებიც ძალიან შეაწუხა გაჭირვებამ და მოუსვენარმა ცხოვრებამ. მათი კენესა და ოხვრა ცას წვდებოდა. სუმბატ კურაპალატმა და სხვა ნახარარებმა დატოვეს თავიანთი [საცხოვრებელი ადგილი] და ბერძენთა მეფეს სთხოვეს ქალაქი საცხოვრებლად და საძოვრები თავიანთი ჯოგებისათვის. [მეფემ] მისცა მათ ქალაქი ფოთი ეგრისელთა ქვეყანაში, სადაც 6 წელი დაყვეს.

ეს ბოროტებანი მუჰამედმა აღასრულა. საჩივრებმა ისმაიტელთა გამგებლის ვალიდის ყურამდე მიაღწია. მან სასწრაფოდ მიიწვია იგი და მის ნაცვლად გამოგზავნა ვინმე ამდალ-აზიზი, რომელიც ყრუ იყო, მაგრამ ძალიან გაიძვერა და უყვარდა ლაპარაკი არაკებით. ხელისუფლების დაუფლებისთანავე მან შეუთვალა სომეხ ნახარარებს, რომ დაბრუნებულიყვნენ თავიანთ ქვეყანაში. მან ფიცის წერილ მისცა მათ ჩვეულებისამებრ. მთავრებმა დაიჯერეს მისი ფიცი, დაიტაცეს საგანძურები და გაძარცვეს იმ ქალაქის ეკლესიის საყრთხეველი, სადაც ცხოვრობდნენ, [შემდეგ კი], გადაუდგნენ რა კეისარს, დაბრუნდნენ სომხეთში. ეს რომ [კეისარმა] შეიტყო, შეწუხდა მათი ბოროტმოქმედების გამო, მოიხმო ეკლესიის წინამძღვრები, მიტროპოლიტი და არქიეპისკოპოსები, უბრძანა დაეწერათ ანათემა და ზატიკის დღესასწაულის აღსრულებისას წაეკითხათ იგი, რადგანაც ეს ბოროტმოქმედება ამ დღესასწაულის დღეს ჩაიდინეს. ამის შემდეგ დაწესდა ამ დღესასწაულის დღეს ყოველ წელს ანათემისათვის გადაეცათ [ბოროტმოქმედნი]. ეს [წესი] დღემდე [ხორციელდებოდა]. ყოველივე ამან ძლიერ იმოქმედა მათზე და იგი შეიქნა მათი დაღუპვის მიზეზი“.

თავი 12

„... მის შემდეგ ხელისუფლებას დაეუფლა სულეიმანი, რომელიც 2 წლისა და 8 თვის შემდეგ გარდაიცვალა. მისი ცხოვრება ასეთი იყო.

თავისი გამგებლობის მეორე წელს მან შეკრიბა დიდძალი ჯარი, ხელთ მისცა ჯარების სარდალს და გაგზავნა იგი კასპიის კარისაკენ. [ისმაიტელთა ჯარები] მოვიდნენ და ქალაქ დარუბანდში შეებრძოლენ ჰონების ჯარებს, დაარბიეს და აოხრეს ციხის კოშკი და ზღუდეები. ციხის ზღუდის ნგრევისას, მის საძირკველში მათ იპოვეს ერთი დიდი ქვა, რომელზედაც ამოკვეთილი იყო შემდეგი წარწერა: „თვითმპყრობელმა კეისარმა მარკიანემ აღაშენა ეს ქალაქი და კოშ-

კი თავისი საგანძურებიდან დიდძალი ტალანტის [დახარჯვით]. შემდეგში ისმაიტელები დაანგრევენ მას და ადადგენენ თავიანთი საგანძურებიდან". იწყებენ რა ეს წარწერა ქვაზე, [ისმაიტელებმა] შეწყვიტეს ნგრევა, დააყენეს ხელოსნები და კვლავ ააშენეს დანგრეული ზღუდე.

მუსლიმი დიდძალი ჯარით გადავიდა ჭორის გასასვლელით, მარბიელი მოჰფინა ჰონთა ქვეყანას და დაიბანაკა ჰონების ქალაქ თარგუსთან. ქვეყნის მცხოვრებლებმა რა დაინახეს ავიზაკები, რომლებიც თავს დაესხნენ მათ, სასწრაფოდ აცნობეს [ამის შესახებ] ხაზართა მეფეს, ხაყანს. ხოლო [ხაყანი] დიდძალი ჯარისა და უძლეველი ბუმბერაზების [თანხლებით], რომელთა სიმამაცე და სიძლიერე ყველა ხალხისათვის ცნობილი იყო, მოვიდა და ძის ახლოს დაიბანაკა. დიდი ხნის განმავლობაში ერთმანეთს ებრძოდნენ არა გუნდი გუნდს, არამედ მებრძოლი მებრძოლს. ხოლო ხაყანი აყოვნებდა ბრძოლაში ჩაბმას ალფ-თარხანის მოსელის [მოლოდინში], რომელსაც მოუხმო დასახმარებლად. ჯარის სიმრავლის დანახვისას მუსლიმმა აღარ იცოდა რა მოემოქმედა და გადაწყვიტა გამოეხახა რაიმე საშუალება მათგან თავის დასაღწევად. ძან უბრძანა თავის ჯარებს ძლიერი ცეცხლი მოედოთ ბანაკისათვის. [მუსლიმმა] იქ დასტოვა ბანაკის ქონება, მძევლები, მსახურები, მონები და სხვა აცა-დიდება და გაეძართა კავკასიის მთით, გაჩეხა ტყეები და ასე გაიკვალა გზა, დიდი სიძნელით იხსნა თავი მტრის ხელთაგან. ასე შერცხვენილი და შეძრწუნებული იგი ჰონთა ქვეყანაში დაბრუნდა.

აღსრულა რა ყოველივე ეს მუსლიმი გარდაიცვალა".

თავი 21

„ამ დროს ისმაიტელთა გამგებელმა ჰუშიმმა სომხეთში გამოგზავნა სეთის ნაცვლად, რომელსაც ჰარაშს უწოდებდნენ, მუჰამედის შვილი მურვანი. როდესაც მურვანმა ქალაქ დვინს მიაღწია, მას მიეგებნენ სომეხი ნახარარები, რომლებსაც მურვანი მშვიდობიანად ესაუბრა. მან თავისთან მოიხმო ვასაკის შვილი აშოტ ბაგრატუნი, უბოძა მას ხელისუფლება სომეხთა ქვეყანაზე ჰუშიმის ბრძანებით და დიდი პატივით განაღიდა იგი. სუმბატის შვილებმა რა დაინახეს ის პატივისცემა, რომლითაც სარგებლობდა აშოტი ჰუშიმისა და სარდალ მურვანის თვალში, შეიძულეს აშოტი. როდესაც ეს შეიტყო მუჰამედის შვილმა, მაშინვე ბრძანა შეეპყრათ გრიგორ და დავით მამიკონიანები, რომლებიც ისმაიტელთა გამგებელს გაუგზავნა და დაწერა მათზე დაბეზღება, რომ ისინი აჯანყდნენ და არ ემორჩილებიან აშოტის ხელისუფლებასო. [ჰუშიმმა] ბრძანა მათი წყვანა ემანის უდაბნოში და იქ სატუსაღოში ჩაყუდევეა სიკვდილამდე.

განამტკიცა რა ხელისუფლება, აშოტი გაემართა ისმაიტელთა გამგებელთან ჩვენი ქვეყნის დასუსტების გამო, რადგანაც უკვე 3 წელი ხაზინიდან არ უხდიდნენ ხელფასს არც სომეხ ნახარარებს და არც მათ მხედრებს. წარსდგა რა ჰუშიმის წინაშე, [აშოტი] მოწიწებით და გონივრულად ელაპარაკებოდა მას. ამიტომ [ხალიფამ] განადიდა იგი ღირსებისამებრ და შეუსრულა თხოვნა. ბრძანა მიეცათ მისთვის ფული 3 წლის მანძილზე, წელიწადში 100000 [მონეტის] ოდენობით. ამ დროიდან მოკიდებული მისი მმართველობის დასასრულამდე [სომხეთის] ცხენოსანი ჯარი ღებულობდა ვერცხლის ამ გამოსაღებს".

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ამის შემდეგ მუჰამედის შვილმა მურავნმა დიდძალ ჯარს მოუყარა თავი, თან წაიყვანა აშოტ მთავარი, სხვა ნახარარები, მათი ცხენოსნები და მათთან ერთად თავს დაესხა ჰონებს. ამოჟლიტა რა ქალაქის ჯარები, დაეუფლა ქალაქს, როდესაც ქალაქის მცხოვრებლებმა დაინახეს, რომ მძარცველებმა დაიპყრეს ქალაქი, დაიწყეს თავიანთი ქონების გადაყრა ზღვაში, სხვები კი თვითონ გადაეშვნენ ზღვაში და დაიღუპნენ მის სიღრმეში. შეიპყრეს რა გადარჩენილები თავიანთი ქონებითურთ, ისმაიტელთა ჯარები და მურავანი აშოტთან ერთად დიდძალი ქონებით [ავსებულნი] დაბრუნდნენ გამარჯვებულნი ჰონთა მხარეებიდან. მიაღწიეს რა შაჰასტან-პარტავს, [მურავანმა] ნადავლის მეხუთედი [ნაწილი] და ტყვეები თავის გამგებელს ჰეშიმს გაუგზავნა წერილთან ერთად, რომლითაც მას გამარჯვებას აუწყებდა.

